

645  
1970/2

975  
ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՅՈՒՐԵՆՈՒԹՅԱՆ  
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

# ՁՆՅԵՁ

645/2

7

3.1970

675  
1970/2



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



1970







# მაცნე

*Вестник*

---

3

54

ИЗДАТЕЛЬСТВО · МЕЦНИЕРЕБА ·  
ТБИЛИСИ 1970

# მასკნა

---

3

54

გამომცემლობა • ვეცნიერება

თბილისი 1970

11676

ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

აღ. ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი, გ. მელიქიშვილი,  
ე. მეტრეველი, ვ. ფანჩიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე),  
აღ. ფრანგიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),  
გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ჭავჭავაძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Барамидзе А. Г. (главный редактор), Гугушвили П. В., Меликишвили Г. А.,  
Метревели Е. П., Панчидзе В. Н. (заместитель главного редактора),  
Франгишвили А. С. (заместитель главного редактора), Чавчавадзе Н. З.,  
Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### წერილები

ნ. სტურუა, საქართველოს სახალხო მეურნეობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში	7
შ. ჩხარტიშვილი, განწყობის ფიქსაციის პრობლემა	23
ლ. ქიბურია, მსჯელობა და წინადადება	45
ბ. ჯიბუტი, კოლმეურნეობათმშორისი წარმოებრივი კავშირები საქართველოში	55
ო. ჩიქოვანი, ქ. ფოთის წყალდიდობისაგან დაცვის ისტორიისათვის	71
ბ. მისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეებში	81
ც. ყარაულაშვილი, ხალხური ქსოვის ისტორიიდან	97
თ. შურდოვანიძე, გაზეთი „ივერია“ (1886 წ.) და ხალხური სიტყვიერება	103
ლ. ნანიტაშვილი, სამსონ ფირცხალავა — რედაქტორი და გამომცემელი	115
ნ. თუშიშვილი, ბოგვისხევის ადრენტიკური ხანის სამაროვანი	127
ი. კალაძე, სპარსული რომანული ეპოსის ერთი ადრეული ძეგლის შესახებ	141
ბ. ბელოვოილი, ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკის ზოგი საკითხი	151
მ. სურბულაძე, სიტყვა „წერის“ ხმარების შემთხვევები ქართულში	165
<u>რ. ბატარიძე, „ერკათაგირის“ გრაფიკული საფუძვლები</u>	171
ი. თივდორაძე, სინტაგმის მახვილები ქართულ ენაში	205

### ცნობები და შენიშვნები

ნ. კილანაძე, ვახტანგ ორბელიანის უცნობი ფსევდონიმი	215
---	-----

### პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

#### რეცენზიები და გამოსხაურებანი

თ. ბოცვაძე, საინტერესო ნაშრომი	221
--------------------------------	-----

### ანოტაციები

ახალი წიგნები	225
---------------	-----

### ძრონიკა და ინფორმაცია

სიმპოზიუმი ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხებზე	229
კოტე ბაქრაძე (ნეკროლოგი)	238



## ОГЛАВЛЕНИЕ

### СТАТЬИ

Н. СТУРUA, Народное хозяйство Грузии в годы Великой Отечественной войны	7
Ш. ЧХАРТИШВИЛИ, Проблема фиксации установки	23
Д. КЕБУРИА, Суждение и предложение	45
А. ДЖИБУТИ, Межколхозные производственные союзы в Грузии	55
О. ЧИКОВАНИ, К истории защиты г. Поти от наводнения	71
Г. МАИСУРАДZE, Из истории хозяйственно-культурного сотрудничества между грузинским и армянским народами	81
Ц. КАРАУЛАШВИЛИ, Из истории народного вязания	97
Т. КУРДОВАНИДZE, Газета «Иверия» (1886 г.) и народная словестность	103
Л. НАНИТАШВИЛИ, Самсон Пирцхалава — редактор и издатель	115
Н. ТУШИШВИЛИ, Раннеантичный могильник в Богвисхеви	127
И. КАЛАДZE, Об одном раннем памятнике персидского романического эпоса	141
Г. БЕДОШВИЛИ, Некоторые вопросы эрцо-тианетской микротопонимики	151
М. СУРГУЛАДZE, Об одном термине из лексики древнегрузинского языка	165
Р. ПАТАРИДZE, Графические основы «Еркатагира»	171
И. ТЕВДОРАДZE, Ударения синтагмы в грузинском языке	205

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Н. КИЛАНОВА, Неизвестный псевдоним Вахтанга Орбелиани	215
---	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

#### Рецензии и отзывы

Т. БОЦВАДZE, Интересная работа	221
--------------------------------	-----

#### Аннотации

Новые книги	229
-------------	-----

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Симпозиум по вопросам генезиса капитализма в Закавказье	229
К. Бакрадзе (некролог)	238

ნიკოლოზ სტურუა

საქართველოს სახალხო მემურნობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში

1945 წლის 9 მაისს გამარჯვებით დამთავრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ბრძოლა გერმანული ფაშისტური კოალიციის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის არა მარტო შემადგენელ ნაწილს, არამედ მის ყველაზე მთავარ ნაკადს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, რომ საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ფაშისტური გერმანიასა და მის სატელიტებზე გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიფაშისტური კოალიციის გამარჯვებისათვის მეორე მსოფლიო ომში. მართალია, ფაშისტური გერმანიის განადგურებიდან 25 წელი გავიდა, მაგრამ ამ გმირობის სიდიადე არასოდეს დაკარგავს თავის ბრწყინვალეობას.

საბჭოთა ხალხის გამარჯვება მოსაბრუნ წერტილად იქცა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაში. ამ გამარჯვებასთან განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული წარმატებანი ომის შემდგომ პერიოდში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, სოციალისტური ბანაკის ხალხთა მიღწევები სოციალიზმის მშენებლობაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არნახული ზრდა მთელს მსოფლიოში და იმპერიალიზმის მსოფლიო კოლონიური სისტემის შეუჩერებელი რღვევა.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ გამოავლინა და დაამტკიცა არა მარტო სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციის უპირატესობა, არამედ აკრეფე მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის უპირატესობა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან შედარებით.

ომმა საბჭოთა ზურგს უძნელესი ამოცანები დაუსახა. თუ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მარტოდმარტო გადაიხადეს უდიდესი ბრძოლები ჰიტლერული კოალიციის ქვეყნების შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, საბჭოთა ზურგიც მარტოდმარტო უპირისპირდებოდა, როგორც საკუთრივ გერმანიის, ასევე ფაშისტური გერმანიის ევროპულ ზურგს. 1944 წლის 6 ნოემბერს ი. ბ. სტალინი მოხსენებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავი“ აღნიშნავდა: „ისევე, როგორც წითელმა არმიამ პირისპირ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში სამხედრო გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, საბჭოთა ზურგის მშრომელებმა ჰიტლერული გერმანიისა და მის თანამონაწილეობა წინააღმდეგ ორთაბრძოლაში ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის სამამულო ომის შესახებ, თბილისი, 1947, გვ. 176-177.

ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი საქართველომაც შეიტანა. წინამდებარე სტატია წარმოადგენს ცდას მოკლედ ასახოს ეს წვლილი.

**1. მრეწველობის გარდაქმნა სახელმწიფო ხაზზე. ბრძოლა საქართველოს გადასჯივისათვის სახელმწიფო ხელისუფლების ძალიან მართლმართლ არსებობაზე**

მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდასაქმნელად აუცილებელი იყო: სამხედრო საწარმოების აშენება, მრეწველობის სამოქალაქო დარგების გადაყვანა საომარი პროდუქციის გამოშვებაზე, ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებული სამრეწველო საწარმოების განლაგება.

საომარ ყაიდაზე გარდაქმნამ (რაც 1942 წლის მეორე ნახევარში დასრულდა) მოითხოვა შრომითი და მატერიალური რესურსების სამხედრო, ბაზისურ თუ მათთან კოორდირებულ საწარმოთა სასარგებლოდ გადანაწილება, ამან კი შეცვალა მრეწველობის სტრუქტურა — გაიზარდა საწარმოო საშუალებათა წარმოების ხვედრი. მართალია, ომამდე საქართველო არ უშვებდა სამხედრო პროდუქციას, საქართველოს მრეწველობამ მაინც მოახერხა უმოკლეს ვადაში გადასულიყო ფრონტის მომსახურებაზე, სამხედრო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაზე. ამის შედეგად შემცირდა სამოქალაქო პროდუქციის გამოშვება.

გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება და ფეროშენადნობთა გამოდნობა. 1941 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ 130,8 პროცენტით შეასრულა გეგმა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ამავე წელს ამ ქარხანამ პირველმა საბჭოთა კავშირში, ათვისა მეტალურგიული მანგანუმის წარმოების ელექტროლითური მეთოდი. მეტალურგიული მანგანუმი კი აუცილებელია ხარისხიანი ფოლადის წარმოებისათვის. 1941—1942 წლების სამხედრო მანქანათმშენებლო და სხვა ქარხნების სადნობ საამქროებში გაიზარდა ფოლადის გამოდნობა.

მანქანათმშენებელმა, დაზგათმშენებელმა, ლითონდამამუშავებელმა, ქიმიურმა და სხვა ქარხნებმა ათვისეს შეიარაღებისა და საომარი საჭურვლის წარმოება. მსუბუქი მრეწველობის საწარმოები გადაყვანილ იქნა სამაზარო მაუდის, საბარაშუტო ტილოს, ჯარისკაცთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოებაზე. კვების მრეწველობის საწარმოებმა ათვისეს ხორცის კონსერვებისა და სპეციალური კონცენტრატების გამოშვება. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები ამზადებდნენ ნაღმსატყორცებს, ავტომატებს, ნაღმსატყორცინ ჭურვებისა და ხელყუმბარების კორპუსებს. ურმებსა და ოთხთვადებს, საველო სამხარეულოებს და ფრონტისათვის აუცილებელ სხვა პროდუქციას. საქართველოში მოეწყო საპაერო თავდაცვისათვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობის წარმოება.

ევაკუირებულ საწარმოთა აღდგენით საქართველოში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ავიამშენებლობა და სხვ.

სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლა და მრეწველობის მთელი მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული: არსებულ საწარმოთა ხელახალი აღჭურვა, კვალიფიცირებული მუშების მომზადება და გადამზადება, ახალი საწარმოო კავშირების აწყობა და სხვ.

1942—1943 წლის ზამთარში თითქმის სრულიად შეწყდა ნედლეულის, მასალების, სათბობისა და სათადარიგო ნაწილების შემოტანა საქართველოში.



ამიტომ სამხედრო პროდუქციის გამოშვების ათვისებასთან ერთად აუცილებელი გახდა საქართველოშივე მოხერხებულიყო ნედლეულის ზოგი სახეობის მოპოვება, კერძოდ, სამრეწველო მასალის, მანქანების, სითადარიგო ნაწილებისა და ხელსაწყოთა წარმოება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა შინაგანი რესურსების მობილიზაციას და წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებას.

მკვეთრად შემცირდა საქართველოს შრომითი რესურსები. იმ 700 ათასზე მეტი მეომრიდან, რომლებიც მობილიზებული იყვნენ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამამულო ომის მთელ პერიოდში, თითქმის ორი მესამედი სწორედ 1941 წელს იქნა გაწვეული. სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, მათ შორის მრეწველობაც, კვალიფიციური მუშახელისა და სპეციალისტების ნაკლებობას განიცდიდა. მოგვყავს შესაბამისი ციფრობრივი მონაცემები<sup>2</sup>.

	1940	1941	1942	1943	1944
მუშახელის რაოდენობა მრეწველობაში (ათასობით) . . . . .	110,6	105,6	95,1	96,7	97,2

მართალია, საქართველოს მუშათა კლასი რიცხობრივად შემცირდა, მაგრამ გაიზარდა მუშათა ხვედრითი წილი როგორც სამრეწველო-საწარმოო პერსონალში, ისე მოსახლეობის საერთო ოდენობაში. გაიზარდა აგრეთვე ქალებისა და მოზარდების პროცენტი. სახალხო მეურნეობაში შრომის მთელი სიმძიმე ქალებსა და მოზარდებს დააწვა. 1942-1943 წლებში მრეწველობის მუშაკთა საერთო რაოდენობაში ქალები 49 პროცენტს შეადგენდნენ.

სამრეწველო საწარმოებში, ისევე როგორც საერთო სახალხო მეურნეობაში, სწავლისაგან მოუწყვეტლად შრომობდნენ უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტები, სპეციალური სამუალო სკოლებისა და მუშათა და ათვლის ახალგაზრდობის სკოლების მრავალი ათასი მოსწავლე.

1944-1945 წლებში ქალებისა და მოზარდების პროცენტი შემცირდა, რადგანაც ამ დროისათვის სახალხო მეურნეობას დაუბრუნდნენ წითელი არმიისა და ფლოტის რიგებიდან (ინვალიდობის ან ასაკის გამო) დემობილიზებული მეომრები. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება სამუშაო ძალის დენადობის ზრდა. საერთოდ კი, ომის წლებში მუშახელის დენადობა გამოწვეული იყო შრომითი რესურსების გადანაწილების აუცილებლობით, არმიაში მობილიზაციით, რეევაკუაციითა და სხვა მიზეზებით.

მრეწველობის მუშახელით უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზეგანაკვეთური სამუშაოების შემოღებას, მუშების მიმავრებას საწარმოებზე, ომის მთელ დროის მანძილზე საბჭოთა ორგანოებისათვის უფლებების მინიჭებას გადაეყვანათ მუშა-მოსამსახურეები ერთი საწარმოდან მეორეში.

1941 წლის ივლისის პირველ რიცხვებში საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომელთაც ევალებოდათ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები უზრუნველყოთ კვალიფიცირებული კადრებითა და საერთოდ სამუშაო ძალით.

მუშათა ახალი შეგება საჭიროებდა საწარმოო მომზადებას. ამ მიზნით საწარმოებში შეიქმნა სხვადასხვა სახის კურსები და მოკლევადიანი სკოლები. ახა-

<sup>2</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ან. 3, საქმე 647, ფურც. 30, 33.



ლი მუშების უდიდესი ნაწილი პროფესიას ეუფლებოდა ინდივიდუალურად ან ბრიგადული სწავლების გზით. ახალ მუშებს მიამაგრებდნენ ხოლმე მოწინავე მუშებზე, რომლებიც მათ შესწავლიდნენ პროფესიას. საწარმოო სწავლებასთან ერთად საწარმოებში გამოიღო იყო აგრეთვე მუშაობა ახალი მუშების პოლიტიკური აღზრდისათვისაც.

კვალიფიცირებული მუშების მომზადება მიმდინარეობდა შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკის სამმართველოს სასწავლებლებში, რომლებმაც სამამულო ომის წლებში სახალხო მეურნეობას მოუშადაც 26,7 ათასი ახალგაზრდა კვალიფიცირებული მუშა.

ომის წლებში სახალხო მეურნეობას დაუბრუნდნენ პენსიონერები და სამამულო ომის ინვალიდები. ინვალიდთა მიერ მასობრივი პროფესიების დაუფლებას ხელმძღვანელობდნენ სამამულო ომის ინვალიდთა სასწავლო-საწარმოო კომბინატები და აგრეთვე თვით სახალხო მეურნეობის საწარმოები. მიუხედავად მიღებული ზომებისა, თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო ვანიცილიდა მუშახელის ნაკლებობას. ამიტომ საჭირო იყო შრომის ეფექტიანობის გაზრდა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და შრომის ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესების გზით. 1941-1942 წლებში საქართველოს მრეწველობაში ფართოდ დაინერგა წარმოების ნაკადური და კონვეიერული მეთოდები.

მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნისათვის ბრძოლაში დაძლეული იქნა რიგი სხვა სიძნელეც.

პროდუქციის წარმოების ზრდა 1943-1945 წლებში უმთავრესად ხორციელდებოდა წარმოების სრულყოფისა და შინაგანი რესურსების მაქსიმალური მობილიზაციის ხარჯზე. ამ წლებში საქართველოს სამრეწველო საწარმოებში დაიდგა მრავალი მანამდე სრულიად უქმად მდგარი დაზგა და დანადგარი. საჭირო გახდა ზოგი მათგანის აღდგენა, რეკონსტრუქცია და მოდერნიზაციაც კი.

მრეწველობის მუშაკთა ყურადღების ცენტრში იდგა წარმოების ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხები. მრეწველობაში სულ უფრო თამამად ინერგებოდა წარმოების მექანიზაცია, რაც ერთგვარად ანაზღაურებდა მუშახელის ნაკლებობას, რადგან ეს ამოღებდა სამაჩქანო დროის ხვედრითს წონას წარმოების პროცესებში.

ომის დროის კანონად იქცა უსასტიკესი ბრძოლა ეკონომიის რეჟიმისათვის. ამ ბრძოლაში მასობრივად მონაწილეობდნენ ინჟინერ-ტექნიკოსები და კვალიფიციური მუშები. ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლაში პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ფართოდ უჭერდნენ მხარს მშრომელთა ინიციატივას წარმოების რაციონალიზაციის დარგში.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა საომარი პროდუქციის გამოშვების გაფართოებასთან ერთად ააწყვეს აგრეთვე წარმოება მასობრივი მოხმარების იმ საგნებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა, რაც ომამდე მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ.

ომის წლებში არნახული გაქანება პოვა სოციალისტურმა შევიბრებამ, რომლის ძირითადი მიზანი იყო სახალხო მეურნეობაში სამუშაო ძალის ნაკლებობის მაქსიმალური შევსება და სამხედრო პროდუქციის წარმოების უწყვეტი ზრდის უზრუნველყოფა.

ომის დასაწყისში სამრეწველო საწარმოებში ფართოდ გავრცელდა „ორასოვანთა“ მოძრაობა. ამ მოძრაობის მონაწილეებმა იკისრეს შეესრულებინათ 2 ნორმა, ე. ი. ემუშავათ ფრონტზე წასული ამხანაგის მაგივრადაც. ბევრი რამ-

დენიმი ნორმასაც კი ასრულებდა. შემდგომი გავრცელება პოვა აგრეთვე მრავალღაზგოსნობამ და პროფესიათა შეთავსებამ. ეს მოძრაობა ომის წინ დაიწყო. სახალხო მეურნეობის მოწინავენი აქტიურად ებმებოდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი მუშების საწარმოო სწავლებისათვის. ქალებმა დაიწყეს მოძრაობა ე. წ. მაშაკაცის პროფესიათა დასაუფლებლად.

1941 წლის შემოდგომაზე დაიწყო წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრების მსვლელობაში შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომელთა შორის ყველაზე მოწინავეს საფრონტო ბრიგადის სახელი ენიჭებოდა. 1944 წლის აპრილისათვის მარტო თბილისის საწარმოებში ოთხასამდე კომკავშირულ-ახალგაზრდული საფრონტო ბრიგადა იყო<sup>3</sup>, რომელთაც საჭარტილიანდ უწოდებდნენ ზურგის გვარდიას<sup>4</sup>. ეს შეჯიბრება ხელს უწყობდა მუშა ახალგაზრდობის საწარმოო კვალიფიკაციისა და პროფესიონალური ოსტატობის ამაღლებას.

1942 წლის მისში საქართველოს მშრომელები ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომლის ინიციატორები იყვნენ საავიაციო, სატანკო და მეტალურგიული მრეწველობის წამყვან საწარმოთა კოლექტივები. 1942 წელს ფართოდ გავრცელდა ინდივიდუალური და ბრიგადული შეჯიბრება პროფესიებისა და მიხედვით, რაც ხელს უწყობდა შეჯიბრების მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

1943-1944 წლებში სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმად იქცა მოძრაობა გამოუმუშავებული პროდუქციის ზრდასთან ერთად ბრიგადის რიცხობრივი შემადგენლობის შემცირებისათვის. ამის შედეგად გამოთავისუფლდა ათასობით კვალიფიკირებული მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და მოსამახურე წარმოების სხვა უბანზე გამოსაყენებლად.

მრეწველობის მუშაკთა შრომითი აქტივობის ზრდა გამოიხატა სოციალისტური შეჯიბრების ახალი და ნაინაირი ფორმების გაჩენით. სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას ხელს უწყობდა მოძრაობა თვით ბრიგადაში სპეციალიზაციისათვის. ამასთან დაკავშირებით გადიისინჯა წარმოების ნაკადური ხაზები და ტექნოლოგიური პროცესები, რამაც აამაღლა შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი.

შეჯიბრებაში წარმატებისათვის ზესტაფონის ფეროშენადნობთა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, თბილისის დიმიტროვის სახელობის, ქუთაისის ლიტოპონის, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონმშენებელი ქარხნებისა და სხვა მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა მიიღეს სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, პროფკავშირების უმაღლესი ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატების გარდამავალი წითელი დროშები; მათ ენიჭებოდათ აგრეთვე ფულადი პრემიები.

ომის წლებში მრეწველობის მუშაობის შესახებ მკაფიო სურათს იძლევა გამოშვებული საერთო პროდუქციის მონაცემები<sup>5</sup> (1926/27 წლების უცვლელ ფასებში, მილიონ მანეთობით):

<sup>3</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967, თბ., 1967, გვ. 462.

<sup>4</sup> საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია 6 ტომად, ტ. 6, გვ. 162.

<sup>5</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიატივი, ფ. 14, ანაწ. 3, საქმე 647, ფურც. 21, 24-25.

	1940	1941	1942	1943	1944	1945
მთელი მრეწველობა . . . . .	1878,3	1901,6	1629,7	1796,7	1641,4	1485,7
მასში:						
მსხვილი მრეწველობა (საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები) . . . . .	1210,4	1214,3	1013,5	1214,4	1060,7	975,8
მრეწველობის დანარჩენი დარგი . . . . .	667,9	687,3	616,2	582,3	580,7	509,9

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ საუკეთესო იყო 1941 წელი. მაგრამ ამ შემთხვევაში პროდუქციის ზრდა ფაქტურად ეხება წლის პირველ ნახევარს, ომამდელ პერიოდს. ამიტომ ეს მონაცემი, უნდა გამოირიცხოს. მასასადამე, საერთო პროდუქციამ მაქსიმალურ მოცულობას მიაღწია 1943 წელს, ხოლო მინიმალურს — 1945 წელს. საერთო პროდუქციის მოცულობის შემცირება 1945 წელს (და ნაწილობრივ 1944 წელსაც) დაკავშირებულია იმ ხარჯებთან, რომლებიც გაწეული იქნა მრეწველობის მშენებლობის გადარჩენისა და სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებისათვის.

ქვემოთ მოგვყავს მონაცემები პროდუქციის უმთავრეს სახეობათა გამოშვების შესახებ (ნატურალურ გამოსახულებაში):

პროდუქციის სახეობანი	ზომის ერთეული	1940	1941	1942	1943	1944
ქვანახშირი . . . . .	ათასი ტ	625,1	772,5	682,4	569,0	531,9
მანგანუმი . . . . .	"	1448,7	1365,3	117,6	216,3	475,7
ნავთობი . . . . .	"	41,2	57,5	56,1	57,5	46,3
ცემენტი . . . . .	"	118,6	115,5	23,3	34,5	58,7
შალის ქსოვილი . . . . .	ათასი მ	1923,5	2354,4	2327,4	2029,3	1809,1
აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის ქსოვილი . . . . .	" მ	5291,2	6427,1	6498,1	4863,8	4563,4
ფეხსაცმელი . . . . .	ათასი წყვ.	8705,8	7443,2	3293,4	2493,5	3151,2
საპონი . . . . .	ტონა	4361,8	5189,0	3548,0	3754,3	4666,0
შაქარი (ფხვნილი) . . . . .	ათასი ტ	13,1	9,3	4,5	3,2	4,8
კონსერვები . . . . .	მლნ პირ. ქილა	29,1	33,2	25,0	30,7	32,1
პირველადი დამუშავების ბიხის ჩაი . . . . .	ტონა	10961	13582	12976	13923	12154
ნატურალური ჩაი . . . . .	"	2696	5332	5411	4572	4193

ომმა დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს სახალხო მეურნეობის წამყვან დარგს — შავი ქვის (მანგანუმის) წარმოებას. 1941 წლის ოქტომბრის ბოლოს დროებით დაკონსერვდა ყველა მალარო და გამამდიდრებელი ფაბრიკა. ჰიათურელ მალაროელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში წავიდა, 650 კაცი გადაყვანილი იქნა ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში, დანარჩენი კი გამოიყენეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. კონსერვაცია არ შეეხო მხოლოდ მექანიკურ სახელოსნოებს, რომლებიც ომის დაწყებიდანვე სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე იქნენ გადაყვანილი<sup>7</sup>. 1942 წელს ნაწილობრივ განახლდა ტრესტ „ჰიათურმარგანეცის“ მუშაობა.

მრეწველობის საერთო პროდუქციის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო მანგანუმის საწარმოთა კონსერვაციითა და ცემენტის, ფეხსაცმლის, შაქრის

<sup>6</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ანაწ. 3, ს. 647, ფურტ. 28-29.

<sup>7</sup> იქვე, ანაწ. I, ნაწ. IX, საქმე 11604, ფურტ. 14-16.



და თევზის პროდუქტების გამოშვების საგრძნობი შეკვეციტ. ნაწარმა ნატურალური და საერთო მოცულობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი იყო კვების და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ასორტიმენტის შეცვლა (გაიზარდა არმიისა და ფლოტისათვის სურსათისა და ნივთების ხვედრითი წონა). მაგალითად, ომის წლებში გამოშვებულ ფეხსაცმელსა და კონსერვებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხვედრითი წონა ხორცის კონსერვების, კონცენტრატების და ჯარისკაცის ფეხსაცმლისა, რომელთა ფასები ისევ სტაბილური და დაბალი რჩებოდა.

ომის წლებში დაეცა შრომის ნაყოფიერება და გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება. გამოჩაკლისის შეადგენდნენ მხოლოდ ცალკეული (მოწინავე) საწარმოები.

1945 წელს 1940 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის ფიზიკური მოცულობა მთლიანად საქართველოში შემცირდა 20 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ-ში — 31 პროცენტით და აჭარის ასსრ-ში — 51 პროცენტით.

მაგრამ ომის წლებში საქართველოს მრეწველობა უშვებდა მნიშვნელოვანი რაოდენობის საომარ იარაღს, არმიისა და ფლოტისათვის განკუთვნილ ჩაცმულობასა და სურსათს. საქართველო აძლევდა ფრონტს თვითმფრინავებს, ნაღმ-სატყორცებს, ტყვიამფრქვევებს, ავტომატურ იარაღს, ნაღმებს, ჭურვებს, ვაზნებს და სხვ. მხოლოდ 1941—1943 წლებში მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს ჯარისკაცის 6 მილიონი ჩაცმულობა და ფეხსაცმელი.

მრეწველობა დიდ დახმარებას უწევდა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და მტს-ებს. საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა აითვისეს ტრაქტორების, კომპანიების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებისა და დეტალების წარმოება; გააფართოვეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და ქიმიკატების წარმოება. კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და მტს-ების დასახმარებლად სოფლად იგზავნებოდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სარემონტო პრივატები.

1943 წელს საბჭოთა ზურგმა შეძლო თვითმფრინავების, ტანკების, ავტომატური იარაღის იმ რაოდენობრივი უპირატესობის ლიკვიდაცია, რაც გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ჰქონდათ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებთან შედარებით. საბჭოთა ხალხის ამ უმაგალითო გამბრბაში იყო აგრეთვე საქართველოს მრეწველობის მუშაკთა ღვაწლიც.

## 2. საპარტოველოს სოფლის მეურნეობა ომის პირობებში

ომმა საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დააყენა დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მაქსიმალურად გაეზარდა ყველა სასოფლო-სამეურნეო (განსაკუთრებით მარცვლეულის) და მესაქონლეობის პროდუქტის წარმოება.

ომმა სოფელს მოსწყვიტა ყველაზე უფრო შრომისუნარიანი მოსახლეობა, ამასთან წარმოების საშუალებანი. საქართველოს სოფელმა წითელ არმიასა და ფლოტს მისცა 400 ათასზე მეტი მეომარი. დიდი რაოდენობით ტრაქტორები, ავტომობილები, ცხენები და ურმები. მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის მომარაგება მანქანებით, ინვენტარით, საწვავით, მინერალური სასუქებითა და ქიმიკატებით.



აჩაჩველებრივი სიძნელებისდა მიუხედავად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მაინც მნიშვნელოვნად გაზარდეს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების სათესი ფართობები და წარმოება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა გმირობაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები<sup>8</sup>:

	1940	1941	1942	1943	1944	1945
ერთწლიანი კულტურების მთელი სათესი ფართობი (1000 ჰა) . . . . .	895,7	914,9	968,0	1017,7	1000,8	945,3
მათ შორის: მარცვლეულის და პარკოსანთა ფართობი (1000 ჰა) . . . . .	748,4	760,8	813,7	869,0	872,9	827,6
ტექნიკური კულტურების ფართობი (1000 ჰა) მარცვლეულისა და პარკოსანთა მოსავლიანობა (1 ჰა-დან ცენტნერობით) . . . . .	51,6	52,8	52,9	51,1	42,3	42,5
საერთო მოსავალი მარცვლეულისა და პარკოსანთა (1000 ცენტნერობით) . . . . .	6284,0	7309,7	8140,3	8482,0	7457,0	—

პარტიამ ზურგის რაიონების მშრომელებს მოუწოდა მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინათ თავიანთი თავი საკუთარი ნაწარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, პირველ რიგში მარცვლეულით. საქართველომ, როგორც აქ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, დიდ წარმატებას მიაღწია პარტიის ამ მოწოდების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მარცვლეული კულტურების წარმოების მხრივ ომის ყველა წელს საქართველომ გადააჭარბა ომაშდელ ღონეს.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. 1941 წლის შემოდგომაზე მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა პოლიტგანყოფილებები (რომელთა ლიკვიდაცია მოხდა 1943 წლის ზაფხულში). 1942 წელს შემოღებულ იქნა ტრაქტორისტთა და კომბაინერთა შრომის დამატებითი ანაზღაურება გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და მაღალი მოსავლიანობისათვის.

კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ-ის სახკომსაბჭოს 1942 წელს მიღებულ დადგენილებებს კოლმეურნეთა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის ამაღლების შესახებ და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნამატის შენარჩუნებისა და პირუტყვის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

ომის ყველა წელს ერთ კოლმეურნეზე შრომადღის გამომუშავება უფრო ზღალი იყო, ვიდრე 1940 წელს. გაიზარდა აგრეთვე კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების საერთო ოდენობა<sup>9</sup>, თუმცა საკოლმეურნეო წარმოებაში მონაწილე პირთა 80 პროცენტს ქალები და მოზარდები შეადგენდნენ.

შემცირდა ტექნიკური, ბოსტნეულ-ბაჩჩეული, საკვები კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების (ჩაი, ვენახი, ციტრუსები, ხილი და ტუნგო) ფართობი, აბრეშუმის პარკის მოსავლიანობა, გაუარესდა აგროტექნიკა. ომის წლებში მკვეთრად გაიზარდა პლანტაციებისა და ვენახების მეჩხერიანობა. 1945 წელს

<sup>8</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ანაწ. 3, საქმე 647, ფურც. 54, 55, 59; სტატისტიკური კრებული „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა“, გვ. 57.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 75-76.

1943 წელთან შედარებით ჩაის ფოთლის დამზადება 31 ათასი ტონით შემცირდა, ხოლო ყურძნისა — 7 ათასი ტონით.

დაზარალდა მესაქონლეობაც. ამის მიზეზი იყო საკვები ბაზის შემცირება. 1942-1943 წლებში შეუძლებელი გახდა ჩრდილო კავკასიის საძოვრების გამოყენება, სადაც ზამთრობითი ჩვეულებრივ საქართველოდან ერეკვბოდნენ ხოლმე წვრილფეხა საქონელს. ფრონტის მოახლოების გამო 1942 წელს შემცირდა საზაფხულო (მთის) საძოვრები საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზეც. მაგრამ საკოლმეურნეო საზოგადოებრივმა მესაქონლეობამ მაინც გადააჭარბა ომის წინანდელ დონეს. კოლმეურნეობათა ფერმებში პროდუქტიული პირტუცკის რაოდენობა გაიზარდა. 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში განაწილებული იყო დიდი რაოდენობის ევაკუირებული საქონელი, რომელიც ნამატთან ერთად 1943 წელს დაუბრუნდა ჩრდილო კავკასიის განთავისუფლებულ რაიონებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები აქტიურად მონაწილეობდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს გამოიხატა სწორედ იმ წარმატებებით, რომლებიც მათ მოიპოვეს თავდადებულ ბრძოლაში გმირული ფრონტისა და მთელი მოსახლეობის მოსამარაგებლად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. ხოლო მრეწველობის უზრუნველსაყოფად საჭირო ნედლეულით.

1944 წლის იანვარში საქართველომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მომზადებისადმი მიძღვნილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის მიიღო სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. 1945 წელს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დროშა მიენიჭა თეთრიწყაროს რაიონს მესაქონლეობის ამალგებისათვის წარმოებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის. საქართველოს ომის წლებში 6-ჯერ მიეკუთვნა პროფკავშირების უმაღლესი ცენტრალური საბჭოსა და სსრკ დამზადების სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა<sup>10</sup>. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით 525 კაცი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით იმ წარმატებებისათვის, რომელთაც მათ მიაღწიეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ხოლო 1945 წლის 1 თებერვლის ბრძანებულებით 34 პარტიული და საბჭოთა მუშაკი დაჯილდოვდა სამამულო ომის ორდენებით.

ომის წლებში საქართველოს კოლმეურნეობები ეკონომიურადაც განმტკიცდნენ, გაიზარდა როგორც წარმოების ძირითადი ფონდები (809 მლნ მანეთიდან 1940 წელს 1.398 მილიონ მანეთამდე 1944 წელს), ისე განუყოფადი ფონდებიც (762 მლნ მანეთიდან 1614 მლნ მანეთამდე<sup>11</sup>). გაიზარდა ისეთ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომელთა ფულადი შემოსავალი 1 მილიონ მანეთს აჭარბებდა. 1940 წელს საქართველოში იყო 48 მილიონერი კოლმეურნეობა, 1944 წელს კი — 265. გაიზარდა შრომადღის ფულადი და ნატურალური ანაზღაურება.

საქართველოს მტს-ების მუშაკთა თავდადებული შრომის მიუხედავად ერთგვარად შემცირდა მტს-ების როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ტრაქტორობა რიცხვმა დაიკლო, შემცირდა სატრაქტორო პარკის ენერგოსიმძლავრე.

<sup>10</sup> გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1946 წლის 23 თებერვალი.

<sup>11</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ანაწ. 3, საქმე 647, ფურც. 76.

გამომუშავება ერთ ტრაქტორზე 297 ჰექტარიდან 1940 წელს შემცირდა 237 ჰექტარამდე 1945 წელს<sup>12</sup>. თავი იჩინა ტრაქტორთა ამორტიზაციამ, მტს-ებში სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის უკმარისობამ და აგრეთვე მექანიზატორთა დაბალმა კვალიფიკაციამ.

სკპ(ბ)-ს ცკ-ს და სსრკ-ის სახკომსაბჭოს მითითებით მოსავლის აღებაში კოლმეურნეებს დაეხმარნენ სტუდენტები, უფროსი კლასების მოსწავლეები და ქალაქების მშრომელი მოსახლეობა. 1942—1943 წლებში მარტო საქართველოს სკოლების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა კოლმეურნეობებში გამოიმუშავეს 14 მლნ შრომადღე<sup>13</sup>.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სოფლად მუდმივ და დროებით სამუშაოებზე სისტემატურად აგზავნიდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და ორგანიზატორებს, როგორც უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს. ისევე სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტებს.

ომის წლებში კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევებს. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობები განმტკიცდნენ, როგორც პოლიტიკურად, ასევე საორგანიზაციო-სამეურნეო მხრითაც. 1940 წელთან შედარებით 1943 წელს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს: 27,3 ათასი ტონით მეტი პური, 5,3 ათასი ტონით მეტი ბოსტნეული და კარტოფილი, 9 ათასი ტონით მეტი ჩაის მწვანე ფრთოლი და 15 მილიონი ცალით მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. დამზადებათა გეგმის ზევით სახელმწიფოს მიჰყიდეს 9 ათასი ტონა მარცვლეული და 1944 წლის დამზადებათა ანგარიშში ავანსად შეიტანეს 1150 ტონა მარცვლეული. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის დამზადების გეგმაც — 1944 წლის ანგარიშში დაამზადეს 300 ტონაზე მეტი ხორცი.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთელი სამამულო ომის განმავლობაში სახელმწიფოს ჩააბარეს 115 მლნ ფუთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი და ნედლეული<sup>14</sup>. ეს იყო მათი წვლილი მტერზე საბჭოთა ხალხის ეკონომიურ გამარჯვებაში.

### 8. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა ფრონტისა და ზურგის სამსახურში

სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი ომის დაწყებისთანავე სამხედრო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ქართველმა რკინიგზელებმა მეტად დიდი შრომა გასწიეს საქართველოში შავი ზღვის ნავსადგურებით შემოსული ევაკუირებული ტვირთის მისაღებად და შუა აზიის რესპუბლიკებში გადასაგზავნად. ამიერკავკასიის რკინიგზამ სანიმუშოდ მოახერხა კავკასიის დამცველი ჯარების გადაჯგუფება, ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტებისა და შავი ზღვის ფლოტისათვის ადამიანთა რეზერვების, შეიარაღების, ტყვია-წამლის, საწვავის შეუფერებელი მიწოდება.

<sup>12</sup> სტატისტიკური კრებული „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა“, გვ. 132.

<sup>13</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ანაწ. 3. ს. 647, ფურც. 76.

<sup>14</sup> გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1945 წ. 25 თებერვალი.



ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ჯარების წარმატებისათვის კავკასიისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

შავი ზღვის სატრანსპორტოს მუშაები აქტიურად მონაწილეობდნენ უკრაინისა და რუსეთის-ს ნავსადგურებიდან მოსახლეობისა და სამარწყველო საწარმოების ევაკუაციაში; ოდესისა და სევასტოპოლის გმირული დამცველებისათვის შევსების, შეიარაღებისა და ტყვიანობის მიწოდებაში. შავი ზღვის ნავსადგურების დაცვის მონაწილე დაჭრილ მეომართა, შემდეგ კი თვით ჯარების ევაკუაციაში; შავი ზღვის სანაპიროს სხვადასხვა ადგილებში საბჭოთა ჯარების ღესანტის გადასხმაში. შავზღველი მეტრანსპორტეები ფაქტიურად შავი ზღვის ფლოტის ყველა საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობდნენ; დაიღუპა მრავალი ხომალდი და სატრანსპორტო ფლოტის ათასობით მეზღვაური.

ამიერკავკასიის რკინიგზისა და შავი ზღვის სავაჭრო ფლოტის ტვირთბრუნვამ და მგზავრთა გადაყვანამ საქართველოს სსრ-ის ფარგლებში მაქსიმალურ ზღვარს 1941-1942 წლებში მიაღწია, მომდევნო წლებში კი იგი საგრძნობლად შემცირდა.


საქართველოს სავაჭრომობილო ტრანსპორტი და სამოქალაქო ავიაცია ამიერკავკასიის ფრონტისა და შავი ზღვის ფლოტს ემსახურებოდა. სპეციალური დავალებების შესასრულებლად სამოქალაქო ავიაციის მფრინავებმა 20 ათასამდე რეისი შეასრულეს. სავაჭრომობილო ტრანსპორტი ქმედით დახმარებას უწყვედა ამიერკავკასიის ფრონტს არმიის ნაწილების ოპერატიულ გადაყვანასა და კავკასიის უღელტეხილებსა და მთიან რაიონებში სამხედრო ტვირთის მიტანაში.

1942-1945 წლებში შემცირდა ყველა სახის ტრანსპორტით ტვირთისა და მგზავრთა გადაყვანა, ორთქლავლებისა და ვაგონების რაოდენობა, გაუარესდა რკინიგზათა მდგომარეობა, მტერმა მწყობრიდან გამოიყვანა თითქმის მთელი შავი ზღვის სატრანსპორტო ფლოტი, ძალიან დაზიანდა სანავსადგურო მეურნეობა, მკვეთრად შემცირდა საქართველოს სავაჭრომობილო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის პარკი, გაუარესდა გზატკეცილების მდგომარეობა. ყოველივე ეს საკმაოდ აძნელებდა ტრანსპორტის მუშაობას ფრონტისა და ზურგის მომსახურებაში.

თავდადებულად მუშაობდნენ საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაები. მათ უწყვეტი მავთულიანი კავშირი დაამყარეს ამიერკავკასიის ფრონტისა და შავი ზღვის ფლოტის ნაწილებთან. საქალაქთაშორისო ქსელის შუალედურ პუნქტებში გამაძლიერებლების მოწყობით განხორციელდა სატელეფონო კავშირი ჩრდილო კავკასიის ქალაქებთან და რაიონებთან მამისონის გადასასვლელით.

საქართველოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაები ფართო მონაწილეობას იღებდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს რკინიგზელებმა. ამიერკავკასიის რკინიგზამ სამამულო ომის მთელ პერიოდში 19-ჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც მას სამუდამოდ გადაეცა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. საქართველოს 1221 რკინიგზელი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

რკინიგზის და სავაჭრომობილო ტრანსპორტის მუშაების თავდადებულმა შრომამ ხელი შეუწყო საქართველოს სახალხო მეურნეობის ყოველი ცალკეული დარგის წარმატებას.





#### 4. სამრეწველო-საბრუნავო მშენებლობა ომის წლებში

საქართველოში, ისევე როგორც სსრკ-ის ზურგის ყველა რაიონში, ომის წლებშიც წარმოებდა ახალი მშენებლობა. ამას განაპირობებდა წარმოების გადაყვანა საომარი პროდუქციის გამოშვებაზე, ევაკუირებული სამრეწველო საწარმოების მწყობრში ჩაყენება, სამხედრო და მძიმე მრეწველობის ინტენსიური ზრდის აუცილებლობა<sup>15</sup>.

1941-1945 წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობაში კაპიტალურმა დაბანდებამ 2,6 მილიარდი მანეთი შეადგინა (1955 წლის 1 ივლისის ფასებით)<sup>16</sup>. ამ თანხის დიდი ნაწილი მრეწველობასა და ტრანსპორტში იყო დაბანდებული. თუ 1941-1942 წლებში კაპიტალური მშენებლობის ზრდა გამოწვეული იყო უმთავრესად მრეწველობის სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე გადაყვანითა და ევაკუირებული საწარმოთა განლაგების აუცილებლობით, 1943-1945 წლებში კაპიტალური დაბანდება გაიზარდა ახალი საბაზისო საწარმოებისა და რკინიგზის ხაზების მშენებლობასთან დაკავშირებით.

სამამულო ომის წლებში აშენდა ორასზე მეტი მსხვილი, საშუალო და წვრილი სამრეწველო საწარმო<sup>17</sup>, მათ შორის: დიმიტროვის სახელობის ქარხანა თბილისში, გემსთარემონტო ქარხანა ფოთში, მაგნიტური რკინის კომბინატი („საქმაგნეტიტი“) სუფსაში, ახალი ქვანახშირის შახტები ტყეხულსა და ტყვარჩელში, ჩაის ფაბრიკები გუგუქაორისა და ხობის რაიონებში, ტყვარჩელის ელექტროსადგურის ახალი ავრეგატი. დამთავრდა შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალისა და ბორჯომი-ახალციხის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. ამიერკავკასიის რკინიგზის შავი ზღვის მაგისტრალის ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ საქართველო და სომხეთი უმოკლეს სარკინიგზო გზით დაუკავშირდნენ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებს.

განახლდა ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დაიწყო მდინარე მტკვარზე ჩითახევჭესისა, ტყვარჩელის ელექტროსადგურის მეორე რივის, ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის და საქართველოს მძიმე ინდუსტრიის გიგანტის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

ომის წლებში მშენებლობის სწრაფი ტემპი განაპირობა შრომის ჩქაროსნული მეთოდების მასობრივად დანერგვამ.

#### 5. ღანმარვა განთავისუფლებულ რაიონებს მუშრენობის აღდგენაში

გერმანულ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებელი რაიონების მეურნეობის აღდგენაში მთელი ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველომ განთავისუფლებულ რაიონებში ვაგზავნა მოწყობილობა, მანქანები, მექანიზმები, საშენი მასალები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, თესლეული, პირუტყვი, სურსათი, მედიკამენტები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ინვენტარი.

საქართველომ განთავისუფლებულ რაიონებში ვაგზავნა რამდენიმე ათასი კვალიფიცირებული მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, აგრონომი, ექიმი და სხვა სპეციალისტი.

<sup>15</sup> გ რ ა ნ ო ვ ს კ ი ე. ლ., საბჭოთა მრეწველობა დიდ სამამულო ომში, „გოსპოლიტიზდატ“, 1949, გვ. 128-131.

<sup>16</sup> სტატისტიკური კრებული „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა“, გვ. 149.

<sup>17</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტაქივი, ფ. 14, ანაწ. 3, საქმე 746, ფურც. 20.



გათავისუფლებული რაიონების სწრაფად აღდგენაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სამრეწველო-სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საწარმოები და დაწესებულებები, სამშენებლო ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ბი, კულტურის დაწესებულებანი და თითქმის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის კოლექტივი მონაწილეობდა ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის აღდგენაში, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივი შეფობას უწევდა მაიკოპის ფრუნზეს სახელობის ქარხანას, თბილისის ორთქლმავალვაგონშეკეთებელი ქარხანა — ხარკოვის ორთქლმავალშეკეთებელ ქარხანას, თბილისის საორთქლმავლო დეპო — ნიჟნედნეპროვსკის ორთქლმავლის დეპოს, საქართველოს სარეწაო კოოპერაცია — უკრაინის სსრ-ს დონეცკის ოლქის სარეწაო კოოპერაცია.

ჭიათურელმა მდაროელებმა ნიკოპოლის მანგანუმის მდაროებისა და გამამიდრებელი ფაბრიკის აღსადგენად გაგზავნეს რამდენიმე ეშელონი ელექტრომოწყობილობებით, სამარკშიდერო ინსტრუმენტებით, დაზგებით და სხვა მასალებით. საქართველოს ქვანახშირის მუშაკებმა დონბასში გაგზავნეს ელექტრომოტორები, ელექტრობურღები, სანგრევი მანქანები, ვენტილატორები, ელექტროტრანსფორმატორები, ვაგონტები და სხვა სამთო-სამახტო მოწყობილობა, მექანიზმები და იარაღი.

ამიერკავკასიის რკინიგზამ განთავისუფლებულ რაიონებში გაგზავნა 170 საგზაო მექანიზმი, 3 ლიანდაგშემადულებელი მატარებელი (სრული მოწყობილობით და კადრებით), 54 თოვლსახვეტი, 5 თოვლამღები მატარებელი, 3 მოძრავი ელექტროსადგური, 30 ათასამდე სხვადასხვა ინსტრუმენტი და ინვენტარი, ორთქლმავლის სათადარიგო ნაწილების დიდი რაოდენობა, სურსათი და სამრეწველო საქონელი 4,5 მილიონ მანეთის ღირებულებისა და სხვ. ამიერკავკასიის რკინიგზამ გათავისუფლებულ რაიონებში გაგზავნა 3 ათასამდე კვალიფიცირებული მუშა და სპეციალისტი.

ხრამქისის მშენებელთა კოლექტივმა მოკლე ვადაში აღადგინა გერმანელ ოკუპანტებისაგან დანგრეული ბაქსანის ჰიდროელექტროსადგური (რუსეთის ფედერაციის ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა).

ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის აშენებაში თავი ისახელა თბილისის ახალგაზრდულმა რაზმმა. ამ რაზმის ყველა 54 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა. 14 მათგანს მიენიჭა საფრონტო ბრიგადის საპატიო სახელი. თბილისელმა ახალგაზრდებმა დონბასის ახალგაზრდული რაზმების სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს.

საქართველო მონაწილეობდა ლეგენდარული სტალინგრადის აღდგენაში. იქ გაიგზავნენ კვალიფიცირებული მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, აგრეთვე ორთქლმავლები, ვაგონები, ავტომანქანები, სამრეწველო მოწყობილობა, მექანიზმები, საშენი მასალა და კულტურული ინვენტარი.

უკრაინის სსრ გენიჩესკისა და სინელნიკოვოს რაიონების კოლმეურნეობათა აღდგენაში განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს მახარადისა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეებმა.

უკვე 1943 წლიდან საქართველოს ყველა რაიონში, თითქმის ყველა კოლმეურნეობაში თესავდნენ ჰექტარებს, ზრდიდნენ პარტუყვს განთავისუფლებული რაიონებისადმი დახმარების ფონდის შესაქმნელად. მარტო 1944 წელს განთავი-

სუფლებულ რაიონებში კოლმეურნეობათა მესაქონლეობის ფერმების აღსადგენად გაგზავნილი იქნა 30 ათასი სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი<sup>18</sup>.

განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღდგენაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა მონაწილეობა მეტყველებდა საბჭოთა ხალხების ურდვევი მეგობრობისა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ზემოქმედებას.

#### 6. ფრონტისა და ზურაგის ერთიანობა. საერთო სახალხო დახმარება ფრონტს

ფრონტისა და ზურაგის ერთიანობა ფრონტისადმი სახალხო დახმარებით გამოიხატა. ჩვენი ქვეყნის ერთიან საბრძოლო ბანაკად გადაქცევისა და გმირული ფრონტისადმი სახალხო დახმარების ორგანიზაციის საკითხები განუყრელადა დაკავშირებული სახალხო მეურნეობის ისტორიასთან.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა საყოველთაო სამხედრო მომზადების შესახებ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოში ყველგან შეიქმნა საყოველთაო სამხედრო სწავლების ქვეგანყოფილები, რომლებიც ამზადებდნენ ასობით ათას მეტყვიამფრქვევეს, მეავტომატეს, ტანკების გამანადგურებელს, ნაღმმტყორცნელს, სნაიპერს, აღზინისტსა და სხვა თავდაცვის კადრებს. საბჭოთა შეიარაღებული ძალების აღრსეული შეგების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს „ოსოავიაქიმი“, „წითელი ჯვარი“ და სპორტული ორგანიზაციები.

დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული საპაერო და ქიმიური თავდაცვისათვის. საწარმოებსა და დაწესებულებებში შეიქმნა თავდაცვის ჯგუფები, აგებული იქნა თავშესაფარები, სამეთვალყურეო კოშკები, წყლის აუზები, უზრუნველყოფილი იყო მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა სიმედლო დაცვა.

ომის პირველსავე დღეებში დაიწყო სამხედრო ჰოსპიტლების ორგანიზაცია. გამოყოფილი იქნა შესაფერისი შენობები, მოწყობილობა, ინვენტარი, შერჩეული იქნა სამედიცინო და სხვა მუშაკთა კადრები. საქართველოს კურორტების თითქმის ყველა სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის და რიგი სამკურნალო დაწესებულების შენობები ჰოსპიტლებს დაეთმო. დაჭრილ და ავადმყოფ მეომრებზე ზრუნავდა მთელი მოსახლეობა. სამრეწველო და ტრანსპორტის საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და დაწესებულებანი შეფობას უწევდნენ ჰოსპიტლებს და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მათ. ტარდებოდა წითელი არმიისა და ფლოტის დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა „დახმარების კვირეულები“.

1941 წლის ივლისის ბოლოს საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებიც კომპლექტდებოდა არმიაში ვაწვევისაგან განთავისუფლებულ (ავადმყოფობის ან ასაკის გამო), ანდა სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ ბატონებულ მუშაკთაგან. ამ ბატალიონებში წარმოებდა საბრძოლო მომზადება. 1942 წელს მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების გამანადგურებელი ბატალიონები მონაწილეობდნენ იმ სამარა ოპერაციებში, რომლებიც გაიმართა უღელტეხილების დაცვისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოჭრილი ოკუპანტების გასანადგურებლად.

<sup>18</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი II, (რუსულ ენაზე) თბილისი, 1963, გვ. 212.



1941 წლის შემოდგომიდან საქართველოს ზოგ რაიონში დაიწყო სათავ-დაცვო ნაგებობათა მშენებლობა. ყველაზე შრომატევადი სამუშაო შეასრულა მოსახლეობამ, პირველ რიგში კოლმეურნე გლეხობამ.

1941 წლის ბოლოს საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში, ყველა მსხვილ საწარმოსა, დაწესებულებასა და სასწავლებელთან შეიქმნა კომკავშირული რაზმები მტრის ტანკებთან საბრძოლველად. აჭარის ასსრ-ში ჩამოყალიბდა ჯგუფები, რომლებიც ეხმარებოდნენ წითელი არმიის ნაწილებს საზღვრების დაცვაში.

საქართველოს მშრომელები მუდმივ და შეუწყველ ზრუნვას იჩენდნენ სამშობლოს დამცველთა ოჯახების მიმართ. მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და დაწესებულებებში შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისიები, ჯგუფები და ბრიგადები, რომლებიც სწავლობდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობებს და აუცილებელ დახმარებას უწევდნენ მათ. ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში სამრეწველო საწარმოები უშვებდნენ ზეგეგმიის პროდუქციას, ხოლო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თესავდნენ ზედმეტ პეკტარებს, ეყუბოდა „დახმარების კვირეულები“ სამშობლოს დამცველთა ოჯახებისათვის. შეიქმნა სახალხო ფონდი, საიდანაც ფრონტელთა შეილებს ენიშნებოდათ სტიპენდიები, უფასოდ ეძლეოდათ სანატორიუმების, პიონერთა ბანაკების და გამაჯანსაღებელი მოედნების საგზურები. ფრონტელთა ოჯახების სახლებისა და ბინების შეკეთებაზე იგზავნებოდა სპეციალური ბრიგადები.

საქართველოს კოლმეურნე ქალების ინიციატივით წამოწყებული იქნა წითელი არმიისა და ფლოტის მეომრებისათვის თბილი ტანსაცმელისა და საჩუქრების შეგროვება. მხოლოდ 1942 წელს კოლმეურნეობებმა ფრონტზე გაგზავნეს 175 ვაგონი სხვადასხვა საჩუქრით.

ომის პირველსავე დღეებში დაიწყო თავდაცვის ფონდში ფულადი სახსრების, ძვირფასეულობის, სახელმწიფო სესხის ობლიგაციებისა და სურსათის შეტანა.

1942-1944 წლებში ფულად, სახელმწიფო სესხის ობლიგაციებით და გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციებით მოგროვდა ასობით მილიონი მანეთი, სატანკო კოლონიებისა და ავიაციკადრილების ასაგებად. საბჭოთა ავიაციის საბრძოლო პარკში იყო საბჭოთა კავშირის მშრომელთა დანაზოგებით აგებული 2565 თვითმფრინავი, მათ შორის ესკადრია „საბჭოთა საქართველო“, „საქართველოს კომკავშირელი“, „საქართველოს მედიკოსი“, „საქართველოს ოსო-ავიაქიმელი“, „საქართველოს ფიზკულტურელი“, „საქართველოს წითელი ჯარი“, „საქართველოს რემედასელი“ და სხვ.

საქართველოს მშრომელთა სხვადასხვა შენატანებმა და მათს მიერ შეძენილი სახელმწიფო სესხის ობლიგაციების, ფულისა და ნივთების ლატარების ბილეთების ღირებულებამ სამამულო ომის მთელ პერიოდში შეადგინა 3.173 მლნ მანეთი<sup>19</sup>.

კავკასიის მისადგომებთან ბრძოლების წარმოებისას საქ. კ(ბ)-ს ცენტრალურმა კომიტეტმა და საქ. სსრ სახკომსაბჭომ ფრონტის ცალკეულ უბნებზე გაგზავნა თავისი რწმუნებულები, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს კავკასიის დამცველთა დასახმარებლად ადგილობრივი რესურსების მობილიზაციისათვის;

<sup>19</sup> გაზ. „ზარი ვოსტოკა“, 1946 წ. 25 თებერვალი.



მათ უზრუნველყვეს მთელი მოსახლეობისა და ადვილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობა თავდაცვის ნაგებობათა მშენებლობასა და ფრონტზე შეიარაღების, ტყვია-წამლის და სურსათის გაგზავნაში. საქართველოში მედლით „კავკასიის დაცივისათვის“ დაჯილდოვდა 46.191 ზურგის მუშაკი.

ფრონტებზე სისტემატურად იგზავნებოდა კულტურის მუშაკთა დელეგაციები. ომის წლებში საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა ფრონტზე, ჰოსპიტლებსა და ზურგის სამხედრო ნაწილებში მოაწყეს 27,6 ათასი კონცერტი და სპექტაკლი.

საქართველოს მშრომელებსა და ფრონტელებს შორის რეგულარული მიწერ-მოწერა გაიმართა. საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ფრონტიდან უამრავ წერილს იღებდნენ, როგორც სამხედრო ნაწილის სარდლობის, ასევე ცალკეული მებრძოლებისაგან. ამ წერილებმა დიდი მამობილიზებელი როლი შეასრულეს.

ფრონტისა და ზურგის ერთიანობა, ფრონტისადმი საერთო სახალხო დახმარება წარმოდგენდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს.

\* \* \*

ომის გამოცდამ გამოაწრთო საქართველოს კომუნისტური პარტია, რომლის მოღვაწეობის მიზანი იყო ფრონტისათვის მუღმდვიად მზარდი დახმარების უზრუნველყოფა.

სამშობლოსადმი სიყვარულმა, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულებამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ განაპირობეს საქართველოს მშრომელების, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, ყველა წარმატება სამამულო ომის მძიმე წლებში.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

## შალვა ჩხარტიშვილი

## განწყობის ფიქსაციის პრობლემა

## I. საითხის დაყენება

განწყობის, როგორც ქცევის ზოგადი თეორიის, ძირითადი პრინციპები მანამ იყო დადგენილი დ. უზნაძის მიერ, სანამ იგი განწყობის ექსპერიმენტულ კვლევა-ძიებას შეუდგებოდა. ეს პრინციპები ცხოვრების ბუნებრივ მიმდინარეობაზე დაკვირვებათა მონაცემების განზოგადოების გზით იქნა შემუშავებული განწყობის კვლევის საქმეში ფიქსირებული განწყობის მეთოდის გამოყენებამდე ოთხი-ხუთი წლით ადრე<sup>1</sup>.

განწყობის თეორია მოწოდებულია გადაჭრას დიდი მეცნიერული პრობლემა: როგორ აიგება ცოცხალი არსების ქცევის რეალური პროცესი? საიდან იღებს იგი მიზანშეწონილ ხასიათს? ეს თავისთავად ძნელი პრობლემა უფრო გართულებული სახით წარმოგვიდგება, როცა საქმე ეხება ადამიანის სპეციფიკურ ქცევას, რომლის სტრუქტურაში დომინანტური ადგილები სულიერი ცხოვრების უმაღლესი რიგის მოვლენებს აქვთ დაკავებული

აქ დამატებით მოითხოვს გარკვევას საკითხები: 1. საიდან აღმოცენდებიან და შედიან ადამიანის აქტივობის მთლიან სტრუქტურაში ცნობიერების ის პროცესები, რომელნიც მიზნისა და მისი მიღწევისთვის საჭირო საშუალებების გარკვევის საქმეს ემსახურებიან, და 2. რა ნიადაგზე ხდება ცნობიერებისა და პრაქტიკული მოქმედების ერთ მთლიან სტრუქტურაში გაერთიანება: რა კანონზომიერების მქონე მოვლენითაა შევსებული ის ვაკუუმი, რომელსაც თანამედროვე ქცევის ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ცოდნასა და მოქმედებას შორის ხედავს.

განწყობის ექსპერიმენტული კვლევა დ. უზნაძის ლაბორატორიაში თავიდანვე ფიქსირებული განწყობის მეთოდით დაიწყო<sup>2</sup>. ამ მეთოდით მუშაობის დროს ფიქრობენ, რომ ჯერ (საგანწყობო ცდებში) გარკვეული შინაარსის განწყობის ფიქსაციას ახდენენ, ხოლო შემდეგ (კრიტიკულ ცდებში) ამ განწყობის თავისებურებებზე აწარმოებენ დაკვირვებას.

პირველ ხანებში ექსპერიმენტული კვლევა განწყობის ზოგადი კანონზომიერების დადგენას ისახავდა მიზნად, მაგრამ შემდეგ, როცა ექსპერიმენტული მო-

<sup>1</sup> იხ. დ. უზნაძე: Impersonalia, ჟურნალი „ჩვენი ცხოვრება“, 1923, № 1, გვ.1—27; ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1925, გვ. 160—184.

<sup>2</sup> პირველი ექსპერიმენტული გამოკვლევები განწყობის შესახებ შესრულებული იქნა დ. უზნაძის უშუალო ხელმძღვანელობით ა. ბოჭორიშვილისა და გრ. ხმაღაძის მიერ 1927—1929 წლებში (იხ. ა. ბოჭორიშვილი, სიმძიმის ილუზიების ანალიზი გ. წახის არეში; „უნივერსიტეტის მოამბე“, 1927; გრ. ხმაღაძე, მოცულობის ილუზია, „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, 1938, გვ. 63—97).

ნაცემების საფუძველზე მიღებული იქნა აზრი განწყობის ლატენტურ მდგომარეობაში გადასვლისა და დროში შენახვის შესახებ, შემუშავდა ფიქსირებული განწყობის ცნება, რომელიც განწყობის კერძო შემთხვევის ამსახველ ცნებად იქნა მიჩნეული<sup>3</sup>. ამ ცნებამ ფართო გამოყენება ნახა დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების გამოკვლევებში: ჩატარდა პიროვნების ისტორიასთან — პიროვნების ინდივიდუალურ გამოვლილებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი თავისებურების ამ ცნებით ახსნის მრავალრიცხოვანი ცდები.

ფიქსირებული განწყობის ცნებაში ორიგინალურს ვერაფერს ვნახავთ, თუ მას განწყობის ზოგადი თეორიისგან დამოუკიდებლად განვიხილავთ. ფიქსირებული განწყობის ტერმინით აღნიშნული მოვლენები ადრე, პაბტიულური განწყობის სახელწოდებით, საკმაოდ ფართოდ იკვლია კ. მარბემ<sup>4</sup>. კიდევ უფრო ადრე მას სხვა მკვლევართა გამოკვლევებშიც ვნახულობთ. ამჟამად იგი საზღვარგარეთელ ფსიქოლოგთა მრავალმხრივი, ინტენსიური შესწავლის საგანს წარმოადგენს. მაგრამ ეს გამოკვლევები არსებითად არაა დაკავშირებული იმ პრობლემასთან, რომლის გადაჭრასაც დ. უზნაძის მიერ შემუშავებული ქცევის ზოგადი თეორია ისახავს მიზნად.

იმ გარემოებამ, რომ დ. უზნაძის მოძღვრებაში განწყობის ზოგად ცნებასა და ფიქსირებული განწყობის ცნებას შორის არსებითი ხასიათის განსხვავება საკმაოდ არაა გათვალისწინებული, წარმოშვა სრულიად გაუმართლებელი აზრი, თითქოს დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია კ. მარბეს განწყობის თეორიის კრიტიკული გადამუშავების ნიადაგზე წარმოიშვა და მის გაგარძელებასა და განვითარებას წარმოადგენს<sup>5</sup>. ასეთი აზრი შეიძლება დაებდოს ყველა მკვლევარს, რომელიც დ. უზნაძის მოძღვრების ძირითად აზრს ფიქსირებული განწყობის ცნებასა და თეორიაში ხედავს. სინამდვილეში დ. უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფციის დედააზრს წარმოადგენს განწყობა, როგორც ქცევის ზოგადი თეორია, რასაც არაფერი არა აქვს საერთო კ. მარბეს განწყობის ფსიქოლოგიასთან და არც იმ მრავალრიცხოვან გამოკვლევებთან, რომლებიც დღეს განწყობის სახელწოდებით ქვეყნდება საზღვარგარეთ. საკმარისია, ერთის მხრივ, თვალი გადავავლოთ დ. უზნაძის აღრინდელ ნაშრომებს, სადაც განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპები მოიხაზა პირველად, ხოლო მეორის მხრივ, ღრმად ჩაუკვირდეთ განწყობის, როგორც ქცევის ზოგადი თეორიის, ძირითად აზრს, რომ შეხედულება, დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია კ. მარბეს განწყობის ფსიქოლოგიის გაგარძელებასა და განვითარებას წარმოადგენსო, სრულიად უმართებულოდ მოგვეჩვენოს და დაგრწმუნდეთ, რომ დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიას სათავეები კ. მარბეს მოძღვრებაში არ აქვს.

ქცევის მიზანშეწონილობის საკითხის გარშემო ძველი დროიდან შეხედულებათა ორი რიგი — მექანიცისტური და ვიტალისტური — უპირისპირდებოდა

<sup>3</sup> ექსპერიმენტულად შემუშავებულ განწყობის ფიქსაციის, მისი დროში შენახვის შესაძლებლობის შესახებ, პირველად მოხსენებულ იქნა 1934 წელს საქართველოს საფსიქოლოგიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე ბ. ხ ა ჯ ა პ უ რ ი ძ ი ს მიერ (იხ. „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, გვ. 136—152).

<sup>4</sup> იხ. K. Marbe, 1. Ober Einstellung u. Umstellung; Ztschr. f. angew. Psychologie, B. 26, H. 1—2, 1925; 2. Theorie d. Motorische Einstellung u. Persönlichkeit, Ztschr. f. Psychologie u. Physiologie d. Sinnesorgan, B. 189, H. 4—6, 1933.

<sup>5</sup> იხ. გ. ცინცაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისათვის (ქარლ მარბე); გ. ცინცაძე, რ. ბალანჩივაძე, „ბუტყეუხიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისათვის“, 1965, გვ. 138—141.



ერთმანეთს. იმ დროს, როცა დ. უზნაძე განწყობის ფსიქოლოგიის საფუძვლებზე მუშაობდა, აღნიშნული პრობლემა ძირითადად შეხედულებათა ამ ორი რიგის სახით იყო წარმოდგენილი. განწყობის ფსიქოლოგიის ავტორმა საფუძვლიანად გაასწორა ანგარიში მათთან და საკუთარი შეხედულების შემუშავების დროს ყველა მათი ნაკლი და ღირსება გაითვალისწინა.

ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქცევის საკითხები განსაკუთრებით წამოიწია წინა პლანზე. ამიტომ პრობლემა — როგორ აიგება მიზანშეწონილი ქცევის რეალური პროცესი — ახლა გაცილებით უფრო აქტიური გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მის გარშემო ყველაზე უფრო ფართოდაა გაშლილი მუშაობა ამერიკულ ფსიქოლოგიაში, სადაც ამ მიმართულებით რამდენიმე ერთი მეორისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული თეორია იქნა შემუშავებული, მაგრამ განწყობის სახელწოდებას არცერთი მათგანი არ ატარებს. ბევრი მათგანი, განწყობის ფსიქოლოგიის მსგავსად, ცდილობს უარყოს უშუალოდ პოსტულატი, მაგრამ ქცევის ძირითადი პრობლემის დამაჯერებელ გადაჭრას მაინც ვერ იძლევა. განწყობის, როგორც ქცევის ზოგადი თეორიის, მეცნიერული ღირებულება რომ საყოველთაოდ იქნეს აღიარებული, აუცილებელია იგი განვიხილოთ და შევაფასოთ ამ თეორიებთან მიმართებაში, რაც დღემდე არ მომხდარა.

სამაგიეროდ, ჩვენში საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა იმ გამოკვლევებს, რომლებიც საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ამერიკულ ფსიქოლოგიაში, განწყობის სახელწოდებით ქვეყნდება და ფაქტიურად ჩვენში ფიქსირებული განწყობის სახელით აღნიშნული რიგის მოვლენების შესწავლისკენა მიმართული. ეს გამოკვლევები ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის გადაჭრას არ ისახავენ მიზნად და თავიანთ ამოცანად არ თვლიან გაარკვიონ, როგორ აიგება ქცევის რეალური პროცესი. მათ არ აქვთ პრეტენზია იყონ ზოგადი თეორიები ქცევის შესახებ. ამიტომ მათ დ. უზნაძის განწყობის ზოგადი თეორიასთან საერთო პრობლემა და სადავო საკითხი, არსებობდა, არცკი გააჩნიათ. აღნიშნული გარემოების გამო, ცხადია, მათი ამ თეორიებთან მიმართებაში განხილვა და კრიტიკული შეფასება განწყობის ზოგადი თეორიას ბევრს ვერაფერს მისცემს.

მაგრამ დ. უზნაძის ქცევის ფსიქოლოგიური კონცეფციის თანამედროვე საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიურ კონცეფციებთან შეჯერების მიზნით მთავარი ყურადღება მაინც ასეთ მუშაობას ეთმობა. ჩვეულებრივ ასეთივე ხასიათი ეძლევა განწყობის საკითხებთან დაკავშირებულ სიმპოზიუმსაც, რაც იმით უნდა აისხნას, რომ ნათლად არაა დანახული ის დიდი განსხვავება, რომელიც დ. უზნაძის ფსიქოლოგიაში განწყობის ძირითად ცნებასა და ფიქსირებული განწყობის ცნებას შორის არსებობს. ჩვენის აზრით, ეს განსხვავება თვითონ დ. უზნაძის მიერაც არ იყო ბოლომდე გააზრებული<sup>6</sup>.

<sup>6</sup> ეს მოსაზრება წამოყენებული იყო ჩვენს საკავალიფიკაციო (საკანდიდატო) ნაშრომში „პროფ. უზნაძის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლები“, რომელიც თვითონ დ. უზნაძის აპრობაციით: იყო წარდგენილი და მისივე თანდასწრებით იქნა დაცული 1941 წლის ვაზაფხულზე. ამ ნაშრომს დ. უზნაძე იხსენიებს ყველგან, სადაც განწყობის შესახებ არსებული ლიტერატურის ჩამოთვლას ახდენს. ამას აღნიშნავთ იმისთვის, რომ მკითხველს ვაუწყოთ: წინამდებარე ნაშრომში წამოყენებული ძირითადი, დებულება, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, დ. უზნაძისათვის უკვე 1941 წელს იყო ცნობილი. აღნიშნული ნაშრომის ერთი ეგზემპლარი ინახება დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. იხ. აგრეთვე ჩვენი რეცენზია: დ. უზნაძე — „ზოგადი ფსიქოლოგია“. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1941, გვ. 195—205.

რა მიმართებაშია დ. უზნაძის ფსიქოლოგიაში განწყობისა და ფიქსირებული განწყობის ცნებები? რა ფუნქციებს ასრულებენ ამ ცნებებით აღნიშნული შინაარსები ქცევის რეალურ მიმდინარეობაში? მოკლედ, რა ძირითადი განსხვავებაა და მსგავსება არსებობს განწყობასა და ფიქსირებულ განწყობას შორის? ვფიქრობთ, ამ საკითხის ვარკვევას შეუძლია, ერთის მხრივ, თავიდან აგვაშოროს რამდენიმე გაუგებრობა, რასაც განწყობის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ვხვდებით, ხოლო მეორის მხრივ, კიდევ უფრო ნათლად გავვაზარებინოს განწყობა, როგორც ქცევის ზოგადი თეორია, რომელიც ქცევის განსაზღვრის საქმეში საკუთარ საზღვრებს გარეთ მოქცეულ სხვა რომელიმე კერძო თეორიის მოშველიებას არ საჭიროებს.

წინამდებარე წერილის მიზანს შეადგენს ხელი შეუწყოს ამ საკითხის ვარკვევას და დააყენოს რამდენიმე პრობლემა, რომელიც განწყობისა და ფიქსირებული განწყობის ცნებებთან დაკავშირებით იჩენს თავს.

## II. განწყობის ცნების ძირითადი ნიშნები

განწყობის ცნების ძირითადი ნიშნების განხილვა განწყობის თეორიის საფუძვლიან გადმოცემას მოითხოვს, მაგრამ ასეთ რამეს ჩვენ აქ არ შევეცდებით, რადგან ვვულისხმობთ, რომ ეს თეორია მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი. ამიტომ საკმარისად მიგვაჩნია განწყობის იმ ძირითადი თვისებების მოკლე განსაზღვრებით დაგვიყოფილდეთ, რომელთაც ჩვენი საკითხის ვარკვევისთვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

1. განწყობის ერთი ძირითადი ნიშანი, დ. უზნაძის შეხედულებების მიხედვით, ისაა, რომ იგი წარმოადგენს ქცევის სუბიექტის მდგომარეობას, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ორი ფაქტორის — მოთხოვნილებისა და სიტუაციის — ურთიერთობის ნიადაგზე იქმნება. მასში წამყვანი მოთხოვნილების ქარგავს ასახულია სიტუაცია და აგეგმილია იმ ქცევის აქტები, რომლებიც დროსა და სივრცეში რეალურად აწი უნდა გაიშალოს. მასასადამე, განწყობა არის სუბიექტის მდგომარეობა, მისი მოდუსი. „რომელშიაც, როგორც ობიექტური სიტუაციის ასახვაში, ამ ქცევის საერთო ხასიათი, მისი ძირითადი რავარობა, მისი ობიექტური ვითარების შესატყვისობა წინასწარაა განსაზღვრული“<sup>7</sup>.

2. მაგრამ განწყობა არაა სიტუაციის უძრავ ხატთან შეთანხმებული მოქმედების უძრავი გეგმა, რომელიც მის გარეთ არსებულ სხვა რაიმე ძალის მიერ უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში. მისი თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი ასახავს და თავისთავში უკეთებს ორგანიზაციას ყველა გარეგან და შინაგან ფაქტორს, რომლებმაც ქცევის რეალიზაციაში უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ განწყობა თვითონაა თავისი რეალიზაციის მიზეზი: თვითონ შეიცავს თავისთავში ტენდენციას — აქტივობაში გადავიდეს და დროსა და სივრცეში გაიშალოს იმ ქცევის აქტების სახით, რომელიც მასშია განსაზღვრული. ამიტომ განწყობა, თუ რაიმე გარეშე ძალამ არ შეაჯავა, შეუძლებელია უძრავ მდგომარეობაში დარჩეს და აქტივობის სახით არ დაიწყოს გაშლა მასში დაგეგმილი დროისა და ადგილის შესაბამისად. სიტუაცია, რაც ქცევის რეალიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, თავიდანვე მოცემულად იგულისხმება, რადგან, როგორც ვიცით, განწყობა უიმისოდ ვერ

<sup>7</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940, გვ. 68.

წარმოიქმნება და იარსებებს, იგი მხოლოდ მისი ასახვის ნიადაგზე ვითარდება. აქტივობაში გადასვლის ტენდენცია განწყობაში შეაქვს მოთხოვნილებას, რომელიც მასში (განწყობაში) განსაზღვრული ქცევის აქტების გზით ესწრაფვის დაკმაყოფილებას. ამიტომ განწყობის მეორე ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი „დინამიკური სახის მოვლენაა, რომელმაც თავისი გამოვლენა სუბიექტის გარკვეულ აქტივობაში უნდა პოვოს“<sup>8</sup>.

3. განწყობის მესამე თავისებურება მის მთლიანობით სუბიექტში უნდა ვეძიოთ. განწყობა არაა პერიფერიული ან კიდევ ლოკალური მოვლენა, ცალკე ორგანოში ან კიდევ ცალკე არეში მომხდარი ნაწილობრივი ხასიათის ცვლილება. იგი ყოველთვის თვითონ ქცევის სუბიექტის მდგომარეობაა. მასში ინდივიდი, როგორც მოცემული ქცევის სუბიექტი, წარმოადგენილია მთლიანად, უგამონაკლისოდ, ამ ქცევის სუბიექტის საჭირო ყველა შესაძლებლობით. აქტივობას მიმართავს არა ხელი და ფეხი, თვალი და ყური, მესხიერება და აზროვნება, არამედ ინდივიდი, რომელსაც ეს ორგანოები და ფუნქციები მოჰყავს მოქმედებაში. ამიტომ, ცხადია, განწყობა, რაც აქტივობის მთელ მიმდინარეობას განსაზღვრავს, მთლიანი, გარკვეული ქცევის სუბიექტად გარდაქმნილი ინდივიდის მდგომარეობა უნდა იყოს და არა იმ ცალკეული ორგანოებისა და ფუნქციების მდგომარეობა, რომელთაც ეს სუბიექტი იყენებს აქტივობის პროცესში.

„მოთხოვნილების ფაქტის ნიადაგზე ცოცხალი ორგანიზმი ინდივიდალ, ქცევის სუბიექტად, იქცევა, ხოლო მასზე მოქმედი გარესინამდვილე მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციაა“<sup>9</sup>. ამიტომ გარესინამდვილის ზემოქმედების ფეიქტი, რომელიც ცოცხალ ორგანიზმში განწყობის სახით იჩენს თავს, წარმოადგენს მხოლოდ ქცევის სუბიექტის მდგომარეობას და არსებითად განსხვავდება ყველა იმ მდგომარეობისგან, რომელიც ცოცხალ არსებას მანამ შეიძლება ჰქონდეს, სანამ იგი ქცევის სუბიექტი გახდებოდეს.

4. ინდივიდის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ იგი მუდამ ერთხელ შექმნილი განწყობის მდგომარეობაში, ერთსა და იმავე სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირებული, ერთი გარკვეული ქცევის აქტების განსახორციელებლად მზა მდგომარეობაში დარჩენილიყო. მაშინ მას სხვა დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის საჭირო აქტივობის შესაძლებლობა წაერთმეოდა და ახალ სიტუაციაში ამ ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ვეღარ მოახერხებდა. მაგრამ ეს ასე არ ხდება. განწყობა რეალიზაციისთანავე იხსნება, ინდივიდი სხვა რომელიმე მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთობის გზით შექმნილი განწყობის ფორმაში ექცევა და ახლა ამ განწყობაში განსაზღვრული ქცევის სუბიექტი ხდება. ერთი სიტყვით, განწყობა გარდამავალი მდგომარეობაა. იგი ბოლოს და ბოლოს თვითონ ხსნის თავის თავს იმით, რომ ქცევის აქტების რეალიზაციას ახდენს და მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და აღკვეთას იწვევს. ამგვარად, განწყობა გარდამავალი მდგომარეობაა, იგი რეალიზაციის შემდეგ ყოველთვის სხვა რომელიმე განწყობას უთმობს ადგილს, რაც მის კიდევ ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>9</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 67.



5. განწყობის შემდეგი ნიშანი მისი ცნობიერების გარეთ არსებობაა. იგი ისე განსაზღვრავს ცნობიერების მოვლენათა მთელ მიმდინარეობას, რომ თვითონ არასოდეს მის საზღვრებში არ შედის და მისი უშუალო ხილვის საგანი არ ხდება. მას, ისე როგორც სხვა მოვლენების (კერძოდ, ბუნების მოვლენების) მთელ რიგს, მხოლოდ დასკვნითი აზროვნების გზით შეიძლება ჩაესწვდეთ. ასე რომ არ ყოფილიყო, განწყობა ცნობიერების შინაარსების მიმართ ამხსნელ ცნებად აღარ გამოდგებოდა და იძულებულა ვიქნებოდით ამ მიმართულებით სხვა ცნების ძებნა დაგვეწყო.

### III. ფიზიკურული განწყობის ცნების ძირითადი ნიშნები

როგორც აღვნიშნეთ, განწყობა გარდამავალი მდგომარეობაა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი რეალიზაციის შემდეგ ისე უთმობს ადგილს სხვა რომელიმე განწყობას, რომ ინდივიდში მისგან არაფერი რჩება. რა ხასიათისაა ის ცვლილებები. რომლებიც ერთხელ შემუშავებული განწყობის რეალიზაციის შემდეგ რჩება ინდივიდში?

დ. უზნაძე გამოკვლევაში — „განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, რომელიც 1938 წელს ორჯერ გამოქვეყნდა, წერდა: „...საგანწყობო ცდების პროცესში აღმოცენებული განწყობა დღეების, კვირებისა და თვეების შემდეგაც კი ინარჩუნებს თავის მოქმედების უნარს“, რომ „განწყობა უღაგოდ ქრონიკული ბუნების მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს“<sup>10</sup>. „განწყობა, როგორც ვიცით, ჩვენს ცდებში არათანასწორი ობიექტების განმეორებითი ექსპოზიციის ნიადაგზე ჩნდება; საკმაო დიდი ხნის შემდეგ ცდის პირს ერთბაშად, კრიტიკული ცდის სახით თანასწორი ობიექტები ეძლევა ხელთ. რად უნდა გამოიწვიოს თანასწორი ობიექტების აღქმამ უთანასწორობის განწყობა? უეჭველია, სუბიექტი მზამზარეული განწყობით უღება ამ ობიექტების აღქმას, იმ განწყობით, რომელიც საგანწყობო ცდებში იყო შექმნილი. მაშასადამე, ეს განწყობა რაღაცნაირად განაგრძობდა მასში არსებობას. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ განწყობა შეიძლება ლატენტურ მდგომარეობად ვიკულისხმეთ, რომ ამ სახით მას ხანგრძლივად შეუძლია იარსებოს“<sup>11</sup>.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში შესრულებულ მონოგრაფიულ გამოკვლევაში — „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“ დ. უზნაძე ქცევის ორი ძირითადი ფაქტორის — მოთხოვნილებისა და სიტუაციის — გვერდით ქცევის მესამე დამატებითი ძირითადი ფაქტორის შესახებაც ლაპარაკობს. მას ასეთ ფაქტორად განწყობის ფიქსაცია მიაჩნია. მისი აზრით, ეს ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ მეორადი წარმოშობისაა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განწყობის შემდგომ განვითარებაზე. „მას შემდეგ, რაც განწყობის აღმოცენებისათვის აუცილებელი ფაქტორების საფუძველზე, რომელიმე მისი ფორმათაგანი წარმოიქმნება, შეიძლება მოხდეს, რომ განსაკუთრებული პირობების ზეგავლენით ისინი — ეს ფორმები — იმდენად განმტკიცდნენ, იმდენად გაფიქსირდნენ, რომ ერთხანს ახალს, მათთან ახლო მდგომ განწყობის ფორმას აქტუალიზაციის შესაძლებლობა არ მისცენ. ასეთ შემთხვევებში აღქვატური განწყობის მაგიერ ყოველთვის რო-

<sup>10</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 67.

<sup>11</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიისათვის, მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის, 1938, გვ. 21—22; იხ. აგრეთვე თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 7, 1938, გვ. 30—31.

მელღმე ძველი, მტკიცედ ფიქსირებული განწყობა გაიღვიძებს; იგი არ მისცემს ახალს, მოცემული სიტუაციის მიმართ აღექვატურ განწყობას წარმოქმნის შესაძლებლობას და, ამგვარად, მის ადგილს თვითონ დაიკავებს<sup>12</sup>.

ასეთ განწყობას დ. უზნაძე ფიქსირებულ განწყობას უწოდებს. მისი აზრით, განწყობის ფიქსაციას იწვევს შთაბეჭდილების მრავალჯერადი განმეორება ან კიდევ შთაბეჭდილების დიდი პიროვნული ღირებულება. იგი თვლია, რომ განწყობის ფიქსაციის ფაქტორი დიდ როლს ასრულებს ადამიანის ქცევის ამა თუ იმ თავისებურების განსაზღვრაში. ამიტომ ფიქსირებული განწყობა ცნების მოხმარების გარეშე ადამიანის ქცევის ბევრი თავისებურება სრულიად გაუგებარი დარჩება.

ამგვარად, დ. უზნაძის აზრით, განწყობა შეიძლება გაფიქსირდეს: ინდივიდის ქრონიკულ თავისებად იქცეს. ლატენტურ მდგომარეობაში გადავიდეს და იქ ინაქტიური სახით განაგრძოს არსებობა. შემდეგ, როცა ინდივიდი სათანადო სიტუაციაში მოხვდება, ამ განწყობამ შეიძლება ისევ გაიღვიძოს, აქტიურ მდგომარეობაში გადავიდეს და მისთვის დამახასიათებელი — მასში ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული — აქტივობა განავითაროს, რაც ზოგჯერ, ზოგიერთ სიტუაციაში, შეცდომებისა და ილუზიების წყარო შეიძლება გახდეს. ერთი სიტყვით დ. უზნაძის აზრით, ის, რაც განწყობის რეალიზაციის შემდეგ რჩება ინდივიდში, არის თვითონ ეს განწყობა, შემონახული ქრონიკულად, ინაქტიური სახით.

დ. უზნაძის ზოგიერთ ნაშრომში ზოგჯერ გხვდებით ცალკეულ მოსაზრებებს, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ დ. უზნაძე ფიქსირებულ განწყობას უწოდებს არა თვითონ იმ ქრონიკულ-დისპოზიციურ ცვლილებას, რომელიც განწყობის რეალიზაციის შემდეგ რჩება ინდივიდში და ლატენტურ მდგომარეობაში განაგრძობს არსებობას ინაქტიური სახით, არამედ იმ განწყობას, რომლის წარმოქმნაშიცაა გადაწყვეტილი როლს ასეთი ქრონიკულ-დისპოზიციური ცვლილება ასრულებს. ამ ქრონიკული ცვლილების საფუძველზე, განწყობის ძირითადი ფაქტორების — მოთხოვნილებისა და სიტუაციის — არსებობის პირობებში ინდივიდს ადვილად უჩნდება ისეთი განწყობა, რომლის ნიადაგზეც მასში ადრე ეს ქრონიკული დისპოზიცია წარმოიქმნა. ინდივიდი ასეთი განწყობის მიმართულებით ადვილად აგზნებადი ხდება. ასეთ რამეს გვაფიქრებინებს ისეთი გამოთქმები, როგორცაა მაგალითად: „ერთხელ მიღებული განწყობა არ იკარგება“, რომ „იგი სუბიექტს რჩება, როგორც ხელახალი აქტიუალიზაციის მზაობა — სათანადო პირობების განმეორების შემთხვევაში<sup>13</sup>; „ფიქსაციის შესახებ აქ მხოლოდ იმ აზრით შეიძლება ლაპარაკი, რომ განწყობა ადვილად აღგზნებადი ხდება“<sup>14</sup>, „რეპროდუქციის მომენტში რომელიმე კერძო გარკვეული „კვალი კი არ იღვიძებს, რომ უცვლელი სახით მოგვევლინოს, არამედ დარკვეული მიმართულებით განწყობილი სუბიექტი იძლევა რეაქციას — მასსადაამე, სუბიექტი, რომელიც აწმყოში ცხოვრობს და აწმყოს გადამწყვეტი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, სუბიექტი, რომელსაც წარსული განწყობა, როგორც აწმყოს განწყობათა ამგვარობა აქვს დაცული და არა როგორც უძრავი ცალკე

<sup>12</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, 1949, გვ. 49; იხ. აგრეთვე მისივე „ზოგადი ფსიქოლოგია“, 1940, გვ. 77—78.

<sup>13</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 76.

<sup>14</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIX, გვ. 29.

ობიექტი აქვს შემონახული. ჰოკლედ ძველი განწყობა აწმყოს განწყობათა რავარობაში განაგრძობს არსებობას<sup>15</sup>.

მაგრამ დ. უზნაძის შრომების საფუძვლიანი შესწავლა გვარწმუნებს, რომ დ. უზნაძეს, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებლად მიაჩნია თვითონ განწყობის ფიქსაცია, მისი გადაქცევა ინდივიდის ქრონიკულ თვისებად და ლატენტურ მდგომარეობაში ინაქტიური სახით შემონახვა. მისთვის ის, რაც განწყობის აღმოცენებისა და რეალზაციის შედეგად რჩება ინდივიდში ქრონიკული მდგომარეობის სახით, არის თვითონ განწყობის და არა განწყობის ერთი ფაქტორი. ამიტომ, რომ იგი ფიქსაციის ფაქტს განწყობის „დამატებით ძირითად ფაქტორად“ მიიჩნევს. განწყობის ფაქტორად აცხადებს ფიქსაციის აქტს, ხოლო ამ აქტით ფიქსირებული და ინდივიდის ქრონიკულ მდგომარეობაში გადასულ მოვლენას განწყობად, კერძოდ: ფიქსირებულ განწყობად თვლის.

მის მიხედვით, რაც ზემოთ ითქვა, ფიქსირებული განწყობა შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი ნიშნებით: 1. იგი არის ინდივიდის „ქრონიკული ბუნების მდგომარეობა“; 2. არსებობას განაგრძობს ლატენტურად „დღეების, კვირებისა და თვეების“ განმავლობაში. მისი ზოგიერთი ფორმა შეიძლება ინდივიდს მთელი ცხოვრების მანძილზეც შემორჩეს; 3. ლატენტურ მდგომარეობაში ფიქსირებული განწყობა არსებობს ინაქტიური სახით, უძრავად, უმოქმედოდ, ისე, რომ არ ასრულებს რაიმე ფუნქციას; 4. მისი ლატენტურ მდგომარეობაში არსებობა არ საჭიროებს მთახოვნილებისა და სიტუაციის რეალურ მოცემულობას, მაგრამ ეს მოვლენები — მოთხოვნილება და სიტუაცია — მისი გამოღვიძებისა და გააქტიურების აუცილებელ პირობას წარმოადგენს; 5. გამოღვიძებისა და გააქტიურების შემდეგ განწყობის ეს ფორმა სწორედ იმ მოქმედებას ავითარებს, რომელშიაც წინათ მისი ფიქსაცია მოხდა, იმის მიუხედავად ეს მოქმედება არის თუ არა მოცემული სიტუაციის შესატყვისი; 6. ინდივიდს ერთდროულად შეიძლება ჰქონდეს ფიქსირებულ განწყობათა განუსაზღვრელი რაოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიქსირებული განწყობები შეიძლება ერთმანეთის გვერდით იყვნენ და ერთმანეთს არსებობაში ხელი არ შეუშალონ.

#### IV. ფიქსირებული განწყობის ცნების გამოყენების ზოგიერთი შემაჯავებ

იმისათვის, რომ ფიქსირებული განწყობის ის ცნება, რომელსაც დ. უზნაძე იძლევა, საფუძვლიანად გავითვალისწინოთ, საჭიროა ავტორის მიერ მისი გამოყენების ზოგიერთ შემთხვევას მაინც გავეცნოთ.

1. მესხიერების მუშაობა, დ. უზნაძის აზრით, მთლიანად დაფუძნებულია ფიქსირებულ განწყობაზე. „დასამახსოვრებელი შთაბეჭდილება ჩვენზე, როგორც პიროვნებაზე, მოქმედებს და შესატყვისი განწყობის სახით ჩვენი პიროვნების გარკვეულ მოდიფიკაციას ქმნის. მაშასადამე, ამ შთაბეჭდილების არა მართლ განცდა გვაქვს, როგორც ცნობიერების გარკვეული ფენომენი, არამედ მისი შესატყვისი განწყობაც, როგორც სუბიექტის მდგომარეობა. განცდა განწყობის გარეშე არ ჩნდება, იმიტომ რომ განცდა ყოველთვის თავის სუბიექტს გულახსნობს. მაგრამ სამაგიეროდ, განწყობა დისპოზიციისა და იგი ყოველთვის შეიძლება არსებობდეს (ხაზი ჩვენია. შ. ჩ.), ე. ი.

<sup>15</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 333.



ყოველთვის შესაძლებელია, რომ სუბიექტმა თავისი აქტივობა ამ განწყობის მიმართულებით გაშალოს<sup>16</sup>. „შესაძლებელია ბავშვობაში ნასწავლი ლექსი სრულიად აღარ მახსოვდეს, ცნობიერებაში მისი აღარაფერი იყოს დარჩენილი, მაგრამ ის განწყობა, რომელიც ამ ლექსის ზეგავლენით მქონდა შექმნილი, როგორც დისპოზიცია ამა თუ იმ სახით დაცული იყოს, ე. ი. სანამ იმავე პიროვნებას წარმოვადგენთ, არ უნდა იყოს გამორიცხული შესაძლებლობა ამ განწყობის აქტუალიზაცია მოეხდინო, მისი მიმართულებით ვიმოქმედო“<sup>17</sup>.

დ. უზნაძის აზრით, ვინაიდან ყოველი ადამიანი თავისი წარსულის პროდუქტს წარმოადგენს და, ამდენად, წარსული კვლავ განაგრძობს მასში არსებობას, ნორმალურ პიროვნებაში, დროებითი თუ მუდმივი დავიწყება ეხება მხოლოდ განცდას, როგორც ცნობიერების ფენომენალურ მოცემულობას, ხოლო თვით განწყობა, როგორც „სუბიექტის რაგვარობა“, როგორც „მისი არსებობის მოდუსი“ ლატენტურ მდგომარეობაში ინახება. შესაძლებელია, ცნობიერების შინაარსი, რომელიც გარკვეული განწყობის ნიადაგზე აღმოცენდა, მოისპოს, გაქრეს, მაგრამ განწყობამ მაინც განაგრძოს არსებობა. ამის გამო „ჩვენ სრულ უფლებას გვაძლევს, განწყობის შენახვის, მისი არსებობის გაგრძელების შესახებ ვილაპარაკოთ მაშინაც, როდესაც ეს განწყობა აქტუალური არაა“<sup>18</sup>.

დ. უზნაძე მოგონებაში დარწმუნებულობის საფუძველსაც ასეთ, მოსაგონებელი შთაბეჭდილების მიღების დროს ფიქსირებულ და ლატენტურ მდგომარეობაში ინაქტიურად შემონახულ განწყობაში ხედავს.

2. განწყობის თეორიის ავტორის აზრით, ნებელობის აქტუალურ პროცესებს წინ უსწრებს პიროვნების მიდრეკილება გარკვეული, სხვისგან განსხვავებული სახის ნებისმიერი მოქმედებისაკენ: ყოველ პიროვნებას სხვისგან განსხვავებული ნებელობითი დისპოზიცია აქვს. ასეთ დისპოზიციას ხასიათი წარმოადგენს. ხასიათის თავისებურება პიროვნების ქცევაში იჩენს თავს. ნებისმიერი ქცევის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ახერხებს პიროვნება აზრითი სიტუაციის ზეგავლენით ნებისმიერი ქცევის განწყობის შემუშავებას, „ე. ი. აქვს თუ არა მას ეს განწყობა დისპოზიციურად. მაშასადამე, გამოდის, რომ ის რასაც ჩვეულებრივ ხასიათს ვუწოდებთ, ნამდვილად პიროვნების დისპოზიციონალურ განწყობას, გარკვეულ განწყობათა აქტუალიზაციის უნარს წარმოადგენს“<sup>19</sup>. პიროვნებაში ამგვარ დისპოზიციონალურ ანუ ფიქსირებულ განწყობათა შემუშავება და შემონახვა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გარემო პირობებში, რა კონკრეტულ სიტუაციაში ხდებოდა პიროვნების ჩამოყალიბება.

3. ფრიდი თავის მოძღვრებას საფუძვლად უდებს გაძევებული განცდებისა და სურვილების გაცნობიერებისკენ მისწრაფების ტენდენციას: ხშირად ცნობიერებაში ისეთი ფსიქიკური შინაარსები აღმოცენდებიან, რომელიც ზნობრივ თვალსაზრისით მიუღებელია სუბიექტისათვის. ამიტომ სუბიექტი ცდილობს გააძევოს ისინი ცნობიერებიდან, რასაც უმეტეს შემთხვევაში ახერხებს კიდევ. გაძევებული ფსიქიკური შინაარსები, როგორც ფსიქიკური შინაარსები — განცდები და მისწრაფებანი — არაცნობიერი სინამდვილის სფეროში განაგრძობენ არსებობას და ინარჩუნებენ რა დინამიკურ ხასიათს, იქიდან არაცნობიერად განსაზღვრავენ პიროვნული ცხოვრების მიმდინარეობის თავისებურებას.

<sup>16</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 313. <sup>17</sup> იქვე.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 333.

<sup>18</sup> აქვე, გვ. 194.

დ. უზნაძის აზრით, ცნობიერების სუბიექტისთვის რაიმე თვალსაზრისით შეუფერებელ განცდათა აღმოცენება და მათი „გაძევება“ ფაქტია. ფაქტიურ ხასიათს ატარებს აგრეთვე არაცნობიერი სინამდვილის გავლენა ცნობიერების შინაარსთა მიმდინარეობაზე. მაგრამ ფროიდის, და საერთოდ ფსიქოანალიტიკური სკოლის მოძღვრება მიიღო ხელოვნურად აგებულ კონსტრუქციას წარმოადგენს, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება.

„საქმე ისაა, — წერს დ. უზნაძე, — რომ ყოველი განცდა და მით უმეტეს განსაკუთრებით ძლიერი, პიროვნულად მნიშვნელოვანი, არა მარტო ცნობიერების კონკრეტული შინაარსის სახით არსებობს სუბიექტში, არამედ ამავე დროს გარკვეული განწყობის სახითაც. მაშასადამე, როცა ეს განცდა ცნობიერებიდან იღვევება, როდესაც ავი, როგორც ცნობიერების გარკვეული შინაარსი, ისპობა, დავიწყებას ეძლევა, ეს არ ნიშნავს, რომ სუბიექტში მისი აღარაფერი რჩება: განწყობა სულ სხვაა, ვიდრე თვითონ განცდა, როგორც ცნობიერების ფენომენი. მაშასადამე, განცდა რომ გაქრეს, ეს არ ნიშნავს, რომ ამასთან ერთად ის განწყობაც უნდა მოისპოს, რომელიც მას ახლდა თან. ... ე. წ. „გაძევების“ შემთხვევებში სუბიექტში განცდა, მხოლოდ როგორც ცნობიერების შინაარსი, ეძლევა დავიწყებას. სამაგიეროდ, განწყობა რჩება. და აი, ეს განწყობაა, არსებითად, რაც ფსიქოანალიზის სკოლაში „კომპლექსის“ სახელწოდებითაა ცნობილი, და რაც სუბიექტის ასოციაციების მიმდინარეობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს“<sup>20</sup>.

4. დ. უზნაძის აზრით, ფიქსირებულ განწყობას ინდივიდი მემკვიდრეობითაც ღებულობს. ამიტომ „შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევებს, როდესაც აქტივაცია ხდება არა იმ განწყობებისა, რომელნიც როდისმე, მოცემული ინდივიდის ცხოვრების განმავლობაში, იყვნენ ფიქსირებულნი, არამედ იმ განწყობების, რომელნიც ამ ინდივიდის გვარის ისტორიაში იყვნენ ოდესმე ფიქსირებულნი“<sup>21</sup>. ფუნქციონის მოთხოვნილება, რომელიც ასე დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებასა და განვითარებაში, ავტორის აზრით, „ფიქსირებული განწყობის მემკვიდრეობით განმტკიცებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება ითქვას, თაობიდან თაობაზე გადადის“<sup>22</sup>.

ფიქსირებული განწყობის გამოყენების სხვა შემთხვევებზე ჩვენ არ შეეჩერდებით. ზემოთქმულიდანაც კარგად ჩანს, მისი ავტორი რა ხასიათის მოვლენებს აერთიანებს ამ ცნების საზღვრებში და რა ფართო გამოყენებას ნახულობს ეს ცნება განწყობის ფსიქოლოგიაში.

ამგვარად, განწყობის ცნების გამოყენების ზემოთ მოტანილი შემთხვევებიდანაც ცხადი ხდება, რომ დ. უზნაძის აზრით, განწყობა შეიძლება გაფიქსირდეს, ქრონიკული ხასიათის მოვლენად იქცეს და ლატენტურ მდგომარეობაში ინაქტიური სახით განაგრძოს არსებობა, სანამ მისი ხელახალი აქტივაციის პირობები არ იჩენს თავს.

#### V. განწყობისა და ფიქსირებული განწყობის ურთიერთობის საკითხისათვის

ფიქსირებული განწყობა არ თავსდება განწყობის ცნების საზღვრებში. იგი მის კერძო სახეს არ წარმოადგენს. სახეს გვარის არსებითი ნიშანი უნდა ჰქონდეს, ფიქსირებულ განწყობას კი განწყობის არსებითი ნიშნები არა აქვს.

<sup>20</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 292.

<sup>21</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, 1949, გვ. 51.

<sup>22</sup> იქვე.

1. განწყობა, უპირველეს ყოვლისა, ქცევის სუბიექტის მდგომარეობაა, მისი მოდუსია<sup>23</sup>. პიროვნებას ფიქსირებულ განწყობათა ურიცხვი რაოდენობა მოეპოვება, მაშინ როცა დროის ყოველ შემთხვევაში იგი მხოლოდ ერთ მოდუსში, ერთი მარტივი ან რთული ქცევის განწყობის მდგომარეობაში შეიძლება არსებობდეს. თუ პიროვნების მოდუსობა განწყობის არსებითი ნიშანა და ფიქსირებული განწყობაც განწყობაა, მაშინ ისიც პიროვნების მოდუსს უნდა წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით დავუშვათ, რომ ერთსა და იმავე დროს პიროვნება იმდენ მოდუსში იმყოფება, რამდენი ფიქსირებული განწყობაც მას მოეპოვება. ასეთი რამეს დაშვება კი შეუძლებელია, რადგან განწყობის ცნების ძირითადი თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი გააზრებულია, როგორც მთლიანი პიროვნების მოდუსი. განწყობა დაკარგავს ამ ნიშანს, თუ მის შინაარსში ის მოვლენებიც შევიტანეთ, რომლებიც ფიქსირებული განწყობის სახელწოდებით აღინიშნება. მაშინ განწყობა პიროვნების მთლიანი მდგომარეობიდან პიროვნების შემადგენელ ელემენტად იქცევა და პიროვნება იმდენ მოდუსში განაწევრებული, იმდენ ელემენტად დაშლილი წარმოგვიდგება, რამდენი ფიქსირებული განწყობაც მას აღმოაჩნდება. ფიქსირებული განწყობის მიმართ დ. უზნაძე ერთ ადგილას კიდევ ხმარობს ასეთ გამოთქმას: „ჩვენ იმიტომ კი არ გვასწავლიდნენ ლექსს, რომ ეს ლექსი სამუდამოდ დაგვესომეხია, არამედ იმიტომ, რომ ამ ლექსის სწავლას აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა — მას ჩვენში გარკვეული განწყობის შექმნისთვის უნდა შეეწყობ ხელი, რომელიც ჩვენი პიროვნების ერთ-ერთ ელემენტად უნდა გადაქცეულიყო“<sup>24</sup>, — წერს იგი. მაგრამ, როგორც ვიცით, განწყობა პიროვნების მთლიანი მდგომარეობაა და არა მისი ელემენტი. ფიქსირებული განწყობის სახელწოდებით აღნიშნული მოვლენების მიმართ, გარკვეული აზრით, შეიძლება ვიხმაროთ გამოთქმა „პიროვნების შემადგენელი ელემენტი“, მაგრამ ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ იგი არ შეიძლება განწყობად ჩავთვალოთ.

ამ სიძნელიდან თავის დაღწევას თუ იმით შევეცდებით, რომ ვიტყვი: სუბიექტს „წარსული განწყობა, როგორც აწმყოს განწყობათა ამგვარობა აქვს დაცული, და არა როგორც უძრავი. ცალკე ობიექტი აქვს შემონახული“, რომ „ძველი განწყობა აწმყოს განწყობათა რაგვარობაში განაგრძობს არსებობას“<sup>25</sup>, ამით ფიქსირებული განწყობის ბუნებაზე სწორად მივუთითებთ, მაგრამ მაშინ, მისი გამო, რომ ასეთი განსაზღვრის მიუხედავად მას მაინც განწყობად ჩავთვლით, სხვა სიძნელებებს წავაწყდებით. ჯერ ერთი, ის, რაც აწმყოს განწყობის რაგვარობას წარმოადგენს, ისე როგორც თვითონ ეს განწყობა, შეუძლებელია ინაქტიური იყოს. მერე, რაც მთავარია, განწყობა თავისი რაგვარობითაა განწყობა და ამიტომ აწმყოს განწყობის ამგვარობა თვითონ ამ განწყობისგან განსხვავებული სხვა განწყობა არ შეიძლება იყოს. ის, რაც განწყობის რაგვარობას განსაზღვრავს, არის განწყობის ფაქტორი და არა თვითონ განწყობა. განწყობის რაგვარობას მოთხოვნილებაც განსაზღვრავს, სიტუაციაც და ქცევის ინსტრუმენტალური შესაძლებლობანიც, მაგრამ თვითონ ისინი განწყობებს არ წარმო-

<sup>23</sup> ცხოველის შემთხვევაში, ცხადია, პიროვნების ნაცვლად ინდივიდზე უნდა ვილაპარაკოთ.

<sup>24</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 314.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 333.



ადგენენ. სწორედ ასევე შეიძლება რომელიმე განწყობის აღმოცენებისა და რეალიზაციის შედეგად ინდივიდში მომხდარმა და ფიქსირებულმა ცვლილებებმა შემდეგში აღმოცენებული სხვა განწყობის რეგვარობა განსაზღვროს, მაგრამ ეს სრულებით არ გვავალებს დავეშვათ, რომ თვითონ ეს ცვლილებებიც განწყობაა.

ამასთან ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ყველა ფიქსირებული განწყობა, რომელიც პიროვნებას თავის ცხოვრების მანძილზე შეუძენია, წარმოდგენილი იყოს ერთდროულად იმ განწყობის რეგვარობაში, რომლის მოდუსშიაც პიროვნება ახლა იმყოფება და მოქმედებს, და წარმოდგენილი იყოს ისე, რომ თითოეული მათგანი თავის მხრივ განწყობის ძირითად თვისებებს ინარჩუნებდეს. ეს ვარაუდობა, განწყობის ფსიქოლოგიის განვითარების ახლანდელ ეტაპზე, პიროვნებისა და განწყობის ცნებების ურთიერთმომართების საკითხს უაღრესად აქტუალურ საკითხად ხდის.

ზემოაღნიშნული მოსაზრებები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფიქსირებული განწყობა არ წარმოადგენს პიროვნების მოდულუსს. მას განწყობის ცნების ეს ძირითადი ნიშანი არ გააჩნია.

2. განწყობა, როგორც ვიცით, ქცევის სრულიად საკმაო პირობაა. ქცევის ორგანიზაციისა და რეალიზაციისათვის მის გარეთ მდებარე სხვა რაიმე დამატებითი ფაქტორი არაა საჭირო. ამიტომ განწყობის არსებობისა და აქტივობის პირობები ერთმანეთს ემთხვევა<sup>26</sup>. ყოველი განწყობა მისი ძირითადი ფაქტორის — მოთხოვნილების ზეგავლენით თვითონ ისწრაფვის იქითკენ, რომ ქცევის აქტებში გაიშალოს დროისა და სივრცის იმ პარამეტრების მიხედვით, რომლებიც მასში გათვალისწინებული. განწყობის რეალიზაციის პროცესის შეჩერება შეუძლია დაბრკოლებას, რომელიც განწყობაში თავიდანვე არ იყო სათანადოდ ასახული. ასეთი დაბრკოლების აღმოცენების შემდეგ განწყობა ან დაირღვევა იმის გამო, რომ მისი სიტუაცია სიტუაციის სახეს დაჰკარგავს, ან კიდევ გადასტრუქტურდება ისე, რომ დაბრკოლების მოხსნა და ქცევის რეალიზაცია გახდეს შესაძლებელი.

ერთი სიტყვით, დინამიკურობა განწყობის ისეთი ნიშანია, რომლის გარეშედაც იგი განწყობა-ქცევის საკმაო და უშუალო მიზეზი არ შეიძლება იყოს. ამიტომ შეუძლებელია განწყობა მოქმედების გარეშე. ინაქტიურ მდგომარეობაშიც განწყობად დარჩეს. ისე როგორც შეუძლებელია მდინარე მდინარედ დარჩეს მაშინაც, როცა იგი დინამიკურ ბუნებას დაკარგავს, ერთ ადგილზე დადგება და მოძრაობას შეწყვეტს.

ფიქსირებული განწყობა<sup>27</sup> თვითონ, თავის თავად აქტივობის არავითარ ტენდენციას არ შეიცავს. ამიტომ მხოლოდ მას, სხვა ფაქტორების დახმარების გარეშე, ქცევის ადვილა და წარმართვა არ შეუძლია. იგი მოქმედების ტენდენციას იძენს და ატარებს ქცევაში, რომელსაც აქტუალურად მოცემული მოთხოვნილებისა და სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებული განწყობა ედება საფუძვლად. ფიქსირებული განწყობა თვითონ იმ გარემოშია კი, რომელშიაც ადრე მისი ფიქსირება მოხდა, აქტივობაში გადასვლის არავითარ ტენდენციას არ ამჟღავნებს, თუ სუბიექტს რაიმე მოთხოვნილება არ განაწყობს

<sup>26</sup> მ. საკითხზე უფრო დაწვრილებითაა ლაპარაკი. ჩვენს ნაშრომში „დ. უზნაძის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლები“.

<sup>27</sup> ამ ტერმინს ჩვენ ყვერგვრობით იმ მნიშვნელობით ვხმარობთ, რომელსაც მას დ. უზნაძე აძლევს, როცა მის დეფინიციას იძლევა და გამოყენებას ახდენს.

ამ გარემოში აქტივობისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობა ამ აქტუალურად მოქმედი განწყობის მთლიან სტრუქტურაში ერთგება და ამ განწყობის ნიადაგზე აღმოცენებულ ქცევაში ერთი ან რამდენიმე მოქმედების ან ოპერაციის თავისებურებებს განსაზღვრავს. დაახლოებით ასეთი რამ ხდება განწყობის კლასიკურ ცდებში, სადაც ფიქსირდება მთელი ქცევის ერთი აქტის — აღქმის აქტის საფუძველი, რაც ამავე ქცევის მომდევნო მონაკვეთში კრიტიკული ობიექტების აღქმის აქტს ამრუდებს და ილუზიურ აღქმას აპრობებს.

ამგვარად, ფიქსირებული განწყობა განწყობის მეორე ძირითად ნიშანსაც — დინამიკურობასაც მოკლებულია.

განწყობის ფიქსაციას იწვევს არა მისი აღმოცენების პროცესი, არამედ მისი მოქმედების — მისი ნიადაგზე ორგანიზებული და წარმართული აქტივობის პროცესი. მოქმედება უკუზემოქმედებას ახდენს ყველა იმ ფაქტორზე, რომელნიც მის საფუძველში არსებული განწყობის ფორმირებაში მონაწილეობენ და თავისდა შესატყვისად ცვლის მათ. ფიქსირებული განწყობის შინაარსს სწორედ ეს, გარკვეული სახით ორგანიზებული ცვლილებები წარმოადგენენ. ისინი მოიცავენ ყველა იმ მოვლენას, რომლებიც სწავლის სახელწოდებით აღინიშნება.

3. ფიქსირებული განწყობა, ჩვეულებრივ, ქცევასთან ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში იმყოფება: ერთ ქცევაში შემუშავებული და ფიქსირებული განწყობა შეიძლება სულ სხვადასხვა კატეგორიის ქცევის სტრუქტურაში შევიდეს, თუ ამ ქცევების განხორციელებისათვის ის მოქმედება, ის ოპერაცია არის საჭირო, რომელიც ამ ფიქსირებულ განწყობაშია ფორმირებული. სწავლის პროცესში ფიქსირებული განწყობა, ჩვეულებრივ, შრომის განწყობის სტრუქტურაშია ნახულობს თავის გამოყენებას და თამაშისა და გართობისაშიც. აღმაინს, რომელსაც ცხოვრების რაიმე ისტორია მაინც აქვს, შეუძლებელია ისეთი განწყობა აღმოუცენდეს, რომლის სტრუქტურაშიაც აღრე ფიქსირებულ განწყობათა რაღაც რაოდენობა არ იქნება ჩართული. განწყობა შეიძლება თავისი მთლიანი სტრუქტურით სრულიად ახალი იყოს და მოცემული ინდივიდისათვის სრულიად ახალი სახის ქცევას ედოს საფუძვლად, მაშინაც კი, როცა ყველა მისი სტრუქტურული მომენტი აღრე ფიქსირებულ განწყობას წარმოადგენს.

თუ მართლაც ყოველ დასწავლილ სიტყვასა და ფრაზას, ყოველ შეძენილ ცოდნასა და ჩვევას საფუძვლად ფიქსირებული განწყობა უდევს, როგორც ამას ხშირად ასაბუთებენ, ხოლო ცოდნა და ჩვევა ყოველგვარი სახის ქცევაში შეიძლება ჩაერთოს, როცა მათი გამოყენების საჭიროება დგება, მაშინ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ცოდნისა და ჩვევის საფუძველში არსებული ფიქსირებული განწყობანი იმ განწყობაში უნდა ცოცხლდებოდნენ და ნახულობდნენ თავიანთ გამოყენებას, რომლის ნიადაგზე აღრეულ ქცევაშიაც ეს ცოდნა-ჩვევები იჩენენ თავს.

იმის მიხედვით, რაც აქ ითქვა, დავას არ უნდა იწვევდეს დებულება: ფიქსირებული განწყობა ქცევის კონკრეტულ შინაარსთან, ჩვეულებრივ, ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში იმყოფება, მაშინ, როცა განწყობა ყოველთვის რომელიმე კონკრეტული ქცევის განწყობაა და ქვე-

ვისაღმი ინდიფერენტულობის ნიშნის მიწერა მის ბუნებას არსებითად ეწინააღმდეგება.

4. განწყობაში ყოველთვის ობიექტური ვითარება ასახული — მასში თავიდანვე გათვალისწინებულია იმ ქცევის სიტუაციის ძირითადი სტრუქტურა, რომლის განხორციელების ამოცანის წინაშეც სუბიექტი დგას მოცემულ მომენტში. ქცევა ყოველთვის ამ ძირითად სტრუქტურას მიჰყვება. ამიტომ მთელი ქცევის სიტუაციის ილუზიურ განცდასთან და მის ნიადაგზე აღმოცენებულ შემცდარ ქცევასთან ნორმალურ ადამიანს არასოდეს არა აქვს საქმე. ასეთი რამ მხოლოდ ძილში და სულიერი დაავადების შემთხვევებში შეიძლება იქნეს დადასტურებული. ქცევის მთელი სიტუაციის ილუზიურ განცდასა და ერთი ქცევის მეორე ქცევად მოჩვენებას — თვითონ ქცევის ილუზიას — მხოლოდ ასეთ შემთხვევებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ჩვეულებრივ, ფიქსირებული განწყობის ილუზიები და შეცდომები მხოლოდ ქცევის ცალკეულ სტრუქტურულ მომენტებს — ცალკე მოქმედებებს, ცალკეულ აქტებსა და ოპერაციებს შეიძლება ეხებოდეს და არა მთელი ქცევის ძირითად სტრუქტურას, ძირითად კარკასს. მთელი ქცევის განწყობის ფიქსაცია ისე, რომ მან შემდეგ მთელი ქცევის ილუზიის განპირობება შეძლოს, არ ხდება, რადგან განწყობა „ყოველთვის ობიექტური ვითარების ზემოქმედების შედეგად ჩნდება და ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელშიაც თვითონ მისი გამომწვევი ობიექტური ვითარება ასახული“<sup>28</sup>.

სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში. ფიქსირებულ განწყობაში ობიექტური სინამდვილის ის მონაკვეთია ასახული და შემონახული, რომლის საფუძველზედაც თვითონ შემუშავდა და გაფიქსირდა. ამიტომ ახლა ობიექტურად მოცემული სიტუაციის იმ მონაკვეთში, რომელშიაც მას ქცევის განწყობა ჩაირთავს, იგი იმ ხატს ქმნის და სვამს, რომელიც თვითონ მასში გაფიქსირებულ აქტებშია განსახლვრული. უმეტეს შემთხვევაში ეს ხატი სწორად შეესატყვისება მოცემულ ობიექტურ ვითარებას. იმ შემთხვევაში, როცა ფიქსირებულ განწყობაში შემონახული ხატი რონელიმე მნიშვნელოვან პუნქტებში განსხვავდება მოცემული ობიექტური ვითარებისგან, უკანასკნელის ზეგავლენით ფიქსირებული განწყობა, ან სულ მოვარდება ქცევის განწყობის სტრუქტურიდან ან კიდევ ერთბაშად ან თანდათანობით, დროებით ან სამუდამოდ მოცემული ობიექტური ვითარების სახეს მიიღებს და ადექატურ აღქმასა და მოქმედებას, უზრუნველყოფს.

ამგვარად, ქცევის განწყობა ისწრაფვის ობიექტურად მოცემული სიტუაციის სტრუქტურა მიიღოს, რომ მის ნიადაგზე ამ სიტუაციის შესატყვისი ქცევის წარმატებით განხორციელება შეძლოს, მაშინ, როცა ფიქსირებული განწყობა თვითონ ახვევის თავის სტრუქტურას თავზე ობიექტური სინამდვილის იმ მონაკვეთს, რომლის მიმართაც იგი მოქმედებაში მოდის. ფიქსირებული განწყობა მხოლოდ ასიმილაციას ახდენს, განწყობა კი ასიმილაციურ მოქმედებასაც ახორციელებს და აკომოდაციურსაც. იგი ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობას მოცემული სიტუაციის თავისებურება იძლევა, ფიქსირებულ განწყობებს ჩაირთავს და ასიმილაციურ მოქმედებას ავითარებს, რაც დროისა

<sup>28</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 73.



და ენერჯის დიდ ეკონომიას იძლევა. მაგრამ იქ, სადაც საჭირო ქცევის სიტუაციის ძირითადი სტრუქტურა და ცალკეული სტრუქტურული მონაკვეთები ისეთია, რომ პირფენების მიერ ადრე შექმნილ ფიქსირებულ განწყობებში დამუშავებული და შემონახული ოპერაციები და მოქმედებები მათს მიმართ გამოუსადეგარი ხდებიან, განწყობა აკომოდაციური ხასიათის აქტივობას მიმართავს და, სადაც ეს მის განკარგულებაში არსებული ძალების საფუძველზე შესაძლებელი ხდება, ახალ, მოცემული ობიექტური ვითარების შესატყვის ოპერაციებს, მოქმედებებსა და მოქმედებათა კომბინაციებს ქმნის და ახორციელებს. ფიქსირებული განწყობის საფუძველზე გაშლილი მოქმედება ინდივიდს ახალს არაფერს აძლევს, მის ცოდნასა და ჩვევას არ აფართოებს. სწავლას, სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მხოლოდ განწყობის აკომოდაციური მოქმედება ედება საფუძველად. ერთი სიტყვით, განწყობა და ფიქსირებული განწყობა ერთმანეთისგან ობიექტურ სინამდვილესთან დამოკიდებულების ხასიათის მიხედვითაც განსხვავდებიან.

5. მოთხოვნილება და სიტუაცია, როგორც ვიცით, განწყობის ისეთი ფაქტორებია, რომლებიც მის სტრუქტურაში შედის და მისი არსებობისა და აქტივობის საკმარის პირობებს ქმნის. ამიტომ ამ ფაქტორების გარეშე განწყობის გააზრება არ ხერხდება. განწყობის რეალიზაციის შედეგად მოთხოვნილება კმაყოფილდება, სიტუაცია იხსნება და განწყობას საფუძველები, რომელთაც მისი არსებობა და მოქმედება ეყარებოდა, ეცლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს განწყობა, როგორც განწყობა, წყვეტს არსებობას და აღვილს სხვა ქცევის განწყობას უთმობს. ის ცვლილებები, რომლებიც მისი აღკვეთის შემდეგ რჩება ინდივიდში და ფიქსირებული განწყობის სახელით აღინიშნება, არც მოთხოვნილებასთანაა დაკავშირებული და არც სიტუაციასთან, რეალურად არცერთია მასთან და არც მეორე. მასში რალაცნაირად რეაქციითა გარკვეულ თანამიმდევრობასთან ერთად სიტუაციის ის ხატიცაა შემონახული, რომელზედაც თავის დროზე ეს რეაქციები იყვნენ მიმართული, მაგრამ ამ ხატს ხატის რეალობა და სიტუაციური მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს და მასზე მიმართული რეაქციებიც მხოლოდ პოტენციურ შესაძლებლობათა სახით არიან შემონახული. იმისათვის, რომ ეს პოტენციური შესაძლებლობები რეალობად იქცეს და განწყობის მდგომარეობაში გადავიდეს, იგივე ფაქტორებია საჭირო, რაც განწყობის აღმოცენებისათვისაა აუცილებელი: აქტუალური მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის მოცემულობის გარეშე იგი ინაქტიურ მდგომარეობაში განაგრძობს არსებობას პოტენციური შესაძლებლობის სახით. მისი არსებობა და ღირებულებაც თავს იმაში იჩენს, რომ ახლა ამ მოთხოვნილებისა და სიტუაციის ნიადაგზე იმავე რავგარობის განწყობის ორგანიზაცია ხდება სწრაფად, რომლის ნარჩენსაც თვითონ წარმოადგენს (შინაგანი ტექნიკური შეფერხებებისა და მარცხის გარეშე). აღარ ხდება საჭირო სიტუაციის მოცემული მონაკვეთის სრული სტრუქტურული ანალიზი, მისი ყველა წვრილმანი მომენტის გამოკვლევა და შესატყვისი რეაქციების მოსიწვევა და დამუშავება, მათი სიტუაციის სტრუქტურის შესაბამისად გამოდიფერენცირება და კორდინირება, რაც ამ სიტუაციაში პირველად მოქმედებისას დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვდა. ახლა სიტუაციის მოცემული მონაკვეთის სულ რამდენიმე მანიშნებელია საკმარისი იმისთვის, რომ იგი სიტუაციის იმ მონაკვეთად იქნეს მიჩნეული, რომელიც ფიქსირებულ განწყობაშია რალაცნაირად შემონახული და რომელზედაც ამავე ფიქსირებულ

განწყობაში პოტენციურად არსებული, საპასუხო რეაქციათა მზამზარეული სისტემაც მოიპოვება. ამიტომ განწყობა მაშინვე თავის სტრუქტურაში შემოიტანს, ჩაირთავს და გააცოცხლებს ფიქსირებული განწყობის მზამზარეულ ფუნქციონალურ ბლოკს და ამ გზით ქცევის ორგანიზაციისა და მართვის საქმეს იადვილებს.

იმის მიხედვით, რაც აქამდე ითქვა, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განწყობას არ შეიძლება ჰქონდეს ინერტული, ინაქტიური მდგომარეობის პერიოდი. რომელიმე ქცევის განწყობა ან არსებობს, როგორც მოქმედი, აქტიური მდგომარეობა, ანდა იგი საერთოდ არ არსებობს. ფიქსირებული განწყობა არის არა განწყობა, არამედ განწყობის რეალიზაციის პროცესში ქცევის რომელიმე ერთ უბანზე გამომუშავებული ოპერაციის თუ მოქმედების ფუნქციონალური ბლოკი, რომელშიაც ქცევის ამ უბანზე მოქმედი სტიმულაციური ხატი და რეაქციათა შესატყვისის სისტემა ერთი მთლიანი სტრუქტურის სახითაა პოტენციურად შემონახული. იგი მოქმედებს მოთხოვნილებისა და სიტუაციის გვერდით, მათს სიბრტყეზე, როგორც განწყობის აღმოცენებისა და რეალიზაციის მესამე ძირითადი ფაქტორი. განწყობის ასიმილაციური მოქმედება ძირითადად ამ ფაქტორითაა განსაზღვრული. რეაქციათა სისტემა, რომელიც ფიქსირებული განწყობის ბლოკშია შემონახული ქცევის დემონსტრაციულ შინაარსში ოპერაციისა და მოქმედების ჩვევების სახით იჩენს თავს.

იმ შემთხვევაში, როცა სიტუაციიდან აღებული მანიშნებლები საკმარაა, სიტუაციის მოცემული მონაკვეთი შეცდომით მიიჩნევა ფიქსირებულ განწყობაში პოტენციურად შემონახულ სტიმულაციურ ხატში ასახულ სინამდვილედ. ასეთ შემთხვევაში განწყობა, ჩაირთავს რა ამ ფიქსირებული განწყობის ბლოკს, ისეთ პრეცეპტულ და მოტორულ აქტივობას ავითარებს, რომელიც სიტუაციის მოცემულ სტრუქტურულ მომენტს არ შეესატყვისება. ამ გზით ვღებულობთ ილუზიურ აღქმებსა და მცდარ მოქმედებებს.

ჩვენს მიერ წამოყენებულ მოსაზრებას, რომ ფიქსირებული განწყობის სახელწოდებით აღნიშნული მოვლენა წარმოადგენს განწყობის ერთ ფაქტორს და არა თვითონ განწყობას, განწყობის ცნების გამოყენების ზემოთ ნაჩვენები შემთხვევებიცა და განწყობის კლასიკური ცდების მიმდინარეობაზე დაკვირვების მონაცემებიც ადასტურებს. შევჩერდეთ მოკლედ მათზე.

ავიღოთ მესხიერების მოვლენა. მოგონება, დ. უზნაძის აზრით, აქტუალური მოთხოვნილებისა და გარკვეული ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე აღმოცენდება: მოთხოვნილება მოსაგონებელი შინაარსის შესატყვისი ფიქსირებული განწყობის აქტუალიზაციას იწვევს, რასაც, ჩვეულებრივ, რეპროდუქცია მოსდევს შედეგად. როგორ უნდა წარმოადგინოთ ეს აქტუალიზაციის პროცესი, როგორც უბრალო გამოვლიცება იმ მდგომარეობისა, რაც ერთხელ

იყო, თუ „გამღვიძებლისა“ და „გასაღვიძებელის“, აქტიურისა და ინაქტიური შინაგანი დაკავშირების ნიადაგზე (მოცემულ სიტუაციაში) უკვე მომხდარიდან განსხვავებული აქტუალური მდგომარეობის, ახალი განწყობის აღმოცენების პროცესი? „მოგონება, — წერს დ. უზნაძე, — ჩვეულებრივ, თავისთავად და თავისთვის როდი ჩნდება — იგი ჩვენი აქტუალური ინტერესის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აქტუალდება. მაშასადამე, იგი არა მხოლოდ წარსულზე, არამედ აწმყოზედაც უნდა იყოს დამოკიდებული, რაღაც გავლენას მასზე ჩვენი აქტუალური მოთხოვნილებებიც უნდა ახდენდნენ, რაკი იგი ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნითაა აღმოცენებული“. „სუბიექტი აქტუალური მოთხოვნილებების თვალთ უდგება წარსულს, და მისი აღდგენა ამ მოთხოვნილების მიხედვით ხდება. თავისთავად იგულისხმება, ამ პირობებში წარსული არასოდეს თავისი უცვლელი სახით არ გვევლინება: მოგონებაში იგი ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად სახეშეცვლილია“<sup>29</sup> თუ ყველაფერი ისეა, როგორც აქაა თქმული, მაშინ უდავოა, რომ მოგონებას მოსაგონებელი შინაარსის საფუძველში მდებარე ფიქსირებული განწყობიდან განსხვავებული, ერთის მხრივ მაინც აწმყოში მოქმედი ფაქტორით განსაზღვრული, მოგონების მომენტში აღმოცენებული განწყობა ედება საფუძველად და ეს უკანასკნელია რომ რეპროდუქციულ შინაარსთა მიმდინარეობის თავისებურებას განსაზღვრავს.

რაც აქ ითქვა, შემდეგი გარემოებითაც დასტურდება. მოსაგონებელი შინაარსის საფუძველში ოდესღაც აღქმის განწყობა იყო. დაუშვათ, რომ ამ განწყობამ ფიქსირებული მდგომარეობა მიიღო და ინაქტიური სახით დარჩა სუბიექტში. რა უნდა მოგვეცეს მისმა შემდგომმა აქტუალიზაციამ? თუ ეს განწყობა იმავე განწყობად დარჩა, რაც თავის დროზე იყო, უეჭველად იმავე მოვლენას მოგვეცემს. რაც მან ერთხელ წარმოშვა, ე. ი. აღქმას და არა მოგონების რეპროდუქტულ სახეებს. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, მაშინ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მაინც, შეუძლებელი იქნებოდა მოგონებისა და საერთოდ წარმოდგენის შესახებ გველაპარაკა.

ის, რაც აქ მოგონების ფიქსირებული განწყობით ახსნის ცდების შესახებ ითქვა, შესაძლებელია ამავე სახით, ან შედარებით განსხვავებულ ფორმაში, უკლებლივ იქნეს გამეორებული დანარჩენ ფსიქიკურ მოვლენათა მიმართ ფიქსირებული განწყობის ახსნის თვალსაზრისით გამოყენების ცდებზედაც.

რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე განწყობის კლასიკურ ცდებში? ცდის პირი ცდების მთელ მანძილზე მოქმედებს ერთი განწყობით: შეასრულოს ცდის ხელმძღვანელის მოთხოვნები მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად. ამ განწყობის სუბიექტური ფაქტორი შეიძლება იყოს მეცნიერული ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, ცხელმძღვანელის პატივისცემა ან კიდევ ფულადი სარგებლის მიღება დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების სახით. სიტუაციის შედგენილობაში შედის ყველაფერი, რასთანაც ც/პირმა ურთიერთობა უნდა

<sup>29</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 321.



დამყაროს იმისთვის, რომ ცდის ადგილზე მივიდეს, თავის რიგს დაუცადოს, ცდის პირობებს გაეცნოს და ცდებში მიღებული ინსტრუქციის შესატყვისად იმოქმედოს. მთელ ამ გარემოში არის ერთი პატარა მონაკვეთი, ერთი სტიმულაციური ხატი, რომელსაც განსაკუთრებული სიტუაციური მნიშვნელობა აქვს. ესაა ტაქსტოსკოპურად მიწოდებული წყვილი ობიექტი, რომელთა სიდიდეების შედარებასა და შეფასებასაც მოითხოვენ ცდისპირიდან. საგანწყობო ცდებში 10-15-ჯერ მეორდება არა მთელი ქცევის სიტუაცია და, მაშასადამე, მთელი ქცევის განწყობა. არამედ მხოლოდ ერთი სტიმულაციური ხატი<sup>30</sup>, რომელიც მთელი განწყობის ერთი სტრუქტურული მომენტის თავისებურებას განსაზღვრავს. ეს ერთი სტრუქტურული მომენტი ედება საფუძვლად მიწოდებული ობიექტების აღქმის აქტს. ამიტომ შეიძლება მას პირობით აღქმის განწყობა ვუწოდოთ. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აღქმის განწყობა მხოლოდ ქცევის მთლიან სტრუქტურაში ცოცხლობს და მოქმედებს, როგორც მისი ერთი მომენტი.

კლასიკურ ცდებში ცდის პირს, ტაქსტოსკოპური აღქმის პირობებში შესაძარებლად 15-ჯერ ეძლევა ერთმანეთის გვერდით მდებარე ორი განსხვავებული სიდიდის წრე. ვთქვათ, მარჯვნივ 30 მმ, ხოლო მარცხნივ 20 მმ დიამეტრის მქონე წრეები. კრიტიკულ ცდებში ცდის პირისათვის მოულოდნელად საგანწყობო ობიექტები იცვლება ტოლი წრეებით. ახლა ცდის პირს, სავსებით იმავე პირობებში, შესაძარებლად ეძლევა 20 მმ — 20 მმ წრეები, რომელთაც იგი აღიქვამს ილუზიურად, იმ მხარეზე უფრო პატარას, საითაც მანამდე უფრო დიდი ეძლეოდა. ილუზიის სიდიდე ასეთ პირობებში, ჩვეულებრივ, 2-3 მმ-ს არ აღემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ 20მმ — 20 მმ წრეები ახლა 18 მმ — 20 მმ ან 18 მმ — 21 მმ წრეებად აღიქმება. აღქმაში შეცვლილია ორი რამ, წრეების სიდიდეები და წრეების მიმართება, რომელიც შებრუნებულია საგანწყობო ცდის ობიექტების მიმართებასთან შედარებით. იმ განწყობის დასახასიათებლად, რომელიც კრიტიკული ობიექტების აღქმას ედება საფუძვლად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მხოლოდ მიმართების შებრუნებას. სიდიდეების შეცვლას, საგანწყობო და კრიტიკული ობიექტების სიდიდეებთან შედარებით, მხედველობაში არცვიღებულობენ. ამის გამოა, რომ კრიტიკული ობიექტების აღქმის საფუძვლად აღიარებენ იმ განწყობას, რომელიც ცდებში იქნა ფიქსირებული. მაგრამ ასეთი რამის აღიარება დაკავშირებული აღმოჩნდა დიდ სიძნელეებთან. ამ სიძნელის დასაძლევად იქნა შემოტანილი განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი, რომელიც, თავის მხრივ, ახალ, ჩვენის აზრით, დაუძლეველ სიძნელეებს აწყდება<sup>31</sup>.

<sup>30</sup> „სტიმულაციური ხატის“ ცნება ჩვენ შემოგვაქვს განწყობის ფსიქოლოგიაში. ამასთან დაკავშირებით იხ. შ. ჩხარტიშვილი, მოქმედების გეგმა, სტიმულაციური ხატი და განწყობა. „მაცენ“, 1969, № 2.

<sup>31</sup> ამასთან დაკავშირებით იხილეთ Ш. Н. Ч х а р т и ш в и л и, Ассимилятивное действие установки и проблема контрастной иллюзии; Экспериментальные исследования по психологии установки; т. IV, 1970.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კრიტიკული ობიექტების აღქმის გამოტყულება გამოწვეულია ფიქსირებული განწყობით, იმით. რაც საგანწყობო ობიექტების განმეორებითი აღქმის შედეგად იქნა შემოხასული. მაგრამ ფიქსირებულმა განწყობამ მაინც ვერ შეძლო მოცემული სიტუაციის განმასხვავებელი ზემოქმედების ანულორება მოეხდინა, 20 მმ — 20 მმ წრეების 30 მმ — 20 მმ წრეებად აღქმის აქტი განეხორციელებინა და კრიტიკული ობიექტები თავისთავში შემონახული ხატი დაეფარა. მან კრიტიკულ სიტუაციაში მოცემული წრეების სიდიდეები აღქმაში მხოლოდ ო რ ი თ უ ს ა მ ი მილიმეტრით შესცვალა, მაშინ როცა კრიტიკული სიტუაციის ზემოქმედების შედეგად ფიქსირებულ განწყობაში პოტენციურად შემონახული წრეების სიდიდეება შ ვ ი დ ი თ უ რ ვ ა მილიმეტრით შემცირდა.

ამიტომ არც ის უნდა იყოს სადავო, რომ კრიტიკული სიტუაციის ზემოქმედება სუბიექტზე საგანწყობო ცდებში ფიქსირებული განწყობის „გაღვიძებისა“ და „გააქტიურებას“ კი არ იწვევს მხოლოდ, როგორც ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ, არამედ იგი აქ კრიტიკულ სიტუაციაში განვითარებული აღქმის აქტის საფუძვლის ორგანიზაციის საქმეში ფიქსირებულ განწყობაზე უფრო დიდ როლს ასრულებს. ამის გამოა, რომ კრიტიკულ სიტუაციის აღქმაში წარმოდგენილი ობიექტები საგანწყობო ობიექტებზე უფრო მეტად კრიტიკულ ობიექტებს ემსგავსებიან. მოცემულ შემთხვევაში კრიტიკული სიტუაცია უფრო მეტად იმსგავსებს ფიქსირებულ განწყობაში პოტენციურად შემოხატულ ხატს, ვიდრე ეს უკანასკნელი კრიტიკულ სიტუაციას.

ეს იმას ნიშნავს, რომ განწყობის კლასიკურ ცდებში კრიტიკული სიტუაცია თავისთავთან დაკავშირებული აღქმის საფუძვლის — განწყობის ორგანიზაციის საქმეში ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორის როლს ასრულებს. მასთან ერთად მოქმედებს კიდევ ორი ფაქტორი: მოთხოვნილება, რომელიც ცდის პირის მთელი ქვეყის მანძილზე, ჩვეულებრივ, უცვლელი რჩება, და საგანწყობო ცდების პერიოდში ფიქსირებული და შემონახული ცვლილებები, რომლებიც ფიქსირებული განწყობის სახელით აღინიშნება. ი ლ უ შ ი ე რ ი ა ლ ქ მ ა ა მ ს ა მ ი ფ ა ქ ტ ო რ ი ს ე რ თ დ რ ო უ ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი თ ა ა შ ე პ ი რ ო ბ ე ბ უ ლ ი. ფიქსირებული განწყობა აქაც განწყობის მხოლოდ ერთი ფაქტორის როლში გამოდის, რის გამოც მას განწყობა არც აქ შეიძლება ეწოდოს.

კრიტიკულ ცდებში აღმოცენებული ილუზიების კონტრასტული ხასიათაც ამ ილუზიების საფუძველში არსებული განწყობის ფორმირების პროცესში ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კრიტიკული ობიექტების ზემოქმედების ეფექტის ერთმანეთთან დაპირისპირების გზით უნდა იყოს განსაზღვრული<sup>32</sup>.

ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, საკმაოდ ასაბუთებს ჩვენს დებულებას: განწყობა და ფიქსირებული განწყობა სხვადასხვა კა-

<sup>32</sup> კონტრასტული ილუზიების აღმოცენებით პირობების შესახებ იხ. И. Б ж а л а в а, О природе контрастной иллюзии, «Вопросы психологии», 1958, № 4, თ. ტ ა ბ ი ძ ე, ჩვევის გადატანის ნიშნის საკითხისათვის, საქ. მეც. აკ. სპ. მეც. განყ. „მომამე“, 1961, № 3 და ჩვენს შემოდასახელებული ნაშრომი.

ტეგორიის მოვლენებს წარმოადგენენ და ამის გამო მათი ერთი ცნების შინაარსში გაერთიანება შეუძლებელია. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ ქცევის ორგანიზაციისა და მიმდინარეობის საქმეში. ფიქსირებული განწყობა ერთი განწყობის ნიადაგზე გაშლული ქცევის პროცესში გამოიშვადება, შემოინახება და შემდეგ მეორე განწყობის ორგანიზაციის საქმეში იღებს მონაწილეობას. იგი ყოველთვის რომელიმე ქცევის განწყობის მთლიან სტრუქტურაში ფორმირდება, იღვიძებს და ფუნქციობს.

განწყობის ორგანიზება კი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ინდივიდის წინაშე რაიმე ამოცანა დგება. როდის რა ამოცანა დადგება სუბიექტის წინაშე, ეს არსებითად იმ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომელთა ნიადაგზედაც განწყობის ორგანიზაცია ხდება. განწყობის ორგანიზაციის პროცესი არის ინდივიდის იმ შინაგანი და გარეგანი ოპერაციებისა და მოქმედებების განსახორციელებლად ორგანიზაციის პროცესი, რომელთა რეალიზაციამ ამოცანის გადაჭრა და მიზნის განხორციელება უნდა უზრუნველყოს. ამიტომ განწყობა ამოცანასაც შეიცავს თავისთავში და მიზანსაც. მასში ის ამოცანა, რომელიც მოცემულ მომენტში დგას სუბიექტის წინაშე, შინაგანად დაყენებულიცაა და გადაჭრილიც.

ფიქსირებული განწყობა წარმოადგენს სწავლის პროდუქტს, გარკვეული მოქმედების ფუნქციონალური ბლოკის სახით შეკრულ და შემოინახულ გამოცდილებას. თვითონ მისი გააქტიურება და ქცევის აქტებში გადასვლა ინდივიდს ახალს არაფერს არ აძლევს. მაგრამ იგი, ედება რა საფუძვლად, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი — გამოცდილების ფაქტორი, ახალი ქცევის განწყობის ორგანიზაციის საქმეს, სწავლის პროცესშიაც იღებს მონაწილეობას. მეტყველების, წერა-კითხვის, არითმეტიკული მოქმედებებისა და სხვა ამგვარი ცოდნაჩვევის საფუძველში არსებული ფიქსირებული განწყობების მონაწილეობის გარეშე სკოლაში სწავლის ქცევის განწყობის აღმოცენება სრულიად შეუძლებელი გახდებოდა. სწავლის განწყობა ყოველთვის ორგანიზაციას უკეთებს რომელიმე ახალი ოპერაციის, ახალი მოქმედების, ახალი ხატის თუ ცნების წარმოქმნისთვის საჭირო მოტორული, პერცეპტული და ინტელექტუალური აქტივობის საფუძველს, რომელიც მისი რეალიზაციის პროცესში ფიქსირდება და შემდეგ ინაქტიური სახით შემოინახება ინდივიდში.

საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში განწყობის (Einstellung Attitude, Set) ტერმინით იმ რიგის მოვლენები აღინიშნება, რომელთაც დ. უზნაძის ფსიქოლოგიაში ფიქსირებული განწყობის ცნება აერთიანებს. ამიტომ ეს ცნებები, ისე როგორც ფიქსირებული განწყობის ცნება, განწყობის სივრცეში მდებარე ცნებები არ არიან. ისინი ერთ სიბრტყეზე — ქცევის ფაქტორების სიბრტყეზე თავსდებიან. მათი განწყობისგან მკაცრი გამოიჯვანა აუცილებელია იმისთვის, რომ განწყობასა და მათ შორის არსებული მიმართება სწორად დავინახოთ. როცა, მაგალითად, საზღვარგარეთელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, განწყობა სწავლის პროდუქტს წარმოადგენს და არა პროცესსო, ისინი არ ცდებიან, რად-



გან ფიქსირებული განწყობა მართლაც სწავლის პროდუქტია და არა პროცესი. განწყობის ცნების სხვა მნიშვნელობა, რომელიც სწავლის პროცესს განდის გასაგებს, მათ არ მოეპოვებათ. პირიქით, ჩვენ ვცდებით, როცა ვცდილობთ მათ დავემტკიცოთ, რომ ისინი ცდებიან. ვცდებით იმის გამო, რომ ფიქსირებულ განწყობასაც განწყობად ვთვლით და განწყობის თვისებას, რომ იგი შეიძლება იყოს სწავლის პროცესი, მასაც მივანწერთ.

სწავლის პროცესს წარმოადგენს განწყობის ფიქსაციის პროცესი და არა ფიქსირებული განწყობის მოქმედების პროცესი. განწყობის ფიქსაციის პროცესის შინაგანი კანონზომიერებანი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. გამოსარკვევია, ქცევის მიმდინარეობის პროცესში რა ხასიათის მოვლენების ფიქსირება და შემონახვა ხდება, რა შინაარსისა და მოცულობის სტრუქტურებში ერთიანდებიან შემონახული მოვლენები და რა ფორმით განაგრძობენ ისინი არსებობას პიროვნების მთლიან სტრუქტურაში.

დიდ სიძნელეს ქმნის ის გარემოება, რომ ეს ორი, ერთ სინამდვილესთან დაკავშირებული მაგრამ ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული ცნება ერთი ტერმინითაა აღნიშნული. სიტყვა „ფიქსირებული“ საქმეს არ შველის, რადგან იგი, პირიქით, იმას ვგაფიქრებინებს, რომ ფიქსირებული განწყობა განწყობის კატეგორიის მოვლენა და მის ერთ სახეს წარმოადგენს. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად ფიქსირებულ განწყობას „განწყობის“ სახელწოდებითაც აღნიშნავენ.

წერთსა და ზეპირ მეტყველებაში ომონამი როდის რა მნიშვნელობით იხმარება, ჩვეულებრივ, ადვილი შესაცნობია, რადგან, მნიშვნელობათა დიდი დაშორების გამო, კონტექსტი თვითონ გვაწვდის გამოყენებულ მნიშვნელობას. როცა, მაგალითად, ვგუებნებიან „ნიკოს თვალი ასტიკვდა“, „ბებქედს თვალი ამოუვარდა“, „ურმის თვალი დაზიანდა“ შეუცდომლად ვხვდებით „თვალი“ როდის რა მნიშვნელობით იხმარება. მაგრამ ეს სიტყვა ურმის კიდევ სხვა ნაწილის სახელწოდებასაც რომ წარმოადგენდეს, ძნელი გასარკვევი იქნება, როდის რომელი ნაწილის შესახებაა ლაპარაკი. შეიძლება ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ მეტყველება ასეთ ომონიმებს არ იყენებს.

განწყობა და ფიქსირებული განწყობა საქმის ერთ ვითარებას — ქცევას — ეხება და ისიც ერთი მიმართულებით. ისინი სხვადასხვა, მაგრამ მაინც ქცევის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ მოვლენებს აღნიშნავენ. ამიტომ კონტექსტიდან ყოველთვის როდი ჩანს, განწყობის რომელ მნიშვნელობაზეა ლაპარაკი.

ჩვენ წინა გვერდებზე ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ ფიქსირებული განწყობის სახელწოდებით აღნიშნული მოვლენები განწყობას არ წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, მათ მაინც, ისე როგორც აქამდე ხდებოდა, ამ ნაშრომშიაც ამ მომენტამდე განწყობას, კერძოდ ფიქსირებულ განწყობას ვუწოდებდით, რაც საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მათ აღსანიშნავად ჯერჯერობით სხვა ტერმინი არ მოგვეპოვება. ასეთი ტერმინი უნდა მოიძებნოს.

რაც შეეხება ტერმინს — „ფიქსირებული განწყობა“, იგი უნდა დარჩეს განწყობის ერთი სახის აღსანიშნავად, იმ განწყობის კერძო სახელად, რომლის ამგვარობაც უპირატესად მესამე ფაქტორით — ადრე ფიქსირებული განწყობის სახელით აღნიშნული მოვლენით არის განსაზღვრული. როგორც ზემოთაც იყო ნაჩვენები, დ. უზნაძის ნაშრომებში ფიქსირებული განწყობის ისეთი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებსაც ვნახულობთ, სადაც ფიქსირებული განწყობა გაგებულია, „როგორც აწმყოს განწყობათა ამგვარობა“ და არა როგორც განცალკევებული და უძრავად შემონახული ობიექტი<sup>32</sup>.

<sup>32</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 333.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)

## დავით ქავშირა

### მსჯელობა და წინადადება

მსჯელობისა და წინადადების ურთიერთობის საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა მოიპოვა როგორც ლოგიკის, ისე ენათმეცნიერების ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ცნობილია, რომ მეცნიერებათა განსხვავების საფუძველი მათი ობიექტებია და არა სუბიექტის „თვალსაზრისი“. ამიტომ, ცხადია, ლოგიკურისა და გრამატიკულის ერთმანეთში აღრევა შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ლოგიკიზმი ისევე საზიანოა ენათმეცნიერებისათვის, როგორც გრამატიციზმი ლოგიკისათვის. როცა ლინგვისტი წინადადების თეორიას აფუძნებს ლოგიკის კატეგორიებზე, როგორცაა მსჯელობა, სუბიექტი, პრედიკატი და ა. შ. — ეს ლოგიკიზმია გრამატიკაში, პირიქით, როცა მსჯელობის თეორია ეფუძნება ლინგვისტურ კატეგორიებს, როგორცაა წინადადება, ქვემდებარე: შემასმენელი, არსებითი სახელი, ზმნა და ა. შ. — საქმე გვაქვს გრამატიციზმთან ლოგიკაში. ლოგიკიზმის მრავალ მავალითს იცნობს ენათმეცნიერების ისტორია. თავის მხრივ, ლოგიკის ისტორიული განვითარების გამოცდილებაც იმაზე მიუთითებს, რომ გრამატიციზმი შეცდომების მნიშვნელოვანი წყაროა ლოგიკის მეცნიერებისათვის. ლოგიკურისა და გრამატიკულის აღრევა მეტ-ნაკლებად ყოველთვის იჩენდა თავს წარსულში. მაგრამ გრამატიციზმმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში, რომლის წამყვანი მიმართულება ამჟამად და შეგნებულად არიდებს ლოგიკას აზროვნების სფეროს: ენის შესახებ მოძღვრებად აცხადებს მას<sup>1</sup>.

\* \* \*

ლოგიკური აზროვნება, როგორც ცნობილია, დანაწევრებული მთლიანობაა. იგივე ითქმის ენის შესახებ: არც ენაა ერთგვაროვანი და დაუნაწევრებელი მასა, რომლის შიგნით არაფრის გარჩევა არ შეიძლება. მაგრამ ეს ორი „დანაწევრება“ თავიანთი შინაარსით ერთი და იგივე როდია. როცა ლაპარაკია ლოგიკური აზროვნების დანაწევრებულ ხასიათზე, ივთვლისხმება არა ის, რომ აზროვნება სიტყვების ან ბგერების საშუალებით წარმოებს: სიტყვა ან ბგერა არ არის აზროვნების „ნაწილი“, „წევრი“ ან „ელემენტი“, ე. ი. ის ერთეულები, რომელთაგან შენდება „დანაწევრებული“ აზროვნება. ასეთი თვალსაზრისი ისევე გრამატიციზმის გამოვლენაა ლოგიკაში. ლოგიკური აზროვნების დანაწევრებული ხასიათი ნიშნავს, რომ იგი მომდინარეობს წარმოდგენების, ცნებების, მსჯე-

<sup>1</sup> „ყველა საზრისიანი ფილოსოფიური პრობლემა სინტაქსს მიეკუთვნება“. — წერდა რ. კარნაპი „სინტაქსის პერიოდში“ („Logische Syntax der Sprache“, Wien, 1934, S. 206). მთელი ფილოსოფია, კარნაპის აზრით, დაიყვანება მეცნიერების ლოგიკაზე, ხოლო „მეცნიერების ლოგიკა არის მეცნიერების ენის სინტაქსი“. (S. 207). ამავე დროს, „Reine und deskriptive Syntax ist nicht anders als Mathematik und Physik der Sprache“—(S. 210).



ლობების და ა. შ. ფორმით და მხოლოდ მათს რიგში, მათი საშუალებით აღწევს შესაცნობი საგნის დახასიათებას. ამში მდგომარეობს ლოგიკური „დისკურსის“ აზრი: საგანი შეიმეცნება ლოგიკურ-დისკურსიული აზროვნებით და არა „ინტელექტუალური ინტუიციით“.

რაც შეეხება ენას, იგი შენდება სრულიად სხვა, თვისობრივად გარკვეული ენობრივი ერთეულებისაგან. ენის ძირითადი ელემენტებია ბგერა, სიტყვა და წინადადება. ბგერათა შეერთება იძლევა სიტყვას, სიტყვათა შეერთება — წინადადებას. წინადადება ყველაზე რთული ენობრივი ერთეულია, რომელსაც გრამატიკის ძირითადი ნაწილი, სინტაქსი შეისწავლის. წინადადების თეორია ზოგადი ენათმეცნიერების ყველაზე რთული და ნაკლებ დამუშავებული ნაწილია<sup>2</sup>.

აზრთა სხვაობა წინადადების არსების გაგებაში<sup>3</sup>, ცხადია, არც იმას ნიშნავს, რომ მისი ზოგადი ცნება და განსაზღვრება საერთოდ შეუძლებელია. წინადადების ზოგადი ცნების უარყოფა არსებითად ნიშნავს ზოგადი სინტაქსის უარყოფას, სინტაქსი გრამატიკის ძირითადი ნაწილია და ენის საფუძველს გამოხატავს (მორფოლოგიასთან ერთად). თუ უარყოფით ზოგადი სინტაქსი, კითხვა დასმება ენათმეცნიერების სხვა დარგების შესახებაც: შეიძლება თუ არა ზოგადი მორფოლოგია, ზოგადი ფონეტიკა, ზოგადი სტილისტიკა და ა. შ. დასასრულს, დასმება კითხვა თვით ზოგადი ენათმეცნიერების შესაძლებლობის შესახებ<sup>4</sup>.

წინადადების არსებას შეადგენს სიტყვათა გრამატიკული წყობა, სიტყვათა გრამატიკულად გაფორმებული ერთიანობა, რომელიც ენობრივი კოლექტივის პირობითი დაკანონების საფუძველზე აზრთა კავშირს, შედარებით დასრულებულ აზრს აღნიშნავს.

წინადადება გრამატიკული კატეგორიაა და, ცხადია, მისი განსაზღვრა უნდა მოხდეს ენათმეცნიერების კატეგორიების საფუძველზე, ასე ვთქვათ, ენათმეცნიერული რესურსებით და არა ლოგიკური კატეგორიების, კერძოდ, მსჯელობის საშუალებით.

წინადადების ლოგიკისტური გაგების მაგალითია მისი განსაზღვრება მსჯელობის საშუალებით: „წინადადება არის აზრი ან მსჯელობა გამოთქმული სიტყვებით“<sup>5</sup>. ამგვარი განსაზღვრება ერთმანეთში ურეკს წინადადებასა და მსჯელო-

<sup>2</sup> თვით ენათმეცნიერთა აღიარებით, წინადადების საუკეთესო განსაზღვრება, რომელსაც ენათმეცნიერებამ ჯერჯერობით მიაღწია, არსებითად არ განსხვავდება იმისაგან, რაც მოცემული იყო დიონისე თრაკიელის (პირველი ბერძენი ენათმეცნიერი) გრამატიკაში II—I ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე): წინადადება არის სიტყვათა შეერთება, რომელიც დამთავრებულ აზრს გამოხატავს.

<sup>3</sup> „ენათმეცნიერებაში არსებობს წინადადების არანაკლებ 300 განსაზღვრება, რაც თავისთავად უკვე მეტყველებს ამ ცნების სირთულეზე და წინააღმდეგობრიობაზე“ (И. А. Сизова, Что такое синтаксис, М., 1966, стр. 8).

<sup>4</sup> ვინც ამბობს, წინადადების ზოგადი განსაზღვრება არ შეიძლებაო — თვით ამ დებულებაში უკვე ხმარობს „წინადადებას“ ზოგადი ფორმით და, ამდენად, იძლევა—თუ ეს პარადოქსი არაა—მის თავისებურ ზოგად განსაზღვრებას.

<sup>5</sup> მსჯელობასა და წინადადებას ერთმანეთის საშუალებით განსაზღვრავს, მაგ., ვ. მინტა: „წინადადება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც მსჯელობის გამოხატვა; თუ იღეთა რიგი არ შეადგენს მსჯელობას, მაშინ არც შესაბამისი სიტყვათა შეერთება შეადგენს წინადადებას“. (იხ. В. Минто, Дедуктивная и индуктивная логика, 1909, стр. 165—6).

ბას, ენასა და აზროვნებას, გრამატიკულსა და ლოგიკურს. წინადადება არ არის აზრი, მით უმეტეს, არ არის მსჯელობა<sup>6</sup>.

„აზრთა კავშირი“ ან „შედარებით დასრულებული აზრი“ არ შეიძლება ავრიოთ ენობრივ მოვლენებში. ამიტომ მისი გამოყენება წინადადების განსაზღვრების დროს ხომ არ მოასწავებს იმ ლოგიციზმს, რომელიც ზემოთ უარყოფილი იყო, როგორც შეცდომა? ლოგიკისტურია განსაზღვრება, თუ ვიტყვი, რომ „წინადადება არის აზრთა კავშირი, გამოხატული სიტყვათა კავშირის საშუალებით“. სხვა საქმეა, თუ „აზრთა კავშირი“ გამოყენებულია, როგორც სიტყვათა კავშირის მიმართების ობიექტი. როგორც ცნობილია, ენას საერთოდ განსაზღვრავენ, როგორც აზრთა გაცვლა-გამოცვლის და აზრთა გამოხატვის საშუალებას. მაგრამ ეს არ ითვლება ლოგიკისტურ განსაზღვრებად.

წინადადება მსჯელობის აუცილებელი ენობრივი ფორმაა, „მატერიალური გარსია“. მსჯელობა განუყრელად დაკავშირებულია მასთან, „ჩამოისხმება“, გამოიხატება და არსებობს მის ბაზაზე, მისი ფორმით, მისი საშუალებით. მსჯელობის რეალობაც წინადადებით მქლავნდება. წინადადების საშუალებით იცვლება იგი ადამიანთა შორის, წინადადების საშუალებით ეძლევა ადამიანს მისი საკუთარი მსჯელობაც, წინადადება მსჯელობის არსებობის ფორმაა.

მიუხედავად ამისა. მათი გაიგივება, ან მათი ფუნქციების აღრევა დაუშვებელია. წინადადება, ისევე როგორც სიტყვა, წარმოადგენს სიმბოლოს, მაშინ როდესაც, მსჯელობა, ისევე როგორც ცნება, საგნობრივ ვითარებას ასახავს. „ამა თუ იმ ნივთის სახელწოდება სრულიად გარეგნული რამაა მისი ბუნებისათვის, — ამბობს კ. მარქსი, მე არაფერი ვიცი ამა თუ იმ ადამიანის შესახებ, თუ მარტო ის ვიცი, რომ მას იაკობი ჰქვია“<sup>7</sup>. იგივე თქმის წინადადების შესახებ. იგი აღნიშნავს მსჯელობას, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ასახავს საგანთა ობიექტურ ვითარებას.

წინადადება უშუალოდ აზრთა კავშირის ენობრივი ფორმაა, მისი სიმბოლო, მისი ნიშანია, აზრთა კავშირი კი საგანთა კავშირის ასახავს.

სხვა თვალსაზრისით წინადადებისა და მსჯელობის ურთიერთობას ხშირად განიხილავს, როგორც მთელისა და ნაწილის ურთიერთობას: წინადადების მნიშვნელობას აიგივებს მსჯელობასთან, ან საერთოდ აზრთა კავშირთან; ამ შექთხვევაში წინადადება გამოდის, როგორც სინტაქსური და ლოგიკური მომენტების ერთიანობა, მსჯელობის თეორია კი — როგორც წინადადების თეორიის ნაწილი!

რა თქმა უნდა, ყოველ წინადადებას ახასიათებს როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური, ისე სემანტიკური მხარე. წინადადების სემანტიკური მხარე არის მისი მნიშვნელობა, რომლის გარეშე წინადადება არ არსებობს. მაგრამ ისევე როგორც სიტყვის მნიშვნელობა არ არის ცნება, წინადადების მნიშვნელობა არ არის მსჯელობა. მნიშვნელობა წინადადების შინაგანი კომპონენტი, მისი მხარეა, მისი ნაწილია, მსჯელობა კი, ჩვენის აზრით, არ არის წინადადების „ნაწი-

<sup>6</sup> „თუ წინადადება არის... აზრი (ვინდ მსჯელობა), გრამატიკა და კერძოდ, სინტაქსი, რომელიც წინადადებას შეისწავლის, ამით უკვე აღიარებულია სამეცნიერო დისციპლინად, რომელიც აზრს შეისწავლის, ე. ი. სინტაქსი კისრულობს იმავე საქმეს, რასაც ლოგიკა და ფსიქოლოგია აეთუებენ“ (ა. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, ნაწ. II, თბ., 1945, გვ. 286).

<sup>7</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 131.

ლი“; წინადადების მნიშვნელობას შეადგენს არა თვითონ მსჯელობა, არამედ მსჯელობის აღნიშვნა. საგანი არ არის მისი ნიშნის ელემენტი ან ნაწილი<sup>8</sup>.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ენათმეცნიერება უდავოდ თვლის დებულეზას, რომ ენაში „დაიმაკრება და ინახება“ აზროვნების შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგები. ეს ნიშნავს, რომ წინადადება უშუალოდ საგანთა კავშირს კი არ აღნიშნავს, არამედ ადამიანის აზროვნების შინაარსს, აზრთა კავშირს. უაზრობა იქნებოდა იმის თქმა, რომ წინადადება არის „საგანთა კავშირის“ ენობრივი ფორმა; ნამდვილად იგი განიმარტება, როგორც აზრის „მატერიალური გარსი“, მისი „ბუნებითი მატერია“.

ამრიგად, წინადადების, აზრთა კავშირისა და საგანთა კავშირის აღრევა ნიშნავს გრამატიკულის, ლოგიკურისა და ონტოლოგიურის აღრევას ერთმანეთში!

წინადადების სიმბოლოდ ჩათვლა როდი ამართლებს „იეროგლიფების თეორიას“, რომელსაც ებრძვის ვ. ლენინი თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“<sup>9</sup>, „იეროგლიფების თეორიას“ მივიღებთ მაშინ, როცა თვით მსჯელობას ჩავთვლით საგანთა კავშირის სიმბოლოდ. ვ. ლენინი საერთოდ სიმბოლოებს კი არ უარყოფს, არამედ ჩვენი შემეცნების, ჩვენი აზროვნების გამოცხადებას პირობით ნიშანთა სისტემად. წინადადების ჩათვლა სიმბოლოდ ისევე არ მოასწავებს „იეროგლიფების თეორიას“, როგორც სიმბოლოების ან ფორმულების გამოყენება მათემატიკაში თავისთავად სრულიადაც არ არის იდეალისტური შეცდომა.

ლოგიკური ბოზიტივიზმი ყალბია არა იმიტომ, რომ ენას თვლის პირობით ნიშანთა სისტემად და სიტყვას თუ წინადადებას განიხილავს, როგორც სიმბოლოს, არამედ იმიტომ, რომ მას თვით აზროვნება დაჰყავს ენაზე, ცნება — სიტყვაზე და მსჯელობა — წინადადებაზე<sup>9</sup>.

მსჯელობისა და წინადადების ურთიერთობას, ისევე როგორც საერთოდ აზროვნებისა და ენის ურთიერთობას, მართებულად ახასიათებს ე. წ. ვარეგანი ფორმის კატეგორია. ენისა და აზროვნების ურთიერთობის ვაგებაში შეცდომების ერთ-ერთი მთავარი წყაროა შინაარსისა და ფორმის დიალექტიკის უშუალო გაგრეცელება ამ სფეროზე. როგორც ცნობილია, შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, ფორმა კი შინაარსის სტრუქტურული გარკვეულობაა. მაგრამ თუ აზროვნება განსაზღვრავს ენას და თავის შესაბამისად ჰქმნის მას, მაშინ აუხსნელი რჩება ენათა საყოველთაოდ ცნობილი მრავალფეროვნება. აზროვნებას, ისევე როგორც ყოველ მოვლენას, თავისი შინაარსი და ფორმა („შინაფორმა“) გააჩნია. აზროვნების სტრუქტურულ გარკვეულობას შეადგენენ მისი ლოგიკური ფორმები და არა ენა.

მატერიალისტური დიალექტიკა განასხვავებს საგნის შინაგან და გარეგან ფორმას. შინაგანი ფორმა საგნის შინაარსის აგების წესია, მისი შინაგანი სტრუქ-

<sup>8</sup> იხ. დ. ქეზურია, მსჯელობის განსაზღვრისათვის, ჟურ. „მომავლ“, 1960, № 2. მისივე ცნების თეორიის საკითხები, თბ., 1967, თავი II: „ცნება და სიტყვა“.

<sup>9</sup> „უნდა სავსებით უუყვავდოთ აზრი იმის შესახებ, თითქოს მსჯელობა ფაქტთან მიმართებაში შეიძლება იყოს სხვა რაიმე, გარდა ნიშნისა, თითქოს მას და ფაქტს შორის შეიძლება იყოს მეტი შინაგანი კავშირი, გარდა დაქვემდებარებისა და რომ თითქოს მას შეეძლოს ეს ფაქტა ადექვატურად აღწეროს, გამოხატოს ან ასახოს. არაფერი ამის მსგავსი. მსჯელობა ისევე არ ასახავს იმის არსებას, რის შესახებ მსჯელობენ, როგორც ნოტები არ ასახავენ ტონებს ან ადამიანის სახელი — მის ინდივიდუალობას“ (M. Schlick, Allgemeine Erkenntnislehre, Berlin, 1935, S. 57).



ტურაა, რომელიც მისი არსებითი ელემენტების კავშირს გამოხატავს; მართალია, სავანი არ არსებობს გარეგანი ფორმის გარეშე, მაგრამ იგი არ წარმოადგენს თვით შინაარსის სტრუქტურულ გარკვეულობას. მსჯელობასაც თავისი შინაარსი და მით განსაზღვრული შინაგანი ფორმა აქვს. წინადადება კი არის მსჯელობის გარეგანი ფორმა.

მსჯელობისა და წინადადების განსხვავებაზე თავისთავად მიუთითებს ენათა მრავალფეროვნება. მსოფლიოში ასეულობით ენას ივლიან, რომელთაგან თითოეული თავისებური ფორმით გამოთქვამს ერთსა და იმავე მსჯელობას. წინადადება, ისევე როგორც ენა, შეიძლება იყოს ქართული, რუსული, გერმანული და ა. შ., მაგრამ მსჯელობა, ისევე როგორც ლოგიკა, არ შეიძლება იყოს ქართული, რუსული, გერმანული და ა. შ.

მივმართოთ მაგალითს:

1. ადამიანი ცოცხალი არსებაა.
2. Человек—живое существо.
3. Der Mensch ist ein Lebewesen.

რამდენი მსჯელობაა აქ მოტანილი? ერთი. რამდენია წინადადება? სამი. ერთი მსჯელობა გამოითქვა სამი წინადადების საშუალებით, რაც შეუძლებელი იქნებოდა, რომ წინადადება იყოს საგანთა კავშირის ასახვა. ერთი მსჯელობის გამოთქმა იმიტომ შეიძლება სხვადასხვა წინადადებით, რომ ეს უკანასკნელი ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის პირობითი ნიშანია, რომლითაც იგი თავისებურად („თავის ენაზე“) აღნიშნავს მსჯელობას.

\* \* \*

როგორც ცნობილია, მსჯელობისა და წინადადების სტრუქტურათა შედარებაც ტრადიციამ ჩვეულებად აქცია. მაგრამ როგორ ხერხდება ეს შედარება? მსჯელობა წინადადების ფორმით გამოითქმება, მაგრამ თვით მსჯელობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ ენაზეა იგი გამოთქმული. ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება გამოეთქვათ ქართული, რუსული, გერმანული და ა. შ. წინადადებით, ვთარგმნოთ მსოფლიო ყველა ენაზე, მაგრამ დედამიწის გარშემო მსჯელობის ასეთი „მოგზაურობა“ „ლოგიკისათვის“ არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს: მსჯელობის ლოგიკური ბუნება მთელ ამ პროცესში უცვლელი რჩება.

მსჯელობისა და წინადადების სტრუქტურათა დახასიათებისათვის, მათი ურთიერთობის გარკვევისათვის, ცხადია, საფუძვლად არ გამოდგება რომელიმე ცალკეული ენის წინადადება: თვითონ მსჯელობისათვის იგი შემთხვევითია, ისევე როგორც ლოგიკის მეცნიერებისათვის სრულიად შემთხვევითია, თუ რომელ ენაზე დაიწერება იგი. ცალკეული ენის ცალკეული წინადადება არის მხოლოდ მაგალითი და არა საფუძველი ამ ურთიერთობის დახასიათებისათვის. ის გარემოება, რომ, მაგალითად, ქართული წინადადება თავისი ელემენტებით და აგებულებით არც ემთხვევა და არც შეესაბამება მასში გამოთქმული მსჯელობის სტრუქტურას, მის ელემენტებს, მის აგებულებას, არ იძლევა საფუძველს ზოგადი დასკვნისათვის, ვინაიდან სიმრავლის ემპირიულ გარტყელებაში ინდუქციას ყოველთვის შეუძლია აღმოაჩინოს სხვა ხასიათის მაგალითი. ის გარემოებაც, რომ ინდუქცია ყველა დღეს არსებული ენის მაგალითზე ადასტურებს მათს შეუსაბამობას, — ჯერ კიდევ არ ნიშნავს ზოგადი და პრინციპული საკითხის გადაწყვეტას: შეიძლება თუ არა საერთოდ მსჯელო-

ბისა და წინადადების სტრუქტურათა გაიგივება? იქნება შესაძლებელია ავაგოთ ენა, რომლის სტრუქტურა უშუალოდ ასახავდა და გაიმეორებდა ჩვენი აზროვნების ლოგიკურ სტრუქტურას?!

1) წინადადება შეიძლება იყოს თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი; მსჯელობათა სახეებად დაყოფას კი არაფერი აქვს საერთო ამ კლასიფიკაციასთან. წინადადების ამ სახეებიდან მხოლოდ თხრობითი წინადადება გამოთქვამს მსჯელობას<sup>10</sup>. წინადადების სახეებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მსჯელობათა კლასიფიკაციის დროს: არ არსებობს თხრობითი, კითხვითი ან ბრძანებითი მსჯელობა... ფაქტურადაც, როცა ლოგიკაში საკითხი ისმის მსჯელობათა კლასიფიკაციის შესახებ, არავინ მიმართავს წინადადებათა კლასიფიკაციას. მსჯელობის ათეულობით სახეს ასახელებენ ისე, რომ წინადადების თეორიას არც კი იღებენ მხედველობაში.

2) მსჯელობის ელემენტების რიცხვი ასევე არ ემთხვევა წინადადების ელემენტების რიცხვს. მსჯელობა ორ ელემენტს, ანუ ორ ლოგიკურ წევრს შეიცავს, წინადადება კი შეიძლება იყოს ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი და ა. შ.

3) ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება სხვადასხვა წინადადებით გამოითქვას სხვადასხვა ენაზე. მეტიც, ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება სხვადასხვა წინადადებით გამოითქვას ერთსა და იმავე ენაზეც. სხვადასხვა სიტყვებით ერთი და იგივე აზრის გადმოცემა არც ისე იშვიათია ჩვეულებრივ მეტყველებაში და მეცნიერებაში. ხომ ფაქტია სინონიმების არსებობა! დიდაქტიკა, მაგ., ნაკვალადაც თვლის მსჯელობის სიტყვასიტყვით განმეორებას (როგორც ლექსისა). ფაქტია, რომ თვით ერთი და იგივე ავტორი თავის მსჯელობებს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარ სიტყვიერ ფორმულირებას აძლევს.

4) გრამატიკა წინადადებაში არჩევს მთავარ (ქვემდებარე და შემასმენელი) და არამთავარ (დამატება, განსაზღვრება, გარემოება) წევრებს. რაც შეეხება მსჯელობას, იგი სულ სხვა ელემენტებიდან შენდება. მართალია, ზოგჯერ სუბიექტსა და ქვემდებარეს ან პრედიკატსა და შემასმენელს აიგივებენ ერთმანეთთან, ან პირდაპირ შესაბამისობას ხედავენ მათ შორის, მაგრამ დამატებას, გარემოებას და განსაზღვრებას არც არაფერი ემთხვევა და არც შესაბამეობა მსჯელობაში. არც ერთ ლოგიკოსს, თვით უკიდურეს ნომინალისტს, არ უცდია ამ კატეგორიათა შეტანა და გამოყენება მსჯელობის ლოგიკურ თეორიაში.

5. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სუბიექტისა და პრედიკატის დამოკიდებულებას ქვემდებარესთან და შემასმენელთან. მაგალითად, წინადადებაში — „რკინა ელექტრობას ატარებს“ — მსჯელობის სუბიექტი („რკინა“) გამოთქმულია ქვემდებარით. უფრო აშკარა და პირდაპირია მათი შესატყვისობა ორწევრიანი წინადადების შემთხვევაში. აქ, როგორც წესი, სუბიექტს გამოხატავს ქვემდებარე, პრედიკატს — შემასმენელი, რაც ზოგიერთს აძლევდა საბაბს ან პირდაპირ გაიგივებინა აღნიშნული ორი რიგის (ლოგიკური და ლინგვისტური) კატეგორიები, ან დაეშვა ზოგადი კორელაცია მათ შორის: „ქვემდებარე გამოხატავს სუბიექტს, შემასმენელი — პრედიკატს“.

<sup>10</sup> ამ სწორ დებულებას მცდარ ფორმულირებას აძლევენ, როცა ამბობენ: „ყველა წინადადება არ არის მსჯელობა“. საქმე ისაა, რომ არცერთი წინადადება არ არის მსჯელობა! ტერმინი „გამოთქმა“ შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ და მხოლოდ „თხრობითი წინადადების“ აღსანიშნავად, მაგრამ ეს როლი გაამართლებს დებულებას: „მსჯელობა არის გამოთქმა...“

მართლაც, წინადადების მთავარ წევრებსა და მსჯელობის ელემენტებს შორის გარკვეული შესატყვისობა არსებობს და იქნებ ენობრივი კოლექტივი, როგორც ენის ისტორიული შემოქმედი, წინადადების აგებისას ამგვარ საფუძველს ეყრდნობა? ფაქტია მინც, რომ მათი შესატყვისობა ზოგად კანონს არ წარმოადგენს და დაუშვებელია ქვემდებარის განსაზღვრა სუბიექტის საშუალებით („ქვემდებარე არის სიტყვა, რომელიც სუბიექტს გამოხატავს“) ან, პირიქით, — სუბიექტისა ქვემდებარის საშუალებით („სუბიექტი არის წინადადების ქვემდებარე ან ის, რაც ქვემდებარით გამოითქმება“)<sup>11</sup>.

ცნობილია, რომ კონტექსტი და ლოგიკური მახვილი ზოგჯერ ცვლის მსჯელობის სუბიექტსა და პრედიკატს:

1. თ ბ ი ლ ი ს ი არის საქართველოს დედაქალაქი
2. თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი
3. თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი

მაშინ როცა თვით წინადადება იგივე რჩება და არავითარ გრამატიკულ ცვლილებას არ განიცდის<sup>12</sup>.

6. ურთიერთობას თვით ქვემდებარესა და შემასმენელს შორის გრამატიკული კანონები აწესრიგებენ. სხვადასხვა ენაში ეს ურთიერთობა და მისი კანონები სხვადასხვაგვარია, რაც იმის უდავო საბუთია, რომ გრამატიკული წესები და კანონები ობიექტურ-საგნობრივ ვითარებას კი არ ასახავენ, არამედ განსაზღვრული არიან ცალკეული ენების განვითარების კონკრეტული ისტორიით. მართალია, სხვადასხვა ენის წინადადებები, რომლებიც ერთსა და იმავე მსჯელობას გამოხატავენ, გარკვეული საერთო და მსგავსი მომენტებით ხასიათდებიან. ამ აზრით არ შეიძლება უარყოფილი იქნეს, რომ წინადადების სემანტიკა გარკვეულ გავლენას ახდენს მის სინტაქსზე, მაგრამ ეს გავლენა არ არის განსაზღვრული ხასიათისა, რის გამოც ერთი და იმავე მსჯელობის გამომთქმელ წინადადებათა მსგავსება უმნიშვნელოა განსხვავებასთან შედარებით. ისმება კითხვა: რით არის განსაზღვრული ეს განსხვავება? ეს ანალოგიურია კითხვისა: რით არის განსაზღვრული, რომ, მაგალითად, მაგალითად ქართულად ჰქვია „მაგიდა“, რუსულად „стол“, გერმანულად — „der Tisch“ და ა. შ.? რა თქმა უნდა, არა თვითონ მაგიდის ბუნებით: მაგიდა ერთია, მისი სახელი კი ათაეულს სცილდება!

სრულიად სხვა ხასიათს ატარებს სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი მსჯელობაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი არ ექვემდებარება ნაციონალური ენების განსხვავებას. სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობას აწესრიგებს გრამატიკული კი არა, ლოგიკური კანონები, რომლებიც საგანთა ობიექტურ კავშირ-ურთიერთობებს ასახავენ.

<sup>11</sup> გრამატიციზმის აშკარა მაგალითია შემდეგი განსაზღვრება: «Слова обозначающие свойства и отношения предметов действительности, называются предикатами» — (Д. П. Горский, Логика, М., 1963, стр. 37). როგორც ვხედავთ, აქ პრედიკატის ლოგიკური კატეგორია არა თუ სიტყვის საშუალებით განსაზღვრება, არამედ პირდაპირ მიჩნეულია სიტყვად: პრედიკატი არის სიტყვა....

<sup>12</sup> ინტონაცია და პაუზა (ზეპირში), ხაზგასმა (წერითში), აგრეთვე ფონეტიკური მახვილი ლოგიკის კატეგორიები არ არიან და ლოგიკის სფეროს არ უნდა ეკუთვნოდნენ. ისინი გრამატიკული კატეგორიებია. სხვა საქმეა ლოგიკური მახვილი, — იგი ლოგიკური აზროვნების საკმარის ცნობილი და ფართო ხმარებაში მყოფი მომენტია.



წინადადება მსჯელობის გამოხატვის ენობრივი ფორმაა არსებობს თუ არა მსჯელობის გამოხატვის სხვა ფორმა, გარდა წინადადებისა? ზოგიერთი მოსაზრებით ასეთ როლში შეიძლება გამოვიდეს ცალკეული სიტყვა, უბრალო ჟესტი და ა. შ.

ერთწევრიან წინადადებათა შემთხვევაში, უდავოა, რომ სწორედ თავისებური ვითარება, კონტექსტი თუ სიტუაცია ქმნის მსჯელობის გამოთქმის საშუალებას. თავისთავად კი ცალკეული სიტყვით, მაგალითად, „ღიას!“ „გუშინ“ და ა. შ. მსჯელობის (ე. ი. სუბიექტისა და პრედიკატის გარკვეული კავშირის) გამოთქმა შეუძლებელია, თუ ეს სიტყვა წინასწარ არაა პირობით მიღებული რაიმე მსჯელობის (ან წინადადების) ნიშნად, ისევე როგორც მწვანე შუქი სემაფორზე მემანქანეს ეუბნება: „გზა ხსნილია“. თვით მწვანე შუქი (ან ხელის დაქნევა) არც მსჯელობაა და არც წინადადება.

წინადადება მსჯელობის „ბუნებრივი ადვილია“ ენაში. სხვა საშუალებანი კი გამონაკლისია, გადახვევა კანონიდან და ბუნებრივიდან. უკანასკნელის გარეშე არც „გადახვევა“ და „გამონაკლისი“ იქნებოდა შესაძლებელი. ასეთ „შეზღვევათა“ საფუძველზე ფორმულების შექმნა უსარგებლოა. ისინი მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებენ წინადადების გვერდით.

მსჯელობა აზრთა კავშირია, მაგრამ ყოველი აზრთა კავშირი არ არის მსჯელობა. უკვე გრამატიკა არჩევს თხრობითს, კითხვითს, ბრძანებითს და ძახილის წინადადებებს, რითაც თავისებურად აისახა აზრის ისეთი ფორმები, როგორცაა კითხვა, პასუხი, ბრძანება და თხოვნა. ლოგიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა მსჯელობას, ჩვეულებრივ, თხრობითს წინადადებას უკავშირებს და თვლის, რომ მხოლოდ იგი გამოხატავს მსჯელობას. კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადებანი კი თავისთავად მსჯელობებს არ გამოთქვამენ. ასე ფიქრობდა, მაგალითად, არისტოტელე.

მაგრამ არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად მსჯელობას გამოხატავს არა მხოლოდ თხრობითი, არამედ კითხვითი და ძახილის წინადადებებიც. მაგალითად, ჰ. ლოტცე (1874 წ.) კითხვას დადებითი და უარყოფითი მსჯელობის გვერდით აყენებდა, როგორც მსჯელობის მესამე სახეს. დადებითი მსჯელობა აღიარებს სუბიექტისა და პრედიკატის მიმართების მნიშვნელადობას (Gültigkeit, значимость); — ამბობდა იგი, — უარყოფითი — მის არამნიშვნელადობას (Ungültigkeit, незначимость) რაც შეეხება კითხვას, — იგი მსჯელობის მესამე ფორმაა, რომელიც არ შეიცავს ამ მიმართების შეფასებას. ასევე ბ. ერდმანიც კითხვითს წინადადებას მსჯელობად თვლის, რადგან, მისი აზრით, მასაც სუბიექტ-პრედიკატული აგებულება აქვს, ოღონდ გაურკვეველია ან სუბიექტი ან პრედიკატი ან კობულა და მიზნად არის დასახული მისი (გაურკვეველობის) დაძლევა.

საბჭოთა ლოგიკოსებიდან, პ. ვ. კობნინი წერს: „მსჯელობა არის ყოველგვარი შედარებით დასრულებული აზრი, რომელიც ასახავს მატერიალური საპყაროს ნივთებს, მოვლენებს მათი თვისებებით, კავშირებით და მიმართებებით“<sup>13</sup>. შესაბამისად, ის ასახელებს მსჯელობის სამ სახეს: „суждение-сообщение“, „суждение-вопрос“, „суждение-побуждение“. პირველი ადგენს საგანში რაიმე თვისების, ნიშნის და ა. შ. არსებობა-არარსებობას და ორგვარია: სარწმუნო და ალბათური. ალბათური უახლოვდება კითხვას იმით, რომ არც დად-

<sup>13</sup> იხ. კრებული «Мышление и язык», 1957, стр. 279—280).

ბითია და არც უარყოფითი. კითხვაც მსჯელობაა: 1) ასახავს სინამდვილეს, 2) შეიძლება იყოს ჰეშმარიტი ან მცდარი, 3) აზრთა კავშირია, 4) სუბიექტ-პრედიკატული ფორმა აქვს. კომპონი მსჯელობა-კითხვაში არჩევს ორ ნაწილს: ა) მსჯელობა-ინფორმაცია (Сообщение), რომელიც გამოდის, როგორც კითხვის ბაზა. (ბ) მიზანი, მოთხოვნა რაიმეს გარკვევისა. მსჯელობა-კითხვა ორ მსჯელობა-ინფორმაციას შუა იმყოფება: პირველი ბაზაა კითხვის, მეორე — პასუხი, თვითონ იგი თავისი შინაარსით პირველზე მდიდარია, მეორეზე ღარიბი.

მაგალითად:

1. შენი ძმა გუშინ წავიდა.
2. სად წავიდა გუშინ შენი ძმა?
3. შენი ძმა გუშინ წავიდა ლენინგრადში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კითხვა („პრობლემა“) ცალკე და დამოუკიდებელ თავად უნდა შევიდეს ლოგიკაში, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ლოგიკური კატეგორია, რომელსაც „ყოველი ფეხის ნაბიჯზე“ მიმართავს აზროვნება<sup>14</sup>. მაგრამ კითხვა არაა მსჯელობის სახე. კითხვასა და მსჯელობას შორის განსხვავება ისევე არსებობს, როგორც კითხვასა და პასუხს შორის. მსჯელობა კითხვის გადაწყვეტაა, თავისებური პასუხია კითხვაზე და არ შეიძლება თვით იყოს კითხვა!

\* \* \*

ცნება და მსჯელობა ლოგიკური კატეგორიებია, ე. ი. ასახავენ მატერიალურ სამყაროს; სხვანაირად მათ.საგნის იდეალურ სურათებს უწოდებენ. ამიტომ თვით ცნებისა და მსჯელობის „მნიშვნელობის“ („значение“) შესახებ ლაპარაკი ანაქრონიზშია. „მნიშვნელობს“ არა ცნება და მსჯელობა, არამედ სიტყვა და წინადადება. ამიტომ შემთხვევითი როლია, რომ სემანტიკა (მნიშვნელობის შესახებ მოძღვრება) ისტორიულად წარმოიშვა როგორც სწორედ ენათმეცნიერების დარგი. აზროვნების არცერთი ლოგიკური ფორმა, არც ცნება, არც მსჯელობა, არც დასკვნა ასახვის მატერიალისტური თეორიის თვალსაზრისით პირობით ნიშანს, სიმბოლოს არ წარმოადგენს. ამიტომ ისმება მწვავე კითხვა: თუ სიტყვა და წინადადება ლოგიკური კი არა, გრამატიკული კატეგორიებია და ენათმეცნიერების სფეროს ეკუთვნიან, მაშინ თვით ცნება „ლოგიკური სემანტიკისა“ როგორ უნდა იქნეს დაფუძნებული?

ზოგიერთს ასეთი „საბუთი“ აქვს: აზროვნება არ არსებობს ენის გარეშე, ამიტომ ლოგიკამ ენაც უნდა იკვლიოსო. მაგრამ აზროვნება არ არსებობს არც ტვინის გარეშე. გამოდის აქედან, რომ ლოგიკამ ტვინიც უნდა შეისწავლოს? ტვინი არ არსებობს ორგანიზმის გარეშე, ორგანიზმი — არაორგანიზლის გარეშე...

ნიშნის ზოგადი თეორიის შექმნა კანონიერი და მომწიფებული ამოცანა ჩანს. მაგრამ ლოგიკად ან ლოგიკის დარგად მისი გამოცხადება პრინციპულად

<sup>14</sup> შემეცნების განვითარება ფილოსოფიის ისტორიაში დიდხანია სამართლიანად შეადარეს დიალოგსა და კამათს, რომელშიც კითხვა-პასუხის ფორმა არსებით როლს თამაშობს. პირველი მეცნიერი და ფილოსოფოსი ის იყო, ვინც შესძლო შედარებით სისტემატური პასუხი გაცეკა კითხვებზე, რომლებიც ასე თუ ისე გამოიკვეთა შემეცნების ისტორიის გარკვეულ საფეხურზე. მაგრამ თვით ამ პასუხმა უფრო მეტი კითხვები გამოიწვია... ასე იყო შემეცნების მთელი ისტორიის მანძილზე. იგივე ვლინდება შემეცნების ლოგიკურ ასპექტში, ლოგიკური ამ მხრივაც ისტორიულს „იმერობს“ შემოკლებულად. ყოველი პასუხი სწვევტს კითხვას, მაგრამ სწორედ ამით ახალ კითხვას აშხადებს, ე. ი. იმავე დროს თვით არის ეტაპი ახალი კითხვისა. მეცნიერაც დიდა არა მხოლოდ თავისი პასუხებით. ბინშტაინს მეტი კითხვები აწუხებდა, ვიდრე ჩვეულებრივ სხვა რომელიმე ფიზიკოსს...

სხვა ვითარებას ქმნის<sup>15</sup>. მექანიკა იქცევა მექანიციზმად, როცა ის ფილოსოფიის პრეტენზიით გამოდის. ასევე „ლოგიკური სემანტიკა“, — თუ ის ლოგიკის პრეტენზიით გამოდის, სხვა არაფერია, თუ არა ცნობილი „იეროგლიფების თეორია“.

ჩვენ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან ისეთ ცნებებს, როგორცაა სიტყვა, მნიშვნელობა, საზრისი და საგანი. სიტყვას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ საზრისი სიტყვის მნიშვნელობა როდია, არამედ ის, რაც სიტყვით აღინიშნება. ხოლო ის, რასაც სიტყვა აღნიშნავს, საგანი კი არა, არამედ საგანს ასახავს. ეს მეტად არსებითი საკითხია და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. საკმარისია ითქვას, რომ მათი ურთიერთობის არასწორი გაგება ლოგიკური და გრამატიკული არე-დარევის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცა უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმად ცნება არის სიტყვის მნიშვნელობა, ხოლო მსჯელობა — წინადადების მნიშვნელობა<sup>16</sup>. ასეთი დებულება სიტყვის თუ წინადადების „მნიშვნელობისა“ და „საზრისის“ გაიგივებაა.

უფრო ზუსტად ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ სიტყვის მნიშვნელობაში შედის არა მხოლოდ აზრი (ცნება, წარმოდგენა) არამედ გრძნობა, ემოცია და ნებელობა, ასევე ამბობენ, რომ წინადადება ყოველთვის დატვირთულია ემოციური და ნებელობითი ელფერით და მისი მნიშვნელობა არ დაიყვანება მსჯელობაზე. მაგრამ ამით ხაზი ესმება სხვა მომენტს. ფაქტია მაინც, რომ ამ თვალსაზრისით ცნება და მსჯელობა სიტყვისა და წინადადების მნიშვნელობათა სფეროს ეკუთვნის. სწორედ ეს იწვევს გრამატიკული და ლოგიკური კატეგორიების აღრევას. მნიშვნელობა, უდავოდ, წინადადების მხარე ან ნაწილია, რაც შეეხება მსჯელობას, იგი არაა წინადადების მხარე ან ნაწილი. წინადადების მნიშვნელობა არაა მსჯელობა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა უშუალოდ რეალურ საგანთა კავშირია, რომელიც მსჯელობაში აისახება; წინადადების მნიშვნელობა არც მსჯელობაა და არც საგნობრივი ვითარება. ჩვენ ვიცავთ იმ თეზისს, რომ ობიექტურ საგანთა კავშირი აისახება მსჯელობით, მსჯელობა კი აღინიშნება წინადადებით. წინადადება უშუალოდ საგანთა კავშირს კი არ აღნიშნავს, არამედ გაშუალებულია ადამიანის „აზროვნებითი მოღვაწეობის შედეგებით“, რომელიც ობიექტურ საგანთა კავშირს ასახავს. მსჯელობა წინადადების საზრისია და არა მნიშვნელობა. წინადადების მნიშვნელობა ეკუთვნის მსჯელობასთან მისი მიმართების სფეროს და არა თვითონ მსჯელობა, როგორც ასეთი, რომლის არსებითი ბუნების გარკვევა ლოგიკის (და არა ენათმეცნიერების) უდავო კომპეტენციას შეადგენს.

<sup>15</sup> „ტრადიციული გაგებით, სინტაქსი და ლოგიკა, მიუხედავად ერთგვარი კავშირისა, ძირითადად მთლიან განსხვავებული სახის თეორიებია. ენის სინტაქსი ადგენს წესებს, რომლითაც ენობრივი გამოსახულებანი (მაგ., წინადადებები) მისი ელემენტებიდან (მაგ., სიტყვებიდან ან სიტყვის ნაწილებიდან) იწარმოება. ლოგიკის ძირითად ამოცანად, პირიქით, მიჩნეულია წესების დადგენა, რომლითაც მსჯელობები სხვა მსჯელობებიდან გამოიყვანება. მაგრამ უკანასკნელი ააქრულელებში ლოგიკის განვითარებამ სულ უფრო ნათლად აჩვენა, რომ მისი საქმიანობა ნამდვილ სიზუსტეს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ მის საქმე ექნება არა მსჯელობებთან (აზრებთან ან აზრობრივ შინაარსებთან), არამედ ენობრივ გამოთქმებთან, რომელია შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინადადებები. მხოლოდ ამ უკანასკნელთა მიმართ არის შესაძლებელი ზუსტი წესების დადგენა“ (R. Carnap, *Logische Syntax der Sprache*, Wien, 1934, S).

<sup>16</sup> „ცნებებს ჩვენ ვუწოდებთ სახელთა მნიშვნელობებს“, — წერს კ. აიდუევიჩი (*«Abriß der Logik*, Berlin, 1958, S. 18).



### ამირან ჰიბუბი

## კოლმეურნობათაშორისი წარმოებრივი კავშირები საქართველოში

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კოლმეურნობათაშორისი წარმოებრივი კავშირებსა და საწარმოთა გაერთიანების ერთეულ შემთხვევებს ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში ჰქონდა ადგილი. მაგრამ იმ დროისათვის მათ ფართო გავრცელება არ მიუღიათ.

უფრო მეტად ეს აიხსნებოდა იმით, რომ მაშინ კოლმეურნობები ეკონომიკურად სუსტი იყვნენ, ჯერ კიდევ დაბალი იყო მათი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების დონე, არასაკმარისი იყო ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდების მოცულობა. სოფლად მწარმოებლური ძალები იმ ეტაპზე კოლმეურნობათაშორისი კოოპერირების ახლანდელი ფორმით განვითარებისათვის საკმარისი არ იყო.

კოლმეურნობრივი წყობილების განვითარების ახალ ეტაპზე კი სულ სხვაგვარი პირობები შეიქმნა.

რესპუბლიკის კოლმეურნობები მეურნეობრივად და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ; ისინი გამსხვილდნენ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი შემოსავალი, რამდენჯერმე გადიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და შრომის მწარმოებლურობა, სოფლის მეურნეობის სრულყოფილი ტექნიკით შეიარაღების შემდეგ მწარმოებლური ძალები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სოფლად მწარმოებლური ძალების მომწიფების კვალობაზე სათანადო პირობები მომზადდა და საქართველოს სსრ წვრილი კოლმეურნობების გამსხვილების ამოცანამ ეკონომიკური აუცილებლობის ხასიათი მიიღო.

წვრილ კოლმეურნობათა გამსხვილება წარმოადგენდა აუცილებელ ღონისძიებას სხვა ღონისძიებათა სისტემაში სოციალისტური სოფლის მეურნეობის მწარმოებლური ძალების განვითარების დაჩქარებისათვის. ახლაც, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი ზომით, კოლმეურნობათა წარმოების განსაზოგადების პროცესი მიმდინარეობს კოლმეურნობათა გამსხვილებით, მაგრამ ამ ეტაპზე კოლმეურნობრივი წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ახალ ფორმად უფრო მეტად კოლმეურნობათაშორისი წარმოებრივი კავშირები გვევლინება.

სოციალიზმის პირობებში კოლექტიური მეურნეობისათვის დამახასიათებელია ძალების ერთობლივად გაერთიანება ისეთი მეურნეობრივი საქმიანობის წარმართვისათვის, რომლის შესრულება თავისი მოცულობითა და მნიშვნელობით ცალკეულ კოლმეურნობათა შესაძლებლობებს აღემატება.

საქართველოს სსრ კოლმეურნობებს შორის, მარტივი ფორმით, წარმოებრივი კავშირების დამყარების, ძალების ერთობლივად გაერთიანებისა და ურთი-

ერთიანამშრომლობის პრაქტიკას ჯერ კიდევ კოლმეურნეობრივი წყობილების გარიყრაჟზე ჰქონდა ადგილი. 1928-1929 წლებში ფეხი მოიკიდა კოლმეურნეობათაშორისმა ჯგუფურმა წარმოებრივმა გაერთიანებებმა, ასეთი გაერთიანებები უფრო მეტად სუსტი კოლმეურნეობებისაგან დგებოდა.

ნაკლებად განვითარებულ და მეურნეობრივად არამტკიცე კოლმეურნეობებს არ შეეძლოთ საკუთარი საშუალებებით დამოუკიდებლად ჰყოლოდათ სპეციალისტები (ბუღალტერი, აგრონომი და სხვ.); ასევე არ შეეძლოთ შეეძინათ მანქანები და ა. შ.

ამ პერიოდისათვის კოლმეურნეობათა ცალკეული ჯგუფები ერთიანდებოდნენ და საერთო თანხებით ქირაობდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და საერთო შემოსავლებით იძენდნენ მანქანებს, სათადარიგო ნაწილებს, საწვავ მასალას და სხვ. კოლმეურნეობათა ჯგუფურ წარმოებრივ გამოცდილებას საკავშირო კოლმეურნეცენტრის საბჭოს სესიამ 1928 წელს რეკომენდაცია მისცა, ხოლო ამის შესაბამისად სათანადო დადგენილება მიიღო საქართველოს კოლმეურნეცენტრის საბჭოს მეორე სესიამ, რომელიც 1929 წელს თბილისში ჩატარდა.

ამგვარად, კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების წარმოშობისა და განვითარების პროცესი თავის მხრივ წარმოადგენს აუცილებელ შედეგს კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული საკუთრების განვითარების გზაზე, რაც გამოწვეულია სოფლად მწარმოებლური ძალების განვითარებით.

ახლა, განვითარების ამ ეტაპზე კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი გაერთიანებანი ემყარება არა კოლექტიური მეურნეობის სისუსტეს, არამედ მის ძალას, წარმოადგენს მისი ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკიცების შედეგს. კოლმეურნეობრივ წარმოებაში ახალი, თანამედროვე მანქანების გამოჩენამ, ელექტროსადგურების მშენებლობამ და წარმოების მასშტაბების გაფართოებამ თავის მხრივ მოითხოვა სოფლად მსხვილი სამშენებლო ორგანიზაცია, კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის აუცილებლობა, დიდი მასშტაბით ტრანსპორტზე მოთხოვნილება და სხვ.

წარმოიშვა კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირები და წარმოებრივი თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები; ზოგიერთი კოლმეურნეობა ადგილობრივი ძალებით აგებს ელექტროსადგურებს, სარწყავ არხებს, სამშენებლო მასალების წარმოების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავების საწარმოებს, გაჰყავს გზები, აშენებს კულტურულ-ყოფაცხოვრებით ორგანიზაციებს (სკოლა-ინტერნატებს, საავადმყოფოებს, კლუბებს, აბანოს) შემკეთებელ სახელოსნოებს ასევე სხვა წარმოებრივ და კულტურულ-ყოფაცხოვრებით მნიშვნელობის ობიექტებს.

კოლმეურნეობათაშორისმა წარმოებრივმა გაერთიანებებმა ჩვენს ქვეყანაში 1954-1956 წლებში შედარებით ფართო გავრცელება პოვა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1956 წლიდან შედარებით უფრო ფართოდ გავრცელდა კოლმეურნეობათაშორისი კოოპერირება მშენებლობის დარგში. 1950 წლიდან მოყოლებული რესპუბლიკის კოლმეურნეობები დიდ თანხებს აბანდებდნენ სოფლისმეურნეობრივი დამხმარე საწარმოების შემდგომი განვი-

1 იხ. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ჯგუფური საწარმოო გაერთიანების წესდება, თბ., 1929.

თარებისათვის. კაპიტალური მშენებლობის მოცულობა სოფლად ყოველწლიურად იზრდებოდა.

კაპიტალური მშენებლობის ზრდა და განსაკუთრებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობის მასშტაბების გაფართოება მშენებლობის კუსტარული საშუალებების ინდუსტრიულ მაღალექანზეულ საშუალებებით შეცვლასთან ერთად, სოფლად მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციის შექმნის ამოცანას აყენებდა.

ახალ პირობებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ძველად არსებულ სამშენებლო ბრიგადებს უკვე აღარ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ კოლმეურნეობათა მოთხოვნილებანი მშენებლობაზე.

გაითვალისწინა რა სოფლად კაპიტალურ მშენებლობაში შექმნილი სიძნელე, სკკპ XX ყრილობამ კოლმეურნეობებს დროულად მისცა რჩევა, რომ საბაიო საწყისებზე შეექმნათ კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც შრომის, სამშენებლო მასალებისა და ფულადი საშუალებების მაქსიმალური ეკონომიის პირობებში, სოფლად კაპიტალური მშენებლობის დასახულ პროგრამას განახორციელებდა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციების შექმნასა და შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1956 წლის 6 მარტის № 107 დადგენილებით დამტკიცებული ტიპური დებულება.

დებულებით განისაზღვრა საბაიო შესატანების ოდენობა. კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საბაიო გამოსაღების ანგარიშში დებულების შესაბამისად კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციებზე ზღებოდა ტრანსპორტის საშუალებების, დანადგარების, შენობებისა და სხვ. გადაცემა.

პირველი კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაცია საქართველოში კასპის რაიონში 1956 წლის 15 აპრილს ჩამოყალიბდა, ხოლო მეორე ორგანიზაცია მოეწყო ამავე წლის 7 მაისს ბოლნისის რაიონში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციების ჩამოყალიბების პერიოდი ძირითადად 1956 წლიდან 1960 წლამდე გრძელდებოდა. 1960 წლისათვის კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციების რაოდენობა საქართველოს სსრ-ში 54-ს უდრიდა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციების ძირითადი საშუალებების ღირებულება 1956 წლის 8,1 ათ. მანეთიდან 1963 წელს 6904,6 ათ. მანეთამდე გაიზარდა, საწესდებო ფონდი შესაბამის პერიოდში 2921 ათ. მანეთიდან 7108,9 ათ. მანეთამდე გადიდა, ხოლო მეზაიე ორგანიზაციათა საბაიო შენატანების თანხამ, ნაცვლად 1956 წლის 292,1 ათ. მანეთისა, 1963 წელს 3541,2 ათ. მანეთი შეადგინა.

წლების მიხედვით სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები შესრულებული იქნა ათ. მანეთობით: 1956 წ. — 122,1, 1957 წ. — 768,4, 1958 წ. — 4377,1, 1959 წ. — 10406,0, 1960 წ. — 14116,0, 1961 წ. — 10361,9, 1962 წ. — 12233,8, 1963 წ. — 12178,8, 1964 წ. — 14277,1, 1965 წ. — 19283,3, 1966 წ. — 2165,9.

მიღებული იქნა მოგება: 1957 წ. — 32,1 ათ. მანეთი, 1958 წ. — 192,4 ათ. მანეთი, 1959 წ. — 355,3 ათ. მანეთი, 1960 წ. — 606,2 ათ. მანეთი, 1961 წ. — 510,6 ათ. მანეთი, 1962 წ. — 921,8 ათ. მანეთი, 1963 წ. — 620,1 ათ. მანეთი,



1964 წ. — 416,0 ათ მანეთი, 1965 წ. — 783,8 ათ. მანეთი, ხოლო 1966 წ. მოგებამ 1059,0 ათ. მანეთი შეადგინა<sup>2</sup>.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციები ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით სულ უფრო და უფრო დაუახლოვდა საქალაქო და მრეწველურ მშენებლობას, შეიქმნა მშენებლობის მუდმივი კვალიფიციური კადრები, ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა, გაუმჯობესდა ხარისხი და მნიშვნელოვნად შემცირდა მშენებლობის ღირებულება კოლმეურნეობებში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში, ისე როგორც საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში, ელექტროსადგურების მშენებლობის დარგში კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირები, სხვა ფორმებთან შედარებით, უფრო ადრინდელ ფორმას წარმოადგენს.

კოლმეურნეობათა გაერთიანებული ძალებით ელექტროსადგურების მშენებლობის პრაქტიკას ომამდელ პერიოდშიც ჰქონდა ადგილი. საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი ელექტროსადგურების მშენებლობა ომისშემდგომ წლებში ფართოდ განვითარდა.

ცალკეულ კოლმეურნეობებს დამოუკიდებლად არ შეეძლოთ აეგოთ დიდი ძალოვნების ჰიდროელექტროსადგურები, რადგან მათი მშენებლობა ძვირი ჯდება. ისეთი ელექტროსადგურების მშენებლობა, რომლებიც სოფლად კომუნალური საჭიროების დაკმაყოფილებასთან ერთად მეურნეობრივი წამოწყებების მომსახურებასა და ცალკეულ სამუშაო პროცესთა ელექტროფიცირებას შესაძლებლდნენ, გაცილებით მეტ სახსრებს მოითხოვდა, ვიდრე ამის შესაძლებლობა ცალკეულ კოლმეურნეობებს ჰქონდათ.

კოლმეურნეობრივი წყობილების განვითარების კვალობაზე კოლმეურნეობებში უფრო მეტად ვითარდებოდა დამხმარე და მომსახურე დარგები, რომლებიც თავის მხრივ გაცილებით დიდი რაოდენობით ელექტროენერჯის გამოყენებას მოითხოვდნენ.

ყოველივე ეს მოითხოვდა სოფლად უფრო მძლავრ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობას, რაც მხოლოდ რამდენიმე კოლმეურნეობის შეერთებული ძალებითა და სახსრებით იყო შესაძლებელი. ამდენად, მოცემულ ეტაპზე ცალკეულ კოლმეურნეობათა კოოპერირებამ ელექტროსადგურების მშენებლობის დარგში ეკონომიკური აუცილებლობის ხასიათი მიიღო.

1966 წელს კოლმეურნეობათაშორისი ელექტროსადგურების სიმძლავრე 3 696 კვტ-ს უდრიდა. მაღალი ძაბვის ხაზების სიგრძე 486 კმ., ხოლო დაბალი ძაბვის ხაზების სიგრძე 363 კილომეტრი იყო. 13 ჰიდროელექტროსადგური 52 კოლმეურნეობასა და 2 საბჭოთა მეურნეობას ემსახურებოდა. წლის განმავლობაში ელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯია 11543 ათ. კილოვატსაათს შეადგენდა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1966 წლის 1 იანვრისათვის მოქმედებდა 2 დამოუკიდებელი კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაცია ელექტროგადამცემი ხაზებისა და დანადგართა გაერთიანების სახით.

1. ყვარლის კოლმეურნეობათაშორისი ელექტროდანადგარი და
2. ენისელის კოლმეურნეობათაშორისი ელექტროსაექსპლოატაციო ხაზი.

<sup>2</sup> ციფრბრივი მონაცემები აქ და სხვაგანაც მოტანილია საქართველოს სსრ კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციების შესაბამისი წლების წლიური ანგარიშგებების მონაცემების მიხედვით.

ყვარლის ელექტროდანადგართა კოლმეურნეობათაშორისი საბჭო შეიქმნა 1962 წელს, როდესაც ყვარლის რაიონის სოფლებმა და კოლმეურნეობებმა საქონერგოდან, კერძოდ „ალაზნაჰესიდან“, ელექტროენერჯიის სარგებლობის უფლება მიიღეს, კოლმეურნეობებმა ნებაყოფლობით პრინციპზე შექმნეს ელექტროდანადგართა კოლმეურნეობათაშორისი საბჭო.

აღნიშნული ელექტროსახეები მომსახურებას უწევენ საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას.

საქართველოში, განსხვავებით საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისა და რაიონებისაგან, ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების თავისებურებათა გამო ხელსაყრელი აღმოჩნდა კოლმეურნეობათაშორისი ავტოსატრანსპორტო გაერთიანებათა შექმნა.

საბჭოთა კავშირში ყველაზე ადრე კოლმეურნეობათაშორისი ავტობაზებს საქართველოში ჩაეყარა საფუძველი, იგი პირველად 1957 წელს მახარაძის რაიონში ჩამოყალიბდა. მომდევნო 1958-1959 წლებში კოლმეურნეობათაშორისი ავტობაზები აგრეთვე შეიქმნა ვალის, ზუგდიდის, თერჯოლის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში.

სახელმწიფოებრივ ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით კოლმეურნეობებში ავტომანქანების გამოყენება, წლის განმავლობაში თანაბრად, სრული დატვირთვით არ ხდება. სეზონურ სამუშაოთა შესრულების დროს ცალკეული კოლმეურნეობების მოთხოვნილება ტრანსპორტზე გაცილებით დიდია, ვიდრე ამ მხრივ მათი საკუთარი შესაძლებლობა არსებობს.

ავტოტრანსპორტის დარგში კოლმეურნეობათაშორისი კოოპერირება ნაკარნახევი იყო კოლმეურნეობრივ სატრანსპორტო საშუალებათა რაციონალური გამოყენების საჭიროებით.

1961 წლისათვის საქართველოს სსრ-ში 6 კოლმეურნეობათაშორისი რაიონული ავტობაზა მოქმედებდა.

1962 წლიდან ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოების შექმნასთან და სასოფლო რაიონების შედგომოვ გამსხვილებასთან დაკავშირებით გეგეჭკორის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს და მახარაძის რაიონებში კოლმეურნეობათაშორისი ავტოსატრანსპორტო ბაზები შეერთებული იქნა შესაბამისი რაიონების სამშენებლო ორგანიზაციებთან, ხოლო ვალისა და ქობულეთის რაიონებში არსებული კოლმეურნეობათაშორისი ავტობაზების რეორგანიზაცია მოხდა.

კოლმეურნეობათაშორისი ავტობაზების მუშაობის გამოცდილებამ მის უპირატესობაში დაგვარწმუნა. ავტოსატრანსპორტო გაერთიანებათა შექმნით შესაძლებელი გახდა ავტოტრანსპორტზე დანახარჯების სწორი აღრიცხვა. მოწესრიგდა ავტომანქანების რემონტის შემკიდროვებულ ვადებში და იაფად ჩატარების საკითხი, ავტობაზებთან მოეწყო სამკედლო სამჭრო, მანქანების შემკეთებელ სახელოსნოებთან დაიდგა აკუმულატორების დამმუხტავი აპარატი, მანქანების სამრეცხაო და სხვ. რიგი მოწყობილობები.

გაცილებით უკეთ მოეწყო მანქანების სადგომთა (გარაჟების) ორგანიზაცია, ავტომობილების სწორი ექსპლუატაციითა და ტექნიკური მოვლის გაუმჯობესების შედეგად მიაღწიეს მანქანების მაღალ წარმადობას, გააღიღეს ტვირთიწიფვა და საკარმნობლად შეამცირეს თითოეული ტონა-კილომეტრის თვითღირებულება.

1960 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში შეიქმნა კოლმეურნეობათაშორისი პირუტყვის მუდმივად მოქმედი ფერმები და სასუქი პუნქტები.

მეცხოველეობის დარგში კოლმეურნეობათაშორისი ფერმები და სასუქი პუნქტები მელორეობაშიც ჩამოყალიბდა. 1960 წელს საქართველოს სსრეს პუნქტებში კოლმეურნეობათაშორისი ღორების გამოსაკვები სპეციალიზებული 8 პუნქტი არსებობდა. კოლმეურნეობებმა საპაიო შენატანების საწყისებზე მოაწვეეს ღორების გამოკვებისა და სუქების ხელსაყრელი ორგანიზაცია. ღორის სასუქი პუნქტები კოლმეურნეობებიდან იღებენ, სათანადო სტანდარტის დაცვით, ვეტერინარულად შემოწმებულ 30-40 კგ. წონის ღორებს, ხოლო გასუქების შემდეგ სახელმწიფოს აბარებენ 80-100 კგ. ცოცხალი წონის ღორებს.

1961-1965 წლებში საკმაო ყურადღება მიექცა კოლმეურნეობათაშორისი მელორეობის, მსხვილი ფერმებისა და სასუქი პუნქტებს ორგანიზაციას, ამ დარგში მიღებული გამოცდილების გაგრძელებას.

1966 წელს კოლმეურნეობათაშორისი მელორეობის სპეციალიზებული ფერმების რაოდენობა 9-ს უდრიდა. რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი — მელორეობის ფერმების მეზაიე კოლმეურნეობათა რაოდენობა 174-ს შეადგენდა, მეზაიეების მიერ საპაიო შენატანების თანხა 1083,3 ათ. მან., ძირითადი ფონდების ღირებულება 634,9 ათ. მან., ხოლო საწესდებო ფონდების ღირებულება 1161,2 ათ. მანეთს უდრიდა. მელორეობის სპეციალიზებული ფერმების მეზაიეებად აგრეთვე 2 საბჭოთა მეურნეობა ითვლებოდა.

1960-1966 წწ-ში საშუალოდ კოლმეურნეობათაშორისი მელორეობის ფერმებში 1 კაცდღეზე წარმოებული ღორის ხორცი 1960-1966 წწ-ში საშუალო რესპუბლიკურ კოლმეურნეობრივ მაჩვენებელს აღემატებოდა: გორის — 2,6-ჯერ, კასპის — 3,5-ჯერ, ზუგდიდის — 3,9-ჯერ, ქობულეთის — 2-ჯერ, გუდაუთის 1,3-ჯერ.

კოლმეურნეობათაშორისი მელორეობის ფერმებში 1960-1966 წწ-ში ერთ კაცდღეზე მთლიანი პროდუქცია მანეთობით მიღებული იქნა მეტი, ვინემ საშუალოდ 1960-1966 წწ. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში: გორის — 4,5-ჯერ, კასპის — 5,1-ჯერ, ზუგდიდის — 3,3-ჯერ, ტყიბულის — 20,3-ჯერ, ქობულეთის — 4,1-ჯერ მეტი. ხოლო გუდაუთის ფერმაში 2,4-ჯერ მეტი.

კოლმეურნეობათაშორისი მელორეობის ფერმებში შრომის მწარმოებლურობა, შედარებით საქართველოს სსრ კოლმეურნეობების საშუალო მაჩვენებლებთან, საგრძნობლად მაღალია.

კოლმეურნეობათაშორისი მელორეობის ფერმებში შრომის მწარმოებლურობის დონე წლების მიხედვით მნიშვნელოვნად იზრდება: 1961 წელს 1960 წელთან შედარებით გაიზარდა 29,6%-ით, 1962 წელს 1961 წელთან შედარებით — 44,9%-ით, 1963 წელს 1962 წელთან შედარებით — 25,8%-ით, ხოლო 1966 წელს 1963 წელთან შედარებით — 15,5 პროცენტით.

კოლმეურნეობათაშორისი მელორეობის ფერმებს 1960-1966 წწ-ში 1 ცენტნერი ღორის ხორცის წარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებთან შედარებით ნაკლები დაუჯდა: 1960 წ. — 20,5%-ით, 1961 წ. — 23,4%-ით, 1962 წ. — 25,6%-ით, 1963 წ. — 38,9%-ით, 1964 წ. — 41,7%-ით, 1965 წ. — 43,4%-ით, 1966 წ. — 38,9 პროცენტით.

კოლმეურნეობათაშორისი მელორეობის ფერმებში ერთი ცენტნერი ღორის ხორცის თვითღირებულება გასული წლების მიმართ დაბალია, იმავე რაიონის კოლმეურნეობებში 1 ცენტნერი ღორის ხორცის საშუალო თვითღირებულებასთან შედარებით.



საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მეღორეობის განვითარების მთავარ გზად მიჩნეული უნდა იქნეს ინტენსიური სტაციონალური მეღორეობა, კოლმეურნეობათაშორისი მეღორეობის მსხვილი ფერმების შექმნის გზით. ცნობილია, რომ მეცხოველეობის ყველა დარგს შორის ხორცის წარმოების სწრაფად გადილების საქმეში წამყვანი როლი ეკუთვნის მეღორეობას.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ღორების კოლმეურნეობათაშორისი სასუქ პუნქტებში რენტაბელობის ხარისხი, ე. ი. წმინდა მოგების შეფარდება ყველა წარმოებრივ დანახარჯთან შედარებით მაღალია, ვიდრე ცალკეულ კოლმეურნეობების მეღორეობის წვრილ ფერმებში. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ღორების სასუქი კოლმეურნეობათაშორის პუნქტებში, ცალკეულ წვრილ ფერმებთან შედარებით, ვაცილებით უფრო რაციონალურად გამოიყენება შრომა, საკვები, უკეთ ინერგება მოწინავე გამოცდილება და სხვ.

ყურადღებას იმსახურებს ის კოლმეურნეობათაშორისი წამოწყებანი, რომელთაც ბოლო წლებში მოიკიდეს ფეხი.

1964 წელს, პირველად რესპუბლიკაში, თელავის რაიონში (ს. ლალისყური) შეიქმნა მეცხვარეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმა. ამ გაერთიანებაში რაიონის 17 კოლმეურნეობა შევიდა, კოლმეურნეობებმა შეიტანეს საპაიო შენატანები 633,3 ათ. მანეთის რაოდენობით. 1965 წლის ბოლოსათვის ძირითადი ფონდების ღირებულებამ 564,6 ათ. მანეთი, ხოლო საწესდებო ფონდების მოცულობამ 633,6 ათ. მანეთი შეადგინა. 1965 წლის 1 იანვრისათვის ფერმაში გამოკვებაზე 110,0 ათ. სული ცხვარი იყო, ხოლო 1966 წლისათვის მათი რაოდენობა 120,9 ათ. სულამდე გაიზარდა. ფერმას 575 კაცი ემსახურება (544 მუშა).

1965 წლის მაისში თიანეთში ჩამოყალიბდა მეცხვარეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმა, რომელშიც გაერთიანდა რაიონის მეცხვარეობის შვიდივე კოლმეურნეობის ცხვარი. საპაიო შენატანების სახით მათ 701,6 ათ. მანეთი შეიტანეს, 1965 წლის ბოლოსათვის ძირითადი ფონდების ღირებულებამ 496,0 ათ. მანეთი, ხოლო საწესდებო ფონდების მოცულობამ 701,6 ათ. მანეთი შეადგინა.

1966 წლის 1 იანვრისათვის ფერმაში გამოკვებაზე 132,8 ათ. სული ცხვარი იყო. ფერმას სულ 102 კაცი ემსახურებოდა (87 მუშა).

ცხვრის ფარების ერთ ფერმაში თავმოყრამ თელავსა და თიანეთში ხელი შეუწყო მეცხვარეობის წარმოების კულტურის ამაღლებას, შრომის სწორი ორგანიზაციის განხორციელებას, ზოოვეტერინალური წესების დაცვას. ყოველივე ამან განაპირობა პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა.

თიანეთის ფერმაში 1965 წ-ს ყოველ 100 ნერბზე 78 ბატკანი მიიღეს, ე. ი. 22-ით მეტი, ვიდრე კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანების შექმნამდე საშუალოდ ცალკეულ კოლმეურნეობათა ფერმაში იყო მიღებული. ზაფხულის პარსვაზე თითოეულ ცხვარზე მიიღეს 2 კგ. მატყლი, — 5-ჯერ მეტი, ვიდრე კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანების შექმნამდე ცალკეულ კოლმეურნეობათა ფერმებში იყო მიღებული. კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებში შესაძლებელი გახდა ელექტროსაპარსი აგრეგატების გამოყენება, რამაც საგრძნობლად გაადიდა მატყლის გამოსავლიანობა, გააუმჯობესა ხარისხი.

კოლმეურნეობათაშორისი ფერმებში ცხვრის მოვლა-შენახვის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სიკვდილიანობის შემცირებას. 1965 წელს დაეცა ცხვრის სულადობის 3 პროცენტი, ხოლო ადრე ცხვრის დაცემა საშუალოდ კოლმეურნეობებში წლიურად 8,6 პროცენტს აღწევდა.

კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებში რაიონების კოლმეურნეობათა თავმოყრამ შრომის სწორი ორგანიზაციის განხორციელების პირობებში ზოოვეტერინალური წესების დაცვის შესაძლებლობა შექმნა. გაზარდეს ფერმების სულადობა, ფარები „გაწმინდეს“ სანაშენოდ უფარგისი ცხვრებისაგან, გააუმჯობესეს ჯიშობრივი შემაღვენლობა და ფართოდ დაიწყეს ცხვრის ხელოვნური დათესვების დანერგვა.

კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებში 1966 წელს 1965 წელთან შედარებით გაიზარდა გამოკვებაზე არსებული ცხვრების სულადობა, აგრეთვე ხორცის წარმოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გადიდა სახელმწიფოსათვის მიყიდული ხორცის რაოდენობა. თელავის ფერმაში სახელმწიფოზე პირუტყვის მიყიდვა სულადობით 1966 წელს 1965 წელთან შედარებით 11,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო თიანეთის ფერმაში — 60,5 პროცენტით, ხორცის მიყიდვა ცოცხალი წონით (ცენტნერებით) — შესაბამისად 25,0 პროცენტით და 41,7 პროცენტით, ხოლო სადღეღამისო წონაშატი თელავის ფერმაში 1966 წელს 1965 წელთან შედარებით 3,7-ჯერ, ხოლო თიანეთის ფერმაში შესაბამისად 48,4 პროცენტით გაიზარდა.

მეცხვარეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმებში მნიშვნელოვნად შემცირდა ერთი ცენტნერი ხორცის წონაშატის თვითღირებულება. თელავის ფერმაში 1966 წელს 1965 წელთან შედარებით — 71,8 პროცენტით, ხოლო თიანეთის ფერმაში — შესაბამისად 15,8 პროცენტით.

საერთოდ კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობაში ერთი ცენტნერი ხორცის თვითღირებულება მნიშვნელოვნად დაბალა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ერთი ცენტნერი ხორცის საშუალო თვითღირებულებაზე. მაგ., 1965-1966 წწ-ში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთი ცენტნერი ცხვრის ხორცის თვითღირებულება 80-90 პროცენტით მაღალი იყო.

კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია აგრეთვე შრომის მწარმოებლურობა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა წლების მიხედვით 1 ცენტნერი ცხვრის ხორცის წარმოებაზე დახარჯეს 1964 წ. — 14 კაცდღე, 1965 წელს — 14 კაცდღე, ხოლო 1966 წ. — 11,6 კაცდღე. კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებმა დახარჯეს 1964 წ. — 8 კაცდღე, 1965 წ. — 7 კაცდღე, ხოლო 1966 წელს — 6 კაცდღე. როგორც ვხედავთ, კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებში ერთი ცენტნერი ხორცის წარმოებაზე 1,5-ჯერ, 2-ჯერ ნაკლები კაცდღეა დახარჯული.

1966 მეურნეობრივი წელი თელავისა და თიანეთის კოლმეურნეობათაშორისმა მეცხვარეობის ფერმებმა მოგებით დაამთავრეს, თელავის ფერმამ 164,2 ათ. მანეთის, ხოლო თიანეთის ფერმამ 86,8 ათ. მანეთის მოგება მიიღო.

ფერმებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საძოვრების რაციონალურ გამოყენებას. კასპისპირეთში ორგანიზებულად მიმდინარეობს თივის დამზადება. შემოდგომასა და ზაფხულზე ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვით, ფერმებს საშუალება ეძლევათ ცხვრის მთელი სულადობა უზრუნველყონ მაღალყოთიანი საკუთარი წარმოების იაფი საკვებით.

როგორც ვხედავთ, მეცხვარეობაში კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების შექმნა სავსებით მიზანშეწონილია, იგი ამართლებს თავის დანიშნულებას

და ხელს უწყობს მაღალმთიანი კოლმეურნეობების ეკონომიკურად განმტკიცებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცხოველეობაში ბერწიანობისა და ძროხების დაბალი ჯიშობრივი შემადგენლობის აღმოფხვრაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს პირუტყვის ხელოვნური დათესვლის ორგანიზაცია.

პირუტყვის ხელოვნური დათესვლის სადგურები და პუნქტები საქართველოში 1958-1959 წლებში შეიქმნა. უპირველეს ყოვლისა ისინი საქართველოს სს რესპუბლიკის მეცხოველეობის საწარმოო სპეციალიზაციისა და გაადგილების ზონების მიხედვით შექმნეს.

პირუტყვის ხელოვნური დათესვლის კოლმეურნეობათაშორისი პუნქტი პირველად 1960 წელს ჩამოყალიბდა სიღნაღის და ქობულეთის რაიონებში.

1967 წლისათვის ამ პუნქტების მეპაიე კოლმეურნეობათა რაოდენობა 39-ს შეადგენდა, ხოლო მათ მიერ ფაქტიურად შეტანილი საპაიო შენატანების თანხა - 74,0 ათ. მანეთს უდრიდა. ძირითადი ფონდების ღირებულება 43,7 ათ. მანეთს, ხოლო საწესდებო ფონდების მოცულობა 75,2 ათ. მანეთს შეადგენდა. პირუტყვის ხელოვნური დათესვლის სიღნაღისა და ქობულეთის კოლმეურნეობათაშორისი სადგურებს 21 მუშაკი ემსახურებოდა (11 მუშა). მომუშავეთა წლიური ხელფასის ფონდი 18,8 ათ. მანეთს უდრიდა. 1966 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღნიშნულ პუნქტებში 11 ბუდა და 15 ერკემალი იყო, სულ პუნქტებში 1966 წელს 40 249 სული, ხოლო 7 წლის მანძილზე 126 734 სული პირუტყვი დაითესლა. მათ შორის დამაკდა: 1963 წელს — 10 671 სული, ანუ 92,6%, ხოლო 1960-1963 წწ. — 21 438, ანუ 89,9%. 1964 წლიდან დამაკების პროცენტი შედარებით გაიზარდა და იგი საშუალოდ წლიურად 95-100 პროცენტს შეადგენს. 1960-1966 წწ. პირუტყვის ხელოვნური პუნქტების შენახვაზე მთლიანმა დანახარჯებმა 143,7 ათ. მანეთი შეადგინა. ამ ხნის მანძილზე მიღებული იქნა მოგება 22,2 ათ. მანეთი.

პირუტყვის ხელოვნური დათესვლის სადგურების მუშაობის მოკლე პერიოდის გამოცდილება მათს ეკონომიკურ ხელსაყრელობაზე მეტყველებს.

ბერწიანობის თავიდან ასაცილებლად პირუტყვის კარგი მოვლა-შენახვისა და კვებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნური დათესვლის ფართო დანერგვას, იგი არა მარტო ამცირებს ბერწიანობასა და აუმჯობესებს ჯოგის ჯიშობრივ შემადგენლობას, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს ბუდის შენახვის ხარჯებს. ხელოვნური დათესვლის დროს რამდენადმე ადვილდება მთელი ზოტექნიკური სამუშაო და, რაც მთავარია, იქმნება სასურველი პირობები პირუტყვისათვის საშიში ინფექციური და გადამდები დაავადების ლიკვიდაციისათვის.

საქართველოში განსაკუთრებით ფართო გავრცელება პოვეს კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებმა მეფრინველეობის დარგში. მეფრინველეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმების ორგანიზაცია საქართველოს სსრ-ში ძირითადად 1958-1960 წლებში მოხდა. კოლმეურნეობათაშორისი მეფრინველეობის ფერმების შექმნამ რესპუბლიკაში რაიონების მიხედვით ყველა კოლმეურნეობას თანაბარი პირობები შეუქმნა საზოგადოებრივი მეფრინველეობის სათანადო განვითარებისათვის, რამდენადაც მეფრინველეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმებში გაერთიანდნენ ის კოლმეურნეობებიც, რომლებთანაც ადგილობრივ პირობებში ფრინველის მოშენების სათანადო პირობები არ ჰქონდათ. მაგ., ქობულეთის კოლმეურნეობათაშორისი მეფრინველეობის ფერმის ორგანიზაციამდე მთელ რაიონში 20 კოლმეურნეობას მხოლოდ 3,5 ათასი ფრთა ფრინველი



ჰყავდა. მათ შორის ლედვის, ქაქუთის, ქახათისა და ქობულეთის კოლმეურნეობებს მეფრინველეობის ფერმები სრულიად არ ჰქონდათ. ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობას მეფრინველეობის ფერმაში მცირე რაოდენობის ფრინველი ჰყავდა. კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმის შექმნის შემდეგ, 1959 წლისათვის რაიონში ფრინველის რაოდენობა 30,0 ათას აღემატებოდა, ხოლო კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის გაერთიანებაში რაიონის ყველა კოლმეურნეობა შევიდა.

კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმებს შესაძლებლობა მიეცათ ეწარმოებინათ გაცილებით მეტი კვერცხი და ფრინველის ხორცი, ვიდრე აწარმოებდნენ ცალკეული კოლმეურნეობები ფერმის შექმნამდე.

საკულისხმოა ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმების შექმნის შემდგომ რესპუბლიკაში ფრინველის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ნაცვლად 1958 წლის 7011,0 ათ. იგი 1959 წ. 7471,0 ათასამდე, ხოლო 1960 წელს 8332,0 ათ. გაიზარდა<sup>3</sup>.

კოლმეურნეობათა წილობრივი მონაწილეობის ოდენობა წინასწარ განისაზღვრა რაიონების მიხედვით კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის საბჭოს რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით.

კოლმეურნეობებმა ფულად სახსრებთან ერთად მეცხოველეობის ფერმებს გადასცეს სასაწყობო შენობები და ნაგებობები, გაწყობილობები, ტრანსპორტის საშუალებები და თვით ფრინველის გარკვეული რაოდენობა, რაც კოლმეურნეობებს ღირებულების მიხედვით ჩათვალათ საპაიო შენატანების ანგარიშში.

1961 წელს კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმების რიცხვი 37, 1962 წელს 35, ხოლო 1964 წლისათვის 25-ს უდრიდა. 1966 წელს სულ რესპუბლიკაში 30 კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმა იყო. მ. შ. 15 სპეციალიზებული და 15 არასპეციალიზებული, რომელთა მეპაიე 695 ორგანიზაცია იყო.

1966 წლისათვის კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმებში ფაქტიური საპაიო შენატანების თანხა 8442,0 ათ. მანეთს შეადგენდა, ხოლო ძირითადი საშუალებების ღირებულება 3684,7 ათ. მანეთს უდრიდა.

კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმების უმრავლესობამ 1959-1962 წწ-ში შეძლო აეგო ტიპური საქათმეები და განეხორციელებინათ ფრინველის მოვლისა და შენახვის სამუშაოების ცალკეულ პროცესთა მექანიზაცია. ფერმათა უმრავლესობაში მოეწყო სპეციალური საწიწილეები, გაიყვანეს წყალსადენები, შესაძლებელი გახდა ფერმების გარკვეული ნაწილის ელექტროფიცირება.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მეურნეობრივად სუსტი მეფრინველეობის კოლმეურნეობრივი ფერმების ნაცვლად შეიქმნა მსხვილი, სპეციალიზებული კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმები, სადაც შეიქმნა სათანადო პირობები შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მეფრინველეობის სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვის, მომსახურე და აღმინისტრაციული პერსონალის შემცირების, ადგილობრივი იათე საკვების წარმოების გადიდებისა და ფრინველის კვების გაუმჯობესებისათვის, საბოლოო ანგარიშში წარმოების მოცულობის ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

<sup>3</sup> Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году. Стат. ежегод., Тб., 1963, стр. 238.

კოლმეურნობათაშორისმა მეფრინველეობამ უკვე 1960 წლიდან კოლმეურნობრივი მეფრინველეობის გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეფრინველეობაში.

რესპუბლიკის კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებს წლების მიხედვით ჰყავდათ ფრინველი ათასობით: 1960 წ. — 1505, 1961 წ. — 180,7, 1962 წ. — 162,9, 1963 წ. — 177,7, 1964 წ. — 118,8, 1965 წ. — 155,0 1966 წ. — 170,9, რაც შესაბამისი წლების მიხედვით რესპუბლიკის კოლმეურნობებში, ფრინველის რაოდენობასთან შედარებით შეადგენს პროცენტობით: 1960 წ. — 18,9, 1961 წ. — 35,8, 1962 წ. — 32,9, 1963 წ. — 42,1, 1964 წ. — 43,4, 1965 წ. — 38,4, 1966 წ. — 39,5 პროცენტს.

1960-1966 წწ-ში ყოველწლიურად კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებში წარმოებული იყო რესპუბლიკის კოლმეურნობების მიერ მიღებული ფრინველის ხორცის რაოდენობის 70-80 პროცენტი.

კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებმა 1960-1966 წწ-ში მიიღეს კვერცხი ათას ცალით: 1960 წ. — 4578,0, 1961 წ. — 6333,0, 1962 წ. — 8052,0, 1963 წ. — 6379,0, 1964 წ. — 5605,0, 1965 წ. — 7150,0, 1966 წ. — 10920,0, ანუ შესაბამისად წლების მიხედვით კოლმეურნობრივ მეფრინველეობის მიერ წარმოებული კვერცხის 20,8%, 44,2%, 54,5%, 43,3%, 44,7%, 46,1%, 65,2 პროცენტი.

კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებს აქვამად ჰყავთ რესპუბლიკის კოლმეურნობათა ფრინველის რაოდენობის დაახლოებით ნახევარი, ყოველწლიურად ამზადებენ რესპუბლიკის კოლმეურნობებში წარმოებული ხორცის თითქმის ორ მესამედსა და წარმოებული კვერცხის ნახევარს.

კოლმეურნობათაშორისი ფერმებში ფრინველის ხორცის წარმოება ერთ კაცდღეზე წლების მიხედვით მაღალი იყო. რესპუბლიკის კოლმეურნობებში ფრინველის ხორცის წარმოებასთან შედარებით, პროცენტობით: 1960 წ. — 32,8%-ით, 1961 წ. — 51,5%-ით, 1963 წ. — 38,1%-ით, 1964 წ. — 6,7%-ით, 1965 წ. — 3,4%-ით, ხოლო 1966 წ. — 21,7 პროცენტით.

ერთ კაცდღეზე კვერცხის წარმოება შესაბამისად მაღალი იყო: 1961 წ. — 22,5%-ით, 1962 წ. — 18,6%-ით, 1963 წ. — 39,1%-ით, 1964 წ. — 38,1%-ით, 1965 წ. — 43,7%-ით, ხოლო 1966 წ. — 2,3 პროცენტით.

კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობაში პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია ვინემ კოლმეურნობრივ მეფრინველეობაში. მაგ., ერთი ცენტნერი ფრინველის ხორცის თვითღირებულება კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობაში წლების მიხედვით დაბალი იყო კოლმეურნობრივ მეფრინველეობასთან შედარებით, პროცენტობით: 1960 წ. — 12,0%-ით, 1961 წ. — 35,8%-ით, 1962 წ. — 23,1%-ით, 1963 წ. — 22,4%-ით, 1964 წ. — 21,8%-ით, 1965 წ. — 34,7%-ით, 1966 წ. — 28,6 პროცენტით.

ათასი ცალი კვერცხის თვითღირებულება შესაბამისად დაბალი იყო 1960 წ. — 61,7%-ით, 1961 წ. — 53,6%-ით, 1962 წ. — 80,4%-ით, 1963 წ. — 52,9%-ით, 1964 წ. — 67,9%-ით, 1965 წ. — 67,3%-ით, 1966 წ. — 67,3%-ით, 1966 წ. — 82,7 პროცენტით.

როგორც დავინახეთ, საქართველოში წვირილი, მეურნობრივად სუსტი მეფრინველეობის კოლმეურნობრივი ფერმების ნაცვლად სულ უფრო და უფრო მეტ გავრცელებას პოულობს კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1965 წელს გორის რაიონში შექმნილი

კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაობა, სადაც შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მეფრინველეობის სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვით, მომსახურე და ადმინისტრაციული პერსონალის შემცირებით. ადგილობრივი იაფი საკვების წარმოების გადიდებითა და ფრინველის კვების გაუმჯობესებისა და სხვ. ღონისძიებათა გატარების საფუძველზე მკვეთრად იზრდება წარმოების მოცულობა და მცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეფრინველეობის კოლმეურნობათაშორისი ფერმებში შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის კოლსა-ლური რეზერვები არსებობს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების ამოცანა ამ დარგის შემდგომ სპეციალიზაციისა და მსხვილი საფუტკრეების შექმნის აუცილებლობას მოითხოვდა.

მეფუტკრეობის კოლმეურნობათაშორისი ფერმებს საქართველოში 1958-1959 წლებში ჩაეყარა საფუძველი.

რესპუბლიკის იმ კოლმეურნობებს, რომელთაც არ ჰქონდათ ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები ამ დარგის ადგილობრივად განვითარებისათვის, მეფუტკრეობის კოლმეურნობათაშორისი ფერმების შექმნით ამ გაერთიანებაში მონაწილეობის საშუალება მიეცათ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში დუშეთის, ახალქალაქის, საჩხერის, ლენტეხისა და ჩხოროწყუს რაიონებში მოეწყო კოლმეურნობათაშორისი მეფუტკრეობის სპეციალიზირებული ფერმები, ხოლო მაიაკოვსკის, ახალციხის, ქედისა და ვანის რაიონებში კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებთან და პირუტყვის სასუქ პუნქტებთან მეფუტკრეობის არასპეციალიზირებული ფერმები შექმნეს.

1960 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნობათაშორისი მეფუტკრეობის 6 სპეციალიზირებული, ხოლო 4 არასპეციალიზირებული ფერმა არსებობდა.

1966 წლისათვის რესპუბლიკაში სულ 5 სპეციალიზირებული მეფუტკრეობის კოლმეურნობათაშორისი ფერმა იყო, რომელთა ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა 1967 წლის 1 იანვრისათვის 2997-ს უდრიდა. მეპაიე კოლმეურნობების მიერ ფაქტიურად შეტანილი საპაიო შენატანები 252,4 ათ. მანეთს, ხოლო ძირითადი საშუალებების ღირებულება 139,4 ათ. მანეთს შეადგენდა.

1960-1966 წლების მიხედვით საშუალოდ ფუტკრის ერთ ოჯახზე მიღებულია 10-14 კგ თაფლი და 90-140 გრ სანთელი.

კოლმეურნობათაშორისი მსხვილი საფუტკრეების შექმნა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ყველა შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა იგი ზრდის შრომის მწარმოებლურობას.

შრომის მწარმოებლურობის დონე კოლმეურნობათაშორისი მეფუტკრეობაში კოლმეურნობრივ მეფუტკრეობასთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია.

კოლმეურნობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში ერთ მომუშავეზე საშუალოდ 50, ხოლო ერთ მეფუტკრეზე 74,5 ფუტკრის ოჯახი მოდის, რესპუბლიკის კოლმეურნობებში ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა ერთ მეფუტკრეზე საშუალოდ 43 ოჯახს არ აღემატება. ერთ მეფუტკრეზე ნორმა 70 ფუტკრის ოჯა-



ნია. კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში ერთ მომუშავეზე საშუალოდ მიღებულია თაფლი 74,1%-ით და სანთელი 50 პროც. მეტი, ვიდრე კოლმეურნეობათა საფუტკრეობებში.

კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში 1 კაცლევზე წარმოებული თაფლი წლების მიხედვით საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს ალემატებოდა: 1960 წ. — 158,6%-ით, 1961 წ. — 105%-ით, 1962 წ. — 295,3%-ით, 1963 წ. — 130,8%-ით, 1964 წ. — 135,8%-ით, 1965 წ. — 113,0%-ით და 1966 წ. — 39,4 პროცენტით.

კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში წლების მიხედვით ერთ ცენტნერ პროდუქციის წარმოებაზე პირდაპირი შრომითი დანახარჯები 2-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე კოლმეურნეობათა საფუტკრეობებში. იგივე შეიძლება ითქვას ერთ ცენტნერ პროდუქციაზე ფულადი დანახარჯების მიმართ.

ერთი ცენტნერი თაფლის თვითღირებულება კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობაში წლების მიხედვით დაბალი იყო კოლმეურნეობრივ მეფუტკრეობასთან შედარებით, პროცენტობით: 1960 წ. — 79,4%-ით, 1961 წ. — 124,7%-ით, 1962 წ. — 60,2%-ით, 1963 წ. — 188,3%-ით, 1964 წ. — 42,4%-ით, 1965 წ. — 176,1%-ით, 1966 წ. — 37,1 პროცენტით.

შესაბამისად ერთი ცენტნერი სანთლის თვითღირებულება დაბალი იყო: 1960 წ. — 63,6%-ით, 1961 წ. — 98,1%-ით, 1962 წ. — 62,7%-ით, 1963 წ. — 188,7%-ით, 1964 წ. — 58,1%-ით, 1965 წ. — 88,7%-ით, 1966 წ. — 50,7 პროცენტით.

ფუტკრის ოჯახის ერთი წყარის: 1960 წ. — 75,0%-ით, 1961 წ. — 96,2%-ით, 1962 წ. — 63,2%-ით, 1963 წ. — 190,0%-ით, 1964 წ. — 158,8%-ით, 1965 წ. — 81,8%-ით, 1966 წ. — 5,8 პროცენტით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებთან შედარებით კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში უკეთაა მოწყობილი ფუტკრის მოვლა-პატრონობის საქმე; მაღალ დონეზეა ფუტკრის წარმატებით გამოზამთრების ორგანიზაცია და ფუტკრის ახალი ოჯახების გაფართოებული აღწარმოების გზით მიღება და შენარჩუნება. მეფუტკრეობის განვითარების ძირითად პირობას ფუტკრის ოჯახების გამრავლება და თითოეული ოჯახიდან თაფლის გამოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდება წარმოადგენს.

პირველ რიგში მეფუტკრეობის აღმავლობისათვის აუცილებელია ფუტკრის ოჯახების ყველა ზონაში გავრცელება, საფუტკრეთა გამსხვილება, მეფუტკრეთა ნორმალური დატვირთვის უზრუნველყოფა, საერთოდ მეფუტკრეობის გაძლიერების დონის ამაღლება.

მომავალში კოლმეურნეობათაშორისი მსხვილი სპეციალიზებული საფუტკრეობების შექმნა საშუალებას მოგვცემდა გამოყენებული ყოფილიყო ჩვენს რესპუბლიკაში მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ყველა შესაძლებლობა.

\* \* \*

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ საქართველოს სსრ-ში არსებული კოლმეურნეობათაშორისი კავშირები, როგორცაა: სამშენებლო ორგანიზაცია, ელექტროსადგურები, ელექტროდინამოგარათა საბჭო და ელექტროგადამცემი ხაზი, ავტობაზები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოკვებისა და სუქების პუნქტები, ღორების გამოკვების პუნქტები, მეფრინველეობის ფერმები, მეფუტკრეობის ფერმები და პირუტყვის ხელოვნური დათესვის სადგურები და პუნქტები.

როგორც ზეხდავთ, საქართველოს რესპუბლიკაში სხვადასხვა სახის კოლმეურნეობათაშორის გაერთიანებები არსებობს. ცალკეული სახის კოლმეურნეობათაშორის გაერთიანებას თავის მხრივ აქვს რამდენიმე ორგანიზაცია და საწარმო, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში 1966 წლის 1 იანვრისათვის 116-ს უდრიდა. 1960-1966 წლებში საქართველოში როგორც კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი, ისე არაწარმოებრივი კავშირების ცალკეული სახის საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობის შესახებ ზუსტ წარმოდგენას ქვემოთ მოტანილი ცხრილი გვაძლევს (იხ. ცხრილი 1).

საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების რაოდენობა\*

	1960	1965	1966
კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების რიცხვი . . . . .	148	117	116
მათი მებაიე კოლმეურნეობები . . . . .	2545	1980	2250
ერთი სახის საქმიანობის კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციებისა და საწარმოების რიცხვი . . . . .	95	59	52
მათი მებაიე კოლმეურნეობები . . . . .	1610	939	892
ერთი სახის საქმიანობის კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციებისა და საწარმოების საერთო რიცხვიდან:			
სამშენებლო . . . . .	2	2	—
ელექტროსადარბები . . . . .	31	20	12
პირუტყვის გამოსაკვები პუნქტები . . . . .	8	10	9
მეფრინველეობის ფერმები . . . . .	37	15	15
სოფლის მეურნეობის პირუტყვის ხელოვნური დათესვის (პუნქტები) სადარბები . . . . .	2	2	2
სხვადასხვა წარმოება და ორგანიზაცია . . . . .	15	10	14
შერეული სახის საქმიანობის კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებისა და ორგანიზაციის რიცხვი . . . . .	53	58	63
მათი მებაიე კოლმეურნეობები . . . . .	935	1041	1158
შერეული სახის საქმიანობის კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების რიცხვიდან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება . . . . .	44	45	48
სამშენებლო მასალების წარმოება . . . . .	44	45	48
	148	117	116

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციების რაოდენობა 1966 წელს 1960 წელთან შედარებით 32-ით შემცირდა.

კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების რაოდენობრივი შემცირება გამოიწვია რაიონების შიგნით რამდენიმე სპეციალიზებული ორგანიზაციისა და საწარმოს გაერთიანებამ.

1960 წელს კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მებაიე ორგანიზაციათა რაოდენობა რესპუბლიკაში 2545-ს უდრიდა, 1966 წლის 1 იანვრისათვის მათი რაოდენობა 2050-მდე შემცირდა. მებაიე ორგანიზაციათა რაოდენობა ძირითადად კოლმეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და ზოგიერთი კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნის გამო შემცირდა.

კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების ცალკეულ გაერთიანებათა და საწარმოთა, აგრეთვე მათი მებაიე კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობის შემცირება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კოლმეურნეობათაშო-

\* Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции, Тб., 1967, стр. 135.

რისი წარმოებრივი კავშირების თვისობრივი ზრდის შეფერხებას, პირიქით, ამ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირები შემდგომ გაფართოვდა და თვისობრივად გაიზარდა.

საქართველოს რესპუბლიკაში აშკარაა კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების თვისობრივი ზრდის ფაქტი, რაც შემდეგით მტკიცდება:

ა) გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ფაქტიურად შეტანილი საპაიო თანხები; წლების მიხედვით შეტანილი საპაიო თანხების ოდენობა შეადგენდა: 1960 წ. — 13973,5 ათ. მან., 1961 წ. — 17914,1 ათ. მან., 1962 წ. — 15882,0 ათ. მან., 1963 წ. — 18937,0 ათ. მან., 1964 წ. — 20098,0 ათ. მან., 1965 წ. — 21668,0 ათ. მან., ე. ი. 1965 წელს საპაიო შენატანების ოდენობა 1960 წელთან შედარებით 54,2 პროცენტით გაიზარდა.

ბ) ყოველწლიურად იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულებებით მოცულობა და უმჯობესდება მისი სტრუქტურა; 1961 წელს იგი გაიზარდა 10705,9 ათ. მანეთამდე, ნაცვლად 1960 წლის — 9926,3 ათ. მანეთისა, ანუ 78 პროცენტით. 1962 წელს — 12067,0 ათ. მანეთამდე, ანუ 3,3 პროცენტით, ვინემ 1961 წელს, 1963 წელს — 15398,0 ათ. მანეთამდე, 27,6 პროცენტით, ვინემ 1962 წელს, ხოლო 1966 წელს — 17136,0 ათ. მანეთამდე, ანუ 11,3 პროცენტით, ვინემ 1963 წელს.

გ) მნიშვნელოვნად გაიზარდა საწესდებო ფონდების ღირებულება; ნაცვლად 1960 წლის 13853,4 ათ. მანეთისა 1963 წელს საწესდებო ფონდების ღირებულებამ 17865,0 ათ. მანეთი შეადგინა, ანუ გაიზარდა 29 პროცენტით, ხოლო 1966 წლისათვის 19573,0 ათ. მანეთი შეადგინა.

დ) რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციები წარმოების ორგანიზაციის სრულყოფისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების შედეგად ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ოდენობით მოგებას იღებენ, წლების მიხედვით მიღებულია მოგება: 1960 წ. — 783,6 ათ. მან., 1961 წ. — 822,4 ათ. მან., 1962 წ. — 1160,0 ათ. მან., 1963 წ. — 1232,0 ათ. მან., 1964 წ. — 1152 ათ. მან., 1965 წ. — 1760 ათ. მან., 1966 წ. — 2599 ათ. მანეთი.

ე) რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაობს კოლმეურნეების, მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დიდი რაოდენობა. 1966 წელს მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი 1280-ს უდრიდა. აქედან 1154 ქალი იყო. მომუშავეთა საერთო რაოდენობიდან მუშების რიცხვი 10269-ს, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი 871 კაცს შეადგენდა.

მომუშავეთა სიობრივი შემადგენლობის ხელფასის წლურით (ფაქტიური) ფონდი 14211,0 ათ. მანეთს უდრიდა.

საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი კავშირების ძირითადი საშუალებები რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდების მიმართ დაახლოებით 2,5% -ს შეადგენს.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათაშორისმა წარმოებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში. ამ ეტაპზე კოლმეურნეობებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაახლოებით 70-80 პროცენტს მხოლოდ კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციები ახორციელებენ.

საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციებს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიმართ სოფ-



ლის მეურნეობის ცალკეული დარგების წარმოების მიხედვით ჯერ კიდევ მცირე, მაგრამ მაინც საყურადღებო ხვედრითი წონა უჭირავს.

კოლმეურნეობებთან შედარებით კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციების ხვედრითი წონა მეცხოველეობის დარგში როგორც ცალკეული სახის პირუტყვის სულალობის, ისე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ 0,8-1,5 პროცენტს არ აღემატება. მეფრინველეობის დარგში კოლმეურნეობათაშორისი მეფრინველეობის ხვედრითი წონა კოლმეურნეობრივი მეფრინველეობის დაახლოებით 35%-ს, ხოლო საბჭოთა მეურნეობრივი მეფრინველეობის 45%-ს შეადგენს.

კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების ცალკეული ქვედარგების მიხედვით დამკვიდრება და განვითარება სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციის შემდგომ გაღრმავებას იწვევს. ამავე დროს ხელს უწყობს სოფლისმეურნეობრივი შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გადაქცევას.

კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების განვითარება მოწმობს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესის გაძლიერებას კოლმეურნეობებში, რაც ქმნის შესაძლებლობას სრულყოფილად გამოყენებული იქნეს კოლმეურნეთა რეზერვები და შესაძლებლობანი სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაუმჯობესებისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდისათვის.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სოფლის ინსტიტუტმა)

## ოთარ ჩიქოვანი

### ქ. ფოთის წყალდიდობისაგან ღაცვის ისტორიისათვის

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მელიორაციული სამუშაოები საქართველოში ფართო მასშტაბით გაიშალა. დაიწყო მუშაობა დანგრეული არხების აღდგენის, ძველი არხების გადაკეთებისა და ახალ სარწყავ ნაგებობათა აშენებისათვის. 1922-1924 წლებში საქართველოს მიწათმოქმედების რაიონებში გაყვანილი იქნა 145 ვერსის სიგრძის სარწყავი არხები, რომლებიც რწყავდა 46 500 ჰექტარ მიწას<sup>1</sup>.

საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე დიდი ყურადღებით მოეკიდა კოლხეთის დაბლობის დაშრობის პრობლემის გადაწყვეტას. საქართველოში დიდ სამამულო ომამდე ჩატარებულ მელიორაციულ სამუშაოებს შორის ყველაზე გრანდიოზული იყო კოლხეთის დაბლობის დასაშრობი სამუშაოები.

კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობად ჩატარებულ პიდროტექნიკურ სამუშაოთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ღონისძიებანი, რომლებიც ჩატარდა ქ. ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავად. როგორც ცნობილია, საუკუნეების განმავლობაში წყალდიდობა ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა ქალაქ ფოთის მოსახლეობას. „ფოთის მომავალი თითქმის არავის სწამს, — წერდა ნიკო ნიკოლაძე 1871 წელს, — „ღღესა ვართ, ამბობენ ფოთელები, ხელ არაო“. ხან რიონი მოდიდებდა და ფოთის ჭაობებზე ვადივლის, ხან პალიასტომის ტბისაგან გამომავალი კაპარჭინა ვადაივლის ზედ, ხან ზღვის ქარი ახდის სახლების სახურავს და სრულ მეპატრონედ გატრიალ-გამოტრიალდება სადგომებში, ხან ნისლი დამალავს მთელ ქალაქს, ხან მზე გადაწვას დაუპირებს. რა იყო ფოთი ამ თხუთმეტი წლის წინათ? არც მარჯვნივ, არც მარცხნივ არაფერი სჩანდა წყლისა და ტყის მეტი. ზეით საძაგლათ მოღრუბლული ცა ეფარა კაცს თავზე და ქვემოთ შესაზიზღებელი ჭაობი ჰქონდა, რომელშიაც ფეხი ივლებოდა კაცის უნებურათ“<sup>2</sup>. „ფოთის ადგილ-მდებარეობის უცუდესი მხარე ის არის, — წერს ნ. ნიკოლაძე შემდეგ, რომ ის მეტად დაბალი და ჭაობიანია; დიდი წვიმებისა და რიონის წყალდიდობის დროს ქალაქი წყლით სავსეა. მე მითხრეს, რომ როდესაც რიონი ვადაივლის თურმე, წყალს შემოაქვს ხშირად ეზოებში და სახლების ქვეშ პატარა თევზები, მაგალითად, კობრები, რომელთაც ხელით იჭერენ. რასაკვირველია, ამისთანა დაცემულს და წყლიან ადგილს მეტად ნოტიოვანი ჰავა აქვს. პირველ შეხედვით, კაცი იტყვის, რომ ეს ხოლერის და ყველა გვარი ციებ-ციხელების ბუდე უნდა იყოსო, და მართლაც აქაური ჰავა კარგი არ არის“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, ნაწ. 3, თბილისი, 1967, გვ. 56.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1962, გვ. 549-550.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 448.

თავისი მასშტაბითა და მიყენებული ზარალის რაოდენობით ყველა წესიერ სულ სტიქიურ უბედურებას აღემატებოდა ის წყალდიდობები, რომლებიც თავს დაატყდა ფოთს 1895 და 1922 წლებში.

1895 წლის 30-31 ოქტომბერს გამუდმებულმა წვიმებმა და ნიაღვრებმა აადიდა მდინარეები. წყალმა ააოხრა ნიგოთის, ლანჩხუთის, ჯურჯეთის მამულები. რიონიდან ნიაღვარი გადავიდა პალიასტომის ტბაში, აქედან მდ. კაპარჭინაში, რომელმაც გაგლიჯა დამბები და მოედო ფოთის ქუჩებს. 31 ოქტომბრის ნაშუადღევს 2 საათისათვის მთელი ქალაქი დაიფარა წყლით. 31 ოქტომბერს დამით წყალმა უფრო იმატა და 1 ნოემბერს დიდ-დიდი მდინარეები მიდიოდა ქუჩებში. მდ. კაპარჭინის მხრიდან წყალს მოჰქონდა შეშა, ფიცარი, ტივები, დიდი ხეები.

წყალდიდობის შედეგად ფოთს დიდი ზარალი მოუვიდა. „დღეს ფოთი წარმოადგენს მტრისაგან აკლემულ ქალაქს... დიდი ზარალი მიეცა სამხერხაოების მექარხნეებს და მეშეშეებს; ზარალი თვით ქალაქისა ერთობ დიდია, რადგან ქუჩები დააფუჭა, სამოცამდე რკინის ფარნები დაღწა და წააქცია, ბოგირები დაგლიჯა და წაახდინა“<sup>4</sup>.

ქალაქის თავმა ნ. ნიკოლაძემ ოპერატიული ზომები მიიღო ხალხის გადასარჩენად. 2 საათის განმავლობაში ქუჩები აივსო ნავეებით, ფელუკებით. წყალს შეებრძოლა ყველა, ვისაც კი შეეძლო, ფელუკებითა და ნავეებით ხალხი გადაჰყავდა და აბინავებდა სადგურის ოთახებში, ყაზარმებსა და ვაგონებში. ხალხი დაისხნეს და აღმოუჩინეს დახმარება. შედგა კომიტეტი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის თავმჯდომარეობით ფოთის ღარიბთა და დაზარალებულთა დასახმარებლად<sup>5</sup>.

ნ. ნიკოლაძე დიდი მონდომებით შეუდგა წყალდიდობისაგან ფოთის დასაცავი ღონისძიებების განხორციელებას. მდ. რიონზე აგებული იქნა ახალი დამბა (ხლუდე) 1014 მ სიგრძისა და შეკეთებული იქნა ძველი მიწისავე დამბა 724 მეტრის სიგრძით; მდინარე კაპარჭინაზე აგებული იქნა ახალი დამბა სიგრძით 820 მეტრი და შეკეთდა ძველი—სიგრძით 1331 მეტრი; მდ. კაპარჭინაში და რიონში — თითოეულში კემენტის 7 ახალი საგუმბარი ააშენეს. გარდა ამისა 7 კილომეტრისა და 752 მეტრის მანძილზე გაიყვანეს არხები (1,5 მეტრიდან — 6,5 მეტრამდე სიღრმით) რათა კაპარჭინისა და პალიასტომის წყალი მოვარდნის დროს თავისუფლად შერთვოდა რიონსა და შავ ზღვას. თავისი პირდაპირი დაწინაურების გარდა ამ არხებმა დიდი სამსახური გაუწია ფოთელებს ჭაობების ამოშრობის საქმეშიც<sup>6</sup>.

ივერიის კორესპონდენტმა ნ. ნიკოლაძის დამსახურებას სტიქიასთან ბრძოლაში ასეთი შეფასება მისცა: „რა არ შეუძლიან ზეგარდმო ნიჭით მომადლებულს ადამიანსა? ხალხს ყოველთვის სჭიროდა და სჭირია პრომეთეოსი, რომ ასე გასინჯეთ, თვით ღმერთებსაც კი წაართვას ცეცხლი. ხალხი გაათბოს უმეტესად. ასეთი ბელადი იყო ამ საშინელ დღეს ბატონი ნიკო ნიკოლაძე. თავგანწირულებამ ქალაქის მოურავისამ ხალხს სული ჩაუდგა, გაამხნევა და შეაჭრა ბუნების მოვლენას“<sup>7</sup>.

<sup>4</sup> გაზ. „ივერია“, 1895 წ., № 254.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 341.

<sup>7</sup> გაზ. „ივერია“, 1895 წ., № 254.



გამანადგურებელი შედეგებით აღინიშნა აგრეთვე წყალდიდობა, რომელიც 1922 წლის 22-26 ოქტომბერს თავს დაატყდა დასავლეთ საქართველოს მახრებს (იმერეთს, გურიას, სამეგრელოს).

ბევრ ადგილებში მდინარეებმა გადახეთქეს კალაპოტებში და მოედვნენ ახლომდებარე სოფლებს. მთელი რაიონები წყალქვეშ იყო მოქცეული: დაინგრა სახლები, წყალმა წალეკა სიმინდის ყანები, დაახრჩო დიდძალი საქონელი და შინაური ფრინველი; წაიღო ხიდები, წისქვილები და სხვ. იყო ადამიანთა მსხვერპლიც<sup>8</sup>.

27 ოქტომბერს ღამის 10 საათზე წყალდიდობამ ქ. ფოთს უწია. პალიასტომის ტბიდან მოზღვავებულმა წყალმა გადმოხეთქა დამბები და ელვის სისწრაფით გადაეშვა შუაგულ ქალაქში. წინა დღეებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შემოიარეს თითქმის ყველა რაიონი, მოქალაქეთ ამცნეს მოსალოდნელი საფრთხე, დაანუგეშეს და აღუთქვეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონისძიებას იხმარდა, რომ არც ერთი მოქალაქე არ გამხდარიყო მსხვერპლი ამ სტიქიური მოვლენისა<sup>9</sup>.

ფოთის აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით სასწრაფოდ შედგა წყალდიდობის წინააღმდეგ ზომების მიღები კომისია, რომელიც დაიყო 3 ქვეკომისიად. ერთ ნაწილს ამ კომისიის დაევალა მდ. კაპარჭინის დამბის და საგუბრების შემაგრების საქმე და მთელი სანაოსნო საშუალებების მობილიზაცია; მეორე ნაწილს დაევალა რაიონზე ხიდების თვალყურის დევნება. ამავე კომისიას დაევალა ზრუნვა ქალაქის ერთი ნაწილის — „ნაბადას“ უბნის მცხოვრებლებზე, რომლებსაც საშინაოება მოელოდათ რაიონის მხრით რკინიგზის სადგურიდან მე-7 ვერსზე გადახეთქვის დროს. მე-3 ქვეკომისიას ევალებოდა ზრუნვა მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფაზე.

კომისია სასწრაფოდ შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას:

მიუხედავად ქალაქის მოსახლეობის და ხელისუფლების მიერ მიღებული ზომებისა, ქალაქი 2 საათის განმავლობაში გაივსო წყლით. ქუჩებზე ყველგან დაუბრკოლებლივ დაცურავდნენ დიდი ზომის ნავები და დაბალ და ფარალალა სახლებში მცხოვრებნი სასწრაფოდ გადაჰყავდათ უფრო საიმედო ადგილებზე. 27 ოქტომბერს წყლის დონემ ქალაქში 1 მეტრსა და 80 სმ-ს მიაღწია. წყლის დენა ყველა ქუჩაზე ისე ძლიერი იყო, რომ ნავები დიდი გაჭირვებით მოძრაობდნენ.

მდ. რიონმა წალეკა ჩრდილო ტოტის დროებითი ხიდი და გაგლიჯა აგრეთვე შუა ნაწილი მალთაყვის ხიდისა, რომელიც ერთადერთი შემაერთებელი იყო ქ. ფოთისა და მის რაიონისა გურიასთან.

მიღებული ზომების წყალობით ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა, დაიღუპა დიდძალი პირტყვი, წყალმა წაიღო რამდენიმე სახლი, აუარებელი ხე-ტყის მასალა, გაანადგურა ქალაქის ბაღები, სურსათ-სანოვაგე ქალაქის მდინარეებში სრულიად განადგურდა. ზარალი დიდი იყო.

მცხოვრებთა საკვებად კომისიის დადგენილებით იხარჯებოდა სასურსათო კომისარიატის და რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომისარიატის სასარგებლოდ ფოთში დაგროვილი პურის ფქვილი, ვინაიდან ქალაქში სხვა საშუალება

<sup>8</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 2 ნოემბერი.

<sup>9</sup> იქვე, 11 ნოემბერი.

არ იყო. მთელ ქალაქს მოედო მალარია და გაცივებით გამოწვეული მრავალი სხვაგვარი ავადმყოფობა<sup>10</sup>.

საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1922 წლის 5 ნოემბერს მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, მუშებსა და გლეხებს, რათა დახმარება გაეწიათ წყალდიდობისაგან დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის. „საბჭოთა საქართველო დღეს ძალიან მძიმე და უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა, — ნათქვამი იყო მოწოდებაში — უნდა მოეწყოს დაზარალებულ გლეხთა დახმარების საქმე. ამისათვის დიდძალი თანხები საჭირო. საბჭოთა მთავრობამ უკვე მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, მაგრამ ამისათვის საკმარისი რესურსები არ მოეპოვება. საჭიროა რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს ამ სახსარის გამოძებნა სხვაგვარი საშუალებებით. ჩვენ ვიცით, რომ ყველა რაიონები არ დაზარალებულა ამ უკანასკნელი წყალდიდობით, როგორც მაგ., კახეთი და ქართლის ნაწილი. საჭიროა, რომ არა დაზარალებული მაზრების გლეხთაგან თავის თავად გაუწიოს დახმარება დაზარალებულ რაიონებს. ამასთან ერთად საჭიროა ეხლავე შეუდგეთ ყველგან შემოწირულობათა შეგროვებას ფართო მასშტაბით. ამ საქმეში უნდა ჩაებან საბჭოთა და პარტიულ-პროფესიონალური ყველა ორგანიზაციები, ყველა სახალხო კომისარიატები, პროფკავშირთა საბჭო და სხვ.“<sup>11</sup>.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ასეთივე მოწოდებით მიმართავდა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებს.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა თავის 1922 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე, რომელსაც ფილიპე მახარაძე თავმჯდომარეობდა, დაადგინა მიეცათ წყალდიდობისაგან დაზარალებული მაზრებისა და ქალაქებისათვის სასწრაფო დახმარება — 5 500 000 000 მან.<sup>12</sup>

დახმარების ხელი გამოუწოდა საქართველოს საფრანგეთის „წითელმა ჯვარმაც“, რომელმაც შემოსწირა საქართველოს „წითელ ჯვარს“ 3 905 ფუთი კონსერვი და სხვა სანოვავე. ეს შემოწირულება გადაეცა საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს<sup>13</sup>.

მიუხედავად ეკონომიური სიძნელეებისა, რასაც ქვეყანა განიცდიდა, საბჭოთა ხელისუფლებამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი წყალდიდობისაგან ქ. ფოთის დაცვის სამუშაოებს.

1923 წ. იანვ. 6. გ. ზუნტურდის მიერ ჩატარებული იქნა სადაზვერვო კვლევადებითი სამუშაოები მდ. რიონსა და სუფსას შორის. სადაზვერვო სამუშაოების მიზანი იყო გამოკვლევა იმ მიზეზებისა, რომლებიც იწვევდა ქ. ფოთის წყლით დაფარვას, დატბორვას. მუშაობა მიმდინარეობდა ამიერკავკასიის ნავსადგურების განყოფილებისა და ფოთის აღმასკომის სახსრებითა და ინიციატივით. 1923/24 წწ-ში ამ საქმეზე დაიხარჯა 6 817 მან. 10 კაპ.

1924 წ. აკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის განკარგულებით ჭალადილი-ცივის ჭაობების რაიონში ვათხრილი იქნა ორი დამშრობი არხი. მაგრამ იმის გამო, რომ სამუშაო შესრულდა ყოველგვარი გამოკვლევისა და პროექტის გარეშე, არხები არ გამოდგა და მათი გამოყენება შემდგომში შეუძლებელი შეიქნა<sup>14</sup>.

<sup>10</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 4 ნოემბერი.

<sup>11</sup> იქვე, 5 ნოემბერი.

<sup>12</sup> იქვე, 31 ოქტომბერი.

<sup>13</sup> იქვე, 12 დეკემბერი.

<sup>14</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფ. 591, ანაწ. 1, საქმე 7, ფურც.1.

გამოკვლევებით დადასტურდა რომ წყალდიდობის დროს ფოთს მთავარ საფრთხეს უქმნიდა პალიასტომის ტბა, რომელშიც გადადიოდა ადიდებული რიონის წყლები. ამ წყლების პალიასტომის ტბიდან ზღვაში სწრაფად ჩასადენად გადაწყდა დამატებით მოკლე შესართავი არხის გათხრა. ამრიგად, ზედმეტი წყლები პალიასტომის ტბიდან ზღვაში ჩაედინებოდა არა მარტო გრძელი და ვიწრო კალაპოტის მქონე კაპარჭინით (8-9 კმ), რომელიც ბუნებრივად გამოედინება პალიასტომიდან, არამედ მოკლე შესართავითაც<sup>15</sup>. ამ ახალი შესართავი არხის მშენებლობა დაიწყო 1925 წლის მარტში და დამთავრდა იმავე წელს. არხის სიგრძეა 587.08 მ, ხოლო მის ამოსაღებად შესრულებული მიწის სამუშაოების რაოდენობა შეადგენდა 55.487 კუბ. მ-ს. ამ მოკლე შესართავი არხის გათხრით მოიხსნა საშიშროება წყალდიდობის დროს პალიასტომის ტბაში წყლის დონის საშიში აწევისა და ფოთის დატბორვისა. 1924-25 წწ-ში დაიხარჯა 151 758 მან. 64 კაპ.<sup>16</sup>

გარდა მოკლე პირდაპირი შესართავი არხის გაყენისა, ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავად 1925 წლის მაისში ჩატარდა გამოკვლევები და შედგა პროექტი ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავი მიწაყრილისა; ეს მიწაყრილი (სიგრძით 5 1/2 კმ.) უნდა შემოეკლათ ქალაქისათვის პალიასტომის ტბისა და მდ. კაპარჭინის მხრიდან. იმავე წლის ივნისში დაიწყო მიწის სამუშაოებიც.

იმის გამო, რომ სამუშაო პირობები ძალზე მძიმე და არახელსაყრელი იყო (არ ემაროდა მუშახელი, რიონის წყალი ხშირად ფარავდა ღია კარიერს, საიდანაც იღებდნენ მიწას) წყალსაცავი მიწაყრილის მშენებლობა, 1927 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. აყალი მიწის ურმებით<sup>17</sup> ეზიდებოდნენ, 2 კმ და 675 მეტრზე კი მიწის ზიდვა ხდებოდა ორთქლმავლებითაც, რომელსაც ება 54 თვიომცლელი ვაგონები<sup>18</sup>.

წყალსაცავი მიწაყრილის მშენებლობა დამთავრდა 1927 წელს. სამუშაოთა შემფასებელი კომისიის დასკვნით (1927 წ. 1 სექტემბერი) მიწაყრილის სამუშაოები შესრულებული იყო კეთილსინდისიერად, საპროექტო მოცემულობათა დაცვით. მიწაყრილი აგებული იყო 5.73 კმ სიგრძისა; მისი სიგანე ზემო ნაწილში შეადგენდა 3,2 მეტრს და მთელ სიგრძეზე დაფარული იყო მწვანე საშოვლით. მიწაყრილის მშენებლობაზე შესრულდა სულ 53 162,25 კუბ. მ მიწის სამუშაო და ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 133 000 მანეთი<sup>19</sup>.

შემდგომმა გამოკვლევებმა ნათელი გახადა, რომ ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავად ჩატარებულ სამუშაოები საკმარის გარანტიას არ იძლეოდა მომავალში საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აუცილებელი შეიქმნა მდ. რიონის კალაპოტისათვის მიმართულების შეცვლა, ქალაქისათვის გვერდის ავლა. კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ წყლის ჰორიზონტი მდ. რიონში ატმოსფერული ნალექების გამო ბატონობდა ქალაქის წყლის საწრეტი არხების დონეზე, რის მიზეზითაც ხდებოდა ნაწვიმარი წყლების დაჟებება, დაჭაობება და მალარიის ზრდა, მასთან ხშირი წყალდიდობაც.

რიონის ახალ კალაპოტში გადაგდება აუმაჯობესებდა ქალაქის სანიტარულ პირობებს, ხელს უწყობდა ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ჭაობების დაშრობას, საწრეტი და მაგისტრალური არხების ნორმალურ მოქმედებას, წყალსადე-

<sup>15</sup> იქვე, ფ. 675, საქმე 391, ფურც. 48.

<sup>16</sup> იქვე, ფ. 591, ანაწ. 1, საქმე 7, ფურც. 1-4.

<sup>17</sup> ფოთის საქალაქო არქივი, ფ. 39, ანაწ. 1, საქმე 86, ფურც. 98.

<sup>18</sup> იქვე, საქმე 4, ფურც. 22. <sup>19</sup> იქვე, საქმე 32, ფურც. 122-144.



ნის გაყვანას, მალარიის მოსპობას და ფოთის საკურორტო რაიონად გადაქცევას<sup>20</sup>.

მდ. რიონის ახალ კალაპოტში გადაგდების ტექნიკური პროექტი დამტკიცებული იქნა სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის. სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს მიერ 1934 წ-ის 9 აგვისტოს სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა (საორიენტაციოდ) 60 000 000 მანეთით<sup>21</sup>. ამ პროექტის მიხედვით ჩატარებული სამუშაოების შედეგად მდ. რიონმა იცვალა თავისი საუკუნეობრივი დინება, გვერდი აუარა ფოთს შესართავიდან მე-7 კმ-ზე და ქალაქის ჩრდილოეთით 5,5 კილომეტრზე 70 მეტრიანი სიგანის არხით შეუერთდა შავ ზღვას.

რიონის ახალ კალაპოტში გადაგდების სამუშაოები დასრულდა 1939 წელს<sup>22</sup>. ამოღებული იქნა 6 მილიონი კუბ. მ მიწა. ამ ვეებერთელა არხზე საჭირო შეიქმნა რკინიგზის ახალი ხიდის აგება (სიგრძე 408 მ)<sup>23</sup>. ამ ხიდის მშენებლობა დაჯდა 14 მილიონი მანეთი<sup>24</sup>.

მდ. რიონის ახალ კალაპოტში გადაგდებით ქ. ფოთს საბოლოოდ მოეხსნა წყალდიდობის საფრთხე, გაუმჯობესდა ქალაქის სანიტარული პირობები და შესაძლებელი შეიქმნა 1 500 ჰექტარი მიწის ფართობის სოციალისტური მეურნეობისათვის გამოყენება.

\* \* \*

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს უხვი აგროკლიმატური პირობები მთელი სისრულით არ იყო გამოყენებული. ციტრუსების კულტურას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამდე შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი განვითარებისათვის დიდი ბუნებრივი შესაძლებლობა იყო. 1913 წ-ს ციტრუსოვანი კულტურების (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი და სხვ.) ფართობი 500 ჰექტარს შეადგენდა. მენშევიკების დროს ეს ფართობი კიდევ უფრო შემცირდა და 375 ჰექტარამდე დავიდა<sup>25</sup>.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ციტრუსოვანი კულტურების განვითარება საქართველოში ფართო მასშტაბით გაიშალა. სუბტროპიკულ კულტურათა განსავითარებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კოლხეთის ჭაობების ამოშრობას, რაც ნათლად ჩანს ფოთისა და მისი მიდამოების, მთელი რაიონის მაგალითზეც. 1921 წლიდან დაწყებული 15 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიიღო სპეციალური განხრა — მაღალხარისხოვანი და ძვირფასი კულტურების განვითარებისაკენ; საქართველო იქცა საბჭოთა კავშირის უადრესად მნიშვნელოვან რაიონად — ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკულ მცენარეთა რაიონად. 1936 წ. ციტრუსების ფართობმა საქართველოში 3 300 ჰექტარს მიაღწია. 1935 წ. საქართველოში დამზადებულ იქნა 200 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, ნაცვლად 1931 წლის 77 მილიონისა<sup>26</sup>.

<sup>20</sup> გაზ. „მშენებარე კოლხიდელო“, 1936 წ. 9 თებერვალი.

<sup>21</sup> ფოთის საქალაქო არქივი, ფ. 39, ანაწ. 1, საქმე 1237, ფურც. 2.

<sup>22</sup> А. Ф. Биркяя, Методы мелиорации болот и засоленных земель влажных субтропиков Колхиды, Тбилиси, 1960, გვ. 240, (სადოქტორო დისერტაცია).

<sup>23</sup> ფოთის საქალაქო არქივი, ფ. 39, ანაწ. 1, საქმე 1015, ფურც. 8.

<sup>24</sup> გალ. მინდაძე, სუბტროპიკული კულტურების ბაღნარი კოლხიდაში, ჟურნ. „ტექნიკა და შრომა“, თბილისი 1934 წ. მაისი, № 5(81), გვ. 201 (33).

<sup>25</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1936 წ. 20 თებერვალი.

<sup>26</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1936 წ. 20 თებერვალი.

ისევე როგორც მთელ საქართველოში — ფოთის რაიონშიც ციტრუსოვანი კულტურების დარგვა-გაშენებლს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შემოთხვეუთი ხასიათი ჰქონდა. მხოლოდ ცალკეულ საკარმიდამო ნაკვეთებზე შეხედებითი ციტრუსებს, ლევს, ბროწეულს, დაფნას, ბერძნულ თხილსა და ატამს; მაგრამ მათ სამრეწველო მნიშვნელობა არ ჰქონდათ და ძლივს აკმაყოფილებდნენ თვით გლეხის ოჯახის მოთხოვნილებას.

1924-25 წლების ზამთრის ძლიერმა ყინვებმა გაანადგურეს ციტრუსების ნარგავები ფოთსა და მის რაიონში. მიუხედავად ამისა მოსახლეობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი მის გაშენებას. 1933 წლამდე ფოთის რაიონში ციტრუსების ნარგავების ფართობი 17,5 ჰექტარს შეადგენდა. 1933 წლიდან სწრაფი ტემპით დაიწყო ციტრუსების განვითარება, კერძოდ დაჭაობებისაგან ახლად განთავისუფლებული მიწების ხარჯზე.

1933 წ. ქ. ფოთის გარეუბანში კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო სადგურმა მისთვის მიცემული მიწის ნაკვეთიდან გამოჰყო 240 ჰექტარი ფართობი გრეიპფრუტის გასაშენებლად. ამ ფართობზე მოწყობილ იქნა საბჭოთა კავშირში ერთადერთი გრეიპფრუტის სპეციალური საბჭოთა მეურნეობა<sup>27</sup>.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ამერიკელებმა ბაზარზე გამოუშვეს ახალი ციტრუსოვანი ნაყოფი გრეიპფრუტი, რომელიც ძლიერ განსხვავდებოდა არსებულ ციტრუსოვანთაგან — ლიმონის, ფორთხალისა და მინდარინისაგან, იგი ამათგან ძირითადად თავისებური გემოთი განსხვავდება. გრეიპფრუტში შეერთებულია სიტკბო, სიმკვავე და სიმწარე. გრეიპფრუტის სამრეწველო გაშენების სამშობლოდ ითვლება ფლორიდა და ამერიკის ეს შტატი დღემდის მისი წარმოების ჰეგემონი და მონოპოლისტია.

ჩვენში გრეიპფრუტი, ან უფრო სწორად მისი ძალიან მახლობელი ნათესავი „პამპელმუსი“ შემოიტანა იქნა იაპონიიდან 1895 წ-ს კლინგენისა და კრასნოვის ექსპედიციის მიერ. შავი ზღვის სანაპიროს პირობებში პამპელმუსმა ჩინებულად იხერია და ჰავასაც კარგად შეეგუა.

ნამდვილი გრეიპფრუტის — სელექტირებული ხარისხოვანი პამპელმუსის ორი ნერგი სოხუმში შემოიტანა აკად. ნ. ი. ვავილოვმა 1928 წ-ს. ამ ხეებმა მთლიანად დაადასტურა მისი ჩინებული განვითარების შესაძლებლობა ჩვენში<sup>28</sup>.

1933 წ. ამერიკიდან ფოთში შემოიტანეს გრეიპფრუტის ნერგები. იმავე წელს გრეიპფრუტის საბჭოთა მეურნეობის ამოშრობილ ნაკვეთზე დარგული იქნა 3 000 ცალი ორწლიანი გრეიპფრუტი. ამ ნერგების მოვლა-პატრონობა და სრული აგრონომიული ხელმძღვანელობა დაეკისრა კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო სადგურს (აგრონ. პ. კორძაას). ამერიკელი სპეციალისტების ვარაუდით, გრეიპფრუტი სპეციფიკური ხასიათის მცენარეა და იგი არსად იხერება გარდა ფლორიდისა. ევროპაში გრეიპფრუტის აკლიმატიზაციის ცდამ ვერ გამოიღო დადებითი ნაყოფი. საბჭოთა აგრონომების ენერგიამ და მეცნიერულმა მომზადებამ თავისი შედეგი გამოიღო — გრეიპფრუტმა კოლხეთის დაბლობზე იხარა<sup>29</sup>.

<sup>27</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1941 წ. 15 მაისი.  
<sup>28</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1936 წ. 9 თებერვალი.  
<sup>29</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1937 წ. 20 ოქტომბერი.

გრეიფერუტის პირველი ნაყოფი საბჭოთა მეურნეობაში 7 ცალის რაოდენობით 1934 წ. იქნა მიღებული. ის საესებით შეეფერებოდა ამერიკულ სამრეწველო სტანდარტს, როგორც ფორმით, ისე გემოთი. 1935 წ-ს მოიკრიფა 80 ცალი, 1936 წელს კი 400 ცალი გრეიფერუტ<sup>30</sup>. 1937 წ-ს გრეიფერუტის ნაყოფს პირველად მიეცა სამრეწველო მნიშვნელობა. ამ წელს მოიკრიფა 25 000 ცალი გრეიფერუტის ნაყოფი. 13 დეკემბრისათვის უკვე მოკრეფილი იყო 8 ათასი გრეიფერუტის ნაყოფი, აქედან 5 ათასი გადასამუშავებლად გაეგზავნა ქუთაისის საკონსერვო ქარხანას, 3 ათასი კი კონსერვაციალების ტრესტს თბილისში<sup>31</sup>.

1935 წლის დამდეგს საიმპორტო მასალის ნერგებს მიემატა 10 ჰექტარი უკვე საკუთარი მასალა, ხოლო 1934 წლის შემოდგომაზე კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო სადგურმა კვირტით ამყნო 25 000 ცალი გრეიფერუტის ნერგი. ფოთის გრეიფერუტის საბჭოთა მეურნეობა საესებით დაეუფლა გრეიფერუტის კულტურის შექმნისა და ორგანიზაციის ტექნიკას და მან უკვე თავისი ძალეობით 1935 წლის ზაფხულში კვირტით ამყნო 60 000 ცალზე მეტი გრეიფერუტის ნერგი, რომლებმაც მომდევნო წლებში შექმნეს დამატებით გრეიფერუტის ახალი ფართობები<sup>32</sup>. ყოველივე ამის შედეგად ფოთის გრეიფერუტის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც 1933 წელს 3,5 ჰექტარი ეკავა 1937 წლის ბოლოსათვის 53 ჰექტარზე იყო გადაჭიმული. გრეიფერუტელებმა 1938 წ. სახელმწიფოს ჩააბარეს 42 000 ცალი ნაყოფი, ხოლო 1939 წ. კი 138 000 ცალი<sup>33</sup>. გარდა გრეიფერუტისა, მეურნეობაში ნახევარი ჰექტარი გამოყოფილი ჰქონდათ საცდელ ფართობად აქ სწავლობდნენ ტუნგოს, ფეიხოს, ფორთოხას, ავაკადოსა და მრავალი სხვა სუბტროპიკული კულტურის კოლხიდაში აკლიმატიზაციის პრობლემებს.

1935 წ-ს ქ. ფოთის გარეუბანში (ახალსოფელი) გრეიფერუტის საბჭოთა მეურნეობის ახლოს აშენდა ტორფ-პულდრეტის ქარხანა, რომლის მეურნეობასაც მამინ 2 ჰექტარი ფართობი ეკავა. შემდგომ წლებში ქარხნის მუშაობისათვის ინიციატივით დააშრეს ახლმდებარე ჭაობები, რომლებიც უმთავრესად ზღვის ნაპირს ეყვრება. მეურნეობის ფართობი 2 ჰექტარიდან 200 ჰექტარამდე გაიზარდა. ბარდ-ეკალის და ლაქაშის ადგილი დაიკავეს ნარინჯოვანმა მცენარეებმა. დაირგო 23 700 ძირი ლიმონი, 1 440 ძირი მანდარინი, 399 ძირი ფორთოხალი და 100 ძირი გრეიფერუტი, 50 000 ძირი ევკალიპტის ხე, აგრეთვე კეთილშობილი დაფნა, ლეღვი და სხვ. ასეთი წარმატებებისა და მეურნეობის სიმძლავრის ზრდის გამო შემდგომი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით 1939 წ-ს ამ ბაზაზე შეიქმნა ციტრუსების ახალი საბჭოთა მეურნეობა „კოლხიდა“. ტორფ-პულდრეტის ქარხნის პატარა მეურნეობიდან წარმოიშვა კოლხეთის საკმაოდ დიდი საბჭოთა მეურნეობა. რომელიც თანდათან გაიზარდა და გაფართოვდა. 1939 წ. საბჭოთა მეურნეობა „კოლხიდა“ 1 000 ცალი ლიმონის ნაყოფი მიიღო. 1940 წლისათვის მთავრობამ მეურნეობას გაუხსნა 1 მილიონი მანეთის კრედიტი. შემდგომ წლებში ციტრუსოვანთა მოსავლიანობა მეურნეობაში კიდევ უფრო გაიზარდა<sup>34</sup>.

<sup>30</sup> იქვე, 15 დეკემბერი.

<sup>31</sup> იქვე, 13 დეკემბერი.

<sup>32</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1936 წ. 9 თებერვალი.

<sup>33</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1941 წ. 15 მაისი.

<sup>34</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1939 წ. 15 დეკემბერი.



როგორც გრეიფერუტის საბჭოთა მეურნეობაში, ასევე საბჭოთა მეურნეობაში „კოლხიდაში“ დიდი ყურადღება ექცეოდა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. საბჭოთა მეურნეობის მუშები უზრუნველყოფილი იყვნენ კულტურულად მოწყობილი საერთო საცხოვრებლებით<sup>35</sup>.

საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ, მუშათა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის საგრძნობლად ამაღლებამ დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. მეურნეობის მუშებს შორის ფართოდ იყო გაშლილი სტახანოვეური მოძრაობა. რამდენიმე სტახანოველი მუშა 1939 წ. მოსკოვში იყო გაგზავნილი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მეურნეობას მოწყობილი ჰქონდა წითელი კუთხე, გამოდიოდა კედლის გაზეთი. მუშებს შორის გაშლილი იყო კულტმასობრივი მუშაობა<sup>36</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ჭაობების ამოშრობის სამუშაოთა პარალელურად მიმდინარეობდა უკვე ამოშრობილი ადგილების ათვისება. ნაჭაობარ მიწებზე ჩნდებოდნენ ახალი კოლმეურნეობები, ახალი სოფლები. წლითწლივით იზრდებოდა კოლხეთის მცხოვრებთა რიცხვი.

საქართველოს მიწსაკომთან არსებულმა კოლხიდის დასახლების სამმართველომ 1937 წ. ფოთიდან 7 კმ-ის დაშორებით მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე დაიწყო ახალი სოფლის მშენებლობა. ეს ახალი სოფელი 4 კმ-ზე გადაიჭიმა. გზატკეცილის ორივე მხარეზე ჩამწკრივდა კოხტა ოდები; 120-მა ახალმა სახლმა დაამშენა მიდამო. ამ ახლად დაშრობილ მიწაზე 1938 წ. გადმოსახლდა 70 კოლმეურნე ამბროლაურის რაიონიდან და 50 ოჯახი გეგეჭკორის რაიონიდან<sup>37</sup>.

120-მა მშრომელთა ოჯახმა პირველად გამოიყენა მიწა, რომელიც კოლხეთის მშენებლებმა გამოსტაცეს საუკუნეობრივ ჭაობებს. თითოეულ მოსახლეს მიეცა ახლად აშენებული ლამაზად და კულტურულად მოწყობილი ორთავიანი სახლი თავისი საკარმიდამო ნაკვეთით. ახალ სოფელში გაიყვანეს ელექტროსინათლე, წყაროს წყალი, ააშენეს სკოლა და სამედიცინო პუნქტი. ახლად დასახლებული სოფელი ქ. ფოთის დაუკავშირდა რკინიგზითა და გზატკეცილით.

ახალი სოფლის მოსახლეობისათვის მთავრობამ მნიშვნელოვანი შეღავათები დააწესა. განსაკუთრებით ღნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ მოსახლეები ოდა სახლების საფასურის გადახდას დაიწყებდნენ მხოლოდ 15 წლის შემდეგ და ისიც მცირე პროცენტებით. კოლმეურნეობები და კოლმეურნეები თავისუფლდებოდნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან 3 წლით, ხოლო ერთპიროვნული მეურნეები 2 წლით<sup>38</sup>.

კოლხეთის ჭაობების ამოსაშრობად წარმოებულმა მუშაობამ ბრწყინვალე პერსპექტივები გადაშალა აქაურ მკვიდრთა წინაშე. საკოლმეურნეო ფართობებს შეემატა ნოყიერი, უხვმოსავლიანი მიწების მასივები. კოლმეურნეობებს შესაძლებლობა მიეცათ ხელი მიეყოთ ციტრუსოვან და ტექნიკურ კულტურათა უფრო ფართოდ განვითარებისათვის. ციტრუსოვანი და ტექნიკური კულტურები კოლხიდელ კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის სწრაფი აღმავლობის დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა.

<sup>35</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელო“, 1937 წ. 8 იანვარი.

<sup>36</sup> იქვე, 1939 წ. 10 დეკემბერი.

<sup>37</sup> იქვე, 1938 წ. 15 თებერვალი.

<sup>38</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფ. 602, ანაფ. 1, საქმე 3903, ფურც. 6.

1941 წლამდე ფოთის რაიონში კოლხეთის ჭაობების ამოშრობის ბაზაზე გარდა „გრეიბფრუტის“, „კოლხიდის“ საბჭოთა მეურნეობებისა და პატარა ფოთის ახლად დასახლებული კოლმეურნეობისა ჩამოყალიბდა და განმტკიცდა კოლხიდმშენის ევკალიპტების სანერგე მეურნეობა, ნაბადასა და საბაჟოს კოლმეურნეობები.

ყოველწლიურად იზრდებოდა ციტრუსოვანთა ფართობებიც. 1933 წლიდან ფოთის რაიონში ეს ფართობი 30-ჯერ გაიზარდა და 1940 წლისათვის 943 ჰექტარს მიაღწია; ამ წელს მიღებული იქნა ციტრუსოვანთა უხვი მოსავალი, მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 3 მილიონამდე ციტრუსოვანთა ნაყოფი<sup>39</sup>.

<sup>39</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1940 წ. 12 ოქტომბერი.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ  
 ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო  
 მუზეუმმა)

### გურამ მაისურაძე

## ქართული და სომეხი ხალხების სამეურნეო-კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეებში

ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო-კულტურულ თანამშრომლობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ასეთი მტკიცებისათვის საფუძველს იძლევა მეზობელი ხალხების ენაში დამოწმებული ძირითადად ერთგვაროვანი სამეურნეო ტერმინოლოგია, რაც მხოლოდ ხანგრძლივი სამეურნეო თანამშრომლობის ნიადაგზე შეიძლებოდა გაჩენილიყო. ქართულ-სომხური საერთო ხმარების ისეთი სიტყვები, როგორცაა „ბარი“, „თოხი“, „გუთანი“, „ფოცხი“, „კალო“, „ოჩხარი“, „საუნჯე“ და „უნჯე“ ძირიდან ნაწარმოები სხვა სიტყვები ორივე ენაში თავიდანვე ერთსა და იმავე საგნებს აღნიშნავდა, ქართველი და სომეხი გლეხი ხენის დროს შესრულებულ სიმღერას ერთნაირად ეძახდა „ორთველას“; ასევე საერთო სახელი იყო „მუშაკი“, რომელიც სოფლის მეურნეობაში ძირითადი სამუშაოების შემსრულებელ პირს ეწოდებოდა.

ორივე ტერმინები საშუალებას გვაძლევენ არა მარტო აღვნიშნოთ სამეურნეო ურთიერთობის არსებობა მეზობელ ხალხებს შორის. არამედ ვავითვალისწინოთ ამ ურთიერთობის ხასიათიც. სპეციალისტების აზრით (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩიტაია, ი. აბულაძე, ჰ. აჭარიანი, ს. მაღასასიანი, ე. დოჩინაშვილი და სხვები) აქ მოტანილი სამეურნეო ტერმინების უმეტესი ნაწილი ქართულიდანაა სომხურში შესული.

თოხისა და ბარის ტიპის იარაღები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მომდინარეობს, დაწყებული ხის და რქის თოხებიდან რკინაფოლადის თოხამდე. ბართან შედარებით თოხი უფრო მთის ზოლში იყო გავრცელებული<sup>1</sup>. ბარი სათხრელი იარაღი იყო. ასეთადაა ის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანშიც“<sup>2</sup>. ასეთივე დანიშნულების იარაღი იყო სომხური „ბრიჩ“-ი. ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზმნა „ბრელ“-ი სომხურშიც თხრას აღნიშნავდა. ასევე მთის ზოლში გამოიყენებოდა სომხური „თოხრ“-იც, რომლის მოყვანილობა ვ. ბლოიანს ქართულ თოხს აგონებს<sup>3</sup>. გ. ჩიტაია სომხურ „თოხრ“-ს ქართულიდან შესულად მიიჩნევს. რამდენადაც თოხი ქართულ ზმნა თხრას უკავშირდება<sup>4</sup>. ბარიც თოხთან კავშირში ჩანს, რამდენადაც ის თოხის მეგრული სახელ-

<sup>1</sup> გ. ჯალაღაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან თბილისი, 1960, გვ. 16.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930, გვ. 213—4.

<sup>3</sup> В. А. Бдоян, Земледельческая культура в Армении. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Тбилиси, 1968, стр. 24, 32.

<sup>4</sup> გ. ჩიტაია, რეცენზია ბლოიანის დისერტაციაზე, წაკითხული თბილისში 1969 წელს.



წოდებიდან — „ბერგი“—დან არის ნაწარმოები: ბერგი-ბარგი-ბარი<sup>5</sup>. ქართულ სამეურნეო ნომენკლატურაში შერწყმული სახის იარაღების — ორთოხის, ბართოხის, თოხწერაქვის, ცულთოხის ფართოდ გავრცელება ქართულში თოხისა და ბარის დიდ სიძველეზე უნდა მიუთითებდეს. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანულშიც თოხნა ზმნისათვის სპეციალური ეროვნული ტერმინის უქონლობის გამო გამოყენებულია ასევე ქართულიდან შესული „თოხი“ და მისგან წარმოებული „თოხალამაგ“<sup>6</sup>.

ანეულის დასამუშავებელი იარაღების აღმნიშვნელ სახელთა შორის საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ტერმინი იყო „ფოცხი“, რომელიც ამავე ფორმით შესულა სომხურშიც („ფოცხ“). აჭარაინი ამ სიტყვას კავკასიური ბუნების მქონედ მიიჩნევს, მაგრამ თვლის, რომ იგი ყველაზე მეტად ქართველურ ტომებშია წარმოდგენილი<sup>7</sup>.

„საუნჯე“ „უნჯ“ ძირიდანაა ნაწარმოები და ქართულში ზოგადად ყოველნაირ შესანახს აღნიშნავს: განძის საცავს, სახლს, საწყობს. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ხორბლეულისა და ქრთლეულის შესანახად აგებულ განსაკუთრებულ შენობასაც საუნჯე ერქვა. ამავე „უნჯ“ ძირიდან ნაწარმოებუ ზმნა — „დაუნჯება“ აღნიშნავდა მოსავლის შენახვას. ქართული სიტყვის ძირს „უნჯს“ უკავშირდება სომხური სიტყვის ძირი „ჰუნძ“<sup>8</sup>, საიდანაც ნაწარმოებია სიტყვები „ჰუნძან“, „განძ“. ეს უკანასკნელი ძვირფასეულის შესანახს, საუნჯეს, ხაზინას ნიშნავს. მის შემცველად ხშირად გვევლინება „შტემარან“-ი, რაც ბელელს უდრის. „შტემარანს“ ზოგჯერ „ჰუნძანიც“ ცვლის<sup>9</sup>. სომხური „ჰუნძ“ მკას ნიშნავს. ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობა მოცემულია ს. მალხასიანის ლექსიკონში, სადაც ის აღნიშნულს გარდა, ნიშნავს მოძვილ მარცვლეულს, საწნახელს და მებაღის ქოხს<sup>10</sup>.

როგორც ამ მაგალითიდანაც ჩანს, ქართული სამეურნეო ტერმინი და მიაი ძირიდან ნაწარმოები სიტყვები სომხურში გამოყენებული იქნა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საგნებისა და მოვლენების აღსანიშნავად.

ქართველური წარმოშობისაა სომხურში შესული ცხვრის (ძვ. ქართულის ცხოვარი) აღმნიშვნელი ტერმინი „ოჩხარი“ — „ვოჩხარ“. ნ. მარმა გაარკვია სომხური „ოჩხარის“ ქართულ „ცხოვართან“ კავშირი და მისი მებრულ-ზღანურ შესატყვისობასთან (შხური, მხხური) ახლო ნათესაობა. მარის ეს მოსაზრება თითქმის ყველა მკვლევარმა გაიზიარა, მათ შორის აჭარაინამც<sup>11</sup>.

ქართულიდან სომხურში შესულადაა აღიარებული ტერმინი „მუშაიცი“. აკად. ს. მალხასიანი მას კავკასიური წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს და მისი გავრცელების არედე ქართულ-ლაზურ და ინგულურ ენებს ასახელებს<sup>12</sup>. პირველად კი აჭარაინამ შენიშნა, რომ ეს სიტყვა სომხურში ქართველური ენებიდან არის ნასესხები. ამის საფუძველს მეცნიერი იმაში ხედავდა, რომ კავკასიურ

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212—213.

<sup>6</sup> ს. ჯიქია, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თვრქულ ენებში (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 398).

<sup>7</sup> აჭარაინის სომხური განმარტებითი ლექსიკონი, სიტყვა „ფოცხ“.

<sup>8</sup> ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტ. უბო. IX—XI სს-ში, 1944, გვ. 091.

<sup>9</sup> ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 091.

<sup>10</sup> Մալխասյան, ნոյսերն րայտարիան րաարան, Երևան, 1944. იბ. სიტყვა „ჰუნძ“.

<sup>11</sup> Н. Я. Марм. Из поездки в Сванетию, Христианский Восток, т. II, № 1, СПб, 1913, გვ. 30; იბ. აგრეთვე ჰრ. აჭარაინი, ლექსიკონი.

<sup>12</sup> ს. მალხასიანი, დასახ. ლექსიკონი, იბ. სიტყვა „მუშაიცი“.

ენებში ეს სიტყვა ფართოდაა გავრცელებული და ბევრი თვისტომი მოებოვე-  
ბა, მაშინ როდესაც სომხურში მსგავს მოვლენას არა აქვს ადგილი<sup>13</sup>.

„მუშაკი“ სომხურში სოციალური შინაარსის ტერმინადაა მიჩნეული და  
კერძო სამფლობელო მიწებზე მომუშავე პირს აღნიშნავს, რომელიც სხვის მი-  
წას ამუშავებს<sup>14</sup>. ჩვენის აზრით, „მუშაკი“ ქართულშიც სოციალური შინაარ-  
სის ტერმინი იყო და ის სტრატონისეული მეოთხე გენეს — დამოკიდებული თე-  
მის წვერის — „ლაოსი“ ქართული სახელწოდების აღმნიშვნელი უნდა ყო-  
ფილიყო. წარმოშობით ტერმინი „მუშაკი“ შუამდინარეთის ქვეყნების „მუშ-  
კენუს“ უკავშირდება, სადაც მას დაახლოებით იგივე მნიშვნელობა ჰქონდა,  
რაც ქართულსა და სომხურში. ამ ტერმინის ქართულიდან სომხურში შესვლის  
ფაქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. რამდენადაც ამ ტერმინის  
ქვეშ ნაგულისხმევი საზოგადოება იმ დროს უნდა გაფორმებულიყო, როცა სა-  
ქართველოშიცა და სომხეთშიც ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა უძველესი  
კლასობრივი საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი ფენები. ჩანს, საქარ-  
თველოში განვითარებული სოციალური ურთიერთობანი მასტიმულირებელ  
გავლენას ახდენდა მეზობელი ქვეყნების სოციალურ განვითარებაზე, იმდენა-  
დაც კი, რომ სოციალური ტერმინის სესხება ყოფილიყო მისაღები ან საჭირო.  
ამ ტერმინის შესახებ ვრცლად მსჯელობის საშუალება სხვაგან გვექნება, ამი-  
ტომ აქ მხოლოდ მოცემული ზოგადი აღნიშვნით შემოვიფარავლებით.

მოტანილი მასალა. ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის,  
რომ ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო თანამშრომლობა უძველესი  
დროისათვის რეალურ ფაქტად ვაღიაროთ და აღვნიშნოთ აღებულ ხანაში ქარ-  
თული სამეურნეო კულტურის გავლენა სომხურზე. ამ დასკვნას ამაგრებს ქარ-  
თული, ბერძნული, სკვითური, ოსური და სხვა ფოლკლორული მასალა, რომ-  
ლის მიხედვით ქართველები გაუმჯობესებული სახენელი იარაღის პირველი  
მფლობელები იყვნენ, ხოლო კავკასიის სხვა ხალხებმა მათგან ისწავლეს<sup>15</sup>  
(ქართულიდან სომხურში გავრცელებული სახენელი იარაღების შესახებ ქვე-  
მოთ გვექნება საუბარი).

ქართველ და სომეხ ხალხებს სამეურნეო ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ  
არც ადრეულსა და არც განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. სამეურნეო თა-  
ნამშრომლობა ამ დროს მათ შორის ისეთივე ცხოველი იყო როგორც პოლი-  
ტიკური და კულტურული ურთიერთობა. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა  
სამეურნეო ურთიერთობა XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან, როდესაც  
სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან დაწყებულმა საგარეო შემოსევებმა  
ჯერ ძალზე შეუზღუდეს, ხოლო შემდეგ თითქმის მოუსპეს ქართველსა და სო-  
მეხ ხალხებს სამეურნეო კულტურული თანამშრომლობის პირობები. კიდევ უფ-  
რო გაუარესდა მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე

<sup>13</sup> იხ. დოჩანაშვილი, მასალები აღმოს. ობხთავის წარმომავლობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 193, შგნ. 1.

<sup>14</sup> С. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, 1950, № 1, стр. 14—16. Գ. Խ. Սարգսյան, Հին Հայաստանի—սაგախ-თնոնասական գარբոտման օվկ-  
նքի մասին,—Երևան, 1962, էջ 36—38:

<sup>15</sup> იხ. გ. ჩიტიია, ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულაღის რაიონში, საქ. მუზეუმის მო-  
ამბე, 4, 1928, გვ. 222; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეთნოლოგიური ისტორია, 1, 1930, გვ. 262—  
265.

ოსმალეთსა და ყიზილბაშების გამოსვლის შემდეგ, ორივე აგრესორი უპირატესად ამიერკავკასიის ქვეყნებს ეცილებოდა ერთმანეთს. გადამწყვეტ წარმატებას კი ვერცერთი მხარე ვერ აღწევდა. ამიტომ თითოეული მათგანი თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებდა, რათა მოწინააღმდეგისათვის ფეხის მოკიდების შესაძლებლობა მოესპო. გამუდმებულმა შემოსევებმა საწარმოო ძალები გაანადგურეს სომხეთში. დამპყრობლებმა სომხური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაასახლეს. ნაწილი მოსპეს და მათ მიწებს დაეპატრონენ. განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომმა მომთაბარებებმა სომხეთში ინტენსიური მეურნეობა ექსტენსიურით შეცვალეს. მიუხედავად ამისა, სამიწათმოქმედო კულტურის მდიდარი ტრადიციები დავიწყებას არ ეძლეოდა. სომეხი ხალხი თავგამოდებით ებრძოდა მომთაბარეებს და ყოველ შესაფერის დროს ცდილობდა აღედგინა მამაპაპური მეურსეობა, კვლავ დაენერგა მეურნეობის მოწინავე ფორმები.

„შესაფერი დრო“ მხოლოდ მშვიდობას შეეძლო მოეტანა. 1639 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზაეი დაიდო, რომელიც 1723 წლამდე აღარ დარღვეულა. შედარებით მშვიდობიანობის პერიოდში შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების განვითარება, ადგილობრივი ფეოდალური ელემენტების მომაკვება და მეზობელ ხალხებს შორის სამეურნეო-კულტურული თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ორ მოძმე ხალხებს შორის სამეურნეო თანამშრომლობის ტრადიციაც გამოცოცხლდა.

XVII—XVIII საუკუნეებში ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო თანამშრომლობის ვასაშუქებლად ყველაზე უფრო სანდო წყაროს „ჯამბრი“ წარმოადგენს, რამდენადაც ის ძირითადად იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტებზეა დაწერილი ამ ძველის სახელწოდება დამახინჯებული ფრანგული სიტყვიდან „la chambre“-დან წარმოსდგება. პაპის არქივის Camera apostolica-ს ანალოგიით\*. თხზულების ავტორია სრულიად სომეხთა კათალიკოსი სიმეონ ერევანცი (1763—1780). თავის ამ შრომაში კათალიკოსი სომხური ეკლესიის ისტორიასთან ერთად გადმოგვცემს ამ ორგანიზაციის ცენტრის — ეჩმიაწინის მონასტრის მეურნეობის ისტორიასაც. ამასთან იძლევა ყველა იმ სივლელისა და საბუთის მოკლე აღწერილობას, რომლებსაც მისი შრომა ეყრდნობა.

„ჯამბრი“<sup>16</sup> აღწერილი ფაქტები პ. ტ. არუთინიანს საფუძველს აძლევს ერევნის სახანოში ქართული ფეოდალური ურთიერთობის ასახვას გადევნოს თვალის<sup>16</sup>. ასეთი მოვლენის განვითარებისათვის პირველ რიგში მჭიდრო სამეურნეო თანამშრომლობას უნდა შეემზადებინა ნიადაგი. მიუხედავად სათანადო ცნობების ფრაგმენტულობისა, ჩვენს აზრით, ასეთი თანამშრომლობის კვალი მათში მაინც საკმაოდ ნათლად ჩანს. მივყვეთ ფაქტებს.

ეჩმიაწინის სამეურნეო გაძლიერება უშუალოდ კათალიკოს ფილიპე აღბაკეცის სახელთანაა დაკავშირებული (1633—1655). „ჯამბრის“ მოწმობით, მისი კათალიკოსობის დროს, ადრე ნაყიდი მიწების ბაზაზე, შეიქმნა ეჩმიაწინის საკუთარი მეურნეობა, რომელსაც ფილიპე აღბაკეცმა შეუვალაობა (მუაფოთა) მოუპოვა. ამის შემდეგ შაჰისა და ხანის მოხელეებს უფლება არ ჰქონ-

\* იხ. А. Р. Иоаннистян, Иосиф Эмни, Ереван, 1945, стр. 171, зам. 2.

<sup>16</sup> П. Т. Арутюнян, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, Москва, 1954, стр. 35, зам. 1.



დათ მონასტრის საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ და მისგან გადასახადები მოეთხოვათ. ამავე კათალიკოსმა გაზარდა ძმობის რიცხვი, გაიყვანა ახალი სარწყავი არხები და მნიშვნელოვნად გააფართოვა სახნავ-სათესი ფართობი. ბ. მ. არუთინიანის გამოანგარიშებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ეჩმიაწინის სახნავი მიწების საერთო ფართობი უკვე 625 ჰექტარს შეადგენდა<sup>17</sup>. ამასთან, მეურნეობის ინტენსიფიკაციის მიზნით ტექნიკური სიახლეც გამოიყენეს. ეს სიახლე იყო „განსაკუთრებული სახვნელი, რომლის მსგავსი ადრე არ ყოფილა“. ამ სახვნელ იარაღს ჯამბრის ავტორი „ჰაკუტ გუთანს“ — *ჰაკუტ გუთანს* განსაკუთრებულ გუთანს უწოდებს<sup>18</sup>. ცხადია, აქ ლაპარაკი უნდა იყოს საქართველოს სინამდვილეში კარგად ცნობილ „დიდ გუთანზე“, რომლის გამოყენებამ ფერდალური მეურნეობა განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. ამაში ჩვენ დასახელებული გუთანის მერმინდელი აღწერაც გვარწმუნებს, რომლის თანახმად სომხეთშიც ასეთ გუთანში 14 უღელი ხარ-კამეჩი იყო ზოგჯერ შებმული და ხუთი მეხზე ემსახურებოდა<sup>19</sup>. „ჯამბრისავე“ ცნობით, სომხეთშიც გუთნეული სახნავი მიწის ფართობის ერთეულად გამოდის<sup>20</sup>.

„გუთანი“ ქართული ტერმინია და ის თითქმის ყველა კავკასიელი ხალხის ენაშია დადასტურებული სხვადასხვა ფორმით. აჭარაიანს აზრითაც ეს სიტყვა ქართულიდან უნდა იყოს შესული და გავრცელებული კავკასიის სხვა ხალხების ენებში<sup>21</sup>. ამასვე ამბობს მალხასიანიც<sup>22</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა სახვნელი იარაღების სახელთა ეტიმოლოგია, რითაც ნათელი გახდა, რომ სომხეთში გავრცელებული სახვნელი იარაღების სახელების უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა ან ქართული გზით არის სომხურში შესული. მაგალითად, სახვნელი იარაღების სომხური სახელები „ვესკი“, „ჯილი“, „ჯვტი“, „ჩუთი“ წარმოსდგებიან ქართული ერქვანი-დან ჯილა-დან და ჩუთი-დან. ასევე ქართული წარმოშობისაა რამდენიმე საუკუნით გვიან გავრცელებული გუთანიც. სახვნელი იარაღების სახელთა გულდასმითი ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: „სახვნელი იარაღისა და მისი ნაწილების, ისევე როგორც ზნის, შესახებ ტერმინოლოგიიდან სომხურში 9—10 სიტყვაა ქართულათგან ნასესხები ან ნათარგმნი. ეს შეთვისებული ტერმინები უმთავრესად გაუმჯობესებულ სახვნელებსა და მათ ნაწილებს ეხებათ. მეტადრე ფრთიანს და საზიდრიან სახვნელებსა და მათ ნაწილებს... აქედან უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ გაუმჯობესებული სახვნელი სომხებს ქართველებისგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული“<sup>23</sup>. ამისავე სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ სომხეთში არ ჰქონდათ ადგილობრივი წარმოების რკინა და ფოლადი. საქირების შემთხვევაში ის საქართველოდან და თურქეთიდან შეჰქონდათ. და რადგანაც მე-

<sup>17</sup> Б. М. А р у т ю н я н, Крупное монастырское хозяйство в Армении в XVII—XVIII вв., Ереван, 1940, стр. 39—40, 50.

<sup>18</sup> Ջ ա მ ბ რ ի . . . . Վ ա ղ ա ի Ր ա շ ա ջ ի թ, 1873, էջ 131. Симеон Ереванци. Джембр. Москва, 1958, стр. 202.

<sup>19</sup> И. Ш о п е н. Исторический памятник состояния армянской области в эпоху ее присоединения к Российской империи, СПб, 1852, стр. 737.

<sup>20</sup> ჯამბრი, გვ. 131 რუსული გამ. გვ. 202.

<sup>21</sup> აჭარაიანი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. 2, იხ. სიტყვა „გუთან“.

<sup>22</sup> ს. მ ა ლ ხ ა ს ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, იხ. სიტყვა „გუთან“.

<sup>23</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155—265, განსაკუთრებით გვ. 240—251.

ზობელი ქვეყნებიდან შეტანილი რკინა ძვირი უჯდებოდათ, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს უმთავრესად მაგარი ჭიშების ხისაგან აკეთებდნენ<sup>24</sup>.

დიდი გუთნის საქართველოში შემოსვლის თარიღად ივ. ჯავახიშვილი XII საუკუნეს ასახელებს. მ. ლორთქიფანიძის დაკვირვებით კი ის IX—X სს-ში უნდა შემოსულიყო<sup>25</sup>.

დიდი გუთნის სომხეთში შემოღების თარიღი ჯერჯერობით არ არის დადგენილი. ივ. ჯავახიშვილი დასახელებულ ნაშრომში მიუთითებს, რომ ძველი და საშუალო საუკუნეების სომხურში ტერმინი „გუთანი“ არა ჩანს და შედარებით გვიან ჩნდება, კერძოდ კი ახალ სომხურში გვევლინება პირველად<sup>26</sup>. როგორც ვხედავთ, ჯავახიშვილი კონკრეტულ თარიღს არ იძლევა და საქართველოსთან შედარებით რამდენიმე საუკუნით გვიან გულისხმობს ამ ტერმინის გავრცელებას სომხეთში. შესაძლებელია, მართლაც ანგარიში გაეწიოს „ჯამბრის“ ცნობას, რომლის მიხედვით ფილიპე აღბაკეცამდე (XVII ს.) ეჩმიაწინის მეურნეობაში გუთანს არ იცნობდნენ.

დასამუშავებელი მიწის ახალი ფართობის ათვისების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთში ხელოვნურ მორწყვას. ერთი რუსი მოხელის დაკვირვებით, „Здесь... земля не пользующаяся орошением, не может питать даже самой скудной травы“<sup>27</sup> სომხური ზეპირსიტყვიერება კი წყალმცირე რაიონებში სარწყავ წყალს „დედის ცრემლს“ (ნორ არტასუქ) უწოდებს<sup>28</sup>. ამიტომ არის, რომ სომხურ წყაროებში განსაკუთრებული ყურადღებითაა მოსილი ყველა ისტორიული პირი, ვისაც კი ამ მხრივ რაიმე გაუკეთებია. „ჯამბრის“ ავტორი დიდის სასოებით აღწერს ყოველი კათალიკოსის საირიგაციო საქმიანობას და მათ განსაკუთრებულ დამსახურებად უთვლის არხების გაყვანასა და წყალსაცავების მოწყობას. ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია „ჯამბრის“ ერთი ცნობა, რომელიც გარკვეული კუთხით ასახავს ქართველი და სომეხი ხალხების წარმომადგენლების სამეურნეო თანამშრომლობას.

„ჯამბრის“ ავტორი მოგვითხრობს: კათალიკოს აკოფ ჭულაეცის დროს (ე. ი. 1655—1680) შაჰ სულეიმანის ბრძანებით ერევნის ხანად დაინიშნა სეფი ხან მეორე. ეს ხანი წარმოშობით ქართველი იყო. მან ამ უდაბურ ადგილას მდინარე მეწამორიდან გამოიყვანა დიდი არხი და მისი დინეები გასწვრივ რამდენიმე სოფელი დააარსა. როცა ხანმა ეს გააკეთა, მისმა ცოლმა, შეეჯიბრა რა ქმარს, ამ დიდი არხიდან იმავე ადგილებში, მხოლოდ სხვა მიმართულებით გაიყვანა განსაკუთრებული არხი და ასევე რამდენიმე სოფელი გააშენაო. ყველა ეს სოფელი, რომელიც მათი არხებით ირწყვება, დღესაც არსებობს და მათ სეფიაბადისა და ხათუნარხის სახელით იცნობენ. სიმეონ ერევანცის ცნობით, ხანისა და მისი მეუღლის ქველმოქმედება მხოლოდ ამით არ დამთავრებულა. მათ განაცხადეს, რომ წყალი მცხოვრებლებს გიბოძეთო (*վախ՛աւ և խէկրա՛վ արարաք*)<sup>29</sup> ჩვენი და შთამომავლობის კეთილად მოსახსენებლად. ის პირ-

<sup>24</sup> ბ. მ. არუთიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

<sup>25</sup> მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963, გვ. 27.

<sup>26</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

<sup>27</sup> И. Шопен. Исторический памятник состояния армянской области в эпоху ее присоединения к Российской империи, СПб. 1852, стр. 365.

<sup>28</sup> С. А. Егизаров, Исследования по истории учреждения в Закавказье, часть I, сельская община. Казань. 1889, стр. 54.

<sup>29</sup> ჯამბრი, სომხ. გამოცემა, გვ. 159.; რუსული გამოც., 230.

ნი, რომლებიც ამ არხებით მორწყულ მიწებს დათესავენ. ვინც არ უნდა იყვნენ — ადგილობრივნი თუ მოსულნი, თავისუფლდებიან მეათედის გადასახადისაგანო. შემდეგ, „ჯამბრის“ ავტორი განაგრძობს: დღევანდლამდე ისინი სხვა სოფლებისაგან განსხვავებით არ იხდიან მოსავლის მეათედს და მხოლოდ სახელმწიფოს უხდიან მესხეთედს ანუ ბაზრას<sup>30</sup>.

იმ დროს, როცა ქვეყანაში მომრავლებული მომთაბარეები დამუშავებულ მიწებზე ანადგურებდნენ და უკიდურესად ზღუდავდნენ ინტენსიური მეურნეობის პირობებს, თვით შაჰის ხელისუფლების ზემოხსენებული წარმომადგენელი უდაბურ ადგილებს აცოცხლებდა; ამასთან უარს ამბობდა ამ მიწებიდან კუთვნილ მოსავლის მეათედზე. იმის მაგიერ, რომ მომთაბარეთა ძალას დაეყრდნოს, როგორც ამას ყველა სპარსელი მოხელე აკეთებდა, დასაყრდენს ადგილობრივ მოსახლეობაში იჩენს. ასეთი საქციელი განსხვავდებოდა ყიზილბაშური პოლიტიკისაგან და შეიძლება აიხსნას სამშობლოსაგან მოწყვეტილი, შაჰის სამსახურში მყოფი ქართველი კაცის თავისებური „მოწყალე“ დამოკიდებულებით სომხებისადმი<sup>31</sup>.

ეჩმიაწინის ფეოდალურ მეურნეობაში მოცემული დროისათვის (XVII—XVIII სს-ში) ფართო გასაქანი ეძლევა ინტენსიური მეურნეობის დარგებს: მევენახეობა-მებაღეობას და ტექნიკური კულტურების წარმოებას. მოუხედავად ამ მეურნეობის ნატურალური ხასიათისა, ინტენსიური მეურნეობის დარგების განვითარება კათალიკოსებს საშუალებას აძლევს ზოგჯერ სასაქონლოდაც აწარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

„ჯამბრში“ აღწერილი ეჩმიაწინისა და სხვა მონასტრების მეურნეობის ორგანიზაცია ბევრად მოგვაგონებს ქართული ინტენსიური მეურნეობის ორგანიზაციას. ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს დიდი ვენახების შექმნის ცდები ეჩმიაწინის კუთვნილ მიწებზე. ასეთ ვენახებს ჯამბრი „ღრი აივის“ (*ღრი აივის*) უწოდებს. „აივი“ ბაღს ნიშნავს, აგრეთვე ვენახსაც. „ღრის“ მნიშვნელობა კი ჩვენთვის გაურკვეველი რჩება (სომხურ ლექსიკონებში ამ სიტყვას ვერ მივაკვლიეთ), თუ „ღრი“ თურქული სიტყვის „ღურ“-ის შეკუმშული ფორმაა. მაშინ „ღრი აივი“ ყურძნის ბაღი იქნება. „ჯამბრში“ ეჩმიაწინის კუთვნილი ვენახების აღწერას და მათი შექმნის ისტორიას ცალკე, ვრცელი, მე-16 თავი აქვს დათმობილი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

„ჩვენი სოფლის გვერდით წმინდა ტახტი ფლობს სახელგანთქმულ დიდ ვენახს, რომელსაც ღრი აივი ეწოდება... ის შემოზღუდულია მტკიავი აქლით... ამას გარდა, წმინდა ტახტს, ამავე სოფელში, ღრი აივის გვერდით აქვს ორი ვრცელი ვენახი. სამხრეთიდან ის შემოზღუდულია კედლით. ჩვენმა ნეტარსკვნებულმა კათალიკოსებმა ნაწილ-ნაწილ შეიძინეს ეს ვენახები ფულისა

<sup>30</sup> ჯამბრი, რუსული გამოცემა, გვ. 230; სომხ. გამ., გვ. 159.

<sup>31</sup> სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ არც ისე იშვიათად სპარსეთის სამსახურში მყოფი ქართველები სომხეთის ამა თუ იმ პროვინციის მართავდნენ შაჰის დავალებით. მაგალითად, ზაქარია აქულისელის ცნობით, ამავე ხანებში აქულისის ჩრდილო დასავლეთით მდებარე ცენას მართავს „ქართული პარონი ფარსადან-ბეგი“ (ზაქარია აქულისელის დღიური, ერევანი, 1939 №8 91, რუსულ ენაზე). ამავე წყაროს ცნობით, 1679 წლის 17 თებერვალს ერევნის ხანად ისევ ქართველი დაუწინადათ. ამჟერად უკვე ზაალ-ბეგი, შემდგომში ზაალ-ხანი (იქვე, § 123), ცხადია ქართული მამადაიანო მოხელეების სომხეთში მოღვაწეობის შესწავლა, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის ბევრ საინტერესო მომენტს გარკვევს, მაგრამ ეს საკითხი ცალკე შესწავლის საგანია და ამჟერად ჩვენს ამოცანას სცილდება.



და საბოძვარის მეშვეობით. შემდეგ ერთად შეაერთეს და გაყვეს ორ ვენახად<sup>32</sup>.

ზნორად ასე ადვილად არ ხერხდებოდა დიდი ვენახების შექმნა და იძულებული ხდებოდნენ რთული ოპერაციებისათვის მიემართათ. საქმე ის იყო, რომ ექმნაწინის კუთვნილი ნაკვეთები სათემო მიწებს შორის იყო მიმოფანტული. ეს დაქსაქსულობა გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა „დიდი ვენახების“ მოწყობის საქმეში, მაგრამ ამ ტიპის ვენახების უპირატესობა იმდენად ცხადი იყო, რომ არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. სიმეონ ერევანცი თავისი ამგვარი საქმიანობის შესახებ წერს:

„ჩვენი წელთაღრიცხვის 1215 (1766) წელს ლევონდ ლევონდციის ველების ჰერუმისა და აღამისაგან ვიყიდეთ ვენახი, რომლის სანაცვლოდ ჩვენი ზეთსახდელის ოსტატის მაჰტეისი გალუსტისა და ატი ბეკის ვენახების წილი მივეციით. ატი ბეკს ამისათვის კანდელაკ ვარდაპეტ ელიაზარის ვენახი მივეციით. გალუსტისა და ატი ბეკის ამ ორ ვენახს გარდა ჩვენ ჰერუმს მივეციით ოცი თუმანი ფულად, 150 მუშაკი (იგულისხმება 150 კაც-საათი), სახანავი ორი დღით და სამი ხალათი. ეს ვენახი ჩვენ იმ მიზნით ვიყიდეთ, რომ ის შეგვეერთებინა ზემო ვენახის ორ სხვა ნაკვეთთან“<sup>33</sup>.

იქვე და შემდეგ გვერდებზე (სომხ. გამ. გვ. 169—173, რუსული გამ. გვ. 241—245) აღწერილია, თუ ზემოთ მოტანილი მაგალითების მსგავსად ექმნაწინის კათალიკოსები როგორ იძენენ ვენახებს ნაწილ-ნაწილ, როგორ აერთიანებენ მათ და გალავანს ავლებენ გარშემო, ჰქმნიან რა ამნაირად „დიდ ვენახებს“.

ამის გამო ბ. არუთიანინი შენიშნავს: „Из рассказов автора можно прийти к заключению, что католики стремились „собрать“ и укрупнять свои земельные участки путем обмена с соседними участками куплей и т. д., очевидно, с целью лучшего их использования“<sup>34</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ მიწების შემოკრება-გამსხვილება მათ უკეთეს ექსპლოატაციას უწყობდა ხელს. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მოვლენის მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება.

„ჯამბრის“ ცნობით, ექმნაწინის მფლობელობაში იყო მიწების ორი კატეგორია: სამულქო (*მქლათო ქხორაქ* — მულქის მომტანი სოფლები) და მის საკუთრებაში მყოფი მიწები (*ახაქჲ ზ ნიღჲ ასქაქანჲ, კათასი ნიღჲ*) მინდვრები და მიწები საკუთარი, განსაკუთრებული მიწები). მონასტრის საკუთარი მიწები ძირითადად სოფ. ვაღარშაპატის მიდამოებში იყო განლაგებული და სათემო მიწებს შორის მიმობნეული, რადგანაც ეს ნაკვეთები სხვადასხვა დროს იყო ნაყიდი. როგორც აღინიშნა, საკუთარი მეურნეობის შექმნას „ჯამბრი“ კათალიკოს ფილიპე აღბაქეცს მიაწერს. ცხადია, რომ საკუთარი მეურნეობა მხოლოდ ნასყიდი მიწების ბაზაზე შეიძლებოდა შექმნილიყო, აქვეა საგულვეტელი „განსაკუთრებული გუთანის“ გამოყენება, პირველად ფილიპე კათალიკოსმა რომ შემოიტანა. მხოლოდ აქ, ნასყიდ, სათავისთაოდ მფლობელობაში მყოფ მიწებზე შეიძლებოდა როგორც ტექნიკური სიახლის გამოყენება, ისე მეურნეობის ორგანიზაციის გაუმჯობესება. ვფიქრობთ, ეს მომენტები

<sup>32</sup> ჯამბრი, სომხ. გამ. გვ. 164—165. რუსული გამ., გვ. 235—236.

<sup>33</sup> ჯ ა მ ბ რ ი, გვ. 239, სომხ. გამ. 167—168.

<sup>34</sup> ბ. მ. არუთიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 40.

ენმიაწინის მესვეურების მიერ მსხვილი საბატონო მეურნეობის შექმნის ცდებზე უნდა მიუთითებდეს.

„ჯამბრში“ აღწერილი მიწების შემოკრება-დამოგვალემა უმთავრესად მევენახეობაში ხდებოდა. აქაც, ისევე როგორც თავის დროზე საქართველოში, დიდი ვენახები შემოლობილი იყო, რაც ვენახის ინდივიდუალურ მფლობელობაზე მიუთითებდა. ჩვენის აზრით, ეს მომენტი მევენახეობის ინტენსივობის ზრდის მაჩვენებელი უნდა იყოს ენმიაწინის ფეოდალურ მეურნეობაში. საფიქრებელია, რომ ისევე როგორც საქართველოში, აქაც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე შემდგარი მეურნეობის ამ სახეს, ადრეულისაგან განსხვავებული, თავისი შესაფერისი სახელი უნდა მოეძებნა.

„ჯამბრის“ მოწმობით, როგორც უკვე ითქვა, ენმიაწინის „სახელგანთქმულ დიდ ვენახს“ „ღრი აიგი“ ერქვა. მაგრამ ეს ტერმინი, რომელიც ყურძნის ბაღს ნიშნავს, ვერ გამოხატავს დასახელებული მეურნეობის ხასიათს.

„ჯამბრის“ 25-ე თავში, სადაც აღწერილია ცალკეული მონასტრების ისტორია და ჩამოთვლილია მათი კუთვნილი მიწები, სხვათა შორის ნათქვამია, რომ მულნის მონასტერს სხვა მიწებთან ერთად (ჩამოთვლილია სათითაოდ) ეკუთვნოდა „ორივე ზ ვ არი“<sup>35</sup>. სიტყვა ზვარი ვერცერთ სომხურ ლექსიკონში ვერ ვნახეთ. როგორც ჩანს, თვით ამ ძეგლის რუსული გამოცემის ავტორებისათვისაც (პ. ტ. არუთინიანი და ს. მალხასიანი) გაუგებარი იყო ამ სიტყვის შინაარსი. „ზვარის“ ახსნას ისინი ქართულში კი არა, უცხო ენებში ეძებენ:

«Звар не собственное имя, нет местности под таким названием. Вероятно, это слово указывает на какое-нибудь качество земли. Есть персидское слово *زوار* означающее «равенство», «ровность», которое по фонетическому закону армянского языка по-армянски звучало бы как «звар». Если предположить, что данное слово персидского происхождения в таком случае «звары» означали бы ровные поля»<sup>36</sup>.

„ზვარი“ ქართულში სავსებით გასაგები სიტყვაა. ის „მებატრონის“ (საბა) დიდ ვენახს აღნიშნავს. თავის დროზე (განვითარებული ფეოდალური ხანადან) ამ ტერმინის გაჩენა მევენახეობის ინტენსივობის ზრდის მაჩვენებელი და სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარების ახალ საფეხურზე ასვლის მომასწავებელი იყო. შემდეგ საუკუნეებში უკვე ამ ტერმინის მოქალაქეობა საქართველოში ინტენსიური მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობას მოწმობდა. „ჯამბრში“ აღწერილი დიდი ვენახების შექმნა და მათი შემოლობვა კელთით მებატრონის მიერ ადვილად თავსდება „ზვარის“ ქართულ შინაარსში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სომხურ წყაროში მოხსენებული „ზვარის“ მნიშვნელობა სპარსულ ენაში არ უნდა იყოს საქმენელი. სავსებით შესაძლებელია, რომ ენმიაწინის მესვეურებს თავიანთი ვენახები ქართული ზვრების მიხედვით მოეწყოთ და ამ ახალი ტიპის ვენახის აღსანიშნავი სახელიც ქართულიდანვე ეტყინათ.

თვით სომხეთში მეურნეობის ეს დარგი თავიდანვე ისე განვითარებული არა ჩანს, როგორც ამას ადვილი ჰქონდა საქართველოში. ამას თუნდაც ის უნდა დადასტურებდეს, რომ სომხურში ვენახის აღსანიშნავი სპეციალური ტერმინი არ მოიპოვება. სომხური *սյգի* „აიგი“ ბაღსაც ნიშნავს და ვენახსაც. უფრო ხშირად კი ბაღის აღმნიშვნელ ტერმინად გამოდის, ქართულში კი მეტად

<sup>35</sup> ჯამბრი, რუსული გამ. გვ. 369; სომხ. გამოც. გვ. 292.

<sup>36</sup> ჯამბრი რუსული გამოც. გვ. 399.

უხვდაა წარმოდგენილი ვაზისა და მევენახეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. შემთხვევითი არაა, რომ საქართველო „მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთანადაა“ მიჩნეული<sup>37</sup>; ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ვაზის ზოგიერთმა ქართულმა ჯიშ-სახესხვაობამ სომხეთშიც შეძლო შექრა. მაგალითად, **სასისქი**. „კახეთუ“ ნახჭევნის მაზრის ორღუბადის უზნისა და განჯის მაზრის სომხურ მოსახლეობაში ყოფილა გავრცელებული, ხოლო ყარაბაღის სომხურ მოსახლეობაში — **ქისხი** „ვირენი“, რომელიც ივერქისაგანაა წარმომდგარი. ამიტომ „ვირენი“ სამართლიანად მიაჩნიათ იბერულად ანუ ქართულად ქართული „მელისკუდის“ ანარეკლს წარმოადგენს მსლინკუტ-ის (**მელისკუა**) ყურძნის ჯიშის სომხური სახელიც<sup>38</sup>.

ცხადია, საქართველოს მევენახეობის მდიდარ ტრადიციებს, სამეურნეო თანამშრომლობის გამოცოცხლების პირობებში ადვილად შეეძლო გზა გაეკვლია მეზობელ სომხეთში, მით უმეტეს, რომ მუსლიმანურ სამყაროში მოქცეულ სომეხ მევენახეებს სხვა ხალხებთან ამგვარი თანამშრომლობის პირობები იმ დროს არ ჰქონდათ. შარიათი მკაცრად კრძალავდა ღვინის მოხმარებას, რის გამოც მუსლიმანური მოსახლეობა ისე ვერ იქნებოდა დაინტერესებული ამ დარგის ინტენსიფიკაციით. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ერევნის სახანოში ყველაზე ვრცელი ვენახები და დიდი საღვინე მეურნეობა მხოლოდ ეჩმიაწინის ჰქონდა.

როდესაც აღვნიშნავთ ქართული მევენახეობის ტრადიციების გავლენას ეჩმიაწინის ფეოდალურ მეურნეობაზე, ყურადღებას იქცევს მეტად საინტერესო მოვლენა. ტერმინი „ზვარი“ ჯამბრში მხოლოდ ორჯერაა მოხსენებული. სხვა შემთხვევებში კი „დიდი ვენახი“ ან „ღრი აიგი“ აღინიშნება. ჩვენი აზრით, „ზვრის“ იშვიათად ხსენება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ ტიპის მეურნეობამ შედარებით გვიან მოიკიდა ფეხი სომხეთში და აღნიშნული ძეგლის შედგენის დროს, ალბათ, ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამ ტერმინის სრული მოქალაქეობრივი უფლება მოპოვებული. ასეთი მეურნეობის გაძლოა საცქარის ეკონომიურ შეძლებაზეც იყო დამოკიდებული (ვრცელი, მთლიანი ნაკვეთი, მებეგრე გლენტა ან დაქირავებულ მუშათა მუდმივი კონტიგენტი), რის გამოც ეჩმიაწინის მესვეურებს გარკვეული დროც სჭირდებოდათ, სანამ საჭირო ღონეს მიაღწევდნენ. თუ გავიხსენებთ, რომ ეჩმიაწინის საკუთარი მეურნეობის შექმნა მხოლოდ ფილიპე ალბაეცის დროიდან იწყება, მაშინ საფიქრებელია, რომ ინტენსიური მეურნეობის დარგების და კერძოდ დიდი ვენახების შექმნისა და გაძლიერებისათვის საჭირო პირობები XVII საუკუნის ბოლოსათვის უკვე უნდა ყოფილიყო (ეჩმიაწინის მეურნეობა განმტკიცებას იწყებს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ხოლო განსაკუთრებით ფართოვდება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში).

მუსლიმანური სამართლის მოქმედების სფეროში ძალზე შეზღუდული პირობები იყო მსხვილი საბატონო მეურნეობის განვითარებისათვის. ნაკლებად იყვნენ მიწაზე მიმაგრებული მებეგრეები და დაქირავებული მუშები.

<sup>37</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 2, გვ. 603.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 600.



„მულქადარული“ ურთიერთობის დროს გლეხის ვალდებულება მიწის მებატრონის მიმართ ძირითადად ნატურალურ გადასახდას. („ბახრა“, „მულქი“) და ფულს გულისხმობდა. შრომითი ვალდებულებები კი უმნიშვნელო იყო. შარიათის მიხედვით, გლეხი იურიდიულად თავისუფალი იყო და ადგილგადანაცვლების უფლებით სარგებლობდა. მიწის მესაკუთრის უფლებები გლეხის პიროვნებაზე აღარ ვრცელდებოდა. მუსლიმანური კანონებით გლეხთა ძირითადი მასა არ იყო მიმაგრებული მიწისმფლობელის პიროვნებაზე. ფეოდალს არ შეეძლო მიწას მოეწყვიტა გლეხი და თავის ღმიწო მსახურად ან მუშად ექცია. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დიდი შესაძლებლობის მქონე ეჩმიაწინს თავის განკარგულებაში არ ჰყავდა საკმაო რაოდენობის მუდმივი სამუშაო ძალა. სამაგიეროდ ყოველთვის ჰქონდა მსხვილი ფულადი სახსრები (მონასტრის ფულადი ბიუჯეტი იზრდებოდა მთელ მსოფლიოში გაფანტული სომეხი მოსახლეობიდან აკრეფილი საეკლესიო გადასახადებით, კოლონიებში მყოფი სომეხი ვაჭრების შემოწირულებებით და სხვა შემოსავლით), რაც საშუალებას აძლევდა ფართოდ დაექირავებინათ სამუშაო ძალა. მაგრამ აქაც დიდ სიძნელეებს აწყდებოდნენ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონის გამო გლეხს მეტად მცირე დრო რჩებოდა იმისათვის, რომ საკუთარი სამუშაო ძალა გაექირავებინა. ამიტომ არც ისე იშვიათი იყო შემთხვევები, როცა სამუშაო ძალის სიმციროთ შეჭირვებული ეჩმიაწინი თავის წარმომადგენლებს მეზობელი თურქეთის ოლქებში გზავნიდა (ბაიაზეთის, ყარსის, ახალციხის საფაშოები) მუშათა დასაქირავებლად. ბ. არუთინიანის გამოანგარიშებით, 1750 წ-ს მარტო მინდვრის სამუშაოებზე მონასტერმა გამოიყენა დაქირავებული დღიური მუშის 8219 შრომადღე, რასაც სეზონურად დაქირავებული მუშების ასეთი შრომადღეები ემატებოდა. ფართო მშენებლობის წლებში კი დაქირავებული შრომადღეების რაოდენობა 20.000-ს და უფრო მეტს აღწევდა<sup>39</sup>.

ასე რომ, ვრცელი მამულების მქონე ეჩმიაწინს არ ჰყავდა საკუთარი მუშების მუდმივი კონტიგენტი, რასაც მნიშვნელოვნად უნდა გაეძნელებინა ინტენსიური მეურნეობის გაძლოლა. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე. წ. „ჭორთების“ საკითხი, რომელიც უშუალოდ საქართველოსთან არის დაკავშირებული.

„ჭორთების“ შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის „ჯამბრია“. ან ძეგლის მიხედვით, „ჭორთები“ საქართველოში ცხოვრობენ და შრომობენ, მაგრამ ეჩმიაწინს ეკუთვნიან. პროფესიით ისინი უბრალო ხელოსნები არიან: მკალავები, მეტყავეები, ფეიქრები. ამათ გარდა, წვრილი ვაჭრები და ზოგჯერ მღვდლებიც<sup>40</sup>. აღწერილია შემთხვევები, როცა ეჩმიაწინის კათალიკოსები ან მათი წარმომადგენლები მონასტრისათვის საქართველოში ყიდულობენ „ჭორთებს“, უმთავრესად კი თბილისში. სიმეონ ერევანცი მათ *ნარქაათო ბაიაცი*

<sup>39</sup> ბ. მ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

<sup>40</sup> ჯამბრია, სომხ. გამ. გვ. 209, რუსული გამ. გვ. 281—282.

(„პარკატუ წარაიქ“) უწოდებს, რაც სიტყვასიტყვით გადასახადის გამოძღვებულ მსახურებს ნიშნავს. ძეგლის რუსული გამოცემის ავტორებს (პ. ტ. არუთინიანსა და ს. მალხასიანს) დასახელებული კატეგორიის წარმომადგენელთა სოციალური ბუნება გაურკვეველი რჩებათ, ამ ტერმინის გამო გაკეთებულ შენიშვნაში წერენ: *«дирт»* — обычно переводится как крепостной. Положение этой категории зависимых людей не вполне ясно<sup>41</sup>. როგორც ჩანს, ანეთი განცხადებისათვის მათ საფუძველს აძლევს წინააღმდეგობა „крепостной“-ს ცნებასა და ამ ტერმინით აღნიშნული პიროვნების ძეგლისეულ სოციალურ კვალიფიკაციას შორის. ცხადია, მხოლოდ გადასახადის გადახდა და ამით პატრონზე დამოკიდებულება ვერ ამოწურავს „крепостной“-ს ცნებას, რომლის სომხური ეკვივალენტია „ჭორთი“. ამიტომ გადაამხდელი მსახურისათვის — „პარკატუ წარაისათვის“ ჭორთის წოდებაც შეუსაბამო გამოდის. ვფიქრობთ, ამ წინააღმდეგობამ გააბუნდოვნა წარმოდგენა „ჭორთის“ სოციალურ ბუნებაზე და ძეგლის გამომცემლებმაც ამიტომ შეიკავეს თავი კატეგორიული განმარტებისაგან.

„ჭორთის“ სოციალური ბუნების გარკვევას შეეცადა ბ. არუთინიანი. მან გააანალიზა „ჭორთის“ ძეგლისეული დახასიათება და უჩვენა, რომ ამ კატეგორიის პირთა პირველი აუცილებელი ნიშანია გადასახადის გადახდა, ხოლო მეორე — სამსახური. ამასთან მიუთითა, რომ სიტყვა „წარაჲ“ ძველ სომხურში, მსახურს გარდა, მონასაც აღნიშნავდა. გამოდის, რომ „ჭორთები“ გადასახადის გადაამხდელი მონები არიან? ბ. არუთინიანი სავანგებოდ აღნიშნავს, რომ გამბრში ჩამოთვლილი ეჩმიაწინის კუთვნილი „ჭორთები“, როგორც ამას მათი პროფესია გვიჩვენებს, განსხვავდებიან როგორც მონისაგან, ისე ყმა გლეხისაგან (от крепостного). მისი მტკიცებით, „ჭორთი“ მონისაგან იმით განსხვავდება, რომ ის წარმოების საშუალებათა მესაკუთრეა და ზოგჯერ სხვისი შრომის ექსპლოატატორადაც კი გამოდის. ყმა გლეხისაგან კი იმით განსხვავდება, რომ ის არ არის მიწაზე მიმაგრებული და არც ბატონის შინაყმაა. „ჭორთი“ მხოლოდ გარკვეულ გადასახადს იხდის და იმდენად არის თავის ბატონზე დამოკიდებული, რამდენადაც ამ უკანასკნელს შეუძლია გაყიდოს, გაასაჩუქროს ან განათავისუფლოს სათანადო ფასით. ბ. არუთინიანი ამასთან ცდილობს გაარკვიოს „ჭორთების“ შექმნის გზები და მიდის დასკვნამდე, რომ „ჭორთების“ უმრავლესობა ყოფილი ტყვეებია, რომლებიც თვით ეჩმიაწინმა გამოისყიდა, ანდა კერძო პირებმა გამოისყიდეს და შემდეგ ისევ ეჩმიაწინს შესწირეს<sup>42</sup>.

როგორც ვხედავთ, ბ. არუთინიანის წარმოდგენით „ჭორთს“ მონის ნიშნებიც ახასიათებს და ყმა გლეხისაც, ამასთან ის ერთიანადაც განსხვავდება და მეორისგანაც.

ჩვენი აზრით, „ჭორთი“ თავისთავად ყმას ნიშნავს, მაგრამ სწორედ ეს ყმობაა განსხვავებული. ისინი, თავიანთი ეკონომიური შეძლების მიხედვით,

<sup>41</sup> გამბრი, რუსულს გამ. გვ. 396, შენ. 170.

<sup>42</sup> ბ. მ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91—96.

სხვადასხვა ხარისხის ყმობით არიან დაკავშირებული ეჩმიაწინთან. თვით ბ. არუთინიანს მოაქვს დოკუმენტური მასალა, სადაც ეჩმიაწინის „ჭორთი“ „ბატონად“ არის მოხსენებული. ამ „ბატონმა ენოქმა ექვსი ოქროს და ერთი ვერცხლის თასი მისცა მონასტერს წმინდა საჩუქრად“<sup>43</sup>. მსგავსი გამოთქმებია დამოწმებული სხვა შემთხვევებშიც. ცხადია, რომ ასეთი მდიდარი პირების „ყმობა“ მეტად პირობითია, ეს უფრო საპატიო ყმობას წააგავს ვიდრე ბატონყმურ დამოკიდებულებას. ამიტომაც „წმინდა მამები“ მათ მოწიწებით მოიხსენიებენ.

„ჭორთების“ სოციალურ წრეში ორი ფენა შეიძლება გამოვყოთ. ერთნი, რომლებიც ეჩმიაწინის მესვეურებმა თუ კერძო პირებმა ფულით იყიდეს, მონასტერს შესწირეს და ამ გზით ეჩმიაწინის ყმობაში მოაქციეს და მეორენი, რომლებიც ნებაყოფლობით შევიდნენ მონასტრის ყმობაში. ასეთი დაყოფის საფუძველს ჩვენ მაშინდელი (XVII—XVIII სს.) საქართველოს ბატონყმურ სინამდვილეში ვხედავთ.

საქართველოს ქალაქებში, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში, ბატონყმური ურთიერთობა მეფობდა და ამიტომ ქალაქების ძირითად მოსახლეობასაც ყმა ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ. არსებობდა მოქალაქე ყმათა სხვადასხვა კატეგორია: ფულით ნაყიდი, შეწირული, თავშეწირული ანუ საკუთარი ნებით მონასტრის ყმობაში შესული და სხვა. უველაზე უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ „შეწირული“ ყმები, რომლებიც შეწირვის შემდეგ ჩვეულებრივად თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო და საბატონო ვალდებულებებისაგან და მხოლოდ ეკლესია-მონასტრების მიმართ ედებოდათ გარკვეული ვალდებულებები. ნაწილობრივ ამით ხსნის შ. მესხია იმ გარემოებას, რომ საქართველოში ეკლესია-მონასტრებს მეფისა და ევოდალების მიერ შეწირული ყმების გარდა თავშეწირულებიც ჰყავდათ<sup>44</sup>.

მატენადარანის ქართულ დოკუმენტებში არაერთი შემთხვევაა აღნიშნული, როცა თავშეწირვის წესით ეჩმიაწინის ყმები ხდებიან საქართველოს ქალაქების ვაჭრები<sup>45</sup>. შემთხვევითი არაა, რომ ჭამბრში ჯერ ფულით ნაყიდი „ჭორთები“ არიან მოხსენებული. მათ შესახებ ძველი დაწვრილებით მოგვითხრობს თუ ვინ, როდის, სად და რამდენი „ჭორთი“ იყიდა. მაგალითად, კათალიკოს ასტვაცატურ ჰამადანცის 1715 და 1721 წელს თბილისში „ჭორთებად“ უყიდა რამდენიმე ოჯახი. იქვე უთითებს ნასყიდობის წიგნის ადგილმდებარეობასაც. მხოლოდ ამის შემდეგ „ჭამბრის“ ავტორი სათითაოდ ჩამოთვლის „წმინდა ტახტის ჭორთებს“ და ამასთან თითოეული მათგანის პროფესიასაც აღნიშნავს მაშინ, როდესაც ნასყიდი „ჭორთების“ მიმართ ამას არ აყ-

<sup>43</sup> ბ. მ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

<sup>44</sup> Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, 1959, გვ. 165, 169.

<sup>45</sup> მატენადარანი, ქართული დოკუმენტები, შეკვრა 252, საბუთი 38 (ვიმოწმებთ შ. მესხიას მიხედვით).



თებს<sup>46</sup>. ამით სიმეონ ერევანცი იმ სხვაობას აღნიშნავს, რაც ნასყიდსა და თავშეწირულ „ჭორთებს“ შორის იყო. პირველ შემთხვევაში „ჭორთის“ პროფესიის აღნიშვნა არ იყო სავალდებულო, რადგან ნასყიდობის უფლებით ეჩმიაწინს თავის სურვილის მიხედვით შეუძლია მისი გამოყენება. მეორე შემთხვევაში კი ეს აუცილებელი იყო. რამდენადაც თავშეწირული ყმები თავისი პროფესიის მიხედვით ასრულებდნენ საყმო ვალდებულებას ეჩმიაწინის კათლიკოსები კარგად იყენებდნენ რა ქართველი მეფეების კეთილგანწყობილებას, მთელი რიგი შეღავათების გამოთხოვას ახერხებდნენ თავისი „ჭორთებისათვის“ ხელოსნობასა და ვაჭრობაში. შეღავათიანი ვაჭრობის პირობებში მართლაც შეიძლებოდა ისე გამდიდრებულიყო ეჩმიაწინის ზოგიერთი „ჭორთი“, რომ წმინდა მამებს მისთვის „ბატონიც“ კი ეწოდებინათ.

ნასყიდ „ჭორთებთან“ დაკავშირებით, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჭორთები“ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთან არიან დაკავშირებული. ეჩმიაწინის კუთვნილი სოფლების გლეხებისა და მონასტრის მომსახურე სხვა კატეგორიის ხალხის მიმართ ეს სიტყვა არსად არ არის ნახსენები. ბ. არუთინიანი საგანგებოდ შენიშნავს, რომ მოცემული პერიოდის ვერცერთ საარქივო მასალაში საქართველოს ფარგლებს გარეთ „ჭორთების“ ყიდვისა თუ ეჩმიაწინისათვის ჩუქების ფაქტს ვერ წააწყდა<sup>47</sup>. ეს მოვლენა ჩვენ საესეებით კანონზომიერად გვეჩვენება. მუსლიმანური სამართლის მოქმედების სფეროში გლეხის ყიდვა-გაყიდვა ოფიციალურად დასაშვები არ იყო. ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გლეხების მიწაზე მიმაგრება და ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისამდე დოკუმენტურად არ არის დამოწმებული<sup>48</sup>.

განსხვავებას საქართველოში მცხოვრებ ეჩმიაწინის „ჭორთებსა“ და ერევანის სახანოში მცხოვრებ სამონასტრო გლეხების მდგომარეობას შორის აღნიშნავს ეპისკოპოსი ო. შაჰატუნიანიც. პირველებს ის მონებს უწოდებს, ხოლო მეორეებს „გადამხდლებს“. ამით, ვფიქრობთ, დანახულია განსხვავება „ყმასა“ და „რაიას“ შორის, რომლის ძირითადი მოვალეობაც ბატონისადმი მულქის ანუ მოსავლის ნაწილის გადახდა იყო. საქართველოში ეჩმიაწინის კუთვნილ პირებს სხვა ადგილას შაჰატუნიანი „მონის მდგომარეობაში“ მყოფებსაც უწოდებს (*შაჰოცქე ქიჩინაქსუ ქრასთიანქ*) და საინტერესო ციფრებიც მოაქვს მათი რაოდენობის შესახებ. ამ ეპისკოპოსის ცნობით, ეჩმიაწინზე დამოკიდებული პირებიდან „მონის მდგომარეობაში“ იყო 532 მამრობითი

<sup>46</sup> ჯამბრი, სომხ. გამ. გვ. 209, რუსული გამ. გვ. 281—282 (სხვათა შორის როვორც ნასყიდი, ისე თავშეწირული ჭორთები ტომით სომხები ჩანან. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ დავით ბატონიშვილის „სამართლის“ მიხედვით მოქალაქეს „აქუს ნებაჲ მოსყუდლადეა ყმათა სახმარებლად. გარნა არა მართმადიდებელთა, უკეთუ არს სომეხი“).

<sup>47</sup> ბ. შ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92—93.

<sup>48</sup> ვ. გ. აბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958, გვ. 213.

და 402 მდებარეობით სქესის წარმომადგენელი<sup>49</sup>. ვფიქრობთ, ამ ციფრებში საქართველოში ნასყიდი ყმები უნდა იგულისხმებოდნენ, რადგანაც მხოლოდ ნასყიდები უახლოვდებოდნენ თავისი უფლებრივი მდგომარეობით მონის მდგომარეობას. მოტანილი ციფრები საკმაოდ საკუთსხმოა. ეჩმიაწინი რომ ნასყიდი ყმების დიდ რაოდენობას ფლობდა ამას მატენადარაწში დაცული ქართული საბუთებიც მოწმობენ<sup>50</sup>.

რა ვალდებულებები ეკისრებოდათ ნასყიდ ყმებს ეჩმიაწინის მიმართ? სათანადო საბუთების უქონლობის გამო ძნელია ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა. ერთი მაინც ცხადია. რამდენადაც ნასყიდ ყმაზე პატრონს დიდი უფლებები ჰქონდა, მას იქ გამოიყენებდა, სადაც სურდა. როგორც უკვე აღინიშნა, მსხვილი საბატონო მეურნეობის განვითარება (ეჩმიაწინის მეურნეობა თავისი მოცულობით ყველაზე დიდი იყო მთელს ერევნის სახანოში, თვით ხანის მეურნეობის შემდეგ) ეჩმიაწინის მესვეურების წინაშე მთელი სიმწვავეით აყენებდა მუდმივი სამუშაო ძალის პრობლემას. დღიური ან სეზონურად დაქირავებული მუშა მტკიცე საფუძველს ვერ უქმნიდა ინტენსიური მეურნეობის განვითარებას. მხოლოდ მიწაზე მიმაგრებული ყმა გლეხების სამუშაო ძალას შეეძლო დაეკმეყოფილებინა ასეთი მეურნეობის მოთხოვნილებები და ჩვენც ვფიქრობთ, რომ საკუთარი ფულით ნასყიდი ყმები სწორედ უნდა გამოეყენებინათ იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირდათ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს შაპატუნიალის ცნობა 532 მამაკაცის გვერდით „მონის მდგომარეობაში“ მყოფი 402 ქალის შესახებ. ჯერ ერთი, თავშეწირულ ყმებში არცერთი ქალი არაა მოხსენიებული. ამას გარდა, ცნობილი არაა ფაქტი, რომ ქალი ვაჭრობით ან ხელოსნობით იხდიდეს თავის მოვალეობას ბატონის წინაშე. მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობაში, კერძოდ კი მინდვრის სამუშაოებში, ქალის შრომის გამოყენება სომხეთში, კერძოდ ეჩმიაწინის მამულში, დადასტურებული ფაქტია<sup>51</sup>. შაპატუნიალის მიერ მოტანილი ციფრები არც ისე მცირეა და თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ეჩმიაწინის მეურნეობაში ნასყიდ ყმებს მნიშვნელოვანი გამოყენება ჰქონიათ.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გლეხთა დაყმევების პროცესი (დაახლოებით XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან) მიმდინარეობდა მიწის ფეოდალური დასაკუთრების პარალელურად. ამ პროცესის დასასრულად ვ. გაბაშვილი XVIII ს-ის მეორე ნახევარს მიიჩნევს<sup>52</sup>. ფილიპე ალბაკეცის დროიდან (XVII ს-ის შუა წლები), როცა ეჩმიაწინის საკუთარი მეურნეობა იქმნება, მიწის ფეოდალური დასაკუთრება ფაქტიურად დაწყებულია. ამის დამადასტურებელ ფაქტს ვხვდებით „ჯამბრში“, სადაც ეჩმიაწინი გლეხის ქონებისა და შრომის გამგებელი გამოდის. „ჯამბრის“ ავტორი ჩამოთვლის რა მონასტრის კუთვნილ სახნავ მიწებს, აღნიშნავს მათი შექმნის დროს და უჩვენებს მიწის ფართობს. იქვეა შენიშნული, რომ „ყველა ზემოხსენებული ადგილი მხოლოდ წმინდა

<sup>49</sup> ეიმოწმებთ ბ. არუთინიანის მიხედვით (დასახ. ნაშრომი, გვ. 93).

<sup>50</sup> მატენადარანი, ქართული სიგელები, შეკვრა 252, საბუთი № 12, 18 და სხვ.

<sup>51</sup> Артемий Араратский. Жизнь Артемия Араратского... СПб., 1813. кн. I, Сомб. გამ. გვ. 45—48.

<sup>52</sup> ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

ტახტს ეკუთვნის. ჩვენ გვლებს უფლება არა აქვთ რაიმე დათესონ იქ ჩვენი ნებართვის გარეშე. მაგრამ ჩვენი სოფლის სხვა მინდვრებზე, რომლებიც სოფლებებისაა, ჩვენ უფლება გვაქვს ვთესოთ აუცილებლობის შემთხვევაში, — თუ ამას მოვისურვებთ<sup>53</sup>. ბ. არუთინიანი ამ აღვიღს „ჯამბრის“ ავტორის ცალმხრივ და თვითნებურ განმარტებად მიიჩნევს, რადგანაც ის „მულქადარულ“ სამიწო ურთიერთობას არ შეესაბამება<sup>54</sup>. პ. არუთინიანი კი „ჯამბრის“ მიერ აღწერილ ურთიერთობაში ქართული ფეოდალური ურთიერთობის ასახვას ამჩნევს. ასეთი შეფასების საფუძველს პ. არუთინიანი სამართლიანად ხედავს იმ ფაქტში, რომ სომხურ სამღვდელოებასა და ფეოდალებს ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართველ ფეოდალებთან. ხოლო XII—XIII საუკუნეებიდან XIX საუკუნის I მეოთხედამდე „კავკასიის სომხეთი“ ხან მთლიანად ხან კი ნაწილობრივ ქართველ მეფეთა განმგებლობაში იყო მოქცეული. ამიტომ, მისი აზრით, ქართველი და სომეხი გლეხის ექსპლოატაციის ფორმებს ბევრი რამ საერთო უნდა ჰქონოდა<sup>55</sup>.

ეჩმიაწინის კათალიკოსების მიერ საქართველოში ყმების ყიდვის ფაქტები „ჯამბრის“ მიხედვით, XVIII ს-ის დასაწყისსა და ამ საუკუნის ოციან წლებს მიეკუთვნება. შაპატუნიალის ცნობაში კი, სამწუხაროდ, არ ჩანს, ამ ხანის რომელ მონაკვეთს ეხება მისი ციფრები. მიუხედავად ამისა, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ეჩმიაწინის მეურნეობაში მიწაზე მიმაგრებულ ყმათა პირველი კონტიგენტი საქართველოში ნაყიდ „ქორთებს“ უნდა შეექმნათ.

<sup>53</sup> ჯამბრი, სომხ. გამ. გვ. 153, რუსული გამ. გვ. 229.

<sup>54</sup> ბ. შ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

<sup>55</sup> პ. ტ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, შენ. 1.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)



## თილა ჯარაულაშვილი

### ხალხური ქსოვის ისტორიიდან

(გზალაგი — მაფრაშა)

✓ სხვადასხვა სახისა და დანიშნულების საგნების ქსოვა-წვნა ადამიანის უძველეს საქმიანობას წარმოადგენდა.

✓ ქსოვილების დამზადება საერთოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან. ხალხური ქსოვის ტრადიციული წესები, რომლებიც მრავალი თაობის მიერ იქნა შემუშავებული პრაქტიკული საქმიანობისა და საწარმოო გამოცდილების საფუძველზე, უკანასკნელ დრომდე შემოგვინახა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ.

✓ საგულისხმოა, რომ სხვადასხვა დანიშნულების ნაქსოვი საგნები დღემდე შემორჩა ქართულ ყოფაში: ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს ხალხური ხელსაქმის საუკეთესო ნიმუშს, ასეთებია: გულაგი ანუ მაფრაშა<sup>1</sup>, ჯეჯიმა, ფარდაგი, ხალიჩა, ხურჯინი, მუთაქა-ბალიშის საპირე, სუფრა, არშია, ნაქარგი თუ დაბასმული ლეჩაქი, ბადე, თალისა (ქისა) და სხვა. ეს ნიმუშები სხვადასხვა საქსოვი იარაღით და ტექნიკური წესით არის შესრულებული („ბადური“ || „კვანჭური“, „ფარდაგული“, „ხაოიანი“, „ხვეული“ და სხვა). მათზე წარმოდგენილია ნაირი სახის „ჭრელი“ — შესრულებული სხვადასხვა სახის და ფერის მასალით (ძაფი, მძივი და სხვა).

✓ ქართული ხალხური ქსოვილებიდან საინტერესოა გულაგი, ანუ მაფრაშა, რომელსაც საგანგებოდ გვინდა შევეჩოთ. ვიდრე უშუალოდ საგნის შესწავლაზე გადავიდოდეთ, უპირველეს ყოვლისა, გვინდა გავარკვიოთ მისი ქართული სახელწოდება.

სულხან-საბა ორბელიანი ქართულ ლექსიკონში, წყაროებზე დაყრდნობით, მაფრაშის შესახებ აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა „სხვათა ენაა, ქართულად გვალაგი ჰქვიან-ო. გვალაგი ნ. გულაგი!“. საბას იმავე ლექსიკონის სახელთა უცხო შესატყვისობაში სახელი მაფრაშა თურქულ სიტყვადაა მიჩნეული<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე მნიშვნელობა აქვს ტერმინ „მეფრეშ“ || „მაფრაშას“ აზერბაიჯანულში<sup>3</sup>.

ჩანს, ჩვენი ხალხის ყოფაში „შთასადებელი ქსოვილი ჭურჭლის“<sup>4</sup> ძველი ქართული სახელი — „გულაგი“ || გვალაგის მაგიერ აღრევე დამკვიდრდა უცხო წარმოშობის სახელი — „მაფრაშა“, რადგან, არც ეთნოგრაფიულ ყოფაში და

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV<sub>1</sub>, თბ., 1965.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV<sub>2</sub>, თბ., 1965.

<sup>3</sup> Народы Кавказа, т. II, 1963, стр. 92.

<sup>4</sup> საბა, დასახ. ნაშრომი.

არც ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში (XVIII—XIX სს. მზითვის სიები, ქონების ნუსხები და სხვა) აღარ იხსენიება სახელი „გულაგი“. მის მაგიერ ყველგან „მაფრაშა“ ნახმარი. ზემოაღნიშნულის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც აღვადგინოთ ამ საგნის აღმნიშვნელი ძველი ქართული სახელი „გულაგი“.

მაფრაშა წარმოადგენს ნაქსოვ სათავსოს, რომელიც ისმარებოდა უმთავრესად ლოგინის, ტანსაცმლის, საფენის (ფარდაგი, ჭეჯიმი, ხალიჩა, ნაბდები) და სხვათა ჩასალაგებლად.

სამაფრაშე ქსოვილი, ფერადსახიანი, საგანგებოდ მზადდებოდა მატყლის ნართისაგან, მას ვერტიკალური ტიპის ნაქსოვ დაზგაზე — „ყუღებზე“ ქსოვდნენ „ფარდაგული ქსოვის“ წესით. აგრეთვე გამოყენებული იყო ის წესი, რომელსაც ეწოდებოდა — „ხვეული“ // „დარმა“, ანუ „სუმაზი“ // „იემენი“; ამ წესით მაფრაშას ორნამენტები უკეთდებოდა მხოლოდ გვერდებზე, რისთვისაც სხვადასხვა ფერის ნართს იყენებდნენ. ძირი კი სადა ან ზოლიანი იქსოვებოდა.<sup>5</sup>

სამაფრაშე ქსოვილის დასამზადებლად ქსელი ერთნაირად გაიბმებოდა, მაგრამ მაფრაშის გვერდები და ძირი ცალკე იქსოვებოდა (ჯერ გვერდი იქსოვებოდა, შემდეგ ძირი და ისევ გვერდი), თავებიც ცალკე, რადგან ისინი ცალკე უნდა მოეჭრათ და ჩაედგად მაფრაშის ორივე მხარეს. გვერდებს, ძირსა და თავებს ისე მიაკერებდნენ, რომ მაფრაშა მართკუთხა კილობნის ფორმას იღებდა<sup>6</sup>. ამის გამო მესხეთში მაფრაშას „ნაქსოვი კილობანიც“ ეწოდებოდა. მაფრაშას ფერადი ნართებით და დიდი ნემსით, ხურჯინის გვერდების მსგავსად, „ხვეულად“ კერავდნენ, ვარშემო ნაპირზე საკინძავ ყულევებს უკეთებდნენ — ექვსს გვერდებზე და თითო — თავებზე. მათ ხურჯინის მსგავსად უკეთებდნენ სახლართავ ზონრებს რომელთაც შეიღწევი ფერადი ნართისას წინაედნენ „მოლტივით და ბოლოში ფუნჯს უკეთებდნენ. მაფრაშაში ჩალაგებულ ნივთებს რაიმე ქსოვილს გადააფარებდნენ (ჭეჯიმს და სხვა) და სახლართავი ზონრებით შეკრავდნენ საცალოს მსგავსად<sup>7</sup>.

როგორც ითქვა, მაფრაშა ოჯახში გამოყენებული იყო ძირითადად ლოგინის, ტანსაცმლის და საფენების (ფარდაგის, ჭეჯიმის, ხალიჩის, ნაბდების) და სხვათა ჩასალაგებლად. ამ ნივთების გადატანა მაფრაშით ადვილი იყო. ზოგ ოჯახში რამდენიმე მაფრაშა ჰქონდა. მაგალითად, ქალის მზითევი აუცილებლად მაფრაშით უნდა წაეღოთ (ლოგინი ფარდაგი, ჭეჯიმი და სხვა); ამ შემთხვევაში მაფრაშა მზითვის შემადგენელ საგანს წარმოადგენდა, რაც ეთნოგრაფიული მასალის გარდა, მზითვის სიებითაც დასტურდება. მაგალითად, მანუჩარ თუმანი-

<sup>5</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება. დაცული ერთ-ერთი მაფრაშის მიხედვით ირკვევა, რომ იგი ზოგჯერ კუმბურული სახიანი შალისაგანაც უყვრით, ტაბ. II, სურ. 2.

<sup>6</sup> მაფრაშა სხვადასხვა ზომისა იქსოვებოდა. მაფრაშის ქსოვისას წინასწარ გათვალისწინებული იყო მხოლოდ ძირის ზომა (სიგრძე, სიგანე) და გვერდის სიმაღლე (რამდენი „ჩარეკი“, ან „არშინი“ უნდა დაეჭირათ, ამ აღმთხვევით ხალხური საზომი ერთეული მტკაველი იყო გამოყენებული. ოთხი მტკაველი ერთ არშინს უდრიდა). კახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მაფრაშის გვერდის სიმაღლე დაახლოებით არშინსახევარს უდრიდა, თუმცა ზოგიერთი მეტი ზომისას ქსოვდა. 1967 წელს, მესხეთ-ჯავახეთში შემდეგი ზომის მაფრაშა დავაშოქეთ; ძირის ზომა: 110 x 54 სმ. გვერდის სიმაღლე 50 სმ. აღნიშნული მაფრაშის გვერდებზე რთული გეომეტრიული ორნამენტი იყო გამოსახული, შესრულებული „დარმა“ ანუ „ხვეული“ ქსოვის ტექნიკური წესით; ძირი კი ფერდობიანი, სადა ნაქსოვი, იყო, ტაბ. II.

<sup>7</sup> მაფრაშის საინტერესო ნიმუშები დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხალიჩების ფონდში, იხ. ტაბ. I, და II.

შვილის ასულის ბარბარეს მზითვის წიგნში (1808 წ.) აღნიშნულია: „მაფრაშა ხუთი“<sup>8</sup>. იესე თუმანოვის ასულის მარიამის მზითვის წიგნში (XIX ს. შუა ხანები) საფენების (ორხოა, ქჩა, ხალიჩა) შემდეგ აღნიშნულია: „ქ. ორი მაფრაშა“<sup>9</sup>. იაკობ ზუბალოვის ასულის გაიანეს მზითვის წიგნშიც (1849—1852 წწ.) „ერთი წვეილი მაფრაშა“ არის მოხსენიებული<sup>10</sup>. ეკატერინე სოლომონის ასულ ჭავჭავაძის მზითვის სიაში (1870 წლის 25 ოქტომბერი, ს. ყვარელი), მოხსენიებულია „ორი მაფრაშა“, იქვე აღნიშნულია მისი ფასი — 12<sup>11</sup>. ხოლო დეკანოზ ეგნატე მრევლიშვილის ასულის სიდონიას მზითვის სიაში (1879 წლის 1/1) მოხსენიებულია ერთი მაფრაშა<sup>12</sup>. „ერთი მაფრაშა“ აღნიშნული აგრეთვე ნინო ვაჩნაძის მზითვის წიგნში (1883 წელს)<sup>13</sup>. ჩანს, შეძლებული წრის ქალებს მზითვად რამდენიმე მაფრაშა, ანუ გულავი მიჰქონდათ. ეს დამოკიდებული იყო, ალბათ, მზითვის რაოდენობაზეც.

მართალია ტანსაცმლისა და სხვა ნივთების ჩასაწყობად და გადასატანად ზანდუკებსაც ხმარობდნენ, მაგრამ მაფრაშები მაინც აუცილებელ და საჭირო საგანს წარმოადგენდა როგორც დაბალი წრის, ისე მაღალი წრის ოჯახებისათვის.

მაღალი წრის ქალების მზითვის სიებში რამდენიმე ცალი მაფრაშა მოხსენიებული. პატარძლის მზითევთან ერთად მისი გამზრდელისა და მსულბლების (მოლარე, პირისფარეში, მედოშაქე და სხვათა) ლოგინი, ტანსაცმელი და საფენები ცალკე მაფრაშებში ჩაწყობილი მიჰქონდათ. მაგალითად, ქსნის ერისთავის ანას მზითვის წიგნში (1692—1703 წწ.) აღნიშნულია: „მაფრაშა თალათინისა ჭუფთი ერთი“ (რომელშიც, მხოლოდ საფარეშო იარაღის ნივთები იყო ჩალაგებული, „... გამდელი ... ერთის ჭუფთის მაფრაშითა, ერთის ზანდუკითა. პირისფარეში... ერთის მაფრაშითა და ზანდუკითა ... ცალის მაფრაშითა და ზანდუკითა“<sup>14</sup>.

ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს მზითვის წიგნში (1713 წლის 5 სექტემბერი) ვკითხულობთ: „ერთის ჭუფთის საქლემოს (Sic) მაფრაშით ქუემოურის გარდასაფარებლის ჯეჯიმითა“... (რომლებშიც ქვეშაგებლები იყო ჩალაგებული) ... წყუილი მაფრაშით, ზედ გარდასაფარებლის ფარდაკებით (Sic) (ამაში საბანი, ქვესაფენი და ხალიჩები იყო მოთავსებული). გამდელის ქუეშაგები და ხალიჩა, ფარდაგი, ჯეჯიმი „ზანდუკითა და ოთხის მაფრაშითა“; პირისფარეშის, მოლარის, მედოშაკის ტანსაცმელი და ქვეშაგებლები ცალ-ცალკე მაფრაშებში იყო ჩალაგებული<sup>15</sup>. როგორც ჩანს, მაფრაშები აქლემზე ასაკიდებელიც ყოფილა („ერთის ჭუფთის საქლემოს (Sic)“. ალბათ, აქლემზე ასაკიდებელი მაფრაშა უფრო დიდი იყო, ვიდრე ჯორსა, თუ ცხენზე ასაკიდებელი. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ მეფის მოძრავი სა-

<sup>8</sup> ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, გ. 1955, გვ. 410.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 533.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 535.

<sup>11</sup> თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლ. № 107.

<sup>12</sup> იქვე, კოლ. № 106.

<sup>13</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., წ. III, გვ. 536.

<sup>14</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი, 1909, გვ. 434.

<sup>15</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1910, გვ. 498, 499, 500.



წოლ-სასაგებლე, რომელიც დიდ მაფრაშაში იყო ჩალაგებული, „სასაგებლე ჯორზე“ იყო აკიდებული<sup>16</sup>.

გარდა ამისა ზემოხსენებული მზითვის წიგნიდან ირკვევა, რომ მაფრაშების თავზე გადასაფარებლად სხვადასხვა სახის ქსოვილები ყოფილა გამოყენებული: ჯეჯიმი, ფარდავი და სხვა. ეთნოგრაფიული მასალებით ცნობილია, რომ მაფრაშები მატყლის ნართისაგან მზადდებოდა „ფარდავული“ ქსოვის წესით. ამას ადასტურებს მზითვის წიგნებში დაცული ცნობებიც. „(9 მიწალთენი) ქ. ბ. მაფრაშა ფარდავისა, თავისის შავის სახლართის საბლებითა“<sup>17</sup> (1807 წ.), ხოლო ზემოდასახელებული ქსნის ერისთავის ასულის ელენეს მზითვის წიგნის მიხედვით ირკვევა, რომ მაფრაშები თალათინისა<sup>18</sup>, ანუ ტყავისაგანაც უმზადდებოდათ: „მაფრაშა თალათინისა ჯუფთი ერთი“<sup>19</sup>, ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში ორიენიანი (მასალის მხრივ) მაფრაშა მოხსენიებული: „მაფრაშა თალათინისა წყული ერთი, ფარდავისა წყული ორი“<sup>20</sup>. ხოლო თარხან მოურავის ქალის მზითვის სიის მიხედვით ირკვევა, რომ ზოგიერთი მაფრაშა ბამბის ნართისაგანაც უმზადდებოდათ. „ამათი ერთი წყვილი მაფრაშა ბამბისა“<sup>21</sup>. მაფრაშა სამეფო საფარეშოებშიც მრავალი მოიპოვებოდა, რასაც მეტყველებს სამეფო საფარეშოს აღწერის სია, რომელიც შედგენილია 1798 წლის 21 ივლისს და 1799 წლის 26 თებერვალს. სიაში აღნიშნულია: „წყვილი მაფრაშა“. „ქ. ქიზიყის მოურავისეული კარავი თავისი თეჭირითა და ფოჩით, აბელისეული კარავიც ამაში ძვეს. ეს ორ მაფრაშაში არის. ქ. ტახტის პატარა ორხოა ტახტის ერთი, ერთი მაფრაშით. ქ. ქალაქური თაქნაბადი ერთი წყვილი მაფრაშით. ქ. კიდევ ერთი მაფრაშა. ქ. სამი მაფრაშით ესენი... (ჩამოთვლილია ქეჩები, თაქნაბადები, ხალიჩები, ფარდავები, ჯეჯიმები, ტომარა და სხვა სულ 27 ნივთი)“<sup>22</sup>.

მაფრაშა იხმარებოდა შორი მგზავრობისას, ხატობისას, მხედრობისას და სხვა დროს. საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა აკად. ივ. ჯავახიშვილის შემდეგი შენიშვნები: 1) „ისევე როგორც მუდმივი საწოლი და სასაგებლე, საქართველოს მეფეებს მოძრავი, სამგზავრო საწოლ-სასაგებლეც ჰქონდათ, რომლის აღწერილობა ხელმწიფის კარის გარიგებაში მოგვეპოვება „... დიდი მაფრაშა, რომელსა შიგან იდვას: ერთი მომცრო უკეთესი ორხოვა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი და ერთი სასთაული, ეს ერთს თხელს ლარის ბუდეცა შიგან და ეგეთი ზედ გარდაფარონ. მით სახურავითა ნაკერთა დახურონ და წითლის ბანბის ქარშიკით დააკრან“. იგი აკიდებული იყო ჯორზე, რომელსაც სასაგებლე ჯორს უწოდებდნენ, როდესაც „მეფე აიყაროს“, მაშინ მოძრავი „სალაროსა წინათ იარების სიკისტრონი და ერთი ყათარი სხვაი ჯორი სასაგებლე ტურ-

<sup>16</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III—IV, თბილისი, 1962, გვ. 18.

<sup>17</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, წ. III, გვ. 275.

<sup>18</sup> სულხან საბა-ორბელიანის განმარტებით თალათინი სხუთათენაა, ნატა პქან. „ნატა თალათინი მოქნილი ტყავი (ნ. თალათინი). სულხან-საბა-ორბელიანის, ქართული ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი 1962.

<sup>19</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი, 1909, გვ. 434.

<sup>20</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1910, გვ. 491.

<sup>21</sup> ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, თბილისი, 1955, გვ. 325.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 284, 289, 280.





სურ. 1



სურ. 2



ფადვე მოკაზმული“. 2) მოგზაურობისათვის გამზადებულ რაინდს და ყოველ სხვა ადამიანსაც თან საგებელიც უნდა წაეღო. ამიტომაც იყო, რომ ფრიდონმა ავთანდილსაც, წასვლის წინ, „ერთსა ჯორსა წვივ-მაგარსა, საგებელი აუკიდა“ (აბ. 955)<sup>23</sup>.

ისტორიული საბუთებით ირკვევა, რომ მაფრაშა, როგორც ოჯახისათვის ფრიად საჭირო საგანი საძღვნი და ცოფილა გამოყენებული. რასაც თუმანიშვილების ხარჯის ნუსხაში (1783 წლის) დაცული ცნობა მეტყველებს. „ქ. ა ბარათით ა წყვილი მაფრაშა მდივანს ნიკოლოზს აბაშიძისათვის მიურთმევია“<sup>24</sup>.

საისტორიო საბუთების (განსაკუთრებით მზითვის წიგნებში, ქონების ნუსხებში, ანდერძის და სხვა რიგის საბუთებში) მიხედვით ირკვევა, როგორც მაფრაშების დანიშნულება, ისე მათი რაოდენობა და ღირებულება. ასე, მაგ., XVIII ს-ის შუა ხანების ქონების სიაში აღნიშნულია „მხლებლების ტანსაცმელი და ქვეშაგები თავის მაფრაშებით წააღეს“<sup>25</sup> დიმიტრი ბარათაშვილის მეუღლის თამარის ქონების ანდერძის ნუსხაში (1826 წ.) სულ 8 მაფრაშაა მოხსენიებული: „ოთხი მაფრაშა“ ... კიდევ „მაფრაშა ოთხი“<sup>26</sup>. ზოგიერთი საბუთის მიხედვით მაფრაშის ღირებულებაც ირკვევა. გაბრიელ მაღალოვის ასულ სოფიოს მზითვის წიგნში (1833 წლის) აღნიშნულია: „(თუ მ ა ნ ი) ერთი წყვილი მაფრაშა ახალი“<sup>27</sup>, ეგნატ თუმანიშვილის დანაკარგი ბარგის ნუსხაში (1795 წ.) აღნიშნულია: „(ო თ ხ ი თ უ მ ა ნ ი და ო თ ხ ი მ ი ნ ა ლ თ უ ნ ი) ქ. მაფრაშა ახალი ექვსი“<sup>28</sup>. მანუჩარ მდივნისა და მისი სიმამრის ალა-სტეფანას ანგარიშის წიგნში (1795 წ.) აღნიშნულია: „ა წყვილი მაფრაშა 3 (5 მ ი ნ ა ლ თ უ ნ ი)“<sup>29</sup>.

ეგნატ თუმანიშვილის ასულის ელისაბედის მზითვის წიგნში (1807 წ.) აღნიშნულია: „(9 მინალთენი) ქ. ბ მაფრაშა ფარდავისა, თავისის შავის სახლათის საბლეთა. (2 მინალთენი) ქ. ა ცალი მაფრაშა ფარდავისა“<sup>30</sup>. ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა ელისაბედის მოლარეს. საბუთში აღნიშნული მაფრაშების ფასებს შორის დიდი სხვაობა (9 მინალთენი და 2 მინალთენი), მათ შორის განსხვავებულ ხარისხზე უნდა მეტყველებდეს. ჩანს, რომ მაღალი წრის ქალები სამზითვოდ უფრო კარგი ხარისხის მაფრაშებს იძენდნენ, ჩვენ ზემოთ დავიხსენეთ, რომ საამისოდ ზოგჯერ ტყავის მაფრაშებიც კი გამოუყენებიათ, ხოლო მათს მხლებლებს უფრო მდარე მაფრაშები ჰქონდათ.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ მაფრაშები საბაზრო დანიშნულებითაც დიდი რაოდენობით მზადდებოდა. საარქივო მასალების მიხედვით, თბილისის, თელავის და ახალციხის მაზრებში, XIX ს-ის შუა ხანებში, ერთ-ერთ წელს საბაზროდ 476 მაფრაშა დაუმზადებიათ, რომელთაგან გაყიდულა 215 ცალი. საერთო ღირებულებით — 698 მანეთის. გაყიდული ნაწილის შეფარდება დამზადებულ ნაწილთან უდრიდა 45,7%-ს<sup>31</sup>. ამ საკითხთან დაკავში-

<sup>23</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. II—IV, თბ., 1962, გვ. 17, 18.

<sup>24</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., ნაშრომი, წ. III, გვ. 204.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 500, 504.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 517.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 257. <sup>29</sup> იქვე, გვ. 263.

<sup>30</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., ნაშრომი, წ. III, გვ. 401, 402.

<sup>31</sup> სკია, ფონდი 16, საქმე 8888, ფ. 50—51, 64—65, 73,—74, 107, 128—130, მ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს-ის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 66.

რებით საინტერესოა 1808 წლის საბუთი, რომელიც წარმოადგენს ვინმე ნატალია ამატუნის წერილს ამილახერის ასულის ანასადმი; წერილში ნათქვამია: „მაფრაშები და ქეჩა ვერ ვიშოვეთ და ვცდილობთ ეგება ვიშო(ვ)ოთ“<sup>32</sup>.

როგორც ცნობილია, ტანსაცმლისა და საფენელ-საგებელთა შთასადებელმა მაფრაშამ დღეს თავისი მნიშვნელობა დაკარგა, მისი ადგილი სხვა სახის სათაფროსომ დაიკავა. მაფრაშა ახლა, მხოლოდ ზოგიერთ ოჯახებში გვხვდება, ისიც უყურადღებოდ მიგდებული, ახლო წარსულში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან საოჯახო საგანს წარმოადგენდა.

მაფრაშები არა მარტო საქართველოში იყო გავრცელებული, არამედ იგი საერთოდ კავკასიური სამყაროსათვის იყო დამახასიათებელი: რასაც მოწმობს მუზეუმებში დაცული მაფრაშები (საქ. სახ. მუზეუმი, ეთნოგრაფიული განყოფილება, იხ. ტაბ. I, II; ლენინგრადის, საბჭ. კავ. ხალხთა ეთნოგრაფიული მუზეუმი და სხვა).

<sup>32</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, დასახ., ნაშრომი, წ. II, გვ. 399.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ)

## თეიმურაზ ქარლავანიძე

## გაზეთი „ივერია“ (1886 წ.) და ხალხური სიტყვიერება

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ დააყენა ხალხური შემოქმედება. ერის ამ ფასდაუდებელი განძის შეკრებას, გამოქვეყნებასა და შესწავლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდნენ.

„თერგდალეულები“, აღფრთოვანებულნი ხალხური შემოქმედების დიდი ესთეტიკური, მხატვრული და ისტორიული ღირებულებით, ზეპირსიტყვიერებაში ხედავდნენ ერის გამოფხიზლების ერთ-ერთ საშუალებას.

ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და გამოქვეყნების საქმეს განსაკუთრებული ამაგი დასდეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა სამოციანელებმა. ილია ჭავჭავაძეს ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამომწვეურება „ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარების“ საშუალებად ესახებოდა. ამიტომ იყო, რომ თავისი საკუთარი ორგანოს დაარსებამდე, 70-იან წლებში აკაკი წერეთლის ჟურნალ „კრებულში“ აქვეყნებდა თავისივე ჩაწერილ მასალებს „გლეხური სიმღერების“ სახელწოდებით<sup>1</sup>.

გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძე თავის ჩაწერილ ნიმუშებს ხალხური სიტყვიერების ცნობილ კოლექციონერ პეტრე უმიკაშვილს უგზავნიდა<sup>2</sup>.

1877 წელს თბილისში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოსვლას იწყებს პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“. 1879 წლიდან 1886 წლამდე „ივერია“ ჟურნალის სახით გამოდიოდა თვეში ერთხელ. 1886 წელს კი გადააკეთდა ყოველდღიურ გაზეთად, რომელშიც უხვად დაიწყეს ბეჭედა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა.

ჩვენი გამოკვლევის თემად გაზეთ „ივერიის“ 1886 წელი ავირჩიეთ ორი მოსაზრების გამო. ჯერ ერთი, საინტერესოდ გვეჩვენებოდა ეს პერიოდი (1886 წლისათვის უკვე საკმაო ხნის ტრადიცია ჰქონდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერა-გამოქვეყნებას) და, მეორეც, გვინტერესებდა „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების შემდეგ გამომცემელთა დამოკიდებულება ხალხური სიტყვიერებისადმი.

1886 წელს ხალხური სიტყვიერების ნიმუშები და წერილები ზეპირსიტყვიერებაზე გამოქვეყნებულია გაზეთის 15 ნომერში. 1887 წელს კი ასეთი ნომრების რიცხვი უკვე 25-ს აღწევს.

1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები სხვადასხვა ქანრების წარმოვლიდგნენ. გარდა ზეპირსიტყვიერებისა,

<sup>1</sup> აკაკის კრებულები, 1872, № 7; 1873, №№ 1, 3, 5, 6, 7, 8, 10.

<sup>2</sup> პეტრე უმიკაშვილის არქივში დაცული ილია ჭავჭავაძის ჩანაწერები გამოქვეყნებულია პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ 1937 და 1964 წლების გამოცემებში.



ფოლკლორისტის ყურადღებას იქცევს ალ. მირიანაშვილის წერილი და გამოკვლევა, ვაჟა-ფშაველას, ნ. ხიზანაშვილისა და ბესარიონ ნიჭარაძის (თავისუფალი სვანი) ფოლკლორული და ეთნოგრაფიული წერილები.

1886 წლის გაზზე „ივერიაში“ დაბეჭდილ მასალას გასაანალიზებლად შემდეგი თანამიმდევრობით წარმოვადგენთ:

I — ზეპირსიტყვიერების ნიმუშები

II — წერილები ზეპირსიტყვიერების საკითხებზე

III — ფოლკლორისტულ-ეთნოგრაფიული წერილები.

თავიდანვე გულისტკივილით უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად 1882 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შემკრებთათვის სახელმძღვანელოდ გამოცემული პროგრამისა<sup>3</sup>, თვით ისეთ ავტორიტეტულ ორგანოში, როგორც ილია ჭავჭავაძის „ივერია“ იყო (ილია ჭავჭავაძე ამ პროგრამის შედგენაში მონაწილეობდა) თითქმის ყოველთვის ირღვეოდა პროგრამით გათვალისწინებული პასპორტიზაციის პრინციპები.

გაზეთ „ივერიის“ № 140-ში ქვეყნდება ხალხური პოეზიის 16 ნიმუში. მისი შემკრებია სახალხო მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ნათაძე. ნათაძეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უხდებოდა ჩაწერა ხალხური საუნჯისა და საწყენია, რომ ლექსებს არა აქვთ პასპორტები.

ქანრობრივად გ. ნათაძის ჩაწერილი ლექსები შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს: 1. სატრფიალო შაირები, 2. დალოცვები, 3. საყოფიერო შაირები, 4. კაფია (გაშაირება).

სატრფიალო შაირები ლექსიკის მიხედვით საქართველოს ბარში უნდა იყოს ჩაწერილი.

აი, ნიმუშებიც:

1. აი, შენ კი გენაცვალქ  
მაგ ეუფუნა თვალგზშია,  
ამალამ შენთან წამოვალ  
ამ მთვარიან ღამეშია.
2. შენ კი გენაცვალებო,  
მაყვალს გიგავს თვალგზო,  
მაყვალს თვალმც დაუღდება,  
მე შენ გეთაყვანებო.

ალ. მირიანაშვილის მიერ გალექსილი „ეთერიანის“ ერთ ფრაგმენტს გვაგონებს სატრფიალო ლირიკის ნიმუშის ორი სტრიქონი

ხელსახოცსა გადმოგიღებ  
ო ქ რ ო - მ ქ ე რ დ ი თ მ ო ქ ა რ გ უ ლ ს ა,  
შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა,  
შ ე ნ გ ნ ი თ დ ა მ წ ვ ა რ - დ ა დ ა გ უ ლ ს ა<sup>4</sup>.

ყურადღებას იქცევს შემდეგი ლექსიც:

გადამავღე და დამკარგე  
როგორც ჩერქეზმა ისარი,  
შენ ჩემს გულს ველარ მოიგებ  
ჩემი სათქმელი ის არი.

<sup>3</sup> „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებების შემკრებთათვის“, ქართველოლო შორის V/კ გამავრცელებელი საზოგადოება, 1882.

<sup>4</sup> ხალხური სიტყვიერება, IV, თბ., 1954, გვ. 265.

ამ ლექსის დასაწყისი ორი სტრიქონი გამოიყენა გიორგი ლეონიძემ ლექსში „ციცარი“<sup>5</sup>.

აქვეა წარმოდგენილი ხალხური სატრფიალო შაირის პოპულარული ნიმუში — „ქალო, ეგ რა შემოგიკრავს...“<sup>6</sup>

საინტერესოა კავიის (გაშაირების) ნიმუშიც

1. მცხეთას ვიყიდ ბარები,  
იქვე დავასხი ტარები,  
თუ სიმღერები არ იცი,  
რატომ არ მომეზარები?
2. შალა ისარი ავაგდე,  
აილურსა-ბაილურსა.  
შენ სიმღერაში ვერ დამკრავ,  
თავი გიგავს მაიმუნსა!

გაზეთის 204-ე ნომერში გამოქვეყნებულია ფშაური ლექსები (ფშაველის დედაკაცის ბაბაღე მინდოდაურისაგან გაგონილი)<sup>7</sup>. ორივე აქ წარმოდგენილი ლექსი სატრფიალო ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია.

პირველი ლექსია მრავალ ვარიანტად ცნობილი „შენ ჩემო დიდო იმედო“:

შენ ჩემო დიდო იმედო,  
კოშკო ნაგებო კირითა,  
კახეთს მოჭრილო ისარო,  
ქალაქს ნაღებო ინიითა,  
წითელი მოვის პერანგო,  
შვიდგან შაყრილო ღილითა,  
ცაე წმინდა-ვარსკვლავიანო,  
მზევ, დაფენილო ღილითა,  
შენთანამც წოლით გამაძლო  
შვიდი დღე-ღამე ძილითა...<sup>8</sup>

თ. რაზიკაშვილს ფშაეში ჩაწერილი აქვს ამ ლექსის ვარიანტი, რომელაც თითქმის დამოუკიდებელი სახისაა<sup>9</sup>.

უცნობი ჩამწერის მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მეორე ლექსია, აგრეთვე მრავალ ვარიანტად ცნობილი „ვერცხლისამც თასად მაქცია“.

როგორც ცნობილია, ეს ლექსი ნაწყვეტია სასიყვარულო ბალადისა, რომლის სრული სათაურია „ქალ-ვაყის სიყვარული ვაყიკასი და ხვარამზისა“. ქართული ხალხური სიტყვიერების ცნობილი მოამაგე თედო რაზიკაშვილი საინტერესო ცნობებს გვაწვდის, როგორც ბალადის შემქმნელზე, ასევე მისი შექმნის ისტორიაზე<sup>10</sup>.

<sup>5</sup> გ. ლეონიძე, ლექსები და პოემები, თბ., 1954, გვ. 235.

<sup>6</sup> გ. ნათაძის ჩაწერილი ლექსის ზუსტი ვარიანტი გამოქვეყნებულია პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“, (1937, № 623), ჩაწერილია ქართლში, სოსო სხირტლაძის თქმით, 1870 წელს.

<sup>7</sup> ტექსტებს არა აქვს მითითებული ჩამწერის გვარი, დრო და ადგილი.

<sup>8</sup> ამ ლექსის ვარიანტი გვხვდება: დ. ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები, 1887, გვ. 26; ამავე ლექსის ვარიანტი (ორი ზედმეტი სტრიქონით) გამოქვეყნებულია: ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზ., 1961, გვ. 82. აგრეთვე, პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937, მოკმ. ბაბაღე მინდოდაური, ჩაწ. 1886 წ. ეს ლექსი ზუსტად იმეორებს „ივერიაში“ ვარიანტს., გ. ნათაძე, ხალხური ლექსები და ზღაპრები, გაგონილი თუშეთში, თბ., 1950, გვ. 41.

<sup>9</sup> ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1953, № 219.

<sup>10</sup> იხ. ხალხური სიტყვიერება, III, 1953, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. 150, შენიშვნები სქოლოშია მოცემული.

„ივერიაში“ გამოქვეყნებული ბაბაღე მინდოდაურისაგან ჩაწერილი ნაწყვეტი ნაკულულია თ. რაზიკაშვილის ვარიანტთან შედარებით (ქალიკელ გორზამაულისეული ვარიანტი სამი სტრიქონით მეტია და შედარებით სრულყოფილიც). ვარიანტებს შორის განსხვავება ხელწერაშიც იგრძნობა.

ვაჟიკასა და ხვარაშხის ლექსი უფრო მოგვიანებით ჩარგალში ბაბაღე მინდოდაურისაგან ჩაუწერია პოეტ მაყვალა მრეველიშვილს<sup>11</sup>.

ჩვენი აზრით, შემოქმედი მთქმელის განწყობილების შესასწავლად საუკეთესო მაგალითთან გვაქვს საქმე. ბაბაღე მინდოდაურისაგან ჩაწერილი ორივე ვარიანტი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. საინტერესოა აგრეთვე ის, რომ მთქმელმა „ივერიაში“ გამოქვეყნებული ვარიანტის ჩამწერს ჯერ კიდევ 1886 წელს მხოლოდ ფრაგმენტი უთხრა, უფრო მოგვიანებით კი, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, მთელი ბალადა. მეორე მხრივ, ყურადსაღებია ისიც, რომ მთქმელმა ერთი და იგივე მონაკვეთი სხვადასხვაგვარად გააფორმა.

„ივერია“

ვერცხლისამც თასად მაქცია,  
რო ლენით აგვესობოდი,  
დაფერილი მქნა წითლადაც,  
შამსმევედი, შაგერგებოდი;  
ანა მქნა ვერცხლის სათითე,  
რო ხელზედ ჩაგედებოდი,  
ან შენის ნამგლის ყანა მქნა,  
რო ფხაზე შაგეყრებოდი;  
ანა მქნა ვარდო-ყოილი,  
ცხვირ-პირზედ დაგეყრებოდი,  
ან ვიყო მოვის პერანგი,  
რო გულზე დაგედნებოდი;  
ან შენი ნანდაური მქნა,  
გულს ჯაფრად ჩაგეჭრებოდი;  
ანამც ძმა ვიყო მოწილე,  
ცოცხალს არ გაგეყრებოდი.

ვ. კოტეტიშვილის „ხალხური პოეზია“

ვერცხლის თასადამც მაქცია,  
რო ლენით აგვესობოდე,  
დაფერილი მქნა წითლადა,  
შამსმევედი, შაგერგებოდე,  
ანა მქნა ვერცხლის სათითე,  
რო ხელზე ჩაგედებოდე,  
ანა მქნა ოქროს ზურთევი,  
კალთაში ჩაგეშლებოდე.  
ან ვერცხლის ფულად მაქცია,  
ჯიბეში ჩაგეყრებოდე.  
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,  
რო ფხაზე შეგეყრებოდე.  
ანა მქნა ვარდი ყოილი,  
რო პირზე დაგეყრებოდე.  
ანა მქნა მოის პერანგი,  
რო გულზე დაგედნებოდე!  
ან შენი ნანდაური მქნა,  
გულს ჯაფრად ჩაგეჭრებოდე,  
ძალიან დაწუხებული  
გზაზედაც შეგეყრებოდე,  
ან შენი ძმა მქნა მოწილე,  
აროდის გაგეყრებოდე.

„ივერისი“ 232-ე ნომერში უკვე სახელმძღვანელომ პოეტმა ვაჟა-ფშაველამ გამოაქვეყნა ხლთი ფშაური ლექსი. ვაჟას მიერ ჩაწერილი შაირის ტიპის ლექსები მთის ყოფას ასახავს, თემატიკურად კი მრავალფეროვანია:

ბარშჩი ნაღღებო ირემო,  
გესულნებიან მთისაკე;  
ეგრევე შენ, ქალო ლამაზო,  
ჯარგის მამაყის ყმისაკე.

<sup>11</sup> ვ ა ს ტ ა ნ გ კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 32. მთქმელი ბაბაღე მინდოდაური, ჩამწერი მაყვალა მრეველიშვილი.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ვაჟიკასა და ხვარაშხის“ ლექსის ქალიკელ გორზამაულისეულ ვარიანტთან შედარებით ბაბაღე მინდოდაურის ვარიანტში ორი მეტრი სტრაქონია (ვაჟიკა: კაც შუჟაკიკებ გივზაენე, თხა-წაღებურად ზტებოდი, შენს დედასა და მამასასაქლავით ვეხვეწებოდი.)



ერთი მათგანი — „როსტომ თქვა...“ ტრადიციულ საზნებო ლექსთა ჯგუფს მიეკუთვნება. საყოფიერო ხასიათისაა „მთას თოვლო“:

მთას თოვლო, ჭალას ყინულო,  
 გასკერ, გამიშვი შინაო,  
 დაწვირე წვრილი ობლები,  
 არამც რამ დამიშინაო.

ვაქას მიერ ჩაწერილი მეხუთე ლექსია:

თოვლი სთოვს ბოროლაშია,  
 მზევე, რად არ ამოშუქდები?  
 შავო, რას დამყევ, ყორანო,  
 განა შენთვისა ესუქდები?  
 შინავ მიუვალ დედასა,  
 თუ ღმერთსაც არ მოვძულდები?<sup>12</sup>

1886 წლის „ივერიაში“, № 268 დაიბეჭდა მასწავლებელ თეოფილე ხუსკივაძის მიერ შორაპნის მახრაში ჩაწერილი საბი ლეგენდა. მთქმელი უცნობია, არც ჩაწერის ადგილი და დროა დაზუსტებული.

პირველი ლეგენდა გმობს ძუნწ მღვდელს, რომელმაც ვერ გაიმეტა მოწყალება გლახისათვის. გლახის წყევლას გაუქვავებია მღვდელის სანოვაგე. „მას შემდეგ იმ ადგილსა ჭვარი ასვენია და სწირავენ კიდევ შესაწირავს, თუ ფულით და თუ ხილით, ანუ პურიით“.

მეორე ლეგენდა ბუების გაჩენაზე მოგვითხრობს:

იყო ერთი ვლუხი, რომელსაც ორი ვაჟიშვილი ჰყვანდა. მანამ დედა ცოცხალი ჰყავდათ, ყმაწვილები ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ დედა მოუკვდათ, მამამ შეირთო მეორე ცოლი და ყმაწვილებსაც მოაკლდათ დედის ალერსი და ყურის გდება. მამას ამათთინი არ ეცალა და დედინაცვალს კი ჭირივით ეჯავებოდა და მათი დანახავაც კი სძულდა. ერთხელ სამწყემსურში გაატანა დედინაცვალმა საქონელი ამ ორ ყმაწვილს. საღამომდის უმწყემსავდნენ ბავშვები საქონელს; როცა საღამოს საქონელი დაითვალეს, ნახეს, რომ ერთი ხზო აკლდათ. მივარდნენ ბავშვები უქეთ-აქეთ, ეძიეს ბევრი, მაგრამ ვერ იპოვეს. დადგნენ მინდორში და შესტრობდნენ ერთმანეთს: — გინდ აქ მოემკვდარვართ და გინდა შინ დედინაცვალს მოუკვლოვართო, — პვიქრობდნენ ყმაწვილები; ამასობაში კიდევ სრულიად დაღამდა. ყმაწვილებმა დაიჩქეს და სთხოვეს ღმერთს: — ღმერთოვ თუ ვერ ვიპოვნით დაკარგულ ხზოს, გთხოვთ, შინ ჩვენ დედინაცვალთან ნუ დავკარბუნებ, ისე ა სგობს ჩიტებად ვადაგვაქციოვო. იმ წამვე გარდაიქმნენ ღამის ფრინველად და სახელად ეწოდათ ბუ; მას აქუთ დადიან ტყვენი, ღამეობით ერთის ხითგან მეორეზედ დახტიან და გაიძახიან:

— იპონენ? პკითხავს ერთი.

— ვერა, ვერა! უპასუხებს მეორე.

ასე დაფრინავენ ტყეში და ეძებენ დაკარგულ ხზოს.

ბუების ლეგენდა საერთოდ უძველესი წარმოშობისაა. ლეგენდის ახალ ჩანაწერში<sup>13</sup> კარგადაა შემონახული იმ პირველყოფილი წარმოდგენების კვალი, როცა ქცევადობას (ადამიანის ფრინველად, ხედ და ა. შ.) დიდი ადგილი ეკუთვნის ხალხთა ფსიქოლოგიაში.

სწორედ ამიტომ უნდა დაეხატა ვაჟა-ფშაველას თავის მოთხრობაში „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყნად“ რაღაც განსაკუთრებული, პირველყოფილის მსგავსი სამყარო. ვაქას მოთხრობის გმირი ოჯახს არჩენს ნადირობითა და მესაქონლეობით.

<sup>12</sup> ვაჟა-ფშაველა არ მოუთითებს ლექსების მთქმელებზე, ჩაწერის დროზე. დღეისათვის მხოლოდ ორი ლექსის ავტორგრაფია შემონახული. „თოვლი სთოვს ბოროლაშია“ და „აი მთაზედა“ — კ. კვეციანის სახელობის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვაქას ფონდი, № 168.

<sup>13</sup> „როგორ გაჩნდა ბუ“, მთქმ. ვ. ტ. ვ. გ. ო. ნ. ი. ძ. ე, სოფ. ფარახეთი (ზემო რაჭა), ჩაწერილია, 1963 წ., ხალხური სიბრძნე, III, ე. ვირსალაძის რედ., გვ. 240.

მოვიყვანთ პატარა ნაწყვეტს მოთხრობიდან ზემოთქმულის ნათლად წარმოსადგენად.

—ბაღლები სადღა არიან?—იკითხა იოთამმა, როცა სახლში შევიდა, ისრით ილღიაგამირული, ტყავგაუხდელი არჩვი კერაზე დაუდევრად, რომ ნაღრის წვერმოკაუქებულმა რქებმა მიწაკი მოჩიჩქნა. ვერ იყო ოთამი კარგ გუნებაზე: თავიდან ფეხებამდის წურწურით წყალი გასდიოდა, აედარს დაესველებინა: შვილი და კარპაკი (საისრე) დედაბოძე წნელით მიმაგრებულს ირმის რქაზე ჩამოჰკიდა და აჩქარებით კერაზე გახურებულს ცეცხლს მიაშურა; გასათბობად ხელები მიუპყრო; ტანზე გარეჰქვეც ნაცვამი ჭიხვის ტყავის კალთებიდან ორთქლმა დაუწყო პირისახეზე ადენა; თბებოდა ცეცხლზე და თანაც ცოლისაგან პასუხს ელოდა, რომელიც იქვე, კარის შორიანხლოს იწვა არჩენიად, ძუ ვეფხესა ჰკვანდა. გველხოკერასავით სქელი, შავი ნაწნავები ზოგი უკან, ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი, ზოგიც წინ, გულმკერდზე ელაგა. პირისახე მოსინულ სპილენძს მიუგავდა. პატარა ბიჭს, იოთამთან ნაყოლს, ძუძუს აწოვებდა. ბავშვი ორი ხელით ჩაპლაღებობდა და გაშმაგებით სწოვდა ტუნუების ტკბანურით. ვეფხვის ლეკვი ვეფხვის რძეს შეეჰქვეოდა. დედა-შვილი განცხრობაში იყვნენ. ლოგინად არჩევისა, ირმისა და მგლის ტყავები ეგოთ, ხავსა და ლელზე დაფენილი<sup>14</sup>.

მესამე ლეგენდა გუგულებს შეეხება.

ლეგენდის შესახებ ჩამწერი საგულისხმო ახსნა-განმარტებას იძლევა: „გუგული ჩვენში გონიერ ფრინველად ითვლება და ბევრს იმერელ გლეხს კიდევაც სჯერა, რომ გუგულს თავისი ქვეყანა აქვს, რომ გუგულს ჩვენი ლაპარაკიც ესმის და ყველაფერიც, რომ იგი თავის ქვეყანაში ნამდვილი კაცია და არა ფრინველი“<sup>15</sup>.

ლეგენდის შინაარსი ასეთია: იმერელი კაცი მოხვდა უცხო ქვეყანაში, სადაც სულ პატარა კაცები იყვნენ. შინ წამოსასვლელად გამზადებულს ერთ-ერთმა მათგანმა უთხრა: „მე წამომყევ თქვენში მივდივარო. ჩვენს ქვეყანას გავშორდებით თუ არა მე იმ ფრინველად გადავიქცევი „გუგულს“ რომ ეძახიანო“. გუგული დაეხმარა კაცს თავის ქვეყანაში ჩამოსვლაში.

ეს იმერული ლეგენდა გუგულების ქვეყნის შესახებ გვაგონებს ხოგაის მინდიზე ხევსურულ გადმოცემაში<sup>16</sup> აღწერილ გუგულების ქვეყანას, სადაც გუგულების ცხოვრება თითქმის იდენტურადაა ასახული.

1886 წლის „ივერიაში“ ზეპირსიტყვიერების კვლევა ძირითადად წარმოდგენილია ალ. მირიანაშვილის ორი წერილით.

პირველი — „ჩვენი საერო პოეზიის შესახებ“ გაზეთის 75-ე ნომერში გამოქვეყნდა. ავტორი ზოგადად ლაპარაკობს ხალხური პოეზიის მნიშვნელობის, მისი სპეციფიკის შესახებ.

„საეროვნო პოეზიის შეადგენენ: ზღაპარი, ლექსი, შირი, ანდაზა, ამოცანა, ზმა, შელოცვა და სხვ.— წერს ა. მირიანაშვილი. — ყველა ესენი ხალხის სადად გასართობ მასალას კი არ შეადგენენ, არამედ მის ცხოვრების ერთს უსაჭიროესს მოთხოვნილებასა. ანდაზაში გვიხატავენ ხალხის ზნობრივ რწმენას და საღის გონების კანონებს; ზღაპრებს და საამბობს ლექსებს იგი ხმარობს ისტორიის მაგიერ; სამღერელის ლექსებით იგი აშნიანებს ყოველდღიურ ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევას. ჩვეულებებს: დღესასწაულს, ქორწილს, ნიშნობას, ნათლობას, მკას, თიბვას, რთველს და სხვას. საზოგადოდ, საეროვნო ლექსები შეადგენს ხალხის სხვადასხვაგვარ რწმენა-ჩვეულებათა კრებას, მის ცხოვრების

<sup>14</sup> ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. VI, 1964, გვ. 251.

<sup>15</sup> „ივერია“, 1886, № 268.

<sup>16</sup> იხ. ა მ ბ ე რ კ ი ვ ა ჩ ე რ ი ლ ა ძ ე, გადმოცემა „ხოგაის მინდიზე“ და პოემა „გველის მკაელი“, თბ., 1959, გვ. 26—27.

ვრცელ მატიანეს, რომელშიაც კაცს ცხადად შეუძლიან დაინახოს ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ძალა, მისი დარდი და ბოროტი, ავი და კარგი...“

აქ ავტორს კარგად აქვს გაგებული ხალხური შემოქმედების მნიშვნელობა ხალხის ისტორიული ცხოვრების, მისი წარსულისა და აწმყოს, გონებრივი და ზნეობრივი ვითარების შესასწავლად, სალიტერატურო ქართული ენის გასამდიდრებლად. ქართველ კაცს უყვარდა და უყვარს პოეზია. ალ. მირიანაშვილის მართებული შენიშვნით ლექსი და მოსწრებული შაირი არის ხალხის მუდმივი თანამგზავრი. ადამიანები მოწინააღმდეგის დასამცირებლად, გასალანძლადაც კი პოეზიას იშველიებენ.

საეროვნო პოეზიის დასაბამს ალ. მირიანაშვილი შორეულ საუკუნეებში ეძებს. თუმცა კონკრეტულად ვერაფერს ამბობს, რადგან იცის იმ სირთულეების შესახებ, რაც ხალხურ ნაწარმოებთა დათარიღებას ახლავს თან.

ავტორი წუხს იმის გამო. რომ ზეპირსიტყვიერების შეკრება-პოპულარიზაციის საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. მისი აზრით, ამ მხრივ პირდაპირ სავალალო მდგომარეობაა შექმნილი.

„საეროვნო პოეზია, — წერს ავტორი, — დიხაც მდიდარი გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს დაბეჭდილია ცალკე წიგნად მხოლოდ ანდაზები, შეკრებილი ზოგი ბ-ნ ჩუბინაშვილისაგან, ზოგი ბ-ნ უმიკაშვილისაგან; გვაქვს აგრეთვე ორიოდ ლექსი ბ-ნ ჭიჭინაძესაგან შეკრებილი და დაბეჭდილი და ბოლოს ეხლახან დაიბეჭდა მოხევისაგან შეკრებილი ლექსები. წვრილ-წვრილად იბეჭდებოდა ლექსები აგრეთვე ჟურნალ „ივერიაში“, გაზეთ „დროებაში“ და „თეატრში“. ყველაზე ნაკლებათა გვაქვს დაწერილი ზღაპრები და ცალკე გამოცემული ზღაპართ-კომედიისა ვინ ვინ ვადაიხსა“.

ალ. მირიანაშვილი მომავალზე ამყარებს რწმენას და იმედს გამოსთქვამს, რომ ბოლო დროს გამოჩენილმა ენათუზიანებმა არ შეიძლება კარგი ნაყოფი არ გამოიღოს.

შემდეგ ავტორი ცალკე გამოყოფს ლექსებს, რომლებიც სხვა დანარჩენ ქანრებთან შედარებით უფრო მდიდრად მიაჩნია, როგორც რიცხოვნობიდან. ისე შენაარსობლივად.

„მეისტორიეს შეუძლიან ლექსებში თავის შრომიითა და დაგვიტ გამოკვლულს ფაქტს უპოვოს დამამტკიცებელი საბუთი; მამულის მოყვარულ კაცს შეუძლიან თავის წინაპართა შორის დაინახოს მამულისადმი საოცარი თავგანწირულობის მაგალითები და ხალხის სიყვარული გმირის მიმართ; ომისაგან გამწარებულ დედ-მამას შეუძლიან მოიბოვოს დაწყლულეულის გულისათვის დამატკობელი ნუგეში; მხდალს, ლაჩარ კაცს და ზნობა წამხდარს ქალს შეუძლიან გაიგონოს ხალხის სასტიკი მსჯავრი ავის ყოფა-ცხოვრების თაობაზედ; სახლისთვის და ქმრისთვის ერთგულს ქალს შეუძლიან გაიგოს თავისი ქება და დიდება; მშობლების მასიამოვნებელს შვილს შეუძლიან დაინახოს მისდამი ხალხის ღრმა თანაგრძობა; ზარმაცსა და უგემურს კაცს შეუძლიან გაიგოს თავისი კიცხვა და ხალხისაგან სიძულვილი; ოცნებიან ესტეტიკოსს შეუძლიან გაიგონოს ხალხისაგან დახატული ქალის თუ კაცის მშვენიერების იდეალი, და სხვადასხვა“.

ალ. მირიანაშვილის აზრით, საეროვნო პოეზიაში ყველაზე შესამჩნევი ადგილი მაინც საისტორიო ხასიათის ლექსებს უკავია, რომლებშიც მხოლოდ რამდენიმე ისტორიული პირია მოხსენიებული: ვახტანგი, ირაკლი და სხვ. ირაკლის დიდ პოპულარობას ავტორი შემდეგნაირად ხსნის:



„შეიძლება ბევრი სხვა ლექსებიც იყო სხვა მეფეების სახელობით, რადგან დროთა განმავლობაში ძველის კაცის ხსოვნა კლებულობს, ძველი შთაბეჭდილება თანდათან ჰკარგავს ძალას, საფიქრებელია, რომ ხალხმა უკანასკნელს ხანებში ზოგიერთი ლექსიდან ძველი სახელი ამოშალა. და მის მაგივრად ჩაუბრუნა ირაკლის სახელი, როგორც უფრო ახალის გმირისა, რომლის მოქმედების მოწამეც ან თვითონ, ან მისი მამა ყოფილან“.

როგორც ვხედავთ, ალ. მირიანაშვილი ამ მიმოხილვითი ხასიათის წერილში ძირითადად სწორად აყენებს თავისი დროის საჰიბროტო საკითხებს. სწორად არის შეფასებული ავტორის მიერ ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობა, მისი მრავალმხრივობა და თემატიკის მრავალფეროვნება. ალ. მირიანაშვილი სწორად შენიშნავს ფოლკლორისტიკაში კონტამინაციის სახელით ცნობილ მოვლენას, რომელსაც მართლაც აქვს ადგილი ქართულ ფოლკლორში.

იმავე, 1886 წელს, „იერიის“ 106-ე, 109-ე და 112-ე ნომრებში ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მოამავე და მკვლევარი ალ. მირიანაშვილი აქვეყნებს წერილს „ქალის მშვენიერების იდეალი ქართულს საერო ლექსებში“.

წერილის სათაურიდანვე ჩანს ავტორის მიზანი: სურს გაარკვიოს როგორ არის გადაწყვეტილი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ქალის მშვენიერების, სილამაზის საკითხი, როგორია ქალის იდეალი ქართული ხალხური პოეზიის გამოხატულებით.

ალ. მირიანაშვილი საილუსტრაციო მასალას თემატიკურ ჯგუფებად ყოფს, რაც უდავოდ ეხმარება მას საკითხის კვლევაში.

წერილის შესავალ ნაწილში ალ. მირიანაშვილი ზოგადად მიმოიხილავს სატრფიალო ლირიკის ნიმუშებს და გამოყოფს იმ ძირითად მოტივებს, რომლებიც მისი აზრით უფრო ნიშანდობლივია ხალხური პოეტური ნაწარმოებებისათვის.

ალ. მირიანაშვილის, როგორც მკვლევრის წინაშე, დგას საკითხი: როგორ იხატება საერო ლექსებში ტრფიალების საგანი?

ალ. მირიანაშვილის აზრით, როგორც ყველა ხალხს, ქართველებსაც სწამდა და სწამს, რომ მშვენიერი არსება უეჭველად ყოველივე შინაგანი სიკეთითაც არის დაჯილდოებული და რომ ფიზიკური მშვენიერება სულის მშვენიერების მომასწავებელიცაა. მწერალი იმოწმებს ჰემმარტებად ქცეულ გამოთქმას: „სალი და ძლიერი სული მხოლოდ საღსა და ძლიერ სხეულში იმყოფებაო“. მოკავს პიგმალიონის შესახებ არსებული ლეგენდა. „ჩვენი ერი, — წერს მირიანაშვილი. — იდეალს ჰმოსავს ისეთის თვისებით, რომლის მომცემიც ადგილობრივი ბუნებავეა, ჩვენივე მიწა-წყალია. ჩვენს საერო ლექსებში დახატული მშვენიერების იდეალის პირველი და უკანასკნელი ღირსებაც ის არის, რომ იგი სრულიად თავისებურია, რომ იგი სრულიად ადგილობრივ ბუნება-ნიადგზეა დამყარებული“.

იმის მიხედვით, თუ როგორაა დახატული სატრფიალო ლექსებში მშვენიერების იდეალი, ალ. მირიანაშვილი მათ სამ რიგობად (კატეგორიად) ყოფს.

პირველ კატეგორიაში აერთიანებს ლექსებს, რომლებიც ზოგად ხასიათს ატარებენ და ნათლად არა ჩანს, თუ რა ნიშნებით, თვისებებითა და ღირსებებითაა შემკული იდეალი. ავტორს საილუსტრაციოდ მოაქვს 14 ოთხტევიანი ლექსი.

აი, ზოგიერთი მათგანი:

ნეტაეი ნატერა მანატრა,  
 კომკი ამაშენებინა,  
 შიგ „ლამაზი“ ქალი მომცა,  
 თეთრად გამათენებინა.

ან:

ლამაზო, შენსა ზვეენაში  
 ლილი შემაწყდა პერანგსა;  
 მიპოვე, გამოიგზავნე,  
 მაგ შენის ძმების ლხენასა.

აღ. მირიანაშვილი პირველი კატეგორიის ლექსებში ზოგჯერ ისეთ ნიმუშებსაც გვთავაზობს, რომლებშიც აშკარად ჩანს ხალხის წარმოდგენა „ლამაზი ქალის“ შესახებ.

ამომავალ მზეს გამზგავებ,  
 მინდორს რომ მოფინება;  
 ქალო, შენს პატრონს შენთანა  
 რა ტკბილად დემინება!

და სხვ.

მეორე კატეგორიის ლექსებდალ აღ. მირიანაშვილი თვლის ისეთ ლექსებს, რომლებშიც „აშკარადაა დასახელებული ის კერძობითი ნიშნები, რომელთა კრებული სრულს იდეალს წარმოადგენს“.

ავტორი მეორე კატეგორიის ლექსებს შედარებით ვრცლად მიმოიხილავს. ამ ლექსებში გარეგნული მშვენიერების ყველა ნიშანია აღწერილი. მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

1. ქალავ, ლამაზად შეყრილო,  
 ალვის ხეს ჰგუხარ ტანადა!  
 ნეტამე ე გული ტილი  
 თვის შემოივლო შანადა.
2. ქალო ლამაზო, თვალ-შავო,  
 წამ-წამ გიშრისა, თმა-შავო!  
 ეგ შენი სახე მაჩვენე,  
 ია და ვარდი გეშალო.
3. შემოგხედავ თეთრსა პირსა  
 წარბი წყრილად აციურია,  
 ცხრა ნაწნავი, გიშრის თმანი  
 მხარ ბეჭხედა გადგიურია.
4. ამაღამდელი ლამეო,  
 ნუ გათენდები მალეო:  
 ბროლისა ყელსა ვეხვევი,  
 ვეღარ ვიპოვი ხვალეო!

მესამე კატეგორიას აღ. მირიანაშვილი მიაკუთვნებს ისეთ ლექსებს, რომლებშიც „ულამაზობის თვისებანია ნაჩვენები“.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ცეცხლი და ნეთი მოგედოს,  
 ჩერქეზის ქალო თინაო!  
 შავი ხარ არაბიეთა  
 ყორანიგ თია ფრინავო.
2. ვაშლო წითელი შენ გესვრი  
 თეთრო შენ ჩამოვარდები!  
 ლამაზო გოგო, შენ გეძებ,  
 შავო შენ გამოვარდები!

წერილის დასასრულს ავტორი უჩივის მის ხელთ არსებული მასალების სიმცირეს. ავტორმა კარგად იცის, რომ ერთ ადამიანში ძნელია მოიძებნოს ყველა ის თვისება და ნიშანი, რასაც ხალხი უყენებს იდეალს. „ხალხი, — წერს ავტორი, — თავის ლექსებში მხოლოდ ერთ მაგალითს გვიჩვენებს ბუნებისაგან ასე უხვად დაჯილდოებულისას. ეს გახლავთ თამარი

საქართველოს დედოფალი,  
 დედა ქართლის თამარი,  
 სიმშვენიერი მოსილი,  
 ამომავალი მზის დარი.  
 ...სიბრძნით, სიუხვით ქებული,  
 დილის ცისკრისა სადარი...

აღ. მირიანაშვილი მიიჩნევს, რომ იდეალის პრობლემა მას გადაუჭრელი დარჩა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „მაინცა და მაინც ეს საგანი საკმაო სისრულით არ არის დახატული ჩვენ საერო პოეზიაში“.

თავისთავად მისასალმებელია აღ. მირიანაშვილის გამოსვლა განეთ „ივერიის“ ფურცლებზე და საკითხის გადაწყვეტის სურვილი. ამ წერილის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ჯერ ერთი ის პერიოდი, როცა ეს წერილი იწერებოდა და შემდეგ მასალათა სიმცირე, და, რაც მთავარია, წერილის ავტორის შესაძლებლობა. აღ. მირიანაშვილის ამ წერილს, ისევე როგორც ბევრი მისი თანამედროვისა თუ მოგვიანო პერიოდის ავტორთა შრომებს, ისტორიული ღირებულება აქვს და მათ პოეტურ ტექსტთა შემონახვის პრეტენზიით უნდა შევხედოთ.

1886 წლის „ივერიაში“ გამოქვეყნებული ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული წერილებიდან<sup>17</sup> შეეჩერდებით მხოლოდ ვაჟა-ფშაველას სამ წერილზე, რომლებშიც გაკვრით, მაგრამ მაინც არის ლაპარაკი ხალხურ შემოქმედებაზე.

ვახუთის 34-ე, 35-ე, 36-ე და 39-ე ნომრებში ქვეყნდება ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილი „ფშაველები“ (მათი სხვადასხვა ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა და ხატები).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ვაჟას მიერ ფშაური პოეზიის მიმოხილვა.

„ფშაველები, — წერს ვაჟა-ფშაველა, — პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რასაც ფშაველის თვალი და გონება მისწვდომია, იმას ყველაფერზე უთქვამს ლექსი — მოყოლებული სიცოცხლიდან სიკვდილამდე და საიქიომდე“.

„მშვენიერი და მაღალი კილოს“ ფშაურ ლექსებს პოეტი ორ ნაწილად ყოფს — ძველ და ახალ პოეზიად. ავტორი თითოეულ მათგანს თავის დამახასიათებელ ნიშანს უძებნის და უპირატესობას ძველ პოეზიას ანიჭებს.

„ძველ ლექსებში, — წერს პოეტი, — არის გამოხატული ვაჟაკობა, გმირობა და ზნეობრივი სიმადლე. ძველ ლექსებში უფრო იდეალურობა გამოსჭვივს“.

ვაჟა-ფშაველას მიერ წერილში საილუსტრაციოდ მოტანილი ძველი ლექსები შემდეგი თემატიკისაა: სიმღერა სიკვდილზე, როსტომის შეგონებანი, ლექსი

<sup>17</sup> ვაჟა - ფ შ ა ვ ე ლ ა. „ფშაველები“ (მათი სხვადასხვა ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა და ხატები); მისივე „ფშაველები“; მისივე „აფხუშობა“ (ფშაველების ცხოვრებიდან);

ნ. ხ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „ძველი ქართული ოჯახი“, „ივერია“, 1886, №№ 85, 86, 87, 88. წერილის ბეჭდვა დაწყებულია 1885 წლის „დროებაში“. ბ. სვანი (ბ. ნიკარაძე), „სვანების ზოგერთი ჩვეულებანი და ცრუ რწმენანი“, „ივერია“, 1886, № 143.



კაი ყმაზე, გიორგი ბახტარისშვილის დალოცვა ქალისაგან, ფილოსოფიური ნა-  
სიათის ლექსი, ვარიანტი ცნობილი ბალადისა „შემომეყარა ყივჩაღი“, საისტო-  
რიო ხასიათის ლექსი ზურაბ ერისთავზე, სატრფიალო ლირიკის ნიმუშები, მრავალ  
ვარიანტად ცნობილი ბალადა „შატრალს მოიდა ხოხობი“.

„ახალი ლექსები, — შენიშნავს ვაჟა, — რეალურ გზას ადგანან და მათში  
ჰკენესის სატირული ნადველი; რეალური მიმართულება ახლის დროის ლექსე-  
ბისა უწმარურობამდე, ცინიკობამდე მიდის. მაინც ხალხში სატირა იბადება,  
როდესაც ხალხის ცხოვრება იცვლება და ერთის წყობიდან მეორეში გადადის.  
მოხუცებულები ემდურებიან ლექსების შინაარსის გამოცვლას: ჩვენს დროსო,  
ამბობენ ისინი, წაწლობისას და უწმარურობისას არ იმღეროდნენო. ეს მართალია.  
მაგრამ რა ქნას ახალი დროის ფშაველმა, საგმირო საქმე აღარა აქვს და გულს  
იფხანს სხვადასხვა საგნებზე შაირობით“.

პოეტი ახალი ფშაური ლექსების ავტორთაგან ასახელებს ორ ხალხურ  
პოეტს — მერცხალას და ჯაბანს.

ვაჟა-ფშაველა ფშაურ ხალხურ პოეზიაში ახალი თემატიკის შემოჭრის და-  
სამტკიცებლად იშველიებს მერცხალას, იგივე გამიხარდის ლექსებს მამასახ-  
ლისზე.

ელიზბარ შამამეყარა  
მამასახლისი დიდკაცი,  
დედ-მამა შემამაგინა,  
სანამ ამბავსა ვკითხავდი,  
ჩამსცვივინიყო კბილები,  
ცისაც წასვლიყო ნიკაპი და სხვ.

მახვილი სატირა იგრძნობა მეორე ლექსშიც, სადაც ისევ მამასახლისის კრი-  
ტიკა და დაბეჩავებული კაცის ყოფაა აღწერილი.

მოხველ—ა, მამასახლისო,  
კი მამურგოა ბევარა?  
თუ ჩემ დარბევა გინდოდა,  
გზირ მაინც წამოგეყვანა;  
ნეტა ვინ მომცა პრიკაი,  
შენთვი ცეცხლ შამამეყარა,  
შენთვი დამეწვა წვერ-პირი,  
ჯავრი მით ამამეყარა.  
ძნელი ხარ სიღარიბეთო,  
გამაბეჩავე ტიალო,  
მეორ-მესამე წელ მიდის,  
ერთ ახალოხნი მცვიანო,  
შიგ მამიკრუხდა ტილები,  
წიწილებსა ზრდიანო,  
გამოვლენ სსეფინოდა,  
აღიან ჩამოღიანო.

ამ წერილში გაკვრით მოხსენიებულ ხალხურ პოეტს მერცხალას ცოტა  
მოგვიანებით სპეციალური წერილი უძღვნა ვაჟა-ფშაველამ, რომელიც იმავე  
წლის 104-ე ნომერში დაიბეჭდა „ივერიაში“.

ზოგადი სათაურის („ფშაველების ცხოვრებიდამ“) წერილში ვაჟა-ფშაველა  
კერძო ამბებს გვიყვება მერცხალას შესახებ, მაგრამ მათში მნიშვნელოვანია იმ  
გარემოსა და შემოქმედებითი პროცესის აღწერა, რომლის დროსაც იქმნებოდა  
მერცხალას რეპერტუარის ნაწილი.

ვაჟა-ფშაველას ამავე წერილში ვეცნობით კიდევ ორ ფშაველ მთქმელს — ჯაბანსა და კაცობას.

ფშავეში, ხატობის დროს მთის პოეზიის შესრულების ტრადიციაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვაჟა-ფშაველა 1886 წლის „ივერიის“ №№ 141 და 142 გამოქვეყნებულ წერილში „აფხუშუობა“ (ფშაველების ცხოვრებიდან).

ვაჟა-ფშაველა დაწერილებით აღწერს აფხუშოს ხატობა-დღეობას, რომელიც თავისებურად ამეტყველებდა ფშაველი კაცის პოეტურ ფანტაზიას. აეტორის ცნობით აფხუშუობის დროს „მივარდნილ კუნჭულებიდან მოისმის სიმღერა ძველებური, მკვნესარი; სიმღერა სწვდება და ნალევს აღვიძებს“:

თქვენი ჭირიშე ყორნებო,  
 გლოვა არ იციოთ მკვდარზედა;  
 რაც უნდა კარგი ყმა მოკვდეს,  
 ცრემლ არ მოგივათ თვალზედა.  
 შაიმოსებით შავადა,  
 თეთრს არ ჩაიცომოთ ტანზედა,  
 კარგს ყმას გულს ამაირიდებოთ,  
 ჩამაირივებოთ ჯარზედა,  
 გაილექებით სისხლითა,  
 გადახვალთ ილტოს წყალზედა!

აქვე ვაჟა-ფშაველას მოჰყავს საისტორიო თქმულება აფხუშოზე, აფხუშო-ელებსა და კერძოდ, მათ მამაც გმირ ლაჭაურაზე.

\*  
\*  
\*

ასეთია 1886 წლის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა და ზეპირსიტყვიერების კვლევის ცდათა სურათი.

როგორც აღენიშნეთ 1886 წელი გარდატეხის წელი იყო გაზეთ „ივერიისათვის“. ილია ჭავჭავაძის მიერ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთება ქართველი ხალხის, ასე ვთქვათ, „გამოფხიზლების“, კულტურული ცხოვრების წინსვლისა და ხალხის გაზრდილი მოთხოვნილებების დამამტკიცებელი უტყუარი ფაქტია.

„ივერია“ თავის ძველ ტრადიციას არც 1886 წელს ჰდღალატობს და ხშირად აქვეყნებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. მისასაღმებელია ალ. მირიანაშვილის მიერ ხალხურ პოეზიაში მშვენიერების იდეალის გაანალიზების ცდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას გამოჩენა „ივერიის“ ფურცლებზე, სადაც იგი აქვეყნებს დიდი ღირებულების მქონე ეთნოგრაფიულ წერილებს, რომლებიც შეიცავს ფოლკლორულ მასალებსა და მთის პოეზიაზე მნიშვნელოვან დაკვირვებებს, საგულისხმო ცნობებს (ვფიქრობთ — პირველად ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში) ფშაველ მელექსეებზე.

შთამომავლობისათვის ხალხური საუნჯის შემონახვისა და მის მიმართ სიკვარულის გაღვივებაში გაზეთი „ივერია“ იყო დიდი მორგანიზებელი და წარმმართველი ძალა: ამიტომაც მისი როლი ხალხური შემოქმედების პოეტური ნიმუშების გამოქვეყნება-შესწავლის საქმეში ქართველი ფოლკლორისტიკის მიერ მრავალგზისაა შეფასებული.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

## ლილა ნანიტაშვილი

### სამსონ ფირცხალავა — რედაქტორი და გამომცემელი (1906—1910 წლებში)

1968 წელს გამოვიდა ანდრია აბრამიშვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია „Грузинская периодика (1819-1917)“.

წინასიტყვაობაში ავტორი შენიშნავს:

«... Очень часто тот или иной журнал, альманах или газета, прекратившие существование из-за цензурных рогаток, вскоре начинали выходить под другим названием, сохраняя свое направление и основной круг сотрудников, и в сущности являясь продолжением прекратившегося издания...»

«... «Новые» редакторы издавали тот же самый журнал или альманах, но под другим названием, чтобы обмануть цензурный комитет. Нередко с такой же целью редакторами-издателями были подставные лица — сапожники, пекари и другие, не имевшие непосредственного отношения к литературе и журналистике люди, так как при аресте фиктивного редактора подлинный руководитель издания имел возможность вновь издавать под другим названием свою газету, журнал или альманах. Это было характерным явлением не только для одной грузинской периодической печати. Подставные редакторы были распространены в издательствах русской, немецкой, латышской и другой национальной периодической печати» (გვ. 27).

ამ წინასიტყვაობიდან გამომდინარე, გვინდა მკითხველთა ყურადღება შევაჩეროთ 1906-1910 წლების რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის<sup>1</sup>, კერძოდ, „გლეხის“, „მიწის“, „მზისა“ და „ფასკუნჯის“ რედაქტორ-გამომცემელზე.

1906 წლის 22 ივნისს გამოვიდა ყოველკვირეული საგლეხო გაზეთის „გლეხის“ პირველი ნომერი. აღნიშნული გაზეთი წარმოადგენს სოციალ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთ საპროპაგანდო ორგანოს.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, გაზეთ „გლეხის“ გამომცემის ნებაართვა 1906 წლის 16 მარტს ოფიციალურად უთხოვია თბილისის გუბერნატორისთვის დავით ნახუცრიშვილს.

<sup>1</sup> აღნიშნული პერიოდული გამოცემები („მზისა“ და „ფასკუნჯის“ პირველი ნომერების გარდა) თავისი ფორმითი წარმოადგენს ჟურნალებს. კ. მარქსის სახ. რესპ. საჯარო ბიბლიოთეკაში, „გლეხი“ და „მიწა“ განეკუთვნება ჟურნალებს, ვინაიდან ოფიციალურ მიმოწერაში მათ გაზეთებად იხსენიებენ, ჩვენც გაზეთებად მოვიხსენიებთ. — ლ. ნ.



გაზეთის გამოცემა გათვალისწინებული იყო შემდეგი პროგრამით: ლიტერატურა, პოლიტიკა, საზოგადოებრივი ცხოვრება, სოფლის მეურნეობა, ისტორია, ბიბლიოგრაფია, ბუნების ისტორია, ეთნოგრაფია, ილუსტრაცია, კარიკატურა<sup>2</sup>.

იმავე წლის ივნისში დავით ნახუცრიშვილმა, ჯერ კიდევ გაზეთის გამოსვლამდე, სათანადო ნებართვით რედაქტორობა გადასცა მიხეილ ადამაშვილს (ჯავახიშვილს)<sup>3</sup>.

გაზეთმა ცოტა ხანს იარსება. დაიბეჭდა სულ 7 ნომერი. უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 3 ავგვისტოს. გაზეთი დაიხურა ხელისუფლების განკარგულებით<sup>4</sup>.

გაზეთის რედაქტორი მ. ადამაშვილი პასუხისგებაში მისცეს. თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს ერთ-ერთ საქმეში ვკითხულობთ:

«... В 1906 году он (ჯავახიშვილი — ლ. ნ.) издавал в гор. Тифлисе еженедельный журнал «Глехи» (Крестьянин), причем № 1 означенного журнала вышел 22 июня, а в половине сентября за революционное направление журнал был закрыт, а Джавахов был привлечен к ответственности по 129 ст. Угол. улож., но скрылся и до 1907 г. жил в Тифлисе, а затем выехал за границу»<sup>5</sup>.

როგორც ჩანს, ზემოთ აღნიშნულმა და საცენზურო კომიტეტის მიერ შედგენილმა საქმემ „გლეხის“ ირველივ<sup>6</sup> შექმნა ის აზრი, რაც ზოგიერთი ავტორის მიერ მტკიცედ აღამკვიდრებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში, — სახელდობრ ის, რომ მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი) იყო გაზეთ „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელი.

მაგალითად: „მ. ჯავახიშვილს, როგორც რედაქტორ-გამომცემელს, გვერდში ედგა პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა“ (გრ. კაკიაშვილი)<sup>7</sup>.

„გლეხში“ დაბეჭდილ წერილებში მ. ჯავახიშვილი აყენებს კითხვებს: ვინ არის გლეხი, რატომია იგი შევიწროებული და დაჩაგრული. ვინ ჩაგრავს, მას, როგორ, რა საშუალებით შეიძლება დააღწიოს გლეხმა თავი ამ უბედურებას, ავტორი გლეხობას განუმარტავს, რომ არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, მეფის ხელისუფლება და ბიუროკრატია სწოვს მას სისხლს წურბელასავით და მოუწოდებს გლეხობას ბრძოლისაკენ, ამ უკუღმართი წყობილების დამხობისაკენ<sup>8</sup>.

„... გაზეთის ყოველი ნომერი, როგორც წესი, იწყება მოწინავე სტატიით. როგორც ახლა მიღებული და რაც იმ პერიოდის გაზეთებში ყოველთვის არ იყო, ან თითქმის არ იყო მიღებული...

... მოწინავეები ხელმოუწერელია და იგრძნობა, რომ მიხეილ ჯავახიშვილისაა“<sup>9</sup> (ტ. კვანჭილაშვილი).

ტ. კვანჭილაშვილს, ნაშრომზე მუშაობისას, გამოყენებული აქვს გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ (იხ. ნაშრომის გვ. გვ. 108, 110).

<sup>2</sup> ცხა, ფონდი 17, საქმე № 9182, გვ. 1.

<sup>3</sup> იფე, გვ. 7. ს. ფირცხალავა 1905 წ. 30.XII-დან 1906 წ. 10.II-მდე, დაბატირებული იყო და ბუნებრივია, გაზეთის გამოცემის ნებართვას ვერ მიიღებდა (ლ. ნ.).

<sup>4</sup> ვაზ. „შრომა“, 1906, № 100.

<sup>5</sup> შარ. მიხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ავტობიოგრაფია, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. VI, 1904, გვ. 487.

<sup>6</sup> ცხა, ფონდი 480, საქმე № 91.

<sup>7</sup> გრ. კ ა კ ი ა შ ვ ი ლ ი, „მიხეილ ჯავახიშვილი და მეფის ცენზურა“, ვაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1957, № 37.

<sup>8</sup> ტ. კ ვ ა ნ ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, მ. ჯავახიშვილის აღრინდელი პუბლიცისტიკა, 1960, გვ. 80.

<sup>9</sup> ტ. კ ვ ა ნ ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, 1966, გვ. 107.

მაგრამ უყურადღებოდ სტოვებს მ. ადამაშვილის გვერდით / გ. ბაქრაძის მიერ ნამდვილ რედაქტორად მოხსენიებულ სამსონ ფირცხალავას. ის წერილები კი, რომლებსაც დაწერილებით მიმოიხილავს პატივცემული მკვლევარი („ახლოვდება განკითხვის დღე“, „თავისუფლება“, „როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება“ და სხვ.) სწორედ სამსონ ფირცხალავას კალამს ეკუთვნის.

\* \* \*

900-იან წლებში ქართველ ჟურნალისტთა რიცხვს კიდევ ერთი ნიჭიერი ჟურნალისტი სამსონ ფირცხალავა (1872-1952) შეემატა. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანს ქუთაისსა და ჭიათურაში მსახურობდა, შემდეგ კი თბილისში გადმოვიდა და „ივერიის“ თანამშრომელი გახდა.

1902 წლიდან სამსონ ფირცხალავა სამუშაოდ გადადის „ცნობის ფურცელში“.

გ. ლასხიშვილის ცნობით, გაზეთის სარედაქციო სამუშაო შემდგენიარად იყო განაწილებული: არჩილ ჯორჯაძე, გიგო რცხილაძე და თვით გ. ლასხიშვილი წერდნენ მეთაურებს. ხელმძღვანელობდნენ განყოფილებებს — „პრესა“ და „რუსეთის ქრონიკა“. შაქრო ბილანიშვილი უძღვებოდა უცხოეთის ქრონიკას. ვლადიმერ ლორთქიფანიძეს ევალებოდა ქალაქის საბჭოს მუშაობისა და საზოგადო დაწესებულებათა კრებების მიმოხილვა. კიკა აბაშიძეს და გრიგოლ რცხილაძეს ებარათ ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებები. სამსონ ფირცხალავა იყო საკვირაო ფელეტონისტი, ხანდახან წერდა სხვა პუბლიცისტურ წერილებსაც (ფსევდონიმები „კალამი“ და „სიტყვა“). ილია აღლაძე იყო რედაქციის მდივანი.

მაღე მათ შეუერთდნენ არჩილ ჯაჭანაშვილი, შიო ჩიტაძე, მიხეილ ჯავახიშვილი<sup>10</sup>.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ქართველი ჟურნალისტებიც.

ს. ფირცხალავა ამ პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა.

თბილისის გუბერნიის ქანდარმერის სამმართველოს ოფიციალურ მიმწერაში (1910 წ.) ს. ფირცხალავა შემდგენიარადაა დახასიათებული:

«... Пирцхалава в 1905 и 1906 годах входил в состав Центрального Комитета партии, членом какового Комитета состоит в настоящее время, являясь одним из наиболее видных партийных деятелей; в 1906 году он реорганизовал Комитет и выработал инструкцию для боевиков. На партийном собрании в феврале 1907 года, происходившем в сел. Верхние Авчалы (уг. Тифлиса) был избран товарищем Председателя, каковое место занимал и в 1909 году, причем в декабре того же года участвовал вместе с Ласхишвили на конференции, на которой разбирались указанные выше вопросы. В январе 1910 года он присутствовал на партийном собрании членов Центрального Комитета и высказался против применения террора в отношении грузинских помещиков, продающих свои земли не грузинам».

<sup>10</sup> გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 135—136.

„იმ ხანებში, — იგონებს გ. ლასხიშვილი, — ჩვენმა კომიტეტმა გადაწყვიტა გლეხებისათვის განსაკუთრებულ ორგანოს დაარსება. ამ საქმის გაძლიერება იცისრა სამსონ ფირცხალავამ, მისი უახლოესი თანაშემწე გახდა მიხეილ ჯავახიშვილი, გამოვიდა გაზეთი „გლეხი“, მისი დაკეტვის შემდეგ „მიწა“ და სხვა, გარდა გაზეთებისა, ისინი ბეჭდადნენ პოპულარულ ბროშურებს აგრარულ საკითხებზე. ერთ-ერთ ზემოხსენებულ საგლეხო გაზეთის ოფიციალურ რედაქტორად მიხ. ჯავახიშვილიც იყო. როცა გაზეთი დაკეტეს, ადმინისტრაციას განზრახვა ჰქონდა ჯავახიშვილის დაჭერა და პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მან თავს უშველა და ცოტა ხნით საზღვარგარეთაც გაიხიზნა“<sup>11</sup>.

გ. ბაქრაძის მიერ შედგენილ ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში (1819-1945) ვკითხულობთ:

„გლეხი“ 1906.

ყოველკვირეული საგლეხო გაზეთი.

ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი. ნამდვილი რედაქტორი სამსონ ფირცხალავა.

სოც.-ფედერალისტ. პარტიის ერთ-ერთი საპროპაგანდო კვირეული ორგანო...

... მის ნაცვლად იცემოდა „მიწა“ 1906—1907 წწ.

„მიწა“ 1906-1907<sup>12</sup>.

ყოველკვირეული საგლეხო გაზეთი.

ნამდვილი რედაქტორი სამსონ ფირცხალავა.

ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი გრ. ტატიშვილი.

სოც.-ფედ. პარტიის ერთ-ერთი პოპულარული საპროპაგანდო გაზეთი. იცემოდა დახურული „გლეხის“ ნაცვლად<sup>13</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, „გლეხის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის 22 ივნისს.

გაზეთი იხსნებოდა სამსონ ფირცხალავას სარედაქციო წერილით — „გლეხი“.

„ვინ არის გლეხი? ვის ემსახურება ჩვენი გაზეთი? რა აწერია იმ დროშაზე, რომელიც ავიღეთ ხელში და რომელმაც უნდა გვიწინამძღვროს ცხოვრებაში?“

ვინ არის გლეხი?

გლეხი ის ადამიანია, რომელიც დღე და ღამე მუშაობს; დღე და ღამეს ასწორებს, სისხლისა ოფლსა ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი და არც მოსვენება, რომლისთვის არ არსებობს არც ზამთარი და არც ზაფხული, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და მინც ვერასოდეს ვერ გაუთავებია ეს მუშაობა“.

სამსონ ფირცხალავას ეკუთვნის „გლეხში“ დაბეჭდილი შემდეგი წერილები<sup>14</sup>:

<sup>11</sup> გ. ლასხიშვილი ი. მემუარები. 1934, გვ. 217—218.

<sup>12</sup> „მიწა“ გამოდიოდა 1908 წელსაც, გამოვიდა პირველი ორი ნომერი. იხ. ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკის კომპლექტი. (ლ. ნ.); A. A. Б р а м и ш в и л и, Грузинская периодика (1819—1917), 1968, გვ. 78.

<sup>13</sup> გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819—1945), თბ., 1945, გვ. 21—22.

<sup>14</sup> ჩვენი ყურადღება მიიპყრო რესპ. საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულმა გაზეთ „გლეხის“ კომპლექტმა, რომელსაც სამსონ ფირცხალავას ხელით მიწერილი აქვს: „გამოდიოდა ს. ფირცხალავას რედაქციით, იბეჭდებოდა 4000—4100 ცალი“. ასევე, წერილებზე მიწერილია ს. ფირცხალავას ინიციალები.

როგორც გამოირკვა, აღნიშნული კომპლექტი წარმოადგენს ყოფილი ქ. შ. წ. კ. გამავერცელბელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ევზემპლარს. ამ ცნობისმ მოწოდებისათვის უღრმეს მად-



№ 1 გლეხი (მეთაური)

ახლოვდება განკითხვის დღე.

№ 2 მიწა (მეთაური)

გლეხი და მუშა

მთავრობის ახალი კანონი უმიწო გლეხებისათვის

№ 3 თავისუფლება (მეთაური)

№ 4 როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე (მეთაური)

№ 5 როდის ვიქნებით თავისუფლები (მეთაური)

№ 6 როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება (მეთაური)

№ 7 ერთობა (მეთაური)

მუშა და მეფეაბრიკე (გადმოღებული).

იმ ფაქტს, რომ „გლეხის“ ნომინალური რედაქტორი იყო მ. ადამაშვილი (ჯავახიშვილი) ადასტურებს თვით ეს უკანასკნელიც (აღნიშნული დოკუმენტი ინახება საქ. ცენტრალურ სახელმწიფო არქივის მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების ფონდში).

«... Я был только фиктивным редактором означенной газеты («Гле- хи» — л. 5.) в редактировании которой я не принимал решительно никакого участия и не мог принимать, так как за время всей моей литера- турной деятельности, считая и время издания газеты «Глехи», я состо- ял одним из главных сотрудников самой умеренной из всех когда-либо существовавших на грузинском языке газеты «Иверия», издававшейся кн. Пав. Иосиф. Тумановым. Думаю, что одновременно я не мог рабо- тать в двух противоположных по направлению газетах...».

ვფიქრობთ, ს. ფირცხალავას წერილების შეფასებისას, შეგვიძლია გავი- მეოროთ მიხ. ჯავახიშვილის მისამართით ნათქვამი სატყუები, რომლებსაც სა- მართლიანად იმსახურებს სამსონ ფირცხალავა.

„ყველა ნომრის მოწინავე სტატიას ასეთი გაბედულება, ეპოქალური სა- კითხვის დასმა და გადაჭრა, სწორი პოზიცია და რევოლუციური სული ახა- სიათებს. ამით იპყრობს „გლეხის“ მოწინავეები ჩვენს დიდ ყურადღებას.

გარდა თქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოწინავეები დაწერილია ოს- ტატურად, ჟურნალისტის გამოცდილი ხელით. ყოველ მათგანში დასმულია რა- მელიმე საზოგადოებრივად საინტერესო პრობლემა, წამოყენებულია დასაბა- ბუთებელი დებულება, რომელიც საფუძვლიანი მსჯელობით ამომწურავად მტკიცდება. მოწინავეები იწყება ისე მოხდენილად, რომ მკითხველი თავიდანვე ინტერესით კითხულობს მას, როგორც იტყვიან, ხდება მკითხველის „ჩათრე- ვა“. ეს მოწინავეები იპყრობს მკითხველებს თავისი მახვილი ფრაზებით, შესა- ფერისად შერჩეული ლექსიკით, არგუმენტაციით და ლოგიკური დასკვნებით. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს მოწინავე სტატიები დაამწვენებდა ყველა რანგის გაზეთს, როგორც თემატიკითა და პრობლემატიკით, ისე სიმახვი-

ლობას მოვახსენებ ქ-ნ თამარ მაჭავარიანს, რომლის უშუალო დახმარებით ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა აგრეთვე „გლეხის“ და „მიწის“ საზოგადოებისეული სხვა ეგზემპლარებიც საყურადღებო მინაწერებით. ცნობილია, რომ ს. ფირცხალავა იყო ამ საზოგადოების მდივანი, ბუნებრივია გაზე- თებზე მინაწერებიც ამავე პერიოდს განეკუთვნება.

ლით, გაბედულებით, დაწერის ხარისხითა და მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის ძალით<sup>15</sup>.

\* \* \*

1906 წლის 7.IX-ს გამოვიდა გაზეთ „გლეხის“ გაგრძელება — „მიწის“ პირველი ნომერი.

გაზეთი იხსნებოდა სარედაქციო წერილით — „ვისი გაზეთია „მიწა“?

„ვისი გაზეთია მიწა? გლეხის, მიწის მუშა გლეხის. იმ გლეხის გაზეთია, რომელიც თავის ოფლითა და სისხლით რწყავს მიწას, რომელიც დღე და ღამე მუშაობს, რომელმაც არ იცის მოსვენება არც ზამთარში და არც ზაფხულში, რომელიც მთელს ქვეყანას ასაზღოვეებს თავის ნაოფლარით...“

აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ „მიწა“ ნამდვილად „გლეხის“ გაგრძელებას წარმოადგენს. იმავე მიმართულების მატარებელია და იმავე მიზანს ემსახურება.

გაზეთის ოფიციალური რედაქტორი იყო მხატვარი-ქსილოგრაფი გრ. ტატიშვილი, რომელმაც იმავე წლის 7.VII-ს ითხოვა გაზეთის გამოცემის ნებართვა<sup>16</sup> და 2 სექტემბერს მიიღო, 7.IX-ს კი, გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა. გაზეთი გამოდიოდა 1906-1908 წლებში. სულ გამოვიდა 37 ნომერი.

გაზეთის რედაქცია და ხელმოწერელი წერილები ეკუთვნის ნამდვილ რედაქტორს ს. ფირცხალავას<sup>17</sup>.

გაზეთში თანამშრომლობდნენ ირ. ევდოშვილი, შ. მღვიმელი, ვ. მაღაქიაშვილი, თ. რაზიკაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ია ეკალაძე, ვაჟა-ფშაველა, დ. კასრაძე და სხვები.

1907 წლის თებერვალში სამსონ ფირცხალავა სოფრომ მგალობლიშვილს სწერდა<sup>18</sup>.

სოფრომ!

თუ ძმა ხარ უნდა მოშველო რაჲე და ხვალისთვის დამიწერო სულ პაწია-პაწია ესკიზი, სააღდგომო, სულ პატარა შეიძლება იყოს. თუ ძმა ხარ დამეხმარე, თორემ ცუდათაა ჩემი საქმე. ამაღამ ცოტას რომ წაიშუშაებდე, საქმაოა.

შენი სამსონი.

ამ ბარათის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს იმავე აღრესატიკისადმი 10 თებერვალს გაგზავნილი ბარათი<sup>19</sup>:

სოფრომ!

შენი მოთხოვნა მშენიერია. უკეთესი იქნება თუ ცოტას პილპილს კიდევ მოუმატებ. გავეიწიე კარგი ამხანაგობა და მოთხოვნის გაგრძელება ხვალე გადმომეცი (შეიძლება ნაკლები იყოს), რომ დაბეჭდვა არ დაგვიანდეს.

შენი სამსონი.

1907 წლის 17/II-ს ნომერში, მართლაც, დაბეჭდილია რედაქტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ს. მგალობლიშვილის „სააღდგომო ესკიზი“, „ჯორ-ზაქარა“, რომელიც გრძელდება სხვა ნომერებშიაც.

<sup>15</sup> ტ. კვანჭილაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, 1966, გვ. 122—123

<sup>16</sup> ცსა, ფონდი 17, საქმე № 5439, გვ. 1.

<sup>17</sup> შდრ. რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების ბიბლიო-თეკისეული ეგზემპლარი ს. ფირცხალავას მინაწერით.

ავრთვე: „გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავნილ მასალას უნდა წაეწეროს ს. ფირ-ს გადასაცემათ“ „მიწა“, 1908, № 1.

<sup>18</sup> საქ. გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 20655.

<sup>19</sup> საქ. გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 20656, ბარათი დაწერილია გაზეთ „მიწის“ სარედაქციო ბლანკზე.

როგორც ჩანს, 17 თებერვლისთვის რედაქტორის სპეციალური ნომერი მოუმზადებია, რისთვისაც ჯერ კიდევ 10 თებერვლის ნომერში წერდა:

„19 თებერვალს ბატონყმობის მოსპობის დღეა და გლეხების დღესასწაული. ამიტომ „მიწის“ შემდეგ ნომერში დაბეჭდილი იქნება სხვადასხვა ლექსი და წერილი გლეხების გათავისუფლების შესახებ“.

17 თებერვლის ნომერში „ჯორ-ზაქარას“ გარდა დაიბეჭდა შ. მღვიმელის, ი. ევდომვილის, ალ. ყიფშიძის ნაწარმოებები.

1908 წლის 20 ოქტომბერს გაზეთის ოფიციალურმა რედაქტორმა გრ. ტატიშვილმა ითხოვა „მიწა“ 27 ოქტომბრიდან გამოსულიყო „ფასკუნჯის“ სახელწოდებით<sup>20</sup>. იმავე წლის 10 დეკემბერს კი სათანადო ნებართვით ჟურნალი დასაბეჭდად გადაიტანა სტამბა „მობიდან“ „სორაპანში“<sup>21</sup>.

ოფიციალურმა რედაქტორმა გრ. ტატიშვილმა და სამსონ ფირცხალავამ თბილისის გუბერნატორის თხოვეს ჟურნალის გამოცემის ნებართვა 1909 წლის 20 სექტემბრიდან გადასცემოდა ს. ფირცხალავას. მართლაც, 1909 წლის 7 ნოემბერს ს. ფირცხალავამ მიიღო ჟურნალის გამოცემის ნება<sup>22</sup>.

მართალია, საარტიკო მასალის მიხედვით „მიწა“ მიმართულება შეიცვალა და „ფასკუნჯად“ გადაკეთდა, მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა.

„ფასკუნჯს“ წინ უძღოდა მხატვრული გაზეთი „მზე“ (ფიციური რედაქტორი ნ. ასათიანი)<sup>23</sup>.

აღნიშნული გაზეთის მხოლოდ სამი ნომერი გამოვიდა (1908 წ., № 1 — 6.X — № 3 — 20.X). ხელისუფლებამ გაზეთი აკრძალა და ერთი კვირის შემდეგ, წინასწარ მომზადებული ნებართვით გამოვიდა „მზის“ გავრცელება — „ფასკუნჯის“ პირველი ნომერი. (1908 წ. 27.X)<sup>24</sup>.

სამსონ ფირცხალავა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მუშაობისას თავის ირგვლივ იკრებდა როგორც ცნობილ, ისე ახალგაზრდა მწერლებს, ხელს უწყობდა ახალგაზრდა ავტორების ნაწერების პოპულარიზაციას.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ბარათს მიწერილს დუტუ მეგრელი-სადმი:

ძმაო დიმიტრი!

თქვენი ერთი ლექსი, როგორც ნახვდით, დაიბეჭდა. მეორეს დავბეჭდავ მე-4 №-ში. დაბეჭდილი ლექსი ყველას ძლიერ მოეწონა. ბევრი მეკითხება თქვენს შესახებ, რატომ რამე მოთხოვრებს არა სწერსო.

ეგებ, მართლაც დასწეროთ ან უკვე დაწერილა გაქვთ, მოგვაწოდეთ, ლექსებსაც უთუოდ ველო.

<sup>20</sup> ცსსა, ფონდი 17, საქმე № 5439, გვ. 11, გაზეთი შემდგომ ჟურნალად გადაკეთდა (ლ. ნ.)

<sup>21</sup> იქვე, გვ. 14, განცხადება დაწერილია ს. ფირცხალავას მიერ.

<sup>22</sup> ცსსა, ფონდი 17, საქმე № 5439, გვ. 17—18.

<sup>23</sup> იქვე, ფონდი 17, საქმე № 6360, გვ. 1.

<sup>24</sup> შდრ. „სარედაქციო საქმეებისათვის მსურველმა უნდა მიმართოს ს. ფირცხალავას“, „მზე“, 1908, № 1.

...წერილები და ხელმოწერის ფული უნდა გამოიზავნოს სამსონ ფირცხალავას სახელზე“ (ტფილისი, წერა-კითხვის საზოგადოება), „ფასკუნჯი“, 1903, № 7; „...გაზეთი უპარტოა, ხელს უწყობდა ყველასთვის ძვირფასი და ყველა ხელს უნდა უწყობდეს მის განვითარებას“... „მზე“, 1908, № 1, გვ. 1, „ფასკუნჯი“, 1903, № 1, გვ. 1, ი. ქავჭავაძისა და ს. მგალობლიშვილის ნაწარმოებები იწყება „მზეში“ და გრძელდება „ფასკუნჯში“.



ავრთვე თქვენს მუდღესაც ვიხოვთ დაგვებმაროს, რაიმე მოთხრობით, ამბით.  
 თქვენი სამსონ ფირცხალავა<sup>25</sup>.

1910 წელს გამოვიდა „ფსაკუნჯის“ პირველი და უკანასკნელი ნომერი. მალე მისი რედაქტორ-გამომცემელი დააბათიბრეს.

\* \* \*

ჩვენი წერილის დასასრულს, მოვიყვანთ ნაწყვეტს სამსონ ფირცხალავას „მოგონებათა ფურცლებიდან“, რომელშიც ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს თავის საგამომცემლო და სარედაქტორო მოღვაწეობაზე<sup>26</sup>.

...ფართო და ნაყოფიერი იყო ჩემი სარედაქტორო და საგამომცემლო მუშაობა ყოველკვირეულ ჟურნალების „გლეხი“ — მიწის“ და „მზე“ — „ფსაკუნჯის“ დაარსებასა და გაძღოლაში.

საქართველოში გლეხთა სარევოლუციო მოძრაობა ადრე დაიწყო. გურიაში პირველად და იქიდან მთელ საქართველოს მიედგა განსაკუთრებით 1905—1906 წლებში. გლეხების გამოსვლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მრეწველობის სუსტი განვითარებისა გამო ჩვენს ქალაქებში არ იყო დაგროვილი მრავალრიცხოვანი რაზმები მუშებისა და ქალაქის ბრძოლას აუცილებლად ესაჭიროებოდა ზურგის გამაგრება სოფლის მხრივ. ამ სოფლის ხელმძღვანელობა და მისი ამოძრავების საუკეთესო გამოყენება ადვილი საქმე არ იყო. გლეხობა მისი ცხოვრების პირობების მიხედვით დაქსაქსული იყო და ნაკლები ცოდნა ამ მომზადება ჰქონდა, ვიდრე ფაბრიკა-ქარხნის მუშებს ქალაქებში.

აი, ამ საქმეში, რომ ცოტა დამბრუნება გამეწია გლეხებისათვის და მიმეწოდებოდა მდებარე ხალხურ ენაზე საჭირო ცნობები, დაეარსე საგლეხო გაზეთი, სახელად „გლეხი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წ. 22 ივნისს, რომ დღევანდელმა მკითხველმა წარმოადგინა იქონიის მაშინდელ სულიერ განწყობილებებზე, ენასა და სტილზე, მოვიტან მეთაურიდან ზოგიერთს ადგილს: „ვინ არის გლეხი? ვის ემსახურება ჩვენი გაზეთი? რა აწერია ღროშაზე, რომელიც ხელში აიღოთ და რომელმაც უნდა გვიწინამდებროს ცხოვრებაში?.. გლეხი ის ადამიანია, რომელიც დღე და დამ მუშაობს, სისხლის ოფსს ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი, არც მისევნება, რომლისთვის არ არსებობს არც ზაფხული და არც ზამთარი, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და ვერასოდეს გაუთავებია მუშაობა... გლეხი ის ადამიანია, ვინც მუდამ მშვირია, შიშველი, წელში მოხრილი, ცხოვრობს პირუტყვებთან ერთად მიწურში ან ნახევრად დანგრეულ კოხში, ვინც იტანჯება ათასნაირი ავადმყოფობით და შევიწროებით და ვისაც ამ ტანჯვაში ხდება სული.. გლეხის და მისი ძმის, ქალაქის მუშის შექმნილია ქვეყნის მთელი სიმდიდრე და მათ ბედნიერი ცხოვრება ეღიარებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოიპოვებოდა მიწის, ქარხანა-ფაბრიკის, რკინის გზების და სხვ. კერძო საკუთრება, აღარ იქნებოდა. მუქთახორა მემკვიდრეები, მექარხნეები, ვაჭრები და მთელი სიმდიდრე გადავა მუშა ხალხის ხელში... გლეხი, მუშა გლეხი, გაიპარათ წელში, ჰქარ ხელი შეეს მჩავერდებს და მწყამებებს და შესძახებ: „ქმარა ტანჯვა და ჩაგვრა, მე ადამიანი ვარ და არ მინდა სხვისი ლუქმა ვიყო, სხვას ვემონო... ჩემი მარჯვენის ნაყოფი მე უნდა მეკუთვნოდეს და ვაი იმას, ვინც წინ გადამიდგება და მოინდომებს, კვლავ დამჩაგროს და დამიმონოს!“ გაუმაჩროს ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის!“

მეთაურს მოსდევდა ირ. ევდოშვილის ლექსი „გლეხი“. შემდეგ იყო წერილები: „მშრომელი ხალხი, შეერთდით, ახლოდგება განკითხვის დღე“, „სახელმწიფო სათაბორო“, სათაბოროს მშრომელთა გულის პროგრამა, სარევოლუციო მოძრაობის ამბები საქართველში. ვაჭრებთან ამოკრეფილი და საკუთარ კორესპონდენტების მოწოდებული, მოძრაობა რუკეთში — გლეხებში, მუშებში და ვაჭრში. ნომერი თავდებოდა შ. არაგვისპირელის ზღაპრით... „და ამა, მოვიდა მოვიდა აღმოცავლეთით“.

<sup>25</sup> საქ. გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, დ. მეგრელის ფონდი, ხ. № 6346. ბარათი დათარიღებულია 1908 წ. 17 ოქტომბრით, ივულისხმება ლექსი „ჩემი ტაძარი“, „მზე“ № 2. № 4 ცენზურის გამო აღარ გამოსულა.

<sup>26</sup> აღნიშნული მოგონება დაეცა გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. № 10735. მოგონებიდან არ ნაწყვეტი — „ვაკა-ფშაველა“ და „ქართული სალაო პეტერბურგში“ პროფ. ს. ხუციშვილის პუბლიკაციით გამოქვეყნდა ვაკა-ფშაველას სხოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, თსუ გამოცემა, 1968, გვ. 238—243.

ამ სახის იყო შემდეგი ნომრებიც. „გლები“ გამოვიდა სულ შვიდი ნომერი. ადმინისტრაციამ დახურა და ათი დღის შემდეგ მე გამოვეცი სამაგიერო ჟურნალი „მიწა“, რომლის მეთაური ამ სიტყვებით იწყებდა: „ვისი გაზეთია „მიწა“? გლების, მიწის მუშა გლების...“

„მიწა“ იყო იგივე „გლები“, იმავე თანამშრომლებით და მიმართულებით. ერთისა და მეორის ხელმძღვანელი და მთავარი შემდგენელი ვიყავი მე. მწერდი მეთაურებს, სხვა წერალებს, ვთარგმნიდი, ვაგროვებდი ამბებს, ვიყავი ხშირად ექსპედიტორი, ვასრულებდი სხვადასხვა წვრილმან სამუშაოს. მაგრამ მე ყავდა გარედან მომსვლელი მეგობარი თანამშრომლები — გლებები, მუშები, ინტელიგენტები, რომლებიც მავლიდნენ სხვადასხვა სახის მასალებს.

გაზეთი აწოდებდა თავის მკითხველებს სარეგოლუციო მოძრაობის ამბებს, არკვევდა ეკონომიურს, პოლიტიკურს და სოციალურ საკითხებს, უჩვენებდა, თუ როგორ იბრძოდნენ გლებები სხვა ქვეყნებში (საფრანგეთში, იტალიაში) განთავისუფლებისათვის. მოუწოდებდა მათ, რომ იმოქმედონ ორგანიზებულად, შეკავშირდნენ, ერთად იყვნენ ქალაქის მუშებთან, მოიაზრონ თავისუფლება და მიწა, თითოთ გაუძღვევენ თავის საქმეებს და მოემზადონ სოციალიზმისთვის, რომელიც მიანჭებს მათ ბედნიერებას.

„გლებსა“ და „მიწაში“ ვათავსებდი ლექსებს და ბელეტრისტულ ნაწარმოებებსაც. დაბეჭდვით ლექსები ირ. ვედოშვილის, ვაჟა-ფშაველასი, თ. რაჭიკაშვილის, შ. მღვიმელის, ა. შანშიაშვილის, დ. მეგრელის, ვ. რუხაძის, დ. თომაშვილის, შინატხელის, ახოსპირელის, ზომლეთელის, ველისციხელის და სხვ. და ბელეტრისტული ნაწარმოებები შ. არაგვის პირელის, ნ. ნაკაშიძის, ს. გუნცაძის (ს. მაგალობლიშვილის), ვ. მაღალიაშვილის, ია ეკალაძის.

ჩემი საგლებო გამოცემა ძალიან პოპულარული იყო. პირველ ხანებში მყიდველები ერთმანეთს ტაცებდნენ ხელში „გლებსა“ და „მიწას“ და მოუთმუნლად ევლოდებოდნენ მორიგი ნომრის გამოცემას. ერთხანს გაზეთი სასაქეულაციო საგანი ვახდა. გაზეთს ექვსი კაპიკი ეწერა ფასად, მაგრამ ზოგმა ათ კაპ. დაიწყო გაყიდვა. ბერისაგან მომდიოდა დიდი კმაყოფილების და მაღლობის წერილები. ერთგან წარმოდგენა გაემართათ და მისი შემოსავალი ჩვენს რედაქციას შემოსწირეს. გაზეთის ტირაჟი 4500-მდე აღიწოდა. ეს იმ დროისთვის ძალიან დიდი იყო, რადგან მაშინ ყველაზე უფრო გავრცელებული ყოველდღიური ქართული გაზეთი „ენობის ფურცელი“ მ ათასამდის გადიოდა მხოლოდ.

„მიწამ“ გამოსცა „საგლებო კალენდარი“ (უფასოდ დაურვიდათ ხელის მომწერლებს), ბროშურა „როგორ უნდა მოეწყოს მიწის საქმე“ და სხვ.<sup>27</sup>

„გლები-მიწა“ რევოლუციის წარმომობილი და სარეგოლუციო ორგანო იყო. ამ რევოლუციას 1904 წლიდან შენელება დაეტყო, რეაქცია გაძლიერდა. ამან გამოიწვია საერთო სულთიერი დაცემა, მოღუნება, ხალხს დაეკარგა ხალისი მოქმედების, ბრძოლის. ეს დაეტყო ჩვენს საგლებსა გამოცემასაც, იყო მისმა გასაქალმა და გაძნელდა აგენტებისაგან ხვედრი ფულის დროზე მიღება. ამ პირობებში იძულებული ვიყავი შეჩერება „მიწა“. უკანასკნელი ნომერი გამოვეცი 1907 წლის 26 მაისს და მას ასეთი განცხადება დაურთეთ: „აგენტურის მოუწყობლობისა გამო „მიწა“ დროებით შეჩერებული იქნება. მიღებულია ზომები, რომ გაზეთი მაღლ განახლდეს“<sup>28</sup>.

ეს განახლება არ მოხდა. დაწერწუნდი, რომ საქმეს ვერ უშველდა აგენტურის მოწესრიგება და შეიტყობებული ტირაჟითაც იოლად წასვლა. რეაქციამ ძლიერ მოუჭირა ხელი პრესას და პარტიები არალეგალურ გამოცემებს დაუბრუნდნენ, ისევე სარდაფებში ჩაჭრნენ. ჩემთვის ნათელი ვახდა რომ, ადმინისტრაცია არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა „მიწას“ და მეც თავი გაავანებე მისი აღდგენის ცდას.

ასეთი მდგომარეობითა და ვითარებით იყო გამოწვეული ის, რომ მე განვიზრახე წმინდა ლიტერატურული ორგანოს დაარსება. ლიტერატურა ყოველთვის ჩემი საყვარელი საგანი იყო და ვიფიქრე შეიძლება აქ უფრო მეტი თავისუფლება გვექნეს და მწერლობა, ხელოვნება ხომ ერთგუნული აღორძინების ერთი იარაღთაა.

ეს ჩემი სალიტერატურო ჟურნალი იყო „მზე“, <sup>29</sup> რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1908 წ. 6 ოქტომბერს. გარეგნულად ეთარგმნებოდა ახდენდა, დაბეჭდილი იყო სუჟთად და კარგ

<sup>27</sup> შდრ. ვახ. „მიწა“, 1906, №№ 9—16; 1907, №№ 1—4 და სხვ.

<sup>28</sup> შდრ. გაზეთი „მიწა“ აგენტურის მოუწყობლობისა გამო დროებით შეჩერებული იქნება, მიღებულია ყოველი ზომა, რომ გაზეთის გამოცემა მაღლ განახლდეს.

აგენტებს ვთხოვთ, რომ კვირის განმავლობაში გავისწორონ ყოველი ანგარიში“. ვახ. „მიწა“, 1907, 26, V, № 19.

<sup>29</sup> შდრ. „სარედაქციო საქმეებისთვის მსურველმა უნდა მიმართოს ს. ფირცხალავას“, „მზე“, 1908, № 1.

ქალღმერთს. სათაური მისი („ფასკუნჯისაც“ შემდეგ) დახატული იყო იაკ. ნიკოლაძის. სათაურს ქვეშ წერია: „ცახმული მწერლობა—მხატვრობა, — მუსიკა — თეატრი“. ვაცხადებდი, რომ ეუბნაო ნალი უპარტიაო, რადგან ხელოვნება ერთნაირად ძვირფასია ყველადავის.

უთაურში ვამბობდი, რომ ჩვენი ჟურნალი ახალი მოვლენაა საქართველოში, მაგრამ სავანო, რომელსაც ის ემსახურება, ხელოვნება უძველეს დროიდან მოდის, და ხაზს ვუსვამდი იმას, რომ ხელოვნების სიყვარული განსაკუთრებით საჭიროა დღეს ჩვენთვის, ვინაიდან ის ამაღლებს ჩვენს დაცემულ სულს და მოგვიბრუნებს ახალ ძალას რეაქციასთან საბრძოლველად. ხელოვნება თვით თავისუფლებაა და ყოველი მისი ნაწარმოები, თავისუფალი სულის წარმოშობილი, ყოველთვის გბრძვის მონობას და ამსხვრევს მის ბორკილებს.

ნომერში დაბეჭდილი იყო ი. ქავჭავაძის დაუბეჭდავი მოთხრობა „კაკო“<sup>30</sup> და ლექსი, ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ (მეორე ნაწილი), „სამარცხენი ბოძეხ“ შ. არაგვისპირელისა, ლექსები ვაჟა-ფშაველასი და ა. შანშიაშვილის, ის. უილდის ლექსი პრუხიო, ალ. სარჯავიძელის გადმოთარგმნილი, ცხოვრება და ხელოვნება, კ. აბაშიძისა და სხვ.

მეორე და მესამე ნომერი ამგვარი შინაარსის გამოვიდა, გარდა ილიას დაუბეჭდავ ლექსისა და „კაკო“ და აკაკის „ჩემი თავგადასავლისა“, დაიბეჭდა ს. მაგალიშვილის, ორი მეზობლის ის-ტორია ა. ხაქ. ფალიაშვილის „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, ივ. გომართელის „ქართული სცენა“, კრაკის „საუბარი ხელოვნების შესახებ“, კ. მაყაშვილან „სონეტები“ და სხვ.

„მზის“ არსებობა მესამე ნომრით დასრულდა. აღმინისტრაციამ იგი დახტრა და რედ. გამომცემელი (ფიქციური) ნ. ასათიანი დროებით დაატუსაღა. რა იყო ამის მიზეზი, დანამდვილებით ვერათფრს ვიტყვი. შეიძლება ის იყო მიზეზი, რომ მეთაურული ვამბობდი: ქართული მწერლობა ვერ განვითარდება, რადგან ქართველი ვრი არის-თქვა<sup>31</sup> (sic).

„მზის“ დაკეტვას არ შევუჩერებდევარ და იმ დღეს, როცა ეს ჟურნალი უნდა გამოსულიყო, გამოვეუწეე „ფასკუნჯი“ გრ. ტატეშვილის ფიქციურ-რედაქტორ გამომცემლობით.

ელხანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ იმ დროს განზრახ წარვადგენდი რედ. გამომცემლად ისეთ პირს, რომელიც პოლიტიკაში მონაწილეობას არ იღებდა და არაფერში იყო შენიშნული, რადგან აღმინისტრაცია ასეთ პირებს უფრო ადვილად აძლევდა ჟურნალ-გაზეთის გამოცემას. ასეთი ნებართვები ყოველი ორგანოს რედაქციას წინასწარ დამზადებული ქონდა, რომ თუ აღმინისტრაცია რომელიმე გამოცემას დახტრავდა, მეორეს გამოცემას შესდგომოდა დაუყოვნებლივ.

„ფასკუნჯის“ რედ. გამომცემლად დასახელებული გრ. ტატეშვილი იყო სურათების და ხატოვანის ასოების ამოჭრელი ხესა და ლითონზე და ქართულ წიგნებში რომ პირველად ნახატები იბეჭდებოდა, სულ მისი ნახელავი იყო.

„ფასკუნჯის თანამშრომლები, რასაკვირველია, იგივენი იყვნენ, ვინც „მზეში“ მუშაობდნენ და ჟურნალის სახეც არ შეცვლილა. „მზე“ და „ფასკუნჯის“ პირველი ოთხი ნომერი ყოველდღიურ გაზეთის ფორმატით იყო გამოსული მერე კი ჟურნალს უფრო ფართო რეველის სახე მივეცი.

მწერლები-ბელეტრისტები, პოეტები, კრიტიკოსები, დიდი სიყვარულით და ყურადღებით შეხვდნენ ჩემს დაწყებულ საქმეს, ცდილობდნენ ყოველნაირად ხელის შეწყობას და ხალისით მაწვდოდნენ მასალას რასაკვირველია უსასყიდლოდ. „ფასკუნჯი“ გამოვიდა 1908 წ. რვა ნომერი და 1909 წელს 17 ნომერი.

ბევრი საყურადღებო ნაწარმოები გამოქვეყნდა ამ მოკლე მანძილზე. ვაგრძელდა ილიას დაუბეჭდავი ნაწერების და აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ ბეჭდვა. დაისტამა ლექსები როგორც ძველი პოეტების, ისე ახლების: აკაკის, ვაჟა-ფშაველასი, თ. რაზიკაშვილის, ბაჩანასი, განდევლის, ირ. ევლოშვილის, შ. მდივანის, კ. მაყაშვილის, ბ. ახისპირელის, ა. შანშიაშვილის, დ. მერაგლის, ი. გრიშაშვილის და ი. მქედლოშვილის დაიბეჭდა თითო-თითო ლექსი. გალ. ტაბიძემ „ფასკუნჯში“ მიიღო პოეტობის კურთხევა. მოსკოვის ქუჩაზე ვიდექი. ერთ საღამოს შეწვია ერთი ახალგაზრდა მოწაფე, პირხმელი, მორიდებული. მორცხვად მოთხრა: ლექსი მაქვს დაწერილი და ეგებ „ფასკუნჯში“ დაბეჭდოთ. ვაივარითო. ვაივარითო, წაივარითო და მაშინვე შევატყვე რომ ჩემს წინ ნამდვილი პოეტობის ნიჭის პატრონი იყო. ის ლექსი ახლობელ ნომერში დაიბეჭდა. ამას მერმე სხვა ლექსები მოჰყვა. ეს მოწაფე გალ. ტაბიძე იყო.<sup>32</sup>

<sup>30</sup> იხ. ს. ფირცხალავის ბარათი მიხ. გედევანიშვილისადმი: „მე რომ პირველად „კაკო“ დაბეჭდო... საქ. გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმი, ხ. № 8580.

<sup>31</sup> შდრ. „ჩვენი სიტყვაჯახბული მწერლობის დაცემის ერთი მიზეზია ჩვენი ეროვნული პოლიტიკური მონობა, ჩვენი ეროვნული აზრსებობა“, „მზე“, 1908, № 3.

<sup>32</sup> „ფასკუნჯში“ დაიბეჭდა გ. ტაბიძის ლექსები: „ნიათი“, „ღამე“, „მომაკვდავი“ და სხვ.



ბელეტრისტიკაზე „ფასკუნჯში“ დაბეჭდილი იყო ნაწარმოებები ს. მგალობლიშვილისა, შ. არაგვისპირელისა, ან. ერისთავი-ხომთარისი, ვ. მაღაქიაშვილის, დ. ლუქაშვილისა<sup>33</sup>.

უკანასკნელის მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდან ახლაც საინტერესო წასაკითხავი იქნებოდა და სასურველია მისი ცალკე წიგნად გამოცემა.

„ფასკუნჯში“ დაიბეჭდა ხალხურ ლექსებიდან 3. მირიანაშვილის დამუშავებული „აბასალომ და ეთერი“ პიესის სახით, რომელიც მერე ზ. ფალაშვილის ოპერის ლიბრეტოდ იქნა მიღებული<sup>34</sup>.

ეურნალის ერთგული თანამშრომელი იყო ალ. სარაჯიშვილი (სწერდა ხანდახან რიშ ბაბის ფსევდონიმით), რომელიც საუცხოოდ თარგმნიდა დასავლეთის და აღმოსავლეთის პოეტურ ნიმუშებს.

კრიტიკოსებისაგან შემდეგი პირები იღებდნენ მონაწილეობას: კ. აბაშიძე, ა. ხანაშვილი, ი. გომართელი, გრ. ყიფშიძე, გ. ჯავახიშვილი, პ. გვიციშვილი, არტისტებიდან: კ. ყიფიანი (დაწერა „ჩემი არტისტობის თავგადასავალი“)<sup>35</sup>, კ. მესხი, ვალ. შალიკაშვილი. „ფასკუნჯმა“ დაბეჭდა ზ. ფალაშვილის და იაკ. ნიკოლაძის წერილები.

ეურნალი ბოლომდის იძლეოდა ყოველი შეგნებულის, ლატერატურის მოყვარე ადამიანებისათვის უშუალოდ საყურადღებო, სასურველ მასალას. ვისაც აინტერესებდა მწერლობა, ხელოვნება, თეატრი, ის აუცილებლად წაიკითხავდა „ფასკუნჯს“. თქმა არ უნდა მკობნის მკობანი არ დაიღუპა. „ფასკუნჯის“ უკეთესი ორგანოს გამოცემა შეიძლებოდა უკეთესი ადამიანების მიერ, უკეთეს პირობებში. მაგრამ ჩემი „ფასკუნჯი“ ყოველ შემთხვევაში ხელწესაკარგი არ იყო და დროთა ვითარებაში თავის სახით და შინაარსით, დამაკმაყოფილებელი იყო. ერთი გასამართლებელი საბუთი კი ჰქონდა საზოგადოებას: რეაქციამ ლიტერატურის და ხელოვნების ინტერესიც დასცა.

ეს არის უბრალო აღნიშვნა ობიექტური სინამდვილისა და არა ჩემი თამამოყვარეობის დაცვა. 1909 წ. აპრილის 26 შემდეგ იძულებული ვიყავი შემეჩერებინა ეურნალის გამოცემა, რადგან მისი ტირაჟი დაეცა 500-ზე უკვეით და შემოსავალი ვერ ფარავდა აუცილებელ ხარჯს სტაჟის, ქალაქის და ფოსტისას. უკანასკნელ ნომერში გამოვეთხოვე მკითხველებს, აეუხსენი საქმის ვითარება და გუთხარი: „ნახვამდის“.

„ნახვამდის“ იმიტომ, რომ მე ვერ ვუერივდებოდი საყვარელი ორგანოს სამუდამოდ დახურვას. დაეფაცურდი, აქეთ მიემართე, იქით მიემართე, მოველაპარაკე სტაჟას, შევეუთახმდა ლითოვარჯს კ. მესხიშვილს, რომელიც დამპირდა ხელის შეწყობას და გადაწყვიტე „ფასკუნჯის“ გაგრძელება თეიური ეურნალის სახით.

პირველი ნომერი გამოვიდა ხანგრძლივი მზადების შემდეგ მხოლოდ 1910 წ., დამდეგს<sup>36</sup>. გარეგნულად ეს თეიური გამოცემა უკეთესად იყო შესრულებული, ვიდრე კვირეული. იგი დაიბეჭდა ორ ფერად და შემეყლი იყო კარგი სურათებით. თავში მოთავსებული იყო ფერადი სურათები: 17 ს. „ვეფხისტყაოსნიდან“ (თინათინის მეფედ გამოცხადება), მერე ორი ფოტოტიპური სურათი: მგლოვიარე ქალი ილიას ძეგლის (ი. ნიკოლაძის ქანდაკება) და ეკ. გაბაშვილის პორტრეტი. ამის გარდა დაიბეჭდა რამდენიმე ცინკოგრაფიული სურათი. ტექსტი მდიდარი იყო: ლექსები, აკადის, კ. მაყაშვილის, განდევლის და ა. შანშიაშვილის: პროზა—კურთუხანი. ალ. სარაჯიშვილის ნათარგმნი, დრამა ტრ. რამიშვილისა ნაწყვეტები, გ. გაბაშვილისა; ვ. აბაშიძის კრიტიკული წერილი და სხვა.

„ფასკუნჯის“ მადლიერმა სახემ მე გამამხნევა და იმედი მომეცა რომ მოკეთების დახმარებით შევძლებდი შემდეგი ნომერების გამოცემას.

მაგრამ, კაცი, ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია, მე ჩემსას ვჭობდი და ქანდარმერია კიდევ თავისას განიგულებდა. მე დამატუსაღეს და „ფასკუნჯს“ მხრუნველი აღარაქინ დაურჩა.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი უნდა იყოს, რომ სამსონ ფირცხალავას, როგორც რედაქტორ-გამომცემელს, სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ქართული ეურნალისტიკის ისტორიაში.

<sup>33</sup> იგულისხმება დ. ლუქაშვილის მოთხრობა „დღეობაში“, რომელიც დაიბეჭდა 1909, №№ 6—7.

<sup>34</sup> იხ. „ფასკუნჯი“, 1908, № 7.

<sup>35</sup> შდრ. „ფასკუნჯი“, 1909, 26, IV, № 17. დღიური „ნახვამდის“.

<sup>36</sup> შდრ. საქ. გ. ლენინის სახ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმი, ხ. № 20615, ს. ფირცხალავას ბარათი ნ. ლომოურისადმი.

ეს წერილი უკვე გამზადებული იყო დასაბეჭდად, როდესაც ვნახეთ ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცული „გლეხის“. „მიწის“, „მზის“ და „ფასკუნჯის“ ი. გრიშაშვილისეული ეგზემპლარები.

„მიწის“ კომპლექტს აქვს ი. გრიშაშვილის წარწერა:

„ჯერ გამოდიოდა „გლეხი“ ს. ფირცხალავას რედ. 1906 წელს (სულ შვიდი ნომერი გამოვიდა).

„მიწა“ სამსონ ფირცხალავას რედაქტორობით<sup>37</sup>.

1906 წ. (№ 1—16)

1907 წ. (№ 1—19)

1908 წ. (№ 1—2)

} სრულია

„მზის“ (№№ 1, 2, 3) და „ფასკუნჯის“ (№№ 1, 2, 3, 4) ნომრები აკინძულია ერთად.

ი. გრიშაშვილის ხელით პირველ გვერდზე აწერია:

„სამსონ ფირცხალავას პირველი მხატვრული გაზეთი.

გავრძელება ჟურნალის სახით. ი. გრიშაშვილი“.

ვფიქრობთ, კომენტარები ზედმეტია.

<sup>37</sup> „მიწის“, 1908, № 2-ში მოთავსებულ წერილს „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე“, მიწერილი აქვს ს. ფირცხალავა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

## ნიკოლოზ თუშიშვილი

### ბოგვისხვევის ალმანტიკური ხანის სამაროვანი

1960 წელს სოფელ არდასტუბანში<sup>1</sup>, ბოგვისხვევის მარჯვენა ნაპირზე რამდენიმე თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს სამკაული აღმოჩნდა.

აღნიშნული ნივთების მოპოვების ადგილას ბოლნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ<sup>2</sup> გაავლო სადაზვერვო თხრილები და გამოავლინა სამი ქვისსამარხი და ერთი ცხენის სამარხი ორმო.

პირველი სამარხი თითქმის მთლიანად დანგრეული იყო. მას შერჩენილი ჰქონდა აღმოსავლეთი კედლის მხოლოდ ერთი ფილა. სამარხი აღმოსავლეთიდან დასავლეთით იყო დამხრობილი. მასში მიცვალებულის თავის ქალის ნაშთთან ერთად აღმოჩნდა სამკაულები, რომლებიც ფილაქვის ძირში მიწასთან იყო არეული. სამარხს გარეთ, 0,25 მ-ის მანძილზე ჩრდილოეთის მიმართულებით, იდგა თიხის ჯამი, რომელზეც იყო ცხვრის ბარძაყის ძვალი.

აღნიშნული სამარხის აღმოსავლეთით გამოჩნდა მეორე ქვისსამარხი და აგრეთვე, ორმოსამარხი, რომელშიაც ცხენი იყო დამარხული. გარდა ამისა, უშუალოდ პირველი სამარხის ქვეშ მოქცეული იყო მესამე ქვისსამარხი.

ამრიგად, თუ სამარხთა განლაგების ჭრილს წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ ქვედა ფენაში მოთავსებული იყო მესამე, ხოლო მის ზემოთ კი დანარჩენი სამარხები.


პირველი ქვისსამარხი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 0,4 მ-ის სიღრმეზე, დელუვიურ თიხნარში. სამარხის სიმაღლე დაახლოებით 0,4—0,5 მ-ს უდრიდა. ინვენტარიდან შემონახვა:

1. ფილა, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან ნაკეთები (სურ. I, ვ). კეცი გადანატეხში მოვარდისფრო აქვს. ზედაპირი წითელი წერნაქითაა შეღებილი და შემდეგ გაპრიალებული. ჭურჭელი მეტად მოხდენილია. მას გადმოშლილი პირი და მომრგვალებული ძირი აქვს. ძირისა და პირის შეერთების ადგილას წიბური შემოუყვება, რომელთანაც გვერდი ერთი თითის დადგმაზე შეღრმავებულია. ჭურჭლის სიმაღლე 5 სმ-ს უდრის, პირის დ კი 16,4 სმ-ს.




<sup>1</sup> აღნიშნულ სოფელს დღეს რატომღაც არღისუბანს უწოდებენ. მაგრამ 1679 წლის ყმების ნასყიდობის ერთ-ერთ წიგნში, რომელიც მიცემულია რამაზა და სხვა ყორღანს — შვილების მიერ თავიანთ ვანაყოფი როსტომისადმი, იგი მოხსენიებულია არდასტუბანის სახელწოდებით (იხ. ნ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ., 1940, გვ. 63, ცოტა უფრო გვიან, 1701 წ. სიგელ-გუჯარებში, 1721 წ. მოწინავე დროშის აღწერაში და მომდევნო ხანის სხვადასხვა საბუთებში, აღნიშნული სოფელი უკვე მოხსენიებულია არდასტუბანის სახელწოდების ქვეშ (იხ. იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ტ. I-II, თბ., 1935, გვ. 283. აქვეა მითითებული სხვადასხვა დამდასტურებელი საბუთები).

<sup>2</sup> ექსპედიციის ხელმძღვანელი — აწ განსვენებული ი. გელიშვილი, მეცნიერი თანამშრომლები — დ. ხახუტაიშვილი, ა. ბოხოჩაძე, ლ. წითლანაძე, დ. ბერძენიშვილი, ნ. თუშიშვილი.





სურ. I



სურ. II

2. ტუჩიანი დოქი, მოვარდისფროდ გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან ნაკეთები. ჭურჭელს აკლია ყური. ყელზე რელიეფური სალტე შემოსდევს (სურ. I, 2). მისი სიმაღლე 15 სმ-ს უდრის, მუცლის d — 12 სმ-ს, ძირის d — 7 სმ-ს.


3. რკინის მოხრილი დანის ნატეხები, ძლიერ დაშლილი. ნატეხებს შერჩენილი აქვს ხის ქარქაშის ნაშთი.

4. რკინის სატევრის ნატეხები. ლურსმნის თავის მაგვარ კოტაზე შეინიშნება ქსოვილის ანაბეჭდი, ხოლო პირის ფრაგმენტებზე — ხის ქარქაშის ნაშთი.

5. რკინის 8 სამაჯურის ნატეხები. თითოეული რკალი ბირთვისებური მძივების ასხმის იმიტაციას წარმოადგენს (სურ. II, 4).

6. რკინის სამი ბეჭედი. ბეჭედებს შეკრული რგოლი და ოვალური მოყვანილობის საკმაოდ მოზრდილი ფარაკი აქვს (სურ. II, 1).

7. ვერცხლის ბეჭედი. მისი რგოლი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ვერცხლის მავთულისაგან, რომლის დაბრტყელებულ ბოლოებზე დარჩილულია ვერცხლისავე მრგვალ-ბრტყელი, ზედაპიროფერილი ფარაკი. ფარაკზე ამოკვეთილია მზის სტილიზებული გამოსახულება: შუაში პატარა წრეა, რომლიდანაც ნაპირებისაკენ რადიალურად მიემართება სხივების გამომხატველი ხაზები (სურ. II, 2; სურ. III). რგოლის d 2,3 სმ-ია, ფარაკისა — 1 სმ.



სურ. III

8. ყურსაკიდები (2 ცალი) ოქროს მრგვალგანივკვეთიანი მავთული-სა. ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არიან სასაფეთქლე რგოლების სახელწოდებით. გახსნილი ბოლოები მათ ოდნავ დაბრტყელებული და გაზერტილი აქვთ (სურ. II, 3).

9. მძივები (სურ. II, 5), სულ 72, რომელთაგანაც თეთრი და ცისფერი პასტის 65 მძივი სფერული მოყვანილობისაა; 7 კი მოყავისფრო სარდონისაა, — პარალელოგრამისებრი.

10. თიხის ჯამი, აგურისფრად, არათანაბრად გამომწვარი (სურ. I, 1). პირის d 14,5 სმ-ია, სიმაღლე — 5,5 სმ.


**მეორე ქვისსამარხი** მდებარეობდა ცხენის სამარხის აღმოსავლეთით, მისგან 0,25 მ-ის მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 0,5 მ-ის სიღრმეზე. ეს ყო პატარა სამარხი (46×34×25 სმ), რომელსაც აკლდა დასავლეთი კედლისა და სახურავის ქვები. სამარხში ძვლის არავითარი კვალი არ ყოფილა. მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჯგუფად ეწყო შემდეგი სამკაულები:

1. ვერცხლის ბეჭედი, რომელიც გამოსახავს დახვეულ, კულზე თავდადებულ გველს (სურ. IV, 4; სურ. V). ბეჭდის დაკეპნილი გვერდები ქმნიან გველის კანის შთაბეჭდილებას. ბეჭდის d 1,5 სმ-ია.

2. ბრინჯაოს 4 სასაფეთქლე რგოლი, რომელთა d 2 სმ-ია (სურ. IV, 2, 6).

3. ბრინჯაოს თავებგახსნილი ორი საყურე (სურ. IV, 1, 3).

4. ბრინჯაოს სამი ს ა მ ა ჯ უ რ ი. ერთ მათგანს ზედაპირი დაკეპნილი აქვს (სურ. IV, 5).



სურ. IV

5. რკინის მოხრილი დანა, პატარა, ძლიერ დაშლილი.

მესამე ქვისსამარხი მდებარეობდა უშუალოდ პირველი სამარხის ქვეშ, მიწის ზედაპირიდან 1,5 მ-ის სიღრმეზე. მის კედლებს თითო ფილაქვა შეადგენდა, სახურავს კი — 3. სამარხის სიგრძე 1,2 მ-ს უდრიდა, სიგანე — 0,75 მ-ს, ხოლო სიმაღლე — 0,45 მ-ს. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იყო დასვენებული თავით ჩრდილოეთისაკენ, ხელ-ფეხბოკეცილი და წელში მოხრილი. ამ სამარხში საკმაოდ საინტერესო ინვენტარი აღმოჩნდა:



სურ. V


1. თიხის ტუჩიანი დოქი, აგურისფერად, არათანაბრად გამომწვარი (სურ. VI, 2). იგი მიცვალებულის ფეხებთან იყო წაქეცილი, სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. დოქის სიმაღლე — 20 სმ-ია, მუცლის  $d$  — 17,5 სმ.

2. სამარხის მეორე კუთხეში, მიცვალებულის ფეხებთან იდგა მოყვითალოდ გამომწვარი თიხის ფილა (სურ. VI, 3), რომელსაც გადმოშლილი ფართო პირი და წიბოიანი გვერდი აქვს. პატარა ბრტყელი ძირი ჭურჭლის შიდა მხრიდან მომრგვალებულია. ფილის სიმაღლე 4,5 სმ-ია, პირის  $d$  — 14,5 სმ.

3. მოწითალო ფერის თიხის ჯამი იდგა ფილის გვერდით. მას ოდნავ შეკეცილი პირი აქვს (სურ. VI, 1). მისი სიმაღლე 4 სმ-ს უდრის, პირის  $d$  — 12,2 სმ-ს, ხოლო ბრტყელი ძირისა — 3 სმ-ს.



4. ბრინჯაოს ზარი, გვერდგახსნილი და რკინის ენიანი, იღო ჯამსა და ფილას შორის. იგი შემკულია შვეულად განლაგებული რელიეფური ხაზებით (სურ. VII, 2). ზარის სიმაღლე 10,8 სმ-ს უდრის.



სურ. VI

5. ბრინჯაოს ბალთა აღმოჩნდა მიცვალებულის მუცლის არეში. იგი სტილიზებულად გამოსახავს რომელიღაც ცხოველს. ბალთას 7 სათასმე ნახვრეტის აქვს (სურ. VII, 3). მისი სიგრძე 7 სმ-ს უდრის, ფირფიტის სისქე — 0,2 სმ-ს.


6. მოყავისფრო სარდიონის 28 მძივი სხვადასხვა მოყვანილობისაა: მუცელგამობერილი, კასრისებრი, ბიკონუსური და ხუთწახნაგოვანი (სურ. VII, 4). ისინი ნაპოვნია მიცვალებულის ყელის არეში.

7. რკინის მოხრილი დანა (სურ. VII, 1) აღმოჩნდა მიცვალებულის წელების არეში. დანას შერჩენილი აქვს ხის ტარის ნაშთი, დამაგრებული რკინის ორი მანჭვლით.

8. ძლიერ დაქანგული და დაშლილი რკინის შუბისპირი, რომლის მსარაში შერჩენილია ხის ტარის ნაწილი.

**ცხენის სამარხი** მდებარეობდა მეორე სამარხის მახლობლად და, როგორც ჩანს, მასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ცხენი დამარხული იყო 2,0 მ დიამეტრის მქონე ორმოში, მიწის ზედაპირიდან 0,5-0,6 მ სიღრმეზე, მარცხენა გვერდზე. თავი დასაველეთით ჰქონდა. ჩონჩხის სამხრეთით 0,6 მ-ის დაშორებით იყო ერთი მოგრძო ფილაქვა. ცხენთან აღმოჩნდა:

1. რკინის ორწილადი ლაგამი საყბეურები თურთ (სურ. VIII). ლაგამი ნაჭედია მობრტყე ღეროსაგან, რომლის ორივე ნაწილს შუაზე გარს ერტყმის თითო სალტე. საყბეურები დამზადებულია მრგვალბრტყელგანივიკვეთიანი ღეროსაგან. შუაზე, შიგნიდან მხრიდან გაკეთებული აქვთ თითო მოზრდილი რგოლი, რომლებშიც გაყრილია ლაგამის განაპირა რგოლები. ამ უკანასკნელებს, თავის მხრივ, შებმული აქვთ აღვირის გასაყრელი რგოლები. საყბეურებს, ღეროზე სხვა სიბრტყეში ორ-ორი სათასმე ნახვრეტი აქვთ. ლაგამი ცხენის პირთან იღო.




სურ. VII

2. ცხენის აკაზმულობის ბრინჯაოს 4 ბალთა (სურ. IX, 1, 2).


3. ბრინჯაოს რგოლი (სურ. IX, 3).

როგორც დავინახეთ, პირველი და მესამე სამარხი ინჰუმაციურია. მეორე კი — კენტაფი უნდა იყოს. ამის მაჩვენებელია სამარხის მეტად მცირე ზომა და მასში ჩონჩხის არარსებობა. როგორც ჩანს, ცხენის დამარხვაც მეორე სამარხთანაა დაკავშირებული.

სამივე ქვისამარხს იატაკი თიხით ჰქონდა მოტეპნილი. არდასუბანში შედარებით პატარა ქვისამარხების აღმოჩენა მოულოდნელი არ იყო, რადგან აღრე-



სურ. VIII



სურ. IX

ანტიკური ხანის ქვემო ქართლისათვის საერთოდ დამახასიათებელია შედარებით მცირე ზომის ქვისამარხები.



მსგავსი აღნაგობის სამარხები დამოწმებულია აბელიაში<sup>3</sup>, ბეშთაშენის მახლობლად<sup>4</sup>, კუშჩში, შავსაყდარსა და დმანისის რაიონში<sup>5</sup>. ამ ჯგუფის სამარხის უდიდესი სიგრძე 1,5 მ-ს აღწევს, ხოლო სიგანე და სიღრმე შესაბამისად 0,8 და 0,75 მეტრამდე. თუ შევადარებთ აბელიაში გათხრილ სამარხებს არდასუბნისას, ქვისსამარხთა აღნაგობის და მათში მიცვალებულთა დამარხვის წესის ერთგვარობას შეამჩნევთ: ორივეგან დამახასიათებელია წელში მოხრილი, ხელფეხმოკეცილი მიცვალებულის გვერდზე დაწვენა. აბელიაში მიცვალებულები უმთავრესად მარცხენა გვერდზე უმარხავთ, თუმცა იქვე არაერთი შემთხვევაა მათი მარჯვენა გვერდზე დაკრძალვისაც.

არდასუბნის სამარხებში აღმოჩენილი კერამიკული მასალა ერთგვაროვანია: პირველ და მესამე სამარხებში მიცვალებულისათვის ჩაუყოლებიათ თითო ტუჩიანი დოჭი, თითო ფიალა და თითო ჯამი. განსხვავება ისაა, რომ პირველი სამარხის ჯამი სამარხს გარეთ იდგა და ზედ ცხერის ბარძაყის ძვალი იდო აქ საქმე უნდა გვექონდეს ალაპის ნაშთთან. გ. ლომთათიძის დაკვირვებით ამგვარი წესი საერთოდ დამახასიათებელი ყოფილა აბელიის სამაროვნისათვის<sup>6</sup>.

არდასუბნის ყველა თიხის ჭურჭელი მორგვზეა ნაკეთები წვრილმარცვლოვანი თიხისაგან და მოვარდისფროდ კარგად გამოშვარია. მათში გამოირჩევა, სხვა ჭურჭელთან შედარებით უფრო გულდასმით ნაკეთები, პირველი სამარხის ფიალა (სურ. I, ა). არდასუბანში მოპოვებული ფიალები პარალელურ პოულობენ, როგორც ქვემო ქართლის (ალგეთის წინწყარო<sup>7</sup>, ზემო წყნეთი, თეთრი წყარო<sup>8</sup>, კიკეთი<sup>9</sup>), ისე საქართველოს სხვა კუთხეებში აღმოჩენილ მასალებში (ახალგორი<sup>10</sup>, დაბლაგომი, კამარახევის სამაროვანი<sup>11</sup>, ხოვლეგორა)<sup>12</sup>. მიუხედავად სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი, სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთები ფიალების ზოგერთი თავისებურებებისა, მნიშვნელოვანი ისაა, რომ მათი მოყვანილობა არსებითად ემთხვევა ერთმანეთს და ეს ტიპი დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანისათვის (ძვ. წ. VI-IV სს.). აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მესამე სამარხში აღმოჩენილი ფიალა (სურ. VI, ა) მინც რამდენადმე უფრო ადრეულ იერს ატა-

<sup>3</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ქვემო ქართლში, 1948, 1949 და 1954 წწ., ხელნაწერი.

<sup>4</sup> ბ. ა. კუფტინი, Археологические раскопки в Триалети, I, თბ., 1941, გვ. 41.

<sup>5</sup> დ. ქორიძე, ერთი ქვეყნის სამარხული ინვენტარი ზემო აქვალიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, თბ., 1956, გვ. 217.

<sup>6</sup> გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>7</sup> ბ. ა. კუფტინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34-41.

<sup>8</sup> ა. ბოხოჩაძე, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრი წყაროს მახლობლად, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბ., 1963, ტაბ. V<sub>1</sub>.

<sup>9</sup> პროფ. ბ. კულტინის მიერ 1948 წ. კიკეთში გათხრილი აქემენიდური ხანის სამარხული მასალა ინახება ს. ჭანაშვიის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში № 40/58:55.

<sup>10</sup> ი. გავლიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, ტაბ. XIII.

<sup>11</sup> რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბ., 1959, გვ. 19-20.

<sup>12</sup> დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი მასალა, თბ., 1966, ხელნაწერი.

რებს, ვიდრე პირველი სამარხისა (სურ. I, ვ). მესამე სამარხის ჭურჭლის პროპორციები ისე დახვეწილი არ არის, როგორც პირველისა. ამ უკანასკნელს პირი უფრო ფართოდ აქვს გადმოშლილი, ფსკერი შედარებით შევიწროებული და თიხაც გაცილებით უკეთ დამუშავებული.

ტუჩიანი დოქების (სურ. I, 2, VI, 2) გავრცელებაც ამ ხანასთან არის დაკავშირებული. ასე ნაკეთები ჭურჭელი ნაპოვნია ბეშთაშენის მახლობლად გათხრილ სამაროვანზე<sup>13</sup>, აბელიაში<sup>14</sup>, კიკეთში<sup>15</sup>, კამარახევის სამაროვანზე<sup>16</sup>, კარმირბლურზე<sup>17</sup>, ასურეთში<sup>18</sup> და სხვ. ეს ფორმები განაგრძობენ არსებობას მომდევნო ხანაშიაც.

ამ დროის თითქმის ყოველი სამარხის თანმხლებად შეიძლება ჩაითვალოს ჯამებიც, რომელთა მსგავსი არდასუბნის სამარხებშიაც იყო (სურ. I, 1, VI, 1).

ზემოთ განხილული სახის კერამიკის სიმრავლე, ფორმათა იდენტურობა, თიხის ფერი და გამოწვის ტექნიკა აშკარად მეტყველებს მათს ადგილობრივ წარმომავლობაზე. რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება ამ ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელთა ნაირსახეობა. უამრავია სხვა მოყვანილობის, სხვანაირად დამუშავებული და სხვა შემადგენლობის თიხის ჭურჭელიც. ამას იმიტომ ვიხსენიებთ, რომ ადრენტიკურ ხანაში და გაცილებით უფრო ადრეც, ქვემო ქართლში აშკარად შეინიშნება მეთუნეობის მძლავრი კერა და თიხის ჭურჭლის მასიური შემოტანა სხვა მხარეებიდან არ არის მოსალოდნელი.

არდასუბანში აღმოჩენილ ჭურჭელს პარალელები სხვაგანაც მოეპოვება: დიდუბეში, დაბლაგომში და სხვ.<sup>19</sup> მათთან მსგავსებასთან ერთად შეინიშნება საგრძნობი განსხვავებაც, პირველ რიგში თიხის დამუშავებასა და აგრეთვე, ყურისა და მუცლის მოყვანილობაში, რაც სხვადასხვა თემისათვის დამახასიათებელ თავისებურებას უნდა მიეწეროს.

საინტერესო დაკვირვება აქვს დ. მუსხელიშვილს მოწითალო კერამიკის გავრცელების შესახებ, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოდან მრავლდება სამხრეთ ამიერკავკასიაში. წინა პერიოდისაგან განსხვავებული თიხის ჭურჭლის გამოჩენა (რაც გამოიხატება ახალ ფორმებში, ტექნიკურ ხერხებში, წითლად შეღებვასა და ანგობირებაში და სხვ.) არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კერამიკის წარმოების ტექნიკის პროგრესით. ახალი ჭურჭლის გამოჩენა, მისი აზრით, მოწმობს ახალი კულტურული დინების გავლენას სამხრეთ ამიერკავკასიაზე და, შესაძლებელია, დაკავშირებული ყოფილიყო ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლასთანაც, რასაც თანდათანობითი, ინფილტრაციის პროცესის სახე უნდა ჰქონოდა და ეს პროცესი მთელი VI ს-ის განმავლობაში უნდა გაგრძელებულ-

<sup>13</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 41-42, ტაბ. XV.

<sup>14</sup> გ. ლ. მთათიძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>15</sup> ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, კოლ. № 40/58:54.

<sup>16</sup> რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19, სურ. 12, ტაბ. XI.

<sup>17</sup> Б. Б. Пиотровский. Ванкское царство, М., 1959, ტაბ. XXXI.

<sup>18</sup> კ. კვიციანიძე, 1965 წ. ასურეთში ჩატარებული არქეოლოგიური დახვეწების ანგარიში, XV სამეცნიერო სესია, მიღწეილი 1965 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები.

<sup>19</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, თბ., 1950, ტაბ. 19<sub>31</sub>, 20<sub>2</sub>.

იყო<sup>20</sup>. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ზოგიერთი სხვა მკვლევარი და სამხრეთიდან ახალი კულტურული ნაკადის (ურარტუს) გამოჩენას უკავშირებს<sup>21</sup>.

თიხის ჭურჭელს გარდა, სამარხეულ ინვენტარში დიდი ადგილი უჭირავს სამკაულებს. არდასუბნის სამარხების თარიღის დასადგენად პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სასაფეთქლე რგოლების ერთი სახეობა, რომლებსაც ბოლოები ოდნავ დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვთ (სურ. II, ვ). ანალოგიური სამკაულები, დამზადებული კეთილშობილი ლითონისაგან აღმოჩენილია: თეთრ წყარომში<sup>22</sup>, თრიალეთში<sup>23</sup>, დიდუბეში<sup>24</sup>, ყაზბეგში<sup>25</sup>, კამარახევიში<sup>26</sup>, რაჭაში<sup>27</sup>, დაბლაგომში<sup>28</sup> და სხვ. ა. კალანდაძე სამთავროულ მასალებზე დაკვირვებით, რომელშიც საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი მსგავსი სასაფეთქლე რგოლები, მათი გავრცელების დროდ ძვ. წ. VI-V სს-ს მიიჩნევს. ნ. ხოშტარიას აზრით, მსგავსი ნაქეთობანი ძვ. წ. V საუკუნეზე ქვემოთ აღარ ჩამოდიან.

გვირდს ვერ აფუცელი მერე სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს საყურეებს (სურ. IV, 1-3, გ), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ღეროს სისქითა და ბოლოების მოყვანილობით. ზოგს შემსხვილებული ბოლოები აქვს, ზოგს კი — დაწვრილებული. ანალოგიური სამკაულები ნაპოვნია აბელიას<sup>29</sup> და კამარახევის<sup>30</sup> სამაროვნებზე, ახალგორში<sup>31</sup>, ყაზბეგში<sup>32</sup>, რაჭაში<sup>33</sup>, დაბლაგომში<sup>34</sup>, ჩრდილო კავკასიაში<sup>35</sup>. მათი გავრცელებაც ძირითადად ადრეანტიკურ ხანაზე მოდის ისევე, როგორც იმ ტიპის სამაჯურებისა, რომლებიც მესამე სამარხში იყო ნაპოვნი (სურ. IV, ვ).

რამდენიმე სიტყვით შეგვიჩვენებთ ვერცხლის ბეჭედზე, რომლის ოქროფერილ ფარავზე მზის სტილიზებული გამოსახულებაა ამოკვეთილი (სურ. II, 2, III). მზის გამოსახულება, სხვადასხვა ვარიაციებით არაერთგანაა ნახული და მას მეცნიერები მზის წარმართულ ღვთაებას უკავშირებენ. ამ მოტივით დამუშავებულია დმანისის ნეკროპოლის მეორე სამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს ქინძისთა-

<sup>20</sup> დ. მუსხელიშვილი, ზოვეგორის განათხარი არქეოლოგიური მასალა, წყარო-მცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, 1964 წ., მუშაობის გეგმა და მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1964, გვ. 5-8; მისივე ზოვეს არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი მასალა.

<sup>21</sup> ვ. კვიციანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17-18.

<sup>22</sup> ა. ბოხრაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. V<sub>2</sub>.

<sup>23</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 42, სურ. 40.

<sup>24</sup> Б. А. Куфтин, Материалы..., т. II, გვ. 45.

<sup>25</sup> საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ფონდი, № 280.

<sup>26</sup> რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი.

<sup>27</sup> გ. გობეჯიშვილი, ქართული უძველესი ბალთები (ხელნაწერი), გვ. 129; მისივე, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 103.

<sup>28</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети; გვ. 46, სურ. 40<sub>4</sub>, Н. 3. Хоштария, Древние поселения в Даблагоми, თბ., 1941, გვ. 186-189 (ხელნაწერი).

<sup>29</sup> გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>30</sup> რ. რამიშვილი, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში (ხელნაწერი), თბ., 1959, გვ. 112, ტაბ. 16<sub>3</sub>, 26<sub>2</sub>.

<sup>31</sup> Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, თბ., 1934, გვ. 62, ტაბ. X 23б.

<sup>32</sup> საქართველოს მუზეუმის ფონდები №2-02/97/277; ხელოვნების მუზეუმის ფონდები, № 281-283.

<sup>33</sup> გ. გობეჯიშვილი, ქართული უძველესი ბალთები...

<sup>34</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии..., т. II, ტაბ. 15<sub>7</sub>.

<sup>35</sup> Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, ტაბ. XLII<sub>12</sub>.



ვი<sup>36</sup>. როგორც გ. ნიორაძე ფიქრობდა, ბრინჯაოს ხანაში მზეს სიმბოლოურად გამოსახვენ წრეში მოქცეული ხაზების საშუალებით<sup>37</sup>. ანალოგიური შინაარსის შემკულობა გავრცელებული იყო კავკასიაში, საბერძნეთში და სხვაგანაც. ამ სახის გამოსახულება სკანდინავიის ქვეყნებამდე ვრცელდებოდა. განსხვავებული ხერხებით — წრეებით, წინწყლებით, სხივებით, კონცენტრული წრეებით და სხვათა საშუალებებით გადმოცემული მნათობთა აღმნიშვნელი სამკაული ისე გამოისახებოდა, რომ ადამიანი ადვილად გამოიცნობდა მასში მზეს. მარტივი ფორმებით მისი გადმოცემა ბაბილონური წარმოშობისაა და მზის ღვთაება შამაშს უკავშირდება. ძველ ეგვიპტეში მზეს ფრთებით მოსაფლენენ. ამგვარად გამოსახული მნათობი, უფრო გვიან, ხეთასა და სირიაში გავრცელდა<sup>38</sup>.

ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისცემას საქართველოშიაც ღრმა ფესვები აქვს. მაგალითისათვის საკმარისი იქნება გავიხსენოთ გ. გობეჯიშვილის მიერ თეთრი წყაროს რაიონში გათხრილი ენოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, სადაც ერთი ნაგებობის იატაკი ქვებით ისე იყო მოგებული, რომ წრიული მოყვანილობა ჰქონდა. გამთხრელი მას უკავშირებს მნათობთა კულტს<sup>39</sup>. უკანასკნელ ხანაში აღმოჩენილ მასალებს შორის ყურადღებას იქცევს ალგეთის ხეობაში გათხრილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის მადნისქალის სამაროვანი. აქ აღმოჩენილი ძეგლები (სამარხ ნაგებობათა ხასიათი, მზის გამომხატველი სამკაულები), საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ აქაური მოსახლეობა თაყვანს ცემდა ასტრალურ ღვთაებებს<sup>40</sup>.

ამდენად, თითქოს საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს, არდასუბნის ბექვლეშ მოციმცილე გამოსახულება მნათობთა კულტს დაუკავშიროთ.

მეტად საინტერესოა მეორე სამარხში აღმოჩენილი ბექვლეცი, რომელიც გამოსახავს დახვეულ ქვეწარმავალს (სურ. IV, 4, V). გველის გამოსახულებას, როგორც ცნობილია მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გვიანბრინჯაოს ხანის ორნამენტულ მოტივებში. ქვეწარმავლების გამოსახულებით შემკულია როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე ჩრდილო კავკასიაშიც ნაპოვნი არაერთი ბრინჯაოს ცული და სამაჯური. მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყობანში აღმოჩენილი ერთი ცული, რომლის შემკულობაში დიდი ადგილი უჭირავს შვიდ გველსა და მათთან მებრძოლ მშვილდოსან ღვთაებას თუ ადამიანს<sup>41</sup>.

გველის მოტივი მომდევნო ხანისათვისაც არ ყოფილა უცხო. გავიხსენოთ თუნდაც სამაჯურები, რომლებიც გველის თავების რელიეფური გამოსახულებებით ბოლოვდება და მრავალი სხვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილს. იშველიებს რა მეტად მდიდრულ ეთნოგრაფიულ მასალას, მკვლევარი განმარტავს, რომ გველის კულტი ძალზე გავრცელებული

<sup>36</sup> Г. К. Ниорадзе, Могильник „Стекольного завода“, Проблемы истории докапиталистических обществ, № 3, М.-Л., 1934.

<sup>37</sup> გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი ..., გვ. 12.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს 1958 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ხელნაწერი.

<sup>40</sup> ნ. თუშიშვილი, ალგეთის ხეობის 1964 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის საკვლე მუშაობის ანგარიში, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საკვლე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 25-28.

<sup>41</sup> გ. გობეჯიშვილი, გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 139-140.

იყო წარმართულ საქართველოში<sup>42</sup>. ამდენად, ამა თუ იმ საგანზე გველის გამოსახულებას იმგვარივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგორც უფრო გვიან ჯვარს ან სხვა ნატ-ნიშანს. შემდეგშიც მას თვლიდნენ ე. წ. „ფუძის ანგელოზად“ და საკულტო ნივთებს ხშირად ამკობდნენ სრულიად კონკრეტული მიზანდასახულობით — ავი სულების არიდების მიზნით. ვარდა ამისა, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული გადმონაშთები მოწმობენ გველის კულტის საკმაო სიძველესა და სიმკვიდრეს. გველის საპირისპირო სიმბოლიური გავება, ე. ი. როგორც ბოროტების, დაუნდობლობის, მკვეთელობისა და ვერაგობის, შედარებით მოგვიანო მოვლენად გამოიყურება და უკავშირდება ქრისტიანული რელიგიის გავლენას<sup>43</sup>. ზემოთ აღნიშნული თითქმის საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ არდასუბნის მეორე სამარხის გველის გამოსახულებიანი ბეჭედი ავგაროზად მივიჩნიოთ.

ბრინჯაოს ზარის (სურ. VII, 2) ორეულეები ცნობილია ბოლნისიდან<sup>44</sup>, რაჭიდან<sup>45</sup>, ლეჩხუმიდან<sup>46</sup>, ყაზბეგიდან<sup>47</sup>. სადგურ რიონიდან<sup>48</sup>, ახალგორის განძიდან<sup>49</sup> და სხვ. მათი აღმოჩენა დამოწმებულია ძვ. წ. VI-IV საუკუნეებისათვის დამახასიათებელ კომპლექსებში. არის გამოჩეკილიც, მაგალითად, სამთავროს მ2-ე ქვევრსამარხში აღმოჩენილი 4 ზანზალაკი. მ. მაქსიმოვა ამ სამარხს გემითა და ბრინჯაოს ზურგჩაზნეჭილი სამაჯურებით ძვ. წ. III-I სს. ათარიღებს<sup>50</sup>. მართალია, მოყვანილობით ეს ზანზალაკები ძალიან ემსგავსებიან ჩვენსას, მაგრამ უფრო პატარებია.

მესამე სამარხის ინვენტარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრინჯაოს ბალთას (სურ. VII, 3), რომელიც მოყვანილობით ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს<sup>51</sup>. მას საქართველოში შესადარებელი მასალა არ მოეპოვება. ანალოგიური ნივთები ნაპოვნია მინგეჩაურის ორმოსამარხებში<sup>52</sup>, რომლებშიც ჰარბადაა ე. წ. სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელი ისრის წვერების რამოდენიმე ვარიანტი და მოხრილი დანები<sup>53</sup>.

42 ნ. რეხვიაშვილი, სალოცაეი „მზიური“ (გაუნე), აკად. ს. ჯანაშვიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, თბ., 1963, გვ. 213-230.

43 ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრომი.

44 საქართველოს მუზეუმის ფონდები, № 598.

45 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები..., ტაბ. XVII, XVIII.

46 ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები, №№ 23, 142.

47 Tallgren A., Monumenta caucasica, The Kasbec Treasure, Eurasia septentrionalis Antiqua, V, Helsinki, 1930, გვ. 135, სურ. 39; П. С. Уварова, Материалы по археологии Кавказа, т. VIII, გვ. 15, სურ. 135-136; მისივე, Коллекции Кавказского музея, V, ტაბ. II.

48 საქართველოს მუზეუმის ფონდები, №12-02/66/2493.

49 Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

50 М. Максимова, Геммы из некрополя Мухета-Самтавро, ს. ჯანაშვიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბ., 1950, გვ. 221-240.

51 შეადარეთ ქ. კისლოვოდსკის ე. წ. „ავეჯეულობის ფაბრიკის“ სამაროვანზე 1959 წ. მოპოვებულ ბრინჯაოს ჩუგლებს. იხ. Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, გვ. 459, ტაბ. XXXVII.

52 Г. И. Ионе, Археологические раскопки в Мингечауре, доклады АН Аз. ССР, т. II 1946, გვ. 402, ტაბ. III<sub>1-4</sub>.

53 იქვე.

უმთავრესად ისრისწვერების ანალიზის საფუძველზე გ. იონე ჩენი ბალ-  
 თის მსგავსი ნივთების შემცველ სამარხებს ძვ. წ. VII-VI სს-ით ათარიღებს, ხო-  
 ლო ამ ნივთთა წარმომავლობას ი. დიაკონოვი სკეპთებს მიაწერს<sup>54</sup>.

არდასუბნის სამარხებში მოპოვებული რკინის მოხრილი დანების პარალე-  
 ლები კავკასიაში კარგადაა ცნობილი; ისინი დამახასიათებელია ამიერკავკასიის  
 სამაროვნებისათვის ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოდან<sup>55</sup>.

ცხენის სამარხში ნაპოვნი ლაგამი ყველაზე ახლოს დგას ალგეთის წინწყა-  
 როსთან აღმოჩენილ ბრინჯაოს ლაგამთან<sup>56</sup>. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მა-  
 სალას და, შესაბამისად, დამზადების ტექნიკას (არდასუბნის ლაგამი რკინისაგა-  
 ნაა ნაქედი, ალგეთის — ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულია), მოყვანილობით ისინი  
 თითქმის სავსებით ერთნაირი არიან. არდასუბნის ლაგამის პარალელად ახალ-  
 გორის განძში<sup>57</sup> და ყანჩათში<sup>58</sup> დამოწმებული ლაგამებიც გამოდგება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში მსგავსი მო-  
 ყვანილობის ლაგამების არსებობა ამიერკავკასიის გარეთ არსად არ არის მოხსე-  
 ნიებული, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აღნიშნული ფორმები დამა-  
 ხასიათებელია ლოკალური რაიონისათვის.

ი. გაგოშიძეს სავანგებოდ განხილული აქვს ცხენის ავაზმულობის ნაწილე-  
 ბი<sup>59</sup> და მსგავსი ლაგამები, საკუთრივ ლაგამების ნაწილების რიცხვისა და საყბუ-  
 რების ფორმების მიხედვით დაყოფილი აქვს ოთხ ჯგუფად<sup>60</sup>. არდასუბნის ლა-  
 გამს იგი III ჯგუფში ათავსებს<sup>61</sup>. მისი აზრით, მსგავსი ლაგამები ადგილობრივი,  
 ქართული ვარიანტებია, და მათი ჩამოყალიბების დროდ ძვ. წ. V საუკუნის პირ-  
 ველი ნახევარი მიაჩნია<sup>62</sup>.

საინტერესოა, აგრეთვე, ცხენის ავაზმულობის ბრინჯაოს ბალთები (სურ.  
 IX, 1, 2). ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ნივთები აღმოჩენილია ყირიმში, ჩერ-  
 ქეზ-კერმენის ძვ. წ. VI-IV სს-ის ქვისსამარხებში<sup>63</sup>.

როგორც ვხედავთ, არდასუბნის სამარხები ზოგადად ადრეანტიკურ ხანას  
 მიეკუთვნება. სტრატეგრაფიული მონაცემები საშუალებას გვაძლევს მესამე სა-  
 მარხი რამდენადმე უფრო ადრეულად მივიჩნიოთ, ვიდრე პირველი, რადგან  
 უშუალოდ ამ უკანასკნელის ქვეშ იყო მოქცეული. მეორე სამარხი და ცხენის  
 ორმოსამარხი (რომელშიაც აღმოჩენილი ლაგამის ტიპი ძვ. წ. V საუკუნეში ჩნდებ-  
 ა) პირველი სამარხის დონეზე მდებარეობდნენ. გასათვალისწინებელია ისიც,  
 რომ მესამე სამარხის ბალთის მსგავსი ნივთი ძვ. წ. VI საუკუნეზე გვიანდელ  
 კომპლექსში არსად არ არის ნაპოვნი. რაც შეეხება ზედა ფენის სამარხს, მისი  
 თარიღი ძვ. წ. V საუკუნეზე გვიან ველარ ჩამოიწევს მასში ბოლოებგაზვრეტილი

<sup>54</sup> И. М. Дьяконов, История Мидии, М.-Л., 1956, гв. 254, სურ. 46.

<sup>55</sup> Б. Б. Пиотровский. История и культура Урарту, Ер., 1944, гв. 185.

<sup>56</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, гв. 35, 257, ტაბ. XII,

<sup>57</sup> Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

<sup>58</sup> ი. გაგოშიძე, უძველესი ქართული საბუკლავი ბეჭდები, ავად. ს. ჯანაშიას სახ. სა-  
 ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის X სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1962,  
 გვ. 10.

<sup>59</sup> ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 54-62.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 57-58.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 58-59.

<sup>63</sup> А. М. Лесков, О хронологии Таврских каменных ящиков горного Крыма,  
 КСИА, вып. 8, Киев, 1959, гв. 161-164, სურ. 3.



ოქროს სასაფეთქლე რგოლების აღმოჩენის გამო. აქედან ნათელი ხდება, რომ ქვედა ფენის სამარხი ძვ. წ. VI საუკუნით უნდა დათარიღდეს, დანარჩენი კი ძვ. წ. V საუკუნით. აღნიშნულ თარიღს ერთგვარად ამაჯობებს რკინის ლაგმისათვის ი. გაგოშიძის მიერ შემუშავებული თარიღი, — ძვ. წ. V საუკუნის I ნახევარი.

არდასუბანში გათხრილი ადრეანტიკური ხანის სამარხების მეცნიერული მნიშვნელობა იზრდება იმდენად, რამდენადაც ამ ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. აქ აღმოჩენილი მასალები აღმოსავლეთ საქართველოს ამ თემში მცხოვრებთ დიდად დაწინაურებულ ხალხად გვისახავენ. უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან მაინც აქ ეყრება საფუძველი განვითარებულ საქალაქო ცხოვრებას და კლასობრივი სტრუქტურის მქონე საზოგადოება ყალიბდება<sup>64</sup>. თუ შევადარეთ არდასუბნის ძვ. წ. VI-V სს. სამარხეულ მასალას ე. წ. ახალგორის განძისა და ალგეთის წინწყაროს მდიდრული სამარხის ინვენტარს, ერთი მხრივ, და აბელიას შედარებით ღარიბულ სამაროვანს, მეორე მხრივ, უფრო თვალსაჩინო გახდება იმდროინდელ აღმოსავლურ ქართულ საზოგადოებაში კლასობრივი და ქონებრივი დიფერენციაციის დონე. ეს არის ხანა საქართველოში ნივთიერი კულტურის სწრაფი განვითარებისა, — რკინის წარმოებისა და მიწათმოქმედების აყვავების ბაზაზე, ქონებრივი და უფლებრივი თანასწორობის მოსპობისა და სახელმწიფოს წარმოშობისა; საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სავარეო ურთიერთობის ქსელის გავართოებისა<sup>65</sup>. ქვეყნის ასე დაწინაურებული ცხოვრების უფრო მკაფიოდ წარმოდგენის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არდასუბნის სამაროვნის აქ განხილულ მასალას.

<sup>64</sup> ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 252.

<sup>65</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები..., გვ. 110.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

ინვა პალატი

სპარსული რომანული ეპოსის ერთი  
 აღრეული ძეგლის შესახებ

(აიუყის პოემა „გარყა და გოლშაჰი“)

ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში სპარსული ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობას კიდევ ერთი შენაძენი შეემატა. თურქმა მეცნიერმა აჰმედ ათეშმა სტამბოლის ერთ-ერთ სიძველეთსაცავში აღმოაჩინა პოემა „გარყა და გოლშაჰის“ მანამდე უცნობი სპარსული ხელნაწერი<sup>1</sup>. ამ აღმოჩენის ისტორია და ხელნაწერის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები ა. ათეშმა გამოაქვეყნა თერანის უნივერსიტეტის მოამბეში<sup>2</sup>. 1964 წელს თერანშივე გამოიცა პოემის სრული ტექსტი ცნობილი მკვლევრის ზაბიჰოლა საფას წინასიტყვაობით, ლექსიკონითა და რედაქციით<sup>3</sup>.

პოემის ტექსტიდან ირკვევა, რომ მისი ავტორია ვინმე აიუყი<sup>4</sup>, რომელსაც თავისი თხზულება სულთან მაჰმუდისათვის მიუძღვნია. ამ პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ხსენებული ხელნაწერის აღმოჩენამდე ცნობილი იყო მხოლოდ ორი ბეითი, დამოწმებული ასადი ტუსელის (XI ს.) ლექსიკონის აბას ეყბალისეულ გამოცემაში<sup>5</sup>. აქედან გამომდინარე, აჰმედ ათეში პოეტის მოღვაწეობის ხანად XI საუკუნეს ვარაუდობს და პოემის აღრესატად მაჰმუდ ლაზენელს (999-1030 წწ.) მიიჩნევს. ირანელმა მეცნიერმა სადეე ქიამ ეჰვი გამოთქვა აიუყისა და მაჰმუდ ლაზენელის თანამედროვეობის თაობაზე<sup>6</sup>. დაეჭვება გამო-

<sup>1</sup> موزه سرای طوبقاپو، کتابخانه خزینه، رقم ۸۲۱

<sup>2</sup> أحمد آتش، یک مثنوی گم شده از دوره غزنویان، ورقه و گلشاه عیوقی و مجله دانشکده ادبیات، سال اول، شماره ۴، ۱۳۳۳

<sup>3</sup> راجعه‌نویا ۱۳۴۳. تهران، صفاء، باهتمام دکتر ذبیح الله صفا، داود منشی زاهد، ورقه و گلشاه عیوقی، مجله راهنمای، ام. გამოცემის შესახებ ის. كتاب، سال یازدهم، شماره ۱۳۴۷

<sup>4</sup> تو عیوقیا گرت هوش است و رای بخدمت بیبوند بمدحت گرای (3. 3. ورقه و گلشاه)

زعیوقی و امتان خاص و عام ثنابر محمد علیه السلام (33. 122)

<sup>5</sup> لغت فرس، نشر عباس اقبال، تهران، ۱۳۱۹، 305، 223. 33.

<sup>6</sup> صادق کیا، آیا مثنوی ورقه و گلشاه عیوقی همزمان شاهنامه فردوسی است؟ مجله دانشکده ادبیات، سال دوم، شماره ۱، تهران، ۱۳۳۳

იწვია აჰმედ ათეშის მართლაცდა არცთუ სარწმუნო არგუმენტმა, რომელიც ემყარება პოეტის სახელის მოხსენიებას ასადის ლექსიკონში. ს. ქიამ შენიშნა, რომ ხსენებული ორი ბეითი იმ მასალათაგანია, რომელიც ასადის შრომის გვიანდელ ინტერპოლატორებს ეკუთვნის და მართებულად არ შეუტანია პ. პორტს ლექსიკონის კანონიკურ ტექსტში. აიუყის შესაძლებელ ადრესატად ს. ქია უფრო გვიანდელ საუკუნეებში მოღვაწე რამდენიმე მაჰმუდს ასახელებს და, შესაბამისად, პოეტის მოღვაწეობის ხანაც აქეთ გადმოაქვს.

მაგრამ ამ შენიშვნებს არ გაუბათილებია ა. ათეშის ვარაუდი პოემის დაწერის დროის შესახებ. ტექსტის გამომცემელმა ზ. საფამ ამ მხრივ ყურადღება გამახვილა ორ მომენტზე: ა) პოემის ადრესატი აბულ ყასემ მაჰმუდი ტექსტში ერთგან იხსენიება როგორც სარწმუნოებისათვის მებრძოლი სულთანი (ლაზი)<sup>7</sup>, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მასში ნამდვილად ლაზის სულთანი მაჰმუდ იბნ საბოქთეგინი ივლისსმება და არა რომელიმე სხვა მაჰმუდი<sup>8</sup>. ბ) ნაწარმოების ენობრივ-სტილისტური მხარე, გრამატიკული და ლექსიკური ფორმების არქაულობა. მკვლევრის აზრით, საფუძველს არ გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ მის სიძველეში<sup>9</sup>. ამ მხრივ საყურადღებოა, აგრეთვე, ა. ათეშის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ სტილისტური თვალსაზრისით პოემა ლაზნელთა პერიოდის ლიტერატურის ნიმუშს წარმოადგენს<sup>10</sup>. დღევანდელ ლიტერატურათმცოდნეობაში აიუყის „ვარაყა ვო გოლშაჰ“ XI საუკუნის I ნახევრის პოეტური მემკვიდრეობის რიგში განიხილება<sup>11</sup>.

7 بحان مدح سلطان محمود گوی      بدل مهر سلطان غازی بجوی  
 شہنشاہ عالم امیر ملل (۳۳. 3)      ابوالقاسم آنشاهدین و دول

8 როგორც ცნობილია, მაჰმუდ ლაზნელმა თავისი არმია ლაზიებით (სარწმუნოებისათვის მებრძოლი მოხალისეებით) შეავსო. ინდოეთზე მისი ლაშქრობანიც ლაზავათის (წმინდა ომის) დროის ქვეშ მიმდინარეობდა. იხ. А. Ю. Якубовский, Махмуд Газневи. сб. „Фердовси“, Ленинград, 1934.

9 ۳۳. 5      وره و گولشاه، مقدمه.

10 Ahmed Ates, Un vieux poème romanesque Persan: récit de Warqah et Gulshah: Arts Orientalist, 1961, IV, ۳۳. 146.

11 I. Rypka, Iranische Literaturgeschichte, Leipzig, 1959, ۳۳. 175—176. И. С. Бранинский, Из истории таджикской народной поэзии, М., 1956, ۳۳. 309—310; Süheyl Ünver, An illustrated work belonging to the time of Ibn Sina, Türk tarih kurumu belleteni, Ankara, 1961, с. XXV, S. 97;

ذبح الله صفا، تاریخ ادبیات در ایران، جلد اول، تهران، ۱۳۳۸، ۳۳. 601: گنج سخن، مقدمه. შესაძლებელი გაუგებრობის აცილების მიზნით საჭიროდ მივიჩნია მივეთხოთ ზოგიერთ უზუსტობაზე, რომლებიც დაშვებულია. ა. საფაროვის სადისერტაციო ნაშრომის ავტორიტეტობა (А. Г. Сафаров, Месихи и его поэма „Варга и Гюльша“, Баку, 1966). ნაშრომის ავტორი იზიარებს ს. ქიას ვარაუდს იმის შესახებ, რომ ა. ათეშის მიერ აღმოჩენილი აიუყის პოემა XI საუკუნეზე გვიან უნდა იყოს შეთხზული, და დასკვნის: „...она написана не в XI в., а позднее“ (۳۳. 10). შემდეგ შენიშვნაც: „Следует также учесть и то обстоятельство, что в X—XI вв. легенда „Варга и Гюльша“ получила уже широкое распространение на Востоке. Об этом свидетельствует один из дошедших до нас вариантов поэмы о „Варге и Гюльше“ на персидском языке, датируемый 1030 годом (ბაზი ჩენია, ი. კ.). Произведение написано в виде посвящения известному правителю Газны Султан Махмуду Сабуктегину... Экземпляр этой ценной рукописи, автор которой нам неизвестен, обнаружен турецким ученым, про-



ხელნაწერი პომეისა, რომელიც, გამომცემლის აზრით, საკმაოდ ხელყოფილი გადამწერლებისაგან, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIII საუკუნითაა დათარიღებული. იგი ორმხრივ იქცევეს სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას: ა) სიტყვათა უმრავლესობა ტექსტში გახმოვანებულია და მათი არქაული ორთოგრაფიისა და ორთოეპიის საშუალებას იძლევა. თავისთავად ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს ლინგვისტური თვალსაზრისით. ბ) ხელნაწერში ჩართულია 71 ფერადი ილუსტრაცია, შესრულებული მხატვარ აბდოლ მო'მენ მოჰამადის მიერ<sup>12</sup>. სპეციალისტები მათში ხედავენ მხატვრობის სელკუყური სტილისა და ჩინური ფერწერის სინთეზს. ნიმუშები ამ სტილისა, რომლითაც სრულდებოდა სურათები მონღოლთა ეპოქამდე, ძალზე მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. ამიტომაც ხსენებული ხელნაწერის ილუსტრაციებმა დიდი გამოხმაურება პოვა აღმოსავლური ხელოვნებით დაინტერესებულ წრეებში<sup>13</sup>.

ამ ხელნაწერით წარმოდგენილი ნაწარმოები „ვარყა ვო გოლშაჰ“ მოთაყარების ზომით გაწყობილი სამიჯნურო პოემაა, რომლის სიუჟეტი, ავტორისავე მოწმობით, გადმოღებულია არაბული წიგნებიდან და თქმულებებიდან<sup>14</sup>. მოკლედ მოვიტანო პომეის შინაარსი:

წინასწარმეტყველის მოღვაწეობის ხანაში არაბთა ერთ ტომს ორი ძმა განაგებდა — ჰელალი და ჰომამი. ერთს ქალიშვილი ჰყავდა, სახელად — გოლშაჰი, მეორეს კი — ვაჟი ვარყა. ბავშვები ერთად იზრდებოდნენ და ათი წლისანი ერთ სკოლაში მიაბარეს სასწავლებლად. ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდა და თექვსმეტი წლის მშვენიერი გოლშაჰი ვარყაზე დანიშნეს. ქორწილის დღეს მათ ტომს თავს დაესხა მეზობელი ტომის განმგებელი რაბი და გოლშაჰი გაიტაცა. ვარყა უკან დაედევნა თავისი ლაშქრით, დიდი ბრძოლა გადაიხადა და სატრფო დაიბრუნა, მაგრამ ამ ბრძოლას მამამისი შეეწირა. გოლშაჰის დედამ აღარ ისურვა ობოლი და უქონელი ვარყას სიძეობა. დოვლათის შესაძენად ვარყა იემენის ქვეყანაში მიემგზავრება ერთ თავის ნათესავთან, ათასგვარი ფათურაჰის გადალახვის შემდეგ მიაღწევს იგი საწადელს და გამდიდრებული უკან ბრუნდება.

фессором Сухейлем Унвером. Им же сделано первое сообщение о ней<sup>14</sup> (გვ. 11). ამრიგად, ავტორი საკითხს ისე წარმოადგენს, თითქმის სპარსული პომეის ორ, სხვადასხვა დროს დაწერილ ვერსიასთან გვექონდეს საქმე. სინამდვილეში კი ლაბარაკია ერთსა და იმავე ხელნაწერზე (სტამბოლის სახაზინო ბიბლიოთ., № 841), რომელშიც დაცული პომეის ავტორის ვინაობა ეჭვს არ იწვევს, დაწერის თარიღი კი (1030) არსადაა ნახსენები; ხელნაწერის აღმოჩენა და პირველი ინფორმაცია მის შესახებ ა. ათეშს ეკუთვნის. ეს უზუსტობანი მომდინარეობს, როგორც ჩანს, ს. საფარაჰის მიერ დამოწმებული ს. უნვერის სტატიის (An illustrated...) მონაცემების არასწორი ათვისებიდან: სტატიაში, რომელიც ხელნაწერის ილუსტრაციების აღწერას ეძღვნება უმოთაგრესად, ს. უნვერი არსად იხსენიებს პომეის ავტორს ათეშს; 1030 წ. კი სულთან მაჰმუდის მოღვაწეობის დასასრულის აღსანიშნავადაა დასახელებული სტატიის ავტორის მიერ და არა პომეის დაწერის თარიღად.

<sup>12</sup> عبد المؤمن محمد الخوى النقاش, როგორც იკითხება მხატვრის ხელთაში.

<sup>13</sup> Ahmet Ates, Farca eski bir Varaka ve Gulshah mesnevisi, Turk Dili ve Edebiyatı Dergisi, Istanbul, 1954, № 5; Turque, Miniatures anciennes, publie par l'Unesco, 1961; Arts Orientalist, 1961, № 1; Süheyl Unver, დასახ. სტატია. რამდენიმე რეპროდუქცია ერთის პომეის ბეჭდურ გამოცემას, საიდანაც მოგვაქვს ორი ნიმუში.

<sup>14</sup> გვ. 5

ز اخبارتازی و کتب عرب  
 ز اخبارتازی و کتب عرب (80. 112)

بنظم اورم سرگذشتی عجب  
 چنین بود این قصه عجب

მაგრამ მის არყოფნაში შამის ხელმწიფე ეწვევა მათ ტომს, გოლშაპის სილამაზით მოიხიბლება და დიდი გამოსასყიდის ფასად თან წაიყვანს. გამგზავრების წინ გოლშაპმა თავისი ბეჭედი დაუტოვა ერთ მონას ვარყასთვის გადასაცემად. საქმროსთან ხალვათად დარჩენილმა ქალმა სასოწარკვეთილებისაგან თავის მოკვლა სცადა, შამის ხელმწიფემ გადაარჩინა და ამ თავგანწირვის მიზეზი ჰკითხა. ქალიშვილი გამოუტყდა ვარყას სიყვარულში. მეფე მოიხიბლა გოლშაპის ერთგულებით და ცოლობა აღარ უთხოვია, მისი სილამაზის ჰერეტი თტებოდა მხოლოდ. ქალიშვილი რომ გაისტუმრა, გოლშაპის მამამ ერთი ცხვარი დაკლა, ხორცი მეზობლებში დაანაწილა, ძვლები კი მიწაში ჩაფლა და ზედ საფლავი ამოაშენა. უკან დაბრუნებულ ვარყას მთელი ტომი ჰირსუფალოვით დამგლოვიარებული შეხვდა. ვარყა მთელ დღეებს სატრფოს „საფლავზე“ ატარებდა, ვიდრე ბოლოს ბავშვებისგან არ შეიტყო სიმაართლე. იგი მაშინვე შამის ქვეყანაში გაემგზავრა და იმ ბეჭდის მეშვეობით, გოლშაპმა რომ დაუტოვა, თავისი მოსვლა აუწყა სატრფოს. გოლშაპმა ხელმწიფეს შეატყობინა ვარყას მოსვლის ამბავი. შამის ხელმწიფემ მიიღო სტუმარი, გოლშაპთან მარტო დატოვა და თერთონ შორიდან ადევნებდა თვალყურს. ახალგაზრდების უმწიკვლო სიყვარული რომ იხილა, ვარყას მეტი პატივი და სტუმართმოყვარეობა მიაგო. ამაზე ვარყამ დაირცხვინა და შემცბარი უკან გამობრუნდა, მაგრამ სიყვარულის სენს ვერ გაუძლო და გზაშივე გარდაიცვალა. ეს ამბავი რომ გოლშაპმა შეიტყო, ვარყას საფლავზე წავიდა და ხანჯალი ჩაიცა გულში. ისიც ვარყას გვერდით დაკრძალეს. მათი სიყვარულის ამბავი არაკად იქცა, ხალხმა წმინდანებად შერაცხა და მათ საფლავებზე მოსალოცად სიარული დაიწყო. ეს ამბავი რომ შეიტყო, წინასწარმეტყველი თავის მოწაფეებთან ერთად შამის ქვეყანაში წავიდა, იქაური ებრაელები მაჰმადის რჯულზე მოაქცია, შამის ხელმწიფემ თავისი ცხოვრების დარჩენილი წლები უწილადა დახოცილ ქალ-ვაყს და ისინიც წინასწარმეტყველის ლოცვის შემდეგ საფლავებიდან წამოიმართენ მკვდრეთით აღმდგარნი. ხელმწიფემ გოლშაპი და თავისი ტახტი ვარყას დაულოცა, სალაროები დახსნა და დერვიშები დაასაჩუქრა. ახალგაზრდები დაქორწინდნენ და ბედნიერად გაატარეს თავიანთი ახალი ცხოვრება.

აიუყის პოემის ზემომოტიანილი სიუჟეტი ზედმიწევნით ემთხვევა არაბულ გადმოცემას ისლამის I საუკუნეში მცხოვრებ პოეტ ურვაჰისა და მისი სატრფო აფრას ტრაგიკული სიყვარულის შესახებ, იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ არაბულ ვერსიაში მიჯნურების გაცოცხლების ეპიზოდი არ არის — ისინი მსხვერპლად ეწირებიან თავიანთ წმინდა სიყვარულს. ლეგენდად ქცეული ეს გადმოცემა საკმაოდ გავრცელებული ჩანს არაბულ სამყაროში და დაცულია X საუკუნემდე შეთხზულ ბევრ წყაროში<sup>15</sup>. წყაროებმა შემოგვიანხეს, აგრეთვე, პოეტ ურვაჰის ლექსები, რომელთაც იგი აფრას უძღვნიდა.

ეს არაბული სიუჟეტი „ვარყა ვო გოლშაპის“ სახელწოდებითაა გავრცელებული მუსლიმანურ აღმოსავლეთში. განსაკუთრებით პოპულარული იგი თურქულენოვან ხალხებში ჩანს. შუა საუკუნეების თურქულ, აზერბაიჯანულ, უზბე-

<sup>15</sup> მაგ.: جاپ ابن النديم، كتاب الفهرست، چاپ مصر، ص ۴۲۵؛ كتاب الاغانى، چاپ ۱۵ ماغ، بيروت، جلد ۲، ص ۳۴۴—۳۷۹؛ فوات الوفيات الكتبي، چاپ مصر، جلد ۲، ص ۷—۷۴ (ورقه و گلساه، مقدمه، ۹—۱۰ ج. ۹-10، ۱۰-۱۱، ۱۲-۱۳، ۱۴-۱۵، ۱۶-۱۷، ۱۸-۱۹، ۲۰-۲۱، ۲۲-۲۳، ۲۴-۲۵، ۲۶-۲۷، ۲۸-۲۹، ۳۰-۳۱، ۳۲-۳۳، ۳۴-۳۵، ۳۶-۳۷، ۳۸-۳۹، ۴۰-۴۱، ۴۲-۴۳، ۴۴-۴۵، ۴۶-۴۷، ۴۸-۴۹، ۵۰-۵۱، ۵۲-۵۳، ۵۴-۵۵، ۵۶-۵۷، ۵۸-۵۹، ۶۰-۶۱، ۶۲-۶۳، ۶۴-۶۵، ۶۶-۶۷، ۶۸-۶۹، ۷۰-۷۱، ۷۲-۷۳، ۷۴-۷۵، ۷۶-۷۷، ۷۸-۷۹، ۸۰-۸۱، ۸۲-۸۳، ۸۴-۸۵، ۸۶-۸۷، ۸۸-۸۹، ۹۰-۹۱، ۹۲-۹۳، ۹۴-۹۵، ۹۶-۹۷، ۹۸-۹۹، ۱۰۰-۱۰۱، ۱۰۲-۱۰۳، ۱۰۴-۱۰۵، ۱۰۶-۱۰۷، ۱۰۸-۱۰۹، ۱۱۰-۱۱۱، ۱۱۲-۱۱۳، ۱۱۴-۱۱۵، ۱۱۶-۱۱۷، ۱۱۸-۱۱۹، ۱۲۰-۱۲۱، ۱۲۲-۱۲۳، ۱۲۴-۱۲۵، ۱۲۶-۱۲۷، ۱۲۸-۱۲۹، ۱۳۰-۱۳۱، ۱۳۲-۱۳۳، ۱۳۴-۱۳۵، ۱۳۶-۱۳۷، ۱۳۸-۱۳۹، ۱۴۰-۱۴۱، ۱۴۲-۱۴۳، ۱۴۴-۱۴۵، ۱۴۶-۱۴۷، ۱۴۸-۱۴۹، ۱۵۰-۱۵۱، ۱۵۲-۱۵۳، ۱۵۴-۱۵۵، ۱۵۶-۱۵۷، ۱۵۸-۱۵۹، ۱۶۰-۱۶۱، ۱۶۲-۱۶۳، ۱۶۴-۱۶۵، ۱۶۶-۱۶۷، ۱۶۸-۱۶۹، ۱۷۰-۱۷۱، ۱۷۲-۱۷۳، ۱۷۴-۱۷۵، ۱۷۶-۱۷۷، ۱۷۸-۱۷۹، ۱۸۰-۱۸۱، ۱۸۲-۱۸۳، ۱۸۴-۱۸۵، ۱۸۶-۱۸۷، ۱۸۸-۱۸۹، ۱۹۰-۱۹۱، ۱۹۲-۱۹۳، ۱۹۴-۱۹۵، ۱۹۶-۱۹۷، ۱۹۸-۱۹۹، ۲۰۰-۲۰۱، ۲۰۲-۲۰۳، ۲۰۴-۲۰۵، ۲۰۶-۲۰۷، ۲۰۸-۲۰۹، ۲۱۰-۲۱۱، ۲۱۲-۲۱۳، ۲۱۴-۲۱۵، ۲۱۶-۲۱۷، ۲۱۸-۲۱۹، ۲۲۰-۲۲۱، ۲۲۲-۲۲۳، ۲۲۴-۲۲۵، ۲۲۶-۲۲۷، ۲۲۸-۲۲۹، ۲۳۰-۲۳۱، ۲۳۲-۲۳۳، ۲۳۴-۲۳۵، ۲۳۶-۲۳۷، ۲۳۸-۲۳۹، ۲۴۰-۲۴۱، ۲۴۲-۲۴۳، ۲۴۴-۲۴۵، ۲۴۶-۲۴۷، ۲۴۸-۲۴۹، ۲۵۰-۲۵۱، ۲۵۲-۲۵۳، ۲۵۴-۲۵۵، ۲۵۶-۲۵۷، ۲۵۸-۲۵۹، ۲۶۰-۲۶۱، ۲۶۲-۲۶۳، ۲۶۴-۲۶۵، ۲۶۶-۲۶۷، ۲۶۸-۲۶۹، ۲۷۰-۲۷۱، ۲۷۲-۲۷۳، ۲۷۴-۲۷۵، ۲۷۶-۲۷۷، ۲۷۸-۲۷۹، ۲۸۰-۲۸۱، ۲۸۲-۲۸۳، ۲۸۴-۲۸۵، ۲۸۶-۲۸۷، ۲۸۸-۲۸۹، ۲۹۰-۲۹۱، ۲۹۲-۲۹۳، ۲۹۴-۲۹۵، ۲۹۶-۲۹۷، ۲۹۸-۲۹۹، ۳۰۰-۳۰۱، ۳۰۲-۳۰۳، ۳۰۴-۳۰۵، ۳۰۶-۳۰۷، ۳۰۸-۳۰۹، ۳۱۰-۳۱۱، ۳۱۲-۳۱۳، ۳۱۴-۳۱۵، ۳۱۶-۳۱۷، ۳۱۸-۳۱۹، ۳۲۰-۳۲۱، ۳۲۲-۳۲۳، ۳۲۴-۳۲۵، ۳۲۶-۳۲۷، ۳۲۸-۳۲۹، ۳۳۰-۳۳۱، ۳۳۲-۳۳۳، ۳۳۴-۳۳۵، ۳۳۶-۳۳۷، ۳۳۸-۳۳۹، ۳۴۰-۳۴۱، ۳۴۲-۳۴۳، ۳۴۴-۳۴۵، ۳۴۶-۳۴۷، ۳۴۸-۳۴۹، ۳۵۰-۳۵۱، ۳۵۲-۳۵۳، ۳۵۴-۳۵۵، ۳۵۶-۳۵۷، ۳۵۸-۳۵۹، ۳۶۰-۳۶۱، ۳۶۲-۳۶۳، ۳۶۴-۳۶۵، ۳۶۶-۳۶۷، ۳۶۸-۳۶۹، ۳۷۰-۳۷۱، ۳۷۲-۳۷۳، ۳۷۴-۳۷۵، ۳۷۶-۳۷۷، ۳۷۸-۳۷۹، ۳۸۰-۳۸۱، ۳۸۲-۳۸۳، ۳۸۴-۳۸۵، ۳۸۶-۳۸۷، ۳۸۸-۳۸۹، ۳۹۰-۳۹۱، ۳۹۲-۳۹۳، ۳۹۴-۳۹۵، ۳۹۶-۳۹۷، ۳۹۸-۳۹۹، ۴۰۰-۴۰۱، ۴۰۲-۴۰۳، ۴۰۴-۴۰۵، ۴۰۶-۴۰۷، ۴۰۸-۴۰۹، ۴۱۰-۴۱۱، ۴۱۲-۴۱۳، ۴۱۴-۴۱۵، ۴۱۶-۴۱۷، ۴۱۸-۴۱۹، ۴۲۰-۴۲۱، ۴۲۲-۴۲۳، ۴۲۴-۴۲۵، ۴۲۶-۴۲۷، ۴۲۸-۴۲۹، ۴۳۰-۴۳۱، ۴۳۲-۴۳۳، ۴۳۴-۴۳۵، ۴۳۶-۴۳۷، ۴۳۸-۴۳۹، ۴۴۰-۴۴۱، ۴۴۲-۴۴۳، ۴۴۴-۴۴۵، ۴۴۶-۴۴۷، ۴۴۸-۴۴۹، ۴۵۰-۴۵۱، ۴۵۲-۴۵۳، ۴۵۴-۴۵۵، ۴۵۶-۴۵۷، ۴۵۸-۴۵۹، ۴۶۰-۴۶۱، ۴۶۲-۴۶۳، ۴۶۴-۴۶۵، ۴۶۶-۴۶۷، ۴۶۸-۴۶۹، ۴۷۰-۴۷۱، ۴۷۲-۴۷۳، ۴۷۴-۴۷۵، ۴۷۶-۴۷۷، ۴۷۸-۴۷۹، ۴۸۰-۴۸۱، ۴۸۲-۴۸۳، ۴۸۴-۴۸۵، ۴۸۶-۴۸۷، ۴۸۸-۴۸۹، ۴۹۰-۴۹۱، ۴۹۲-۴۹۳، ۴۹۴-۴۹۵، ۴۹۶-۴۹۷، ۴۹۸-۴۹۹، ۵۰۰-۵۰۱، ۵۰۲-۵۰۳، ۵۰۴-۵۰۵، ۵۰۶-۵۰۷، ۵۰۸-۵۰۹، ۵۱۰-۵۱۱، ۵۱۲-۵۱۳، ۵۱۴-۵۱۵، ۵۱۶-۵۱۷، ۵۱۸-۵۱۹، ۵۲۰-۵۲۱، ۵۲۲-۵۲۳، ۵۲۴-۵۲۵، ۵۲۶-۵۲۷، ۵۲۸-۵۲۹، ۵۳۰-۵۳۱، ۵۳۲-۵۳۳، ۵۳۴-۵۳۵، ۵۳۶-۵۳۷، ۵۳۸-۵۳۹، ۵۴۰-۵۴۱، ۵۴۲-۵۴۳، ۵۴۴-۵۴۵، ۵۴۶-۵۴۷، ۵۴۸-۵۴۹، ۵۵۰-۵۵۱، ۵۵۲-۵۵۳، ۵۵۴-۵۵۵، ۵۵۶-۵۵۷، ۵۵۸-۵۵۹، ۵۶۰-۵۶۱، ۵۶۲-۵۶۳، ۵۶۴-۵۶۵، ۵۶۶-۵۶۷، ۵۶۸-۵۶۹، ۵۷۰-۵۷۱، ۵۷۲-۵۷۳، ۵۷۴-۵۷۵، ۵۷۶-۵۷۷، ۵۷۸-۵۷۹، ۵۸۰-۵۸۱، ۵۸۲-۵۸۳، ۵۸۴-۵۸۵، ۵۸۶-۵۸۷، ۵۸۸-۵۸۹، ۵۹۰-۵۹۱، ۵۹۲-۵۹۳، ۵۹۴-۵۹۵، ۵۹۶-۵۹۷، ۵۹۸-۵۹۹، ۶۰۰-۶۰۱، ۶۰۲-۶۰۳، ۶۰۴-۶۰۵، ۶۰۶-۶۰۷، ۶۰۸-۶۰۹، ۶۱۰-۶۱۱، ۶۱۲-۶۱۳، ۶۱۴-۶۱۵، ۶۱۶-۶۱۷، ۶۱۸-۶۱۹، ۶۲۰-۶۲۱، ۶۲۲-۶۲۳، ۶۲۴-۶۲۵، ۶۲۶-۶۲۷، ۶۲۸-۶۲۹، ۶۳۰-۶۳۱، ۶۳۲-۶۳۳، ۶۳۴-۶۳۵، ۶۳۶-۶۳۷، ۶۳۸-۶۳۹، ۶۴۰-۶۴۱، ۶۴۲-۶۴۳، ۶۴۴-۶۴۵، ۶۴۶-۶۴۷، ۶۴۸-۶۴۹، ۶۵۰-۶۵۱، ۶۵۲-۶۵۳، ۶۵۴-۶۵۵، ۶۵۶-۶۵۷، ۶۵۸-۶۵۹، ۶۶۰-۶۶۱، ۶۶۲-۶۶۳، ۶۶۴-۶۶۵، ۶۶۶-۶۶۷، ۶۶۸-۶۶۹، ۶۷۰-۶۷۱، ۶۷۲-۶۷۳، ۶۷۴-۶۷۵، ۶۷۶-۶۷۷، ۶۷۸-۶۷۹، ۶۸۰-۶۸۱، ۶۸۲-۶۸۳، ۶۸۴-۶۸۵، ۶۸۶-۶۸۷، ۶۸۸-۶۸۹، ۶۹۰-۶۹۱، ۶۹۲-۶۹۳، ۶۹۴-۶۹۵، ۶۹۶-۶۹۷، ۶۹۸-۶۹۹، ۷۰۰-۷۰۱، ۷۰۲-۷۰۳، ۷۰۴-۷۰۵، ۷۰۶-۷۰۷، ۷۰۸-۷۰۹، ۷۱۰-۷۱۱، ۷۱۲-۷۱۳، ۷۱۴-۷۱۵، ۷۱۶-۷۱۷، ۷۱۸-۷۱۹، ۷۲۰-۷۲۱، ۷۲۲-۷۲۳، ۷۲۴-۷۲۵، ۷۲۶-۷۲۷، ۷۲۸-۷۲۹، ۷۳۰-۷۳۱، ۷۳۲-۷۳۳، ۷۳۴-۷۳۵، ۷۳۶-۷۳۷، ۷۳۸-۷۳۹، ۷۴۰-۷۴۱، ۷۴۲-۷۴۳، ۷۴۴-۷۴۵، ۷۴۶-۷۴۷، ۷۴۸-۷۴۹، ۷۵۰-۷۵۱، ۷۵۲-۷۵۳، ۷۵۴-۷۵۵، ۷۵۶-۷۵۷، ۷۵۸-۷۵۹، ۷۶۰-۷۶۱، ۷۶۲-۷۶۳، ۷۶۴-۷۶۵، ۷۶۶-۷۶۷، ۷۶۸-۷۶۹، ۷۷۰-۷۷۱، ۷۷۲-۷۷۳، ۷۷۴-۷۷۵، ۷۷۶-۷۷۷، ۷۷۸-۷۷۹، ۷۸۰-۷۸۱، ۷۸۲-۷۸۳، ۷۸۴-۷۸۵، ۷۸۶-۷۸۷، ۷۸۸-۷۸۹، ۷۹۰-۷۹۱، ۷۹۲-۷۹۳، ۷۹۴-۷۹۵، ۷۹۶-۷۹۷، ۷۹۸-۷۹۹، ۸۰۰-۸۰۱، ۸۰۲-۸۰۳، ۸۰۴-۸۰۵، ۸۰۶-۸۰۷، ۸۰۸-۸۰۹، ۸۱۰-۸۱۱، ۸۱۲-۸۱۳، ۸۱۴-۸۱۵، ۸۱۶-۸۱۷، ۸۱۸-۸۱۹، ۸۲۰-۸۲۱، ۸۲۲-۸۲۳، ۸۲۴-۸۲۵، ۸۲۶-۸۲۷، ۸۲۸-۸۲۹، ۸۳۰-۸۳۱، ۸۳۲-۸۳۳، ۸۳۴-۸۳۵، ۸۳۶-۸۳۷، ۸۳۸-۸۳۹، ۸۴۰-۸۴۱، ۸۴۲-۸۴۳، ۸۴۴-۸۴۵، ۸۴۶-۸۴۷، ۸۴۸-۸۴۹، ۸۵۰-۸۵۱، ۸۵۲-۸۵۳، ۸۵۴-۸۵۵، ۸۵۶-۸۵۷، ۸۵۸-۸۵۹، ۸۶۰-۸۶۱، ۸۶۲-۸۶۳، ۸۶۴-۸۶۵، ۸۶۶-۸۶۷، ۸۶۸-۸۶۹، ۸۷۰-۸۷۱، ۸۷۲-۸۷۳، ۸۷۴-۸۷۵، ۸۷۶-۸۷۷، ۸۷۸-۸۷۹، ۸۸۰-۸۸۱، ۸۸۲-۸۸۳، ۸۸۴-۸۸۵، ۸۸۶-۸۸۷، ۸۸۸-۸۸۹، ۸۹۰-۸۹۱، ۸۹۲-۸۹۳، ۸۹۴-۸۹۵، ۸۹۶-۸۹۷، ۸۹۸-۸۹۹، ۹۰۰-۹۰۱، ۹۰۲-۹۰۳، ۹۰۴-۹۰۵، ۹۰۶-۹۰۷، ۹۰۸-۹۰۹، ۹۱۰-۹۱۱، ۹۱۲-۹۱۳، ۹۱۴-۹۱۵، ۹۱۶-۹۱۷، ۹۱۸-۹۱۹، ۹۲۰-۹۲۱، ۹۲۲-۹۲۳، ۹۲۴-۹۲۵، ۹۲۶-۹۲۷، ۹۲۸-۹۲۹، ۹۳۰-۹۳۱، ۹۳۲-۹۳۳، ۹۳۴-۹۳۵، ۹۳۶-۹۳۷، ۹۳۸-۹۳۹، ۹۴۰-۹۴۱، ۹۴۲-۹۴۳، ۹۴۴-۹۴۵، ۹۴۶-۹۴۷، ۹۴۸-۹۴۹، ۹۵۰-۹۵۱، ۹۵۲-۹۵۳، ۹۵۴-۹۵۵، ۹۵۶-۹۵۷، ۹۵۸-۹۵۹، ۹۶۰-۹۶۱، ۹۶۲-۹۶۳، ۹۶۴-۹۶۵، ۹۶۶-۹۶۷، ۹۶۸-۹۶۹، ۹۷۰-۹۷۱، ۹۷۲-۹۷۳، ۹۷۴-۹۷۵، ۹۷۶-۹۷۷، ۹۷۸-۹۷۹، ۹۸۰-۹۸۱، ۹۸۲-۹۸۳، ۹۸۴-۹۸۵، ۹۸۶-۹۸۷، ۹۸۸-۹۸۹، ۹۹۰-۹۹۱، ۹۹۲-۹۹۳، ۹۹۴-۹۹۵، ۹۹۶-۹۹۷، ۹۹۸-۹۹۹، ۱۰۰۰-۱۰۰۱، ۱۰۰۲-۱۰۰۳، ۱۰۰۴-۱۰۰۵، ۱۰۰۶-۱۰۰۷، ۱۰۰۸-۱۰۰۹، ۱۰۱۰-۱۰۱۱، ۱۰۱۲-۱۰۱۳، ۱۰۱۴-۱۰۱۵، ۱۰۱۶-۱۰۱۷، ۱۰۱۸-۱۰۱۹، ۱۰۲۰-۱۰۲۱، ۱۰۲۲-۱۰۲۳، ۱۰۲۴-۱۰۲۵، ۱۰۲۶-۱۰۲۷، ۱۰۲۸-۱۰۲۹، ۱۰۳۰-۱۰۳۱، ۱۰۳۲-۱۰۳۳، ۱۰۳۴-۱۰۳۵، ۱۰۳۶-۱۰۳۷، ۱۰۳۸-۱۰۳۹، ۱۰۴۰-۱۰۴۱، ۱۰۴۲-۱۰۴۳، ۱۰۴۴-۱۰۴۵، ۱۰۴۶-۱۰۴۷، ۱۰۴۸-۱۰۴۹، ۱۰۵۰-۱۰۵۱، ۱۰۵۲-۱۰۵۳، ۱۰۵۴-۱۰۵۵، ۱۰۵۶-۱۰۵۷، ۱۰۵۸-۱۰۵۹، ۱۰۶۰-۱۰۶۱، ۱۰۶۲-۱۰۶۳، ۱۰۶۴-۱۰۶۵، ۱۰۶۶-۱۰۶۷، ۱۰۶۸-۱۰۶۹، ۱۰۷۰-۱۰۷۱، ۱۰۷۲-۱۰۷۳، ۱۰۷۴-۱۰۷۵، ۱۰۷۶-۱۰۷۷، ۱۰۷۸-۱۰۷۹، ۱۰۸۰-۱۰۸۱، ۱۰۸۲-۱۰۸۳، ۱۰۸۴-۱۰۸۵، ۱۰۸۶-۱۰۸۷، ۱۰۸۸-۱۰۸۹، ۱۰۹۰-۱۰۹۱، ۱۰۹۲-۱۰۹۳، ۱۰۹۴-۱۰۹۵، ۱۰۹۶-۱۰۹۷، ۱۰۹۸-۱۰۹۹، ۱۱۰۰-۱۱۰۱، ۱۱۰۲-۱۱۰۳، ۱۱۰۴-۱۱۰۵، ۱۱۰۶-۱۱۰۷، ۱۱۰۸-۱۱۰۹، ۱۱۱۰-۱۱۱۱، ۱۱۱۲-۱۱۱۳، ۱۱۱۴-۱۱۱۵، ۱۱۱۶-۱۱۱۷، ۱۱۱۸-۱۱۱۹، ۱۱۲۰-۱۱۲۱، ۱۱۲۲-۱۱۲۳، ۱۱۲۴-۱۱۲۵، ۱۱۲۶-۱۱۲۷، ۱۱۲۸-۱۱۲۹، ۱۱۳۰-۱۱۳۱، ۱۱۳۲-۱۱۳۳، ۱۱۳۴-۱۱۳۵، ۱۱۳۶-۱۱۳۷، ۱۱۳۸-۱۱۳۹، ۱۱۴۰-۱۱۴۱، ۱۱۴۲-۱۱۴۳، ۱۱۴۴-۱۱۴۵، ۱۱۴۶-۱۱۴۷، ۱۱۴۸-۱۱۴۹، ۱۱۵۰-۱۱۵۱، ۱۱۵۲-۱۱۵۳، ۱۱۵۴-۱۱۵۵، ۱۱۵۶-۱۱۵۷، ۱۱۵۸-۱۱۵۹، ۱۱۶۰-۱۱۶۱، ۱۱۶۲-۱۱۶۳، ۱۱۶۴-۱۱۶۵، ۱۱۶۶-۱۱۶۷، ۱۱۶۸-۱۱۶۹، ۱۱۷۰-۱۱۷۱، ۱۱۷۲-۱۱۷۳، ۱۱۷۴-۱۱۷۵، ۱۱۷۶-۱۱۷۷، ۱۱۷۸-۱۱۷۹، ۱۱۸۰-۱۱۸۱، ۱۱۸۲-۱۱۸۳، ۱۱۸۴-۱۱۸۵، ۱۱۸۶-۱۱۸۷، ۱۱۸۸-۱۱۸۹، ۱۱۹۰-۱۱۹۱، ۱۱۹۲-۱۱۹۳، ۱۱۹۴-۱۱۹۵، ۱۱۹۶-۱۱۹۷، ۱۱۹۸-۱۱۹۹، ۱۲۰۰-۱۲۰۱، ۱۲۰۲-۱۲۰۳، ۱۲۰۴-۱۲۰۵، ۱۲۰۶-۱۲۰۷، ۱۲۰۸-۱۲۰۹، ۱۲۱۰-۱۲۱۱، ۱۲۱۲-۱۲۱۳، ۱۲۱۴-۱۲۱۵، ۱۲۱۶-۱۲۱۷، ۱۲۱۸-۱۲۱۹، ۱۲۲۰-۱۲۲۱، ۱۲۲۲-۱۲۲۳، ۱۲۲۴-۱۲۲۵، ۱۲۲۶-۱۲۲۷، ۱۲۲۸-۱۲۲۹، ۱۲۳۰-۱۲۳۱، ۱۲۳۲-۱۲۳۳، ۱۲۳۴-۱۲۳۵، ۱۲۳۶-۱۲۳۷، ۱۲۳۸-۱۲۳۹، ۱۲۴۰-۱۲۴۱، ۱۲۴۲-۱۲۴۳، ۱۲۴۴-۱۲۴۵، ۱۲۴۶-۱۲۴۷، ۱۲۴۸-۱۲۴۹، ۱۲۵۰-۱۲۵۱، ۱۲۵۲-۱۲۵۳، ۱۲۵۴-۱۲۵۵، ۱۲۵۶-۱۲۵۷، ۱۲۵۸-۱۲۵۹، ۱۲۶۰-۱۲۶۱، ۱۲۶۲-۱۲۶۳، ۱۲۶۴-۱۲۶۵، ۱۲۶۶-۱۲۶۷، ۱۲۶۸-۱۲۶۹، ۱۲۷۰-۱۲۷۱، ۱۲۷۲-۱۲۷۳، ۱۲۷۴-۱۲۷۵، ۱۲۷۶-۱۲۷۷، ۱۲۷۸-۱۲۷۹، ۱۲۸۰-۱۲۸۱، ۱۲۸۲-۱۲۸۳، ۱۲۸۴-۱۲۸۵، ۱۲۸۶-۱۲۸۷، ۱۲۸۸-۱۲۸۹، ۱۲۹۰-۱۲۹۱، ۱۲۹۲-۱۲۹۳، ۱۲۹۴-۱۲۹۵، ۱۲۹۶-۱۲۹۷، ۱۲۹۸-۱۲۹۹، ۱۳۰۰-۱۳۰۱، ۱۳۰۲-۱۳۰۳، ۱۳۰۴-۱۳۰۵، ۱۳۰۶-۱۳۰۷، ۱۳۰۸-۱۳۰۹، ۱۳۱۰-۱۳۱۱، ۱۳۱۲-۱۳۱۳، ۱۳۱۴-۱۳۱۵، ۱۳۱۶-۱۳۱۷، ۱۳۱۸-۱۳۱۹، ۱۳۲۰-۱۳۲۱، ۱۳۲۲-۱۳۲۳، ۱۳۲۴-۱۳۲۵، ۱۳۲۶-۱۳۲۷، ۱۳۲۸-۱۳۲۹، ۱۳۳۰-۱۳۳۱، ۱۳۳۲-۱۳۳۳، ۱۳۳۴-۱۳۳۵، ۱۳

კურ, ყაზახურ, აგრეთვე, ქურთულ ლიტერატურაში ცნობილია მისი რამდენიმე ვერსია — როგორც ლექსითი, ასევე პროზაული დამუშავებანი. აიუყის პოემის აღმოჩენამდე მეცნიერები აპრიორულად გამოთქვამდნენ ვარაუდს ამ ვერსიათა სპარსული წყაროს არსებობის შესახებ. ხსენებულმა აღმოჩენამ გაამართლა ეს ვარაუდი და ცხადყო სიუჟეტის ქარვაში ბევრი იმ ეპიზოდის სპარსული წარმოშობა, რომელთა ახსნასაც წინათ თურქულ ნიადაგზე ცდილობდნენ<sup>16</sup>.

არაბული ლეგენდა მუსლიმანური ესპანეთის გზით ევროპულ ლიტერატურაშიც გავრცელდა და აისახა შუა საუკუნეების ფრანგულ რომანში „ფლორი და ბლანშეფორი“ (Floire et Blancheflor)<sup>17</sup>, რომელიც ე. წ. „იდილიური რომანის“ პირველ და კლასიკურ ნიმუშად ითვლება.

ზემოთ ჩამოთვლილ ვარიანტთაგან აიუყის პოემა არაბული ლეგენდის ლიტერატურული დამუშავების პირველი ცდაა თავისი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. აქი თვითონაც შენიშნავს პოეტი: ჩემამდე ეს ამბავი ჯერ არავის უთქვამს და თქმულბა დარის (ახალ სპარსულ) ენაზე მინდა ავამეცხველოო<sup>18</sup>. აიუყისვე უნდა ეკუთვნოდეს ლეგენდის პერსონაჟთა სახელების გადაცემა იმ სახით, როგორითაც დაკანონდნენ ისინი მხატვრულ ლიტერატურაში, და მან დასაბამი მისცა ერთი რომანული სიუჟეტის ტრადიციას მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

„ვარყა ვო გოლშაპის“ ადრინდელი ვერსიის ანარეკლი ჩანს კლასიკური ხანის ზოგ სპარსულ ლიტერატურულ წყაროში.

აიუყის პოემის ნაწყვეტები ციტირებულია XII საუკუნის სპარსულ ხალხურ საფალავნო რომანში „სამაქ აიარ“<sup>19</sup>. სპარსელ ავტორებთან აქა-იქ იხსენიება ვარყა და გოლშაპი, როგორც მიჯნურთა წყვილის სახელები (სუზანის, მოულანა რუმის ბეითებში), მათ იცნობენ შოურისა და ბორჰანის განმარტებითი ლექსიკონები. ვარყასა და გოლშაპის ამბავი, სხვა ცნობილ მიჯნურ წყვილებთან ერთად შესულია XIV საუკუნის სპარსელი პოეტის ამადის თხზულებაში „მოაზბათ-ნამე“<sup>20</sup>, მეტად პოპულარული ჩანს ავღანურ ფოლკლორში<sup>21</sup>. თურქულენოვან ლიტერატურაში მისი გავრცელებულობა ზემოთ იქნა აღნიშნული. გვიანდელ სპარსულ ვერსიათაგან ჯერჯერობით მიკვლეულია ჰეზეჯის ზომით დაწერილი პოემა, რომლის ორი ხელნაწერი თეირანის უნივერსიტეტის ცენტრალურ

16 ა. ათეში ვარაუდობდა, მაგალითად, რომ მიჯნურთა ვაცოცხლებს ეპიზოდი, რომელიც არ არის არაბულ ლეგენდაში, თურქ ავტორებთან ეროვნული ფოლკლორის მასალებიდან მოხვდაო. იხ. Varaka ve Gulsah mesnevisin kaynaklari, Türk Dili ve Edebiyatı Dergisi, c-II, S. 1—2, Istanbul, 1948.

17 G. Hu et, Sur l'origine de la Floire et Blancheflor, Romania, v. 27, 1898; R. Basset, Les sources arabes de la Floire et Blancheflore, Revue des traditions populaires, V. 22, 1907.

18 (33. 4) بگفتیم بشیرین سخن این سمر که کسی نیست گفته این بیشتن  
 من از بهر آن آفسر سروری سخن راند خواهم بلفظ دری

19 იხ. 1339, 991

20 عباد فقیه کرمانی، محبت نامه صاحب‌دلان

АНУз ССР, II, 1058—1060

21 فولكلوره Афганистон, Душанбе, 1968. ქ. ჭაბუღში მივლინებით ყოფნისას შესაძლებლობა გვქონდა დავრწმუნებულიყავით ავღანელთა შორის ამ სიუჟეტის დიდ პოპულარობაში.

10. „მაცნე“, 1970, № 3



ბიბლიოთეკაშია დაცული<sup>22</sup>. ამავე ვერსიას უნდა იმეორებდეს უზბეკეთის სსრ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში დაცული ორი ხელნაწერი<sup>23</sup> და ორიც ბეჭდური გამოცემა — ფიშაგარისა და თეირანისა<sup>24</sup>. შინაარსობრივად ეს ვერსია საკმაოდ ახლოს დგას აიუყის პოემასთან. იმ განსხვავებით, რომ გამრავლებულია პერსონაჟთა და კოლიზიათა რიცხვი, სიუჟეტის განვითარებაში მეტი ადგილი ეთმობა საბრძოლო ეპიზოდებსა და სათავგადასავლო ავანტურას, რაც ტიპური მოვლენაა, საერთოდ, სპარსელ მიმბაძველებთან მოგვიანო ხანის რომანულ ეპოსში.

ფორმის თვალსაზრისით აიუყის თხზულება სპარსული სამიჯნურო პოემის ყველა ტიპური ნიშან-თვისების მატარებელია: ღვთისა და წინასწარმეტყველის შესხმა, პოემის ადრესატის — სულთან მაჰმუდის ხობტა, ამბის დასაწყისი, სადაც ჩვეულებისამებრ, გადმოცემულია აღებული თემის წინასიტორია. თვით ამბავი ცალკეულ თავებადაა დაყოფილი და დასათაურებული. ხშირია ლირიული წილსვლები, გმირთა პორტრეტები, გათენება-დაღამებისა და ბრძოლების საკმაოდ ოსტატურად აღწერილი სურათები. აქვეა რომანული ეპოსისათვის ესოდენ ნიშანდობლივი შეყვარებულთა განცდების ვრცელი პასაჟები, მათი მოთქმა და გონების მიხდა განშორების გამო, მიჯნურთა მონოლოგები და დიალოგები, სწუთროს უკუღმარობისა და სოფლის სამღურავის მოტივი<sup>25</sup>.

ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი ზომიერი ფერადოვნებითა და სისადავით გამოირჩევა. აიუყის პოეტური სახეები მეტად ნათელი და ბუნებრივია, თავისუფალია მოგვიანო ხანის ეპიკის ხელოვნური და ზოგჯერ თვითმიზნური სირთულისაგან. ეს სახეები და, საერთოდ, ნაწარმოების პოეტური ენა ეროვნული ფოლკლორის და წინამორბედი ლიტერატურის ტრადიციებით ჩანს გამოკვებით<sup>26</sup>. პოემაში ჩართული საბრძოლო ეპიზოდები, როგორც მოსალოდნელი იყო, საგმირო ეპოსის გავლენის კვალს ატარებს. ენობრივი თვალსაზრისით საყუ-

<sup>22</sup> فهرست کتابخانه مرکزی دانشگاه تهران، ج ۱۲، ش ۳۸۸، ج ۱۴، ش ۴۷۷  
<sup>23</sup> 226/III და p. 6825.

<sup>24</sup> قصه ورقه و گلشاه، شهر پيشاور؛ داستان شیرین عبارت ورقه و گلشاه، شرکت نسبی کانون کتاب، تهران

<sup>25</sup> ამ უკანასკნელს ერთგან დამობილი აქვს საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი, სადაც, თითქოს, შინიშნებაა პოეტის ბიოგრაფიულ ფაქტზე. აიუყი ჩივის: ამ ქვეყანაზე სიყვარული და ერთგულება წარმავალია. თავად მე ამ ამბავზე (იგულისხმება მიჯნურთა დახოცვა სიყვარულის გამო) უფრო ნაღვლიანი თავგადასავალი გარდამხდა. თუ ცოცხალი დავრჩი, თავიდან ბოლომდე აღწერ ჩემს ამბავს, ვიტყვი როგორ მიმუხთლა ცბიერმა ხალხმა და ქვეყანას განვავეფრებდმერთი მიუზღავს სამაგიეროს იმ არაკაცებს განკითხვის დღესო (გვ. 116).

<sup>26</sup> მაგ.: بسا مهر پیوسته و بسته دل که او کردی کامدل زیر گل  
 بسا او میدهارا که درد شکست بسی بندها کو گشادوبست (83. 116)  
 შდრ. რუღაქი:

کهن کند بزمانی همان کجا نبود و نو کند بزمانی همان که خلقان بود  
 بسا شکسته بیابان که باغ خرم بود و باغ خرم گشت آن کجا بیابان بود

چو شب ماهه قیر گون خواستی (83. 9)

შდრ. ფირდოუსი: شبی چون شبه روی شسته بقیر

რადღებოა სიტყვებისა და გამოთქმების არქაული ფორმები, რომლებიც, ტექსტის გამომცემლის შენიშვნით, აქა-იქ მაინც გადარჩენიან გადამწერთა მოდერნისტულ მისწრაფებებს.

ყურადღებას იქცევს აიუყის ნაწარმოების სალექსო ფორმის ერთი თავისებურება. ამ მესნევერ თხზულებაში<sup>27</sup> ალაგ-ალაგ ჩართულია ყაზალის პრინციპით გართომული ლირიკული ლექსები ისე, რომ პოემის სალექსო ზომა — მოთაყარები უცვლელი რჩება<sup>28</sup>. ამ ლექსებს შესაფერის სიტუაციებში წარმოთქვამენ ნაწარმოების პერსონაჟები და ძირითადი ტექსტიდან სავანგებო თავებადაა გამოყოფილი<sup>29</sup>. პოემაში სულ თერთმეტი ასეთი ლექსია ჩართული და სასიამოვნო ელფერს ანიჭებენ ნაწარმოების მელოდიკას<sup>30</sup>.

ზ. საფას მიაჩნია, რომ მესნევეში ყაზალების ჩართვის ასეთი ხერხი სპარსული ლიტერატურისათვის უჩვეულო სიახლე იყო და მის წარმოშობას არაბულ ლეგენდაში დაცული პოეტ ურვაპის სატრფიალო ლექსებით ხსნის: ამ ლექსების შესაბამის ადგილებზე სპარსელმა პოეტმა მესნევეში ყაზალები შეიტანაო — დასკვნის მკვლევარი. შევნიშნავთ, რომ ამ ყაზალებს მართო ვარყა (ურვაპის ადექვატური პერსონაჟი პოემაში) არ წარმოთქვამს, და არც სატრფიალო ხასიათისაა ისინი ყოველთვის<sup>31</sup>. ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ი. ბრავინსკის ერთი შენიშვნა იმის შესახებ, რომ მესნევეში ყაზალების ჩართვა სპარსულ-ტაჯიკური ეპიკური ზეპირსიტყვიერების ტრადიციას<sup>32</sup>. ამ ტრადიციის გათვალისწინება უფრო მართებულ ახსნას აძლევს აიუყის პოემის აღნიშნულ თავისებურებას, რომელიც ლიტერატურულ ძეგლებში, მართლაც, არც თუ ისე ხშირი მოვლენაა. აქ გვახსენდება სალმან სავეჯის (XIV ს.) პოემა „ჯამშიდ-ო-ხორშიდ“ და „ბაჰრამ-ო-გოლანდამის“ ერთი ვერსია<sup>33</sup>, სადაც ფიქსირებულია ანალოგიური შემთხვევა, იმ სხვაობით, რომ ს. სავეჯის პოემაში ჩართული ყაზალები მეტრითაც განსხვავდება ძირითადი ტექსტისგან. ყაზალები გვხვდება, აგრეთვე, თურქი პოეტის ხორეზმის (XIV ს.) ორენოვან (თურქულ-სპარსულ) მესნევერ თხზულებაში „მუჰაბათ-ნამე“<sup>34</sup>. უკანასკნელ ხანებამდე ეს პოეტური ხერხი ს. სავეჯის ნოვატორობად იყო მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურა-

<sup>27</sup> სქემა: a — a, b — b, c — c...

<sup>28</sup> სქემა: a — a, b — a, c — a...

<sup>29</sup> მაგ.: ლექსის წარმოთქმა ვარყასაგან გოლშაჰთან განშორების გამო; ლექსის წარმოთქმა რაბიზთან ადნანის მიერ; ლექსის წარმოთქმა გოლშაჰის მიერ ვარყასთან განშორების გამო...

<sup>30</sup> ნიმუში: شعر گفتن گشاه در هجر ورقه

دل و دیده و جان و جانان من	ایا نرحت و راحت جان من
کجا رفتی ای درد و درمان من	تو درمان جانی و درد دلی
براین خسته دو چشم گریان من	گسستندم از تو نکردند رحم
ز غم گوژ شد سرو بستان من	ز درد دلم گشت رخساره زرد
بدادند بی امر و فرمان من	ز بهر درم بغریبی مرا
که خوردند زهار بر جان من (83. 75)	تو بر جان خودیر، مخور ز زهار

<sup>31</sup> მაგ., ლექსის წარმოთქმა ვარყასაგან მამის გარდაცვალების გამო.

<sup>32</sup> И. С. Брагинский, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 310.

<sup>33</sup> საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, p 130; ტაჯიკ. სსრ მეცნ. აკად. აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდი, № 213. ამ ვერსიის შესახებ იხ. ა. გვანაბრიანი, ბარამგულან-დამიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 121, 1967.

<sup>34</sup> Хорезми, Мухаббат-наме, Москва, 1961.

ში<sup>35</sup>. აიუყის პოემამ გამოავლინა მისი გამოყენების გაცილებით ადრინდელი ისტორია. აიუყიდან მოკიდებული, ყაზალების ჩართვა, როგორც ჩანს, ტრადიციად გაჰყვა „ვარყა-ვო-ვოლშაპის“ სიუჟეტზე დაწერილ სპარსულ ვერსიებს. ჰეზეჯის ზომით შესრულებული გვიანდელი პოემის ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემაში ფიქსირებულია ყაზალის გამოყოფა მესწვევის ტექსტიდან<sup>36</sup>.

ერთ გარემოებაზე გვიანდა შევაჩეროთ ყურადღება.

აიუყის პოემის ძირითად ტექსტში ჩართულ ამ ლირიკულ ნაწყვეტებს, რომლებიც ჩვენ ყაზალის სახელით მოვიხსენიეთ, თვითონ ავტორი ლექსს უწოდებს, და არა ყაზალს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაწყვეტები ტიპური ნიმუშია იმ სალექსო ფორმისა, რომელიც სპარსულ პოეტიკაში ყაზალის სახელითაა ცნობილი: ვართმვის პრინციპი, მონორითმი, ბეითების აზრობრივი დამოუკიდებლობა, ინტიმურ-ლირიკული თემა. მათლასა (პირველი ბეითი) და მყათაში (უკანასკნელი ბეითი), მიმართვის ობიექტის იდენტურობა, აზრის სიცხადე და სტილის სიმსუბუქე, ზოგჯერ — რითმისა და რედუფის თანაჟღერადობაც. მოცულობის მხრივ ლექსები დიდი არ არის — უმეტესად ხუთს, ზოგჯერ ოთხ, ექვს და შვიდ ბეითს შეიცავს. ამდენად, აღნიშნული ყაზალები მეტად საგულისხმო მასალას წარმოადგენს, როგორც ერთ-ერთი ადრეული ნიმუშები იმ ქანრისა, რომელიც სპარსულ პოეზიაში შედარებით გვიან ჩამოყალიბდა და რომლის გენეზისის, ისტორიული ვანვითარებისა და ტერმინის ევოლუციის თაობაზე ირანისტიკაში დღემდე არ არის მიღწეული აზრთა ერთიანობა<sup>37</sup>. ამ საკითხების კვლევისას, როგორც ჩანს, მარტო ლირიკული დივანების მემკვიდრეობა კი არა, ეპიკურ თხზულებებში დაცული მასალაც უნდა იქნეს გათვალისწინებული, განსაკუთრებით კი ყაზალის განვითარების იმ ადრეული პერიოდის მასალა, რომელსაც აიუყის თხზულება განეკუთვნება<sup>38</sup>.

ჯერ კიდევ ლიტერატურის ძველი მემკვიდრეობისათვის იყო ცნობილი, რომ სიტყვა „ყაზალის“ ლექსიკური და ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს. შამსი ყაისის (XII ს.) თხზულებაში დაცული

<sup>35</sup> رشید یاسمی، تتبع انتقاد احوال و آثار سلمان ساجی، تهران

<sup>36</sup> „ვარყა ვო-ვოლშაპის“ ერთი თურქული ვერსიის (ავტორი მესიპი, XVII ს.) ტექსტში ყასიდებია ჩართული.

<sup>37</sup> شامی نعمای، شعر العجم، ج ۵، تهران ۱۹۵۹؛ پرویز، آئل خانسری، وزن

شعر فارسی، تهران ۱۹۵۹

Е. Э. Бертельс, Персидская поэзия в Бухаре, X в., М.-Л., 1935, стр. 29—32. А. М. Мирзоев, Рудаки и развитие газели в X—XV вв., в кн.: Рудаки, жизнь и творчество, М., 1968; И. С. Брагинский, О возникновении газели в таджикской и персидской литературе, Советское востоковедение, 2, 1958; З. Н. Ворожейкина, Газели Камала Исмаила Исфাহани (к проблеме генезиса жанра), Иранская филология (Семинар иранистов Ленинграда), М., 1969 და სხვ.

<sup>38</sup> შტრ. ა. მიზოვეის შენიშვნა: „XI в. (особенно первая его половина), за исключением дивана газелей, приписываемых Баба Кухи (ум. в. 1050 г.), не дает фактов дальнейшего развития газели... Лирические стихотворения этого времени как по форме, так и по содержанию почти ничем не отличаются от таких же стихотворений X в. (დასახ. ნაშრ., გვ. 267). ამ ლექსებში კი, როგორც წინამოხაზი მსჯელობა ადასტურებს, ავტორი გულისხმობს სატრფიალო თემაზე შეთხზულ ყოველგვარ ლირიკულ ლექსს მათი სალექსო ფორმის განურჩევლად (იხ. გვ. 256). აიუყის ხსენებული ყაზალების არსებობის ფაქტს ერთგვარი კორექტივი შეაქვს ამ განმარტებაში, ვინაიდან ისინი, როგორც ითქვა, ფორმით დასრულებულ ყაზალებს წარმოადგენენ.“



უძველესი განმარტება ამ სიტყვისა, რომელიც სპარსული პოეტიკის ლექსიკაში ჯერ კიდევ რუდაქის (X ს.) დროიდან იხმარება, მოწმობს, რომ მასთან, უპირველესად ყოვლისა, ლექსის ლირიკული შინაარსი ასოცირდება<sup>39</sup> და ამიტომაც „პოეტთა უმრავლესობა ყაზალს უწოდებს სატრფოს სილამაზის აღწერას, სიყვარულისა და სამიჯნურო განცდების გამოხატვას“<sup>40</sup>. ამით აიხსნება, რომ ძველ ლიტერატურის ისტორიებში რუდაქის ბევრი ლექსი ყაზალის სახელით იწოდება, იმის მიუხედავად, განეკუთვნება თუ არა იგი ფორმის თვალსაზრისით ამ პოეტურ ჟანრს. ეს, დღევანდელი თვალსაზრისით, ტერმინოლოგიური უზუსტობა, დიდხანს გაგრძელდა და XI-XIII სს. ეპიკურ თხზულებებშიც აირეკლა. მაგალითად, ფაზრედინ გორგანი თავისი „ვის-ო-რამინის“ დასასრულს პოემის ადრესატის მიმართვაში ამბობს: „შენი ბრძანებით ვთქვი [ეს] ამბავი, სიკეთით ისე [შემკული], ვით აყვავებული წალკოტი, მასში ხილივით [გაეჟურიე] სიბრძნისთვის არაკები და გაზაფხულის რეჰანივით [სურნელოვანი] მშვენიერი ყაზალები“<sup>41</sup>. ნიზამი განჯელისა და მისი მიმბაძველის — ხოსრო დეჰლევის „ხოსროვ-შირინში“ საგანგებო თავებდაა გამოყოფილი: „ყაზალის წარმოთქმა ნაქისას მიერ შირინის სახელით“, „ყაზალის წარმოთქმა ბარბედის მიერ ხოსროვის სახელით“<sup>42</sup>, თუმცა გორგანის, ნიზამისა და დეჰლევის პოემებში არსად გვხვდება გადახვევა მესნიევის ფორმიდან.

აიუყის პოემა კი პირუქუ და მეტად საინტერესო ფაქტს ადასტურებს — აშკარად ყაზალის ფორმის ლექსები არ იწოდება თავისი სახელით. ესეც ყაზალის, როგორც სალექსო ფორმის და მისი აღმნიშვნელი ტერმინის ჯერ კიდევ განუმტკიცებელ პოზიციებზე მეტყველებს<sup>43</sup>, ოღონდ სხვა კუთხით, ვიდრე აქამდე იყო შენიშნული. ტერმინის ევოლუცია, ჩანს, გაგრძელდა მანამ, ვიდრე გრძელდებოდა ამ ჟანრის ფორმირებისა და დადგინების პროცესი. ასეთი აღრევა ნაკლებადაა მოსალოდნელი XIV საუკუნის შემდეგდროინდელ პოეზიაში, რადგან ამ დროისთვის — ჟანრის განვითარების ზეობის ხანაში — სიტყვა „ყაზალის“ ლექსიკური და ტერმინოლოგიური მნიშვნელობები ერთ ცნებაში გაერთიანდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის, რომ „გარაყა ვო გოლშაჰის“ გვიანდელ ვერსიაში ყაზალის ფორმის ლექსები უკვე თავისი ნამდვილი სახელით (غرل) იწოდება.

დაბოლოს — მესნევერ თხზულებაში დამოწმებული ეს ადრინდელი ყაზალები თავიანთი ხასიათით, დანიშნულებითა და სტილისტური თავისებურებით, ვფიქრობთ, მხარს უნდა უმაჯრებდეს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არ შეიქ-

<sup>39</sup> شمس الدين بن محمد بن قيس رازي، المعجم في معاني الأشعار العجم

გვ. 306 1909, لندن, GMS, X

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> بفرمانت بگفتم داستانی زخوبی چون شکفته بوسنایی

چون ريحان بهاری خوش غرلها

გვ. 387, 1959, تهران, به اهتمام محمدجعفر محجرب, فخرالدین گرگانی, ویسی و رامیی, 1959

<sup>42</sup> غزل گفتن نگینا از زبان شیرین, غزل گفتن باربد از زبان خسرو, نظامی گنجوی, خسرو و شیرین, باکو, 1940, 619, 622 და სხვ. امیر خسرو دهلوی,

شیرین و خسرو, مسکو, 1941, 266, 276

<sup>43</sup> იხ. خانلری დასახ. ნაშრ., გვ. 147-148.

ლება ყაზალის, როგორც პოეტური ჟანრის, ფორმირებაში გადამწყვეტ ფაქტორად ყასიდასგან ნასიბის (ყასიდას შესავალი ლირიკული ნაწილის) გამოყოფა და მისი დამოუკიდებელი განვითარება იქნეს მიჩნეული<sup>44</sup>. ამ ჟანრს წარმოშობისა და განვითარების თავისი საკუთარი ნაციონალური ფესვები, ისტორიული პირობები, გზა და დანიშნულება გააჩნდა.

ამდენად, აიუყის პოემა სპარსული პოეზიის უაღრესად პოპულარული ჟანრის — ყაზალის გენეზისისა და მისი აღმნიშვნელი ტერმინის ევოლუციის შესასწავლად მეტად ანგარიშგასაწევ მასალას იძლევა.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აიუყის „ვარყა-ვო-გოლშაჰს“ სპარსული რომანული ეპოსის ისტორიისათვის აქვს. ვინაიდან იგია პირველი სრულყოფილად შემონახული ძეგლი ამ ჟანრისა. აიუყის პოემისა და მისივე თანადროული ონსორის ფრაგმენტულად შემორჩენილი „ვამეყ-ო-აზრას“<sup>45</sup> შესწავლა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ რომანული ჟანრის წარმოშობასა და განვითარების პირველ ნაბიჯებს კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში. მათში უკვე ამჟამად გამოკვეთილი რომანული ეპოსის ის ჟანრული სპეციფიკა, რომელიც სულ მალე კლასიკური სახით ჩამოყალიბდა ფახრედინ გორგანის პოემაში „ვის-ო-რამინ“ (XI საუკ. 50-იანი წლები).

<sup>44</sup> А. М. Мирзоев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 289; И. С. Брагинский, *О возникновении...*, გვ. 100; დ. კობიძე, *რუდაქუ, კრ. „რუდაქუ, 1100“*, თბილისი, 1957, გვ. 57; ა. გვახარია, *რუდაქის პოეტიკა*, იქვე, გვ. 76 და შემდ.; З. П. Ворожейкина, *დასახ. სტატია*, გვ. 51. შდრ. შიბლი ნუშანის მოსაზრება: „ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პოეზია ირანში თავის სათავეს ყასიდასგან იღებს... როდესაც ყასიდას ლირიკული ნაწილი ჩამოაშორეს, იგი ყაზალად გადაიქცა, თითქოს ყასიდას ხის ტანს ყლორტი მოსპურეს და ცალკე გადარგეს“ (*დასახ. ნაშრ.*, ტ. V, გვ. 27).

<sup>45</sup> უქანასენელ ხანებამდე ონსორის ეს პოემა დაკარგულად იყო მიჩნეული. მისი დიდი ფრაგმენტის აღმოჩენაც ჩვენი საუკუნის 50-იან წლებს ეკუთვნის. იხ. M. Shafi, *Unsuri's Wamiq wa Adhra*, *Proceedings of the 23 th International Congress of Orientalists, London, 1954.*  
 مثنوی وامق و عذرا عنصری، با مقدمه و تصحیح و تحسیه دکتر مولوی محمد شفیع،  
 Lahore, 1967.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

### პრობა ბელოზვილი

## მიკრო-თიანეთის მიკროტოპონიმიკის ზოგი საკითხი

მიკროტოპონიმიკის (უმცირესი გეოგრაფიული ობიექტების: სახნავ-სათესი ნაკვეთების, საძოვრების, სათიბების, დედეების, ბილიკების და ა. შ. სახელები) მეცნიერულ შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ ამ ათიოდე წლის წინათ მიექცა. მანამდე ტოპონიმიკის მკვლევრები, რატომაც, უპირატესად მსხვილი გეოგრაფიული ობიექტების (მაკროტოპონიმების) შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი.

მიკროტოპონიმიკის, როგორც ცალკე სისტემის, შესწავლას ამჟამად ბევრი მკვლევარი უჭერს მხარს. საქმე ისაა, რომ მიკროტოპონიმები მაკროტოპონიმებისაგან განსხვავდებიან არა მარტო აგებულებით, არამედ ინფორმაციის თვალსაზრისითაც. „მიკროტოპონიმიკური სახელები რიცხობრივად ერთისად აღემატებიან საკუთრივ ტოპონიმებს, ამასთან, ისინი გაცილებით უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდიან ამა თუ იმ ადგილის რაობაზე, ვიდრე საკუთრივ ტოპონიმები. თუ მიკროტოპონიმიკურ სახელებში მრავალი საყურადღებო მოვლენა ასახული, საკუთრივ ტოპონიმებში ასეთი რამ ან სულ არ აღინიშნება, ან ძალზე სუსტადაა ასახული“<sup>1</sup>.

ვაზიარებული დებულების თანახმად (ა. ვ. სუპერანსკაია, ა. პ. დულონი) მიკროტოპონიმიკა ერთი რომელიმე ხალხის ენობრივი ფაქტია, მაკროტოპონიმიკა კი სხვადასხვა ეპოქებისა და ხალხთა შემოქმედების ნაყოფია. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი რაიონის მაკროტოპონიმიკაში სხვადასხვა ენობრივი დანალექები შეიმჩნევა. მაკროტოპონიმიკური მასალის სირთულეც (ვაზიარების თვალსაზრისით) აქედან გამომდინარეობს.

სხვაგვარი მდგომარეობაა მიკროტოპონიმიკურ სახელებთან. რაკი მიკროტოპონიმიკა ერთი რომელიმე ხალხის ენობრივი ფაქტია, ამიტომ თითქმის ყველა მიკროტოპონიმი სემანტიკის თვალსაზრისით ნათელია. მიკროტოპონიმები უპირატესად აღწერიითი ხასიათის სახელებია, ამიტომ ისინი საქმად კარგად მოგვიტანს ამა თუ იმ კუთხის ისტორიას, საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებას, რელიგიურ-საკულტო რეალებს, მეურნეობის სპეციფიკურ მხარეებს და ა. შ. მიკროტოპონიმები, ამასთან ერთად, თვალნათლივ წარმოაჩენენ დიალექტურ თავისებურებებს. ავლენენ მრავალ საყურადღებო მომენტს ეთნონიმიკის სფეროდან და სხვ.

მიკროტოპონიმიკის საგულდაგულო, სისტემატურ შესწავლას მეცნიერებისათვის ბევრი საყურადღებო ენობრივი და ისტორიული ფაქტის მოწოდება შე-

<sup>1</sup> იხ. В. А. Никонов, Научное значение микропонимия (в сб. «Микропонимия», М., 1967, стр. 6).



უძლია. ამიტომ ზედმეტია იმისი მტკიცება, თუ რაოდენ საშური საქმეა ქართული მიკროტოპონიმის შეკრება-შესწავლა და გამოცემა. საშურია იმით, რომ მიკროტოპონიმები მასშტაბური სიმცირის გამო ოფიციალურად არსებულ რუკებზე არ აღინიშნებიან, ამიტომ ბევრი მათგანი (განსაკუთრებით ახალ მშენებარე რაიონებში) შესაძლებელია, სრულიად უკვალოდაც გაქრეს.

თიანეთის რაიონის მიკროტოპონიმთა დღემდე სისრულით შესწავლილი არ ყოფილა. მართალია, საეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აქა-იქ გვხვდება მსჯელობანი ისტორიული ერწო-თიანეთის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების თაობაზე (ერწო, იორი, ჟალეთი და სხვ.), უკანასკნელ ხანებშიც დროდადრო ქვეყნდება მასალები თიანეთის ტოპონიმის ცალკეულ საკითხებზე (დოც. ი. მისურაძე, ვლ. აბრამიშვილი), მაგრამ ყოველივე ამას რაიონის ტოპონიმის მთლიანი, მეცნიერული შესწავლის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს.

წინამდებარე წერილში წარმოვადგენთ 1966—1968 წლებში ჩვენს მიერ შეკრებილ ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმის ერთ ნაწილს. წარმოდგენილი მასალა, შეკვეცის მიუხედავად, ნათლად მეტყველებს აქაური მიკროტოპონიმის წარმოების საშუალებებზე, სახელთა სტრუქტურაზე, მასალის რავგარობაზე და ა. შ.

#### აწო-თიანეთის მიკროტოპონიმთა სახელთა წარმოება

წინასწარვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმთა წარმოების თვალსაზრისით ძირითადად მიჰყვება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების (შიგნიკახეთის ჩათვლით) მიკროტოპონიმთა. ერწო-თიანური მიკროტოპონიმთა, მცირეოდენი გამოწაკლისის გარდა, ქართულია და ავლენს იმ დიალექტებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ამ რაიონის ტერიტორიაზე დასტურდებოდა და დასტურდება: ქართულ-კახური, ფშაური, ნაწილობრივ — ხევსურული.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმთა სამი ძირითადი ჯგუფისაგან შედგება.

1. მ ა რ ტ ი ვ ი ( უ ა ფ ი ქ ს ო ) გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ;
2. წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი ( ა ფ ი ქ ს ე ბ ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ) გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი .
3. თ ხ ზ უ ლ ი , ა ნ უ ს ი ტ ყ ვ ა თ შ ე ე რ თ ე ბ ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი რ თ უ ლ ი გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი .

#### I. მარტივი (უაფიქსო) გეოგრაფიული სახელები

უაფიქსო მიკროტოპონიმები ჩვეულებრივი საზოგადო არსებითი სახელე-ბია. ასეთი საზოგადო სახელების მიერ სათანადო ობიექტის დასახელება რაიმე ნიშნის, თვისების მიხედვით ქართულ ენაში უძველესი ხანებიდანაა ცნობილი<sup>2</sup>.

ამ რიგის სახელები აფიქსებითა და სიტყვათშეერთების წესით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებთან შედარებით საერთოდ იშვიათად გვხვდება ქართულ ტოპონიმთაში. ასეა ერწო-თიანეთშიც.

მარტივი უაფიქსო სახელების ძირითადი დანიშნულებაა ადგილმდებარეობის დახასიათება, ამა თუ იმ პუნქტის ოროგრაფიის ჩვენება, თვისების, კუთვნი-ლების აღნიშვნა და სხვ.

<sup>2</sup> თ. ხ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ტოპონიმის შესწავლისათვის — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 140.

ა ბ ა ნ ო — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. თეთრახევა); გ ლ უ ვ ი — პატარა შემადლებული ველტყიანი ადგილი; ე კ ა ლ დ ა მ ა — ღრმული, დიდი გამოქვაბული ს. მაგრანეთში; არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთი უბანთაგანი.

სახელწოდება ე კ ა ლ დ ა მ ა „აკლდამის“ ხევესურული ფორმაა<sup>3</sup>. ზ ე ც ა — სახნავ-სათესი მამულები (ს. ყებოტა); „სახნაური ადგილია; წადი, აგე ზეცაში მოხანო, — ვიტყვი“. კ ა რ ა ხ ტ ი ნ - ი სახნავ-სათესი ნაკვეთები; საძოვარი (ს. შარახევი). სახელწოდება რუსული „Карантин“-იდან უნდა მომდინარეობდეს. საგულისხმოა, რომ რუსული „Карантин“-ი ქართულ ტოპონომიკაში „კ ა რ ა ხ ტ ი ნ“ ფორმით დამკვიდრდა. ორი ამგვარი სახელი — „კ ა რ ა ხ ტ ი ნ ე ბ ი“ და „კ ა რ ა ხ ტ ი ნ ი ს ხ ი დ ი“ დადასტურებული გვაქვს ს. ანანოვის (დუშეთის რ.) ახლოს, საქართველოს ძველი სამხედრო გზის პირას. ეგვევ „კ ა რ ა ხ ტ ი ნ“ ფორმა დასავლეთ საქართველოშიც გავრცელებულა<sup>4</sup>. კ ო ხ - ი — მაღალი, ტყით დაფარული მთა (ს. ევენტი); მ ა ლ ა ქ ი ა — ტყე (ს. კვერნაულა). „სამასალე ხე იჭრებოდა. სად იყავ? — მალაქიას ტყეშიო, ვიცოდით“ რ უ ვ ი — პატარა მინდორი, ფერდობი (ს. ახალსოფელი). „წყალია წამოსული წისქვილისათვი და იმ ადგილსაც რუეს ვეძახით; რუეთანა მყავს საქონელიო. რუვი არის მართო წისქვილისათვი წაყვანილი წყალი“. (ვასო თთარაშვილი). ფ ო ც ხ ვ ე რ - ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. სიმონიანთხევი); ჩ ა ლ ა — პატარა ველი, ნაგუბარი ადგილი (ს. ლელოვანი); წ ვ ე რ - ი — სათიბი მთა; საძოვრები (ს. ქუშხევი). ხ ა წ ი რ - ი — გორაკი; სათიბი და სახნავ-სათესი მინდვრები, ველტყიანი ადგილები (დ. თიანეთი).

## II. წარმოქმნილი (აფიქსებით ნაწარმოები) ბეობრაფიული სახელები

### ა) პრეფიქსით ნაწარმოები სახელები

გეობრაფიულ სახელთა ოდენპრეფიქსული წარმოება საერთოდ იშვიათია მთელ ქართულ-ქართველურ ტოპონომიკაში. ამ მხრივ გამოწაკლისს არც ერწო-თიანეთის ტოპონომიკა შეადგენს: აქაც ერთობ იშვიათია სახელთა ოდენპრეფიქსიანი წარმოება და თუ გვხვდება, გვხვდება მხოლოდ ნა- და ხა- პრეფიქსებით ნაწარმოებ წინავითარების ამსახველ მიმღეობურ სახელებში.

#### ნა-:

ნ ა გ ლ ე ვ - ი — ტყე; საძოვრები; ახლები (ს. სიმონიანთხევი, ს. კვერნაულა); ნ ა კ ა ფ - ი — საძოვარი; ველტყიანი ადგილი (ს. თრანი, ს. ღულღულები); ნ ა ტ უ ს - ი — ველტყიანი ადგილები, საძოვრები; ტყე (ს. ახალსოფელი); ნ ა ყ ვ ე რ - ი — სახნავ-სათესი მამული (ს. ხოფცა); ნ ა ჯ ა ვ - ი — სახნავ-სათესი მამულები; ამყამად სოფ. ომარანის (სიონშენის სადაბო საბჭო) ერთ-ერთი უბანთაგანი. „გაჯავა ხალხმა ტყე და დასახლდა“.

#### ხა-:

ს ა დ გ ო მ - ი — მინდორი, საძოვარი (ს. სახევი); ს ა თ ი ბ - ი — მთა; საძოვრები და სათიბი მინდვრები (ს. ბოჭორმა); „სათიბი ვიყავო, — იტყვიან. ხოლოთ ეს მთა არის დიდი. დიდი ალაგია და ჩვენც ვვიჭერია და ერწოვლებსაცა, თრანსა, ღულღულებსაცა“; ს ა ქ ა ნ - ი — დაქანებული, ფერდობი ადგილი ტყეში

<sup>3</sup> ალ. კ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევესურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 301.

<sup>4</sup> ი. ი. ხ ბ რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკა, I, ბათუმი, 1958.

(ს. დულუზაურები); ს ა ყ უ ჩ ი — ადგილმდებარეობის სახელი, ველტყიანი მამული (ს. ქუშხევი). ს ა ჩ ქ ვ ე ფ ი — ტყიანი მთა, საძოვრები (ს. სახევი).

### ბ) სუფიქსით ნაწარმოები სახელები

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში საწარმოებელი სუფიქსებიდან განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევიან -ა, -ებ, -ან, -იან და -ურ (დისიმილაციით — ულ) სუფიქსები.

-ა:

ბ ე ლ ე ლ -ა — მთა; საძოვრები მდ. ივრის ზემო წელზე (ს. ზემო არტანი); გ ა დ რ ე ც ა — სახნავ-სათესი ნაკვეთები; საძოვარი (ს. ლიშო). „მოხრილი მამულეზია; კაცზე იტყვიან, რა გადრეცილი დგასო“. გ ვ ე რ დ -ა — სათიბი და საძოვარი მინდვრები (ს. გორანი); ე კ ა ლ -ა — მთა, საძოვრებითა და სათიბი ადგილებით (ს. ომარანი); ვ ა რ ც ლ -ა — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. ებოტა); კ უ ჭ -ა — დიდი ტყიანი მასივი (ს. ზემო ნაქალაქარი). მიკროტოპონიმი „კუჭა“ ადგილების სახელებად დასტურდება აგრეთვე ს. ევენტსა და ს. ომარანში. კ უ ჭ ე ჭ -ა — მთა; საძოვარი (ს. სახევი). „კუჭებით არი აწვერილი, იმიტო თუ მაქვიენეს“. (შდრ. ს. კუჭეჭა მალაროსკარის სას. საბჭოში, დუშეთის რ.). მ რ უ დ -ა — საძოვარი (ს. ქუშხევი). „გვერდალა ველია. სასაძოვრედა გვაქმ დადებულნი“; ნ ა მ გ ა ლ -ა — სახნავ-სათესი მამული (ს. ბალებსხევი). „მოხრილი მინდორია, ჭარხალსა ვთესავთ“; პ ტ ყ ე ლ -ა — სახნავი მამულები (ს. ტუშურები); უ თ უ რ გ -ა — მინდორი, საძოვარი. ამჟამად აქ ფიჭვის ტყეა გაშენებული (ს. ხევსურთსოფელი); შ უ ბ ლ -ა — სახნავ-სათესი მამულები, ველტყიანი ადგილები (დ. სიონი). ტოპონიმი შ უ ბ ლ ა დასტურდება ს. ხევსურთსოფლის ჩრდ. აღმოსავლეთით მდებარე მაღალი გორაკის, სერის სახელწოდებად; ჩ ხ ა რ უ ნ -ა წყარო (ს. ომარანი). „სუ ჩხარუნ-ჩხარუნით გამოდის მიწიდან“.

ზმბაძვის მიხედვით ნაწარმოები მიკროტოპონიმები ერწო-თიანეთისათვის ნიშანდობლივი ჩანს (იხ. ქვემოთ: ბუყბუყა წყარო, ხუფხუფა წყარო და სხვ.).

ც ხ ვ ი რ -ა — ტყიანი ადგილი, ველობი (ს. ტოლანთსოფელი); წ ა რ ა ფ -ა — ველტყიანი ადგილი (ს. საყდრონი); ჭ ე ხ ი ლ -ა — მაღალი ტყიანი მთა (ს. ბოჭორმა). „დიდი მთა არი, ეგრე გადადის, საგარეჯოს მხარისაკე“. ხ უ ფ -ხ უ ფ -ა — სახნავ-სათესი მამული (ს. ხოფცა). „აქ ამოდის წყარო, ხ უ ფ ხ უ ფ ა წყაროს ვეძახით. იმ მამულსაც ეგ დაძრქმევია“; ჯ ღ ა რ დ ლ -ა — სათიბი, სახნავ-სათესი მამული (ს. მაგრანეთი).

როგორც ვხედავთ, -ა სუფიქსი მიკროტოპონიმულ სახელებში ძირითადად ობიექტის რანაირობაზე, რავარობაზე (ცხვირა, შუბლა, ჭიხილა. ჩხარუნა...) მიუთითებს.

-ან, -იან:

ბ ი თ ა ნ -ი — ს. საკრეჭოს ერთ-ერთი უბანთაგანი; გ ე გ ე ნ ა ა ნ -ი — ს. იარაგულების უბანი; ი ო რ ა მ ა ა ნ -ი — ნასოფლარი. ამჟამად ეს ადგილი სიონის წყალსაცავითაა დაფარული; წ ე რ ი ლ ა ა ნ -ი — პატარ-პატარა სახნავი მამულები (ს. ახალსოფელი).

-იან:

ა რ ყ ი ა ნ -ი — მთა; საძოვრები (ს. ზემო არტანი); ა რ ხ ი ა ნ -ი — სახნავ-სათესი მამული (ს. კვერნაულა). „შუაზე ღარივით ზოლი დაჰყვება“. ბ უ ა რ ი ა ნ -ი — სახნავ-სათესი მამული (ს. ახალსოფელი); გ ო გ ჩ ო ა ნ -ი — სახნავ-



სათესი მამულები (ს. ტოლანთსოფელი). (მთიულ. გ ო ქ შ ო). „გოქჩოა ბალახი. აიზდება მაღალი, ხოლოთ აეგე აქუ სიმგურგვლივ ბუდე. ფოთვლები საცა არ გამოჰდის, იქ წყალი დგება შიგათ და თითქმის რო ეგრე ერთ კვირამდისინა აქუ წყალი“ (ლექსო ვასილის ძე წიკლაური. ს. ტოლანთსოფელი). თ ა რ თ ი ა ნ ი — სათიბი; სახნავი მამულები. ამ ნაკვეთების საკმაოდ დიდი ნაწილი სიონის წყალსაცავმა დაფარა (ს. ველები); თ ე ლ ი ა ნ ი — ტყე; საძოვრები (ს. ომარაანი). მიკროტოპონიმი „თელიანი“ რაიონის ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირია. იგი დადასტურდა ს. თოლენჯში, ზემო ნაქალაქარში, ყუდროში, ძებნიაურებში; ს. ბუჭყინტაში გვხვდება მიკროტოპონიმი „თ ე ლ ი ა ნ ა“ სათიბი მინდვრის სახელად; კ ვ რ ი ნ ხ ი ა ნ ი — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. მელიასხევი); კ ი რ ც ხ ი ლ ი ა ნ ი — ტყე, პატარ-პატარა მინდვრებით (ს. გორანა). მცენარე რცხილა „კირცხილა“ ფორმით მხოლოდ მთიულურ, ფშაურ და ხევსურულ დიალექტებში გვხვდება. ერწო-თიანეთშიც (ალბათ, ფშაური დიალექტის წყალობით) „კირცხილა“ ფორმა დამკვიდრებულა. „კირცხილიანი“ ადგილების სახელად საკმაოდ ხშირია აქაურ მიკროტოპონიმიკაში. ერთგან ის სოფლის სახელადაც კი დასტურდება. „კირცხილიანი დიდი სოფელი იყო. ნაწილი ზღვამ დაიჭირა. ეს სოფელია ბოკონთან ახლოს, 3-4 კომლიდა ცხოვრობს“. (იოსებ ლეგას ძე ხუმარაშვილი). პ ი ტ ნ ი ა ნ ი — სახნავ-სათესი მამული (ს. ყებოტა); ს ა დ ა ლ ი ა ნ ი — სახნავ-სათესი მამული, საძოვარი (ს. საკრეჭიო); ფ ა მ ფ ა რ ი ა ნ ი — სახნავ-სათესი მინდორი (ს. თოლენჯი); ქ უ ჩ ი ა ნ ი — სათიბი; საძოვარი (ს. ლახატო); დ ა ნ ძ ი ლ ი ა ნ ი — სახნავი მამული, საძოვარი (ს. ახალსოფელი); დ ა რ ა ლ ი ა ნ ი — სათიბი მინდვრები (ს. ლახატო). „ღარალს ჩვენ ვეძახით ბალახს. მსხვილი ღერო აქუ, ჯოყარვიით არი, ზოგი ლიხსაც იტყვის“. (ალექსი ლევანის ძე ნადირაშვილი); შ ა ლ ა ფ ი ა ნ ი — წყლიანი, ნოტიო ადგილი, მინდორი (ს. დევანანთხევი). „შალაფს ვეტყვიით ჩვენ ჭყანტის ჩალას“ (ტასო დავითის ასული ოზგაიძე); ხ უ თ ყ უ რ ი ა ნ ი — მინდორი, საძოვრები, ფერდობი ადგილი (ს. ქუშხევი).

საკმაოდ ხშირია ი ა ნ + ა სუფიქსიანი სახელებიც:

გ უ ბ ი ა ნ ა — სველი, წყლიანი ადგილი, ტყე (ს. მაგრანეთი); ვ ა ზ ი ა ნ ა — ადგილი, მინდორი (ს. თეთრახევა). „პირმზითი ადგილია. ორი-სამი ნასახლარიც რამ არი, ქვევრები ამოჩნდა, ვაზი თუ ედგა ადრე ვინმესა (ივ. არჩემაშვილი); ვ ე რ ხ ვ ი ა ნ ა — მთა; სათიბა, საძოვრები (ს. ჭიაურა); კ ო ხ რ ი ა ნ ა — მაღალი მთა ალპური საძოვრებით (ს. ზემო არტანი); ს ვ ი ა ნ ა — საძოვარი მამული (ს. ჭიაურა, ბაღებისხევი, ზარიძეები); ღ ო რ ღ ლ ი ა ნ ა — ადგილის სახელად გვხვდება ს. ლიშოსა და ს. ზემო არტანში.

როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, -ან- სუფიქსი გვარ-სახელებიდან მომდინარე მიკროტოპონიმებისათვის, ე. წ. ეთნოტოპონიმებისათვისაა ნიშანდობლივი, -იან სუფიქსი კი — მცენარეთა და ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე მიკროტოპონიმებისათვის (ზოონიმები).

— უ რ ( || -უ ლ ) ს უ ფ ი ქ ს ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი  
მიკროტოპონიმები

— უ რ ( || -უ ლ ) ს უ ფ ი ქ ს ი ერთ-ერთ ყველაზე უფრო პროდუქტიულ სუფიქსადაა მიჩნეული ქართულ სიტყვაწარმოებაში (ა. მანიძე). ეგვევ სუფიქსი ძალზე პროდუქტიული ჩანს გეოგრაფიული სახელების წარმოებისასაც.

საკვლევი რაიონის მიკროტოპონიმიკაში -ურ (||-ულ) სუფიქსი ყველაზე ხშირად პატარა მდინარე-ხევების სახელებში იჩენს თავს. ეს იმიტაც უნდა იყოს გაპირობებული, რომ აქაური მდინარე-ხევების სახელრქმევა ძირითადად იმ სოფლების მიხედვით ხდება, რომელთა სიახლოვესაც ისინი მოედინებიან. დიდი მდინარეები (იორი, აძიძი, ქუსნო, ხოფცა, საგამი...) ამ წესს არ ექვემდებარებიან.

ნასოფლ. აონი — მდ. აონ-ურ-ა

სოფ. არტანი — მდ. არტნ-ულ-ა

ნასოფლ. არხალი — მდ. არხ-ულ-ა (<არხლ-ურ-ა)

სოფ. ბუჭყინტა — მდ. ბუჭყინტ-ურ-ა

სოფ. თრანი — მდ. თრან-ულ-ა

სოფ. ლახატო — მდ. ლახატო-ურ-ა

სოფ. ლიშო — მდ. ლიშო-ურ-ა

სოფ. შარახევი — მდ. შარახე-ულ-ა (<შარახე-ულ-ა)

ნასოფლ. ხატხევი — მდ. ხატხე-ურ-ა (<ხატხე-ურ-ა)

ნასოფლ. ხაშარი — მდ. ხაშრ-ულ-ა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გაფორმების ამ წესს ემორჩილებიან მხოლოდ ისეთი უმნიშვნელო მდინარე-ხევები, რომელთა სიგრძეც 3-5 კმ-ს არ აღემატება.

-ურ (||-ულ) სუფიქსი, როგორც ზემოთ ვთქვით, აქაურ მიკროტოპონიმიკაში უფრო გვხვდება, ვიდრე მაკროტოპონიმიკაში. ხშირად -ურ (||-ულ) სუფიქსს აქ კინობითობის -ა-ნიც დაერთვის: -ურთა (-ულთა):

ბუჭყ-ურ-ა — სახნავ-სათესი მამულები; საძოვრები (ს. ზემო ნაქალაქარი); მოლა-მ-ურ-ა — ველტყიანი ადგილები, სახნავი (ს. კვერნაულა); სერე-ულ-ა — ადგილის სახელი (ს. ახალსოფელი); ჩქარე-ულ-ა — საძოვარი, სახნავი (ს. ახალსოფელი); წიწამ-ურ-ა — ვრცელი სახნავ-სათესი მასივი. ს. ჩუკურაანთგორის სამხრეთ-დასავლეთით. „წიწამურ“ ტყიანი ადგილის სახელად გვხვდება ს. თოლენჯიცი. ჭვინტა-ურ-ა — დიდი ტყიანი მთა, ქედო ს. თეთრახევას სამხრეთით; ჭურ-ულ-ა — პატარა წყლიანი ხევი (ს. საყდრი-ონი).

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -ებ სუფიქსი  
 ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკაში

საწარმოებელ ფორმანტაგან ერწო-თიანეთის ტოპონიმიკის მიკროსახელებში ყველაზე ხშირად მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ -ებ სუფიქსს ვხვდებით.

-ებ სუფიქსი ასევე ხშირად დასტურდება აქაურ მაკროტოპონიმიკაშიც. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს -ებ სუფიქსის გვიანდელი წარმოშობის შესახებ<sup>5</sup> აქაური მიკრო- და მაკროტოპონიმიკური მასალაც უჭერს მხარს. -ებ სუფიქსი მრავლობითობაზე, კრებითობაზე მიუთითებს:

აბანო-ებ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. თეთრახევა); აკალდამ-ებ-ი — ველი; ძველისძველი ნაგებობები, ნანგრევები (ს. ლულელები); ბოგორე-ებ-ი — ტყე; მინდვრები (ს. ლულელები); ბოსტან-ებ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ტუშურები); გრძელ-ებ-ი — სახნავ-სათესი მამულები

<sup>5</sup> თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 144.

(ს. ღულღული); გ ო რ გ ო თ ე-ე ბ-ი — ველტყიანი ადგილი, საძოვარი (ს. საყდრონი); გ ო ქ შ ო ი ა ნ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ჭურჭელაურები); „გოჭმოს ვეძახით ჩვენ ბალახსა, სხვილია, კაჭკაჩით არი, ყანაში იცის, იზრდება ნახევარ მეტრამდინს. საქონელი არა ჭკამს, კაჭახია, ეგრე ვირი, ცხენი კი ჭკამს“ (ლ. ჭურჭელაური).

გ უ დ ა მ ა ყ რ-ე ბ-ი — ტყიანი მთა, სათიბები. საძოვარი (ს. ბოჭორმა); ზ ა ქ ა რ ი-ე ბ-ი — ხატი, სალოცავი (ს. ორბევი). „ზაქარიასობაში მივლივართო, ზაქარიების ხატობაში წავიდეთო, — ვიტყვი. ამისი დღეობა არი მაისში“ (გ. ღვევარაშვილი). კ ვ რ ი ნ ჩ ხ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მინდორი (ს. ახალსოფელი); კ ო ტ ე-ე ბ-ი — ველტყიანი ადგილი, საძოვრები (ს. თრანი); ლ ა თ ბ ე-ე ბ-ი — სათიბი, საძოვარი (ს. ბაღებისხევი); ლ ა რ ე-ე ბ-ი — სახნავ-სათესი ნაკვეთები (ს. ნადოკრა); ნ ა მ გ ა ლ ე-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. სიმონიანთხევი); „დაპრანჭული მამულებია, მიხვეულ-მოხვეული“; ნ ი ბ ლ ი-ე ბ-ი — ველტყიანი ადგილი (დ. თიანეთი); ო ლ ე-ე ბ-ი — სახნავი მამულები (ს. ღულღული); ო რ თ ი-ე ბ-ი — მინდვრები, ადრე იხვნებოდა, ამჟამად სატყეო მეურნეობის ფიჭვია გაშენებული (ს. ორბევი); პ რ ა ს ი კ-ე ბ-ი — საძოვრები (ს. ღულღული); ს ა ყ დ ა რ ე-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ორბევი, ს. სიმონიანთხევი); უ რ ძ ნ-ე ბ-ი — ბუჩქნარი ადგილი (ს. ტუშურები); ფ შ ა ნ ტ ლ-ე ბ-ი — ტყიანი ადგილი, სველი, ნოტიო, წყაროებიანი ადგილი (ს. ღულღული); ყ ე ლ-ე ბ-ი — საძოვრები (ს. მელიასხევი); ყ უ რ ე-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ჩაბანო); შ ო თ ხ-ე ბ-ი — წვრილნარი ტყე (ს. სახევი); ჩ ა ნ ჩ ხ ა რ ე-ე ბ-ი — სახნავი მამულები (ს. ჩეკურანთგორი); ჩ ი რ დ ი ლ-ე ბ-ი — ტყე (დ. თიანეთი); ც ა ც ხ ვ-ე ბ-ი — სახნავი მამულები (ს. ძებნიაურები); წ ყ ა რ ო ე ბ-ი — სახნავ-სათესი ნაკვეთები (ს. ხოფცა). ეგვევ ტოპონიმი ტყის სახელწოდებად გვხვდება ს. წიკვლიანთკარში, ხოლო მამულის სახელწოდებად — ს. ვერხველში. ჭ ყ ა ნ ტ-ე ბ-ი — მამული, ტყე (ს. ახალსოფელი). ეს ტოპონიმი ტყიანი ადგილებისა და სველი, ნოტიო მამულების სახელწოდებად ზმირია რაინის მიკროტოპონიმიკაში. იგი დადასტურებულია ს. ბლიანებში, ს. გოჯიანებში, ს. ღულღულიურებში, ს. ყებოტაში და სხვ. ს. მამადაანებში დადასტურებულია ფორმა „ჭ ყ ა ნ ტ ი ა ნ ე ბ-ი“; ხ ო დ ა ბ უ ლ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ბოჭორმა) (შდრ. ლიტ. ხ ო დ ა ბ უ ნ ი).

სახელთა ფუძეებ-ებ მაწარმოებლის დართვა ზოგიერთ საყურადღებო მომენტს ავლენს. ასე, მაგალითად, თუ ტოპონიმი -ა- ხმოვანფუძიანია და მას -ებ მრავლობითი რიცხვის საწარმოებელი ფორმანტი დაერთო, მაშინ ეს ფუძისეული ა ასიმილაციის წესით ე ხმოვანად იქცევა:

აღმაჩაღმე-ებ-ი (<აღმაჩაღმა-ებ-ი), გორგოთე-ებ-ი (<გორგოთა-ებ-ი), გორდაგორე-ებ-ი (<გორდაგორა-ებ-ი), ნამგალე-ებ-ი (<ნამგალა-ებ-ი), საყდარე-ებ-ი (<საყდარა-ებ-ი), ფერდე-ებ-ი (<ფერდა-ებ-ი), ჩანჩხარე-ებ-ი (<ჩანჩხარა-ებ-ი)<sup>6</sup>...

ანალოგიურად, ხმოვანფუძიანი სახელების მსგავსადვე, იწარმოება ზოგიერთი თანხმოვანფუძიანი სახელი: ბ ო გ ი რ ი, ს ა ყ დ ა რ ი და ა. შ., რადგან ისინი აქაური მეტყველების მიხედვით კნინობითობის -ა სუფიქსს დაირთავენ და ხმოვანფუძიან სახელთა წყებაში დგებიან: ბ ო გ ი რ ა, ს ა ყ დ ა რ ა (შდრ. ქართ-

<sup>6</sup> ამგვარადვე ჩანს მიღებული არავის ხეობის ქართულში: მანქანეები, წიწილეები, კალათები, ცოტეები... (ცოტაქები პატარაქები) და სხვ.



ლურში და მთიულურში გავრცელებული ფორმები ბოთლა, ლეკვა...). ამიტომ ნაცვლად მოსალოდნელი ბოგირებ — საყდრებ და ა.შ. ფორმებისა, გვხვდება: ბოგირებში, საყდარებში, ბოსტანებში, გრძელებში და ა.შ.

ია-ზე დამთავრებული ზოგი გეოგრაფიული სახელი ფუძეზე -ებ სუფიქსის დართვისას ბოლოდან -ა ხმოვანს მოიკვეცს:

ზაქარი-ებში (<ზაქარია-ებში). ზაქარია, ზაქარიები რელიგიური დღესასწაული, ხატის სახელწოდებაა. აქედანაა ნაწარმოები ტყიანი მთის სახელი ზაქარიასწვერი (ს. თრანის ჩრდილოეთით). პარტი-ებში (<პარტი-ებში) — ტყისა და პატარ-პატარა ველების სახელწოდებაა ს. ზემო ნაქალაქარში. „პარტია-პარტიად თუ ამუშავებდენ ამ ადგილებსა“ (ნ. ოზგაიძე). -ებ მრავლობითობის მაწარმოებელი ფორმანტიანი სახელები საკვლევი რაიონის მიკრო და მაკროტოპონიმიაში ძალზე ხშირად გვხვდება.

-ებ სუფიქსის ასეთი გავრცელებულობა საკვლევი რაიონის მიკროტოპონიმიაში აქაური მასალის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ; -ებ სუფიქსის არაჩვეულებრივი სიხშირე ერწო-თიანეთის ტოპონიმიაში სპეციფიკური ნიშანი ჩანს.

აღნიშნული სუფიქსის ასეთი სიხშირე (როგორც მიკროტოპონიმიაში, ასევე მაკროტოპონიმიაში) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არცერთ რაიონში არ შეიმჩნევა. ეს მოვლენა ნიშანდობლივი არ ჩანს არც ცენტრალური (შიდა) და გარეკახეთის რაიონებისათვის.

მაგალითად, თუ თიანეთის რაიონის 81 დასახლებული პუნქტის სახელწოდებიდან 18 -ებ სუფიქსითაა ნაწარმოები (14,58%), მეზობელი ანბეტის რაიონის 78 დასახლებული პუნქტიდან არცერთი -ებ სუფიქსიანი არ არის<sup>7</sup>. ასევე არცერთი -ებ სუფიქსიანი მაკროტოპონიმი არ გვხვდება გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში. თელავის რაიონში მხოლოდ ერთგან დასტურდება -ებ სუფიქსიანი სახელი: ს. თეთრწყლ-ებში, ერთხელ გვხვდება -ებ-იანი სახელი სარაგჯოს რაიონშიც — ს. ზურხუტ-ებში.

ღუშეთის რაიონში 295 დასახლებული პუნქტის სახელწოდებიდან -ებ სუფიქსიანია მხოლოდ 8 მაკროტოპონიმი (2,36%); თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ 8 სახელიდან 5 უშუალოდ თიანეთის რაიონის მომიჯნავე ზოლში მდებარეობს: მიგრიალ-ებში (ხეობის სას. საბჭო). ახალიოს-ებში, თურ-ებში, ძველი-ოს-ებში, (ლაფანანთკარის სას. საბჭო).

ამრიგად -ებ ფორმანტიანი გეოგრაფიული სახელები თიანეთის რაიონისათვის ისეთივე ნიშანდობლივი ჩანს, როგორც -ან, -იან, აგრეთვე მრავლობითობის -თ სუფიქსიანი სახელების სიმრავლე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისთვის, კერძოდ, მთიულეთისთვის, -იხ ნაგენტივარი სუფიქსი კი — ცენტრალური ქართლის ტოპონიმისათვის.

### გ) პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მიკროტოპონიმური სახელები

ტოპონიმურ სახელთა პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება ქართულ ტოპონიმიაში უძველესი დროიდანვეა ცნობილი. ამგვარ სახელებში პრეფიქსებად ნა- და სა- ელემენტები დასტურდება, სუფიქსებად კი — ევ, ე, -არ (//აღ) და სხვ.

<sup>7</sup> „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ მიხედვით, თბ., 1966.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკაში პრეფიქს-სუფიქსიანი სახელების აბ-სოლუტურ უმრავლესობას ნა-არ (||-ალ) თავსართ — ბოლოსართიანი სახელები შეადგენს.

### ნა — არ (||-ალ):

ნა-ბ ი ნა-ვ-ა რ-ი — მინდორი; საძოვარი (ს. მაგრანეთი); ნა-ი მ ე რ-ა რ-ი — ტყის ვრცელი მასივი (ს. ტოლანთსოფელი); ნა-კ ა ლ-ო-ვ-ა რ-ი — სათიბი მამული, მინდორი (ს. ყუდრო); ნა-კ ო შ კ-ა რ-ი — ადგილი, საძოვარი მთაში (ს. ზემო არტანი); ნა-ა ლ ე ბ-ო-ა რ-ი — სახნავ-სათესი მამული (ს. ხოფცა); ნა-ს ი მ ი ნ-დ-ა რ-ი — სასაფლაო (ს. დულუზაურები). „შენამც წახვალ ნასიმინდარში“, „შე ნასიმინდარში წასასვლელი“, — იტყვიან (აკაკო ხაიაური). ნა-ტ ბ-ა-ვ-ა რ-ი — დადაბლებული ტყიანი ადგილი (ს. ტუშურები); ნა-ფ ე ლ-ა-ნ-ა რ-ი — პატარა ჭაგნარი ველი, ადგილი (ს. საყდრიონი). (ნაფარხალი?); ნა-ფ ე ტ-ვ-ა რ-ი — ველტყიანი ადგილი (ს. კვერნაულა);

სახელწოდება „ნაფეტვარი“ საკმაოდ ხშირია არა მარტო საკვლევი რაიონის მიკროტოპონიმიკაში, არამედ კახეთის, მთიულეთის, ქართლის, ფშავის და ხევსურეთის (ალ. ჭინჭარაულის ცნობით) მიკროტოპონიმიკაშიც. ნა-ქ ო ხ-ვ-ა რ-ი — საძოვარი მამული (ს. ზემო არტანი), ნა-ც ი ხ-ვ-ა რ-ი — ბუჩქნარი ადგილი; ნანგრევები (ს. ახალსოფელი); ნა-გ ო ვ-ლ-ა რ-ი — ნანგრევები; ველტყიანი ადგილი (ს. ახალსოფელი). მიკროტოპონიმიკაში ეს სახელი „ნაჭოლარ“ ფორმით დასტურდება ს. ტოლანთსოფელშიც.

დასახელებული მაგალითებიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელში ფუძესა და საწარმოებელ ფორმანტს შორის თავს იჩენს -ვ- თანხმოვანი: ნა-ქ ო ხ-ვ-ა რ-ი, ნა-ც ი ხ-ვ-ა რ-ი, ნა-დ ი კ-ვ-ა რ-ი (ნა-დ ი კ-ვ-რ-ე ბ-ი), ზოგ სახელში კი ეს -ვ-ინი არ ჩანს: ნა-ი მ ე რ-ლ-ა რ-ი, ნა-კ ო შ კ-ა რ-ი, ნა-ს ვ ი ლ-ა რ-ი, ნა-ს ო ფ-ლ-ა რ-ი, ნა-ფ ე ტ-ვ-ა რ-ი, ნა-ს ი მ ი ნ-დ-ა რ-ი და სხვ.

საკვილურ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ეს -ვ-ინი -ვვ ნამყო დროის მიმდებარე სუფიქსის ნაშთია<sup>8</sup>. მაშასადამე, რომელიმე ნა-ქ ო ხ-ვ-ა რ-ი < \*ნა-ქ ო ხ-ე-ვ-ა რ-ისაგან, ნა-ც ი ხ-ვ-ა რ-ი < \*ნა-ც ი ხ-ე-ვ-ა რ-ისაგან და ა. შ.

შესაძლებელია, -ვ- თანხმოვანი ამ ტიპის მიკროტოპონიმიკურ სახელებში (აქაურ მიკროტოპონიმიკურ სახელებში ეს მოვლენა არ შეინიშნება) მართლაც სუფიქსისეული ნაშთი იყოს. ოღონდ საეჭვოა, რომ ის ყოველთვის -ევ ან -ავ სუფიქსისაგან მომდინარეობდეს. უმეტეს შემთხვევაში თანხმოვანი -ვ- ჩართული ჩანს.

წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა -ვ-ინის გაჩენა ნა-კ ა ლ-ო-ვ-ა რ, ნა-ო რ მ-ო-ვ-ლ-ე ბ და ა. შ. ფორმებში.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკაში საინტერესო ჩგუფს ქმნიან ისეთი სახელები, რომლებიც ფუძეზე ორ და მეტ საწარმოებელ სუფიქსს დაირთავენ. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, თუ როგორ რედუცირდებიან წინავეითარების -ავ, -ევ, -არ (||-ალ) სუფიქსები ერწო-თიანური ტოპონიმიკისათვის ასე დამახასიათებელი -ეზ- სუფიქსის დართვით:

ნა-ბ ა კ-ვ-რ-ე ბ-ი — ტყე (ს. ახალსოფელი); ნა-ბ ა რ ა კ-ლ-ე ბ-ი ადგილის სახელი ტყეში (დ. თიანეთი); ნა-ბ ი ნა-ვ-რ-ე ბ-ი — ადგილი, მამული (ს. დულუ-

<sup>8</sup> თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 155.

ზაურები); ნ-ა-გ ო მ უ რ-ლ-ე ბ-ი — ნანგრევებიანი ადგილი (ს. შარახევი); ნ-ა-გ უ ბ-რ-ე ბ-ი — სახნავი ადგილის სახელები ს. ჯიჯეთსა და ს. დულელეებში; ნ-ა-დ ი-კ-ვ-რ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ახალსოფელი); ნ-ა-ვ ე-ძ-რ-ე ბ-ი — სახნავი მამული (ს. ტუშურები); ნ-ა-ო რ მ-ო-ვ-ლ-ე ბ-ი — მამული, საძოვარი, ამჟამად ხელოვნური ფიჭვნარია გაშენებული (ს. ტოლანთსოფელი); ნ-ა-ქ ო ხ-ვ-რ-ე ბ-ი — მამული, ველტყიანი ადგილების სახელები ს. დულუზაურებსა და ს. ტუშურებში; ნ-ა-ქ უ რ-ა-ვ-ლ-ე ბ-ი — ადგილის სახელი ს. ყებოტაში, მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე; ნ-ა-ც ი ხ-ვ-რ-ე ბ-ი ადგილი; ბუჩქნარი მინდორი, ნანგრევებით (ს. ახალსოფელი); ნ-ა-ჯ ა-გ-რ-ე ბ-ი — მამული, საძოვარი (ს. ხევსურთსოფელი) და სხვ.

შეინიშნება სახელთა ერთი წყებაც. რომლებშიც -ებ სუფიქსის დართვა -ა-ვ, -ე-ვ, -არ (||-აღ) წინავითარების სუფიქსების რედუქციას ვერ იწვევს: ნ-ა-ა ს-ლ-ა-რ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. წიკვლიანთკარი); ნ-ა-ბ ო ს-ტ-ნ-ა-რ-ე ბ-ი — სახნავი მამულები (ს. შარახევი); ნ-ა-თ ა-თ-რ-ა-ლ-ე ბ-ი — ველტყიანი მამული; ადგილი (ს. ომარაანი); ნ-ა-რ უ ს-ა-ლ-ე ბ-ი — საძოვარი; სათიბი (ს. დულელეები); ნ-ა-ს ა ხ-ლ-ა-რ-ე ბ-ი — მინდორი; ამჟამად ხეხილის ბაღია გაშენებული (ს. მამადაანები); ნ-ა-ს ა ხ-რ-ა-ლ-ე-ე ბ-ი — სახნავი მამული (ს. გორანა); ნ-ა-ხ ი ზ-ნ-რ-ე ბ-ი — სასაძოვრე მამული; ამჟამად ხელოვნური ფიჭვნარია იქ გაშენებული (ს. დულელეები) და სხვ.

წესისამებრ უნდა გვეჩინოდა: ნ-ა-ა ს-ლ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-ბ ო ს-ტ-ნ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-თ ა-თ-რ-ლ-ე ბ-ი, ნ-ა-რ უ ს-ლ-ე ბ-ი; ნ-ა-ს ა ხ-ლ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-ს ა ხ-რ-ლ-(ე)-ე ბ-ი, ნ-ა-ხ ი ზ-ნ-რ-ე ბ-ი და სხვ. (შდრ. ნ-ა-ს ე ი-ლ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-ვ ე-ძ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-გ უ ბ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-შ ე-შ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-ვ ო მ უ რ-ლ-ე ბ-ი, ნ-ა-ბ ა რ ა-კ-ლ-ე ბ-ი, ნ-ა-ვ ა-რ-ე ხ-ლ-ე ბ-ი...).

ჩვენი აზრით, ზემოდასახელებულ მაგალითებში -ებ სუფიქსის დართვა წინამავალი სუფიქსების რედუქციას ვერ იწვევს იმის გამო, რომ აქ ფონეტიკური დაბრკოლებები ჩნდება. კერძოდ, რედუქციის შემთხვევაში გვექნებოდა თანხმოვანთა ისეთი თავმოყრა, რომელიც ქართული სამეტყველო ორგანოებისათვის უცხო და უჩვეულოა:

**სღრ** (ნასღრები), **სტნრ** (ნაბოსტნრები). **თრლ** (ნათათრლები), **ხლრ** (ნასახლრები), **ხრლ** (ნასახრლები), **ჰნრ** (ნახიჰნრები) და სხვ. ყველა სხვა შემთხვევაში ასეთ თანხმოვნებს შორის ხმოვანთა მოქცეული და რედუქციაც შესაძლებელი ხდება: ნაბა(რაკლ)ები, ნაგო(მურლ)ები, ნა(გულბრ)ები, ნა(ვეძებრ)ები, ნასა(დგომბრ)ები, ნასა(კირლ)ები, ნა(სვილბრ)ები, ნა(ქობხრ)ები, ნა(შეშბრ)ები და სხვ. (გამონაკლისს წარმოადგენს ტოპონიმი ნ-ა-რ უ ს-ა-ლ-ე ბ-ი, რომელიც, წესისამებრ, ნ-ა-რ უ ს-ლ-ე ბ-ი ფორმით უნდა შეგვხვედროდა.

პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებიდან აღსანიშნავია აგრეთვე **სა-ე**, **სა-ო**, **სა-ელ**, **სა-ურ** და სხვ. აფიქსებით ნაწარმოები სახელები. ისინი რიცხობრივად არ ჩამოუვარდებიან **ნა** — **არ** (||-აღ), **ნა** — **ევ**, **ნა** — **ებ** აფიქსებით ნაწარმოებ სახელებს.

**სა — ო:**

ს-ა-ღ ო რ ო-ე-ლ-ო — სახნავ-სათესი მამულები (ს. ქვემო ნაქალაქარი); ს-ა-თ ე-მ-ო — სახნავ-სათესი მამულები (ს. ნადოკრა). „ესა ყოფილა გაუყობელი მამული. მერე და მერე სოფლეთურად გაუყვიათ“ (ნიკა ანდროს ძე ხამხაძე). ს-ა-ნ ა-ქ ე-ბ-ო — ღრმა ხევი (ს. მაგრანეთი) „ძან ღრმა ხევი, ეგეთა ერთიც არ იქნება მთელ ამ ერწოში. იმიტო თუ დააქვივნეს (ამირან ნიკოლოზის ძე ფეტ-



ვიამვილი); ს ა ნ ა ხ ი რ — სახნავ-სათესი მამულები (ს. ახალსოფელი) (ეგვე ტოპონიმი მამულის სახელად დასტურდება ს. გოჯიანებშიც); ს ა პ ი რ ი ქ ი თ — ტყე (ს. კვერნულა); ს ა რ უ ს — პატარა სათიბი მამული (ს. ბოკონი); ს ა ს ა მ ხ რ — სახნავი (ს. ზოფცა); ს ა ყ ა ს პ — ახო; სახნავი; სათიბი (ს. ახალსოფელი); ს ა ყ ე ი ნ — დიდი ტრიალი მინდორი (ს. მელიასხევი). „ძველათ მანდ იკრებებოდნენ ბერაქები, იცოდა დიდი ჭიდაობა. მთელი ეს ზემო და ქვემო ერწო აქ ამოდიოდა“. (ენუქ ალექსანდრეს ძე წიკლაური).

### ს ა — ე :

ს ა დ ა თ ვ ე — ტყიანი ადგილის სახელები ს. გორანასა და ს. საყრეჭიოში; ს ა თ ა ვ ე — მუხნარი ტყე; ნაყრძალი (ს. ლიშო). „მთელი ეს წყლები მანდენად გადადის საგარეჯოსაკე. მაღალი ადგილია (დარო თვედორეს ასული ბეწუქელი); ს ა თ ი ხ ე — მინდორი. ამჟამად კოლმეურნეობის ბაღია გაშენებული (ს. ყებოტა); ს ა თ ი ბ ე — სათიბი, საძოვარი (ს. თოლენჯი). აქაურ მეტყველებში ს ა თ ი ბ ი ს ნაცვლად გვხვდება ს ა თ ი ბ ე ან ორმაგბრეფიქსული ს ა ს ა თ ი ბ ე ფორმები (შდრ. ადგილის სახელი ს ა ს ა ძ ო ვ რ ე ს. მელიასხევი);

ს ა კ უ რ ა ტ ე — სახნავი ადგილი (ს. გოჯიანები); ს ა ლ უ დ ე — მამული; საძოვარი (ს. გოჯიანები); ს ა ნ ა ლ ო ე — ადგილი ტყეში (ს. ხევსურთსოფელი); ს ა ს ი პ ე — ადგილი ივრის ჭალებში (ს. ყუდრო); ს ა ლ ა ნ დ ი ლ ე — საძოვარი მამულები (ს. ზარძეები); ეგვე მიკროტოპონიმი ტყის სახელად დასტურდება დ. თიანეთშიც. ს ა მ ჭ უ რ ე სახნავ-სათესი მამული (დ. თიანეთი). (თიანეთთან ახლოს არსებობს სოფელი საქურეც). ს ა ხ ბ ო რ ე — მამული, ხელოვნური ტყეა გაშენებული (ს. ტოლანთსოფელი);

აქვე უნდა განვიხილოთ სახელთა ერთი წყებაც, რომლებიც **ს ა — ე** აფიქსზე ა ხ მოვანს დაირთავენ, რის შედეგადაც **-ე** სუფიქსი რედუქციით **ი** ხ მოვანდ იქცევა და ვლბულობთ **ს ა — ი ა** აფიქსს: **ს ა — ი ე < ს ა — ე + ა**.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი წარმოების სახელები დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკისათვის არის უფრო დამახასიათებელი<sup>9</sup>. ეჭვს გარეშეა, რომ აქაც **ს ა — ი ა < ს ა — ე + ა**; **ს ა მ ტ რ ე დ ი ა** (<ს ა მ ტ რ ე დ ე + ა), **ს ა თ ა ფ ლ ი ა**, **ს ა კ ა ყ ი ა** (ცნობილი გამოქვამულები ქუთაისთან ახლოს) (<ს ა თ ა ფ ლ ე + ა ს ა კ ა ყ ე + ა), **ს ა ლ ო რ ი ა** — ტყის მსავე იმერეთში (<ს ა ლ ო რ ე + ა) **ს ა პ რ ა ს ი ა** — სოფელი ვანის რაიონში (<ს ა პ რ ა ს ე + ა), **ს ა კ ო ხ ი ა** — სოფელი საჩხერის რაიონში (<ს ა კ ო ხ ე + ა), **ს ა ქ ა ს რ ი ა** — სოფელი ორჯონიკიძის რაიონში (<ს ა ქ ა ს რ ე + ა) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ **ს ა — ი ა** აფიქსი პროდუქტიული ჩანს დასავლეთ საქართველოს როგორც მიკროტოპონიმიკაში, ისევე მაკროტოპონიმიკაში. აღმოსავლეთ საქართველოს მაკროტოპონიმიკაში წარმოების ეს ტიპი არ გვხვდება. გვხვდება მხოლოდ თიანეთის (ნაწილობრივ დუშეთის) რაიონში და ისიც მის მიკროტოპონიმიკაში. ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკაში **ს ა — ი ა** აფიქსიანი სახელების წარმოებას ჩვენ ფშაური დიალექტის თავისებურებად ვთვლით. ფშაურის მიკროტოპონიმიკის გამოწვლილებითი შესწავლა ამ ვარაუდს ალბათ უფრო აარწმუნოს გაზნის.

### ს ა — ი ა :

ს ა ბ ა ყ ა ყ ი ა — ადგილის სახელი ს. ჩეკურაანთგორში; ს ა დ ა თ ვ ე ა — სათიბი მინდორი (ს. ლულელები); ს ა ტ ა ლ ი ა — ფერდობი მამული; საძოვარი. აღრე იხვებოდა (ს. ჭიჭეთი); ს ა შ ვ ლ ი ა — ველტყიანი მამულები ს. სა-

<sup>9</sup> თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

ხევი; ს-ა-ყ უ ჩ-ი ა — ტყიანი ადგილები, ხეები (ს. ჩაბანო); ს-ა-ჯ ვ არ-ი ა — სალოცავი ადგილი; ხატი (ს. ვეძათხევა).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყველა ასეთი მიკროტოპონიმი მხოლოდ ფშვლებით დასახლებულ სოფლებში დასტურდება. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ აქაური სა — ია აფიქსიანი სახელები ფშვური დიალექტის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში საკმაოდ იშვიათია სა — ურ და სა — ელ აფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

სა — ურ:

ს ა ბ ა დ-უ რ-ი — დიდი ტყიანი მთა. მთას შუაზე ჰკვეთს თბილისიდან თიანეთისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა. („ცხვარიძამიას რო გავცდებით, მერე საბადურის მთა იწყება და სუ საბადურია, სანამ ერწოში არ გადავალთ, ლულე-ლებში“). ს-ა-ყ ა ნ-უ რ-ი — სახნავ-სათესი მამულები; საძოვრები (ს. ლიშო).

სა — ელ:

ს ა თ ი ბ-ლ-ე ბ ი (<სათიბ-ელ-ებ-ი) — სახნავი; საძოვარი (ს. გორანა); ს-ა-ც ი ლ ო ბ-ე ლ-ი — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. ბოდახევა). „მომიჯნავეები თუ ეცილებოდენ ერთიმეორეს ამ ადგილებსა“. ს-ა-ხ ვ ე წ-ე ლ-ა — მამული, ველ-ტყიანი ადგილი, სათიბი (ს. სხლოვანი); „აქ იდგა ბევრი პანტა, მსხალი და ხის ჯამებსა ჰხვეწდენ“. ს-ა-ხ ნ ა უ რ-ე ლ-ი — ვრცელი სახნავი მამულები (ს. გორანა). (შდრ. მიკროტოპონიმი „ს ა ხ ნ ა უ რ ე ბ ი“ (ს. ფიტავი, ანანურის სას საბჭო).

### III. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები

ერწო-თიანეთის ტოპონიმოლოგიური ნომენკლატურიდან ყურადღებას იქცევს სიტყვათშეერთებით ნაწარმოები მიკროგეოგრაფიული სახელები. სახელთა წარმოების ეს საშუალება ძალზე პროდუქტიული ჩანს საერთო ქართულ ტოპონომოლოგიაში.

სიტყვათშეერთებით ნაწარმოები რთული გეოგრაფიული სახელები ქართულში გარკვეული წესის მიხედვით ფორმდებიან<sup>10</sup>. ისინი მსაზღვრელ-ს ა ზ-ღ ვ რ უ ლ ი ა ნ, ა გ რ ე თ ე ვ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ-მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ა ნ ა ნ უ შ ე ბ-რ უ ნ ე ბ უ ლ ი რ ი გ ი ს რ თ უ ლ სახელთა კონსტრუქციებს ქმნიან.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში ყველაზე ხშირად მსაზღვრელ-ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ა ნ ი რთული სახელები გვხვდება. გაცილებით იშვიათად დასტურდება შებრუნებული წყობის (საზღვრულ-მსაზღვრელიანი) სახელები. ეს არცაა ვასაკვირი, რადგან საზღვრულ-მსაზღვრელიანი სახელები, საერთოდ, არცთუ ისე ხშირია ქართულ-ქართველურ ტოპონიმოლოგიაში.

მსაზღვრელ-საზღვრულიანი სახელებიდან ყველაზე დიდ ჯგუფს გ ე ნ-ე ტ ი უ რ-მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ა ნ ი მიკროტოპონიმოლოგიაში სახელები ქმნიან. ასეთ მიკროტოპონიმებში პირველ კომპონენტად, როგორც წესი, ნათესაობითი დასმული საზოგადო ან საკუთარი არსებითი სახელი გვხვდება, მეორე კომპონენტად კი — სახელობითი დასმული გეოგრაფიული ტერმინი: გორი/ა, ვაკე, ველი, ზურგი, თავი, კარი, მამული, უბანი, ღელე, წყალი, წყარო, ჭალა, ხევი და ა. შ. აღნიშნული გეოგრაფიული ნომენკლატურული ტერმინები წარმოადგენილია მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმით. მსაზღვრელი ორსავე რიცხვში გვხვდება, მხოლოდითშიც და მრავლობითშიც, ოღონდ მრავლობითში

<sup>10</sup> ზ. ჰ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილისათვის ქართველურ ენებსა და აფხაზურში.

დასმული მსაზღვრელი უფრო ხშირად ნარ/თანთან მრავლობითში გვხვდება, ვიდრე -ებ-იანში.

მსაზღვრელი ნარ/თანთან მრავლობითშია:

ანდრიაანთ უბანი — ს. გორანას ერთ-ერთი უბანი; ანდრიაანთ ნასადგომრები — მინდვრები, ველტყიანი ადგილები (ს. დორეულები); ბეწუქელთ ნაბინავარი — საძოვრები (ს. მაგრანეთი); გორჩა-ლელთახო — მინდვრები, სათიბი (ს. ლულელები); კეკელთახო — მინდორი, სათიბი (ს. ლულელები); ოთარაანთახო — სახნავი მამულე-ბი (ს. ახალსოფელი); ეულაკათტაფი — ველტყიანი ადგილი (ს. ქუშხევი); ტალავერთველი — მინდორი, ველტყიანი ადგილი (ს. ლელოვანი); ფილაურთგორი — მინდვრები, შემადლებული ადგილები (ს. ჩაბანო); ფილაურთგორის თავადმეები — სახნავი მამულები (ს. ჩაბანო); ქუშანაანთგორა — ველი; მოზრდილი ზეგანი. არქეოლოგიური გათხრების უბანი (ს. თრანი); ყორაანთხევი — დიდი და დრმა ხევი (ს. საყდრონი); შიოქიანთველები — საძოვარი, მინდორ-ველები (ს. ორხევი); შუშანაანთწყარო — წყარო; ადგილი (დ. თიანეთი); ჭართა-ლელიანთახო — სახნავ-სათესი მამული (ს. ახალსოფელი); ხიბლანთჭყანტი — სათიბი (ს. მამადაანები); ჯაბანიანთნახოცები — ველ-ტყიანი ადგილი (ს. თეგერანები).

მსაზღვრელი -ებ-იან მრავლობითშია:

გეჯებისწყალი — წყარო (ს. ომარანი); დგნალებისწყარო — წყარო (ს. ტუშურები); კალოებისთავი — სახნავი მამულები (ს. ტუშურები); ლამებისგორი — ველტყიანი გორაკი, სახნავი (ს. ევენტი); მუნჯებისჭალა — ჭალა, ტყიანი ადგილი მდ. ივრისპირას (ს. ყუდრო); ნაბაკრებისწყალი — წყარო (ს. ბალებსხევი); ნატუსებისგორი — სათიბი; საძოვარი (ს. ალაჭანი); ნაქედლებისბოგირი — ადგილისსახელი (ს. ებოტა); ორმოებისგორი — ველტყიანი ადგილი (დ. თიანეთი, ს. თოლენჯი, ს. თეთრახევი); ქატებისველი — სათიბი მამული (ს. ომარანი) „ქატი არი ბალახი, უშვებს ღერს, როგორც ჩადუნა. აქვს პტყელი ფოთოლი“ (ანა ივანეს ასული ხუციშვილი). რუსებისნაქოხარი — ადგილი ტყეში (ს. ყუდრო); საკირეებისხევი — პატარა წყლიანი ხევი (ს. საყდრონი); საყდარეებისხევი — პატარა მდინარე, ხევი (ს. სიმონიანთხევი); ფიჭვისებისნაგლეჯი — ტყე (ს. ლელოვანი); ფერსუებისწყარო — წყარო (დ. თიანეთი); ფსვლიკებისსაგოგავი — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. ტუშურები); ქიზიყელებისწყარო — წყარო; ადგილი (ს. ზარძეები); ჩიტებისწყარო — წყარო (ს. საყდრონი) „ბევრი ჩიტი მიდის ამ წყალზე ძაანა“ (ვ. დოლიძე); ჯორებისქედი — ტყიანი ადგილი. ქედი (ს. ნადოკრა) და სხვ.

როგორც ზემოდასახელებული მაგალითებიდან ჩანს, მიკროტოპონიმებში მსაზღვრელი ნარ/თანთან მრავლობითში მაშინ დგას, თუ იგი საკუთარი სახელია (ადამიანთა გვარი ან სახელი); ებ-იან მრავლობითში კი მსაზღვრელი მაშინ შეგვხვდება, თუ ის საზოგადო არსებითი სახელია: გეჯებისწყალი და არა გეჯთწყალი, დგნალებისწყარო და არა დგნალთწყარო, კალოებისთავი და არა კალოთთავი, ლამებისგორი და არა ლამთგორი, ქატებისველი და არა ქატთველი, რუსების



ნაქოხარი და არა რუსთ ნაქოხარი, ფიჭვეების ნაგლეჯი და არა ფიჭვეთ ნაგლეჯი და სხვ. მაგრამ: ან დრიაანთ უბანი და არა ან დრიაანების უბანი, არდაზიანთ ნასადგომრები და არა არდაზიანების ნასადგომრები, ბეწუკელთ ნაბინავარი და არა ბეწუკლების ნაბინავარი, ოთარაანთ ახო და არა ოთარაანების ახო, ქულაკათ ტაფი და არა ქულაკების(?) ტაფი და სხვ.

### ატრიბუტულმსაზღვრელიანი მიკროტოპონიმიკური სახელები

ატრიბუტულმსაზღვრელიანი მიკროტოპონიმიკური სახელები ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე ძირითადად იმგვარადვე იწარმოებიან, როგორც, საერთოდ, ქართულ-ქართველური ტოპონიმიკური სახელები. გვაქვს პირდაპირი წყობის ატრიბუტულმსაზღვრელიანი და შებრუნებული წყობის (საზღვრულ-მსაზღვრელიანი) ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები; გენეტიუმსაზღვრელიან სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა პირდაპირი წყობისაა (მსაზღვრელ-საზღვრულიანი), იშვიათია შებრუნებული წყობის მიკროტოპონიმები (საზღვრულ-მსაზღვრელიანი).

### პირდაპირი წყობის ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები

ახალი გზები — ადგილის სახელი ტყეში (დ. თიანეთი); ბატარავლუანი — სახნავი, საძოვარი (ს. ქუშხევი); ვიწრო მგლისხურვა — ტყიანი ადგილი. საძოვრები (ს. მაგრანეთი); მრავალწყარო — წყარო (ს. მაგრანეთი); ტკბილწყალი — წყარო (ს. დორეულევი); ყრუგულა — სახნავი მამული (ს. ხოფცა); შავწყლები — დიდი წყლიანი ხევი (ს. მაგრანეთი); ხუთპანტები — სახნავი მამული (ს. ძებნიაურები); მწვეტაგორა — მაღალი გორაკი, მთა (ს. ყუდრო, ს. ახალსოფელი); ორმამულატყე — ტყიანი ადგილი (ს. ნაჭრიანი); უთხოვრიანგორი — მამული, საძოვარი (ს. ყუდრო); ხანძილიანტაფი — ტყე, მინდორი (ს. ომარაანი); ხუნწიანტაფი — მინდორი, საძოვრები (ს. ქუშხევი).

### შებრუნებული წყობის ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები

როგორც აღენიშნეთ, შებრუნებული წყობის სახელები ერწო-თიანეთის მიკრო და, მით უმეტეს, მაკროტოპონიმიკაში იშვიათია. ასეთი ტოპონიმები ძირითადად ან რელიგიურ-საკულტო სახელებთან არიან დაკავშირებულნი, ან სიტყვა „ქვასთან“, აგრეთვე „კლდესთან“ (ქვა|კლდე). ყველა ასეთი სახელი კომპოზიტად ფორმდება:

კლდეწითელი — ტყე (ს. თეთრახევა, ს. წიკვლიანთკარი); მთაწმინდა — დიდი, მაღალი მთა, ალპური საძოვრებით (ს. ზემო არტანი); ქვაკაცა — ადგილის სახელი, საძოვარი (ს. ქუშხევი); ქვაკეცრა — ტყე (ს. თეთრახევა); ქვაკიბე — საძოვრები (ს. სიმონიანთხევი) და სხვ.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

## ზნა სურგულაძე

### ტერმინ „წერის“ ხმარების ზოგიერთი შემთხვევა ძველ ქართულში

წერის პროცესის აღმნიშვნელ ძირითად ტერმინად ქართულში „წერა“ იხმარება. მისგან სხვა ტერმინებიც წარმოდგებიან, რომლებიც განსხვავებულ კონტექსტში განსხვავებულ ცნებებს გადმოსცემენ. თითოეული მათგანი გარკვეულ ინტერესს ქმნის და კვლევის განსაზღვრულ სფეროში ექცევა. მაგრამ მათი ყოველი კონკრეტული მნიშვნელობის დასადგენად აუცილებელია თვით სიტყვა „წერის“ ვრცელი სემანტიკური სამყაროს გათვალისწინება.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით წერა არის კალმის მოსმა, დახატვა<sup>1</sup>. ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი საბასეული „წერის“ შესახებ ამბობს, რომ „ეს განმარტება ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა არ არის, როგორც წერტილი თავდაპირველად ჩხვლებას ეწოდებოდა და მხოლოდ შემდეგ ტერმინად იქნა ქცეული, წერის მნიშვნელობასაც თავისი ისტორია უნდა ჰქონოდა. ბერძნული *γράφω*, რომელიც გერმანულ *kerben*-ს ენათესავება, ჯერ ამოფხაჭნას ნიშნავდა და მხოლოდ შემდეგ წერას. ამგვარად, წერის თავდაპირველი მნიშვნელობა არის გამოსარკვევი“<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ საბას ლექსიკონში „წერის“ გვერდით განმარტებულია წერიდან ნაწარმოები სხვა შინაარსის სიტყვები: „წერული“ — ყანის ნაკრეფი, შეკონილი, ე. ი. მოჭრილი, „წერი“ — საწერავი, ამოწერილის საღებავი<sup>3</sup>.

„წერის“ მნიშვნელობათა ასპექტებს სხვადასხვა თვალსაზრისით სხვა მეცნიერებებიც შეეხნენ. გ. ჩიტაია ქართული სამიწათმოქმედო იარაღების კლასიფიკაციის დროს პირველ რიგში კავწერასა და კავს აღნიშნავს, რომელთა დანიშნულებას მიწის გაქექვა-აწერა წარმოადგენდა<sup>4</sup>. კავწერის მსგავს იარაღად თვლის ნ. ბერძენიშვილი „საწერას“. იგი აღნიშნავს: „საწერა“ მიწის პირს კი არ ანგრევს, არამედ სერავს და ფართავს მას. მისი ნაკვალევი წარმოადგენს არა ორნატს, არამედ „ნაწერას“, „საწერა“ და „კავწერა“ — მიღებულია ზმნა „წერასაგან“ ე. ი. მიწის გაწერისაგან, რაც ძველადვე წვეტიანი იარაღის საშუალებით ხდებოდა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, VI, თბ., 1966, გვ. 370.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1926, გვ. 47.

<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV, თბ., გვ. 371.

<sup>4</sup> გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი. ენიმკის მოამბე, 1, 1937, გვ. 248, 258, 269. მისივე „ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე V—VI, 1940, გვ. 481, მისივე, რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი, თბ., უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 185, 187.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი, პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1956, 11, გვ. 292.

ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ტერმინ „წერას“ ყურადღება მიაქცია ს. ჯანაშიამაც. მისი აზრით, „წერა“ თავდაპირველად ნიშნავდა ჭრას, კვეთას. აქედან წარმოდგება წერაქვი, ე. ი. ქვის საკვეთი ხელსაწყო, აგრეთვე წერეული, საწერელი... იგი ითვალისწინებს აგრეთვე „წერტილისა“ და „წერტვის“ მნიშვნელობებს და ასკენის, რომ ორივე ეს ტერმინი (ე. ი. წერა და წერტვა), „განეკუთვნება იმ დროს, როცა წერა მაგარ მასალაზე ამოჭრა-ამოკვეთის პროცესს წარმოადგენდა“<sup>6</sup>.

დიალექტოლოგიური მასალის შეკვრების საფუძველზე ი. ქავთარაძე უჩვენებს, რომ „წერას“ ჭრისა და კვეთის მნიშვნელობა დღემდე შერჩენია<sup>7</sup>.

წერა რომ მიწის გაღარვა-გასერვას აღნიშნავდა, გარდა ეთნოგრაფიული და დიალექტოლოგიური მასალისა, ქართული წერილობითი მონაცემებითაც მოწმდება. ასე მაგალითად, მოციქულთა მიმოსვლის აპოკრიფულ ვერსიაში ვკითხულობთ:

...ამის შემდგომად გამოწერასა ხუარისაჲ ქუეყანასა ზედა<sup>8</sup> (ე. ი. მიწაზე ჭრის გამოსახულება გამოხაზა).

ბერძნულ ტექსტში შესატყვისი ადგილას ნათქვამია:

και μετὰ τῆς αὐτῆς ἐχάρωξεν ἅπασιν ἐκκλησίαις και ἐποίησεν ὁμοειρησύνην αὐτῶν ἐκκλησίαις<sup>9</sup>.

ქართული „გამოწერის“ ბადალად ნახმარი ბერძნული *χαράσσω* ნიშნავს კაწრვას, ხაზვას, ხაზის გავლებას.

საინტერესო მაგალითია სვიმონ ნესევის ცხოვრებაშიც:

...ხოლო ნეტარი სვიონი იხარებდა სულითა წაღთა და მზარულთა პაჩათა პეტელე მემტილე - სა მას: ამა ესერა მე მოესწერ მტლასა თათთა ოლასა ჩინთა ოქქეთითა და რაქმა მოვიდეს მტელი შემოსვლად მტლასა მას, იგუეშოს და დაეკეს მელდარა<sup>10</sup>.

აქ „მოესწერ“ ნიშნავს: შემოესერავ, რასაც ადასტურებს ცხოვრების ბერძნული ტექსტის სათანადო ადგილი:

Ἰδὸς ἐγὼν περιχαράκωθαι τὸν ἀἵμα ἡμῶν ἐν τῷ κυρίῳ ἡμῶν Ἰησοῦ Χριστῶν τὸν σῖνον τὸν ἁγίον, και τὸ ἐπιχαρισῶν ἡμῶν ἐν αὐτῶν εἰσελθεῖν ἡμῶν ἡμῶν ἡμῶν<sup>11</sup>.

მართლაც, „მოწერის“ შესატყვისად ნახმარი *περιχαράκωθαι* ნიშნავს შემოსერვას, შემოზღუდვას.

იგივე შემოსერვას უნდა ნიშნავდეს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნახმარი ტერმინი „გარეშეწერა“ იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია სამონასტრო მიწების მოზომვაზე: „ხოლო ჩუენ გუენება, რაათა გარეშეწერით შემოვლოთ სიმრგულე მათ ადგილთა“<sup>12</sup>.

<sup>6</sup> ს. ჯანაშია, წიგნები, III, თბ., 1959, გვ. 192.

<sup>7</sup> ი. ქავთარაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, 1959, გვ. 385.

<sup>8</sup> ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, ც. ქურციკიძის გამოც., თბ., 1959, გვ. 41, 34.

<sup>9</sup> Bonnet, Acta apostolarum apocrypha, Lipsiae, 1898, გვ. 114.

<sup>10</sup> ცხოვრება სვიმონ მესუეტისაჲ, კომენი I, კ. კეკელიძის რედ., თბილისი, 1918, გვ. 302.

<sup>11</sup> La vie ancienne de S. Symeon Stylite la leune, Publiée par Paul Van den Ven, Société des Bollandistes, Bruxelles, 1962, გვ. 156.

<sup>12</sup> ბასილი ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ძველი ქართული ავოკრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 328.



წერის ხმარებას ხაზის გავლების, ამოჭრა-ამოკვეთის მნიშვნელობით ადასტურებს აგრეთვე ქართული ორნამენტის ხალხური სახელწოდებანი: მირგვალა წრებში, დირგვალა ჩაწერილი და სხვა<sup>13</sup>. როგორც ვარაუდობენ, ამ სახელწოდებებში მიკვლეო უნდა იყოს გამოსახულების შესრულების უძველესი ტექნიკური წესი. სახელდობრ, მაგარ მასალაზე ამოჭრა-ამოკვეთა<sup>14</sup>. ამ მოსაზრებას ადასტურებს „წერის“ ხმარება შემდეგ მაგალითშიც: „ერთ მხარეს ერთი მეფე ესაფლავა. პირდაპირ — დედოფალი, მისი მეუღლე, ერთს საფლავეზე ეწერა აჩრდილი, მეორეზე აღარც აჩრდილი“<sup>15</sup>.

გამოსახულების „წერით“ შესრულების პროცესს თავის მხრივ გავლენა უნდა მოეხდინა „წერის“ სემანტიკურ ველზე. გარდა ჭრისა და კვეთისა, წერას დაეკისრა ხატვის ცნების გამოხატვა (იგულისხმება ხატვა ზოგადად, სხვადასხვაგვარი ტექნიკით).

როგორც ცნობილია, ორნამენტი გარკვეულ რელიგიურ კონცეფციას აღმოსცემს და ამდენად იგი იდეოგრამას წარმოადგენს<sup>16</sup>. ასეთ იდეოგრამათა შესრულების აღსანიშნავად „წერის“ ხმარებამ ერთგვარი „იდეური“ საფუძველი შეუქმნა ამ ტერმინს, ქართული დამწერლობის შემოღების შემდეგ ასონიშნავად გამოყენების პროცესი აღენიშნა. ხოლო რადგან „წერა“ მაგარ მასალაზე ამოჭრა-ამოკვეთას ნიშნავდა, ეს პროცესი რეალურად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ასოთა მაგარ მასალაზე ამოჭრა-ამოკვეთა<sup>17</sup>.

„წერის“ ამგვარი მნიშვნელობით ხმარების კვალი წერილობით ძეგლებშიც არის დატული<sup>18</sup>.

მაგალითად: შემდგომად ათისა დღისა მოვიდა იგი... და კეცა ზედა დეწერა ესრეთ...<sup>19</sup>

და პრქუა უფალან მოსეს: აღმოვედ ჩემდა მთად, და იყავ მუნ, და მოკუე შენ ფიცარი იგი ქეცისანი, შჯული და მცნებანი ჩემნი, რომელი დავეწერე შჯულს ღებად მათთა.<sup>20</sup>  
... და ცოდვად იუდასი და წერილ არს წიგნსა შინა რკინისა ფრცხლითა აღმანტისაჲთა.<sup>21</sup>

მოყვანილ მაგალითებში „წერა“ აღნიშნავს მაგარ მასალაზე (ქვა, თიხა, რკინა) ასოთა გამოყენებას ამოჭრა-ამოკვეთის წესით. ამ მნიშვნელობით „წერის“ გამოყენება კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს, რადგან იგი მიუთითებს ქართული დამწერლობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, სახელდობრ იმ ხანაზე, როცა „წერა“ იხმარებოდა კონკრეტ-

<sup>13</sup> გ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, თბილისი, 1939, გვ. 9, 22.

<sup>14</sup> И. К. С у р г у л а д з е, Астральная символика в грузинском народном орнаменте, автореферат, Тбилиси, 1967, стр. 7.

<sup>15</sup> სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, მოგზაურობა ევროპაში, თხზულებანი I, თბილისი, 1959, გვ. 185.

<sup>16</sup> И. В. И с т р и н, Возникновение и развитие письма, М., 1965, გვ. 62. Д. Д и р и г е р, Алфавит, предисловие И. М. Дьяконова, М., 1963, стр. 9.

<sup>17</sup> ს. გ ა ნ ა შ ი ა, შრომები III, თბილისი, 1959, გვ. 192.

<sup>18</sup> ჭრისა და ხატვის ცნებებთან წერის ეტიმოლოგიური კავშირი მართო ქართული მოვლენა არ არის. იგი ცნობილია ძველი დამწერლობის მქონე მრავალი ხალხის ენაში. ამის შესახებ იხ.: И. Лоукотка, Развитие письма, М., 1950, стр. 17, А. Мейе; Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М.-Л., 1938, გვ. 338, В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М., 1949, стр. 69.

<sup>19</sup> იო ა ნ ე მ ო ს ხ ი, ლიმონარი, ი. აბულაძის გამ., თბილისი, 1960, გვ. 49.

<sup>20</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H 1207, 143r.

<sup>21</sup> იერემია, თავი 17, I, ოშკის ბიბლია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დატული Rt, XI, № 1.

ტულად მაგარ მასალაზე წერის მნიშვნელობით, ხოლო მისი გააზრება, როგორც ხაერთოდ წერისა (ყოველგვარი მასალაზე), მეორეულია.

ძველ ქართულში „წერის“ ძირითად ფუნქციას თვით წერის პროცესის გამოხატვა შეადგენს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, წერა და მისგან ნაწარმოები სხვა ტერმინები წერის თავდაპირველ მნიშვნელობებს ამკლავებენ. ერთ-ერთი ამგვარი ტერმინია „გამოწერა“.

ეს ტერმინი სისტემატურად გვხვდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, როგორც ორიგინალურში, ისე თარგმნილში. მოგვეყვას მაგალითები: „ვი-თარცა-იგი მხატვართა მიამსგავსიან გამოწერით ხატთა მეფეთასა სახითა და შემკულებითა მათთა, და უწოდით ხატსა მას მეფე, ესრითვე ბუნებაჲ კაცისაჲ, რამეთუ შექმნა იგი მთავრად... ცხოველთა ზედა...“<sup>22</sup>

ბერძნულ დედანში სათანადო ადგილას ნათქვამია:

Ὁμοσερ γὰρ κατὰ τὴν ἀνθρωπίνην συνήθειαν οἱ τὰς εἰκόνας τῶν κφατοῦ-  
των κατασκευάζοντες, τὸν τε χαρακτῆρα τῆς μορφῆς ἀναμαρτυροῦνται καὶ τῆ πε-  
ριβολῆς τῆς πορφύρας νῆν βίαια καὶ ἀξίαν συμπαράγραφοισι, καὶ λέγεται κα-  
τὰ συνήθειαν καὶ ἡ εἰκῶν, Βασιλεῦς<sup>23</sup>,

მოყვანილ კონტექსტში „გამოწერა“, რომელიც ბერძნულ *συμπαράγραφα*-ს შესატყვისადაა ნახმარი, ხატვას ნიშნავს.

იმავე ძეგლში ვკითხულობთ: „ხატსა, რომელი გამოწერის გელო-  
ვანთაგან მხატვართა, რადთა განაკვრენენ კაცნი, და გამოხატის ერთსა შინა თავ-  
სა ორი ხატი, ეგრეთვე მგონიეს კაცისათვის...“<sup>24</sup>.

ბერძნულშია:

...Καὶ μοι συγκεχαρήσθω κατὰ τινὰ πλαστικῆν φασματῶσιον διαγρά-  
ψαι τῶν λόγων τῆν ἀνθρωπίνην εἰκόνα...<sup>25</sup>.

აქაც „გამოწერა“ ხატვის მნიშვნელობითაა ნახმარი, ბერძნული *διαγράψω*-ს ბაღდაუ. *διαγράψω*-ს ისევე, როგორც *συμπαράγραφα*-ს ერთ-ერთ მნიშვნელობას ხატვა წარმოადგენს.

„გამოწერა“ ხატვის მნიშვნელობით გვხვდება ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ უძველეს რედაქციაში: „უკუეთუ ვიხილავს ღამესა წმიდასა შუენი-  
ერებაჲ იგი ვარსკულავთაჲ მითხრობელი, განვიზრახავს განმამზადებელისა  
მისთვის ყოველთაჲსა, თუ ვინ მოწერნა ცანი ესევეითართა ყუავილითა...“<sup>26</sup>

აქ, მართალია, საქმე ფიგურალურ გამოთქმასთან გვაქვს და „გამოწე-  
რა“ რეალურ მოქმედებაზე არ მიუთითებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი გა-  
აზრებულია როგორც ხატვა. ბერძნულში მისი შესატყვისის არის *διαποιεῖν*,  
რაც მორთვას და მოხატვას ნიშნავს:

εἴ ποτε σὺν, ἐν ἀνθρώποις, συκτερινῆς πρὸς τὰ ἀβήρητα κάλλη τῶν ἁστροῦν ἐνατενί-  
σας, ἔγνωσαν ἔλαφες τοῦ τεχνίτου τῶν ἔλων, τῆς ὁ τοῖς, ἄνθεσι: τούτοις δια-  
ποιεῖ καὶ ἑλῶς τὸν σὺραγόν, καὶ ἔπαυ ἐν τοῖς ὄρωμαῖνοις πλέων τὸν περιπνοῦ τὸ  
ἐναγκαιόν ἔστι<sup>27</sup>.

<sup>22</sup> უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარ-  
გმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“, ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1964, გვ. 149.

<sup>23</sup> Migne, Patrologia Graeca, ტ. 44, გვ. 135.

<sup>24</sup> უძველესი რედაქციები... გვ. 186.

<sup>25</sup> Migne, P. G. ტ. 44, გვ. 192.

<sup>26</sup> უძველესი რედაქციები... გვ. 77.

<sup>27</sup> Migne, P. G. ტ. 29, გვ. 117.

ხატვის მნიშვნელობით ამ ტერმინის ხმარებას ადასტურებს ელ. მაჭავარიანი<sup>28</sup>. მაგრამ ტერმინი „გამოწერა“ მხოლოდ ხატვის ცნებას არ გამოხატავს ძველ ქართულში. იგი რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება.

ასტერი ამასიელის „შესხმა ფოკაისის“ ქართველი მთარგმნელი ხმარობს „მომწერელს“ მხაზველის მნიშვნელობით:

არა უკუშ ვერცა ვარსკულავი-მრითხველობისა სურვილსა განსწურთის სიტყუაჲ ოდენ სასწრაფოჲსა მიმართ, არა თუ კელოვნად სდეროჲსა მ ო მ წ ე რ ე ლ მ ა ნ მასწავლელჲსა წინაშე თუ-ალთა დაუღვას ცისა მოძრაობაჲ<sup>29</sup>.

ბერძნულ ტექსტში ეს ადგილი სხვაგვარად არის გადმოცემული, „მომწერლის“ შესატყვისი იქ საერთოდ არაა. მაგრამ მხოლოდ ქართული მთარგმანიც ცხადად უჩვენებს, რომ აქ ლაბარაკია სდეროს შემომხაზველზე.

ხაზვის ცნებას გადმოსცემს აგრეთვე „მიწერა“ სვიმეონ მესვეტის ცხოვრებაში:

და ამას სიტყუასა ზა იხილა ანგელოზი ოსაჲ და აქუნდა გელთა მისთა საზომი და ზომდა და მ ი ს წ ე რ დ ა ვარემოს მისა ადგილსა მას ვა სახესა მონასტრისისა. და მას შა გამოხატედა სახესა წ დთა ეკლესიათა...<sup>30</sup>.

ბერძნულში „მისწერდას“ შეესაბამება *διαγράφω*:

...Και ταυτα ἐπιτὸν θῆσαρξ ἄγγελον Κυρίου μέτρον κατέχοιτα και διαγράφασθαι τὰ ἔχρη μοιναστηρίου και ἐν ἀντὶ ἄγιας ἐκκλησίας...<sup>31</sup>

„გამოწერა“ ფილექტიონის წამებაში ტაძრის გარეგანი აღმკვლობის აღსანიშნავად არის ნახმარი.

და ვა მიიწია მეფე იგი ტაძრსა მას კერპთასა, ჰრქუა წ დასა მას: ჰხედავა ვრ პირად-პირად გამოწერილ და აღმკულ არიან შშენებული ესე და ფლოცნი ესე მარმარინოფენილი, სუეტნი და სუეტის თავნი ოქროცხებულნი<sup>32</sup>.

კონტექსტის მიხედვით „გამოწერილი“ ქვის (მარმარილოს) გამოჩუქურთმებას უნდა გულისხმობდეს. ამავე დროს იგი მასალის მხატვრული დამუშავების წესზე, სახელობრ, ქვის ამოჭრა-ამოკვეთაზე მიუთითებს.

სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში მის მიერ ნახული ეკლესიის აღწერილის ხმარობს „მოწერილს“:

...მომცრო ეკლესია იყო, მაგრამ უცხოელ შემკული იყო, სულ მოწერილი, მარმარილოთ იყო აშენებული. კედელი, სვეტი, თუ ხატის ყდები<sup>33</sup>.

ი. ქავთარაძე ამ ტერმინს მოყვანილ კონტექსტში შემდეგნაირად ხსნის: „მოწერილი თავისებურად მოხატული, ოქროს მსგავსი ხაზებიანია, ეტყობა მარმარილოს ჯიშის დასახასიათებლად გამოყენებული“<sup>34</sup>.

ვფიქრობთ, „მოწერილში“ ამ შემთხვევაშიც არა მარმარილოს ჯიში, არამედ მისი დამუშავება, კერძოდ ამოჩუქურთმება იგულისხმება.

მსგავსი მნიშვნელობითაა ნახმარი „გამოწერა“ ნისიმეს ცხოვრებაში:

<sup>28</sup> ელ. მაჭავარიანი, ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემკვლობის აღმნიშვნელი ზოგერთი ტერმინის შესახებ, პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969, გვ. 108.

<sup>29</sup> ასტერი ამასიელი, შესხმა ფოკაისი, მ. კახაბის გამოც., ენიმკის მოამბე, 1944, XIV, გვ. 227.

<sup>30</sup> სვიმეონ მესვეტის ცხოვრება, კიმენი, I, გვ. 256.

<sup>31</sup> La vie ancienne de S. Syméon Stylite Le Jeune. Publiée par Paul Van den Ven. Société des Bollandistes, Bruxelles, 1962, გვ. 74, 12.

<sup>32</sup> კიმენი, I გვ. 133.

<sup>33</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 203.

<sup>34</sup> ი. ქავთარაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, იბ. -კავკას. ენათმეცნიერება, XI, 1959, გვ. 386.



...და იყო კასრი მათი მოსხმული აბანოსითა და პილოჯს ძუალითა და სპილენძითა და კედლნი გამოწერილინი ხითა დანაკის კუდისაჲთა, ყლითურთ გამოხატულნი<sup>35</sup>.

აქ ნათქვამია, რომ ციხის კედლები დაფენილი იყო სპილოს ძვლისა და სპილენძის მოზაიკით, ხოლო კედლები დანაკის კუდით გამოწერილნი ანუ გამოძერწილნი.

ნისიმეს ცხოვრების არაბულ ვერსიაში „გამოწერილის“ შესატყვისად გვხვდება *صورة*:

<sup>36</sup> ... *وكان قصر هو مشا ساء .. والعاجز والخل وكانت جدرانها مصورة...*

არაბ. *صورة* ნიშნავს გამოსახულს, მოხატულს. მის შესატყვისად „გამოწერილის“ ხმარება შემთხვევითი არ უნდა იყოს. იგი აქაც. ისევე როგორც წინა მაგალითებში, მაგარ მასალაზე (ამ შემთხვევაში ხეზე) მხატვრული ელემენტის დამუშავების ტექნიკას უჩვენებს.

ამასვე ადასტურებს დაბადების ერთი ადგილი:

და მოსძარცვა ყოველმან ერმან საყურე ოქროსა ყურთავან ცოლთა მათთასა. და მოიღეს არონის მომართ. და მიითულა კელთავან მათთა, და გამოუქმნა იგი გამოწერით და უქმნა მათ.<sup>37</sup>

მოგვეყვას პარალელური ბერძნული და სომხური ტექსტები:

...Καὶ ἔπλασεν ἀντὰ τὴν ἴριαν αὐτῶν, καὶ ἐποίησεν ἀντὶς αὐτῶν ἕλκηθρον ἡλίου.

*სა რსკაიჯა ო დიხაყნიყა, ხა დიხაყიქან ქანყაქაყი ობ ოქ. ხა არარ ორქ დიკაბიქ...* ბერძნული *ირიან* ნიშნავს ამოჭრა-ამოკვეთას. მსგავსი მნიშვნელობა აქვს სომხურ *ქანყაქ*-ს: ჩამოსხმა, ძერწვა, ჭრა. ამრიგად, ქართული გამოწერა მაგარი მასალის (ლითონის) მხატვრული დამუშავების წესს გულისხმობს.

ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ „გამოწერა“ ძველ ქართულში მხოლოდ ხატვის ცნებას არ გამოხატავს. ხატვის იდეის გადმოცემა აქ ტერმინის ხმარების მხოლოდ კერძო შემთხვევას წარმოადგენს. „გამოწერა“ ნიშნავს საზოგადოდ გამოსახულების შესრულებას. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, მისი გამოყენება ავლენს გამოსახულების შესრულების უძველეს ტექნიკურ წესებს.

ეს ფაქტები სრულიად კანონზომიერ ახსნას პოულობს სიტყვა „წერის“ სემანტიკის დონზე.

\* \* \*

ამგვარად, ისტორიულად „წერამ“ სამი ძირითადი მნიშვნელობა მოგვეცა:

1. გაჭრა, ხაზის გავლება, გაკაწრვა;
2. გამოსახულების გამოყვანა, ხატვა; და
3. წერა.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში „წერა“ და მისგან წარმომდგარი ტერმინები (გამოწერა, მიწერა, გარეშეწერა), ხშირად ამჟღავნებენ „წერის“ ძველ სემანტიკურ ასპექტებს.

<sup>35</sup> კიშინი I, გვ. 202.

<sup>36</sup> სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერი № 542. 99r (ხელნაწერის ნომერს ვუთითებთ ატიას აღწერილობის მიხედვით: D. S. Atiya, The Arabic Manuscripts of Mount Sinai, Baltimore, 1968. მიკროფილმი ხელნაწერისა დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში).

<sup>37</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H 1207. 161v.

## რამაზ პატარიძე

## „პრაქტაპირის“ გრაფიკული საფუძვლები\*

## 1

უძველესი სომხური დამწერლობის პალეოგრაფიულ შესწავლასა და წარმოშობა-სადატურობის მეცნიერულ კვლევას უკვე საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. უკანასკნელ ხანებში მეცნიერული ძიებანი ამ მიმართულებით განსაკუთრებით გაცხოველდა.

სომხური ანბანის კვლევისას საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებს დროდადრო აღუნიშნავი არ რჩებოდა ქართულ და სომხურ დამწერლობათა მსგავსების შეუცნობელი ფაქტი. ამ მსგავსებას, რასაც მარი ბროსე მოჩვენებით მსგავსებას უწოდებდა<sup>1</sup>, ასოთა მონახულობის საერთო იერში ხედავენ, ოღონდ გაურკვეველი რჩება მსგავსების მიზეზი და ხასიათი.

საერთოდ, ორი მოძმე ერის დამწერლობათა ურთიერთმიმართებისა და მით უმეტეს, მსგავსების გამო ადვილად შესაძლებელია სრულიად მცდარი თვალსაზრისი გამოითქვას, ვიდრე ამ დამწერლობათა წარმოშობა-სადატურობის პრობლემა არ გამორკვეულა.

ამგვარად, გასარკვევია არა მხოლოდ მსგავსების, არამედ იმ დიდი განსხვავების მიზეზიცა და ხასიათიც, რომელიც ამ ორი მოძმე ერის უძველეს დამწერლობათა შორის არსებობს.

საერთოდ ცნობილია ასო-ნიშნების თანამიმდევრობის თავდაპირველი „სემური“ ანბანური მწკრივი. ეს მწკრივი 22 გარკვეული თანამიმდევრობის ასო-ნიშნისაგან შედგება, რომელსაც ბოლოში დაასრულის მაუწყებელი ჯვრის ნიშანი — „ტაე“ უზის (+, X).

ძველმა ბერძნებმა, იმის გამო, რომ 22 ასო-ნიშანი საკუთარი დამწერლობისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, „სემურ“ ანბანურ მწკრივს ბოლოში რამდენიმე ასო-ნიშანი დაურთეს, ხოლო „სემური“ ანბანური მწკრივის რამდენიმე ასო-ნიშანი ხმოვან ასო-ბგერებად აქციეს. ასე წარმოიშვა დამწერლობის „ბერძნული“ ანბანური მწკრივი.

ყველა სხვა ერის უძველეს ანბანურ დამწერლობაში გატარებულია ან „სემური“ ანბანური იდეა (22 ასო-ნიშნით, ხმოვნების გარეშე), ან „სემურ-ბერძნული“ ანბანური იდეა. როცა „სემურ-ბერძნულ“ ანბანურ მწკრივს ბოლოში ამ რომელიმე ენისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერები აქვს მიმატებული.

<sup>1</sup> M. B r o s s e t. Elements de la langue Georgienne. Paris, 1837, გვ. 6—8.

\* მოხსენებად წაითხულია 1968 წლის 17 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. აკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომაზე.



ქართულ ანბანურ დამწერლობაში უსათუოდ უნდა ვითვალისწინებდეთ ამ უქანასკნელ ფაქტორს: პირობითად ქართულ ანბანში თანამიმდევრულად სამი ანბანური ჯგუფი უნდა გამოიყოს:

1. „ს ე მ უ რ ი“ ანბანური ჯგუფი („ანი“-დან „ტარ“-ამდის),
2. „ბ ე რ ძ ნ უ ლ ი“ ანბანური ჯგუფი (ვ, ფ, ქ) და
3. საკუთრივ ქ ა რ თ უ ლ ი ანბანური ჯგუფი („ლან“-იდან „ჰაე“-მდის).

ქართულ ანბანურ დამწერლობაში დაცულია უძველესი ანბანური სტრუქტურა. სომხურ ანბანში სულ სხვა ვითარება გვაქვს: ანბანი იწყება „აბ“-ით და მთავრდება „ჟე“-ით. რაც შეეხება საკუთრივ სომხური ენის სპეციფიკურ ასო-ბგერებს, ეს ასო-ნიშნები სომხური ანბანის სხვადასხვა ადგილასაა ჩართული. ამის გამო იგ. ჯავახიშვილი წერს:

„ჯერჯერობით სრულებით გაუგებარია, თუ რა მოსაზრებით უხელმძღვანელებიათ სომხური ანბანის მწკრივის შემდგენელთ, როდესაც სომხურისათვის დამახასიათებელი ასოები ამა თუ იმ ადგილას ჩაურთავენ...“<sup>2</sup>

ე. ი. სომხური და ქართული ანბანების სტრუქტურა სხვადასხვაა. თუ სომხური ანბანის სამი უქანასკნელი ასო (ვ, ფ, ქ) სომხური ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჯგუფია, თავისთავად იბადება კითხვა: რატომღა არ გამოყვეს სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფისაგან წმინდა სომხური ჯგუფი? რატომ არ განაცალკევებ ეს ჯგუფები ერთმანეთისაგან?

ამას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზები აქვს. საქმე ის არის, რომ წმინდა „სომხური“ ჯგუფის გამოყოფის შემთხვევაში „სომხური“ ჯგუფი უნდა მოქცეულიყო ან „სემური“ ჯგუფის შემდეგ, ანბანის შუაში, ან, უფრო მართებულად, „ბერძნული“ ჯგუფის შემდეგ, ანბანის ბოლოში. ეს კი დაარღვევდა სომხური ანბანის სტრუქტურულ ჩანაფიქრს.

ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებელმა ივანე ჯავახიშვილმა კვლევის მეცნიერული სიზუსტით ცხადყო, თუ რა დიდი განსხვავებაა ქართულ და სომხურ დამწერლობათა შორის. ერთი ანბანური დამწერლობის სხვაობა მეორისაგან იმდენად თვალსაჩინოა, რომ მსგავსების რაიმე კვალის მიგნება განსაკუთრებული მეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე შეუძლებელია. ძირითადად. ქართულ და სომხურ დამწერლობებს ერთმანეთისაგან განასხვავებს:

Ծ - Ա Թ - Դ  
 Վ - Բ Դ - Ե  
 Ը - Գ Զ - Ա

1. ასოთა მოხაზულობა: ქართული ანბანის არცერთი ასო-ნიშანი სომხური ანბანის არცერთ შესაბამის ასო-ნიშანთან მსგავსებას ვერ პოულობს (შეად. მარცხნივ პარალელური ქართულ-სომხური ასო-ნიშნები).

2. ასო-ნიშნების ანბანური რიგი ანუ თანამიმდევრობა: ქართულ და სომხურ ანბანში გამოყენებულია ასოთა თანმიმდევრობის ორი სხვადასხვა სისტემა.

3. ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა: ასო-ნიშნების ანბანური რიგის შესაბამისად ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობაც სხვადასხვაა.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 267



4. ქართული და სომხური ენისთვის დამახასიათებელი ასო-ბგერების ანბანური რიგი: ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ე. წ. დანართი ასოების ერთნაირი თანამიმდევრობა, რიგი. მიუხედავად ამისა, ქართულისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერები ქართულ ანბანს ბოლოში შემდეგი თანამიმდევრობით ერთვის: ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ. ხოლო სომხურისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერები სომხურ ანბანს ბოლოში კი არ ერთვის, არამედ ისინი ძირითად ანბანურ ასოებს შორის არიან გაფანტულნი შემდეგი თანამიმდევრობით: ხ, წ, პ, ძ, ჭ, შ, ჩ, ჯ, ც. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ქვემოთ სათანადოდ იქნება განმარტებული.

5. ქართული და სომხური ენისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერების გრაფიკული საფუძველი: ქართულისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერების გრაფიკა გამოყვანილია ძირითადი ანბანური ასოების გრაფიკული ვარიაციის საფუძველზე.

მაგალითად:

ა-ც; ფ-ყ; უ-ი; ზ-ბ; ზ-ღ

და სხვ.

ხოლო სომხურისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერები ქმნიან ძირითადი ანბანური ასოებისაგან სრულიად განსხვავებულ გრაფიკულ სისტემას. ეს აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ქვემოთ სათანადოდ იქნება განმარტებული.

6. ქართული და სომხური ასოების სახელები: ქართულ და სომხურ ასოებს სხვადასხვა სახელები აქვთ: 35 შემთხვევაში ქართული და სომხური შესაბამისი ასოების სახელები სხვადასხვა და მხოლოდ ერთ შემთხვევაშია საერთო (ი-ინ). ამგვარად, ყველა ძირითად ანბანურ ნიშანდობლივ ასპექტში ქართულსა და სომხურ დამწერლობას შორის კარდინალური სხვაობაა. აღარას ვამბობთ ცალკეული და კერძო მნიშვნელობის სხვადასხვა ნიშანდობლივ განსხვავებათა შესახებ. დაწვრილებით ეს საკითხი უკვე გაშუქებულია ივანე ჯავახიშვილის „ქართულ პალეოგრაფიაში“<sup>3</sup>.

მაინც, მიუხედავად ამ არსებითი განსხვავებისა, ქართულ და სომხურ დამწერლობებს შორის არის დაფარული მსგავსებაც, რაც ორივე ანბანის ასოთა მოხაზულობისა თუ ასოთა აღნაგობის სახელმძღვანელო პრინციპში უნდა ვეძიოთ. ამგვარად მსგავსება გრაფიკაშია საძიებელი (ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი, როცა საბოლოოდ გაირკვევა ქართულ-სომხურ დამწერლობათა ურთიერთმიმართების საკითხი).

მაგრამ ჯერ სომხური ანბანის წარმოშობის შესახებ.

სომხური ისტორიული წყაროები სომხური ანბანის შექმნას მესრობ მაშოცს მიაწერენ. ამის თაობაზე სარწმუნო ცნობებს გვაწვდიან მესრობ მაშოცის ბიოგრაფი კორიუნე, აგრეთვე მოსე ხორენელი, ჟამთაღმწერელი ლაზარე ფარპეტი<sup>4</sup> და სხვანი.

<sup>3</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. გვ. 194—203; 236—238, 266—272.

<sup>4</sup> სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა ამ წყაროების შესახებ შემდეგია: Корюн, Жизнь Маштоца. Ереван, 1962; ივანე ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1935; Г. Халатянц, Армянские Аршакиды в «Истории Армении», Моисей Хоренского, М., 1903; Н. Адонц. Неизвестные страницы из жизни Маштоца и его учеников по неармянским источникам. Handès Amisoreay. 1925 და სხვ.

დღესდღეობით სომხური და აგრეთვე არასომხური წყაროების მონაცემების საფუძველზე, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული ის თვალსაზრისი, რომ სომხური დამწერლობა შექმნილია ცნობილი სომეხი მწიგნობრისა და საეკლესიო მოღვაწის მესრობ მამთოცის მიერ.

სომხური ანბანის შექმნის მიახლოებითი თარიღიც აგრეთვე ცნობილია. კორიუნის მოწმობით ეს დიდმნიშვნელოვანი კულტურული აქტი ვრამშაპუკ სომეხთა მეფის ზეობის მე-6 წელს უნდა მომხდარიყო. კორიუნის ამ ცნობის საფუძველზე, სომხური დამწერლობის საწყის თარიღად მეცნიერნი 392/93, 404/406 ან 412-416 წლებს მიიჩნევენ. ამრიგად, მე-5 საუკუნის დამდეგი სომხური დამწერლობის წარმოშობის ხანაა. ამ დროს შეიქმნა სომხური ასომთავრული დამწერლობა — „ერკათავირი“.

დღეისათვის სომხური პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა არსებითად შესწავლილია: გამოქვეყნებულია სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები; დაზუსტებულია სომხური ასომთავრული დამწერლობის „ერკათავირის“ უძველესი მოხაზულობა. ფიგურალურად რომ ითქვას, ჩვენს ხელთაა მესრობ მამთოცის მიერ შექმნილი სომხური დამწერლობის „დედანი“.

ვისარგებლობთ უახლესი მეცნიერული მონაცემებით და ქვემოთ ვაქვეყნებთ მე-5 საუკუნის „ერკათავირის“ ანბანს (იხ. ტაბ. № 1)<sup>5</sup>.

Ա	- ა	Ժ	- յ	Ճ	- չ	Խ	- խ
Բ	- ბ	Ի	- ი	Մ	- մ	Ս	- ս
Գ	- ց	Լ	- լ	Յ	- ջ	Ա	- յ
Դ	- զ	Խ	- խ	Ն	- ն	Տ	- թ
Ե	- ე	Ծ	- ժ	Շ	- ժ	Ր	- ռ
Զ	- ջ	Տ	- տ	Ո	- ո	Յ	- ջ
Է	- է	Վ	- վ	Ղ	- ղ	Ի	- յ
Ը	- ը	Ձ	- ձ	՝	- ՛	Փ	- ფ
Թ	- თ	Ղ	- ղ	Ճ	- չ	Բ	- ბ

ტაბ. № 1

<sup>5</sup> ძირითადად ვისარგებლეთ პალეოგრაფ პროფ. კ. ლავადარიანის შრომებით: «Первоначальные формы армянского письма», «Надпись Текорского храма V века и армянский алфавит с месроповским письмом» და სხვა. აგრეთვე უძველესი სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების ფოტოპირებით.

სომხური ანბანის ასოთა რიგი ასეთია: ა, ბ, გ, დ, ე, ზ, **ჭ**, ჯ, თ, უ, ი, ლ (რბილი), ხ, წ, კ, ჰ, ძ, ლ (გვიანდელი „ლ“), ჳ, მ, **ძ**, ნ, შ, ო, ჩ, პ, ჯ, რ (კომ-ტი), ს, ვ, ტ, რ (ფაფუკი), ც, ჰ, ფ, ქ.

როგორც ვხედავთ, სომხური ასო-ნიშნების ანბანური რიგი მკვეთრად განსხვავდება ქართული და ყველა უძველესი დამწერლობის ჩვეულებრივი ანბანური რიგისაგან.

ამგვარად, როცა ცნობილია სომხური დამწერლობის წარმოშობის ხანა, სომხური ასო-ნიშნების თავდაპირველი გრაფიკული მოხაზულობა და ასო-ნიშნების ანბანური რიგი, რაღა უშლის ხელს სომხური დამწერლობის სადაურობისა და წარმომავლობის საკითხის გარკვევას?

თავისთავად ცხადია, სომხური დამწერლობის თავდაპირველი მოხაზულობის ასო-ნიშნები საჭიროა უადრეს დამწერლობათა ყველა შესაბამის ასო-ნიშანს შევეუდაროთ; რათა იგივეობისა ან მსგავსების საფუძველზე გამოვკვეთო იქნეს, რომელი დამწერლობის გრაფიკული ნიშნებია გამოყენებული სომხური ანბანის შესაქმნელად.

კვლევის ამ შედარებითი მეთოდის საფუძველზე პალეოგრაფიული მეცნიერება უკვე საუკუნეზე მეტი ხანია, რაც ამაოდ ცდილობს სომხური ანბანის წარმოშობისა და სადაურობის გარკვევას.

ამ საკითხის კვლევა-ძიებას საკმაოდ დიდი ლიტერატურა მიეძღვნა, გამოითქვა მრავალნაირი ვარაუდი თუ ჰიპოთეზა.

სომხური ანბანის წარმოშობის საკითხს სხვადასხვა დროს სპეციალურად იკვლევდნენ ცნობილი პალეოგრაფები — რ. ლეპსიუსი, პ. დე ლეგარდი, ვ. გარდტ-ჰაუზენი, ფრ. მიულერი, ი. ტეილორი, ი. მარკვარტი, პ. იუნკერი; სომეხი მეცნიერები — პ. აჭარიანი, ა. აბრამიანი, ა. ფერისხანიანი და სხვანი.

პროფ. პ. აჭარიანს თავის სომხური დამწერლობის ენციკლოპედიურ ნაშრომში მოტანილი აქვს 35 მეცნიერის სხვადასხვა თვალსაზრისი სომხური დამწერლობის წარმომავლობა-სადაურობის თაობაზე. ამის გამო მეცნიერი დასკვნის სახით ამბობს:

„ასეთია მკვლევართა შეხედულება. მეცნიერთა ყველა ეს თვალსაზრისი თუ განვსჯავდეთ, დავინახავთ, რომ სომხური ანბანი თავისი წარმოშობით ან მთლიანად ან ნაწილობრივ დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფია, უმეტეს შემთხვევებში კი მისი წარმომავლობა უკავშირდება ან წარმართულ ნიშნებსა და ძველ სპარსულ იეროგლიფებს, ან ძველ ქალდურსა და ან კი ახალ: ფალაურ, ავესტას, ირანულ, ფინიკიურ, პალმირულ, არამეულ, ესტრანგელოს, სირიულ, კობტურ, ეთიოპურ თუ ბერძნულ დამწერლობებს“<sup>6</sup>.

ეგზომ დიდი ხნის მეცნიერულ კვლევა-ძიებათა მიუხედავად არცერთი თეორია თუ თვალსაზრისი სომხური დამწერლობის წარმოშობის შესახებ სარწმუნო არ ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში არცერთი თეორიული ჰიპოთეზა გაზიარებული არ ყოფილა.

ერთი რამ ცხადია, შედარებითმა მეთოდმა, შედარებითი მეთოდის საფუძველზე სომხური დამწერლობის წარმომავლობის ძიებამ ნაყოფი არ გამოიღო. მაგრამ ამ ძიებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. საჭიროა გაკეთდეს სათანადო დასკვნა: სომხური დამწერლობის ასო-ნიშნები რომელიც გინდა დამწერლობის ასო ნიშნებთან შესაბამის ფონემურ და გრაფიკულ მსგავსებას ვერ პოულობენ.

<sup>6</sup> პ. აჭარიანი, სომხური დამწერლობა, ვენა, 1928 (სომხურ ენაზე), გვ. 191.



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: სომხური დამწერლობის წარმოშობის პრობლემა ჯერ კიდევ გარკვეული არ არის და ცნობილი პალეოგრაფის ჰანს იენსენის თქმისა არ იყოს, ეს საიდუმლო ჯერ კიდევ მოითხოვს საბოლოო ამოცნობას.

## II

ამ უკანასკნელ ხანებში სომხური ანბანის შესწავლა სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. საკითხის კვლევას ახალი გეზი მიეცა, რასაც პირობითად შეიძლება გრაფიკული მეთოდი ვუწოდოთ. პრიორიტეტი ამ თვალსაზრისით სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორუპსონდენტ პროფ. გურგენ სევაკს ეკუთვნის.

1962 წელს ერევანში ცალკე წიგნად გამოქვეყნდა პროფ. გ. სევაკის ნაშრომი „Месроп Маштоц. Создание армянских письмен и словесности“.

გ. სევაკი წერს:

«...Ни одна из букв Месропа (за исключением, пожалуй, буквы Փ) по своему изображению и звуковому значению не является заимствованием из какио-либо алфавита... Месроп Маштоц, поставив перед собой цель создать письмена, отличные от иноязычных, отказался от закона тождественности и применил принцип условности... Достаточно расположить однотипные буквы Месропа по группам, чтобы убедиться, что одну букву он выводил из другой, наделяя каждую из них каким-нибудь отличительным признаком. Вот эти группы»:

**Ր, Ը, Բ || Բ, Ե, Ը, Է ||**

**Ր, Ի, Ի, Խ || Է, Լ, Վ, Ղ, Դ, Գ ||**

**Ս, Ա, Ն, Մ, Տ || Ս, Ո, Ռ ||**

**Շ, Զ, Զ, Զ, Զ, Յ, Յ, Մ, Ծ || Ր, Ռ, Ժ**

«Отсюда ясно видно, что в пределах каждой группы одну букву отличает от другой лишь перемещение какой-нибудь черточки или изменение позиции...»

«Уже одно то, что Месроп действовал по закону преобразования, т. е. по принципу создания новых письмен путем изменения начертания букв, показывает, что для каждой группы букв он должен был брать за исходную одну букву какого-нибудь иноязычного алфавита и из нее производить новые буквы. Так это и было на самом деле. Отсюда вытекает, что нашим исследователям надо изучить вопрос о том, сколько групп составляют месроповские письмена и какая буква из какого языка явилась исходной для каждой группы, а не заниматься произ-

вольными поисками соответствий каждой букве в алфавитах всех языков древнего мира»<sup>7</sup>.

პროფ. გ. სევაკს გამოთქმული აქვს ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი თვალსაზრისი. რაც მთავარია, სომხური ასო-ნიშნების გრაფიკული ურთიერთ-მსგავსება უკვე შემჩნეულია, მაგრამ ამ გრაფიკული მსგავსების იქით პროფ. გ. სევაკი აღარ წასულა, მითუმეტეს მას არ უცდია გრაფიკული სისტემის ჩამოყალიბება. რაც შეეხება სომხური გრაფემების ჯგუფებად დაყოფას, ამ შემთხვევაში პროფ. გ. სევაკი არასწორი გზით მიდის და, ჩვენის აზრით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთელ რიგ შეცდომებს უშვებს. მიუხედავად ყოველივე ამისა, პროფ. გ. სევაკის გრაფიკული მეთოდის ზოგადი თვალსაზრისი უთუოდ სწორია.

1968 წლის სექტემბერში საბჭოთა მეცნიერმა სემიტოლოგმა, ეთიოპური ენის სპეციალისტმა, აკადემიკოსმა დ. ოლდეროგემ ანთროპოლოგიურ და ეთნო-გრაფიულ მეცნიერებათა მე-8 საერთაშორისო კონგრესზე, ქ. ტოკიოში, წაა-ღიბნა მოხსენება სომხეთ-ეთიოპიის ურთიერთობის თაობაზე, ამ ორი ერის დამწერლობათა ურთიერთ მიმართების საკითხის შესახებ<sup>8</sup>.

Ո	Ռ			Թ		
Ս		Մ	Ա	Ա		
Ր	Բ		Ը	Ժ		
Դ	Դ	Պ	Ղ			
Ն	Ե	Ն		Կ		
Ը	Ի	Է	Լ	Ժ	Խ	Ի

ტაბ. № 2

აკად. დ. ოლდეროგე იმოწმებს პროფ. გ. სევაკის ზემოთ ნახსენებ გრაფიკულ მეთოდს და სომხურ-ეთიოპური ასო-ნიშნების გრაფიკული მსგავსების საფუძველზე გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ სომხურ ანბანში გამოყენებული ასოთა გარდაქმნა-მოდიფიკაციის ეთიოპური პრინციპი, რომ ამ მეთოდის საფუძველზე შექმნილია სომხური ანბანის 22 ან 23 გრაფემა. ამდენად, გრაფიკული მეთოდის გამოყენებით აკად. დ. ოლდეროგე უფრო შორს მიდის და მისი გრაფიკული მოდელი შედარებით უფრო სრულყოფილია, ვიდრე პროფ. გ. სე-

<sup>7</sup> Гурген Севак, Месреп Маштоц, Создание армянских писмен и словестности, Ереван, 1962, стр. 30, 38, 39, 40.

<sup>8</sup> D. O l d e r o g g e, Ancient relationships beetwen Armenia and Ethiopia(From the history of the alphabet), Moscow, 1968.

ვაკისა. ზემოთ მოტანილ გრაფიკულ ნახაზზე დ. ოლდეროგე იძლევა სომხური ანბანის 23 გრაფემის შექმნის შესაძლებელ სურათს (იხ. ტაბ. № 2).

სომხური დამწერლობის ზოგიერთი ასო-ნიშნის ურთიერთმიმართების გრაფიკული ხასიათი აკად. დ. ოლდეროგეს უდავოდ კარგად აქვს შენიშნული, მაგრამ, მსგავსად გ. სევაკისა, მისი გრაფიკული მოდელი ბოლომდე დამაჯერებელი არ არის. რადგან ამ გრაფიკას მთლიანობაში კი არ განიხილავს, არამედ ცალკეულ ეთიოპურ გრაფემებს უკავშირებს.


გ. სევაკისა და დ. ოლდეროგესაგან დამოუკიდებლივ, ჩვენ შევიმუშავეთ სომხური ანბანის ამოცნობის გრაფიკული მეთოდი.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ სომხურ ანბანში ძირითადად დასტურდება გრაფიკული სისტემის სამი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ჯგუფი. სომხური ანბანის თითოეული გრაფიკული ჯგუფი ქმნის თავისებურ გრაფიკულ სისტემას. ქვემოთ თანამიმდევრულად განხილულია სომხური ანბანის სამივე გრაფიკული სისტემა.

**სომხური ასომთავრული ანბანის გრაფიკული სტრუქტურის**

**პირველი ჯგუფი — „ნალინაზური“ გრაფიკების ჯგუფი**

ეს ჯგუფი ქმნის შემდეგნაირ გრაფიკულ სისტემას (ტაბ. № 3).



ტაბ. № 3



სომხური „ერკათაგორის“ პირველი ანბანური ჯგუფის გრაფიკული ხასიათი ცხადი და თვალსაჩინოა. „ნალისებური“ გრაფემები ქმნიან ერთ მთლიან, დასრულებულ გრაფიკულ განტოლებას. გრაფიკული სისტემა შედგება აღმა და დაღმა ნალისებური გრაფემების 9 ქვეჯგუფისაგან. „ნალისებური“ გრაფემების მოდიფიკაციის ზუსტი კანონზომიერება, „გრაფიკული განტოლება“ შესაძლებლობას იძლევა აღვადგინოთ მე-5 ქვეჯგუფის გრაფიკული ნახაზიც კი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს გრაფიკული ჯგუფიც შესაძლოა მართლაც არსებულყო და იგი ანბანის საბოლოო დახვეწის დროს „ნალისებური“ გრაფემების სიჭარბისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო უარყოფილიყო (ამის შესახებ გზადაგზა გვექნება საუბარი).

გრაფიკული სისტემის 9 ქვეჯგუფიდან პირველ ორ ქვეჯგუფში გაერთიანებულია სრული აღმა და დაღმა ნალისებური გრაფემები, ხოლო დანარჩენ ქვეჯგუფებში ნაკლები აღმა და დაღმა ნალისებური გრაფემები. გრაფიკული სისტემის უკანასკნელი გრაფემა, რომელსაც სომხურ ანბანში „სემური“ ანბანური მწკრივის უკანასკნელი „ტვან“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, თავისი მოხაზულობით მთელი გრაფიკული სისტემის სტრუქტურული აგებულებისა და გრაფიკულ სისტემაში გრაფემების თანამიმდევრობის ჩანაფიქრის მაუწყებელია. ამ გრაფემაში გაერთიანებულია ჯერ აღმა და შემდეგ დაღმა სრული და ნაკლები ნალისებური გრაფიკის იდეა. ე. ი. „ტვან“ ფონემა დაიწერა ასე — **Տ** და არა პირველ — **Տ**, რაც შესრულების თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელიც კი იქნებოდა.

ამიტომაც გრაფიკული სისტემის პირველ ქვეჯგუფად აღმა სრული ნალისებური გრაფემები გამოიყო. ვარდა ამისა, პირაღმა ნალისებური გრაფემები პირველ ქვეჯგუფად გამოიყო შემდეგი მიზეზების გამო: სხვა ქვეჯგუფებთან შედარებით ამ ქვეჯგუფში ყველაზე მეტი (ოთხი) გრაფიკული ვარიაცია ერთიანდება, ამ ქვეჯგუფის ერთ-ერთ ვარიაციას (მესამეს) სომხური ანბანის პირველი ბგერის („ააბ“) მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ ანბანში პირველადია პირაღმა ნალისებური გრაფემა (ასო „პარი“); ხოლო ქართული ანბანის ასო „ღანი“ მის შებრუნებულ დაწერილობას წარმოადგენს და ამიტომაც მეორეულია (პირდაღმა ნალისებური გრაფემა) — **Ս** — ი.

ამგვარად, ამ გრაფიკული სისტემის ჩანაფიქრის საფუძველი და ამოსავალია გრაფიკული სისტემის პირველი ქვეჯგუფის პირველი გრაფემა — წმინდა აღმა ნალისებური გრაფემა. ხოლო ეს გრაფემა ეთიოპური ვოკალიზებული ანბანის პირველი გრაფემაა. აქ წინასწარ შეიძლება ითქვას: სომხური ანბანის პირველ „სემურ“ გრაფიკულ ჯგუფს საფუძვლად დაედო ქრისტიანული ეთიოპიის სამხრეთ სემური დამწერლობის პირველი გრაფემა (ამ ფრიად მნიშვნელოვანი ჯარემოების შესახებ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი).

პირველი გრაფიკული სისტემის სტრუქტურა ასეთია: პირველ ქვეჯგუფად აღმა ნალისებური გრაფემების ქვეჯგუფი გამოიყო, ხოლო მეორე ქვეჯგუფად შებრუნებული მოხაზულობის დაღმა ნალისებური გრაფემების ქვეჯგუფი (ამგვარად, მათი გრაფიკული ურთიერთმიმართება ცხადია).

მესამე ქვეჯგუფის გრაფემა გამოდის პირველი ქვეჯგუფის გრაფიკული მოხაზულობიდან იმგვარადვე, როგორც მე-4 ქვეჯგუფის გრაფემა გამოდის მეორე ქვეჯგუფის გრაფიკული მოხაზულობიდან. ორივე შემთხვევაში გვაქვს არასრული ნაკლები აღმა და დაღმა ნალისებური გრაფემების ქვეჯგუფები. რა

გრაფიკული მიმართებაცაა პირველსა და მესამე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის. იმგვარივე მიმართებაა მეორე და მეოთხე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის. ამავე დროს როგორი მიმართებაცაა პირველსა და მეორე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის, იმგვარივე მიმართებაა მესამე და მეოთხე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის. მე-5 ქვეჯგუფის საერთო მოხაზულობის გრაფემა მე-3 ქვეჯგუფის საერთო მოხაზულობის გრაფემის შებრუნებულ, მარცხნივ შეტრიალებულ ფორმას წარმოადგენს. იმგვარადვე, როგორც მე-6 ქვეჯგუფის საერთო მოხაზულობის გრაფემა მე-4 ქვეჯგუფის საერთო მოხაზულობის გრაფემის შებრუნებულ, მარცხნივ შეტრიალებულ ფორმას წარმოადგენს.

ამავე დროს როგორი მიმართებაცაა მე-3 და მე-4 ქვეჯგუფის გრაფემებს შორის, იმგვარივე მიმართებაა მე-5 და მე-6 ქვეჯგუფის გრაფემებს შორის.

მე-7 და მე-8 ქვეჯგუფებში გვაქვს თითო-თითო გრაფემა, ერთმანეთის საპირისპირო მოხაზულობისა, წყვილის ცალები. მე-7 ქვეჯგუფის გრაფემა პირველი, მესამე და მეხუთე ქვეჯგუფის გრაფემების მოხაზულობიდან გამოდის, ხოლო მე-8 ქვეჯგუფის გრაფემა — მეორე, მეოთხე და მეექვსე ქვეჯგუფის გრაფემების მოხაზულობიდან. ამავე დროს ორივე გრაფემა შესაბამისად მე-5 და მე-6 ქვეჯგუფის გრაფემებთან ამჟღავნებენ მეტ გრაფიკულ ნათესაობას.

უკანასკნელ, მე-9 ქვეჯგუფში ერთადერთი გრაფემაა, რომელსაც წყვილის ცალიც არ გააჩნია. ამ გრაფიკულ ნიშანში, როგორც ითქვა, გაერთიანებულია მთელი გრაფიკული სტრუქტურის იდეა. ამ ერთ ნიშანში შერწყმულია როგორც ალმა და დალმა ნალისებური გრაფემების მოხაზულობა (პირველი და მეორე ქვეჯგუფისა), აგრეთვე მომდევნო ქვეჯგუფების არასრული ნალისებური გრაფემების მოხაზულობაც. ამგვარად ეს ერთადერთი, კენტად დარჩენილი გრაფემა სომხური ანბანის პირველი გრაფიკულა სისტემის დამასრულებელი და დამავგირვინებელი გრაფემაა. მით უმეტეს, რომ ამ გრაფემას, როგორც ვთქვით, სომხურ ანბანში ასო „ტარ“-ის (სომხურად „ტუნ“) ე. ი. სემური ანბანური ჯგუფის უკანასკნელი ფონემის მნიშვნელობა აქვს. ამრიგად ვლბულობთ მათემატიკური სიზუსტისა და ლოგიკური ჰარმონიით აღბეჭდილ გრაფიკულ განტოლებას.

სომხური ანბანის პირველ გრაფიკულ სისტემაში გაერთიანებულია 22 გრაფემა, 22 ასო — ნიშანი, ხოლო, როგორც უკვე ითქვა, სემური ანბანური ჯგუფი 22 ასო-ნიშნისაგან შედგება „ანი“-დან „ტარ“-ამდის ანუ „ალეფი“-დან „ტავ“-ამდის. ე. ი. გრაფიკულმა მეთოდმა სომხური ანბანიდან გამოყო სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფი.

სომხური „ერკათაგირის“ პირველი გრაფიკული სისტემა მოიცავს გრაფემებს „ანი“-დან „ტარ“-ამდე (სომხურად „ამბ“-იდან „ტუნ“-ამდე) ე. ი. სომხური ანბანის პირველ გრაფიკულ სისტემაში გატარებულია „სემური“ ანბანის იდეა. ხოლო სომხური ანბანის პირველი გრაფიკული ჯგუფი სომხური ანბანის პირველ „სემურ“ ჯგუფს დაემთხვა.

იმის გამო, რომ სომხური ანბანის პირველ, „ნალისებურ“ გრაფიკულ სისტემაში მე-5 ქვეჯგუფის სამი ნალისებური ერთეული არა გვაქვს, „ნალისებური“ გრაფიკული სისტემა სამი ნალისებური ერთეულით ნაკლებია, ე. ი. 22 ნალისებური გრაფემის ნაცვლად გვაქვს 19 ნალისებური გრაფემა. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ეს სამი ნალისებური გრაფემა აგრეთვე უნდა არსებულებოდა; ამიტომაც ვამჯობინეთ გრაფიკულ

ნახაზზე მოგვეცა სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის სავარაუდო სრული სახე (გრაფიკულ ნახაზზე მე-5 ქვეჯგუფი წყვეტილი ხაზებით (პუნქტირით) გვაქვს აღდგენილი).

სომხური ასომთავრული ანბანის გრაფიკული სტრუქტურის  
მეორე ჯგუფი — „რკალისხაზური“ გრაფიკების ჯგუფი

როგორც უკვე ითქვა, სომხური ენის სპეციფიკური ასო-ბგერები სომხურ ანბანს ბოლოში კი არ ერთვის, არამედ, ქართული ანბანისაგან განსხვავებით, ეს ასო ნიშნები სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფის ასო-ნიშნებს შორის არიან გაფანტულნი შემდეგი თანამიმდევრობით: ხ, წ, პ, ძ, ჳ, შ, ჩ, ჯ, ც. რით არის გაპირობებული ამ ასო-ნიშნების ასეთი თანამიმდევრობა?

მივმართოთ გრაფიკულ მეთოდს. სომხური ანბანის სამივე გრაფიკული სისტემის საერთო გრაფიკული კანონების შესაბამისად ეს ჯგუფი გრაფემების შემდეგი თანამიმდევრობით ლაგდება: (იხ. ტაბ. № 4).

სომხური „ერკათავირის“ მეორე ჯგუფის გრაფიკული ხასიათი ცხადი და თვალსაჩინოა. ამ გრაფიკული ჯგუფის ამოსავალი გრაფემა პირველი რკალისებური გრაფემა ზემო დამატებითი ნიშნით. ეს არის გრაფემა, რომელიც საფუძვლად დაედო სომხური ანბანის მეორე ჯგუფის მთელ გრაფიკულ სისტემას. ამ გრაფემის თანდათანობითი მოდიფიკაციის საშუალებით შექმნილია კიდევ შვიდი სახესხვაობის გრაფემა.

ამგვარად, სომხური ანბანის მეორე გრაფიკული სისტემის ასო-ნიშნების გრაფიკული თანამიმდევრობა ასეთია (გრაფიკული თანამიმდევრობის მწკრივი შიგნით ორეულ გრაფემებადაც ლაგდება):

1. ძირითადი „რკალური“ გრაფემა ზემო დამატებითი ნიშნით.

2. ქვემოთ გადმობრუნებული და მარცხნივ შეტრიალებული იგივე ძირითადი „რკალური“ გრაფემა.

3. იგივე რკალური გრაფემა, ახალი ზემო განმასხვავებელი ნიშნით.

4. იგივე რკალური გრაფემა, ახალი ქვემო განმასხვავებელი ნიშნით.

5. წინა გრაფემის მოდიფიკაცია წრიულ გრაფემად.

6. წინა გრაფემის მოდიფიკაცია კუთხოვან გრაფემად.

7. წინა გრაფემის მოდიფიკაცია ზემო განმასხვავებელი ნიშნით.

	Դ - Ե
	- Զ
	- Կ
1.	Դ - Զ
2.	Ե - Զ
3.	Զ - Ը
4.	Ը - Ժ
5.	Ծ - Կ
6.	Ճ - Կ
	Խ { Է Զ Կ Զ
7.	Ը - Կ
8.	Կ - Զ

ტაბ. № 4



8. იგივე გრაფემა ქვემო განმასხვავებელი ნიშნით.

ფიქრობ, გრაფიკული მეთოდის საფუძველზე გამორკვეულია როგორც ამ გრაფემების წარმოშობის საიდუმლოება, აგრეთვე ამ ასო-ნიშნების ანბანური თანამიმდევრობა. თუ ჩვენ მეორე ჯგუფის ასო-ნიშნების ბერძულ მნიშვნელობას გრაფიკული თანამიმდევრობით წავივითხავთ, ამ ასო-ნიშნების ქართულ ანბანურ თანამიმდევრობას მივიღებთ („ხანი“ გრაფემის გამოკლებით). უფრო ზუსტად სომხური ანბანის მეორე ჯგუფის გრაფემები გაწყობილია შესაბამისი ქართული ასო-ნიშნების ანბანურ რიგზე (სომხური ასო „ხე“, რომელიც წყვილის ცალის გარეშე რჩება, უშუალოდ ქართული „ხანისა“ და „ჯარის“ გრაფიკიდან არის გამოყვანილი).

გარდა ამისა, თუ სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფის (ნალისებური გრაფემების) პირველი და ამოსავალი ასო-ნიშანია ერთ-ერთი „სემური“ ენის, ქრისტიანული ეთიოპიის ანბანის პირველი გრაფემა, — აღმა ნალისებური გრაფემა, ასევე სომხური ანბანის მეორე — „სომხური“ ჯგუფის პირველი და ამოსავალი ნიშანია ქართული ანბანის პირველი გრაფემა — ასო „ანი“ მოხაზულობა. ამას გარდა, სომხური ანბანის მეორე ჯგუფის ასო-ნიშნების გრაფიკული თანამიმდევრობა, შეესაბამება ქართული ასო-ნიშნების ანბანურ თანამიმდევრობას.

ყოველივე ამის გამო, თუ სომხური ანბანის პირველ ჯგუფს „სემური“ ანბანური ჯგუფი ვუწოდებთ, მით უმეტეს სომხური ანბანის მეორე ჯგუფს „ქართული“ ანბანური ჯგუფი უნდა ვუწოდოთ.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშნის მსგავსი გრაფიკული მოხაზულობის სხვა ასო-ნიშანი არცერთ დამწერლობაში არ დასტურდება. ამდენად სომხური ანბანის მეორე ჯგუფის ამოსავალი, ძირითადი გრაფემის სადაურობის ერთადერთი წყაროა ქართული ანბანი. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ანბანში აგრეთვე დასტურდება „რკალური“ გრაფემების მთელი ჯგუფი: ა, დ, თ, ჯ, ო, ც, ჰ, რომელთა წარმოშობა სულ სხვაგვარია (ამის შესახებ ქართული ასომთავრული დამწერლობის განხილვისას იქნება საუბარი).

#### სომხური ასომთავრული ანბანის გრაფიკული სტრუქტურის

##### მესამე ჯგუფი — „კათხოვანი“ გრაფემების ჯგუფი

სომხური ანბანის სამი უკანასკნელი გრაფემის ბერძნულიდან წარმომავლობის ფაქტი დღეს უკვე სადავო აღარ არის. ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ჯერ კიდევ ფრ. მიულერი<sup>9</sup>, ი. ტელიორი<sup>10</sup>. ამავე აზრისაა ჰ. იენსენი<sup>11</sup> და სხვ.

იგივე „ბერძნული“ ჯგუფი ძველ ქართულ დამწერლობაშიც დასტურდება.

უკვე ითქვა იმ საინტერესო გარემოების შესახებ, რომ სომხური ანბანი ამ „ბერძნული“ ჯგუფის სამი სომხური გრაფემით მთავრდება. (იხ. ტაბ. № 1). ეს ეთარება სომხური ანბანის სტრუქტურით აიხსნება, რომლის შესახებ ახლა ვიტყვით.

მაგრამ ჯერ თვით ამ მესამე გრაფიკული ჯგუფის შესახებ:

სომხური ანბანის სამი უკანასკნელი ასო-ნიშნიდან სომხური „ფ“ (ფვრ) გრაფიკულად ისევე იწერება, როგორც სომხურის შესაბამისი ბერძნული ფონე-

<sup>9</sup> Fr. Müller. Über den Ursprung der armenischen Schrift. Sitzungsber. d. Wiener Akad. 48, 1864, pag. 431.

<sup>10</sup> I. Taylor. The Alphabet, II, London, 1883, pag. 253.

<sup>11</sup> H. Jensen. Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart. Berlin., 1958, pag. 411-419.

მა  $\Phi$  ( $\Phi$ ), მაგრამ ორი დანარჩენი სომხური გრაფემა, საგრძნობლად განსხვავდება იმავე ფონემების ბერძნული დაწერილობისაგან.

კვლავ გრაფიკულ მეთოდს მივმართოთ. საქმე ის არის, რომ სომხური ანბანის „ბერძნული“ ჯგუფის პირველ გრაფემას „ჰნ“-ს აღმოაჩნდა კიდევ რამდენიმე მსგავსი მოხაზულობის ასო-ნიშანი. ამიტომაც სომხური ანბანის მესამე გრაფიკული სისტემა შემდეგ სახეს ღებულობს (იხ. ტაბ. № 5):

სომხური ანბანის მესამე გრაფიკული სისტემის ასო-ნიშნები დიდად სხვაობენ პირველი და მეორე გრაფიკული სისტემის ასო-ნიშნებისაგან: „ნალისებური“ და „რკალისებური“ გრაფემების საპირისპიროდ, სომხური ანბანის მესამე ჯგუფში ძირითად გრაფიკულ ფერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებია გამოყენებული.

მაგრამ ჯერ სომხური ანბანის უკანასკნელი გრაფემის შესახებ:

ეს გრაფემა ასო „ქან“-ს, სომხურად „ქე“-ს აღნიშნავს. ცნობილია, რომ ბერძნული ანბანის X ( $\chi$ ) ფონემა, როგორც ქართულ, აგრეთვე სომხურ ანბანში „ქ“ ასობგერად განზოგანდა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და არავის მოსვლია აზრად ეს ქეშმარიტება უარყო, გარდა პატივეცემულ ა. ფერხიანიანისა.

თავის გამოკვლევაში ა. ფერხიანიანი ამის გამო ერთ ადგილას წერს:

...Армянский знак для К' (ე. ი. „ქ“) оказался на последнем месте, выступая как отражение греческого X)<sup>12</sup>.

იქვე რამდენიმე გვერდით წინ ა. ფერხიანიანი წერს:

«Армянский знак для К' (е. и. „ქ“). восходит к арамейскому «Коф»—У (но никак не к греческому X)<sup>13</sup>.

ამგვარად ა. ფერხიანიანის აზრით ეს სომხური გრაფემა არამეულ „კოფ“-ს უკავშირდება. ხოლო ქართული „ქანი“ კი ამის შემდგომ რატომღაც სომხურს.

მაგრამ ა. ფერხიანიანის კონცეფცია არ მართლდება.

სომხური „ქე“ ასო-ნიშანი როგორც ფონემურად, აგრეთვე გრაფიკულად ბერძნულ X ( $\chi$ ,  $\chi$ ი“-ს) უკავშირდება და აი, როგორ (იხ. ტაბ. № 6).

1	┌ - 3
2	└ - Ե
3	┌ - ლ (ზეილა)
4	└ - ს
5	ϕ - ფ
6	ϕ - ქ

ტაბ. № 5

<sup>12</sup> А. Г. Периханиян. К вопросу о происхождении армянской письменности. Переднеазиатский сборник, II, Москва, 1966, стр. 119.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 113.

ბერძნული X გრაფემა ჯვარის ერთ-ერთი ფორმაა და იგი უძველესი წარმოშობისაა. ეს ნიშანი ისევე ძველია, როგორც ბერძნული ანბანი. უფრო გვიან ქრისტიანულ ეპოქაში ჯვარის ეს ფორმა ე. წ. *crux decussata* გააზრებული იქნა. როგორც ქრისტეს მონოგრამა, როგორც *Χριστος* (ქრისტეს) სიტყვის პირველი ასო-ნიშანი. ბერძნული X ასო-ნიშანი ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოდ იქცა. ამ მონოგრამა-სიმბოლოს შემდგომ თავისი განვითარება აქვს: მე-2 საუკუნის მეორე ნახევარში ბერძნული I და X ასოების შეერთებით სიმბოლომ შემდეგნაირი სახე მიიღო: იხ. 2. ე. ი. იესო ქრისტე; მე-3-4 საუკუნეებში მონოგრამა კიდევ უფრო გართულდა: იხ. 3. ე. ი. ი ესო ქრისტე; ქრისტეს ამ მონოგრამას დაახლოებით 350 წელს გაუჩნდა დამატებითი, ჯვარცმის აღმნიშვნელი ჰორიზონტალური ხაზი შუაში: იხ. 4. ხოლო 355 წლიდან ეს ნიშანი გამარტივდა იმით, რომ ჩამოსცილდა ჯვარის ძველი ფორმა — *crux decussata* და ქრისტეს სიმბოლომ მე-4 საუკუნის მეორე ნახევრის დროინდელი ფორმა მიიღო:<sup>14</sup> იხ. 5.



ტაბ. № 6

სომხური ანბანის უკანასკნელ 36-ე გრაფემად და „ქ“ („ქე“) ფონემის აღმნიშვნელად აკროფონიის პრინციპის შესაბამისად ზუსტად ეს ქრისტეს მონოგრამა ზის.

ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომ არ დაერთო სომხური ენის სპეციფიკური ფონემური ასო-ნიშნები სომხურ ანბანს ბოლოში, როგორც ეს საერთოდ ყველა უძველეს ანბანურ დამწერლობაში ხდებოდა.

სომხური დამწერლობა ქრისტიანული ეპოქის ძეგლია. ამ დამწერლობის საშენ მასალად გამოყენებულია ქრისტიანული ერების (ეთიოპელთა, ქართველთა და ბერძენთა) ანბანური ასო-ნიშნები, ხოლო ქრისტიანული სიმბოლო (ქრისტეს მონოგრამა) სომხური ანბანის დასასრულის ნიშნად ზის.

ამას გარდა, სომხური ანბანის უკანასკნელი გრაფემა სომხური ანბანის შექმნის სათარიღო მაჩვენებლადც გამოდგება: რადგან სომხურ ანბანში დღესტურებულმა ქრისტეს მონოგრამამ მხოლოდ მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში მოიპოვა საყოველთაო საქრისტიანო აღიარება, ამიტომ სომხური ანბანიც, რა თქმა უნდა, უადრეს მე-4 საუკუნის მეორე ნახევრისა ვერ შეიქმნებოდა. ეს სათარიღო მაჩვენებელი ამარტებს სომხური წყაროების ჩვენებას სომხური ანბანის შექმნის დროის შესახებ.

დავუბრუნდეთ მესამე გრაფიკული სისტემის ნიშნებს (იხ. ტაბ. № 5).

რაკი სომხური „ფვრ“ ზუსტად ბერძნული შესაბამისი ასო-ნიშნის მოხაზულობისაა, ხოლო სომხური „ქე“, როგორც უკვე ითქვა, ბერძნული X („ხი“) ასო-

<sup>14</sup> ქრისტეს სიმბოლური გამოსახვის შესახებ იხ. სპეც. ლიტერატურა: ლ. ქ ა ჯ ა ი ა, ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში. პალეოგრაფიული ძიებანი, 11, თბილისი, 1959; V. Gardthausen. Griechische palaeographie, Leipzig, 1879, გვ. 117; Н. В. Покровский. Очерки памятников христианской иконографии и искусства. С-Пб., 1900, გვ. 30, 31; И. В. Понятовский. Археологическая находка в Пуатье. Записки Императ. русского археолог. общества, т. II, вып. II, С-Пб., 1886, გვ. 65.

Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрон. С-Пб. 1895. Крест Иисуса Христа и его изображения.



ნიშნისაგან გამოდის, ამიტომ გასარკვევია პირველი ოთხი ასო-ნიშნის გრაფიკული ჩანაფიქრი. რადგან ამ ოთხი ასო-ნიშნის გრაფიკა მეტად მარტივია, უფრო საფიქრებელია, რომ ეს გრაფიკა ხელოვნურად არის შექმნილი. მით უმეტეს, რომ სომხური ასო-ნიშნების გრაფიკა და გრაფიკული მოდიფიკაცია ემყარება ასო-ნიშნის ვერტიკალსა და ამ ვერტიკალიდან მარჯვნივ წარზიდულ დამატებით ხაზს (ასეა ნალისებურ გრაფემებში, ასეა აქაც). ამიტომ ამ გრაფიკული ერთეულებიდან უმარტივესი და ამოსავალი სომხური „უნ“-ის გრაფიკული მოხაზულობა უნდა იყოს, ხოლო მომდევნო სამი გრაფემა ამოსავალი გრაფემის თანამიმდევრული სახე-ცვლილებაა, გრაფემების მოდიფიკაციის საერთო წესისამებრ — ზემოდან ქვემოთ. სომხური გრაფემების მოდიფიკაციის ეს წესი დაცულია სომხური ანბანის როგორც პირველ, აგრეთვე მეორე და მესამე გრაფიკულ სისტემებში.

არც მეორე შესაძლებლობა გამოიციხული: თუ სომხური „უნ“-ის მონახულობა შესაბამისი ბერძნული გრაფემის საფუძველზეა შექმნილი

Υ → Υ → Ξ

ირიბი ხაზების გასწორახოვნების მეშვეობით, ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვან კანონზომიერებას ვლტულობთ:

სომხური ანბანის სამივე ანბანურ ჯგუფს საფუძველად დასდებია:

1. „სემურ“ (ნალისებური გრაფემების) ჯგუფს — ქრისტიანული ეთიოპური ანბანის პირველი გრაფემა;

2. „ქართულ“ (რკალისებური გრაფემების) ჯგუფს — ქრისტიანული ქართული ანბანის პირველი გრაფემა;

3. „ბერძნულ“ (ყუთხოვანი გრაფემების) ჯგუფს — ქრისტიანული ბერძნული ანბანის ბერძნული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა.

თუ ეს ასეა, სომხური ანბანი მკაცრი პალეოგრაფიული ჩანაფიქრის განხორციელების შედეგი ყოფილა, ხოლო სომხურ ანბანში თავიდან ბოლომდე გატარებული ყოფილა ერთი, ფრად მნიშვნელოვანი, ზოგადი ხასიათის თვალსაზრისი.

ამგვარად ამ ოთხი ნიშნის გრაფიკული ჩანაფიქრი ასეთია: პირველი გრაფემა — ვერტიკალური ხაზი, მარჯვნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზით შუაში; მეორე გრაფემა — ვერტიკალური ხაზი, მარჯვნივ წარზიდული გრძელი და მოკლე ჰორიზონტალური ხაზებით შუაში და ბოლოში; მესამე გრაფემა — ვერტიკალური ხაზი, მარჯვნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზით ბოლოში; მეოთხე გრაფემა — ვერტიკალური ხაზი, მარჯვნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზითა და დამატებითი ნიშნით — რკალით შუაში.

სომხური ანბანის მესამე ჯგუფმა არა მარტო სომხური ანბანის „ბერძნული“ ჯგუფით შეავსო სომხური ანბანი, არამედ „სემურსა“ და „ქართულ“ ჯგუფებს ორივეს ერთად სამი გრაფემა დაუმატა. თუ „სემურ“ უძველეს ანბანურ დამწერლობებში „ალეფი“-დან „ტავ“-ამდე 22 გრაფემაა, სომხურ ანბანში „აბზ“-იდან „ტვზ“-ამდე 24 გრაფემაა. სომხური ანბანის „სემურ“ ჯგუფს მესამე გრაფიკული ჯგუფიდან დაემატა ორი ასო — შ (ე. მეშვიდე) და „ლუნ“ — რბილი „ლასი“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელის გრაფიკული მოხაზულობა ძალიან წააგავს ლათინური L (el) გრაფემის მოხაზულობას. შესაძლოა, ეს არც იყოს შემთხვევითი.

ასო „ხე“-ს გრაფიკა შესაძლოა მესამე გრაფიკულ ჯგუფს არც ეკუთვნოდეს. ამ შემთხვევაში ეს პირობითობაა. თუ ეს ასო-ნიშანი გრაფიკულად სომხური ანბანის „ქართულ“ ჯგუფში ვერ მოთავსდა, ამით არაფერი დაშავებულა. ვფიქრობ. ქართული „ხან“-ის შესატყვისი სომხური გრაფემა უშუალოდ ქართული „ხან“-ისა და „ქარ“-ის გრაფიკული მოხაზულობიდანაა გამოყვანილი.

### III

ახლა გასარკვევია სომხური ანბანის სტრუქტურა: რა გრაფიკული პრინციპებით ხელმძღვანელობდა სომხური ანბანის შემქმნელი, როცა მას ცალკეული სომხური გრაფემები გამოყავდა? როგორ დაუთავებია ერთმანეთს სამი განსხვავებული გრაფიკული სისტემა?

დავუბრუნდეთ სომხური ანბანის პირველ გრაფიკულ სისტემას.

გრაფიკული სისტემის ქვეჯგუფებში რამდენიმე, ძირითადად ერთი მოხაზულობის გრაფემები გვაქვს. ერთ შემთხვევაში — პირველ ქვეჯგუფში ოთხი ერთეული (პირალმა ნალისებური გრაფემა), სხვა შემთხვევებში სამ-სამი ერთეული (მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ქვეჯგუფებში). ხოლო უკანასკნელ მეშვიდე, მერვე და მეცხრე ქვეჯგუფებში თითო-თითო გრაფემა.

ქვეჯგუფებში დამატებითი ნიშნების შემწეობით ერთი და იგივე გრაფემის რამდენიმე სახესხვაობას ვღებულობთ. დამატებითი ნიშნები გრაფემებს გარკვეული თანამიმდევრობით მოუღიბთ, ე. ი. გრაფემების თანამიმდევრობა ქვეჯგუფებში გარკვეულ გრაფიკულ წესს ემორჩილება; უპირველესი გრაფემა — წმინდა გრაფემა განმასხვავებელი, დამატებითი ნიშნის გარეშე, შემდეგ — იგივე გრაფემა ზემო დამატებითი ნიშნით, შემდეგ — იგივე გრაფემა შუა დამატებითი ნიშნით და იგივე გრაფემა ქვემო დამატებითი ნიშნით. ე. ი. გრაფიკული სისტემა იცავს დამატებითი, განმასხვავებელი ნიშნების თანამიმდევრობის გარკვეულ წესს — ზემოდან ქვემოთ.

ცხადია, ამ დამატებითი, განმასხვავებელი ნიშნების საშუალებით ანბანის შემოქმედი ქმნის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ანბანურ ასო-ნიშნებს. წმინდა გრაფიკული თვალსაზრისით, ანბანის შემქმნელი ცდილობს ყოველ ცალკეულ ქვეჯგუფში დამატებითი ნიშნების დახმარებით გრაფემებს შორის მსგავსების ნიშან-კვალი წაშალოს და სრულიად სამართლიანადაც.

ამას გარდა, დამატებით ნიშნებს, როგორც დაკვირვებამ ცხადყო, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. დამატებითი ნიშანი ერთმანეთისაგან განასხვავებს არა მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეჯგუფში შემავალ გრაფემებს, არამედ სხვადასხვა ქვეჯგუფის გრაფემებსაც. როგორც აღინიშნა, პირველი ქვეჯგუფის აღმა-ნალისებურ გრაფემას მეორე ქვეჯგუფის დაღმა-ნალისებური გრაფემა შეეფარდება და ამდენად მათი გრაფიკული ნათესაობა საკმაოდ თვალსაჩინოა. ამგვარივე მიმართებაა მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის. დამატებითი ნიშნების საშუალებით ანბანის შემქმნელი ცდილობს ერთი ქვეჯგუფის გრაფემა მეორე ქვეჯგუფის შესაბამ გრაფემისაგან შექცობისამებრ მეტად განასხვავოს.

მაგალითად: პირველი ქვეჯგუფის მესამე გრაფემას მოსალოდნელი იყო დამატებითი ნიშანი ვერტიკალის შუაში ჰქონოდა, მსგავსად მეორე ქვეჯგუფის მეორე გრაფემისა. მაგრამ ამ ორ გრაფემას შორის მსგავსების თავიდან აცილების მიზნით, მარტივი დამატებითი ნიშნის მაგიერ, პირველი ქვეჯგუფის მესამე

გრაფემას მეტად რთული დამატებითი ნიშანი მოეძებნა. ამით სომხური ანბანის შემქმნელმა სომხური ანბანის პირველი ასო-ნიშანი („აბაბ“), არა მარტო მეორე ქვეჯგუფის მეორე გრაფემას („რ“ — კოშტი), არამედ საერთოდ ყველა ნალისებური გრაფემისაგან განასხვავა. ამით „ნალისებური“ გრაფიკული ერთფეროვნება სომხური ანბანის პირველი ასო-ნიშნიდანვე აღიკვეთა. საგულისხმოა რომ ამ გრაფემამ დროთა მანძილზე თავისი მარტივი და მოსალოდნელი ფორმა მიიღო (იხ. ტაბ. № 7).

✓ ს.    ✓ ო ს.    × ს.    × ო ს.  
 Ⴑ    Ⴑ    Ⴑ    Ⴑ

ტაბ. № 7

შემდეგ, მე-3, მე-4 და მე-6 ქვეჯგუფების პირველ გრაფემებს ურთიერთ-მსგავსება უმცირდებათ სწორედ დამატებითი ნიშნების წყალობით: ერთ მათგანს დამატებითი ნიშანი სულ არა აქვს (მე-4 ქვეჯგუფის პირველი გრაფემა), მეორეს დამატებითი ნიშანი ზემოთ მოუღის (მე-3 ქვეჯგუფის პირველი გრაფემა), ხოლო მესამეს დამატებითი ნიშანი ვერტიკალის შუაში მოუღის (მე-6 ქვეჯგუფის პირველი გრაფემა). მე-5 ქვეჯგუფში მოსალოდნელი იყო პირველი გრაფემა წმინდა სახით გვექონოდა. ამ შემთხვევაში იგი მე-4 ქვეჯგუფის პირველი გრაფემის მსგავსი იქნებოდა. ამგვარადვე, მე-5 ქვეჯგუფის მეორე გრაფემა ძალზე დაემგვანებოდა მე-3 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას, ხოლო ისევ მე-5 ქვეჯგუფის მესამე გრაფემა — მე-6 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას. ამის შედეგად პარალელური, მსგავსი ასო-ნიშნების რაოდენობა ნალისებურ ჯგუფში ექვსი ერთეულით გაიზარდებოდა. ასო-ნიშნების ურთიერთმსგავსების თვალსაჩინოებას შეუძლებელია არ გამოედო გრაფიკული ერთფეროვნების არასასურველი შედეგი. მე-5 ქვეჯგუფის უარყოფის ერთ-ერთი მიზეზი ისეც უნდა იყოს (იხ. ტაბ. № 3).

შემდეგ, რადგან მე-3 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას დამატებითი ნიშანი ზემოთ მოუღის, ხოლო მე-6 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას შუაში (თუ რა მიზეზით, ამის შესახებ ზემოთ ითქვა), ამის გამო ორივე ქვეჯგუფის მესამე გრაფემებს დამატებითი ნიშნებად, ერთ შემთხვევაში ქვემო და, მეორე შემთხვევაში, ზემო ვერტიკალები აქვთ, რადგან გრაფემის მომრგვალებული ნაწილი მარჯვნივ წარზიდულ ჰორიზონტალს ვეღარ მიიმატებდა.

კიდევ ერთ შემთხვევაში, მე-2 ქვეჯგუფის მესამე გრაფემას, ჰორიზონტალური ხაზის ნაცვლად, დამატებითს ნიშნად კვანძის მსგავსი ნიშანი აქვს. ყოველივე ეს გრაფიკული მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას აძლიერებს.

დამატებითი ნიშნების გამო კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: ეს ნიშნები გრაფემებს მოუღით მარჯვენა მხარეს და ისინი მარჯვნივ არიან წარზიდულნი, ერთი გამონაკლისის გარდა: მესამე ქვეჯგუფის პირველ გრაფემას დამატებითი ხაზი მარცხნივ მოუღის და გრაფემის მარცხნივ არის წარზიდული (ამ ფრიად მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ საუბარი გვექნება სხვა დროს, ქართული ასომთავრული დამწერლობის განხილვისას).

უპრეცედენტოა თუ არა ასო-ნიშნების გამოყვანის ის გრაფიკული მეთოდი, რომელსაც სომხური ანბანის შემქმნელი იყენებს?



ცნობილია თუ არა დამწერლობის ისტორიასა და მეცნიერულ პალეოგრაფიაში გრაფემის იმდაგვარი ბრუნვა-ტრიალი, რაც სომხურ გრაფიკაში ესოდენ თვალსაჩინოა?

აქ მოკლედ ვიტყვი:

სომხურ ანბანში გამოყენებულია ასო-ნიშნების გამოყვანის ე. წ. ბუსტროფედონული წერის არა ადრინდელი, არამედ გვიანდელი მექანიკური წესი.

ბუსტროფედონით წერის დროს რომელიმე ფონემური მნიშვნელობის გრაფემას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთადერთი ფორმა, უმრავლეს შემთხვევაში კი ორი და ოთხი სხვადასხვა ფორმა. გრაფემის მოხაზულობის სპეციფიკა ბუსტროფედონით წერის დროს გვაძლევს შემდეგ შესაძლებელ ფორმებს:

1. გრაფემას აქვს ერთადერთი, ძირითადი ფორმა. მაგ.: I; O; H.

2. გრაფემას აქვს ძირითადი და ანტიფორმა. მაგ.: C — Sigma და  $\bar{C}$ -antisigma (გვიანდელ ლათინურში, კეისარ კლავდიუსის დროს ანტისიგმას მიენიჭა „ფს“ მნიშვნელობა, ე. ი. გამოყენებულ იქნა გვიანდელი მექანიკური წესი).

3. გრაფემას აქვს ძირითადი და ინვერსიული (inversum) ფორმა. მაგ.: T და L inversum.

4. გრაფემას აქვს როგორც ძირითადი და ანტი, აგრეთვე ინვერსიული ფორმები მაგ.:  $\bar{C}$ -digamma, F-antidigamma,  $\bar{C}$ , L—digamma inversum.

თუ ახლა სომხური ანბანის „სემურ“ და „ქართულ“ გრაფიკულ სისტემებს გადავხედეთ, დავინახავთ, რომ ამ ჯგუფებში დასტურდება გრაფემის როგორც ძირითადი, აგრეთვე „ანტი“ და „ინვერსიული“ ფორმები, ხოლო ამ ფორმებს ნებისმიერი ფონემური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, ე. ი. სომხურ ანბანში დასტურდება ასო-ნიშნების გამოყვანის გვიანდელი მექანიკური წესი.

ახლა რაც შეეხება დამატებითს ნიშნებს. ძირითად დამატებითს ნიშნებად სომხურ ანბანში გამოყენებულია მოკლე პორიზონტალური ან ვერტიკალური ხაზები. ამ დამატებითი ნიშნების დანიშნულება სომხურ ანბანში თითქმის ცხადია: დამატებითი ნიშანი ერთ რომელიმე გრაფემას მეორისაგან განასხვავებს.

ცნობილია თუ არა მეცნიერულ პალეოგრაფიაში დამატებითი ნიშნების გამოყენების ეს წესი? როგორც ჩანს, ცნობილია.

დამატებითი ნიშნები აუცილებელია მონუმენტური სახის დამწერლობაში. კერძოდ, დამატებითი ნიშნები გამოყენებულია ბერძნულ და ქართულ მონუმენტურ დამწერლობებში. სომხური ერკათაგირი კი მონუმენტური დამწერლობის ერთ-ერთი სახეობაა (დამატებითი ნიშნების დანიშნულების შესახებ უფრო ვრცლად საუბარი გვექნება ქართული ასომთავრული დამწერლობის განხილვისას). დამატებითი ნიშნები იმავე მიზნით, უფრო თვალსაჩინოდ და უფრო ხშირად გამოყენებულია სილაბურ ანუ მარცვლოვან დამწერლობებში (ქპაროშთი, ბრაჰმი, ეთიოპური და სხვ.).

როგორც უკვე აღინიშნა, აკად. დ. ოლდეროგეს თვალსაზრისით, სომხურ ანბანში გამოყენებულია ასოთა გარდაქმნა-მოდიფიკაციის ეთიოპური პრინციპი. იმ განსხვავებით, რომ თუ ეთიოპურ დამწერლობაში ეს პრინციპი ეთიოპური დამწერლობის ვოკალიზაციის ემსახურება, სომხური ანბანის შემქმნელი ამ პრინციპს სომხური ანბანური გრაფემების შესაქმნელად იყენებს.

ამის შესახებ კარგად წერს დ. ოლდეროვე:

„In building the Armenian alphabet Mashtotz knew the principles underlying the Ethiopian written language. The serifs or rings above, in the middle or beneath the letter in the Ethiopian alphabet has a definite semantic meaning—they serve as vocal modifiers. The Mashtotz alphabet follows the same principle of modifications—the addition of serifs and rings to the body of the letter. However, the addition of these serifs and circles was not dictated by the need for vocalization—that was needless. The Armenian written language of Mashtotz was a purely alphabetical system.

In compiling his alphabet Mashtotz used some additional serifs. Apparently, the material from which he moulded the letters was provided by the symbols which then were current in Armenia and the neighbouring countries, i. e. different alphabetical symbols of the Aramaic or Pahlevi origin. However Mashtotz gave them a definite form and patterned them as the Ethiopian syllabic letters. In shaping individual letters Mashtotz made provisions for their graphic modifications, as in the Ethiopian written language, in which these modifications had a functional significance<sup>15</sup>.

რა კავშირია ეთიოპურ და სომხურ დამწერლობებს შორის? ეთიოპური ანბანი თავისი წარმოშობით სამხრეთ სემიტურ დამწერლობებს უკავშირდება (იხ. ტაბ. № 8), მაგრამ ვოკალიზაციის პრინციპი ეთიოპურ ანბანში ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში უნდა შემოეღოთ. რაში მდგომარეობს ეს პრინციპი?

რაკი ეთიოპურ ანბანს ხმოვნები არ გააჩნდა, ამიტომ ეთიოპური გახმოვანებული ანბანის ყოველი თანხმოვანი შეიღნაირად დიწერა, იმის მიხედვით, თუ რომელ ხმოვანთან უნდა წაკითხულიყო. ამიტომ ყოველ თანხმოვანს შეიღი გრაფიკული სახესხვაობა გაუჩნდა, ეთიოპური დამწერლობა კი ფაქტურად მარცვლოვან დამწერლობად იქცა.

თუ ეთიოპურ ანბანში სულ 26 ასო-ნიშანია, ხოლო თითოეულ გრაფემას შეიღი სხვადასხვა მოხაზულობა აქვს, — ეთიოპურ გახმოვანებულ ანუ ვოკალიზებულ ანბანში სულ  $26 \times 7 = 182$  გრაფემაა (იხ. ტაბ. № 8).

განსაკუთრებით საყურადღებოა ვოკალიზებული ეთიოპური დამწერლობის პირველი ასო-ნიშანი „ჰ“. იგი აღმა ნალისებურ გრაფემას წარმოადგენს და თავისი მოხაზულობით სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის პირველ გრაფემას უდრის (იხ. ტაბ. № 8).

აგრეთვე საყურადღებოა ეთიოპური დამწერლობის ასო „ბ“. იგი დაღმა ნალისებურ გრაფემას წარმოადგენს და თავისი მოხაზულობით სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის მე-2 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას უდრის (იხ. ტაბ. № 8).

თუ ეთიოპურ ანბანში გრაფემის შეიღნაირი სახესხვაობა, გრაფემის მოდიფიკაცია გამოყენებულია ანბანის გახმოვანების, ვოკალიზაციის პრინციპად, სომხურ ანბანში პირველი ეთიოპური აღმა ნალისებური გრაფემის მოდიფიკაცია გამოყენებულია სომხური ასო-ნიშნების გამოყვანის მიზნით („სემური“ ჯგუფის ფარგლებში).


<sup>15</sup> დ. ოლდეროვე, დსაპ. ნაშრომი, გვ. 9—10.

პეტრა	თანხმოვანი						
	13 +	15 +	1- +	13 +	12 +	პეტრა + სკიკინი	10 +
h	ሀ	ሁ	ሂ	ሃ	ሄ	ህ	ሆ
l	ለ	ሉ	ሊ	ላ	ሌ	ል	ሎ
h	ሐ	ሑ	ሒ	ሓ	ሔ	ሕ	ሖ
m	መ	ሙ	ሚ	ማ	ሚ	ም	ሞ
s	ሠ	ሡ	ሢ	ሣ	ሤ	ሥ	ሦ
r	ረ	ሩ	ሪ	ራ	ሬ	ር	ሮ
s	ሰ	ሱ	ሲ	ሳ	ሴ	ሰ	ሶ
q	ቀ	ቁ	ቂ	ቃ	ቄ	ቅ	ቆ
b	በ	ቡ	ቢ	ባ	ቤ	ብ	ቦ
t	ተ	ቱ	ቲ	ታ	ቲ	ት	ቶ
h	ኀ	ኁ	ኂ	ኃ	ኄ	ኅ	ኆ
n	ነ	ኑ	ኒ	ና	ኔ	ን	ኖ
.	አ	ኡ	ኢ	ኣ	ኤ	አ	ኦ
k	ከ	ከ	ከ	ካ	ኬ	ክ	ኮ
w	ወ	ዉ	ዊ	ዋ	ዌ	ው	ዎ
o	ዐ	ዑ	ዒ	ዓ	ዔ	ዕ	ዖ
z	ዘ	ዙ	ዚ	ዛ	ዜ	ዝ	ዞ
j	የ	ዩ	ደ	ያ	ዬ	ይ	ዮ
d	ደ	ዱ	ዲ	ዳ	ዴ	ድ	ዶ
g	ገ	ገ	ጊ	ጋ	ጌ	ግ	ገ
r	ጠ	ጡ	ጢ	ጣ	ጤ	ጥ	ጦ
p	ጸ	ጹ	ጺ	ጻ	ጼ	ጽ	ጾ
~	ጸ	ጹ	ጺ	ጻ	ጼ	ጽ	ጾ
d	ፀ	ፁ	፲	፳	፴	ፅ	ፆ
f	ፈ	ፉ	ፊ	ፋ	ፍ	ፎ	ፇ
p	ፐ	ፑ	ፒ	ፓ	ፔ	ፕ	ፖ



ამრიგად, ეთიოპური ანბანის გრაფიკული პრინციპი სომხურ ანბანში განსხვავებული შინაარსისაა და განსხვავებულ მიზანს ემსახურება. აქ გამომყდონდა სომხური ანბანის შემქმნელის უდავო მიგნება და შემოქმედებითი ნიჭი. მან შეიძლება ითქვას, ანბანის შექმნის ორიგინალური — გრაფიკული გზა გაკვალა.

მეორეს მხრივ, რაკი ვოკალიზებული ეთიოპურიცა და სომხური ანბანიც მეტ-ნაკლებად გრაფემების მოდიფიკაციის პრინციპზეა აგებული, — ერთი ანბანის გრაფემა ადვილად შესაძლებელია მეორე ანბანის რომელიმე გრაფემას დაემთხვეს, მით უმეტეს, როცა ეთიოპურ ანბანში 182 გრაფემაა. ამიტომ შეცდომა იქნება ცალკეული სომხური ასო-ნიშნები ეთიოპური ანბანის ცალკეულ გრაფემებს მივამგვანოთ, როგორც ამას აკად. დ. ოლდეროგე აკეთებს. მეცნიერის თვალსაზრისი კარგად ჩანს მის მიერ შედგენილ გრაფიკულ ნახაზზე (იხ. ტაბ. № 9).



ტაბ. № 9

ტაბულაზე აღბეჭდილი ყოველი პირველი პწკარი ეთიოპური გახმოვანებულ და მწერლობის გრაფემებია, ხოლო ყოველი მეორე პწკარი სომხური ანბანის გრაფემებია.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვოკალიზაციის პრინციპი ცნობილი გახდა ეთიოპიაში დაახლოებით 300 წელს ახ. წელთაღრიცხვით. ვარაუდით ვოკალიზაციის პრინციპი ეთიოპიაში ინდოელ მისიონერებს უნდა შემოეტანათ<sup>16</sup>, ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, ვოკალიზებული

<sup>16</sup> Hans Jensen. Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart. Berlin, 1958, გვ. 325.

ეთიოპური ანბანის შემოღებას დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის პირველი ნახევრით ვარაუდობენ<sup>17</sup>.

ქრონოლოგიის თვალსაზრისით ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია. თუ ეთიოპურ-სომხურ დამწერლობათა შორის მართლაც არსებობს გარკვეული კავშირი, მაშინ სომხური ანბანის წარმოშობა დაახლოებით ახ. წ. მე-4 საუკუნის მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს და არა უადრეს ამ დროისა, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება სომხური საისტორიო წყაროების ჩვენებებს.

მაგრამ, თუ ვოკალიზაციის პრინციპი, უფრო ადრეა შემოღებული, კერძოდ, ახ. წ. I საუკუნეში, როგორც სულ ამ უკანასკნელ ხანებში ვარაუდობენ, ამ შემთხვევაში ეს პრინციპი სომხური ანბანის შექმნის ზუსტ მაჩვენებლად აღარ გამოგვადგება.

სომხური ანბანის ნალისებური გრაფემების ერთი მთლიანი და დასრულებული გრაფიკული სტრუქტურა ცხადყოფს, რომ თავდაპირველად შესაძლოა არსებულიყო ამ გრაფიკული სტრუქტურის მე-5 ქვეჯგუფის სამი გრაფიკული ერთეულიც, მით უმეტეს, რომ გრაფიკული სტრუქტურა 22 გრაფიკული ერთეულის შემცველი უნდა ყოფილიყო, ე. ი. გრაფიკული სტრუქტურა გამიზნული იყო „სემური“ 22 ნიშნიანი ანბანური ჯგუფისათვის — „აბჃ“-იდან „ტჳნ“-ამდე. გარდა ამისა „ნალისებური“ გრაფემების სტრუქტურულ S — ასო-ნიშნში ჩაქსოვილია მე-5 ქვეჯგუფის ნალისებური გრაფემის ნახაზიც.

მას შემდეგ, რაც სომხურ ანბანში გამოიყო სამი სხვადასხვა გრაფიკული ჯგუფი, სამად-სამი გრაფიკული ერთეული ყოველგვარი გრაფიკული სისტემების გარეშე დარჩა. მათი ფონემური მნიშვნელობა ნალისებური გრაფემების ზუსტად მე-5 ქვეჯგუფში მოთავსდა. „გრაფიკული ნაშთი“ თავის ახსნა-განმარტებას პოულობს: ეს „ნაშთი“ შემოღებულია სამი უარყოფილი ნალისებური გრაფემის სანაცვლოდ. ეს ვითარება არათუ ასუსტებს, არამედ კიდევ უფრო მეტად ამაგრებს სომხური ანბანის გრაფიკული სტრუქტურის ჭეშმარიტებას.

რატომ იქნა უარყოფილი მე-5 ქვეჯგუფის სამი ნალისებური გრაფემა? ამას მთელი რიგი მიზეზები აქვს:

„ენკათაგირის“ დამწერლობაში სულ 36 ასო-ნიშანია, ე. ი. თავდაპირველად უნდა გექონოდა 22 ნალისებური გრაფემა და მხოლოდ 14 ასო-ნიშანი განსხვავებული გრაფიკული მოხაზულობისა. ნალისებური გრაფემების სიმრავლეს უთუოდ უნდა გამოეწვია არასასურველი გრაფიკული თვალსაჩინოების შედეგი. ანბანში ნალისებური გრაფემების ზენაჯერობას შეუძლებელია ანგარიში არ გასწეოდა, მით უმეტეს, რომ სამი უარყოფილი ნალისებური გრაფემიდან ერთ-ერთს „ინ“ — ხმოვნის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, კერძოდ, მე-5 ქვეჯგუფის მეორე გრაფემას.

გარდა ამისა, გრაფიკული სტრუქტურის მეშვეობით აღდგენილი მე-5 ქვეჯგუფის სამი ნალისებური ერთეული გრაფიკული სისტემის სუსტი რგოლია. რადგან სომხური ანბანის ასო-ნიშნები მარცხნიდან მარჯვნივ უნდა იწერებოდეს, წერის მიმართულების შესაბამისად და ამ წესს პირველი გრაფიკული სისტემის ყველა ცხრამეტივე გრაფემა ემორჩილება, სავარაუდებელია მე-5 ქვეჯგუფის გრაფემები უარყოფილ იქნა იმის გამოც, რომ ეს გრაფემები, პირიქით, მარჯვნიდან მარცხნივ უნდა დაწერილიყო.

<sup>17</sup> Д. Дирингер, Алфавит. Москва, 1963, стр. 278.

გარდა ამისა, ასო-ნიშნის გრაფიკა მოწმდება სხვა ასო-ნიშნებთან ურთიერთდაკავშირების გრაფიკული კომბინაციების მეშვეობით. ამ თვალსაზრისით მე-5 ქვეჯგუფის გრაფემები მოგვემდინენ შემდეგნაირ გრაფიკულ კომბინაციებს:

ჩს , სჩ , ქრ და სხვ.

სავარაუდებელია, მე-5 ქვეჯგუფის ნალისებური გრაფემები უარყოფილ იქნა ამ არასასურველი გრაფიკული კომბინაციების თავიდან აცილების მიზნითაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას; ნალისებური გრაფემების გრაფიკული სტრუქტურის მეშვეობით შესაძლებელი ვახდა აღდგენილიყო სამი ნალისებური გრაფემის მოხაზულობა და ამდენად ნალისებური გრაფემების იქნებ თავდაპირველი მთლიანი გრაფიკული სტრუქტურაც. ამიტომ, შესაძლოა, თავდაპირველად „ნალისებურ“ გრაფიკულ სისტემაში გაერთიანებული იყო 22 ასო-ნიშანი, ანუ სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფი „აბზ“-იდან „ტვნ“-ამდის.

აღსანიშნავია ისიც, რომ კორიუნის თხზულებასა და სხვა სომხურ ისტორიულ წყაროებში ხაზგასმული დაბეჯითებით არის ლაპარაკი სირიელი დანიელის 22 ასო-ნიშნის თაობაზე. ეს 22 ნიშნისანი დამწერლობა თითქოს დაინერგა კიდევ სომხეთში. მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა სომხური ენის ფონემების სიმრავლისა თუ თავისებურების გამო.

ხომ არ არის რაიმე კავშირი სირიელი დანიელის 22 ნიშნიან დამწერლობასა და სომხური ანბანის ნალისებური გრაფემების 22 ნიშანს შორის?

დაბეჯითებით ამაზე, რა თქმა უნდა, ძნელია რაიმე ითქვას. ამგვარად, თუ მე-5 ქვეჯგუფის სამი ნალისებური გრაფემა თავდაპირველად მართლაც არსებობდა, რომელი გრაფიკული ერთეულებით შეიცვალა ეს სამი უარყოფილი ნალისებური გრაფემა? აი, ეს გრაფემები:

ღ . ზ . ზ . ი . ზ . ე

რომელი დამწერლობით სარგებლობდა სომხური ანბანის შემქმნელი, როცა ანბანში ეს სამი ახალი გრაფემა შემოჰქონდა? საქმე ის არის, რომ არცერთ ანბანურ დამწერლობაში ამ სომხურ ასო-ნიშნებს იმავე მნიშვნელობის მსგავსი მოხაზულობის გრაფემები არ ეძებნებათ და პირუკუ, სომხური ანბანის „ზა“ განსაკუთრებულ მსგავსებას პოულობს ქართული „ღონ“-თან (წ), იმ განსხვავებით, რომ სომხური „ზა“ თავდაღმაა გადმოტრიალებული. ქართული „ღონი“ თავის მხრივ ფინიკურ, ბერძნულ და სამხრეთ სემიტურ „ღონ“-ებს ჰგავს, მაგრამ სომხური „ზა“ ყველაზე დიდ მსგავსებას ქართულ „ღონ“-თან ამქლავნებს.

შემთხვევითია თუ არა ეს მოვლენა? როგორც ჩანს, — არა. უკვე აღინიშნა, რომ სომხური „ხე“ (ჰ), ქართული „ხან“-ისა (ჲ) და „გარ“-ის (ყ) საფუძველზეა შექმნილი.



ივ. ჯავახიშვილი ამის გამო აღნიშნავს:

„სომხური „ხე“ ქართულ „ხ“-ს ცოტად თუ ბევრად მიაგავს...“<sup>18</sup> გარდა ამისა, როგორც გამოირკვა, სომხურ ანბანში დასტურდება „ქართული“ ანბანური ჯგუფი, რომელიც ქართული ასომთავრული „ანი“-ს გრაფიკული მოდიფიკაციის საფუძველზეა შექმნილი, სომხური ანბანის „ქართული“ ანბანური ჯგუფი გრაფიკულად ქართული ასონიშნების ანბანურ თანამიმდევრობას მი-სდევს.

ამიტომაც სავსებით შესაძლებელია სომხური „ხა“, ქართული „ღონ“-ის საფუძველზე იყოს შექმნილი.

რაც შეეხება სომხურ „ინ“-სა და „აი“-ს, უნდა ითქვას შემდეგი: სომხური „ინ“-ი თავისი გრაფიკული აღნაგობით ქართულ ასო-ნიშნებს მოგვაგონებს, კერძოდ **ი** (ე — მერვესა) და **ა** — „ჩინ“-ს. რაც შეეხება სომხურ „აი“-ს, ეს გრაფემა შესაძლოა ქართულ **ა** „აე“-საც მიეამგვანოთ; ქართულ „აე“-სა და სომხური „აი“-ს ურთიერთმიმართების შესახებ ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“ წერს:

„აღსანიშნავია, რომ სემურ „სამეხს“ და ბერძნულ „ქსი“-ს ქართულ ანბანში შესატყვისობა არ მოეპოვება, არამედ ამის მაგიერ „აე“-ზის, რომელიც შემდეგში მაინც მოკლე „ინა“-დ გამოითქმოდა... ისიცაა აღსანიშნავი, რომ მოკლე „ინი“-სათვის განსაკუთრებული ნიშანი ბერძნულსაც კი არ მოეპოვება... საყურადღებოა, რომ სომხურ ანბანშიაც მოიპოვება ამნაირი მოკლე „ინი“, რომლის მოხაზულობა ქართულისა მიაგავს, ანბანში მდებარეობთაც მიემსგავსება და თუ ქართულ ანბანში „აგს“ „მანისა“ და „ნარის“ შემდგომ აქვს დათმობილი ადგილი, სომხურ „აი“-ს „მენ“-სა და „ნუ“-ს შუა უკავია რიგი“<sup>19</sup>.

ამგვარად, პირველი გრაფიკული სისტემის გამო შეიძლება ზოგადი ხასიათის დასკვნა გამოვიტანოთ: სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის მეოხებით, ანბანის გამომგონებელმა შექმნა 22 ფონემის გამომსახველი „ნალისებური“ ნიშანი (სამი განსხვავებული ნიშნის ჩათვლით).

სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის გრაფიკული კანონზომიერებით აგებული ნიშნებისათვის ანბანის შემქმნელს შეეძლო ნებისმიერი ფონემური მნიშვნელობა მიენიჭებინა, ოღონდ „სემური“ ანბანური ჯგუფის ფარგლებში. ანბანის შემქმნელი ასეც მოიქცა: ნალისებური ნიშნების გრაფიკულ თანამიმდევრობას ქვეჯგუფების მიხედვით მან შემდგევი ფონემური მნიშვნელობა მიანიჭა: ს, მ, ა, ვ, ო, რ (კოშტი), თ, ნ, ე, კ, რ (ფაფუცი), ბ, გ, ზ, ი, ა, დ; ლ, პ; ყ, გ, ტ, სულ 22 გრაფემა — „აბზ“-დან „ტუნ“-ამდე.

ამით ანბანზე გაწყობისას ნალისებური გრაფემების თანამიმდევრული მოდიფიკაციის მთელი სტრუქტურა დაირღვა და გრაფემებს შორის მსგავსების კვალი გაჰქრა. ანბანის შემქმნელი, პირიქით, რომ მოქცეულიყო და გრაფიკული კანონზომიერებით აგებული ნიშნებისათვის შესაბამისად ანბანური თანამიმდევრული ფონემური მნიშვნელობა მიენიჭებინა, ასეთ შემთხვევაში სომხური ანბანი შემდეგ სახეს მიიღებდა:

ს, ს, სლ, ა, ი, ი, ი, ზ, ხ, ს, ი, ჩ, ე

<sup>18</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 231.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 223.



სომხურმა ანბანის შემქმნელმა „რკალისებური“ გრაფემების გადაადგილებისა და ადგილშენაცვლების საშუალებით თავიდან აიცილინა ამ გრაფემების როგორც გრაფიკული, ისე ანბანურ-ფონემური თანამიმდევრობა. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს გრაფემები „ნალისებურ“ გრაფემებს შორის გაიფანტა, მათი ანბანურ-გრაფიკული თანამიმდევრობის კვალიც წაიშალა, ანბანის დასასრულის აღმნიშვნელად ქრისტეს მონოგრამა დაისვა, ხოლო სომხურმა ანბანმა თანაზომიერად მრავალფეროვანი და ერთიანი გრაფიკული სახე მიიღო. მხოლოდ ამ გრაფიკულ ნიღაბზე უნდა აიხსნას ასო-ნიშნების ის უჩვეულო რიგი, რომელიც სომხურ ანბანში გვაქვს: ა, ბ, გ; დ; ე, ზ, მ, ჯ, თ; ყ, ი, ლ (რბილი), ხ, წ, ქ, ჰ, ძ, ლ, ჳ, მ, ე, ნ, შ, ო, ჩ, პ, ჯ, რ (კოშტი), ს, ე, ტ, რ (ფაფუკი) ც, ჳ, ფ, ქ.

#### IV

სომხური ანბანიდან „ქართული“ და „ბერძნული“ ანბანური გუფემების გამოყოფის შემდგომ, შესაძლებელი ხდება გარკვეულ იქნეს სომხური ანბანის ჭეშმარიტი „სემური“ მწკრივი და მისი წარმომავლობა.

საერთოდ ცნობილია დასავლურ ეოკალიზებულ ანბანთა „სემური“ მწკრივი (ბერძნული, ქართული, ეტრუსკული, ლათინური, იტალიკური, კოპტური, გუთური, სლავური და სხვ.) გახმოვანებულ ანბანთა „სემური“ მწკრივის განხილვის საფუძველზე, არკვევენ ამა თუ იმ გახმოვანებული ანბანის წარმომავლობა-სადაურობის საკითხს: იმის მიხედვით, თუ რომელი ანბანის „სემური“ მწკრივი უდევს საფუძვლად საკვლევ ანბანს, მტკიცდება საკვლევი ანბანის სადაურობაც.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის გამოთქმულა შეხედულება. თითქოს სომხური ანბანური მწკრივი ბერძნულ ანბანურ მწკრივს მისდევდეს. სულ ახლო ხანს იგივე თვალსაზრისი კიდევ ერთხელ ა. ფერხანინამაც გაიმეორა:

«В расположении букв Маштоц следовал порядку греческого алфавита, но так как армянских знаков было 36 против 24 греческих, то дополнительные знаки он расположил в разбивку между теми, которые соответствовали буквам греческого алфавита»<sup>20</sup>.

ეს თვალსაზრისი არ მართლდება.

თუ სომხური ანბანიდან უკვე ამოცნობილი გრაფიკული თანამიმდევრობის „ბერძნული“ და „ქართული“ მწკრივის გრაფემები ამოვკრიფეთ: ჳ, ფ, ქ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჯ, პ. ამ შემთხვევაში სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი შემდეგ სახეს მიიღებს: ა, ბ; გ; დ, ე, ზ, მ, ჯ, თ, ყ, ი, ლ (რბილი), კ, ლ, მ, ე, ნ, ო, პ, რ (კოშტი), ს, ე, ტ, რ (ფაფუკი) ე. ი. სულ 24 გრაფემა.

ცნობილია, რომ არცერთ დასავლურ ეოკალიზებულ „სემურ“ ანბანურ მწკრივში არათუ 24, სრული სემური მწკრივის 22 გრაფემაც კი არა გვაქვს, არამედ ყოველთვის 2, 3 გრაფემით ნაკლები, ევროპული ენების ცხადი ფონეტიკური ფაქტორების გამო. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო სრულყოფილია ქართული ანბანის „სემური“ მწკრივი, რომელიც 21 გრაფემას ითვლის, ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ ერთი გრაფემით ნაკლებს, ვიდრე იდეალური სემური ანბანური მწკრივი. კლასიკური ხანის ბერძნული ანბანის „სემურ“ მწკრივში მხო-

<sup>20</sup> А. Г. Периханян. К вопросу о происхождении армянской письменности. Преднеазиатский сб. II, М., 1966, გვ. 119.



ლოდ 19 გრაფემაა; კლასიკურ ეტრუსკულში კიდევ უფრო ნაკლები — 16; კლასიკურ ლათინურში — 19; კოპტურში — 20 და ა. შ.

რატომ გვაქვს სომხურ „სემურ“ ანბანურ მწკრივში 24 გრაფემა?

უკვე აღინიშნა, რომ სომხური ანბანის ნალისებური გრაფემების 22 ასონიშანს (სამი განსხვავებული გრაფიკული ასო-ნიშნის ჩათვლით), სომხური ანბანის ბერძნულ გრაფიკულ ჯგუფიდან ორი ასო-ნიშანი დემატა. რადგან სომხური ანბანის ბერძნულ გრაფიკულ ჯგუფში 5 გრაფემაა, ხოლო ამათგან სამი (ჰ, ფ, ქ) სომხური ანბანური მწკრივის ბოლოშია გამოტანილი, როგორც წმინდა ბერძნული ანბანური ჯგუფი, ამიტომ ორი გრაფემა — **ფ** (ე — მეწვიდე) და „**ლზნ**“ — რბილი „ლასი“ სომხური ანბანის სემურ მწკრივშია ჩართული.

განვიხილოთ სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი.

სომხური **ფ** (ე — მეწვიდე) მიჩნეულია სემური „ჰეთ“-ის, ბერძნული „ეტას“ და ქართული **ფ** (ე — მერვეს) შესაბამ ფონემად. „ზენის“ შემდეგ ზის და ამდენად სემურ მწკრივში თავისი კუთვნილი ადგილი უკავია. რაც შეეხება სომხური ანბანის „ბერძნული“ გრაფიკული ჯგუფის მეორე „**ლზნ**“ გრაფემას, იგი სპეციფიკურ სომხურ ფონემად უნდა ჩათვალოს. „**ლზნ**“ გრაფემის გარდა სომხური ანბანის სემურ მწკრივში კიდევ ორი ისეთი გრაფემაა ჩართული, რომელთაც „სემურ“ მწკრივში „**ლზნ**“ გრაფემასთან ერთად თავისუფალი ადგილი არ ეძებნებათ. ეს გრაფემებია **ჟ** და **რ** (ფაფუკი), ე. ი. სომხური ანბანის „სემურ“ რიგში სულ ჩართულია სამი წმინდა წყლის სომხური ფონემა.

თითქოს ისე უნდა მომხდარიყო, რომ სომხური ენისათვის დამახასიათებელი ეს ბგერები სხვა სომხური ენის დამახასიათებელ ბგერებთან ერთად გატანილიყო ანბანის ბოლოში ან გრაფიკულად ეს სამი ფონემა ქართული ანბანური ჯგუფის გრაფემებს დაკავშირებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ქართული ანბანური ჯგუფი სომხურ ანბანში წმინდად და შეურყვნელად არის დაცული, ხოლო სამი სპეციფიკური სომხური ფონემიდან ერთი „**ლზნ**“ ფონემა გრაფიკულად ბერძნულ გრაფიკულ ჯგუფთანაა დაკავშირებული, ხოლო ორი **ჟ** და **რ** (ფაფუკი) სემურ გრაფიკულ ჯგუფთან. ეს, ერთხელ კიდევ ცხადყოფს სომხურ ანბანში ქართული ანბანური ჯგუფის მიგნების ჰეშმარიტებას.

თითქოს კიდევ ერთი შესაძლებლობაც უნდა ყოფილიყო: **ჟ** — გრაფემა ფონეტიკური პრინციპის საფუძველზე „ინ“ გრაფემის შემდეგ მოთავსებულიყო (ძველ სომხურში ცნობილია **ჟ** — ნახევარხმოვნისა და „ინ“ ხმოვნის მონაცვლეობა), „**ლზნ**“ გრაფემა „**ლატ**“ ფონემის შემდეგ, ხოლო **რ** (ფაფუკი) **რ** (კოშტის) შემდეგ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

**ჟ** — გრაფემა სომხურ „სემურ“ მწკრივში მოთავსებულია ე — მეწვიდეცა და „**ჰ**“ გრაფემებს შორის. მაგრამ სემურ 22 ნიშნიან მწკრივში ამ ორ გრაფემას შორის საერთოდ რაიმე ასო-ნიშანი არ ზის; შემდეგ ასო „**ლზნ**“ მოთავსებულია „ინ“ და „**ქენ**“ ასოებს შორის. მაგრამ სემურ 22 ნიშნიან მწკრივში ამ ორ გრაფემას შორის საერთოდ რაიმე ასო-ნიშანი არ ზის. რაც შეეხება **რ** (ფაფუკს) ეს ასო-ნიშანი გატანილია „სემური“ მწკრივის უკანასკნელი „**ტჰნ**“ ფონემის შემდეგ და ამიტომ „სემური“ მწკრივის ასოთა რიგს არ არღვევს. ამდენად „სემურ“ მწკრივის არღვევს მხოლოდ ორი სპეციფიკური სომხური გრაფემა — „**ჟ**“ და „**ლზნ**“.

ომისათვის, რომ სომხური ანბანის ჰეშმარტი „სემური“ მწკრივი დეადგიონოთ, საჭიროა ამ ორი გრაფემის უადგილო აღვილიდან ამოღება. ამ შემთხვევაში სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი შემდეგ სახეს მიიღებს:

ა, ბ, გ, დ; ე, ზ, ზ, თ, ყ, ი, კ, ლ, მ, მ, ნ, ო, პ; რ (კომტი), ს, ვ, ტ.

ამგვარად ირკვევა, რომ სომხური ანბანის „სემურ“ მწკრივში 21 გრაფემა ყოფილა, ე. ი. იმდენივე, რამდენიც ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივში. გარდა ამისა, ყველა ეს 21 ფონემა დასტურდება ქართულ ანბანში, და მხოლოდ და მხოლოდ ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივში!

ეს უკვე ნიშანდობლივია!

მაგრამ სომხურ „სემურ“ მწკრივში ყველაფერი რიგზე არ არის. სომხური ანბანის „სემურ“ მწკრივს ამგვარად არღვევს სამი სომხური გრაფემა. ასოები — „ვევ“, „ჟეჟ“ და „ჰიჰ“.

ბირდაბირ საკვირველია სომხური „ვევ“ (ე. ი. სემური „გავ“-ისა, ბერძნული „დიგამისა“, ლათინური „ეჟ“-ისა და ქართული „ვინ“-ის შესაბამისი ფონემის ადგილმდებარეობა სომხური ანბანის „სემურ“ მწკრივში). მართალია „დიგამა“ უკვე კლასიკურ ბერძნულში აღარა გვაქვს, მაგრამ ბერძნულ სათვალავში მას მაინც აქვს შენარჩუნებული თავისი მეექვსე ადგილი და ამდენად ექვსას რიცხვითი მნიშვნელობა. რაც შეეხება სემურ „გავ“-სა და ქართულ „ვინ“-ს, გამორიცხულია შესაძლებლობა, სომხური ანბანის შემოქმედს არ სცოდნოდა ამ გრაფემის ადგილი სემურ ანბანურ მწკრივში და მისი რიცხვითი მნიშვნელობა.

სომხური „ვევ“ სომხური ანბანის შემოქმედმა სომხური ანბანის „სემური“ მწკრივის ორ უქანასკნელ „სე“ და „ტუნ“ გრაფემებს შორის მოათავსა, ე. ი. ისეთ ადგილას, სადაც არცერთ „სემურ“ მწკრივში საერთოდ რაიმე გრაფემა არ ზის.

„ჟეჟ“ და „ჰიჰ“ ფონემების შესახებ კი უნდა ითქვას შემდეგი: არც სემურ ანბანებში, არც დასავლურ ეოკალიზებულ ანბანთა „სემურ“ მწკრივებში ეს ორი ფონემა არა გვაქვს. ორივე ფონემა დასტურდება მხოლოდ და მხოლოდ ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივში (რადგან სიტყვამ მოიტანა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ფონემამთაგან ერთ-ერთი, კერძოდ მ ნახევარხმოვანი დასტურდება აგრეთვე ვულგარულ გუთურ ანბანში და მსგავსად ქართულისა „ნარ“-ის მომდევნო ადგილზე ზის).

ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივში „ჟან“ და „ჰე“ გრაფემებს თავიანთი კუთვნილი ადგილი უკავიათ. ქართული „ჟან“ გრაფემა სემური „სსადეს“ ადგილზე ზის და გრაფიკულად „სსადეს“ უკავშირდება, ხოლო „სსადე“ შეიძლება „ჟან“ ფონემად წაკითხულიყო (მაგალითად, ფალაურ დამწერლობაში).

რაც შეეხება ქართულ „ჰე“ ნახევარხმოვანს, ეს გრაფემა სემური „სამეხის“ ადგილზე ზის და გრაფიკულად „სამეხს“ უკავშირდება. როგორც ირკვევა, არქაულ ქართულში ეს გრაფემა „ცან“ ფონემად იკითხებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ გრაფემამ „ჰე“ ნახევარხმოვნის მნიშვნელობა შეიძინა, საკირო შეიქნა „ცან“-ისათვის ახალი გრაფემის შექმნა, რისთვისაც გამოყენებულ იქნა იგივე გრაფემის ინვერსიული (inversum) ფორმა. (ამის შესახებ დაწვრილებით საუბარი გვექნება ქართული ასომთავრული დამწერლობის განხილვისას, ქვეთავში — „სამი „სანის“ პრობლემა“).

„ჟეჟ“ და „ჰიჰ“ გრაფემებს სომხური ანბანის „სემურ“ მწკრივში ისეთი ადგილები აქვთ მიკუთვნებული, სადაც საერთოდ არ უნდა იკდეს რაიმე ასო ნიშანი. „ჟეჟ“ გრაფემა „გო“ და „ინ“ გრაფემებს შორის არის მოთავსებული, ხოლო „ჰიჰ“ გრაფემა „მენ“ და „ნუ“ გრაფემებს შორის. არც სემურ ანბანებში, არც დასავლურ ეოკალიზებულ ანბანებში ამ ასოებს შორის საერთოდ რაიმე გრაფემა არ ზის. ამდენად „ვევ“, „ჟეჟ“ და „ჰიჰ“ გრაფემები არღვევენ კანონიზ-

რებულ სემურ მწკრივს. თუ ეს სამივე გრაფემა სომხური ანბანის შემოქმედმა სემურ გრაფიკულ ჯგუფს დაუკავშირა, ცხადია მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მათი რიგობითი ადგილი ქართულ „სემურ“ ანბანურ მწკრივში და ამ გრაფემების რიცხვითი მნიშვნელობა.

როგორც ჩანს ეს „ცოდვა“ ჩადენილია განზრახ.

თუ სამივე გრაფემას სემურ მწკრივში მათი კუთვნილი თავისუფალი ადგილები დავუბრუნეთ, სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი შემდეგ სახეს მიიღებს:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ; ზ, მ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ყ, რ (კოშტი), ს, ტ.

როგორც ვხედავთ, სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი, ზუსტად ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივს დაემთხვა. სხვა არც ერთ ანბანში ასეთი „სემური“ მწკრივი არა გვაქვს.

ახლა შესაძლებლობა გვეძლევა აღვადგინოთ სომხური ანბანის სამივე ანბანური ჯგუფი და მაშასადამე სომხური ანბანის მთლიანი სახე: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, მ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ყ, რ (კოშტი), ს, ტ, ჯ, ფ, ქ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ, // + // ჯ, ლ (რბილი); რ (ფაფუკი).

ასეთია ჰემმარიტი სომხური ანბანური მწკრივი.

დასკვნა: სომხური ანბანის სამივე (სემური, ბერძნული, ქართული) ანბანური ჯგუფი ზუსტად ემთხვევა ქართული ანბანის სამივე ანბანურ ჯგუფს; სომხური ანბანის 33 ფონემის ანბანური თანამიმდევრობა ზუსტად ემთხვევა ქართული ანბანის 33 ფონემის ანბანურ თანამიმდევრობას; სამი ქართული ფონემა — დ, ყ, ჯ სომხურ ანბანში არა გვაქვს და პირიქით სამი სომხური ფონემა — ჯ, ლ (რბილი), რ (ფაფუკი) ქართულ ანბანში არა გვაქვს; ქართულ ანბანში 36 გრაფემაა; სომხურ ანბანში აგრეთვე 36 გრაფემაა.

## V

სომხური ანბანის წარმოშობის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი თვალსაზრისია გამოთქმული:

პირველი და უფრო მიღებული თვალსაზრისით სომხური ანბანი შექმნილია IV-V საუკუნეთა მიჯნაზე ერთი პიროვნების მიერ. ამის გამო ა. ფერბანკიანი წერს:

«Армянская письменность — не плод стихийного исторического развития, а тщательно продуманное изобретение одного лица, следовавшего известным принципам, характерным для деятеля «грекофильской» школы IV—V вв. н. э.»<sup>21</sup>.

მეორე, ნაკლებ სარწმუნო, თვალსაზრისით მცრობ მაშთოცი ადრე არსებული სომხური დამწერლობის რეფორმატორია და არა შემქმნელი სომხური ანბანისა.

რომელი თვალსაზრისია ჰემმარიტი და შესაძლებელია თუ არა ამ საკითხის გამორკვევა?

როგორც ჩანს, შესაძლებელია.

დამწერლობის წმინდა ანბანური სისტემა კაცობრიობამ მხოლოდ ერთხელ შექმნა. ცნობილი პალეოგრაფის მორის დიუნანის თქმისა არ იყოს, „C'est la une invention qu'on ne peut faire deux fois“. არცერთ ერს დამოუკიდებლად

<sup>21</sup> А. Г. Периханиян, К вопросу о происхождении армянской письменности, 33, 120.



ქველი ფინიკიური		
ნიშნები	სახელი	რიცხვითი
𐤀	a	1
𐤁	b	2
𐤂	g	3
𐤃	d	4
𐤄	h	5
𐤅	w	6
𐤆	z	7
𐤇	h	8
𐤈	t	9
𐤉	j	10
𐤊	k	20
𐤋	l	30
𐤌	m	40
𐤍	n	50
𐤎	s	60
𐤏		70
𐤐	p	80
𐤑	s	90
𐤒	q	100
𐤓	r	200
𐤔	s	300
𐤕	t	400

ტაბ. № 10.

ანბანური დამწერლობა არ შეუქმნია, არამედ ყველა ანბანურ დამწერლობას, საბოლოო ჯამში, სემური ანბანური მწკრივი დაედო საფუძვლად.

როგორც უკვე ითქვა, უძველესი სემური ანბანური მწკრივი 22 ასო-ნიშნისაგან შედგებოდა. დაახლოებით ორი ათასწლეულის მანძილზე სემურ ანბანურ მწკრივს, გრაფემების რაოდენობისა და თანამიმდევრობის თვალსაზრისით, რაიმე ცვლილება არ განუცდია. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ მწკრივში გრაფემებს, თანამიმდევრობის შესაბამისად, რიცხვითი მნიშვნელობაც ჰქონდათ. უკვე უძველეს ფინიკურ ანბანურ მწკრივში პირველ ცხრა გრაფემას (1-9) ჰქონდა შესაბამისად ცხრა ერთეულის რიცხვითი მნიშვნელობა, მომდევნო ცხრა გრაფემას (10-18) ცხრა ათეულის რიცხვითი მნიშვნელობა, ხოლო უკანასკნელ ოთხ გრაფემას ოთხი ასეულის რიცხვითი მნიშვნელობა (იხ. ტაბ. № 10).

ტრადიციული სემური ანბანური მწკრივი და ასო-ნიშნების ფინიკიური სათვალავი მიღებული იყო წინა აზიის ყველა კონსონანტურ ანბანში. უფრო მეტიც: გრაფემის, როგორც ფონემის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნის, რიცხვითი მნიშვნელობა უფრო მყარი გამოდგა, რადგან დროთა მანძილზე ენის ფონეტიკის ცვლილებისა, ან ენათა ფონეტიკურ თავისებურებათა გამო, ერთი და იგივე გრაფემა სხვადასხვა ფონემურ მნიშვნელობას იძენდა, მაგრამ მისი რიცხვითი მნიშვნელობა და მისი ადგილი ანბანურ მწკრივში უცვლელი რჩებოდა.

ბერძნულ ვოკალიზებულ ანბანში, ასო-ნიშნებს, ძირითადად, იგივე რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ, რაც სემურ ასო-ნიშნებს სემურ ანბანურ მწკრივში. ოღონდ იმის გამო, რომ არცერთ დასავლურ და არცერთ აღმოსავლურ ბერძნულ ანბანს სემური ანბანის სამივე „სანი“ არ აუთვისებია, არამედ მხოლოდ რომელიმე ორი ამ სამიდან, ამიტომ ბერძნული ანბანის „სემური“ ანბანური მწკრივი ერთი გრაფემით ნაკლებია. რის გამოც მე-18 „სსადე“ („წადე“) გრაფემიდან დაწყებული ბერძნულ და სემურ სათვალავს შორის ერთი გრაფემის რიცხვითი მნიშვნელობის სხვაობა გრაფემიდან გრაფემაზე გადადის (იხ. ტაბ. № 11).

დამწერლობის ისტორიაში ცნობილია ორი—სემური და ბერძნული ანბანური სათვალავი. სხვა ერთა დამწერლობაში გამოყენებულია ანბანური სათვალავის ან სემური ან ბერძნული სისტემა: ქართული ანბანური სათვალავი ბერძნულ ანბანურ სათვალავს მისდევს, ოღონდ რამდენადმე უფრო სრულყოფილია.

კლასიკური ბერძნული		
ასო-ნიშანი	ბგერა	რიცხვითი მნიშვნელობა
Α	α	1
Β	β	2
Γ	γ	3
Δ	δ	4
Ε	ε	5
Ζ	ζ	6
Η	η	7
Θ	θ	8
Ι	ι	9
Κ	κ	10
Λ	λ	20
Μ	μ	30
Ν	ν	40
Ξ	ξ	50
Ο	ο	60
Π	π	70
Ρ	ρ	80
Σ	σ	900
Τ	τ	90
Υ	υ	100
Φ	φ	200
Χ	χ	300
Ψ	ψ	400
Ω	ω	500
	κ	600
	λ	700
	μ	800

ტაბ. №11

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სემურმა ანბანურმა მწკრივმა თითქმის 2.000 წელი იარსება. ტრადიციული სემური ანბანური მწკრივი პირველად არაბულ ანბანში დაირღვა, ახალი წელთაღრიცხვის VI-VII საუკუნეებში.

უფრო ადრეულ ხანაში არაბები დამწერლობის ენად არამეულს ხმარობდნენ. ახ. წ. I. საუკუნიდან დაიწყო არამეულის არაბიზაციის პროცესი, რაც არაბული ენის დამწერლობის შექმნით დამთავრდა.

არაბებმა ძველი სემური 22 ასო-ნიშნის ახალი, განსხვავებული მწკრივი შექმნეს, ხოლო ამ მწკრივში ალაგ-ალაგ კიდევ 6 ახალი ასო-ნიშანი ჩართეს. ძველი სემური ანბანური მწკრივი გაქრა და თითქოს მისი კვალიც წაიშალა.

მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია.

საქმე ის არის, რომ არაბულ ანბანურ მწკრივში ერთდროულად შემონახულია უძველესი სემური 22 ნიშნიანი ანბანური მწკრივი — ძველი სემური 22 ასო-ნიშნის თანმიმდევრობაც და ექვსი დამატებითი ასო-ნიშნის რიგიც.

მიუხედავად ძირეული რეფორმისა, რამაც არაბული ანბანი სრულიად განსხვავებულ დამწერლობად აქცია, მიუხედავად ახალი ანბანური მწკრივის შემოღებისა, ასო-ნიშნების ტრადიციული სემური რიცხვითი მნიშვნელობა არაბულ ანბანში ხელშეუხებელი დარჩა.

ამის გამო, ასო-ნიშნების თანმიმდევრობას არაბულ ანბანურ მწკრივში შემდეგნაირი

რიცხვითი მნიშვნელობა აქვს (იხ. ტაბ. № 12).

ასო-ნიშანი	ბგერა	რიცხვითი მნიშვნელობა
—	—	1
—	ბ	2
—	ტ	400
—	თ	500
—	ყ	3
—	ჩ	8
—	ც	600
—	ძ	4
—	ძ	700
—	რ	200
—	—	7
—	ს	60
—	ს	300
—	ს	90
—	დ	800
—	—	9
—	ზ	900
—	—	70
—	გ	1000
—	ფ	80
—	კ (q)	100
—	კ	20
—	ლ	30
—	მ	50
—	ნ	50
—	ხ	5
—	—	6
—	—	10
—	—	—

ტაბ. №13

როგორც ტაბულა გეიჟენებს, არაბულ ანბანურ მწკრივში, რეფორმის შედეგად, ასო-ნიშნების თანამიმდევრობას თანამიმდევრული რიცხვითი მნიშვნელობა აღარ შეესაბამება. ვთქვათ, არაბული ანბანის რიგით მე-3 გრაფემის რიცხვითი მნიშვნელობა შესაბამისად სამის აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ ოთხასისა, რადგან ეს გრაფემა თავდაპირველ სემურ ანბანურ მწკრივში რიგით 22-ე იყო და ოთხასის მნიშვნელობა ჰქონდა.

ასო-ნიშნების აღრეული რიცხვითი მნიშვნელობა არაბულ ანბანში გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა, ამნელებდა ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის ზეპირ დამახსოვრებას. ამ უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, არაბებმა რვა ხელოვნური სიტყვა შექმნეს. ამ სიტყვებში არაბული ასო-ნიშნები თანამიმდევრული რიცხვითი მნიშვნელობითაა გაწყობილი და ამდენად აღდგენილია ძველი სემური ანბანური რიგი. ამ 8 ხელოვნური სიტყვის ზეპირად ცოდნა ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობის სწრაფ გამორკვევას აადვილებს. ასო-ნიშნების ასეთ სათვალავს „აბჯადი“ ეწოდება.

ე. წ. „აბჯადისა“ და არაბული ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის შემწობით ადვილად შესაძლებელია არაბულ ანბანში აღვადგინოთ როგორც ძველი სემური 22-ნიშნის ანბანური მწკრივი, აგრეთვე არაბული ანბანის ექვსი დამატებითი ასო-ნიშნის თავდაპირველი თანამიმდევრობაც.

ცნობილია, რომ არაბული ანბანი ძველი სემური დამწერლობის თანდათანობითი განვითარების შედეგია. ამ დამწერლობის წარმომავლობის გენეალოგიური სქემა ასეთია: არამეული-ნაბატეური-ახალსინური-არაბული. ამიტომ, მიუხედავად იმ ცვლილებებისა რაც რეფორმის შედეგად არაბულ ანბანში გვაქვს, ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის შეცვლა არაბულ ანბანურ მწკრივში შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ტრადიციული სათვალავის შეცვლა გამოიწვევდა ქაოსს პრაქტიკულ საქმიანობაში.

რა ბედი ეწია სემურ ანბანურ სათვალავსა და ბერძნულ ანბანურ სათვალავს მომდევნო საუკუნეებში?

არცერთ დამწერლობაში ანბანური სათვალავი არ დარღვეულა. მაგალითისათვის: ცნობილია, რომ აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში სპარსულ და თურქულ დამწერლობებს არაბული ანბანი დაედო საფუძვლად. სპარსელებმა და თურქებმა არაბულ ანბანში ალაგალაგ რამდენიმე საკუთარი ასო-ნიშანი ჩართეს. ამის გამო ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა თითქოს კვლავ უნდა დარღვეულიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან როგორც სპარსელებმა, ასევე თურქებმა საკუთარ ჩამატებულ ასო-ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობა საერთოდ არ მიანიჭეს. ამის გამო არაბული „აბჯადი“ და ძველი სემური ანბანური სათვალავი სპარსულ და თურქულ დამწერლობებში უცვლელი დარჩა.

ცნობილია, რომ დასავლურ ანბანურ სამყაროში სლავურ დამწერლობას „კირილიცას“ ბერძნული ანბანი დაედო საფუძვლად. სლავური ანბანის ბერძნულ ანბანურ რიგში ალაგ-ალაგ ჩართულია სპეციფიკური სლავური ასო-ნიშნები. თითქოს ამის გამო ტრადიციული ბერძნული სათვალავი კვლავ უნდა დარღვეულიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ჩამატებულ სლავურ ასო-ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობა არ მიანიჭებიათ. ამის გამო ბერძნული ანბანური სათვალავი სლავურ დამწერლობაშიც უცვლელი დარჩა.



რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით სომხურ ანბანში?

როგორც უკვე ითქვა, ასო-ნიშნებს სომხურ ანბანში სრულიად უჩვეულო თანამიმდევრობა აქვთ. ამ მხრივ, სომხური ანბანური მწკრივი, ზოგადად, შეიძლება არაბულ ანბანურ მწკრივს შევედაროთ. მაგრამ არაბულ ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობას თავისი თვალსაჩინო და საყოველთაოდ ცნობილი მიზეზები აქვს: მწკრივი გაწყობილია როგორც გრაფიკულ-მნიშვნელოვანი, აგრეთვე ბეგრათმსგავსების ფონეტიკური პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე. გარდა ამისა, მწკრივში გრაფემების გადაადგილებისა და ადგილშენაცვლების მიუხედავად, ასო-ნიშნებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი თავდაპირველი რიცხვითი მნიშვნელობა.

რაც შეეხება სომხურ ანბანურ მწკრივს, მწკრივში ასო-ნიშნების უჩვეულო თანამიმდევრობას დღემდე ვერ ეძებნებოდა სათანადო ახსნა-განმარტება. როგორც უკვე ითქვა, ეს ვითარება ისევ გრაფიკული მიზეზებით უნდა აიხსნებოდეს (არაბულისა არ იყოს), მაგრამ არა მხოლოდ...!

რადგან ასო-ნიშნების ტრადიციული რიგი სომხურ ანბანში შეცვლილია, საკითხავია რა რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ ასო-ნიშნებს სომხურ ანბანში:

ა — 1	ჟ — 10	ჭ — 100	რ — 1.000
ბ — 2	ი — 20	მ — 200	ს — 2.000
გ — 3	ლ — 30	ჲ — 300	ვ — 3.000
დ — 4	ხ — 40	ნ — 400	ტ — 4.000
ე — 5	წ — 50	შ — 500	რ — 5.000
ზ — 6	ყ — 60	ო — 600	ე — 6.000
ო — 7	ჭ — 70	ჩ — 700	კ — 7.000
ღ — 8	ძ — 80	პ — 800	ფ — 8.000
თ — 9	ლ — 90	ჯ — 900	ქ — 9.000

ცხადია, სომხურ ანბანში შეცვლილია არა მხოლოდ ასო-ნიშნების ჩვეულებრივი ანბანური მწკრივი, არამედ ასო-ნიშნების ჩვეულებრივი რიცხვითი მნიშვნელობაც. ასო-ნიშნების ასეთი ანბანური მწკრივი და ასო-ნიშნების ასეთი ანბანური სათვალავი არცერთმა დამწერლობამ არ იცის.

გრაფიკული კვლევა-ძიების მეოხებით სომხურ ანბანში მიკვლეულია როგორც „სემური“, „ბერძნული“ და „ქართული“ ანბანური ჯგუფები, აგრეთვე ასო-ნიშნების ჭეშმარიტი ანბანური თანამიმდევრობაც. ეს ანბანური რიგი, როგორც უკვე ითქვა, ქართული დამწერლობის ანბანური მწკრივის საფუძველზეა შემუშავებული.

ცნობილი სომეხი მეცნიერი ნ. აღონცი ვარაუდობდა, რომ პირვანდელი ანბანური რიგი სომხური დამწერლობისა თითქოს ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ქართულისა და რომ შემდგომში თითქოს ეს პირვანდელი რიგი სომხურისა გადაკეთებულა.

ეს ვარაუდი მეცნიერული პალეოგრაფიის თვალსაზრისით მიუღებელია შემდეგი გარემოების გამო:

სომხური ანბანი იმთავითვე რომ „სემურ“, „ბერძნული“ და „ქართული“ ანბანურ მწკრივებად ყოფილიყო გაწყობილი, გადაკეთების შემდგომ ყველა ასო-ნიშანს სომხურ ანბანში უნდა შეენარჩუნებინა თავისი თავდაპირველი რიცხვითი მნიშვნელობა.

უნდა დავასკვნათ:

1. სომხური დამწერლობა და სომხური ანბანური მწკრივი შექმნილია ერთხელ და ამ მწკრივს შემდგომ ცვლილება არ განუცდია.

2. სომხური დამწერლობა რეფორმის შედეგი არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში ასო-ნიშნები სომხურ ანბანში შეინარჩუნებდნენ თავიანთ თავდაპირველ რიცხვითს მნიშვნელობას.

3. „ერკათავირის“ შექმნამდე სომხეთში არ ყოფილა სომხური ანბანური დამწერლობის ტრადიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში „ერკათავირში“ უნდა ასახულიყო ასო-ნიშნების თავდაპირველი რიცხვითი მნიშვნელობა.

ერთი საკითხიც.

მიუხედავად იმისა, რომ სომხური ანბანური მწკრივი ძირეულად განსხვავდება ტრადიციული სემურ-ბერძნული ანბანური მწკრივისაგან, ხომ შეიძლება და სომხურ ასო-ნიშნებს მინიჭებოდათ ის რიცხვითი მნიშვნელობა, რომელიც მათ ჰქონდათ სემურ-ბერძნულ ანბანურ სამყაროში. როგორც წესი ეს ასეც ხდებოდა. ასე მოხდა ეს არაბული, სპარსული და თურქული დამწერლობის შემოღებისას, ასე მოხდა სლავური დამწერლობის შემოღებისას.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში, რამდენიმე მაგალითი რომ მოვიტანოთ, ვთქვათ, სომხურ „ვინ“-ს უნდა მინიჭებოდა არა 3.000-ისა, არამედ 6-ის რიცხვითი მნიშვნელობა (მსგავსად სემური „ვავისა“, ბერძნული „დიგამისა“ და ქართული „ვინ“-ისა); სომხურ ჳ-ს უნდა მინიჭებოდა არა 7.000-ისა, არამედ 400-ის რიცხვითი მნიშვნელობა (მსგავსად ბერძნული „იუფსილონისა“ და ქართული ჳ-ისა); სომხურ „წილ“-ს უნდა მინიჭებოდა არა 50-ისა, არამედ 4.000-ის რიცხვითი მნიშვნელობა (მსგავსად ქართული „წილისა“) და ა. შ.

ასეთ შემთხვევაში, იმთავითვე იქნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ სომხური ანბანი გაწყობილიყო ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის მიხედვით. ეს კი გაამჟღავნებდა სომხური ანბანის წარმოშობის საიდუმლოს.

ასეთია ჩვენი აზრით, სომხური ანბანის სტრუქტურის ხასიათიცა და ამ სტრუქტურის გამომწვევი მიზეზებიც.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ  
 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა  
 ს. ყაუხჩიშვილმა)

## იზაბელა თევზორაძე

### სინტაგმის მახვილები ქართულ ენაში

გაბმული მეტყველების მელოდიკური სტრუქტურის შესწავლა თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური და აქტუალური საკითხია.

ქართული ენის მელოდიკური სისტემა ნაკლებადაა შესწავლილი. ამ საკითხზე მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი არსებობს:

1) А. Алхазிшвили „Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка“. Тбилиси, 1959 г., 2) ს. ქლენტა „ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა“, თბილისი, 1963 წ.

ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს ქართული თხრობითი წინადადების მელოდიკის დადგენის ცდას იმ თვალსაზრისის საფუძველზე, რომელიც დამკვიდრებულია თანამედროვე ენათმეცნიერებაში — რელევანტური და არარელევანტური მახასიათებლების გამოყოფით.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უყენებენ თანამედროვე ლინგვისტიკაში მელოდიკურ ანალიზს. ეს არის მელოდიკის უმცირესი ერთეულის დადგენა და მელოდიკური ტიპების კლასიფიკაცია. ყოველი ენისათვის უნდა იყოს დადგენილი ის მელოდიკური მახასიათებლები, რომლებიც მოცემულ ენაში რელევანტურია აზრის გადაცემის თვალსაზრისით.

როგორც ექსპერიმენტული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ქართული ენის მელოდიკური სტრუქტურის უმცირეს ერთეულს წარმოადგენს სინტაგმა.

სინტაგმას განსაზღვრავენ როგორც ორ პაუზას შორის მოთავსებულ უმცირეს მონაკვეთს, რომელიც წარმოითქმის ერთი მელოდიკური მონახაზით. სინტაგმა შედგება ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან, ხშირად წინადადებისაგან (მარტივი ან რთულიდან). ყველა სინტაგმას აქვს თავისი მელოდიკური მწვერვალი, რომელიც მოდის უმეტეს შემთხვევაში სრულმნიშვნელოვან სიტყვებზე.

წინადადებაში იმდენი მელოდიკური მონახაზია (სინტაგმა) რამდენი მწვერვალიცაა მასში. მწვერვალ-სიტყვის ფიზიკური მახასიათებელია ტონის მახვილის შემდგომი აწევა. თუ სიტყვა სინტაგმის ცენტრს წარმოადგენს, ტონი აიწევს დასაწყისიდან მეორე მარცვალზე (ე. ი. მახვილიანი მარცვლის მომდევნო მარცვალზე)<sup>1</sup>. ყოველი სინტაგმის აუცილებელი კუთვნილებაა სინტაგმის მახვილი.

<sup>1</sup> „მელოდიკის ეხმარობთ ფართო მნიშვნელობით, იგი შეიცავს: ტონის მოძრაობას, ინტენსივობას, გრძობობას, ტემპს, პაუზას, „ინტონაციას“ კი — როგორც მხოლოდ ტონის მოძრაობის აღმნიშვნელს.

<sup>2</sup> იხ. ჩვენი „სიტყვათმახვილი ქართულში“. აკად. გ. ახვლედიანის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში.



რომელიც აერთიანებს მას, როგორც ერთ ფონეტიკურ და აზრობრივ მთლიანობას.

ქართულში გვაქვს 4 სახის სინტაგმის მახვილი. ეს მახვილები სხვადასხვაგვარად ვანაწილდებიან გამონათქვამში იმის მიხედვით, დასრულებულია თუ არა მთქმელის მიერ გამოხატული აზრი. სინტაგმებს შორის მეტ-ნაკლებად მკიდრო კავშირზე დამოკიდებულია ამ მახვილების ხმარებაზე.

ქართული სინტაგმის მახვილების თავისებურებას ქმნის მათი პოზიცია, ეს მახვილები ყოველთვის სინტაგმის ბოლო სამი (ან ორი) მარცვლის ფარგლებში გაიშლება ხოლმე<sup>3</sup>. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულში აზრის გადმოცემის თვალსაზრისით არსებითია მელოდიკური მახასიათებლების (ტონის, ინტენსივობის, გრძლიობის და სხვა) სურათი სინტაგმის ბოლოს.


ამრიგად, ქართული ენის მელოდიკაში გამოყენებულია ოთხი ტიპის სინტაგმის (ანუ ფრაზის) მახვილი.

პირველი ტიპის მახვილი აღინიშნება თანდათან დამავალი ტონით და ინტენსივობით სინტაგმის ბოლო მარცვლებზე.

ეს მახვილი გამოხატავს აზრის დასრულებას და სინტაგმის დამოუკიდებლობას გამონათქვამის მომდევნო მონაკვეთისაგან.

პირველი ტიპის სინტაგმის მახვილი გვხვდება, როგორც წესი, თბრობითი წინადადების ბოლოს:

1. ხეებმა თელას თვალბირება დაუწყეს.




სურ. 1

<sup>3</sup> სიტყვათმახვილსა და ფრაზის მახვილს შორის განსხვავებაში ეს გასათვალისწინებელი მომენტი: სიტყვათმახვილი ერთ მარცვალზე მოდის, ფრაზის (სინტაგმის) მახვილის დახასიათებისას კი ერთი მარცვლით ვერ შემოვიფარგლებით. იხ. I და II ტიპის სინტაგმის მახვილება.

თხრობითი წინადადებაა, ერთსინტაგმიანი, წინადადების ბოლოს ტონი თანდათან დამავალია, რაც მაჩვენებელია I ტიპის სინტაგმის მახვილისა.

თანდათან დამავალი ტონი მთავარი მახასიათებელია თხრობითი მელოდიკისა და ყოველთვის დაკულია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წინადადების ბოლო სიტყვა გამოყოფილია ლოგიკურად.

2. ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს<sup>4</sup>.



სურ. 2

მეორე ვარიანტია ამ წინადადებისა, წინადადების ბოლო I ტიპის სინტაგმის მახვილით აღინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ „დაუწყეს“ ლოგიკურად არის გამოყოფილი. ლოგიკურად გამოყოფის მაჩვენებელია ტემპის შენელება, ხმოვნების დაგრძელება.

I ტიპის სინტაგმის მახვილი შეიძლება გვექონდეს წინადადების შიდა სინტაგმებშიც. ასეთი წარმოთქმა დასაშვებია უკავშირო თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების კომპონენტებს შორის. ამ შემთხვევაში პირველი ტიპის მახვილის ხმარება მთქმელის თვალსაზრისზე არის დამოკიდებული: თუ მთქმელს სურს გამოხატოს უკავშირო რთულ წინადადებაში შემავალი კომპონენტების აზრობრივი დამოუკიდებლობა, მაშინ მიმართავს I ტიპის მახვილს.

3. კიდევ კარგი/ცოცხალს გზედავ.

ამრიგად, პირველი ტიპის სინტაგმის მახვილისათვის არსებითია ტონისა და ინტენსივობის თანდათან დამავალი მოძრაობა. გამოყენებულია ეს მახვილი აზრის დასრულების აღსანიშნავად.

4 სხვა მაგალითებისათვის არ მოხერხდა გრაფიკების მოყვანა ტექნიკური მიზეზების გამო.

თხრობითი წინადადების შიდა სინტაგმები გამოიყოფიან მეორე და მესამე ტიპის სინტაგმის მახვილებით.

მეორე და მესამე ტიპის სინტაგმის მახვილებს საერთო აქვთ ის, რომ ორივე დაუსრულებელ აზრს გამოხატავს: სინტაგმები რომლებიც გამოყოფილი არიან ამ ტიპის მახვილებით, მოითხოვენ აზრის განგრძობას, დაზუსტებას, განმარტებას მომდევნო სინტაგმაში.

მეორე და მესამე ტიპის სინტაგმის მახვილები აღნიშნავენ წინამავალი სინტაგმის მჭიდრო კავშირს მომდევნო სინტაგმასთან.

ამრიგად, ორივე ტიპის მახვილი (II და III) ფუნქციურად მსგავსია, ორივე დაუსრულებელ აზრს გამოხატავს; განსხვავებულია მათი ფიზიკური საფუძვლები: II ტიპის სინტაგმის მახვილში ტონის მოძრაობა აღმავალ-დამავალია, III კი — აღმავალი.

როგორც ექსპერიმენტული მასალის ანალიზიდან ჩანს, თითქმის ყოველთვის, თხრობითი წინადადების შიდა სინტაგმების დასასრული აღინიშნება II ტიპის სინტაგმის მახვილით.

მეორე ტიპის სინტაგმის მახვილში ტონი აიწევს სინტაგმის ბოლოდან მესამე მარცვალზე, ამ დონეზე რჩება ტონი მომდევნო მარცვალზეც და მკვეთრად დაეშვება სინტაგმის უკანასკნელ ხმოვანზე. თუ სინტაგმის ბოლოს ორმარცვლიანი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, მაშინ ტონი აიწევს ბოლოდან მეორე მარცვალზე, მომდევნოზე კი (ე. ი. ბოლოზე) მკვეთრად დაეშვება.

II ტიპის სინტაგმის მახვილი აღინიშნება აგრეთვე მაღალი ინტენსივობით.

მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა ყოველთვის სიტყვათა მახვილის (მთავრისა ან მეორეულის) მატარებელი მარცვალი, ტონის აწევა კი ყოველთვის მესამე და მეორე მარცვალზეა სინტაგმის ბოლოდან.

მაგალითად:

1. სიტყვა ორმარცვლიანია ტონიც და ინტენსივობაც აიწევს ბოლოდან მეორე მარცვალზე, შემდეგ კი ტონი მკვეთრად დაეარდება.

↑ ↓

4. თუ გინდა / ბაბუასთან / შენ წალი.

აქვე შემოდის ორი ერთმარცვლიანი კომბინაცია.

↑ ↓

5. დარწმუნებული ვარ რომ / არავინ დაიზარებს მოსვლას.

2. სამმარცვლიან სიტყვაში სინტაგმის ბოლოს (ხშირად ეს ერთსიტყვიანია სინტაგმებია) მაღალი ტონი და ინტენსივობა ერთ მარცვალზეა — დასაწყისიდან პირველ მარცვალზე (ეს ამავე დროს სინტაგმის ბოლოდან მესამე მარცვალია).

↑ ↑ ↓

6. როცა დავითი შინ მოვიდა / საღამო ხანი იყო.

სიტყვა ორმარცვლიანია და მას ენკლიტიკურად ერთმარცვლიანი სიტყვა მიერთვის (უმეტეს შემთხვევაში კავშირები „რომ“, „და“), მაშინაც მაღალი ტონი და ინტენსივობა თანხვდება. დაცულია სიტყვათა მახვილის ადგილიც და სინტაგმის ფუნქციის ტონის აწევაც.

↑ ↑ ↓

7. დაიჭექა თოფმა დაბლა და / მაღლა ქორმა შეიფრთხილა.







მესამე ტიპის სინტაგმის მახვილი მოითხოვს მომდევნო სინტაგმაში ერთ-ერთი სიტყვის ლოგიკურად გამოყოფას. სიტყვის ლოგიკური გამოყოფა ხდება მახვილიანი ხმოვნის ინტენსივობის ზრდით („შენ“ პირველი წინადადების ბოლო სინტაგმაში).

შესაძლოა სხვა ვარიანტიც: მესამე ტიპის სინტაგმის მახვილით გამოყოფილი სინტაგმის მომდევნო სინტაგმა მთლიანად გამოიყოფა ფრაზის ლოგიკური მახვილით (იხ. № 19).

მესამე ტიპის სინტაგმის მახვილი გვევლინება სინტაგმათ ვასაყარზე, II ტიპის მახვილის პარალელურად. როგორც აღვნიშნეთ, ორივე მახვილი გამოხატავს დაუსრულებელ აზრს.

განსაკუთრებით ხშირად III ტიპის მახვილი ერთსიტყვიან სინტაგმებზე გვხვდება. (იხ. 18, 19).

მეორე და მესამე ტიპის ფრაზის მახვილები შეიცვლება უმეტეს შემთხვევაში ფრაზის ლოგიკური მახვილით.

ფრაზის ლოგიკური მახვილიც აღმავალი ტონით ხასიათდება. მესამე ტიპის სინტაგმის მახვილისაგან განსხვავებით, სადაც ტონი უკანასკნელ მარცვალზე (ან ორ უკანასკნელზე) მკვეთრად აიწევს, ლოგიკურ მახვილში ტონი თანდათან აღმავალია სინტაგმის ბოლო რამდენიმე მარცვლის ფარგლებში. თანდათან მზარდია აგრეთვე ინტენსივობაც. გარდა ამისა, ფრაზის ლოგიკურ მახვილში ხდება სინტაგმის ბოლო მარცვლის დაგრძელება, III ტიპის მახვილში კი ბოლო მარცვალი წარმოითქმის მოწყვეტით.

თუ სინტაგმათვასაყარზე ფრაზის ლოგიკური მახვილი გვაქვს, მაშინ მომდევნო სინტაგმაში ერთი სიტყვა ლოგიკურად გამოიყოფა.

შესაძლოა მომდევნო სინტაგმა მთლიანად იყოს ლოგიკურად გამოყოფილი.

20. თუ გინდა / ბაბუასთან / შენ წადი.

21. თუ სანადიროდ იყო / ხელცარიელი რად მოვიდა/.

### სინტაქსური წყობა და მელოდიკა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია ქართული ენის თხრობითი წინადადების მელოდიკის შესწავლა.

ისმის საკითხი: გვაქვს თუ არა საფუძველი ვიმსჯელოთ თხრობითი წინადადების მელოდიკაზე საერთოდ, თუ უნდა განვასხვავოთ მელოდიკური ტიპები სინტაქსური ტიპების შესაბამისად (რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადების მელოდიკა, ან უფრო მეტიც — სხვადასხვა ტიპის ქვეწყობილი წინადადების მელოდიკა).

ზოგადად რომ ვთქვათ, განსაზღვრავს თუ არა სინტაქსური ტიპი ან სიგრძე (მარცვალთრაოდენობა) წინადადებისა მის მელოდიკურ წყობას?

ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული აზრის თანახმად პასუხი ამ კითხვაზე დადებითია.



გ. ახვლედიანი აღნიშნავს: „რაც უფრო ვრცელია შესიტყვება, მით რთულია ტონის მოდულაცია თითოეული ნახევრის შიგნით“<sup>5</sup>.

კიდევ უფრო მეტადაა რთული ინტონაცია რთულ წინადადებაში ლ. კვაჭაძის აზრით: წინადადების მელოდიკოსათვის მნიშვნელობა აქვს სიტყვათა რაოდენობას და მათ განსხვავებას აღნაგობის მიხედვით (მარტივი, რთული შერწყმული)<sup>6</sup>.

ამ თვალსაზრისის იზიარებდა ს. ჟღენტცი თავის ნაშრომში, რომელიც მან ქართული ენის მელოდიკურ სტრუქტურას მიუძღვნა<sup>7</sup>.

ეს აზრი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ენათმეცნიერებაში და მელოდიკის კვლევის პრაქტიკაშიც საფუძვლიანად დამკვიდრდა.

მაგრამ როგორც თანამედროვე კვლევის პრაქტიკა გვიჩვენებს მარცვალთ-რაოდენობა და წინადადების სირთულე აღნაგობის მიხედვით არ არის განმსაზღვრელი მელოდიკური წყობისა.

მელოდიკური ანალიზი თხრობითი წინადადებისა (მარტივისა თუ რთულისა) პრინციპულად განსხვავდება მისი სინტაქსური ანალიზისაგან.

სინტაქსური ანალიზი ავლენს თხრობითი წინადადების მრავალ სახესხვაობას (მარტივი, რთული, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებით და ა. შ.).

ეს მრავალფეროვნება უკანა პლანზე გადაიწევს მელოდიკის შესწავლისას.

მელოდიკური ანალიზის დროს არსებითია არა სიტყვათა რაოდენობა (ანუ მარცვალთრაოდენობა), არამედ გამონათქვამის სინტაგმური წყობა:

1. ერთსინტაგმიანია გამონათქვამი, თუ მრავალსინტაგმიანი.

2. სინტაგმა დასრულებულია თუ არა სემანტიკურად.

3. რა ადგილი (პოზიცია) უჭირავს სინტაგმას — გამონათქვამის დასაწყისშია, შუაში თუ ბოლოში.

იმის მიხედვით, თუ რამდენსინტაგმიანია წინადადება, როგორია ის შინაარსობრივად (დამთავრებული თუ დაუმთავრებელი), რა პოზიცია უჭირავს მოცემულ სინტაგმას გამონათქვამში — ყოველივე ამის მიხედვით სხვადასხვა ტიპის ფრაზის მახვილი იქნება გამოყენებული.

სინტაქსურად მარტივი წინადადება მელოდიკურად შეიძლება იყოს ერთსინტაგმიანიც და მრავალსინტაგმიანიც. ხშირ შემთხვევაში იგი შეიძლება გავუტოლოთ რთულ წინადადებას (თანწყობილს თუ ქვეწყობილს), რომელიც ისეთივე რაოდენობის სინტაგმებიდან არის შედგენილი.

22. ეს წიგნი/უკვე გუშინ ვნახე/.

23. თუ სანადიროდ იყო ხელცარიელი რად მოვიდა.

24. როცა დავითი შინ მოვიდა / საღამო ხანი იყო/.

5 გ. ახვლედიანი, ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 139.

6 ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1966, გვ. 26.

7 ს. ჟღენტცი ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, 1963, გვ. 78.

მელოდიკური თვალსაზრისით ყველა წინადადება ერთ ტიპს განეკუთვნება, მიუხედავად მათი სხვადასხვაგვარი სინტაქსური აგებულებისა. მელოდიკისათვის არსებითია ის, რომ ყველა მოყვანილი წინადადება ორსინტაგმიანია, პირველი სინტაგმა აზრობრივად დაუმთავრებელია, ფრაზის მეორე ტიპის მახვილით გამოიყოფა, მეორე სინტაგმა კი (ე. ი. ბოლო სინტაგმა) — პირველი ტიპის მახვილით.

შესაძლოა იყოს პირიქით — მარტივიცა და რთულიც ერთსინტაგმიან გამონათქვამს შეადგენენ, ერთი ცენტრით (უმეტეს შემთხვევაში ცენტრი ზმნა — შემსამენელი იქნება, თუ სხვა სიტყვა ლოგიკურად არ არის გამოყოფილი); მელოდიკის მიმართულება აღმავალია ცენტრალურ სიტყვამდე, შემდეგ კი თანდათან დამავალი.

25. ქოხში საქმაოდ ჩამოზნელდა.

26. წვიმამ გადაილო მაგრამ მზე არ ჩანდა.

27. იმიტომ მენანება რომ ჭერ ბარტყია.

მელოდიკური სურათის დასადგენად არსებითია მთქმელის თვალსაზრისის გათვალისწინება: ერთი და იგივე გამონათქვამი შეიძლება სხვადასხვაგვარად დანაწევრდეს. სინტაგმებს განსხვავებული ღირებულება ენიჭება კომუნიკაციის პროცესში იმის მიხედვით, თუ როგორია მთქმელის მიმართება გამონათქვამისადმი.

28. ვაუკაცობა თუ სისულელესთან არის დაკავშირებული/ჩალად არ ღირს.

29. ვაუკაცობა / თუ სისულელესთან არის დაკავშირებული / ჩალად არ ღირს. ერთი წინადადებაა სხვადასხვაგვარად სეგმენტირებული. პირველ შემთხვევაში ორი სინტაგმა გვაქვს, მეორეში კი — სამი.

განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მეორე ვარიანტში მთქმელი ჩართულ წინადადებას აჩქარებულად, სხვათა შორის წარმოთქვამს. მისთვის მნიშვნელოვანია მთავარი წინადადების გამოყოფა, ჩართული კი მეორეხარისხოვანია, ნაკლებ მნიშვნელოვანი.

ხშირ შემთხვევაში სხვადასხვაგვარი სინტაგმური დაყოფა ერთი და იმავე წინადადებისა სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს, აზრს ცვლის.

30. გუშინ / ჩამოსულმა სტუმრებმა / ქალაქი დაათვალიერეს.

31. გუშინ ჩამოსულმა სტუმრებმა/ქალაქი დაათვალიერეს.

იმის მიხედვით, თუ რამდენ მელოდიკურ სინტაგმას გამოვყოფთ მოცემულ წინადადებაში, მისი აზრი სხვადასხვა იქნება.

სინტაგმა შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგან, სიტყვათშეწყობისაგან, წინადადებისაგან (მარტივი ან რთულისაგან). გამონათქვამის სეგმენტაცია ყოველთვის დამოკიდებულია მთქმელის პოზიციასზე, იმ შინაარსზე, რომელიც მთქმელს სურს გადმოგვეცეს, ამიტომ სინტაქსური სეგმენტაცია, რომელიც სტაბილურია და სინტაქსური კანონებითაა შეზღუდული, მელოდიკური სეგმენტაციის საფუძვლად არ გამოდგება. მელოდიკური სეგმენტაცია გაცილებით მეტ

საშუალებას იძლევა აზრთა მრავალფეროვნების გამოსახატავად, ვიდრე სინტაქსური.

ჩვენ ვხმარობთ გამოთქმას „მთქმელის პოზიცია“, „მთქმელის სურვილი“ და ამის გამო შეიძლება შეიქმნას წარმოდგენა, რომ მეტყველების მელოდიკური ასპექტი ინდივიდუალური მოვლენაა, ინდივიდის სურვილზე დამოკიდებული. მაგრამ ეს ასე არაა.

სინამდვილეში ყველა ინდივიდი შეზღუდულია ამა თუ იმ ენაში არსებული მელოდიკური კანონებით, სხვაგვარად წარმოუდგენელია მელოდიკის საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება.

აზრთა მრავალფეროვნება გამოიხატება იმ სინტაქსური მახვილების კომბინაციით, რომლებიც არსებობს ყოველ ენაში. თუ ამას გავითვალისწინებთ, თხრობითი მელოდიკის სურათი გაცილებით მარტივად აღიწერება, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი დაქვემდებარებულია სინტაქსურ დაყოფას.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა)



ნოღარ კილანავა

**ვახტანგ ორბელიანის უცნობი ფსევდონიმი**

გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის, ჭერ ისევ 1859 წელს ყ. ფსევდონიმით გამოქვეყნდა პოეტური ნაწარმოები „ახალ გამოჩენილ მშვენიერებას“<sup>1</sup>. იმავე ხანებში, 1863 წელს, ყ. ფსევდონიმით კვლავ „ციცკარში“ დაიბეჭდა პუბლიცისტური წერილი „პოლშელი პატრიოტი ქალი პენრიეტა პუსტოვიტოვა (რუსული გაზეთებიდან)“<sup>2</sup>.

შემდეგ კი, 90-იან წლებამდე, ვიდრე ვ. ორბელიანი არ გარდაიცვალა, ყ. ფსევდონიმი სხვა თხზულება არ გამოქვეყნებულა; ეს ფსევდონიმი დამოწმებული არ არის აღნიშნული პერიოდის აქამდე ცნობილ ხელნაწერებში.

თხზულებაში „ახალ გამოჩენილ მშვენიერებას“ პოეტს მოველინება ანგელოზისებრი არსება, მშვენიერი ქალწული. მას ეკვი იპყრობს, ვინ უნდა იყოს ეს თითქოს განგებისძიერი ქმნილება, მით უფრო, მოვლენილი ქვეყნის შეპირებების ჟამს: ანგელოზია იგი თუ სატანა; არ გამოიცხავს იმასაც, რომ იგი იყოს ჩვეულებრივი ადამიანი, „ასული ამ ქვეყნისა“. რაც მთავარაა, ვინც არ უნდა იყოს ის, პოეტი იწამებს, რომ ჩრდილოეთიდანაა და ეუბნება: თუ ჩრდილოეთის „წყვედი დაღს სტუქსე, მოხველ აქ მაღე“. მაშინ: „მოგესალმებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა, შენც გაუღიმე სიმშვეიდი თაძველსა იცერსაო...“ (ხაზი ჩემია. ნ. კ.).

შემდეგ პოეტი ასულს აუწერს მშობელი ქვეყნის წარმატე სილამაზეს; ამასთან, საუბარში აგრძნობინებს, რომ ქართველი და საქართველო, მტერთაგან არა ერთხელ მოვლენილ უბედურებათა მიუხედავად, ბოლომდე მაინც გაუტეხელნი დარჩნენ. აი, ასეთია ის ქვეყანა, სადაც შენ მოხველ და „აქ ყოფნა თუ მოგვწონა“, — მიმართავს „ჩრდილოეთის წყვიდადის მტუქსავ“ ქალწულს აეტორი, — „გაგიშლით გულსა ფიანდაზად შენ ფეხთა წინა“. ხოლო შენ კი „იყავ შევნება, ნეტარება ივერისა“, — ეუბნება ბოლოს პოეტი მას. მომყავს „ციცკარში“ (1859, 2) ყ. ფსევდონიმით გამოქვეყნებული პოეტური თხზულების მთელი ეს ტექსტი უცვლელად:

**ახალ გამოჩენილ მშვენიერებას**

ვინა ხარ ეპა მშვენიერო, გამოჩნდა სითა,  
 ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური მოჰფრინდი ცითა,  
 შენის მზერითა აქამომდე ვინ დასტკებოდა,  
 ცა თუ ცის ქვეშე, შენით ტურფავ, განბრწყინდებოდა?  
 ვინა ჰგალობდნენ, შენს შევნებას ცასა ციერნი,  
 თუ ფეხთ-მოდრეკით, განკვირვებით, ამ ქვეყნიურნი?  
 ხარ ანგელოზი, სამოთხიდან გამოფრენილი  
 ჩუენ საბრილოთა, დასატკებოლად, აქ მოვლენილია?  
 ან თუ სატანა, ჭოჯობთმა, მოგზაუნა ხმელად.  
 მოგვცა შევნება, გარდმოგავდო, გულთ სავენებლად!  
 ან ხარ ასული, ამ ქვეყნისა, ვით სხვა ასული!  
 მაგ ლამაზს მკერდს ქვეშ, როგორც სხვათა შენც ვიძკერს გულა?

1 ყ. ახალ გამოჩენილ მშვენიერებას, „ციცკარი“, 1859, № 2, გვ. 100-102.

2 ყ. პოლშელი პატრიოტი ქალი პენრიეტა პუსტოვიტოვა (რუსული გაზეთებიდან), „ციცკარი“, 1863, № 4, გვ. 590. (ქვევით: „პოლშელი პატრიოტი ქალი“).

ამა მამ გვიტხარ, ვით შემკულხარ ევრე მდიდრული,  
 გარმონითა, სიტურფითა, შეენებით სრული!  
 ვინ ბედნიერმა, სად და როგორ ევრე გაგზარდა!  
 ან ვისი თვალი, შენით მთვარალი, მარად გიმზერდა!  
 აღმოსაველეთსა, ყვავილთ შუა, თუ გაიზალე,  
 ან თუ ჩრდილოთ ხარ წყვიდას სტექქე მოხველ აქ მალე. —  
 მოგვსალმებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა.  
 შენც გაუღიმე, სიმშვიდითა ძველსა ივერსა,  
 სადაც ბუნებამ დიდებულად ზღვათა და ბართა  
 შესამლობლად ფრიალონი წინ აღემართა!  
 სადაც მათი წვერნი, ცისა კიდეს, ეტყინებთან,  
 ველნიცა მარად, ყვავილებით იმოსებთან  
 და მათზედ რბიან, წალკოთ შუა, წყალნი მცინარნი.  
 აქ სიყვარულსა შტვენენ მარად, ბულბულნი წყნარნი;  
 რა ფუფუნებით, ზამთარ-ზაფხულს ვარდნი შლილობენ!  
 ღამით ზეფირი, დილით ნამი, მანედ ხარობენ.  
 აქა ცა არის, ლურჯი, წმინდა, მნათი მარად ეამს,  
 აქა დაეთი და თამარი სულსა კიდევ სწამს!  
 აქ რუსთაველისა ლექსნი ტბილად ატბობენ ყურასა;  
 აქა ისმენენ, ბესიკისა, მღერას ციურსა.  
 აი სად მოხველ, მამ აქ მყოფნა, თუ მოგვწონა  
 გაგიშლით ვულთა ფიანდახად შენ ფერხთა წინა!  
 იყავ შეენება, ნეტარება ივერიისა,  
 იყავ ჩენთვისა, ცით ვარსკვლავი, შუქი მთვარისა!

რაც შეეხება „პოლშელ პატრიოტ ქალს“, იგი მიძღვნილია კოლონიური პოლონეთის 1863 წ. ცნობილი აჯანყებისადმი ცარიზმის წინააღმდეგ. წერილის მთავარი გმირი აქაც ქალია, თუმცა იგი რეალური პიროვნებაა და წერილში მისი ისტორიულად ცნობილი სამხედრო-საბრძოლო საქმიანობაა ახსნილი. პენრიეტა პუსტოვიტოვა პოლშის რევოლუციის წინამძღოლის ადინუტანტიო, წერს ავტორი. წერილში დახასიათებულია ამ 17-18 წლის ქალიშვილის თავდადება შრომლიერი პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მაგრამ აქ მხოლოდ ნაციონალური გმირის, მეომარი ქალის დახასიათება არაა მთავარი. წერილს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი იდეური მიზანდასახულობა: გააცნოს მკითხველს ქართველების მსგავსად ცარიზმის კოლონიალურ უღელქვეშ მდგინებ პოლონელთა აჯანყების აზრი და შინაარსი; მხარი დაუჭიროს პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას და გამართლოს ამ ქვეყნის აჯანყება საქულველი მეფისა და მისი სისხლიანი ბატონობის წინააღმდეგ. ამასთან, წერილში წინა პლანზეა წამოწეული ქალთა თანასწორობის საკითხი. აქაც, ამ საკითხშიც, ავტორი რადიკალურ-პროგრესული მოთხოვნათა დონეზე დგას.

ცხადია, ეს ყველაფერი ცარიზმთან ბრძოლას უდრიდა. ჩანს, ავტორს იცნობდა ი. კერესე-ლიძე მიუხედავად ამისა, გასაგებია, წერილი უთუოდ ფსევდონიმით უნდა გამოქვეყნებულიყო. მაგრამ იგი მაინც ცენზურის მიერ სასტიკად დამახინჯებული დაბეჭდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში უ. ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის ვინაობის საკითხს არავენ შეხებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას“, რომელიც ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში გამოქვეყნდა.

„ბიბლიოგრაფიაში“ ანოტირებულია ჯერ „პოლშელი პატრიოტი ქალი“<sup>3</sup>, ხოლო შემდეგ „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“<sup>4</sup>. აღნიშნული „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ შემდგენ-ლებსა და რედაქციას, სამწუხაროდ, ეს პოეტური თხზულება ცალკე, დამოუკიდებელ ლირიკულ ნაწარმოებად ჰქონიათ წარმოდგენილი და მიუჩნევიათ, რომ იგი, პუბლიცისტურ წერილთან ერთად, ეკუთვნის ვითომცა ჯერხნობით უცნობ ავტორს, რომელიც, მათი აზრით, თითქოს მხოლოდ უ. ფსევდონიმით წერდა.

აღნიშნული მცდარი აზრის დაცვა მოცემულია იქვე: „ბიბლიოგრაფიის“ შენიშვნაში, რომელიც შემდგენლებსა და რედაქციას სქოლიოში დაურთავთ „იმედის“ ანოტაციისათვის: ამ ნა-

<sup>3</sup> ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. 1, (1852-1877), დოკ. გ. აზნაიანის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1940, გვ. 14.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 112.

წარმოების ავტორი ვახტანგ ორბელიანი (ხაზი ჩემია, ნ. კ.), შენიშნავენ ისინი „იმედის“ შესახებ, ამით აიხსნება, რომ მათ ბიბლიოგრაფიაში — ფსევდონიმი ყ. არა ვ. ორბელიანის სახელთან, არამედ, „პირთა სახელების საძიებელში“ ცალკე აქვთ გატანილი და აუხსნელად დატოვებულნი. ეს ფსევდონიმი არც სხვა სათანადო ლიტერატურაშია ახსნილი<sup>7</sup>.

ნამდვილად კი, როგორც ქვეყნი იქნება გარკვეული, „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“, „იმედის“ შემადგენელი ნაწილია და ვ. ორბელიანს ეკუთვნის.

გავყვეთ დოკუმენტურ მასალებს.

პუბლიცისტური წერილის „პოლშელი პატრიოტი ქალის...“ გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ „ცისკარში“ დაიბეჭდა ანონიმური პოეტური ნაწარმოები „იმედი“, რომელშიაც შესავლის სახით შეტანილი იყო იმავე ფსევდონიმით აღრე გამოქვეყნებული „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“, სქოლიოში კი ამის გამო ი. კერესელიძე შენიშნავდა:

„სიყმაწვილეში“ დაწერილი „იმედის“ სხვა ნაწილები „ავტორმა შეკრიბა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩენნი თხოვნით მოგვცა და ნება დაგვრთა დაბეჭდვისა. ამისათვის საჭიროდ დავინახეთ, დავბეჭდეთ ის შესავალიცა. ხოლო გვინდა მასთანვე, — დასძინდა იქვე ი. კერესელიძე, — მოვახსენოთ მადლოთა ავტორს, რომელიცა სიმშვიდითა და თავმდაბლობით მალავს თავის გვარს“<sup>8</sup> (ხაზი ყველგან ჩემია, ნ. კ.).

ხაზგასმული სიტყვებიდან ი. კერესელიძის ის აზრი, თითქოს „იმედის“ ავტორი უბრალოდ, „სიმშვიდითა და თავმდაბლობით“ მალავდა თავის გვარს, სწორი არ არის. პირიქით, პოლიტიკური შეთქმულების მონაწილე, სასტიკად შერისხული პოეტი სავანგებოდ ფარავდა თავის ვინაობას. ხოლო ვ. ორბელიანთან, ჩანს, თავიდანვე შეთანხმებული ი. კერესელიძე ამ სიტყვებით ხელს აფარებდა პოეტის კანონიერი სიფრთხილის ნამდვილ მიზეზებს.

რაც შეეხება აზრს „იმედის“ შედგენილობის შესახებ, უკვე ითქვა, რომ ი. კერესელიძის ეს შეხედულება იქვე, „ცისკარს“ იმავე ნომერში იყო დადასტურებული: „იმედის“ აქ დაბეჭდილი ერთიანი რედაქცია, როგორც შესავალს, მოიცავდა „ახალ გამოჩენილს მშვენიერებასაც“<sup>9</sup>.

იმ დღეებში „იმედის“ იგივე, მთლიანი რედაქცია „ახალ გამოჩენილს მშვენიერებასთან“ ერთად, გამოქვეყნდა გაზ. „დროებაში“<sup>10</sup>. კორექტურა თვით პოეტს შეესრულებია<sup>11</sup>. მაგრამ თხზულება ისევ ხელმოუწერად იყო დაბეჭდილი.

„თი წლის შემდეგ, 1879 წ. ზ. ჰიქინაძემ ერთად გამოსცა ძმების ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების თხზულებანი. „იმედი“ აქ მთლიანი სახით ვახტანგის სახელით იყო შეტანილი. ასე რომ, რედაქტორს ბეჭდურად იყო დადგენილი, რომ მთელი ეს თხზულება ჩვენთვის ცნობილ „ახალ გამოჩენილს მშვენიერებასთან“ ერთად, ვ. ორბელიანს ეკუთვნოდა<sup>12</sup>.

თხზულების შევები, მისი პირიანდელი ავტოგრაფი ჩვენამდე, მაგრამ დღემდე დაცულია „იმედის“ ზ. ჰიქინაძისეული, 1879 წ. შედარებით ვრცელი რედაქციის ორი ხელნაწერი<sup>13</sup>. ერთი მათგანი უცნობის მიერაა შესრულებული<sup>14</sup>, ხოლო მეორე ვ. ორბელიანის ხელით არის გადაწერილი<sup>15</sup>. „იმედის“ ამ შედარებით ვრცელი რედაქციის შემდგენლობის დედი (გადანაწერი) ავტოგრაფი, ჩანს, შექმნილია 80-იან წლებში, როცა პოეტმა გადაწყვიტა, გამოეცა

5 ი ქ ვ ე, გვ. 99.

6 ი ქ ვ ე, გვ. 253.

7 ვ. მიქაძე, ქართული ფსევდონიმების ლექსიკონი (ხელნაწერი), გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს საელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი; ა. აბრამიშვილი, თბილისის უწყებანი, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948, გვ. 237; მისივე, მ. დავითაშვილის ფსევდონიმები, კომუნისტი, 1961, № 156; ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების საუნჯე, ახალგაზრდა კომუნისტი, 1965, № 17 (7583) და სხვა. შდრ. მისივე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1968.

8 „იმედი“, „ცისკარი“, 1868, № 2, გვ. 1.

9 ი ქ ვ ე, გვ. 1-2.

10 „იმედი“, „დროება“, 1868, № 9.

11 „დროება“, 1868, № 12 (პატრიცემულ „ცისკარის“ რედაქციას).

12 ალექსანდრე ჯამბაყურიან ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის ქ ორბელიანისა, თბ., 1879.

13 რამდენიმე ნაწყვეტი „იმედისა“, ჩანს, ნაბეჭდი ტექსტიდან, სხვისი ხელით გადმოღებულ იხსება გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, ხელნაწერები 16283, 16284.

14 საქ. მეც. ავად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, № 2535.

15 ი ქ ვ ე, ფონდი, № 4906 გ.



თავის ნაწერების ერთგომეული<sup>16</sup>. ამ ავტოგრაფულ ნუსხაში ყ. ფსევდონიმით გამოქვეყნებული „ახალ გამოჩენილ მშვენიერებას“ ვ. ორბელიანის ხელით, უცვლელად არის შეტანილი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მთელ თხზულებასთან ერთად, „იმედის“ ეს შესავალი ნაწილიც — „ახალ გამოჩენილ მშვენიერებას“ პოეტის მიერ „სიყმაწვილეში არის“ დაწერილი და ფსევდონიმი ყ. ვ. ორბელიანს ეკუთვნის. ჩანს, პოეტს ეს ფსევდონიმი მისი შორეული და სისახელე წინაპრის, ყაფლანის მიხედვით უნდა ჰქონდეს აღებული. „... ორბელიანებს ყაფლანის შვილებსაც გვექაბიან, რადგან ერთის მამის ყაფლანიდან მოვდივართ...“, წერდა პოეტის უფროსი მამა ალ. ორბელიანი<sup>17</sup>. სწორედ ამიტომ უწოდებდა ვ. ორბელიანიც თავის თავს ყაფლანის შვილს<sup>18</sup>.

მიღებული დასკვნის შემდეგ კი, ცხადია, „პოლშელი პატრიოტი ქალის“ ავტორის ვინაობის საკითხიც გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ 60-იან წლებში, ვარდა „იმედის“ ავტორისა, ყ. ფსევდონიმით არაეინ წერდა. მაგრამ ამ დასკვნის ვარდა არსებობს სხვა დოკუმენტური წყაროები და ვარაუდობენ, რომლებიც ასევე ცხადყოფენ, რომ ეს წერილი ნამდვილად ვ. ორბელიანის მიერ არის დაწერილი. საჭირო იქნება აქ ვაკვიროთ მინც შეეზრდეთ მათზე.

ვ. ორბელიანი თავისი აღრინდელი ნაწერების დედაზრისა და თავის, როგორც ავტორის ვინაობის დაფარვას თავიდანვე მხოლოდ ი. კერესელიძეს ანდობდა. ეს არც არის გასაკვირი. ი. კერესელიძე თითქმის თ. ბატონიშვილის ოჯახში იყო აღზრდილი<sup>19</sup>. ვ. ორბელიანისთვის, ჩანს, იგი შემდეგაც ერთგული და მისანდო დარჩენილა.

ამ ნდობასა და ერთგულებას ემყარებოდა ვ. ორბელიანი, როცა 1857 წ. თავისი აღრინდელი ნაწერებიდან ი. კერესელიძის ქურნალში მხოლოდ ინიციალებით და უთარიოდ გამოაქვეყნა 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგიით აღბეჭდილი ლექსი „ბულბული“<sup>20</sup>, რომელიც პოლიტიკურად არასამედო პოეტის არქივში ინახებოდა, თუ მეტი არა, მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში<sup>21</sup>.

1859 წ. ვ. ორბელიანმა ამ ნდობის გამო გამოაქვეყნა ყ. ფსევდონიმით „სიყმაწვილეში დაწერილი“ „იმედის“ ჯერ მხოლოდ შესავალი ნაწილი, უთარიოდ და უცნაური სათაურით — „ახალ გამოჩენილ მშვენიერებას“. ამ ნდობას ემყარებოდა ვ. ორბელიანი მაშინაც, როცა მთელი „იმედი“ ხელმოუწერლად დაბეჭდა კვლავ ი. კერესელიძის „ცისკარში“ 1868 წელს.

არ არის საეჭვო, რომ ამ ნდობას ემყარებოდა ვ. ორბელიანი მაშინაც, როცა პოლონეთის აჯანყების გამარჯობისადმი მიძღვნილი წერილი „პოლშელი პატრიოტი ქალი“ გამოაქვეყნა, რომელიც ცენზორის მიერ სანახევროდ დამახინჯებული დაიბეჭდა.

დასანიშნავია ისიც, რომ 1863 წელი, როცა ეს წერილი დაიწერა, ვ. ორბელიანმა ძირითადად თბილისში ვატიარა: ცდილობდა მოეზერებინა, საბოლოოდ გადმოსულიყო კავკასიის არმიის; ეურნ. „ცისკარიც“, სხვა წლებთან განსხვავებით, 1863 წლისათვის პოეტს თბილისის მისამართით აქვს გამოწერილი<sup>22</sup>. ამ წელს თბილისში მან შეძლო თავისი სამსახურებრივი საქმეების მოწესრიგება. ვ. ორბელიანი 1864 წლის დამდეგიდანვე კავკასიის არმიის დაინიშნა<sup>23</sup>.

ცხადია, ამ წლისათვის ხშირად თბილისში მყოფ პოეტს შედარებით მეტი დრო ექნებოდა. სათანადო მასალების გასაცნობად და არ არის საეჭვო, დაეწერა ჩვენთვის საინტერესო წერილი.

რაც მთავარია, 1863 წლის აჯანყება არსებითად გამოეყოფა იყო ცარიზმის წინააღმდეგ პოლონეთის 30-იანი წლების აჯანყების იდეებისა. ხოლო ეს უყანასენილი აჯანყება და მისი იდეები, როგორც ცნობილია, ყველაზე მისაბამ მკალითს წარმოადგენდა 1832 წლის ქართულ შეთქმულთათვის. 1832 წ. შეთქმულების აქტიური წევრი ვ. ორბელიანი სიკვდილამდე

16 „დროება“, 1884, № 273.

17 ალ. ორბელიანი, მეფის ირაკლის მეორის დროის ცოტაობა ანები ანუ ზოგერთი მაშინდელი პირნი, საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, ხელნაწერი, № 1654, ფ. 7.

18 ა. გაწერელია, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 05.

19 ა. კილანავა, ივანე კერესელიძე, თბ., 1959, გვ. 9.

20 თ. ვ. ორბ., ბულბული, „ცისკარი“, 1857, № 1, გვ. 3.

21 ნ. კილანავა, ვ. ორბელიანის „ბულბულის“ დათარიღების საკითხისათვის, შ. რუსთაველის სახელობის ქართ. ლიტ. ინსტიტუტის XXVI სესია, გვერდი და თეზისები, თბ., 1956, გვ. 20.

22 სია 1862 წ. „ცისკარის“ ხელისმომწერთა ქ. ტფილისში, „ცისკარი“, 1862, № 2, გვ. 314.

23 Па указу Его Величества Государя Императора Александра Александровича... საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S ფონდი, საქ. № 4906-გ, ფ. 2.

ცარიზმის მოწინააღმდეგე დარჩა. უდავოა, პოლონეთის 1863 წლის აჯანყებას იგი სისხარულით უნდა შეგებებოდა. „პოლონელი პატრიოტი ქალი“ ვ. ორბელიანის ამ სისხარულსა და ცარიზმისადმი მისი სიძულვილის ხელშეწყობები მაგალითია.

„რასაკვირველია, — ეკითხულობ წერილის დასაწყისშივე, — ჩვენს მკითხველებს მოხსენებული ექნებათ, რა ამბავიც არის ახლა პოლშაში და რის გულსისათვის მოხდება ხოლმე, თუ კი მოხდება ხადმე, ამგვარი ამბები“ (სახი ჩემიან. ე.).

ფრთხილი ავტორი „ამგვარ ამბებში“ გულსისამობდა იმ აურაცხელ ტანჯვასა და უბედურებას, რომელიც 1863 წ. ცარიზმმა თავს დაატყნა დამოუკიდებლობისათვის აჯანყებულ პოლონეთს. მიზეზიც „ამგვარი ამბებისა“ წერალში მოხერხებულადაა მინიშნებული; ვითომცდა სასხვეთაშორისოდ წერს ავტორი, „პოლიაკებმა თავისუფლება მიიწოდეს“; რომ შეარბილოს ამ აზრის სიმკვეთრე, იგი თითქოს სარწმუნო ტონით განავრძობს:

„აქ საჭიროდ არ ვრაცხთ, შევდეთ იმის განსჯაში, ვინიერია თუ უგონო ეს მონღოშილება, სასარგებლოა და ამო იმისი აღსრულების მოწადინება, არა თუ...“ ხოლო „არა თუ“... აზრი წყდება. მომდევნო სტრიქონები უკირავს ცენზურის წერტილებს, რასაც მოსდევს ავტორის აქ შემორჩენილი სიტყვები — „ჩვენ მართო იმ რევოლუციამ<sup>24</sup> გამოჩენილი პირთავანის შესახებ-ბად მკითხველებთან მოლაპარაკება გვინდა“<sup>25</sup>. აქედან კი მსჯელობა თვით პუსტოგოიტოვას შეეხება.

როგორც ვხედავთ, ვ. ორბელიანს შესავალშივე უდღია გადმოეცა წერილის იდეური მიზნდასახლება, აესხნა გონიერია თუ უგონო“ აჯანყებულთა ნაბიჯი. პოეტმა კი კარგად იცოდა, რომ აღებული პერიოდისათვის აჯანყების გამარჯვება, მისთვის მაინც სასიფათო იყო. ამიტომ განგებ, ოფიციალურად აცხადებდა, ამ საკითხის განსჯაში არ შევდივართ, მხოლოდ „რევოლუციამ გამოჩენილი“ პირი გვიანტერესებსო. ფაქტურად კი, ზედმიწევნითი სიფრთხილის მიუხედავად, ავტორს იქვე, შესავალშივე უმძლავნდება თავისი პოზიცია — უთხრას მკითხველს მართალი სიტყვა აჯანყებულთა კანონიერი მოთხოვნებისა და ბრძოლების შესახებ. ეს ცენზურის მიერ ამოღებული ადგილის გადარჩენილი ნაწილიდანაც მტკიცდება.

დარჩენილ სტრიქონებს — „სასარგებლოა და ამო იმისი აღსრულების მოწადინება, არა თუ...“. ამკარა, უნდა მოპალოდა სიტყვები — „პოლონეთისათვის“ და სხვა, რომელთა აზრი, ცხადია, აჯანყებას უჭერდა მხარს. მაგრამ შემდეგი სტრიქონები ცენზურის მიერ ასე ველურადაა ამოღებული. უდავოა, აქ ცენზურამ ამოიღო ის სიტყვები და სტრიქონები, რომლებშიც მოცემული იყო თავისუფლებისათვის მებრძოლი, აჯანყებული პოლონეთის გამოსვლას დადებითი შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რასაკვირველია, ცენზურას არც ექნებოდა საქმე წერილის ამოღებულ ადგილთან.

საერთოდ, წერილის მთელი პათოსი პოლონეთის 1863 წ. აჯანყებისადმი მხარდაჭერაა; დედააზრი, რომლის ირგვლივ იყრის თავს წერილში სხვა იდეური ზახები, ესაა გამართლება აღნიშნული აჯანყებისა; წინა პლანზე წამოწევა პოლონეთ პატრიოტთა თავდადებისა სამშობლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რაც თავისთავად ცარიზმის სიძულვილს უდრიდა.

ერთი სიტყვით, წერილის იდეურ მრწამსს, რომელიც მთლიანად ეთანხმება პოეტის პოლიტიკურ მსოფლმხედველობრივ მისწრაფებებს, ამ შემთხვევაში დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობაც აქვს და ურყევად ამტკიცებს ვ. ორბელიანის ავტორობას.

ენა წერილისა საერთოს პოელობს ვ. ორბელიანის ენასთან. როგორც ცნობილია, გრიგოლ ორბელიანი უკვე 80-იან წლებშიც შენიშნავდა ვ. ორბელიანის სამწერლო ენაში მსაზღვრელ-საზღვრელის ირიცხვით შეთანხმების ნორმათა დარღვევის ტიპურ მოვლენებს<sup>26</sup>. ირყევა, რომ ვ. ორბელიანის ენისათვის ეს თავიდანვე ყოფილა დამახასიათებელი. ამბზე მიუთითებს „პოლონელ პატრიოტ ქალში“ „რაერთი, მსგავსი მაგალითი (თავის სამეხს, ბევრი აფიქტები და მრავალი სხვა)<sup>27</sup>.

24 რევოლუცია ავტორის აჯანყების ეკვივალენტურ ტერმინად აქვს მინიშნული.

25 „ცისკარი“, 1863, № 4, გვ. 560.

26 ვ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, განკითხვა, „იერია“, 1881, № 1, ჩასწორებული გრიგოლ ორბელიანის ხელით, გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი, № 1627. შდრ. ნ. ა ლ ა ნ ი ა, გრიგოლ ორბელიანი და ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთი საკითხი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 23, 1959, № 6, გვ. 759.

27 უ., პოლონელი პატრიოტი ქალი, „ცისკარი“, 1863, № 4, გვ. 590, 595.

აღნიშნული წერილის ასე რთული სინტაქსური კონსტრუქციები, ფრაზების წყობა, თვით ლექსიკური მასალა და ყველა დანარჩენი სტილური ნიშანი საეცებით ეთანხმება ვ. ორბელიანს სხვა პუბლიცისტურ წერილს<sup>28</sup>, პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობის სტილსა და წერის მანერას<sup>29</sup>. ყოველივე ეს ასახულებს, რომ „პოლშელი პატრიოტი ქალი“ უთუოდ ვ. ორბელიანს ეკუთვნის.

თავისი დროისათვის ფრიალ განათლებული ვ. ორბელიანის ავტორობაზე მიგვანიშნებს, საერთოდ, წერილის აკადემიური ღონეც

ამრიგად, როგორც ყ. ფსევდონიმი, ასევე პუბლიცისტური წერილი „პოლშელი პატრიოტი ქალი“ ვ. ორბელიანს ეკუთვნის. იგი პოეტს დაუწერია თბილისში 1863 წ.

ჩატარებული კვლევა-ძიება გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ შემდეგი საერთო დასკვნები ა) ყ. ფსევდონიმიტ მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის მხოლოდ ვ. ორბელიანი წერდა; ბ) მას ეკუთვნის პოეტური თხზულება „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“, რომელიც წარმოადგენს მისივე ისტორიულ-ლირიკული პოემის — „იმედის“ შესავალ ნაწილს; გ) ვ. ორბელიანს ეკუთვნის პუბლიცისტური წერილი — „პოლშელი პატრიოტი ქალი ჰენრიეტა პუსტოვიტიოვა (რუსული გაზეთებიდან)“. ეს თხზულება დაწერილია თბილისში, რეალების მიხედვით 1863 წლის აპრილის დამდეგისათვის.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 595, შდრ. ვ. ორბელიანი, სიტყვა კ. მამაცაშვილის საიუბილეო ნაღიმზე, „დროება“, 1885, № 97.

<sup>29</sup> პოლშელი პატრიოტი ქალი. „ცისკარი“, 1863, № 4, გვ. 592, შდრ. ვ. ორბელიანი. წერილები რძალთან, საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 202, ფ. 53.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერგ-  
ბათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ლიტ.  
ინსტიტუტმა)



## რესუნციები და გეომონოგრაფიები

### საინტერესო ნაშრომი\*

დადი ხანი არაა, რაც გამოვიდა გ. თოგოშვილის ახალი მონოგრაფია „საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.“, რომელიც შემდგომი გაგრძელებაა მის მიერვე აღრე გამოცემული ნაშრომისა — „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე, ცხინვალი, 1958 წ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ნაშრომი ეპოქებისა და მიხედვით ქართველთა და ოსთა ურთიერთობის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა.

ახალ მონოგრაფიაშიც წერილობითი წყაროებისა და სარჩევო მასალების საფუძველზე განხილულია ორი მომე და მეზობელი ხალხის — ქართველებისა და ოსების მრავალმხრივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მართო საქართველო-ოსეთის წმინდა ურთიერთობების საკითხებით არ შემოფარგლულა და ამასთან ერთად ნაყოფიერი კვლევა-ძიებაც ჩაუტარებია თვით ოსეთის ისტორიაშიც, რაც თავის მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაა, თუ გაითვალისწინებთ, რომ საკუთრივ ოსეთის ისტორიის რიგი კარდინალური საკითხები დღემდე ჯეროვნად არაა შესწავლილი. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ასეთი მდგომარეობისა სხვათა შორის ისიც იყო, რომ აღნიშნულ საუკუნეებში ოსთა ერთი ნაწილი უკვე უშუალოდ ქართლის სამეფოში ცხოვრობდა, ტერიტორიული და ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ხოლო მეორე ნაწილი კი საკუთრივ ჩრდილო ოსეთში, რომელიც, ასე ვთქვათ, უშუალოდ ესაზღვრებოდა ოსებით დასახლებულ ქართლის რაიონებს. ამიტომ არის, რომ მთელი რიგი მოვლენების ახსნა-განმარტებისას ავტორი ერთგვარ შესავალს წარუმიძღვარებს მათ, რათა უფრო ნათელი გახადოს, მისი მსჯელობა ეხება კავკასიის ჭედს გაღმობა მცხოვრებ ოსებს ანუ სამხრეთულ ოსებს თუ პირიქითა — ჩრდილოელ ოსებს (გვ. 8).

ურთიერთობათა სირთულის სრულყოფილად წარმოდგენისათვის, ჩვენის აზრით, ავტორი სავსებით სწორად იქცევა, როდესაც იგი თავისი ნაშრომის პირველ თავში დეტალურად აღწერს ყველა იმ საუღელტეხილო გზას, გზა-ბილიკსა, და შარას, რომლებიც აყავშირებდნენ საქართველოსა და ჩრდილო ოსეთის მაკოვრებულს, რადგან არსებულ გეოგრაფიულ პირობებში მათ არცთუ ისე მცირე მნიშვნელობა ჰქონდათ. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ პერიოდში, პოლიტიკურ გარემოებათა გამო, ცალკეული რაიონების ეკონომიური თუ პოლიტიკური ურთიერთობისას ერთი შესხეღით უმნიშვნელო გზა-ბილიკი დროადრო ოსეთი მნიშვნელობისა ხდებოდა, რომ განსაზღვრულ მომენტში არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ისეთ ცნობილ მაგისტრალსაც კი, როგორც, მაგალითად, დარიალის ანუ ხეყ-ყაბარდოს გზა იყო; ეს ფაქტორი მით უფრო აღსანიშნავია, რომ მტრულ გარემოცვაში მოქცეულ საქართველო ჩრდილო ოსეთს გარდა ძირითადად ამ გზებით უყავშირდებოდა ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებსაც და, რაც მთავარია, რუსეთსაც, რომლის დახმარებითაც აპირებდა იგი სწორედ ამ ხანებში აღნიშნულ გარემოცვიდან თავის დაღწევას.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობათა ბუნების სრული გარკვევისას რაკი ორივე მხარის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების დონეს გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა არსებული ურთიერთობების მერნაკლები სიმტკიცის, ხანგრძლივობისა და ხასიათის გაგებისათვის, ბუნებრივია, რომ ავტორი თავის ნაშრომში ამ საკითხს სათანადო ადგილს უთმობს და იძლევა მის მოკლე დახასიათებასაც. ავტორის აზრით, ოსური საზოგადოება ფეოდალური საზოგადოება იყო, რომელიც ხასიათდებოდა პოლიტიკური დაქუცმაცებულობითა და სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაბალი დონით.

\* გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბილისი, 1969, გამოცემულია „საბჭოთა საქართველო“.

მომდევნო თავში ავტორი თითქმის დაწვრილებით განიხილავს აღნიშნულ პერიოდში ქართველი და ოსი ხალხების საეპურო და სხვა ეკონომიურ ურთიერთობებს. ამასთან დავაუ-შირებთ ავტორი არცეცა იმ სპეციფიკასაც, რომელიც არსებობდა საქართველო-ჩრდილო ოსეთსა და საქართველო-სამხრეთელი ოსების ეკონომიურ ურთიერთობაში. ამ უკანასკნელთან დავაუშირებთ იგი წერს, რომ სამხრეთელ ოსების ქართველ ხალხთან (ქართლებთან, იმერლებთან, რაჭველ-ლეჩხუმელებთან, სვანებთან და სხვ.) ეკონომიური ურთიერთობა საესეებით დაიყვანება მთისა და ბარის ეკონომიკათა ურთიერთობამდე, ე. ი. ისეთ ფორმებში ხორციელდებოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს მთიანეთის ქართულ მოსახლეობას ბარის მოსახლეობასთან ურთიერთობაში. ავტორის აზრით, ეთნიკურ მომენტს ამ ურთიერთობის ხასიათზე თუ ფორმებზე ვაგლეუნა არ ჰქონდა და ამდენადაც არც ანგარიშგასაწევი იყო, ისე როგორც თითქმის ანგარიშგასაწევი არ იყო პოლიტიკური მომენტიც, რამდენადაც სამხრეთელი ოსები ფაქტურად ქართლის სამეფოში შემოდიოდნენ (გვ. 68).

საეპურო-ეკონომიურ ურთიერთობათა შედარებით ფართო განხილვის შემდეგ ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ განსახილველ პერიოდში გარე სამყაროსთან სამხრეთელი და ჩრდილოელი ოსების ეკონომიური ურთიერთობა ქართულ სამყაროსთან ურთიერთობამდე უნდა დაიყვანოთ, რომ ამ დროს მხოლოდ ქართული სამყაროს ეკონომიკა იძლეოდა ოსეთის ეკონომიკის შევსების საშუალებას (გვ. 9, 70-71), რამდენადაც ოსების საცხოვრებელი ტერიტორია თავისი მთავარიანიზობისა და კლიმატური პირობების გამო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს არ ჰქმნიდა.

ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად მიგვაჩნია ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის მაგალითზე მთისა და ბარის ურთიერთობის განსაზღვრებელი ახსნა. ავტორი თვლის, რომ როცა მთასა და ბარს შორის ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა ირღვევა და მთას აღარ შეუძლია ბარის მეურნეობის პროდუქციასზე მოთხოვნილებანი ნორმალური გაცვლა-გამოცვლის გზით დაკმაყოფილოს, მაშინ იგი სხვა გზებით ცდილობს ამას — ბარში დასახლებით, უპირატესად კი თავდასხმებით (გვ. 81).

სავსებით სამართლიანია ავტორი, როცა იგი ამ მიზეზით ხსნის შუა საუკუნეების გვიანდელ ხანაში კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ამორჩავების ადლესტიდიან შვიი ზღვის სანაპირომდე, როცა იგი აიშალა და ძლიერად მოაწვა ბარის რაიონებს. სავსებით სწორია აგრეთვე ავ-

ტორი, როდესაც თვლის, რომ მთის მოწოლა ბარზე, ჩამოსახლება იწებებოდა ესა თუ თავდასხმა, სხვა მიზეზებთან ერთად (დამპყრობების გამოღმდებული შემოსევები, შშირი შინაგანი ბრძოლები, პოლიტიკური დაქუცმაცებულობის გაღრმავება და სხვა) აფერხებდა ბარის ეკონომიურ განვითარებას (გვ. 81).

მთის ბარზე მოწოლის ამ საერთო დახასიათებისას ავტორი იმ სპეციფიკასაც აღნიშნავს, რომელიც კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით ოსების საქართველოში ჩამოსახლებას ახასიათებდა. ასე, მაგალითად, იგი თვლის, რომ თავისებურმა ისტორიულმა პირობებმა ოსთა ამ მოწოლას ბარისაკენ, სხვებთან შედარებით, სავსებით განსხვავებული მიმართულება მისცა. საქმე ისაა, რომ ოსთა ბარისაკენ სწრაფვა ქართული ფეოდალური საზოგადოების მსგევეტრების მიერ იმთავითვე განსაზღვრულ კალატში იქნა მოქცეული და ეს მოვლენა მათ თავის სამსახურში ჩაყენეს. კონკრეტულად კი ეს იმში გამოიხატებოდა, რომ ქართველმა ფეოდალებმა უმეტეს შემთხვევაში ოსებს ვაჭვეული ადგილები მიუჩინეს დასასახლებლად და ამასთან ერთად ხელიც შეუწყვეს ამ ახალ ადგილებში მათს მუდმივად დაფუძნებას, რთაც შინის ნაცვლად დიდი სარგებლობა ნახეს — გაზარდეს რა თავისი ქვეშევრდომ ყმათა რიგები მოსული ოსების ხარჯზე (გვ. 82).

ამიტომ არის, რომ ავტორი საქართველო-ოსეთის ურთიერთობას, როგორც მოსალოდნელი იყო, ორი მიმართულებით განიხილავს: ერთი მხრივ, სამხრეთელ ოსებთან ურთიერთობის კუთხით; აქ ოსები გვევლინებიან ქართული ფეოდალური საზოგადოების შემადგენელ ნაწილად და ამდენად იმ შინაგანი და გარეგანი მოვლენების თანამოზიარედ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მთელ XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში; მეორე მხრივ კი, საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობის თვალსაზრისით, ავტორი დამატებით კიდევ რამდენიმე საკითხს გვთავაზობს, სადაც განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ურთიერთობა და ამ ურთიერთობის მნიშვნელობა საქართველო-ოსეთის ურთიერთობაში; აქვე ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი ფაქტები, რომელიც ჰქონდა ე. წ. „დაქორავების ინსტიტუტს“ საქართველოს სავარგო ბრძოლებსა თუ ომებში, სადაც ჩრდილო ოსების სახით ქართველებს მეტად საიმედო სამხედრო მოკავშირე ჰყავდათ (გვ. 160, 163, 244 და სხვ.).

ავტორი ნაშრომის ბოლო, VI თავში ჩვეული თანამიმდევრულობით გადმოგვცემს ქართველთა და ოსთა კულტურულ ურთიერთობას. ამასთან იგი განიხილავს არა მარტო საქართველო-

დან ოსეთში ქრისტიანული მატერიალური და სულიერი კულტურისა და მასთან ერთად ქართული დამწერლობის გავრცელების საკითხებს, არამედ იმ მომენტებსაც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აგრეთვე ოსეთის მხრიდანაც.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ თავში XVIII ს-ის 40-70-იან წლებში ოსეთში მოქმედ ე. წ. სასულიერო კომისიის მუშაობას, რომლის შემადგენლობაც ძირითადად ქართული იყო. ამ კომისიის მოღვაწეობას ავტორი განიხილავს ერთი მხრივ საერთო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კუთხით, მათი ერთობლივი თუ კერძო ინტერესების მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ კი საკუთრივ ოსეთისათვის ამ კომისიის მნიშვნელობის თვალსაზრისით (გვ. 234-245).

მართლაც, ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ავტორის დასკვნა, რომ სამისიონერო და საგანმანათლებლო მიზნებით შექმნილი ოსეთის კომისია მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის იარაღი არ ყოფილა, რომ რუსეთსა და საქართველოს ურთიერთკავშირისადმი სწრაფვის ტენდენცია ამ კომისიის ორივე წევრის საერთო პოლიტიკური იარაღის სახეს აძლევდა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ამის გარდა ცდილობდნენ აგრეთვე მის წმინდა ქართული მიზნებისათვისაც გამოყენებას, რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გვერდის ავლით (გვ. 242-243). მაგრამ ოსეთის კომისიის საქმიანობა, ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ოსი ხალხის კულტურის განვითარების თვალსაზრისით, თავისი ობიექტური შედეგებით პროგრესული მნიშვნელობის მოგვლას იყო, რამდენადაც ამ საქმიანობას შედეგად მოჰყვა ოსებში დამწერლობისა და სასკოლო განათლების გავრცელება, ქრისტიანული კულტურის ქვეყნებთან — საქართველოსა და რუსეთთან ოსების დაახლოება (გვ. 248).

ოსეთის კომისიის მუშაობის ჩვენების შემდეგ, ავტორი განიხილავს იმ ოს მოღვაწეთა საქმიანობასა და შემოქმედებას, რომლებიც ქართული ენისა და დამწერლობის, ქართული კულტურის წილში აღიზარდნენ და ამ კულტურის ასაბრუნებლად მოღვაწეობდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, აღნიშნული საუკუნეებში პართენი, ბახტა, გამალიელი, გიორგი ჯათიშვილი, ვანის-შვილი ჯვანის ძე, ნეოფიტე, იოანე იალღუხისძე და სხვ. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ საქართველოს პოლიტიკურ მსჯეულებს ოს ხალხთან დაკავშირებით ქართული მწიგნობრობის ტრადიციებზე აღზრდილი ე. წ. „ოს ყოფილი“ პირებისაგან ერთი ძირითადი ამოცანის შესრულება უნდოდათ — კულტურული იდენტოგოურად დაეახლოვებინათ ოსები ქართველ ხალხთან და ამდენად გაეადვილებინათ მათი შეზრდა ქართული სახელმწიფოებრივ

ორგანიზმში (გვ. 254).

ასეთია გ. თოგოშვილის ნაშრომის ძირითადი მიღწევები, რითაც იგი უკვე სახეობით კანონზომიერ და ღირსეულ ადვილს იკავებს კავკასიის ხალხთა ისტორიოგრაფიაში; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი არაა დაზღვეული ცალკეული უზუსტობებისაგან. ასე, მაგალითად, ავტორის მიხედვით გამოდის, რომ XVI—XVIII საუკუნეებში კონტროლს ხევე-ყაბარდოს გზაზე, რომლის გასწვრივაც ცხოვრობდნენ ოსები, თითქმისა ძირითადად ოსები ახორციელებდნენ და არა ყაბარდოელი თუ ქართველი მეფე-მთავრები, რაც, ჩვენის აზრით, რამდენადმე არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. საქმე ისაა, რომ XVI—XVIII საუკუნეების 70-იან წლებამდე ჩრდილო ოსეთი ყაბარდოს მთავართა ქვეშევრდომ-ვასალი იყო და ამდენად ხევე-ყაბარდოს გზაზეც კონტროლს უმეტესწილად, ეკონომიური მომენტებისა თუ „ძალის უფლებით“, ყაბარდოელები ახორციელებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო მათ ერთი მხრივ, არავეის საერისთავო ეცილებოდა, ხოლო მეორე მხრივ კი, თვით მათს წინააღმდეგ აჯანყებულ ოსები.

ამ მხრივ მდგომარეობა პრინციპულად მხოლოდ XVIII ს-ის 70-იან წლებში შეიცვალა, როდესაც ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით ყაბარდო რუსეთთან იქნა შეერთებული.

ამ ფაქტით თავისთავად ოსი იგულისხმებოდა, რომ ოსეთიც რუსეთს, ასე ვთქვათ, „ავტომატურად“ შეუერთდა, რაკი ის ყაბარდოს ქვეშევრდომ-ვასალი იყო. ასეთმა ვითარებამ, ბუნებრივია, რომ თავის მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობა შექმნა ოსეთისათვის, რამდენადაც იგი მოხვდა „ორხელისუფლებიანობის პერიოდში“. ეს კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩრდილო ოსეთი ერთი მხრივ ყაბარდოელ მთავართა ხელისუფლების ქვეშ იყო მოქცეული, რადგან ისინი, მიუხედავად მისი ნომინალურად დაკარგვისა, ჯერ კიდევ არ თმობდნენ თავიანთ უფლებებს და ძველ ტრადიციის ძალით კვლავ განაგრძობდნენ ოსეთის მორჩილებაში ყოფილს, ხოლო მეორე მხრივ კი, ჩრდილო ოსეთი რუსეთთან იყო შეერთებული და, რაც მთავარია, იგი ნებაყოფლობითაც ცნობდა თავის თავს რუსეთის ქვეშევრდომად.

ყაბარდო-ჩრდილო ოსეთის ასეთი ურთიერთ-დამოკიდებულება რუსეთის კავკასიური პოლიტიკისათვის პრინციპში მომგებიანი იყო, რადგან კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციებში მას აღნიშნული მდგომარეობა მათზე ზემოქმედების მეტად დიდ საშუალებას აძლევდა. ასე, მაგალითად, ჩრდილო კავკასიაში თავისი ვაბატონებისათვის რუსეთი ერთი მხრივ თითქმის მხარსაც კი უჭერდა ყაბარდოელებს ოსების წინააღმდეგ, რათა ყაბარდოელთა გული მოეგო და



ამით ძლიერი დასაყრდენი შეექმნა ადგილზე, ხოლო მეორე მხრივ კი, ოსებსაც უჭერდა მხარს ახლა უკვე ყაბარდოელების წინააღმდეგ, რამდენადაც ამ შემთხვევაში ეს მას ოსებისადმი დახმარებადაც მიაჩნდა და იმავე დროს ყაბარდოელებზე ზემოქმედების ერთ-ერთ საშუალებადაც.

ბუნებრივია, ასეთ ერთგვარად გაურკვეველ ვითარებაში ანუ როდესაც ჯერ მთლად ნათელი არ იყო ყაბარდო-რუსეთის დამოკიდებულება ჩრდილო ოსეთის მიმართ, რასაკვირველია, ჩრდილოელებს მებრძოლი შესაძლებლობა მიეცა ე. წ. ავითინებობისათვის<sup>14</sup>, რასაც ისინი ახორციელებდნენ კიდევ განსაკუთრებით XVIII ს-ის ბოლო მეოთხედსა და XIX ს-ის დასაწყისში.

სე რომ, თუ შეიძლება ხეყაბარდოს გზაზე საერთოდ ოსთა მიერ შედარებით მტკიცე და ხანგრძლივი კონტროლის დაწესებაზე საუბარი, ეს მხოლოდ XVIII ს-ის 70-იან წლებიდან შეიძლება, ხოლო რაც შეეხება აღრეულ პერიოდს — XVI—XVIII ს-ის 70-იან წლებზე, აქ თითქოს უეჭველი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ გზაზე კონტროლს ახორციელებდნენ, ერთი მხრივ, ყაბარდოელი ბატონები, ან, მეორე მხრივ, არავეის ერის თავები, რის გამოც ისინი არაერთხელ შებრძოლებიან ერთმანეთს. მართალია, ავტორი ამ უკანასკნელ მომენტს აღნიშნავს, მაგრამ იგი მას ფაქტურად მხოლოდ XVI ს-ის მოგონებად თვლის, ხოლო რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, მისი მსჯელობა საერთოდ ისეა წარმართული, რომ თითქოს ხეყაბარდოს გზის ბედი მთლიანად ოსებზე იყო დამოკიდებული და არა სხვაზე, რაც, ჩვენის აზრით, არაა სწორი.

ვფიქრობთ, რომ დასაზუსტებელია ავტორის ორი სხვა დებულებაც. პირველი: ავტორი თვლის, რომ განსახილველ პერიოდში ოსების ეკონომიური ურთიერთობა გარე სამყაროსთან უნდა დაეყვანათ მის ქართულ სამყაროსთან ურთიერთობაზე და რომ ამ დროს მხოლოდ ქართული სამყაროს ეკონომიკა იძლეოდა ოსეთის ეკონომიკის შეესებვის საშუალებას (გვ. 68, 72).

ავტორის ამ დებულებას, რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რამდენადაც აღნიშნულ პერიოდში ყოველთვის ამართნობდა არ იყო საქმე. ჯერ ერთი, ოსეთის ეკონომიკა თავის შეესებას იღებდა არა მარტო ქართლიდან, რაჰკიდან და იმერეთიდან, არამედ ყაბარდოიდანაც და არც თუ ისე მცირე როლი ითავი. მეორეც და რაც მთავარია XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან და განსაკუთრებით კი 60-იანი წლებიდან ჩრდილო ოსეთი თითქმის სულ ჩამოსცილდა ქართულ სამყაროს და მთელი თავისი ეკონომიური მოთხოვნილებანი რუსულ სამყაროს დაუკავშირა, რაც სხვათა შორის ავტორისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო.

ასევე, ჩვენი აზრით, სადავო უნდა იყოს ავტორის მეორე დებულება: იგი ადარებს რა ოსების საერთო განვითარების დონეს მეზობელი ჩრდილო კავკასიელი ხალხებისას, წერს: „რაც შეეხება ოსების სხვა, უშუალოდ მოსაზრებზე ხალხებს — ყაბარდოელებს, ბალყარებსა და ჩეჩენურ-ინგუშურ ტომებს, ისინი არც თავისი განვითარების დონით, არც სამეურნეო ხასიათით, დიდად არ განსხვავდებოდნენ ოსები-საგან, ხოლო ზოგ შემთხვევაში მასზე დაბლაკი იდგნენ (ბალყარლები, ჩეჩენ-ინგუშები) (გვ. 68). აქ, ჩვენი აზრით, არასწორი და ტენდენციური შეფასებათან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, ჩრდილო ოსები ყაბარდოელებთან შედარებით თავისი განვითარების დონითაც და სამეურნეო ხასიათითაც გაიცილებით დაბლა იდგნენ, ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ოსები ყაბარდოელი მთავრების ქვეშევრდომი ვალაგები იყვნენ და ამასთან ერთად დიდადაც იყვნენ მათზე ეკონომიურად დამოკიდებულნი, ხოლო მეორეც, ჩრდილო ოსები იგივე ბალყარებსა და ჩეჩენ-ინგუშებს მინიჭდამიანდ დიდად ვერ უსწრებდნენ წინ.

ჩვენი აზრით, ნაშრომი რამდენადმე მოიგება, ავტორს რომ მეორე და მეტყუთე თავები ერთ თავში გააერთიანებინა და თანამედროვეულ ჩეჩენებსა და ბალხის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა — პირველ პარაგრაფში უშუალოდ ჩრდილოელები, ხოლო მეორეში კი სამხრეთელი ოსებისა. ამასთან ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უფრო ხაზგასმული იქნებოდა ის თავისებურება, რომლისც სამხრეთელებს ახასიათებდათ ჩრდილოელებთან შედარებით. საქმე ისაა, რომ მაშინ როდესაც ჩრდილოელებ ოსთა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება აღნიშნულ საუკუნეებში კვლავაც აგრძელებდა წინსვლას თავისი სიღრმისეული ძალებით, სამხრეთელი ოსები ნელ-ნელა მოხვდნენ რა ქართულ ფეოდალურ სამყაროში, თავისი სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობით თითქმის პრინციპულადაც განსხვავდებოდნენ თავიანთი ჩრდილოელი თანამოგებებისაგან, რასაც, რასაკვირველია, ერთგვარი კორექტივი შეაქვს საქართველო-ოსეთის ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

ის, რომ სამხრეთელი ოსები ქართულ ფეოდალურ სამყაროს შერწყმნენ და მის ერთობაში ორგანოდ ნაწილად გადაიქცნენ, რასაც სხვათა შორის თვით ავტორიც ამტკიცებს დაბეჭდვით, რასაკვირველია, ეს უკვე თავისთავად იმის მანიშნებელი იყო, რომ სამხრეთელი

ის, რომ სამხრეთელი ოსები ქართულ ფეოდალურ სამყაროს შერწყმნენ და მის ერთობაში ორგანოდ ნაწილად გადაიქცნენ, რასაც სხვათა შორის თვით ავტორიც ამტკიცებს დაბეჭდვით, რასაკვირველია, ეს უკვე თავისთავად იმის მანიშნებელი იყო, რომ სამხრეთელი

ოსები მხოლოდ ეთნიკურად ინარჩუნებდნენ ოსობას, ხოლო ტერიტორიულად და სოციალ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობით კი წარმოადგენდნენ, ასე ვთქვათ, „მრავალეროვანი“, შიდა ქართლის მაცხოვრებლებს. აქედან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ობიექტურად საქართველოს ურთიერთობა სამხრეთელ ოსებთან უნდა დადგინდეს, რომ ობიექტურად საქართველოს საშინაო ურთიერთობად და ამდენად არ დავეუშვათ მისი გაიგივება საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობასთან.

ფიქრობთ, რომ ყოველივე ამის შემდეგ გ. თოგაშვილის ნაშრომის სათაური მთლად სწორად ვერ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს. ჩვენის აზრით, ობიექტურად უფრო მეციერული იქნებოდა, რომ აღნიშნულ მონოგრაფიას ღარქმეოდა „საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.“ ან უკიდურეს

შემთხვევაში „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა XV-XVIII სს.“ და არა ის, რაც ავტორმა შემოგვთავაზა.

ამასთან ერთად საქირთლ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში სრულებითაც არ გამოირჩევადა თავისთავად თვით სამხრეთელ ოსთა ისტორიასაც, კერძოდ მათი ჩამოსახლების, მათი სოციალ-ეკონომიური განვითარების და სხვა საკითხების გადმოცემას, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ მიზნით, რომ საკუთრივ ოსთა ხალხის ისტორიულ განვითარებაზე გვექონოდა გარკვეული წარმოდგენა, ხოლო რაც შეეხება ორივე მხარის საგარეო ურთიერთობათა ისტორიას, აქ ჩვენ ძირითადად მაინც უშუალოდ საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობებით უნდა შემოვფარგულყოყაიოთ.

თეიმურაზ ზოცხაიძე

## ს ნ თ ტ ა ტ ი მ ბ ი

### ახალი წიგნები

#### გამომცემლობა „მეცნიერება“

**გ. ჭიბაძევილი — ვ. ი. ლენინი და ირანის ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა**

წიგნში შესწავლილი და გაანალიზებულია ირანელი ხალხის ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარების საკითხები. მასში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამოუკიდებელი ამიერკავკასიელი, კერძოდ ქართველი, რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების ირანის რევოლუციაში უშუალო მონაწილეობის ცალკეულ მომენტებს.

ნაშრომის გაცნობა სასარგებლო სამსახურს გაუწევს მოზარდი თაობის ინტერნაციონალური სტრასტეგიებით აღზრდის საქმეს (116 გვ. ტირაჟი 1500, ფასი 50 კაპ.).

**მ. გაფრინდაძევილი — კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ზოგიერთი საკითხი ვ. ი. ლენინის შრომებში**

ნაშრომში მოცემულია განმანათლებლობის ეპოქის საზოგადოებრივი აზროვნებისა და სოციალისტური კულტურის წარმოშობის და განვითარების მარქსისტურ-ლენინური დახასიათება, განხილულია კულტურული მემკვიდრეობის

მეცნიერული შესწავლის რამდენიმე ძირითადი — უპირატესად მეთოდოლოგიური საკითხი (81 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 35 კაპ.).

**ა. ჯიბუტი — კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირები საქართველოში**

ნაშრომში საბჭოთა კავშირის მასშტაბით კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების წარმოშობისა და განვითარების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოთა ფორმების თავისებურებათა დახასიათება. მოცემულია (1959—1966 წწ. მიხედვით) კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციების მუშაობის ეკონომიკური ანალიზი; დასახულია კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის მწარმოებელთა გაღივების გზები; ნაჩვენებია კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების როლი რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაღივებაში, აგრეთვე მისი მნიშვნელობა კოლმეურნეობრივ-კოპერაციული საკუთრების სახელმწიფოებ-



რივ დონემდე ამაღლებაში (225 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 1 მან. 9 კაპ.).

**მ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი — საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის**

ნაშრომის პირველ ნაწილში გაშუქებულია საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის საფუძვლები. მეორეში შესწავლილია საკლევო პრობლემის ისეთი ბერკეტები, როგორცაა საშუალო მუშაობა, გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტების მოღვაწეობა, სამომხმარებლო, საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების საქმიანობა, ნაჩვენებია საქართველოს პარტული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის (359 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 1 მან. 82 კაპ.).

**დ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე — ლენინი და ქეშმარიტების პრობლემა**

ნაშრომში მოცემულია ქეშმარიტების მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრების ანალიზი, დახასიათებულია ქეშმარიტებისა და პრაქტიკის სტრუქტურა, მათი ძირითადი ნიშნები, ვაკრიტიკებულია იდეალისტური კონცეფციები. (67 გვ., ტირაჟი 1500, ფასი 29 კაპ.).

**ა. ლ ე უ ა ვ ა — ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში**

წიგნი ნაჩვენებია ჩრდილო კავკასიის მდგომარეობა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და ის რთულ სოციალ-პოლიტიკური ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიაში.

წიგნი ასახავს ჩრდილო კავკასიის ხალხების ბრძოლას შინაგანი კონტრარევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს წარმოდგენილი იყო გ. ბიჩერაზოვის სახით, და ამ ბრძოლაში ქართველების, კერძოდ ალ. გეგეჭკორის რაზმის მონაწილეობას.

ნაშრომში საარქივო დოკუმენტებზე, სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებებზე დაყრდნობით და იმ ვრცელ ლიტერატურის საფუძველზე, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ არსებობს, ნაჩვენებია, ერთი მხრივ, ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა და ჩრდილო კავკასიის ხალხების ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, საქართველოს მენშევიკური მთავრობის მოღალატური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშ-

ლიდა დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას (166 გვ., ტირაჟი 120, ფასი 93 კაპ.).

**მ. ყ ო ლ ბ ა ი ა — გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვის ინტელექტუალური განვითარების თავისებურებანი**

ნაშრომში გაშუქებულია დამხმარე სკოლის მოსწავლეების (დებილების) განვითარების ასაკობრივი განვითარების საკითხები, ექსპერიმენტულად დადგინდა სხვადასხვა სიძნელის მასალის განვითარების უნარის მომწიფების საფეხურები. შესწავლილ და დახასიათებულ იქნა განვითარების პოტენციალური უნარების განვითარების დინამიკა. ნაჩვენებია განვითარების ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომელთა დაძლევის გარეშე განვითარებას ადგილი არა აქვს. მოცემულია იმ ლოგიკური ოპერაციების დახასიათება, რომელთა გამოყენებითაც დებილი სწყვეტს განვითარების ამოცანებს (218 გვ., ტირაჟი 800, ფასი 1 მან. 9 კაპ.).

**გ. შ ა ყ უ ლ ა შ ვ ი ლ ი — საიათნოვას ზნერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით**

თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერი დავთარი (აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, H 21) ერთ-ერთი საუკეთესო წყაროს საიათნოვას ლექსთა ტექსტოლოგიური დამუშავებისა და მისი შემოქმედების ობიექტური ანალიზისათვის.

წიგნში მოცემულია აღნიშნული ხელნაწერის საიათნოვას ზნერბაიჯანული ლექსების კრიტიკული ტექსტი ერენის დავთრის გთავალისწინებით. ტრანსკრიბირებულია თანამედროვე ზნერბაიჯანული ანბანით და დართული აქვს კომენტარებულ ქართული თარგმანი ლენინურთ.

შრომის მე-2 ნახევარი ეთმობა აშუღური პოეზიის წარმოშობას, საქართველოში მისი დამკვიდრების საკითხებს და საიათნოვას ზნერბაიჯანული ლირიკის ლიტერატურული ხასიათის ფართო მიმოხილვას (178 გვ., ტირაჟი 1400, ფასი 69 კაპ.).

**ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი — ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I, ვეფხისტყაოსნის რედაქციები**

ნაშრომში, რომელიც ორი ტომისაგან შედგება, მონოგრაფიულადაა შესწავლილი პოემის ტექსტის ისტორიისთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. წინამდებარე ტომში განხილულია პოემის რედაქციები; ტექსტის რეკონსტრუქციის ცდასთან ერთად გამოვლენილია ჩანართი პლასტების წარმოშობა, ამის მიზეზე-



ბი და ტექსტის თანდათანობითი ევოლუცია, რაც წარმოდგენილია კლასიკური ხანის მწერლობის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში.

ამჟამად არსებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია პოემის რედაქციები და ქვერედაქციები, აღნიშნულია მათი მიმართება ურ-

თიერთთან. ამასთან ტექსტის ისტორიის მონაცემების გათვალისწინებით აღბრუნდებიან ტექსტის ადღენასთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა. ნაშრომს უძღვის აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური საკითხების ისტორია ვახტანგ VI-დან მოკიდებული ჩვენ დრომდე (348 გვ., ტირაქი 1800, ფასი 1 მან. 82 კაპ.).

### გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

#### ვ. ი. ლენინი — საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შესახებ

კრებულში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის გამონათქვამები საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შესახებ. მათ უძღვები მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის, ჩვენი ხალხისათვის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში (301 გვ., ფასი 64 კაპ.).

#### მ. გაგოშიძე — საბჭოთა პრესის ლენინური პრინციპები

ავტორი განიხილავს ისეთ საკითხებს. როგორცაა პრესის კლასობრივი ხასიათი, პრესა და საზოგადოებრივი აზრი, პრესის თავისუფლება და მისი განხორციელების შეუძლებლობა კაპიტალიზმის პირობებში, პრესის თავისუფლების თავისებურებანი საბჭოთა კავშირში, პარტიული და საბჭოთა პრესის საზოგადოებრივი როლი, მისი ფუნქციები, საბჭოთა პრესის ძირითადი პრინციპები (134 გვ., ფასი 23 კაპ.).

#### ფ. მახარაძე — ლენინური სიტყვის ძალა

შრომში გაშუქებულია ვ. ი. ლენინის ორატორული ხელოვნება; ნაჩვენებია ლენინური სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი სიმდიდრე, კომპოზიციურ-სინტაქსური მრავალფეროვნება, გადმოცემის სიღრმე, მისაწვდომობა (170 გვ., ფასი 38 კაპ.).

#### დ. გოგოხია, ა. კუპრაძე — საქართველოს კ აფხაზეთის ორგანიზაციის ისტორიიდან (რუსულ ენაზე)

წიგნში გადმოცემულია საქართველოს კ აფხაზეთის ორგანიზაციის ისტორია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის მშენებლობის პერიოდში. ნაჩვენებია, როგორ შეძლო აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ მასების მობილიზება სოციალისტის მშენებლობის ლენინური პროგრამის განსახორციელებლად (162 გვ., ფასი 70 კაპ.).

### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

#### მოსე გოგიბერიძე — რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის მოსე გოგიბერიძის „რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი“ გამოდის სამ ტომად. პირველ ტომში დაბეჭდილია შემდეგი ნაშრომები: „სალომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიასა და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებაში“, „აონშტაინის რელატივიზმის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“, „შემეცნების აქსიომატური დასაბამი“, „შემეცნების საენის პრობლემა“. 28 ნაბეჭდი თაბახი, ტირაქი 3000, ფასი 2 მან.).

#### მ. ჟულაყიძე — კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) პირადი საკუთრება თანამედროვე ეტაპზე (საქართველოს სსრ კოლმეურნეთა მავალითზე)

შრომში განხილულია კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) პირადი საკუთრება თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სსრ მავალითზე. ფაქტობრივი მასალების საფუძველზე მოცემულია კოლმეურნის ოჯახის შემოსავლის წყაროების დახასიათება და სტრუქტურა (6 ნაბეჭდი თაბახი, ტირაქი 100, ფასი 40 კაპ.).

**გ. გოშაძე — სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიური კანონზომიერებანი**

ნაშრომში განხილულია სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიურ კანონზომიერებათა ყველა ძირითადი საკითხი. იგი შედგენილია პოლიტიკური ეკონომიის კურსის მოქმედი პროგრამის მიხედვით. წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის (8,5 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 1000, ფასი 50 კაპ.).

**ე. ი. ბრეგელი — საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოება. ეკონომიური კრიზისები**

წიგნში განხილულია საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი საკითხები (10 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 2000, ფასი 37 კაპ.).

**ფ. ერთელიშვილი — ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში.**

ნაშრომში დადგენილია ზმნური ფუძეების სტრუქტურული მოდელები, განხილულია ზმნური ფუძეების სტრუქტურასა და ისტორიასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები: ხმოვანთმონაცვლეობა, თანხმოვანთა კომპლექსების მოდელები, თანხმოვანთა და თანხმოვანთა კომპლექსების ცვლილებანი, ზმნური ძირების რედუბლიკაცია, პირველადი საწყისების სუფიქსთა გენეზისი, უმარცვლო და მარცვლიანი ფუძეების ისტორიული ურთიერთმიმართება. გარდა ამისა, ნაშრომში მოცემულია ცლა, თანხმოვანთა კომპლექსების გარკვეული მოდელების მიხედვით დადგინდეს ამ ჯგუფის კომპლექსთა შემცველი ზმნური ფუძეების ისტორია. (22,5 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 700, ფასი 1 შან. 70 კაპ.).

**ნ. ნაკუცია — თურქეთი.**

წიგნში დახასიათებულია თურქეთის ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონები, ქალაქები. მისი მიზანია ქართველ მკითხველს გააცნოს საქართველოს უშუალო მეზობლის — თურქეთის ეკონომიური გეოგრაფია (9,5 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 3000, ფასი 90).

## სიმპოზიუმი ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების საკითხებზე

1969 წლის 25-29 მარტს ბაქოში ჩატარდა სიმპოზიუმი, რომელიც ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხებს მიეძღვნა.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული კომპლექსური პრობლემის — „საზოგადოების ისტორიული განვითარების და ერთი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციიდან მეორეში გადასვლის კანონზომიერებები“ — სამეცნიერო საბჭოს სახელით გამოხსულმა ა. ჩისტოვზოროვმა აღნიშნა სიმპოზიუმის ჩატარების დიდი მეცნიერული მნიშვნელობა.

სიმპოზიუმის საქმიანი ნაწილი დაიწყო ა. აღონციის მოხსენებით — „ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი“. მოხსენებელმა ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა დაუკავშირა ამ მხარის რუსეთთან შეერთებას, რასაც მოჰყვა აქ საწარმოო ძალთა განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების ლიკვიდაცია, და ამ ნიადაგზე სავაჭრო-სააქონლო წარმოების ზრდა-განვითარება.

ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობათა გენეზისს ავტორი იწყებს XIX ს-ის 30-იანი წლებიდან, როდესაც აქ ხდება კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურული საწარმოების აღმოცენება. ამავე დროს, მისი აზრით, აქ კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პროცესი იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობდა, ხოლო მანუფაქტურულა საფეხური იმდენად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ შეიძლება ამ უკანასკნელის იგნორირება, მით უმეტეს, რომ, ავტორის დასკვნით, მსხვილი მანუფაქტურები მეტად მცირერიცხოვანი იყვნენ და მხარის ეკონომიურ ცხოვრებაში არსებითს როლს არ თამაშობდნენ. სამწუხაროდ, ავტორს ამ დებულების საილუსტრაციოდ არ მოუტანია მანუფაქტურული წარმოების მრეწველობის სხვა ფორმებთან შეფარდების მონაცემები და მხოლოდ ზოგადი დაკვირვებით დაკმაყოფილდა. მეორეს მხრივ, რადგან თვით ავტორი კაპიტალიზმის ჩასახვას მანუფაქტურას უკავშირებს, გაუგებარია, რაღაში ხედავს იგი აქ კაპიტალიზმის საწყისებს, თუკი გამოირჩევა მანუფაქტურის რაიმე ხელშესახებ როლს? მართალია, ა. აღონცი აღნიშნავს, რომ მანუფაქტურები აქ მათი აღმოცენებიდან 10-20 წლის გავლის შემდეგ ფაბრიკაში გადაიზარდნენ, მაგრამ, მეორეს მხრივ, 70-იანი წლების დასაწყისამდე ყველა მსხვილი საწარმოს, მათ შორის იმათაც, რომელნიც თავიდანვე ფაბრიკის სახეს ატარებდნენ (მაგ., ჩათახის თუჯასხმელ ქარხანას, თბილისის ბამბულის ფაბრიკას) მანუფაქტურებად მიიჩნევს. ამდენად, ბუნდოვანი რჩება საკითხი — როდის და რა გზით ხდება ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება.

ავტორი დაწვრილებით ჩერდება იმის განმარტებაზე, რომ მანუფაქტურის ფაბრიკულ წარმოებაში გადასვლა ნიშნავდა სამრეწველო გაღატარალებას და ამას საერთოდ მიიჩნევს კაპიტალიზმის ერთ-ერთ ნიშნად (?), მაგრამ არ ახსტატებს როდის მოხდა ეს ამიერკავკასიაში, ან რით უნდა აიხსნას, რომ ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ერა მანქანური წარმოებით იწყება (თუკი ეს საერთოდ სწორია!), მაშინ როდესაც მარქსი კაპიტალისტური ერას დასაწყისს მანუფაქტურას უკავშირებს.

ესება რა რეფორმამდელი ხანის სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, ავტორი აღნიშნავს, რომ ფეოდალური ურთიერთობანი ბოჭავდნენ საწარმოო ძალთა განვითარებას, მიუხედავად ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისი. ვადადის რა რეფორმის შემდგომ ხანაზე. ავტორი მოუთხოვს, რომ ამიერკავკასიის სოფლის ჩართვას კაპიტალისტურ ურთიერთობებში თან არ სდევს. საბატონო? მეურნეობის ვადაქვევა კაპიტალისტურ მეურნეობად. მხოლოდ ქართულ თავადაზნაურთა და ახერბაიჯანულ ბეგების მცირე ნაწილი ახერხებს თავიანთი მეურნეობის მოწყობას კაპიტალისტურად. კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა ამიერკავკასიაში ვითარდ-



ბოლო ძირითადად კულაკურ მეურნეობათა სახით. მაგრამ აქვე დასძენს, რომ ფეოდალური გადმონაშთების გამძლეობა იყო მოწმობა რეფორმის შემდეგ დროინდელი ამიერკავკასიის სოფელში კაპიტალიზმის შედარებით სუსტი განვითარებისა. აქ პრუსული განვითარების ნიშნები უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ამერიკელისა. ეს გაუგებარია, რადგან უფრო ადრე ნათქვამი იყო, რომ „კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა ამიერკავკასიის სოფელში დამკვიდრდა და განვითარდა ძირითადად კულაკური მეურნეობის სახით“, ხოლო კულაკური მეურნეობის განვითარება სწორედ ამერიკულ გზას გულისხმობს.

სხვათა შორის, აქ ავტორი მეორე წინააღმდეგობაშიც ვარდება, რადგან აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარება ხდებოდა ამერიკული გზით მხოლოდ თბილისის გარეუბნებსა და მუდნანის ველის „თაღისუფალ მიწებზე“, გამოდის, რომ კულაკური მეურნეობაც არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული.

ავტორი ამიერკავკასიაში XIX ს-ის დასაწყისამდე, ე. ი. რუსეთთან შეერთებამდე, გამოიკვსავს ყოველგვარ ნიშნებს ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობისა, და ამავე დროს მიანიჩნია, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობანი რუსეთში XVII საუკუნეში აღმოცენდნენ. გაუგებარია, რა იგულისხმება ამ შემთხვევაში კაპიტალიზმის საწყისებში, რადგან ის, რაც ხდება XVIII ს-ის რუსეთში (იგულისხმება კაპიტალიზმის ელემენტების გაჩენა) არ იყო უცხო ამიერკავკასიისათვისაც; მაგ., საქართველოსთვის, XVIII ს-ის მეორე ნახევარში მაინც.

ი. აღონცი აღნიშნავს, რომ რუსეთის სხვა აზიური კოლონიზაციან განსხვავებით, ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარებამ მიაღწია მაღალ დონეს. ავტორის აზრით, სამარწველო განვითარებით ამიერკავკასიის მაჩვენებლები გაუთანაბრდა საერთო რუსულ საშუალო მონაცემებს. ავტორის ეს დასკვნა მართებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთო რუსული მონაცემებიდან გამოვრიცხავთ რუსეთის დაწინაურებული სამარწველო ცენტრების (მეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირის და ზოგიერთი სხვა გუბერნიის) მონაცემებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაჭარბებასთან გვექნება საქმე.

მოსხენებაში არსებითად გაუსუბიექლებელი დარჩა ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის თავისებულებანი, რადგან არ არის გათვალისწინებული ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევისა და ახალ ურთიერთობათა ჩასახვის წინამძღვრები და პირობები მთლიანად ამიერკავკასიაში და მის ცალკეულ მხარეებში, არ ჩანს, რა იყო საერთო მთლიანად ამიერკავკასიისათვის და სპეციფიკური მისი ცალკეული მხარეებისათვის.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოისმინეს ა. ნოვოსელცევის მოხსენება — „რუსეთთან შეერთების მნიშვნელობა ამიერკავკასიის ეკონომიურ განვითარებისათვის“. მომხსენებელმა მიზნად დაისახა შედარებინა ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების ობიექტური პირობები რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ (ე. ი. XIX საუკუნეში) და აგრეთვე ამიერკავკასიის და ირანის ეკონომიური განვითარების ტემპები დროის ამავე მონაკვეთებში.

სამწუხაროდ, ერთი შეცდომის გამო, რომელიც ავტორმა ამოსავალ დებულებაში დაუშვა, მან ვერ მოახერხა მეცნიერული სისრულით შეესრულებინა დასახული ამოცანა. საქმე ისაა, რომ ავტორი ან საქართველოს არ თვლის ამიერკავკასიის წამყვანი ნაწილს შემადგენლად (რასაც ვერ დავეთანხმებით), ანდა მისი განცხადება, რომ — „რუსეთთან შეერთებამდე ამიერკავკასიის დიდი და წამყვანი ნაწილი, როგორც წესი, ან ირანის ახლანდელ ტერიტორიასთან ერთადერთსა და იმავე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა შემადგენლობაში შედიოდა, ან არა და დამოკიდებული იყო მასზეო“, — მცდარია. მომხსენებლისთვის ხომ კარგადაა ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ 1783 წელს აღმოსავლეთ საქართველო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის პროტექტორატში, ხოლო დასავლეთ საქართველო არ იყო დამოკიდებული ირანისაგან და იბრძოდა თურქეთის გავლენის წინააღმდეგ.

ავტორი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში არსებულ მსხვილ სამარწველო საწარმოებს სრულიად გაუმართლებლად უდარებს XVII საუკუნის მსხვილ სახელმწიფო სახელისნოებს სეფევიდთა ირანში და თვით მონოლოთა ბატონობის ხანაშიც, თუმცა სინამდვილეში მათ, ბევრ შემთხვევაში გარდა ერთგვარი გარგენული მსგავსებისა, არაფერი აქვთ საერთო. ამდენად შეცდომაა ყველა მათი მიჩნევა წარმოების ფეოდალური წესის შესაბამის ორგანიზაციად. საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არსებული მანუფაქტურების შედარებისას ირანის ადრეული ხანის „ქარხანისთან“ ავტორი არ ითვალისწინებს, რომ ახალ ხანაში, კერძოდ კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის გაფართოებისა და განმტკიცების პირობებში, ახალ ურთიერთობებს ფეოდალური დროის შესაბამის სამარწველო საწარმოებშიც კი (ფეოდალური მანუფაქტურები) მეტი გასაქანი ეძლევა, ვიდრე ადრე. მით უმეტეს, რომ საწარმოთა ნაწილა

უკვე სრულიად ახალ ყაიდაზე წყობა — დაქირავებულ თავისუფალ მუშახელს ექსპლოატაციას უწევს კერძო კაპიტალი.

ნოვოსელევის მოხსენებაში სწორად იყო აღნიშნული ის ობიექტურად დადებითი ეკონომური შედეგები, რაც ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთებას მოჰყვა. ნახევრით სწორად იქნა შეფასებული რუსეთის ეკონომიური პოლიტიკის მიზნები და მისი გატარების მნიშვნელობა ამიერკავკასიისათვის.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. სუმბატაზაძემ მოხსენებაში „სამრეწველო კაპიტალიზმი აზერბაიჯანში“ წარმოადგინა აზერბაიჯანის სამრეწველო განვითარების სურათი XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ ხანასა და XX საუკუნის დასაწყისში. მან მოიტანა ციფრები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს არა მარტო ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი, არამედ სხვა დარგების მრეწველობის მაღალ განვითარებას რეფორმის შემდგომდროინდელ აზერბაიჯანში.

აზერბაიჯანის სამრეწველო განვითარების მონაცემების შეჯერებით საერთო-სამშპროო და საქართველოს სამრეწველო განვითარების მონაცემებთან, ავტორმა გამოთქვა აზრი, რომ შეხედვლბა ამიერკავკასიის სხვა ნაწილებთან შედარებით აზერბაიჯანის სამრეწველო განვითარების ჩამორჩენილობის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება.

ასეებითად ეს დებულება არ არის უმართებულო, თუკი გაეითვალისწინებთ რუსეთის და ამიერკავკასიის ცალკეულ ვუბერნიებს. მაგრამ კერძოდ ავტორის მიერ მოტანილი მასალა ამის საფუძველს არ გვაძლევს. მაგალითად, თბილისის გუბერნიასთან შედარებისას ავტორმა მოიტანა ოფიციალური სტატისტიკიდან აღებული მონაცემები, რომელნიც არ ასახავენ ნამდვილ სურათს.

კაპიტალიზმის გენეზისს ამიერკავკასიაში (გამოღის რა აზერბაიჯანის სინამდვილიდან) სუმბატაზაძე იწყებს XIX ს-ის შუახანებიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა მრეწველობის პირველი სამი საფეხურის (საოჯახო მრეწველობა, ხელოსნობა, წებობისაქონლური წარმოება) მნიშვნელოვან განვითარებას. XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში აზერბაიჯანის საერთო რუსულ და მსოფლიო ბაზარში ჩართვის შედეგად აზერბაიჯანში ხდება მრეწველობის დაბალი ფორმის შეგუება ახალ პირობებთან და მრეწველობის ახალ ფორმაში გადაზრდა.

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გულთევამ და ი. სტრიკოვსკამ თავიანთ მოხსენებაში — „აზერბაიჯანში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხისათვის“ მოიტანეს მასალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს აზერბაიჯანში აღმოცენდა პირველი მანუფაქტურული საწარმოები, მაგრამ მთლიანად მანუფაქტურაში ვერ მიიღო სათანადო განვითარება და მხოლოდ 50-60-იანი წლებიდან თითქმის ერთდროულად მკვიდრდება კაპიტალისტური ურთიერთობის სამივე სახე. ამ თავისებურების მიზეზად ავტორები იმ გარემოებას ასახელებენ, რომ აღნიშნული საწარმოები შედარებით მოკლე დროის განმავლობაში აღმოცენდნენ და მნიშვნელოვანწილად რუსეთის კაპიტალისტური განვითარების და რუსეთის ბაზრის მოთხოვნილებების შედეგად იყვნენ გაჩენილი. ავტორები პირველ სპორადულ ელემენტებს კაპიტალიზმისა აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში ვარაუდობენ XIX ს-ის შუახანებში, ხოლო კაპიტალისტურ გარდაქმნას, „კაპიტალისტური წყობის“ შექმნას ხედავენ უფრო გვიან, რეფორმის შემდგომ ხანაში. ავტორებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ თავისი კოლონიური მდგომარეობის გამო აზერბაიჯანის ეკონომიური განვითარება არათანაბრად მიმდინარეობდა. ამან განსაზღვრა მისი მრავალწყობიანობა, რაც კაპიტალიზმის განვითარების პროცესის დაბალი ტემპის მარჩვენებელია.

მ. სასოსნაძის მოხსენებაში — „კაპიტალიზმის გენეზისი და განვითარება საქართველოს მრეწველობაში“ ნაჩვენებია იყო საქართველოში ამ პროცესის ძირითადი გზები და ეტაპები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ იქმნება პირობები კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისათვის. მრეწველობის დაბალ ფორმებში ახალი წარმოებითი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესმა განაპირობა ის გარემოება, რომ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩვენში ადგილი აქვს გაფაქტური მანუფაქტურის ტიპის საწარმოთა შექმნას, ხოლო XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის აშკარად შეიმჩნევა კაპიტალისტური წყობის ფორმირების პროცესი, რაც 50-იანი წლების ბოლოსთვის შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.

კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის ორი ძირითადი გზიდან საქართველოს სინამდვილეში XIX საუკუნის მეორე მესამედამდე უპირატესი ადგილი სავაჭრო კაპიტალის მიერ წარმოების თანდათანობითი დაპყრობის გზას ეკავა. ამ პერიოდიდან კი, როცა ჩამოყალიბდა მეფის ოსების კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ, უპირატეს ადგილს იკავებს კაპიტალიზმის კლასიკური განვითარებისათვის არატიპური, მსხვილი საწარმოების უშუა-

ლოდ მოწყობის გზა. იმის გამო, რომ ამგვარად ჩამოყალიბებულ საწარმოები ექმნებოდნენ ევროპული და რუსული საწარმოების მაგალითზე, მათში შედარებით ადრე იჩენს თავს მანქანური ტექნიკის გამოყენების ცდები. მაგრამ რეფორმამდელ პირობებში მანქანური წარმოების განვითარება აწყდებოდა მთელ რიგ ხელსშემშლელ პირობებს, რის გამოც ეს პროცესი გაცილებით გვიან, XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში დასრულდა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა განსაზღვრავდა მრეწველობის ცალმხრივ განვითარებას.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ XIX საუკუნის 70-80-იანი წლები ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვების წლებია, ხოლო სამრეწველო გადატრიალებას დამთავრება მოიხსნება XIX საუკუნის მიწურულზე.

ა. ამბარიანი სესიაზე გამოვიდა მოხსენებით „კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სომხეთის მრეწველობაში“. ავტორს მიაჩნია, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა სომხეთის მრეწველობაში XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება და რუსული კაპიტალიზმის სიკვანთი განვითარების პროცესს უკავშირდება. XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში აქ კაპიტალისტური მეურნეობის სამივე ფორმა ერთდროულად ვითარდება. მისი აზრით, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა რუსეთის კაპიტალიზმის გავლენით მოხდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას ვახაზოს კოლონიური პოლიტიკის უარყოფითი მხარეები, რომლებმაც განაპირობეს სომხეთის სამრეწველო განვითარების არათანაბარი და შედარებით სუსტი ხასიათი. შექმნილი ვითარების გამო სომხური პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ფორმირება ხდებოდა სომხეთის გარეთაც.

ბ. ახუნდოვმა სესიას განსახილველად წარუდგინა მოხსენება „მონოპოლების წარმოქმნა აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობაში“. იგი აღნიშნავს, რომ ბაქოს, როგორც სამრეწველო ცენტრის, აღმოცენება იყო შედეგი ქვეყნის განვითარებისა და ამავე დროს მიუთითებს უცხოური კაპიტალის დიდ როლსა და სიმძლიერზე ბაქოს მრეწველობაში.

გ. ოსმანოვის მოხსენებაში „დაღესტანში კაპიტალიზმის გენეზისის დამახასიათებელი იშვინები და თავისებურებები“ აღნიშნული იყო, რომ, მკვლევართა აზრით, რევოლუციამდელ დაღესტნის ეკონომიკაში უპირატესი ადგილი პატრიარქალურ-ფეოდალურ ურთიერთობებს ეკუთრათ, მაგრამ სინამდვილეში ეს სიმბოლური იყო. სასაქონლო-ფეოდალურ ურთიერთობის შეტრა დაღესტანში ხდება რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდში. საერთოდ კი კაპიტალისტური ურთიერთობები დაღესტანში გარეთან შემოტანილი და ზევიდან დანერგული იყო, რაც, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთთან შეერთებამდე აქ სასვებით არ იყო ნაადაგი კაპიტალიზმის განვითარებისათვის. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამრეწველო ცენტრების — ბაქოსა და გროზნოს სიახლოვე, მოსახლეობის გასვლა საზოგადოებაში.

დ. ხომთარიამ წაითხა მოხსენება თემაზე „მუშათა კლასის ჩამოყალიბება საქართველოში“. მოხსენებაში გატარებული იყო აზრი, რომ დაჭირებულ შრომის სისტემატური გამოყენება საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ფეოდალური წყობილებების წიაღში, უპირატესად XIX ს-ის 20-30-იანი წლებიდან შეინიშნება. მოხსენებელმა მოიტანა თავისუფალი მუშახელის გამოყენების ციფრობრივი მონაცემები და დაახასიათა თავისუფალი მუშახელის ბაზრის შექმნის გზები რეფორმამდელ საქართველოში.

რეფორმის შემდგომ ხანაში სამრეწველო მუშათა აბსოლუტური რაოდენობა განუზრუნავდებოდა, იზრდება აგრეთვე მსხვილ მრეწველობაში ჩამბულ მუშათა ხვედრითი წილი. იქმნება კადრის მუშათა კონტინგენტი, იზრდება მუშათა კლასობრივი თვითშეგნება.

მოხსენებელმა მოიტანა მონაცემები საქართველოს მუშათა კლასის ეროვნული შედგენილობის შესახებ და მუშათა დაყოფაზე სქესის, ასაკის და განათლების დონის მიხედვით.

XX საუკუნის დასაწყისიდან მოხდა მუშათა აბსოლუტური რაოდენობის მატარების შედეგად თვითმპრობულობისა და ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მუშათა კლასი გადაიქცა „კლასიდან თავისთავად“ „კლასად თავისთვის“.

მოხსენებაში „სასაქონლო მეურნეობა და კაპიტალიზმი აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში“ მ. ისმაილოვმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის რუსეთის ეკონომიკასა და საერთაშორისო ბაზარში ჩართვამ, ხელი შეუწყო სასაქონლო წარმოების განვითარებას აზერბაიჯანში. დიდი როლი ითამაშა მოსახლეობის ზრდამ, ქალაქების განვითარებამ.

ამავე დროს კაპიტალიზმის გზაზე აზერბაიჯანის გვიან შედგომამ და შედარებით ხანმოკლე დროში განვითარებამ, ფეოდალურმა გადმონაშთებმა, კოლონიურმა პოლიტიკამ განაპირობეს კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარება სხვადასხვა რაიონებსა და დარგებში.



სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოხსინეს ი. ანთელავას და ე. ორჯონიძის მოხსენება — „რეფორმადელი საქართველოს სოფელში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების საკითხისათვის (XIX ს-ის 30-60-იანი წლები)“. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან განსაკუთრებით შესაჩნევი ხდება მნიშვნელოვანი ძვრები საქართველოს სოფლის მეურნეობაში. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა იჭრებოდა როგორც გლეხის, ისე მუშა-მულის მეურნეობაში. სოფლის მშრომლები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან ბაზარზე როგორც შრომის პროდუქტების, ისე სამუშაო ძალის გამყიდველები.

სასაქონლო წარმოებისა და სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებამ განაპირობა 1843-1845 წლებში სახელმწიფო გადასახადების კომეტაცია. ყოველივე ამან კი ნიადაგი მოუმზადა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის დაწყებას. ეს პროცესი მკვეთრად ჩანს XIX საუკუნის პირველი მესამედის შემდგომი პერიოდის მასალებში.

რეფორმის წინაპირობები ხანის საქართველოში არსებობდა მოსახლეობის გარკვეული ფენა, რომელიც თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩენდა თავს. ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ პერიოდის საზოგადოებრივი აზრი ამყარად იყო განწყობილი იძულებითი შრომის წესაღმდეგ.

განსახილველ პერიოდში მიმდინარეობდა დრომოქმული ფეოდალური ფორმაციის სოციალ-ეკონომიური საფუძვლის დაშლის საქაოლ ინტენსიური პროცესი — იქმნებოდა მიწაზე არაწოდებრივი (ბურჟუაზიული) საკუთრება — კაპიტალისტური ფორმაციის საფუძველი.

წარმოების ძველი წესის დაშლის საქმეში არსებითს როლს ასრულებდა კლასობრივი ბრძოლა, რომლის სიმწვავე აიძულებდა მმართველ წრეებს შედგომოდნენ საგლეხო საკითხის გადაწყვეტის საქართველოში.

ყოველივე ამის შედეგ ავტორები აკეთებენ დასკვნას მოცემულ პერიოდში კაპიტალისტური წყობის აოსებობის შესახებ, რამაც მთავრობის საერთო პოლიტიკასთან ერთად, ნიადაგი მოამზადა საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის გასაუქმებლად.

ა. ბენდიანიშვილის მოხსენებაში: \* „კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება საქართველოს სოფელში 1865-1875 წლებში“ ხაზი გაესვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში განვითარების ორივე (პოლიტიკურ და ამერიკულ) გზის არსებობის ფაქტს, რომელთაგან, ავტორის შეხედულებით, უფრო ძლიერი იყო მეორე, ამერიკული გზა, რაც გლეხური მეურნეობის ფერმერულ-კაპიტალისტურ მეურნეობად გადაქცევის ტენდენციით გამოიხატა.

დაწერილებით რომ დახასიათა სასაქონლო მეურნეობის განვითარების თავისებურებები საქართველოში, ავტორმა დაასკვნა, რომ ფეოდალური მიწათმფლობელობის დამლა და თავისუფალ გლეხურ მფლობელობაზე გადასვლა კაპიტალიზმის განვითარების შედეგითაა და გამოვლინება.

სოფლის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შეცვლამ განაპირობა კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების გაჩენა. სხვადასხვა სახის სოციალური ომი ერთმანეთს გადაეცაბათა, წერილი გლეხობა უპირისპირდებოდა როგორც მიწისმფლობელს (რომლის მენადე-ლე თუ არენდატორი იყო თვითონ), ისე კაპიტალისტს, რომლის წარმოებაშიც იგი ახლებურად მუშაობდა. ამგვარად, XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოფელში არსებობდა სოციალურ-ეკონომიური და იდეოლოგიური წინამძღვრები როგორც ბურჟუაზიული, ისე სოციალისტური რევოლუციისათვის.

მ. ევანიანმა წაიკითხა მოხსენება „დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია სომხეთის სოფლის მეურნეობაში“. მან მსმენელთა ყურადღება გაამახვილა აღმოსავლეთის ქვეყნებში დაქირავებული შრომის ფართო მასშტაბით გამოყენების ფაქტზე კაპიტალიზმადელ ფორმაციებშიც. მომხსენებლის მტკიცებით, რეფორმადელი ხანის სომხეთის სოფელში (ე. ი. 1870 წლამდე) მხოლოდ ზოგიერთი პირობა იქმნებოდა ნატურალური მეურნეობის კაპიტალისტურად გარდაქმნისათვის. ეს პროცესი ფართოდ მხოლოდ რეფორმის შემდგომ ხანაში გაიშალა.

ავტორი რევოლუციამდელ სომხეთს მიაკუთვნებს იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც განსაკუთრებით იგრძნობოდა სოფლის ჭარბი მოსახლეობის არსებობა, რომელსაც ვერ ასაქმებდა სოფლის მეურნეობა. ეს აქ უპირატესად გაპარობებული იყო გარეშე ფაქტორის წყალობით, საწარმო ძალთა სუსტი განვითარებით.

\* ა. ბენდიანიშვილის ავადყოფობის გამო მისი მოხსენება სიმპოზიუმზე წაიკითხა ისტ. მეტე. კანდ. ლ. ჩიქოვანმა.

დასასრულ, მომხსენებელმა მოუწოდა სიმპოზიუმის მონაწილეებს თავი შეეკავონ კაპიტალისტური ელემენტების და ნიშნების ძებნისაგან იქ, სადაც უკანასკნელი არ იყო. იგულისხმება დაქირავებულ შრომაში ბურჟუაზიული ელემენტების დანახვა აღნიშნულ პერიოდში (ფეოდალურ ურთიერთობათა ბატონობის დროს). ამით ავტორი უგულვებელყოფს განსხვავებას ფეოდალურ ურთიერთობათა განუხრელი ბატონობის დროსა და ფეოდალიზმის შლისა და კაპიტალისტური სისტემის შექმნის ხანას შორის, გამოირიყვას ახალი ელემენტების როლს ძველი წყობილების დაშლის საქმეში.

რ. მაკომელოვისა და ხ. რამაზანოვის საერთო მოხსენებაში „რეფორმადელი დაღესტნის აულის სოციალ-ეკონომიური დახასიათება“ აღნიშნული იყო, რომ რუსეთთან შეერთების ობიექტურად დადებითმა შედეგებმა დაღესტანში თავი იჩინეს მხოლოდ რეფორმის შემდგომ პერიოდში, როდესაც ხდება ქვეყნის ჩართვა საერთაშორისო ბაზარში.

სიმპოზიუმზე მოსმენილი იქნა მოხსენებები აზერბაიჯანში და დაღესტანში კაპიტალიზმის განვითარების კერძო საკითხებზეც (ს. ახვერდოვა, მ. აბდულსალიმოზადე და ნ. ემიროვი).

\* \* \*

მომხსენებების შემდეგ გამართულ კამათში უფრო ნათლად გამოიკვეთა ორი თვალსაზრისი, რომელსაც სიმპოზიუმის სხვადასხვა მონაწილენი იზიარებდნენ. ერთი ნაწილის აზრით, ამიერკავკასიაში არსებობდა წინამძღვრები იმისა, რომ უკვე XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჩასახლდნენ და განვითარებულყოფი ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობა. მაგრამ არახელსაყრელი პირობები ბოკუდა მათ. რუსეთთან შეერთების პროგრესულმა ფაქტმა ხელი შეუწყო არსებული ტენდენციის გაშლასა და გამარჯვებას, დააჩქარა განვითარების პროცესი. ამ თვალსაზრისის იცავდა, კერძოდ, საქართველოს დელეგაცია, უბირატესად საქართველოს მაგალითზე მსჯელობით.

მეორე თვალსაზრისი, რომელსაც სიმპოზიუმის დანარჩენ მონაწილეთა უმრავლესობა ადგა, უარყოფდა რუსეთთან შეერთებამდე ამიერკავკასიაში ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობას დასახვა-განვითარებას, არამედ მისი ელემენტების არსებობასაც კი. ეს პროცესი, მათი შეხედულებით, მხოლოდ რუსეთთან შეერთებისა და რუსული კაპიტალიზმის სივანეში განვითარება იყო.

მომხსენებელმა და კამათმა აჩვენა, რომ თუმცა დიდი მუშაობა ჩატარებული ამიერკავკასიის ცალკეულ რესპუბლიკებში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების შესწავლის მიმართულებით, მაგრამ მთლიანად ამიერკავკასიის მასშტაბით ამ პროცესის გააზრების მხრივ ჯერ ძალზე ცოტაა გაკეთებული. არ არის გათვალისწინებული ამიერკავკასიის მასშტაბით მოქმედი ერთიანი კანონზომიერებანი და ცალკეული რაიონების თავისებურებანი. სიმპოზიუმის მსვლელობაში გაირკვა შესაძლებლობა ამიერკავკასიის ცალკეულ რაიონებში კაპიტალიზმის გენეზისის თავისებურებათა შესწავლისა. მოკამათთა ნაწილმა სცნო საქართველოში გენეზისური მოვლენების უფრო ადრე არსებობის შესაძლებლობა, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა ნაწილებში.

სიმპოზიუმზე მოსმენილი მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეებმა, კერძოდ, აღნიშნეს შემდეგი: ა. აღონცმა თავის გამოცემაში გააკრიტიკა ის ტენდენცია, რომელიც XVIII საუკუნის ზოგიერთ სახელმწიფო მანუფაქტურას კაპიტალისტურად მიიჩნევს (უნდა ვიფიქროთ, რომ ლაპარაკი არ იყო დროინდელ მანუფაქტურებზე, რომლებიც, ჯერ ერთი, ყველა სახელმწიფო საწარმო არ იყო და, მეორეც, მათი ნაწილი სასაქონლო პროდუქციის აწარმოებდა დაქირავებულ შრომის გამოყენებით). მაგრამ მთავარი ისაა, რომ სიმპოზიუმზე გამოტანილ მოხსენებებში XVIII ს-ში არსებული მანუფაქტურები კაპიტალიზმის (იგულისხმება წყობა) არსებობის არგუმენტად არაიყოს მოუტანია. ლაპარაკი იყო მხოლოდ კაპიტალიზმის ელემენტებზე. შემდეგ აღონცმა ილაპარაკა ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებაზე და აღნიშნა, რომ ეს კარგად ჩანს აზერბაიჯანის მაგალითზე. ბაქოში განვითარებული იყო კაპიტალიზმი, აზერბაიჯანში საერთოდ კი არაო.

კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების პერიოდად მან 30-იანი წლები დაასახელა, ამასთან დააზუსტა, რომ მხედველობაში აქვს საქართველო.

პ. რინძიუსკიმ თავის გამოსვლაში უაჩყო ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის პირველადი დაგროვების გამოხატულებად მიჩნევის შესაძლებლობა. მან სიმპოზიუმის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ რიგ მოხსენებებში აღვილი ჰქონდა ფორმალურ მიდგომას დაქირავებული მუშახელის გამოვლენასა და მისი აღრიცხვისადმი და მოუწოდა, რომ საჭიროა ასეთი მუშახელის განხილვა იმის მიხედვით, თუ რა სფეროში იყო გამოყენებული დაქირავებული შრომა, რამდენად იყო დაქვემდებარებული ბაზართან ის წარმოება, რომელშიც ის მონაწილეობდა.

ი. ანთელავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით ამიერკავკასიის ქვეყნების გათანაბრება (ნიველირება) შეეცდომა, რადგან თითოეულ მათგანს თავისებურებები ჰქონდა. ბურჟუაზიული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძვრები 30-იანი წლებიდან შეიმჩნევა. ამ დროიდან საქართველოში კაპიტალისტური წყობა ყალიბდება, ჩანასახების სახით კი ახალი ურთიერთობა უფრო ადრეც არსებობდა. აღონცის მოხსენებაში, ორატორის აზრით, ვერ აისახა ის დიდი ძვრები, რომლებიც ხდებოდა რეფორმამდელი ხანის ამიერკავკასიის სოფელში. ი. ანთელავა შეეხო ნოვოსელცევის მოხსენებას და არ დაეთანხმა იმ აზრს, რომელიც საქართველოს და ირანის სოციალ-ეკონომიური დონის გათანაბრებას გულისხმობს. ამასთან არც ის აზრი მიიჩნია მან სწორად, რომლის თანახმად რუსეთთან შეერთებამდე ამიერკავკასიაში გამოირიცხული იყო ახალი ურთიერთობათა რაიმე ნიშნები.

ვ. პავლოვი შეჩერდა ამიერკავკასიასა და ინდოეთში კაპიტალისტური ურთიერთობის გენეზისის პრობლემის შედარებაზე. მან, კერძოდ, ილაპარაკა ინდოეთის სახელმწიფოებრივ მანუფაქტურებზე, რომლებიც ბაზარზე კი არა, არამედ სახელმწიფოზე იყვნენ დამოკიდებულნი. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ არაა მართებული კაპიტალისტური წყობის აღმოჩენით გატაცება და მრავალწყობიანობის დაქიწყება.

ვ. მოჩალოვმა ბევრი მოხსენების საერთო ნაკლად მიიჩნია ის, რომ ზუსტად არ იყო განსაზღვრული კვლევის საგანი და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები. მისი აზრით, მთელი XIX საუკუნე კაპიტალიზმის გენეზისის ხანაა ამიერკავკასიაში. ეს საუკუნე ხასიათდება მურწუნობის ფეოდალურ-მემამულური, წვრილგლეხური, წერილსასაქონლო და კაპიტალისტური ფორმების ერთობლობითა და მონაცვლეობით. იმის გამო, რომ მკვლევარი „გენეზისის“ ცნებაში სხვადასხვა შინაარსს ღებუნ. უმჯობესია ვიხმაროთ კაპიტალიზმის „წარმოშობა“ და „განვითარება“.

მან აღნიშნა XIX საუკუნის ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების სწრაფი ტემპები, მაგრამ ამავე დროს მიუთითა ამ ტემპების გადაჭარბებით შეფასების ტენდენციაზე (იგულისხმება XX საუკუნის აზერბაიჯანის განვითარების დონის რუსეთთან გათანაბრებისა და უფრო მაღლა დაყენების ცდები). არ დაეთანხმა იგი აგრეთვე საქართველოს რუსეთის გუბერნიებთან შედარების ცდის მიზანშეწონილობას. ამას, მისი შეხედულებით, დიდი შეცდომები შეიძლება მოჰყოლოდა.

ა. ამბარიანმა აღნიშნა, რომ სიმპოზიუმზე არ იყო წარმოდგენილი მოხსენებანი პრობლემის რიგ სერიოზულ საკითხზე. არ იყო, მაგალითად, მოხსენება ბურჟუაზიის შესახებ. აზერბაიჯანსა და სომხეთში მან კაპიტალისტური ურთიერთობის დაწყების ხანად XIX ს-ის მეორე ნახევარი მიიჩნია, საქართველოში კი, ეს პროცესი შეიძლება ადრე, 30-იანი წლებიდან ვივარაუდოთ, რადგან საქართველო ნაკლებად დაზიანდა უცხოელთა შემოსევებისაგან და უფრო ადრე შეუერთდა რუსეთს. მან აღიარა, რომ XVIII საუკუნის საქართველოში არსებობდა კაპიტალიზმის ჩანასახები, მაგრამ მათ სათანადო განვითარება ვერ მიიღეს. მ. სამსონაძის მიერ მოტანილი მასალა, ამბარიანის აზრით, საინტერესოა, მაგრამ მიუთითებს მხოლოდ სასაქონლო წარმოების არსებობაზე.



ნ. კუხენცოვა გამოვიდა იმ ტენდენციის წინააღმდეგ, რომ ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარება შესაძლებელია მთლიანად გარეშე ფაქტორებით იქნეს ახსნილი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მოხსენებები ეკონომიურ (ბაზისურ) პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი, საჭირო კი იყო მოხსენებანი ზედნაშენურ მოვლენებზეცო.

ა. ჩისტოვონოვმა თავის გამოცხადებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კაპიტალიზმის განვითარების შესწავლის დროს საჭიროა მკვეთრად გამოიყენოთ და განსხვავებული იქნეს სასაქონლო მეურნეობა და კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება. მან დაგმო ზოგიერთი მკვლევრის ტენდენცია მარქსის მთელი რიგი დებულებების მექანიკური გადმოტანისა და მიყენებისა რუსეთისა და მისი განაპირა მხარეების ისტორიული მოვლენებისადმი. მისი აზრით, კაპიტალისტური საწარმოებისა და დაქირავებული შრომის შესწავლისას არ უნდა შემოვიფარგლოთ აბსოლუტური ციფრებით, საჭიროა გავარკვიოთ ხსენებული შრომის გამოყენების სფერო, განვსაზღვროთ კაპიტალისტური სექტორის ხვედრითი წონა საერთო ეროვნულ წარმოებაში, მოსახლეობის სტრუქტურაში. შეეხო რა „წყობის“ („УКЛА“) რაობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის ცალკეული ელემენტები მაშინ იქცევიან წყობად, როცა მათ გარეშე ნორმალური განვითარება შეუძლებელი ხდება. „წყობა“ — ეს არის საერთოსახელმწიფოებრივი სტრუქტურა და არა რეგიონალური კატეგორია. ამდენად კაპიტალიზმის გენეზიკი ამიერკავკასიაში საერთო-რუსული პროცესის ნაწილია.

ბ. ახუნდოვა უარყო კაპიტალიზმის საწყისების არსებობის შესაძლებლობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, თუმცა საამისოდ რაიმე არგუმენტი არ მოუყვანია: წყობის ჩამოყალიბებას იგი მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თვლის შესაძლებლად.

გ. ხოშტარიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზოგჯერ მოკამათები ვრთისა და იმავე ტერმინში („ჩანასახა“, „წყობა“) სხვადასხვა შინაარსს დებენ და ეს კამათის დროს დიდ გაუგებრობას იწვევს. არ არის შემუშავებული საერთო კრიტერიუმებიც საკითხის შესწავლაში. ყვრილად, მას მიაჩნია, რომ მანუფაქტურული პერიოდი კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებას ემთხვევა, რაც არ გამორიცხავს ამ დროს წვრილი საქონლური წარმოების ფართო გავრცელებას და მანქანური წარმოების ჩანასახებს.

საქართველოში XVIII საუკუნიდან ახალ ურთიერთობათა ჩანასახები იყო, XIX ს-ის 30-იანი წლებიდან — წყობა, ხოლო შემდეგ, 60-იანი წლებიდან ფორმაცია. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარების შედარება ირანთან სრულიად გაუმართლებელია იმ დიდი განსხვავების გამო, რაც მათ სოციალ-ეკონომიურ წყობათა შორის არსებობდა, მით უმეტეს თუ ავიღებთ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს და უფრო ადრეული ხანის ირანს.

დ. ხოშტარია ხაზს უსვამს ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის წინამძღვრებისა და პირობების თავისებურებათა ვათვალისწინების აუცილებლობას და ცალკეული რაიონების მდგომარეობის შესწავლას საერთო საკითხების უკეთ შესწავლას მიზნით. ამავე დროს, იგი იცავს აზრს საქართველოს რუსეთის ცალკეულ გუბერნიებთან შედარების მიზანშეწონილობის შესახებ, ამ გუბერნიების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ა. გულიევი არ დავთანხმდა ე. ვგანიანის მოხსენების იმ დებულებას, თითქოს დაქირავებული შრომის ფართო გამოყენება დამახასიათებელი იყო კაპიტალიზმამდელი ფორმაციისათვისაც. მან უარყო ნოვოსელცევის ის დებულება, თითქოს მომთაბარე ხალხთა თავდასხმებს შეიძლება გადამწყვეტი როლი შეესრულებინა ამა თუ იმ ფორმების გამარჯვებაში, აგრეთვე დებულება იმის შესახებ, რომ რუსეთთან შეერთებამდე აზერბაიჯანში ფართო გავრცელება ჰქონდა მონათმფლობელურ წყობას („УКЛА“). მან სუბმატზადეს არც ის დებულება გაიზიარა, რომლის თანახმად რევოლუციამდელი აზერბაიჯანის განვითარება რუსეთის დონეზე იდგა.

კამათში გამოსულმა ნ. პავლენკომ მსმენელთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ მომხსენებლებს მარქსიზმის კლასიკოსთა დებულებები, გამოთქმული განვითარებულ

კაპიტალიზმის ეპოქის შესახებ, მექანიკურად გადმოაქვთ ფეოდალიზმის პერიოდზე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის ადრეული განვითარების თეორიის მომხრეებს რუსეთში და ამიერკავკასიაში ერთი და იგივე არგუმენტები მოაქვთ. შემდეგ მან ეჭვით შეხედა სასმონაძის იმ დებულებას, რომელიც საქართველოს სინამდვილეში გაფართოებული მანუფაქტურის არსებობას ამტკიცებდა. ამასთან თავისი ეჭვი იმით დაასაბუთა, რომ დანაწევრებული მანუფაქტურა გულისხმობს შიდაგანვითარებულ საქონლურ წარმოებას და შრომის დანაწილებას მასში, რაც იმ დროს ძნელად შესაძრწევია რუსეთის სინამდვილეშიც კი.

ე. ორჯონიკიძემ თავის გამოსვლაში გააერთიანა ნოვოსელცევის მოხსენების ის დებულებები, რომლებიც აიგივებდა საქართველოსა და ირანის კაპიტალიზმამდელ სოციალ-ეკონომიურ წყობას და მოიტანა სარწმუნო მაგალითები, საიდანაც აშკარად ჩანს ფეოდალური ურთიერთობის სრულიად განსხვავებული ხასიათი ამ ორ ქვეყანაში. მან აჩვენა აგრეთვე სრული უსაფუძვლობა დასახელებული ავტორის მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მსხვილი საწარმოების გაიგივებისა შუა საუკუნეების ირანულ და მით უმეტეს, მონღოლურ საქარხანსთან“.

პ. ვოლობუევიმ მიუთითა, რომ ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლის საქნელე მდგომარეობს არა მარტო ცალკეული საკითხების დაუმუშავებლობაში, არამედ ერთიანი კრიტერიუმების არარსებობაში. მისი აზრით, ამოსავალი დებულება ამიერკავკასიაშიც კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემის გადაწყვეტაში უნდა იყოს მისდამი, როგორც ერთიანი სოციალ-ეკონომიური კომპლექსისადმი მიდგომა. მან სათუოდ მიიჩნია ი. ანუელავასა და ე. ორჯონიკიძის მოხსენებაში გამოთქმული დებულება საქართველოში საკლებო რეფორმის მომზადების ეკონომიურ წინამძღვართა არსებობის შესახებ. თეოი რუსეთიც კი, აღნიშნა მან, ეკონომიური განვითარების აუცილებლობამ, და არა კაპიტალისტურმა წყობამ დააყენა ბურჟუაზიული რეფორმების გზაზეო.

მ. სამსონაძემ სიმპოზიუმის სამდივნოს გამოსაქვეყნებლად წარუდგინა მისი გამოსვლის ტექსტი; სიდაც აღნიშნული იყო, რომ ოპონენტების ერთმა ნაწილმა სწორად ვერ გაიყო მისი მოხსენების ძირითადი დებულება. სამსონაძე არსად ლაპარაკობდა XVIII საუკუნეში კაპიტალისტური წყობის არსებობაზე. იგი ლაპარაკობდა ახალი ურთიერთობის ჩანასახებზე მხოლოდ. შემდეგ მან აღნიშნა, რომ მოკამათენი არ იცნობენ ფაქტიურ მასალას და მხოლოდ თეორიული გზით ცდილობენ ფაქტიური ვითარების უარყოფას. საჭიროა არა იმის მკითხაობა, შეიძლება თუ არა მომზადარიყო ის, რაც უკვე მოხდა, არამედ უნდა აიხსნას მომზადარი ფაქტი. მ. სამსონაძის აზრით, საქართველოში არსებობდა ყველა პირობა იმისათვის, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ ახალი ურთიერთობა ჩასახულიყო, ხოლო XIX საუკუნის პირველ მესამედში მისი წყობად ჩამოყალიბება დაწყებულიყო.

სიმპოზიუმის შედეგები შეაჯამა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. სუმაბატაძემ. მან აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის არსებობა XVIII საუკუნის ამიერკავკასიაში არ მტკიცდება. მხოლოდ საქართველოს დღევანდელის ზოგიერთი წარმომადგენელი (ე. ხოშტარია, მ. სამსონაძე) ცდილობს დაინახოს კაპიტალიზმის ჩასახვა ამ დროს. მართალია, XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ხელოსნობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას, პირველი მანუფაქტურების აღმოცენებას, მაგრამ მათი რაოდენობრივი დაგროვება არ იწვევდა თვისობრივ ცვლილებებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში. კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიაში ეს არის რუსეთის კაპიტალიზმის სივანეში განვითარების შედეგი. რაღაც ჩაკეტილი, რეგიონალური კაპიტალიზმის არსებობა შეუძლებელია.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში არავის უმტკიცებია XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმის არსებობა.

ლაპარაკი იყო მხოლოდ კაპიტალიზმის ჩანასახებზე, რასაც თვით მოკამათიც არ უარყოფს. კაპიტალიზმის განვითარებას კი წყობის ჩამოყალიბების მნიშვნელობით საქართველოს დღევანდელი წარმომადგენლები მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყებენ (რაც სიმპოზიუმის ზოგმა მონაწილემაც გაიზიარა) და ამას განიხილავენ სწორედ როგორც რუსეთის იმპერაიაში კაპიტალიზმის სიგანეში განვითარებას, თუმცა ჩანასახების არსებობას უფრო ადრეც არ გამო-რიცხავენ.

შემაჯამებელ სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიც მოცემულია სიმპოზიუმის მუშაობის შედეგების დახასიათება. გადაწყდა მომავალი სიმპოზიუმი მოეწყოს თბილისში 1972 წელს. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სიმპოზიუმის მასალების გამოქვეყნება.

- მ. გაზრინდაზვილი,
- მ. სამსონაძე,
- ა. ხოშბარია.

**კ ო ტ ე ბ ა ქ რ ა ძ ე**


ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა ფილოსოფოსი აკადემიკოსი კოტე (კონსტანტინე) სპირიდონის ძე ბაქრაძე.

კოტე ბაქრაძის სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა ერთი საუკეთესო შვილი, საბჭოთა მეცნიერებამ — საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედი მკვლევარი, ქართულმა ფილოსოფიურმა სკოლამ — ერთერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი და მეთაურთაგანი.

კ. ბაქრაძე ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელმაც პირველმა მიიღო უმაღლესი განათლება თბილისის უნივერსიტეტში, თაობას, რომელიც პირველი ამოუღდა მხარში მის დამაარსებლებს, განამტკიცა და გაამდიდრა მათ მიერ დანერგილი ტრადიციები და შექმნა ქართული საბჭოთა მეცნიერული სკოლები.

კოტე ბაქრაძე დაიბადა 1898 წლის 24 ნოემბერს. 1918 წელს თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც იგი გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. იგი ერთდროულად სწავლობდა

სიბრძნისმეტყველებასა და მათემატიკას, ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, ანდრია რაჭმძის, გრიგოლ წერეთლის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის და სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ლექციებს. კ. ბაქრაძემ იმთავითვე მიიპყრო მასწავლებლებთან ყურადღება თავისი ბრწყინვალე ნიჭით, ფართო ერუდიციით, ნათელი გონებით. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1922 წელს სამეცნიერო საბჭომ კ. ბაქრაძე დატოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად და იმავე წელს მიივლინა გერმანიაში. იქ იგი მუშაობდა XX საუკუნის გამოჩენილ ფილოსოფოსებთან ჰუსერლთან, რიკერტთან და შაიდეგერთან.



1925 წელს კ. ბაქრაძე დაბრუნდა სამშობლოში და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მრავალი წლის მანძილზე იგი იყო მისივე თაოსნობით გახსნილი ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, ფილოსოფიის ისტორიის და ლოგიკის კათედრების გამგე. ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პარალელურად მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს რესპუბლიკას



უმადლეს სასწავლებლებში (ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში). როგორც საბჭოთა კავშირში აღიარებული სპეციალისტი ფილოსოფიის ისტორიის, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკისა და ლოგიკის დარგებში, იგი არაერთხელ ყოფილა მიწვეული მოსკოვის უნივერსიტეტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-ი მომუშავეებისათვის სპეცკურსების წასაქოხად. მათთვის მეცნიერული ხელმძღვანელობის გასაწევად.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო აკადემიკოს კოტე ბაქრაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

1929 წელს კოტე ბაქრაძემ გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“. აქ გამოთქმულმა იდეებმა შემდგომი განვითარება პოვა 1938 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ (რუსულად გამოვიდა 1958 წ., პოლინურად — 1960 წ.). ამ შრომებში მან ჩამოაყალიბა კლასიკური გერმანული იდეალიზმის ისტორიისა და მარქსიზმთან მისი მიმართების ორიგინალური და ღრმად გაზრებული კონცეფცია.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის შესწავლა შემთხვევით არ შემოსულა პროფესორ კ. ბაქრაძის მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში. მას აინტერესებს გვიჩვენოს, თუ რა არის „სოცხალი და მკვდარი“ ჰეგელის ფილოსოფიაში, ამ გზით დაადგინოს იმ გავლენის ხასიათი და მნიშვნელობა, რომელიც საერთოდ გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა და კერძოდ ჰეგელის ფილოსოფიამ იქონია მარქსისა და ენგელსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

კ. ბაქრაძის ამ ნაშრომებს ჰქონდა არა მარტო ისტორიულ-კრიტიკული მნიშვნელობა: მათში მოცემულია მარქსისტული ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების გადაჭრის უაღრესად სერიოზული ცდა. ამ მიმართულებით კვლევა-ძიება კ. ბაქრაძეს გარდაცვალებამდე არ შეუწყვეტია. არსებითად ამ საქმეს ემსახურება მისი გამოკვლევები დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხებზე.

1946-1951 წლებში კ. ბაქრაძემ ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირში პირველი სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ლოგიკაში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ მისი წერილით გაიხსნა საკავშირო დისკუსია ფორმალური ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობის საკითხებზე (ყურანლი „ვიბროსი ფილოსოფიი“, № 2, 1950 წ.), დისკუსიამ გამოავლინა ორი ძირითა-

დი თვალსაზრისი. ერთი მათგანის მომხრეთა აღიარებული მეთაური იყო კ. ბაქრაძე. ჩვენს ქვეყანაში ლოგიკის სწავლების, მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების და მეცნიერული კვლევა-ძიების განვითარების საქმეში კოტე ბაქრაძის მოღვაწეობამ მთელი ეტაპი შეაღწინა.

უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკა კ. ბაქრაძის მეცნიერული კვლევის პრობლემატიკიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამ დარგში მის მიერ ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული შრომებიდან დიდ ყურადღებას იპყრობს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

„ნარკვევები უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიიდან“ (1960), „ეგზისტენციალიზმი“ (1962), „არაგმატიზმი“ (1965) და სხვ. კ. ბაქრაძის ფუნდამენტური ნაშრომები ფილოსოფიის ისტორიასა და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის დარგში საქაობრიო ფილოსოფიური მემკვიდრეობის მარქსისტულ ნადავზე კრიტიკული ათვისების საუკეთესო ნიმუშებია. განსაკუთრებულია ამ შრომათა მნიშვნელობა ჩვენში ფილოსოფიური კულტურის ამაღლების საქმეში.

დიდა კ. ბაქრაძის დამსახურება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრობლემების დამუშავებაში. მისმა ლექციებმა, ცალკეულმა გამოკვლევებმა და მისი მონაწილეობით შექმნილმა სახელმძღვანელოებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენში ამ პრობლემათა მეცნიერული კვლევისა და სწავლების მაღალი დონე.

კ. ბაქრაძის კვლევა-ძიების ცენტრში ყოველთვის იდავა ფილოსოფიის ყველაზე აქტუალური პრობლემები. თავისი დიდი ნიჭისა და ფართო ერუდიციის წყალობით მას დიდი წვლილი შეჰქონდა ამ პრობლემათა გადაწყვეტაში. კ. ბაქრაძის შრომები გამოირჩევა სიღრმის, ნატივი ანალიზით, ნათელი და მკაცრი არგუმენტაციით. ყოველივე ამან მას დამსახურებულად მოუპოვა საერთაშორისო აღიარება. იგი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი და მკვლევარი, არამედ ბრწყინვალე პედაგოგიც. მას შეეძლო ურთულესი ფილოსოფიური პრობლემების მარტივად და ყველასთვის გასაგებად გადმოცემა. იგი მრავალი სახელმძღვანელო წიგნის ავტორი ან თანავტორია. სულ ახლახან გამოვიდა მისი „ახალი ფილოსოფიის ისტორიის“ პირველი ნაწილი, რომელშიც კიდევ ერთხელ გამოვლინდა კ. ბაქრაძის მეცნიერული და პედაგოგიური ღირსებანი.

განუსჯულივდებოდა დიდა კ. ბაქრაძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგი. ყველგან შეხვდებით მის მოწაფეებს — სკოლებში, უმაღლეს სასწავლებ-



ლებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე რუსეთში, უკრაინაში და სხვა მოძმე რესპუბლიკებში. ყოველი მათგანი დიდი სივარულითა და პატივისცემით იგონებს დიდ მეცნიერსა და პედაგოგს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესორ კ. ბაქრაძის დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში. ფილოსოფიაში მომუშავე ახალი თაობის უმრავლესობა კ. ბაქრაძის უშუალო მოწაფეები არიან, რომელთაც იგი არა მარტო ფილოსოფიის პრობლემებს ასწავლიდა, არამედ უნერგავდა დამოუკიდებელი კვლევის ჩვევებს, მეცნიერულ პრინციპულობას, უფიქრობდა პასუხისმგებლობის გრძნობას როგორც თავისი შრომებით, ისე პირადი ცხოვრების მაგალითითაც. ცხოვრების მანძილზე კ. ბაქრაძეს მოუხდა არაერთი სიძნელის გადალახვა. ამ სიძნელეებს ის ყოველთვის რაინდულად ზღვებოდა, არასოდეს არ წასულა კომპრომისზე საკუთარ მეცნიერულ სინდისთან. ამიტაც ქმნიდა იგი თავის გარემოში მაღალპრინციპულ მეცნიერულ ატმოსფეროს. კ. ბაქრაძე იდეისათვის მებრძოლ მეცნიერთა რიგს განეკუთვნებოდა და ბრწყინვალე პოლემისტური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მას უყვარდა კიდევაც პოლემიკა და, რა თქმა უნდა, გამარჯვებაც, მაგრამ გამარჯვება მისთვის მიუღებელ თვალსაზრისზე და არა მის მატარებელ პიროვნებაზე.

კ. ბაქრაძის მეცნიერულმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. ავტორიტეტი, რომლითაც დღეს ქართული ფილოსოფიური სკოლა სარგებლობს, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია კ. ბაქრაძის სახელთან.

საბჭოთა ხელისუფლებამ კ. ბაქრაძის ღვაწლი დირსულად დააფასა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, იყო საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

აკადემიკოს კ. ბაქრაძის სახით ქართველმა საზოგადოებრიობამ დაკარგა არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგი, არამედ შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება. კ. ბაქრაძე ფაქიზი შინაგანი კულტურის ნამდვილი ინტელიგენტი იყო. მისი მარად ახლის მამიებელი, მოუსვენარი, ხალისიანი და უშუალო ხასიათი არაჩვეულებრივად მიზიდველი იყო ყველასათვის, ვინც მას იცნობდა. საოცრად უბრალო იყო იგი ადამიანებთან ურთიერთობაში და ადვილად პოულობდა საერთო ენას დიდთანაც და პატარასთანაც. მას არ უყვარდა პატივისცემის გამოხატვის გარეგნული ფორმები სწორედ იმიტომ, რომ კარგად იცოდა ადამიანის ღირსების ნამდვილი ფასი. აკადემიკოს კ. ბაქრაძის ღვაწლი დაუვიწყარი იქნება ქართველი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 60, კუტუშოვის ქ. № 15  
ტელეფონი—37-24-07

პასუხისმგებელი მდივანი ნ. ებრაძიძე

გადაეცა წარმოებას 29.4.70: ხელმოწერილია დასაბუქდალ 55.6.70;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 15  
შეკვეთა 1142 უე 01720 ტირაჟი 1500

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუშოვის 15

ფ 21/147



ფასი 1 მან.

Индекс 76182



645  
1970/2

915  
ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՅՈՒՆԵՍԿՈՒՅԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

# ՁՆՅԵՁ

645/2

7

3.1970

675  
1970/2



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



1970





# მაცნე

*Вестник*

---

3

54

ИЗДАТЕЛЬСТВО · МЕЦНИЕРЕБА ·  
ТБИЛИСИ 1970



# მასკნა

---

3

54

გამომცემლობა • ვეცნიერება

თბილისი 1970

11676

ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

აღ. ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი, გ. მელიქიშვილი,  
ე. მეტრეველი, ვ. ფანჩვიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე),  
აღ. ფრანგიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),  
გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ჭავჭავაძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Барамидзе А. Г. (главный редактор), Гугушвили П. В., Меликишвили Г. А.,  
Метревели Е. П., Панчвидзе В. Н. (заместитель главного редактора),  
Франгишвили А. С. (заместитель главного редактора), Чавчавадзе Н. З.,  
Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### წერილები

ნ. სტურუა, საქართველოს სახალხო მეურნეობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში	7
შ. ჩხარტიშვილი, განწყობის ფიქსაციის პრობლემა	23
ლ. ქიბურია, მსჯელობა და წინადადება	45
ბ. ჯიბუტი, კოლმეურნეობათმშორისი წარმომავალი კავშირები საქართველოში	55
ო. ჩიქოვანი, ქ. ფოთის წყალდიდობისაგან დაცვის ისტორიისათვის	71
ბ. მისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეებში	81
ც. ყარაულაშვილი, ხალხური ქსოვის ისტორიიდან	97
თ. შურდოვანიძე, გაზეთი „ივერია“ (1886 წ.) და ხალხური სიტყვიერება	103
ლ. ნანიტაშვილი, სამსონ ფირცხალავა — რედაქტორი და გამომცემელი	115
ნ. თუშიშვილი, ბოგვისხევის ადრენტიკური ხანის სამაროვანი	127
ი. კალაძე, სპარსული რომანული ეპოსის ერთი ადრეული ძეგლის შესახებ	141
ბ. ბელოვოილი, ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკის ზოგი საკითხი	151
მ. სურბულაძე, სიტყვა „წერის“ ხმარების შემთხვევები ქართულში	165
<u>რ. ბატარძე, „ერკათაგირის“ გრაფიკული საფუძვლები</u>	171
ი. თევდორაძე, სინტაგმის მახვილები ქართულ ენაში	205

### ცნობები და შენიშვნები

ნ. კილანაძე, ვახტანგ ორბელიანის უცნობი ფსევდონიმი	215
---	-----

### პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

#### რეცენზიები და გამოსხაურებანი

თ. ბოცვაძე, საინტერესო ნაშრომი	221
--------------------------------	-----

### ანოტაციები

ახალი წიგნები	225
---------------	-----

### ძრონიკა და ინფორმაცია

სიმპოზიუმი ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხებზე	229
კოტე ბაქრაძე (ნეკროლოგი)	238



## ОГЛАВЛЕНИЕ

### СТАТЬИ

Н. СТУРУА, Народное хозяйство Грузии в годы Великой Отечественной войны	7
Ш. ЧХАРТИШВИЛИ, Проблема фиксации установки	23
Д. КЕБУРИА, Суждение и предложение	45
А. ДЖИБУТИ, Межколхозные производственные союзы в Грузии	55
О. ЧИКОВАНИ, К истории защиты г. Поти от наводнения	71
Г. МАИСУРАДЗЕ, Из истории хозяйственно-культурного сотрудничества между грузинским и армянским народами	81
Ц. КАРАУЛАШВИЛИ, Из истории народного вязания	97
Т. КУРДОВАНИДЗЕ, Газета «Иверия» (1886 г.) и народная словестность	103
Л. НАНИТАШВИЛИ, Самсон Пиричхалава — редактор и издатель	115
Н. ТУШИШВИЛИ, Раннеантичный могильник в Богвисхеви	127
И. КАЛАДЗЕ, Об одном раннем памятнике персидского романического эпоса	141
Г. БЕДОШВИЛИ, Некоторые вопросы эрцо-тианетской микропонимики	151
М. СУРГУЛАДЗЕ, Об одном термине из лексики древнегрузинского языка	165
Р. ПАТАРИДЗЕ, Графические основы «Еркатагира»	171
И. ТЕВДОРАДЗЕ, Ударения синтагмы в грузинском языке	205

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Н. КИЛАНАВА, Неизвестный псевдоним Вахтанга Орбелиани	215
---	-----

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

#### Рецензии и отзывы

Т. БОЦВАДЗЕ, Интересная работа	221
--------------------------------	-----

#### Аннотации

Новые книги	229
-------------	-----

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Симпозиум по вопросам генезиса капитализма в Закавказье	229
К. Бакрадзе (некролог)	238

ნიკოლოზ სტურუა

საქართველოს სახალხო მემურნობა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში

1945 წლის 9 მაისს გამარჯვებით დამთავრდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ბრძოლა გერმანული ფაშისტური კოალიციის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის არა მარტო შემადგენელ ნაწილს, არამედ მის ყველაზე მთავარ ნაკადს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, რომ საბჭოთა ხალხის გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიასა და მის სატელიტებზე გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიფაშისტური კოალიციის გამარჯვებისათვის მეორე მსოფლიო ომში. მართალია, ფაშისტური გერმანიის განადგურებიდან 25 წელი გავიდა, მაგრამ ამ გმირობის სიდიადე არასოდეს დაკარგავს თავის ბრწყინვალეობას.

საბჭოთა ხალხის გამარჯვება მოსაბრუნ წერტილად იქცა მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებაში. ამ გამარჯვებასთან განუყრელად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული წარმატებანი ომის შემდგომ პერიოდში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, სოციალისტური ბანაკის ხალხთა მიღწევები სოციალიზმის მშენებლობაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განმტკიცება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არნახული ზრდა მთელს მსოფლიოში და იმპერიალიზმის მსოფლიო კოლონიური სისტემის შეუჩერებელი რღვევა.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ გამოავლინა და დაამტკიცა არა მარტო სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციის უპირატესობა, არამედ აკრეფე მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის უპირატესობა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან შედარებით.

ომმა საბჭოთა ზურგს უძნელესი ამოცანები დაუსახა. თუ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა მარტოდმარტო გადაიხადეს უდიდესი ბრძოლები ჰიტლერული კოალიციის ქვეყნების შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, საბჭოთა ზურგიც მარტოდმარტო უპირისპირდებოდა, როგორც საკუთრივ გერმანიის, ასევე ფაშისტური გერმანიის ევროპულ ზურგს. 1944 წლის 6 ნოემბერს ი. ბ. სტალინი მოხსენებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27-ე წლისთავი“ აღნიშნავდა: „ისევე, როგორც წითელმა არმიამ პირისპირ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლაში სამხედრო გამარჯვება მოიპოვა ფაშისტთა ჯარებზე, საბჭოთა ზურგის მშრომელებმა ჰიტლერული გერმანიისა და მის თანამონაწილეობა წინააღმდეგ ორთაბრძოლაში ეკონომიური გამარჯვება მოიპოვეს მტერზე“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის სამამულო ომის შესახებ, თბილისი, 1947, გვ. 176-177.

ფაშისტურ გერმანიაზე ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი საქართველომაც შეიტანა. წინამდებარე სტატია წარმოადგენს ცდას მოკლედ ასახოს ეს წვლილი.

**1. მრეწველობის გარდაქმნა სახელმწიფო ხაზზე. ბრძოლა საქართველოს გადასჯივისათვის სახელმწიფო უზიარაღებელი ძალის ერთ-ერთ არსენალად**

მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდასაქმნელად აუცილებელი იყო: სამხედრო საწარმოების აშენება, მრეწველობის სამოქალაქო დარგების გადაყვანა საომარი პროდუქციის გამოშვებაზე, ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებული სამრეწველო საწარმოების განლაგება.

საომარ ყაიდაზე გარდაქმნამ (რაც 1942 წლის მეორე ნახევარში დასრულდა) მოითხოვა შრომითი და მატერიალური რესურსების სამხედრო, ბაზისურ თუ მათთან კოორპირებულ საწარმოთა სასარგებლოდ გადანაწილება, ამან კი შეცვალა მრეწველობის სტრუქტურა — გაიზარდა საწარმოო საშუალებათა წარმოების ხვედრი. მართალია, ომამდე საქართველო არ უშვებდა სამხედრო პროდუქციას, საქართველოს მრეწველობამ მაინც მოახერხა უმოკლეს ვადაში გადასულიყო ფრონტის მომსახურებაზე, სამხედრო დანიშნულების პროდუქციის გამოშვებაზე. ამის შედეგად შემცირდა სამოქალაქო პროდუქციის გამოშვება.

გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება და ფეროშენადნობთა გამოდნობა. 1941 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ 130,8 პროცენტით შეასრულა გეგმა და მნიშვნელოვნად გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ამავე წელს ამ ქარხანამ პირველმა საბჭოთა კავშირში, ათვისა მეტალურგიული მანგანუმის წარმოების ელექტროლითური მეთოდი. მეტალურგიული მანგანუმი კი აუცილებელია ხარისხიანი ფოლადის წარმოებისათვის. 1941—1942 წლების სამხედრო მანქანათმშენებლო და სხვა ქარხნების სადნობ საამქროებში გაიზარდა ფოლადის გამოდნობა.

მანქანათმშენებელმა, დაზგათმშენებელმა, ლითონდამამუშავებელმა, ქიმიურმა და სხვა ქარხნებმა ათვისეს შეიარაღებისა და საომარო საჭურვლის წარმოება. მსუბუქი მრეწველობის საწარმოები გადაყვანილ იქნა სამაზარო მაუდის, საბარაშუტო ტილოს, ჯარისკაცთა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოებაზე. კვების მრეწველობის საწარმოებმა ათვისეს ხორცის კონსერვებისა და სპეციალური კონცენტრატების გამოშვება. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოები ამზადებდნენ ნაღმსატყორცებს, ავტომატებს, ნაღმსატყორცინ ჭურვებისა და ხელყუმბარების კორპუსებს. ურმებსა და ოთხთვალეებს, საველო სამხარეულოებს და ფრონტისათვის აუცილებელ სხვა პროდუქციას. საქართველოში მოეწყო საჰაერო თავდაცვისათვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობის წარმოება.

ევაკუირებულ საწარმოთა აღდგენით საქართველოში შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები: ავიამშენებლობა და სხვ.

სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე გადასვლა და მრეწველობის მთელი მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული: არსებულ საწარმოთა ხელახალი აღჭურვა, კვალიფიცირებული მუშების მომზადება და გადამზადება, ახალი საწარმოო კავშირების აწყობა და სხვ.

1942—1943 წლის ზამთარში თითქმის სრულიად შეწყდა ნედლეულის, მასალების, სათბობისა და სათადარიგო ნაწილების შემოტანა საქართველოში.



ამიტომ სამხედრო პროდუქციის გამოშვების ათვისებასთან ერთად აუცილებელი გახდა საქართველოშივე მოხერხებულიყო ნედლეულის ზოგი სახეობის მოპოვება, კერძოდ, სამრეწველო მასალის, მანქანების, სითადარიგო ნაწილებისა და ხელსაწყოთა წარმოება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა შინაგანი რესურსების მობილიზაციას და წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებას.

მკვეთრად შემცირდა საქართველოს შრომითი რესურსები. იმ 700 ათასზე მეტი მეომრიდან, რომლებიც მობილიზებული იყვნენ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში სამამულო ომის მთელ პერიოდში, თითქმის ორი მესამედი სწორედ 1941 წელს იქნა გაწვეული. სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, მათ შორის მრეწველობაც, კვალიფიციური მუშახელისა და სპეციალისტების ნაკლებობას განიცდიდა. მოგვყავს შესაბამისი ციფრობრივი მონაცემები<sup>2</sup>.

	1940	1941	1942	1943	1944
მუშახელის რაოდენობა მრეწველობაში (ათასობით) . . . . .	110,6	105,6	95,1	96,7	97,2

მართალია, საქართველოს მუშათა კლასი რიცხობრივად შემცირდა, მაგრამ გაიზარდა მუშათა ხვედრითი წილი როგორც სამრეწველო-საწარმოო პერსონალში, ისე მოსახლეობის საერთო ოდენობაში. გაიზარდა აგრეთვე ქალებისა და მოზარდების პროცენტი. სახალხო მეურნეობაში შრომის მთელი სიმძიმე ქალებსა და მოზარდებს დააწვა. 1942-1943 წლებში მრეწველობის მუშაკთა საერთო რაოდენობაში ქალები 49 პროცენტს შეადგენდნენ.

სამრეწველო საწარმოებში, ისევე როგორც საერთო სახალხო მეურნეობაში, სწავლისაგან მოუწყვეტლად შრომობდნენ უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელი განყოფილებების სტუდენტები, სპეციალური სამუშაო სკოლებისა და მუშათა და ათვლის ახალგაზრდობის სკოლების მრავალი ათასი მოსწავლე.

1944-1945 წლებში ქალებისა და მოზარდების პროცენტი შემცირდა, რადგანაც ამ დროისათვის სახალხო მეურნეობას დაუბრუნდნენ წითელი არმიისა და ფლოტის რიგებიდან (ინვალიდობის ან ასაკის გამო) დემობილიზებული მეომრები. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება სამუშაო ძალის დენადობის ზრდა. საერთოდ კი, ომის წლებში მუშახელის დენადობა გამოწვეული იყო შრომითი რესურსების გადანაწილების აუცილებლობით, არმიაში მობილიზაციით, რეევაკუაციითა და სხვა მიზეზებით.

მრეწველობის მუშახელით უზრუნველსაყოფად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზეგანაკვეთური სამუშაოების შემოღებას, მუშების მიმავრებას საწარმოებზე, ომის მთელ დროის მანძილზე საბჭოთა ორგანოებისათვის უფლებების მინიჭებას გადაეყვანათ მუშა-მოსამსახურეები ერთი საწარმოდან მეორეში.

1941 წლის ივლისის პირველ რიცხვებში საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომელთაც ევალებოდათ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები უზრუნველყოთ კვალიფიცირებული კადრებითა და საერთოდ სამუშაო ძალით.

მუშათა ახალი შეგება საჭიროებდა საწარმოო მომზადებას. ამ მიზნით საწარმოებში შეიქმნა სხვადასხვა სახის კურსები და მოკლევადიანი სკოლები. ახა-

<sup>2</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ან. 3, საქმე 647, ფურც. 30, 33.

ლი მუშების უდიდესი ნაწილი პროფესიას ეუფლებოდა ინდივიდუალურად ან ბრიგადული სწავლების გზით. ახალ მუშებს მიამაგრებდნენ ხოლმე მოწინავე მუშებზე, რომლებიც მათ შესაწავლიდნენ პროფესიას. საწარმოო სწავლებასთან ერთად საწარმოებში გამოიღო იყო აგრეთვე მუშაობა ახალი მუშების პოლიტიკური აღზრდისათვისაც.

კვალიფიცირებული მუშების მომზადება მიმდინარეობდა შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკის სამმართველოს სასწავლებლებში, რომლებმაც სამამულო ომის წლებში სახალხო მეურნეობას მოუშადაც 26,7 ათასი ახალგაზრდა კვალიფიცირებული მუშა.

ომის წლებში სახალხო მეურნეობას დაუბრუნდნენ პენსიონერები და სამამულო ომის ინვალიდები. ინვალიდთა მიერ მასობრივი პროფესიების დაუფლებას ხელმძღვანელობდნენ სამამულო ომის ინვალიდთა სასწავლო-საწარმოო კომბინატები და აგრეთვე თვით სახალხო მეურნეობის საწარმოები. მიუხედავად მიღებული ზომებისა, თითქმის ყველა სამრეწველო საწარმო ვანიცდიდა მუშახელის ნაკლებობას. ამიტომ საჭირო იყო შრომის ეფექტიანობის გაზრდა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და შრომის ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესების გზით. 1941-1942 წლებში საქართველოს მრეწველობაში ფართოდ დაინერგა წარმოების ნაკადური და კონვეიერული მეთოდები.

მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნისათვის ბრძოლაში დაძლეული იქნა რიგი სხვა სიძნელეც.

პროდუქციის წარმოების ზრდა 1943-1945 წლებში უმთავრესად ხორციელდებოდა წარმოების სრულყოფისა და შინაგანი რესურსების მაქსიმალური მობილიზაციის ხარჯზე. ამ წლებში საქართველოს სამრეწველო საწარმოებში დაიდგა მრავალი მანამდე სრულიად უქმად მდგარი დაზგა და დანადგარი. საჭირო გახდა ზოგი მათგანის აღდგენა, რეკონსტრუქცია და მოდერნიზაციაც კი.

მრეწველობის მუშაკთა ყურადღების ცენტრში იდგა წარმოების ტექნოლოგიისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხები. მრეწველობაში სულ უფრო თამამად ინერგებოდა წარმოების მექანიზაცია, რაც ერთგვარად ანაზღაურებდა მუშახელის ნაკლებობას, რადგან ეს ამოღებდა სამაჩქანო დროის ხვედრითს წონას წარმოების პროცესებში.

ომის დროის კანონად იქცა უსასტიკესი ბრძოლა ეკონომიის რეჟიმისათვის. ამ ბრძოლაში მასობრივად მონაწილეობდნენ ინჟინერ-ტექნიკოსები და კვალიფიციური მუშები. ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლაში პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ფართოდ უჭერდნენ მხარს მშრომელთა ინიციატივას წარმოების რაციონალიზაციის დარგში.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა საომარი პროდუქციის გამოშვების გაფართოებასთან ერთად ააწყვეს აგრეთვე წარმოება მასობრივი მოხმარების იმ საგნებისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა, რაც ომამდე მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ.

ომის წლებში არნახული გაქანება პოვა სოციალისტურმა შევიბრებამ, რომლის ძირითადი მიზანი იყო სახალხო მეურნეობაში სამუშაო ძალის ნაკლებობის მაქსიმალური შევსება და სამხედრო პროდუქციის წარმოების უწყვეტი ზრდის უზრუნველყოფა.

ომის დასაწყისში სამრეწველო საწარმოებში ფართოდ გავრცელდა „ორასოვანთა“ მოძრაობა. ამ მოძრაობის მონაწილეებმა იკისრეს შეესრულებინათ 2 ნორმა, ე. ი. ემუშავათ ფრონტზე წასული ამხანაგის მაგივრადაც. ბევრი რამ-

დენიმი ნორმასაც კი ასრულებდა. შემდგომი გავრცელება პოვა აგრეთვე მრავალღაზგოსნობამ და პროფესიათა შეთავსებამ. ეს მოძრაობა ომის წინ დაიწყო. სახალხო მეურნეობის მოწინავენი აქტიურად ებმებოდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი მუშების საწარმოო სწავლებისათვის. ქალებმა დაიწყეს მოძრაობა ე. წ. მამაკაცის პროფესიათა დასაუფლებლად.

1941 წლის შემოდგომაზე დაიწყო წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრების მსვლელობაში შეიქმნა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომელთა შორის ყველაზე მოწინავეს საფრონტო ბრიგადის სახელი ენიჭებოდა. 1944 წლის აპრილისათვის მარტო თბილისის საწარმოებში ოთხასამდე კომკავშირულ-ახალგაზრდული საფრონტო ბრიგადა იყო<sup>3</sup>, რომელთაც საჭარტილიანდ უწოდებდნენ ზურგის გვარდიას<sup>4</sup>. ეს შეჯიბრება ხელს უწყობდა მუშა ახალგაზრდობის საწარმოო კვალიფიკაციისა და პროფესიონალური ოსტატობის ამაღლებას.

1942 წლის მისში საქართველოს მშრომელები ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომლის ინიციატორები იყვნენ საავიაციო, სატანკო და მეტალურგიული მრეწველობის წამყვან საწარმოთა კოლექტივები. 1942 წელს ფართოდ გავრცელდა ინდივიდუალური და ბრიგადული შეჯიბრება პროფესიებისა და მიხედვით, რაც ხელს უწყობდა შეჯიბრების მონაწილეთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

1943-1944 წლებში სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმად იქცა მოძრაობა გამოუმუშავებული პროდუქციის ზრდასთან ერთად ბრიგადის რიცხოზობივი შემადგენლობის შემცირებისათვის. ამის შედეგად გამოთავისუფლდა ათასობით კვალიფიცირებული მუშა, ინიენერ-ტექნიკოსი და მოსამახურე წარმოების სხვა უბანზე გამოსაყენებლად.

მრეწველობის მუშაკთა შრომითი აქტივობის ზრდა გამოიხატა სოციალისტური შეჯიბრების ახალი და ნაინაირი ფორმების გაჩენით. სამრეწველო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას ხელს უწყობდა მოძრაობა თვით ბრიგადაში სპეციალიზაციისათვის. ამასთან დაკავშირებით გადიისინჯა წარმოების ნაკადური ხაზები და ტექნოლოგიური პროცესები, რამაც აამაღლა შრომის ნაყოფიერება და პროდუქციის ხარისხი.

შეჯიბრებაში წარმატებისათვის ზესტაფონის ფეროშენადნობთა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, თბილისის დიმიტროვის სახელობის, ქუთაისის ლიტოპონის, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნებისა და სხვა მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა მიიღეს სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის, პროფკავშირების უმაღლესი ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის სახალხო კომისარიატების გარდამავალი წითელი დროშები; მათ ენიჭებოდათ აგრეთვე ფულადი პრემიები.

ომის წლებში მრეწველობის მუშაობის შესახებ მკაფიო სურათს იძლევა გამოშვებული საერთო პროდუქციის მონაცემები<sup>5</sup> (1926/27 წლების უცვლელ ფასებში, მილიონ მანეთობით):

<sup>3</sup> საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921-1967, თბ., 1967, გვ. 462.

<sup>4</sup> საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია 6 ტომად, ტ. 6, გვ. 162.

<sup>5</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიატივი, ფ. 14, ანაწ. 3, საქმე 647, ფურც. 21, 24-25.





	1940	1941	1942	1943	1944	1945
მთელი მრეწველობა . . . . .	1878,3	1901,6	1629,7	1796,7	1641,4	1485,7
მასში:						
მსხვილი მრეწველობა (საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები) . . . . .	1210,4	1214,3	1013,5	1214,4	1060,7	975,8
მრეწველობის დანარჩენი დარგი . . . . .	667,9	687,3	616,2	582,3	580,7	509,9

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ საუკეთესო იყო 1941 წელი. მაგრამ ამ შემთხვევაში პროდუქციის ზრდა ფაქტურად ეხება წლის პირველ ნახევარს, ომამდელ პერიოდს. ამიტომ ეს მონაცემი, უნდა გამოირიცხოს. მასასადამე, საერთო პროდუქციამ მაქსიმალურ მოცულობას მიაღწია 1943 წელს, ხოლო მინიმალურს — 1945 წელს. საერთო პროდუქციის მოცულობის შემცირება 1945 წელს (და ნაწილობრივ 1944 წელსაც) დაკავშირებულია იმ ხარჯებთან, რომლებიც გაწეული იქნა მრეწველობის მშენებლობის გადარჩენისა და სამოქალაქო პროდუქციის გამოშვებისათვის.

ქვემოთ მოგვყავს მონაცემები პროდუქციის უმთავრეს სახეობათა გამოშვების შესახებ (ნატურალურ გამოსახულებაში):

პროდუქციის სახეობანი	ზომის ერთეული	1940	1941	1942	1943	1944
ქვანახშირი . . . . .	ათასი ტ	625,1	772,5	682,4	569,0	531,9
მანგანუმი . . . . .	"	1448,7	1365,3	117,6	216,3	475,7
ნავთობი . . . . .	"	41,2	57,5	56,1	57,5	46,3
ცემენტი . . . . .	"	118,6	115,5	23,3	34,5	58,7
შალის ქსოვილი . . . . .	ათასი მ	1923,5	2354,4	2327,4	2029,3	1809,1
აბრეშუმის და ნახევარაბრეშუმის ქსოვილი . . . . .	" მ	5291,2	6427,1	6498,1	4863,8	4563,4
ფეხსაცმელი . . . . .	ათასი წყვ.	8705,8	7443,2	3293,4	2493,5	3151,2
საპონი . . . . .	ტონა	4361,8	5189,0	3548,0	3754,3	4666,0
შაქარი (ფხვნილი) . . . . .	ათასი ტ	13,1	9,3	4,5	3,2	4,8
კონსერვები . . . . .	მლნ პირ. ქილა	29,1	33,2	25,0	30,7	32,1
პირველადი დამუშავების ბიხის ჩაი . . . . .	ტონა	10961	13582	12976	13923	12154
ნატურალური ჩაი . . . . .	"	2696	5332	5411	4572	4193

ომმა დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს სახალხო მეურნეობის წამყვან დარგს — შავი ქვის (მანგანუმის) წარმოებას. 1941 წლის ოქტომბრის ბოლოს დროებით დაკონსერვდა ყველა მალარო და გამამდიდრებელი ფაბრიკა. ჰიათურელ მალაროელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში წავიდა, 650 კაცი გადაყვანილი იქნა ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში, დანარჩენი კი გამოიყენეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. კონსერვაცია არ შეეხო მხოლოდ მექანიკურ სახელოსნოებს, რომლებიც ომის დაწყებიდანვე სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე იქნენ გადაყვანილი<sup>7</sup>. 1942 წელს ნაწილობრივ განახლდა ტრესტ „ჰიათურმარგანეცის“ მუშაობა.

მრეწველობის საერთო პროდუქციის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო მანგანუმის საწარმოთა კონსერვაციითა და ცემენტის, ფეხსაცმლის, შაქრის

<sup>6</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ანაწ. 3, ს. 647, ფურტ. 28-29.

<sup>7</sup> იქვე, ანაწ. I, ნაწ. IX, საქმე 11604, ფურტ. 14-16.

და თევზის პროდუქტების გამოშვების საგრძნობი შეკვეციტ. ნაწარმა ნატურალური და საერთო მოცულობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი იყო კვების და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ასორტიმენტის შეცვლა (გაიზარდა არმიისა და ფლოტისათვის სურსათისა და ნივთების ხვედრითი წონა). მაგალითად, ომის წლებში გამოშვებულ ფეხსაცმელსა და კონსერვებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხვედრითი წონა ხორცის კონსერვების, კონცენტრატების და ჯარისკაცის ფეხსაცმლისა, რომელთა ფასები ისევ სტაბილური და დაბალი რჩებოდა.

ომის წლებში დაეცა შრომის ნაყოფიერება და გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება. გამოჩაკლისის შეადგენდნენ მხოლოდ ცალკეული (მოწინავე) საწარმოები.

1945 წელს 1940 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის ფიზიკური მოცულობა მთლიანად საქართველოში შემცირდა 20 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ-ში — 31 პროცენტით და აჭარის ასსრ-ში — 51 პროცენტით.

მაგრამ ომის წლებში საქართველოს მრეწველობა უშვებდა მნიშვნელოვანი რაოდენობის საომარ იარაღს, არმიისა და ფლოტისათვის განკუთვნილ ჩაცმულობასა და სურსათს. საქართველო აძლევდა ფრონტს თვითმფრინავებს, ნაღმ-სატყორცებს, ტყვიამფრქვევებს, ავტომატურ იარაღს, ნაღმებს, ჭურვებს, ვაზნებს და სხვ. მხოლოდ 1941—1943 წლებში მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა გამოუშვეს ჯარისკაცის 6 მილიონი ჩაცმულობა და ფეხსაცმელი.

მრეწველობა დიდ დახმარებას უწევდა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და მტს-ებს. საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა აითვისეს ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებისა და დეტალების წარმოება; გააფართოვეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და ქიმიკატების წარმოება. კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და მტს-ების დასახმარებლად სოფლად იგზავნებოდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სარემონტო პრიგადები.

1943 წელს საბჭოთა ზურგმა შეძლო თვითმფრინავების, ტანკების, ავტომატური იარაღის იმ რაოდენობრივი უპირატესობის ლიკვიდაცია, რაც გერმანელ ფაშისტთა ჯარებს ჰქონდათ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებთან შედარებით. საბჭოთა ხალხის ამ უმაგალითო გამირობაში იყო აგრეთვე საქართველოს მრეწველობის მუშაკთა ღვაწლიც.

## 2. საპარტოვლო სოფლის მეურნეობა ომის პირობებში

ომმა საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დააყენა დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მაქსიმალურად გაეზარდა ყველა სასოფლო-სამეურნეო (განსაკუთრებით მარცვლეულის) და მესაქონლეობის პროდუქტის წარმოება.

ომმა სოფელს მოსწყვიტა ყველაზე უფრო შრომისუნარიანი მოსახლეობა, ამასთან წარმოების საშუალებანი. საქართველოს სოფელმა წითელ არმიასა და ფლოტს მისცა 400 ათასზე მეტი მეომარი. დიდი რაოდენობით ტრაქტორები, ავტომობილები, ცხენები და ურმები. მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის მომარაგება მანქანებით, ინვენტარით, საწვავით, მინერალური სასუქებითა და ქიმიკატებით.

აჩაჩველებრივი სიძნელებისდა მიუხედავად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მაინც მნიშვნელოვნად გაზარდეს მარცვლეული და პარკოსანი კულტურების სათესი ფართობები და წარმოება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა გმირობაზე მეტყველებს შემდეგი მონაცემები<sup>8</sup>:

	1940	1941	1942	1943	1944	1945
ერთწლიანი კულტურების მთელი სათესი ფართობი (1000 ჰა) . . . . .	895,7	914,9	968,0	1017,7	1000,8	945,3
მათ შორის: მარცვლეულის და პარკოსანთა ფართობი (1000 ჰა) . . . . .	748,4	760,8	813,7	869,0	872,9	827,6
ტექნიკური კულტურების ფართობი (1000 ჰა) მარცვლეულისა და პარკოსანთა მოსავლიანობა (1 ჰა-დან ცენტნერობით) . . . . .	51,6	52,8	52,9	51,1	42,3	42,5
საერთო მოსავალი მარცვლეულისა და პარკოსანთა (1000 ცენტნერობით) . . . . .	6284,0	7309,7	8140,3	8482,0	7457,0	—

პარტიამ ზურგის რაიონების მშრომელებს მოუწოდა მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინათ თავიანთი თავი საკუთარი ნაწარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, პირველ რიგში მარცვლეულით. საქართველომ, როგორც აქ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, დიდ წარმატებას მიაღწია პარტიის ამ მოწოდების განხორციელებისათვის ბრძოლაში. მარცვლეული კულტურების წარმოების მხრივ ომის ყველა წელს საქართველომ გადააჭარბა ომაღელ ღონეს.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. 1941 წლის შემოდგომაზე მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეიქმნა პოლიტგანყოფილებები (რომელთა ლიკვიდაცია მოხდა 1943 წლის ზაფხულში). 1942 წელს შემოღებულ იქნა ტრაქტორისტთა და კომბაინერთა შრომის დამატებითი ანაზღაურება გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და მაღალი მოსავლიანობისათვის.

კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ-ის სახკომსაბჭოს 1942 წელს მიღებულ დადგენილებებს კოლმეურნეთა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის ამაღლების შესახებ და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნამატის შენარჩუნებისა და პირუტყვის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

ომის ყველა წელს ერთ კოლმეურნეზე შრომადღის გამომუშავება უფრო ზღალი იყო, ვიდრე 1940 წელს. გაიზარდა აგრეთვე კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეების საერთო ოდენობა<sup>9</sup>, თუმცა საკოლმეურნეო წარმოებაში მონაწილე პირთა 80 პროცენტს ქალები და მოზარდები შეადგენდნენ.

შემცირდა ტექნიკური, ბოსტნეულ-ბაჩჩეული, საკვები კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავების (ჩაი, ვენახი, ციტრუსები, ხილი და ტუნგო) ფართობი, აბრეშუმის პარკის მოსავლიანობა, გაუარესდა აგროტექნიკა. ომის წლებში მკვეთრად გაიზარდა პლანტაციებისა და ვენახების მეჩხერიანობა. 1945 წელს

<sup>8</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ანაწ. 3, საქმე 647, ფურც. 54, 55, 59; სტატისტიკური კრებული „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა“, გვ. 57.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 75-76.



1943 წელთან შედარებით ჩაის ფოთლის დამზადება 31 ათასი ტონით შემცირდა, ხოლო ყურძნისა — 7 ათასი ტონით.

დაზარალდა მესაქონლეობაც. ამის მიზეზი იყო საკვები ბაზის შემცირება. 1942-1943 წლებში შეუძლებელი გახდა ჩრდილო კავკასიის საძოვრების გამოყენება, სადაც ზამთრობითი ჩვეულებრივ საქართველოდან ერეკებოდნენ ხოლმე წვრილფეხა საქონელს. ფრონტის მოახლოების გამო 1942 წელს შემცირდა საზაფხულო (მთის) საძოვრები საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზეც. მაგრამ საკოლმეურნეო საზოგადოებრივმა მესაქონლეობამ მაინც გადააჭარბა ომის წინანდელ დონეს. კოლმეურნეობათა ფერმებში პროდუქტიული პირუტყვის რაოდენობა გაიზარდა. 1942 წელს საქართველოს კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში განაწილებული იყო დიდი რაოდენობის ევაკუირებული საქონელი, რომელიც ნამატთან ერთად 1943 წელს დაუბრუნდა ჩრდილო კავკასიის განთავისუფლებულ რაიონებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები აქტიურად მონაწილეობდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეს გამოიხატა სწორედ იმ წარმატებებით, რომლებიც მათ მოიპოვეს თავდადებულ ბრძოლაში გმირული ფრონტისა და მთელი მოსახლეობის მოსამარაგებლად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. ხოლო მრეწველობის უზრუნველსაყოფად საჭირო ნედლეულით.

1944 წლის იანვარში საქართველომ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მომზადებისადმი მიძღვნილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის მიიღო სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. 1945 წელს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დროშა მიენიჭა თეთრიწყაროს რაიონს მესაქონლეობის ამალგებისათვის წარმოებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის. საქართველოს ომის წლებში 6-ჯერ მიეკუთვნა პროფკავშირების უმაღლესი ცენტრალური საბჭოსა და სსრკ დამზადების სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა<sup>10</sup>. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით 525 კაცი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით იმ წარმატებებისათვის, რომელთაც მათ მიაღწიეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ხოლო 1945 წლის 1 თებერვლის ბრძანებულებით 34 პარტიული და საბჭოთა მუშაკი დაჯილდოვდა სამამულო ომის ორდენებით.

ომის წლებში საქართველოს კოლმეურნეობები ეკონომიურადაც განმტკიცდნენ, გაიზარდა როგორც წარმოების ძირითადი ფონდები (809 მლნ მანეთიდან 1940 წელს 1.398 მილიონ მანეთამდე 1944 წელს), ისე განუყოფადი ფონდებიც (762 მლნ მანეთიდან 1614 მლნ მანეთამდე<sup>11</sup>). გაიზარდა ისეთ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომელთა ფულადი შემოსავალი 1 მილიონ მანეთს აჭარბებდა. 1940 წელს საქართველოში იყო 48 მილიონერი კოლმეურნეობა, 1944 წელს კი — 265. გაიზარდა შრომადღის ფულადი და ნატურალური ანაზღაურება.

საქართველოს მტს-ების მუშაკთა თავდადებული შრომის მიუხედავად ერთგვარად შემცირდა მტს-ების როლი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ტრაქტოროთა რიცხვმა დაიკლო, შემცირდა სატრაქტორო პარკის ენერგოსიმძლავრე.

<sup>10</sup> გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1946 წლის 23 თებერვალი.

<sup>11</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ანაწ. 3, საქმე 647, ფურც. 76.

გამომუშავება ერთ ტრაქტორზე 297 ჰექტარიდან 1940 წელს შემცირდა 237 ჰექტარამდე 1945 წელს<sup>12</sup>. თავი იჩინა ტრაქტორთა ამორტიზაციამ, მტს-ებში სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის უკმარისობამ და აგრეთვე მექანიზატორთა დაბალმა კვალიფიკაციამ.

სკპ(ბ)-ს ცკ-ს და სსრკ-ის სახკომსაბჭოს მითითებით მოსავლის აღებაში კოლმეურნეებს დაეხმარნენ სტუდენტები, უფროსი კლასების მოსწავლეები და ქალაქების მშრომელი მოსახლეობა. 1942—1943 წლებში მარტო საქართველოს სკოლების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა კოლმეურნეობებში გამოიმუშავეს 14 მლნ შრომადღე<sup>13</sup>.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სოფლად მუდმივ და დროებით სამუშაოებზე სისტემატურად აგზავნიდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და ორგანიზატორებს, როგორც უმაღლეს და სპეციალურ საშუალო სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს. ისევე სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებში მომუშავე სპეციალისტებს.

ომის წლებში კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დარღვევებს. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობები განმტკიცდნენ, როგორც პოლიტიკურად, ასევე საორგანიზაციო-სამეურნეო მხრივაც. 1940 წელთან შედარებით 1943 წელს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს: 27,3 ათასი ტონით მეტი პური, 5,3 ათასი ტონით მეტი ბოსტნეული და კარტოფილი, 9 ათასი ტონით მეტი ჩაის მწვანე ფრთოლი და 15 მილიონი ცალით მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. დამზადებათა გეგმის ზევით სახელმწიფოს მიჰყიდეს 9 ათასი ტონა მარცვლეული და 1944 წლის დამზადებათა ანგარიშში ავანსად შეიტანეს 1150 ტონა მარცვლეული. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის დამზადების გეგმაც — 1944 წლის ანგარიშში დაამზადეს 300 ტონაზე მეტი ხორცი.

საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთელი სამამულო ომის განმავლობაში სახელმწიფოს ჩააბარეს 115 მლნ ფუთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი და ნედლეული<sup>14</sup>. ეს იყო მათი წვლილი მტერზე საბჭოთა ხალხის ეკონომიურ გამარჯვებაში.

### 8. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა ფრონტისა და ზურგის სამსახურში

სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი ომის დაწყებისთანავე სამხედრო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ქართველმა რკინიგზელებმა მეტად დიდი შრომა გასწიეს საქართველოში შავი ზღვის ნავსადგურებით შემოსული ევაკუირებული ტვირთის მისაღებად და შუა აზიის რესპუბლიკებში გადასაგზავნად. ამიერკავკასიის რკინიგზამ სანიმუშოდ მოახერხა კავკასიის დამცველი ჯარების გადაჯგუფება, ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტებისა და შავი ზღვის ფლოტისათვის ადამიანთა რეზერვების, შეიარაღების, ტყვია-წამლის, საწვავის შეუფერებელი მიწოდება.

<sup>12</sup> სტატისტიკური კრებული „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა“, გვ. 132.

<sup>13</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 14, ანაწ. 3. ს. 647, ფურც. 76.

<sup>14</sup> გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1945 წ. 25 თებერვალი.

ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ჯარების წარმატებისათვის კავკასიისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

შავი ზღვის სატრანსპორტოს მუშაები აქტიურად მონაწილეობდნენ უკრაინისა და რსფსრ-ს ნავსადგურებიდან მოსახლეობისა და სამარწყველო საწარმოების ევაკუაციაში; ოდესისა და სევასტოპოლის გმირული დამცველებისათვის შევსების, შეიარაღებისა და ტყვიანობის მიწოდებაში. შავი ზღვის ნავსადგურების დაცვის მონაწილე დაჭრილ მეომართა, შემდეგ კი თვით ჯარების ევაკუაციაში; შავი ზღვის სანაპიროს სხვადასხვა ადგილებში საბჭოთა ჯარების ღესანტის გადასხმაში. შავზღველი მეტრანსპორტეები ფაქტიურად შავი ზღვის ფლოტის ყველა საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობდნენ; დაიღუპა მრავალი ხომალდი და სატრანსპორტო ფლოტის ათასობით მეზღვაური.

ამიერკავკასიის რკინიგზისა და შავი ზღვის სავაჭრო ფლოტის ტვირთბრუნვამ და მგზავრთა გადაყვანამ საქართველოს სსრ-ის ფარგლებში მაქსიმალურ ზღვარს 1941-1942 წლებში მიაღწია, მომდევნო წლებში კი იგი საგრძნობლად შემცირდა.


საქართველოს სავაჭრომობილო ტრანსპორტი და სამოქალაქო ავიაცია ამიერკავკასიის ფრონტისა და შავი ზღვის ფლოტს ემსახურებოდა. სპეციალური დავალებების შესასრულებლად სამოქალაქო ავიაციის მფრინავებმა 20 ათასამდე რეისი შეასრულეს. სავაჭრომობილო ტრანსპორტი ქმედით დახმარებას უწყვედა ამიერკავკასიის ფრონტს არმიის ნაწილების ოპერატიულ გადაყვანასა და კავკასიის უღელტეხილებსა და მთიან რაიონებში სამხედრო ტვირთის მიტანაში.

1942-1945 წლებში შემცირდა ყველა სახის ტრანსპორტით ტვირთისა და მგზავრთა გადაყვანა, ორთქლავლებისა და ვაგონების რაოდენობა, გაუარესდა რკინიგზათა მდგომარეობა, მტერმა მწყობრიდან გამოიყვანა თითქმის მთელი შავი ზღვის სატრანსპორტო ფლოტი, ძალიან დაზიანდა სანავსადგურო მეურნეობა, მკვეთრად შემცირდა საქართველოს სავაჭრომობილო ტრანსპორტისა და სამოქალაქო ავიაციის პარკი, გაუარესდა გზატკეცილების მდგომარეობა. ყოველივე ეს საკმაოდ აძნელებდა ტრანსპორტის მუშაობას ფრონტისა და ზურგის მომსახურებაში.

თავდადებულად მუშაობდნენ საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაები. მათ უწყვეტი მავთულიანი კავშირი დაამყარეს ამიერკავკასიის ფრონტისა და შავი ზღვის ფლოტის ნაწილებთან. საქალაქთაშორისო ქსელის შუალედურ პუნქტებში გამაძლიერებლების მოწყობით განხორციელდა სატელეფონო კავშირი ჩრდილო კავკასიის ქალაქებთან და რაიონებთან მამისონის გადასასვლელით.

საქართველოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაები ფართო მონაწილეობას იღებდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს რკინიგზელებმა. ამიერკავკასიის რკინიგზამ სამამულო ომის მთელ პერიოდში 19-ჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც მას სამუდამოდ გადაეცა საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. საქართველოს 1221 რკინიგზელი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

რკინიგზის და სავაჭრომობილო ტრანსპორტის მუშაების თავდადებულმა შრომამ ხელი შეუწყო საქართველოს სახალხო მეურნეობის ყოველი ცალკეული დარგის წარმატებას.



9611



#### 4. სამრეწველო-საბრუნავო მშენებლობა ომის წლებში

საქართველოში, ისევე როგორც სსრკ-ის ზურგის ყველა რაიონში, ომის წლებშიც წარმოებდა ახალი მშენებლობა. ამას განაპირობებდა წარმოების გადაყვანა საომარი პროდუქციის გამოშვებაზე, ევაკუირებული სამრეწველო საწარმოების მწყობრში ჩაყენება, სამხედრო და მძიმე მრეწველობის ინტენსიური ზრდის აუცილებლობა<sup>15</sup>.

1941-1945 წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობაში კაპიტალურმა დაბანდებამ 2,6 მილიარდი მანეთი შეადგინა (1955 წლის 1 ივლისის ფასებით)<sup>16</sup>. ამ თანხის დიდი ნაწილი მრეწველობასა და ტრანსპორტში იყო დაბანდებული. თუ 1941-1942 წლებში კაპიტალური მშენებლობის ზრდა გამოწვეული იყო უმთავრესად მრეწველობის სამხედრო პროდუქციის გამოშვებაზე გადაყვანითა და ევაკუირებული საწარმოთა განლაგების აუცილებლობით, 1943-1945 წლებში კაპიტალური დაბანდება გაიზარდა ახალი საბაზისო საწარმოებისა და რკინიგზის ხაზების მშენებლობასთან დაკავშირებით.

სამამულო ომის წლებში აშენდა ორასზე მეტი მსხვილი, საშუალო და წვრილი სამრეწველო საწარმო<sup>17</sup>, მათ შორის: დიმიტროვის სახელობის ქარხანა თბილისში, გემსთარემონტო ქარხანა ფოთში, მაგნიტური რკინის კომბინატი („საქმაგნეტიტი“) სუფსაში, ახალი ქვანახშირის შახტები ტყეხულსა და ტყვარჩელში, ჩაის ფაბრიკები გვეჯკოროსა და ხობის რაიონებში, ტყვარჩელის ელექტროსადგურის ახალი აგრეგატი. დამთავრდა შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალისა და ბორჯომი-ახალციხის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა. ამიერკავკასიის რკინიგზის შავი ზღვის მაგისტრალის ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ საქართველო და სომხეთი უმოკლეს სარკინიგზო გზით დაუკავშირდნენ საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებს.

განახლდა ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დაიწყო მდინარე მტკვარზე ჩითახევჭესისა, ტყვარჩელის ელექტროსადგურის მეორე რივის, ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის და საქართველოს მძიმე ინდუსტრიის გიგანტის — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა.

ომის წლებში მშენებლობის სწრაფი ტემპი განაპირობა შრომის ჩქაროსნული მეთოდების მასობრივად დანერგვამ.

#### 5. ღანმარვა განთავისუფლებულ რაიონებს მუშრენობის აღდგენაში

გერმანელ ოკუპანტებისაგან განთავისუფლებელი რაიონების მეურნეობის აღდგენაში მთელი ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველომ განთავისუფლებულ რაიონებში ვაგზავნა მოწყობილობა, მანქანები, მექანიზმები, საშენი მასალები, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, თესლეული, პირუტყვი, სურსათი, მედიკამენტები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ინვენტარი.

საქართველომ განთავისუფლებულ რაიონებში ვაგზავნა რამდენიმე ათასი კვალიფიცირებული მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, აგრონომი, ექიმი და სხვა სპეციალისტი.

<sup>15</sup> გ რ ა ნ ო ვ ს კ ი ე. ლ., საბჭოთა მრეწველობა დიდ სამამულო ომში, „გოსპოლიტიზდატ“, 1949, გვ. 128-131.

<sup>16</sup> სტატისტიკური კრებული „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა“, გვ. 149.

<sup>17</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტაქივი, ფ. 14, ანაწ. 3, საქმე 746, ფურც. 20.



გათავისუფლებული რაიონების სწრაფად აღდგენაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სამრეწველო-სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საწარმოები და დაწესებულებები, სამშენებლო ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, მტს-ბი, კულტურის დაწესებულებანი და თითქმის ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის კოლექტივი მონაწილეობდა ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის აღდგენაში, თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივი შეფობას უწევდა მაიკოპის ფრუნზეს სახელობის ქარხანას, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა — ხარკოვის ორთქლმავალშემკეთებელ ქარხანას, თბილისის საორთქლმავლო დეპო — ნიჟნედნეპროვსკის ორთქლმავლის დეპოს, საქართველოს სარეწაო კოოპერაცია — უკრაინის სსრ-ს დონეცკის ოლქის სარეწაო კოოპერაციას.

ჭიათურელმა მდაროელებმა ნიკოპოლის მანგანუმის მდაროებისა და გამამიდრებელი ფაბრიკის აღსადგენად გაგზავნეს რამდენიმე ეშელონი ელექტრომოწყობილობებით, სამარკშიედრო ინსტრუმენტებით, დაზგებით და სხვა მასალებით. საქართველოს ქვანახშირის მუშაკებმა დონბასში გაგზავნეს ელექტრომოტორები, ელექტრობურღები, სანგრევი მანქანები, ვენტილატორები, ელექტროტრანსფორმატორები, ვაგონტები და სხვა სამთო-სამახტო მოწყობილობა, მექანიზმები და იარაღი.

ამიერკავკასიის რკინიგზამ განთავისუფლებულ რაიონებში გაგზავნა 170 საგზაო მექანიზმი, 3 ლიანდაგშემადულებელი მატარებელი (სრული მოწყობილობით და კადრებით), 54 თოვლსახვეტი, 5 თოვლამღები მატარებელი, 3 მოძრავი ელექტროსადგური, 30 ათასამდე სხვადასხვა ინსტრუმენტი და ინვენტარი, ორთქლმავლის სათადარიგო ნაწილების დიდი რაოდენობა, სურსათი და სამრეწველო საქონელი 4,5 მილიონ მანეთის ღირებულებისა და სხვ. ამიერკავკასიის რკინიგზამ გათავისუფლებულ რაიონებში გაგზავნა 3 ათასამდე კვალიფიცირებული მუშა და სპეციალისტი.

ხრამქისის მშენებელთა კოლექტივმა მოკლე ვადაში აღადგინა გერმანელ ოკუპანტებისაგან დანგრეული ბაქსანის ჰიდროელექტროსადგური (რუსეთის ფედერაციის ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა).

ენაკიევოს მეტალურგიული ქარხნის აშენებაში თავი ისახელა თბილისის ახალგაზრდულმა რაზმმა. ამ რაზმის ყველა 54 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა გეგმას სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა. 14 მათგანს მიენიჭა საფრონტო ბრიგადის საპატიო სახელი. თბილისელმა ახალგაზრდებმა დონბასის ახალგაზრდული რაზმების სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვეს.

საქართველო მონაწილეობდა ლეგენდარული სტალინგრადის აღდგენაში. იქ გაიგზავნენ კვალიფიცირებული მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, აგრეთვე ორთქლმავლები, ვაგონები, ავტომანქანები, სამრეწველო მოწყობილობა, მექანიზმები, საშენი მასალა და კულტურული ინვენტარი.

უკრაინის სსრ გენიჩესკისა და სინელნიკოვოს რაიონების კოლმეურნეობათა აღდგენაში განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს მახარადისა და გურჯაანის რაიონების კოლმეურნეებმა.

უკვე 1943 წლიდან საქართველოს ყველა რაიონში, თითქმის ყველა კოლმეურნეობაში თესავდნენ ჰექტარებს, ზრდიდნენ პარტუყვს განთავისუფლებული რაიონებისადმი დახმარების ფონდის შესაქმნელად. მარტო 1944 წელს განთავი-

სუფლებულ რაიონებში კოლმეურნობათა მესაქონლეობის ფერმების აღსადგენად გაგზავნილი იქნა 30 ათასი სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი<sup>18</sup>.

განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღდგენაში ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მშრომელთა მონაწილეობა მეტყველებდა საბჭოთა ხალხების ურდევკი მეგობრობისა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ზემოქმედებას.

#### 6. შრომისა და ზურგის ერთიანობა. საერთო სახალხო დახმარება შრომებს

ფრონტისა და ზურგის ერთიანობა ფრონტისადმი სახალხო დახმარებით გამოიხატა. ჩვენი ქვეყნის ერთიან საბრძოლო ბანაკად გადაქცევისა და გმირული ფრონტისადმი სახალხო დახმარების ორგანიზაციის საკითხები განუყრელადა დაკავშირებული სახალხო მეურნეობის ისტორიასთან.

საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა საყოველთაო სამხედრო მომზადების შესახებ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოში ყველგან შეიქმნა საყოველთაო სამხედრო სწავლების ქვეგანყოფილები, რომლებიც ამზადებდნენ ასობით ათას მეტყვიამფრქვევეს, მეავტომატეს, ტანკების გამანადგურებელს, ნაღმმტყორცნელს, სნაიპერს, აღზინისტსა და სხვა თავდაცვიტს კადრებს. საბჭოთა შეიარაღებული ძალების აღრსეული შეგების მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს „ოსოავიაქიმი“, „წითელი ჯვარი“ და სპორტული ორგანიზაციები.

დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული საპაერო და ქიმიური თავდაცვისათვის. საწარმოებსა და დაწესებულებებში შეიქმნა თავდაცვის ჯგუფები, აგებული იქნა თავშესაფარები, სამეთვალყურეო კოშკები, წყლის აუზები, უზრუნველყოფილი იყო მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა სიმედლო დაცვა.

ომის პირველსავე დღეებში დაიწყო სამხედრო ჰოსპიტლების ორგანიზაცია. გამოყოფილი იქნა შესაფერისი შენობები, მოწყობილობა, ინვენტარი, შერჩეული იქნა სამედიცინო და სხვა მუშაკთა კადრები. საქართველოს კურორტების თითქმის ყველა სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის და რიგი სამკურნალო დაწესებულების შენობები ჰოსპიტლებს დაეთმო. დაჭრილ და ავადმყოფ მეომრებზე ზრუნავდა მთელი მოსახლეობა. სამრეწველო და ტრანსპორტის საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და დაწესებულებანი შეფობას უწევდნენ ჰოსპიტლებს და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მათ. ტარდებოდა წითელი არმიისა და ფლოტის დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა „დახმარების კვირეულები“.

1941 წლის ივლისის ბოლოს საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში შეიქმნა გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებიც კომპლექტდებოდა არმიაში ვაწვევისაგან განთავისუფლებულ (ავადმყოფობის ან ასაკის გამო), ანდა სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ ბატონებულ მუშაკთაგან. ამ ბატალიონებში წარმოებდა საბრძოლო მომზადება. 1942 წელს მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების გამანადგურებელი ბატალიონები მონაწილეობდნენ იმ სამარა ოპერაციებში, რომლებიც გაიმართა უღელტეხილების დაცვისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოჭრილი ოკუპანტების გასანადგურებლად.

<sup>18</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი II, (რუსულ ენაზე) თბილისი, 1963, გვ. 212.



1941 წლის შემოდგომიდან საქართველოს ზოგ რაიონში დაიწყო სათავ-დაცვო ნაგებობათა მშენებლობა. ყველაზე შრომატევადი სამუშაო შეასრულა მოსახლეობამ, პირველ რიგში კოლმეურნე გლეხობამ.

1941 წლის ბოლოს საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში, ყველა მსხვილ საწარმოსა, დაწესებულებასა და სასწავლებელთან შეიქმნა კომკავშირული რაზმები მტრის ტანკებთან საბრძოლველად. აჭარის ასსრ-ში ჩამოყალიბდა ჯგუფები, რომლებიც ეხმარებოდნენ წითელი არმიის ნაწილებს საზღვრების დაცვაში.

საქართველოს მშრომელები მუდმივ და შეუწყველ ზრუნვას იჩენდნენ სამშობლოს დამცველთა ოჯახების მიმართ. მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და დაწესებულებებში შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისიები, ჯგუფები და ბრიგადები, რომლებიც სწავლობდნენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობებს და აუცილებელ დახმარებას უწევდნენ მათ. ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში სამრეწველო საწარმოები უშვებდნენ ზეგეგმიის პროდუქციას, ხოლო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თესავდნენ ზედმეტ პეკტარებს, ეყუბოდა „დახმარების კვირეულები“ სამშობლოს დამცველთა ოჯახებისათვის. შეიქმნა სახალხო ფონდი, საიდანაც ფრონტელთა შეილებს ენიშნებოდათ სტიპენდიები, უფასოდ ეძლეოდათ სანატორიუმების, პიონერთა ბანაკების და გამაჯანსაღებელი მოედნების საგზურები. ფრონტელთა ოჯახების სახლებისა და ბინების შეკეთებაზე იგზავნებოდა სპეციალური ბრიგადები.

საქართველოს კოლმეურნე ქალების ინიციატივით წამოწყებული იქნა წითელი არმიისა და ფლოტის მეომრებისათვის თბილი ტანსაცმელისა და საჩუქრების შეგროვება. მხოლოდ 1942 წელს კოლმეურნეობებმა ფრონტზე გაგზავნეს 175 ვაგონი სხვადასხვა საჩუქრით.

ომის პირველსავე დღეებში დაიწყო თავდაცვის ფონდში ფულადი სახსრების, ძვირფასეულობის, სახელმწიფო სესხის ობლიგაციებისა და სურსათის შეტანა.

1942-1944 წლებში ფულად, სახელმწიფო სესხის ობლიგაციებით და გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციებით მოგროვდა ასობით მილიონი მანეთი სატანკო კოლონიებისა და ავიაციკადრილების ასაგებად. საბჭოთა ავიაციის საბრძოლო პარკში იყო საბჭოთა კავშირის მშრომელთა დანაზოგებით აგებული 2565 თვითმფრინავი, მათ შორის ესკადრია „საბჭოთა საქართველო“, „საქართველოს კომკავშირელი“, „საქართველოს მედიკოსი“, „საქართველოს ოსოავიაქიმელი“, „საქართველოს ფიზკულტურელი“, „საქართველოს წითელი ჯარი“, „საქართველოს რემედასელი“ და სხვ.

საქართველოს მშრომელთა სხვადასხვა შენატანებმა და მათს მიერ შეძენილი სახელმწიფო სესხის ობლიგაციების, ფულისა და ნივთების ლატარების ბილეთების ღირებულებამ სამამულო ომის მთელ პერიოდში შეადგინა 3.173 მლნ მანეთი<sup>19</sup>.

კავკასიის მისადგომებთან ბრძოლების წარმოებისას საქ. კ(ბ)-ს ცენტრალურმა კომიტეტმა და საქ. სსრ სახკომსაბჭომ ფრონტის ცალკეულ უბნებზე გაგზავნა თავისი რწმუნებულები, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს კავკასიის დამცველთა დასახმარებლად ადგილობრივი რესურსების მობილიზაციისათვის;

<sup>19</sup> გაზ. „ზარი ვოსტოკა“, 1946 წ. 25 თებერვალი.

მათ უზრუნველყვეს მთელი მოსახლეობისა და ადგილობრივი ორგანიზაციების მონაწილეობა თავდაცვითს ნაგებობათა მშენებლობასა და ფრონტზე შეიარაღების, ტყვია-წამლის და სურსათის გაგზავნაში. საქართველოში მედლით „კავკასიის დაცვისათვის“ დაჯილდოვდა 46.191 ზურგის მუშაკი.

ფრონტებზე სისტემატურად იგზავნებოდა კულტურის მუშაკთა დელეგაციები. ომის წლებში საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა ფრონტზე, ჰოსპიტლებსა და ზურგის სამხედრო ნაწილებში მოაწყეს 27,6 ათასი კონცერტი და სპექტაკლი.

საქართველოს მშრომელებსა და ფრონტელებს შორის რეგულარული მიწერ-მოწერა გაიმართა. საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ფრონტიდან უამრავ წერილს იღებდნენ, როგორც სამხედრო ნაწილის სარდლობის, ასევე ცალკეული მეგრძობებისაგან. ამ წერილებმა დიდი მამობილიზებელი როლი შეასრულეს.

ფრონტისა და ზურგის ერთიანობა, ფრონტისადმი საერთო სახალხო დახმარება წარმოადგენდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს.

\* \* \*

ომის გამოცდამ გამოაწრთო საქართველოს კომუნისტური პარტია, რომლის მოღვაწეობის მიზანი იყო ფრონტისათვის მუღმდვიად მზარდი დახმარების უზრუნველყოფა.

სამშობლოსადმი სიყვარულმა, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულებამ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ განაპირობეს საქართველოს მშრომელების, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის, ყველა წარმატება სამამულო ომის მძიმე წლებში.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

## შალვა ხხარტიშვილი

## განწყობის ფიქსაციის პრობლემა

## I. საითხის ღაყენება

განწყობის, როგორც ქცევის ზოგადი თეორიის, ძირითადი პრინციპები მანამ იყო დადგენილი დ. უზნაძის მიერ, სანამ იგი განწყობის ექსპერიმენტულ კვლევა-ძიებას შეუდგებოდა. ეს პრინციპები ცხოვრების ბუნებრივ მიმდინარეობაზე დაკვირვებათა მონაცემების განზოგადოების გზით იქნა შემუშავებული განწყობის კვლევის საქმეში ფიქსირებული განწყობის მეთოდის გამოყენებამდე ოთხი-ხუთი წლით ადრე<sup>1</sup>.

განწყობის თეორია მოწოდებულია გადაჭრას დიდი მეცნიერული პრობლემა: როგორ აიგება ცოცხალი არსების ქცევის რეალური პროცესი? საიდან იღებს იგი მიზანშეწონილ ხასიათს? ეს თავისთავად ძნელი პრობლემა უფრო გართულებული სახით წარმოგვიდგება, როცა საქმე ეხება ადამიანის სპეციფიკურ ქცევას, რომლის სტრუქტურაში დომინანტური ადგილები სულიერი ცხოვრების უმაღლესი რიგის მოვლენებს აქვთ დაკავებული

აქ დამატებით მოითხოვს გარკვევას საკითხები: 1. საიდან აღმოცენდებიან და შედიან ადამიანის აქტივობის მთლიან სტრუქტურაში ცნობიერების ის პროცესები, რომელნიც მიზნისა და მისი მიღწევისთვის საჭირო საშუალებების გარკვევის საქმეს ემსახურებიან, და 2. რა ნიადაგზე ხდება ცნობიერებისა და პრაქტიკული მოქმედების ერთ მთლიან სტრუქტურაში გაერთიანება: რა კანონზომიერების მქონე მოვლენითაა შევსებული ის ვაკუუმი, რომელსაც თანამედროვე ქცევის ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ცოდნასა და მოქმედებას შორის ხედავს.

განწყობის ექსპერიმენტული კვლევა დ. უზნაძის ლაბორატორიაში თავიდანვე ფიქსირებული განწყობის მეთოდით დაიწყო<sup>2</sup>. ამ მეთოდით მუშაობის დროს ფიქრობენ, რომ ჯერ (საგანწყობო ცდებში) გარკვეული შინაარსის განწყობის ფიქსაციას ახდენენ, ხოლო შემდეგ (კრიტიკულ ცდებში) ამ განწყობის თავისებურებებზე აწარმოებენ დაკვირვებას.

პირველ ხანებში ექსპერიმენტული კვლევა განწყობის ზოგადი კანონზომიერების დადგენას ისახავდა მიზნად, მაგრამ შემდეგ, როცა ექსპერიმენტული მო-

<sup>1</sup> იხ. დ. უზნაძე: Impersonalia, ჟურნალი „ჩვენი ცხოვრება“, 1923, № 1, გვ.1—27; ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები, 1925, გვ. 160—184.

<sup>2</sup> პირველი ექსპერიმენტული გამოკვლევები განწყობის შესახებ შესრულებული იქნა დ. უზნაძის უშუალო ხელმძღვანელობით ა. ბოჭორიშვილისა და გ. ხმალაძის მიერ 1927—1929 წლებში (იხ. ა. ბოჭორიშვილი, სიმძიმის ილუზიების ანალიზი გ. წახის არეში; „უნივერსიტეტის მოამბე“, 1927; გ. ხმალაძე, მოცულობის ილუზია, „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, 1938, გვ. 63—97).



ნაცემების საფუძველზე მიღებული იქნა აზრი განწყობის ლატენტურ მდგომარეობაში გადასვლისა და დროში შენახვის შესახებ, შემუშავდა ფიქსირებული განწყობის ცნება, რომელიც განწყობის კერძო შემთხვევის ამსახველ ცნებად იქნა მიჩნეული<sup>3</sup>. ამ ცნებამ ფართო გამოყენება ნახა დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების გამოკვლევებში: ჩატარდა პიროვნების ისტორიასთან — პიროვნების ინდივიდუალურ გამოვლილებასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი თავისებურების ამ ცნებით ახსნის მრავალრიცხოვანი ცდები.

ფიქსირებული განწყობის ცნებაში ორიგინალურს ვერაფერს ვნახავთ, თუ მას განწყობის ზოგადი თეორიისგან დამოუკიდებლად განვიხილავთ. ფიქსირებული განწყობის ტერმინით აღნიშნული მოვლენები ადრე, პაბტიულური განწყობის სახელწოდებით, საკმაოდ ფართოდ იკვლია კ. მარბემ<sup>4</sup>. კიდევ უფრო ადრე მას სხვა მკვლევართა გამოკვლევებშიც ვნახულობთ. ამჟამად იგი საზღვარგარეთელ ფსიქოლოგთა მრავალმხრივი, ინტენსიური შესწავლის საგანს წარმოადგენს. მაგრამ ეს გამოკვლევები არსებითად არაა დაკავშირებული იმ პრობლემასთან, რომლის გადაჭრასაც დ. უზნაძის მიერ შემუშავებული ქცევის ზოგადი თეორია ისახავს მიზნად.

იმ გარემოებამ, რომ დ. უზნაძის მოძღვრებაში განწყობის ზოგად ცნებასა და ფიქსირებული განწყობის ცნებას შორის არსებითი ხასიათის განსხვავება საკმაოდ არაა გათვალისწინებული, წარმოშვა სრულიად გაუმართლებელი აზრი, თითქოს დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია კ. მარბეს განწყობის თეორიის კრიტიკული გადამუშავების ნიადაგზე წარმოიშვა და მის გაგრძელებასა და განვითარებას წარმოადგენს<sup>5</sup>. ასეთი აზრი შეიძლება დაებდოს ყველა მკვლევარს, რომელიც დ. უზნაძის მოძღვრების ძირითად აზრს ფიქსირებული განწყობის ცნებასა და თეორიაში ხედავს. სინამდვილეში დ. უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეფციის დედააზრს წარმოადგენს განწყობა, როგორც ქცევის ზოგადი თეორია, რასაც არაფერი არა აქვს საერთო კ. მარბეს განწყობის ფსიქოლოგიასთან და არც იმ მრავალრიცხოვან გამოკვლევებთან, რომლებიც დღეს განწყობის სახელწოდებით ქვეყნდება საზღვარგარეთ. საკმარისია, ერთის მხრივ, თვალი გადავავლოთ დ. უზნაძის აღრინდელ ნაშრომებს, სადაც განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი პრინციპები მოიხაზა პირველად, ხოლო მეორის მხრივ, ღრმად ჩაუკვირდეთ განწყობის, როგორც ქცევის ზოგადი თეორიის, ძირითად აზრს, რომ შეხედულება, დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგია კ. მარბეს განწყობის ფსიქოლოგიის გაგრძელებასა და განვითარებას წარმოადგენსო, სრულიად უმართებულოდ მოგვეჩვენოს და დაგრწმუნდეთ, რომ დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიას სათავეები კ. მარბეს მოძღვრებაში არ აქვს.

ქცევის მიზანშეწონილობის საკითხის გარშემო ძველი დროიდან შეხედულებათა ორი რიგი — მექანიცისტური და ვიტალისტური — უპირისპირდებოდა

<sup>3</sup> ექსპერიმენტულად შემუშავებულ განწყობის ფიქსაციის, მისი დროში შენახვის შესაძლებლობის შესახებ, პირველად მოხსენებულ იქნა 1934 წელს საქართველოს საფსიქოლოგიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე ბ. ხ ა ჯ ა პ უ რ ი ძ ი ს მიერ (იხ. „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, გვ. 136—152).

<sup>4</sup> იხ. K. Marbe, 1. Ober Einstellung u. Umstellung; Ztschr. f. angew. Psychologie, B. 26, H. 1—2, 1925; 2. Theorie d. Motorische Einstellung u. Persönlichkeit, Ztschr. f. Psychologie u. Physiologie d. Sinnesorgan, B. 189, H. 4—6, 1933.

<sup>5</sup> იხ. გ. ცინცაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისათვის (ქარლ მარბე); გ. ცინცაძე, რ. ბალანჩივაძე, „ბუტყეუხიული ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისათვის“, 1965, გვ. 138—141.

ერთმანეთს. იმ დროს, როცა დ. უზნაძე განწყობის ფსიქოლოგიის საფუძვლებზე მუშაობდა, აღნიშნული პრობლემა ძირითადად შეხედულებათა ამ ორი რიგის სახით იყო წარმოდგენილი. განწყობის ფსიქოლოგიის ავტორმა საფუძვლიანად გაასწორა ანგარიში მათთან და საკუთარი შეხედულების შემუშავების დროს ყველა მათი ნაკლი და ღირსება გაითვალისწინა.

ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქცევის საკითხები განსაკუთრებით წამოიწია წინა პლანზე. ამიტომ პრობლემა — როგორ აიგება მიზანშეწონილი ქცევის რეალური პროცესი — ახლა გაცილებით უფრო აქტიური გახდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მის გარშემო ყველაზე უფრო ფართოდაა გაშლილი მუშაობა ამერიკულ ფსიქოლოგიაში, სადაც ამ მიმართულებით რამდენიმე ერთი მეორისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული თეორია იქნა შემუშავებული, მაგრამ განწყობის სახელწოდებას არცერთი მათგანი არ ატარებს. ბევრი მათგანი, განწყობის ფსიქოლოგიის მსგავსად, ცდილობს უარყოს უშუალოდ პოსტულატი, მაგრამ ქცევის ძირითადი პრობლემის დამაჯერებელ გადაჭრას მაინც ვერ იძლევა. განწყობის, როგორც ქცევის ზოგადი თეორიის, მეცნიერული ღირებულება რომ საყოველთაოდ იქნეს აღიარებული, აუცილებელია იგი განვიხილოთ და შევაფასოთ ამ თეორიებთან მიმართებაში, რაც დღემდე არ მომხდარა.

სამაგიეროდ, ჩვენში საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა იმ გამოკვლევებს, რომლებიც საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ამერიკულ ფსიქოლოგიაში, განწყობის სახელწოდებით ქვეყნდება და ფაქტიურად ჩვენში ფიქსირებული განწყობის სახელით აღნიშნული რიგის მოვლენების შესწავლისკენა მიმართული. ეს გამოკვლევები ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის გადაჭრას არ ისახავენ მიზნად და თავიანთ ამოცანად არ თვლიან გაარკვიონ, როგორ აიგება ქცევის რეალური პროცესი. მათ არ აქვთ პრეტენზია იყონ ზოგადი თეორიები ქცევის შესახებ. ამიტომ მათ დ. უზნაძის განწყობის ზოგად თეორიასთან საერთო პრობლემა და სადავო საკითხი, არსებობდა, არცკი გააჩნიათ. აღნიშნული გარემოების გამო, ცხადია, მათი ამ თეორიებთან მიმართებაში განხილვა და კრიტიკული შეფასება განწყობის ზოგად თეორიას ბევრს ვერაფერს მისცემს.

მაგრამ დ. უზნაძის ქცევის ფსიქოლოგიური კონცეფციის თანამედროვე საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიურ კონცეფციებთან შეჯერების მიზნით მთავარი ყურადღება მაინც ასეთ მუშაობას ეთმობა. ჩვეულებრივ ასეთივე ხასიათი ეძლევა განწყობის საკითხებთან დაკავშირებულ სიმპოზიუმსაც, რაც იმით უნდა აისხნას, რომ ნათლად არაა დანახული ის დიდი განსხვავება, რომელიც დ. უზნაძის ფსიქოლოგიაში განწყობის ძირითად ცნებასა და ფიქსირებული განწყობის ცნებას შორის არსებობს. ჩვენის აზრით, ეს განსხვავება თვითონ დ. უზნაძის მიერაც არ იყო ბოლომდე გააზრებული<sup>6</sup>.

<sup>6</sup> ეს მოსაზრება წამოყენებული იყო ჩვენს საკავალიფიკაციო (საკანდიდატო) ნაშრომში „პროფ. უზნაძის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლები“, რომელიც თვითონ დ. უზნაძის აპრობაციით: იყო წარდგენილი და მისივე თანდასწრებით იქნა დაცული 1941 წლის ვაზაფხულზე. ამ ნაშრომს დ. უზნაძე იხსენიებს ყველგან, სადაც განწყობის შესახებ არსებული ლიტერატურის ჩამოთვლას ახდენს. ამას აღნიშნავთ იმისთვის, რომ მკითხველს ვაუწყოთ: წინამდებარე ნაშრომში წამოყენებული ძირითადი, დებულება, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, დ. უზნაძისათვის უკვე 1941 წელს იყო ცნობილი. აღნიშნული ნაშრომის ერთი ეგზემპლარი ინახება დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. იხ. აგრეთვე ჩვენი რეცენზია: დ. უზნაძე — „ზოგადი ფსიქოლოგია“. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1941, გვ. 195—205.

რა მიმართებაშია დ. უზნაძის ფსიქოლოგიაში განწყობისა და ფიქსირებული განწყობის ცნებები? რა ფუნქციებს ასრულებენ ამ ცნებებით აღნიშნული შინაარსები ქცევის რეალურ მიმდინარეობაში? მოკლედ, რა ძირითადი განსხვავებაა და მსგავსება არსებობს განწყობასა და ფიქსირებულ განწყობას შორის? ვფიქრობთ, ამ საკითხის ვარკვევას შეუძლია, ერთის მხრივ, თავიდან აგვაშოროს რამდენიმე გაუგებრობა, რასაც განწყობის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ვხვდებით, ხოლო მეორის მხრივ, კიდევ უფრო ნათლად გავვაზარებინოს განწყობა, როგორც ქცევის ზოგადი თეორია, რომელიც ქცევის განსაზღვრის საქმეში საკუთარ საზღვრებს გარეთ მოქცეულ სხვა რომელიმე კერძო თეორიის მოშველიებას არ საჭიროებს.

წინამდებარე წერილის მიზანს შეადგენს ხელი შეუწყოს ამ საკითხის ვარკვევას და დააყენოს რამდენიმე პრობლემა, რომელიც განწყობისა და ფიქსირებული განწყობის ცნებებთან დაკავშირებით იჩენს თავს.

## II. განწყობის ცნების ძირითადი ნიშნები

განწყობის ცნების ძირითადი ნიშნების განხილვა განწყობის თეორიის საფუძვლიან გადმოცემას მოითხოვს, მაგრამ ასეთ რამეს ჩვენ აქ არ შევეცდებით, რადგან ვვულისხმობთ, რომ ეს თეორია მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი. ამიტომ საკმარისად მიგვაჩნია განწყობის იმ ძირითადი თვისებების მოკლე განსაზღვრებით დაგვიყოფილდეთ, რომელთაც ჩვენი საკითხის ვარკვევისთვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

1. განწყობის ერთი ძირითადი ნიშანი, დ. უზნაძის შეხედულებების მიხედვით, ისაა, რომ იგი წარმოადგენს ქცევის სუბიექტის მდგომარეობას, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ორი ფაქტორის — მოთხოვნილებისა და სიტუაციის — ურთიერთობის ნიადაგზე იქმნება. მასში წამყვანი მოთხოვნილების ქარგავს ასახულია სიტუაცია და აგეგმილია იმ ქცევის აქტები, რომლებიც დროსა და სივრცეში რეალურად აწი უნდა გაიშალოს. მასასადამე, განწყობა არის სუბიექტის მდგომარეობა, მისი მოღუპი. „რომელშიაც, როგორც ობიექტური სიტუაციის ასახვაში, ამ ქცევის საერთო ხასიათი, მისი ძირითადი რავარობა, მისი ობიექტური ვითარების შესატყვისობა წინასწარაა განსაზღვრული“<sup>7</sup>.

2. მაგრამ განწყობა არაა სიტუაციის უძრავ ხატთან შეთანხმებული მოქმედების უძრავი გეგმა, რომელიც მის გარეთ არსებულ სხვა რაიმე ძალის მიერ უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში. მისი თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი ასახავს და თავისთავში უკეთებს ორგანიზაციას ყველა გარეგან და შინაგან ფაქტორს, რომლებმაც ქცევის რეალიზაციაში უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ განწყობა თვითონაა თავისი რეალიზაციის მიზეზი: თვითონ შეიცავს თავისთავში ტენდენციას — აქტივობაში გადავიდეს და დროსა და სივრცეში გაიშალოს იმ ქცევის აქტების სახით, რომელიც მასშია განსაზღვრული. ამიტომ განწყობა, თუ რაიმე გარეშე ძალამ არ შეაჯავა, შეუძლებელია უძრავ მდგომარეობაში დარჩეს და აქტივობის სახით არ დაიწყოს გაშლა მასში დაგეგმილი დროისა და ადგილის შესაბამისად. სიტუაცია, რაც ქცევის რეალიზაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, თავიდანვე მოცემულად იგულისხმება, რადგან, როგორც ვიცით, განწყობა უიმისოდ ვერ

<sup>7</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940, გვ. 68.



წარმოიქმნება და იარსებებს, იგი მხოლოდ მისი ასახვის ნიადაგზე ვითარდება. აქტივობაში გადასვლის ტენდენცია განწყობაში შეაქვს მოთხოვნილებას, რომელიც მასში (განწყობაში) განსაზღვრული ქცევის აქტების გზით ესწრაფვის დაკმაყოფილებას. ამიტომ განწყობის მეორე ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი „დინამიკური სახის მოვლენაა, რომელმაც თავისი გამოვლენა სუბიექტის გარკვეულ აქტივობაში უნდა პოვოს“<sup>8</sup>.

3. განწყობის მესამე თავისებურება მის მთლიანობით სუბიექტში უნდა ვეძიოთ. განწყობა არაა პერიფერიული ან კიდევ ლოკალური მოვლენა, ცალკე ორგანოში ან კიდევ ცალკე არეში მომხდარი ნაწილობრივი ხასიათის ცვლილება. იგი ყოველთვის თვითონ ქცევის სუბიექტის მდგომარეობაა. მასში ინდივიდი, როგორც მოცემული ქცევის სუბიექტი, წარმოუდგენილია მთლიანად, უგამონაკლისოდ, ამ ქცევის სუბიექტის საჭირო ყველა შესაძლებლობით. აქტივობას მიმართავს არა ხელი და ფეხი, თვალი და ყური, მესხიერება და აზროვნება, არამედ ინდივიდი, რომელსაც ეს ორგანოები და ფუნქციები მოჰყავს მოქმედებაში. ამიტომ, ცხადია, განწყობა, რაც აქტივობის მთელ მიმდინარეობას განსაზღვრავს, მთლიანი, გარკვეული ქცევის სუბიექტად გარდაქმნილი ინდივიდის მდგომარეობა უნდა იყოს და არა იმ ცალკეული ორგანოებისა და ფუნქციების მდგომარეობა, რომელთაც ეს სუბიექტი იყენებს აქტივობის პროცესში.

„მოთხოვნილების ფაქტის ნიადაგზე ცოცხალი ორგანიზმი ინდივიდალ, ქცევის სუბიექტად, იქცევა, ხოლო მასზე მოქმედი გარესინამდვილე მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციაა“<sup>9</sup>. ამიტომ გარესინამდვილის ზემოქმედების ფეიქტი, რომელიც ცოცხალ ორგანიზმში განწყობის სახით იჩენს თავს, წარმოადგენს მხოლოდ ქცევის სუბიექტის მდგომარეობას და არსებითად განსხვავდება ყველა იმ მდგომარეობისგან, რომელიც ცოცხალ არსებას მანამ შეიძლება ჰქონდეს, სანამ იგი ქცევის სუბიექტი გახდებოდეს.

4. ინდივიდის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ იგი მუდამ ერთხელ შექმნილი განწყობის მდგომარეობაში, ერთსა და იმავე სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირებული, ერთი გარკვეული ქცევის აქტების განსახორციელებლად მზა მდგომარეობაში დარჩენილიყო. მაშინ მას სხვა დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის საჭირო აქტივობის შესაძლებლობა წაერთმეოდა და ახალ სიტუაციაში ამ ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ვეღარ მოახერხებდა. მაგრამ ეს ასე არ ხდება. განწყობა რეალიზაციისთანავე იხსნება, ინდივიდი სხვა რომელიმე მოთხოვნილებისა და სიტუაციის ურთიერთობის გზით შექმნილი განწყობის ფორმაში ექცევა და ახლა ამ განწყობაში განსაზღვრული ქცევის სუბიექტი ხდება. ერთი სიტყვით, განწყობა გარდამავალი მდგომარეობაა. იგი ბოლოს და ბოლოს თვითონ ხსნის თავის თავს იმით, რომ ქცევის აქტების რეალიზაციას ახდენს და მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და აღკვეთას იწვევს. ამგვარად, განწყობა გარდამავალი მდგომარეობაა, იგი რეალიზაციის შემდეგ ყოველთვის სხვა რომელიმე განწყობას უთმობს ადგილს, რაც მის კიდევ ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>9</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 67.

5. განწყობის შემდეგი ნიშანი მისი ცნობიერების გარეთ არსებობაა. იგი ისე განსაზღვრავს ცნობიერების მოვლენათა მთელ მიმდინარეობას, რომ თვითონ არასოდეს მის საზღვრებში არ შედის და მისი უშუალო ხილვის საგანი არ ხდება. მას, ისე როგორც სხვა მოვლენების (კერძოდ, ბუნების მოვლენების) მთელ რიგს, მხოლოდ დასკვნითი აზროვნების გზით შეიძლება ჩაესწვდეთ. ასე რომ არ ყოფილიყო, განწყობა ცნობიერების შინაარსების მიმართ ამხსნელ ცნებად აღარ გამოდგებოდა და იძულებულა ვიქნებოდით ამ მიმართულებით სხვა ცნების ძებნა დაგვეწყო.

### III. ფიზიკურული განწყობის ცნების ძირითადი ნიშნები

როგორც აღვნიშნეთ, განწყობა გარდამავალი მდგომარეობაა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი რეალიზაციის შემდეგ ისე უთმობს ადგილს სხვა რომელიმე განწყობას, რომ ინდივიდში მისგან არაფერი რჩება. რა ხასიათისაა ის ცვლილებები. რომლებიც ერთხელ შემუშავებული განწყობის რეალიზაციის შემდეგ რჩება ინდივიდში?

დ. უზნაძე გამოკვლევაში — „განწყობის ფსიქოლოგიისათვის“, რომელიც 1938 წელს ორჯერ გამოქვეყნდა, წერდა: „...საგანწყობო ცდების პროცესში აღმოცენებული განწყობა დღეების, კვირებისა და თვეების შემდეგაც კი ინარჩუნებს თავის მოქმედების უნარს“, რომ „განწყობა უღაავოდ ქრონიკული ბუნების მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს“<sup>10</sup>. „განწყობა, როგორც ვიცით, ჩვენს ცდებში არათანასწორი ობიექტების განმეორებითი ექსპოზიციის ნიადაგზე ჩნდება; საკმაო დიდი ხნის შემდეგ ცდის პირს ერთბაშად, კრიტიკული ცდის სახით თანასწორი ობიექტები ეძლევა ხელთ. რად უნდა გამოიწვიოს თანასწორი ობიექტების აღქმამ უთანასწორობის განწყობა? უეჭველია, სუბიექტი მზამზარეული განწყობით უღება ამ ობიექტების აღქმას, იმ განწყობით, რომელიც საგანწყობო ცდებში იყო შექმნილი. მაშასადამე, ეს განწყობა რაღაცნაირად განავრცობდა მასში არსებობას. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ განწყობა შეიძლება ლატენტურ მდგომარეობად ვიკულისხმოთ, რომ ამ სახით მას ხანგრძლივად შეუძლია იარსებოს“<sup>11</sup>.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში შესრულებულ მონოგრაფიულ გამოკვლევაში — „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“ დ. უზნაძე ქცევის ორი ძირითადი ფაქტორის — მოთხოვნილებისა და სიტუაციის — გვერდით ქცევის მესამე დამატებითი ძირითადი ფაქტორის შესახებაც ლაპარაკობს. მას ასეთ ფაქტორად განწყობის ფიქსაცია მიაჩნია. მისი აზრით, ეს ფაქტორი, მიუხედავად იმისა, რომ მეორადი წარმოშობისაა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განწყობის შემდგომ განვითარებაზე. „მას შემდეგ, რაც განწყობის აღმოცენებისათვის აუცილებელი ფაქტორების საფუძველზე, რომელიმე მისი ფორმათავანი წარმოიქმნება, შეიძლება მოხდეს, რომ განსაკუთრებული პირობების ზეგავლენით ისინი — ეს ფორმები — იმდენად განმტკიცდნენ, იმდენად გაფიქსირდნენ, რომ ერთხანს ახალს, მათთან ახლო მდგომ განწყობის ფორმას აქტუალიზაციის შესაძლებლობა არ მისცენ. ასეთ შემთხვევებში აღქვატური განწყობის მაგიერ ყოველთვის რო-

<sup>10</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 67.

<sup>11</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიისათვის, მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის, 1938, გვ. 21—22; იხ. აგრეთვე თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 7, 1938, გვ. 30—31.

მელღმე ძველი, მტკიცედ ფიქსირებული განწყობა გაიღვიძებს; იგი არ მისცემს ახალს, მოცემული სიტუაციის მიმართ აღექვატურ განწყობას წარმოქმნის შესაძლებლობას და, ამგვარად, მის ადგილს თვითონ დაიკავებს<sup>12</sup>.

ასეთ განწყობას დ. უზნაძე ფიქსირებულ განწყობას უწოდებს. მისი აზრით, განწყობის ფიქსაციას იწვევს შთაბეჭდილების მრავალჯერადი განმეორება ან კიდევ შთაბეჭდილების დიდი პიროვნული ღირებულება. იგი თვლია, რომ განწყობის ფიქსაციის ფაქტორი დიდ როლს ასრულებს ადამიანის ქცევის ამა თუ იმ თავისებურების განსაზღვრაში. ამიტომ ფიქსირებული განწყობა ცნების მოხმარების გარეშე ადამიანის ქცევის ბევრი თავისებურება სრულიად გაუგებარი დარჩება.

ამგვარად, დ. უზნაძის აზრით, განწყობა შეიძლება გაფიქსირდეს: ინდივიდის ქრონიკულ თავისებად იქცეს. ლატენტურ მდგომარეობაში გადავიდეს და იქ ინაქტიური სახით განაგრძოს არსებობა. შემდეგ, როცა ინდივიდი სათანადო სიტუაციაში მოხვდება, ამ განწყობამ შეიძლება ისევ გაიღვიძოს, აქტიურ მდგომარეობაში გადავიდეს და მისთვის დამახასიათებელი — მასში ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული — აქტივობა განავითაროს, რაც ზოგჯერ, ზოგიერთ სიტუაციაში, შეცდომებისა და ილუზიების წყარო შეიძლება გახდეს. ერთი სიტყვით დ. უზნაძის აზრით, ის, რაც განწყობის რეალიზაციის შემდეგ რჩება ინდივიდში, არის თვითონ ეს განწყობა, შემონახული ქრონიკულად, ინაქტიური სახით.

დ. უზნაძის ზოგიერთ ნაშრომში ზოგჯერ გვხვდებით ცალკეულ მოსაზრებებს, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ დ. უზნაძე ფიქსირებულ განწყობას უწოდებს არა თვითონ იმ ქრონიკულ-დისპოზიციურ ცვლილებას, რომელიც განწყობის რეალიზაციის შემდეგ რჩება ინდივიდში და ლატენტურ მდგომარეობაში განაგრძობს არსებობას ინაქტიური სახით, არამედ იმ განწყობას, რომლის წარმოქმნაშიცაა გადაწყვეტილი როლს ასეთი ქრონიკულ-დისპოზიციური ცვლილება ასრულებს. ამ ქრონიკული ცვლილების საფუძველზე, განწყობის ძირითადი ფაქტორების — მოთხოვნილებისა და სიტუაციის — არსებობის პირობებში ინდივიდს ადვილად უჩნდება ისეთი განწყობა, რომლის ნიადაგზეც მასში ადრე ეს ქრონიკული დისპოზიცია წარმოიქმნა. ინდივიდი ასეთი განწყობის მიმართულებით ადვილად აგზნებადი ხდება. ასეთ რამეს გვაფიქრებინებს ისეთი გამოთქმები, როგორცაა მაგალითად: „ერთხელ მიღებული განწყობა არ იკარგება“, რომ „იგი სუბიექტს რჩება, როგორც ხელახალი აქტიუალიზაციის მზაობა — სათანადო პირობების განმეორების შემთხვევაში<sup>13</sup>; „ფიქსაციის შესახებ აქ მხოლოდ იმ აზრით შეიძლება ლაპარაკი, რომ განწყობა ადვილად აღგზნებადი ხდება“<sup>14</sup>, „რეპროდუქციის მომენტში რომელიმე კერძო გარკვეული „კვალი კი არ იღვიძებს, რომ უცვლელი სახით მოგვევლინოს, არამედ დარკვეული მიმართულებით განწყობილი სუბიექტი იძლევა რეაქციას — მასსადაამე, სუბიექტი, რომელიც აწმყოში ცხოვრობს და აწმყოს გადამწყვეტი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, სუბიექტი, რომელსაც წარსული განწყობა, როგორც აწმყოს განწყობათა ამგვარობა აქვს დაცული და არა როგორც უძრავი ცალკე

<sup>12</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, 1949, გვ. 49; იხ. აგრეთვე მისივე „ზოგადი ფსიქოლოგია“, 1940, გვ. 77—78.

<sup>13</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 76.

<sup>14</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIX, გვ. 29.



ობიექტი აქვს შემონახული. ჰოკლედ ძველი განწყობა აწმყოს განწყობათა რავარობაში განაგრობს არსებობას<sup>15</sup>.

მაგრამ დ. უზნაძის შრომების საფუძვლიანი შესწავლა გვარწმუნებს, რომ დ. უზნაძეს, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებლად მიაჩნია თვითონ განწყობის ფიქსაცია, მისი გადაქცევა ინდივიდის ქრონიკულ თვისებად და ლატენტურ მდგომარეობაში ინაქტიური სახით შემონახვა. მისთვის ის, რაც განწყობის აღმოცენებისა და რეალზაციის შედეგად რჩება ინდივიდში ქრონიკული მდგომარეობის სახით, არის თვითონ განწყობის და არა განწყობის ერთი ფაქტორი. ამიტომ, რომ იგი ფიქსაციის ფაქტს განწყობის „დამატებით ძირითად ფაქტორად“ მიიჩნევს. განწყობის ფაქტორად აცხადებს ფიქსაციის აქტს, ხოლო ამ აქტით ფიქსირებული და ინდივიდის ქრონიკულ მდგომარეობაში გადასულ მოვლენას განწყობად, კერძოდ: ფიქსირებულ განწყობად თვლის.

მის მიხედვით, რაც ზემოთ ითქვა, ფიქსირებული განწყობა შეიძლება დავახასიათოთ შემდეგი ნიშნებით: 1. იგი არის ინდივიდის „ქრონიკული ბუნების მდგომარეობა“; 2. არსებობას განაგრძობს ლატენტურად „დღეების, კვირებისა და თვეების“ განმავლობაში. მისი ზოგიერთი ფორმა შეიძლება ინდივიდს მთელი ცხოვრების მანძილზეც შემორჩეს; 3. ლატენტურ მდგომარეობაში ფიქსირებული განწყობა არსებობს ინაქტიური სახით, უძრავად, უმოქმედოდ, ისე, რომ არ ასრულებს რაიმე ფუნქციას; 4. მისი ლატენტურ მდგომარეობაში არსებობა არ საჭიროებს მთახოვნილებისა და სიტუაციის რეალურ მოცემულობას, მაგრამ ეს მოვლენები — მოთხოვნილება და სიტუაცია — მისი გამოღვიძებისა და გააქტიურების აუცილებელ პირობას წარმოადგენს; 5. გამოღვიძებისა და გააქტიურების შემდეგ განწყობის ეს ფორმა სწორედ იმ მოქმედებას ავითარებს, რომელშიაც წინათ მისი ფიქსაცია მოხდა, იმის მიუხედავად ეს მოქმედება არის თუ არა მოცემული სიტუაციის შესატყვისი; 6. ინდივიდს ერთდროულად შეიძლება ჰქონდეს ფიქსირებულ განწყობათა განუსაზღვრელი რაოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიქსირებული განწყობები შეიძლება ერთმანეთის გვერდით იყვნენ და ერთმანეთს არსებობაში ხელი არ შეუშალონ.

#### IV. ფიქსირებული განწყობის ცნების გამოყენების ზოგიერთი შეთხვევა

იმისათვის, რომ ფიქსირებული განწყობის ის ცნება, რომელსაც დ. უზნაძე იძლევა, საფუძვლიანად გავითვალისწინოთ, საჭიროა ავტორის მიერ მისი გამოყენების ზოგიერთ შემთხვევას მაინც გავეცნოთ.

1. მესხიერების მუშაობა, დ. უზნაძის აზრით, მთლიანად დაფუძნებულია ფიქსირებულ განწყობაზე. „დასამახსოვრებელი შთაბეჭდილება ჩვენზე, როგორც პიროვნებაზე, მოქმედებს და შესატყვისი განწყობის სახით ჩვენი პიროვნების გარკვეულ მოდიფიკაციას ქმნის. მაშასადამე, ამ შთაბეჭდილების არა მართლ განცდა გვაქვს, როგორც ცნობიერების გარკვეული ფენომენი, არამედ მისი შესატყვისი განწყობაც, როგორც სუბიექტის მდგომარეობა. განცდა განწყობის გარეშე არ ჩნდება, იმიტომ რომ განცდა ყოველთვის თავის სუბიექტს გულახსნობს. მაგრამ სამაგიეროდ, განწყობა დისპოზიციისა და იგი ყოველთვის შეიძლება არსებობდეს (ხაზი ჩვენია. შ. ჩ.), ე. ი.

<sup>15</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 333.

ყოველთვის შესაძლებელია, რომ სუბიექტმა თავისი აქტივობა ამ განწყობის მიმართულებით გაშალოს<sup>16</sup>. „შესაძლებელია ბავშვობაში ნასწავლი ლექსი სრულიად აღარ მახსოვდეს, ცნობიერებაში მისი აღარაფერი იყოს დარჩენილი, მაგრამ ის განწყობა, რომელიც ამ ლექსის ზეგავლენით მქონდა შექმნილი, როგორც დისპოზიცია ამა თუ იმ სახით დაცული იყოს, ე. ი. სანამ იმავე პიროვნებას წარმოვადგენთ, არ უნდა იყოს გამორიცხული შესაძლებლობა ამ განწყობის აქტუალიზაცია მოეხდინო, მისი მიმართულებით ვიმოქმედო“<sup>17</sup>.

დ. უზნაძის აზრით, ვინაიდან ყოველი ადამიანი თავისი წარსულის პროდუქტს წარმოადგენს და, ამდენად, წარსული კვლავ განაგრძობს მასში არსებობას, ნორმალურ პიროვნებაში, დროებითი თუ მუდმივი დავიწყება ეხება მხოლოდ განცდას, როგორც ცნობიერების ფენომენალურ მოცემულობას, ხოლო თვით განწყობა, როგორც „სუბიექტის რაგვარობა“, როგორც „მისი არსებობის მოდუსი“ ლატენტურ მდგომარეობაში ინახება. შესაძლებელია, ცნობიერების შინაარსი, რომელიც გარკვეული განწყობის ნიადაგზე აღმოცენდა, მოისპოს, გაქრეს, მაგრამ განწყობამ მაინც განაგრძოს არსებობა. ამის გამო „ჩვენ სრულ უფლებას გვაძლევს, განწყობის შენახვის, მისი არსებობის გაგრძელების შესახებ ვილაპარაკოთ მაშინაც, როდესაც ეს განწყობა აქტუალური არაა“<sup>18</sup>.

დ. უზნაძე მოგონებაში დარწმუნებულობის საფუძველსაც ასეთ, მოსაგონებელი შთაბეჭდილების მიღების დროს ფიქსირებულ და ლატენტურ მდგომარეობაში ინაქტიურად შემონახულ განწყობაში ხედავს.

2. განწყობის თეორიის ავტორის აზრით, ნებელობის აქტუალურ პროცესებს წინ უსწრებს პიროვნების მიდრეკილება გარკვეული, სხვისგან განსხვავებული სახის ნებისმიერი მოქმედებისაკენ: ყოველ პიროვნებას სხვისგან განსხვავებული ნებელობითი დისპოზიცია აქვს. ასეთ დისპოზიციას ხასიათი წარმოადგენს. ხასიათის თავისებურება პიროვნების ქცევაში იჩენს თავს. ნებისმიერი ქცევის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ახერხებს პიროვნება აზრითი სიტუაციის ზეგავლენით ნებისმიერი ქცევის განწყობის შემუშავებას, „ე. ი. აქვს თუ არა მას ეს განწყობა დისპოზიციურად. მაშასადამე, გამოდის, რომ ის რასაც ჩვეულებრივ ხასიათს ვუწოდებთ, ნამდვილად პიროვნების დისპოზიციონალურ განწყობას, გარკვეულ განწყობათა აქტუალიზაციის უნარს წარმოადგენს“<sup>19</sup>. პიროვნებაში ამგვარ დისპოზიციონალურ ანუ ფიქსირებულ განწყობათა შემუშავება და შემონახვა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გარემო პირობებში, რა კონკრეტულ სიტუაციაში ხდებოდა პიროვნების ჩამოყალიბება.

3. ფროიდი თავის მოძღვრებას საფუძვლად უდებს გაძევებული განცდებისა და სურვილების გაცნობიერებისკენ მისწრაფების ტენდენციას: ხშირად ცნობიერებაში ისეთი ფსიქიკური შინაარსები აღმოცენდებიან, რომელიც ზნობრივ თვალსაზრისით მიუღებელია სუბიექტისათვის. ამიტომ სუბიექტი ცდილობს გააძევოს ისინი ცნობიერებიდან, რასაც უმეტეს შემთხვევაში ახერხებს კიდევ. გაძევებული ფსიქიკური შინაარსები, როგორც ფსიქიკური შინაარსები — განცდები და მისწრაფებანი — არაცნობიერი სინამდვილის სფეროში განაგრძობენ არსებობას და ინარჩუნებენ რა დინამიკურ ხასიათს, იქიდან არაცნობიერად განსაზღვრავენ პიროვნული ცხოვრების მიმდინარეობის თავისებურებას.

<sup>16</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 313.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 333.

<sup>19</sup> აქვე, გვ. 194.

დ. უზნაძის აზრით, ცნობიერების სუბიექტისთვის რაიმე თვალსაზრისით შეუფერებელ განცდათა აღმოცენება და მათი „გაძეგება“ ფაქტია. ფაქტიურ ხასიათს ატარებს აგრეთვე არაცნობიერი სინამდვილის გავლენა ცნობიერების შინაარსთა მიმდინარეობაზე. მაგრამ ფროიდის, და საერთოდ ფსიქოანალიტიკური სკოლის მოძღვრება მიიღო ხელოვნურად აგებულ კონსტრუქციის წარმოდგენა, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება.

„საქმე ისაა, — წერს დ. უზნაძე, — რომ ყოველი განცდა და მით უმეტეს განსაკუთრებით ძლიერი, პიროვნულად მნიშვნელოვანი, არა მარტო ცნობიერების კონკრეტული შინაარსის სახით არსებობს სუბიექტში, არამედ ამავე დროს გარკვეული განწყობის სახითაც. მაშასადამე, როცა ეს განცდა ცნობიერებიდან იღვევება, როდესაც ავი, როგორც ცნობიერების გარკვეული შინაარსი, ისპობა, დავიწყებას ეძლევა, ეს არ ნიშნავს, რომ სუბიექტში მისი აღარაფერი რჩება: განწყობა სულ სხვაა, ვიდრე თვითონ განცდა, როგორც ცნობიერების ფენომენი. მაშასადამე, განცდა რომ გაქრეს, ეს არ ნიშნავს, რომ ამასთან ერთად ის განწყობაც უნდა მოისპოს, რომელიც მას ახლდა თან. ... ე. წ. „გაძეგვების“ შემთხვევებში სუბიექტში განცდა, მხოლოდ როგორც ცნობიერების შინაარსი, ეძლევა დავიწყებას. სამაგიეროდ, განწყობა რჩება. და აი, ეს განწყობაა, არსებითად, რაც ფსიქოანალიზის სკოლაში „კომპლექსის“ სახელწოდებითაა ცნობილი, და რაც სუბიექტის ასოციაციების მიმდინარეობაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს“<sup>20</sup>.

4. დ. უზნაძის აზრით, ფიქსირებულ განწყობას ინდივიდი მეკვიდრეობითაც ლებულობს. ამიტომ „შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემთხვევებს, როდესაც აქტივაცია ხდება არა იმ განწყობებისა, რომელნიც როდისმე, მოცემული ინდივიდის ცხოვრების განმავლობაში, იყვნენ ფიქსირებულნი, არამედ იმ განწყობების, რომელნიც ამ ინდივიდის გვარის ისტორიაში იყვნენ ოდესმე ფიქსირებულნი“<sup>21</sup>. ფუნქციონის მოთხოვნილება, რომელიც ასე დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებასა და განვითარებაში, ავტორის აზრით, „ფიქსირებული განწყობის მეკვიდრეობით განმტკიცებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება ითქვას, თაობიდან თაობაზე გადადის“<sup>22</sup>.

ფიქსირებული განწყობის გამოყენების სხვა შემთხვევებზე ჩვენ არ შეეჩერდებით. ზემოთქმულიდანაც კარგად ჩანს, მისი ავტორი რა ხასიათის მოვლენებს აერთიანებს ამ ცნების საზღვრებში და რა ფართო გამოყენებას ნახულობს ეს ცნება განწყობის ფსიქოლოგიაში.

ამგვარად, განწყობის ცნების გამოყენების ზემოთ მოტანილი შემთხვევებიდანაც ცხადი ხდება, რომ დ. უზნაძის აზრით, განწყობა შეიძლება გაფიქსირდეს, ქრონიკული ხასიათის მოვლენად იქცეს და ლატენტურ მდგომარეობაში ინაქტიური სახით განაგრძოს არსებობა, სანამ მისი ხელახალი აქტივაციის პირობები არ იჩენს თავს.

#### V. განწყობისა და ფიქსირებული განწყობის ურთიერთობის საკითხისათვის

ფიქსირებული განწყობა არ თავსდება განწყობის ცნების საზღვრებში. იგი მის კერძო სახეს არ წარმოადგენს. სახეს გვარის არსებითი ნიშანი უნდა ჰქონდეს, ფიქსირებულ განწყობას კი განწყობის არსებითი ნიშნები არა აქვს.

<sup>20</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 292.

<sup>21</sup> დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, 1949, გვ. 51.

<sup>22</sup> იქვე.



1. განწყობა, უპირველეს ყოვლისა, ქცევის სუბიექტის მდგომარეობაა, მისი მოდუსია<sup>23</sup>. პიროვნებას ფიქსირებულ განწყობათა ურიცხვი რაოდენობა მოეპოვება, მაშინ როცა დროის ყოველ შემთხვევაში იგი მხოლოდ ერთ მოდუსში, ერთი მარტივი ან რთული ქცევის განწყობის მდგომარეობაში შეიძლება არსებობდეს. თუ პიროვნების მოდუსობა განწყობის არსებითი ნიშანა და ფიქსირებული განწყობაც განწყობაა, მაშინ ისიც პიროვნების მოდუსს უნდა წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით დავუშვათ, რომ ერთსა და იმავე დროს პიროვნება იმდენ მოდუსში იმყოფება, რამდენი ფიქსირებული განწყობაც მას მოეპოვება. ასეთი რამეს დაშვება კი შეუძლებელია, რადგან განწყობის ცნების ძირითადი თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი გააზრებულია, როგორც მთლიანი პიროვნების მოდუსი. განწყობა დაკარგავს ამ ნიშანს, თუ მის შინაარსში ის მოვლენებიც შევიტანეთ, რომლებიც ფიქსირებული განწყობის სახელწოდებით აღინიშნება. მაშინ განწყობა პიროვნების მთლიანი მდგომარეობიდან პიროვნების შემადგენელ ელემენტად იქცევა და პიროვნება იმდენ მოდუსში განაწევრებული, იმდენ ელემენტად დაშლილი წარმოგვიდგება, რამდენი ფიქსირებული განწყობაც მას აღმოაჩნდება. ფიქსირებული განწყობის მიმართ დ. უზნაძე ერთ ადგილას კიდევ ხმარობს ასეთ გამოთქმას: „ჩვენ იმიტომ კი არ გვასწავლიდნენ ლექსს, რომ ეს ლექსი სამუდამოდ დაგვესომეხია, არამედ იმიტომ, რომ ამ ლექსის სწავლას აღმზრდელიობითი მნიშვნელობა ჰქონდა — მას ჩვენში გარკვეული განწყობის შექმნისთვის უნდა შეეწყობ ხელი, რომელიც ჩვენი პიროვნების ერთ-ერთ ელემენტად უნდა გადაქცეულიყო“<sup>24</sup>, — წერს იგი. მაგრამ, როგორც ვიცით, განწყობა პიროვნების მთლიანი მდგომარეობაა და არა მისი ელემენტი. ფიქსირებული განწყობის სახელწოდებით აღნიშნული მოვლენების მიმართ, გარკვეული აზრით, შეიძლება ვიხმაროთ გამოთქმა „პიროვნების შემადგენელი ელემენტი“, მაგრამ ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ იგი არ შეიძლება განწყობად ჩავთვალოთ.

ამ სიძნელიდან თავის დაღწევას თუ იმით შევეცდებით, რომ ვიტყვი: სუბიექტს „წარსული განწყობა, როგორც აწმყოს განწყობათა ამგვარობა აქვს დაცული, და არა როგორც უძრავი. ცალკე ობიექტი აქვს შემონახული“, რომ „ძველი განწყობა აწმყოს განწყობათა რაგვარობაში განაგრძობს არსებობას“<sup>25</sup>, ამით ფიქსირებული განწყობის ბუნებაზე სწორად მივუთითებთ, მაგრამ მაშინ, მისი გამო, რომ ასეთი განსაზღვრის მიუხედავად მას მაინც განწყობად ჩავთვლით, სხვა სიძნელებებს წავაწყდებით. ჯერ ერთი, ის, რაც აწმყოს განწყობის რაგვარობას წარმოადგენს, ისე როგორც თვითონ ეს განწყობა, შეუძლებელია ინაქტიური იყოს. მეორე, რაც მთავარია, განწყობა თავისი რაგვარობითაა განწყობა და ამიტომ აწმყოს განწყობის ამგვარობა თვითონ ამ განწყობისგან განსხვავებული სხვა განწყობა არ შეიძლება იყოს. ის, რაც განწყობის რაგვარობას განსაზღვრავს, არის განწყობის ფაქტორი და არა თვითონ განწყობა. განწყობის რაგვარობას მოთხოვნილებაც განსაზღვრავს, სიტუაციაც და ქცევის ინსტრუმენტალური შესაძლებლობანიც, მაგრამ თვითონ ისინი განწყობებს არ წარმო-

<sup>23</sup> ცხოველის შემთხვევაში, ცხადია, პიროვნების ნაცვლად ინდივიდზე უნდა ვილაპარაკოთ.

<sup>24</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 314.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 333.

ადგენენ. სწორედ ასევე შეიძლება რომელიმე განწყობის აღმოცენებისა და რეალიზაციის შედეგად ინდივიდში მომხდარმა და ფიქსირებულმა ცვლილებებმა შემდეგში აღმოცენებული სხვა განწყობის რეგვარობა განსაზღვროს, მაგრამ ეს სრულებით არ გვავალებს დავეშვათ, რომ თვითონ ეს ცვლილებებიც განწყობაა.

ამასთან ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ყველა ფიქსირებული განწყობა, რომელიც პიროვნებას თავის ცხოვრების მანძილზე შეუძენია, წარმოდგენილი იყოს ერთდროულად იმ განწყობის რეგვარობაში, რომლის მოდუსშიაც პიროვნება ახლა იმყოფება და მოქმედებს, და წარმოდგენილი იყოს ისე, რომ თითოეული მათგანი თავის მხრივ განწყობის ძირითად თვისებებს ინარჩუნებდეს. ეს ვარაუდობა, განწყობის ფსიქოლოგიის განვითარების ახლანდელ ეტაპზე, პიროვნებისა და განწყობის ცნებების ურთიერთმომართების საკითხს უაღრესად აქტუალურ საკითხად ხდის.

ზემოაღნიშნული მოსაზრებები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფიქსირებული განწყობა არ წარმოადგენს პიროვნების მოდულუსს. მას განწყობის ცნების ეს ძირითადი ნიშანი არ გააჩნია.

2. განწყობა, როგორც ვიცით, ქცევის სრულიად საკმაო პირობაა. ქცევის ორგანიზაციისა და რეალიზაციისათვის მის გარეთ მდებარე სხვა რაიმე დამატებითი ფაქტორი არაა საჭირო. ამიტომ განწყობის არსებობისა და აქტივობის პირობები ერთმანეთს ემთხვევა<sup>26</sup>. ყოველი განწყობა მისი ძირითადი ფაქტორის — მოთხოვნილების ზეგავლენით თვითონ ისწრაფვის იქითკენ, რომ ქცევის აქტებში გაიშალოს დროისა და სივრცის იმ პარამეტრების მიხედვით, რომლებიც მასში გათვალისწინებული. განწყობის რეალიზაციის პროცესის შეჩერება შეუძლია დაბრკოლებას, რომელიც განწყობაში თავიდანვე არ იყო სათანადოდ ასახული. ასეთი დაბრკოლების აღმოცენების შემდეგ განწყობა ან დაირღვევა იმის გამო, რომ მისი სიტუაცია სიტუაციის სახეს დაჰკარგავს, ან კიდევ გადასტრუქტურდება ისე, რომ დაბრკოლების მოხსნა და ქცევის რეალიზაცია გახდეს შესაძლებელი.

ერთი სიტყვით, დინამიკურობა განწყობის ისეთი ნიშანია, რომლის გარეშედაც იგი განწყობა-ქცევის საკმაო და უშუალო მიზეზი არ შეიძლება იყოს. ამიტომ შეუძლებელია განწყობა მოქმედების გარეშე. ინაქტიურ მდგომარეობაშიც განწყობად დარჩეს. ისე როგორც შეუძლებელია მდინარე მდინარედ დარჩეს მაშინაც, როცა იგი დინამიკურ ბუნებას დაკარგავს, ერთ ადგილზე დადგება და მოძრაობას შეწყვეტს.

ფიქსირებული განწყობა<sup>27</sup> თვითონ, თავის თავად აქტივობის არავითარ ტენდენციას არ შეიცავს. ამიტომ მხოლოდ მას, სხვა ფაქტორების დახმარების გარეშე, ქცევის ადვილა და წარმართვა არ შეუძლია. იგი მოქმედების ტენდენციას იძენს და ატარებს ქცევაში, რომელსაც აქტუალურად მოცემული მოთხოვნილებისა და სიტუაციის ნიადაგზე აღმოცენებული განწყობა ედება საფუძვლად. ფიქსირებული განწყობა თვითონ იმ გარემოშია კი, რომელშიაც ადრე მისი ფიქსირება მოხდა, აქტივობაში გადასვლის არავითარ ტენდენციას არ ამჟღავნებს, თუ სუბიექტს რაიმე მოთხოვნილება არ განაწყობს

<sup>26</sup> მ. საკითხზე უფრო დაწვრილებითაა ლაპარაკი. ჩვენს ნაშრომში „დ. უზნაძის ფსიქოლოგიის თეორიული საფუძვლები“.

<sup>27</sup> ამ ტერმინს ჩვენ ყვერგვარობით იმ მნიშვნელობით ვხმარობთ, რომელსაც მას დ. უზნაძე აძლევს, როცა მის დეფინიციას იძლევა და გამოყენებას ახდენს.

ამ გარემოში აქტივობისათვის. უკანასკნელ შემთხვევაში ფიქსირებული განწყობა ამ აქტუალურად მოქმედი განწყობის მთლიან სტრუქტურაში ერთვება და ამ განწყობის ნიადაგზე აღმოცენებულ ქცევაში ერთი ან რამდენიმე მოქმედების ან ოპერაციის თავისებურებებს განსაზღვრავს. დაახლოებით ასეთი რამ ხდება განწყობის კლასიკურ ცდებში, სადაც ფიქსირდება მთელი ქცევის ერთი აქტის — აღქმის აქტის საფუძველი, რაც ამავე ქცევის მომდევნო მონაკვეთში კრიტიკული ობიექტების აღქმის აქტს ამრუდებს და ილუზიურ აღქმას აპრობებს.

ამგვარად, ფიქსირებული განწყობა განწყობის მეორე ძირითად ნიშანსაც — დინამიკურობასაც მოკლებულია.

განწყობის ფიქსაციას იწვევს არა მისი აღმოცენების პროცესი, არამედ მისი მოქმედების — მისი ნიადაგზე ორგანიზებული და წარმართული აქტივობის პროცესი. მოქმედება უკუზემოქმედებას ახდენს ყველა იმ ფაქტორზე, რომელნიც მის საფუძველში არსებული განწყობის ფორმირებაში მონაწილეობენ და თავისდა შესატყვისად ცვლის მათ. ფიქსირებული განწყობის შინაარსს სწორედ ეს, გარკვეული სახით ორგანიზებული ცვლილებები წარმოადგენენ. ისინი მოიცავენ ყველა იმ მოვლენას, რომლებიც სწავლის სახელწოდებით აღინიშნება.

3. ფიქსირებული განწყობა, ჩვეულებრივ, ქცევასთან ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში იმყოფება: ერთ ქცევაში შემუშავებული და ფიქსირებული განწყობა შეიძლება სულ სხვადასხვა კატეგორიის ქცევის სტრუქტურაში შევიდეს, თუ ამ ქცევების განხორციელებისათვის ის მოქმედება, ის ოპერაცია არის საჭირო, რომელიც ამ ფიქსირებულ განწყობაშია ფორმირებული. სწავლის პროცესში ფიქსირებული განწყობა, ჩვეულებრივ, შრომის განწყობის სტრუქტურაშია ნახულობს თავის გამოყენებას და თამაშისა და გართობისაშიც. აღმაინს, რომელსაც ცხოვრების რაიმე ისტორია მაინც აქვს, შეუძლებელია ისეთი განწყობა აღმოუცენდეს, რომლის სტრუქტურაშიაც აღრე ფიქსირებულ განწყობათა რაღაც რაოდენობა არ იქნება ჩართული. განწყობა შეიძლება თავისი მთლიანი სტრუქტურით სრულიად ახალი იყოს და მოცემული ინდივიდისათვის სრულიად ახალი სახის ქცევას ედოს საფუძველად, მაშინაც კი, როცა ყველა მისი სტრუქტურული მომენტი აღრე ფიქსირებულ განწყობას წარმოადგენს.

თუ მართლაც ყოველ დასწავლილ სიტყვასა და ფრაზას, ყოველ შეძენილ ცოდნასა და ჩვევას საფუძველად ფიქსირებული განწყობა უდევს, როგორც ამას ხშირად ასაბუთებენ, ხოლო ცოდნა და ჩვევა ყოველგვარი სახის ქცევაში შეიძლება ჩაერთოს, როცა მათი გამოყენების საჭიროება დგება, მაშინ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ცოდნისა და ჩვევის საფუძველში არსებული ფიქსირებული განწყობანი იმ განწყობაში უნდა ცოცხლდებოდნენ და ნახულობდნენ თავიანთ გამოყენებას, რომლის ნიადაგზე აღრეულ ქცევაშიაც ეს ცოდნა-ჩვევები იჩენენ თავს.

იმის მიხედვით, რაც აქ ითქვა, დავას არ უნდა იწვევდეს დებულება: ფიქსირებული განწყობა ქცევის კონკრეტულ შინაარსთან, ჩვეულებრივ, ინდიფერენტულ დამოკიდებულებაში იმყოფება, მაშინ, როცა განწყობა ყოველთვის რომელიმე კონკრეტული ქცევის განწყობაა და ქვე-



ვისაღმი ინდიფერენტულობის ნიშნის მიწერა მის ბუნებას არსებითად ეწინააღმდეგება.

4. განწყობაში ყოველთვის ობიექტური ვითარება ასახული — მასში თავიდანვე გათვალისწინებულია იმ ქცევის სიტუაციის ძირითადი სტრუქტურა, რომლის განხორციელების ამოცანის წინაშეც სუბიექტი დგას მოცემულ მომენტში. ქცევა ყოველთვის ამ ძირითად სტრუქტურას მიჰყვება. ამიტომ მთელი ქცევის სიტუაციის ილუზიურ განცდასთან და მის ნიადაგზე აღმოცენებულ შემცდარ ქცევასთან ნორმალურ ადამიანს არასოდეს არა აქვს საქმე. ასეთი რამ მხოლოდ ძილში და სულიერი დაავადების შემთხვევებში შეიძლება იქნეს დადასტურებული. ქცევის მთელი სიტუაციის ილუზიურ განცდასა და ერთი ქცევის მეორე ქცევად მოჩვენებას — თვითონ ქცევის ილუზიას — მხოლოდ ასეთ შემთხვევებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ჩვეულებრივ, ფიქსირებული განწყობის ილუზიები და შეცდომები მხოლოდ ქცევის ცალკეულ სტრუქტურულ მომენტებს — ცალკე მოქმედებებს, ცალკეულ აქტებსა და ოპერაციებს შეიძლება ეხებოდეს და არა მთელი ქცევის ძირითად სტრუქტურას, ძირითად კარკასს. მთელი ქცევის განწყობის ფიქსაცია ისე, რომ მან შემდეგ მთელი ქცევის ილუზიის განპირობება შეძლოს, არ ხდება, რადგან განწყობა „ყოველთვის ობიექტური ვითარების ზემოქმედების შედეგად ჩნდება და ისეთ მდგომარეობას წარმოადგენს, რომელშიაც თვითონ მისი გამომწვევი ობიექტური ვითარება ასახული“<sup>28</sup>.

სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ფიქსირებული განწყობის შემთხვევაში. ფიქსირებულ განწყობაში ობიექტური სინამდვილის ის მონაკვეთია ასახული და შემონახული, რომლის საფუძველზედაც თვითონ შემუშავდა და გაფიქსირდა. ამიტომ ახლა ობიექტურად მოცემული სიტუაციის იმ მონაკვეთში, რომელშიაც მას ქცევის განწყობა ჩაირთავს, იგი იმ ხატს ქმნის და სვამს, რომელიც თვითონ მასში გაფიქსირებულ აქტებშია განსახლვრული. უმეტეს შემთხვევაში ეს ხატი სწორად შეესატყვისება მოცემულ ობიექტურ ვითარებას. იმ შემთხვევაში, როცა ფიქსირებულ განწყობაში შემონახული ხატი რონელიმე მნიშვნელოვან პუნქტებში განსხვავდება მოცემული ობიექტური ვითარებისგან, უკანასკნელის ზეგავლენით ფიქსირებული განწყობა, ან სულ მოვარდება ქცევის განწყობის სტრუქტურიდან ან კიდევ ერთბაშად ან თანდათანობით, დროებით ან სამუდამოდ მოცემული ობიექტური ვითარების სახეს მიიღებს და ადექატურ აღქმასა და მოქმედებას, უზრუნველყოფს.

ამგვარად, ქცევის განწყობა ისწრაფვის ობიექტურად მოცემული სიტუაციის სტრუქტურა მიიღოს, რომ მის ნიადაგზე ამ სიტუაციის შესატყვისი ქცევის წარმატებით განხორციელება შეძლოს, მაშინ, როცა ფიქსირებული განწყობა თვითონ ახვევის თავის სტრუქტურას თავზე ობიექტური სინამდვილის იმ მონაკვეთს, რომლის მიმართაც იგი მოქმედებაში მოდის. ფიქსირებული განწყობა მხოლოდ ასიმილაციას ახდენს, განწყობა კი ასიმილაციურ მოქმედებასაც ახორციელებს და აკომოდაციურსაც. იგი ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობას მოცემული სიტუაციის თავისებურება იძლევა, ფიქსირებულ განწყობებს ჩაირთავს და ასიმილაციურ მოქმედებას ავითარებს, რაც დროისა

<sup>28</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 73.

და ენერჯის დიდ ეკონომიას იძლევა. მაგრამ იქ, სადაც საჭირო ქცევის სიტუაციის ძირითადი სტრუქტურა და ცალკეული სტრუქტურული მონაკვეთები ისეთია, რომ პირფენების მიერ ადრე შექმნილ ფიქსირებულ განწყობებში დამუშავებული და შემონახული ოპერაციები და მოქმედებები მათს მიმართ გამოუსადეგარი ხდებიან, განწყობა აკომოდაციური ხასიათის აქტივობას მიმართავს და, სადაც ეს მის განკარგულებაში არსებული ძალების საფუძველზე შესაძლებელი ხდება, ახალ, მოცემული ობიექტური ვითარების შესატყვის ოპერაციებს, მოქმედებებსა და მოქმედებათა კომბინაციებს ქმნის და ახორციელებს. ფიქსირებული განწყობის საფუძველზე გაშლილი მოქმედება ინდივიდს ახალს არაფერს აძლევს, მის ცოდნასა და ჩვევას არ აფართოებს. სწავლას, სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მხოლოდ განწყობის აკომოდაციური მოქმედება ედება საფუძველად. ერთი სიტყვით, განწყობა და ფიქსირებული განწყობა ერთმანეთისგან ობიექტურ სინამდვილესთან დამოკიდებულების ხასიათის მიხედვითაც განსხვავდებიან.

5. მოთხოვნილება და სიტუაცია, როგორც ვიცით, განწყობის ისეთი ფაქტორებია, რომლებიც მის სტრუქტურაში შედის და მისი არსებობისა და აქტივობის საკმარის პირობებს ქმნის. ამიტომ ამ ფაქტორების გარეშე განწყობის გააზრება არ ხერხდება. განწყობის რეალიზაციის შედეგად მოთხოვნილება კმაყოფილდება, სიტუაცია იხსნება და განწყობას საფუძველები, რომელთაც მისი არსებობა და მოქმედება ეყარებოდა, ეცლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს განწყობა, როგორც განწყობა, წყვეტს არსებობას და აღვილს სხვა ქცევის განწყობას უთმობს. ის ცვლილებები, რომლებიც მისი აღკვეთის შემდეგ რჩება ინდივიდში და ფიქსირებული განწყობის სახელით აღინიშნება, არც მოთხოვნილებასთანაა დაკავშირებული და არც სიტუაციასთან, რეალურად არცერთია მასთან და არც მეორე. მასში რალაცნაირად რეაქციათა გარკვეულ თანამიმდევრობასთან ერთად სიტუაციის ის ხატიცაა შემონახული, რომელზედაც თავის დროზე ეს რეაქციები იყვნენ მიმართული, მაგრამ ამ ხატს ხატის რეალობა და სიტუაციური მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს და მასზე მიმართული რეაქციებიც მხოლოდ პოტენციურ შესაძლებლობათა სახით არიან შემონახული. იმისათვის, რომ ეს პოტენციური შესაძლებლობები რეალობად იქცეს და განწყობის მდგომარეობაში გადავიდეს, იგივე ფაქტორებია საჭირო, რაც განწყობის აღმოცენებისათვისაა აუცილებელი: აქტუალური მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის მოცემულობის გარეშე იგი ინაქტიურ მდგომარეობაში განაგრძობს არსებობას პოტენციური შესაძლებლობის სახით. მისი არსებობა და ღირებულებაც თავს იმაში იჩენს, რომ ახლა ამ მოთხოვნილებისა და სიტუაციის ნიადაგზე იმავე რავგარობის განწყობის ორგანიზაცია ხდება სწრაფად, რომლის ნარჩენსაც თვითონ წარმოადგენს (შინაგანი ტექნიკური შეფერხებებისა და მარცხის გარეშე). აღარ ხდება საჭირო სიტუაციის მოცემული მონაკვეთის სრული სტრუქტურული ანალიზი, მისი ყველა წვრილმანი მომენტის გამოკვლევა და შესატყვისი რეაქციების მოსიწვევა და დამუშავება, მათი სიტუაციის სტრუქტურის შესაბამისად გამოდიფერენცირება და კორდინირება, რაც ამ სიტუაციაში პირველად მოქმედებისას დიდ დროსა და ენერჯიას მოითხოვდა. ახლა სიტუაციის მოცემული მონაკვეთის სულ რამდენიმე მანიშნებელია საკმარისი იმისთვის, რომ იგი სიტუაციის იმ მონაკვეთად იქნეს მიჩნეული, რომელიც ფიქსირებულ განწყობაშია რალაცნაირად შემონახული და რომელზედაც ამავე ფიქსირებულ

განწყობაში პოტენციურად არსებული, საპასუხო რეაქციათა მზამზარეული სისტემაც მოიპოვება. ამიტომ განწყობა მაშინვე თავის სტრუქტურაში შემოიტანს, ჩაირთავს და გააცოცხლებს ფიქსირებული განწყობის მზამზარეულ ფუნქციონალურ ბლოკს და ამ გზით ქცევის ორგანიზაციისა და მართვის საქმეს იადვილებს.

იმის მიხედვით, რაც აქამდე ითქვა, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განწყობას არ შეიძლება ჰქონდეს ინერტული, ინაქტიური მდგომარეობის პერიოდი. რომელიმე ქცევის განწყობა ან არსებობს, როგორც მოქმედი, აქტიური მდგომარეობა, ანდა იგი საერთოდ არ არსებობს. ფიქსირებული განწყობა არის არა განწყობა, არამედ განწყობის რეალიზაციის პროცესში ქცევის რომელიმე ერთ უბანზე გამომუშავებული ოპერაციის თუ მოქმედების ფუნქციონალური ბლოკი, რომელშიაც ქცევის ამ უბანზე მოქმედი სტიმულაციური ხატი და რეაქციათა შესატყვისის სისტემა ერთი მთლიანი სტრუქტურის სახითაა პოტენციურად შემონახული. იგი მოქმედებს მოთხოვნილებისა და სიტუაციის გვერდით, მათს სიბრტყეზე, როგორც განწყობის აღმოცენებისა და რეალიზაციის მესამე ძირითადი ფაქტორი. განწყობის ასიმილაციური მოქმედება ძირითადად ამ ფაქტორითაა განსაზღვრული. რეაქციათა სისტემა, რომელიც ფიქსირებული განწყობის ბლოკშია შემონახული ქცევის დემონსტრაციულ შინაარსში ოპერაციისა და მოქმედების ჩვევების სახით იჩენს თავს.

იმ შემთხვევაში, როცა სიტუაციიდან აღებული მანიშნებლები საკმარაა, სიტუაციის მოცემული მონაკვეთი შეცდომით მიიჩნევა ფიქსირებულ განწყობაში პოტენციურად შემონახულ სტიმულაციურ ხატში ასახულ სინამდვილედ. ასეთ შემთხვევაში განწყობა, ჩაირთავს რა ამ ფიქსირებული განწყობის ბლოკს, ისეთ პრეცეპტულ და მოტორულ აქტივობას ავითარებს, რომელიც სიტუაციის მოცემულ სტრუქტურულ მომენტს არ შეესატყვისება. ამ გზით ვღებულობთ ილუზიურ აღქმებსა და მცდარ მოქმედებებს.

ჩვენს მიერ წამოყენებულ მოსაზრებას, რომ ფიქსირებული განწყობის სახელწოდებით აღნიშნული მოვლენა წარმოადგენს განწყობის ერთ ფაქტორს და არა თვითონ განწყობას, განწყობის ცნების გამოყენების ზემოთ ნაჩვენები შემთხვევებიცა და განწყობის კლასიკური ცდების მიმდინარეობაზე დაკვირვების მონაცემებიც ადასტურებს. შევჩერდეთ მოკლედ მათზე.

ავიღოთ მესხიერების მოვლენა. მოგონება, დ. უზნაძის აზრით, აქტუალური მოთხოვნილებისა და გარკვეული ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე აღმოცენდება: მოთხოვნილება მოსაგონებელი შინაარსის შესატყვისი ფიქსირებული განწყობის აქტუალიზაციას იწვევს, რასაც, ჩვეულებრივ, რეპროდუქცია მოსდევს შედეგად. როგორ უნდა წარმოადგინოთ ეს აქტუალიზაციის პროცესი, როგორც უბრალო გამოდევნება იმ მდგომარეობისა, რაც ერთხელ



იყო, თუ „გამღვიძებლისა“ და „გასაღვიძებელის“, აქტიურისა და ინაქტიური შინაგანი დაკავშირების ნიადაგზე (მოცემულ სიტუაციაში) უკვე მომხდარიდან განსხვავებული აქტუალური მდგომარეობის, ახალი განწყობის აღმოცენების პროცესი? „მოგონება, — წერს დ. უზნაძე, — ჩვეულებრივ, თავისთავად და თავისთვის როდი ჩნდება — იგი ჩვენი აქტუალური ინტერესის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აქტუალდება. მაშასადამე, იგი არა მხოლოდ წარსულზე, არამედ აწმყოზედაც უნდა იყოს დამოკიდებული, რაღაც გავლენას მასზე ჩვენი აქტუალური მოთხოვნილებებიც უნდა ახდენდნენ, რაკი იგი ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნითაა აღმოცენებული“. „სუბიექტი აქტუალური მოთხოვნილებების თვალთ უდგება წარსულს, და მისი აღდგენა ამ მოთხოვნილების მიხედვით ხდება. თავისთავად იგულისხმება, ამ პირობებში წარსული არასოდეს თავისი უცვლელი სახით არ გვევლინება: მოგონებაში იგი ყოველთვის მეტად თუ ნაკლებად სახეშეცვლილია“<sup>29</sup> თუ ყველაფერი ისეა, როგორც აქაა თქმული, მაშინ უდავოა, რომ მოგონებას მოსაგონებელი შინაარსის საფუძველში მდებარე ფიქსირებული განწყობიდან განსხვავებული, ერთის მხრივ მაინც აწმყოში მოქმედი ფაქტორით განსაზღვრული, მოგონების მომენტში აღმოცენებული განწყობა ედება საფუძველად და ეს უკანასკნელია რომ რეპროდუქციულ შინაარსთა მიმდინარეობის თავისებურებას განსაზღვრავს.

რაც აქ ითქვა, შემდეგი გარემოებითაც დასტურდება. მოსაგონებელი შინაარსის საფუძველში ოდესღაც აღქმის განწყობა იყო. დაუშვათ, რომ ამ განწყობამ ფიქსირებული მდგომარეობა მიიღო და ინაქტიური სახით დარჩა სუბიექტში. რა უნდა მოგვეცეს მისმა შემდგომმა აქტუალიზაციამ? თუ ეს განწყობა იმავე განწყობად დარჩა, რაც თავის დროზე იყო, უეჭველად იმავე მოვლენას მოგვეცემს. რაც მან ერთხელ წარმოშვა, ე. ი. აღქმას და არა მოგონების რეპროდუქტულ სახეებს. მაგრამ ასე რომ ყოფილიყო, მაშინ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მაინც, შეუძლებელი იქნებოდა მოგონებისა და საერთოდ წარმოდგენის შესახებ გველაპარაკა.

ის, რაც აქ მოგონების ფიქსირებული განწყობით ახსნის ცდების შესახებ ითქვა, შესაძლებელია ამავე სახით, ან შედარებით განსხვავებულ ფორმაში, უკლებლივ იქნეს გამეორებული დანარჩენ ფსიქიკურ მოვლენათა მიმართ ფიქსირებული განწყობის ახსნის თვალსაზრისით გამოყენების ცდებზედაც.

რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე განწყობის კლასიკურ ცდებში? ცდის პირი ცდების მთელ მანძილზე მოქმედებს ერთი განწყობით: შეასრულოს ცდის ხელმძღვანელის მოთხოვნები მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად. ამ განწყობის სუბიექტური ფაქტორი შეიძლება იყოს მეცნიერული ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, ცხელმძღვანელის პატივისცემა ან კიდევ ფულადი სარგებლის მიღება დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების სახით. სიტუაციის შედგენილობაში შედის ყველაფერი, რასთანაც ც/პირმა ურთიერთობა უნდა

<sup>29</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 321.

დამყაროს იმისთვის, რომ ცდის ადგილზე მივიდეს, თავის რიგს დაუცადოს, ცდის პირობებს გაეცნოს და ცდებში მიღებული ინსტრუქციის შესატყვისად იმოქმედოს. მთელ ამ გარემოში არის ერთი პატარა მონაკვეთი, ერთი სტიმულაციური ხატი, რომელსაც განსაკუთრებული სიტუაციური მნიშვნელობა აქვს. ესაა ტაქსტოსკოპურად მიწოდებული წყვილი ობიექტი, რომელთა სიდიდეების შედარებასა და შეფასებასაც მოითხოვენ ცდისპირიდან. საგანწყობო ცდებში 10-15-ჯერ მეორდება არა მთელი ქცევის სიტუაცია და, მაშასადამე, მთელი ქცევის განწყობა. არამედ მხოლოდ ერთი სტიმულაციური ხატი<sup>30</sup>, რომელიც მთელი განწყობის ერთი სტრუქტურული მომენტის თავისებურებას განსაზღვრავს. ეს ერთი სტრუქტურული მომენტი ედება საფუძვლად მიწოდებული ობიექტების აღქმის აქტს. ამიტომ შეიძლება მას პირობით აღქმის განწყობა ვუწოდოთ. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აღქმის განწყობა მხოლოდ ქცევის მთლიან სტრუქტურაში ცოცხლობს და მოქმედებს, როგორც მისი ერთი მომენტი.

კლასიკურ ცდებში ცდის პირს, ტაქსტოსკოპური აღქმის პირობებში შესაძარებლად 15-ჯერ ეძლევა ერთმანეთის გვერდით მდებარე ორი განსხვავებული სიდიდის წრე. ვთქვათ, მარჯვნივ 30 მმ, ხოლო მარცხნივ 20 მმ დიამეტრის მქონე წრეები. კრიტიკულ ცდებში ცდის პირისათვის მოულოდნელად საგანწყობო ობიექტები იცვლება ტოლი წრეებით. ახლა ცდის პირს, სავსებით იმავე პირობებში, შესაძარებლად ეძლევა 20 მმ — 20 მმ წრეები, რომელთაც იგი აღიქვამს ილუზიურად, იმ მხარეზე უფრო პატარას, საითაც მანამდე უფრო დიდი ეძლეოდა. ილუზიის სიდიდე ასეთ პირობებში, ჩვეულებრივ, 2-3 მმ-ს არ აღემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ 20მმ — 20 მმ წრეები ახლა 18 მმ — 20 მმ ან 18 მმ — 21 მმ წრეებად აღიქმება. აღქმაში შეცვლილია ორი რამ, წრეების სიდიდეები და წრეების მიმართება, რომელიც შებრუნებულია საგანწყობო ცდის ობიექტების მიმართებასთან შედარებით. იმ განწყობის დასახასიათებლად, რომელიც კრიტიკული ობიექტების აღქმას ედება საფუძვლად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მხოლოდ მიმართების შებრუნებას. სიდიდეების შეცვლას, საგანწყობო და კრიტიკული ობიექტების სიდიდეებთან შედარებით, მხედველობაში არცვიღებულობენ. ამის გამოა, რომ კრიტიკული ობიექტების აღქმის საფუძვლად აღიარებენ იმ განწყობას, რომელიც ცდებში იქნა ფიქსირებული. მაგრამ ასეთი რამის აღიარება დაკავშირებული აღმოჩნდა დიდ სიძნელეებთან. ამ სიძნელის დასაძლევად იქნა შემოტანილი განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი, რომელიც, თავის მხრივ, ახალ, ჩვენის აზრით, დაუძლეველ სიძნელეებს აწყდება<sup>31</sup>.

<sup>30</sup> „სტიმულაციური ხატი“ ცნება ჩვენ შემოგვაქვს განწყობის ფსიქოლოგიაში. ამასთან დაკავშირებით იხ. შ. ჩხარტიშვილი, მოქმედების გეგმა, სტიმულაციური ხატი და განწყობა. „მაცენ“, 1969, № 2.

<sup>31</sup> ამასთან დაკავშირებით იხილეთ III. H. Ч х а р т и ш в и л и, Ассимилятивное действие установки и проблема контрастной иллюзии; Экспериментальные исследования по психологии установки; т. IV, 1970.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ კრიტიკული ობიექტების აღქმის გამო-  
 რუდება გამოწვეულია ფიქსირებული განწყობით, იმით. რაც საგანწყობო  
 ობიექტების განმეორებითი აღქმის შედეგად იქნა შემოხასული. მაგრამ ფიქსი-  
 რებულმა განწყობამ მაინც ვერ შეძლო მოცემული სიტუაციის განმასხვავებელ-  
 ზემოქმედების ანულორება მიუხედავად, 20 მმ — 20 მმ წრეების 30 მმ —  
 20 მმ წრეებად აღქმის აქტი განეხორციელებინა და კრიტიკული ობიექტები  
 თავისთავში შემონახული ხატი დაეფარა. მან კრიტიკულ სიტუაციაში მოცე-  
 მული წრეების სიდიდეები აღქმაში მხოლოდ ო რ ი თ უ ს ა მ ი მილიმეტრით  
 შესცვალა, მაშინ როცა კრიტიკული სიტუაციის ზემოქმედების შედეგად ფიქ-  
 სირებულ განწყობაში პოტენციურად შემონახული წრეების სიდიდეება შ ვ ი-  
 დ ი თ უ რ ვ ა მილიმეტრით შემცირდა.

ამიტომ არც ის უნდა იყოს სადავო, რომ კრიტიკული სიტუაციის ზემოქ-  
 მედება სუბიექტზე საგანწყობო ცდებში ფიქსირებული განწყობის „გაღვიძ-  
 ბისა“ და „გააქტიურებას“ კი არ იწვევს მხოლოდ, როგორც ამას ჩვეულებრივ  
 ფიქრობენ, არამედ იგი აქ კრიტიკულ სიტუაციაში განვითარებული აღქმის აქ-  
 ტის საფუძვლის ორგანიზაციის საქმეში ფიქსირებულ განწყობაზე უფრო დიდ  
 როლს ასრულებს. ამის გამოა, რომ კრიტიკულ სიტუაციის აღქმაში წარმოდ-  
 გენილი ობიექტები საგანწყობო ობიექტებზე უფრო მეტად კრიტიკულ ობიექ-  
 ტებს ემსგავსებიან. მოცემულ შემთხვევაში კრიტიკული სიტუაცია უფრო მე-  
 ტად იმსგავსებს ფიქსირებულ განწყობაში პოტენციურად შემოხატულ ხატს,  
 ვიდრე ეს უკანასკნელი კრიტიკულ სიტუაციას.

ეს იმას ნიშნავს, რომ განწყობის კლასიკურ ცდებში კრიტიკული სიტუა-  
 ცია თავისთავთან დაკავშირებული აღქმის საფუძვლის — განწყობის ორგანი-  
 ზაციის საქმეში ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორის როლს ასრულებს. მასთან ერ-  
 თად მოქმედებს კიდევ ორი ფაქტორი: მოთხოვნილება, რომელიც ცდის პირის  
 მთელი ქვეყის მანძილზე, ჩვეულებრივ, უცვლელი რჩება, და საგანწყობო ცდე-  
 ბის პერიოდში ფიქსირებული და შემონახული ცვლილებები, რომლებიც ფიქ-  
 სირებული განწყობის სახელით აღინიშნება. ი ლ უ შ ი ე რ ი ა ლ ქ მ ა ა მ ს ა-  
 მ ი ფ ა ქ ტ ო რ ი ს ე რ თ დ რ ო უ ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე  
 წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ი თ ა ა შ ე პ ი რ ო ბ ე ბ უ ლ ი. ფიქსირებუ-  
 ლი განწყობა აქაც განწყობის მხოლოდ ერთი ფაქტორის როლში გამოდის,  
 რის გამოც მას განწყობა არც აქ შეიძლება ეწოდოს.

კრიტიკულ ცდებში აღმოცენებული ილუზიების კონტრასტული ხასია-  
 თაც ამ ილუზიების საფუძველში არსებული განწყობის ფორმირების პროცეს-  
 ში ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და კრიტიკული  
 ობიექტების ზემოქმედების ეფექტის ერთმანეთთან დაპირისპირების გზით  
 უნდა იყოს განსაზღვრული<sup>32</sup>.

ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, საკმაოდ ასაბუთებს ჩვენს დებულებას:  
 გ ა ნ წ ყ ო ბ ა და ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ ი გ ა ნ წ ყ ო ბ ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კ ა-

<sup>32</sup> კონტრასტული ილუზიების აღმოცენებით პირობების შესახებ იხ. И. Б. Ж а л а в а, О  
 природе контрастной иллюзии, «Вопросы психологии», 1958, № 4, თ. ტ ა ბ ი ძ ე, ჩვევის  
 გადატანის ნიშნის საკითხისათვის, საქ. მეც. აკ. ს.ხ. მეც. განყ. „მომამე“, 1961, № 3 და ჩვენს  
 შემოდასახელებული ნაშრომი.



ტეგორიის მოვლენებს წარმოადგენენ და ამის გამო მათი ერთი ცნების შინაარსში გაერთიანება შეუძლებელია. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ ქცევის ორგანიზაციისა და მიმდინარეობის საქმეში. ფიქსირებული განწყობა ერთი განწყობის ნიადაგზე გაშლული ქცევის პროცესში გამოიშვადება, შემოინახება და შემდეგ მეორე განწყობის ორგანიზაციის საქმეში იღებს მონაწილეობას. იგი ყოველთვის რომელიმე ქცევის განწყობის მთლიან სტრუქტურაში ფორმირდება, იღვიძებს და ფუნქციობს.

განწყობის ორგანიზება კი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ინდივიდის წინაშე რაიმე ამოცანა დგება. როდის რა ამოცანა დადგება სუბიექტის წინაშე, ეს არსებითად იმ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომელთა ნიადაგზედაც განწყობის ორგანიზაცია ხდება. განწყობის ორგანიზაციის პროცესი არის ინდივიდის იმ შინაგანი და გარეგანი ოპერაციებისა და მოქმედებების განსახორციელებლად ორგანიზაციის პროცესი, რომელთა რეალიზაციამ ამოცანის გადაჭრა და მიზნის განხორციელება უნდა უზრუნველყოს. ამიტომ განწყობა ამოცანასაც შეიცავს თავისთავში და მიზანსაც. მასში ის ამოცანა, რომელიც მოცემულ მომენტში დგას სუბიექტის წინაშე, შინაგანად დაყენებულიცაა და გადაჭრილიც.

ფიქსირებული განწყობა წარმოადგენს სწავლის პროდუქტს, გარკვეული მოქმედების ფუნქციონალური ბლოკის სახით შეკრულ და შემოინახულ გამოცდილებას. თვითონ მისი გააქტიურება და ქცევის აქტებში გადასვლა ინდივიდს ახალს არაფერს არ აძლევს. მაგრამ იგი, ედება რა საფუძვლად, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი — გამოცდილების ფაქტორი, ახალი ქცევის განწყობის ორგანიზაციის საქმეს, სწავლის პროცესშიაც იღებს მონაწილეობას. მეტყველების, წერა-კითხვის, არითმეტიკული მოქმედებებისა და სხვა ამგვარი ცოდნაჩვევის საფუძველში არსებული ფიქსირებული განწყობების მონაწილეობის გარეშე სკოლაში სწავლის ქცევის განწყობის აღმოცენება სრულიად შეუძლებელი გახდებოდა. სწავლის განწყობა ყოველთვის ორგანიზაციას უკეთებს რომელიმე ახალი ოპერაციის, ახალი მოქმედების, ახალი ხატის თუ ცნების წარმოქმნისთვის საჭირო მოტორული, პერცეპტული და ინტელექტუალური აქტივობის საფუძველს, რომელიც მისი რეალიზაციის პროცესში ფიქსირდება და შემდეგ ინაქტიური სახით შემოინახება ინდივიდში.

საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში განწყობის (Einstellung Attitude, Set) ტერმინით იმ რიგის მოვლენები აღინიშნება, რომელთაც დ. უზნაძის ფსიქოლოგიაში ფიქსირებული განწყობის ცნება აერთიანებს. ამიტომ ეს ცნებები, ისე როგორც ფიქსირებული განწყობის ცნება, განწყობის სივრცეში მდებარე ცნებები არ არიან. ისინი ერთ სიბრტყეზე — ქცევის ფაქტორების სიბრტყეზე თავსდებიან. მათი განწყობისგან მკაცრი გამოიჯვანა აუცილებელია იმისთვის, რომ განწყობასა და მათ შორის არსებული მიმართება სწორად დავინახოთ. როცა, მაგალითად, საზღვარგარეთელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, განწყობა სწავლის პროდუქტს წარმოადგენს და არა პროცესსო, ისინი არ ცდებიან, რად-

გან ფიქსირებული განწყობა მართლაც სწავლის პროდუქტია და არა პროცესი. განწყობის ცნების სხვა მნიშვნელობა, რომელიც სწავლის პროცესს განდის გასაგებს, მათ არ მოეპოვებათ. პირიქით, ჩვენ ვცდებით, როცა ვცდილობთ მათ დავემტკიცოთ, რომ ისინი ცდებიან. ვცდებით იმის გამო, რომ ფიქსირებულ განწყობასაც განწყობად ვთვლით და განწყობის თვისებას, რომ იგი შეიძლება იყოს სწავლის პროცესი, მასაც მივანწერთ.

სწავლის პროცესს წარმოადგენს განწყობის ფიქსაციის პროცესი და არა ფიქსირებული განწყობის მოქმედების პროცესი. განწყობის ფიქსაციის პროცესის შინაგანი კანონზომიერებანი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. გამოსარკვევია, ქცევის მიმდინარეობის პროცესში რა ხასიათის მოვლენების ფიქსირება და შემონახვა ხდება, რა შინაარსისა და მოცულობის სტრუქტურებში ერთიანდებიან შემონახული მოვლენები და რა ფორმით განაგრძობენ ისინი არსებობას პიროვნების მთლიან სტრუქტურაში.

დიდ სიძნელეს ქმნის ის გარემოება, რომ ეს ორი, ერთ სინამდვილესთან დაკავშირებული მაგრამ ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული ცნება ერთი ტერმინითაა აღნიშნული. სიტყვა „ფიქსირებული“ საქმეს არ შველის, რადგან იგი, პირიქით, იმას ვგაფიქრებინებს, რომ ფიქსირებული განწყობა განწყობის კატეგორიის მოვლენა და მის ერთ სახეს წარმოადგენს. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად ფიქსირებულ განწყობას „განწყობის“ სახელწოდებითაც აღნიშნავენ.

წერთსა და ზეპირ მეტყველებაში ომონამი როდის რა მნიშვნელობით იხმარება, ჩვეულებრივ, ადვილი შესაცნობია, რადგან, მნიშვნელობათა დიდი დაშორების გამო, კონტექსტი თვითონ გვაწვდის გამოყენებულ მნიშვნელობას. როცა, მაგალითად, ვგუებნებიან „ნიკოს თვალი ასტიკვდა“, „ბებქედს თვალი ამოუვარდა“, „ურმის თვალი დაზიანდა“ შეუცდომლად ვხვდებით „თვალი“ როდის რა მნიშვნელობით იხმარება. მაგრამ ეს სიტყვა ურმის კიდევ სხვა ნაწილის სახელწოდებასაც რომ წარმოადგენდეს, ძნელი გასარკვევი იქნება, როდის რომელი ნაწილის შესახებაა ლაპარაკი. შეიძლება ესეც იყოს იმის მიზეზი, რომ მეტყველება ასეთ ომონიმებს არ იყენებს.

განწყობა და ფიქსირებული განწყობა საქმის ერთ ვითარებას — ქცევას — ეხება და ისიც ერთი მიმართულებით. ისინი სხვადასხვა, მაგრამ მაინც ქცევის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ მოვლენებს აღნიშნავენ. ამიტომ კონტექსტიდან ყოველთვის როდი ჩანს, განწყობის რომელ მნიშვნელობაზეა ლაპარაკი.

ჩვენ წინა გვერდებზე ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, რომ ფიქსირებული განწყობის სახელწოდებით აღნიშნული მოვლენები განწყობას არ წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, მათ მაინც, ისე როგორც აქამდე ხდებოდა, ამ ნაშრომშიაც ამ მომენტამდე განწყობას, კერძოდ ფიქსირებულ განწყობას ვუწოდებდით, რაც საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მათ აღსანიშნავად ჯერჯერობით სხვა ტერმინი არ მოგვეპოვება. ასეთი ტერმინი უნდა მოიძებნოს.

რაც შეეხება ტერმინს — „ფიქსირებული განწყობა“, იგი უნდა დარჩეს განწყობის ერთი სახის აღსანიშნავად, იმ განწყობის კერძო სახელად, რომლის ამგვარობაც უპირატესად მესამე ფაქტორით — ადრე ფიქსირებული განწყობის სახელით აღნიშნული მოვლენით არის განსაზღვრული. როგორც ზემოთაც იყო ნაჩვენები, დ. უზნაძის ნაშრომებში ფიქსირებული განწყობის ისეთი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებსაც ვნახულობთ, სადაც ფიქსირებული განწყობა გაგებულია, „როგორც აწმყოს განწყობათა ამგვარობა“ და არა როგორც განცალკევებული და უძრავად შემონახული ობიექტი<sup>32</sup>.

<sup>32</sup> დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, გვ. 333.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა)



### დავით ქავშირა

## მსჯელობა და წინადადება

მსჯელობისა და წინადადების ურთიერთობის საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა მოიპოვა როგორც ლოგიკის, ისე ენათმეცნიერების ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ცნობილია, რომ მეცნიერებათა განსხვავების საფუძველი მათი ობიექტებია და არა სუბიექტის „თვალსაზრისი“. ამიტომ, ცხადია, ლოგიკურისა და გრამატიკულის ერთმანეთში აღრევა შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ლოგიკიზმი ისევე საზიანოა ენათმეცნიერებისათვის, როგორც გრამატიციზმი ლოგიკისათვის. როცა ლინგვისტი წინადადების თეორიას აფუძნებს ლოგიკის კატეგორიებზე, როგორცაა მსჯელობა, სუბიექტი, პრედიკატი და ა. შ. — ეს ლოგიკიზმია გრამატიკაში, პირიქით, როცა მსჯელობის თეორია ეფუძნება ლინგვისტურ კატეგორიებს, როგორცაა წინადადება, ქვემდებარე: შემასმენელი, არსებითი სახელი, ზმნა და ა. შ. — საქმე გვაქვს გრამატიციზმთან ლოგიკაში. ლოგიკიზმის მრავალ მავალითს იცნობს ენათმეცნიერების ისტორია. თავის მხრივ, ლოგიკის ისტორიული განვითარების გამოცდილებაც იმაზე მიუთითებს, რომ გრამატიციზმი შეცდომების მნიშვნელოვანი წყაროა ლოგიკის მეცნიერებისათვის. ლოგიკურისა და გრამატიკულის აღრევა მეტ-ნაკლებად ყოველთვის იჩენდა თავს წარსულში. მაგრამ გრამატიციზმმა განსაკუთრებული ხასიათი მიიღო თანამედროვე ბურჟუაზიულ ლოგიკაში, რომლის წამყვანი მიმართულება ამჟამად და შეგნებულად არიდებს ლოგიკას აზროვნების სფეროს: ენის შესახებ მოძღვრებად აცხადებს მას<sup>1</sup>.

\* \* \*

ლოგიკური აზროვნება, როგორც ცნობილია, დანაწევრებული მთლიანობაა. იგივე ითქმის ენის შესახებ: არც ენაა ერთგვაროვანი და დაუნაწევრებელი მასა, რომლის შიგნით არაფრის გარჩევა არ შეიძლება. მაგრამ ეს ორი „დანაწევრება“ თავიანთი შინაარსით ერთი და იგივე როდია. როცა ლაპარაკია ლოგიკური აზროვნების დანაწევრებულ ხასიათზე, ივთვლისხმება არა ის, რომ აზროვნება სიტყვების ან ბგერების საშუალებით წარმოებს: სიტყვა ან ბგერა არ არის აზროვნების „ანწილი“, „წევრი“ ან „ელემენტი“, ე. ი. ის ერთეულები, რომელთაგან შენდება „დანაწევრებული“ აზროვნება. ასეთი თვალსაზრისი ისევ და ისევ გრამატიციზმის გამოვლენაა ლოგიკაში. ლოგიკური აზროვნების დანაწევრებული ხასიათი ნიშნავს, რომ იგი მომდინარეობს წარმოდგენების, ცნებების, მსჯე-

<sup>1</sup> „ყველა საზრისიანი ფილოსოფიური პრობლემა სინტაქსს მიეკუთვნება“. — წერდა რ. კარნაპი „სინტაქსის პერიოდში“ („Logische Syntax der Sprache“, Wien, 1934, S. 206). მთელი ფილოსოფია, კარნაპის აზრით, დაიყვანება მეცნიერების ლოგიკაზე, ხოლო „მეცნიერების ლოგიკა არის მეცნიერების ენის სინტაქსი“. (S. 207). ამავე დროს, „Reine und deskriptive Syntax ist nicht anders als Mathematik und Physik der Sprache“—(S. 210).

ლობების და ა. შ. ფორმით და მხოლოდ მათს რიგში, მათი საშუალებით აღწევს შესაცნობი საგნის დახასიათებას. ამში მდგომარეობს ლოგიკური „დისკურსის“ აზრი: საგანი შეიმეცნება ლოგიკურ-დისკურსიული აზროვნებით და არა „ინტელექტუალური ინტუიციით“.

რაც შეეხება ენას, იგი შენდება სრულიად სხვა, თვისობრივად გარკვეული ენობრივი ერთეულებისაგან. ენის ძირითადი ელემენტებია ბგერა, სიტყვა და წინადადება. ბგერათა შეერთება იძლევა სიტყვას, სიტყვათა შეერთება — წინადადებას. წინადადება ყველაზე რთული ენობრივი ერთეულია, რომელსაც გრამატიკის ძირითადი ნაწილი, სინტაქსი შეისწავლის. წინადადების თეორია ზოგადი ენათმეცნიერების ყველაზე რთული და ნაკლებ დამუშავებული ნაწილია<sup>2</sup>.

აზრთა სხვაობა წინადადების არსების გაგებაში<sup>3</sup>, ცხადია, არც იმას ნიშნავს, რომ მისი ზოგადი ცნება და განსაზღვრება საერთოდ შეუძლებელია. წინადადების ზოგადი ცნების უარყოფა არსებითად ნიშნავს ზოგადი სინტაქსის უარყოფას, სინტაქსი გრამატიკის ძირითადი ნაწილია და ენის საფუძველს გამოხატავს (მორფოლოგიასთან ერთად). თუ უარყვავით ზოგადი სინტაქსი, კითხვა დაისმება ენათმეცნიერების სხვა დარგების შესახებაც: შეიძლება თუ არა ზოგადი მორფოლოგია, ზოგადი ფონეტიკა, ზოგადი სტილისტიკა და ა. შ. დასასრულს, დაისმება კითხვა თვით ზოგადი ენათმეცნიერების შესაძლებლობის შესახებ<sup>4</sup>.

წინადადების არსებას შეადგენს სიტყვათა გრამატიკული წყობა, სიტყვათა გრამატიკულად გაფორმებული ერთიანობა, რომელიც ენობრივი კოლექტივის პირობითი დაკანონების საფუძველზე აზრთა კავშირს, შედარებით დასრულებულ აზრს აღნიშნავს.

წინადადება გრამატიკული კატეგორიაა და, ცხადია, მისი განსაზღვრა უნდა მოხდეს ენათმეცნიერების კატეგორიების საფუძველზე, ასე ვთქვათ, ენათმეცნიერული რესურსებით და არა ლოგიკური კატეგორიების, კერძოდ, მსჯელობის საშუალებით.

წინადადების ლოგიკისტური გაგების მაგალითია მისი განსაზღვრება მსჯელობის საშუალებით: „წინადადება არის აზრი ან მსჯელობა გამოთქმული სიტყვებით“<sup>5</sup>. ამგვარი განსაზღვრება ერთმანეთში ურეკს წინადადებასა და მსჯელო-

<sup>2</sup> თვით ენათმეცნიერთა აღიარებით, წინადადების საუკეთესო განსაზღვრება, რომელსაც ენათმეცნიერებამ ჯერჯერობით მიაღწია, არსებითად არ განსხვავდება იმისაგან, რაც მოცემული იყო დიონისე თრაკიელის (პირველი ბერძენი ენათმეცნიერი) გრამატიკაში II—I ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე): წინადადება არის სიტყვათა შეერთება, რომელიც დამთავრებულ აზრს გამოხატავს.

<sup>3</sup> „ენათმეცნიერებაში არსებობს წინადადების არანაკლებ 300 განსაზღვრება, რაც თავისთავად უკვე მეტყველებს ამ ცნების სირთულეზე და წინააღმდეგობრიობაზე“ (И. А. Сизова, Что такое синтаксис, М., 1966, стр. 8).

<sup>4</sup> ვინც ამბობს, წინადადების ზოგადი განსაზღვრება არ შეიძლებაო — თვით ამ დებულებაში უკვე ხმარობს „წინადადებას“ ზოგადი ფორმით და, ამდენად, იძლევა—თუ ეს პარადოქსი არაა—მის თავისებურ ზოგად განსაზღვრებას.

<sup>5</sup> მსჯელობასა და წინადადებას ერთმანეთის საშუალებით განსაზღვრავს, მაგ., ვ. მინტო: „წინადადება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც მსჯელობის გამოხატვა; თუ იღეთა რიგი არ შეადგენს მსჯელობას, მაშინ არც შესაბამისი სიტყვათა შეერთება შეადგენს წინადადებას“. (იხ. В. Минто, Дедуктивная и индуктивная логика, 1909, стр. 165—6).





ლი“; წინადადების მნიშვნელობას შეადგენს არა თვითონ მსჯელობა, არამედ მსჯელობის აღნიშვნა. საგანი არ არის მისი ნიშნის ელემენტი ან ნაწილი<sup>8</sup>.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ენათმეცნიერება უდავოდ თვლის დებულეზას, რომ ენაში „დაიმაკრება და ინახება“ აზროვნების შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგები. ეს ნიშნავს, რომ წინადადება უშუალოდ საგანთა კავშირს კი არ აღნიშნავს, არამედ ადამიანის აზროვნების შინაარსს, აზრთა კავშირს. უაზრობა იქნებოდა იმის თქმა, რომ წინადადება არის „საგანთა კავშირის“ ენობრივი ფორმა; ნამდვილად იგი განიმარტება, როგორც აზრის „მატერიალური გარსი“, მისი „ბუნებითი მატერია“.

ამრიგად, წინადადების, აზრთა კავშირისა და საგანთა კავშირის აღრევა ნიშნავს გრამატიკულის, ლოგიკურისა და ონტოლოგიურის აღრევას ერთმანეთში!

წინადადების სიმბოლოდ ჩათვლა როდი ამართლებს „იეროგლიფების თეორიას“, რომელსაც ებრძვის ვ. ლენინი თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“<sup>9</sup>, „იეროგლიფების თეორიას“ მივიღებთ მაშინ, როცა თვით მსჯელობას ჩავთვლით საგანთა კავშირის სიმბოლოდ. ვ. ლენინი საერთოდ სიმბოლოებს კი არ უარყოფს, არამედ ჩვენი შემეცნების, ჩვენი აზროვნების გამოცხადებას პირობით ნიშანთა სისტემად. წინადადების ჩათვლა სიმბოლოდ ისევე არ მოასწავებს „იეროგლიფების თეორიას“, როგორც სიმბოლოების ან ფორმულების გამოყენება მათემატიკაში თავისთავად სრულიადაც არ არის იდეალისტური შეცდომა.

ლოგიკური ბოზიტივიზმი ყალბია არა იმიტომ, რომ ენას თვლის პირობით ნიშანთა სისტემად და სიტყვას თუ წინადადებას განიხილავს, როგორც სიმბოლოს, არამედ იმიტომ, რომ მას თვით აზროვნება დაჰყავს ენაზე, ცნება — სიტყვაზე და მსჯელობა — წინადადებაზე<sup>9</sup>.

მსჯელობისა და წინადადების ურთიერთობას, ისევე როგორც საერთოდ აზროვნებისა და ენის ურთიერთობას, მართებულად ახასიათებს ე. წ. ვარეგანი ფორმის კატეგორია. ენისა და აზროვნების ურთიერთობის ვაგებაში შეცდომების ერთ-ერთი მთავარი წყაროა შინაარსისა და ფორმის დიალექტიკის უშუალო გაერთიანება ამ სფეროზე. როგორც ცნობილია, შინაარსი განსაზღვრავს ფორმას, ფორმა კი შინაარსის სტრუქტურული გარკვეულობაა. მაგრამ თუ აზროვნება განსაზღვრავს ენას და თავის შესაბამისად ჰქმნის მას, მაშინ აუხსნელი რჩება ენათა საყოველთაოდ ცნობილი მრავალფეროვნება. აზროვნებას, ისევე როგორც ყოველ მოვლენას, თავისი შინაარსი და ფორმა („შინაფორმა“) გააჩნია. აზროვნების სტრუქტურულ გარკვეულობას შეადგენენ მისი ლოგიკური ფორმები და არა ენა.

მატერიალისტური დიალექტიკა განასხვავებს საგნის შინაგან და გარეგან ფორმას. შინაგანი ფორმა საგნის შინაარსის აგების წესია, მისი შინაგანი სტრუქ-

<sup>8</sup> იხ. დ. ქეზურია, მსჯელობის განსაზღვრისათვის, ჟურ. „მომავლ“, 1960, № 2. მისივე ცნების თეორიის საკითხები, თბ., 1967, თავი II: „ცნება და სიტყვა“.

<sup>9</sup> „უნდა სავსებით უუყვავდოთ აზრი იმის შესახებ, თითქოს მსჯელობა ფაქტთან მიმართებაში შეიძლება იყოს სხვა რაიმე, გარდა ნიშნისა, თითქოს მას და ფაქტს შორის შეიძლება იყოს მეტი შინაგანი კავშირი, გარდა დაქვემდებარებისა და რომ თითქოს მას შეეძლოს ეს ფაქტა ადევნებულად აღწეროს, გამოხატოს ან ასახოს. არაფერი ამის მსგავსი. მსჯელობა ისევე არ ასახავს იმის არსებას, რის შესახებ მსჯელობენ, როგორც ნოტები არ ასახავენ ტონებს ან ადამიანის სახელი — მის ინდივიდუალობას“ (M. Schlick, Allgemeine Erkenntnislehre, Berlin, 1935, S. 57).

ტურაა, რომელიც მისი არსებითი ელემენტების კავშირს გამოხატავს; მართალია, სავანი არ არსებობს გარეგანი ფორმის გარეშე, მაგრამ იგი არ წარმოადგენს თვით შინაარსის სტრუქტურულ გარკვეულობას. მსჯელობასაც თავისი შინაარსი და მით განსაზღვრული შინაგანი ფორმა აქვს. წინადადება კი არის მსჯელობის გარეგანი ფორმა.

მსჯელობისა და წინადადების განსხვავებაზე თავისთავად მიუთითებს ენათა მრავალფეროვნება. მსოფლიოში ასეულობით ენას ივლიან, რომელთაგან თითოეული თავისებური ფორმით გამოთქვამს ერთსა და იმავე მსჯელობას. წინადადება, ისევე როგორც ენა, შეიძლება იყოს ქართული, რუსული, გერმანული და ა. შ., მაგრამ მსჯელობა, ისევე როგორც ლოგიკა, არ შეიძლება იყოს ქართული, რუსული, გერმანული და ა. შ.

მივმართოთ მაგალითს:

1. ადამიანი ცოცხალი არსებაა.
2. Человек—живое существо.
3. Der Mensch ist ein Lebewesen.

რამდენი მსჯელობაა აქ მოტანილი? ერთი. რამდენია წინადადება? სამი. ერთი მსჯელობა გამოითქვა სამი წინადადების საშუალებით, რაც შეუძლებელი იქნებოდა, რომ წინადადება იყოს საგანთა კავშირის ასახვა. ერთი მსჯელობის გამოთქმა იმიტომ შეიძლება სხვადასხვა წინადადებით, რომ ეს უკანასკნელი ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის პირობითი ნიშანია, რომლითაც იგი თავისებურად („თავის ენაზე“) აღნიშნავს მსჯელობას.

\* \* \*

როგორც ცნობილია, მსჯელობისა და წინადადების სტრუქტურათა შედარებაც ტრადიციამ ჩვეულებად აქცია. მაგრამ როგორ ხერხდება ეს შედარება? მსჯელობა წინადადების ფორმით გამოითქმება, მაგრამ თვით მსჯელობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ ენაზეა იგი გამოთქმული. ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება გამოეთქვათ ქართული, რუსული, გერმანული და ა. შ. წინადადებით, ვთარგმნოთ მსოფლიო ყველა ენაზე, მაგრამ დედამიწის გარშემო მსჯელობის ასეთი „მოგზაურობა“ „ლოგიკისათვის“ არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს: მსჯელობის ლოგიკური ბუნება მთელ ამ პროცესში უცვლელი რჩება.

მსჯელობისა და წინადადების სტრუქტურათა დახასიათებისათვის, მათი ურთიერთობის გარკვევისათვის, ცხადია, საფუძვლად არ გამოდგება რომელიმე ცალკეული ენის წინადადება: თვითონ მსჯელობისათვის იგი შემთხვევითია, ისევე როგორც ლოგიკის მეცნიერებისათვის სრულიად შემთხვევითია, თუ რომელ ენაზე დაიწერება იგი. ცალკეული ენის ცალკეული წინადადება არის მხოლოდ მაგალითი და არა საფუძველი ამ ურთიერთობის დახასიათებისათვის. ის გარემოება, რომ, მაგალითად, ქართული წინადადება თავისი ელემენტებით და აგებულებით არც ემთხვევა და არც შეესაბამება მასში გამოთქმული მსჯელობის სტრუქტურას, მის ელემენტებს, მის აგებულებას, არ იძლევა საფუძველს ზოგადი დასკვნისათვის, ვინაიდან სიმრავლის ემპირიულ გარტყელებაში ინდუქციას ყოველთვის შეუძლია აღმოაჩინოს სხვა ხასიათის მაგალითი. ის გარემოებაც, რომ ინდუქცია ყველა დღეს არსებული ენის მაგალითზე ადასტურებს მათს შეუსაბამობას, — ჯერ კიდევ არ ნიშნავს ზოგადი და პრინციპული საკითხის გადაწყვეტას: შეიძლება თუ არა საერთოდ მსჯელო-

ბისა და წინადადების სტრუქტურათა გაიგივება? იქნება შესაძლებელია ავავოთ ენა, რომლის სტრუქტურა უშუალოდ ასახავდა და გაიმეორებდა ჩვენი აზროვნების ლოგიკურ სტრუქტურას?!

1) წინადადება შეიძლება იყოს თხრობითი, კითხვითი, ძახილის, ბრძანებითი; მსჯელობათა სახეებად დაყოფას კი არაფერი აქვს საერთო ამ კლასიფიკაციასთან. წინადადების ამ სახეებიდან მხოლოდ თხრობითი წინადადება გამოთქვამს მსჯელობას<sup>10</sup>. წინადადების სახეებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მსჯელობათა კლასიფიკაციის დროს: არ არსებობს თხრობითი, კითხვითი ან ბრძანებითი მსჯელობა... ფაქტურადაც, როცა ლოგიკაში საკითხი ისმის მსჯელობათა კლასიფიკაციის შესახებ, არავინ მიმართავს წინადადებათა კლასიფიკაციას. მსჯელობის ათეულობით სახეს ასახელებენ ისე, რომ წინადადების თეორიას არც კი იღებენ მხედველობაში.

2) მსჯელობის ელემენტების რიცხვი ასევე არ ემთხვევა წინადადების ელემენტების რიცხვს. მსჯელობა ორ ელემენტს, ანუ ორ ლოგიკურ წევრს შეიცავს, წინადადება კი შეიძლება იყოს ერთწევრიანი, ორწევრიანი, სამწევრიანი და ა. შ.

3) ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება სხვადასხვა წინადადებით გამოითქვას სხვადასხვა ენაზე. მეტიც, ერთი და იგივე მსჯელობა შეიძლება სხვადასხვა წინადადებით გამოითქვას ერთსა და იმავე ენაზეც. სხვადასხვა სიტყვებით ერთი და იგივე აზრის გადმოცემა არც ისე იშვიათია ჩვეულებრივ მეტყველებაში და მეცნიერებაში. ხომ ფაქტია სინონიმების არსებობა! დიდაქტიკა, მაგ., ნაკვალადაც თვლის მსჯელობის სიტყვასიტყვით განმეორებას (როგორც ლექსისა). ფაქტია, რომ თვით ერთი და იგივე ავტორი თავის მსჯელობებს სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარ სიტყვიერ ფორმულირებას აძლევს.

4) გრამატიკა წინადადებაში არჩევს მთავარ (ქვემდებარე და შემასმენელი) და არამთავარ (დამატება, განსაზღვრება, გარემოება) წევრებს. რაც შეეხება მსჯელობას, იგი სულ სხვა ელემენტებიდან შენდება. მართალია, ზოგჯერ სუბიექტსა და ქვემდებარეს ან პრედიკატსა და შემასმენელს აიგივებენ ერთმანეთთან, ან პირდაპირ შესაბამისობას ხედავენ მათ შორის, მაგრამ დამატებას, გარემოებას და განსაზღვრებას არც არაფერი ემთხვევა და არც შესაბამეობა მსჯელობაში. არც ერთ ლოგიკოსს, თვით უკიდურეს ნომინალისტს, არ უცდია ამ კატეგორიათა შეტანა და გამოყენება მსჯელობის ლოგიკურ თეორიაში.

5. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სუბიექტისა და პრედიკატის დამოკიდებულებას ქვემდებარესთან და შემასმენელთან. მაგალითად, წინადადებაში — „რკინა ელექტრობას ატარებს“ — მსჯელობის სუბიექტი („რკინა“) გამოთქმულია ქვემდებარით. უფრო აშკარა და პირდაპირია მათი შესატყვისობა ორწევრიანი წინადადების შემთხვევაში. აქ, როგორც წესი, სუბიექტს გამოხატავს ქვემდებარე, პრედიკატს — შემასმენელი, რაც ზოგიერთს აძლევდა საბაბს ან პირდაპირ გაიგივებინა აღნიშნული ორი რიგის (ლოგიკური და ლინგვისტური) კატეგორიები, ან დაეშვა ზოგადი კორელაცია მათ შორის: „ქვემდებარე გამოხატავს სუბიექტს, შემასმენელი — პრედიკატს“.

<sup>10</sup> ამ სწორ დებულებას მცდარ ფორმულირებას აძლევენ, როცა ამბობენ: „ყველა წინადადება არ არის მსჯელობა“. საქმე ისაა, რომ არცერთი წინადადება არ არის მსჯელობა! ტერმინი „გამოთქმა“ შეიძლება ვიხმაროთ მხოლოდ და მხოლოდ „თხრობითი წინადადების“ აღსანიშნავად, მაგრამ ეს როლი გაამართლებს დებულებას: „მსჯელობა არის გამოთქმა...“



მართლაც, წინადადების მთავარ წევრებსა და მსჯელობის ელემენტებს შორის გარკვეული შესატყვისობა არსებობს და იქნებ ენობრივი კოლექტივი, როგორც ენის ისტორიული შემოქმედი, წინადადების აგებისას ამგვარ საფუძველს ეყრდნობა? ფაქტია მინც, რომ მათი შესატყვისობა ზოგად კანონს არ წარმოადგენს და დაუშვებელია ქვემდებარის განსაზღვრა სუბიექტის საშუალებით („ქვემდებარე არის სიტყვა, რომელიც სუბიექტს გამოხატავს“) ან, პირიქით, — სუბიექტისა ქვემდებარის საშუალებით („სუბიექტი არის წინადადების ქვემდებარე ან ის, რაც ქვემდებარით გამოითქმება“)<sup>11</sup>.

ცნობილია, რომ კონტექსტი და ლოგიკური მახვილი ზოგჯერ ცვლის მსჯელობის სუბიექტსა და პრედიკატს:

1. თ ბ ი ლ ი ს ი არის საქართველოს დედაქალაქი
2. თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი
3. თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი

მაშინ როცა თვით წინადადება იგივე რჩება და არავითარ გრამატიკულ ცვლილებას არ განიცდის<sup>12</sup>.

6. ურთიერთობას თვით ქვემდებარესა და შემასმენელს შორის გრამატიკული კანონები აწესრიგებენ. სხვადასხვა ენაში ეს ურთიერთობა და მისი კანონები სხვადასხვაგვარია, რაც იმის უდავო საბუთია, რომ გრამატიკული წესები და კანონები ობიექტურ-საგნობრივ ვითარებას კი არ ასახავენ, არამედ განსაზღვრული არიან ცალკეული ენების განვითარების კონკრეტული ისტორიით. მართალია, სხვადასხვა ენის წინადადებები, რომლებიც ერთსა და იმავე მსჯელობას გამოხატავენ, გარკვეული საერთო და მსგავსი მომენტებით ხასიათდებიან. ამ აზრით არ შეიძლება უარყოფილი იქნეს, რომ წინადადების სემანტიკა გარკვეულ გავლენას ახდენს მის სინტაქსზე, მაგრამ ეს გავლენა არ არის განსაზღვრული ხასიათისა, რის გამოც ერთი და იმავე მსჯელობის გამომთქმელ წინადადებათა მსგავსება უმნიშვნელოა განსხვავებასთან შედარებით. ისმება კითხვა: რით არის განსაზღვრული ეს განსხვავება? ეს ანალოგიურია კითხვისა: რით არის განსაზღვრული, რომ, მაგალითად, მაგალითად ქართულად ჰქვია „მაგიდა“, რუსულად „стол“, გერმანულად — „der Tisch“ და ა. შ.? რა თქმა უნდა, არა თვითონ მაგიდის ბუნებით: მაგიდა ერთია, მისი სახელი კი ათაეულს სცილდება!

სრულიად სხვა ხასიათს ატარებს სუბიექტისა და პრედიკატის კავშირი მსჯელობაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იგი არ ექვემდებარება ნაციონალური ენების განსხვავებას. სუბიექტისა და პრედიკატის ურთიერთობას აწესრიგებს გრამატიკული კი არა, ლოგიკური კანონები, რომლებიც საგანთა ობიექტურ კავშირ-ურთიერთობებს ასახავენ.

<sup>11</sup> გრამატიციზმის აშკარა მაგალითია შემდეგი განსაზღვრება: «Слова обозначающие свойства и отношения предметов действительности, называются предикатами» — (Д. П. Горский, Логика, М., 1963, стр. 37). როგორც ვხედავთ, აქ პრედიკატის ლოგიკური კატეგორია არა თუ სიტყვის საშუალებით განსაზღვრება, არამედ პირდაპირ მიჩნეულია სიტყვად: პრედიკატი არის სიტყვა....

<sup>12</sup> ინტონაცია და პაუზა (ზეპირში), ხაზგასმა (წერითში), აგრეთვე ფონეტიკური მახვილი ლოგიკის კატეგორიები არ არიან და ლოგიკის სფეროს არ უნდა ეკუთვნოდნენ. ისინი გრამატიკული კატეგორიებია. სხვა საქმეა ლოგიკური მახვილი, — იგი ლოგიკური აზროვნების საკმარის ცნობილი და ფართო ხმარებაში მყოფი მომენტია.

წინადადება მსჯელობის გამოხატვის ენობრივი ფორმაა არსებობს თუ არა მსჯელობის გამოხატვის სხვა ფორმა, გარდა წინადადებისა? ზოგიერთი მოსაზრებით ასეთ როლში შეიძლება გამოვიდეს ცალკეული სიტყვა, უბრალო ჟესტი და ა. შ.

ერთწევრიან წინადადებათა შემთხვევაში, უდავოა, რომ სწორედ თავისებური ვითარება, კონტექსტი თუ სიტუაცია ქმნის მსჯელობის გამოთქმის საშუალებას. თავისთავად კი ცალკეული სიტყვით, მაგალითად, „ღიას!“ „გუშინ“ და ა. შ. მსჯელობის (ე. ი. სუბიექტისა და პრედიკატის გარკვეული კავშირის) გამოთქმა შეუძლებელია, თუ ეს სიტყვა წინასწარ არაა პირობით მიღებული რაიმე მსჯელობის (ან წინადადების) ნიშნად, ისევე როგორც მწვანე შუქი სემაფორზე მემანქანეს ეუბნება: „გზა ხსნილია“. თვით მწვანე შუქი (ან ხელის დაქნევა) არც მსჯელობაა და არც წინადადება.

წინადადება მსჯელობის „ბუნებრივი ადვილია“ ენაში. სხვა საშუალებანი კი გამონაკლისია, გადახვევა კანონიდან და ბუნებრივიდან. უკანასკნელის გარეშე არც „გადახვევა“ და „გამონაკლისი“ იქნებოდა შესაძლებელი. ასეთ „შეზღვევათა“ საფუძველზე ფორმულების შექმნა უსარგებლოა. ისინი მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებენ წინადადების გვერდით.

მსჯელობა აზრთა კავშირია, მაგრამ ყოველი აზრთა კავშირი არ არის მსჯელობა. უკვე გრამატიკა არჩევს თხრობითს, კითხვითს, ბრძანებითს და ძახილის წინადადებებს, რითაც თავისებურად აისახა აზრის ისეთი ფორმები, როგორცაა კითხვა, პასუხი, ბრძანება და თხოვნა. ლოგიკოსთა აბსოლუტური უმრავლესობა მსჯელობას, ჩვეულებრივ, თხრობითს წინადადებას უკავშირებს და თვლის, რომ მხოლოდ იგი გამოხატავს მსჯელობას. კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადებანი კი თავისთავად მსჯელობებს არ გამოთქვამენ. ასე ფიქრობდა, მაგალითად, არისტოტელე.

მაგრამ არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად მსჯელობას გამოხატავს არა მხოლოდ თხრობითი, არამედ კითხვითი და ძახილის წინადადებებიც. მაგალითად, ჰ. ლოტცე (1874 წ.) კითხვას დადებითი და უარყოფითი მსჯელობის გვერდით აყენებდა, როგორც მსჯელობის მესამე სახეს. დადებითი მსჯელობა აღიარებს სუბიექტისა და პრედიკატის მიმართების მნიშვნელადობას (Gültigkeit, значимость); — ამბობდა იგი, — უარყოფითი — მის არამნიშვნელადობას (Ungültigkeit, незначимость) რაც შეეხება კითხვას, — იგი მსჯელობის მესამე ფორმაა, რომელიც არ შეიცავს ამ მიმართების შეფასებას. ასევე ბ. ერდმანიც კითხვითს წინადადებას მსჯელობად თვლის, რადგან, მისი აზრით, მასაც სუბიექტ-პრედიკატული აგებულება აქვს, ოღონდ გაურკვეველია ან სუბიექტი ან პრედიკატი ან კობულა და მიზნად არის დასახული მისი (გაურკვეველობის) დაძლევა.

საბჭოთა ლოგიკოსებიდან, პ. ვ. კობნინი წერს: „მსჯელობა არის ყოველგვარი შედარებით დასრულებული აზრი, რომელიც ასახავს მატერიალური საპყაროს ნივთებს, მოვლენებს მათი თვისებებით, კავშირებით და მიმართებებით“<sup>13</sup>. შესაბამისად, ის ასახელებს მსჯელობის სამ სახეს: „суждение-сообщение“, „суждение-вопрос“, „суждение-побуждение“. პირველი ადგენს საგანში რაიმე თვისების, ნიშნის და ა. შ. არსებობა-არარსებობას და ორგვარია: სარწმუნო და ალბათური. ალბათური უახლოვდება კითხვას იმით, რომ არც დად-

<sup>13</sup> იხ. კრებული «Мышление и язык», 1957, стр. 279—280).

ბითია და არც უარყოფითი. კითხვაც მსჯელობაა: 1) ასახავს სინამდვილეს, 2) შეიძლება იყოს ჰეგმონიკი ან მცდარი, 3) აზრთა კავშირია, 4) სუბიექტ-პრედიკატული ფორმა აქვს. კომპონი მსჯელობა-კითხვაში არჩევს ორ ნაწილს: ა) მსჯელობა-ინფორმაცია (Сообщение), რომელიც გამოდის, როგორც კითხვის ბაზა. (ბ) მიზანი, მოთხოვნა რაიმეს გარკვევისა. მსჯელობა-კითხვა ორ მსჯელობა-ინფორმაციას შუა იმყოფება: პირველი ბაზაა კითხვის, მეორე — პასუხი, თვითონ იგი თავისი შინაარსით პირველზე მდიდარია, მეორეზე ღარიბი.

მაგალითად:

1. შენი ძმა გუშინ წავიდა.
2. სად წავიდა გუშინ შენი ძმა?
3. შენი ძმა გუშინ წავიდა ლენინგრადში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კითხვა („პრობლემა“) ცალკე და დამოუკიდებელ თავად უნდა შევიდეს ლოგიკაში, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ლოგიკური კატეგორია, რომელსაც „ყოველი ფეხის ნაბიჯზე“ მიმართავს აზროვნება<sup>14</sup>. მაგრამ კითხვა არაა მსჯელობის სახე. კითხვასა და მსჯელობას შორის განსხვავება ისევე არსებობს, როგორც კითხვასა და პასუხს შორის. მსჯელობა კითხვის გადაწყვეტაა, თავისებური პასუხია კითხვაზე და არ შეიძლება თვით იყოს კითხვა!

\* \* \*

ცნება და მსჯელობა ლოგიკური კატეგორიებია, ე. ი. ასახავენ მატერიალურ სამყაროს; სხვანაირად მათ.საგნის იდეალურ სურათებს უწოდებენ. ამიტომ თვით ცნებისა და მსჯელობის „მნიშვნელობის“ („значение“) შესახებ ლაპარაკი ანაქრონიზშია. „მნიშვნელობს“ არა ცნება და მსჯელობა, არამედ სიტყვა და წინადადება. ამიტომ შემთხვევითი როლია, რომ სემანტიკა (მნიშვნელობის შესახებ მოძღვრება) ისტორიულად წარმოიშვა როგორც სწორედ ენათმეცნიერების დარგი. აზროვნების არცერთი ლოგიკური ფორმა, არც ცნება, არც მსჯელობა, არც დასკვნა ასახვის მატერიალისტური თეორიის თვალსაზრისით პირობით ნიშანს, სიმბოლოს არ წარმოადგენს. ამიტომ ისმება მწვავე კითხვა: თუ სიტყვა და წინადადება ლოგიკური კი არა, გრამატიკული კატეგორიებია და ენათმეცნიერების სფეროს ეკუთვნიან, მაშინ თვით ცნება „ლოგიკური სემანტიკისა“ როგორ უნდა იქნეს დაფუძნებული?

ზოგიერთს ასეთი „საბუთი“ აქვს: აზროვნება არ არსებობს ენის გარეშე, ამიტომ ლოგიკამ ენაც უნდა იკვლიოსო. მაგრამ აზროვნება არ არსებობს არც ტვინის გარეშე. გამოდის აქედან, რომ ლოგიკამ ტვინიც უნდა შეისწავლოს? ტვინი არ არსებობს ორგანიზმის გარეშე, ორგანიზმი — არაორგანიზმის გარეშე...

ნიშნის ზოგადი თეორიის შექმნა კანონიერი და მომწიფებული ამოცანა ჩანს. მაგრამ ლოგიკად ან ლოგიკის დარგად მისი გამოცხადება პრინციპულად

<sup>14</sup> შემეცნების განვითარება ფილოსოფიის ისტორიაში დიდხანია სამართლიანად შეადარეს დიალოგსა და კამათს, რომელშიც კითხვა-პასუხის ფორმა არსებით როლს თამაშობს. პირველი მეცნიერი და ფილოსოფოსი ის იყო, ვინც შესძლო შედარებით სისტემატური პასუხი გაცემა კითხვებზე, რომლებიც ასე თუ ისე გამოიკვეთა შემეცნების ისტორიის გარკვეულ საფეხურზე. მაგრამ თვით ამ პასუხმა უფრო მეტი კითხვები გამოიწვია... ასე იყო შემეცნების მთელი ისტორიის მანძილზე. იგივე ვლინდება შემეცნების ლოგიკურ ასპექტში, ლოგიკური ამპექტში, ლოგიკური ამპერივით ამით ახალ კითხვას აშხადებს, ე. ი. იმავე დროს თვით არის ეტაპი ახალი კითხვისა. მეცნიერაც დიდა არა მხოლოდ თავისი პასუხებით. ბინშტაინს მეტი კითხვები აწუხებდა, ვიდრე ჩვეულებრივ სხვა რომელიმე ფიზიკოსს...



სხვა ვითარებას ქმნის<sup>15</sup>. მექანიკა იქცევა მექანიციზმად, როცა ის ფილოსოფიის პრეტენზიით გამოდის. ასევე „ლოგიკური სემანტიკა“, — თუ ის ლოგიკის პრეტენზიით გამოდის, სხვა არაფერია, თუ არა ცნობილი „იეროგლიფების თეორია“.

ჩვენ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან ისეთ ცნებებს, როგორცაა სიტყვა, მნიშვნელობა, საზრისი და საგანი. სიტყვას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ საზრისი სიტყვის მნიშვნელობა როდია, არამედ ის, რაც სიტყვით აღინიშნება. ხოლო ის, რასაც სიტყვა აღნიშნავს, საგანი კი არა, არამედ საგანს ასახავს. ეს მეტად არსებითი საკითხია და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. საკმარისია ითქვას, რომ მთი ურთიერთობის არასწორი გაგება ლოგიკური და გრამატიკული არე-დარევის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცა უკანასკნელი საუკუნის მანძილზე.

გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმად ცნება არის სიტყვის მნიშვნელობა, ხოლო მსჯელობა — წინადადების მნიშვნელობა<sup>16</sup>. ასეთი დებულება სიტყვის თუ წინადადების „მნიშვნელობისა“ და „საზრისის“ გაიგივებაა.

უფრო ზუსტად ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ სიტყვის მნიშვნელობაში შედის არა მხოლოდ აზრი (ცნება, წარმოდგენა) არამედ გრძნობა, ემოცია და ნებელობა, ასევე ამბობენ, რომ წინადადება ყოველთვის დატვირთულია ემოციური და ნებელობითი ელფერით და მისი მნიშვნელობა არ დაიყვანება მსჯელობაზე. მაგრამ ამით ხაზი ესმება სხვა მომენტს. ფაქტია მაინც, რომ ამ თვალსაზრისით ცნება და მსჯელობა სიტყვისა და წინადადების მნიშვნელობათა სფეროს ეკუთვნის. სწორედ ეს იწვევს გრამატიკული და ლოგიკური კატეგორიების აღრევას. მნიშვნელობა, უდავოდ, წინადადების მხარე ან ნაწილია, რაც შეეხება მსჯელობას, იგი არაა წინადადების მხარე ან ნაწილი. წინადადების მნიშვნელობა არაა მსჯელობა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა უშუალოდ რეალობა სავანთა კავშირია, რომელიც მსჯელობაში აისახება; წინადადების მნიშვნელობა არც მსჯელობაა და არც სავანობრივი ვითარება. ჩვენ ვიცავთ იმ თეზისს, რომ ობიექტურ სავანთა კავშირი აისახება მსჯელობით, მსჯელობა კი აღინიშნება წინადადებით. წინადადება უშუალოდ სავანთა კავშირს კი არ აღნიშნავს, არამედ გაშუალებულია ადამიანის „აზროვნებითი მოღვაწეობის შედეგებით“, რომელიც ობიექტურ სავანთა კავშირს ასახავს. მსჯელობა წინადადების საზრისია და არა მნიშვნელობა. წინადადების მნიშვნელობა ეკუთვნის მსჯელობასთან მისი მიმართების სფეროს და არა თვითონ მსჯელობა, როგორც ასეთი, რომლის არსებითი ბუნების გარკვევა ლოგიკის (და არა ენათმეცნიერების) უდავო კომპეტენციას შეადგენს.

<sup>15</sup> „ტრადიციული გაგებით, სინტაქსი და ლოგიკა, მიუხედავად ერთგვარი კავშირისა, ძირითადად მთლიან განსხვავებული სახის თეორიებია. ენის სინტაქსი ადგენს წესებს, რომლითაც ენობრივი გამოსახულებანი (მაგ., წინადადებები) მისი ელემენტებიდან (მაგ., სიტყვებიდან ან სიტყვის ნაწილებიდან) იწარმოება. ლოგიკის ძირითად ამოცანად, პირიქით, მიჩნეულია წესების დადგენა, რომლითაც მსჯელობები სხვა მსჯელობებიდან გამოიყვანება. მაგრამ უკანასკნელი ათწლეულებში ლოგიკის განვითარებამ სულ უფრო ნათლად აჩვენა, რომ მისი საქმიანობა ნამდვილ სიზუსტეს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, თუ მის საქმე ექნება არა მსჯელობებთან (აზრებთან ან აზრობრივ შინაარსებთან), არამედ ენობრივ გამომქმებთან, რომელია შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინადადებები. მხოლოდ ამ უკანასკნელთა მიმართ არის შესაძლებელი ზუსტი წესების დადგენა“ (R. Carnap, *Logische Syntax der Sprache*, Wien, 1934, S).

<sup>16</sup> „ცნებებს ჩვენ ვუწოდებთ სახელთა მნიშვნელობებს“, — წერს კ. აიდუევიჩი (*«Abriß der Logik*, Berlin, 1958, S. 18).

### ამირან ჰიბუბი

## კოლმეურნობათაშორისი წარმოებრივი კავშირები საქართველოში

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კოლმეურნობათაშორისი წარმოებრივი კავშირებსა და საწარმოთა გაერთიანების ერთეულ შემთხვევებს ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში ჰქონდა ადგილი. მაგრამ იმ დროისათვის მათ ფართო გავრცელება არ მიუღიათ.

უფრო მეტად ეს აიხსნებოდა იმით, რომ მაშინ კოლმეურნობები ეკონომიკურად სუსტი იყვნენ, ჯერ კიდევ დაბალი იყო მათი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების დონე, არასაკმარისი იყო ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდების მოცულობა. სოფლად მწარმოებლური ძალები იმ ეტაპზე კოლმეურნობათაშორისი კოოპერირების ახლანდელი ფორმით განვითარებისათვის საკმარისი არ იყო.

კოლმეურნობრივი წყობილების განვითარების ახალ ეტაპზე კი სულ სხვაგვარი პირობები შეიქმნა.

რესპუბლიკის კოლმეურნობები მეურნეობრივად და ორგანიზაციულად განმტკიცდნენ; ისინი გამსხვილდნენ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი შემოსავალი, რამდენჯერმე გადიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და შრომის მწარმოებლურობა, სოფლის მეურნეობის სრულყოფილი ტექნიკით შეიარაღების შემდეგ მწარმოებლური ძალები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

სოფლად მწარმოებლური ძალების მომწიფების კვალობაზე სათანადო პირობები მომზადდა და საქართველოს სსრ წვრილი კოლმეურნობების გამსხვილების ამოცანამ ეკონომიკური აუცილებლობის ხასიათი მიიღო.

წვრილ კოლმეურნობათა გამსხვილება წარმოადგენდა აუცილებელ ღონისძიებას სხვა ღონისძიებათა სისტემაში სოციალისტური სოფლის მეურნეობის მწარმოებლური ძალების განვითარების დაჩქარებისათვის. ახლაც, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი ზომით, კოლმეურნობათა წარმოების განსაზოგადების პროცესი მიმდინარეობს კოლმეურნობათა გამსხვილებით, მაგრამ ამ ეტაპზე კოლმეურნობრივი წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ახალ ფორმად უფრო მეტად კოლმეურნობათაშორისი წარმოებრივი კავშირები გვევლინება.

სოციალიზმის პირობებში კოლექტიური მეურნეობისათვის დამახასიათებელია ძალების ერთობლივად გაერთიანება ისეთი მეურნეობრივი საქმიანობის წარმართვისათვის, რომლის შესრულება თავისი მოცულობითა და მნიშვნელობით ცალკეულ კოლმეურნობათა შესაძლებლობებს აღემატება.

საქართველოს სსრ კოლმეურნობებს შორის, მარტივი ფორმით, წარმოებრივი კავშირების დამყარების, ძალების ერთობლივად გაერთიანებისა და ურთი-

ერთიანამშრომლობის პრაქტიკას ჯერ კიდევ კოლმეურნეობრივი წყობილების გარიყრაჟზე ჰქონდა ადგილი. 1928-1929 წლებში ფეხი მოიკიდა კოლმეურნეობათაშორისმა ჯგუფურმა წარმოებრივმა გაერთიანებებმა, ასეთი გაერთიანებები უფრო მეტად სუსტი კოლმეურნეობებისაგან დგებოდა.

ნაკლებად განვითარებულ და მეურნეობრივად არამტკიცე კოლმეურნეობებს არ შეეძლოთ საკუთარი საშუალებებით დამოუკიდებლად ჰყოლოდათ სპეციალისტები (ბუღალტერი, აგრონომი და სხვ.); ასევე არ შეეძლოთ შეეძინათ მანქანები და ა. შ.

ამ პერიოდისათვის კოლმეურნეობათა ცალკეული ჯგუფები ერთიანდებოდნენ და საერთო თანხებით ქირაობდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და საერთო შემოსავლებით იძენდნენ მანქანებს, სათადარიგო ნაწილებს, საწვავ მასალას და სხვ. კოლმეურნეობათა ჯგუფურ წარმოებრივ გამოცდილებას საკავშირო კოლმეურნეცენტრის საბჭოს სესიამ 1928 წელს რეკომენდაცია მისცა, ხოლო ამის შესაბამისად სათანადო დადგენილება მიიღო საქართველოს კოლმეურნეცენტრის საბჭოს მეორე სესიამ, რომელიც 1929 წელს თბილისში ჩატარდა.

ამგვარად, კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების წარმოშობისა და განვითარების პროცესი თავის მხრივ წარმოადგენს აუცილებელ შედეგს კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული საკუთრების განვითარების გზაზე, რაც გამოწვეულია სოფლად მწარმოებლური ძალების განვითარებით.

ახლა, განვითარების ამ ეტაპზე კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი გაერთიანებანი ემყარება არა კოლექტიური მეურნეობის სისუსტეს, არამედ მის ძალას, წარმოადგენს მისი ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკიცების შედეგს. კოლმეურნეობრივ წარმოებაში ახალი, თანამედროვე მანქანების გამოჩენამ, ელექტროსადგურების მშენებლობამ და წარმოების მასშტაბების გაფართოებამ თავის მხრივ მოითხოვა სოფლად მსხვილი სამშენებლო ორგანიზაცია, კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის აუცილებლობა, დიდი მასშტაბით ტრანსპორტზე მოთხოვნილება და სხვ.

წარმოიშვა კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირები და წარმოებრივი თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმები; ზოგიერთი კოლმეურნეობა ადგილობრივი ძალებით აგებს ელექტროსადგურებს, სარწყავ არხებს, სამშენებლო მასალების წარმოების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავების საწარმოებს, გაჰყავს გზები, აშენებს კულტურულ-ყოფაცხოვრებით ორგანიზაციებს (სკოლა-ინტერნატებს, საავადმყოფოებს, კლუბებს, აბანოს) შემკეთებელ სახელოსნოებს ასევე სხვა წარმოებრივ და კულტურულ-ყოფაცხოვრებით მნიშვნელობის ობიექტებს.

კოლმეურნეობათაშორისმა წარმოებრივმა გაერთიანებებმა ჩვენს ქვეყანაში 1954-1956 წლებში შედარებით ფართო გავრცელება პოვა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1956 წლიდან შედარებით უფრო ფართოდ გავრცელდა კოლმეურნეობათაშორისი კოოპერირება მშენებლობის დარგში. 1950 წლიდან მოყოლებული რესპუბლიკის კოლმეურნეობები დიდ თანხებს აბანდებდნენ სოფლისმეურნეობრივი დამხმარე საწარმოების შემდგომი განვი-

1 იხ. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ჯგუფური საწარმოო გაერთიანების წესდება, თბ., 1929.



თარებისათვის. კაპიტალური მშენებლობის მოცულობა სოფლად ყოველწლიურად იზრდებოდა.

კაპიტალური მშენებლობის ზრდა და განსაკუთრებით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობის მასშტაბების გაფართოება მშენებლობის კუსტარული საშუალებების ინდუსტრიულ მაღალექანზეულ საშუალებებით შეცვლასთან ერთად, სოფლად მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციის შექმნის ამოცანას აყენებდა.

ახალ პირობებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ძველად არსებულ სამშენებლო ბრიგადებს უკვე აღარ შეეძლოთ დაეკმაყოფილებინათ კოლმეურნეობათა მოთხოვნილებანი მშენებლობაზე.

გაითვალისწინა რა სოფლად კაპიტალურ მშენებლობაში შექმნილი სიძნელე, სკკპ XX ყრილობამ კოლმეურნეობებს დროულად მისცა რჩევა, რომ საბაიო საწყისებზე შეექმნათ კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც შრომის, სამშენებლო მასალებისა და ფულადი საშუალებების მაქსიმალური ეკონომიის პირობებში, სოფლად კაპიტალური მშენებლობის დასახულ პროგრამას განახორციელებდა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციების შექმნასა და შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1956 წლის 6 მარტის № 107 დადგენილებით დამტკიცებული ტიპური დებულება.

დებულებით განისაზღვრა საბაიო შესატანების ოდენობა. კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით საბაიო გამოსაღების ანგარიშში დებულების შესაბამისად კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციებზე ზღებოდა ტრანსპორტის საშუალებების, დანადგარების, შენობებისა და სხვ. გადაცემა.

პირველი კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაცია საქართველოში კასპის რაიონში 1956 წლის 15 აპრილს ჩამოყალიბდა, ხოლო მეორე ორგანიზაცია მოეწყო ამავე წლის 7 მაისს ბოლნისის რაიონში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციების ჩამოყალიბების პერიოდი ძირითადად 1956 წლიდან 1960 წლამდე გრძელდებოდა. 1960 წლისათვის კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციების რაოდენობა საქართველოს სსრ-ში 54-ს უდრიდა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციების ძირითადი საშუალებების ღირებულება 1956 წლის 8,1 ათ. მანეთიდან 1963 წელს 6904,6 ათ. მანეთამდე გაიზარდა, საწესდებო ფონდი შესაბამის პერიოდში 2921 ათ. მანეთიდან 7108,9 ათ. მანეთამდე გადიდა, ხოლო მეზაიე ორგანიზაციათა საბაიო შენატანების თანხამ, ნაცვლად 1956 წლის 292,1 ათ. მანეთისა, 1963 წელს 3541,2 ათ. მანეთი შეადგინა.

წლების მიხედვით სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები შესრულებული იქნა ათ. მანეთობით: 1956 წ. — 122,1, 1957 წ. — 768,4, 1958 წ. — 4377,1, 1959 წ. — 10406,0, 1960 წ. — 14116,0, 1961 წ. — 10361,9, 1962 წ. — 12233,8, 1963 წ. — 12178,8, 1964 წ. — 14277,1, 1965 წ. — 19283,3, 1966 წ. — 2165,9.

მიღებული იქნა მოგება: 1957 წ. — 32,1 ათ. მანეთი, 1958 წ. — 192,4 ათ. მანეთი, 1959 წ. — 355,3 ათ. მანეთი, 1960 წ. — 606,2 ათ. მანეთი, 1961 წ. — 510,6 ათ. მანეთი, 1962 წ. — 921,8 ათ. მანეთი, 1963 წ. — 620,1 ათ. მანეთი,

1964 წ. — 416,0 ათ მანეთი, 1965 წ. — 783,8 ათ. მანეთი, ხოლო 1966 წ. მოგებამ 1059,0 ათ. მანეთი შეადგინა<sup>2</sup>.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათა შორისი სამშენებლო ორგანიზაციები ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით სულ უფრო და უფრო დაუახლოვდა საქალაქო და მრეწველურ მშენებლობას, შეიქმნა მშენებლობის მუდმივი კვალიფიციური კადრები, ამაღლდა შრომის მწარმოებლურობა, გაუმჯობესდა ხარისხი და მნიშვნელოვნად შემცირდა მშენებლობის ღირებულება კოლმეურნეობებში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში, ისე როგორც საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში, ელექტროსადგურების მშენებლობის დარგში კოლმეურნეობათა შორისი წარმოებრივი კავშირები, სხვა ფორმებთან შედარებით, უფრო ადრინდელ ფორმას წარმოადგენს.

კოლმეურნეობათა გაერთიანებული ძალებით ელექტროსადგურების მშენებლობის პრაქტიკას ომამდელ პერიოდშიც ჰქონდა ადგილი. საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობათა შორისი ელექტროსადგურების მშენებლობა ომის შემდგომ წლებში ფართოდ განვითარდა.

ცალკეულ კოლმეურნეობებს დამოუკიდებლად არ შეეძლოთ აეგოთ დიდი ძალოვნების ჰიდროელექტროსადგურები, რადგან მათი მშენებლობა ძვირი ჯდება. ისეთი ელექტროსადგურების მშენებლობა, რომლებიც სოფლად კომუნალური საჭიროების დაკმაყოფილებასთან ერთად მეურნეობრივი წამოწყებების მომსახურებასა და ცალკეულ სამუშაო პროცესთა ელექტროფიცირებას შესაძლებლდნენ, გაცილებით მეტ სახსრებს მოითხოვდა, ვიდრე ამის შესაძლებლობა ცალკეულ კოლმეურნეობებს ჰქონდათ.

კოლმეურნეობრივი წყობილების განვითარების კვალობაზე კოლმეურნეობებში უფრო მეტად ვითარდებოდა დამხმარე და მომსახურე დარგები, რომლებიც თავის მხრივ გაცილებით დიდი რაოდენობით ელექტროენერჯის გამოყენებას მოითხოვდნენ.

ყოველივე ეს მოითხოვდა სოფლად უფრო მძლავრ ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობას, რაც მხოლოდ რამდენიმე კოლმეურნეობის შეერთებული ძალებითა და სახსრებით იყო შესაძლებელი. ამდენად, მოცემულ ეტაპზე ცალკეულ კოლმეურნეობათა კოოპერირებამ ელექტროსადგურების მშენებლობის დარგში ეკონომიკური აუცილებლობის ხასიათი მიიღო.

1966 წელს კოლმეურნეობათა შორისი ელექტროსადგურების სიმძლავრე 3 696 კვტ-ს უდრიდა. მაღალი ძაბვის ხაზების სიგრძე 486 კმ., ხოლო დაბალი ძაბვის ხაზების სიგრძე 363 კილომეტრი იყო. 13 ჰიდროელექტროსადგური 52 კოლმეურნეობასა და 2 საბჭოთა მეურნეობას ემსახურებოდა. წლის განმავლობაში ელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯია 11543 ათ. კილოვატსაათს შეადგენდა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1966 წლის 1 იანვრისათვის მოქმედებდა 2 დამოუკიდებელი კოლმეურნეობათა შორისი ორგანიზაცია ელექტროგადამცემი ხაზებისა და დანადგართა გაერთიანების სახით.

1. ყვარლის კოლმეურნეობათა შორისი ელექტროდანადგარი და
2. ენისელის კოლმეურნეობათა შორისი ელექტროსაექსპლოატაციო ხაზი.

<sup>2</sup> ციფრბრივი მონაცემები აქ და სხვაგანაც მოტანილია საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა შორისი ორგანიზაციების შესაბამისი წლების წლიური ანგარიშგებების მონაცემების მიხედვით.

ყვარლის ელექტროდანადგართა კოლმეურნეობათაშორისი საბჭო შეიქმნა 1962 წელს, როდესაც ყვარლის რაიონის სოფლებმა და კოლმეურნეობებმა საქონერგოდან, კერძოდ „ალაზანჰესიდან“, ელექტროენერჯიის სარგებლობის უფლება მიიღეს, კოლმეურნეობებმა ნებაყოფლობით პრინციპზე შექმნეს ელექტროდანადგართა კოლმეურნეობათაშორისი საბჭო.

აღნიშნული ელექტროსახეები მომსახურებას უწევენ საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას.

საქართველოში, განსხვავებით საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებისა და რაიონებისაგან, ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების თავისებურებათა გამო ხელსაყრელი აღმოჩნდა კოლმეურნეობათაშორისი ავტოსატრანსპორტო გაერთიანებათა შექმნა.

საბჭოთა კავშირში ყველაზე ადრე კოლმეურნეობათაშორისი ავტობაზებს საქართველოში ჩაეყარა საფუძველი, იგი პირველად 1957 წელს მახარაძის რაიონში ჩამოყალიბდა. მომდევნო 1958-1959 წლებში კოლმეურნეობათაშორისი ავტობაზები აგრეთვე შეიქმნა ვალის, ზუგდიდის, თერჯოლის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში.

სახელმწიფოებრივ ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით კოლმეურნეობებში ავტომანქანების გამოყენება, წლის განმავლობაში თანაბრად, სრული დატვირთვით არ ხდება. სეზონურ სამუშაოთა შესრულების დროს ცალკეული კოლმეურნეობების მოთხოვნილება ტრანსპორტზე გაცილებით დიდია, ვიდრე ამ მხრივ მათი საკუთარი შესაძლებლობა არსებობს.

ავტოტრანსპორტის დარგში კოლმეურნეობათაშორისი კოოპერირება ნაკარნახევი იყო კოლმეურნეობრივ სატრანსპორტო საშუალებათა რაციონალური გამოყენების საჭიროებით.

1961 წლისათვის საქართველოს სსრ-ში 6 კოლმეურნეობათაშორისი რაიონული ავტობაზა მოქმედებდა.

1962 წლიდან ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოების შექმნასთან და სასოფლო რაიონების შედგომოვ გამსხვილებასთან დაკავშირებით გეგეჭკორის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს და მახარაძის რაიონებში კოლმეურნეობათაშორისი ავტოსატრანსპორტო ბაზები შეერთებული იქნა შესაბამისი რაიონების სამშენებლო ორგანიზაციებთან, ხოლო ვალისა და ქობულეთის რაიონებში არსებული კოლმეურნეობათაშორისი ავტობაზების რეორგანიზაცია მოხდა.

კოლმეურნეობათაშორისი ავტობაზების მუშაობის გამოცდილებამ მის უპირატესობაში დაგვარწმუნა. ავტოსატრანსპორტო გაერთიანებათა შექმნით შესაძლებელი გახდა ავტოტრანსპორტზე დანახარჯების სწორი აღრიცხვა. მოწესრიგდა ავტომანქანების რემონტის შემჭიდროვებულ ვადებში და იაფად ჩატარების საკითხი, ავტობაზებთან მოეწყო სამკედლო საამქრო, მანქანების შემკეთებელ სახელოსნოებთან დაიდგა აკუმულატორების დამმუხტავი აპარატი, მანქანების სამრეცხაო და სხვ. რიგი მოწყობილობები.

გაცილებით უკეთ მოეწყო მანქანების სადგომთა (გარაეების) ორგანიზაცია, ავტომობილების სწორი ექსპლუატაციითა და ტექნიკური მოვლის გაუმჯობესების შედეგად მიაღწიეს მანქანების მაღალ წარმადობას, გააძლიერეს ტვირთიწიფვა და საკრძნობლად შეამცირეს თითოეული ტონა-კილომეტრის თვითღირებულება.

1960 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში შეიქმნა კოლმეურნეობათაშორისი პირუტყვის მუდმივად მოქმედი ფერმები და სასუქი პუნქტები.



მეცხოველეობის დარგში კოლმეურნობათაშორისი ფერმები და სასუქი პუნქტები მელორეობაშიც ჩამოყალიბდა. 1960 წელს საქართველოს სსრეს პუნქტებში კოლმეურნობათაშორისი ღორების გამოსაკვები სპეციალიზებული 8 პუნქტი არსებობდა. კოლმეურნობებმა საპაიო შენატანების საწყისებზე მოაწყვეს ღორების გამოკვებისა და სუქების ხელსაყრელი ორგანიზაცია. ღორის სასუქი პუნქტები კოლმეურნობებიდან იღებენ, სათანადო სტანდარტის დაცვით, ვეტერინარულად შემოწმებულ 30-40 კგ. წონის ღორებს, ხოლო გასუქების შემდეგ სახელმწიფოს აბარებენ 80-100 კგ. ცოცხალი წონის ღორებს.

1961-1965 წლებში საკმაო ყურადღება მიექცა კოლმეურნობათაშორისი მელორეობის, მსხვილი ფერმებისა და სასუქი პუნქტებს ორგანიზაციას, ამ დარგში მიღებული გამოცდილების გაგრძელებას.

1966 წელს კოლმეურნობათაშორისი მელორეობის სპეციალიზებული ფერმების რაოდენობა 9-ს უდრიდა. რესპუბლიკის კოლმეურნობათაშორისი — მელორეობის ფერმების მეზაიე კოლმეურნობათა რაოდენობა 174-ს შეადგენდა, მეზაიეების მიერ საპაიო შენატანების თანხა 1083,3 ათ. მან., ძირითადი ფონდების ღირებულება 634,9 ათ. მან., ხოლო საწესდებო ფონდების ღირებულება 1161,2 ათ. მანეთს უდრიდა. მელორეობის სპეციალიზებული ფერმების მეზაიეებად აგრეთვე 2 საბჭოთა მეურნეობა ითვლებოდა.

1960-1966 წწ-ში საშუალოდ კოლმეურნობათაშორისი მელორეობის ფერმებში 1 კაცდღეზე წარმოებული ღორის ხორცი 1960-1966 წწ-ში საშუალო რესპუბლიკურ კოლმეურნობებზე მაჩვენებელს აღემატებოდა: გორის — 2,6-ჯერ, კასპის — 3,5-ჯერ, ზუგდიდის — 3,9-ჯერ, ქობულეთის — 2-ჯერ, გუდაუთის 1,3-ჯერ.

კოლმეურნობათაშორისი მელორეობის ფერმებში 1960-1966 წწ-ში ერთ კაცდღეზე მთლიანი პროდუქცია მანეთობით მიღებული იქნა მეტი, ვინემ საშუალოდ 1960-1966 წწ. საქართველოს სსრ კოლმეურნობებში: გორის — 4,5-ჯერ, კასპის — 5,1-ჯერ, ზუგდიდის — 3,3-ჯერ, ტყიბულის — 20,3-ჯერ, ქობულეთის — 4,1-ჯერ მეტი. ხოლო გუდაუთის ფერმაში 2,4-ჯერ მეტი.

კოლმეურნობათაშორისი მელორეობის ფერმებში შრომის მწარმოებლურობა, შედარებით საქართველოს სსრ კოლმეურნობების საშუალო მაჩვენებლებთან, საგრძნობლად მაღალია.

კოლმეურნობათაშორისი მელორეობის ფერმებში შრომის მწარმოებლურობის დონე წლების მიხედვით მნიშვნელოვნად იზარდა: 1961 წელს 1960 წელთან შედარებით გაიზარდა 29,6%-ით, 1962 წელს 1961 წელთან შედარებით — 44,9%-ით, 1963 წელს 1962 წელთან შედარებით — 25,8%-ით, ხოლო 1966 წელს 1963 წელთან შედარებით — 15,5 პროცენტით.

კოლმეურნობათაშორისი მელორეობის ფერმებს 1960-1966 წწ-ში 1 ცენტნერი ღორის ხორცის წარმოება რესპუბლიკის კოლმეურნობებთან შედარებით ნაკლები დაუჯდა: 1960 წ. — 20,5%-ით, 1961 წ. — 23,4%-ით, 1962 წ. — 25,6%-ით, 1963 წ. — 38,9%-ით, 1964 წ. — 41,7%-ით, 1965 წ. — 43,4%-ით, 1966 წ. — 38,9 პროცენტით.

კოლმეურნობათაშორისი მელორეობის ფერმებში ერთი ცენტნერი ღორის ხორცის თვითღირებულება გასული წლების მიმართ დაბალია, იმავე რაიონის კოლმეურნობებში 1 ცენტნერი ღორის ხორცის საშუალო თვითღირებულებასთან შედარებით.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მეღორეობის განვითარების მთავარ გზად მიჩნეული უნდა იქნეს ინტენსიური სტაციონალური მეღორეობა, კოლმეურნეობათაშორისი მეღორეობის მსხვილი ფერმების შექმნის გზით. ცნობილია, რომ მეცხოველეობის ყველა დარგს შორის ხორცის წარმოების სწრაფად გადილების საქმეში წამყვანი როლი ეკუთვნის მეღორეობას.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ღორების კოლმეურნეობათაშორისი სასუქ პუნქტებში რენტაბელობის ხარისხი, ე. ი. წმინდა მოგების შეფარდება ყველა წარმოებრივ დანახარჯთან შედარებით მაღალია, ვიდრე ცალკეულ კოლმეურნეობების მეღორეობის წვრილ ფერმებში. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ღორების სასუქი კოლმეურნეობათაშორის პუნქტებში, ცალკეულ წვრილ ფერმებთან შედარებით, ვაცილებით უფრო რაციონალურად გამოიყენება შრომა, საკვები, უკეთ ინერგება მოწინავე გამოცდილება და სხვ.

ყურადღებას იმსახურებს ის კოლმეურნეობათაშორისი წამოწყებანი, რომელთაც ბოლო წლებში მოიკიდეს ფეხი.

1964 წელს, პირველად რესპუბლიკაში, თელავის რაიონში (ს. ლალისყური) შეიქმნა მეცხვარეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმა. ამ გაერთიანებაში რაიონის 17 კოლმეურნეობა შევიდა, კოლმეურნეობებმა შეიტანეს საპაიო შენატანები 633,3 ათ. მანეთის რაოდენობით. 1965 წლის ბოლოსათვის ძირითადი ფონდების ღირებულებამ 564,6 ათ. მანეთი, ხოლო საწესდებო ფონდების მოცულობამ 633,6 ათ. მანეთი შეადგინა. 1965 წლის 1 იანვრისათვის ფერმაში გამოკვებაზე 110,0 ათ. სული ცხვარი იყო, ხოლო 1966 წლისათვის მათი რაოდენობა 120,9 ათ. სულამდე გაიზარდა. ფერმას 575 კაცი ემსახურება (544 მუშა).

1965 წლის მაისში თიანეთში ჩამოყალიბდა მეცხვარეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმა, რომელშიც გაერთიანდა რაიონის მეცხვარეობის შვიდივე კოლმეურნეობის ცხვარი. საპაიო შენატანების სახით მათ 701,6 ათ. მანეთი შეიტანეს, 1965 წლის ბოლოსათვის ძირითადი ფონდების ღირებულებამ 496,0 ათ. მანეთი, ხოლო საწესდებო ფონდების მოცულობამ 701,6 ათ. მანეთი შეადგინა.

1966 წლის 1 იანვრისათვის ფერმაში გამოკვებაზე 132,8 ათ. სული ცხვარი იყო. ფერმას სულ 102 კაცი ემსახურებოდა (87 მუშა).

ცხვრის ფარების ერთ ფერმაში თავმოყრამ თელავსა და თიანეთში ხელი შეუწყო მეცხვარეობის წარმოების კულტურის ამაღლებას, შრომის სწორი ორგანიზაციის განხორციელებას, ზოოვეტერინალური წესების დაცვას. ყოველივე ამან განაპირობა პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა.

თიანეთის ფერმაში 1965 წ-ს ყოველ 100 ნერბზე 78 ბატკანი მიიღეს, ე. ი. 22-ით მეტი, ვიდრე კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანების შექმნამდე საშუალოდ ცალკეულ კოლმეურნეობათა ფერმაში იყო მიღებული. ზაფხულის პარსვაზე თითოეულ ცხვარზე მიიღეს 2 კგ. მატყლი, — 5-ჯერ მეტი, ვიდრე კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანების შექმნამდე ცალკეულ კოლმეურნეობათა ფერმებში იყო მიღებული. კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებში შესაძლებელი გახდა ელექტროსაპარსი აგრეგატების გამოყენება, რამაც საგრძნობლად გაადიდა მატყლის გამოსავლიანობა, გააუმჯობესა ხარისხი.

კოლმეურნეობათაშორისი ფერმებში ცხვრის მოვლა-შენახვის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სიკვდილიანობის შემცირებას. 1965 წელს დაეცა ცხვრის სულადობის 3 პროცენტი, ხოლო ადრე ცხვრის დაცემა საშუალოდ კოლმეურნეობებში წლიურად 8,6 პროცენტს აღწევდა.

კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებში რაიონების კოლმეურნეობათა თავმოყრამ შრომის სწორი ორგანიზაციის განხორციელების პირობებში ზოოვეტერინალური წესების დაცვის შესაძლებლობა შექმნა. გაზარდეს ფერმების სულადობა, ფარები „გაწმინდეს“ სანაშენოდ უფარგისი ცხვრებისაგან, გააუმჯობესეს ჯიშობრივი შემაღვენლობა და ფართოდ დაიწყეს ცხვრის ხელოვნური დათესვების დანერგვა.

კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებში 1966 წელს 1965 წელთან შედარებით გაიზარდა გამოკვებაზე არსებული ცხვრების სულადობა, აგრეთვე ხორცის წარმოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გადიდა სახელმწიფოსათვის მიყიდული ხორცის რაოდენობა. თელავის ფერმაში სახელმწიფოზე პირუტყვის მიყიდვა სულადობით 1966 წელს 1965 წელთან შედარებით 11,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო თიანეთის ფერმაში — 60,5 პროცენტით, ხორცის მიყიდვა ცოცხალი წონით (ცენტნერებით) — შესაბამისად 25,0 პროცენტით და 41,7 პროცენტით, ხოლო სადღეღამისო წონაშადი თელავის ფერმაში 1966 წელს 1965 წელთან შედარებით 3,7-ჯერ, ხოლო თიანეთის ფერმაში შესაბამისად 48,4 პროცენტით გაიზარდა.

მეცხვარეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმებში მნიშვნელოვნად შემცირდა ერთი ცენტნერი ხორცის წონაშადის თვითღირებულება. თელავის ფერმაში 1966 წელს 1965 წელთან შედარებით — 71,8 პროცენტით, ხოლო თიანეთის ფერმაში — შესაბამისად 15,8 პროცენტით.

საერთოდ კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობაში ერთი ცენტნერი ხორცის თვითღირებულება მნიშვნელოვნად დაბალა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ერთი ცენტნერი ხორცის საშუალო თვითღირებულებაზე. მაგ., 1965-1966 წწ-ში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთი ცენტნერი ცხვრის ხორცის თვითღირებულება 80-90 პროცენტით მაღალი იყო.

კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია აგრეთვე შრომის მწარმოებლურობა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა წლების მიხედვით 1 ცენტნერი ცხვრის ხორცის წარმოებაზე დახარჯეს 1964 წ. — 14 კაცდღე, 1965 წელს — 14 კაცდღე, ხოლო 1966 წ. — 11,6 კაცდღე. კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებმა დახარჯეს 1964 წ. — 8 კაცდღე, 1965 წ. — 7 კაცდღე, ხოლო 1966 წელს — 6 კაცდღე. როგორც ვხედავთ, კოლმეურნეობათაშორისი მეცხვარეობის ფერმებში ერთი ცენტნერი ხორცის წარმოებაზე 1,5-ჯერ, 2-ჯერ ნაკლები კაცდღეა დახარჯული.

1966 მეურნეობრივი წელი თელავისა და თიანეთის კოლმეურნეობათაშორისმა მეცხვარეობის ფერმებმა მოგებით დაამთავრეს, თელავის ფერმამ 164,2 ათ. მანეთის, ხოლო თიანეთის ფერმამ 86,8 ათ. მანეთის მოგება მიიღო.

ფერმებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საძოვრების რაციონალურ გამოყენებას. კასპისპირეთში ორგანიზებულად მიმდინარეობს თივის დამზადება. შემოდგომასა და ზაფხულზე ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების თესვით, ფერმებს საშუალება ეძლევათ ცხვრის მთელი სულადობა უზრუნველყონ მაღალყოთიანი საკუთარი წარმოების იაფი საკვებით.

როგორც ვხედავთ, მეცხვარეობაში კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების შექმნა სავსებით მიზანშეწონილია, იგი ამართლებს თავის დანიშნულებას



და ხელს უწყობს მაღალმთიანი კოლმეურნეობების ეკონომიკურად განმტკიცებას.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცხოველეობაში ბერწიანობისა და ძროხების დაბალი ჯიშობრივი შემადგენლობის აღმოფხვრაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს პირუტყვის ხელოვნური დათესვლის ორგანიზაცია.

პირუტყვის ხელოვნური დათესვლის სადგურები და პუნქტები საქართველოში 1958-1959 წლებში შეიქმნა. უპირველეს ყოვლისა ისინი საქართველოს სს რესპუბლიკის მეცხოველეობის საწარმოო სპეციალიზაციისა და გაადგილების ზონების მიხედვით შექმნეს.

პირუტყვის ხელოვნური დათესვლის კოლმეურნეობათაშორისი პუნქტი პირველად 1960 წელს ჩამოყალიბდა სიღნაღის და ქობულეთის რაიონებში.

1967 წლისათვის ამ პუნქტების მეპაიე კოლმეურნეობათა რაოდენობა 39-ს შეადგენდა, ხოლო მათ მიერ ფაქტიურად შეტანილი საპაიო შენატანების თანხა - 74,0 ათ. მანეთს უდრიდა. ძირითადი ფონდების ღირებულება 43,7 ათ. მანეთს, ხოლო საწესდებო ფონდების მოცულობა 75,2 ათ. მანეთს შეადგენდა. პირუტყვის ხელოვნური დათესვლის სიღნაღისა და ქობულეთის კოლმეურნეობათაშორისი სადგურებს 21 მუშაკი ემსახურებოდა (11 მუშა). მომუშავეთა წლიური ხელფასის ფონდი 18,8 ათ. მანეთს უდრიდა. 1966 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღნიშნულ პუნქტებში 11 ბუდა და 15 ერკემალი იყო, სულ პუნქტებში 1966 წელს 40 249 სული, ხოლო 7 წლის მანძილზე 126 734 სული პირუტყვი დაითესლა. მათ შორის დამაკდა: 1963 წელს — 10 671 სული, ანუ 92,6%, ხოლო 1960-1963 წწ. — 21 438, ანუ 89,9%. 1964 წლიდან დამაკების პროცენტი შედარებით გაიზარდა და იგი საშუალოდ წლიურად 95-100 პროცენტს შეადგენს. 1960-1966 წწ. პირუტყვის ხელოვნური პუნქტების შენახვაზე მთლიანმა დანახარჯებმა 143,7 ათ. მანეთი შეადგინა. ამ ხნის მანძილზე მიღებული იქნა მოგება 22,2 ათ. მანეთი.

პირუტყვის ხელოვნური დათესვლის სადგურების მუშაობის მოკლე პერიოდის გამოცდილება მათს ეკონომიკურ ხელსაყრელობაზე მეტყველებს.

ბერწიანობის თავიდან ასაცილებლად პირუტყვის კარგი მოვლა-შენახვისა და კვებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნური დათესვლის ფართო დანერგვას, იგი არა მარტო ამცირებს ბერწიანობასა და აუმჯობესებს ჯოგის ჯიშობრივ შემადგენლობას, არამედ მნიშვნელოვნად ამცირებს ბუდის შენახვის ხარჯებს. ხელოვნური დათესვლის დროს რამდენადმე ადვილდება მთელი ზოტექნიკური სამუშაო და, რაც მთავარია, იქმნება სასურველი პირობები პირუტყვისათვის საშიში ინფექციური და გადამდები დაავადების ლიკვიდაციისათვის.

საქართველოში განსაკუთრებით ფართო გავრცელება პოვეს კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებმა მეფრინველეობის დარგში. მეფრინველეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმების ორგანიზაცია საქართველოს სსრ-ში ძირითადად 1958-1960 წლებში მოხდა. კოლმეურნეობათაშორისი მეფრინველეობის ფერმების შექმნამ რესპუბლიკაში რაიონების მიხედვით ყველა კოლმეურნეობას თანაბარი პირობები შეუქმნა საზოგადოებრივი მეფრინველეობის სათანადო განვითარებისათვის, რამდენადაც მეფრინველეობის კოლმეურნეობათაშორისი ფერმებში გაერთიანდნენ ის კოლმეურნეობებიც, რომლებთანაც ადგილობრივ პირობებში ფრინველის მოშენების სათანადო პირობები არ ჰქონდათ. მაგ., ქობულეთის კოლმეურნეობათაშორისი მეფრინველეობის ფერმის ორგანიზაციამდე მთელ რაიონში 20 კოლმეურნეობას მხოლოდ 3,5 ათასი ფრთა ფრინველი

ჰყავდა. მათ შორის ლედვის, ქაქუთის, ქახათისა და ქობულეთის კოლმეურნეობებს მეფრინველეობის ფერმები სრულიად არ ჰქონდათ. ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობას მეფრინველეობის ფერმაში მცირე რაოდენობის ფრინველი ჰყავდა. კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმის შექმნის შემდეგ, 1959 წლისათვის რაიონში ფრინველის რაოდენობა 30,0 ათას აღემატებოდა, ხოლო კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის გაერთიანებაში რაიონის ყველა კოლმეურნეობა შევიდა.

კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმებს შესაძლებლობა მიეცათ ეწარმოებინათ გაცილებით მეტი კვერცხი და ფრინველის ხორცი, ვიდრე აწარმოებდნენ ცალკეული კოლმეურნეობები ფერმის შექმნამდე.

საკულისხმოა ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმების შექმნის შემდგომ რესპუბლიკაში ფრინველის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ნაცვლად 1958 წლის 7011,0 ათ. იგი 1959 წ. 7471,0 ათასამდე, ხოლო 1960 წელს 8332,0 ათ. გაიზარდა<sup>3</sup>.

კოლმეურნეობათა წილობრივი მონაწილეობის ოდენობა წინასწარ განისაზღვრა რაიონების მიხედვით კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის საბჭოს რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით.

კოლმეურნეობებმა ფულად სახსრებთან ერთად მეცხოველეობის ფერმებს გადასცეს სასაწყობო შენობები და ნაგებობები, გაწყობილობები, ტრანსპორტის საშუალებები და თვით ფრინველის გარკვეული რაოდენობა, რაც კოლმეურნეობებს ღირებულების მიხედვით ჩათვალათ საპაიო შენატანების ანგარიშში.

1961 წელს კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმების რიცხვი 37, 1962 წელს 35, ხოლო 1964 წლისათვის 25-ს უდრიდა. 1966 წელს სულ რესპუბლიკაში 30 კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმა იყო. მ. შ. 15 სპეციალიზებული და 15 არასპეციალიზებული, რომელთა მეპაიე 695 ორგანიზაცია იყო.

1966 წლისათვის კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმებში ფაქტიური საპაიო შენატანების თანხა 8442,0 ათ. მანეთს შეადგენდა, ხოლო ძირითადი საშუალებების ღირებულება 3684,7 ათ. მანეთს უდრიდა.

კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმების უმრავლესობამ 1959-1962 წწ-ში შეძლო აეგო ტიპური საქათმეები და განეხორციელებინათ ფრინველის მოვლისა და შენახვის სამუშაოების ცალკეულ პროცესთა მექანიზაცია. ფერმათა უმრავლესობაში მოეწყო სპეციალური საწიწილეები, გაიყვანეს წყალსადენები, შესაძლებელი გახდა ფერმების გარკვეული ნაწილის ელექტროფიცირება.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მეურნეობრივად სუსტი მეფრინველეობის კოლმეურნეობრივი ფერმების ნაცვლად შეიქმნა მსხვილი, სპეციალიზებული კოლმეურნეობათაშორის მეფრინველეობის ფერმები, სადაც შეიქმნა სათანადო პირობები შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მეფრინველეობის სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვის, მომსახურე და აღმინისტრაციული პერსონალის შემცირების, ადგილობრივი იათე საკვების წარმოების გადიდებისა და ფრინველის კვების გაუმჯობესებისათვის, საბოლოო ანგარიშში წარმოების მოცულობის ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

<sup>3</sup> Народное хозяйство Грузинской ССР в 1961 году. Стат. ежегод., Тб., 1963, стр. 238.

კოლმეურნობათაშორისმა მეფრინველეობამ უკვე 1960 წლიდან კოლმეურნობრივი მეფრინველეობის გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეფრინველეობაში.

რესპუბლიკის კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებს წლების მიხედვით ჰყავდათ ფრინველი ათასობით: 1960 წ. — 1505, 1961 წ. — 180,7, 1962 წ. — 162,9, 1963 წ. — 177,7, 1964 წ. — 118,8, 1965 წ. — 155,0 1966 წ. — 170,9, რაც შესაბამისი წლების მიხედვით რესპუბლიკის კოლმეურნობებში, ფრინველის რაოდენობასთან შედარებით შეადგენს პროცენტობით: 1960 წ. — 18,9, 1961 წ. — 35,8, 1962 წ. — 32,9, 1963 წ. — 42,1, 1964 წ. — 43,4, 1965 წ. — 38,4, 1966 წ. — 39,5 პროცენტს.

1960-1966 წწ-ში ყოველწლიურად კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებში წარმოებული იყო რესპუბლიკის კოლმეურნობების მიერ მიღებული ფრინველის ხორცის რაოდენობის 70-80 პროცენტი.

კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებმა 1960-1966 წწ-ში მიიღეს კვერცხი ათას ცალით: 1960 წ. — 4578,0, 1961 წ. — 6333,0, 1962 წ. — 8052,0, 1963 წ. — 6379,0, 1964 წ. — 5605,0, 1965 წ. — 7150,0, 1966 წ. — 10920,0, ანუ შესაბამისად წლების მიხედვით კოლმეურნობრივ მეფრინველეობის მიერ წარმოებული კვერცხის 20,8%, 44,2%, 54,5%, 43,3%, 44,7%, 46,1%, 65,2 პროცენტი.

კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებს აქვამად ჰყავთ რესპუბლიკის კოლმეურნობათა ფრინველის რაოდენობის დაახლოებით ნახევარი, ყოველწლიურად ამზადებენ რესპუბლიკის კოლმეურნობებში წარმოებული ხორცის თითქმის ორ მესამედსა და წარმოებული კვერცხის ნახევარს.

კოლმეურნობათაშორისი ფერმებში ფრინველის ხორცის წარმოება ერთ კაცდღეზე წლების მიხედვით მაღალი იყო. რესპუბლიკის კოლმეურნობებში ფრინველის ხორცის წარმოებასთან შედარებით, პროცენტობით: 1960 წ. — 32,8%-ით, 1961 წ. — 51,5%-ით, 1963 წ. — 38,1%-ით, 1964 წ. — 6,7%-ით, 1965 წ. — 3,4%-ით, ხოლო 1966 წ. — 21,7 პროცენტით.

ერთ კაცდღეზე კვერცხის წარმოება შესაბამისად მაღალი იყო: 1961 წ. — 22,5%-ით, 1962 წ. — 18,6%-ით, 1963 წ. — 39,1%-ით, 1964 წ. — 38,1%-ით, 1965 წ. — 43,7%-ით, ხოლო 1966 წ. — 2,3 პროცენტით.

კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობაში პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად დაბალია ვინემ კოლმეურნობრივ მეფრინველეობაში. მაგ., ერთი ცენტნერი ფრინველის ხორცის თვითღირებულება კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობაში წლების მიხედვით დაბალი იყო კოლმეურნობრივ მეფრინველეობასთან შედარებით, პროცენტობით: 1960 წ. — 12,0%-ით, 1961 წ. — 35,8%-ით, 1962 წ. — 23,1%-ით, 1963 წ. — 22,4%-ით, 1964 წ. — 21,8%-ით, 1965 წ. — 34,7%-ით, 1966 წ. — 28,6 პროცენტით.

ათასი ცალი კვერცხის თვითღირებულება შესაბამისად დაბალი იყო 1960 წ. — 61,7%-ით, 1961 წ. — 53,6%-ით, 1962 წ. — 80,4%-ით, 1963 წ. — 52,9%-ით, 1964 წ. — 67,9%-ით, 1965 წ. — 67,3%-ით, 1966 წ. — 67,3%-ით, 1966 წ. — 82,7 პროცენტით.

როგორც დავინახეთ, საქართველოში წვირილი, მეურნობრივად სუსტი მეფრინველეობის კოლმეურნობრივი ფერმების ნაცვლად სულ უფრო და უფრო მეტ გავრცელებას პოულობს კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1965 წელს გორის რაიონში შექმნილი



კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაობა, სადაც შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მეფრინველეობის სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვით, მომსახურე და ადმინისტრაციული პერსონალის შემცირებით. ადგილობრივი იაფი საკვების წარმოების გადიდებითა და ფრინველის კვების გაუმჯობესებისა და სხვ. ღონისძიებათა გატარების საფუძველზე მკვეთრად იზრდება წარმოების მოცულობა და მცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეფრინველეობის კოლმეურნობათაშორისი ფერმებში შრომის მწარმოებლურობის გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის კოლსა-ლური რეზერვები არსებობს.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების ამოცანა ამ დარგის შემდგომ სპეციალიზაციისა და მსხვილი საფუტკრეების შექმნის აუცილებლობას მოითხოვდა.

მეფუტკრეობის კოლმეურნობათაშორისი ფერმებს საქართველოში 1958-1959 წლებში ჩაეყარა საფუძველი.

რესპუბლიკის იმ კოლმეურნობებს, რომელთაც არ ჰქონდათ ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები ამ დარგის ადგილობრივად განვითარებისათვის, მეფუტკრეობის კოლმეურნობათაშორისი ფერმების შექმნით ამ გაერთიანებაში მონაწილეობის საშუალება მიეცათ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში დუშეთის, ახალქალაქის, საჩხერის, ლენტეხისა და ჩხოროწყუს რაიონებში მოეწყო კოლმეურნობათაშორისი მეფუტკრეობის სპეციალიზირებული ფერმები, ხოლო მაიაკოვსკის, ახალციხის, ქედისა და ვანის რაიონებში კოლმეურნობათაშორისი მეფრინველეობის ფერმებთან და პირუტყვის სასუქ პუნქტებთან მეფუტკრეობის არასპეციალიზირებული ფერმები შექმნეს.

1960 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში კოლმეურნობათაშორისი მეფუტკრეობის 6 სპეციალიზირებული, ხოლო 4 არასპეციალიზირებული ფერმა არსებობდა.

1966 წლისათვის რესპუბლიკაში სულ 5 სპეციალიზირებული მეფუტკრეობის კოლმეურნობათაშორისი ფერმა იყო, რომელთა ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა 1967 წლის 1 იანვრისათვის 2997-ს უდრიდა. მეპაიე კოლმეურნობების მიერ ფაქტიურად შეტანილი საპაიო შენატანები 252,4 ათ. მანეთს, ხოლო ძირითადი საშუალებების ღირებულება 139,4 ათ. მანეთს შეადგენდა.

1960-1966 წლების მიხედვით საშუალოდ ფუტკრის ერთ ოჯახზე მიღებულია 10-14 კგ თაფლი და 90-140 გრ სანთელი.

კოლმეურნობათაშორისი მსხვილი საფუტკრეების შექმნა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ყველა შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა იგი ზრდის შრომის მწარმოებლურობას.

შრომის მწარმოებლურობის დონე კოლმეურნობათაშორისი მეფუტკრეობაში კოლმეურნობრივ მეფუტკრეობასთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია.

კოლმეურნობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში ერთ მომუშავეზე საშუალოდ 50, ხოლო ერთ მეფუტკრეზე 74,5 ფუტკრის ოჯახი მოდის, რესპუბლიკის კოლმეურნობებში ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა ერთ მეფუტკრეზე საშუალოდ 43 ოჯახს არ აღემატება. ერთ მეფუტკრეზე ნორმა 70 ფუტკრის ოჯა-

ნია. კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში ერთ მომუშავეზე საშუალოდ მიღებულია თაფლი 74,1%-ით და სანთელი 50 პროც. მეტი, ვიდრე კოლმეურნეობათა საფუტკრეობებში.

კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში 1 კაცლევზე წარმოებული თაფლი წლების მიხედვით საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს ალემატებოდა: 1960 წ. — 158,6%-ით, 1961 წ. — 105%-ით, 1962 წ. — 295,3%-ით, 1963 წ. — 130,8%-ით, 1964 წ. — 135,8%-ით, 1965 წ. — 113,0%-ით და 1966 წ. — 39,4 პროცენტით.

კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში წლების მიხედვით ერთ ცენტნერ პროდუქციის წარმოებაზე პირდაპირი შრომითი დანახარჯები 2-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე კოლმეურნეობათა საფუტკრეობებში. იგივე შეიძლება ითქვას ერთ ცენტნერ პროდუქციაზე ფულადი დანახარჯების მიმართ.

ერთი ცენტნერი თაფლის თვითღირებულება კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობაში წლების მიხედვით დაბალი იყო კოლმეურნეობრივ მეფუტკრეობასთან შედარებით, პროცენტობით: 1960 წ. — 79,4%-ით, 1961 წ. — 124,7%-ით, 1962 წ. — 60,2%-ით, 1963 წ. — 188,3%-ით, 1964 წ. — 42,4%-ით, 1965 წ. — 176,1%-ით, 1966 წ. — 37,1 პროცენტით.

შესაბამისად ერთი ცენტნერი სანთლის თვითღირებულება დაბალი იყო: 1960 წ. — 63,6%-ით, 1961 წ. — 98,1%-ით, 1962 წ. — 62,7%-ით, 1963 წ. — 188,7%-ით, 1964 წ. — 58,1%-ით, 1965 წ. — 88,7%-ით, 1966 წ. — 50,7 პროცენტით.

ფუტკრის ოჯახის ერთი წყარის: 1960 წ. — 75,0%-ით, 1961 წ. — 96,2%-ით, 1962 წ. — 63,2%-ით, 1963 წ. — 190,0%-ით, 1964 წ. — 158,8%-ით, 1965 წ. — 81,8%-ით, 1966 წ. — 5,8 პროცენტით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებთან შედარებით კოლმეურნეობათაშორისი მეფუტკრეობის ფერმებში უკეთაა მოწყობილი ფუტკრის მოვლა-პატრონობის საქმე; მაღალ დონეზეა ფუტკრის წარმატებით გამოზამთრების ორგანიზაცია და ფუტკრის ახალი ოჯახების გაფართოებული აღწარმოების გზით მიღება და შენარჩუნება. მეფუტკრეობის განვითარების ძირითად პირობას ფუტკრის ოჯახების გამრავლება და თითოეული ოჯახიდან თაფლის გამოსავლიანობის მნიშვნელოვნად გადიდება წარმოადგენს.

პირველ რიგში მეფუტკრეობის აღმავლობისათვის აუცილებელია ფუტკრის ოჯახების ყველა ზონაში გავრცელება, საფუტკრეთა გამსხვილება, მეფუტკრეთა ნორმალური დატვირთვის უზრუნველყოფა, საერთოდ მეფუტკრეობის გაძლიერების დონის ამაღლება.

მომავალში კოლმეურნეობათაშორისი მსხვილი სპეციალიზებული საფუტკრეობების შექმნა საშუალებას მოგვცემდა გამოყენებული ყოფილიყო ჩვენს რესპუბლიკაში მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ყველა შესაძლებლობა.

\* \* \*

ჩვენ ზემოთ განვიხილეთ საქართველოს სსრ-ში არსებული კოლმეურნეობათაშორისი კავშირები, როგორცაა: სამშენებლო ორგანიზაცია, ელექტროსადგურები, ელექტროდინამოგარათა საბჭო და ელექტროგადამცემი ხაზი, ავტობაზები, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოკვებისა და სუქების პუნქტები, ღორების გამოკვების პუნქტები, მეფრინველეობის ფერმები, მეფუტკრეობის ფერმები და პირუტყვის ხელოვნური დათესვის სადგურები და პუნქტები.

როგორც ზედავთ, საქართველოს რესპუბლიკაში სხვადასხვა სახის კოლმეურნეობათაშორის გაერთიანებები არსებობს. ცალკეული სახის კოლმეურნეობათაშორის გაერთიანებას თავის მხრივ აქვს რამდენიმე ორგანიზაცია და საწარმო, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში 1966 წლის 1 იანვრისათვის 116-ს უდრიდა. 1960-1966 წლებში საქართველოში როგორც კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი, ისე არაწარმოებრივი კავშირების ცალკეული სახის საწარმოებისა და ორგანიზაციების რაოდენობის შესახებ ზუსტ წარმოდგენას ქვემოთ მოტანილი ცხრილი გვაძლევს (იხ. ცხრილი 1).

საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების რაოდენობა\*

	1960	1965	1966
კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების რიცხვი . . . . .	148	117	116
მათი მებაიე კოლმეურნეობები . . . . .	2545	1980	2250
ერთი სახის საქმიანობის კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციებისა და საწარმოების რიცხვი . . . . .	95	59	52
მათი მებაიე კოლმეურნეობები . . . . .	1610	939	892
ერთი სახის საქმიანობის კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციებისა და საწარმოების საერთო რიცხვიდან:			
სამშენებლო . . . . .	2	2	—
ელექტროსადატურები . . . . .	31	20	12
პირუტყვის გამოსაკვები პუნქტები . . . . .	8	10	9
მეფრინველეობის ფერმები . . . . .	37	15	15
სოფლის მეურნეობის პირუტყვის ხელოვნური დათესვის (პუნქტები) სადატურები . . . . .	2	2	2
სხვადასხვა წარმოება და ორგანიზა . . . . .	15	10	14
შერეული სახის საქმიანობის კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებისა და ორგანიზაციის რიცხვი . . . . .	53	58	63
მათი მებაიე კოლმეურნეობები . . . . .	935	1041	1158
შერეული სახის საქმიანობის კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების რიცხვიდან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება . . . . .	44	45	48
სამშენებლო მასალების წარმოება . . . . .	44	45	48
	148	117	116

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციების რაოდენობა 1966 წელს 1960 წელთან შედარებით 32-ით შემცირდა.

კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების რაოდენობრივი შემცირება გამოიწვია რაიონების შიგნით რამდენიმე სპეციალიზებული ორგანიზაციისა და საწარმოს გაერთიანებამ.

1960 წელს კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მებაიე ორგანიზაციათა რაოდენობა რესპუბლიკაში 2545-ს უდრიდა, 1966 წლის 1 იანვრისათვის მათი რაოდენობა 2050-მდე შემცირდა. მებაიე ორგანიზაციათა რაოდენობა ძირითადად კოლმეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და ზოგიერთი კოლმეურნეობის საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნის გამო შემცირდა.

კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების ცალკეულ გაერთიანებათა და საწარმოთა, აგრეთვე მათი მებაიე კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობის შემცირება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს კოლმეურნეობათაშო-

\* Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской социалистической революции, Тб., 1967, стр. 135.



რისი წარმოებრივი კავშირების თვისობრივი ზრდის შეფერხებას, პირიქით, ამ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირები შემდგომ გაფართოვდა და თვისობრივად გაიზარდა.

საქართველოს რესპუბლიკაში აშკარაა კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების თვისობრივი ზრდის ფაქტი, რაც შემდეგით მტკიცდება:

ა) გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ფაქტიურად შეტანილი საპაიო თანხები; წლების მიხედვით შეტანილი საპაიო თანხების ოდენობა შეადგენდა: 1960 წ. — 13973,5 ათ. მან., 1961 წ. — 17914,1 ათ. მან., 1962 წ. — 15882,0 ათ. მან., 1963 წ. — 18937,0 ათ. მან., 1964 წ. — 20098,0 ათ. მან., 1965 წ. — 21668,0 ათ. მან., ე. ი. 1965 წელს საპაიო შენატანების ოდენობა 1960 წელთან შედარებით 54,2 პროცენტით გაიზარდა.

ბ) ყოველწლიურად იზრდება ძირითადი საშუალებების ღირებულებებით მოცულობა და უმჯობესდება მისი სტრუქტურა; 1961 წელს იგი გაიზარდა 10705,9 ათ. მანეთამდე, ნაცვლად 1960 წლის — 9926,3 ათ. მანეთისა, ანუ 7,8 პროცენტით. 1962 წელს — 12067,0 ათ. მანეთამდე, ანუ 3,3 პროცენტით, ვინემ 1961 წელს, 1963 წელს — 15398,0 ათ. მანეთამდე, 27,6 პროცენტით, ვინემ 1962 წელს, ხოლო 1966 წელს — 17136,0 ათ. მანეთამდე, ანუ 11,3 პროცენტით, ვინემ 1963 წელს.

გ) მნიშვნელოვნად გაიზარდა საწესდებო ფონდების ღირებულება; ნაცვლად 1960 წლის 13853,4 ათ. მანეთისა 1963 წელს საწესდებო ფონდების ღირებულებამ 17865,0 ათ. მანეთი შეადგინა, ანუ გაიზარდა 29 პროცენტით, ხოლო 1966 წლისათვის 19573,0 ათ. მანეთი შეადგინა.

დ) რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციები წარმოების ორგანიზაციის სრულყოფისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლების შედეგად ყოველწლიურად მნიშვნელოვანი ოდენობით მოგებას იღებენ, წლების მიხედვით მიღებულია მოგება: 1960 წ. — 783,6 ათ. მან., 1961 წ. — 822,4 ათ. მან., 1962 წ. — 1160,0 ათ. მან., 1963 წ. — 1232,0 ათ. მან., 1964 წ. — 1152 ათ. მან., 1965 წ. — 1760 ათ. მან., 1966 წ. — 2599 ათ. მანეთი.

ე) რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაობს კოლმეურნეების, მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის დიდი რაოდენობა. 1966 წელს მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი 1280-ს უდრიდა. აქედან 1154 ქალი იყო. მომუშავეთა საერთო რაოდენობიდან მუშების რიცხვი 10269-ს, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი 871 კაცს შეადგენდა.

მომუშავეთა სიობრივი შემადგენლობის ხელფასის წლურით (ფაქტიური) ფონდი 14211,0 ათ. მანეთს უდრიდა.

საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი კავშირების ძირითადი საშუალებები რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდების მიმართ დაახლოებით 2,5% -ს შეადგენს.

უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობათაშორისმა წარმოებამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკვირა რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივ წარმოებაში. ამ ეტაპზე კოლმეურნეობებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაახლოებით 70-80 პროცენტს მხოლოდ კოლმეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციები ახორციელებენ.

საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციებს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიმართ სოფ-

ლის მეურნეობის ცალკეული დარგების წარმოების მიხედვით ჯერ კიდევ მცირე, მაგრამ მაინც საყურადღებო ხვედრითი წონა უჭირავს.

კოლმეურნეობებთან შედარებით კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციების ხვედრითი წონა მეცხოველეობის დარგში როგორც ცალკეული სახის პირუტყვის სულალობის, ისე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ 0,8-1,5 პროცენტს არ აღემატება. მეფრინველეობის დარგში კოლმეურნეობათაშორისი მეფრინველეობის ხვედრითი წონა კოლმეურნეობრივი მეფრინველეობის დაახლოებით 35%-ს, ხოლო საბჭოთა მეურნეობრივი მეფრინველეობის 45%-ს შეადგენს.

კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების ცალკეული ქვედარგების მიხედვით დამკვიდრება და განვითარება სოფლისმეურნეობრივი წარმოების სპეციალიზაციის შემდგომ გაღრმავებას იწვევს. ამავე დროს ხელს უწყობს სოფლისმეურნეობრივი შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გადაქცევას.

კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების განვითარება მოწმობს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესის გაძლიერებას კოლმეურნეობებში, რაც ქმნის შესაძლებლობას სრულყოფილად გამოყენებული იქნეს კოლმეურნეთა რეზერვები და შესაძლებლობანი სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაუმჯობესებისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდისათვის.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

## ოთარ ჩიქოვანი

### ქ. ფოთის წყალდიდობისაგან ღაცვის ისტორიისათვის

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მელიორაციული სამუშაოები საქართველოში ფართო მასშტაბით გაიშალა. დაიწყო მუშაობა დანგრეული არხების აღდგენის, ძველი არხების გადაკეთებისა და ახალ სარწყავ ნაგებობათა აშენებისათვის. 1922-1924 წლებში საქართველოს მიწათმოქმედების რაიონებში გაყვანილი იქნა 145 ვერსის სიგრძის სარწყავი არხები, რომლებიც რწყავდა 46 500 ჰექტარ მიწას<sup>1</sup>.

საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე დიდი ყურადღებით მოეკიდა კოლხეთის დაბლობის დაშრობის პრობლემის გადაწყვეტას. საქართველოში დიდ სამამულო ომამდე ჩატარებულ მელიორაციულ სამუშაოებს შორის ყველაზე გრანდიოზული იყო კოლხეთის დაბლობის დასაშრობი სამუშაოები.

კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობად ჩატარებულ პიდროტექნიკურ სამუშაოთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ღონისძიებანი, რომლებიც ჩატარდა ქ. ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავად. როგორც ცნობილია, საუკუნეების განმავლობაში წყალდიდობა ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა ქალაქ ფოთის მოსახლეობას. „ფოთის მომავალი თითქმის არავის სწამს, — წერდა ნიკო ნიკოლაძე 1871 წელს, — „ღღესა ვართ, ამბობენ ფოთელები, ხელ არაო“. ხან რიონი მოდიდებდა და ფოთის ჭაობებზე ვადივლის, ხან პალიასტომის ტბისაგან გამომავალი კაპარჭინა ვადივლის ზედ, ხან ზღვის ქარი ახდის სახლების სახურავს და სრულ მეპატრონედ გატრიალ-გამოტრიალდება სადგომებში, ხან ნისლი დამალავს მთელ ქალაქს, ხან მზე გადაწვას დაუპირებს. რა იყო ფოთი ამ თხუთმეტი წლის წინათ? არც მარჯვნივ, არც მარცხნივ არაფერი სჩანდა წყლისა და ტყის მეტი. ზეით საძაგლათ მოღრუბლული ცა ეფარა კაცს თავზე და ქვემოთ შესაზიზღებელი ჭაობი ჰქონდა, რომელშიაც ფეხი ივლებოდა კაცის უნებურათ“<sup>2</sup>. „ფოთის ადგილ-მდებარეობის უცუდესი მხარე ის არის, — წერს ნ. ნიკოლაძე შემდეგ, რომ ის მეტად დაბალი და ჭაობიანია; დიდი წვიმებისა და რიონის წყალდიდობის დროს ქალაქი წყლით სავსეა. მე მითხრეს, რომ როდესაც რიონი ვადივლის თურმე, წყალს შემოაქვს ხშირად ეზოებში და სახლების ქვეშ პატარა თევზები, მაგალითად, კობრები, რომელთაც ხელით იჭერენ. რასაკვირველია, ამისთანა დაცემულს და წყლიან ადგილს მეტად ნოტიოვანი ჰავა აქვს. პირველ შეხედვით, კაცი იტყვის, რომ ეს ხოლერის და ყველა გვარი ციებ-ციხელების ბუდე უნდა იყოსო, და მართლაც აქაური ჰავა კარგი არ არის“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, ნაწ. 3, თბილისი, 1967, გვ. 56.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1962, გვ. 549-550.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 448.



თავისი მასშტაბითა და მიყენებული ზარალის რაოდენობით ყველა წყალდიდობებზე სულ სტიქიურ უბედურებას აღემატებოდა ის წყალდიდობები, რომლებიც თავს დაატყდა ფოთს 1895 და 1922 წლებში.

1895 წლის 30-31 ოქტომბერს გამუდმებულმა წვიმებმა და ნიაღვრებმა აადიდა მდინარეები. წყალმა ააოხრა ნიგოთის, ლანჩხუთის, ჯურჯეთის მამულები. რიონიდან ნიაღვარი გადავიდა პალიასტომის ტბაში, აქედან მდ. კაპარჭინაში, რომელმაც გაგლიჯა დამბები და მოედო ფოთის ქუჩებს. 31 ოქტომბრის ნაშუადღევს 2 საათისათვის მთელი ქალაქი დაიფარა წყლით. 31 ოქტომბერს დამით წყალმა უფრო იმატა და 1 ნოემბერს დიდ-დიდი მდინარეები მიდიოდა ქუჩებში. მდ. კაპარჭინის მხრიდან წყალს მოჰქონდა შეშა, ფიცარი, ტივები, დიდი ხეები.

წყალდიდობის შედეგად ფოთს დიდი ზარალი მოუვიდა. „დღეს ფოთი წარმოადგენს მტრისაგან აკლებულ ქალაქს... დიდი ზარალი მიეცა სამხერხაოების მექარხნეებს და მეშეშეებს; ზარალი თვით ქალაქისა ერთობ დიდია, რადგან ქუჩები დააფუჭა, სამოცამდე რკინის ფარნები დაღწა და წააქცია, ბოგირები დაგლიჯა და წაახდინა“<sup>4</sup>.

ქალაქის თავმა ნ. ნიკოლაძემ ოპერატიული ზომები მიიღო ხალხის გადასარჩენად. 2 საათის განმავლობაში ქუჩები აივსო ნავეებით, ფელუკებით. წყალს შეებრძოლა ყველა, ვისაც კი შეეძლო, ფელუკებითა და ნავეებით ხალხი გადაჰყავდა და აბინავებდა სადგურის ოთახებში, ყაზარმებსა და ვაგონებში. ხალხი დაისხნეს და აღმოუჩინეს დახმარება. შედგა კომიტეტი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის თავმჯდომარეობით ფოთის ღარიბთა და დაზარალებულთა დასახმარებლად<sup>5</sup>.

ნ. ნიკოლაძე დიდი მონდომებით შეუდგა წყალდიდობისაგან ფოთის დასაცავი ღონისძიებების განხორციელებას. მდ. რიონზე აგებული იქნა ახალი დამბა (ხლუდე) 1014 მ სიგრძისა და შეკეთებული იქნა ძველი მიწისავე დამბა 724 მეტრის სიგრძით; მდინარე კაპარჭინაზე აგებული იქნა ახალი დამბა სიგრძით 820 მეტრი და შეკეთდა ძველი—სიგრძით 1331 მეტრი; მდ. კაპარჭინაში და რიონში — თითოეულში კემენტის 7 ახალი საგუმბარი ააშენეს. გარდა ამისა 7 კილომეტრისა და 752 მეტრის მანძილზე გაიყვანეს არხები (1,5 მეტრიდან — 6,5 მეტრამდე სიფართით) რათა კაპარჭინისა და პალიასტომის წყალი მოვარდნის დროს თავისუფლად შერთვოდა რიონსა და შავ ზღვას. თავისი პირდაპირი დაწინაურების გარდა ამ არხებმა დიდი სამსახური გაუწია ფოთელებს ჭაობების ამოშრობის საქმეშიც<sup>6</sup>.

ივერიის კორესპონდენტმა ნ. ნიკოლაძის დამსახურებას სტიქიასთან ბრძოლაში ასეთი შეფასება მისცა: „რა არ შეუძლიან ზეგარდმო ნიჭით მომადლებულს ადამიანსა? ხალხს ყოველთვის სჭიროდა და სჭირია პრომეთეოსი, რომ ასე გასინჯეთ, თვით ღმერთებსაც კი წაართვას ცეცხლი. ხალხი გაათბოს უმეტესად. ასეთი ბელადი იყო ამ საშინელ დღეს ბატონი ნიკო ნიკოლაძე. თავგანწირულებამ ქალაქის მოურავისამ ხალხს სული ჩაუდგა, გაამხნევა და შეაჭრა ბუნების მოვლენას“<sup>7</sup>.

<sup>4</sup> გაზ. „ივერია“, 1895 წ., № 254.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 341.

<sup>7</sup> გაზ. „ივერია“, 1895 წ., № 254.

გამანადგურებელი შედეგებით აღინიშნა აგრეთვე წყალდიდობა, რომელიც 1922 წლის 22-26 ოქტომბერს თავს დაატყდა დასავლეთ საქართველოს მახრებს (იმერეთს, გურიას, სამეგრელოს).

ბევრ ადგილებში მდინარეებმა გადახეთქეს კალაპოტებში და მოედვნენ ახლომდებარე სოფლებს. მთელი რაიონები წყალქვეშ იყო მოქცეული: დაინგრა სახლები, წყალმა წალეკა სიმინდის ყანები, დაახრჩო დიდძალი საქონელი და შინაური ფრინველი; წაიღო ხიდები, წისქვილები და სხვ. იყო ადამიანთა მსხვერპლიც<sup>8</sup>.

27 ოქტომბერს ღამის 10 საათზე წყალდიდობამ ქ. ფოთს უწია. პალიასტომის ტბიდან მოზღვავებულმა წყალმა გადმოხეთქა დამბები და ელვის სისწრაფით გადაეშვა შუაგულ ქალაქში. წინა დღეებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შემოიარეს თითქმის ყველა რაიონი, მოქალაქეთ ამცნეს მოსალოდნელი საფრთხე, დანუგეშეს და აღუთქვეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველ ღონისძიებას იხმარდა, რომ არც ერთი მოქალაქე არ გამხდარიყო მსხვერპლი ამ სტიქიური მოვლენისა<sup>9</sup>.

ფოთის აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით სასწრაფოდ შედგა წყალდიდობის წინააღმდეგ ზომების მიღები კომისია, რომელიც დაიყო 3 ქვეკომისიად. ერთ ნაწილს ამ კომისიის დაევალა მდ. კაპარჭინის დამბის და საგუბრების შემაგრების საქმე და მთელი სანაოსნო საშუალებების მობილიზაცია; მეორე ნაწილს დაევალა რაიონზე ხიდების თვალყურის დევნება. ამავე კომისიას დაევალა ზრუნვა ქალაქის ერთი ნაწილის — „ნაბადას“ უბნის მცხოვრებლებზე, რომლებსაც საშინაოება მოელოდათ რაიონის მხრით რკინიგზის სადგურიდან მე-7 ვერსზე გადახეთქვის დროს. მე-3 ქვეკომისიას ევალებოდა ზრუნვა მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფაზე.

კომისია სასწრაფოდ შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას:

მიუხედავად ქალაქის მოსახლეობის და ხელისუფლების მიერ მიღებული ზომებისა, ქალაქი 2 საათის განმავლობაში გაივსო წყლით. ქუჩებზე ყველგან დაუბრკოლებლივ დაცურავდნენ დიდი ზომის ნავები და დაბალ და ფარალალა სახლებში მცხოვრებნი სასწრაფოდ გადაჰყავდათ უფრო საიმედო ადგილებზე. 27 ოქტომბერს წყლის დონემ ქალაქში 1 მეტრსა და 80 სმ-ს მიაღწია. წყლის დენა ყველა ქუჩაზე ისე ძლიერი იყო, რომ ნავები დიდი გაჭირვებით მოძრაობდნენ.

მდ. რიონმა წალეკა ჩრდილო ტოტის დროებითი ხიდი და გაგლიჯა აგრეთვე შუა ნაწილი მალთაყვის ხიდისა, რომელიც ერთადერთი შემაერთებელი იყო ქ. ფოთისა და მის რაიონისა გურიასთან.

მიღებული ზომების წყალობით ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა, დაიღუპა დიდძალი პირტყვი, წყალმა წაიღო რამდენიმე სახლი, აუარებელი ხე-ტყის მასალა, გაანადგურა ქალაქის ბაღები, სურსათ-სანოვაგე ქალაქის მდინარეებში სრულიად განადგურდა. ზარალი დიდი იყო.

მცხოვრებთა საკვებად კომისიის დადგენილებით იხარჯებოდა სასურსათო კომისარიატის და რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომისარიატის სასარგებლოდ ფოთში დაგროვილი პურის ფქვილი, ვინაიდან ქალაქში სხვა საშუალება

<sup>8</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 2 ნოემბერი.

<sup>9</sup> იქვე, 11 ნოემბერი.

არ იყო. მთელ ქალაქს მოედო მალარია და გაცივებით გამოწვეული მრავალი სხვაგვარი ავადმყოფობა<sup>10</sup>.

საქართველოს სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1922 წლის 5 ნოემბერს მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის ყველა მცხოვრებს, მუშებსა და გლეხებს, რათა დახმარება გაეწიათ წყალდიდობისაგან დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის. „საბჭოთა საქართველო დღეს ძალიან მძიმე და უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა, — ნათქვამი იყო მოწოდებაში — უნდა მოეწყოს დაზარალებულ გლეხკაცობის დახმარების საქმე. ამისათვის დიდძალი თანხებია საჭირო. საბჭოთა მთავრობამ უკვე მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, მაგრამ ამისათვის საკმარისი რესურსები არ მოეპოვება. საჭიროა რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს ამ სახსარის გამოძებნა სხვაგვარი საშუალებებით. ჩვენ ვიცით, რომ ყველა რაიონები არ დაზარალებულა ამ უკანასკნელი წყალდიდობით, როგორც მაგ., კახეთი და ქართლის ნაწილი. საჭიროა, რომ არა დაზარალებული მაზრების გლეხკაცობამ თავის თავად გაუწიოს დახმარება დაზარალებულ რაიონებს. ამასთან ერთად საჭიროა ეხლავე შეუდგეთ ყველგან შემოწირულებათა შეგროვებას ფართო მასშტაბით. ამ საქმეში უნდა ჩაებან საბჭოთა და პარტიულ-პროფესიონალური ყველა ორგანიზაციები, ყველა სახალხო კომისარიატები, პროფკავშირთა საბჭო და სხვ.“<sup>11</sup>.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ასეთივე მოწოდებით მიმართავდა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მუშებსა და გლეხებს.

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა თავის 1922 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე, რომელსაც ფილიპე მახარაძე თავმჯდომარეობდა, დაადგინა მიეცათ წყალდიდობისაგან დაზარალებული მაზრებისა და ქალაქებისათვის სასწრაფო დახმარება — 5 500 000 000 მან.<sup>12</sup>

დახმარების ხელი გამოუწოდა საქართველოს საფრანგეთის „წითელმა ჯვარმაც“, რომელმაც შემოსწირა საქართველოს „წითელ ჯვარს“ 3 905 ფუთი კონსერვი და სხვა სანოვავე. ეს შემოწირულება გადაეცა საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს<sup>13</sup>.

მიუხედავად ეკონომიური სიძნელეებისა, რასაც ქვეყანა განიცდიდა, საბჭოთა ხელისუფლებამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი წყალდიდობისაგან ქ. ფოთის დაცვის სამუშაოებს.

1923 წ. იანვ. ი. გ. ზუნტურიდის მიერ ჩატარებული იქნა სადაზვერვო კვლევადიებითი სამუშაოები მდ. რიონსა და სუფსას შორის. სადაზვერვო სამუშაოების მიზანი იყო გამოკვლევა იმ მიზეზებისა, რომლებიც იწვევდა ქ. ფოთის წყლით დაფარვას, დატბორვას. მუშაობა მიმდინარეობდა ამიერკავკასიის ნავსადგურების განყოფილებისა და ფოთის აღმასკომის სახსრებითა და ინიციატივით. 1923/24 წწ-ში ამ საქმეზე დაიხარჯა 6 817 მან. 10 კაპ.

1924 წ. აკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსის განკარგულებით ჭალადილი-ცივის ჭაობების რაიონში ვათხრილი იქნა ორი დამშრობი არხი. მაგრამ იმის გამო, რომ სამუშაო შესრულდა ყოველგვარი გამოკვლევისა და პროექტის გარეშე, არხები არ გამოდგა და მათი გამოყენება შემდგომში შეუძლებელი შეიქნა<sup>14</sup>.

<sup>10</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1922 წ., 4 ნოემბერი.

<sup>11</sup> იქვე, 5 ნოემბერი.

<sup>12</sup> იქვე, 31 ოქტომბერი.

<sup>13</sup> იქვე, 12 დეკემბერი.

<sup>14</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფ. 591, ანაწ. 1, საქმე 7, ფურც.1.



გამოკვლევებით დადასტურდა რომ წყალდიდობის დროს ფოთს მთავარ საფრთხეს უქმნიდა პალიასტომის ტბა, რომელშიც გადადიოდა ადიდებული რიონის წყლები. ამ წყლების პალიასტომის ტბიდან ზღვაში სწრაფად ჩასადენად გადაწყდა დამატებით მოკლე შესართავი არხის გათხრა. ამრიგად, ზედმეტი წყლები პალიასტომის ტბიდან ზღვაში ჩაედინებოდა არა მარტო გრძელი და ვიწრო კალაპოტის მქონე კაპარჭინით (8-9 კმ), რომელიც ბუნებრივად გამოედინება პალიასტომიდან, არამედ მოკლე შესართავითაც<sup>15</sup>. ამ ახალი შესართავი არხის მშენებლობა დაიწყო 1925 წლის მარტში და დამთავრდა იმავე წელს. არხის სიგრძეა 587.08 მ, ხოლო მის ამოსაღებად შესრულებული მიწის სამუშაოების რაოდენობა შეადგენდა 55.487 კუბ. მ-ს. ამ მოკლე შესართავი არხის გათხრით მოიხსნა საშიშროება წყალდიდობის დროს პალიასტომის ტბაში წყლის დონის საშიში აწევისა და ფოთის დატბორვისა. 1924-25 წწ-ში დაიხარჯა 151 758 მან. 64 კაპ.<sup>16</sup>

გარდა მოკლე პირდაპირი შესართავი არხის გაყენისა, ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავად 1925 წლის მაისში ჩატარდა გამოკვლევები და შედგა პროექტი ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავი მიწაყრილისა; ეს მიწაყრილი (სიგრძით 5 1/2 კმ.) უნდა შემოეკლათ ქალაქისათვის პალიასტომის ტბისა და მდ. კაპარჭინის მხრიდან. იმავე წლის ივნისში დაიწყო მიწის სამუშაოებიც.

იმის გამო, რომ სამუშაო პირობები ძალზე მძიმე და არახელსაყრელი იყო (არ ემაროდა მუშახელი, რიონის წყალი ხშირად ფარავდა ღია კარიერს, საიდანაც იღებდნენ მიწას) წყალსაცავი მიწაყრილის მშენებლობა, 1927 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა. აყალი მიწის ურმებით<sup>17</sup> ეზიდებოდნენ, 2 კმ და 675 მეტრზე კი მიწის ზიდვა ხდებოდა ორთქლმავლებითაც, რომელსაც ება 54 თვიომცლელი ვაგონები<sup>18</sup>.

წყალსაცავი მიწაყრილის მშენებლობა დამთავრდა 1927 წელს. სამუშაოთა შემფასებელი კომისიის დასკვნით (1927 წ. 1 სექტემბერი) მიწაყრილის სამუშაოები შესრულებული იყო კეთილსინდისიერად, საპროექტო მოცემულობათა დაცვით. მიწაყრილი აგებული იყო 5.73 კმ სიგრძისა; მისი სიგანე ზემო ნაწილში შეადგენდა 3,2 მეტრს და მთელ სიგრძეზე დაფარული იყო მწვანე საშოვლით. მიწაყრილის მშენებლობაზე შესრულდა სულ 53 162,25 კუბ. მ მიწის სამუშაო და ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 133 000 მანეთი<sup>19</sup>.

შემდგომმა გამოკვლევებმა ნათელი გახადა, რომ ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავად ჩატარებულ სამუშაოები საკმარის გარანტიას არ იძლეოდა მომავალში საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აუცილებელი შეიქმნა მდ. რიონის კალაპოტისათვის მიმართულების შეცვლა, ქალაქისათვის გვერდის ავლა. კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ წყლის ჰორიზონტი მდ. რიონში ატმოსფერული ნალექების გამო ბატონობდა ქალაქის წყლის საწრეტი არხების დონეზე, რის მიზეზითაც ხდებოდა ნაწვიმარი წყლების დაჟებება, დაჭაობება და მალარიის ზრდა, მასთან ხშირი წყალდიდობაც.

რიონის ახალ კალაპოტში გადაგდება აუმაჯობესებდა ქალაქის სანიტარულ პირობებს, ხელს უწყობდა ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ჭაობების დაშრობას, საწრეტი და მაგისტრალური არხების ნორმალურ მოქმედებას, წყალსადე-

<sup>15</sup> იქვე, ფ. 675, საქმე 391, ფურც. 48.

<sup>16</sup> იქვე, ფ. 591, ანაწ. 1, საქმე 7, ფურც. 1-4.

<sup>17</sup> ფოთის საქალაქო არქივი, ფ. 39, ანაწ. 1, საქმე 86, ფურც. 98.

<sup>18</sup> იქვე, საქმე 4, ფურც. 22. <sup>19</sup> იქვე, საქმე 32, ფურც. 122-144.

ნის გაყვანას, მალარიის მოსპობას და ფოთის საკურორტო რაიონად გადაქცევას<sup>20</sup>.

მდ. რიონის ახალ კალაპოტში გადაგდების ტექნიკური პროექტი დამტკიცებული იქნა სსრკ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის. სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს მიერ 1934 წ-ის 9 აგვისტოს სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრა (საორიენტაციოდ) 60 000 000 მანეთით<sup>21</sup>. ამ პროექტის მიხედვით ჩატარებული სამუშაოების შედეგად მდ. რიონმა იცვალა თავისი საუკუნეობრივი დინება, გვერდი აუარა ფოთს შესართავიდან მე-7 კმ-ზე და ქალაქის ჩრდილოეთით 5,5 კილომეტრზე 70 მეტრიანი სიგანის არხით შეუერთდა შავ ზღვას.

რიონის ახალ კალაპოტში გადაგდების სამუშაოები დასრულდა 1939 წელს<sup>22</sup>. ამოღებული იქნა 6 მილიონი კუბ. მ მიწა. ამ ვეებერთელა არხზე საჭირო შეიქნა რკინიგზის ახალი ხიდის აგება (სიგრძე 408 მ)<sup>23</sup>. ამ ხიდის მშენებლობა დაჯდა 14 მილიონი მანეთი<sup>24</sup>.

მდ. რიონის ახალ კალაპოტში გადაგდებით ქ. ფოთს საბოლოოდ მოეხსნა წყალდიდობის საფრთხე, გაუმჯობესდა ქალაქის სანიტარული პირობები და შესაძლებელი შეიქნა 1 500 ჰექტარი მიწის ფართობის სოციალისტური მეურნეობისათვის გამოყენება.

\* \* \*

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს უხვი აგროკლიმატური პირობები მთელი სისრულით არ იყო გამოყენებული. ციტრუსების კულტურას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამდე შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი განვითარებისათვის დიდი ბუნებრივი შესაძლებლობა იყო. 1913 წ-ს ციტრუსოვანი კულტურების (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი და სხვ.) ფართობი 500 ჰექტარს შეადგენდა. მენშევიკების დროს ეს ფართობი კიდევ უფრო შემცირდა და 375 ჰექტარამდე დავიდა<sup>25</sup>.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ციტრუსოვანი კულტურების განვითარება საქართველოში ფართო მასშტაბით გაიშალა. სუბტროპიკულ კულტურათა განსავითარებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კოლხეთის ჭაობების ამოშრობას, რაც ნათლად ჩანს ფოთისა და მისი მიდამოების, მთელი რაიონის მაგალითზეც. 1921 წლიდან დაწყებული 15 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობამ მიიღო სპეციალური განხრა — მაღალხარისხოვანი და ძვირფასი კულტურების განვითარებისაკენ; საქართველო იქცა საბჭოთა კავშირის უადრესად მნიშვნელოვან რაიონად — ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკულ მცენარეთა რაიონად. 1936 წ. ციტრუსების ფართობმა საქართველოში 3 300 ჰექტარს მიაღწია. 1935 წ. საქართველოში დამზადებულ იქნა 200 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, ნაცვლად 1931 წლის 77 მილიონისა<sup>26</sup>.

<sup>20</sup> გაზ. „მშენებარე კოლხიდელი“, 1936 წ. 9 თებერვალი.

<sup>21</sup> ფოთის საქალაქო არქივი, ფ. 39, ანაწ. 1, საქმე 1237, ფურც. 2.

<sup>22</sup> А. Ф. Биркяя, Методы мелиорации болот и засоленных земель влажных субтропиков Колхиды, Тбилиси, 1960, გვ. 240, (სადოქტორო დისერტაცია).

<sup>23</sup> ფოთის საქალაქო არქივი, ფ. 39, ანაწ. 1, საქმე 1015, ფურც. 8.

<sup>24</sup> გალ. მინდაძე, სუბტროპიკული კულტურების ბაღნარი კოლხიდაში, ჟურნ. „ტექნიკა და შრომა“, თბილისი 1934 წ. მაისი, № 5(81), გვ. 201 (33).

<sup>25</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1936 წ. 20 თებერვალი.

<sup>26</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1936 წ. 20 თებერვალი.

ისევე როგორც მთელ საქართველოში — ფოთის რაიონშიც ციტრუსოვანი კულტურების დარგვა-გაშენებლს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შემოთხვეუთი ხასიათი ჰქონდა. მხოლოდ ცალკეულ საკარმიდამო ნაკვეთებზე შეხედებითი ციტრუსებს, ლევს, ბროწეულს, დაფნას, ბერძნულ თხილსა და ატამს; მაგრამ მათ სამრეწველო მნიშვნელობა არ ჰქონდათ და ძლივს აკმაყოფილებდნენ თვით ვლებჩის ოჯახის მოთხოვნილებას.

1924-25 წლების ზამთრის ძლიერმა ყინვებმა გაანადგურეს ციტრუსების ნარგავები ფოთსა და მის რაიონში. მიუხედავად ამისა მოსახლეობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი მის გაშენებას. 1933 წლამდე ფოთის რაიონში ციტრუსების ნარგავების ფართობი 17,5 ჰექტარს შეადგენდა. 1933 წლიდან სწრაფი ტემპით დაიწყო ციტრუსების განვითარება, კერძოდ დაჭაობებისაგან ახლად განთავისუფლებული მიწების ხარჯზე.

1933 წ. ქ. ფოთის გარეუბანში კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო სადგურმა მისთვის მიცემული მიწის ნაკვეთიდან გამოჰყო 240 ჰექტარი ფართობი გრეიბფრუტის გასაშენებლად. ამ ფართობზე მოწყობილ იქნა საბჭოთა კავშირში ერთადერთი გრეიბფრუტის სპეციალური საბჭოთა მეურნეობა<sup>27</sup>.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ამერიკელებმა ბაზარზე გამოუშვეს ახალი ციტრუსოვანი ნაყოფი გრეიბფრუტი, რომელიც ძლიერ განსხვავდებოდა არსებულ ციტრუსოვანთაგან — ლიმონის, ფორთხალისა და მინდარინისაგან, იგი ამათგან ძირითადად თავისებური გემოთი განსხვავდება. გრეიბფრუტში შეერთებულია სიტკბო, სიმკავე და სიმწარე. გრეიბფრუტის სამრეწველო გაშენების სამშობლოდ ითვლება ფლორიდა და ამერიკის ეს შტატი დღემდის მისი წარმოების ჰეგემონი და მონოპოლისტია.

ჩვენში გრეიბფრუტი, ან უფრო სწორად მისი ძალიან მაზღობელი ნათესავი „პამპელმუსი“ შემოიტანა იქნა იაპონიიდან 1895 წ-ს კლინგენისა და კრასნოვის ექსპედიციის მიერ. შავი ზღვის სანაპიროს პირობებში პამპელმუსმა ჩინებულად იხერია და ჰავასაც კარგად შეეგუა.

ნამდვილი გრეიბფრუტის — სელექტირებული ხარისხოვანი პამპელმუსის ორი ნერგი სოხუმში შემოიტანა აკად. ნ. ი. ვავილოვმა 1928 წ-ს. ამ ხეებმა მთლიანად დაადასტურა მისი ჩინებული განვითარების შესაძლებლობა ჩვენში<sup>28</sup>.

1933 წ. ამერიკიდან ფოთში შემოიტანეს გრეიბფრუტის ნერგები. იმავე წელს გრეიბფრუტის საბჭოთა მეურნეობის ამოშრობილ ნაკვეთზე დარგული იქნა 3 000 ცალი ორწლიანი გრეიბფრუტი. ამ ნერგების მოვლა-პატრონობა და სრული აგრონომიული ხელმძღვანელობა დაეკისრა კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო სადგურს (აგრონ. პ. კორძაას). ამერიკელი სპეციალისტების ვარაუდით, გრეიბფრუტი სპეციფიკური ხასიათის მცენარეა და იგი არსად იხერებსო გარდა ფლორიდისა. ევროპაში გრეიბფრუტის აკლიმატიზაციის ცდამ ვერ გამოიღო დადებითი ნაყოფი. საბჭოთა აგრონომების ენერგიამ და მეცნიერულმა მომზადებამ თავისი შედეგი გამოიღო — გრეიბფრუტმა კოლხეთის დაბლობზე იხარა<sup>29</sup>.

<sup>27</sup> ვაზ. „მგზნებარე კოლხიდელო“, 1941 წ. 15 მაისი.  
<sup>28</sup> ვაზ. „მგზნებარე კოლხიდელო“, 1936 წ. 9 თებერვალი.  
<sup>29</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1937 წ. 20 ოქტომბერი.



გრეიფერუტის პირველი ნაყოფი საბჭოთა მეურნეობაში 7 ცალის რაოდენობით 1934 წ. იქნა მიღებული. ის საესებით შეეფერებოდა ამერიკულ სამრეწველო სტანდარტს, როგორც ფორმით, ისე გემოთი. 1935 წ-ს მოიკრიფა 80 ცალი, 1936 წელს კი 400 ცალი გრეიფერუტ<sup>30</sup>. 1937 წ-ს გრეიფერუტის ნაყოფს პირველად მიეცა სამრეწველო მნიშვნელობა. ამ წელს მოიკრიფა 25 000 ცალი გრეიფერუტის ნაყოფი. 13 დეკემბრისათვის უკვე მოკრეფილი იყო 8 ათასი გრეიფერუტის ნაყოფი, აქედან 5 ათასი გადასამუშავებლად გაეგზავნა ქუთაისის საკონსერვო ქარხანას, 3 ათასი კი კონსერვაციის ტრესტს თბილისში<sup>31</sup>.

1935 წლის დამდეგს საიმპორტო მასალის ნერგებს მიემატა 10 ჰექტარი უკვე საკუთარი მასალა, ხოლო 1934 წლის შემოდგომაზე კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო სადგურმა კვირტით ამყნო 25 000 ცალი გრეიფერუტის ნერგი. ფოთის გრეიფერუტის საბჭოთა მეურნეობა საესებით დაეუფლა გრეიფერუტის კულტურის შექმნისა და ორგანიზაციის ტექნიკას და მან უკვე თავისი ძალეობით 1935 წლის ზაფხულში კვირტით ამყნო 60 000 ცალზე მეტი გრეიფერუტის ნერგი, რომლებმაც მომდევნო წლებში შექმნეს დამატებით გრეიფერუტის ახალი ფართობები<sup>32</sup>. ყოველივე ამის შედეგად ფოთის გრეიფერუტის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც 1933 წელს 3,5 ჰექტარი ეკავა 1937 წლის ბოლოსათვის 53 ჰექტარზე იყო გადაჭიმული. გრეიფერუტელებმა 1938 წ. სახელმწიფოს ჩააბარეს 42 000 ცალი ნაყოფი, ხოლო 1939 წ. კი 138 000 ცალი<sup>33</sup>. გარდა გრეიფერუტისა, მეურნეობაში ნახევარი ჰექტარი გამოყოფილი ჰქონდათ საცდელ ფართობად აქ სწავლობდნენ ტუნგოს, ფეიხოსს, ფორთოხას, ავკადოსსა და მრავალი სხვა სუბტროპიკული კულტურის კოლხიდაში აკლიმატიზაციის პრობლემებს.

1935 წ-ს ქ. ფოთის გარეუბანში (ახალსოფელი) გრეიფერუტის საბჭოთა მეურნეობის ახლოს აშენდა ტორფ-პულდრეტის ქარხანა, რომლის მეურნეობასაც მანინ 2 ჰექტარი ფართობი ეკავა. შემდგომ წლებში ქარხნის მუშაობისათვის ინიციატივით დააშრეს ახლმდებარე ჭაობები, რომლებიც უმთავრესად ზღვის ნაპირს ეყვრება. მეურნეობის ფართობი 2 ჰექტარიდან 200 ჰექტარამდე გაიზარდა. ბარდ-ეკალის და ლაქაშის ადგილი დაიკავეს ნარინჯოვანმა მცენარეებმა. დაირგო 23 700 ძირი ლიმონი, 1 440 ძირი მანდარინი, 399 ძირი ფორთოხალი და 100 ძირი გრეიფერუტი, 50 000 ძირი ევკალიპტის ხე, აგრეთვე კეთილშობილი დაფნა, ლეღვი და სხვ. ასეთი წარმატებებისა და მეურნეობის სიმძლავრის ზრდის გამო შემდგომი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით 1939 წ-ს ამ ბაზაზე შეიქმნა ციტრუსების ახალი საბჭოთა მეურნეობა „კოლხიდა“. ტორფ-პულდრეტის ქარხნის პატარა მეურნეობიდან წარმოიშვა კოლხეთის საკმაოდ დიდი საბჭოთა მეურნეობა. რომელიც თანდათან გაიზარდა და გაფართოვდა. 1939 წ. საბჭოთა მეურნეობა „კოლხიდა“ 1 000 ცალი ლიმონის ნაყოფი მიიღო. 1940 წლისათვის მთავრობამ მეურნეობას გაუხსნა 1 მილიონი მანეთის კრედიტი. შემდგომ წლებში ციტრუსოვანთა მოსავლიანობა მეურნეობაში კიდევ უფრო გაიზარდა<sup>34</sup>.

<sup>30</sup> იქვე, 15 დეკემბერი.

<sup>31</sup> იქვე, 13 დეკემბერი.

<sup>32</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1936 წ. 9 თებერვალი.

<sup>33</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1941 წ. 15 მაისი.

<sup>34</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1939 წ. 15 დეკემბერი.

როგორც გრეიზფრუტის საბჭოთა მეურნეობაში, ასევე საბჭოთა მეურნეობაში „კოლხიდაში“ დიდი ყურადღება ექცეოდა მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. საბჭოთა მეურნეობის მუშები უზრუნველყოფილი იყვნენ კულტურულად მოწყობილი საერთო საცხოვრებლებით<sup>35</sup>.

საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ, მუშათა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის საგრძნობლად ამაღლებამ დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. მეურნეობის მუშებს შორის ფართოდ იყო გაშლილი სტახანოვეური მოძრაობა. რამდენიმე სტახანოველი მუშა 1939 წ. მოსკოვში იყო გაგზავნილი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მეურნეობას მოწყობილი ჰქონდა წითელი კუთხე, გამოდიოდა კედლის გაზეთი. მუშებს შორის გაშლილი იყო კულტმასობრივი მუშაობა<sup>36</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ჭაობების ამოშრობის სამუშაოთა პარალელურად მიმდინარეობდა უკვე ამოშრობილი ადგილების ათვისება. ნაჭაობარ მიწებზე ჩნდებოდნენ ახალი კოლმეურნეობები, ახალი სოფლები. წლითწლივით იზრდებოდა კოლხეთის მცხოვრებთა რიცხვი.

საქართველოს მიწსაკომთან არსებულმა კოლხიდის დასახლების სამმართველომ 1937 წ. ფოთიდან 7 კმ-ის დაშორებით მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე დაიწყო ახალი სოფლის მშენებლობა. ეს ახალი სოფელი 4 კმ-ზე გადაიჭიმა. გზატკეცილის ორივე მხარეზე ჩამწკრივდა კოხტა ოდები; 120-მა ახალმა სახლმა დაამშენა მიდამო. ამ ახლად დაშრობილ მიწაზე 1938 წ. გადმოსახლდა 70 კოლმეურნე ამბროლაურის რაიონიდან და 50 ოჯახი გეგეჭკორის რაიონიდან<sup>37</sup>.

120-მა მშრომელთა ოჯახმა პირველად გამოიყენა მიწა, რომელიც კოლხეთის მშენებლებმა გამოსტაცეს საუკუნეობრივ ჭაობებს. თითოეულ მოსახლეს მიეცა ახლად აშენებული ლამაზად და კულტურულად მოწყობილი ორთავიანი სახლი თავისი საკარმიდამო ნაკვეთით. ახალ სოფელში გაიყვანეს ელექტროსინათლი, წყაროს წყალი, ააშენეს სკოლა და სამედიცინო პუნქტი. ახლად დასახლებული სოფელი ქ. ფოთის დაუკავშირდა რკინიგზითა და გზატკეცილით.

ახალი სოფლის მოსახლეობისათვის მთავრობამ მნიშვნელოვანი შეღავათები დააწესა. განსაკუთრებით ღნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ მოსახლეები ოდა სახლების საფასურის გადახდას დაიწყებდნენ მხოლოდ 15 წლის შემდეგ და ისიც მცირე პროცენტებით. კოლმეურნეობები და კოლმეურნეები თავისუფლდებოდნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან 3 წლით, ხოლო ერთპიროვნული მეურნეები 2 წლით<sup>38</sup>.

კოლხეთის ჭაობების ამოსაშრობად წარმოებულმა მუშაობამ ბრწყინვალე პერსპექტივები გადაშალა აქაურ მკვიდრთა წინაშე. საკოლმეურნეო ფართობებს შეემატა ნოყიერი, უხვმოსავლიანი მიწების მასივები. კოლმეურნეობებს შესაძლებლობა მიეცათ ხელი მიეყოთ ციტრუსოვან და ტექნიკურ კულტურათა უფრო ფართოდ განვითარებისათვის. ციტრუსოვანი და ტექნიკური კულტურები კოლხიდელ კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის სწრაფი აღმავლობის დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცა.

<sup>35</sup> გაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1937 წ. 8 იანვარი.

<sup>36</sup> იქვე, 1939 წ. 10 დეკემბერი.

<sup>37</sup> იქვე, 1938 წ. 15 თებერვალი.

<sup>38</sup> საქართველოს სსრ ცსა, ფ. 602, ანაწ. 1, საქმე 3903, ფურც. 6.

1941 წლამდე ფოთის რაიონში კოლხეთის ჭაობების ამოშრობის ბაზაზე გარდა „გრეიბფრუტის“, „კოლხიდის“ საბჭოთა მეურნეობებისა და პატარა ფოთის ახლად დასახლებული კოლმეურნეობისა ჩამოყალიბდა და განმტკიცდა კოლხიდმშენის ევკალიპტების სანერგე მეურნეობა, ნაბადასა და საბაჟოს კოლმეურნეობები.

ყოველწლიურად იზრდებოდა ციტრუსოვანთა ფართობებიც. 1933 წლიდან ფოთის რაიონში ეს ფართობი 30-ჯერ გაიზარდა და 1940 წლისათვის 943 ჰექტარს მიაღწია; ამ წელს მიღებული იქნა ციტრუსოვანთა უხვი მოსავალი, მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 3 მილიონამდე ციტრუსოვანთა ნაყოფი<sup>39</sup>.

<sup>39</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1940 წ. 12 ოქტომბერი.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ  
 ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო  
 მუზეუმმა)



### გურამ მაისურაძე

## ქართული და სომეხი ხალხების სამეურნეო-კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეებში

ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო-კულტურულ თანამშრომლობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ასეთი მტკიცებისათვის საფუძველს იძლევა მეზობელი ხალხების ენაში დამოწმებული ძირითადად ერთგვაროვანი სამეურნეო ტერმინოლოგია, რაც მხოლოდ ხანგრძლივი სამეურნეო თანამშრომლობის ნიადაგზე შეიძლებოდა გაჩენილიყო. ქართულ-სომხური საერთო ხმარების ისეთი სიტყვები, როგორცაა „ბარი“, „თოხი“, „გუთანი“, „ფოცხი“, „კალო“, „ოჩხარი“, „საუნჯე“ და „უნჯე“ ძირიდან ნაწარმოები სხვა სიტყვები ორივე ენაში თავიდანვე ერთსა და იმავე საგნებს აღნიშნავდა, ქართველი და სომეხი გლეხი ხენის დროს შესრულებულ სიმღერას ერთნაირად ეძახდა „ორთველას“; ასევე საერთო სახელი იყო „მუშაკი“, რომელიც სოფლის მეურნეობაში ძირითადი სამუშაოების შემსრულებელ პირს ეწოდებოდა.

ორივე ტერმინები საშუალებას გვაძლევენ არა მარტო აღვნიშნოთ სამეურნეო ურთიერთობის არსებობა მეზობელ ხალხებს შორის. არამედ ვავითვალისწინოთ ამ ურთიერთობის ხასიათიც. სპეციალისტების აზრით (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩიტაია, ი. აბულაძე, ჰ. აჭარიანი, ს. მაღასასიანი, ე. დოჩინაშვილი და სხვები) აქ მოტანილი სამეურნეო ტერმინების უმეტესი ნაწილი ქართულიდანაა სომხურში შესული.

თოხისა და ბარის ტიპის იარაღები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მომდინარეობს, დაწყებული ხის და რქის თოხებიდან რკინაფოლადის თოხამდე. ბართან შედარებით თოხი უფრო მთის ზოლში იყო გავრცელებული<sup>1</sup>. ბარი სათხრელი იარაღი იყო. ასეთადაა ის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსანშიც“<sup>2</sup>. ასეთივე დანიშნულების იარაღი იყო სომხური „ბრიჩ“-ი. ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზმნა „ბრელ“-ი სომხურშიც თხრას აღნიშნავდა. ასევე მთის ზოლში გამოიყენებოდა სომხური „თოხრ“-იც, რომლის მოყვანილობა ვ. ბლოიანს ქართულ თოხს აგონებს<sup>3</sup>. გ. ჩიტაია სომხურ „თოხრ“-ს ქართულიდან შესულად მიიჩნევს. რამდენადაც თოხი ქართულ ზმნა თხრას უკავშირდება<sup>4</sup>. ბარიც თოხთან კავშირში ჩანს, რამდენადაც ის თოხის მეგარული სახელ-

<sup>1</sup> გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან თბილისი, 1960, გვ. 16.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930, გვ. 213—4.

<sup>3</sup> В. А. Б до я н, Земледельческая культура в Армении. Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Тбилиси, 1968, стр. 24, 32.

<sup>4</sup> გ. ჩიტაია, რეცენზია ბლოიანის დისერტაციაზე, წაკითხული თბილისში 1969 წელს.

წოდებიდან — „ბერგი“—დან არის ნაწარმოები: ბერგი-ბარგი-ბარი<sup>5</sup>. ქართულ სამეურნეო ნომენკლატურაში შერწყმული სახის იარაღების — ორთოხის, ბართოხის, თოხწერაქვის, ცულთოხის ფართოდ გავრცელება ქართულში თოხისა და ბარის დიდ სიძველეზე უნდა მიუთითებდეს. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანულშიც თოხნა ზმნისათვის სპეციალური ეროვნული ტერმინის უქონლობის გამო გამოყენებულია ასევე ქართულიდან შესული „თოხი“ და მისგან წარმოებული „თოხალამაგ“<sup>6</sup>.

ანეულის დასამუშავებელი იარაღების აღმნიშვნელ სახელთა შორის საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ტერმინი იყო „ფოცხი“, რომელიც ამავე ფორმით შესულა სომხურშიც („ფოცხ“). აჭარაინი ამ სიტყვას კავკასიური ბუნების მქონედ მიიჩნევს, მაგრამ თვლის, რომ იგი ყველაზე მეტად ქართველურ ტომებშია წარმოდგენილი<sup>7</sup>.

„საუნჯე“ „უნჯ“ ძირიდანაა ნაწარმოები და ქართულში ზოგადად ყოველნაირ შესანახს აღნიშნავს: განძის საცავს, სახლს, საწყობს. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ხორბლეულისა და ქრთლეულის შესანახად აგებულ განსაკუთრებულ შენობასაც საუნჯე ერქვა. ამავე „უნჯ“ ძირიდან ნაწარმოებუ ზმნა — „დაუნჯება“ აღნიშნავდა მოსავლის შენახვას. ქართული სიტყვის ძირს „უნჯს“ უკავშირდება სომხური სიტყვის ძირი „ჰუნძ“<sup>8</sup>, საიდანაც ნაწარმოებია სიტყვები „ჰუნძან“, „განძ“. ეს უკანასკნელი ძვირფასეულის შესანახს, საუნჯეს, ხაზინას ნიშნავს. მის შემცველად ხშირად გვევლინება „შტემარან“-ი, რაც ბელელს უდრის. „შტემარანს“ ზოგჯერ „ჰნძანიც“ ცვლის<sup>9</sup>. სომხური „ჰუნძ“ მკას ნიშნავს. ამ სიტყვის სხვა მნიშვნელობა მოცემულია ს. მალხასიანის ლექსიკონში, სადაც ის აღნიშნულს გარდა, ნიშნავს მოძვილ მარცვლეულს, საწნახელს და მებაღის ქოხს<sup>10</sup>.

როგორც ამ მაგალითიდანაც ჩანს, ქართული სამეურნეო ტერმინი და მიაი ძირიდან ნაწარმოები სიტყვები სომხურში გამოყენებული იქნა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული საგნებისა და მოვლენების აღსანიშნავად.

ქართველური წარმოშობისაა სომხურში შესული ცხვრის (ძვ. ქართულის ცხოვარი) აღმნიშვნელი ტერმინი „ოჩხარი“ — „ვოჩხარ“. ნ. მარმა გაარკვია სომხური „ეოჩხარის“ ქართულ „ცხოვართან“ კავშირი და მისი მებრულ-ზღანურ შესატყვისობასთან (შხური, მხხური) ახლო ნათესაობა. მარის ეს მოსაზრება თითქმის ყველა მკვლევარმა გაიზიარა, მათ შორის აჭარაინამც<sup>11</sup>.

ქართულიდან სომხურში შესულადაა აღიარებული ტერმინი „მუშაიცი“. აკად. ს. მალხასიანი მას კავკასიური წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს და მისი გავრცელების არედე ქართულ-ლაზურ და ინგუშურ ენებს ასახელებს<sup>12</sup>. პირველად კი აჭარაინამა შენიშნა, რომ ეს სიტყვა სომხურში ქართველური ენებიდან არის ნასესხები. ამის საფუძველს მეცნიერი იმაში ხედავდა, რომ კავკასიურ

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212—213.

<sup>6</sup> ს. ჯიქია, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თვრქულ ენებში (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 398).

<sup>7</sup> აჭარაინის სომხური განმარტებითი ლექსიკონი, სიტყვა „ფოცხ“.

<sup>8</sup> ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტ. უბო. IX—XI სს-ში, 1944, გვ. 091.

<sup>9</sup> ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 091.

<sup>10</sup> Մալխասյան, ნոյեխն րայտարիան բառարան, Երևան, 1944. იხ. სიტყვა „ჰუნძ“.

<sup>11</sup> Н. Я. Марр. Из поездки в Сванетию, Христианский Восток, т. II, № 1, СПб, 1913, გვ. 30; იხ. აგრეთვე ჰრ. აჭარაინი, ლექსიკონი.

<sup>12</sup> ს. მალხასიანი, დასახ. ლექსიკონი, იხ. სიტყვა „მუშაიცი“.

ენებში ეს სიტყვა ფართოდაა გავრცელებული და ბევრი თვისტომი მოებოვე-  
ბა, მაშინ როდესაც სომხურში მსგავს მოვლენას არა აქვს ადგილი<sup>13</sup>.

„მუშაკი“ სომხურში სოციალური შინაარსის ტერმინადაა მიჩნეული და  
კერძო სამფლობელო მიწებზე მომუშავე პირს აღნიშნავს, რომელიც სხვის მი-  
წას ამუშავებს<sup>14</sup>. ჩვენის აზრით, „მუშაკი“ ქართულშიც სოციალური შინაარ-  
სის ტერმინი იყო და ის სტრატონისეული მეოთხე გენეს — დამოკიდებული თე-  
მის წვერის — „ლაოსი“ ქართული სახელწოდების აღმნიშვნელი უნდა ყო-  
ფილიყო. წარმოშობით ტერმინი „მუშაკი“ შუამდინარეთის ქვეყნების „მუშ-  
კენუს“ უკავშირდება, სადაც მას დაახლოებით იგივე მნიშვნელობა ჰქონდა,  
რაც ქართულსა და სომხურში. ამ ტერმინის ქართულიდან სომხურში შესვლის  
ფაქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. რამდენადაც ამ ტერმინის  
ქვეშ ნაგულისხმევი საზოგადოება იმ დროს უნდა გაფორმებულიყო, როცა სა-  
ქართველოშიცა და სომხეთშიც ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა უძველესი  
კლასობრივი საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი ფენები. ჩანს, საქარ-  
თველოში განვითარებული სოციალური ურთიერთობანი მასტიმულირებელ  
გავლენას ახდენდა მეზობელი ქვეყნების სოციალურ განვითარებაზე, იმდენა-  
დაც კი, რომ სოციალური ტერმინის სესხება ყოფილიყო მისაღები ან საჭირო.  
ამ ტერმინის შესახებ ვრცლად მსჯელობის საშუალება სხვაგან გვექნება, ამი-  
ტომ აქ მხოლოდ მოცემული ზოგადი აღნიშვნით შემოვიფარავლებით.

მოტანილი მასალა. ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის,  
რომ ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო თანამშრომლობა უძველესი  
დროისათვის რეალურ ფაქტად ვაღიაროთ და აღვნიშნოთ აღებულ ხანაში ქარ-  
თული სამეურნეო კულტურის გავლენა სომხურზე. ამ დასკვნას ამაგრებს ქარ-  
თული, ბერძნული, სკვითური, ოსური და სხვა ფოლკლორული მასალა, რომ-  
ლის მიხედვით ქართველები გაუმჯობესებული სახენელი იარაღის პირველი  
მფლობელები იყვნენ, ხოლო კავკასიის სხვა ხალხებმა მათგან ისწავლეს<sup>15</sup>  
(ქართულიდან სომხურში გავრცელებული სახენელი იარაღების შესახებ ქვე-  
მოთ გვექნება საუბარი).

ქართველ და სომეხ ხალხებს სამეურნეო ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ  
არც ადრეულსა და არც განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. სამეურნეო თა-  
ნამშრომლობა ამ დროს მათ შორის ისეთივე ცხოველი იყო როგორც პოლი-  
ტიკური და კულტურული ურთიერთობა. განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა  
სამეურნეო ურთიერთობა XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან, როდესაც  
სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა.

XIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან დაწყებულმა საგარეო შემოსევებმა  
ჯერ ძალზე შეუზღუდეს, ხოლო შემდეგ თითქმის მოუსპეს ქართველსა და სო-  
მეხ ხალხებს სამეურნეო კულტურული თანამშრომლობის პირობები. კიდევ უფ-  
რო გაუარესდა მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე

<sup>13</sup> იხ. დოჩანაშვილი, მასალები აღმოს. ობხთავის წარმომავლობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 193, შგნ. 1.

<sup>14</sup> С. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении, ВДИ, 1950, № 1, стр. 14—16. Գ. Խ. Սարգսյան, Հիշ Հայաստանի—սაղխալ-տնտեսական գարգոյման օվկ-  
նէրի մասին,—Երևան, 1962, էջ 36—38:

<sup>15</sup> იხ. გ. ჩიტიია, ეთნოგრაფიული მოგზაურობა აღბულაღის რაიონში, საქ. მუზეუმის მო-  
ამბე, 4, 1928, გვ. 222; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეთნოგრაფიული ისტორია, 1, 1930, გვ. 262—  
265.



ოსმალეთსა და ყიზილბაშების გამოსვლის შემდეგ, ორივე აგრესორი უპირატესად ამიერკავკასიის ქვეყნებს ეცილებოდა ერთმანეთს. გადამწყვეტ წარმატებას კი ვერცერთი მხარე ვერ აღწევდა. ამიტომ თითოეული მათგანი თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებდა, რათა მოწინააღმდეგისათვის ფეხის მოკიდების შესაძლებლობა მოესპო. გამუდმებულმა შემოსევებმა საწარმოო ძალები გაანადგურეს სომხეთში. დამპყრობლებმა სომხური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაასახლეს. ნაწილი მოსპეს და მათ მიწებს დაეპატრონენ. განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომმა მომთაბარებებმა სომხეთში ინტენსიური მეურნეობა ექსტენსიურით შეცვალეს. მიუხედავად ამისა, სამიწათმოქმედო კულტურის მდიდარი ტრადიციები დავიწყებას არ ეძლეოდა. სომეხი ხალხი თავგამოდებით ებრძოდა მომთაბარეებს და ყოველ შესაფერის დროს ცდილობდა აღედგინა მამაპაპური მეურსეობა, კვლავ დაენერგა მეურნეობის მოწინავე ფორმები.

„შესაფერი დრო“ მხოლოდ მშვიდობას შეეძლო მოეტანა. 1639 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზაეი დაიდო, რომელიც 1723 წლამდე აღარ დარღვეულა. შედარებით მშვიდობიანობის პერიოდში შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების განვითარება, ადგილობრივი ფეოდალური ელემენტების მომაკვება და მეზობელ ხალხებს შორის სამეურნეო-კულტურული თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ორ მოძმე ხალხებს შორის სამეურნეო თანამშრომლობის ტრადიციაც გამოცოცხლდა.

XVII—XVIII საუკუნეებში ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო თანამშრომლობის ვასაშუქებლად ყველაზე უფრო სანდო წყაროს „ჯამბრი“ წარმოადგენს, რამდენადაც ის ძირითადად იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტებზეა დაწერილი ამ ძველის სახელწოდება დამახინჯებული ფრანგული სიტყვიდან „la chambre“-დან წარმოსდგება. პაპის არქივის Camera apostolica-ს ანალოგიით\*. თხზულების ავტორია სრულიად სომეხთა კათალიკოსი სიმეონ ერევანცი (1763—1780). თავის ამ შრომაში კათალიკოსი სომხური ეკლესიის ისტორიასთან ერთად გადმოგვცემს ამ ორგანიზაციის ცენტრის — ეჩმიაწინის მონასტრის მეურნეობის ისტორიასაც. ამასთან იძლევა ყველა იმ სივლელისა და საბუთის მოკლე აღწერილობას, რომლებსაც მისი შრომა ეყრდნობა.

„ჯამბრი“<sup>16</sup> აღწერილი ფაქტები პ. ტ. არუთინიანს საფუძველს აძლევს ერევნის სახანოში ქართული ფეოდალური ურთიერთობის ასახვას გადევნოს თვალის<sup>16</sup>. ასეთი მოვლენის განვითარებისათვის პირველ რიგში მჭიდრო სამეურნეო თანამშრომლობას უნდა შეემზადებინა ნიადაგი. მიუხედავად სათანადო ცნობების ფრაგმენტულობისა, ჩვენის აზრით, ასეთი თანამშრომლობის კვალი მათში მაინც საკმაოდ ნათლად ჩანს. მივყვეთ ფაქტებს.

ეჩმიაწინის სამეურნეო გაძლიერება უშუალოდ კათალიკოს ფილიპე აღბაკეცის სახელთანაა დაკავშირებული (1633—1655). „ჯამბრის“ მოწმობით, მისი კათალიკოსობის დროს, ადრე ნაყიდი მიწების ბაზაზე, შეიქმნა ეჩმიაწინის საკუთარი მეურნეობა, რომელსაც ფილიპე აღბაკეცმა შეუვალაობა (მუაფოთა) მოუპოვა. ამის შემდეგ შაჰისა და ხანის მოხელეებს უფლება არ ჰქონ-

\* იხ. А. Р. Иоанни с я н, Иосиф Эмни, Ереван, 1945, стр. 171, зам. 2.

<sup>16</sup> П. Т. А р у т ю н я н. Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, Москва, 1954, стр. 35, зам. 1.

დათ მონასტრის საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ და მისგან გადასახადები მოეთხოვათ. ამავე კათალიკოსმა გაზარდა ძმობის რიცხვი, გაიყვანა ახალი სარწყავი არხები და მნიშვნელოვნად გააფართოვა სახნავ-სათესი ფართობი. ბ. მ. არუთინიანის გამოანგარიშებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ეჩმიაწინის სახნავი მიწების საერთო ფართობი უკვე 625 ჰექტარს შეადგენდა<sup>17</sup>. ამასთან, მეურნეობის ინტენსიფიკაციის მიზნით ტექნიკური სიახლეც გამოიყენეს. ეს სიახლე იყო „განსაკუთრებული სახვნელი, რომლის მსგავსი ადრე არ ყოფილა“. ამ სახვნელ იარაღს ჯამბრის ავტორი „ჰაკუტ გუთანს“ — *ჰაკუტ გუტანს* განსაკუთრებულ გუთანს უწოდებს<sup>18</sup>. ცხადია, აქ ლაპარაკი უნდა იყოს საქართველოს სინამდვილეში კარგად ცნობილ „დიდ გუთანზე“, რომლის გამოყენებამ ფერდალური მეურნეობა განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა. ამაში ჩვენ დასახელებული გუთანის მერმინდელი აღწერაც გვარწმუნებს, რომლის თანახმად სომხეთშიც ასეთ გუთანში 14 უღელი ხარ-კამეჩი იყო ზოგჯერ შებმული და ხუთი მეხზე ემსახურებოდა<sup>19</sup>. „ჯამბრისავე“ ცნობით, სომხეთშიც გუთნეული სახნავი მიწის ფართობის ერთეულად გამოდის<sup>20</sup>.

„გუთანი“ ქართული ტერმინია და ის თითქმის ყველა კავკასიელი ხალხის ენაშია დადასტურებული სხვადასხვა ფორმით. აჭარაიანს აზრითაც ეს სიტყვა ქართულიდან უნდა იყოს შესული და გავრცელებული კავკასიის სხვა ხალხების ენებში<sup>21</sup>. ამასვე ამბობს მალხასიანიც<sup>22</sup>.

აღნიშნულთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა სახვნელი იარაღების სახელთა ეტიმოლოგია, რითაც ნათელი გახდა, რომ სომხეთში გავრცელებული სახვნელი იარაღების სახელების უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა ან ქართული გზით არის სომხურში შესული. მაგალითად, სახვნელი იარაღების სომხური სახელები „ვესკი“, „ჯილი“, „ჯვტი“, „ჩუთი“ წარმოსდგებიან ქართული ერქვანი-დან ჯილა-დან და ჩუთი-დან. ასევე ქართული წარმოშობისაა რამდენიმე საუკუნით გვიან გავრცელებული გუთანიც. სახვნელი იარაღების სახელთა გულდასმითი ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: „სახვნელი იარაღისა და მისი ნაწილების, ისევე როგორც ზნის, შესახებ ტერმინოლოგიიდან სომხურში 9—10 სიტყვაა ქართულათგან ნასესხები ან ნათარგმნი. ეს შეთვისებული ტერმინები უმთავრესად გაუმჯობესებულ სახვნელებსა და მათ ნაწილებს ეხებათ. მეტადრე ფრთიანს და საზიდრიან სახვნელებსა და მათ ნაწილებს... აქედან უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ გაუმჯობესებული სახვნელი სომხებს ქართველებისგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული“<sup>23</sup>. ამისავე სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ სომხეთში არ ჰქონდათ ადგილობრივი წარმოების რკინა და ფოლადი. საქირების შემთხვევაში ის საქართველოდან და თურქეთიდან შეჰქონდათ. და რადგანაც მე-

<sup>17</sup> Б. М. А р у т ю н я н, Крупное монастырское хозяйство в Армении в XVII—XVIII вв., Ереван, 1940, стр. 39—40, 50.

<sup>18</sup> Ջ ա მ ბ რ ი . . . . . Վ ա ղ ա ի Ր ա շ ա ջ ի թ, 1873, էջ 131. Симеон Ереванци. Джембр. Москва, 1958, стр. 202.

<sup>19</sup> И. Ш о п е н. Исторический памятник состояния армянской области в эпоху ее присоединения к Российской империи, СПб, 1852, стр. 737.

<sup>20</sup> ჯამბრი, გვ. 131 რუსული გამ. გვ. 202.

<sup>21</sup> აჭარაიანი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. 2, იხ. სიტყვა „გუთან“.

<sup>22</sup> ს. მ ა ლ ხ ა ს ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, იხ. სიტყვა „გუთან“.

<sup>23</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155—265, განსაკუთრებით გვ. 240—251.

ზობელი ქვეყნებიდან შეტანილი რკინა ძვირი უჯდებოდათ, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს უმთავრესად მაგარი ჯიშების ხისაგან აკეთებდნენ<sup>24</sup>.

დიდი გუთნის საქართველოში შემოსვლის თარიღად ივ. ჯავახიშვილი XII საუკუნეს ასახელებს. მ. ლორთქიფანიძის დაკვირვებით კი ის IX—X სს-ში უნდა შემოსულიყო<sup>25</sup>.

დიდი გუთნის სომხეთში შემოღების თარიღი ჯერჯერობით არ არის დადგენილი. ივ. ჯავახიშვილი დასახელებულ ნაშრომში მიუთითებს, რომ ძველი და საშუალო საუკუნეების სომხურში ტერმინი „გუთანა“ არა ჩანს და შედარებით გვიან ჩნდება, კერძოდ კი ახალ სომხურში გვევლინება პირველად<sup>26</sup>. როგორც ვხედავთ, ჯავახიშვილი კონკრეტულ თარიღს არ იძლევა და საქართველოსთან შედარებით რამდენიმე საუკუნით გვიან გულისხმობს ამ ტერმინის გავრცელებას სომხეთში. შესაძლებელია, მართლაც ანგარიში გაეწიოს „ჯამბრის“ ცნობას, რომლის მიხედვით ფილიპე აღბაკეცამდე (XVII ს.) ეჩმიაწინის მეურნეობაში გუთანს არ იცნობდნენ.

დასამუშავებელი მიწის ახალი ფართობის ათვისების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთში ხელოვნურ მორწყვას. ერთი რუსი მოხელის დაკვირვებით, „Здесь... земля не пользующаяся орошением, не может питать даже самой скудной травы“<sup>27</sup> სომხური ზეპირსიტყვიერება კი წყალმცირე რაიონებში სარწყავ წყალს „დედის ცრემლს“ (ნორ არტასუქ) უწოდებს<sup>28</sup>. ამიტომ არის, რომ სომხურ წყაროებში განსაკუთრებული ყურადღებითაა მოსილი ყველა ისტორიული პირი, ვისაც კი ამ მხრივ რაიმე გაუკეთებია. „ჯამბრის“ ავტორი დიდის სასოებით აღწერს ყოველი კათალიკოსის საირიგაციო საქმიანობას და მათ განსაკუთრებულ დამსახურებად უთვლის არხების გაყვანასა და წყალსაცავების მოწყობას. ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია „ჯამბრის“ ერთი ცნობა, რომელიც გარკვეული კუთხით ასახავს ქართველი და სომეხი ხალხების წარმომადგენლების სამეურნეო თანამშრომლობას.

„ჯამბრის“ ავტორი მოგვითხრობს: კათალიკოს აკოფ ჭულაეცის დროს (ე. ი. 1655—1680) შაჰ სულეიმანის ბრძანებით ერევნის ხანად დაინიშნა სეფი ხან მეორე. ეს ხანი წარმოშობით ქართველი იყო. მან ამ უდაბურ ადგილას მდინარე მეწამორიდან გამოიყვანა დიდი არხი და მისი დინეები გასწვრივ რამდენიმე სოფელი დააარსა. როცა ხანმა ეს გააკეთა, მისმა ცოლმა, შეეჯიბრა რა ქმარს, ამ დიდი არხიდან იმავე ადგილებში, მხოლოდ სხვა მიმართულებით გაიყვანა განსაკუთრებული არხი და ასევე რამდენიმე სოფელი გააშენაო. ყველა ეს სოფელი, რომელიც მათი არხებით ირწყვება, დღესაც არსებობს და მათ სეფიაბადისა და ხათუნარხის სახელით იცნობენ. სიმეონ ერევანცის ცნობით, ხანისა და მისი მეუღლის ქველმოქმედება მხოლოდ ამით არ დამთავრებულა. მათ განაცხადეს, რომ წყალი მცხოვრებლებს გიბოძეთო (*վախձ և խէրաքէ արարս*)<sup>29</sup> ჩვენი და შთამომავლობის კეთილად მოსახსენებლად. ის პირ-

<sup>24</sup> ბ. მ. არუთიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

<sup>25</sup> მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბილისი, 1963, გვ. 27.

<sup>26</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

<sup>27</sup> И. Шопен. Исторический памятник состояния армянской области в эпоху ее присоединения к Российской империи, СПб. 1852, стр. 365.

<sup>28</sup> С. А. Егизаров, Исследования по истории учреждения в Закавказье, часть I, сельская община. Казань. 1889, стр. 54.

<sup>29</sup> ჯამბრი, სომხ. გამოცემა, გვ. 159.; რუსული გამოც., 230.



ნი, რომლებიც ამ არხებით მორწყულ მიწებს დათესავენ. ვინც არ უნდა იყვნენ — ადგილობრივნი თუ მოსულნი, თავისუფლებიან მეათედის გადასახადისაგანო. შემდეგ, „ჯამბრის“ ავტორი განაგრძობს: დღევანდლამდე ისინი სხვა სოფლებისაგან განსხვავებით არ იხდიან მოსავლის მეათედს და მხოლოდ სახელმწიფოს უხდიან მესხეთედს ანუ ბაზრას<sup>30</sup>.

იმ დროს, როცა ქვეყანაში მომრავლებული მომთაბარეები დამუშავებულ მიწებზე ანადგურებდნენ და უკიდურესად ზღუდავდნენ ინტენსიური მეურნეობის პირობებს, თვით შაჰის ხელისუფლების ზემოხსენებული წარმომადგენელი უდაბურ ადგილებს აცოცხლებდა; ამასთან უარს ამბობდა ამ მიწებიდან კუთვნილ მოსავლის მეათედზე. იმის მაგიერ, რომ მომთაბარეთა ძალას დაეყრდნოს, როგორც ამას ყველა სპარსელი მოხელე აკეთებდა, დასაყრდენს ადგილობრივ მოსახლეობაში იჩენს. ასეთი საქციელი განსხვავდებოდა ყოილბაშური პოლიტიკისაგან და შეიძლება აიხსნას სამშობლოსაგან მოწყვეტილი, შაჰის სამსახურში მყოფი ქართველი კაცის თავისებური „მოწყალე“ დამოკიდებულებით სომხებისადმი<sup>31</sup>.

ეჩმიაწინის ფეოდალურ მეურნეობაში მოცემული დროისათვის (XVII—XVIII სს-ში) ფართო გასაქანი ეძლევა ინტენსიური მეურნეობის დარგებს: მევენახეობა-მებაღეობას და ტექნიკური კულტურების წარმოებას. მოუხედავად ამ მეურნეობის ნატურალური ხასიათისა, ინტენსიური მეურნეობის დარგების განვითარება კათალიკოსებს საშუალებას აძლევს ზოგჯერ სასაქონლოდაც აწარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

„ჯამბრში“ აღწერილი ეჩმიაწინისა და სხვა მონასტრების მეურნეობის ორგანიზაცია ბევრად მოგვაგონებს ქართული ინტენსიური მეურნეობის ორგანიზაციას. ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს დიდი ვენახების შექმნის ცდები ეჩმიაწინის კუთვნილ მიწებზე. ასეთ ვენახებს ჯამბრი „ღრი აივის“ (*ღრი აივის*) უწოდებს. „აივი“ ბაღს ნიშნავს, აგრეთვე ვენახსაც. „ღრის“ მნიშვნელობა კი ჩვენთვის გაურკვეველი რჩება (სომხურ ლექსიკონებში ამ სიტყვას ვერ მივაკვლიეთ), თუ „ღრი“ თურქული სიტყვის „ღურ“-ის შეკუმშული ფორმაა. მაშინ „ღრი აივი“ ყურძნის ბაღი იქნება. „ჯამბრში“ ეჩმიაწინის კუთვნილი ვენახების აღწერას და მათი შექმნის ისტორიას ცალკე, ვრცელი, მე-16 თავი აქვს დათმობილი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

„ჩვენი სოფლის გვერდით წმინდა ტახტი ფლობს სახელგანთქმულ დიდ ვენახს, რომელსაც ღრი აივი ეწოდება... ის შემოზღუდულია მტკიავი აქლით... ამას გარდა, წმინდა ტახტს, ამავე სოფელში, ღრი აივის გვერდით აქვს ორი ვრცელი ვენახი. სამხრეთიდან ის შემოზღუდულია კედლით. ჩვენმა ნეტარსკნებულმა კათალიკოსებმა ნაწილ-ნაწილ შეიძინეს ეს ვენახები ფულისა

<sup>30</sup> ჯამბრი, რუსული გამოცემა, გვ. 230; სომხ. გამ., გვ. 159.

<sup>31</sup> სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ არც ისე იშვიათად სპარსეთის სამსახურში მყოფი ქართველები სომხეთის ამა თუ იმ პროვინციის მართავდნენ შაჰის დავალებით. მაგალითად, ზაქარია აქულისელის ცნობით, ამავე ხანებში აქულისის ჩრდილო დასავლეთით მდებარე ცენას მართავს „ქართული პარონი ფარსადან-ბეგი“ (ზაქარია აქულისელის დღიური, ერევანი, 1939 №8 91, რუსულ ენაზე). ამავე წყაროს ცნობით, 1679 წლის 17 თებერვალს ერევნის ხანად ისევ ქართველი დაუწინადათ. ამჟერად უკვე ზაალ-ბეგი, შემდგომში ზაალ-ხანი (იქვე, § 123), ცხადია ქართული მამადაიანო მოხელეების სომხეთში მოღვაწეობის შესწავლა, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის ბევრ საინტერესო მომენტს გარაკვევს, მაგრამ ეს საკითხი ცალკე შესწავლის საგანია და ამჟერად ჩვენს ამოცანას სცილდება.

და საბოძვარის მეშვეობით. შემდეგ ერთად შეაერთეს და გაყვეს ორ ვენახად<sup>32</sup>.

ზნორად ასე ადვილად არ ხერხდებოდა დიდი ვენახების შექმნა და იძულებული ხდებოდნენ რთული ოპერაციებისათვის მიემართათ. საქმე ის იყო, რომ ექმნაწინის კუთვნილი ნაკვეთები სათემო მიწებს შორის იყო მიმოფანტული. ეს დაქსაქსულობა გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა „დიდი ვენახების“ მოწყობის საქმეში, მაგრამ ამ ტიპის ვენახების უპირატესობა იმდენად ცხადი იყო, რომ არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. სიმეონ ერევანცი თავისი ამგვარი საქმიანობის შესახებ წერს:

„ჩვენი წელთაღრიცხვის 1215 (1766) წელს ლევონდ ლევონდციის შეილების ჰერუმისა და აღამისაგან ვიყიდეთ ვენახი, რომლის სანაცვლოდ ჩვენი ზეთსახდელის ოსტატის მაჰტესი გალუსტისა და ატი ბეკის ვენახების წილი მივეციით. ატი ბეკს ამისათვის კანდელაკ ვარდაპეტ ელიაზარის ვენახი მივეციით. გალუსტისა და ატი ბეკის ამ ორ ვენახს გარდა ჩვენ ჰერუმს მივეციით ოცი თუმანი ფულად, 150 მუშაკი (იგულისხმება 150 კაც-საათი), სახნავი ორი დღით და სამი ხალათი. ეს ვენახი ჩვენ იმ მიზნით ვიყიდეთ, რომ ის შეგვეერთებინა ზემო ვენახის ორ სხვა ნაკვეთთან“<sup>33</sup>.

იქვე და შემდეგ გვერდებზე (სომხ. გამ. გვ. 169—173, რუსული გამ. გვ. 241—245) აღწერილია, თუ ზემოთ მოტანილი მაგალითების მსგავსად ექმნაწინის კათალიკოსები როგორ იძენენ ვენახებს ნაწილ-ნაწილ, როგორ აერთიანებენ მათ და გალავანს ავლებენ გარშემო, ჰქმნიან რა ამნაირად „დიდ ვენახებს“.

ამის გამო ბ. არუთიანინი შენიშნავს: „Из рассказов автора можно прийти к заключению, что католиконы стремились „собрать“ и укрупнять свои земельные участки путем обмена с соседними участками куплей и т. д., очевидно, с целью лучшего их использования“<sup>34</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ მიწების შემოკრება-გამსხვილება მათ უკეთეს ექსპლოატაციას უწყობდა ხელს. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ მოვლენის მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება.

„ჯამბრის“ ცნობით, ექმნაწინის მფლობელობაში იყო მიწების ორი კატეგორია: სამულქო (*მქლათო ქხორაქ* — მულქის მომტანი სოფლები) და მის საკუთრებაში მყოფი მიწები (*ანაქსი და ნიქსი ასქაქანსი, კათაქსი ნიქსი*) მინდვრები და მიწები საკუთარი, განსაკუთრებული მიწები). მონასტრის საკუთარი მიწები ძირითადად სოფ. ვაღარშაპატის მიდამოებში იყო განლაგებული და სათემო მიწებს შორის მიმობნეული, რადგანაც ეს ნაკვეთები სხვადასხვა დროს იყო ნაყიდი. როგორც აღინიშნა, საკუთარი მეურნეობის შექმნას „ჯამბრი“ კათალიკოს ფილიპე აღბაკეცს მიაწერს. ცხადია, რომ საკუთარი მეურნეობა მხოლოდ ნასყიდი მიწების ბაზაზე შეიძლებოდა შექმნილიყო, აქვეა საგულვეტელი „განსაკუთრებული გუთანის“ გამოყენება, პირველად ფილიპე კათალიკოსმა რომ შემოიტანა. მხოლოდ აქ, ნასყიდი, სათავისთაოდ მფლობელობაში მყოფ მიწებზე შეიძლებოდა როგორც ტექნიკური სიახლის გამოყენება, ისე მეურნეობის ორგანიზაციის გაუმჯობესება. ვფიქრობთ, ეს მომენტები

<sup>32</sup> ჯამბრი, სომხ. გამ. გვ. 164—165. რუსული გამ., გვ. 235—236.

<sup>33</sup> ჯ ა მ ბ რ ი, გვ. 239, სომხ. გამ. 167—168.

<sup>34</sup> ბ. მ. არუთიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 40.

ენმიაწინის მესვეურების მიერ მსხვილი საბატონო მეურნეობის შექმნის ცდებზე უნდა მიუთითებდეს.

„ჯამბრში“ აღწერილი მიწების შემოკრება-დამოგვალემა უმთავრესად მევენახეობაში ხდებოდა. აქაც, ისევე როგორც თავის დროზე საქართველოში, დიდი ვენახები შემოლობილი იყო, რაც ვენახის ინდივიდუალურ მფლობელობაზე მიუთითებდა. ჩვენის აზრით, ეს მომენტი მევენახეობის ინტენსივობის ზრდის მაჩვენებელი უნდა იყოს ენმიაწინის ფეოდალურ მეურნეობაში. საფიქრებელია, რომ ისევე როგორც საქართველოში, აქაც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე შემდგარი მეურნეობის ამ სახეს, ადრეულისაგან განსხვავებული, თავისი შესაფერისი სახელი უნდა მოეძებნა.

„ჯამბრის“ მოწმობით, როგორც უკვე ითქვა, ენმიაწინის „სახელგანთქმულ დიდ ვენახს“ „ღრი აიგი“ ერქვა. მაგრამ ეს ტერმინი, რომელიც ყურძნის ბაღს ნიშნავს, ვერ გამოხატავს დასახელებული მეურნეობის ხასიათს.

„ჯამბრის“ 25-ე თავში, სადაც აღწერილია ცალკეული მონასტრების ისტორია და ჩამოთვლილია მათი კუთვნილი მიწები, სხვათა შორის ნათქვამია, რომ მულნის მონასტერს სხვა მიწებთან ერთად (ჩამოთვლილია სათითაოდ) ეკუთვნოდა „ორივე ზ ვ არი“<sup>35</sup>. სიტყვა ზვარი ვერცერთ სომხურ ლექსიკონში ვერ ვნახეთ. როგორც ჩანს, თვით ამ ძეგლის რუსული გამოცემის ავტორებისათვისაც (პ. ტ. არუთინიანი და ს. მალხასიანი) გაუგებარი იყო ამ სიტყვის შინაარსი. „ზვარის“ ახსნას ისინი ქართულში კი არა, უცხო ენებში ეძებენ:

«Звар не собственное имя, нет местности под таким названием. Вероятно, это слово указывает на какое-нибудь качество земли. Есть персидское слово *زوار* означающее «равенство», «ровность», которое по фонетическому закону армянского языка по-армянски звучало бы как «звар». Если предположить, что данное слово персидского происхождения в таком случае «звары» означали бы ровные поля»<sup>36</sup>.

„ზვარი“ ქართულში სავსებით გასაგები სიტყვაა. ის „მებატრონის“ (საბა) დიდ ვენახს აღნიშნავს. თავის დროზე (განვითარებული ფეოდალური ხანადან) ამ ტერმინის გაჩენა მევენახეობის ინტენსივობის ზრდის მაჩვენებელი და სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარების ახალ საფეხურზე ასვლის მომასწავებელი იყო. შემდეგ საუკუნეებში უკვე ამ ტერმინის მოქალაქეობა საქართველოში ინტენსიური მეურნეობის სიცოცხლისუნარიანობას მოწმობდა. „ჯამბრში“ აღწერილი დიდი ვენახების შექმნა და მათი შემოლობვა კელთით მებატრონის მიერ ადვილად თავსდება „ზვარის“ ქართულ შინაარსში. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სომხურ წყაროში მოხსენებული „ზვარის“ მნიშვნელობა სპარსულ ენაში არ უნდა იყოს საქმენელი. სავსებით შესაძლებელია, რომ ენმიაწინის მესვეურებს თავიანთი ვენახები ქართული ზვრების მიხედვით მოეწყოთ და ამ ახალი ტიპის ვენახის აღსანიშნავი სახელიც ქართულიდანვე ეტყინათ.

თვით სომხეთში მეურნეობის ეს დარგი თავიდანვე ისე განვითარებული არა ჩანს, როგორც ამას ადვილი ჰქონდა საქართველოში. ამას თუნდაც ის უნდა დადასტურებდეს, რომ სომხურში ვენახის აღსანიშნავი სპეციალური ტერმინი არ მოიპოვება. სომხური *սյգի* „აიგი“ ბაღსაც ნიშნავს და ვენახსაც. უფრო ხშირად კი ბაღის აღმნიშვნელ ტერმინად გამოდის, ქართულში კი მეტად

<sup>35</sup> ჯამბრი, რუსული გამ. გვ. 369; სომხ. გამოც. გვ. 292.

<sup>36</sup> ჯამბრი რუსული გამოც. გვ. 399.



უხვდაა წარმოდგენილი ვაზისა და მევენახეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია. შემთხვევითი არაა, რომ საქართველო „მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთანადაა“ მიჩნეული<sup>37</sup>; ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ვაზის ზოგიერთმა ქართულმა ჯიშ-სახესხვაობამ სომხეთშიც შეძლო შექრა. მაგალითად, **სასისქი**. „კახეთუ“ ნახჭევნის მაზრის ორღუბადის უზნისა და განჯის მაზრის სომხურ მოსახლეობაში ყოფილა გავრცელებული, ხოლო ყარაბაღის სომხურ მოსახლეობაში — **ქისხი** „ვირენი“, რომელიც ივერქისაგანაა წარმომდგარი. ამიტომ „ვირენი“ სამართლიანად მიაჩნიათ იბერულად ანუ ქართულად ქართული „მელისკუდის“ ანარეკლს წარმოადგენს მსლინკუტ-ის (**მელისკუა**) ყურძნის ჯიშის სომხური სახელიც<sup>38</sup>.

ცხადია, საქართველოს მევენახეობის მდიდარ ტრადიციებს, სამეურნეო თანამშრომლობის გამოცოცხლების პირობებში ადვილად შეეძლო გზა გაეკვლია მეზობელ სომხეთში, მით უმეტეს, რომ მუსლიმანურ სამყაროში მოქცეულ სომეხ მევენახეებს სხვა ხალხებთან ამგვარი თანამშრომლობის პირობები იმ დროს არ ჰქონდათ. შარიათი მკაცრად კრძალავდა ღვინის მოხმარებას, რის გამოც მუსლიმანური მოსახლეობა ისე ვერ იქნებოდა დაინტერესებული ამ დარგის ინტენსიფიკაციით. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ერევნის სახანოში ყველაზე ვრცელი ვენახები და დიდი საღვინე მეურნეობა მხოლოდ ეჩმიაწინის ჰქონდა.

როდესაც აღვნიშნავთ ქართული მევენახეობის ტრადიციების გავლენას ეჩმიაწინის ფეოდალურ მეურნეობაზე, ყურადღებას იქცევს მეტად საინტერესო მოვლენა. ტერმინი „ზვარი“ ჯამბრში მხოლოდ ორჯერაა მოხსენებული. სხვა შემთხვევებში კი „დიდი ვენახი“ ან „ღრი აიგი“ აღინიშნება. ჩვენი აზრით, „ზვრის“ იშვიათად ხსენება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ამ ტიპის მეურნეობამ შედარებით გვიან მოიკიდა ფეხი სომხეთში და აღნიშნული ძეგლის შედგენის დროს, ალბათ, ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამ ტერმინის სრული მოქალაქეობრივი უფლება მოპოვებული. ასეთი მეურნეობის გაძლოა საცქარის ეკონომიურ შეძლებაზეც იყო დამოკიდებული (ვრცელი, მთლიანი ნაკვეთი, მებეგრე გლენტა ან დაქირავებულ მუშათა მუდმივი კონტიგენტი), რის გამოც ეჩმიაწინის მესვეურებს გარკვეული დროც სჭირდებოდათ, სანამ საჭირო ღონეს მიაღწევდნენ. თუ გავიხსენებთ, რომ ეჩმიაწინის საკუთარი მეურნეობის შექმნა მხოლოდ ფილიპე ალბაეცის დროიდან იწყება, მაშინ საფიქრებელია, რომ ინტენსიური მეურნეობის დარგების და კერძოდ დიდი ვენახების შექმნისა და გაძლიერებისათვის საჭირო პირობები XVII საუკუნის ბოლოსათვის უკვე უნდა ყოფილიყო (ეჩმიაწინის მეურნეობა განმტკიცებას იწყებს XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ხოლო განსაკუთრებით ფართოვდება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში).

მუსლიმანური სამართლის მოქმედების სფეროში ძალზე შეზღუდული პირობები იყო მსხვილი საბატონო მეურნეობის განვითარებისათვის. ნაკლებად იყვნენ მიწაზე მიმაგრებული მებეგრეები და დაქირავებული მუშები.

<sup>37</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 2, გვ. 603.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 600.

„მულქადარული“ ურთიერთობის დროს გლეხის ვალდებულება მიწის მებატრონის მიმართ ძირითადად ნატურალურ გადასახდას. („ბახრა“, „მულქი“) და ფულს გულისხმობდა. შრომითი ვალდებულებები კი უმნიშვნელო იყო. შარიათის მიხედვით, გლეხი იურიდიულად თავისუფალი იყო და ადგილგადანაცვლების უფლებით სარგებლობდა. მიწის მესაკუთრის უფლებები გლეხის პიროვნებაზე აღარ ვრცელდებოდა. მუსლიმანური კანონებით გლეხთა ძირითადი მასა არ იყო მიმაგრებული მიწისმფლობელის პიროვნებაზე. ფეოდალს არ შეეძლო მიწას მოეწყვიტა გლეხი და თავის ღმიწო მსახურად ან მუშად ექცია. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დიდი შესაძლებლობის მქონე ეჩმიაწინს თავის განკარგულებაში არ ჰყავდა საკმაო რაოდენობის მუდმივი სამუშაო ძალა. სამაგიეროდ ყოველთვის ჰქონდა მსხვილი ფულადი სახსრები (მონასტრის ფულადი ბიუჯეტი იზრდებოდა მთელ მსოფლიოში გაფანტული სომეხი მოსახლეობიდან აკრეფილი საეკლესიო გადასახადებით, კოლონიებში მყოფი სომეხი ვაჭრების შემოწირულებებით და სხვა შემოსავლით), რაც საშუალებას აძლევდა ფართოდ დაექირავებინათ სამუშაო ძალა. მაგრამ აქაც დიდ სიძნელეებს აწყდებოდნენ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაბალი დონის გამო გლეხს მეტად მცირე დრო რჩებოდა იმისათვის, რომ საკუთარი სამუშაო ძალა გაექირავებინა. ამიტომ არც ისე იშვიათი იყო შემთხვევები, როცა სამუშაო ძალის სიმცირით შეჭირვებული ეჩმიაწინი თავის წარმომადგენლებს მეზობელი თურქეთის ოლქებში გზავნიდა (ბაიაზეთის, ყარსის, ახალციხის საფაშოები) მუშათა დასაქირავებლად. ბ. არუთინიანის გამოანგარიშებით, 1750 წ-ს მარტო მინდვრის სამუშაოებზე მონასტერმა გამოიყენა დაქირავებული დღიური მუშის 8219 შრომადღე, რასაც სეზონურად დაქირავებული მუშების ასეთი შრომადღეები ემატებოდა. ფართო მშენებლობის წლებში კი დაქირავებული შრომადღეების რაოდენობა 20.000-ს და უფრო მეტს აღწევდა<sup>39</sup>.

ასე რომ, ვრცელი მამულების მქონე ეჩმიაწინს არ ჰყავდა საკუთარი მუშების მუდმივი კონტიგენტი, რასაც მნიშვნელოვნად უნდა გაეძნელებინა ინტენსიური მეურნეობის გაძლოლა. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე. წ. „ჭორთების“ საკითხი, რომელიც უშუალოდ საქართველოსთან არის დაკავშირებული.

„ჭორთების“ შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის „ჯამბრი“. ან ძეგლის მიხედვით, „ჭორთები“ საქართველოში ცხოვრობენ და შრომობენ, მაგრამ ეჩმიაწინს ეკუთვნიან. პროფესიით ისინი უბრალო ხელოსნები არიან: მკალავები, მეტყავეები, ფეიქრები. ამათ გარდა, წვრილი ვაჭრები და ზოგჯერ მღვდლებიც<sup>40</sup>. აღწერილია შემთხვევები, როცა ეჩმიაწინის კათალიკოსები ან მათი წარმომადგენლები მონასტრისათვის საქართველოში ყიდულობენ „ჭორთებს“, უმთავრესად კი თბილისში. სიმეონ ერევანცი მათ *ნარქაათო ბაიაცი*

<sup>39</sup> ბ. მ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

<sup>40</sup> ჯამბრი, სომხ. გამ. გვ. 209, რუსული გამ. გვ. 281—282.

(„პარკატუ წარაიქ“) უწოდებს, რაც სიტყვასიტყვით გადასახადის გამოძღვებულ მსახურებს ნიშნავს. ძეგლის რუსული გამოცემის ავტორებს (პ. ტ. არუთინიანსა და ს. მალხასიანს) დასახელებული კატეგორიის წარმომადგენელთა სოციალური ბუნება გაურკვეველი რჩებათ, ამ ტერმინის გამო გაკეთებულ შენიშვნაში წერენ: *«дирт»* — обычно переводится как крепостной. Положение этой категории зависимых людей не вполне ясно<sup>41</sup>. როგორც ჩანს, ანეთი განცხადებისათვის მათ საფუძველს აძლევს წინააღმდეგობა „крепостной“-ს ცნებასა და ამ ტერმინით აღნიშნული პიროვნების ძეგლისეულ სოციალურ კვალიფიკაციას შორის. ცხადია, მხოლოდ გადასახადის გადახდა და ამით პატრონზე დამოკიდებულება ვერ ამოწურავს „крепостной“-ს ცნებას, რომლის სომხური ეკვივალენტია „ჭორთი“. ამიტომ გადასახდელი მსახურისათვის — „პარკატუ წარაისათვის“ ჭორთის წოდებაც შეუსაბამო გამოდის. ვფიქრობთ, ამ წინააღმდეგობამ გააბუნდოვნა წარმოდგენა „ჭორთის“ სოციალურ ბუნებაზე და ძეგლის გამომცემლებმაც ამიტომ შეიკავეს თავი კატეგორიული განმარტებისაგან.

„ჭორთის“ სოციალური ბუნების გარკვევას შეეცადა ბ. არუთინიანი. მან გააანალიზა „ჭორთის“ ძეგლისეული დახასიათება და უჩვენა, რომ ამ კატეგორიის პირთა პირველი აუცილებელი ნიშანია გადასახადის გადახდა, ხოლო მეორე — სამსახური. ამასთან მიუთითა, რომ სიტყვა „წარაჲ“ ძველ სომხურში, მსახურს გარდა, მონასაც აღნიშნავდა. გამოდის, რომ „ჭორთები“ გადასახადის გადასახდელი მონები არიან? ბ. არუთინიანი სავანგებოდ აღნიშნავს, რომ გამბრში ჩამოთვლილი ეჩმიაწინის კუთვნილი „ჭორთები“, როგორც ამას მათი პროფესია გვიჩვენებს, განსხვავდებიან როგორც მონისაგან, ისე ყმა გლეხისაგან (от крепостного). მისი მტკიცებით, „ჭორთი“ მონისაგან იმით განსხვავდება, რომ ის წარმოების საშუალებათა მესაკუთრეა და ზოგჯერ სხვისი შრომის ექსპლოატატორადაც კი გამოდის. ყმა გლეხისაგან კი იმით განსხვავდება, რომ ის არ არის მიწაზე მიმაგრებული და არც ბატონის შინაყმაა. „ჭორთი“ მხოლოდ გარკვეულ გადასახადს იხდის და იმდენად არის თავის ბატონზე დამოკიდებული, რამდენადაც ამ უკანასკნელს შეუძლია გაყიდოს, გაასაჩუქროს ან განათავისუფლოს სათანადო ფასით. ბ. არუთინიანი ამასთან ცდილობს გაარკვიოს „ჭორთების“ შექმნის გზები და მიდის დასკვნამდე, რომ „ჭორთების“ უმრავლესობა ყოფილი ტყვეებია, რომლებიც თვით ეჩმიაწინმა გამოისყიდა, ანდა კერძო პირებმა გამოისყიდეს და შემდეგ ისევ ეჩმიაწინს შესწირეს<sup>42</sup>.

როგორც ვხედავთ, ბ. არუთინიანის წარმოდგენით „ჭორთს“ მონის ნიშნებიც ახასიათებს და ყმა გლეხისაც, ამასთან ის ერთიანადაც განსხვავდება და მეორისგანაც.

ჩვენი აზრით, „ჭორთი“ თავისთავად ყმას ნიშნავს. მაგრამ სწორედ ეს ყმობაა განსხვავებული. ისინი, თავიანთი ეკონომიური შეძლების მიხედვით,

<sup>41</sup> გამბრი, რუსულს გამ. გვ. 396, შენ. 170.

<sup>42</sup> ბ. მ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91—96.



სხვადასხვა ხარისხის ყმობით არიან დაკავშირებული ეჩმიაწინთან. თვით ბ. არუთინიანს მოაქვს დოკუმენტური მასალა, სადაც ეჩმიაწინის „ჭორთი“ „ბატონად“ არის მოხსენებული. ამ „ბატონმა ენოქმა ექვსი ოქროს და ერთი ვერცხლის თასი მისცა მონასტერს წმინდა საჩუქრად“<sup>43</sup>. მსგავსი გამოთქმებია დამოწმებული სხვა შემთხვევებშიც. ცხადია, რომ ასეთი მდიდარი პირების „ყმობა“ მეტად პირობითია, ეს უფრო საპატიო ყმობას წააგავს ვიდრე ბატონყმურ დამოკიდებულებას. ამიტომაც „წმინდა მამები“ მათ მოწიწებით მოიხსენიებენ.

„ჭორთების“ სოციალურ წრეში ორი ფენა შეიძლება გამოვყოთ. ერთნი, რომლებიც ეჩმიაწინის მესვეურებმა თუ კერძო პირებმა ფულით იყიდეს, მონასტერს შესწირეს და ამ გზით ეჩმიაწინის ყმობაში მოაქციეს და მეორენი, რომლებიც ნებაყოფლობით შევიდნენ მონასტრის ყმობაში. ასეთი დაყოფის საფუძველს ჩვენ მაშინდელი (XVII—XVIII სს.) საქართველოს ბატონყმურ სინამდვილეში ვხედავთ.

საქართველოს ქალაქებში, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში, ბატონყმური ურთიერთობა მეფობდა და ამიტომ ქალაქების ძირითად მოსახლეობასაც ყმა ხელოსნები და ვაჭრები შეადგენდნენ. არსებობდა მოქალაქე ყმათა სხვადასხვა კატეგორია: ფულით ნაყიდი, შეწირული, თავშეწირული ანუ საკუთარი ნებით მონასტრის ყმობაში შესული და სხვა. უველაზე უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ „შეწირული“ ყმები, რომლებიც შეწირვის შემდეგ ჩვეულებრივად თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო და საბატონო ვალდებულებებისაგან და მხოლოდ ეკლესია-მონასტრების მიმართ ედებოდათ გარკვეული ვალდებულებები. ნაწილობრივ ამით ხსნის შ. მესხია იმ გარემოებას, რომ საქართველოში ეკლესია-მონასტრებს მეფისა და ევოდალების მიერ შეწირული ყმების გარდა თავშეწირულებიც ჰყავდათ<sup>44</sup>.

მატენადარანის ქართულ დოკუმენტებში არაერთი შემთხვევაა აღნიშნული, როცა თავშეწირვის წესით ეჩმიაწინის ყმები ხდებიან საქართველოს ქალაქების ვაჭრები<sup>45</sup>. შემთხვევითი არაა, რომ ჭამბრში ჯერ ფულით ნაყიდი „ჭორთები“ არიან მოხსენებული. მათ შესახებ ძველი დაწვრილებით მოგვითხრობს თუ ვინ, როდის, სად და რამდენი „ჭორთი“ იყიდა. მაგალითად, კათალიკოს ასტვაცატურ ჰამადანცის 1715 და 1721 წელს თბილისში „ჭორთებად“ უყიდა რამდენიმე ოჯახი. იქვე უთითებს ნასყიდობის წიგნის ადგილმდებარეობასაც. მხოლოდ ამის შემდეგ „ჭამბრის“ ავტორი სათითაოდ ჩამოთვლის „წმინდა ტახტის ჭორთებს“ და ამასთან თითოეული მათგანის პროფესიასაც აღნიშნავს მაშინ, როდესაც ნასყიდი „ჭორთების“ მიმართ ამას არ აყ-

<sup>43</sup> ბ. მ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

<sup>44</sup> Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, 1959, გვ. 165, 169.

<sup>45</sup> მატენადარანი, ქართული დოკუმენტები, შეკვრა 252, საბუთი 38 (ვიმოწმებთ შ. მესხიას მიხედვით).

თებს<sup>46</sup>. ამით სიმეონ ერევანცი იმ სხვაობას აღნიშნავს, რაც ნასყიდსა და თავშეწირულ „ჭორთებს“ შორის იყო. პირველ შემთხვევაში „ჭორთის“ პროფესიის აღნიშვნა არ იყო სავალდებულო, რადგან ნასყიდობის უფლებით ეჩმიაწინს თავის სურვილის მიხედვით შეუძლია მისი გამოყენება. მეორე შემთხვევაში კი ეს აუცილებელი იყო. რამდენადაც თავშეწირული ყმები თავისი პროფესიის მიხედვით ასრულებდნენ საყმო ვალდებულებას ეჩმიაწინის კათალიკოსები კარგად იყენებდნენ რა ქართველი მეფეების კეთილგანწყობილებას, მთელი რიგი შეღავათების გამოთხოვას ახერხებდნენ თავისი „ჭორთებისათვის“ ხელოსნობასა და ვაჭრობაში. შეღავათიანი ვაჭრობის პირობებში მართლაც შეიძლებოდა ისე გამდიდრებულიყო ეჩმიაწინის ზოგიერთი „ჭორთი“, რომ წმინდა მამებს მისთვის „ბატონიც“ კი ეწოდებინათ.

ნასყიდ „ჭორთებთან“ დაკავშირებით, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჭორთები“ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთან არიან დაკავშირებული. ეჩმიაწინის კუთვნილი სოფლების გლეხებისა და მონასტრის მომსახურე სხვა კატეგორიის ხალხის მიმართ ეს სიტყვა არსად არ არის ნახსენები. ბ. არუთინიანი საგანგებოდ შენიშნავს, რომ მოცემული პერიოდის ვერცერთ საარქივო მასალაში საქართველოს ფარგლებს გარეთ „ჭორთების“ ყიდვისა თუ ეჩმიაწინისათვის ჩუქების ფაქტს ვერ წააწყდა<sup>47</sup>. ეს მოვლენა ჩვენ საესეებით კანონზომიერად გვეჩვენება. მუსლიმანური სამართლის მოქმედების სფეროში გლეხის ყიდვა-გაყიდვა ოფიციალურად დასაშვები არ იყო. ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გლეხების მიწაზე მიმაგრება და ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისამდე დოკუმენტურად არ არის დამოწმებული<sup>48</sup>.

განსხვავებას საქართველოში მცხოვრებ ეჩმიაწინის „ჭორთებსა“ და ერევანის სახანოში მცხოვრებ სამონასტრო გლეხების მდგომარეობას შორის აღნიშნავს ეპისკოპოსი ო. შაჰატუნიანიც. პირველებს ის მონებს უწოდებს, ხოლო მეორეებს „გადამხდლებს“. ამით, ვფიქრობთ, დანახულია განსხვავება „ყმასა“ და „რაიას“ შორის, რომლის ძირითადი მოვალეობაც ბატონისადმი მულქის ანუ მოსავლის ნაწილის გადახდა იყო. საქართველოში ეჩმიაწინის კუთვნილ პირებს სხვა ადგილას შაჰატუნიანი „მონის მდგომარეობაში“ მყოფებსაც უწოდებს (*შაროქჰ ქ ქირაქჰნ ქკასათანჰ*) და საინტერესო ციფრებიც მოაქვს მათი რაოდენობის შესახებ. ამ ეპისკოპოსის ცნობით, ეჩმიაწინზე დამოკიდებული პირებიდან „მონის მდგომარეობაში“ იყო 532 მამრობითი

<sup>46</sup> ჯამბრი, სომხ. გამ. გვ. 209, რუსული გამ. გვ. 281—282 (სხვათა შორის როვორც ნასყიდი, ისე თავშეწირული ჭორთები ტომით სომხები ჩანან. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ დავით ბატონიშვილის „სამართლის“ მიხედვით მოქალაქეს „აქუს ნებაჲ მოსყუდლადეა ყმათა სახმარებლად. გარნა არა მართმადიდებელთა, უკეთუ არს სომეხი“).

<sup>47</sup> ბ. შ. არუთიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92—93.

<sup>48</sup> ვ. გ. აბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958, გვ. 213.

და 402 მდებარეობით სქესის წარმომადგენელი<sup>49</sup>. ვფიქრობთ, ამ ციფრებში საქართველოში ნასყიდი ყმები უნდა იგულისხმებოდნენ, რადგანაც მხოლოდ ნასყიდები უახლოვდებოდნენ თავისი უფლებრივი მდგომარეობით მონის მდგომარეობას. მოტანილი ციფრები საკმაოდ საკულისხმაოა. ეჩმიაწინი რომ ნასყიდი ყმების დიდ რაოდენობას ფლობდა ამას მატენადარაწში დაცული ქართული საბუთებიც მოწმობენ<sup>50</sup>.

რა ვალდებულებები ეკისრებოდათ ნასყიდ ყმებს ეჩმიაწინის მიმართ? სათანადო საბუთების უქონლობის გამო ძნელია ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა. ერთი მაინც ცხადია. რამდენადაც ნასყიდ ყმაზე პატრონს დიდი უფლებები ჰქონდა, მას იქ გამოიყენებდა, სადაც სურდა. როგორც უკვე აღინიშნა, მსხვილი საბატონო მეურნეობის განვითარება (ეჩმიაწინის მეურნეობა თავისი მოცულობით ყველაზე დიდი იყო მთელს ერევნის სახანოში, თვით ხანის მეურნეობის შემდეგ) ეჩმიაწინის მესვეურების წინაშე მთელი სიმწვავეით აყენებდა მუდმივი სამუშაო ძალის პრობლემას. დღიური ან სეზონურად დაქირავებული მუშა მტკიცე საფუძველს ვერ უქმნიდა ინტენსიური მეურნეობის განვითარებას. მხოლოდ მიწაზე მიმაგრებული ყმა გლეხების სამუშაო ძალას შეეძლო დაეკმეყოფილებინა ასეთი მეურნეობის მოთხოვნილებები და ჩვენც ვფიქრობთ, რომ საკუთარი ფულით ნასყიდი ყმები სწორედ უნდა გამოეყენებინათ იქ, სადაც ყველაზე მეტად უჭირდათ. ამ მოსაზრების სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს შაპატუნიალის ცნობა 532 მამაკაცის გვერდით „მონის მდგომარეობაში“ მყოფი 402 ქალის შესახებ. ჯერ ერთი, თავშეწირულ ყმებში არცერთი ქალი არაა მოხსენიებული. ამას გარდა, ცნობილი არაა ფაქტი, რომ ქალი ვაჭრობით ან ხელოსნობით იხდიდეს თავის მოვალეობას ბატონის წინაშე. მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობაში, კერძოდ კი მინდვრის სამუშაოებში, ქალის შრომის გამოყენება სომხეთში, კერძოდ ეჩმიაწინის მამულში, დადასტურებული ფაქტია<sup>51</sup>. შაპატუნიალის მიერ მოტანილი ციფრები არც ისე მცირეა და თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ ეჩმიაწინის მეურნეობაში ნასყიდ ყმებს მნიშვნელოვანი გამოყენება ჰქონიათ.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გლეხთა დაყმევების პროცესი (დაახლოებით XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან) მიმდინარეობდა მიწის ფეოდალური დასაკუთრების პარალელურად. ამ პროცესის დასასრულად ვ. გაბაშვილი XVIII ს-ის მეორე ნახევარს მიიჩნევს<sup>52</sup>. ფილიპე ალბაკეცის დროიდან (XVII ს-ის შუა წლები), როცა ეჩმიაწინის საკუთარი მეურნეობა იქმნება, მიწის ფეოდალური დასაკუთრება ფაქტიურად დაწყებულია. ამის დამადასტურებელ ფაქტს ვხვდებით „ჯამბრში“, სადაც ეჩმიაწინი გლეხის ქონებისა და შრომის გამგებელი გამოდის. „ჯამბრის“ ავტორი ჩამოთვლის რა მონასტრის კუთვნილ სახნავ მიწებს, აღნიშნავს მათი შეძენის დროს და უჩვენებს მიწის ფართობს. იქვეა შენიშნული, რომ „ყველა ზემოხსენებული ადგილი მხოლოდ წმინდა

<sup>49</sup> ეიმოწმებთ ბ. არუთინიანის მიხედვით (დასახ. ნაშრომი, გვ. 93).

<sup>50</sup> მატენადარაწი, ქართული სიგელები, შეკვრა 252, საბუთი № 12, 18 და სხვ.

<sup>51</sup> Артемий Араратский. Жизнь Артемия Араратского... СПб., 1813. кн. I, Сомб. გამ. გვ. 45—48.

<sup>52</sup> ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.



ტახტს ეკუთვნის. ჩვენ გვლებს უფლება არა აქვთ რაიმე დათესონ იქ ჩვენი ნებართვის გარეშე. მაგრამ ჩვენი სოფლის სხვა მინდვრებზე, რომლებიც სოფლებებისაა, ჩვენ უფლება გვაქვს ვთესოთ აუცილებლობის შემთხვევაში, — თუ ამას მოვისურვებთ<sup>53</sup>. ბ. არუთინიანი ამ აღვიღს „ჯამბრის“ ავტორის ცალმხრივ და თვითნებურ განმარტებად მიიჩნევს, რადგანაც ის „მულქადარულ“ სამიწო ურთიერთობას არ შეესაბამება<sup>54</sup>. პ. არუთინიანი კი „ჯამბრის“ მიერ აღწერილ ურთიერთობაში ქართული ფეოდალური ურთიერთობის ასახვას ამჩნევს. ასეთი შეფასების საფუძველს პ. არუთინიანი სამართლიანად ხედავს იმ ფაქტში, რომ სომხურ სამღვდელოებასა და ფეოდალებს ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართველ ფეოდალებთან. ხოლო XII—XIII საუკუნეებიდან XIX საუკუნის I მეოთხედამდე „კავკასიის სომხეთი“ ხან მთლიანად ხან კი ნაწილობრივ ქართველ მეფეთა განმგებლობაში იყო მოქცეული. ამიტომ, მისი აზრით, ქართველი და სომეხი გლეხის ექსპლოატაციის ფორმებს ბევრი რამ საერთო უნდა ჰქონოდა<sup>55</sup>.

ეჩმიაწინის კათალიკოსების მიერ საქართველოში ყმების ყიდვის ფაქტები „ჯამბრის“ მიხედვით, XVIII ს-ის დასაწყისსა და ამ საუკუნის ოციან წლებს მიეკუთვნება. შაპატუნიალის ცნობაში კი, სამწუხაროდ, არ ჩანს, ამ ხანის რომელ მონაკვეთს ეხება მისი ციფრები. მიუხედავად ამისა, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ეჩმიაწინის მეურნეობაში მიწაზე მიმაგრებულ ყმათა პირველი კონტიგენტი საქართველოში ნაყიდ „ქორთებს“ უნდა შეექმნათ.

<sup>53</sup> ჯამბრი, სომხ. გამ. გვ. 153, რუსული გამ. გვ. 229.

<sup>54</sup> ბ. შ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

<sup>55</sup> პ. ტ. არუთინიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, შენ. 1.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

## თილა ჯარაულაშვილი

### ხალხური ქსოვის ისტორიიდან

(გუალაგი — მაფრაშა)

✓ სხვადასხვა სახისა და დანიშნულების საგნების ქსოვა-წვნა ადამიანის უძველეს საქმიანობას წარმოადგენდა.

✓ ქსოვილების დამზადება საერთოდ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან. ხალხური ქსოვის ტრადიციული წესები, რომლებიც მრავალი თაობის მიერ იქნა შემუშავებული პრაქტიკული საქმიანობისა და საწარმოო გამოცდილების საფუძველზე, უკანასკნელ დრომდე შემოგვინახა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ.

✓ საგულისხმოა, რომ სხვადასხვა დანიშნულების ნაქსოვი საგნები დღემდე შემორჩა ქართულ ყოფაში: ზოგიერთი მათგანი წარმოადგენს ხალხური ხელსაქმის საუკეთესო ნიმუშს, ასეთებია: გულაგი ანუ მაფრაშა<sup>1</sup>, ჯეჯიმა, ფარდაგი, ხალიჩა, ხურჯინი, მუთაქა-ბალიშის საპირე, სუფრა, არშია, ნაქარგი თუ დაბასმული ლეჩაქი, ბადე, თალისა (ქისა) და სხვა. ეს ნიმუშები სხვადასხვა საქსოვი იარაღით და ტექნიკური წესით არის შესრულებული („ბადური“ || „კვანჭური“; „ფარდაგული“, „ხაოიანი“, „ხვეული“ და სხვა). მათზე წარმოდგენილია ნაირი სახის „ჭრელი“ — შესრულებული სხვადასხვა სახის და ფერის მასალით (ძაფი, მძივი და სხვა).

✓ ქართული ხალხური ქსოვილებიდან საინტერესოა გულაგი, ანუ მაფრაშა, რომელსაც საგანგებოდ გვინდა შევეხოთ. ვიდრე უშუალოდ საგნის შესწავლაზე გადავიდოდეთ, უპირველეს ყოვლისა, გვინდა გავარკვიოთ მისი ქართული სახელწოდება.

სულხან-საბა ორბელიანი ქართულ ლექსიკონში, წყაროებზე დაყრდნობით, მაფრაშის შესახებ აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა „სხვათა ენაა, ქართულად გვალაგი ჰქვიან-ო. გვალაგი ნ. გულაგი!“. საბას იმავე ლექსიკონის სახელთა უცხო შესატყვისობაში სახელი მაფრაშა თურქულ სიტყვადაა მიჩნეული<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთივე მნიშვნელობა აქვს ტერმინ „მეფრეშ“ || „მაფრაშას“ აზერბაიჯანულში<sup>3</sup>.

ჩანს, ჩვენი ხალხის ყოფაში „შთასადებელი ქსოვილი ჭურჭლის“<sup>4</sup> ძველი ქართული სახელი — „გულაგი“ || გვალაგის მაგიერ აღრევე დამკვიდრდა უცხო წარმოშობის სახელი — „მაფრაშა“, რადგან, არც ეთნოგრაფიულ ყოფაში და

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV<sub>1</sub>, თბ., 1965.

<sup>2</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV<sub>2</sub>, თბ., 1965.

<sup>3</sup> Народы Кавказа, т. II, 1963, стр. 92.

<sup>4</sup> საბა, დასახ. ნაშრომი.

არც ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში (XVIII—XIX სს. მზითვის სიები, ქონების ნუსხები და სხვა) აღარ იხსენიება სახელი „გულაგი“. მის მაგიერ ყველგან „მაფრაშა“ ნახმარი. ზემოაღნიშნულის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც აღვადგინოთ ამ საგნის აღმნიშვნელი ძველი ქართული სახელი „გულაგი“.

მაფრაშა წარმოადგენს ნაქსოვ სათავსოს, რომელიც ისმარებოდა უმთავრესად ლოგინის, ტანსაცმლის, საფენის (ფარდაგი, ჭეჯიმი, ხალიჩა, ნაბდები) და სხვათა ჩასალაგებლად.

სამაფრაშე ქსოვილი, ფერადსახიანი, საგანგებოდ მზადდებოდა მატყლის ნართისაგან, მას ვერტიკალური ტიპის ნაქსოვ დაზგაზე — „ყუდებზე“ ქსოვდნენ „ფარდაგული ქსოვის“ წესით. აგრეთვე გამოყენებული იყო ის წესი, რომელსაც ეწოდებოდა — „ხვეული“ // „დარმა“, ანუ „სუმაზი“ // „იემენი“; ამ წესით მაფრაშის ორნამენტები უკეთდებოდა მხოლოდ გვერდებზე, რისთვისაც სხვადასხვა ფერის ნართს იყენებდნენ. ძირი კი სადა ან ზოლიანი იქსოვებოდა<sup>5</sup>.

სამაფრაშე ქსოვილის დასამზადებლად ქსელი ერთნაირად გაიბმებოდა, მაგრამ მაფრაშის გვერდები და ძირი ცალკე იქსოვებოდა (ჯერ გვერდი იქსოვებოდა, შემდეგ ძირი და ისევ გვერდი), თავებიც ცალკე, რადგან ისინი ცალკე უნდა მოეჭრათ და ჩაედგად მაფრაშის ორივე მხარეს. გვერდებს, ძირსა და თავებს ისე მიაკერებდნენ, რომ მაფრაშა მართკუთხა კილობნის ფორმას იღებდა<sup>6</sup>. ამის გამო მესხეთში მაფრაშას „ნაქსოვი კილობანიც“ ეწოდებოდა. მაფრაშას ფერადი ნართებით და დიდი ნემსით, ხურჯინის გვერდების მსგავსად, „ხვეულად“ კერავდნენ, ვარშემო ნაპირზე საკინძავ ყულევებს უკეთებდნენ — ექვსს გვერდებზე და თითო — თავებზე. მათ ხურჯინის მსგავსად უკეთებდნენ სახლართავ ზონრებს რომელთაც შეიღწევი ფერადი ნართისას წინაედნენ „მოლტივით და ბოლოში ფუნჯს უკეთებდნენ. მაფრაშაში ჩალაგებულ ნივთებს რაიმე ქსოვილს გადააფარებდნენ (ჭეჯიმს და სხვა) და სახლართავი ზონრებით შეკრავდნენ საცალოს მსგავსად<sup>7</sup>.

როგორც ითქვა, მაფრაშა ოჯახში გამოყენებული იყო ძირითადად ლოგინის, ტანსაცმლის და საფენების (ფარდაგის, ჭეჯიმის, ხალიჩის, ნაბდების) და სხვათა ჩასალაგებლად. ამ ნივთების გადატანა მაფრაშით ადვილი იყო. ზოგ ოჯახში რამდენიმე მაფრაშა ჰქონდა. მაგალითად, ქალის მზითევი აუცილებლად მაფრაშით უნდა წაეღოთ (ლოგინი ფარდაგი, ჭეჯიმი და სხვა); ამ შემთხვევაში მაფრაშა მზითვის შემადგენელ საგანს წარმოადგენდა, რაც ეთნოგრაფიული მასალის გარდა, მზითვის სიებითაც დასტურდება. მაგალითად, მანუჩარ თუმანი-

<sup>5</sup> საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული ერთ-ერთი მაფრაშის მიხედვით ირკვევა, რომ იგი ზოგჯერ კუმბურული სახიანი შალისაგანაც უყვრით, ტაბ. II, სურ. 2.

<sup>6</sup> მაფრაშა სხვადასხვა ზომისა იქსოვებოდა. მაფრაშის ქსოვისას წინასწარ გათვალისწინებული იყო მხოლოდ ძირის ზომა (სიგრძე, სიგანე) და გვერდის სიმაღლე (რამდენი „ჩარეკი“, ან „არშინი“ უნდა დაეჭირათ, ამ აღმთხვევით ხალხური საზომი ერთეული მტკაველი იყო გამოყენებული. ოთხი მტკაველი ერთ არშინს უდრიდა). კახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მაფრაშის გვერდის სიმაღლე დაახლოებით არშინსახევარს უდრიდა, თუმცა ზოგიერთი მეტი ზომისას ქსოვდა. 1967 წელს, მესხეთ-ჭავჭავეთში შემდეგი ზომის მაფრაშა დავაშოქვით; ძირის ზომა: 110 x 54 სმ. გვერდის სიმაღლე 50 სმ. აღნიშნული მაფრაშის გვერდებზე რთული გეომეტრიული ორნამენტი იყო გამოსახული, შესრულებული „დარმა“ ანუ „ხვეული“ ქსოვის ტექნიკური წესით; ძირი კი ფერდობიანი, სადა ნაქსოვი, იყო, ტაბ. II.

<sup>7</sup> მაფრაშის საინტერესო ნიმუშები დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხალიჩების ფონდში, იხ. ტაბ. I, და II.



შვილის ასულის ბარბარეს მზითვის წიგნში (1808 წ.) აღნიშნულია: „მაფრაშა ხუთი“<sup>8</sup>. იესე თუმანოვის ასულის მარიამის მზითვის წიგნში (XIX ს. შუა ხანები) საფენების (ორხოა, ქჩა, ხალიჩა) შემდეგ აღნიშნულია: „ქ. ორი მაფრაშა“<sup>9</sup>. იაკობ ზუბალოვის ასულის გაიანეს მზითვის წიგნშიც (1849—1852 წწ.) „ერთი წვეილი მაფრაშა“ არის მოხსენიებული<sup>10</sup>. ეკატერინე სოლომონის ასულ ჭავჭავაძის მზითვის სიაში (1870 წლის 25 ოქტომბერი, ს. ყვარელი), მოხსენიებულია „ორი მაფრაშა“, იქვე აღნიშნულია მისი ფასი — 12<sup>11</sup>. ხოლო დეკანოზ ეგნატე მრევლიშვილის ასულის სიდონიას მზითვის სიაში (1879 წლის 1/1) მოხსენიებულია ერთი მაფრაშა<sup>12</sup>. „ერთი მაფრაშა“ აღნიშნული აგრეთვე ნინო ვაჩნაძის მზითვის წიგნში (1883 წელს)<sup>13</sup>. ჩანს, შეძლებული წრის ქალებს მზითვად რამდენიმე მაფრაშა, ანუ გულავი მიჰქონდათ. ეს დამოკიდებული იყო, ალბათ, მზითვის რაოდენობაზეც.

მართალია ტანსაცმლისა და სხვა ნივთების ჩასაწყობად და გადასატანად ზანდუკებსაც ხმარობდნენ, მაგრამ მაფრაშები მაინც აუცილებელ და საჭირო საგანს წარმოადგენდა როგორც დაბალი წრის, ისე მაღალი წრის ოჯახებისათვის.

მაღალი წრის ქალების მზითვის სიებში რამდენიმე ცალი მაფრაშა მოხსენიებული. პატარძლის მზითევთან ერთად მისი გამზრდელისა და მსულტლების (მოლარე, პირისფარეში, მედოშაქე და სხვათა) ლოგინი, ტანსაცმელი და საფენები ცალკე მაფრაშებში ჩაწყობილი მიჰქონდათ. მაგალითად, ქსნის ერისთავის ანას მზითვის წიგნში (1692—1703 წწ.) აღნიშნულია: „მაფრაშა თალათინისა ჯუფთი ერთი“ (რომელშიც, მხოლოდ საფარეშო იარაღის ნივთები იყო ჩალაგებული, „... გამდელი ... ერთის ჯუფთის მაფრაშითა, ერთის ზანდუკითა. პირისფარეში... ერთის მაფრაშითა და ზანდუკითა ... ცალის მაფრაშითა და ზანდუკითა“<sup>14</sup>.

ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს მზითვის წიგნში (1713 წლის 5 სექტემბერი) ვკითხულობთ: „ერთის ჯუფთის საქლემოს (Sic) მაფრაშით ქუემოურის გარდასაფარებლის ჯეჯიმითა“... (რომლებშიც ქვეშაგებლები იყო ჩალაგებული) ... წყუილი მაფრაშით, ზედ გარდასაფარებლის ფარდაკებით (Sic) (ამაში საბანი, ქვესაფენი და ხალიჩები იყო მოთავსებული). გამდელის ქუეშაგები და ხალიჩა, ფარდაგი, ჯეჯიმი „ზანდუკითა და ოთხის მაფრაშითა“; პირისფარეშის, მოლარის, მედოშაკის ტანსაცმელი და ქვეშაგებლები ცალ-ცალკე მაფრაშებში იყო ჩალაგებული<sup>15</sup>. როგორც ჩანს, მაფრაშები აქლემზე ასაკიდებელიც ყოფილა („ერთის ჯუფთის საქლემოს (Sic)“. ალბათ, აქლემზე ასაკიდებელი მაფრაშა უფრო დიდი იყო, ვიდრე ჯორსა, თუ ცხენზე ასაკიდებელი. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ მეფის მოძრავი სა-

<sup>8</sup> ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, გ. 1955, გვ. 410.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 533.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 535.

<sup>11</sup> თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კოლ. № 107.

<sup>12</sup> იქვე, კოლ. № 106.

<sup>13</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., წ. III, გვ. 536.

<sup>14</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი, 1909, გვ. 434.

<sup>15</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1910, გვ. 498, 499, 500.

წოლ-სასაგებლე, რომელიც დიდ მაფრაშაში იყო ჩალაგებული, „სასაგებლე ჯორზე“ იყო აკიდებული<sup>16</sup>.

გარდა ამისა ზემოხსენებული მზითვის წიგნიდან ირკვევა, რომ მაფრაშების თავზე გადასაფარებლად სხვადასხვა სახის ქსოვილები ყოფილა გამოყენებული: ჯეჯიმი, ფარდავი და სხვა. ეთნოგრაფიული მასალებით ცნობილია, რომ მაფრაშები მატყლის ნართისაგან მზადდებოდა „ფარდავული“ ქსოვის წესით. ამას ადასტურებს მზითვის წიგნებში დაცული ცნობებიც. „(9 მიწალთენი) ქ. ბ. მაფრაშა ფარდავისა, თავისის შავის სახლართის საბლებითა“<sup>17</sup> (1807 წ.), ხოლო ზემოდასახელებული ქსნის ერისთავის ასულის ელენეს მზითვის წიგნის მიხედვით ირკვევა, რომ მაფრაშები თალათინისა<sup>18</sup>, ანუ ტყავისაგანაც უმზადდებოდათ: „მაფრაშა თალათინისა ჯუფთი ერთი“<sup>19</sup>, ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში ორიენიანი (მასალის მხრივ) მაფრაშა მოხსენიებული: „მაფრაშა თალათინისა წყული ერთი, ფარდავისა წყული ორი“<sup>20</sup>. ხოლო თარხან მოურავის ქალის მზითვის სიის მიხედვით ირკვევა, რომ ზოგიერთი მაფრაშა ბამბის ნართისაგანაც უმზადდებოდათ. „ამათი ერთი წყვილი მაფრაშა ბამბისა“<sup>21</sup>. მაფრაშა სამეფო საფარეშოებშიც მრავალი მოიპოვებოდა, რასაც მეტყველებს სამეფო საფარეშოს აღწერის სია, რომელიც შედგენილია 1798 წლის 21 ივლისს და 1799 წლის 26 თებერვალს. სიაში აღნიშნულია: „წყვილი მაფრაშა“. „ქ. ქიზიყის მოურავისეული კარავი თავისი თეჭირითა და ფოჩით, აბელისეული კარავიც ამაში ძვეს. ეს ორ მაფრაშაში არის. ქ. ტახტის პატარა ორხოა ტახტის ერთი, ერთი მაფრაშით. ქ. ქალაქური თაქნაბადი ერთი წყვილი მაფრაშით. ქ. კიდევ ერთი მაფრაშა. ქ. სამი მაფრაშით ესენი... (ჩამოთვლილია ქეჩები, თაქნაბადები, ხალიჩები, ფარდავები, ჯეჯიმები, ტომარა და სხვა სულ 27 ნივთი)“<sup>22</sup>.

მაფრაშა იხმარებოდა შორი მგზავრობისას, ხატობისას, მხედრობისას და სხვა დროს. საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა აკად. ივ. ჯავახიშვილის შემდეგი შენიშვნები: 1) „ისევე როგორც მუდმივი საწოლი და სასაგებლე, საქართველოს მეფეებს მოძრავი, სამგზავრო საწოლ-სასაგებლეც ჰქონდათ, რომლის აღწერილობა ხელმწიფის კარის გარიგებაში მოგვეპოვება „... დიდი მაფრაშა, რომელსა შიგან იდვას: ერთი მომცრო უკეთესი ორხოვა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი და ერთი სასთაული, ეს ერთს თხელს ლარის ბუდეცა შიგან და ეგეთი ზედ გარდაფარონ. მით სახურავითა ნაკერთა დახურონ და წითლის ბანბის ქარშიკით დააკრან“. იგი აკიდებული იყო ჯორზე, რომელსაც სასაგებლე ჯორს უწოდებდნენ, როდესაც „მეფე აიყაროს“, მაშინ მოძრავი „სალაროსა წინათ იარების სიკისტრონი და ერთი ყათარი სხვაი ჯორი სასაგებლე ტურ-

<sup>16</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III—IV, თბილისი, 1962, გვ. 18.

<sup>17</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, წ. III, გვ. 275.

<sup>18</sup> სულხან საბა-ორბელიანის განმარტებით თალათინი სხუთა ენაა, ნატა პქან. „ნატა თალათინი მოქნილი ტყავი (ნ. თალათინი). სულხან-საბა-ორბელიანის, ქართული ლექსიკონი, ტ. IV, თბილისი 1962.

<sup>19</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, ტფილისი, 1909, გვ. 434.

<sup>20</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფილისი, 1910, გვ. 491.

<sup>21</sup> ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, თბილისი, 1955, გვ. 325.


<sup>22</sup> იქვე, გვ. 284, 289, 280.







სურ. 1



სურ. 2

ფადვე მოკაზმული“. 2) მოგზაურობისათვის გამზადებულ რაინდს და ყოველ სხვა ადამიანსაც თან საგებელიც უნდა წაეღო. ამიტომაც იყო, რომ ფრიდონმა ავთანდილსაც, წასვლის წინ, „ერთსა ჯორსა წვივ-მაგარსა, საგებელი აუკიდა“ (აბ. 955)<sup>23</sup>.

ისტორიული საბუთებით ირკვევა, რომ მაფრაშა, როგორც ოჯახისათვის ფრიად საჭირო საგანი საძღვინოდაც ყოფილა გამოყენებული. რასაც თუმანიშვილების ხარჯის ნუსხაში (1783 წლის) დაცული ცნობა მეტყველებს. „ქ. ა ბარათით ა წყვილი მაფრაშა მდივანს ნიკოლოზს აბაშიძისათვის მიურთმევია“<sup>24</sup>.

საისტორიო საბუთების (განსაკუთრებით მზითვის წიგნებში, ქონების ნუსხებში, ანდერძის და სხვა რიგის საბუთებში) მიხედვით ირკვევა, როგორც მაფრაშების დანიშნულება, ისე მათი რაოდენობა და ღირებულება. ასე, მაგ., XVIII ს-ის შუა ხანების ქონების სიაში აღნიშნულია „მხლებლების ტანსაცმელი და ქვეშაგები თავის მაფრაშებით წააღეს“<sup>25</sup> დიმიტრი ბარათაშვილის მეუღლის თამარის ქონების ანდერძის ნუსხაში (1826 წ.) სულ 8 მაფრაშაა მოხსენიებული: „ოთხი მაფრაშა“ ... კიდევ „მაფრაშა ოთხი“<sup>26</sup>. ზოგიერთი საბუთის მიხედვით მაფრაშის ღირებულებაც ირკვევა. გაბრიელ მაღალოვის ასულ სოფიოს მზითვის წიგნში (1833 წლის) აღნიშნულია: „(თუ მ ა ნ ი) ერთი წყვილი მაფრაშა ახალი“<sup>27</sup>, ეგნატ თუმანიშვილის დანაკარგი ბარგის ნუსხაში (1795 წ.) აღნიშნულია: „(ო თ ხ ი თ უ მ ა ნ ი და ო თ ხ ი მ ი ნ ა ლ თ უ ნ ი) ქ. მაფრაშა ახალი ექვსი“<sup>28</sup>. მანუჩარ მდივნისა და მისი სიმამრის ადა-სტეფანას ანგარიშის წიგნში (1795 წ.) აღნიშნულია: „ა წყვილი მაფრაშა 3 (5 მ ი ნ ა ლ თ უ ნ ი)“<sup>29</sup>.

ეგნატ თუმანიშვილის ასულის ელისაბედის მზითვის წიგნში (1807 წ.) აღნიშნულია: „(9 მინალთენი) ქ. ბ მაფრაშა ფარდავისა, თავისის შავის სახლათის საბლეთა. (2 მინალთენი) ქ. ა ცალი მაფრაშა ფარდავისა“<sup>30</sup>. ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა ელისაბედის მოლარეს. საბუთში აღნიშნული მაფრაშების ფასებს შორის დიდი სხვაობა (9 მინალთენი და 2 მინალთენი), მათ შორის განსხვავებულ ხარისხზე უნდა მეტყველებდეს. ჩანს, რომ მაღალი წრის ქალები სამზითვოდ უფრო კარგი ხარისხის მაფრაშებს იძენდნენ, ჩვენ ზემოთ დავიხატეთ, რომ საამისოდ ზოგჯერ ტყავის მაფრაშებიც კი გამოუყენებიათ, ხოლო მათს მხლებლებს უფრო მდარე მაფრაშები ჰქონდათ.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ მაფრაშები საბაზრო დანიშნულებითაც დიდი რაოდენობით მზადდებოდა. საარქივო მასალების მიხედვით, თბილისის, თელავის და ახალციხის მაზრებში, XIX ს-ის შუა ხანებში, ერთ-ერთ წელს საბაზროდ 476 მაფრაშა დაუმზადებიათ, რომელთაგან გაყიდულა 215 ცალი. საერთო ღირებულებით — 698 მანეთის. გაყიდული ნაწილის შეფარდება დამზადებულ ნაწილთან უდრიდა 45,7%-ს<sup>31</sup>. ამ საკითხთან დაკავში-

<sup>23</sup> ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. II—IV, თბ., 1962, გვ. 17, 18.

<sup>24</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., ნაშრომი, წ. III, გვ. 204.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 500, 504.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 517.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 257. <sup>29</sup> იქვე, გვ. 263.

<sup>30</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., ნაშრომი, წ. III, გვ. 401, 402.

<sup>31</sup> სკია, ფონდი 16, საქმე 8888, ფ. 50—51, 64—65, 73,—74, 107, 128—130, მ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს-ის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 66.

რებით საინტერესოა 1808 წლის საბუთი, რომელიც წარმოადგენს ვინმე ნატალია ამატუნის წერილს ამილახერის ასულის ანასადმი; წერილში ნათქვამია: „მაფრაშები და ქეჩა ვერ ვიშოვეთ და ვცდილობთ ეგება ვიშო(ვ)ოთ“<sup>32</sup>.

როგორც ცნობილია, ტანსაცმლისა და საფენელ-საგებელთა შთასადებელმა მაფრაშამ დღეს თავისი მნიშვნელობა დაკარგა, მისი ადგილი სხვა სახის სათაფროსომ დაიკავა. მაფრაშა ახლა, მხოლოდ ზოგიერთ ოჯახებში გვხვდება, ისიც უყურადღებოდ მიგდებული, ახლო წარსულში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მნიშვნელოვან საოჯახო საგანს წარმოადგენდა.

მაფრაშები არა მარტო საქართველოში იყო გავრცელებული, არამედ იგი საერთოდ კავკასიური სამყაროსათვის იყო დამახასიათებელი: რასაც მოწმობს მუზეუმებში დაცული მაფრაშები (საქ. სახ. მუზეუმი, ეთნოგრაფიული განყოფილება, იხ. ტაბ. I, II; ლენინგრადის, საბჭ. კავ. ხალხთა ეთნოგრაფიული მუზეუმი და სხვა).

<sup>32</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, დასახ., ნაშრომი, წ. II, გვ. 399.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ)



## თეიმურაზ ქარლავანიძე

## გაზეთი „ივერია“ (1886 წ.) და ხალხური სიტყვიერება

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ დააყენა ხალხური შემოქმედება. ერის ამ ფასდაუდებელი განძის შეკრებას, გამოქვეყნებასა და შესწავლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდნენ.

„თერგდალეულები“, აღფრთოვანებულნი ხალხური შემოქმედების დიდი ესთეტიკური, მხატვრული და ისტორიული ღირებულებით, ზეპირსიტყვიერებაში ხედავდნენ ერის გამოფხიზლების ერთ-ერთ საშუალებას.

ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და გამოქვეყნების საქმეს განსაკუთრებული ამაგი დასდეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა სამოციანელებმა. ილია ჭავჭავაძეს ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამომწვეურება „ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარების“ საშუალებად ესახებოდა. ამიტომ იყო, რომ თავისი საკუთარი ორგანოს დაარსებამდე, 70-იან წლებში აკაკი წერეთლის ჟურნალ „კრებულში“ აქვეყნებდა თავისივე ჩაწერილ მასალებს „გლეხური სიმღერების“ სახელწოდებით<sup>1</sup>.

გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძე თავის ჩაწერილ ნიმუშებს ხალხური სიტყვიერების ცნობილ კოლექციონერ პეტრე უმიკაშვილს უგზავნიდა<sup>2</sup>.

1877 წელს თბილისში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოსვლას იწყებს პოლიტიკურ-ლიტერატურული ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“. 1879 წლიდან 1886 წლამდე „ივერია“ ჟურნალის სახით გამოდიოდა თვეში ერთხელ. 1886 წელს კი გადააკეთდა ყოველდღიურ გაზეთად, რომელშიც უხვად დაიწყეს ბეჭედა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა.

ჩვენი გამოკვლევის თემად გაზეთ „ივერიის“ 1886 წელი ავირჩიეთ ორი მოსაზრების გამო. ჯერ ერთი, საინტერესოდ გვეჩვენებოდა ეს პერიოდი (1886 წლისათვის უკვე საკმაო ხნის ტრადიცია ჰქონდა ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩაწერა-გამოქვეყნებას) და, მეორეც, გვინტერესებდა „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების შემდეგ გამომცემელთა დამოკიდებულება ხალხური სიტყვიერებისადმი.

1886 წელს ხალხური სიტყვიერების ნიმუშები და წერილები ზეპირსიტყვიერებაზე გამოქვეყნებულია გაზეთის 15 ნომერში. 1887 წელს კი ასეთი ნომრების რიცხვი უკვე 25-ს აღწევს.

1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები სხვადასხვა ქანრების წარმოვლიდნენ. გარდა ზეპირსიტყვიერებისა,

<sup>1</sup> აკაკის კრებულები, 1872, № 7; 1873, №№ 1, 3, 5, 6, 7, 8, 10.

<sup>2</sup> პეტრე უმიკაშვილის არქივში დაცული ილია ჭავჭავაძის ჩანაწერები გამოქვეყნებულია პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ 1937 და 1964 წლების გამოცემებში.

ფოლკლორისტის ყურადღებას იქცევს ალ. მირიანაშვილის წერილი და გამოკვლევა, ვაჟა-ფშაველას, ნ. ხიზანაშვილისა და ბესარიონ ნიჭარაძის (თავისუფალი სვანი) ფოლკლორული და ეთნოგრაფიული წერილები.

1886 წლის გაზზე „ივერიაში“ დაბეჭდილ მასალას გასაანალიზებლად შემდეგი თანამიმდევრობით წარმოვადგენთ:

I — ზეპირსიტყვიერების ნიმუშები

II — წერილები ზეპირსიტყვიერების საკითხებზე

III — ფოლკლორისტულ-ეთნოგრაფიული წერილები.

თავიდანვე გულისტკივილით უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად 1882 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შემკრებთათვის სახელმძღვანელოდ გამოცემული პროგრამისა<sup>3</sup>, თვით ისეთ ავტორიტეტულ ორგანოში, როგორც ილია ჭავჭავაძის „ივერია“ იყო (ილია ჭავჭავაძე ამ პროგრამის შედგენაში მონაწილეობდა) თითქმის ყოველთვის ირღვეოდა პროგრამით გათვალისწინებული პასპორტიზაციის პრინციპები.

გაზეთ „ივერიის“ № 140-ში ქვეყნდება ხალხური პოეზიის 16 ნიმუში. მისი შემკრება სახალხო მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ნათაძე-გ. ნათაძეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უხდებოდა ჩაწერა ხალხური საუნჯისა და საწყენია, რომ ლექსებს არა აქვთ პასპორტები.

ქანრობრივად გ. ნათაძის ჩაწერილი ლექსები შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს: 1. სატრფიალო შაირები, 2. დალოცვები, 3. საყოფიერო შაირები, 4. კაფია (გაშაირება).

სატრფიალო შაირები ლექსიკის მიხედვით საქართველოს ბარში უნდა იყოს ჩაწერილი.

აი, ნიმუშებიც:

1. აი, შენ კი გენაცვალქ  
მაგ ეუფუნა თვალგზშია,  
ამალამ შენთან წამოვალ  
ამ მთვარიან ღამეშია.
2. შენ კი გენაცვალებო,  
მაყვალს გიგავს თვალგზო,  
მაყვალს თვალმც დაუღდება,  
მე შენ გეთაყვანებო.

ალ. მირიანაშვილის მიერ გალექსილი „ეთერიანის“ ერთ ფრაგმენტს გვაგონებს სატრფიალო ლირიკის ნიმუშის ორი სტრიქონი

ხელსახოცსა გადმოგივლებ  
ო ქ რ ო - მ ქ ე რ დ ი თ მ ო ქ ა რ გ უ ლ ს ა,  
შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა,  
შ ე ნ გ ნ ი თ დ ა მ წ ვ ა რ - დ ა დ ა გ უ ლ ს ა<sup>4</sup>.

ყურადღებას იქცევს შემდეგი ლექსიც:

გადამავღე და დამკარგე  
როგორც ჩერქეზმა ისარი,  
შენ ჩემს გულს ველარ მოიგებ  
ჩემი სათქმელი ის არი.

<sup>3</sup> „პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოებების შემკრებთათვის“, ქართველოლო შორის V/კ გამავრცელებელი საზოგადოება, 1882.

<sup>4</sup> ხალხური სიტყვიერება, IV, თბ., 1954, გვ. 265.

ამ ლექსის დასაწყისი ორი სტრიქონი გამოიყენა გიორგი ლეონიძემ ლექსში „ციცარი“<sup>5</sup>.

აქვეა წარმოდგენილი ხალხური სატრფიალო შაირის პოპულარული ნიმუში — „ქალო, ეგ რა შემოგიკრავს...“<sup>6</sup>

საინტერესოა კავთის (გაშაირების) ნიმუშიც

1. მცხეთას ვიყიდ ბარები,  
იქვე დავასხი ტარები,  
თუ სიმღერები არ იცი,  
რატომ არ მომეზარები?
2. შალა ისარი ავაგდე,  
აილურსა-ბაილურსა.  
შენ სიმღერაში ვერ დამკრავ,  
თავი გიგავს მაიმუნსა!

გაზეთის 204-ე ნომერში გამოქვეყნებულია ფშაური ლექსები (ფშაველის დედაკაცის ბაბაღე მინდოდაურისაგან გაგონილი)<sup>7</sup>. ორივე აქ წარმოდგენილი ლექსი სატრფიალო ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია.

პირველი ლექსია მრავალ ვარიანტად ცნობილი „შენ ჩემო დიდო იმედო“:

შენ ჩემო დიდო იმედო,  
კოშკო ნაგებო კირითა,  
კახეთს მოჭრილო ისარო,  
ქალაქს ნაღებო ინიითა,  
წითელი მოვის პერანგო,  
შვიდგან შაყრილო ღილითა,  
ცაე წმინდა-ვარსკვლავიანო,  
მზევ, დაფენილო ღილითა,  
შენთანამც წოლით გამაძლო  
შვიდი დღე-ღამე ძილითა...<sup>8</sup>

თ. რაზიკაშვილს ფშაეში ჩაწერილი აქვს ამ ლექსის ვარიანტი, რომელაც თითქმის დამოუკიდებელი სახისაა<sup>9</sup>.

უცნობი ჩამწერის მიერ „ივერიაში“ გამოქვეყნებული მეორე ლექსია, აგრეთვე მრავალ ვარიანტად ცნობილი „ვერცხლისამც თასად მაქცია“.

როგორც ცნობილია, ეს ლექსი ნაწყვეტია სასიყვარულო ბალადისა, რომლის სრული სათაურია „ქალ-ვაყის სიყვარული ვაყიკასი და ხვარამზისა“. ქართული ხალხური სიტყვიერების ცნობილი მოამაგე თედო რაზიკაშვილი საინტერესო ცნობებს გვაწვდის, როგორც ბალადის შემქმნელზე, ასევე მისი შექმნის ისტორიაზე<sup>10</sup>.

<sup>5</sup> გ. ლეონიძე, ლექსები და პოემები, თბ., 1954, გვ. 235.

<sup>6</sup> გ. ნათაძის ჩაწერილი ლექსის ზუსტი ვარიანტი გამოქვეყნებულია პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“, (1937, № 623), ჩაწერილია ქართლში, სოსო სხირტლაძის თქმით, 1870 წელს.

<sup>7</sup> ტექსტებს არა აქვს მითითებული ჩამწერის გვარი, დრო და ადგილი.

<sup>8</sup> ამ ლექსის ვარიანტი გვხვდება: დ. ხიზანაშვილი, ფშაური ლექსები, 1887, გვ. 26; ამავე ლექსის ვარიანტი (ორი ზედმეტი სტრიქონით) გამოქვეყნებულია: ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზ., 1961, გვ. 82. აგრეთვე, პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, 1937, მოკმ. ბაბაღე მინდოდაური, ჩაწ. 1886 წ. ეს ლექსი ზუსტად იმეორებს „ივერიაში“ ვარიანტს., გ. ნათაძე, ხალხური ლექსები და ზღაპრები, გაგონილი თუშეთში, თბ., 1950, გვ. 41.

<sup>9</sup> ხალხური სიტყვიერება, III, მ. ჩიქოვანის რედ., თბ., 1953, № 219.

<sup>10</sup> იხ. ხალხური სიტყვიერება, III, 1953, მ. ჩიქოვანის რედაქციით, გვ. 150, შენიშვნები სკოლოშია მოცემული.



„ივერიაში“ გამოქვეყნებული ბაბაღე მინდოდაურისაგან ჩაწერილი ნაწყვეტი ნაკულულია თ. რაზიკაშვილის ვარიანტთან შედარებით (ქალიკელ გორზამაულისეული ვარიანტი სამი სტრიქონით მეტია და შედარებით სრულყოფილიც). ვარიანტებს შორის განსხვავება ხელწერაშიც იგრძნობა.

ვაჟიკასა და ხვარაშხის ლექსი უფრო მოგვიანებით ჩარგალში ბაბაღე მინდოდაურისაგან ჩაუწერია პოეტ მაყვალა მრეველიშვილს<sup>11</sup>.

ჩვენი აზრით, შემოქმედი მთქმელის განწყობილების შესასწავლად საუკეთესო მაგალითთან გვაქვს საქმე. ბაბაღე მინდოდაურისაგან ჩაწერილი ორივე ვარიანტი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. საინტერესოა აგრეთვე ის, რომ მთქმელმა „ივერიაში“ გამოქვეყნებული ვარიანტის ჩამწერს ჯერ კიდევ 1886 წელს მხოლოდ ფრაგმენტი უთხრა, უფრო მოგვიანებით კი, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, მთელი ბალადა. მეორე მხრივ, ყურადსაღებია ისიც, რომ მთქმელმა ერთი და იგივე მონაკვეთი სხვადასხვაგვარად გააფორმა.

„ივერია“

ვერცხლისამც თასად მაქცია,  
რო ღვინით აგვესობოდი,  
დაფერილი მქნა წითლადაც,  
შამსმევედი, შაგერგებოდი;  
ანა მქნა ვერცხლის სათითე,  
რო ხელზე ჩაგედებოდი,  
ან შენის ნამგლის ყანა მქნა,  
რო ფხაზე შაგეყრებოდი;  
ანა მქნა ვარდო-ყოილი,  
ცხვირ-პირზე დაგეყრებოდი,  
ან ვიყო მოვის პერანგი,  
რო გულზე დაგედნებოდი;  
ან შენი ნანდაური მქნა,  
გულს ჯაგრად ჩაგეჭრებოდი;  
ანამც ძმა ვიყო მოწილე,  
ცოცხალს არ გაგეყრებოდი.

ვ. კოტეტიშვილის „ხალხური პოეზია“

ვერცხლის თასადამც მაქცია,  
რო ღვინით აგვესობოდე,  
დაფერილი მქნა წითლადა,  
შამსმევედი, შაგერგებოდე,  
ანა მქნა ვერცხლის სათითე,  
რო ხელზე ჩაგედებოდე,  
ანა მქნა ოქროს ზურთევი,  
კალთაში ჩაგეშლებოდე.  
ან ვერცხლის ფულად მაქცია,  
ჯიბეში ჩაგეყრებოდე.  
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,  
რო ფხაზე შეგეყრებოდე.  
ანა მქნა ვარდი ყოილი,  
რო პირზე დაგეყრებოდე.  
ანა მქნა მოის პერანგი,  
რო გულზე დაგედნებოდე!  
ან შენი ნანდაური მქნა,  
გულს ჯაგრად ჩაგეჭრებოდე,  
ძალიან დაწუხებული  
გზაზედაც შეგეყრებოდე,  
ან შენი ძმა მქნა მოწილე,  
აროდის გაგეყრებოდე.

„ივერისი“ 232-ე ნომერში უკვე სახელმძღვანელომ პოეტმა ვაჟა-ფშაველამ გამოაქვეყნა ხლთი ფშაური ლექსი. ვაჟას მიერ ჩაწერილი შაირის ტიპის ლექსები მთის ყოფას ასახავს, თემატიკურად კი მრავალფეროვანია:

ბარშჩი ნაღღებო ირემო,  
გესულნებთან მთისაკე;  
ეგრევე შენ, ქალო ლამაზო,  
ჯარგის მამაყის ყმისაკე.

<sup>11</sup> ვ ა ს ტ ა ნ გ კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, 1961, გვ. 32. მთქმელი ბაბაღე მინდოდაური, ჩამწერი მაყვალა მრეველიშვილი.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ვაჟიკასა და ხვარაშხის“ ლექსის ქალიკელ გორზამაულისეულ ვარიანტთან შედარებით ბაბაღე მინდოდაურის ვარიანტში ორი მეტრი სტრაქონია (ვაჟიკა: კაც შუაკაცებ გივზაენე, თხა-წაღებურად ხტებოდი, შენს დედასა და მამასასაქლავით ვეხვეწებოდი.)

ერთი მათგანი — „როსტომ თქვა...“ ტრადიციულ საზნებო ლექსთა ჯგუფს მიეკუთვნება. საყოფიერო ხასიათისაა „მთას თოვლო“:

მთას თოვლო, ჭალას ყინულო,  
 გასკერ, გამიშვი შინაო,  
 დაწვირე წვრილი ობლები,  
 არამც რამ დამიშინაო.

ვაქას მიერ ჩაწერილი მეხუთე ლექსია:

თოვლი სთოვს ბოროლაშია,  
 მზევე, რად არ ამოშუქდები?  
 შავო, რას დამყევ, ყორანო,  
 განა შენთვისა ესუქდები?  
 შინავ მიუვალ დედასა,  
 თუ ღმერთსაც არ მოვძულდები?<sup>12</sup>

1886 წლის „ივერიაში“, № 268 დაიბეჭდა მასწავლებელ თეოფილე ხუსკივაძის მიერ შორაპნის მახრაში ჩაწერილი საბი ლეგენდა. მოქმელი უცნობია, არც ჩაწერის ადგილი და დროა დაზუსტებული.

პირველი ლეგენდა გმობს ძუნწ მღვდელს, რომელმაც ვერ გაიმეტა მოწყალება გლახისათვის. გლახის წყევლას გაუქვავებია მღვდელის სანოვაგე. „მას შემდეგ იმ ადგილსა ჭვარი ასვენია და სწირავენ კიდევ შესაწირავს, თუ ფულით და თუ ხილით, ანუ პურიით“.

მეორე ლეგენდა ბუების გაჩენაზე მოგვითხრობს:

იყო ერთი ვლუხი, რომელსაც ორი ვაჟიშვილი ჰყვანდა. მანამ დედა ცოცხალი ჰყავდათ, ყმაწვილები ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ დედა მოუკვდათ, მამამ შეირთო მეორე ცოლი და ყმაწვილებსაც მოაკვდათ დედის ალერსი და ყურის გდება. მამას ამათთინი არ ეცალა და დედინაცვალს კი ჭირივით ეჯავებოდა და მათი დანახავაც კი სძულდა. ერთხელ სამწყემსურში გაატანა დედინაცვალმა საქონელი ამ ორ ყმაწვილს. საღამომდის უმწყემსავდნენ ბავშვები საქონელს; როცა საღამოს საქონელი დაითვალეს, ნახეს, რომ ერთი ხზო აკლდათ. მივარდნენ ბავშვები უქეთ-აქეთ, ეძიეს ბევრი, მაგრამ ვერ იპოვეს. დადგნენ მინდორში და შესტრობდნენ ერთმანეთს: — გინდ აქ მოემკვდარვართ და გინდა შინ დედინაცვალს მოუკვლოვართ, — პვიქრობდნენ ყმაწვილები; ამასობაში კიდევ სრულიად დაღამდა. ყმაწვილებმა დაიჩოქეს და სთხოვეს ღმერთს: — ღმერთოვ თუ ვერ ვიპოვნით დაკარგულ ხზოს, გთხოვთ, შინ ჩვენ დედინაცვალთან ნუ დავკარბუნებ, ისე ა სგობს ჩიტებად გადაგვაციოვო. იმ წამსვე გარდაიქმნენ ღამის ფრინველად და სახელად ეწოდათ ბუ; მას აქუთ დადიან ტყვენი, ღამეობით ერთის ხითგან მეორეზედ დახტიან და გაიძახიან:

— იპონენ? პკითხავს ერთი.

— ვერა, ვერა! უპასუხებს მეორე.

ასე დაფრინავენ ტყეში და ეძებენ დაკარგულ ხზოს.

ბუების ლეგენდა საერთოდ უძველესი წარმოშობისაა. ლეგენდის ახალ ჩანაწერშიც<sup>13</sup> კარგადაა შემონახული იმ პირველყოფილი წარმოდგენების კვალი, როცა ქცევადობას (ადამიანის ფრინველად, ხედ და ა. შ.) დიდი ადგილი ეკუთვნის ხალხთა ფსიქოლოგიაში.

სწორედ ამიტომ უნდა დაეხატა ვაჟა-ფშაველას თავის მოთხრობაში „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყნად“ რაღაც განსაკუთრებული, პირველყოფილის მსგავსი სამყარო. ვაქას მოთხრობის გმირი ოჯახს არჩენს ნადირობითა და მესაქონლეობით.

<sup>12</sup> ვაჟა-ფშაველა არ მოუთითებს ლექსების მოქმელებზე, ჩაწერის დროზე. დღეისათვის მხოლოდ ორი ლექსის ავტორგრაფია შემონახული. „თოვლი სთოვს ბოროლაშია“ და „აი მთაზედა“ — კ. კვეციანის სახელობის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვაქას ფონდი, № 168.

<sup>13</sup> „როგორ გაჩნდა ბუ“, მოქმ. ვ. ტ. ო. გ. ო. ნ. ი. ძ. ე, სოფ. ფარახეთი (ზემო რაჭა), ჩაწერილია, 1963 წ., ხალხური სიბარძნე, III, ე. ვირსალაძის რედ., გვ. 240.

მოვიყვანთ პატარა ნაწყვეტს მოთხრობიდან ზემოთქმულის ნათლად წარმოსადგენად.

—ბაღლები სადღა არიან?—იკითხა იოთამმა, როცა სახლში შევიდა, ისრით იღლიავამირული, ტყავგაუხდელი არჩვი კერაზე დაუდევრად, რომ ნაღრის წვერმოკაუქებულმა რქებმა მიწაკი მოჩიჩქნა. ვერ იყო ოთამი კარგ გუნებაზე: თავიდან ფეხებამდის წურწურით წყალი გასდიოდა, აედარს დაესველებინა: შვილი და კარპაკი (საისრე) დედაბოძე წნელით მიმაგრებულს ირმის რქაზე ჩამოჰკიდა და აჩქარებით კერაზე გახურებულს ცეცხლს მიაშურა; გასათბობად ხელები მიუპყრო; ტანზე გარეკმევე ნაცვამი ჭიხვის ტყავის კალთებიდან ორთქლმა დაუწყო პირისახეზე ადენა; თბებოდა ცეცხლზე და თანაც ცოლისაგან პასუხს ელოდა, რომელიც იქვე, კარის შორიანხლოს იწვა არჩენიად, ძუ ვეფხესა ჰკვანდა. გველხოკერასავით სქელი, შავი ნაწნავები ზოგი უკან, ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი, ზოგიც წინ, გულმკერდზე ელავა. პირისახე მოსინულ სპილენძს მიუგავდა. პატარა ბიჭს, იოთამთან ნაყოლს, ძუძუს აწოვებდა. ბავშვი ორი ხელით ჩაპლაღებობდა და გაშმაგებით სწოვდა ტუნუების ტკბანურით. ვეფხვის ლეკვი ვეფხვის რძეს შეეკეცოდა. დედა-შვილი განცხრობაში იყვნენ. ლოგინად არჩევისა, ირმისა და მგლის ტყავები ეგოთ, ხავსა და ლულზე დაფენილი<sup>14</sup>.

მესამე ლეგენდა გუგულებს შეეხება.

ლეგენდის შესახებ ჩამწერი საგულისხმო ახსნა-განმარტებას იძლევა: „გუგული ჩვენში გონიერ ფრინველად ითვლება და ბევრს იმერელ გლეხს კიდევაც სჯერა, რომ გუგულს თავისი ქვეყანა აქვს, რომ გუგულს ჩვენი ლაპარაკიც ესმის და ყველაფერიც, რომ იგი თავის ქვეყანაში ნამდვილი კაცია და არა ფრინველი“<sup>15</sup>.

ლეგენდის შინაარსი ასეთია: იმერელი კაცი მოხვდა უცხო ქვეყანაში, სადაც სულ პატარა კაცები იყვნენ. შინ წამოსასვლელად გამზადებულს ერთ-ერთმა მათგანმა უთხრა: „მე წამომყევ თქვენში მივდივარო. ჩვენს ქვეყანას გავშორდებით თუ არა მე იმ ფრინველად გადავიქცევი „გუგულს“ რომ ეძახიანო“. გუგული დაეხმარა კაცს თავის ქვეყანაში ჩამოსვლაში.

ეს იმერული ლეგენდა გუგულების ქვეყნის შესახებ გვაგონებს ხოვას მინდიზე ხევსურულ გადმოცემაში<sup>16</sup> აღწერილ გუგულების ქვეყანას, სადაც გუგულების ცხოვრება თითქმის იდენტურადაა ასახული.

1886 წლის „ივერიაში“ ზეპირსიტყვიერების კვლევა ძირითადად წარმოდგენილია ალ. მირიანაშვილის ორი წერილით.

პირველი — „ჩვენი საერო პოეზიის შესახებ“ გაზეთის 75-ე ნომერში გამოქვეყნდა. ავტორი ზოგადად ლაპარაკობს ხალხური პოეზიის მნიშვნელობის, მისი სპეციფიკის შესახებ.

„საეროვნო პოეზიის შეადგენენ: ზღაპარი, ლექსი, შირი, ანდაზა, ამოცანა, ზმა, შელოცვა და სხვ.— წერს ა. მირიანაშვილი. — ყველა ესენი ხალხის სადად გასართობ მასალას კი არ შეადგენენ, არამედ მის ცხოვრების ერთს უსაჭიროესს მოთხოვნილებასა. ანდაზაში გვიხატავენ ხალხის ზნობრივ რწმენას და საღის გონების კანონებს; ზღაპრებს და საამბობს ლექსებს იგი ხმარობს ისტორიის მაგიერ; სამღერელის ლექსებით იგი აშნიანებს ყოველდღიურ ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევას. ჩვეულებებს: დღესასწაულს, ქორწილს, ნიშნობას, ნათლობას, მკას, თიბვას, რთველს და სხვას. საზოგადოდ, საეროვნო ლექსები შეადგენს ხალხის სხვადასხვაგვარ რწმენა-ჩვეულებათა კრებას, მის ცხოვრების

<sup>14</sup> ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., ტ. VI, 1964, გვ. 251.

<sup>15</sup> „ივერია“, 1886, № 268.

<sup>16</sup> იხ. ა მ ბ ე რ კ ი ვ ა ჩ ი ლ ა ძ ე, გადმოცემა „ხოვას მინდიზე“ და პოემა „გველის მკამელი“, თბ., 1959, გვ. 26—27.



ვრცელ მატთანეს, რომელშიაც კაცს ცხადად შეუძლიან დაინახოს ხალხის გონებრივი და ზნეობრივი ძალა, მისი დარდი და ბოროტი, ავი და კარგი...“

აქ ავტორს კარგად აქვს გაგებული ხალხური შემოქმედების მნიშვნელობა ხალხის ისტორიული ცხოვრების, მისი წარსულისა და აწმყოს, გონებრივი და ზნეობრივი ვითარების შესასწავლად, სალიტერატურო ქართული ენის გასამდიდრებლად. ქართველ კაცს უყვარდა და უყვარს პოეზია. ალ. მირიანაშვილის მართებული შენიშვნით ლექსი და მოსწრებული შაირი არის ხალხის მუდმივი თანამგზავრი. ადამიანები მოწინააღმდეგის დასამცირებლად, გასალანძლადაც კი პოეზიას იშველიებენ.

საეროვნო პოეზიის დასაბამს ალ. მირიანაშვილი შორეულ საუკუნეებში ეძებს. თუმცა კონკრეტულად ვერაფერს ამბობს, რადგან იცის იმ სირთულეების შესახებ, რაც ხალხურ ნაწარმოებთა დათარიღებას ახლავს თან.

ავტორი წუხს იმის გამო. რომ ზეპირსიტყვიერების შეკრება-პოპულარიზაციის საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. მისი აზრით, ამ მხრივ პირდაპირ სავალალო მდგომარეობაა შექმნილი.

„საეროვნო პოეზია, — წერს ავტორი, — დიხაც მდიდარი გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს დაბეჭდილია ცალკე წიგნად მხოლოდ ანდაზები, შეკრებილი ზოგი ბ-ნ ჩუბინაშვილისაგან, ზოგი ბ-ნ უმიკაშვილისაგან; გვაქვს აგრეთვე ორიოდ ლექსი ბ-ნ ჭიჭინაძესაგან შეკრებილი და დაბეჭდილი და ბოლოს ეხლახან დაიბეჭდა მოხვევისაგან შეკრებილი ლექსები. წვრილ-წვრილად იბეჭდებოდა ლექსები აგრეთვე ჟურნალ „ივერიაში“, გაზეთ „დროებაში“ და „თეატრში“. ყველაზე ნაკლებათა გვაქვს დაწერილი ზღაპრები და ცალკე გამოცემული ზღაპართ-კრები ახმ ვინ გვაღირსა“.

ალ. მირიანაშვილი მომავალზე ამყარებს რწმენას და იმედს გამოსთქვამს, რომ ბოლო დროს გამოჩენილმა ენათუზიანებმა არ შეიძლება კარგი ნაყოფი არ გამოიღოს.

შემდეგ ავტორი ცალკე გამოყოფს ლექსებს, რომლებიც სხვა დანარჩენ ქანრებთან შედარებით უფრო მდიდრად მიაჩნია, როგორც რიცხოვნობიდან. ისე შენაარსობლივად.

„მეისტორიეს შეუძლიან ლექსებში თავის შრომიითა და დაგვიტ გამოკვლულს ფაქტს უპოვოს დამამტკიცებელი საბუთი; მამულის მოყვარულ კაცს შეუძლიან თავის წინაპართა შორის დაინახოს მამულისადმი საოცარი თავგანწირულობის მაგალითები და ხალხის სიყვარული გმირის მიმართ; ომისაგან გამწარებულ დედ-მამას შეუძლიან მოიბოვოს დაწყლულეულის გულისათვის დამატკობელი ნუგეში; მხდალს, ლაჩარ კაცს და ზნობა წამხდარს ქალს შეუძლიან გაიგონოს ხალხის სასტიკი მსჯავრი ავის ყოფა-ცხოვრების თაობაზედ; სახლისთვის და ქმრისთვის ერთგულს ქალს შეუძლიან გაიგოს თავისი ქება და დიდება; მშობლების მასიამოვნებელს შვილს შეუძლიან დაინახოს მისდამი ხალხის ღრმა თანაგრძობა; ზარმაცსა და უგემურს კაცს შეუძლიან გაიგოს თავისი კიცხვა და ხალხისაგან სიძულვილი; ოცნებიან ესტეტიკოსს შეუძლიან გაიგონოს ხალხისაგან დახატული ქალის თუ კაცის მშვენიერების იდეალი, და სხვადასხვა“.

ალ. მირიანაშვილის აზრით, საეროვნო პოეზიაში ყველაზე შესამჩნევი ადგილი მაინც საისტორიო ხასიათის ლექსებს უკავია, რომლებშიც მხოლოდ რამდენიმე ისტორიული პირია მოხსენიებული: ვახტანგი, ირაკლი და სხვ. ირაკლის დიდ პოპულარობას ავტორი შემდეგნაირად ხსნის:

„შეიძლება ბევრი სხვა ლექსებიც იყო სხვა მეფეების სახელობით, რადგან დროთა განმავლობაში ძველის კაცის ხსოვნა კლებულობს, ძველი შთაბეჭდილება თანდათან ჰკარგავს ძალას, საფიქრებელია, რომ ხალხმა უკანასკნელს ხანებში ზოგიერთი ლექსიდან ძველი სახელი ამოშალა. და მის მაგივრად ჩაუბრუნა ირაკლის სახელი, როგორც უფრო ახალის გმირისა, რომლის მოქმედების მოწამეც ან თვითონ, ან მისი მამა ყოფილან“.

როგორც ვხედავთ, ალ. მირიანაშვილი ამ მიმოხილვითი ხასიათის წერილში ძირითადად სწორად აყენებს თავისი დროის საჰიბროტო საკითხებს. სწორად არის შეფასებული ავტორის მიერ ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობა, მისი მრავალმხრივობა და თემატიკის მრავალფეროვნება. ალ. მირიანაშვილი სწორად შენიშნავს ფოლკლორისტიკაში კონტამინაციის სახელით ცნობილ მოვლენას, რომელსაც მართლაც აქვს ადგილი ქართულ ფოლკლორში.

იმავე, 1886 წელს, „იერიის“ 106-ე, 109-ე და 112-ე ნომრებში ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მოამავე და მკვლევარი ალ. მირიანაშვილი აქვეყნებს წერილს „ქალის მშვენიერების იდეალი ქართულს საერო ლექსებში“.

წერილის სათაურიდანვე ჩანს ავტორის მიზანი: სურს გაარკვიოს როგორ არის გადაწყვეტილი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ქალის მშვენიერების, სილამაზის საკითხი, როგორია ქალის იდეალი ქართული ხალხური პოეზიის გამოხატულებით.

ალ. მირიანაშვილი საილუსტრაციო მასალას თემატიკურ ჯგუფებად ყოფს, რაც უდავოდ ეხმარება მას საკითხის კვლევაში.

წერილის შესავალ ნაწილში ალ. მირიანაშვილი ზოგადად მიმოიხილავს სატრფიალო ლირიკის ნიმუშებს და გამოყოფს იმ ძირითად მოტივებს, რომლებიც მისი აზრით უფრო ნიშანდობლივია ხალხური პოეტური ნაწარმოებებისათვის.

ალ. მირიანაშვილის, როგორც მკვლევრის წინაშე, დგას საკითხი: როგორ იხატება საერო ლექსებში ტრფიალების საგანი?

ალ. მირიანაშვილის აზრით, როგორც ყველა ხალხს, ქართველებსაც სწამდა და სწამს, რომ მშვენიერი არსება უეჭველად ყოველივე შინაგანი სიკეთითაც არის დაჯილდოებული და რომ ფიზიკური მშვენიერება სულის მშვენიერების მომასწავებელიცაა. მწერალი იმოწმებს ჰემმარტებად ქცეულ გამოთქმას: „სალი და ძლიერი სული მხოლოდ საღსა და ძლიერ სხეულში იმყოფებაო“. მოკავს პიგმალიონის შესახებ არსებული ლეგენდა. „ჩვენი ერი, — წერს მირიანაშვილი. — იდეალს ჰმოსავს ისეთის თვისებით, რომლის მომცემიც ადგილობრივი ბუნებავეა, ჩვენივე მიწა-წყალია. ჩვენს საერო ლექსებში დახატული მშვენიერების იდეალის პირველი და უკანასკნელი ღირსებაც ის არის, რომ იგი სრულიად თავისებურია, რომ იგი სრულიად ადგილობრივ ბუნება-ნიადგზეა დამყარებული“.

იმის მიხედვით, თუ როგორაა დახატული სატრფიალო ლექსებში მშვენიერების იდეალი, ალ. მირიანაშვილი მათ სამ რიგობად (კატეგორიად) ყოფს.

პირველ კატეგორიაში აერთიანებს ლექსებს, რომლებიც ზოგად ხასიათს ატარებენ და ნათლად არა ჩანს, თუ რა ნიშნებით, თვისებებითა და ღირსებებითაა შემკული იდეალი. ავტორს საილუსტრაციოდ მოაქვს 14 ოთხტევიანი ლექსი.

აი, ზოგიერთი მათგანი:

ნეტაეი ნატერა მანატრა,  
კომკი ამაშენებინა,  
შიგ „ლამაზი“ ქალი მომცა,  
თეთრად გამათენებინა.

ან:

ლამაზო, შენსა ზვეენაში  
ლილი შემაწყდა პერანგსა;  
მიპოვე, გამოიგზავნე,  
მაგ შენის ძმების ლხენასა.

აღ. მირიანაშვილი პირველი კატეგორიის ლექსებში ზოგჯერ ისეთ ნიმუშებსაც გვთავაზობს, რომლებშიც აშკარად ჩანს ხალხის წარმოდგენა „ლამაზი ქალის“ შესახებ.

ამომავალ მზეს გამზგავებ,  
მინდორს რომ მოფინება;  
ქალო, შენს პატრონს შენთანა  
რა ტკბილად დეძინება!

და სხვ.

მეორე კატეგორიის ლექსებდა აღ. მირიანაშვილი თვლის ისეთ ლექსებს, რომლებშიც „აშკარადაა დასახელებული ის კერძობითი ნიშნები, რომელთა კრებული სრულს იდეალს წარმოადგენს“.

ავტორი მეორე კატეგორიის ლექსებს შედარებით ვრცლად მიმოიხილავს. ამ ლექსებში გარეგნული მშვენიერების ყველა ნიშანია აღწერილი. მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

1. ქალავ, ლამაზად შეყრილო,  
აღვის ხეს ჰგუხარ ტანადა!  
ნეტამე ე გული ტილი  
თავს შემოივლო შანადა.
2. ქალო ლამაზო, თვალ-შავო,  
წამ-წამ გიშრისა, თმა-შავო!  
ეგ შენი სახე მაჩვენე,  
ია და ვარდი გეშალო.
3. შემოგხედავ თეთრსა პირსა  
წარბი წყრილად აციყრია,  
ცხრა ნაწნავი, გიშრის თმანი  
მხარ ბეჭხედა გადგიყრია.
4. ამაღამდელი ღამეო,  
ნუ გათენდები მალეო:  
ბროლისა ყელსა ვეხვევი,  
ვეღარ ვიპოვი ხვალეო!

მესამე კატეგორიას აღ. მირიანაშვილი მიაკუთვნებს ისეთ ლექსებს, რომლებშიც „ულამაზობის თვისებანია ნაჩვენები“.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. ცეცხლი და ნავთი მოგედოს,  
ჩერქეზის ქალო თინაო!  
შავი ხარ არაბიეთა  
ყორანიგ თია ფრინავო.
2. ვაშლო წითელი შენ გესვრი  
თეთრო შენ ჩამოვარდები!  
ლამაზო გოგო, შენ გეძებ,  
შავო შენ გამოვარდები!



წერილის დასასრულს ავტორი უჩივის მის ხელთ არსებული მასალების სიმცირეს. ავტორმა კარგად იცის, რომ ერთ ადამიანში ძნელია მოიძებნოს ყველა ის თვისება და ნიშანი, რასაც ხალხი უყენებს იდეალს. „ხალხი, — წერს ავტორი, — თავის ლექსებში მხოლოდ ერთ მაგალითს გვიჩვენებს ბუნებისაგან ასე უხვად დაჯილდოებულისას. ეს გახლავთ თამარი

საქართველოს დედოფალი,  
 დედა ქართლის თამარი,  
 სიმშვენიერი მოსილი,  
 ამომავალი მზის დარი.  
 ...სიბრძნით, სიუხვით ქებული,  
 დილის ცისკრისა სადარი...

აღ. მირიანაშვილი მიიჩნევს, რომ იდეალის პრობლემა მას გადაუჭრელი დარჩა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „მაინცა და მაინც ეს საგანი საკმაო სისრულით არ არის დახატული ჩვენ საერო პოეზიაში“.

თავისთავად მისასალმებელია აღ. მირიანაშვილის გამოსვლა განეთ „ივერიის“ ფურცლებზე და საკითხის გადაწყვეტის სურვილი. ამ წერილის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ჯერ ერთი ის პერიოდი, როცა ეს წერილი იწერებოდა და შემდეგ მასალათა სიმცირე, და, რაც მთავარია, წერილის ავტორის შესაძლებლობა. აღ. მირიანაშვილის ამ წერილს, ისევე როგორც ბევრი მისი თანამედროვისა თუ მოგვიანო პერიოდის ავტორთა შრომებს, ისტორიული ღირებულება აქვს და მათ პოეტურ ტექსტთა შემონახვის პრეტენზიით უნდა შევხედოთ.

1886 წლის „ივერიაში“ გამოქვეყნებული ეთნოგრაფიულ-ფოლკლორისტული წერილებიდან<sup>17</sup> შეეჩერდებით მხოლოდ ვაჟა-ფშაველას სამ წერილზე, რომლებშიც გაკვრით, მაგრამ მაინც არის ლაპარაკი ხალხურ შემოქმედებაზე.

ვახუთის 34-ე, 35-ე, 36-ე და 39-ე ნომრებში ქვეყნდება ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილი „ფშაველები“ (მათი სხვადასხვა ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა და ხატები).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ვაჟას მიერ ფშაური პოეზიის მიმოხილვა.

„ფშაველები, — წერს ვაჟა-ფშაველა, — პოეტური ხალხია და მათი პოეზია წარმოადგენს უძირო ზღვას. რასაც ფშაველის თვალი და გონება მისწვდომია, იმას ყველაფერზე უთქვამს ლექსი — მოყოლებული სიცოცხლიდან სიკვდილამდე და საიქიომდე“.

„მშვენიერი და მაღალი კილოს“ ფშაურ ლექსებს პოეტი ორ ნაწილად ყოფს — ძველ და ახალ პოეზიად. ავტორი თითოეულ მათგანს თავის დამახასიათებელ ნიშანს უძებნის და უპირატესობას ძველ პოეზიას ანიჭებს.

„ძველ ლექსებში, — წერს პოეტი, — არის გამოხატული ვაჟაკობა, გმირობა და ზნეობრივი სიმადლე. ძველ ლექსებში უფრო იდეალურობა გამოსჭვივს“.

ვაჟა-ფშაველას მიერ წერილში საილუსტრაციოდ მოტანილი ძველი ლექსები შემდეგი თემატიკისაა: სიმღერა სიკვდილზე, როსტომის შეგონებანი, ლექსი

<sup>17</sup> ვაჟა - ფ შ ა ვ ე ლ ა. „ფშაველები“ (მათი სხვადასხვა ჩვეულება, ცრუმორწმუნეობა და ხატები); მისივე „ფშაველები“; მისივე „აფხუშობა“ (ფშაველების ცხოვრებიდან);

ნ. ხ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „ძველი ქართული ოჯახი“, „ივერია“, 1886, №№ 85, 86, 87, 88. წერილის ბეჭდვა დაწყებულია 1885 წლის „დროებაში“. ბ. სვანი (ბ. ნიკარაძე), „სვანების ზოგერთი ჩვეულებანი და ცრუ რწმენანი“, „ივერია“, 1886, № 143.

კაი ყმაზე, გიორგი ბახტარისშვილის დალოცვა ქალისაგან, ფილოსოფიური ნა-  
სიათის ლექსი, ვარიანტი ცნობილი ბალადისა „შემომეყარა ყვიჩაღი“, საისტო-  
რიო ხასიათის ლექსი ზურაბ ერისთავზე, სატრფიალო ლირიკის ნიმუშები, მრავალ  
ვარიანტად ცნობილი ბალადა „შატრალს მოიდა ხოხობი“.

„ახალი ლექსები, — შენიშნავს ვაჟა, — რეალურ გზას ადგანან და მათში  
ჰკენესის სატირული ნადველი; რეალური მიმართულება ახლის დროის ლექსე-  
ბისა უწმარურობამდე, ცინიკობამდე მიდის. მაინც ხალხში სატირა იბადება,  
როდესაც ხალხის ცხოვრება იცვლება და ერთის წყობიდან მეორეში გადადის.  
მოხუცებულები ემდურებიან ლექსების შინაარსის გამოცვლას: ჩვენს დროსო,  
ამბობენ ისინი, წაწლობისას და უწმარურობისას არ იმღეროდნენო. ეს მართალია.  
მაგრამ რა ქნას ახალი დროის ფშაველმა, საგმირო საქმე აღარა აქვს და გულს  
იფხანს სხვადასხვა საგნებზე შაირობით“.

პოეტი ახალი ფშაური ლექსების ავტორთაგან ასახელებს ორ ხალხურ  
პოეტს — მერცხალას და ჯაბანს.

ვაჟა-ფშაველა ფშაურ ხალხურ პოეზიაში ახალი თემატიკის შემოჭრის და-  
სამტკიცებლად იშველიებს მერცხალას, იგივე გამიხარდის ლექსებს მამასახ-  
ლისზე.

ელიზბარ შამამეყარა  
მამასახლისი დიდკაცი,  
დედ-მამა შემამაგინა,  
სანამ ამბავსა ვკითხავდი,  
ჩამსცვივინიყო კბილები,  
ცისაც წასვლიყო ნიკაპი და სხვ.

მახვილი სატირა იგრძნობა მეორე ლექსშიც, სადაც ისევ მამასახლისის კრი-  
ტიკა და დაბეჩავებული კაცის ყოფაა აღწერილი.

მოხველ—, მამასახლისო,  
კი მამურგოა ბევარა?  
თუ ჩემ დარბევა გინდოდა,  
გზირ მაინც წამოგეყვანა;  
ნეტა ვინ მომცა პრიკაი,  
შენთვი ცეცხლ შამამეყარა,  
შენთვი დამეწვა წვერ-პირი,  
ჯავრი მით ამამეყარა.  
ძნელი ხარ სიღარიბეთო,  
გამაბეჩავე ტიალო,  
მეორ-მესამე წელ მიდის,  
ერთ ახალოხნი მცვიანო,  
შიგ მამიკრუხდა ტილები,  
წიწილეებსა ზრდიანო,  
გამოვლენ სსეირნოდა,  
აღიან ჩამოღიანო.

ამ წერილში გაკვრით მოხსენიებულ ხალხურ პოეტს მერცხალას ცოტა  
მოგვიანებით სპეციალური წერილი უძღვნა ვაჟა-ფშაველამ, რომელიც იმავე  
წლის 104-ე ნომერში დაიბეჭდა „ივერიაში“.

ზოგადი სათაურის („ფშაველების ცხოვრებიდამ“) წერილში ვაჟა-ფშაველა  
კერძო ამბებს გვიყვება მერცხალას შესახებ, მაგრამ მათში მნიშვნელოვანია იმ  
გარემოსა და შემოქმედებითი პროცესის აღწერა, რომლის დროსაც იქმნებოდა  
მერცხალას რეპერტუარის ნაწილი.

ვაჟა-ფშაველას ამავე წერილში ვეცნობით კიდევ ორ ფშაველ მთქმელს — ჯაბანსა და კაცობას.

ფშავეში, ხატობის დროს მთის პოეზიის შესრულების ტრადიციაზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვაჟა-ფშაველა 1886 წლის „ივერიის“ №№ 141 და 142 გამოქვეყნებულ წერილში „აფხუშუობა“ (ფშაველების ცხოვრებიდან).

ვაჟა-ფშაველა დაწერილებით აღწერს აფხუშოს ხატობა-დღეობას, რომელიც თავისებურად ამეტყველებდა ფშაველი კაცის პოეტურ ფანტაზიას. ავტორის ცნობით აფხუშუობის დროს „მივარდნილ კუნჭულებიდან მოისმის სიმღერა ძველებური, მკვნესარი; სიმღერა სწვდება და ნალეკს აღვიძებს“:

თქვენი ჭირიშე ყორნებო,  
 გლოვა არ იციოთ მკვდარზედა;  
 რაც უნდა კარგი ყმა მოკვდეს,  
 ცრემლ არ მოგივათ თვალზედა.  
 შაიმოსებით შავადა,  
 თეთრს არ ჩაიცომოთ ტანზედა,  
 კარგს ყმას გულს ამაირიდებოთ,  
 ჩამაირივებოთ ჯარზედა,  
 გაილექებით სისხლითა,  
 გადახვალთ ილტოს წყალზედა!

აქვე ვაჟა-ფშაველას მოჰყავს საისტორიო თქმულება აფხუშოზე, აფხუშო-ელებსა და კერძოდ, მათ მამაც გმირ ლაჭაურაზე.

\*  
\*  
\*

ასეთია 1886 წლის გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა და ზეპირსიტყვიერების კვლევის ცდათა სურათი.

როგორც აღენიშნეთ 1886 წელი გარდატეხის წელი იყო გაზეთ „ივერიისათვის“. ილია ჭავჭავაძის მიერ „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთება ქართველი ხალხის, ასე ვთქვათ, „გამოფხიზლების“, კულტურული ცხოვრების წინსვლისა და ხალხის გაზრდილი მოთხოვნილებების დამამტკიცებელი უტყუარი ფაქტია.

„ივერია“ თავის ძველ ტრადიციას არც 1886 წელს ჰღალატობს და ხშირად აქვეყნებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. მისასაღმებელია ალ. მირიანაშვილის მიერ ხალხურ პოეზიაში მშვენიერების იდეალის გაანალიზების ცდა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას გამოჩენა „ივერიის“ ფურცლებზე, სადაც იგი აქვეყნებს დიდი ღირებულების მქონე ეთნოგრაფიულ წერილებს, რომლებიც შეიცავს ფოლკლორულ მასალებსა და მთის პოეზიაზე მნიშვნელოვან დაკვირვებებს, საგულისხმო ცნობებს (ვფიქრობთ — პირველად ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში) ფშაველ მელექსეებზე.

შთამომავლობისათვის ხალხური საუნჯის შემონახვისა და მის მიმართ სიკვარულის გაღვივებაში გაზეთი „ივერია“ იყო დიდი მორგანიზებელი და წარმმართველი ძალა: ამიტომაც მისი როლი ხალხური შემოქმედების პოეტური ნიმუშების გამოქვეყნება-შესწავლის საქმეში ქართველი ფოლკლორისტიკის მიერ მრავალგზისაა შეფასებული.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)



## ლელია ნანიტაშვილი

### სამსონ ფირცხალავა — რედაქტორი და გამომცემელი (1906—1910 წლებში)

1968 წელს გამოვიდა ანდრია აბრამიშვილის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია „Грузинская периодика (1819-1917)“.

წინასიტყვაობაში ავტორი შენიშნავს:

«... Очень часто тот или иной журнал, альманах или газета, прекратившие существование из-за цензурных рогаток, вскоре начинали выходить под другим названием, сохраняя свое направление и основной круг сотрудников, и в сущности являясь продолжением прекратившегося издания...»

«... «Новые» редакторы издавали тот же самый журнал или альманах, но под другим названием, чтобы обмануть цензурный комитет. Нередко с такой же целью редакторами-издателями были подставные лица — сапожники, пекари и другие, не имевшие непосредственного отношения к литературе и журналистике люди, так как при аресте фиктивного редактора подлинный руководитель издания имел возможность вновь издавать под другим названием свою газету, журнал или альманах. Это было характерным явлением не только для одной грузинской периодической печати. Подставные редакторы были распространены в издательствах русской, немецкой, латышской и другой национальной периодической печати» (გვ. 27).

ამ წინასიტყვაობიდან გამომდინარე, გვინდა მკითხველთა ყურადღება შევაჩეროთ 1906-1910 წლების რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის<sup>1</sup>, კერძოდ, „გლეხის“, „მიწის“, „მზისა“ და „ფასკუნჯის“ რედაქტორ-გამომცემელზე.

1906 წლის 22 ივნისს გამოვიდა ყოველკვირეული საგლეხო გაზეთის „გლეხის“ პირველი ნომერი. აღნიშნული გაზეთი წარმოადგენს სოციალ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთ საპროპაგანდო ორგანოს.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, გაზეთ „გლეხის“ გამომცემის ნებაართვა 1906 წლის 16 მარტს ოფიციალურად უთხოვია თბილისის გუბერნატორისთვის დავით ნახუცრიშვილს.

<sup>1</sup> აღნიშნული პერიოდული გამოცემები („მზისა“ და „ფასკუნჯის“ პირველი ნომერების გარდა) თავისი ფორმატით წარმოადგენს ჟურნალებს. კ. მარქსის სახ. რესპ. საჯარო ბიბლიოთეკაში, „გლეხი“ და „მიწა“ განეკუთვნება ჟურნალებს, ვინაიდან ოფიციალურ მიმოწერაში მათ გაზეთებად იხსენიებენ, ჩვენც გაზეთებად მოვიხსენიებთ. — ლ. ნ.

გაზეთის გამოცემა გათვალისწინებული იყო შემდეგი პროგრამით: ლიტერატურა, პოლიტიკა, საზოგადოებრივი ცხოვრება, სოფლის მეურნეობა, ისტორია, ბიბლიოგრაფია, ბუნების ისტორია, ეთნოგრაფია, ილუსტრაცია, კარიკატურა<sup>2</sup>.

იმავე წლის ივნისში დავით ნახუცრიშვილმა, ჯერ კიდევ გაზეთის გამოსვლამდე, სათანადო ნებართვით რედაქტორობა გადასცა მიხეილ ადამაშვილს (ჯავახიშვილს)<sup>3</sup>.

გაზეთმა ცოტა ხანს იარსება. დაიბეჭდა სულ 7 ნომერი. უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 3 ავგვისტოს. გაზეთი დაიხურა ხელისუფლების განკარგულებით<sup>4</sup>.

გაზეთის რედაქტორი მ. ადამაშვილი პასუხისგებაში მისცეს. თბილისის ჟანდარმერიის სამმართველოს ერთ-ერთ საქმეში ვკითხულობთ:

«... В 1906 году он (ჯავახიშვილი — ლ. ნ.) издавал в гор. Тифлисе еженедельный журнал «Глехи» (Крестьянин), причем № 1 означенного ж. рнала вышел 22 июня, а в половине сентября за революционное направление журнал был закрыт, а Джавахов был привлечен к ответственности по 129 ст. Угол. улож., но скрылся и до 1907 г. жил в Тифлисе, а затем выехал за границу»<sup>5</sup>.

როგორც ჩანს, ზემოთ აღნიშნულმა და საცენზურო კომიტეტის მიერ შედგენილმა საქმემ „გლეხის“ ირველივ<sup>6</sup> შექმნა ის აზრი, რაც ზოგიერთი ავტორის მიერ მტკიცედა დამკვიდრებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში, — სახელდობრ ის, რომ მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი) იყო გაზეთ „გლეხის“ რედაქტორ-გამომცემელი.

მაგალითად: „მ. ჯავახიშვილს, როგორც რედაქტორ-გამომცემელს, გვერდში ედგა პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა“ (გრ. კაკიაშვილი)<sup>7</sup>.

„გლეხში“ დაბეჭდილ წერილებში მ. ჯავახიშვილი აყენებს კითხვებს: ვინ არის გლეხი, რატომია იგი შევიწროებული და დაჩაგრული. ვინ ჩაგრავს, მას, როგორ, რა საშუალებით შეიძლება დააღწიოს გლეხმა თავი ამ უბედურებას, ავტორი გლეხობას განუმარტავს, რომ არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, მეფის ხელისუფლება და ბიუროკრატია სწოვს მას სისხლს წურბელასავით და მოუწოდებს გლეხობას ბრძოლისაკენ, ამ უკუღმართი წყობილების დამხობისაკენ<sup>8</sup>.

„... გაზეთის ყოველი ნომერი, როგორც წესი, იწყება მოწინავე სტატიით. როგორც ახლა მიღებული და რაც იმ პერიოდის გაზეთებში ყოველთვის არ იყო, ან თითქმის არ იყო მიღებული...

... მოწინავეები ხელმოუწერელია და იგრძნობა, რომ მიხეილ ჯავახიშვილისაა“<sup>9</sup> (ტ. კვანჭილაშვილი).

ტ. კვანჭილაშვილს, ნაშრომზე მუშაობისას, გამოყენებული აქვს გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ (იხ. ნაშრომის გვ. გვ. 108, 110).

<sup>2</sup> ცხა, ფონდი 17, საქმე № 9182, გვ. 1.

<sup>3</sup> იფე, გვ. 7. ს. ფირცხალავა 1905 წ. 30.XII-დან 1906 წ. 10.II-მდე, დაბატირებული იყო და ბუნებრივია, გაზეთის გამოცემის ნებართვას ვერ მიიღებდა (ლ. ნ.).

<sup>4</sup> ვაზ. „შრომა“, 1906, № 100.

<sup>5</sup> შარ. მიხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ავტობიოგრაფია, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. VI, 1904, გვ. 487.

<sup>6</sup> ცხა, ფონდი 480, საქმე № 91.

<sup>7</sup> გრ. კ ა კ ი ა შ ვ ი ლ ი, „მიხეილ ჯავახიშვილი და მეფის ცენზურა“, ვაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1957, № 37.

<sup>8</sup> ტ. კ ვ ა ნ ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, მ. ჯავახიშვილის აღრინდელი პუბლიცისტიკა, 1960, გვ. 80.

<sup>9</sup> ტ. კ ვ ა ნ ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, 1966, გვ. 107.

მაგრამ უყურადღებოდ სტოვებს მ. ადამაშვილის გვერდით / გ. ბაქრაძის მიერ ნამდვილ რედაქტორად მოხსენიებულ სამსონ ფირცხალავას. ის წერილები კი, რომლებსაც დაწერილებით მიმოიხილავს პატივცემული მკვლევარი („ახლოვდება განკითხვის დღე“, „თავისუფლება“, „როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება“ და სხვ.) სწორედ სამსონ ფირცხალავას კალამს ეკუთვნის.

\* \* \*

900-იან წლებში ქართველ ჟურნალისტთა რიცხვს კიდევ ერთი ნიჭიერი ჟურნალისტი სამსონ ფირცხალავა (1872-1952) შეემატა. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი ერთხანს ქუთაისსა და ჭიათურაში მსახურობდა, შემდეგ კი თბილისში გადმოვიდა და „ივერიის“ თანამშრომელი გახდა.

1902 წლიდან სამსონ ფირცხალავა სამუშაოდ გადადის „ცნობის ფურცელში“.

გ. ლასხიშვილის ცნობით, გაზეთის სარედაქციო სამუშაო შემდგენიარად იყო განაწილებული: არჩილ ჯორჯაძე, გიგო რცხილაძე და თვით გ. ლასხიშვილი წერდნენ მეთაურებს. ხელმძღვანელობდნენ განყოფილებებს — „პრესა“ და „რუსეთის ქრონიკა“. შაქრო ბილანიშვილი უძღვებოდა უცხოეთის ქრონიკას. ვლადიმერ ლორთქიფანიძეს ევალებოდა ქალაქის საბჭოს მუშაობისა და საზოგადო დაწესებულებათა კრებების მიმოხილვა. კიკა აბაშიძეს და გრიგოლ რცხილაძეს ებარათ ლიტერატურული კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებები. სამსონ ფირცხალავა იყო საკვირაო ფელეტონისტი, ხანდახან წერდა სხვა პუბლიცისტურ წერილებსაც (ფსევდონიმები „კალამი“ და „სიტყვა“). ილია აღლაძე იყო რედაქციის მდივანი.

მაღე მათ შეუერთდნენ არჩილ ჯაჭანაშვილი, შიო ჩიტაძე, მიხეილ ჯავახიშვილი<sup>10</sup>.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ქართველი ჟურნალისტებიც.

ს. ფირცხალავა ამ პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა.

თბილისის გუბერნიის ქანდარმერის სამმართველოს ოფიციალურ მიმოწერაში (1910 წ.) ს. ფირცხალავა შემდგენიარადაა დახასიათებული:

«... Пирцхалава в 1905 и 1906 годах входил в состав Центрального Комитета партии, членом какового Комитета состоит в настоящее время, являясь одним из наиболее видных партийных деятелей; в 1906 году он реорганизовал Комитет и выработал инструкцию для боевиков. На партийном собрании в феврале 1907 года, происходившем в сел. Верхние Авчалы (уг. Тифлиса) был избран товарищем Председателя, каковое место занимал и в 1909 году, причем в декабре того же года участвовал вместе с Ласхишвили на конференции, на которой разбирались указанные выше вопросы. В январе 1910 года он присутствовал на партийном собрании членов Центрального Комитета и высказался против применения террора в отношении грузинских помещиков, продающих свои земли не грузинам».

<sup>10</sup> გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 135—136.



„იმ ხანებში, — იგონებს გ. ლასხიშვილი, — ჩვენმა კომიტეტმა გადაწყვიტა გლეხებისათვის განსაკუთრებულ ორგანოს დაარსება. ამ საქმის გაძლიერება იცის-რა სამსონ ფირცხალავამ, მისი უახლოესი თანაშემწე გახდა მიხეილ ჯავახიშვილი, გამოვიდა გაზეთი „გლეხი“, მისი დაკეტვის შემდეგ „მიწა“ და სხვა, გარდა გაზეთებისა, ისინი ბეჭდადნენ პოპულარულ ბროშურებს აგრარულ საკითხებზე. ერთ-ერთ ზემოხსენებულ საგლეხო გაზეთის ოფიციალურ რედაქტორად მიხ. ჯავახიშვილიც იყო. როცა გაზეთი დაკეტეს, ადმინისტრაციას განზრახვა ჰქონდა ჯავახიშვილის დაჭერა და პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მან თავს უშველა და ცოტა ხნით საზღვარგარეთაც გაიხიზნა“<sup>11</sup>.

გ. ბაქრაძის მიერ შედგენილ ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში (1819-1945) ვკითხულობთ:

„გლეხი“ 1906.

ყოველკვირეული საგლეხო გაზეთი.

ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი. ნამდვილი რედაქტორი სამსონ ფირცხალავა.

სოც.-ფედერალისტ. პარტიის ერთ-ერთი საპროპაგანდო კვირეული ორგანო...

... მის ნაცვლად იცემოდა „მიწა“ 1906—1907 წწ.

„მიწა“ 1906-1907<sup>12</sup>.

ყოველკვირეული საგლეხო გაზეთი.

ნამდვილი რედაქტორი სამსონ ფირცხალავა.

ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელი გრ. ტატიშვილი.

სოც.-ფედ. პარტიის ერთ-ერთი პოპულარული საპროპაგანდო გაზეთი. იცემოდა დახურული „გლეხის“ ნაცვლად<sup>13</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, „გლეხის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წლის 22 ივნისს.

გაზეთი იხსნებოდა სამსონ ფირცხალავას სარედაქციო წერილით — „გლეხი“.

„ვინ არის გლეხი? ვის ემსახურება ჩვენი გაზეთი? რა აწერია იმ დროშაზე, რომელიც ავიღეთ ხელში და რომელმაც უნდა გვიწინამძღვროს ცხოვრებაში?“

ვინ არის გლეხი?

გლეხი ის ადამიანია, რომელიც დღე და ღამე მუშაობს; დღე და ღამეს ასწორებს, სისხლისა ოფლსა ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი და არც მოსვენება, რომლისთვის არ არსებობს არც ზამთარი და არც ზაფხული, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და მინც ვერასოდეს ვერ გაუთავებია ეს მუშაობა“.

სამსონ ფირცხალავას ეკუთვნის „გლეხში“ დაბეჭდილი შემდეგი წერილები<sup>14</sup>:

<sup>11</sup> გ. ლასხიშვილი ი. მემუარები. 1934, გვ. 217—218.

<sup>12</sup> „მიწა“ გამოდიოდა 1908 წელსაც, გამოვიდა პირველი ორი ნომერი. იხ. ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკის კომპლექტი. (ლ. ნ.); A. A. Б р а м и ш в и л и, Грузинская периодика (1819—1917), 1968, გვ. 78.

<sup>13</sup> გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია (1819—1945), თბ., 1945, გვ. 21—22.

<sup>14</sup> ჩვენი ყურადღება მიიპყრო რესპ. საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულმა გაზეთ „გლეხის“ კომპლექტმა, რომელსაც სამსონ ფირცხალავას ხელით მიწერილი აქვს: „გამოდიოდა ს. ფირცხალავას რედაქციით, იბეჭდებოდა 4000—4100 ცალი“. ასევე, წერილებზე მიწერილია ს. ფირცხალავას ინიციალები.

როგორც გამოირკვა, აღნიშნული კომპლექტი წარმოადგენს ყოფილი ქ. შ. წ. კ. გამავერცელბელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ევზემპლარს. ამ ცნობისმ მოწოდებისათვის უღრმეს მად-

№ 1 გლეხი (მეთაური)

ახლოვდება განკითხვის დღე.

№ 2 მიწა (მეთაური)

გლეხი და მუშა

მთავრობის ახალი კანონი უმიწო გლეხებისათვის

№ 3 თავისუფლება (მეთაური)

№ 4 როგორ უნდა მოვაწყოთ საქმე (მეთაური)

№ 5 როდის ვიქნებით თავისუფლები (მეთაური)

№ 6 როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება (მეთაური)

№ 7 ერთობა (მეთაური)

მუშა და მეფეაბრიკე (გადმოღებული).

იმ ფაქტს, რომ „გლეხის“ ნომინალური რედაქტორი იყო მ. ადამაშვილი (ჯავახიშვილი) ადასტურებს თვით ეს უკანასკნელიც (აღნიშნული დოკუმენტი ინახება საქ. ცენტრალურ სახელმწიფო არქივის მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების ფონდში).

«... Я был только фиктивным редактором означенной газеты («Гле- хи» — л. 5.) в редактировании которой я не принимал решительно никакого участия и не мог принимать, так как за время всей моей литера- турной деятельности, считая и время издания газеты «Глехи», я состо- ял одним из главных сотрудников самой умеренной из всех когда-либо существовавших на грузинском языке газеты «Иверия», издававшейся кн. Пав. Иосиф. Тумановым. Думаю, что одновременно я не мог рабо- тать в двух противоположных по направлению газетах...».

ვფიქრობთ, ს. ფირცხალავას წერილების შეფასებისას, შეგვიძლია გავი- მეოროთ მიხ. ჯავახიშვილის მისამართით ნათქვამი სატყუები, რომლებსაც სა- მართლიანად იმსახურებს სამსონ ფირცხალავა.

„ყველა ნომრის მოწინავე სტატიას ასეთი გაბედულება, ეპოქალური სა- კითხვის დასმა და გადაჭრა, სწორი პოზიცია და რევოლუციური სული ახა- სიათებს. ამით იპყრობს „გლეხის“ მოწინავეები ჩვენს დიდ ყურადღებას.

გარდა თქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოწინავეები დაწერილია ოს- ტატურად, ჟურნალისტის გამოცდილი ხელით. ყოველ მათგანში დასმულია რა- მელიმე საზოგადოებრივად საინტერესო პრობლემა, წამოყენებულია დასაბა- ბუთებელი დებულება, რომელიც საფუძვლიანი მსჯელობით ამომწურავად მტკიცდება. მოწინავეები იწყება ისე მოხდენილად, რომ მკითხველი თავიდანვე ინტერესით კითხულობს მას, როგორც იტყვიან, ხდება მკითხველის „ჩათრე- ვა“. ეს მოწინავეები იპყრობს მკითხველებს თავისი მახვილი ფრაზებით, შესა- ფერისად შერჩეული ლექსიკით, არგუმენტაციით და ლოგიკური დასკვნებით. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს მოწინავე სტატიები დაამწვენებდა ყველა რანგის გაზეთს, როგორც თემატიკითა და პრობლემატიკით, ისე სიმახვი-

ლობას მოვახსენებ ქ-ნ თამარ მაჭავარიანს, რომლის უშუალო დახმარებით ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა აგრეთვე „გლეხის“ და „მიწის“ საზოგადოებისეული სხვა ეგზემპლარებიც საყურადღებო მინაწერებით. ცნობილია, რომ ს. ფირცხალავა იყო ამ საზოგადოების მდივანი, ბუნებრივია გაზე- თებზე მინაწერებიც ამავე პერიოდს განეკუთვნება.

ლით, გაბედულებით, დაწერის ხარისხითა და მკითხველზე ზეგავლენის მოხდენის ძალით<sup>15</sup>.

\* \* \*

1906 წლის 7.IX-ს გამოვიდა გაზეთ „გლეხის“ გაგრძელება — „მიწის“ პირველი ნომერი.

გაზეთი იხსნებოდა სარედაქციო წერილით — „ვისი გაზეთია „მიწა“?

„ვისი გაზეთია მიწა? გლეხის, მიწის მუშა გლეხის. იმ გლეხის გაზეთია, რომელიც თავის ოფლითა და სისხლით რწყავს მიწას, რომელიც დღე და ღამე მუშაობს, რომელმაც არ იცის მოსვენება არც ზამთარში და არც ზაფხულში, რომელიც მთელს ქვეყანას ასაზღოვებს თავის ნაოფლარით...“

აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ „მიწა“ ნამდვილად „გლეხის“ გაგრძელებას წარმოადგენს. იმავე მიმართულების მატარებელია და იმავე მიზანს ემსახურება.

გაზეთის ოფიციალური რედაქტორი იყო მხატვარი-ქსილოგრაფი გრ. ტატიშვილი, რომელმაც იმავე წლის 7.VII-ს ითხოვა გაზეთის გამოცემის ნებართვა<sup>16</sup> და 2 სექტემბერს მიიღო, 7.IX-ს კი, გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა. გაზეთი გამოდიოდა 1906-1908 წლებში. სულ გამოვიდა 37 ნომერი.

გაზეთის რედაქცია და ხელმოწერელი წერილები ეკუთვნის ნამდვილ რედაქტორს ს. ფირცხალავას<sup>17</sup>.

გაზეთში თანამშრომლობდნენ ირ. ევდოშვილი, შ. მღვიმელი, ვ. მაღაქიაშვილი, თ. რაზიკაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ია ეკალაძე, ვაჟა-ფშაველა, დ. კასრაძე და სხვები.

1907 წლის თებერვალში სამსონ ფირცხალავა სოფრომ მგალობლიშვილს სწერდა<sup>18</sup>.

სოფრომ!

თუ ძმა ხარ უნდა მოშველო რაზე და ხვალისთვის დამიწერო სულ პაწია-პაწია ესკიზი, სააღდგომო, სულ პატარა შეიძლება იყოს. თუ ძმა ხარ დამეხმარე, თორემ ცუდათა ჩემი საქმე. ამაღამ ცოტას რომ წაიშუშაებდე, საქაოა.

შენი სამსონი.

ამ ბარათის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს იმავე აღრესატისადმი 10 თებერვალს გაგზავნილი ბარათი<sup>19</sup>:

სოფრომ!

შენი მოთხოვნა მშენიერია. უკეთესი იქნება თუ ცოტას პილპილს კიდევ მოუმატებ. გავეიწიე კარგი ამხანაგობა და მოთხოვნის გაგრძელება ხვალე გადმომეცი (შეიძლება ნაკლები იყოს), რომ დაბეჭდვა არ დაგვიანდეს.

შენი სამსონი.

1907 წლის 17/II-ს ნომერში, მართლაც, დაბეჭდილია რედაქტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ს. მგალობლიშვილის „სააღდგომო ესკიზი“, „ჯორ-ზაქარა“, რომელიც გრძელდება სხვა ნომერებშიაც.

<sup>15</sup> ტ. კვანჭილაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, 1966, გვ. 122—123

<sup>16</sup> ცსა, ფონდი 17, საქმე № 5439, გვ. 1.

<sup>17</sup> შდრ. რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების ბიბლიოთეკის ეკისეული ეგზემპლარი ს. ფირცხალავას მინაწერით.

ავრთვე: „გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავნილ მასალას უნდა წაეწეროს ს. ფირ-ს გადასაცემათ“ „მიწა“, 1908, № 1.

<sup>18</sup> საქ. გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 20655.

<sup>19</sup> საქ. გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. № 20656, ბარათი დაწერილია გაზეთ „მიწის“ სარედაქციო ბლანკზე.



როგორც ჩანს, 17 თებერვლისთვის რედაქტორის სპეციალური ნომერი მოუმზადებია, რისთვისაც ჯერ კიდევ 10 თებერვლის ნომერში წერდა:

„19 თებერვალს ბატონყმობის მოსპობის დღეა და გლეხების დღესასწაული. ამიტომ „მიწის“ შემდეგ ნომერში დაბეჭდილი იქნება სხვადასხვა ლექსი და წერილი გლეხების გათავისუფლების შესახებ“.

17 თებერვლის ნომერში „ჯორ-ზაქარას“ გარდა დაიბეჭდა შ. მღვიმელის, ი. ევდომვილის, ალ. ყიფშიძის ნაწარმოებები.

1908 წლის 20 ოქტომბერს გაზეთის ოფიციალურმა რედაქტორმა გრ. ტატიშვილმა ითხოვა „მიწა“ 27 ოქტომბრიდან გამოსულიყო „ფასკუნჯის“ სახელწოდებით<sup>20</sup>. იმავე წლის 10 დეკემბერს კი სათანადო ნებართვით ჟურნალი დასაბეჭდად გადაიტანა სტამბა „მობიდან“ „სორაპანში“<sup>21</sup>.

ოფიციალურმა რედაქტორმა გრ. ტატიშვილმა და სამსონ ფირცხალავამ თბილისის გუბერნატორის თხოვეს ჟურნალის გამოცემის ნებართვა 1909 წლის 20 სექტემბრიდან გადასცემოდა ს. ფირცხალავას. მართლაც, 1909 წლის 7 ნოემბერს ს. ფირცხალავამ მიიღო ჟურნალის გამოცემის ნება<sup>22</sup>.

მართალია, საარტიკო მასალის მიხედვით „მიწა“ მიმართულება შეიცვალა და „ფასკუნჯად“ გადაკეთდა, მაგრამ ეს ერთბაშად არ მომხდარა.

„ფასკუნჯს“ წინ უძღოდა მხატვრული გაზეთი „მზე“ (ფიციური რედაქტორი ნ. ასათიანი)<sup>23</sup>.

აღნიშნული გაზეთის მხოლოდ სამი ნომერი გამოვიდა (1908 წ., № 1 — 6.X — № 3 — 20.X). ხელისუფლებამ გაზეთი აკრძალა და ერთი კვირის შემდეგ, წინასწარ მომზადებული ნებართვით გამოვიდა „მზის“ გავრცელება — „ფასკუნჯის“ პირველი ნომერი. (1908 წ. 27.X)<sup>24</sup>.

სამსონ ფირცხალავა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მუშაობისას თავის ირგვლივ იკრებდა როგორც ცნობილ, ისე ახალგაზრდა მწერლებს, ხელს უწყობდა ახალგაზრდა ავტორების ნაწერების პოპულარიზაციას.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ბარათს მიწერილს დუტუ მეგრელი-სადმი:

ძმაო დიმიტრი!

თქვენი ერთი ლექსი, როგორც ნახვდით, დაიბეჭდა. მეორეს დავბეჭდავ მე-4 №-ში. დაბეჭდილი ლექსი ყველას ძლიერ მოეწონა. ბევრი მეკითხება თქვენს შესახებ, რატომ რამე მოთხოვრებს არა სწერსო.

ეგებ, მართლაც დასწეროთ ან უკვე დაწერილა გაქვთ, მოგვაწოდეთ, ლექსებსაც უთუოდ ველო.

<sup>20</sup> ცსსა, ფონდი 17, საქმე № 5439, გვ. 11, გაზეთი შემდგომ ჟურნალად გადაკეთდა (ლ. ნ.)

<sup>21</sup> იქვე, გვ. 14, განცხადება დაწერილია ს. ფირცხალავას მიერ.

<sup>22</sup> ცსსა, ფონდი 17, საქმე № 5439, გვ. 17—18.

<sup>23</sup> იქვე, ფონდი 17, საქმე № 6360, გვ. 1.

<sup>24</sup> შდრ. „სარედაქციო საქმეებისათვის მსურველმა უნდა მიმართოს ს. ფირცხალავას“, „მზე“, 1908, № 1.

„...წერილები და ხელმოწერის ფული უნდა გამოიზავნოს სამსონ ფირცხალავას სახელზე“ (ტფილისი, წერა-კითხვის საზოგადოება), „ფასკუნჯი“, 1903, № 7; „...გაზეთი უპარტოა, ხელს უწყობს ყველასთვის ძვირფასი და ყველა ხელს უნდა უწყობდეს მის განვითარებას“... „მზე“, 1908, № 1, გვ. 1, „ფასკუნჯი“, 1903, № 1, გვ. 1,

ი. ჭავჭავაძისა და ს. მგალობლიშვილის ნაწარმოებები იწყება „მზეში“ და გრძელდება „ფასკუნჯში“.

ავრთვე თქვენს მუდღესაც ვიხოვთ დაგვებმაროს, რაიმე მოთხრობით, ამბით.  
 თქვენი სამსონ ფირცხალავა<sup>25</sup>.

1910 წელს გამოვიდა „ფსაკუნჯის“ პირველი და უკანასკნელი ნომერი. მალე მისი რედაქტორ-გამომცემელი დააბატირეს.

\* \* \*

ჩვენი წერილის დასასრულს, მოვიყვანთ ნაწყვეტს სამსონ ფირცხალავას „მოგონებათა ფურცლებიდან“, რომელშიც ავტორი დაწვრილებით მოგვითხრობს თავის საგამომცემლო და სარედაქტორო მოღვაწეობაზე<sup>26</sup>.

...ფართო და ნაყოფიერი იყო ჩემი სარედაქტორო და საგამომცემლო მუშაობა ყოველკვირეულ ჟურნალების „გლეხი“ — მიწის“ და „მზე“ — „ფსაკუნჯის“ დაარსებასა და გაძღოლაში.

საქართველოში გლეხთა სარევოლუციო მოძრაობა ადრე დაიწყო. გურიაში პირველად და იქიდან მთელ საქართველოს მიედგა განსაკუთრებით 1905—1906 წლებში. გლეხების გამოსვლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მრეწველობის სუსტი განვითარებისა გამო ჩვენს ქალაქებში არ იყო დაგროვილი მრავალრიცხოვანი რაზმები მუშებისა და ქალაქის ბრძოლას აუცილებლად ესაჭიროებოდა ზურგის გამაგრება სოფლის მხრივ. ამ სოფლის ხელმძღვანელობა და მისი ამოძრავების საუკეთესო გამოყენება ადვილი საქმე არ იყო. გლეხობა მისი ცხოვრების პირობების მიხედვით დაქსაქსული იყო და ნაკლები ცოდნა ამ მომზადება ჰქონდა, ვიდრე ფაბრიკა-ქარხნის მუშებს ქალაქებში.

აი, ამ საქმეში, რომ ცოტა დამბრუნება გამეწია გლეხებისათვის და მიმეწოდებოდა მდებარე ხალხურ ენაზე საჭირო ცნობები, დაეარსე საგლეხო გაზეთი, სახელად „გლეხი“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1906 წ. 22 ივნისს, რომ დღევანდელმა მკითხველმა წარმოადგინა იქონიის მაშინდელ სულიერ განწყობილებებზე, ენასა და სტილზე, მოვიტან მეთაურიდან ზოგიერთს ადვილს: „ვინ არის გლეხი? ვის ემსახურება ჩვენი გაზეთი? რა აწერია ღროშაზე, რომელიც ხელში აიღოთ და რომელმაც უნდა გვიწინამდებროს ცხოვრებაში?.. გლეხი ის ადამიანია, რომელიც დღე და დამ მუშაობს, სისხლის ოფსს ღვრის, რომელმაც არ იცის არც ძილი, არც მისევნება, რომლისთვის არ არსებობს არც ზაფხული და არც ზამთარი, რომელიც მუშაობს დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე და ვერასოდეს გაუთავებია მუშაობა... გლეხი ის ადამიანია, ვინც მუდამ მშვირია, შიშველი, წელში მოხრილი, ცხოვრობს პირუტყვებთან ერთად მიწურში ან ნახევრად დანგრეულ კოხში, ვინც იტანჯება ათასნაირი ავადმყოფობით და შვიწროვებით და ვისაც ამ ტანჯვაში ხდება სული.. გლეხის და მისი ძმის, ქალაქის მუშის შექმნილია ქვეყნის მთელი სიმდიდრე და მათ ბედნიერი ცხოვრება ეღიროსებოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა მიწის, ქარხანა-ფაბრიკის, რკინის გზების და სხვ. კერძო საკუთრება, აღარ იქნება. მუქთახორა მემკვიდრეები, მექარხნეები, ვაჭრები და მთელი სიმდიდრე გადავა მუშა ხალხის ხელში... გლეხო, მუშა გლეხო, გაიმართე წელში, ჰკარ ხელი შენს მზავერლებს და მწყამლებს და შესძახე: „ჰმარა ტანჯვა და ჩაგვრა, მე ადამიანი ვარ და არ მინდა სხვისი ლუკმა ვიყო, სხვის ვემონო... ჩემი მარჯვენის ნაყოფი მე უნდა მეკუთვნოდეს და ვაი იმას, ვინც წინ გადამიდგება და მოინდომებს, კვლავ დამჩაგროს და დამიმონოს!“ გაუმაჩროს ბრძოლას მიწისა და თავისუფლებისათვის!“

მეთაურს მოსდევდა ირ. ევდოშვილის ლექსი „გლეხი“. შემდეგ იყო წერილები: „მშრომელი ხალხო, შეერთო, ახლოვდება განკითხვის დღე“, „სახელმწიფო სათაბორო“, სათაბოროს მშრომელთა გულის პროგრამა, სარევოლუციო მოძრაობის ამბები საქართველში. ვაჭრებთან ამოკრეფილი და საკუთარ კორესპონდენტების მოწოდებული, მოძრაობა რუკეთში — გლეხებში, მუშებში და ვაჭრში. ნომერი თავდებოდა შ. არაგვისპირელის ზღაპრით... „და ამა, მოვიდა მოვიდა აღმოცავითი“.

<sup>25</sup> საქ. გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, დ. მეგრელის ფონდი, ხ. № 6346. ბარათი დათარიღებულია 1908 წ. 17 ოქტომბრით, ივულისხმება ლექსი „ჩემი ტაძარი“, „მზე“ № 2. № 4 ცენზურის გამო აღარ გამოსულა.

<sup>26</sup> აღნიშნული მოგონება დატულია გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. № 10735. მოგონებიდან არ ნაწყვეტი — „ვაკა-ფშაველა“ და „ქართული სალაო პეტერბურგში“ პროფ. ს. ხუციშვილის პუბლიკაციით გამოქვეყნდა ვაკა-ფშაველას სხოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში, თსუ გამოცემა, 1968, გვ. 238—243.

ამ სახის იყო შემდეგი ნომრებიც. „გლები“ გამოვიდა სულ შვიდი ნომერი. ადმინისტრაციამ დახურა და ათი დღის შემდეგ მე გამოვეცი სამაგიერო ჟურნალი „მიწა“, რომლის მეთაური ამ სიტყვებით იწყებდა: „ვისი გაზეთია „მიწა“? გლების, მიწის მუშა გლების...“

„მიწა“ იყო იგივე „გლები“, იმავე თანამშრომლებით და მიმართულებით. ერთისა და მეორის ხელმძღვანელი და მთავარი შემდგენელი ვიყავი მე. მწერდი მეთაურებს, სხვა წერალებს, ვთარგმნიდი, ვაგროვებდი ამბებს, ვიყავი ხშირად ექსპედიტორი, ვასრულებდი სხვადასხვა წვრილმან სამუშაოს. მაგრამ მე ყავდა გარედან მომსვლელი მეგობარი თანამშრომლები — გლებები, მუშები, ინტელიგენტები, რომლებიც მავლიდნენ სხვადასხვა სახის მასალებს.

გაზეთი აწოდებდა თავის მკითხველებს სარეგოლუციო მოძრაობის ამბებს, არკვევდა ეკონომიურს, პოლიტიკურს და სოციალურ საკითხებს, უჩვენებდა, თუ როგორ იბრძოდნენ გლებები სხვა ქვეყნებში (საფრანგეთში, იტალიაში) განთავისუფლებისათვის. მოუწოდებდა მათ, რომ იმოქმედონ ორგანიზებულად, შეკავშირდნენ, ერთად იყვნენ ქალაქის მუშებთან, მოიაზრონ თავისუფლება და მიწა, თითოთ გაუძღვევენ თავის საქმეებს და მოემზადონ სოციალიზმისთვის, რომელიც მიანჭებს მათ ბედნიერებას.

„გლებსა“ და „მიწაში“ ვათავსებდი ლექსებს და ბელეტრისტულ ნაწარმოებებსაც. დაბეჭდვით ლექსები ირ. ვედლოშვილის, ვაჟა-ფშაველასი, თ. რაჭიკაშვილის, შ. მღვიმელის, ა. შანშიაშვილის, დ. მეგრელის, ვ. რუხაძის, დ. თომაშვილის, შინატხელის, ახსიპირელის, ზომლეთელის, ველისციხელის და სხვ. და ბელეტრისტული ნაწარმოებები შ. არაგვის პირელის, ნ. ნაკაშიძის, ს. გუნცაძის (ს. მაგალობლიშვილის), ვ. მაღალიაშვილის, ია ეკალაძის.

ჩემი საგლებო გამოცემა ძალიან პოპულარული იყო. პირველ ხანებში მყიდველები ერთმანეთს ტაცებდნენ ხელში „გლებსა“ და „მიწას“ და მოუთმუნლად ევლდებოდნენ მორიგი ნომრის გამოსვლას. ერთხანს გაზეთი სასაქეულაციო საგანი ვახდა. გაზეთს ექვსი კაპიკი ეწურა ფასად, მაგრამ ზოგმა ათ კაპ. დაიწყო გაყიდვა. ბერისაგან მომდიოდა დიდი კმაყოფილების და მაღლობის წერილები. ერთგან წარმოდგენა გაემართათ და მისი შემოსავალი ჩვენს რედაქციას შემოსწირეს. გაზეთის ტირაჟი 4500-მდე აღიწოდა. ეს იმ დროისთვის ძალიან დიდი იყო, რადგან მაშინ ყველაზე უფრო გავრცელებული ყოველდღიური ქართული გაზეთი „ენობის ფურცელი“ მ ათასამდის გადიოდა მხოლოდ.

„მიწამ“ გამოსცა „საგლებო კალენდარი“ (უფასოდ დაურვიდათ ხელის მომწერებს), ბროშურა „როგორ უნდა მოეწყოს მიწის საქმე“ და სხვ.<sup>27</sup>

„გლები-მიწა“ რევოლუციის წარმომობილი და სარეგოლუციო ორგანო იყო. ამ რევოლუციას 1904 წლიდან შენელება დაეტყო, რეაქცია გაძლიერდა. ამან გამოიწვია საერთო სულთიერი დაცემა, მოღუნება, ხალხს დაეკარგა ხალისი მოქმედების, ბრძოლის. ეს დაეტყო ჩვენს საგლებსა გამოცემასაც, იყო მისმა გასაქალმა და გაძნელდა აგენტებისაგან ხვედრი ფულის დროზე მიღება. ამ პირობებში იძულებული ვიყავი შეჩერება „მიწა“. უკანასკნელი ნომერი გამოვეცი 1907 წლის 26 მაისს და მას ასეთი განცხადება დაურთეთ: „აგენტურის მოუწყობლობისა გამო „მიწა“ დროებით შეჩერებული იქნება. მიღებულია ზომები, რომ გაზეთი მაღლ განახლდეს“<sup>28</sup>.

ეს განახლება არ მოხდა. დაწერწუნდი, რომ საქმეს ვერ უშველდა აგენტურის მოწესრიგება და შექცობილი ტირაჟითაც იოლად წასვლა. რეაქციამ ძლიერ მოუჭირა ხელი პრესას და პარტიები არალეგალურ გამოცემებს დაუბრუნდნენ, ისევე სარდაფებში ჩაჭრნენ. ჩემთვის ნათელი ვახდა რომ, ადმინისტრაცია არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა „მიწას“ და მეც თავი გაავანებე მისი აღდგენის ცდას.

ასეთი მდგომარეობითა და ვითარებით იყო გამოწვეული ის, რომ მე განვიზრახე წმინდა ლიტერატურული ორგანოს დაარსება. ლიტერატურა ყოველთვის ჩემი საყვარელი საგანი იყო და ვიფიქრე შეიძლება აქ უფრო მეტი თავისუფლება გვექნეს და მწერლობა, ხელოვნება ხომ ერთგუნული აღორძინების ერთი იარაღთაა.

ეს ჩემი სალიტერატურო ჟურნალი იყო „მზე“, <sup>29</sup> რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1908 წ. 6 ოქტომბერს. გარეგნულად ეთარგმნებოდა ახდენდა, დაბეჭდილი იყო სუჟთად და კარგ

<sup>27</sup> შდრ. ვახ. „მიწა“, 1906, №№ 9—16; 1907, №№ 1—4 და სხვ.

<sup>28</sup> შდრ. გაზეთი „მიწა“ აგენტურის მოუწყობლობისა გამო დროებით შეჩერებული იქნება, მიღებულია ყოველი ზომა, რომ გაზეთის გამოცემა მაღლ განახლდეს.

აგენტებს ვთხოვთ, რომ კვირის განმავლობაში გავვისწორონ ყოველი ანგარიში“. ვახ. „მიწა“, 1907, 26, V, № 19.

<sup>29</sup> შდრ. „სარედაქციო საქმეებისთვის მსურველმა უნდა მიმართოს ს. ფირცხალავას“, „მზე“, 1908, № 1.



ქალღმერთს. სათაური მისი („ფასკუნჯისაც“ შემდეგ) დახატული იყო იაკ. ნიკოლაძის. სათაურს ქვეშ წერია: „ცახმული მწერლობა—მხატვრობა, — მუსიკა — თეატრი“. ვაცხადებდი, რომ ეურნალი უპარტიოა, რადგან ხელოვნება ერთნაირად ძვირფასია ყველადაის.

უთაურში ვამბობდი, რომ ჩვენი ეურნალი ახალი მოვლენაა საქართველოში, მაგრამ სავანი, რომელსაც ის ემსახურება, ხელოვნება უძველეს დროიდან მოდის, და ხაზს ვუსვამდი იმას, რომ ხელოვნების სიყვარული განსაკუთრებით საჭიროა დღეს ჩვენთვის, ვინაიდან ის ამაღლებს ჩვენს დაცემულ სულს და მოგვიბრუნებს ახალ ძალას რეაქციასთან საბრძოლველად. ხელოვნება თვით თავისუფლებაა და ყოველი მისი ნაწარმოები, თავისუფალი სულის წარმოშობილი, ყოველთვის გბრძვის მონობას და ამსხრევს მის ბორკილებს.

ნომერში დაბეჭდილი იყო ი. ქავჭავაძის დაუბეჭდავი მოთხრობა „კაკო“<sup>30</sup> და ლექსი, ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ (მეორე ნაწილი), „სამარცხენი ბოძეხ“ შ. არაგვისპირელისა, ლექსები ვაჟა-ფშაველასი და ა. შანშიაშვილის, ის. უაილდის ლექსი პრუხი, ალ. სარჯავიძელის გადმოთარგმნილი, ცხოვრება და ხელოვნება, კ. აბაშიძისა და სხვ.

მეორე და მესამე ნომერი ამგვარი შინაარსის გამოვიდა, გარდა ილიას დაუბეჭდავ ლექსისა და „კაკო“ და აკაკის „ჩემი თავგადასავლისა“, დაიბეჭდა ს. მაგალიშვილის, ორი მეზობლის ის-ტორია ა. ზაქ. ფალიაშვილის „ქართული ფილარმონიული საზოგადოება“, ივ. გომართელის „ქართული სცენა“, კრაკის „საუბარი ხელოვნების შესახებ“, კ. მაყაშვილან „სონეტები“ და სხვ.

„შხის“ არსებობა მესამე ნომრით დასრულდა. აღმინისტრაციამ იგი დახტურა და რედ. გამომცემელი (ფიქციური) ნ. ასათიანი დროებით დაატუსაღა. რა იყო ამის მიზეზი, დანამდვილებით ვერათფრს ვიტყვი. შეიძლება ის იყო მიზეზი, რომ მეთაური ვამბობდი: ქართული მწერლობა ვერ განვითარდება, რადგან ქართველი ვრი არის-თქვა<sup>31</sup> (sic).

„შხის“ დაკეტვას არ შევუჩერებდევარ და იმ დღეს, როცა ეს ეურნალი უნდა გამოსულიყო, გამოვეუწიე „ფასკუნჯი“ გრ. ტატეშვილის ფიქციურ-რედაქტორ გამომცემლობით.

ელხანდელმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ იმ დროს განზრახ წარვადგენდი რედ. გამომცემლად ისეთ პირს, რომელიც პოლიტიკაში მონაწილეობას არ იღებდა და არაფერი იყო შინაშინული, რადგან აღმინისტრაცია ასეთ პირებს უფრო ადვილად აძლევდა ეურნალ-ვახეთის გამოცემას. ასეთი ნებართვები ყოველი ორგანოს რედაქციას წინასწარ დამზადებული ქონდა, რომ თუ აღმინისტრაცია რომელიმე გამოცემას დახტურადა, მეორეს გამოცემას შესდგომოდა დაუყოვნებლივ.

„ფასკუნჯის“ რედ. გამომცემლად დასახელებული გრ. ტატეშვილი იყო სურათების და ხატოვანის ასოების ამოჭრელი ხესა და ლითონზე და ქართულ წიგნებში რომ პირველად ნახატები იბეჭდებოდა, სულ მისი ნახელავი იყო.

„ფასკუნჯის თანამშრომლები, რასაკვირველია, იგივენი იყვნენ, ვინც „მზეში“ მუშაობდნენ და ეურნალის სახეც არ შეცვლილა. „მზე“ და „ფასკუნჯის“ პირველი ოთხი ნომერი ყოველდღიურ ვახეთის ფორმატით იყო გამოსული მეგრე კი ეურნალს უფრო ფართო რეველის სახე მიეცეო.

მწერლები-ბელეტრისტები, პოეტები, კრიტიკოსები, დიდი სიყვარულით და ყურადღებით შეხედდნენ ჩემს დაწყებულ საქმეს, ცდილობდნენ ყოველნაირად ხელის შეწყობას და ხალისით მაწვდოდნენ მასალას რასაკვირველია უსასყიდლოდ. „ფასკუნჯი“ გამოვიდა 1908 წ. რვა ნომერი და 1909 წელს 17 ნომერი.

ბევრი საყურადღებო ნაწარმოები გამოქვეყნდა ამ მოკლე მანძილზე. ვაგრძელდა ილიას დაუბეჭდავი ნაწერების და აკაკის „ჩემი თავგადასავლის“ ბეჭდვა. დაისტამა ლექსები როგორც ძველი პოეტების, ისე ახლების: აკაკის, ვაჟა-ფშაველასი, თ. რაზიკაშვილის, ბაჩანასი, განდევლის, ირ. ევლოშვილის, შ. მდივანის, კ. მაყაშვილის, ზ. ახისპირელის, ა. შანშიაშვილის, დ. მეგრელის, ი. გრიშაშვილის და ი. მქედლოშვილის დაიბეჭდა თითო-თითო ლექსი. გალ. ტაბიძემ „ფასკუნჯში“ მიიღო პოეტობის კურთხევა. მოსკოვის ქუჩაზე ვიდექი. ერთ საღამოს შეწვია ერთი ახალგაზრდა მოწაფე, პირხმელი, მორიდებული. მორცხვად მოთხრა: ლექსი მაქვს დაწერილი და ეგებ „ფასკუნჯში“ დაბეჭდოთ. ვაივარითო. ვაივარითო, წაივარითო და მაშინვე შევატყვე რომ ჩემს წინ ნამდვილი პოეტობის ნიჭის პატრონი იყო. ის ლექსი ახლობელ ნომერში დაიბეჭდა. ამას მერმე სხვა ლექსები მოჰყვა. ეს მოწაფე გალ. ტაბიძე იყო.<sup>32</sup>

<sup>30</sup> იხ. ს. ფირცხალავის ბარათი მიხ. გედევანიშვილისადმი: „მე რომ პირველად „კაკო“ დაბეჭდო... საქ. გ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმი, ხ. № 8580.

<sup>31</sup> შდრ. „ჩვენი სიტყვაჯახშილი მწერლობის დაცემის ერთი მიზეზია ჩვენი ეროვნული პოლიტიკური მონობა, ჩვენი ეროვნული აზრსებობა“, „მზე“, 1908, № 3.

<sup>32</sup> „ფასკუნჯში“ დაიბეჭდა გ. ტაბიძის ლექსები: „ნიაივი“, „ლამე“, „მომაკვდავი“ და სხვ.

ბელეტრისტიკაზე „ფასკუნჯში“ დაბეჭდილი იყო ნაწარმოებები ს. მგალობლიშვილისა, შ. არაგვისპირელისა, ან. ერისთავი-ხომთარისი, ვ. მაღაქიაშვილის, დ. ლუქაშვილისა<sup>33</sup>.

უკანასკნელის მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდან ახლაც საინტერესო წასაკითხავი იქნებოდა და სასურველია მისი ცალკე წიგნად გამოცემა.

„ფასკუნჯში“ დაიბეჭდა ხალხურ ლექსებიდან 3. მირიანაშვილის დამუშავებული „აბასალომ და ეთერი“ პიესის სახით, რომელიც მერე ზ. ფალაშვილის ოპერის ლიბრეტოდ იქნა მიღებული<sup>34</sup>.

ეურნალის ერთგული თანამშრომელი იყო ალ. სარაჯიშვილი (სწერდა ხანდახან რიშ ბაბის ფსევდონიმით), რომელიც საუცხოოდ თარგმნიდა დასავლეთის და აღმოსავლეთის პოეტურ ნიმუშებს.

კრიტიკოსებისაგან შემდეგი პირები იღებდნენ მონაწილეობას: კ. აბაშიძე, ა. ხანაშვილი, ი. გომართელი, გრ. ყიფშიძე, გ. ჯავახიშვილი, პ. გვიციშვილი, არტისტებიდან: კ. ყიფიანი (დაწერა „ჩემი არტისტობის თავგადასავალი“)<sup>35</sup>, კ. მესხი, ვალ. შალიკაშვილი. „ფასკუნჯმა“ დაბეჭდა ზ. ფალაშვილის და იაკ. ნიკოლაძის წერილები.

ეურნალი ბოლომდის იძლეოდა ყოველი შეგნებულის, ლატერატურის მოყვარე ადამიანებისათვის უშუალოდ საყურადღებო, სასურველ მასალას. ვისაც აინტერესებდა მწერლობა, ხელოვნება, თეატრი, ის აუცილებლად წაიკითხავდა „ფასკუნჯს“. თქმა არ უნდა მკობნის მკობანი არ დაიღუპა. „ფასკუნჯის“ უკეთესი ორგანოს გამოცემა შეიძლებოდა უკეთესი ადამიანების მიერ, უკეთეს პირობებში. მაგრამ ჩემი „ფასკუნჯი“ ყოველ შემთხვევაში ხელწესაკარგი არ იყო და დროთა ვითარებაში თავის სახით და შინაარსით, დამაკმაყოფილებელი იყო. ერთი გასამართლებელი საბუთი კი ჰქონდა საზოგადოებას: რეაქციამ ლიტერატურის და ხელოვნების ინტერესიც დასცა.

ეს არის უბრალო აღნიშვნა ობიექტური სინამდვილისა და არა ჩემი თამაშყვარეობის დაცვა. 1909 წ. აპრილის 26 შემდეგ იძულებული ვიყავი შემეჩერებინა ეურნალის გამოცემა, რადგან მისი ტირაჟი დაეცა 500-ზე უკვეთილ და შემოსავალი ვერ ფარავდა აუცილებელ ხარჯს სტაჟის, ქალაქის და ფოსტისას. უკანასკნელ ნომერში გამოვეთხოვე მკითხველებს, აეუხსენი საქმის ვითარება და გუთხარი: „ნახვამდის“.

„ნახვამდის“ იმიტომ, რომ მე ვერ ვუერივდებოდი საყვარელი ორგანოს სამუდამოდ დახურვას. დაეფაცურდი, აქეთ მიემართე, იქით მიემართე, მოველაპარაკე სტაჟას, შევეუთახმდა ლითოვარჯს კ. მესხიშვილს, რომელიც დამპირდა ხელის შეწყობას და გადაწყვიტე „ფასკუნჯის“ გაგრძელება თეიური ეურნალის სახით.

პირველი ნომერი გამოვიდა ხანგრძლივი მზადების შემდეგ მხოლოდ 1910 წ., დამდეგს<sup>36</sup>. გარეგნულად ეს თეიური გამოცემა უკეთესად იყო შესრულებული, ვიდრე კვირეული. იგი დაიბეჭდა ორ ფერად და შემეყლი იყო კარგი სურათებით. თავში მოთავსებული იყო ფერადი სურათები: 17 ს. „ვეფხისტყაოსნიდან“ (თინათინის მეფედ გამოცხადება), მერე ორი ფოტოტიპური სურათი: მგლოვიარე ქალი ილიას ძეგლის (ი. ნიკოლაძის ქანდაკება) და ეკ. გაბაშვილის პორტრეტი. ამის გარდა დაიბეჭდა რამდენიმე ცინკოგრაფიული სურათი. ტექსტი მდიდარი იყო: ლექსები, აკადის, კ. მაყაშვილის, განდევლის და ა. შანშიაშვილის: პროზა—კურთუხანი. ალ. სარაჯიშვილის ნათარგმნი, დრამა ტრ. რამიშვილისა ნაწყვეტები, გ. გაბაშვილისა; ვ. აბაშიძის კრიტიკული წერილი და სხვა.

„ფასკუნჯის“ მადლიერმა სახემ მე გამამხნევა და იმედი მომეცა რომ მოკეთების დახმარებით შევძლებდი შემდეგი ნომერების გამოცემას.

მაგრამ, კაცი, ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია, მე ჩემსას ვჭობდი და ქანდარმერია კიდევ თავისას განიგულებდა. მე დამატუსაღეს და „ფასკუნჯს“ მზრუნველი აღარაქინ დაურჩა.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი უნდა იყოს, რომ სამსონ ფირცხალავას, როგორც რედაქტორ-გამომცემელს, სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს ქართული ეურნალისტიკის ისტორიაში.

<sup>33</sup> იგულისხმება დ. ლუქაშვილის მოთხრობა „დღეობაში“, რომელიც დაიბეჭდა 1909, №№ 6—7.

<sup>34</sup> იხ. „ფასკუნჯი“, 1908, № 7.

<sup>35</sup> შდრ. „ფასკუნჯი“, 1909, 26, IV, № 17. დღიური „ნახვამდის“.

<sup>36</sup> შდრ. საქ. გ. ლენინის სახ. სახელმწიფო ლიტ. მუზეუმი, ხ. № 20615, ს. ფირცხალავას ბარათი ნ. ლომოურისადმი.

ეს წერილი უკვე გამზადებული იყო დასაბეჭდად, როდესაც ვნახეთ ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცული „გლეხის“. „მიწის“, „მზის“ და „ფასკუნჯის“ ი. გრიშაშვილისეული ეგზემპლარები.

„მიწის“ კომპლექტს აქვს ი. გრიშაშვილის წარწერა:

„ჯერ გამოდიოდა „გლეხი“ ს. ფირცხალავას რედ. 1906 წელს (სულ შვიდი ნომერი გამოვიდა).

„მიწა“ სამსონ ფირცხალავას რედაქტორობით<sup>37</sup>.

1906 წ. (№ 1—16)

1907 წ. (№ 1—19)

1908 წ. (№ 1—2)

} სრულია

„მზის“ (№№ 1, 2, 3) და „ფასკუნჯის“ (№№ 1, 2, 3, 4) ნომრები აკინძულია ერთად.

ი. გრიშაშვილის ხელით პირველ გვერდზე აწერია:

„სამსონ ფირცხალავას პირველი მხატვრული გაზეთი.

გავრძელება ჟურნალის სახით. ი. გრიშაშვილი“.

ვეფიქრობთ, კომენტარები ზედმეტია.

<sup>37</sup> „მიწის“, 1908, № 2-ში მოთავსებულ წერილს „ვინ იყო ილია ჭავჭავაძე“, მიწერილი აქვს ს. ფირცხალავა.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)



## ნიკოლოზ თუშიშვილი

### ბოგვისხვევის ალმანტიკური ხანის სამაროვანი

1960 წელს სოფელ არდასტუბანში<sup>1</sup>, ბოგვისხვევის მარჯვენა ნაპირზე რამდენიმე თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს სამკაული აღმოჩნდა.

აღნიშნული ნივთების მოპოვების ადგილას ბოლნისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ<sup>2</sup> გაავლო სადაზვერვო თხრილები და გამოავლინა სამი ქვისსამარხი და ერთი ცხენის სამარხი ორმო.

პირველი სამარხი თითქმის მთლიანად დანგრეული იყო. მას შერჩენილი ჰქონდა აღმოსავლეთი კედლის მხოლოდ ერთი ფილა. სამარხი აღმოსავლეთიდან დასავლეთით იყო დამხრობილი. მასში მიცვალებულის თავის ქალის ნაშთთან ერთად აღმოჩნდა სამკაულები, რომლებიც ფილაქვის ძირში მიწასთან იყო არეული. სამარხს გარეთ, 0,25 მ-ის მანძილზე ჩრდილოეთის მიმართულებით, იდგა თიხის ჯამი, რომელზეც იყო ცხვრის ბარძაყის ძვალი.

აღნიშნული სამარხის აღმოსავლეთით გამოჩნდა მეორე ქვისსამარხი და აგრეთვე, ორმოსამარხი, რომელშიაც ცხენი იყო დამარხული. გარდა ამისა, უშუალოდ პირველი სამარხის ქვეშ მოქცეული იყო მესამე ქვისსამარხი.


ამრიგად, თუ სამარხთა განლაგების კრილს წარმოვიდგენთ, დავინახავთ, რომ ქვედა ფენაში მოთავსებული იყო მესამე, ხოლო მის ზემოთ კი დანარჩენი სამარხები.

პირველი ქვისსამარხი მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 0,4 მ-ის სიღრმეზე, დელუვიურ თიხნარში. სამარხის სიმაღლე დაახლოებით 0,4—0,5 მ-ს უდრიდა. ინვენტარიდან შემონახვა:




1. ფილა, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან ნაკეთები (სურ. I, ვ). კეცი გადანატეხში მოვარდისფრო აქვს. ზედაპირი წითელი წერნაქითაა შეღებილი და შემდეგ გაპრიალებული. ჭურჭელი მეტად მოხდენილია. მას გადმოშლილი პირი და მომრგვალებული ძირი აქვს. ძირისა და პირის შეერთების ადგილას წიბური შემოუყვება, რომელთანაც გვერდი ერთი თითის დადგმაზე შეღრმავებულია. ჭურჭლის სიმაღლე 5 სმ-ს უდრის, პირის დ კი 16,4 სმ-ს.

<sup>1</sup> აღნიშნულ სოფელს დღეს რატომღაც არღისუბანს უწოდებენ. მაგრამ 1679 წლის ყმების ნასყიდობის ერთ-ერთ წიგნში, რომელიც მიცემულია რამაზა და სხვა ყორღანს — შვილების მიერ თავიანთ ვანაყოფი როსტომისადმი, იგი მოხსენიებულია არდასტუბნის სახელწოდებით (იხ. ნ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ., 1940, გვ. 63, ცოტა უფრო გვიან, 1701 წ. სიგელ-გუჯარებში, 1721 წ. მოწინავე დროშის აღწერაში და მომდევნო ხანის სხვადასხვა საბუთებში, აღნიშნული სოფელი უკვე მოხსენიებულია არდასტუბნის სახელწოდების ქვეშ (იხ. იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ტ. I-II, თბ., 1935, გვ. 283. აქვეა მითითებული სხვადასხვა დამდასტურებელი საბუთები).

<sup>2</sup> ექსპედიციის ხელმძღვანელი — აწ განსვენებული ი. გელიშვილი, მეცნიერი თანამშრომლები — დ. ხახუტაიშვილი, ა. ბოხოჩაძე, ლ. წითლანაძე, დ. ბერძენიშვილი, ნ. თუშიშვილი.



სურ. I



სურ. II

2. ტუჩიანი დოქი, მოვარდისფროდ გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან ნაკეთები. ჭურჭელს აკლია ყური. ყელზე რელიეფური სალტე შემოსდევს (სურ. I, 2). მისი სიმაღლე 15 სმ-ს უდრის, მუცლის d — 12 სმ-ს, ძირის d — 7 სმ-ს.


3. რკინის მოხრილი დანის ნატეხები, ძლიერ დაშლილი. ნატეხებს შერჩენილი აქვს ხის ქარქაშის ნაშთი.

4. რკინის სატევრის ნატეხები. ლურსმნის თავის მაგვარ კოტაზე შეინიშნება ქსოვილის ანაბეჭდი, ხოლო პირის ფრაგმენტებზე — ხის ქარქაშის ნაშთი.

5. რკინის 8 სამაჯურის ნატეხები. თითოეული რკალი ბირთვისებური მძივების ასხმის იმიტაციას წარმოადგენს (სურ. II, 4).

6. რკინის სამი ბეჭედი. ბეჭედებს შეკრული რგოლი და ოვალური მოყვანილობის საკმაოდ მოზრდილი ფარაკი აქვს (სურ. II, 1).

7. ვერცხლის ბეჭედი. მისი რგოლი დამზადებულია მრგვალგანივკვეთიანი ვერცხლის მავთულისაგან, რომლის დაბრტყელებულ ბოლოებზე დარჩილულია ვერცხლისავე მრგვალ-ბრტყელი, ზედაპიროფერილი ფარაკი. ფარაკზე ამოკვეთილია მზის სტილიზებული გამოსახულება: შუაში პატარა წრეა, რომლიდანაც ნაპირებისაკენ რადიალურად მიემართება სხივების გამომხატველი ხაზები (სურ. II, 2; სურ. III). რგოლის d 2,3 სმ-ია, ფარაკისა — 1 სმ.



სურ. III

8. ყურსაკიდები (2 ცალი) ოქროს მრგვალგანივკვეთიანი მავთული-სა. ისინი სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არიან სასაფეთქლე რგოლების სახელწოდებით. გახსნილი ბოლოები მათ ოდნავ დაბრტყელებული და გაზერტილი აქვთ (სურ. II, 3).

9. მძივები (სურ. II, 5), სულ 72, რომელთაგანაც თეთრი და ცისფერი პასტის 65 მძივი სფერული მოყვანილობისაა; 7 კი მოყავისფრო სარდონისაა, — პარალელოგრამისებრი.

10. თიხის ჯამი, აგურისფრად, არათანაბრად გამომწვარი (სურ. I, 1). პირის d 14,5 სმ-ია, სიმაღლე — 5,5 სმ.

**მეორე ქვისსამარხი** მდებარეობდა ცხენის სამარხის აღმოსავლეთით, მისგან 0,25 მ-ის მანძილზე, მიწის ზედაპირიდან 0,5 მ-ის სიღრმეზე. ეს ყო პატარა სამარხი (46×34×25 სმ), რომელსაც აკლდა დასავლეთი კედლისა და სახურავის ქვები. სამარხში ძვლის არავითარი კვალი არ ყოფილა. მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ჯგუფად ეწყო შემდეგი სამკაულები:


1. ვერცხლის ბეჭედი, რომელიც გამოსახავს დახვეულ, კულზე თავგადადებულ გველს (სურ. IV, 4; სურ. V). ბეჭდის დაკეპნილი გვერდები ქმნიან გველის კანის შთაბეჭდილებას. ბეჭდის d 1,5 სმ-ია.

2. ბრინჯაოს 4 სასაფეთქლე რგოლი, რომელთა d 2 სმ-ია (სურ. IV, 2, 6).

3. ბრინჯაოს თავებგახსნილი ორი საყურე (სურ. IV, 1, 3).



4. ბრინჯაოს სამი ს ა მ ა ჯ უ რ ი. ერთ მათგანს ზედაპირი დაკეპნილი აქვს (სურ. IV, 5).



სურ. IV

5. რკინის მოხრილი დანა, პატარა, ძლიერ დაშლილი.

მესამე ქვისსამარხი მდებარეობდა უშუალოდ პირველი სამარხის ქვეშ, მიწის ზედაპირიდან 1,5 მ-ის სიღრმეზე. მის კედლებს თითო ფილაქვა შეადგენდა, სახურავს კი — 3. სამარხის სიგრძე 1,2 მ-ს უდრიდა, სიგანე — 0,75 მ-ს, ხოლო სიმაღლე — 0,45 მ-ს. მიცვალებული მარჯვენა გვერდზე იყო დასვენებული თავით ჩრდილოეთისაკენ, ხელ-ფეხბოკეცილი და წელში მოხრილი. ამ სამარხში საკმაოდ საინტერესო ინვენტარი აღმოჩნდა:




სურ. V

1. თიხის ტუჩიანი დოქი, აგურისფრად, არათანაბრად გამომწვარი (სურ. VI, 2). იგი მიცვალებულის ფეხებთან იყო წაქცეული, სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. დოქის სიმაღლე — 20 სმ-ია, მუცლის  $d$  — 17,5 სმ.

2. სამარხის მეორე კუთხეში, მიცვალებულის ფეხებთან იდგა მოყვითალოდ გამომწვარი თიხის ფილა (სურ. VI, 3), რომელსაც გადმოშლილი ფართო პირი და წიბოიანი გვერდი აქვს. პატარა ბრტყელი ძირი ჭურჭლის შიდა მხრიდან მომრგვალებულია. ფილის სიმაღლე 4,5 სმ-ია, პირის  $d$  — 14,5 სმ.

3. მოწითალო ფერის თიხის ჯამი იდგა ფილის გვერდით. მას ოდნავ შეკეცილი პირი აქვს (სურ. VI, 1). მისი სიმაღლე 4 სმ-ს უდრის, პირის  $d$  — 12,2 სმ-ს, ხოლო ბრტყელი ძირისა — 3 სმ-ს.

4. ბრინჯაოს ზარი, გვერდგახსნილი და რკინის ენიანი, იღო ჯამსა და ფილას შორის. იგი შემკულია შვეულად განლაგებული რელიეფური ხაზებით (სურ. VII, 2). ზარის სიმაღლე 10,8 სმ-ს უდრის.



სურ. VI

5. ბრინჯაოს ბალთა აღმოჩნდა მიცვალებულის მუცლის არეში. იგი სტილიზებულად გამოსახავს რომელიღაც ცხოველს. ბალთას 7 სათასმე ნახვრეტის აქვს (სურ. VII, 3). მისი სიგრძე 7 სმ-ს უდრის, ფირფიტის სისქე — 0,2 სმ-ს.


6. მოყავისფრო სარდიონის 28 მძივი სხვადასხვა მოყვანილობისაა: მუცელგამობერილი, კასრისებრი, ბიკონუსური და ხუთწახნაგოვანი (სურ. VII, 4). ისინი ნაპოვნია მიცვალებულის ყელის არეში.

7. რკინის მოხრილი დანა (სურ. VII, 1) აღმოჩნდა მიცვალებულის წელების არეში. დანას შერჩენილი აქვს ხის ტარის ნაშთი, დამაგრებული რკინის ორი მანჭვლით.

8. ძლიერ დაქანგული და დაშლილი რკინის შუბისპირი, რომლის მასრაში შერჩენილია ხის ტარის ნაწილი.

**ცხენის სამარხი** მდებარეობდა მეორე სამარხის მახლობლად და, როგორც ჩანს, მასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ცხენი დამარხული იყო 2,0 მ დიამეტრის მქონე ორმოში, მიწის ზედაპირიდან 0,5-0,6 მ სიღრმეზე, მარცხენა გვერდზე. თავი დასაველეთით ჰქონდა. ჩონჩხის სამხრეთით 0,6 მ-ის დაშორებით იყო ერთი მოგრძო ფილაქვა. ცხენთან აღმოჩნდა:

1. რკინის ორწილადი ლაგამი საყბეურები თურთ (სურ. VIII). ლაგამი ნაჭედია მობრტყე დეროსაგან, რომლის ორივე ნაწილს შუაზე გარს ერტყმის თითო სალტე. საყბეურები დამზადებულია მრგვალბრტყელანივიკვეთიანი დეროსაგან. შუაზე, შიგნიდან მხრიდან გაკეთებული აქვთ თითო მოზრდილი რგოლი, რომლებშიც გაყრილია ლაგამის განაპირა რგოლები. ამ უკანასკნელებს, თავის მხრივ, შებმული აქვთ აღვირის გასაყრელი რგოლები. საყბეურებს, დეროზე სხვა სიბრტყეში ორ-ორი სათასმე ნახვრეტი აქვთ. ლაგამი ცხენის პირთან იღო.



სურ. VII


2. ცხენის აკაზმულობის ბრინჯაოს 4 ბალთა (სურ. IX, 1, 2).

3. ბრინჯაოს რგოლი (სურ. IX, ვ).


როგორც დავინახეთ, პირველი და მესამე სამარხი ინჰუმაციურია. მეორე კი — კენტაფი უნდა იყოს. ამის მაჩვენებელია სამარხის მეტად მცირე ზომა და მასში ჩონჩხის არარსებობა. როგორც ჩანს, ცხენის დამარხვაც მეორე სამარხთანაა დაკავშირებული.



სამივე ქვისსამარხს იატაკი თიხით ჰქონდა მოტეპნილი. არდასუბანში შედარებით პატარა ქვისსამარხების აღმოჩენა მოულოდნელი არ იყო, რადგან აღრე-



სურ. VIII



სურ. IX

ანტიკური ხანის ქვემო ქართლისათვის საერთოდ დამახასიათებელია შედარებით მცირე ზომის ქვისსამარხები.

მსგავსი აღნაგობის სამარხები დამოწმებულია აბელიაში<sup>3</sup>, ბეშთაშენის მახლობლად<sup>4</sup>, კუშჩში, შავსაყდარსა და დმანისის რაიონში<sup>5</sup>. ამ ჯგუფის სამარხის უდიდესი სიგრძე 1,5 მ-ს აღწევს, ხოლო სიგანე და სიღრმე შესაბამისად 0,8 და 0,75 მეტრამდე. თუ შევადარებთ აბელიაში გათხრილ სამარხებს არდასუბნისას, ქვისსამარხთა აღნაგობის და მათში მიცვალებულთა დამარხვის წესის ერთგვარობას შეამჩნევთ: ორივეგან დამახასიათებელია წელში მოხრილი, ხელფეხმოკეცილი მიცვალებულის გვერდზე დაწვნა. აბელიაში მიცვალებულები უმთავრესად მარცხენა გვერდზე უმარხავთ, თუმცა იქვე არაერთი შემთხვევაა მათი მარჯვენა გვერდზე დაკრძალვისაც.

არდასუბნის სამარხებში აღმოჩენილი კერამიკული მასალა ერთგვაროვანია: პირველ და მესამე სამარხებში მიცვალებულისათვის ჩაუყოლებიათ თითო ტუჩიანი დოჭი, თითო ფიალა და თითო ჯამი. განსხვავება ისაა, რომ პირველი სამარხის ჯამი სამარხს გარეთ იდგა და ზედ ცხერის ბარძაყის ძვალი იდო აქ საქმე უნდა გვექონდეს ალაპის ნაშთთან. გ. ლომთათიძის დაკვირვებით ამგვარი წესი საერთოდ დამახასიათებელი ყოფილა აბელიის სამაროვნისათვის<sup>6</sup>.

არდასუბნის ყველა თიხის ჭურჭელი მორგვზეა ნაკეთები წვრილმარცვლოვანი თიხისაგან და მოვარდისფროდ კარგად გამოშვარია. მათში გამოირჩევა, სხვა ჭურჭელთან შედარებით უფრო გულდასმით ნაკეთები, პირველი სამარხის ფიალა (სურ. I, ა). არდასუბანში მოპოვებული ფიალები პარალელურ პოულობენ, როგორც ქვემო ქართლის (ალგეთის წინწყარო<sup>7</sup>, ზემო წყნეთი, თეთრი წყარო<sup>8</sup>, კიკეთი<sup>9</sup>), ისე საქართველოს სხვა კუთხეებში აღმოჩენილ მასალებში (ახალგორი<sup>10</sup>, დაბლაგომი, კამარახევის სამაროვანი<sup>11</sup>, ხოვლეგორა)<sup>12</sup>. მიუხედავად სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი, სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთები ფიალების ზოგერთი თავისებურებებისა, მნიშვნელოვანი ისაა, რომ მათი მოყვანილობა არსებითად ემთხვევა ერთმანეთს და ეს ტიპი დამახასიათებელია ადრეანტიკური ხანისათვის (ძვ. წ. VI-IV სს.). აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მესამე სამარხში აღმოჩენილი ფიალა (სურ. VI, ა) მინც რამდენადმე უფრო ადრეულ იერს ატა-

<sup>3</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ქვემო ქართლში, 1948, 1949 და 1954 წწ., ხელნაწერი.

<sup>4</sup> ბ. ა. კუფტინი, Археологические раскопки в Триалети, I, თბ., 1941, გვ. 41.

<sup>5</sup> დ. ქორიძე, ერთი ქვეყნის სამარხული ინვენტარი ზემო აქვალიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX, თბ., 1956, გვ. 217.

<sup>6</sup> გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>7</sup> ბ. ა. კუფტინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34-41.

<sup>8</sup> ა. ბოხოჩაძე, ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრი წყაროს მახლობლად, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, IV, თბ., 1963, ტაბ. V<sub>1</sub>.

<sup>9</sup> პროფ. ბ. კულტინის მიერ 1948 წ. კიკეთში გათხრილი აქემენიდური ხანის სამარხული მასალა ინახება ს. ჩანაშაის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში № 40/58:55.

<sup>10</sup> ი. გავლიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, ტაბ. XIII.

<sup>11</sup> რ. რამიშვილი, კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, II, თბ., 1959, გვ. 19-20.

<sup>12</sup> დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი მასალა, თბ., 1966, ხელნაწერი.

რებს, ვიდრე პირველი სამარხისა (სურ. I, ვ). მესამე სამარხის ჭურჭლის პროპორციები ისე დახვეწილი არ არის, როგორც პირველისა. ამ უკანასკნელს პირი უფრო ფართოდ აქვს გადმოშლილი, ფსკერი შედარებით შევიწროებული და თიხაც გაცილებით უკეთ დამუშავებული.

ტუჩიანი დოქების (სურ. I, 2, VI, 2) გავრცელებაც ამ ხანასთან არის დაკავშირებული. ასე ნაკეთები ჭურჭელი ნაპოვნია ბეშთაშენის მახლობლად გათხრილ სამაროვანზე<sup>13</sup>, აბელიაში<sup>14</sup>, კიკეთში<sup>15</sup>, კამარახევის სამაროვანზე<sup>16</sup>, კარმირბლურზე<sup>17</sup>, ასურეთში<sup>18</sup> და სხვ. ეს ფორმები განაგრძობენ არსებობას მომდევნო ხანაშიაც.

ამ დროის თითქმის ყოველი სამარხის თანმხლებად შეიძლება ჩაითვალოს ჯამებიც, რომელთა მსგავსი არდასუბნის სამარხებშიაც იყო (სურ. I, 1, VI, 1).

ზემოთ განხილული სახის კერამიკის სიმრავლე, ფორმათა იდენტურობა, თიხის ფერი და გამოწვის ტექნიკა აშკარად მეტყველებს მათს ადგილობრივ წარმომავლობაზე. რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურება ამ ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელთა ნაირსახეობა. უამრავია სხვა მოყვანილობის, სხვანაირად დამუშავებული და სხვა შემადგენლობის თიხის ჭურჭელიც. ამას იმიტომ ვიხსენიებთ, რომ ადრენტიკურ ხანაში და გაცილებით უფრო ადრეც, ქვემო ქართლში აშკარად შეინიშნება მეთუნეობის მძლავრი კერა და თიხის ჭურჭლის მასიური შემოტანა სხვა მხარეებიდან არ არის მოსალოდნელი.

არდასუბანში აღმოჩენილ ჭურჭელს პარალელები სხვაგანაც მოეპოვება: დიდუბეში, დაბლაგომში და სხვ.<sup>19</sup> მათთან მსგავსებასთან ერთად შეინიშნება საგრძნობი განსხვავებაც, პირველ რიგში თიხის დამუშავებასა და აგრეთვე, ყურისა და მუცლის მოყვანილობაში, რაც სხვადასხვა თემისათვის დამახასიათებელ თავისებურებას უნდა მიეწეროს.

საინტერესო დაკვირვება აქვს დ. მუსხელიშვილს მოწითალო კერამიკის გავრცელების შესახებ, რომელიც ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოდან მრავლდება სამხრეთ ამიერკავკასიაში. წინა პერიოდისაგან განსხვავებული თიხის ჭურჭლის გამოჩენა (რაც გამოიხატება ახალ ფორმებში, ტექნიკურ ხერხებში, წითლად შეღებვასა და ანგობირებაში და სხვ.) არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ კერამიკის წარმოების ტექნიკის პროგრესით. ახალი ჭურჭლის გამოჩენა, მისი აზრით, მოწმობს ახალი კულტურული დინების გავლენას სამხრეთ ამიერკავკასიაზე და, შესაძლებელია, დაკავშირებული ყოფილიყო ახალი ეთნიკური ელემენტის შემოსვლასთანაც, რასაც თანდათანობითი, ინფილტრაციის პროცესის სახე უნდა ჰქონოდა და ეს პროცესი მთელი VI ს-ის განმავლობაში უნდა გავრცელებულ-

<sup>13</sup> Б. А. Куфтин, დასახ. ნაშრომი, გვ. 41-42, ტაბ. XV.

<sup>14</sup> გ. ლ. მთათიძე, დასახ. ნაშრომი.

<sup>15</sup> ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდი, კოლ. № 40/58:54.

<sup>16</sup> რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19, სურ. 12, ტაბ. XI.

<sup>17</sup> Б. Б. Пиотровский. Ванкское царство, М., 1959, ტაბ. XXXI.

<sup>18</sup> კ. კვიციანიძე, 1965 წ. ასურეთში ჩატარებული არქეოლოგიური დახვეწრების ანგარიში, XV სამეცნიერო სესია, მიღწეილი 1965 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოხსენებათა ანოტაციები.

<sup>19</sup> Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, თბ., 1950, ტაბ. 19<sub>31</sub>, 20<sub>2</sub>.



იყო<sup>20</sup>. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ზოგიერთი სხვა მკვლევარი და სამხრეთიდან ახალი კულტურული ნაკადის (ურარტუს) გამოჩენას უკავშირებს<sup>21</sup>.

თიხის ჭურჭელს გარდა, სამარხეულ ინვენტარში დიდი ადგილი უჭირავს სამკაულებს. არდასუბნის სამარხების თარიღის დასადგენად პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სასაფეთქლე რგოლების ერთი სახეობა, რომლებსაც ბოლოები ოდნავ დაბრტყელებული და გახვრეტილი აქვთ (სურ. II, ვ). ანალოგიური სამკაულები, დამზადებული კეთილშობილი ლითონისაგან აღმოჩენილია: თეთრ წყარომში<sup>22</sup>, თრიალეთში<sup>23</sup>, დიდუბეში<sup>24</sup>, ყაზბეგში<sup>25</sup>, კამარახევიში<sup>26</sup>, რაჭაში<sup>27</sup>, დაბლაგომში<sup>28</sup> და სხვ. ა. კალანდაძე სამთავროულ მასალებზე დაკვირვებით, რომელშიც საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი მსგავსი სასაფეთქლე რგოლები, მათი გავრცელების დროდ ძვ. წ. VI-V სს-ს მიიჩნევს. ნ. ხოშტარიას აზრით, მსგავსი ნაკეთობანი ძვ. წ. V საუკუნეზე ქვემოთ აღარ ჩამოდიან.

გვირდს ვერ აფუცელი მერე სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოს საყურეებს (სურ. IV, 1-3, გ), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ღეროს სისქითა და ბოლოების მოყვანილობით. ზოგს შემსხვილებული ბოლოები აქვს, ზოგს კი — დაწვრილებული. ანალოგიური სამკაულები ნაპოვნია აბელიას<sup>29</sup> და კამარახევის<sup>30</sup> სამაროვნებზე, ახალგორში<sup>31</sup>, ყაზბეგში<sup>32</sup>, რაჭაში<sup>33</sup>, დაბლაგომში<sup>34</sup>, ჩრდილო კავკასიაში<sup>35</sup>. მათი გავრცელებაც ძირითადად ადრეანტიკურ ხანაზე მოდის ისევე, როგორც იმ ტიპის სამაჯურებისა, რომლებიც მესამე სამარხში იყო ნაპოვნი (სურ. IV, ვ).

რამდენიმე სიტყვით შეგვიჩვენებთ ვერცხლის ბეჭედზე, რომლის ოქროფერილ ფარავზე მზის სტილიზებული გამოსახულებაა ამოკვეთილი (სურ. II, 2, III). მზის გამოსახულება, სხვადასხვა ვარიაციებით არაერთგანაა ნახული და მას მეცნიერები მზის წარმართულ ღვთაებას უკავშირებენ. ამ მოტივით დამუშავებულია დმანისის ნეკროპოლის მეორე სამარხში ნაპოვნი ბრინჯაოს ქინძისთა-

20 დ. მუსხელიშვილი, ზოვეგორის განათხარი არქეოლოგიური მასალა, წყარო-მცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, 1964 წ., მუშაობის გეგმა და მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1964, გვ. 5-8; მისივე ზოვეს არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი მასალა.

21 ვ. კვიციანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 17-18.

22 ა. ბოხრაძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. V<sub>2</sub>.

23 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 42, სურ. 40.

24 Б. А. Куфтин, Материалы..., т. II, გვ. 45.

25 საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ფონდი, № 280.

26 რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი.

27 გ. გობეჯიშვილი, ქართული უძველესი ბალთები (ხელნაწერი), გვ. 129; მისივე, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 103.

28 Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети; გვ. 46, სურ. 40<sub>4</sub>, Н. 3. Хоштария, Древние поселения в Даблагоми, თბ., 1941, გვ. 186-189 (ხელნაწერი).

29 გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი.

30 რ. რამიშვილი, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში (ხელნაწერი), თბ., 1959, გვ. 112, ტაბ. 16<sub>3</sub>, 26<sub>2</sub>.

31 Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, თბ., 1934, გვ. 62, ტაბ. X 23б.

32 საქართველოს მუზეუმის ფონდები №2-02/97/277; ხელოვნების მუზეუმის ფონდები, № 281-283.

33 გ. გობეჯიშვილი, ქართული უძველესი ბალთები...

34 Б. А. Куфтин, Материалы к археологии..., т. II, ტაბ. 15<sub>7</sub>.

35 Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, ტაბ. XLII<sub>12</sub>.

ვი<sup>36</sup>. როგორც გ. ნიორაძე ფიქრობდა, ბრინჯაოს ხანაში მზეს სიმბოლოურად გამოსახვენ წრეში მოქცეული ხაზების საშუალებით<sup>37</sup>. ანალოგიური შინაარსის შემკულობა გავრცელებული იყო კავკასიაში, საბერძნეთში და სხვაგანაც. ამ სახის გამოსახულება სკანდინავიის ქვეყნებამდე ვრცელდებოდა. განსხვავებული ხერხებით — წრეებით, წინწყლებით, სხივებით, კონცენტრული წრეებით და სხვათა საშუალებებით გადმოცემული მნათობთა აღმნიშვნელი სამკაული ისე გამოისახებოდა, რომ ადამიანი ადვილად გამოიცნობდა მასში მზეს. მარტივი ფორმებით მისი გადმოცემა ბაბილონური წარმომობისაა და მზის ღვთაება შამაშს უკავშირდება. ძველ ეგვიპტეში მზეს ფრთებით მოსაფლენენ. ამგვარად გამოსახული მნათობი, უფრო გვიან, ხეთასა და სირიაში გავრცელდა<sup>38</sup>.

ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისცემას საქართველოშიაც ღრმა ფესვები აქვს. მაგალითისათვის საკმარისი იქნება გავიხსენოთ გ. გობეჯიშვილის მიერ თეთრი წყაროს რაიონში გათხრილი ენოლითური და ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები, სადაც ერთი ნაგებობის იატაკი ქვებით ისე იყო მოგებული, რომ წრიული მოყვანილობა ჰქონდა. გამთხრელი მას უკავშირებს მნათობთა კულტს<sup>39</sup>. უკანასკნელ ხანაში აღმოჩენილ მასალებს შორის ყურადღებას იქცევს ალგეთის ხეობაში გათხრილი გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის მადნისქალის სამაროვანი. აქ აღმოჩენილი ძეგლები (სამარხ ნაგებობათა ხასიათი, მზის გამომხატველი სამკაულები), საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ აქაური მოსახლეობა თაყვანს ცემდა ასტრალურ ღვთაებებს<sup>40</sup>.

ამდენად, თითქოს საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს, არდასუბნის ბექვლეშ მოციმცილე გამოსახულება მნათობთა კულტს დაუკავშიროთ.

მეტად საინტერესოა მეორე სამარხში აღმოჩენილი ბექვლეცი, რომელიც გამოსახავს დახვეულ ქვეწარმავალს (სურ. IV, 4, V). გველის გამოსახულებას, როგორც ცნობილია მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გვიანბრინჯაოს ხანის ორნამენტულ მოტივებში. ქვეწარმავლების გამოსახულებით შემკულია როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე ჩრდილო კავკასიაშიც ნაპოვნი არაერთი ბრინჯაოს ცული და სამაჯური. მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყობანში აღმოჩენილი ერთი ცული, რომლის შემკულობაში დიდი ადგილი უჭირავს შვიდ გველსა და მათთან მებრძოლ მშვილდოსან ღვთაებას თუ ადამიანს<sup>41</sup>.

გველის მოტივი მომდევნო ხანისათვისაც არ ყოფილა უცხო. გავიხსენოთ თუნდაც სამაჯურები, რომლებიც გველის თავების რელიეფური გამოსახულებებით ბოლოვდება და მრავალი სხვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ეთნოგრაფ ნ. რეხვიაშვილს. იშველიებს რა მეტად მდიდრულ ეთნოგრაფიულ მასალას, მკვლევარი განმარტავს, რომ გველის კულტი ძალზე გავრცელებული

<sup>36</sup> Г. К. Ниорадзе, Могильник „Стекольного завода“, Проблемы истории докапиталистических обществ, № 3, М.-Л., 1934.

<sup>37</sup> გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი ..., გვ. 12.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> გ. გობეჯიშვილი, თეთრი წყაროს 1958 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ხელნაწერი.

<sup>40</sup> ნ. თუშიშვილი, ალგეთის ხეობის 1964 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიში, XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 25-28.

<sup>41</sup> გ. გობეჯიშვილი, გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 139-140.

იყო წარმართულ საქართველოში<sup>42</sup>. ამდენად, ამა თუ იმ საგანზე გველის გამოსახულებას იმგვარივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგორც უფრო გვიან ჯვარს ან სხვა ნატ-ნიშანს. შემდეგშიც მას თვლიდნენ ე. წ. „ფუძის ანგელოზად“ და საკულტო ნივთებს ზშირად ამკობდნენ სრულიად კონკრეტული მიზანდასახულობით — ავი სულების არიდების მიზნით. ვარდა ამისა, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული გადმონაშთები მოწმობენ გველის კულტის საკმაო სიძველესა და სიმკვიდრეს. გველის საპირისპირო სიმბოლიური გავება, ე. ი. როგორც ბოროტების, დაუნდობლობის, მკვეთელობისა და ვერაგობის, შედარებით მოგვიანო მოვლენად გამოიყურება და უკავშირდება ქრისტიანული რელიგიის გავლენას<sup>43</sup>. ზემოთ აღნიშნული თითქმის საკმაო საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ არდასუბნის მეორე სამარხის გველის გამოსახულებიანი ბეჭედი ავგაროზად მივიჩნიოთ.

ბრინჯაოს ზარის (სურ. VII, 2) ორეულები ცნობილია ბოლნისიდან<sup>44</sup>, რაჭიდან<sup>45</sup>, ლეჩხუმიდან<sup>46</sup>, ყაზბეგიდან<sup>47</sup>. სადგურ რიონიდან<sup>48</sup>, ახალგორის განძიდან<sup>49</sup> და სხვ. მათი აღმოჩენა დამოწმებულია ძვ. წ. VI-IV საუკუნეებისათვის დამახასიათებელ კომპლექსებში. არის გამოჩეკილიც, მაგალითად, სამთავროს მ2-ე ქვევრსამარხში აღმოჩენილი 4 ზანზალაკი. მ. მაქსიმოვა ამ სამარხს გემითა და ბრინჯაოს ზურგჩაზნეჭილი სამაჯურებით ძვ. წ. III-I სს. ათარიღებს<sup>50</sup>. მართალია, მოყვანილობით ეს ზანზალაკები ძალიან ემსგავსებიან ჩვენსას, მაგრამ უფრო პატარებია.

მესამე სამარხის ინვენტარში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრინჯაოს ბალთას (სურ. VII, 3), რომელიც მოყვანილობით ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს<sup>51</sup>. მას საქართველოში შესადარებელი მასალა არ მოეპოვება. ანალოგიური ნივთები ნაპოვნია მინგეჩაურის ორმოსამარხებში<sup>52</sup>, რომლებშიც ჰარბადაა ე. წ. სკვითური კულტურისათვის დამახასიათებელი ისრის წვერების რამოდენიმე ვარიანტი და მოხრილი დანები<sup>53</sup>.

42 ნ. რეხვიაშვილი, სალოცაი „მზიური“ (გაუნე), აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, თბ., 1963, გვ. 213-230.

43 ნ. რეხვიაშვილი, დასახ. ნაშრომი.

44 საქართველოს მუზეუმის ფონდები, № 598.

45 გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები..., ტაბ. XVII, XVIII.

46 ტაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები, №№ 23, 142.

47 Tallgren A., Monumenta caucasica, The Kasbec Treasure, Eurasia septentrionalis Antiqua, V, Helsinki, 1930, გვ. 135, სურ. 39; П. С. Уварова, Материалы по археологии Кавказа, т. VIII, გვ. 15, სურ. 135-136; მისივე, Коллекции Кавказского музея, V, ტაბ. II.

48 საქართველოს მუზეუმის ფონდები, №12-02/66/2493.

49 Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

50 М. Максимова, Геммы из некрополя Мухета-Самтавро, ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბ., 1950, გვ. 221-240.

51 შეადარეთ ქ. კისლოვოდსკის ე. წ. „ავეჯეულობის ფაბრიკის“ სამაროვანზე 1959 წ. მოპოვებულ ბრინჯაოს ჩუგლებს. იხ. Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, გვ. 459, ტაბ. XXXVII.

52 Г. И. Ионе, Археологические раскопки в Мингечауре, доклады АН Аз. ССР, т. II 1946, გვ. 402, ტაბ. III<sub>1-4</sub>.

53 იქვე.



უმთავრესად ისრისწვერების ანალიზის საფუძველზე გ. იონე ჩენი ბალ-  
 თის მსგავსი ნივთების შემცველ სამარხებს ძვ. წ. VII-VI სს-ით ათარიღებს, ხო-  
 ლო ამ ნივთთა წარმომავლობას ი. დიაკონოვი სკეპტებს მიაწერს<sup>54</sup>.

არდასუბნის სამარხებში მოპოვებული რკინის მოხრილი დანების პარალე-  
 ლები კავკასიაში კარგადაა ცნობილი; ისინი დამახასიათებელია ამიერკავკასიის  
 სამაროვნებისათვის ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოდან<sup>55</sup>.

ცხენის სამარხში ნაპოვნი ლაგამი ყველაზე ახლოს დგას ალგეთის წინწყა-  
 როსთან აღმოჩენილ ბრინჯაოს ლაგამთან<sup>56</sup>. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მა-  
 სალას და, შესაბამისად, დამზადების ტექნიკას (არდასუბნის ლაგამი რკინისაგა-  
 ნაა ნაქედი, ალგეთის — ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულია), მოყვანილობით ისინი  
 თითქმის სავსებით ერთნაირი არიან. არდასუბნის ლაგამის პარალელად ახალ-  
 გორის განძში<sup>57</sup> და ყანჩათში<sup>58</sup> დამოწმებული ლაგამებიც გამოდგება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში მსგავსი მო-  
 ყვანილობის ლაგამების არსებობა ამიერკავკასიის გარეთ არსად არ არის მოხსე-  
 ნიებული, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ აღნიშნული ფორმები დამა-  
 ხასიათებელია ლოკალური რაიონისათვის.

ი. გაგოშიძეს სავანგებოდ განხილული აქვს ცხენის ავაზმულობის ნაწილე-  
 ბი<sup>59</sup> და მსგავსი ლაგამები, საკუთრივ ლაგამების ნაწილების რიცხვისა და საყბუ-  
 რების ფორმების მიხედვით დაყოფილი აქვს ოთხ ჯგუფად<sup>60</sup>. არდასუბნის ლა-  
 გამს იგი III ჯგუფში ათავსებს<sup>61</sup>. მისი აზრით, მსგავსი ლაგამები ადგილობრივი,  
 ქართული ვარიანტებია, და მათი ჩამოყალიბების დროდ ძვ. წ. V საუკუნის პირ-  
 ველი ნახევარი მიაჩნია<sup>62</sup>.

საინტერესოა, აგრეთვე, ცხენის ავაზმულობის ბრინჯაოს ბალთები (სურ.  
 IX, 1, 2). ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ნივთები აღმოჩენილია ყირიმში, ჩერ-  
 ქეზ-კერმენის ძვ. წ. VI-IV სს-ის ქვისსამარხებში<sup>63</sup>.

როგორც ვხედავთ, არდასუბნის სამარხები ზოგადად ადრეანტიკურ ხანას  
 მიეკუთვნება. სტრატეგრაფიული მონაცემები საშუალებას გვაძლევს მესამე სა-  
 მარხი რამდენადმე უფრო ადრეულად მივიჩნიოთ, ვიდრე პირველი, რადგან  
 უშუალოდ ამ უკანასკნელის ქვეშ იყო მოქცეული. მეორე სამარხი და ცხენის  
 ორმოსამარხი (რომელშიაც აღმოჩენილი ლაგამის ტიპი ძვ. წ. V საუკუნეში ჩნდებ-  
 ა) პირველი სამარხის დონეზე მდებარეობდნენ. გასათვალისწინებელია ისიც,  
 რომ მესამე სამარხის ბალთის მსგავსი ნივთი ძვ. წ. VI საუკუნეზე გვიანდელ  
 კომპლექსში არსად არ არის ნაპოვნი. რაც შეეხება ზედა ფენის სამარხს, მისი  
 თარიღი ძვ. წ. V საუკუნეზე გვიან ველარ ჩამოიწვევს მასში ბოლოებგაზვრეტილი

<sup>54</sup> И. М. Дьяконов, История Мидии, М.-Л., 1956, гв. 254, სურ. 46.

<sup>55</sup> Б. Б. Пиотровский. История и культура Урарту, Ер., 1944, гв. 185.

<sup>56</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, гв. 35, 257, ტაბ. XII,

<sup>57</sup> Я. И. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

<sup>58</sup> ი. გაგოშიძე, უძველესი ქართული საბუკლავი ბეჭდები, ავად. ს. ჯანაშიას სახ. სა-  
 ქართველოს სახელმწიფო მუზეუმის X სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1962,  
 გვ. 10.

<sup>59</sup> ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 54-62.

<sup>60</sup> იქვე, გვ. 57-58.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 58-59.

<sup>63</sup> А. М. Лесков, О хронологии Таврских каменных ящиков горного Крыма,  
 КСИА, вып. 8, Киев, 1959, гв. 161-164, სურ. 3.

ოქროს სასაფეთქლე რგოლების აღმოჩენის გამო. აქედან ნათელი ხდება, რომ ქვედა ფენის სამარხი ძვ. წ. VI საუკუნით უნდა დათარიღდეს, დანარჩენი კი ძვ. წ. V საუკუნით. აღნიშნულ თარიღს ერთგვარად ამაჯობებს რკინის ლაგმისათვის ი. გაგოშიძის მიერ შემუშავებული თარიღი, — ძვ. წ. V საუკუნის I ნახევარი.

არდასუბანში გათხრილი ადრეანტიკური ხანის სამარხების მეცნიერული მნიშვნელობა იზრდება იმდენად, რამდენადაც ამ ხანის ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. აქ აღმოჩენილი მასალები აღმოსავლეთ საქართველოს ამ თემში მცხოვრებთ დიდად დაწინაურებულ ხალხად გვისახავენ. უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან მაინც აქ ეყრება საფუძველი განვითარებულ საქალაქო ცხოვრებას და კლასობრივი სტრუქტურის მქონე საზოგადოება ყალიბდება<sup>64</sup>. თუ შევადარეთ არდასუბნის ძვ. წ. VI-V სს. სამარხეულ მასალას ე. წ. ახალგორის განძისა და ალგეთის წინწყაროს მდიდრული სამარხის ინვენტარს, ერთი მხრივ, და აბელიას შედარებით ღარიბულ სამაროვანს, მეორე მხრივ, უფრო თვალსაჩინო გახდება იმდროინდელ აღმოსავლურ ქართულ საზოგადოებაში კლასობრივი და ქონებრივი დიფერენციაციის დონე. ეს არის ხანა საქართველოში ნივთიერი კულტურის სწრაფი განვითარებისა, — რკინის წარმოებისა და მიწათმოქმედების აყვავების ბაზაზე, ქონებრივი და უფლებრივი თანასწორობის მოსპობისა და სახელმწიფოს წარმოშობისა; საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სავარეო ურთიერთობის ქსელის გავართოებისა<sup>65</sup>. ქვეყნის ასე დაწინაურებული ცხოვრების უფრო მკაფიოდ წარმოდგენის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არდასუბნის სამაროვნის აქ განხილულ მასალას.

<sup>64</sup> ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 252.

<sup>65</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები..., გვ. 110.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

ინვა პალატი

სპარსული რომანული ეპოსის ერთი  
 აღრეული ძეგლის შესახებ

(აიუყის პოემა „გარყა და გოლშაჰი“)

ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში სპარსული ლიტერატურის მდიდარ მემკვიდრეობას კიდევ ერთი შენაძენი შეემატა. თურქმა მეცნიერმა აჰმედ ათეშმა სტამბოლის ერთ-ერთ სიძველეთსაცავში აღმოაჩინა პოემა „გარყა და გოლშაჰის“ მანამდე უცნობი სპარსული ხელნაწერი<sup>1</sup>. ამ აღმოჩენის ისტორია და ხელნაწერის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები ა. ათეშმა გამოაქვეყნა თერანის უნივერსიტეტის მოამბეში<sup>2</sup>. 1964 წელს თერანშივე გამოიცა პოემის სრული ტექსტი ცნობილი მკვლევრის ზაბიჰოლა საფას წინასიტყვაობით, ლექსიკონითა და რედაქციით<sup>3</sup>.

პოემის ტექსტიდან ირკვევა, რომ მისი ავტორია ვინმე აიუყი<sup>4</sup>, რომელსაც თავისი თხზულება სულთან მაჰმუდისათვის მიუძღვნია. ამ პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ხსენებული ხელნაწერის აღმოჩენამდე ცნობილი იყო მხოლოდ ორი ბეითი, დამოწმებული ასადი ტუსელის (XI ს.) ლექსიკონის აბას ეყბალისეულ გამოცემაში<sup>5</sup>. აქედან გამომდინარე, აჰმედ ათეში პოეტის მოღვაწეობის ხანად XI საუკუნეს ვარაუდობს და პოემის აღრესატად მაჰმუდ ლაზენელს (999-1030 წწ.) მიიჩნევს. ირანელმა მეცნიერმა სადეე ქიამ ეჰვი გამოთქვა აიუყისა და მაჰმუდ ლაზენელის თანამედროვეობის თაობაზე<sup>6</sup>. დაეჭვება გამო-

<sup>1</sup> موزه سرای طوبقاپو، کتابخانه خزینه، رقم ۸۲۱

<sup>2</sup> أحمد آتش، یک مثنوی گم شده از دوره غزنویان، ورقه و گلشاه عیوقی و مجله دانشکده ادبیات، سال اول، شماره ۴، ۱۳۳۳

<sup>3</sup> راجعه‌نویا ۱۳۴۳. تهران، صفاء، باهتمام دکتر ذبیح الله صفا، داود منشی زاهد، ورقه و گلشاه عیوقی، مجله راهنمای، ام. გამოცემის შესახებ ის. كتاب، سال یازدهم، شماره ۱۳۴۷

<sup>4</sup> تو عیوقیا گرت هوش است و رای بخدمت بییوند بمدحت گرای (3. 3. ورقه و گلشاه)

زعیوقی و امتان خاص و عام ثنابر محمد علیه السلام (33. 122)

<sup>5</sup> لغت فرس، نشر عباس اقبال، تهران، ۱۳۱۹، 305، 223، 33.

<sup>6</sup> صادق کیا، آیا مثنوی ورقه و گلشاه عیوقی همزمان شاهنامه فردوسی است؟ مجله دانشکده ادبیات، سال دوم، شماره ۱، تهران، ۱۳۳۳



იწვია აჰმედ ათეშის მართლაცდა არცთუ სარწმუნო არგუმენტმა, რომელიც ემყარება პოეტის სახელის მოხსენიებას ასადის ლექსიკონში. ს. ქიამ შენიშნა, რომ ხსენებული ორი ბეითი იმ მასალათაგანია, რომელიც ასადის შრომის გვიანდელ ინტერპოლატორებს ეკუთვნის და მართებულად არ შეუტანია პ. პორტს ლექსიკონის კანონიკურ ტექსტში. აიუყის შესაძლებელ ადრესატად ს. ქია უფრო გვიანდელ საუკუნეებში მოღვაწე რამდენიმე მაჰმუდს ასახელებს და, შესაბამისად, პოეტის მოღვაწეობის ხანაც აქეთ გადმოაქვს.

მაგრამ ამ შენიშვნებს არ გაუბათილებია ა. ათეშის ვარაუდი პოემის დაწერის დროის შესახებ. ტექსტის გამომცემელმა ზ. საფამ ამ მხრივ ყურადღება გამახვილა ორ მომენტზე: ა) პოემის ადრესატი აბულ ყასემ მაჰმუდი ტექსტში ერთგან იხსენიება როგორც სარწმუნოებისათვის მებრძოლი სულთანი (ლაზი)<sup>7</sup>, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მასში ნამდვილად ლაზის სულთანი მაჰმუდ იბნ საბოქთეგინი ივლისსმება და არა რომელიმე სხვა მაჰმუდი<sup>8</sup>. ბ) ნაწარმოების ენობრივ-სტილისტური მხარე, გრამატიკული და ლექსიკური ფორმების არქაულობა. მკვლევრის აზრით, საფუძველს არ გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ მის სიძველეში<sup>9</sup>. ამ მხრივ საყურადღებოა, აგრეთვე, ა. ათეშის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ სტილისტური თვალსაზრისით პოემა ლაზნელთა პერიოდის ლიტერატურის ნიმუშს წარმოადგენს<sup>10</sup>. დღევანდელ ლიტერატურათმცოდნეობაში აიუყის „ვარაყა ვო გოლშაჰ“ XI საუკუნის I ნახევრის პოეტური მემკვიდრეობის რიგში განიხილება<sup>11</sup>.

7 بحان مدح سلطان محمود گوی      بدل مهر سلطان غازی بجوی  
 شہنشاہ عالم امیر ملل (۳۳. 3)      ابو القاسم آن شاه‌دین و دول

8 როგორც ცნობილია, მაჰმუდ ლაზნელმა თავისი არმია ლაზიებით (სარწმუნოებისათვის მებრძოლი მოხალისეებით) შეავსო. ინდოეთზე მისი ლაშქრობანიც ლაზავათის (წმინდა ომის) დროის ქვეშ მიმდინარეობდა. იხ. А. Ю. Якубовский, Махмуд Газневи. сб. „Фердовси“, Ленинград, 1934.

9 ۳۳. 5      ور قو و گلساه، مقده،

10 Ahmed Ates, Un vieux poème romanesque Persan: récit de Warqah et Gulshah: Arts Orientalist, 1961, IV, ۳۳. 146.

11 I. Rypka, Iranische Literaturgeschichte, Leipzig, 1959, ۳۳. 175—176. И. С. Бранинский, Из истории таджикской народной поэзии, М., 1956, ۳۳. 309—310; Süheyl Ünver, An illustrated work belonging to the time of Ibn Sina, Türk tarih kurumu belleteni, Ankara, 1961, с. XXV, S. 97;

ذبح الله صفا، تاریخ ادبیات در ایران، جلد اول، تهران، ۱۳۳۸، ۳۳. 601: گنج سخن،  
 შესაძლებელი გაუგებრობის აცილების მიზნით საჭიროდ მივიჩნია მივეთხოთ ზოგიერთ უზუსტობაზე, რომლებიც დაშვებულია. ა. საფაროვის სადისერტაციო ნაშრომის ავტორიტეტობა (А. Г. Сафаров, Месихи и его поэма „Варга и Гюльша“, Баку, 1966). ნაშრომის ავტორი იზიარებს ს. ქიას ვარაუდს იმის შესახებ, რომ ა. ათეშის მიერ აღმოჩენილი აიუყის პოემა XI საუკუნეზე გვიან უნდა იყოს შეთხზული, და დასკვნის: „...она написана не в XI в., а позднее“ (۳۳. 10). შემდეგ შენიშნავს: „Следует также учесть и то обстоятельство, что в X—XI вв. легенда „Варга и Гюльша“ получила уже широкое распространение на Востоке. Об этом свидетельствует один из дошедших до нас вариантов поэмы о „Варге и Гюльше“ на персидском языке, датируемый 1030 годом (ბაზი ჩენია, ი. კ.). Произведение написано в виде посвящения известному правителю Газны Султан Махмуду Сабуктегину... Экземпляр этой ценной рукописи, автор которой нам неизвестен, обнаружен турецким ученым, про-

ხელნაწერი პომეისა, რომელიც, გამომცემლის აზრით, საკმაოდ ხელყოფილი გადამწერლებისაგან, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIII საუკუნითაა დათარიღებული. იგი ორმხრივ იქცევეს სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას: ა) სიტყვათა უმრავლესობა ტექსტში გახმოვანებულია და მათი არქაული ორთოგრაფიისა და ორთოეპიის საშუალებას იძლევა. თავისთავად ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტს ლინგვისტური თვალსაზრისით. ბ) ხელნაწერში ჩართულია 71 ფერადი ილუსტრაცია, შესრულებული მხატვარ აბდოლ მო'მენ მოჰამადის მიერ<sup>12</sup>. სპეციალისტები მათში ხედავენ მხატვრობის სელკუყური სტილისა და ჩინური ფერწერის სინთეზს. ნიმუშები ამ სტილისა, რომლითაც სრულდებოდა სურათები მონღოლთა ეპოქამდე, ძალზე მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. ამიტომაც ხსენებული ხელნაწერის ილუსტრაციებმა დიდი გამოხმაურება პოვა აღმოსავლური ხელოვნებით დაინტერესებულ წრეებში<sup>13</sup>.

ამ ხელნაწერით წარმოდგენილი ნაწარმოები „ვარყა ვო გოლშაჰ“ მოთაყარების ზომით გაწყობილი სამიჯნურო პოემაა, რომლის სიუჟეტი, ავტორისავე მოწმობით, გადმოღებულია არაბული წიგნებიდან და თქმულებებიდან<sup>14</sup>. მოკლედ მოვიტანო პომეის შინაარსი:

წინასწარმეტყველის მოღვაწეობის ხანაში არაბთა ერთ ტომს ორი ძმა განაგებდა — ჰელალი და ჰომამი. ერთს ქალიშვილი ჰყავდა, სახელად — გოლშაჰი, მეორეს კი — ვაჟი ვარყა. ბავშვები ერთად იზრდებოდნენ და ათი წლისანი ერთ სკოლაში მიაბარეს სასწავლებლად. ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდა და თექვსმეტი წლის მშვენიერი გოლშაჰი ვარყაზე დანიშნეს. ქორწილის დღეს მათ ტომს თავს დაესხა მეზობელი ტომის განმგებელი რაბი და გოლშაჰი გაიტაცა. ვარყა უკან დაედევნა თავისი ლაშქრით, დიდი ბრძოლა გადაიხადა და სატრფო დაიბრუნა, მაგრამ ამ ბრძოლას მამამისი შეეწირა. გოლშაჰის დედამ აღარ ისურვა ობოლი და უქონელი ვარყას სიძეობა. დოვლათის შესაძენად ვარყა იემენის ქვეყანაში მიემგზავრება ერთ თავის ნათესავთან, ათასგვარი ფათურაჰის გადალახვის შემდეგ მიაღწევს იგი საწადელს და გამდიდრებული უკან ბრუნდება.

фессором Сухейлем Унвером. Им же сделано первое сообщение о ней<sup>14</sup> (გვ. 11). ამრიგად, ავტორი საკითხს ისე წარმოადგენს, თითქმის სპარსული პომეის ორ, სხვადასხვა დროს დაწერილ ვერსიასთან გვექონდეს საქმე. სინამდვილეში კი ლაბარაკია ერთსა და იმავე ხელნაწერზე (სტამბოლის სახაზინო ბიბლიოთ., № 841), რომელშიც დაცული პომეის ავტორის ვინაობა ეჭვს არ იწვევს, დაწერის თარიღი კი (1030) არსადაა ნახსენები; ხელნაწერის აღმოჩენა და პირველი ინფორმაცია მის შესახებ ა. ათეშს ეკუთვნის. ეს უზუსტობანი მომდინარეობს, როგორც ჩანს, ს. საფარაჰის მიერ დამოწმებული ს. უნვერის სტატიის (An illustrated...) მონაცემების არასწორი ათვისებიდან: სტატიაში, რომელიც ხელნაწერის ილუსტრაციების აღწერას ეძღვნება უმოთაგრესად, ს. უნვერი არსად იხსენიებს პომეის ავტორს ათეშს; 1030 წ. კი სულთან მაჰმუდის მოღვაწეობის დასასრულის აღსანიშნავადაა დასახელებული სტატიის ავტორის მიერ და არა პომეის დაწერის თარიღად.

<sup>12</sup> عبد المؤمن محمد الخوى النقاش, როგორც იკითხება მხატვრის ხელთაში.

<sup>13</sup> Ahmet Ates, Faruca eski bir Varaka ve Gulshah mesnevisi, Turk Dili ve Edebiyatı Dergisi, Istanbul, 1954, № 5; Turque, Miniatures anciennes, publie par l'Unesco, 1961; Arts Orientalist, 1961, № 1; Süheyl Unver, დასახ. სტატია. რამდენიმე რეპროდუქცია ერთის პომეის ბეჭდურ გამოცემას, საიდანაც მოგვაქვს ორი ნიმუში.

<sup>14</sup> გვ. 5

ز اخبارتازی و کتب عرب بنظم اورم سرگنشتی عجب  
 ز اخبارتازی و کتب عرب (80. 112) چنین بود این قصه عجب

მაგრამ მის არყოფნაში შამის ხელმწიფე ეწვევა მათ ტომს, გოლშაპის სილამაზით მოიხიბლება და დიდი გამოსასყიდის ფასად თან წაიყვანს. გამგზავრების წინ გოლშაპმა თავისი ბეჭედი დაუტოვა ერთ მონას ვარყასთვის გადასაცემად. საქმროსთან ხალვათად დარჩენილმა ქალმა სასოწარკვეთილებისაგან თავის მოკვლა სცადა, შამის ხელმწიფემ გადაარჩინა და ამ თავგანწირვის მიზეზი ჰკითხა. ქალიშვილი გამოუტყდა ვარყას სიყვარულში. მეფე მოიხიბლა გოლშაპის ერთგულებით და ცოლობა აღარ უთხოვია, მისი სილამაზის ჰერეტი თტებოდა მხოლოდ. ქალიშვილი რომ გაისტუმრა, გოლშაპის მამამ ერთი ცხვარი დაკლა, ხორცი მეზობლებში დაანაწილა, ძვლები კი მიწაში ჩაფლა და ზედ საფლავი ამოაშენა. უკან დაბრუნებულ ვარყას მთელი ტომი ჰირსუფალოვით დამგლოვიარებული შეხვდა. ვარყა მთელ დღეებს სატრფოს „საფლავზე“ ატარებდა, ვიდრე ბოლოს ბავშვებისგან არ შეიტყო სიმაართლე. იგი მაშინვე შამის ქვეყანაში გაემგზავრა და იმ ბეჭდის მეშვეობით, გოლშაპმა რომ დაუტოვა, თავისი მოსვლა აუწყა სატრფოს. გოლშაპმა ხელმწიფეს შეატყობინა ვარყას მოსვლის ამბავი. შამის ხელმწიფემ მიიღო სტუმარი, გოლშაპთან მარტო დატოვა და თერთონ შორიდან ადევნებდა თვალყურს. ახალგაზრდების უმწიკვლო სიყვარული რომ იხილა, ვარყას მეტი პატივი და სტუმართმოყვარეობა მიაგო. ამაზე ვარყამ დაირცხვინა და შემცბარი უკან გამობრუნდა, მაგრამ სიყვარულის სენს ვერ გაუძლო და გზაშივე გარდაიცვალა. ეს ამბავი რომ გოლშაპმა შეიტყო, ვარყას საფლავზე წავიდა და ხანჯალი ჩაიცა გულში. ისიც ვარყას გვერდით დაკრძალეს. მათი სიყვარულის ამბავი არაკად იქცა, ხალხმა წმინდანებად შერაცხა და მათ საფლავებზე მოსალოცად საიარული დაიწყო. ეს ამბავი რომ შეიტყო, წინასწარმეტყველი თავის მოწაფეებთან ერთად შამის ქვეყანაში წავიდა, იქაური ებრაელები მაჰმადის რჯულზე მოაქცია, შამის ხელმწიფემ თავისი ცხოვრების დარჩენილი წლები უწილადა დახოცილ ქალ-ვაყს და ისინიც წინასწარმეტყველის ლოცვის შემდეგ საფლავებიდან წამოიმართენ მკვდრეთით აღმდგარნი. ხელმწიფემ გოლშაპი და თავისი ტახტი ვარყას დაულოცა, სალაროები დასხნა და დერვიშები დაასაჩუქრა. ახალგაზრდები დაქორწინდნენ და ბედნიერად გაატარეს თავიანთი ახალი ცხოვრება.

აიუყის პოემის ზემომოტიანილი სიუჟეტი ზედმიწევნით ემთხვევა არაბულ გადმოცემას ისლამის I საუკუნეში მცხოვრებ პოეტ ურვაჰისა და მისი სატრფო აფრას ტრაგიკული სიყვარულის შესახებ, იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ არაბულ ვერსიაში მიჯნურების გაცოცხლების ეპიზოდი არ არის — ისინი მსხვერპლად ეწირებიან თავიანთ წმინდა სიყვარულს. ლეგენდად ქცეული ეს გადმოცემა საკმაოდ გავრცელებული ჩანს არაბულ სამყაროში და დაცულია X საუკუნემდე შეთხზულ ბევრ წყაროში<sup>15</sup>. წყაროებმა შემოგვინახეს, აგრეთვე, პოეტ ურვაჰის ლექსები, რომელთაც იგი აფრას უძღვნიდა.

ეს არაბული სიუჟეტი „ვარყა ვო გოლშაპის“ სახელწოდებითაა გავრცელებული მუსლიმანურ აღმოსავლეთში. განსაკუთრებით პოპულარული იგი თურქულენოვან ხალხებში ჩანს. შუა საუკუნეების თურქულ, აზერბაიჯანულ, უზბე-

<sup>15</sup> მაგ.: جاپ ابن النديم، كتاب الفهرست، چاپ مصر، ص ۴۲۵؛ كتاب الاغانى، چاپ ۱۵ ماگ. بیروت، جلد ۲، ص ۳۴۴—۳۷۹؛ فوات الوفيات الكتبی، چاپ مصر، جلد ۲، ص ۷—۷۴ (ورقه و گشاه، مقدمه، ۹—۱۰ ج. ۹-10) سب. دا



კურ, ყაზახურ, აგრეთვე, ქურთულ ლიტერატურაში ცნობილია მისი რამდენიმე ვერსია — როგორც ლექსითი, ასევე პროზაული დამუშავებანი. აიუყის პოემის აღმოჩენამდე მეცნიერები აპრიორულად გამოთქვამდნენ ვარაუდს ამ ვერსიათა სპარსული წყაროს არსებობის შესახებ. ხსენებულმა აღმოჩენამ გაამართლა ეს ვარაუდი და ცხადყო სიუჟეტის ქარვაში ბევრი იმ ეპიზოდის სპარსული წარმოშობა, რომელთა ახსნასაც წინათ თურქულ ნიადაგზე ცდილობდნენ<sup>16</sup>.

არაბული ლეგენდა მუსლიმანური ესპანეთის გზით ევროპულ ლიტერატურაშიც გავრცელდა და აისახა შუა საუკუნეების ფრანგულ რომანში „ფლორი და ბლანშეფორი“ (Floire et Blanchefor)<sup>17</sup>, რომელიც ე. წ. „იდილიური რომანის“ პირველ და კლასიკურ ნიმუშად ითვლება.

ზემოთ ჩამოთვლილ ვარიანტთაგან აიუყის პოემა არაბული ლეგენდის ლიტერატურული დამუშავების პირველი ცდაა თავისი სამშობლოს ფარგლებს გარეთ. აქი თვითონაც შენიშნავს პოეტი: ჩემამდე ეს ამბავი ჯერ არავის უთქვამს და თქმულბა დარის (ახალ სპარსულ) ენაზე მინდა ავამეტყველოო<sup>18</sup>. აიუყისვე უნდა ეკუთვნოდეს ლეგენდის პერსონაჟთა სახელების გადაკეთება იმ სახით, როგორითაც დაკანონდნენ ისინი მხატვრულ ლიტერატურაში, და მან დასაბამი მისცა ერთი რომანული სიუჟეტის ტრადიციას მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

„ვარყა ვო გოლშაპის“ ადრინდელი ვერსიის ანარეკლი ჩანს კლასიკური ხანის ზოგ სპარსულ ლიტერატურულ წყაროში.

აიუყის პოემის ნაწყვეტები ციტირებულია XII საუკუნის სპარსულ ხალხურ საფალავნო რომანში „სამაქ აიარ“<sup>19</sup>. სპარსელ ავტორებთან აქა-იქ იხსენიება ვარყა და გოლშაპი, როგორც მიჯნურთა წყვილის სახელები (სუზანის, მოულანა რუმის ბეითებში), მათ იცნობენ შოურისა და ბორჰანის განმარტებითი ლექსიკონები. ვარყასა და გოლშაპის ამბავი, სხვა ცნობილ მიჯნურ წყვილებთან ერთად შესულია XIV საუკუნის სპარსელი პოეტის ამადის თხზულებაში „მოაზბათ-ნამე“<sup>20</sup>, მეტად პოპულარული ჩანს ავღანურ ფოლკლორში<sup>21</sup>. თურქულენოვან ლიტერატურაში მისი გავრცელებულობა ზემოთ იქნა აღნიშნული. გვიანდელ სპარსულ ვერსიათაგან ჯერჯერობით მიკვლეულია ჰეზეჯის ზომით დაწერილი პოემა, რომლის ორი ხელნაწერი თეირანის უნივერსიტეტის ცენტრალურ

16 ა. ათეში ვარაუდობდა, მაგალითად, რომ მიჯნურთა ვაცოცხლებს ეპიზოდი, რომელიც არ არის არაბულ ლეგენდაში, თურქ ავტორებთან ეროვნული ფოლკლორის მასალებიდან მოხდაო. იხ. Varaka ve Gulsah mesnevisin kaynaklari, Türk Dili ve Edebiyatı Dergisi, c-II, S. 1—2, Istanbul, 1948.

17 G. Hu et, Sur l'origine de la Floire et Blanchefor, Romania, v. 27, 1898; R. Basset, Les sources arabes de la Floire et Blanchefore, Revue des traditions populaires, V. 22, 1907.

18 (33. 4) بگفتیم بشیرین سخن این سمر که کسی نیست گفته این بیشتن  
 من از بهر آن آفسر سروری سخن راند خواهم بلفظ دری (33. 5)

19 იხ. 1339, 991 გვ. დიხ ალله صفا، تاریخ ادبیات در ایران، جلد دوم، تان، 1339.

20 عماد فقیه کرمانی، محبت نامه صاحب‌دلان  
 ANUz ССР, II, 1058—1060.

21 Фолклоре Афганистон, Душанбе, 1968. ქ. ჭაბუღში მივლინებით ყოფნისას შესაძლებლობა გვქონდა დავრწმუნებულიყავით ავღანელთა შორის ამ სიუჟეტის დიდ პოპულარობაში. 10. „მაცნე“, 1970, № 3

ბიბლიოთეკაშია დაცული<sup>22</sup>. ამავე ვერსიას უნდა იმეორებდეს უზბეკეთის სსრ მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში დაცული ორი ხელნაწერი<sup>23</sup> და ორიც ბეჭდური გამოცემა — ფიშაგარისა და თეირანისა<sup>24</sup>. შინაარსობრივად ეს ვერსია საკმაოდ ახლოს დგას აიუყის პოემასთან. იმ განსხვავებით, რომ გამრავლებულია პერსონაჟთა და კოლიზიათა რიცხვი, სიუჟეტის განვითარებაში მეტი ადგილი ეთმობა საბრძოლო ეპიზოდებსა და სათავგადასავლო ავანტურას, რაც ტიპური მოვლენაა, საერთოდ, სპარსელ მიმბაძველებთან მოგვიანო ხანის რომანულ ეპოსში.

ფორმის თვალსაზრისით აიუყის თხზულება სპარსული სამიჯნურო პოემის ყველა ტიპური ნიშან-თვისების მატარებელია: ღვთისა და წინასწარმეტყველის შესხმა, პოემის ადრესატის — სულთან მაჰმუდის ხობტა, ამბის დასაწყისი, სადაც ჩვეულებისამებრ, გადმოცემულია აღებული თემის წინასიტორია. თვით ამბავი ცალკეულ თავებადაა დაყოფილი და დასათაურებული. ხშირია ლირიული წილსვლები, გმირთა პორტრეტები, გათენება-დაღამებისა და ბრძოლების საკმაოდ ოსტატურად აღწერილი სურათები. აქვეა რომანული ეპოსისათვის ესოდენ ნიშანდობლივი შეყვარებულთა განცდების ვრცელი პასაჟები, მათი მოთქმა და გონების მიხდა განშორების გამო, მიჯნურთა მონოლოგები და დიალოგები, სწუთროს უკუღმარობისა და სოფლის სამღურავის მოტივი<sup>25</sup>.

ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი ზომიერი ფერადოვნებითა და სისადავით გამოირჩევა. აიუყის პოეტური სახეები მეტად ნათელი და ბუნებრივია, თავისუფალია მოგვიანო ხანის ეპიკის ხელოვნური და ზოგჯერ თვითმიზნური სირთულისაგან. ეს სახეები და, საერთოდ, ნაწარმოების პოეტური ენა ეროვნული ფოლკლორის და წინამორბედი ლიტერატურის ტრადიციებით ჩანს გამოკვებით<sup>26</sup>. პოემაში ჩართული საბრძოლო ეპიზოდები, როგორც მოსალოდნელი იყო, საგმირო ეპოსის გავლენის კვალს ატარებს. ენობრივი თვალსაზრისით საყუ-

<sup>22</sup> فهرست کتابخانه مرکزی دانشگاه تهران، ج ۱۲، ش ۳۸۸، ج ۱۴، ش ۴۷۷  
<sup>23</sup> 226/III და p. 6825.

<sup>24</sup> قصه ورقه و گلشاه، شهر پيشاور؛ داستان شیرین عبارت ورقه و گلشاه، شرکت نسبی کانون کتاب، تهران

<sup>25</sup> ამ უკანასკნელს ერთგან დამობილი აქვს საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი, სადაც, თითქოს, შინიშნებაა პოეტის ბიოგრაფიულ ფაქტზე. აიუყი ჩივის: ამ ქვეყანაზე სიყვარული და ერთგულება წარმავალია. თავად მე ამ ამბავზე (იგულისხმება მიჯნურთა დახოცვა სიყვარულის გამო) უფრო ნაღვლიანი თავგადასავალი გარდამხდა. თუ ცოცხალი დავრჩი, თავიდან ბოლომდე აღწერ ჩემს ამბავს, ვიტყვი როგორ მიმუხთლა ცბიერმა ხალხმა და ქვეყანას განვავეფრებდმერთი მიუზღავს სამაგიეროს იმ არაკაცებს განკითხვის დღესო (გვ. 116).

<sup>26</sup> მაგ.: بسا مهر پیوسته و بسته دل که او کردی کامدل زیر گل  
 بسا او میدهارا که درد شکست بسی بندها کو گشادوبست (83. 116)  
 შდრ. რუღაქი:

کهن کند بزمانی همان کجا نبود / ونو کند بزمانی همان که خلقان بود  
 بسا شکسته بیابان که باغ خرم بود / وباغ خرم گشت آن کجا بیابان بود

چو شب ماهه قیر گون خواستی (83. 9)

შდრ. ფირდოუსი: شبی چون شبه روی شسته بقیر

რადღებოა სიტყვებისა და გამოთქმების არქაული ფორმები, რომლებიც, ტექსტის გამომცემლის შენიშვნით, აქა-იქ მაინც გადარჩენიან გადამწერთა მოდერნისტულ მისწრაფებებს.

ყურადღებას იქცევს აიუყის ნაწარმოების სალექსო ფორმის ერთი თავისებურება. ამ მესნევეურ თხზულებაში<sup>27</sup> ალაგ-ალაგ ჩართულია ყაზალის პრინციპით გართომული ლირიკული ლექსები ისე, რომ პოემის სალექსო ზომა — მოთაყარები უცვლელი რჩება<sup>28</sup>. ამ ლექსებს შესაფერის სიტუაციებში წარმოთქვამენ ნაწარმოების პერსონაჟები და ძირითადი ტექსტიდან სავანგებო თავებადაა გამოყოფილი<sup>29</sup>. პოემაში სულ თერთმეტი ასეთი ლექსია ჩართული და სასიამოვნო ელფერს ანიჭებენ ნაწარმოების მელოდიკას<sup>30</sup>.

ზ. საფას მიაჩნია, რომ მესნევეში ყაზალების ჩართვის ასეთი ხერხი სპარსული ლიტერატურისათვის უჩვეულო სიახლე იყო და მის წარმოშობას არაბულ ლეგენდაში დაცული პოეტ ურვაპის სატრფიალო ლექსებით ხსნის: ამ ლექსების შესაბამის ადგილებზე სპარსელმა პოეტმა მესნევეში ყაზალები შეიტანაო — დასკვნის მკვლევარი. შევნიშნავთ, რომ ამ ყაზალებს მართო ვარყა (ურვაპის ადექვატური პერსონაჟი პოემაში) არ წარმოთქვამს, და არც სატრფიალო ხასიათისაა ისინი ყოველთვის<sup>31</sup>. ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ი. ბრავინსკის ერთი შენიშვნა იმის შესახებ, რომ მესნევეში ყაზალების ჩართვა სპარსულ-ტაჯიკური ეპიკური ზეპირსიტყვიერების ტრადიციას<sup>32</sup>. ამ ტრადიციის გათვალისწინება უფრო მართებულ ახსნას აძლევს აიუყის პოემის აღნიშნულ თავისებურებას, რომელიც ლიტერატურულ ძეგლებში, მართლაც, არც თუ ისე ხშირი მოვლენაა. აქ გვახსენდება სალმან სავეჯის (XIV ს.) პოემა „ჯამშიდ-ო-ხორშიდ“ და „ბაჰრამ-ო-გოლანდამის“ ერთი ვერსია<sup>33</sup>, სადაც ფიქსირებულია ანალოგიური შემთხვევა, იმ სხვაობით, რომ ს. სავეჯის პოემაში ჩართული ყაზალები მეტრითაც განსხვავდება ძირითადი ტექსტისგან. ყაზალები გვხვდება, აგრეთვე, თურქი პოეტის ხორეზმის (XIV ს.) ორენოვან (თურქულ-სპარსულ) მესნევეურ თხზულებაში „მუჰაბათ-ნამე“<sup>34</sup>. უკანასკნელ ხანებამდე ეს პოეტური ხერხი ს. სავეჯის ნოვატორობად იყო მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურა-

<sup>27</sup> სქემა: a — a, b — b, c — c...

<sup>28</sup> სქემა: a — a, b — a, c — a...

<sup>29</sup> მაგ.: ლექსის წარმოთქმა ვარყასაგან გოლშაჰთან განშორების გამო; ლექსის წარმოთქმა რაბიზთან ადნანის მიერ; ლექსის წარმოთქმა გოლშაჰის მიერ ვარყასთან განშორების გამო...

<sup>30</sup> ნიმუში: شعر گفتن گشاه در هجر ورقه

دل و دیده و جان و جانان من	ایا نرحم و راحت جان من
کجا رفتی ای درد و درمان من	تو درمان جانی و درد دلی
براین خسته دو چشم گریان من	گسستندم از تو نکردند رحم
ز غم گوژ شد سرو بستان من	ز درد دلم گشت رخساره زرد
بدادند بی امر و فرمان من	ز بهر درم بغریبی مرا
که خوردند زهار بر جان من (83. 75)	تو بر جان خودیر، مخور ز زهار

<sup>31</sup> მაგ., ლექსის წარმოთქმა ვარყასაგან მამის გარდაცვალების გამო.

<sup>32</sup> И. С. Брагинский, დასახ. ნაშრ., გვ. 310.

<sup>33</sup> სპ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, p 130; ტაჯიკ. სსრ მეცნ. აკად. აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდი, № 213. ამ ვერსიის შესახებ იხ. ა. გვანაბრიანი, ბარამგულან-დამიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 121, 1967.

<sup>34</sup> Хорезми, Мухаббат-наме, Москва, 1961.



ში<sup>35</sup>. აიუყის პოემამ გამოავლინა მისი გამოყენების გაცილებით ადრინდელი ისტორია. აიუყიდან მოკიდებული, ყაზალების ჩართვა, როგორც ჩანს, ტრადიციად გაჰყვა „ვარყა-ვო-ვოლშაპის“ სიუჟეტზე დაწერილ სპარსულ ვერსიებს. ჰეზეჯის ზომით შესრულებული გვიანდელი პოემის ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემაში ფიქსირებულია ყაზალის გამოყოფა მესწვევის ტექსტიდან<sup>36</sup>.

ერთ გარემოებაზე გვიანდა შევაჩეროთ ყურადღება.

აიუყის პოემის ძირითად ტექსტში ჩართულ ამ ლირიკულ ნაწყვეტებს, რომლებიც ჩვენ ყაზალის სახელით მოვიხსენიეთ, თვითონ ავტორი ლექსს უწოდებს, და არა ყაზალს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაწყვეტები ტიპური ნიმუშია იმ სალექსო ფორმისა, რომელიც სპარსულ პოეტიკაში ყაზალის სახელითაა ცნობილი: ვართმვის პრინციპი, მონორითმი, ბეითების აზრობრივი დამოუკიდებლობა, ინტიმურ-ლირიკული თემა. მათლასა (პირველი ბეითი) და მყათაში (უკანასკნელი ბეითი), მიმართვის ობიექტის იდენტურობა, აზრის სიცხადე და სტილის სიმსუბუქე, ზოგჯერ — რითმისა და რედუფის თანაჟღერადობაც. მოცულობის მხრივ ლექსები დიდი არ არის — უმეტესად ხუთს, ზოგჯერ ოთხ, ექვს და შვიდ ბეითს შეიცავს. ამდენად, აღნიშნული ყაზალები მეტად საგულისხმო მასალას წარმოადგენს, როგორც ერთ-ერთი ადრეული ნიმუშები იმ ქანრისა, რომელიც სპარსულ პოეზიაში შედარებით გვიან ჩამოყალიბდა და რომლის გენეზისის, ისტორიული ვანვითარებისა და ტერმინის ევოლუციის თაობაზე ირანისტიკაში დღემდე არ არის მიღწეული აზრთა ერთიანობა<sup>37</sup>. ამ საკითხების კვლევისას, როგორც ჩანს, მარტო ლირიკული დივანების მემკვიდრეობა კი არა, ეპიკურ თხზულებებში დაცული მასალაც უნდა იქნეს გათვალისწინებული, განსაკუთრებით კი ყაზალის განვითარების იმ ადრეული პერიოდის მასალა, რომელსაც აიუყის თხზულება განეკუთვნება<sup>38</sup>.

ჯერ კიდევ ლიტერატურის ძველი მემკვიდრეობისათვის იყო ცნობილი, რომ სიტყვა „ყაზალის“ ლექსიკური და ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს. შამსი ყაისის (XII ს.) თხზულებაში დაცული

<sup>35</sup> رشید یاسمی، تتبع انتقاد احوال و آثار سلمان ساوجی، تهران

<sup>36</sup> „ვარყა ვო-ვოლშაპის“ ერთი თურქული ვერსიის (ავტორი მესიპი, XVII ს.) ტექსტში ყასიდებია ჩართული.

<sup>37</sup> شامی نعمای، شعر العجم، ج ۵، تهران ۱۹۵۹؛ پرویز، آئل خانسری، وزن

شعر فارسی، تهران ۱۹۵۹

Е. Э. Бертельс, Персидская поэзия в Бухаре, X в., М.-Л., 1935, гл. 29—32. А. М. Мирзоев, Рудаки и развитие газели в X—XV вв., в кн.: Рудаки, жизнь и творчество, М., 1968; И. С. Брагинский, О возникновении газели в таджикской и персидской литературе, Советское востоковедение, 2, 1958; З. Н. Ворожейкина, Газели Камала Исмаила Исфাহани (к проблеме генезиса жанра), Иранская филология (Семинар иранистов Ленинграда), М., 1969 და სხვ.

<sup>38</sup> შტრ. ა. მიზოუვის შენიშვნა: „XI в. (особенно первая его половина), за исключением дивана газелей, приписываемых Баба Кухи (ум. в. 1050 г.), не дает фактов дальнейшего развития газели... Лирические стихотворения этого времени как по форме, так и по содержанию почти ничем не отличаются от таких же стихотворений X в. (დასახ. ნაშრ., გვ. 267). ამ ლექსებში კი, როგორც წინამოხაზი მსჯელობა ადასტურებს, ავტორი გულისხმობს სატრფიალო თემაზე შეთხზულ ყოველგვარ ლირიკულ ლექსს მათი სალექსო ფორმის განურჩევლად (იხ. გვ. 256). აიუყის ხსენებული ყაზალების არსებობის ფაქტს ერთგვარი კორექტივი შეაქვს ამ განმარტებაში, ვინაიდან ისინი, როგორც ითქვა, ფორმით დასრულებულ ყაზალებს წარმოადგენენ.“

უძველესი განმარტება ამ სიტყვისა, რომელიც სპარსული პოეტიკის ლექსიკაში ჯერ კიდევ რუდაქის (X ს.) დროიდან იხმარება, მოწმობს, რომ მასთან, უპირველესად ყოვლისა, ლექსის ლირიკული შინაარსი ასოცირდება<sup>39</sup> და ამიტომაც „პოეტთა უმრავლესობა ყაზალს უწოდებს სატრფოს სილამაზის აღწერას, სიყვარულისა და სამიჯნურო განცდების გამოხატვას“<sup>40</sup>. ამით აიხსნება, რომ ძველ ლიტერატურის ისტორიებში რუდაქის ბევრი ლექსი ყაზალის სახელით იწოდება, იმის მიუხედავად, განეკუთვნება თუ არა იგი ფორმის თვალსაზრისით ამ პოეტურ ჟანრს. ეს, დღევანდელი თვალსაზრისით, ტერმინოლოგიური უზუსტობა, დიდხანს გაგრძელდა და XI-XIII სს. ეპიკურ თხზულებებშიც აირეკლა. მაგალითად, ფაზრედინ გორგანი თავისი „ვის-ო-რამინის“ დასასრულს პოემის ადრესატის მიმართვაში ამბობს: „შენი ბრძანებით ვთქვი [ეს] ამბავი, სიკეთით ისე [შემკული], ვით აყვავებული წალკოტი, მასში ხილივით [გაეჟურიე] სიბრძნისთვის არაკები და გაზაფხულის რეჰანივით [სურნელოვანი] მშვენიერი ყაზალები“<sup>41</sup>. ნიზამი განჯელისა და მისი მიმბაძველის — ხოსრო დეჰლევის „ხოსროვ-შირინში“ საგანგებო თავებდაა გამოყოფილი: „ყაზალის წარმოთქმა ნაქისას მიერ შირინის სახელით“, „ყაზალის წარმოთქმა ბარბედის მიერ ხოსროვის სახელით“<sup>42</sup>, თუმცა გორგანის, ნიზამისა და დეჰლევის პოემებში არსად გვხვდება გადახვევა მესნიევის ფორმიდან.

აიუყის პოემა კი პირუქუ და მეტად საინტერესო ფაქტს ადასტურებს — აშკარად ყაზალის ფორმის ლექსები არ იწოდება თავისი სახელით. ესეც ყაზალის, როგორც სალექსო ფორმის და მისი აღმნიშვნელი ტერმინის ჯერ კიდევ განუმტკიცებელ პოზიციებზე მეტყველებს<sup>43</sup>, ოღონდ სხვა კუთხით, ვიდრე აქამდე იყო შენიშნული. ტერმინის ევოლუცია, ჩანს, გაგრძელდა მანამ, ვიდრე გრძელდებოდა ამ ჟანრის ფორმირებისა და დადგინების პროცესი. ასეთი აღრევა ნაკლებადაა მოსალოდნელი XIV საუკუნის შემდეგდროინდელ პოეზიაში, რადგან ამ დროისთვის — ჟანრის განვითარების ზეობის ხანაში — სიტყვა „ყაზალის“ ლექსიკური და ტერმინოლოგიური მნიშვნელობები ერთ ცნებაში გაერთიანდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის, რომ „გარაყა ვო გოლშაჰის“ გვიანდელ ვერსიაში ყაზალის ფორმის ლექსები უკვე თავისი ნამდვილი სახელით (غرل) იწოდება.

დაბოლოს — მესნევერ თხზულებაში დამოწმებული ეს ადრინდელი ყაზალები თავიანთი ხასიათით, დანიშნულებითა და სტილისტური თავისებურებით, ვფიქრობთ, მხარს უნდა უმაჯრებდეს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არ შეიქ-

<sup>39</sup> شمس الدين بن محمد بن قيس رازی، المعجم في معاني الأفعال العجم

გვ. 306 1909, لندن, GMS, X

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> بفرمانت بگفتم داستانی ز خوبی چون شکفته بوسنایی

چون ریحان بهاری خوش غزلها درو چون میوه از حکمت مثلها

გვ. 387, 1959, تهران, به اهتمام محمدجعفر محجرب, فخرالدین گرجانی, ویسی و رامیی, 1959

<sup>42</sup> غزل گفتن نگینا از زبان شیرین, غزل گفتن باربد از زبان خسرو, نظامی گنجوی, خسرو و شیرین, باکو, 1940, 619, 622 და სხვ. امیر خسرو دهلوی, شیرین و خسرو, مسکو, 1941, 266, 276

<sup>43</sup> იხ. خانلری დასახ. ნაშრ., გვ. 147-148.

ლება ყაზალის, როგორც პოეტური ყანრის, ფორმირებაში გადამწყვეტ ფაქტორად ყასიდასგან ნასიბის (ყასიდას შესავალი ლირიკული ნაწილის) გამოყოფა და მისი დამოუკიდებელი განვითარება იქნეს მიჩნეული<sup>44</sup>. ამ ყანრს წარმოშობისა და განვითარების თავისი საკუთარი ნაციონალური ფესვები, ისტორიული პირობები, გზა და დანიშნულება გააჩნდა.

ამდენად, აიუყის პოემა სპარსული პოეზიის უაღრესად პოპულარული ყანრის — ყაზალის გენეზისისა და მისი აღმნიშვნელი ტერმინის ევოლუციის შესასწავლად მეტად ანგარიშგასაწევ მასალას იძლევა.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აიუყის „ვარყა-ვო-გოლშაჰს“ სპარსული რომანული ეპოსის ისტორიისათვის აქვს. ვინაიდან იგია პირველი სრულყოფილად შემონახული ძეგლი ამ ყანრისა. აიუყის პოემისა და მისივე თანადროული ონსორის ფრაგმენტულად შემორჩენილი „ვამეყ-ო-აზრას“<sup>45</sup> შესწავლა საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ რომანული ყანრის წარმოშობასა და განვითარების პირველ ნაბიჯებს კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში. მათში უკვე აშკარადაა გამოკვეთილი რომანული ეპოსის ის ყანრული სპეციფიკა, რომელიც სულ მალე კლასიკური სახით ჩამოყალიბდა ფახრედინ გორგანის პოემაში „ვის-ო-რამინ“ (XI საუკ. 50-იანი წლები).

<sup>44</sup> A. M. Мирзоев, დასახ. ნაშრ., გვ. 289; И. С. Брагинский, О возникновении... გვ. 100; დ. კობიძე, რუდაქი, კრ. „რუდაქი, 1100“, თბილისი, 1957, გვ. 57; ა. გვახარია, რუდაქის პოეტიკა, იქვე, გვ. 76 და შემდ.; З. П. Ворожейкина, დასახ. სტატია, გვ. 51. შდრ. შიბლი ნუშანის მოსაზრება: „ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პოეზია ირანში თავის სათავეს ყასიდასგან იღებს... როდესაც ყასიდას ლირიკული ნაწილი ჩამოაშორეს, იგი ყაზალად გადაიქცა, თითქოს ყასიდას ხის ტანს ყლორტი მოსჭრეს და ცალკე გადარგეს“ (დასახ. ნაშრ., ტ. V, გვ. 27).

<sup>45</sup> უყანასკნელ ხანებამდე ონსორის ეს პოემა დაკარგულად იყო მიჩნეული. მისი დიდი ფრაგმენტის აღმოჩენაც ჩვენი საუკუნის 50-იან წლებს ეკუთვნის. იხ. M. Shafi, Unsuri's Wamiq wa Adhra, Proceedings of the 23 th International Congress of Orientalists, London, 1954. مثنوى وامق و عذرا عنصرى، با مقدمه و تصحيح و تحسيه دكتور مولوى محمد شفيع، Lahore, 1967.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)



### პრობლემატიკა

## მიკროტოპონიმიის მიკროტოპონიმიის ზოგი საკითხი

მიკროტოპონიმიის (უმცირესი გეოგრაფიული ობიექტების: სახნავ-სათესი ნაკვეთების, საძოვრების, სათიბების, დედეების, ბილიკების და ა. შ. სახელები) მეცნიერულ შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ ამ ათიოდე წლის წინათ მიექცა. მანამდე ტოპონიმიის მკვლევრები, რატომაც, უპირატესად მსხვილი გეოგრაფიული ობიექტების (მაკროტოპონიმების) შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი.

მიკროტოპონიმიის, როგორც ცალკე სისტემის, შესწავლას ამჟამად ბევრი მკვლევარი უჭერს მხარს. საქმე ისაა, რომ მიკროტოპონიმები მაკროტოპონიმებისაგან განსხვავდებიან არა მარტო აგებულებით, არამედ ინფორმაციის თვალსაზრისითაც. „მიკროტოპონიმიური სახელები რიცხობრივად ერთისად აღემატებიან საკუთრივ ტოპონიმებს, ამასთან, ისინი გაცილებით უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდიან ამა თუ იმ ადგილის რაობაზე, ვიდრე საკუთრივ ტოპონიმები. თუ მიკროტოპონიმიურ სახელებში მრავალი საყურადღებო მოვლენა ასახული, საკუთრივ ტოპონიმებში ასეთი რამ ან სულ არ აღინიშნება, ან ძალზე სუსტადაა ასახული“<sup>1</sup>.

ვაზირებული დებულების თანახმად (ა. ვ. სუპერანსკაია, ა. პ. დულონი) მიკროტოპონიმიკა ერთი რომელიმე ხალხის ენობრივი ფაქტია, მაკროტოპონიმიკა კი სხვადასხვა ეპოქებისა და ხალხთა შემოქმედების ნაყოფია. ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი რაიონის მაკროტოპონიმიკაში სხვადასხვა ენობრივი დანალექები შეიმჩნევა. მაკროტოპონიმიკური მასალის სირთულეც (ვაზირების თვალსაზრისით) აქედან გამომდინარეობს.

სხვაგვარი მდგომარეობაა მიკროტოპონიმიკურ სახელებთან. რაკი მიკროტოპონიმიკა ერთი რომელიმე ხალხის ენობრივი ფაქტია, ამიტომ თითქმის ყველა მიკროტოპონიმი სემანტიკის თვალსაზრისით ნათელია. მიკროტოპონიმები უპირატესად აღწერიითი ხასიათის სახელებია, ამიტომ ისინი საქმად კარგად მოგვიტანს ამა თუ იმ კუთხის ისტორიას, საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებას, რელიგიურ-საკულტო რეალებს, მეურნეობის სპეციფიკურ მხარეებს და ა. შ. მიკროტოპონიმები, ამასთან ერთად, თვალნათლივ წარმოაჩენენ დიალექტურ თავისებურებებს. ავლენენ მრავალ საყურადღებო მომენტს ეთნონიმიის სფეროდან და სხვ.

მიკროტოპონიმიის საგულდაგულო, სისტემატურ შესწავლას მეცნიერებისათვის ბევრი საყურადღებო ენობრივი და ისტორიული ფაქტის მოწოდება შე-

<sup>1</sup> იხ. В. А. Никонов, Научное значение микропонимия (в сб. «Микропонимия», М., 1967, стр. 6).

უძლია. ამიტომ ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რაოდენ საშური საქმეა ქართული მიკროტოპონიმის შეკრება-შესწავლა და გამოცემა. საშურია იმით, რომ მიკროტოპონიმები მასშტაბური სიმცირის გამო ოფიციალურად არსებულ რუკებზე არ აღინიშნებიან, ამიტომ ბევრი მათგანი (განსაკუთრებით ახალ მშენებარე რაიონებში) შესაძლებელია, სრულიად უკვლოდაც გაქრეს.

თიანეთის რაიონის მიკროტოპონიმთა დღემდე სისრულით შესწავლილი არ ყოფილა. მართალია, საეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აქა-იქ გვხვდება მსჯელობანი ისტორიული ერწო-თიანეთის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტების თაობაზე (ერწო, იორი, ჟაღეთი და სხვ.), უკანასკნელ ხანებშიც დროდადრო ქვეყნდება მასალები თიანეთის ტოპონიმის ცალკეულ საკითხებზე (დოც. ი. მისურაძე, ვლ. აბრამიშვილი), მაგრამ ყოველივე ამას რაიონის ტოპონიმის მთლიანი, მეცნიერული შესწავლის პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს.

წინამდებარე წერილში წარმოვადგენთ 1966—1968 წლებში ჩვენს მიერ შეკრებილ ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმის ერთ ნაწილს. წარმოდგენილი მასალა, შეკვეცის მიუხედავად, ნათლად მეტყველებს აქაური მიკროტოპონიმის წარმოების საშუალებებზე, სახელთა სტრუქტურაზე, მასალის რავგარობაზე და ა. შ.

#### აწო-თიანეთის მიკროტოპონიმთა სახელთა წარმოება

წინასწარვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმთა წარმოების თვალსაზრისით ძირითადად მიჰყვება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების (შიგნიკახეთის ჩათვლით) მიკროტოპონიმთა. ერწო-თიანური მიკროტოპონიმთა, მცირეოდენი გამოწაკლისის გარდა, ქართულია და ავლენს იმ დიალექტებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც ამ რაიონის ტერიტორიაზე დასტურდებოდა და დასტურდება: ქართულ-კახური, ფშაური, ნაწილობრივ — ხევსურული.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმთა სამი ძირითადი ჯგუფისაგან შედგება.

1. მ ა რ ტ ი ვ ი (უ ა ფ ი ქ ს ო) გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი სა ხ ე ლ ე ბ ი ;
2. წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი (ა ფ ი ქ ს ე ბ ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი) გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი სა ხ ე ლ ე ბ ი .
3. თ ხ ზ უ ლ ი, ა ნ უ ს ი ტ ყ ვ ა თ შ ე ე რ თ ე ბ ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი რ თ უ ლ ი გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი სა ხ ე ლ ე ბ ი .

#### I. მარტივი (უაფიქსო) გეოგრაფიული სახელები

უაფიქსო მიკროტოპონიმები ჩვეულებრივი საზოგადო არსებითი სახელებია. ასეთი საზოგადო სახელების მიერ სათანადო ობიექტის დასახელება რაიმე ნიშნის, თვისების მიხედვით ქართულ ენაში უძველესი ხანებიდანაა ცნობილი<sup>2</sup>.

ამ რიგის სახელები აფიქსებითა და სიტყვათშეერთების წესით ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებთან შედარებით საერთოდ იშვიათად გვხვდება ქართულ ტოპონიმთაში. ასეა ერწო-თიანეთშიც.

მარტივი უაფიქსო სახელების ძირითადი დანიშნულებაა ადგილმდებარეობის დახასიათება, ამა თუ იმ პუნქტის ოროგრაფიის ჩვენება, თვისების, კუთვნილების აღნიშვნა და სხვ.

<sup>2</sup> თ. ხ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ტოპონიმის შესწავლისათვის — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 140.

ა ბ ა ნ ო — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. თეთრახევა); გ ლ უ ვ ი — პატარა შემადლებული ველტყიანი ადგილი; ე კ ა ლ დ ა მ ა — ღრმული, დიდი გამოქვაბული ს. მაგრანეთში; არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთი უბანთაგანი.

სახელწოდება ე კ ა ლ დ ა მ ა „აკლდამის“ ხევსურული ფორმა<sup>3</sup>. ზ ე ც ა — სახნავ-სათესი მამულები (ს. ყებოტა); „სახნაური ადგილია; წადი, აგე ზეცაში მოხანო, — ვიტყვი“. კ ა რ ა ხ ტ ი ნ - ი სახნავ-სათესი ნაკვეთები; საძოვარი (ს. შარახევი). სახელწოდება რუსული „Карантин“-იდან უნდა მომდინარეობდეს. საგულისხმოა, რომ რუსული „Карантин“-ი ქართულ ტოპონომიკაში „კ ა რ ა ხ ტ ი ნ“ ფორმით დამკვიდრდა. ორი ამგვარი სახელი — „კ ა რ ა ხ ტ ი ნ ე ბ ი“ და „კ ა რ ა ხ ტ ი ნ ი ს ხ ი დ ი“ დადასტურებული გვაქვს ზვის პირას. ეგვევ „კ ა რ ა ხ ტ ი ნ“ ფორმა დასავლეთ საქართველოშიც გავრცელებულა<sup>4</sup>. კ ო ხ - ი — მაღალი, ტყით დაფარული მთა (ს. ევენტი); მ ა ლ ა ქ ი ა — ტყე (ს. კვერნაულა). „სამასალე ხე იჭრებოდა. სად იყავ? — მალაქიას ტყეშიო, ვიცოდით“ რ უ ვ ი — პატარა მინდორი, ფერდობი (ს. ახალსოფელი). „წყალია წამოსული წისქვილისათვი და იმ ადგილსაც რუეს ვეძახით; რუეთანა მყავს საქონელიო. რუვი არის მარტო წისქვილისათვი წაყვანილი წყალი“. (ვასო თთარაშვილი). ფ ო ც ხ ვ ე რ - ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. სიმონიანთხევი); ჩ ა ლ ა — პატარა ველი, ნაგუბარი ადგილი (ს. ლელოვანი); წ ვ ე რ - ი — სათიბი მთა; საძოვრები (ს. ქუშხევი). ხ ა წ ი რ - ი — გორაკი; სათიბი და სახნავ-სათესი მინდვრები, ველტყიანი ადგილები (დ. თიანეთი).

## II. წარმოქმნილი (აფიქსებით ნაწარმოები) ბეობრაფიული სახელები

### ა) პრეფიქსით ნაწარმოები სახელები

გეობრაფიულ სახელთა ოდენპრეფიქსული წარმოება საერთოდ იშვიათია მთელ ქართულ-ქართველურ ტოპონომიკაში. ამ მხრივ გამოწაკლისს არც ერწო-თიანეთის ტოპონომიკა შეადგენს: აქაც ერთობ იშვიათია სახელთა ოდენპრეფიქსიანი წარმოება და თუ გვხვდება, გვხვდება მხოლოდ ნა- და ხა- პრეფიქსებით ნაწარმოებ წინავითარების ამსახველ მიმღებურ სახელებში.

#### ნა-:

ნ ა გ ლ ე ვ - ი — ტყე; საძოვრები; ახლები (ს. სიმონიანთხევი, ს. კვერნაულა); ნ ა კ ა ფ - ი — საძოვარი; ველტყიანი ადგილი (ს. თრანი, ს. ღულღულები); ნ ა ტ უ ს - ი — ველტყიანი ადგილები, საძოვრები; ტყე (ს. ახალსოფელი); ნ ა ყ ვ ე რ - ი — სახნავ-სათესი მამული (ს. ხოფცა); ნ ა ჯ ა ვ - ი — სახნავ-სათესი მამულები; ამყამად სოფ. ომარანის (სიონშენის სადაბო საბჭო) ერთ-ერთი უბანთაგანი. „გაჯავა ხალხმა ტყე და დასახლდა“.

#### ხა-:

ს ა დ გ ო მ - ი — მინდორი, საძოვარი (ს. სახევი); ს ა თ ი ბ - ი — მთა; საძოვრები და სათიბი მინდვრები (ს. ბოჭორმა); „სათიბი ვიყავო, — იტყვიან. ხოლოთ ეს მთა არის დიდი. დიდი ალაგია და ჩვენც ვვიჭერია და ერწოვლებსაცა, თრანსა, ღულღულებსაცა“; ს ა ქ ა ნ - ი — დაქანებული, ფერდობი ადგილი ტყეში

<sup>3</sup> ალ. ქ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 301.

<sup>4</sup> ი. ი. ხ ბ რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკა, I, ბათუმი, 1958.



(ს. დულუზაურები); ს ა ყ უ ჩ ი — ადგილმდებარეობის სახელი, ველტყიანი მამული (ს. ქუშხევი). ს ა ჩ ქ ვ ე ფ ი — ტყიანი მთა, საძოვრები (ს. სახევი).

### ბ) სუფიქსით ნაწარმოები სახელები

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში საწარმოებელი სუფიქსებიდან განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევიან -ა, -ებ, -ან, -იან და -ურ (დისიმილაციით — ულ) სუფიქსები.

-ა:

ბ ე ლ ე ლ -ა — მთა; საძოვრები მდ. ივრის ზემო წელზე (ს. ზემო არტანი); გ ა დ რ ე ც ა — სახნავ-სათესი ნაკვეთები; საძოვარი (ს. ლიშო). „მოხრილი მამულეზია; კაცზე იტყვიან, რა გადრეცილი დგასო“. გ ვ ე რ დ -ა — სათიბი და საძოვარი მინდვრები (ს. გორანი); ე კ ა ლ -ა — მთა, საძოვრებითა და სათიბი ადგილებით (ს. ომარანი); ვ ა რ ც ლ -ა — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. ებოტა); კ უ ჭ -ა — დიდი ტყიანი მასივი (ს. ზემო ნაქალაქარი). მიკროტოპონიმი „კუჭა“ ადგილების სახელებად დასტურდება აგრეთვე ს. ევენტსა და ს. ომარანში. კ უ ჭ ე ჭ -ა — მთა; საძოვარი (ს. სახევი). „კუჭებით არი აწვერილი, იმიტო თუ მაქვიენეს“. (შდრ. ს. კუჭეჭა მალაროსკარის სას. საბჭოში, დუშეთის რ.). მ რ უ დ -ა — საძოვარი (ს. ქუშხევი). „გვერდალა ველია. სასაძოვრედა გვაქმ დადებულა“; ნ ა მ გ ა ლ -ა — სახნავ-სათესი მამული (ს. ბალებსხევი). „მოხრილი მინდორია, ჭარხალსა ვთესავთ“; პ ტ ყ ე ლ -ა — სახნავი მამულები (ს. ტუშურები); უ თ უ რ გ -ა — მინდორი, საძოვარი. ამჟამად აქ ფიქვის ტყეა გაშენებული (ს. ხევსურთსოფელი); შ უ ბ ლ -ა — სახნავ-სათესი მამულები, ველტყიანი ადგილები (დ. სიონი). ტოპონიმი შ უ ბ ლ ა დასტურდება ს. ხევსურთსოფლის ჩრდ. აღმოსავლეთით მდებარე მაღალი გორაკის, სერის სახელწოდებად; ჩ ხ ა რ უ ნ -ა წყარო (ს. ომარანი). „სუ ჩხარუნ-ჩხარუნით გამოდის მიწიდან“.

ზმბაძვის მიხედვით ნაწარმოები მიკროტოპონიმები ერწო-თიანეთისათვის ნიშანდობლივი ჩანს (იხ. ქვემოთ: ბუყბუყა წყარო, ხუფხუფა წყარო და სხვ.).

ც ხ ვ ი რ -ა — ტყიანი ადგილი, ველობი (ს. ტოლანთსოფელი); წ ა რ ა ფ -ა — ველტყიანი ადგილი (ს. საყდრონი); ჭ ე ხ ი ლ -ა — მაღალი ტყიანი მთა (ს. ბოჭორმა). „დიდი მთა არი, ეგრე გადადის, საგარეჯოს მხარისაკე“. ხ უ ფ -ხ უ ფ -ა — სახნავ-სათესი მამული (ს. ხოფცა). „აქ ამოდის წყარო, ხ უ ფ ხ უ ფ ა წყაროს ვეძახით. იმ მამულსაც ეგ დაძრქმევია“; ჯ ღ ა რ დ ლ -ა — სათიბი, სახნავ-სათესი მამული (ს. მაგრანეთი).

როგორც ვხედავთ, -ა სუფიქსი მიკროტოპონიმულ სახელებში ძირითადად ობიექტის რანაირობაზე, რავარობაზე (ცხვირა, შუბლა, ჭიხილა. ჩხარუნა...) მიუთითებს.

-ან, -იან:

ბ ი თ ა ა ნ -ი — ს. საკრეჭოს ერთ-ერთი უბანთაგანი; გ ე გ ე ნ ა ა ნ -ი — ს. იარაგულების უბანი; ი ო რ ა მ ა ა ნ -ი — ნასოფლარი. ამჟამად ეს ადგილი სიონის წყალსაცავითაა დაფარული; წ ე რ ი ლ ა ა ნ -ი — პატარ-პატარა სახნავი მამულები (ს. ახალსოფელი).

-იან:

ა რ ყ ი ა ნ -ი — მთა; საძოვრები (ს. ზემო არტანი); ა რ ხ ი ა ნ -ი — სახნავ-სათესი მამული (ს. კვერნაულა). „შუაზე ღარივით ზოლი დაჰყვება“. ბ უ ა რ ი ა ნ -ი — სახნავ-სათესი მამული (ს. ახალსოფელი); გ ო გ ჩ ო ა ნ -ი — სახნავ-

სათესი მამულეები (ს. ტოლანთსოფელი). (მთიულ. გ ო ქ შ ო). „გოქჩოა ბალახი. აიზდება მაღალი, ხოლოთ აეგე აქუ სიმგურგვლივ ბუდე. ფოთვლები საცა არ გამოჰდის, იქ წყალი დგება შიგათ და თითქმის რო ეგრე ერთ კვირამდისინა აქუ წყალი“ (ლექსო ვასილის ძე წიკლაური. ს. ტოლანთსოფელი). თ ა რ თ ი ა ნ ი — სათიბი; სახნავი მამულეები. ამ ნაკვეთების საკმაოდ დიდი ნაწილი სიონის წყალსაცავმა დაფარა (ს. ველები); თ ე ლ ი ა ნ ი — ტყე; საძოვრები (ს. ომარაანი). მიკროტოპონიმი „თელიანი“ რაიონის ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირია. იგი დადასტურდა ს. თოლენჯში, ზემო ნაქალაქარში, ყუდროში, ძებნიაურებში; ს. ბუჭყინტაში გვხვდება მიკროტოპონიმი „თ ე ლ ი ა ნ ა“ სათიბი მინდვრის სახელად; კ ვ რ ი ნ ხ ი ა ნ ი — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. მელიასხევი); კ ი რ ც ხ ი ლ ი ა ნ ი — ტყე, პატარა-პატარა მინდვრებით (ს. გორანა). მცენარე რცხილა „კირცხილა“ ფორმით მხოლოდ მთიულურ, ფშაურ და ხევსურულ დიალექტებში გვხვდება. ერწო-თიანეთშიც (ალბათ, ფშაური დიალექტის წყალობით) „კირცხილა“ ფორმა დამკვიდრებულა. „კირცხილიანი“ ადგილების სახელად საკმაოდ ხშირია აქაურ მიკროტოპონიმიკაში. ერთგან ის სოფლის სახელადაც კი დასტურდება. „კირცხილიანი დიდი სოფელი იყო. ნაწილი ზღვამ დაიჭირა. ეს სოფელია ბოკონთან ახლოს, 3-4 კომლიდა ცხოვრობს“. (ოსებ ლეგას ძე ხუმარაშვილი). პ ი ტ ნ ი ა ნ ი — სახნავ-სათესი მამული (ს. ყებოტა); ს ა დ ა ლ ი ა ნ ი — სახნავ-სათესი მამული, საძოვარი (ს. საკრეჭიო); ფ ა მ ფ ა რ ი ა ნ ი — სახნავ-სათესი მინდორი (ს. თოლენჯი); ქ უ ჩ ი ა ნ ი — სათიბი; საძოვარი (ს. ლახატო); დ ა ნ ძ ი ლ ი ა ნ ი — სახნავი მამული, საძოვარი (ს. ახალსოფელი); დ ა რ ა ლ ი ა ნ ი — სათიბი მინდვრები (ს. ლახატო). „ღარალს ჩვენ ვეძახით ბალახს. მსხვილი ღერო აქუ, ჯოყარით არი, ზოგი ლიხსაც იტყვის“. (ალექსი ლევანის ძე ნადირაშვილი); შ ა ლ ა ფ ი ა ნ ი — წყლიანი, ნოტიო ადგილი, მინდორი (ს. დევანანთხევი). „შალაფს ვეტყვივით ჩვენ ჭყანტის ჩალას“ (ტასო დავითის ასული ოზგაიძე); ხ უ თ ყ უ რ ი ა ნ ი — მინდორი, საძოვრები, ფერდობი ადგილი (ს. ქუშხევი).

საკმაოდ ხშირია ი ა ნ + ა სუფიქსიანი სახელებიც:

გ უ ბ ი ა ნ ა — სველი, წყლიანი ადგილი, ტყე (ს. მაგრანეთი); ვ ა ზ ი ა ნ ა — ადგილი, მინდორი (ს. თეთრახევა). „პირმზითი ადგილია. ორი-სამი ნასახლარიც რამ არი, ქვევრები ამოჩნდა, ვაზი თუ ედგა ადრე ვინმესა (ივ. არჩემაშვილი); ვ ე რ ხ ვ ი ა ნ ა — მთა; სათიბა, საძოვრები (ს. ჭიაურა); კ ო ხ რ ი ა ნ ა — მაღალი მთა ალპური საძოვრებით (ს. ზემო არტანი); ს ვ ი ა ნ ა — საძოვარი მამული (ს. ჭიაურა, ბაღებისხევი, ზარიძეები); ღ ო რ ღ ლ ი ა ნ ა — ადგილის სახელად გვხვდება ს. ლიშოსა და ს. ზემო არტანში.

როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, -ან- სუფიქსი გვარ-სახელებიდან მომდინარე მიკროტოპონიმებისათვის, ე. წ. ეთნოტოპონიმებისათვისაა ნიშანდობლივი, -იან სუფიქსი კი — მცენარეთა და ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე მიკროტოპონიმებისათვის (ზოონიმები).

— უ რ ( || -უ ლ ) ს უ ფ ი ქ ს ი თ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი  
მიკროტოპონიმები

— უ რ ( || -უ ლ ) ს უ ფ ი ქ ს ი ერთ-ერთ ყველაზე უფრო პროდუქტიულ სუფიქსადაა მიჩნეული ქართულ სიტყვაწარმოებაში (ა. მანიძე). ეგვევ სუფიქსი ძალზე პროდუქტიული ჩანს გეოგრაფიული სახელების წარმოებისასაც.

საკვლევი რაიონის მიკროტოპონიმიკაში -ურ (||-ულ) სუფიქსი ყველაზე ხშირად პატარა მდინარე-ხევების სახელებში იჩენს თავს. ეს იმიტაც უნდა იყოს გაპირობებული, რომ აქაური მდინარე-ხევების სახელრქმევა ძირითადად იმ სოფლების მიხედვით ხდება, რომელთა სიახლოვესაც ისინი მოედინებიან. დიდი მდინარეები (იორი, აძიძი, ქუსნო, ხოფცა, საგამი...) ამ წესს არ ექვემდებარებიან.

ნასოფლ. აონი — მდ. აონ-ურ-ა

სოფ. არტანი — მდ. არტნ-ულ-ა

ნასოფლ. არხალი — მდ. არხ-ულ-ა (<არხლ-ურ-ა)

სოფ. ბუჭყინტა — მდ. ბუჭყინტ-ურ-ა

სოფ. თრანი — მდ. თრან-ულ-ა

სოფ. ლახატო — მდ. ლახატო-ურ-ა

სოფ. ლიშო — მდ. ლიშო-ურ-ა

სოფ. შარახევი — მდ. შარახე-ულ-ა (<შარახე-ულ-ა)

ნასოფლ. ხატხევი — მდ. ხატხე-ურ-ა (<ხატხე-ურ-ა)

ნასოფლ. ხაშარი — მდ. ხაშრ-ულ-ა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გაფორმების ამ წესს ემორჩილებიან მხოლოდ ისეთი უმნიშვნელო მდინარე-ხევები, რომელთა სიგრძეც 3-5 კმ-ს არ აღემატება.

-ურ (||-ულ) სუფიქსი, როგორც ზემოთ ვთქვით, აქაურ მიკროტოპონიმიკაში უფრო გვხვდება, ვიდრე მაკროტოპონიმიკაში. ხშირად -ურ (||-ულ) სუფიქსს აქ კინობითობის -ა-ნიც დაერთვის: -ურთა (-ულთა):

ბუჭყ-ურ-ა — სახნავ-სათესი მამულები; საძოვრები (ს. ზემო ნაქალაქარი); მოლა-მ-ურ-ა — ველტყიანი ადგილები, სახნავი (ს. კვერნაულა); სერე-ულ-ა — ადგილის სახელი (ს. ახალსოფელი); ჩქარე-ულ-ა — საძოვარი, სახნავი (ს. ახალსოფელი); წიწამ-ურ-ა — ვრცელი სახნავ-სათესი მასივი. ს. ჩუკურანთგორის სამხრეთ-დასავლეთით. „წიწამურ“ ტყიანი ადგილის სახელად გვხვდება ს. თოლენჯიცი. ჭვინტა-ურ-ა — დიდი ტყიანი მთა, ქედო ს. თეთრახევას სამხრეთით; ჭურ-ულ-ა — პატარა წყლიანი ხევი (ს. საყდრი-ონი).

მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი -ებ სუფიქსი  
 ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკაში

საწარმოებელ ფორმანტაგან ერწო-თიანეთის ტოპონიმიკის მიკროსახელებში ყველაზე ხშირად მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ -ებ სუფიქსს ვხვდებით.

-ებ სუფიქსი ასევე ხშირად დასტურდება აქაურ მაკროტოპონიმიკაშიც. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს -ებ სუფიქსის გვიანდელი წარმოავლობის შესახებ<sup>5</sup> აქაური მიკრო- და მაკროტოპონიმიკური მასალაც უჭერს მხარს. -ებ სუფიქსი მრავლობითობაზე, კრებითობაზე მიუთითებს:

აბანო-ებ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. თეთრახევა); აკალდამ-ებ-ი — ველი; ძველისძველი ნაგებობები, ნანგრევები (ს. ლულელები); ბოგორე-ებ-ი — ტყე; მინდვრები (ს. ლულელები); ბოსტან-ებ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ტუშურები); გრძელ-ებ-ი — სახნავ-სათესი მამულები

<sup>5</sup> თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 144.



(ს. ღულღული); გ ო რ გ ო თ ე-ე ბ-ი — ველტყიანი ადგილი, საძოვარი (ს. საყდრონი); გ ო ქ შ ო ი ა ნ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ჭურჭელაურები); „გოჭმოს ვეძახით ჩვენ ბალახსა, სხვილია, კაჭკაჩით არი, ყანაში იცის, იზრდება ნახევარ მეტრამდინს. საქონელი არა ჭკამს, კაჭახია, ეგრე ვირი, ცხენი კი ჭკამს“ (ლ. ჭურჭელაური).

გ უ დ ა მ ა ყ რ-ე ბ-ი — ტყიანი მთა, სათიბები. საძოვარი (ს. ბოჭორმა); ზ ა ქ ა რ ი-ე ბ-ი — ხატი, სალოცავი (ს. ორბევი). „ზაქარიასობაში მივლივართო, ზაქარიების ხატობაში წავიდეთო, — ვიტყვი. ამისი დღეობა არი მისში“ (გ. ღვევერაშვილი). კ ვ რ ი ნ ჩ ხ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მინდორი (ს. ახალსოფელი); კ ო ტ ე-ე ბ-ი — ველტყიანი ადგილი, საძოვრები (ს. თრანი); ლ ა თ ბ ე-ე ბ-ი — სათიბი, საძოვარი (ს. ბაღებისხევი); ლ ა რ ე-ე ბ-ი — სახნავ-სათესი ნაკვეთები (ს. ნადოკრა); ნ ა მ გ ა ლ ე-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. სიმონიანთხევი); „დაპრანჭული მამულებია, მიხვეულ-მოხვეული“; ნ ი ბ ლ ი-ე ბ-ი — ველტყიანი ადგილი (დ. თიანეთი); ო ლ ე-ე ბ-ი — სახნავი მამულები (ს. ღულღული); ო რ თ ი-ე ბ-ი — მინდვრები, ადრე იხვნებოდა, ამჟამად სატყეო მეურნეობის ფიჭვია გაშენებული (ს. ორბევი); პ რ ა ს ი კ-ე ბ-ი — საძოვრები (ს. ღულღული); ს ა ყ დ ა რ ე-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ორბევი, ს. სიმონიანთხევი); უ რ ძ ნ-ე ბ-ი — ბუჩქნარი ადგილი (ს. ტუშურები); ფ შ ა ნ ტ ლ-ე ბ-ი — ტყიანი ადგილი, სველი, ნოტიო, წყაროებიანი ადგილი (ს. ღულღული); ყ ე ლ-ე ბ-ი — საძოვრები (ს. მელიასხევი); ყ უ რ ე-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ჩაბანო); შ ო თ ხ-ე ბ-ი — წვრილნარი ტყე (ს. სახევი); ჩ ა ნ ჩ ხ ა რ ე-ე ბ-ი — სახნავი მამულები (ს. ჩეკურანთგორი); ჩ ი რ დ ი ლ-ე ბ-ი — ტყე (დ. თიანეთი); ც ა ც ხ ვ-ე ბ-ი — სახნავი მამულები (ს. ძებნიაურები); წ ყ ა რ ო ე ბ-ი — სახნავ-სათესი ნაკვეთები (ს. ხოფცა). ეგვევ ტოპონიმი ტყის სახელწოდებად გვხვდება ს. წიკვლიანთკარში, ხოლო მამულის სახელწოდებად — ს. ვერხვლში. ჭ ყ ა ნ ტ-ე ბ-ი — მამული, ტყე (ს. ახალსოფელი). ეს ტოპონიმი ტყიანი ადგილებისა და სველი, ნოტიო მამულების სახელწოდებად ზმირია რაინის მიკროტოპონიმიკაში. იგი დადასტურებულია ს. ბლიანებში, ს. გოჯიანებში, ს. ღულღულიურებში, ს. ყებოტაში და სხვ. ს. მამადაანებში დადასტურებულია ფორმა „ჭ ყ ა ნ ტ ი ა ნ ე ბ-ი“; ხ ო დ ა ბ უ ლ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ბოჭორმა) (შდრ. ლიტ. ხ ო დ ა ბ უ ნ ი).

სახელთა ფუძეზე -ებ მაწარმოებლის დართვა ზოგიერთ საყურადღებო მომენტს ავლენს. ასე, მაგალითად, თუ ტოპონიმი -ა- ხმოვანფუძიანია და მას -ებ მრავლობითი რიცხვის საწარმოებელი ფორმანტი დაერთო, მაშინ ეს ფუძისეულის ა ასიმილაციის წესით ე ხმოვანად იქცევა:

აღმაჩაღმე-ებ-ი (<აღმაჩაღმა-ებ-ი), გორგოთე-ებ-ი (<გორგოთა-ებ-ი), გორდაგორე-ებ-ი (<გორდაგორა-ებ-ი), ნამგალე-ებ-ი (<ნამგალა-ებ-ი), საყდარე-ებ-ი (<საყდარა-ებ-ი), ფერდე-ებ-ი (<ფერდა-ებ-ი), ჩანჩხარე-ებ-ი (<ჩანჩხარა-ებ-ი)<sup>6</sup>...

ანალოგიურად, ხმოვანფუძიანი სახელების მსგავსადვე, იწარმოება ზოგიერთი თანხმოვანფუძიანი სახელი: ბ ო გ ი რ ი, ს ა ყ დ ა რ ი და ა. შ., რადგან ისინი აქაური მეტყველების მიხედვით კნინობითობის -ა სუფიქსს დაირთავენ და ხმოვანფუძიან სახელთა წყებაში დგებიან: ბ ო გ ი რ ა, ს ა ყ დ ა რ ა (შდრ. ქართ-

<sup>6</sup> ამგვარადვე ჩანს მიღებული არავის ხეობის ქართულში: მანქანები, წიწილები, კალათები, ცოტეები... (ცოტაქები პატარაქები) და სხვ.

ლურში და მთიულურში გავრცელებული ფორმები ბოთლა, ლეკვა...). ამიტომ ნაცვლად მოსალოდნელი ბოგირებ — საყდრებ და ა. შ. ფორმებისა, გვხვდება: ბოგირებში, საყდარებში, ბოსტანებში, გრძელებში და ა. შ.

ია-ზე დამთავრებული ზოგი გეოგრაფიული სახელი ფუძეზე -ებ სუფიქსის დართვისას ბოლოდან -ა ხმოვანს მოიკვეცს:

ზაქარი-ებში (<ზაქარია-ებში). ზაქარია, ზაქარიები რელიგიური დღესასწაული, ხატის სახელწოდებაა. აქედანაა ნაწარმოები ტყიანი მთის სახელი ზაქარიასწვერი (ს. თრანის ჩრდილოეთით). პარტი-ებში (<პარტი-ებში) — ტყისა და პატარ-პატარა ველების სახელწოდებაა ს. ზემო ნაქალაქარში. „პარტია-პარტიად თუ ამუშავებდენ ამ ადგილებსა“ (ნ. ოზგაიძე). -ებ მრავლობითობის მაწარმოებელი ფორმანტიანი სახელები საკვლევი რაიონის მიკრო და მაკროტოპონიმიკაში ძალზე ხშირად გვხვდება.

-ებ სუფიქსის ასეთი გავრცელებულობა საკვლევი რაიონის მიკროტოპონიმიკაში აქაური მასალის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ; -ებ სუფიქსის არაჩვეულებრივი სიხშირე ერწო-თიანეთის ტოპონიმიკის სპეციფიკური ნიშანი ჩანს.

აღნიშნული სუფიქსის ასეთი სიხშირე (როგორც მიკროტოპონიმიკაში, ასევე მაკროტოპონიმიკაში) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არცერთ რაიონში არ შეიმჩნევა. ეს მოვლენა ნიშანდობლივი არ ჩანს არც ცენტრალური (შიდა) და გარეკახეთის რაიონებისათვის.

მაგალითად, თუ თიანეთის რაიონის 81 დასახლებული პუნქტის სახელწოდებიდან 18 -ებ სუფიქსითაა ნაწარმოები (14,58%), მეზობელი ანბეტის რაიონის 78 დასახლებული პუნქტიდან არცერთი -ებ სუფიქსიანი არ არის<sup>7</sup>. ასევე არცერთი -ებ სუფიქსიანი მაკროტოპონიმი არ გვხვდება გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში. თელავის რაიონში მხოლოდ ერთგან დასტურდება -ებ სუფიქსიანი სახელი: ს. თეთრწყლ-ებში, ერთხელ გვხვდება -ებ-იანი სახელი სარაგჯოს რაიონშიც — ს. ზურხუტ-ებში.

ღუშეთის რაიონში 295 დასახლებული პუნქტის სახელწოდებიდან -ებ სუფიქსიანია მხოლოდ 8 მაკროტოპონიმი (2,36%); თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ 8 სახელიდან 5 უშუალოდ თიანეთის რაიონის მომიჯნავე ზოლში მდებარეობს: მიგრიალ-ებში (ხეობის სას. საბჭო). ახალიოს-ებში, თურ-ებში, ძველი-ოს-ებში, (ლაფანანთკარის სას. საბჭო).

ამრიგად -ებ ფორმანტიანი გეოგრაფიული სახელები თიანეთის რაიონისათვის ისეთივე ნიშანდობლივი ჩანს, როგორც -ან, -იან, აგრეთვე მრავლობითობის -თ სუფიქსიანი სახელების სიმრავლე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისთვის, კერძოდ, მთიულეთისთვის, -იხ ნაგენტივარი სუფიქსი კი — ცენტრალური ქართლის ტოპონიმიკისათვის.

### გ) პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები მიკროტოპონიმიკური სახელები

ტოპონიმიკურ სახელთა პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება ქართულ ტოპონიმიკაში უძველესი დროიდანვეა ცნობილი. ამგვარ სახელებში პრეფიქსებად ნა- და სა- ელემენტები დასტურდება, სუფიქსებად კი — ევ, ე, -არ (//აღ) და სხვ.

<sup>7</sup> „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ მიხედვით, თბ., 1966.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკაში პრეფიქს-სუფიქსიანი სახელების აბ-სოლუტურ უმრავლესობას ნა-არ (||-ალ) თავსართ — ბოლოსართიანი სახელები შეადგენს.

### ნა — არ (||-ალ):

ნა-ბ ი ნა-ვ-ა რ-ი — მინდორი; საძოვარი (ს. მაგრანეთი); ნა-ი მ ე რ-ა რ-ი — ტყის ვრცელი მასივი (ს. ტოლანთსოფელი); ნა-კ ა ლ-ო-ვ-ა რ-ი — სათიბი მამული, მინდორი (ს. ყუდრო); ნა-კ ო შ კ-ა რ-ი — ადგილი, საძოვარი მთაში (ს. ზემო არტანი); ნა-ღ ე ბ-ო-ა რ-ი — სახნავ-სათესი მამული (ს. ხოფცა); ნა-ს ი მ ი ნ-ღ-ა რ-ი — სასაფლაო (ს. დულუზაურები). „შენამც წახვალ ნასიმინდარშიო“, „შე ნასიმინდარში წასასვლელიო“, — იტყვიან (აკაკო ხაიაური). ნა-ტ ბ-ა-ვ-ა რ-ი — დადაბლებული ტყიანი ადგილი (ს. ტუშურები); ნა-ფ ე ლ-ა-ნ-ა რ-ი — პატარა ჭაგნარი ველი, ადგილი (ს. საყდრიონი). (ნაფარხალი?); ნა-ფ ე ტ-ვ-ა რ-ი — ველტყიანი ადგილი (ს. კვერნაული);

სახელწოდება „ნაფეტვარი“ საკმაოდ ხშირია არა მარტო საკვლევი რაიონის მიკროტოპონიმიკაში, არამედ კახეთის, მთიულეთის, ქართლის, ფშავის და ხევსურეთის (აღ. ჭინჭარაულის ცნობით) მიკროტოპონიმიკაშიც. ნა-ქ ო ხ-ვ-ა რ-ი — საძოვარი მამული (ს. ზემო არტანი), ნა-ც ი ხ-ვ-ა რ-ი — ბუჩქნარი ადგილი; ნანგრევები (ს. ახალსოფელი); ნა-ჯ ო ვ-ღ-ა რ-ი — ნანგრევები; ველტყიანი ადგილი (ს. ახალსოფელი). მიკროტოპონიმიკაში ეს სახელი „ნაჯორა“ ფორმით დასტურდება ს. ტოლანთსოფელშიც.

დასახელებული მაგალითებიდან ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელში ფუძესა და საწარმოებელ ფორმანტს შორის თავს იჩენს -ვ- თანხმოვანი: ნა-ქ ო ხ-ვ-ა რ-ი, ნა-ც ი ხ-ვ-ა რ-ი, ნა-ღ ე კ-ვ-ა რ-ი (ნა-ღ ე კ-ვ-რ-ე ბ-ი), ზოგ სახელში კი ეს -ვ-ინი არ ჩანს: ნა-ი მ ე რ-ღ-ა რ-ი, ნა-კ ო შ კ-ა რ-ი, ნა-ს ვ ი ლ-ა რ-ი, ნა-ს ო ფ-ღ-ა რ-ი, ნა-ფ ე ტ-ვ-ა რ-ი, ნა-ს ი მ ი ნ-ღ-ა რ-ი და სხვ.

საკვიკილო საშეცნებო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ეს -ვ-ინი -ვვ ნამყო დროის მიმდებარე სუფიქსის ნაშთია<sup>8</sup>. მაშასადამე, რომელიმე ნა-ქ ო ხ-ვ-ა რ-ი < \*ნა-ქ ო ხ-ე-ვ-ა რ-ისაგან, ნა-ც ი ხ-ვ-ა რ-ი < \*ნა-ც ი ხ-ე-ვ-ა რ-ისაგან და ა. შ.

შესაძლებელია, -ვ- თანხმოვანი ამ ტიპის მიკროტოპონიმიკურ სახელებში (აქაურ მიკროტოპონიმიკურ სახელებში ეს მოვლენა არ შეინიშნება) მართლაც სუფიქსისეული ნაშთი იყოს. ოღონდ საეჭვოა, რომ ის ყოველთვის -ევ ან -ავ სუფიქსისაგან მომდინარეობდეს. უმეტეს შემთხვევაში თანხმოვანი -ვ- ჩართული ჩანს.

წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა -ვ-ინის გაჩენა ნა-კ ა ლ-ო-ვ-ა რ, ნა-ო რ მ-ო-ვ-ღ-ე ბ და ა. შ. ფორმებში.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკაში საინტერესოა ჯგუფს ქმნიან ისეთი სახელები, რომლებიც ფუძეზე ორ და მეტ საწარმოებელ სუფიქსს დაირთავენ. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, თუ როგორ რედუცირდებიან წინავეთარების -ავ, -ევ, -არ (||-ალ) სუფიქსები ერწო-თიანური ტოპონიმიკისათვის ასე დამახასიათებელი -ებ- სუფიქსის დართვით:

ნა-ბ ა კ-ვ-რ-ე ბ-ი — ტყე (ს. ახალსოფელი); ნა-ბ ა რ ა კ-ღ-ე ბ-ი ადგილის სახელი ტყეში (დ. თიანეთი); ნა-ბ ი ნა-ვ-რ-ე ბ-ი — ადგილი, მამული (ს. დულუ-

<sup>8</sup> თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 155.



ზაურები); ნ-ა-გ ო მ უ რ-ლ-ე ბ-ი — ნანგრევებიანი ადგილი (ს. შარახევი); ნ-ა-გ უ ბ-რ-ე ბ-ი — სახნავი ადგილის სახელები ს. ჯიჯეთსა და ს. დულელეებში; ნ-ა-დ ი-კ-ვ-რ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. ახალსოფელი); ნ-ა-ვ ე-ძ-რ-ე ბ-ი — სახნავი მამული (ს. ტუშურები); ნ-ა-ო რ მ-ო-ვ-ლ-ე ბ-ი — მამული, საძოვარი, ამჟამად ხელოვნური ფიჭვნარია გაშენებული (ს. ტოლანთსოფელი); ნ-ა-ქ ო ხ-ვ-რ-ე ბ-ი — მამული, ველტყიანი ადგილების სახელები ს. დულუზაურებსა და ს. ტუშურებში; ნ-ა-ქ უ რ-ა-ვ-ლ-ე ბ-ი — ადგილის სახელი ს. ყებოტაში, მდ. ივრის მარცხენა ნაპირზე; ნ-ა-ც ი ხ-ვ-რ-ე ბ-ი ადგილი; ბუჩქნარი მინდორი, ნანგრევებით (ს. ახალსოფელი); ნ-ა-ჯ ა-გ-რ-ე ბ-ი — მამული, საძოვარი (ს. ხევსურთსოფელი) და სხვ.

შეინიშნება სახელთა ერთი წყებაც. რომლებშიც -ებ სუფიქსის დართვა ნ-ა-ვ, -ე-ვ, -არ (||-ალ) წინავითარების სუფიქსების რედუქციას ვერ იწვევს: ნ-ა-ა ს-ლ-ა-რ-ე ბ-ი — სახნავ-სათესი მამულები (ს. წიკვლიანთკარი); ნ-ა-ბ ო ს-ტ-ნ-ა-რ-ე ბ-ი — სახნავი მამულები (ს. შარახევი); ნ-ა-თ ა-თ-რ-ა-ლ-ე ბ-ი — ველტყიანი მამული; ადგილი (ს. ომარაანი); ნ-ა-რ უ ს-ა-ლ-ე ბ-ი — საძოვარი; სათიბი (ს. დულელეები); ნ-ა-ს ა ხ-ლ-ა-რ-ე ბ-ი — მინდორი; ამჟამად ხეხილის ბაღია გაშენებული (ს. მამადაანები); ნ-ა-ს ა ხ-რ-ა-ლ-ე-ე ბ-ი — სახნავი მამული (ს. გორანა); ნ-ა-ხ ი ზ-ნ-რ-ე ბ-ი — სასაძოვრე მამული; ამჟამად ხელოვნური ფიჭვნარია იქ გაშენებული (ს. დულელეები) და სხვ.

წესისამებრ უნდა გვეჩინოდა: ნ-ა-ა ს-ლ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-ბ ო ს-ტ-ნ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-თ ა-თ-რ-ლ-ე ბ-ი, ნ-ა-რ უ ს-ლ-ე ბ-ი; ნ-ა-ს ა ხ-ლ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-ს ა ხ-რ-ლ-(ე)-ე ბ-ი, ნ-ა-ხ ი ზ-ნ-რ-ე ბ-ი და სხვ. (შდრ. ნ-ა-ს ე ი-ლ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-ვ ე-ძ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-გ უ ბ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-შ ე-შ-რ-ე ბ-ი, ნ-ა-ვ ო მ უ რ-ლ-ე ბ-ი, ნ-ა-ბ ა რ ა-კ-ლ-ე ბ-ი, ნ-ა-ვ ა-რ ე ხ-ლ-ე ბ-ი...).

ჩვენი აზრით, ზემოდასახელებულ მაგალითებში -ებ სუფიქსის დართვა წინამავალი სუფიქსების რედუქციას ვერ იწვევს იმის გამო, რომ აქ ფონეტიკური დაბრკოლებები ჩნდება. კერძოდ, რედუქციის შემთხვევაში გვექნებოდა თანხმოვანთა ისეთი თავმოყრა, რომელიც ქართული სამეტყველო ორგანოებისათვის უცხო და უჩვეულოა:

**სღრ** (ნასღრები), **სტნრ** (ნაბოსტნრები). **თრლ** (ნათათრლები), **ხლრ** (ნასახლრები), **ხრლ** (ნასახრლები), **ჰნრ** (ნახიჰნრები) და სხვ. ყველა სხვა შემთხვევაში ასეთ თანხმოვნებს შორის ხმოვანთა მოქცეული და რედუქციაც შესაძლებელი ხდება: ნაბა(რაკლ)ები, ნაგო(მურლ)ები, ნა(გულბრ)ები, ნა(ვეძებრ)ები, ნასა(დგომბრ)ები, ნასა(კირლ)ები, ნა(სვილბრ)ები, ნა(ქობხრ)ები, ნა(შეშბრ)ები და სხვ. (გამონაკლისს წარმოადგენს ტოპონიმი ნ-ა-რ უ ს-ა-ლ-ე ბ-ი, რომელიც, წესისამებრ, ნ-ა-რ უ ს-ლ-ე ბ-ი ფორმით უნდა შეგვხვედროდა.

პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებიდან აღსანიშნავია აგრეთვე **სა-ე**, **სა-ო**, **სა-ელ**, **სა-ურ** და სხვ. აფიქსებით ნაწარმოები სახელები. ისინი რიცხობრივად არ ჩამოუვარდებიან **ნა** — **არ** (||-ალ), **ნა** — **ევ**, **ნა** — **ებ** აფიქსებით ნაწარმოებ სახელებს.

**სა — ო:**

ს-ა-ლ ო რ ო-ვ-ლ-ო — სახნავ-სათესი მამულები (ს. ქვემო ნაქალაქარი); ს-ა-თ ე-მ-ო — სახნავ-სათესი მამულები (ს. ნადოკრა). „ესა ყოფილა გაუყობელი მამული. მერე და მერე სოფლურად გაუყვიათ“ (ნიკა ანდროს ძე ხამხაძე). ს-ა-ნ ა-ქ ე-ბ-ო — ღრმა ხევი (ს. მაგრანეთი) „ძან ღრმა ხევი, ეგეთა ერთიც არ იქნება მთელ ამ ერწოში. იმიტო თუ დააქვივნეს (ამირან ნიკოლოზის ძე ფეტ-

ვიამვილი); ს ა-ნ ა ხ ი რ-ო — სახნავ-სათესი მამულები (ს. ახალსოფელი) (ეგვე ტოპონიმი მამულის სახელად დასტურდება ს. გოჯიანებშიც); ს ა-პ ი რ ი-ქ ი თ-ო — ტყე (ს. კვერნულა); ს ა-რ უ ს-ო — პატარა სათიბი მამული (ს. ბოკონი); ს ა-ს ა მ ხ რ-ო — სახნავი (ს. ზოფცა); ს ა-ყ ა ს პ-ო — ახო; სახნავი; სათიბი (ს. ახალსოფელი); ს ა-ყ ე ი ნ-ო — დიდი ტრიალი მინდორი (ს. მელიასხევი). „ძველათ მანდ იკრფებოდნენ ბერაქები, იცოდა დიდი ჭიდაობა. მთელი ეს ზემო და ქვემო ერწო აქ ამოდიოდა“. (ენუქ ალექსანდრეს ძე წიკლაური).

### ს ა — ე :

ს ა-ღ ა თ ვ-ე — ტყიანი ადგილის სახელები ს. გორანასა და ს. საყრეჭიოში; ს ა-თ ა ვ-ე — მუხნარი ტყე; ნაყრძალი (ს. ლიშო). „მთელი ეს წყლები მანდენან ვადადის საგარეჯოსაკე. მაღალი ადგილია (დარო თვედორეს ასული ბეწუქელი); ს ა-თ ი ხ-ე — მინდორი. ამჟამად კოლმეურნეობის ბაღია გაშენებული (ს. ყებოტა); ს ა-თ ი ბ-ე — სათიბი, საძოვარი (ს. თოლენჯი). აქაურ მეტყველებში ს ა თ ი ბ ი ს ნაცვლად გვხვდება ს ა თ ი ბ ე ან ორმაგბრეფიქსული ს ა ს ა-თ ი ბ ე ფორმები (შდრ. ადგილის სახელი ს ა ს ა ძ ო ვ რ ე ს. მელიასხევი);

ს ა-კ უ რ ა ტ-ე — სახნავი ადგილი (ს. გოჯიანები); ს ა-ლ უ დ-ე — მამული; საძოვარი (ს. გოჯიანები); ს ა-ნ ა ლ ო-ე — ადგილი ტყეში (ს. ხევსურთსოფელი); ს ა-ს ი პ-ე — ადგილი ივრის ჭალებში (ს. ყუდრო); ს ა-ღ ა ნ ძ ი ლ-ე — საძოვარი მამულები (ს. ზარძიები); ეგვე მიკროტოპონიმი ტყის სახელად დასტურდება დ. თიანეთშიც. ს ა-ჭ უ რ-ე სახნავ-სათესი მამული (დ. თიანეთი). (თიანეთთან ახლოს არსებობს სოფელი საქურეც). ს ა-ხ ბ ო რ-ე — მამული, ხელოვნური ტყეა გაშენებული (ს. ტოლანთსოფელი);

აქვე უნდა განვიხილოთ სახელთა ერთი წყებაც, რომლებიც **ს ა — ე** აფიქს-ზე ა ხმოვანს დაირთავენ, რის შედეგადაც -ე სუფიქსი რედუქციით ი ხმოვნად იქცევა და ვლგებულობთ **ს ა — ი ა** აფიქსს: **ს ა — ი ე < ს ა — ე + ა**.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი წარმოების სახელები დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკისათვის არის უფრო დამახასიათებელი<sup>9</sup>. ეჭვს გარეშეა, რომ აქაც **ს ა — ი ა < ს ა — ე + ა**; **ს ა მ ტ რ ე დ ი ა** (<ს ა-მ ტ რ ე დ-ე + ა), **ს ა თ ა ფ ლ ი ა**, **ს ა კ ა ყ ი ა** (ცნობილი გამოქვამულები ქუთაისთან ახლოს) (<ს ა-თ ა ფ ლ-ე + ა **ს ა-ყ ე-ე + ა**), **ს ა ლ ო რ ი ა** — ტყის მსავე იმერეთში (<ს ა-ლ ო რ-ე + ა) **ს ა პ რ ა-ს ი ა** — სოფელი ვანის რაიონში (<ს ა-პ რ ა-ს-ე + ა), **ს ა კ ო ხ ი ა** — სოფელი საჩხერის რაიონში (<ს ა-კ ო ხ-ე + ა), **ს ა ქ ა ს რ ი ა** — სოფელი ორჯონიკიძის რაიონში (<ს ა-ქ ა ს რ-ე + ა) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ **ს ა — ი ა** აფიქსი პროდუქტიული ჩანს დასავლეთ საქართველოს როგორც მიკროტოპონიმიკაში, ისევე მაკროტოპონიმიკაში. აღმოსავლეთ საქართველოს მაკროტოპონიმიკაში წარმოების ეს ტიპი არ გვხვდება. გვხვდება მხოლოდ თიანეთის (ნაწილობრივ დუშეთის) რაიონში და ისიც მის მიკროტოპონიმიკაში. ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიკაში **ს ა — ი ა** აფიქსიანი სახელების წარმოებას ჩვენ ფშაური დიალექტის თავისებურებად ვთვლით. ფშაურის მიკროტოპონიმიკის გამოწვლილებითი შესწავლა ამ ვარაუდს ალბათ უფრო მარწმუნოს გაზნის.

### ს ა — ი ა :

ს ა-ბ ა ყ ა ყ ი ა — ადგილის სახელი ს. ჩეკურაანთგორში; ს ა-ღ ა თ ვ-ი ა — სათიბი მინდორი (ს. ლულელები); ს ა-ტ ა ლ-ი ა — ფერდობი მამული; საძოვარი. აღრე იხვებოდა (ს. ჭიჭეთი); ს ა-შ ვ ლ-ი ა — ველტყიანი მამულები ს. სა-

<sup>9</sup> თ. ზურაბიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

ხევი; ს-ა-ყ უ ჩ-ი ა — ტყიანი ადგილები, ხეები (ს. ჩაბანო); ს-ა-ჯ ვ არ-ი ა — სალოცავი ადგილი; ხატი (ს. ვეძათხევა).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყველა ასეთი მიკროტოპონიმი მხოლოდ ფშვლებით დასახლებულ სოფლებში დასტურდება. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ აქაური სა — ია აფიქსიანი სახელები ფშვური დიალექტის თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში საკმაოდ იშვიათია სა — ურ და სა — ელ აფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები.

სა — ურ:

ს ა ბ ა დ-უ რ-ი — დიდი ტყიანი მთა. მთას შუაზე ჰკვეთს თბილისიდან თიანეთისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა. („ცხვარიძამიას რო გავცდებით, მერე საბადურის მთა იწყება და სუ საბადურია, სანამ ერწოში არ გადავალთ, ლულე-ლებში“). ს-ა-ყ ა ნ-უ რ-ი — სახნავ-სათესი მამულები; საძოვრები (ს. ლიშო).

სა — ელ:

ს ა თ ი ბ-ლ-ე ბ ი (<სათიბ-ელ-ებ-ი) — სახნავი; საძოვარი (ს. გორანა); ს ა ც ი ლ ო ბ-ე ლ-ი — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. ბოდახევა). „მომიჯნავეები თუ ეცილებოდენ ერთიმეორეს ამ ადგილებსა“. ს-ა-ხ ვ ე წ-ე ლ-ა — მამული, ველ-ტყიანი ადგილი, სათიბი (ს. სხლოვანი); „აქ იდგა ბევრი პანტა, მსხალი და ხის ჯამებსა ჰხვეწდენ“. ს-ა-ხ ნ ა უ რ-ე ლ-ი — ვრცელი სახნავი მამულები (ს. გორანა). (შდრ. მიკროტოპონიმი „ს ა ხ ნ ა უ რ ე ბ ი“ (ს. ფიტავი, ანანურის სას საბჭო).

### III. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები

ერწო-თიანეთის ტოპონიმოლოგიური ნომენკლატურიდან ყურადღებას იქცევს სიტყვათშეერთებით ნაწარმოები მიკროგეოგრაფიული სახელები. სახელთა წარმოების ეს საშუალება ძალზე პროდუქტიული ჩანს საერთო ქართულ ტოპონომოლოგიაში.

სიტყვათშეერთებით ნაწარმოები რთული გეოგრაფიული სახელები ქართულში გარკვეული წესის მიხედვით ფორმდებიან<sup>10</sup>. ისინი მსაზღვრელ-ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი ა ნ, ა გ რ ე თ ე ვ ს ა ზ დ ვ რ უ ლ-მ ს ა ზ დ ვ რ ე ლ ი ა ნ ა ნ უ შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი რ ი გ ი ს რ თ უ ლ სახელთა კონსტრუქციებს ქმნიან.

ერწო-თიანეთის მიკროტოპონიმიაში ყველაზე ხშირად მს ა ზ დ ვ რ ე ლ-ს ა ზ დ ვ რ უ ლ ი ა ნ ი რთული სახელები გვხვდება. გაცილებით იშვიათად დასტურდება შებრუნებული წყობის (საზღვრულ-მსაზღვრელიანი) სახელები. ეს არცაა ვასაკვირი, რადგან საზღვრულ-მსაზღვრელიანი სახელები, საერთოდ, არც თუ ისე ხშირია ქართულ-ქართველურ ტოპონიმოლოგიაში.

მსაზღვრელ-საზღვრულიანი სახელებიდან ყველაზე დიდ ჯგუფს გ ე ნ ე ტ ი უ რ-მ ს ა ზ დ ვ რ ე ლ ი ა ნ ი მიკროტოპონიმოლოგიაში სახელები ქმნიან. ასეთ მიკროტოპონიმებში პირველ კომპონენტად, როგორც წესი, ნათესაობითი დასმული საზოგადო ან საკუთარი არსებითი სახელი გვხვდება, მეორე კომპონენტად კი — სახელობითი დასმული გეოგრაფიული ტერმინი: გორი/ა, ვაკე, ველი, ზურგი, თავი, კარი, მამული, უბანი, ღელე, წყალი, წყარო, ჭალა, ხევი და ა. შ. აღნიშნული გეოგრაფიული ნომენკლატურული ტერმინები წარმოადგენილია მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმით. მსაზღვრელი ორსავე რიცხვში გვხვდება, მხოლოდითშიც და მრავლობითშიც, ოღონდ მრავლობითში

<sup>10</sup> ზ. ჰ უ მ ბ უ რ ი ძ ე, მსაზღვრელ-საზღვრულის ადგილისათვის ქართველურ ენებსა და აფხაზურში.



დასმული მსაზღვრელი უფრო ხშირად ნარ/თანთან მრავლობითში გვხვდება, ვიდრე -ებ-იანში.

მსაზღვრელი ნარ/თანთან მრავლობითშია:

ანდრიაანთ უბანი — ს. გორანას ერთ-ერთი უბანი; ანდრიაანთ ნასადგომრები — მინდვრები, ველტყიანი ადგილები (ს. დორეულები); ბეწუქელთ ნაბინავარი — საძოვრები (ს. მაგრანეთი); გორჩა-ლელთახო — მინდვრები, სათიბი (ს. ლულელები); კეკელთახო — მინდორი, სათიბი (ს. ლულელები); ოთარაანთახო — სახნავი მამულე-ბი (ს. ახალსოფელი); ეულაკათტაფი — ველტყიანი ადგილი (ს. ქუშხევი); ტალავერთველი — მინდორი, ველტყიანი ადგილი (ს. ლელოვანი); ფილაურთგორი — მინდვრები, შემადლებული ადგილები (ს. ჩაბანო); ფილაურთგორის თავადმეები — სახნავი მამულები (ს. ჩაბანო); ქუშანაანთგორა — ველი; მოზრდილი ზეგანი. არქეოლოგიური გათხრების უბანი (ს. თრანი); ყორაანთხევი — დიდი და დრმა ხევი (ს. საყდრონი); შიოქიანთველები — საძოვარი, მინდორ-ველები (ს. ორხევი); შუშანაანთწყარო — წყარო; ადგილი (დ. თიანეთი); ჭართა-ლელიანთახო — სახნავ-სათესი მამული (ს. ახალსოფელი); ხიბლანთჭყანტი — სათიბი (ს. მამადაანები); ჯაბანიანთნახოცები — ველ-ტყიანი ადგილი (ს. თეგერანები).

მსაზღვრელი -ებ-იან მრავლობითშია:

გეჯებისწყალი — წყარო (ს. ომარანი); დგნალებისწყარო — წყარო (ს. ტუშურები); კალოებისთავი — სახნავი მამულები (ს. ტუშურები); ლამებისგორი — ველტყიანი გორაკი, სახნავი (ს. ევენტი); მუნჯებისჭალა — ჭალა, ტყიანი ადგილი მდ. ივრის პირას (ს. ყუდრო); ნაბაკრებისწყალი — წყარო (ს. ბალებსხევი); ნატუსებისგორი — სათიბი; საძოვარი (ს. ალაჭანი); ნაქედლებისბოგირი — ადგილის სახელი (ს. ებოტა); ორმოებისგორი — ველტყიანი ადგილი (დ. თიანეთი, ს. თოლენჯი, ს. თეთრახევი); ქატებისველი — სათიბი მამული (ს. ომარანი) „ქატი არი ბალახი, უშვებს ღერს, როგორც ჩადუნა. აქვს პტყელი ფოთოლი“ (ანა ივანეს ასული ხუციშვილი). რუსებისნაქოხარი — ადგილი ტყეში (ს. ყუდრო); საკირეებისხევი — პატარა წყლიანი ხევი (ს. საყდრონი); საყდარეებისხევი — პატარა მდინარე, ხევი (ს. სიმონიანთხევი); ფიჭებისნაგლეჯი — ტყე (ს. ლელოვანი); ფერსუებისწყარო — წყარო (დ. თიანეთი); ფსვლიკებისსაგოგავი — სახნავ-სათესი მინდვრები (ს. ტუშურები); ქიზიყელებისწყარო — წყარო; ადგილი (ს. ზარძეები); ჩიტებისწყარო — წყარო (ს. საყდრონი) „ბევრი ჩიტი მიდის ამ წყალზე ძაანა“ (ვ. დოლიძე); ჯორებისქედი — ტყიანი ადგილი. ქედი (ს. ნადოკრა) და სხვ.

როგორც ზემოდასახელებული მაგალითებიდან ჩანს, მიკროტოპონიმებში მსაზღვრელი ნარ/თანთან მრავლობითში მაშინ დგას, თუ იგი საკუთარი სახელია (ადამიანთა გვარი ან სახელი); ებ-იან მრავლობითში კი მსაზღვრელი მაშინ შეგვხვდება, თუ ის საზოგადო არსებითი სახელია: გეჯებისწყალი და არა გეჯთწყალი, დგნალებისწყარო და არა დგნალთწყარო, კალოებისთავი და არა კალოთთავი, ლამებისგორი და არა ლამთგორი, ქატებისველი და არა ქატთველი, რუსების

ნაქოხარი და არა რუსთ ნაქოხარი, ფიჭვეების ნაგლეჯი და არა ფიჭვეთ ნაგლეჯი და სხვ. მაგრამ: ან დრიაანთ უბანი და არა ან დრიაანების უბანი, არდაზიანთ ნასადგომრები და არა არდაზიანების ნასადგომრები, ბეწუკელთ ნაბინავარი და არა ბეწუკლების ნაბინავარი, ოთარაანთ ახო და არა ოთარაანების ახო, ქულაკათ ტაფი და არა ქულაკების(?) ტაფი და სხვ.

### ატრიბუტულმსაზღვრელიანი მიკროტოპონიმიკური სახელები

ატრიბუტულმსაზღვრელიანი მიკროტოპონიმიკური სახელები ერწო-თიანეთის ტერიტორიაზე ძირითადად იმგვარადვე იწარმოებიან, როგორც, საერთოდ, ქართულ-ქართველური ტოპონიმიკური სახელები. გვაქვს პირდაპირი წყობის ატრიბუტულმსაზღვრელიანი და შებრუნებული წყობის (საზღვრულ-მსაზღვრელიანი) ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები; გენეტიურმსაზღვრელიან სახელთა აბსოლუტური უმრავლესობა პირდაპირი წყობისაა (მსაზღვრელ-მსაზღვრულიანი), იშვიათია შებრუნებული წყობის მიკროტოპონიმები (საზღვრულ-მსაზღვრელიანი).

### პირდაპირი წყობის ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები

ახალი გზები — ადგილის სახელი ტყეში (დ. თიანეთი); ბატარავლუანი — სახნავი, საძოვარი (ს. ქუშხევი); ვიწრო მგლისხურვა — ტყიანი ადგილი. საძოვრები (ს. მაგრანეთი); მრავალწყარო — წყარო (ს. მაგრანეთი); ტკბილწყალი — წყარო (ს. დორეულევი); ყრუგულა — სახნავი მამული (ს. ხოფცა); შავწყლები — დიდი წყლიანი ხევი (ს. მაგრანეთი); ხუთპანტები — სახნავი მამული (ს. ძებნიაურები); მწვეტაგორა — მაღალი გორაკი, მთა (ს. ყუდრო, ს. ახალსოფელი); ორმამულატყე — ტყიანი ადგილი (ს. ნაჭრიანი); უთხოვრიანგორი — მამული, საძოვარი (ს. ყუდრო); ხანძილიანტაფი — ტყე, მინდორი (ს. ომარაანი); ხუნწიანტაფი — მინდორი, საძოვრები (ს. ქუშხევი).

### შებრუნებული წყობის ატრიბუტულმსაზღვრელიანი სახელები

როგორც აღვნიშნეთ, შებრუნებული წყობის სახელები ერწო-თიანეთის მიკრო და, მით უმეტეს, მაკროტოპონიმიკაში იშვიათია. ასეთი ტოპონიმები ძირითადად ან რელიგიურ-საკულტო სახელებთან არიან დაკავშირებულნი, ან სიტყვა „ქვასთან“, აგრეთვე „კლდესთან“ (ქვა|კლდე). ყველა ასეთი სახელი კომპოზიტად ფორმდება:

კლდეწითელი — ტყე (ს. თეთრახევა, ს. წიკვლიანთკარი); მთაწმინდა — დიდი, მაღალი მთა, ალპური საძოვრებით (ს. ზემო არტანი); ქვაკაცა — ადგილის სახელი, საძოვარი (ს. ქუშხევი); ქვაკეცრა — ტყე (ს. თეთრახევა); ქვაკიბე — საძოვრები (ს. სიმონიანთხევი) და სხვ.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

## ზნა სურგულაძე

### ტერმინ „წერის“ ხმარების ზოგიერთი შემთხვევა ძველ ქართულში

წერის პროცესის აღმნიშვნელ ძირითად ტერმინად ქართულში „წერა“ იხმარება. მისგან სხვა ტერმინებიც წარმოდგებიან, რომლებიც განსხვავებულ კონტექსტში განსხვავებულ ცნებებს გადმოსცემენ. თითოეული მათგანი გარკვეულ ინტერესს ქმნის და კვლევის განსაზღვრულ სფეროში ექცევა. მაგრამ მათი ყოველი კონკრეტული მნიშვნელობის დასადგენად აუცილებელია თვით სიტყვა „წერის“ ვრცელი სემანტიკური სამყაროს გათვალისწინება.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით წერა არის კალმის მოსმა, დახატვა<sup>1</sup>. ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებელი ივანე ჯავახიშვილი საბასეული „წერის“ შესახებ ამბობს, რომ „ეს განმარტება ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა არ არის, როგორც წერტილი თავდაპირველად ჩხვლეტას ეწოდებოდა და მხოლოდ შემდეგ ტერმინად იქნა ქცეული, წერის მნიშვნელობასაც თავისი ისტორია უნდა ჰქონოდა. ბერძნული *γράφω*, რომელიც გერმანულ *kerben*-ს ენათესავება, ჯერ ამოფხაჭნას ნიშნავდა და მხოლოდ შემდეგ წერას. ამგვარად, წერის თავდაპირველი მნიშვნელობა არის გამოსარკვევი“<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ საბას ლექსიკონში „წერის“ გვერდით განმარტებულია წერიდან ნაწარმოები სხვა შინაარსის სიტყვები: „წერული“ — ყანის ნაკრეფი, შეკონილი, ე. ი. მოჭრილი, „წერი“ — საწერავი, ამოწერილის საღებავი<sup>3</sup>.

„წერის“ მნიშვნელობათა ასპექტებს სხვადასხვა თვალსაზრისით სხვა მეცნიერებებიც შეეხნენ. გ. ჩიტაია ქართული სამიწათმოქმედო იარაღების კლასიფიკაციის დროს პირველ რიგში კავწერასა და კავს აღნიშნავს, რომელთა დანიშნულებას მიწის გაქექვა-აწერა წარმოადგენდა<sup>4</sup>. კავწერის მსგავს იარაღად თვლის ნ. ბერძენიშვილი „საწერას“. იგი აღნიშნავს: „საწერა“ მიწის პირს კი არ ანგრევს, არამედ სერავს და ფართავს მას. მისი ნაკვალევი წარმოადგენს არა ორნატს, არამედ „ნაწერას“, „საწერა“ და „კავწერა“ — მიღებულია ზმნა „წერასაგან“ ე. ი. მიწის გაწერისაგან, რაც ძველადვე წვეტიანი იარაღის საშუალებით ხდებოდა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, VI, თბ., 1966, გვ. 370.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1926, გვ. 47.

<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი IV, თბ., გვ. 371.

<sup>4</sup> გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი. ენიმკის მოამბე, 1, 1937, გვ. 248, 258, 269. მისივე „ქსნური მთის გუთანი, ენიმკის მოამბე V—VI, 1940, გვ. 481, მისივე, რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი, თბ., უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVIII, 1941, გვ. 185, 187.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი, პირველყოფილი მიწათმოქმედების ისტორიისათვის საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1956, 11, გვ. 292.



ქართული ანბანური დამწერლობის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ტერმინ „წერას“ ყურადღება მიაქცია ს. ჯანაშიამაც. მისი აზრით, „წერა“ თავ-დაპირველად ნიშნავდა ჭრას, კვეთას. აქედან წარმოდგება წერაქვი, ე. ი. ქვის საკვეთი ხელსაწყო, აგრეთვე წერეული, საწერელი... იგი ითვალისწინებს აგრეთვე „წერტილისა“ და „წერტვის“ მნიშვნელობებს და ასკვნის, რომ ორივე ეს ტერმინი (ე. ი. წერა და წერტვა), „განეკუთვნება იმ დროს, როცა წერა მაგარ მასალაზე ამოჭრა-ამოკვეთის პროცესს წარმოადგენდა“<sup>6</sup>.

დიალექტოლოგიური მასალის შეკვრების საფუძველზე ი. ქავთარაძე უჩვენებს, რომ „წერას“ ჭრისა და კვეთის მნიშვნელობა დღემდე შერჩენია<sup>7</sup>.

წერა რომ მიწის გაღარვა-გასერვას აღნიშნავდა, გარდა ეთნოგრაფიული და დიალექტოლოგიური მასალისა, ქართული წერილობითი მონაცემებითაც მოწმდება. ასე მაგალითად, მოციქულთა მიმოსვლის აპოკრიფულ ვერსიაში ვკითხულობთ:

...ამის შემდგომად გამოწერასა ხუთისა ქუეყანასა ზედა<sup>8</sup> (ე. ი. მიწაზე ჯერის გამოსახულება გამოხაზა).

ბერძნულ ტექსტში შესატყვისი ადგილას ნათქვამია:

και μετὰ τῆς αὐτῆς ἐχάρωξεν τῆς ἐκκλησίας καὶ ἐποίησεν ὁμοειδητάς τῃ ἐκκλησίᾳ<sup>9</sup>.

ქართული „გამოწერის“ ბადალად ნახმარი ბერძნული *χαράσσω* ნიშნავს კაწრვას, ხაზვას, ხაზის გავლებას.

საინტერესო მაგალითია სვიმონ ნესევის ცხოვრებაშიც:

...ხოლო ნეტარი სვიონი იხარებდა სულითა წაღთა და მზარულთა პაჩათა პეტელე მემტილე - სა მას: ამა ესერა მე მოესწერ მტლასა თათთა ოლასა ჩინთა ოკქეთითა და რაქმა მოვიდეს მტელი შემოსვლად მტლასა მას, იგუეშოს და დაეკეს მელდარა<sup>10</sup>.

აქ „მოესწერ“ ნიშნავს: შემოვსერავ, რასაც ადასტურებს ცხოვრების ბერძნული ტექსტის სათანადო ადგილი:

Ἰδὸς ἐγὼν περιχαράκωθαι τὸς ἀήτους ἐκείνους διακρίψαι τὸν Κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ τὸν σὺν τὸν θεῷ, καὶ τὸ ἐπιχειρεῖν θύριον ἐν αὐτοῖς εἰσελθεῖν πλεῖν ἀράται πανεῖται<sup>11</sup>.

მართლაც, „მოწერის“ შესატყვისად ნახმარი *περιχαράκωθαι* ნიშნავს შემოსერვას, შემოზღუდვას.

იგივე შემოსერვას უნდა ნიშნავდეს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ნახმარი ტერმინი „გარეშეწერა“ იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია სამონასტრო მიწების მოზომვაზე: „ხოლო ჩუენ გუენება, რაათა გარეშეწერით შემოვლოთ სიმრგულე მათ ადგილთა“<sup>12</sup>.

<sup>6</sup> ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, წრომები, III, თბ., 1959, გვ. 192.

<sup>7</sup> ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, 1959, გვ. 385.

<sup>8</sup> ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ, ც. ქურციკიძის გამოც., თბ., 1959, გვ. 41, 34.

<sup>9</sup> Bonnet, Acta apostolarum apocrypha, Lipsiae, 1898, გვ. 114.

<sup>10</sup> ცხოვრება სვიმონ მესუეტისა, კომენი I, კ. კეკელიძის რედ., თბილისი, 1918, გვ. 302.

<sup>11</sup> La vie ancienne de S. Symeon Stylite la leune, Publiée par Paul Van den Ven, Société des Bollandistes, Bruxelles, 1962, გვ. 156.

<sup>12</sup> ბასილი ზ ა რ ზ მ ე ლ ი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ძველი ქართული ავოკრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 328.

წერის ხმარებას ხაზის გავლების, ამოჭრა-ამოკვეთის მნიშვნელობით ადასტურებს აგრეთვე ქართული ორნამენტის ხალხური სახელწოდებანი: მირგვალა წრებში, დირგვალა ჩაწერილი და სხვა<sup>13</sup>. როგორც ვარაუდობენ, ამ სახელწოდებებში მიკვლეული უნდა იყოს გამოსახულების შესრულების უძველესი ტექნიკური წესი. სახელდობრ, მაგარ მასალაზე ამოჭრა-ამოკვეთა<sup>14</sup>. ამ მოსაზრებას ადასტურებს „წერის“ ხმარება შემდეგ მაგალითშიც: „ერთ მხარეს ერთი მეფე ესაფლავა. პირდაპირ — დედოფალი, მისი მეუღლე, ერთს საფლავეზე ეწერა აჩრდილი, მეორეზე აღარც აჩრდილი“<sup>15</sup>.

გამოსახულების „წერით“ შესრულების პროცესს თავის მხრივ გავლენა უნდა მოეხდინა „წერის“ სემანტიკურ ველზე. გარდა ჭრისა და კვეთისა, წერას დაეკისრა ხატვის ცნების გამოხატვა (იგულისხმება ხატვა ზოგადად, სხვადასხვაგვარი ტექნიკით).

როგორც ცნობილია, ორნამენტი გარკვეულ რელიგიურ კონცეფციას აღმოსცემს და ამდენად იგი იდეოგრამას წარმოადგენს<sup>16</sup>. ასეთ იდეოგრამათა შესრულების აღსანიშნავად „წერის“ ხმარებამ ერთგვარი „იდეური“ საფუძველი შეუქმნა ამ ტერმინს, ქართული დამწერლობის შემოღების შემდეგ ასონიშნავად გამოყენების პროცესი აღენიშნა. ხოლო რადგან „წერა“ მაგარ მასალაზე ამოჭრა-ამოკვეთას ნიშნავდა, ეს პროცესი რეალურად უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ასოთა მაგარ მასალაზე ამოჭრა-ამოკვეთა<sup>17</sup>.

„წერის“ ამგვარი მნიშვნელობით ხმარების კვალი წერილობით ძეგლებშიც არის დატული<sup>18</sup>.

მაგალითად: შემდგომად ათისა დღისა მოვიდა იგი... და კეცა ზედა დეწერა ესრეთ...<sup>19</sup>

და პრქუა უფალან მოსეს: აღმოვედ ჩემდა მთად, და იყავ მუნ, და მოკუეე უშენ ფიცარი იგი ექვისანი, შჯული და მცნებანი ჩემნი, რომელი დავეწერე შჯულს ღებად მათთა.<sup>20</sup>  
... და ცოდვად იუდასი და წერილ არს წიგნსა შინა რკინისა ფრცხლითა აღმანტისაჲთა.<sup>21</sup>

მოყვანილ მაგალითებში „წერა“ აღნიშნავს მაგარ მასალაზე (ქვა, თიხა, რკინა) ასოთა გამოყენებას ამოჭრა-ამოკაწრვის წესით. ამ მნიშვნელობით „წერის“ გამოყენება კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს, რადგან იგი მიუთითებს ქართული დამწერლობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, სახელდობრ იმ ხანაზე, როცა „წერა“ იხმარებოდა კონკრეტ-

<sup>13</sup> გ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ხალხური ორნამენტი, თბილისი, 1939, გვ. 9, 22.

<sup>14</sup> И. К. С у р г у л а д з е, Астральная символика в грузинском народном орнаменте, автореферат, Тбилиси, 1967, стр. 7.

<sup>15</sup> სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, მოგზაურობა ევროპაში, თხზულებანი I, თბილისი, 1959, გვ. 185.

<sup>16</sup> И. В. И с т р и н, Возникновение и развитие письма, М., 1965, გვ. 62. Д. Д и р и г е р, Алфавит, предисловие И. М. Дьяконова, М., 1963, стр. 9.

<sup>17</sup> ს. გ ა ნ ა შ ი ა, შრომები III, თბილისი, 1959, გვ. 192.

<sup>18</sup> ჭრისა და ხატვის ცნებებთან წერის ეტიმოლოგიური კავშირი მართო ქართული მოვლენა არ არის. იგი ცნობილია ძველი დამწერლობის მქონე მრავალი ხალხის ენაში. ამის შესახებ იხ.: И. Лоукотка, Развитие письма, М., 1950, стр. 17, А. Мейе; Введение в сравнительное изучение индоевропейских языков, М.-Л., 1938, გვ. 338, В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М., 1949, стр. 69.

<sup>19</sup> იო ა ნ ე მ ო ს ხ ი, ლიმონარი, ი. აბულაძის გამ., თბილისი, 1960, გვ. 49.

<sup>20</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H 1207, 143r.

<sup>21</sup> იერემია, თავი 17, I, ოშკის ბიბლია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დატული Rt, XI, № 1.

ტულად მაგარ მასალაზე წერის მნიშვნელობით, ხოლო მისი გააზრება, როგორც ხაერთოდ წერისა (ყოველგვარი მასალაზე), მეორეულია.

ძველ ქართულში „წერის“ ძირითად ფუნქციას თვით წერის პროცესის გამოხატვა შეადგენს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, წერა და მისგან ნაწარმოები სხვა ტერმინები წერის თავდაპირველ მნიშვნელობებს ამკლავებენ. ერთ-ერთი ამგვარი ტერმინია „გამოწერა“.

ეს ტერმინი სისტემატურად გვხვდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში, როგორც ორიგინალურში, ისე თარგმნილში. მოგვეყვას მაგალითები: „ვი-თარცა-იგი მხატვართა მიამსგავსიან გამოწერით ხატთა მეფეთასა სახითა და შემკულებითა მათითა, და უწოდით ხატსა მას მეფე, ესრითვე ბუნებაჲ კაცი-საჲ, რამეთუ შექმნა იგი მთავრად... ცხოველთა ზედა...“<sup>22</sup>

ბერძნულ დედანში სათანადო ადგილას ნათქვამია:

Ὁμοσερ γάρ κατὰ τὴν ἀνθρωπίνην συνήθειαν οἱ τὰς εἰκόνας τῶν κφατῶν-  
των κατασκευάζοντες, τὸν τε χαρακτῆρα τῆς μορφῆς ἀναμαρτυροῦνται καὶ τῆ πε-  
ριβολῆ τῆς πορφύρας νῆν βίαια καὶ ἀξίαν συμπαράγραφοισι, καὶ λέγεται κα-  
τὰ συνήθειαν καὶ ἡ εἰκῶν, Βασιλεὺς<sup>23</sup>,

მოყვანილ კონტექსტში „გამოწერა“, რომელიც ბერძნულ *συμπαράγραφα*-ს შესატყვისადაა ნახმარი, ხატვას ნიშნავს.

იმავე ძეგლში ვკითხულობთ: „ხატსა, რომელი გამოწერის გელო-  
ვანთაგან მხატვართა, რადთა განაკვრვენ კაცინი, და გამოხატის ერთსა შინა თავ-  
სა ორი ხატი, ეგრეთვე მგონიეს კაცისათვის...“<sup>24</sup>.

ბერძნულშია:

...Καὶ μοι συγκεχαρήσθω κατὰ τινὰ πλαστῆν ἰμαματῶσιον διαγρά-  
ψαι τῶν λόγων τῆν ἀνθρωπίνην εἰκόνα...<sup>25</sup>.

აქაც „გამოწერა“ ხატვის მნიშვნელობითაა ნახმარი, ბერძნული *διαγράφω*-ს ბაღდაუ. *διαγράφω*-ს ისევე, როგორც *συμπαράγραφα*-ს ერთ-ერთ მნიშვნელობას ხატვა წარმოადგენს.

„გამოწერა“ ხატვის მნიშვნელობით გვხვდება ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ უძველეს რედაქციაში: „უკუეთუ ვიხილავს ღამესა წმიდასა შუენი-  
ერებაჲ იგი ვარსკულავთაჲ მითხრობელი, განვიზრახავს განმამზადებელისა  
მისთვის ყოველთაჲსა, თუ ვინ მოწერნა ცანი ესევეითართა ყუავილითა...“<sup>26</sup>

აქ, მართალია, საქმე ფიგურალურ გამოთქმასთან გვაქვს და „გამოწე-  
რა“ რეალურ მოქმედებაზე არ მიუთითებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იგი გა-  
აზრებულია როგორც ხატვა. ბერძნულში მისი შესატყვისის არის *διαποιεῖν*,  
რაც მორთვას და მოხატვას ნიშნავს:

εἴ ποτε σὺν, ἐν ἀνθρώποις, συκτερινῆν πρὸς τὰ ἀβήρητα κάλλη τῶν ἁστροῶν ἐνατενί-  
σας, ἔγνωσαν ἔλαφεις τοῦ τεχνίτου τῶν ἔλων, τῆς ὁ τοῖς, ἄνθεσι: τούτοις δια-  
ποιεῖ καὶ ἔλας τὸν σὺραγόν, καὶ ἔπαυ ἐν τοῖς ὄρωμαῖνοις πλέων τὸν περιπνοῦ τὸ  
ἐναγκαιόν ἔστι<sup>27</sup>.

<sup>22</sup> უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარ-  
გმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“, ი. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1964, გვ. 149.

<sup>23</sup> Migne, Patrologia Graeca, ტ. 44, გვ. 135.

<sup>24</sup> უძველესი რედაქციები... გვ. 186.

<sup>25</sup> Migne, P. G. ტ. 44, გვ. 192.

<sup>26</sup> უძველესი რედაქციები... გვ. 77.

<sup>27</sup> Migne, P. G. ტ. 29, გვ. 117.



ხატვის მნიშვნელობით ამ ტერმინის ხმარებას ადასტურებს ელ. მაჭავარიანი<sup>28</sup>. მაგრამ ტერმინი „გამოწერა“ მხოლოდ ხატვის ცნებას არ გამოხატავს ძველ ქართულში. იგი რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება.

ასტერი ამასიელის „შესხმა ფოკაისის“ ქართველი მთარგმნელი ხმარობს „მომწერელს“ მხაზველის მნიშვნელობით:

არა უკუშ ვერცა ვარსკულავი-მრითხველობისა სურვილსა განსწურთის სიტყუაჲ ოდენ სასწრაფოჲსა მიმართ, არა თუ კელოვნად სდეროჲსა მ ო მ წ ე რ ე ლ მ ა ნ მასწავლელჲსა წინაშე თუაღთა დაუღვას ცისა მოძრაობაჲ<sup>29</sup>.

ბერძნულ ტექსტში ეს ადგილი სხვაგვარად არის გადმოცემული, „მომწერლის“ შესატყვისი იქ საერთოდ არაა. მაგრამ მხოლოდ ქართული მთარგმანიც ცხადად უჩვენებს, რომ აქ ლაბარაკია სდეროს შემომხაზველზე.

ხაზვის ცნებას გადმოსცემს აგრეთვე „მიწერა“ სვიმეონ მესვეტის ცხოვრებაში:

და ამას სიტყუასა ზა იხილა ანგელოზი ოსაჲ და აქუნდა გელთა მისთა საზომი და ზომდა და მ ი ს წ ე რ დ ა ვარემოს მისა ადგილსა მას ვა სახესა მონასტრისისა. და მას შა გამოხატედა სახესა წ დთა ეკლესიათა...<sup>30</sup>.

ბერძნულში „მისწერდას“ შეესაბამება *διαγράφω*:

...Και ταυτα ἐπιτὸν θῆσαρῃ ἀγγέλῳ Κυρίου μέτρον κατέχοιτα και διαγράφωσθαι τῆν μοναστηρίῳ και ἐν ἀντὶ ἀγία ἐκκλησία...<sup>31</sup>

„გამოწერა“ ფილექტიონის წამებაში ტაძრის გარეგანი აღმკვლობის აღსანიშნავად არის ნახმარი.

და ვა მიიწია მეფე იგი ტაძრსა მას კერპთასა, ჰრქუა წ დასა მას: ჰხედავა ვრ პირად-პირად გამოწერილ და აღმკულ არიან შშენებული ესე და ფლოცნი ესე მარმარინოფენილი, სუეტნი და სუეტის თავნი ოქროცხებულნი<sup>32</sup>.

კონტექსტის მიხედვით „გამოწერილი“ ქვის (მარმარილოს) გამოჩუქურთმებას უნდა გულისხმობდეს. ამავე დროს იგი მასალის მხატვრული დამუშავების წესზე, სახელობრ, ქვის ამოჭრა-ამოკვეთაზე მიუთითებს.

სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში მის მიერ ნახული ეკლესიის აღწერილის ხმარობს „მოწერილს“:

...მომცრო ეკლესია იყო, მაგრამ უცხოელ შემკული იყო, სულ მოწერილი, მარმარილოთ იყო აშენებული. კედელი, სვეტი, თუ ხატის ყდები<sup>33</sup>.

ი. ქავთარაძე ამ ტერმინს მოყვანილ კონტექსტში შემდეგნაირად ხსნის: „მოწერილი თავისებურად მოხატული, ოქროს მსგავსი ხაზებიანია, ეტყობა მარმარილოს ჯიშის დასახასიათებლად გამოყენებული“<sup>34</sup>.

ვფიქრობთ, „მოწერილში“ ამ შემთხვევაშიც არა მარმარილოს ჯიში, არამედ მისი დამუშავება, კერძოდ ამოჩუქურთმება იგულისხმება.

მსგავსი მნიშვნელობითაა ნახმარი „გამოწერა“ ნისიმეს ცხოვრებაში:

<sup>28</sup> ელ. მაჭავარიანი, ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემკვლლობის აღმნიშვნელი ზოგერთი ტერმინის შესახებ, პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969, გვ. 108.

<sup>29</sup> ასტერი ამასიელი, შესხმა ფოკაისი, მ. კახაბის გამოც., ენიმკის მოამბე, 1944, XIV, გვ. 227.

<sup>30</sup> სვიმეონ მესვეტის ცხოვრება, კიმენი, I, გვ. 256.

<sup>31</sup> La vie ancienne de S. Syméon Stylite Le Jeune. Publiée par Paul Van den Ven. Société des Bollandistes, Bruxelles, 1962, გვ. 74, 12.

<sup>32</sup> კიმენი, I გვ. 133.

<sup>33</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 203.

<sup>34</sup> ი. ქავთარაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები, იბ. -კავკას. ენათმეცნიერება, XI, 1959, გვ. 386.

...და იყო კასრი მათი მოსხმული აბანოსითა და პილოჯს ძუალითა და სპილენძითა და კედლნი გამოწერილინი ხითა დანაკის კუდისაჲთა, ყლითურთ გამოხატულნი<sup>35</sup>.

აქ ნათქვამია, რომ ციხის კედლები დაფენილი იყო სპილოს ძვლისა და სპილენძის მოზაიკით, ხოლო კედლები დანაკის კუდით გამოწერილნი ანუ გამოძერწილნი.

ნისიმეს ცხოვრების არაბულ ვერსიაში „გამოწერილის“ შესატყვისად გვხვდება *صورة*:

<sup>36</sup> ... *وكان قصر هو مشا ساء .. والعاجز والخل وكانت جدرانها صورة*...

არაბ. *صورة* ნიშნავს გამოსახულს, მოხატულს. მის შესატყვისად „გამოწერილის“ ხმარება შემთხვევითი არ უნდა იყოს. იგი აქაც. ისევე როგორც წინა მაგალითებში, მაგარ მასალაზე (ამ შემთხვევაში ხეზე) მხატვრული ელემენტის დამუშავების ტექნიკას უჩვენებს.

ამასვე ადასტურებს დაბადების ერთი ადგილი:

და მოსძარცვა ყოველმან ერმან საყურე ოქროსა ყურთაჲგან ცოლთა მათთასა. და მოიღეს არონის მომართ. და მიითულა კელთაჲგან მათთა, და გამოუქმნა იგი გამოწერით და უქმნა მათ.<sup>37</sup>

მოგვეყვას პარალელური ბერძნული და სომხური ტექსტები:

...Καὶ ἔπλασαν ἀντὰ τὴν ἴρραφίνην, καὶ ἐποίησαν ἀντὸς καὶχον ἡγνευστὸν.

*სა რსკაჲცა ო ძიკაყნიყა, ხა დოქიყაჲცაჲნ ჭანყაჲკაჲი ობ ოჲ. ხა არარ ორქ დოკაბიჲ...* ბერძნული *ირაჲცა* ნიშნავს ამოჭრა-ამოკვეთას. მსგავსი მნიშვნელობა აქვს სომხურ *ჭანყაჲ*-ს: ჩამოსხმა, ძერწვა, ჭრა. ამრიგად, ქართული გამოწერა მაგარი მასალის (ლითონის) მხატვრული დამუშავების წესს გულისხმობს.

ზემომოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ „გამოწერა“ ძველ ქართულში მხოლოდ ხატვის ცნებას არ გამოხატავს. ხატვის იდეის გადმოცემა აშტერმინის ხმარების მხოლოდ კერძო შემთხვევას წარმოადგენს. „გამოწერა“ ნიშნავს საზოგადოდ გამოსახულების შესრულებას. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, მისი გამოყენება ავლენს გამოსახულების შესრულების უძველეს ტექნიკურ წესებს.

ეს ფაქტები სრულიად კანონზომიერ ახსნას პოულობს სიტყვა „წერის“ სემანტიკის დონზე.

\* \* \*

ამგვარად, ისტორიულად „წერამ“ სამი ძირითადი მნიშვნელობა მოგვეცა:

1. გაჭრა, ხაზის გავლება, გაკაწრვა;
2. გამოსახულების გამოყვანა, ხატვა; და
3. წერა.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში „წერა“ და მისგან წარმომდგარი ტერმინები (გამოწერა, მიწერა, გარეშეწერა), ხშირად ამჟღავნებენ „წერის“ ძველ სემანტიკურ ასპექტებს.

<sup>35</sup> კიშენი I, გვ. 202.

<sup>36</sup> სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერი № 542. 99r (ხელნაწერის ნომერს ვუთითებთ ატიას აღწერილობის მიხედვით: D. S. Atiya, The Arabic Manuscripts of Mount Sinai, Baltimore, 1968. მიკროფილმი ხელნაწერისა დაცულია აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში).

<sup>37</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H 1207. 161v.

## რამაზ პატარიძე

## „პრაქტაპირის“ გრაფიკული საუშქველი\*

## 1

უძველესი სომხური დამწერლობის პალეოგრაფიულ შესწავლასა და წარმოშობა-სადატურობის მეცნიერულ კვლევას უკვე საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. უკანასკნელ ხანებში მეცნიერული ძიებანი ამ მიმართულებით განსაკუთრებით გაცხოველდა.

სომხური ანბანის კვლევისას საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებს დროდადრო აღუნიშნავი არ რჩებოდა ქართულ და სომხურ დამწერლობათა მსგავსების შეუცნობელი ფაქტი. ამ მსგავსებას, რასაც მარი ბროსე მოჩვენებით მსგავსებას უწოდებდა<sup>1</sup>, ასოთა მონახულობის საერთო იერში ხედავენ, ოღონდ გაურკვეველი რჩება მსგავსების მიზეზი და ხასიათი.

საერთოდ, ორი მოძმე ერის დამწერლობათა ურთიერთმიმართებისა და მით უმეტეს, მსგავსების გამო ადვილად შესაძლებელია სრულიად მცდარი თვალსაზრისი გამოითქვას, ვიდრე ამ დამწერლობათა წარმოშობა-სადატურობის პრობლემა არ გამორკვეულა.

ამგვარად, გასარკვევია არა მხოლოდ მსგავსების, არამედ იმ დიდი განსხვავების მიზეზიცა და ხასიათიც, რომელიც ამ ორი მოძმე ერის უძველეს დამწერლობათა შორის არსებობს.

საერთოდ ცნობილია ასო-ნიშნების თანამიმდევრობის თავდაპირველი „სემური“ ანბანური მწკრივი. ეს მწკრივი 22 გარკვეული თანამიმდევრობის ასო-ნიშნისაგან შედგება, რომელსაც ბოლოში დაასრულის მათუწყებელი ჯვრის ნიშანი — „ტაე“ უზის (+, X).

ძველმა ბერძნებმა, იმის გამო, რომ 22 ასო-ნიშანი საკუთარი დამწერლობისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა, „სემურ“ ანბანურ მწკრივს ბოლოში რამდენიმე ასო-ნიშანი დაურთეს, ხოლო „სემური“ ანბანური მწკრივის რამდენიმე ასო-ნიშანი ხმოვან ასო-ბგერებად აქციეს. ასე წარმოიშვა დამწერლობის „ბერძნული“ ანბანური მწკრივი.

ყველა სხვა ერის უძველეს ანბანურ დამწერლობაში გატარებულია ან „სემური“ ანბანური იდეა (22 ასო-ნიშნით, ხმოვნების გარეშე), ან „სემურ-ბერძნული“ ანბანური იდეა. როცა „სემურ-ბერძნულ“ ანბანურ მწკრივს ბოლოში ამ რომელიმე ენისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერები აქვს მიმატებული.

<sup>1</sup> M. B r o s s e t. Elements de la langue Georgienne. Paris, 1837, გვ. 6—8.

\* მოხსენებად წაითხულია 1968 წლის 17 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. აკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სხდომაზე.





ქართულ ანბანურ დამწერლობაში უსათუოდ უნდა ვითვალისწინებდეთ ამ უქანასკნელ ფაქტორს: პირობითად ქართულ ანბანში თანამიმდევრულად სამი ანბანური ჯგუფი უნდა გამოიყოს:

1. „ს ე მ უ რ ი“ ანბანური ჯგუფი („ანი“-დან „ტარ“-ამდის),
2. „ბ ე რ ძ ნ უ ლ ი“ ანბანური ჯგუფი (ვ, ფ, ქ) და
3. საკუთრივ ქ ა რ თ უ ლ ი ანბანური ჯგუფი („ლან“-იდან „ჰე““-მდის).

ქართულ ანბანურ დამწერლობაში დაცულია უძველესი ანბანური სტრუქტურა. სომხურ ანბანში სულ სხვა ვითარება გვაქვს: ანბანი იწყება „აბ“-ით და მთავრდება „ჰე“-ით. რაც შეეხება საკუთრივ სომხური ენის სპეციფიკურ ასო-ბგერებს, ეს ასო-ნიშნები სომხური ანბანის სხვადასხვა ადგილასაა ჩართული. ამის გამო იგ. ჯავახიშვილი წერს:

„ჯერჯერობით სრულებით გაუგებარია, თუ რა მოსაზრებით უხელმძღვანელებიათ სომხური ანბანის მწკრივის შემდგენელთ, როდესაც სომხურისათვის დამახასიათებელი ასოები ამა თუ იმ ადგილას ჩაურთავენ...“<sup>2</sup>

ე. ი. სომხური და ქართული ანბანების სტრუქტურა სხვადასხვაა. თუ სომხური ანბანის სამი უქანასკნელი ასო (ვ, ფ, ქ) სომხური ანბანის „ბერძნული“ ანბანური ჯგუფია, თავისთავად იბადება კითხვა: რატომღა არ გამოყვეს სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფისაგან წმინდა სომხური ჯგუფი? რატომ არ განაცალკევეს ეს ჯგუფები ერთმანეთისაგან?

ამას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზები აქვს. საქმე ის არის, რომ წმინდა „სომხური“ ჯგუფის გამოყოფის შემთხვევაში „სომხური“ ჯგუფი უნდა მოქცეულიყო ან „სემური“ ჯგუფის შემდეგ, ანბანის შუაში, ან, უფრო მართებულად, „ბერძნული“ ჯგუფის შემდეგ, ანბანის ბოლოში. ეს კი დაარღვევდა სომხური ანბანის სტრუქტურულ ჩანაფიქრს.

ქართული პალეოგრაფიის ფუძემდებელმა ივანე ჯავახიშვილმა კვლევის მეცნიერული სიზუსტით ცხადყო, თუ რა დიდი განსხვავებაა ქართულ და სომხურ დამწერლობათა შორის. ერთი ანბანური დამწერლობის სხვაობა მეორისაგან იმდენად თვალსაჩინოა, რომ მსგავსების რაიმე კვალის მიგნება განსაკუთრებული მეცნიერული კვლევა-ძიების გარეშე შეუძლებელია. ძირითადად. ქართულ და სომხურ დამწერლობებს ერთმანეთისაგან განასხვავებს:

Ծ - Ա Թ - Դ  
 Վ - Բ Դ - Ե  
 Ը - Գ Զ - Ա

1. ასოთა მოხაზულობა: ქართული ანბანის არცერთი ასო-ნიშანი სომხური ანბანის არცერთ შესაბამის ასო-ნიშანთან მსგავსებას ვერ პოულობს (შეად. მარცხნივ პარალელური ქართულ-სომხური ასო-ნიშნები).

2. ასო-ნიშნების ანბანური რიგი ანუ თანამიმდევრობა: ქართულ და სომხურ ანბანში გამოყენებულია ასოთა თანმიმდევრობის ორი სხვადასხვა სისტემა.

3. ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა: ასო-ნიშნების ანბანური რიგის შესაბამისად ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობაც სხვადასხვაა.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 267

4. ქართული და სომხური ენისთვის დამახასიათებელი ასო-ბგერების ანბანური რიგი: ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ე. წ. დანართი ასოების ერთნაირი თანამიმდევრობა, რიგი. მიუხედავად ამისა, ქართულისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერები ქართულ ანბანს ბოლოში შემდეგი თანამიმდევრობით ერთვის: ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ, ჰოლო სომხურისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერები სომხურ ანბანს ბოლოში კი არ ერთვის, არამედ ისინი ძირითად ანბანურ ასოებს შორის არიან გაფანტულნი შემდეგი თანამიმდევრობით: ხ, წ, პ, ძ, ჭ, შ, ჩ, ჯ, ც. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ქვემოთ სათანადოდ იქნება განმარტებული.

5. ქართული და სომხური ენისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერების გრაფიკული საფუძველი: ქართულისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერების გრაფიკა გამოყვანილია ძირითადი ანბანური ასოების გრაფიკული ვარიაციის საფუძველზე.

მაგალითად:

ა-ც, ფ-ყ, უ-ი, ზ-ბ; ზ-ღ

და სხვ.

ხოლო სომხურისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერები ქმნიან ძირითადი ანბანური ასოებისაგან სრულიად განსხვავებულ გრაფიკულ სისტემას. ეს აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ქვემოთ სათანადოდ იქნება განმარტებული.

6. ქართული და სომხური ასოების სახელები: ქართულ და სომხურ ასოებს სხვადასხვა სახელები აქვთ: 35 შემთხვევაში ქართული და სომხური შესაბამისი ასოების სახელები სხვადასხვა და მხოლოდ ერთ შემთხვევაშია საერთო (ი-ინ). ამგვარად, ყველა ძირითად ანბანურ ნიშანდობლივ ასპექტში ქართულსა და სომხურ დამწერლობას შორის კარდინალური სხვაობაა. აღარას ვამბობთ ცალკეული და კერძო მნიშვნელობის სხვადასხვა ნიშანდობლივ განსხვავებათა შესახებ. დაწვრილებით ეს საკითხი უკვე გაშუქებულია ივანე ჯავახიშვილის „ქართულ პალეოგრაფიაში“<sup>3</sup>.

მაინც, მიუხედავად ამ არსებითი განსხვავებისა, ქართულ და სომხურ დამწერლობებს შორის არის დაფარული მსგავსებაც, რაც ორივე ანბანის ასოთა მოხაზულობისა თუ ასოთა აღნაგობის სახელმძღვანელო პრინციპში უნდა ვეძიოთ. ამგვარად მსგავსება გრაფიკაშია საძიებელი (ამის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი, როცა საბოლოოდ გაირკვევა ქართულ-სომხურ დამწერლობათა ურთიერთმიმართების საკითხი).

მაგრამ ჯერ სომხური ანბანის წარმოშობის შესახებ.

სომხური ისტორიული წყაროები სომხური ანბანის შექმნას მესრობ მაშოცს მიაწერენ. ამის თაობაზე სარწმუნო ცნობებს გვაწვდიან მესრობ მაშოცის ბიოგრაფი კორიუნე, აგრეთვე მოსე ხორენელი, ჟამთაღმწერელი ლაზარე ფარპეღი<sup>4</sup> და სხვანი.

<sup>3</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. გვ. 194—203; 236—238, 266—272.

<sup>4</sup> სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა ამ წყაროების შესახებ შემდეგია: Корюн, Жизнь Маштоца. Ереван, 1962; ივანე ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1935; Г. Халатянц, Армянские Аршакиды в «Истории Армении», Моисей Хоренского, М., 1903; Н. Адонц. Неизвестные страницы из жизни Маштоца и его учеников по неармянским источникам. Handès Amisoreay. 1925 და სხვ.

დღესდღეობით სომხური და აგრეთვე არასომხური წყაროების მონაცემების საფუძველზე, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული ის თვალსაზრისი, რომ სომხური დამწერლობა შექმნილია ცნობილი სომეხი მწიგნობრისა და საეკლესიო მოღვაწის მესრობ მამთოცის მიერ.

სომხური ანბანის შექმნის მიახლოებითი თარიღიც აგრეთვე ცნობილია. კორიუნის მოწმობით ეს დიდმნიშვნელოვანი კულტურული აქტი ვრამშაპუკ სომეხთა მეფის ზეობის მე-6 წელს უნდა მომხდარიყო. კორიუნის ამ ცნობის საფუძველზე, სომხური დამწერლობის საწყის თარიღად მეცნიერნი 392/93, 404/406 ან 412-416 წლებს მიიჩნევენ. ამრიგად, მე-5 საუკუნის დამდეგი სომხური დამწერლობის წარმოშობის ხანაა. ამ დროს შეიქმნა სომხური ასომთავრული დამწერლობა — „ერკათაგირი“.

დღეისათვის სომხური პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა არსებითად შესწავლილია: გამოქვეყნებულია სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები; დაზუსტებულია სომხური ასომთავრული დამწერლობის „ერკათაგირის“ უძველესი მოხაზულობა. ფიგურალურად რომ ითქვას, ჩვენს ხელთაა მესრობ მამთოცის მიერ შექმნილი სომხური დამწერლობის „დედანი“.

ვისარგებლობთ უახლესი მეცნიერული მონაცემებით და ქვემოთ ვაქვეყნებთ მე-5 საუკუნის „ერკათაგირის“ ანბანს (იხ. ტაბ. № 1)<sup>5</sup>.

Ա	- ა	Ժ	- յ	Ճ	- չ	Խ	- խ
Բ	- ბ	Ի	- ի	Մ	- մ	Ս	- ս
Գ	- ց	Լ	- լ	Յ	- ջ	Ա	- յ
Դ	- զ	Խ	- խ	Ն	- ն	Տ	- թ
Ե	- ე	Ծ	- ժ	Շ	- ժ	Ր	- ռ
Զ	- ջ	Տ	- տ	Ո	- ո	Յ	- ջ
Է	- է	Վ	- վ	Ղ	- ղ	Ի	- յ
Ը	- ը	Ձ	- ձ	՝	- ՛	Փ	- ფ
Թ	- თ	Ղ	- ղ	Լ	- լ	Բ	- բ

ტაბ. № 1

<sup>5</sup> ძირითადად ვისარგებლეთ პალეოგრაფ პროფ. კ. ლავადარიანის შრომებით: «Первоначальные формы армянского письма», «Надпись Текорского храма V века и армянский алфавит с месроповским письмом» და სხვა. აგრეთვე უძველესი სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების ფოტოპირებით.



სომხური ანბანის ასოთა რიგი ასეთია: ა, ბ, გ, დ, ე, ზ, **ჭ**, ჯ, თ, უ, ი, ლ (რბილი), ხ, წ, კ, ჰ, ძ, ლ (გვიანდელი „ლ“), ჳ, მ, **ჟ**, ნ, შ, ო, ჩ, პ, ჯ, რ (კომ-ტი), ს, ვ, ტ, რ (ფაფუკი), ც, ჴ, ფ, ქ.

როგორც ვხედავთ, სომხური ასო-ნიშნების ანბანური რიგი მკვეთრად განსხვავდება ქართული და ყველა უძველესი დამწერლობის ჩვეულებრივი ანბანური რიგისაგან.

ამგვარად, როცა ცნობილია სომხური დამწერლობის წარმოშობის ხანა, სომხური ასო-ნიშნების თავდაპირველი გრაფიკული მოხაზულობა და ასო-ნიშნების ანბანური რიგი, რაღა უშლის ხელს სომხური დამწერლობის სადაურობისა და წარმომავლობის საკითხის გარკვევას?

თავისთავად ცხადია, სომხური დამწერლობის თავდაპირველი მოხაზულობის ასო-ნიშნები საჭიროა უადრეს დამწერლობათა ყველა შესაბამის ასო-ნიშანს შევეუდაროთ; რათა იგივეობისა ან მსგავსების საფუძველზე გამოვკვეთოთ იქნეს, რომელი დამწერლობის გრაფიკული ნიშნებია გამოყენებული სომხური ანბანის შესაქმნელად.

კვლევის ამ შედარებითი მეთოდის საფუძველზე პალეოგრაფიული მეცნიერება უკვე საუკუნეზე მეტი ხანია, რაც ამაოდ ცდილობს სომხური ანბანის წარმოშობისა და სადაურობის გარკვევას.

ამ საკითხის კვლევა-ძიებას საკმაოდ დიდი ლიტერატურა მიეძღვნა, გამოითქვა მრავალნაირი ვარაუდი თუ ჰიპოთეზა.

სომხური ანბანის წარმოშობის საკითხს სხვადასხვა დროს სპეციალურად იკვლევდნენ ცნობილი პალეოგრაფები — რ. ლეპსიუსი, პ. დე ლეგარდი, ვ. გარდტ-ჰაუზენი, ფრ. მიულერი, ი. ტეილორი, ი. მარკვარტი, პ. იუნკერი; სომეხი მეცნიერები — პ. აჭარიანი, ა. აბრამიანი, ა. ფერისხანიანი და სხვანი.

პროფ. პ. აჭარიანს თავის სომხური დამწერლობის ენციკლოპედიურ ნაშრომში მოტანილი აქვს 35 მეცნიერის სხვადასხვა თვალსაზრისი სომხური დამწერლობის წარმომავლობა-სადაურობის თაობაზე. ამის გამო მეცნიერი დასკვნის სახით ამბობს:

„ასეთია მკვლევართა შეხედულება. მეცნიერთა ყველა ეს თვალსაზრისი თუ განვაზოგადებთ, დავინახავთ, რომ სომხური ანბანი თავისი წარმოშობით ან მთლიანად ან ნაწილობრივ დამოუკიდებელი შემოქმედების ნაყოფია, უმეტეს შემთხვევებში კი მისი წარმომავლობა უკავშირდება ან წარმართულ ნიშნებსა და ძველ სპარსულ იეროგლიფებს, ან ძველ ქალდურსა და ან კი ახალ: ფალაურ, ავესტას, ირანულ, ფინიკიურ, პალმირულ, არამეულ, ესტრანგელოს, სირიულ, კობტურ, ეთიოპურ თუ ბერძნულ დამწერლობებს“<sup>6</sup>.

ეგზომ დიდი ხნის მეცნიერულ კვლევა-ძიებათა მიუხედავად არცერთი თეორია თუ თვალსაზრისი სომხური დამწერლობის წარმოშობის შესახებ სარწმუნო არ ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში არცერთი თეორიული ჰიპოთეზა გაზიარებული არ ყოფილა.

ერთი რამ ცხადია, შედარებითმა მეთოდმა, შედარებითი მეთოდის საფუძველზე სომხური დამწერლობის წარმომავლობის ძიებამ ნაყოფი არ გამოიღო. მაგრამ ამ ძიებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. საჭიროა გაკეთდეს სათანადო დასკვნა: სომხური დამწერლობის ასო-ნიშნები რომელიც გინდა დამწერლობის ასო ნიშნებთან შესაბამის ფონემურ და გრაფიკულ მსგავსებას ვერ პოულობენ.

<sup>6</sup> პ. აჭარიანი, სომხური დამწერლობა, ვენა, 1928 (სომხურ ენაზე), გვ. 191.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: სომხური დამწერლობის წარმოშობის პრობლემა ჯერ კიდევ გარკვეული არ არის და ცნობილი პალეოგრაფის ჰანს იენსენის თქმისა არ იყოს, ეს საიდუმლო ჯერ კიდევ მოითხოვს საბოლოო ამოცნობას.

## II

ამ უკანასკნელ ხანებში სომხური ანბანის შესწავლა სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. საკითხის კვლევას ახალი გეზი მიეცა, რასაც პირობითად შეიძლება გრაფიკული მეთოდი ვუწოდოთ. პრიორიტეტი ამ თვალსაზრისით სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორუპსონდენტ პროფ. გურგენ სევაკს ეკუთვნის.

1962 წელს ერევანში ცალკე წიგნად გამოქვეყნდა პროფ. გ. სევაკის ნაშრომი „Месроп Маштоц. Создание армянских письмен и словесности“.

გ. სევაკი წერს:

«...Ни одна из букв Месропа (за исключением, пожалуй, буквы Փ) по своему изображению и звуковому значению не является заимствованием из какио-либо алфавита... Месроп Маштоц, поставив перед собой цель создать письмена, отличные от иноязычных, отказался от закона тождественности и применил принцип условности... Достаточно расположить однотипные буквы Месропа по группам, чтобы убедиться, что одну букву он выводил из другой, наделяя каждую из них каким-нибудь отличительным признаком. Вот эти группы»:

**Ր, Ը, Բ || Բ, Ե, Ը, Է ||**

**Ր, Ի, Ի, Խ || Է, Լ, Վ, Ղ, Դ, Գ ||**

**Ս, Ա, Ն, Մ, Տ || Ս, Ո, Ռ ||**

**Շ, Զ, Զ, Զ, Զ, Յ, Յ, Մ, Ծ || Ր, Ռ, Ժ**

«Отсюда ясно видно, что в пределах каждой группы одну букву отличает от другой лишь перемещение какой-нибудь черточки или изменение позиции...»

«Уже одно то, что Месроп действовал по закону преобразования, т. е. по принципу создания новых письмен путем изменения начертания букв, показывает, что для каждой группы букв он должен был брать за исходную одну букву какого-нибудь иноязычного алфавита и из нее производить новые буквы. Так это и было на самом деле. Отсюда вытекает, что нашим исследователям надо изучить вопрос о том, сколько групп составляют месроповские письмена и какая буква из какого языка явилась исходной для каждой группы, а не заниматься произ-

вольными поисками соответствий каждой букве в алфавитах всех языков древнего мира»<sup>7</sup>.

პროფ. გ. სევაკს გამოთქმული აქვს ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი თვალსაზრისი. რაც მთავარია, სომხური ასო-ნიშნების გრაფიკული ურთიერთ-მსგავსება უკვე შემჩნეულია, მაგრამ ამ გრაფიკული მსგავსების იქით პროფ. გ. სევაკი აღარ წასულა, მითუმეტეს მას არ უცდია გრაფიკული სისტემის ჩამოყალიბება. რაც შეეხება სომხური გრაფემების ჯგუფებად დაყოფას, ამ შემთხვევაში პროფ. გ. სევაკი არასწორი გზით მიდის და, ჩვენის აზრით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთელ რიგ შეცდომებს უშვებს. მიუხედავად ყოველივე ამისა, პროფ. გ. სევაკის გრაფიკული მეთოდის ზოგადი თვალსაზრისი უთუოდ სწორია.

1968 წლის სექტემბერში საბჭოთა მეცნიერმა სემიტოლოგმა, ეთიოპური ენის სპეციალისტმა, აკადემიკოსმა დ. ოლდეროგემ ანთროპოლოგიურ და ეთნო-გრაფიულ მეცნიერებათა მე-8 საერთაშორისო კონგრესზე, ქ. ტოკიოში, წააღიხა მოხსენება სომხეთ-ეთიოპიის ურთიერთობის თაობაზე, ამ ორი ერის დამწერლობათა ურთიერთ მიმართების საკითხის შესახებ<sup>8</sup>.

Ո	Ռ			Թ		
Ս		Մ	Ա	Ա		
Ր	Բ		Ը	Ժ		
Դ	Դ	Պ	Ղ			
Ն	Ե	Ն		Կ		
Ը	Ի	Է	Լ	Ժ	Խ	Ի

ტაბ. № 2

აკად. დ. ოლდეროგე იმოწმებს პროფ. გ. სევაკის ზემოთ ნახსენებ გრაფიკულ მეთოდს და სომხურ-ეთიოპური ასო-ნიშნების გრაფიკული მსგავსების საფუძველზე გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ სომხურ ანბანში გამოყენებული ასოთა გარდაქმნა-მოდიფიკაციის ეთიოპური პრინციპი, რომ ამ მეთოდის საფუძველზე შექმნილია სომხური ანბანის 22 ან 23 გრაფემა. ამდენად, გრაფიკული მეთოდის გამოყენებით აკად. დ. ოლდეროგე უფრო შორს მიდის და მისი გრაფიკული მოდელი შედარებით უფრო სრულყოფილია, ვიდრე პროფ. გ. სე-

<sup>7</sup> Гурген Севак, Месреп Маштоц, Создание армянских писмен и словестности, Ереван, 1962, стр. 30, 38, 39, 40.

<sup>8</sup> D. O l d e r o g g e, Ancient relationships beetwen Armenia and Ethiopia(From the history of the alphabet), Moscow, 1968.



ვაკისა. ზემოთ მოტანილ გრაფიკულ ნახაზზე დ. ოლდეროგე იძლევა სომხური ანბანის 23 გრაფემის შექმნის შესაძლებელ სურათს (იხ. ტაბ. № 2).

სომხური დამწერლობის ზოგიერთი ასო-ნიშნის ურთიერთმიმართების გრაფიკული ხასიათი აკად. დ. ოლდეროგეს უდავოდ კარგად აქვს შენიშნული, მაგრამ, მსგავსად გ. სევაკისა, მისი გრაფიკული მოდელი ბოლომდე დამაჯერებელი არ არის. რადგან ამ გრაფიკას მთლიანობაში კი არ განიხილავს, არამედ ცალკეულ ეთიოპურ გრაფემებს უკავშირებს.


გ. სევაკისა და დ. ოლდეროგესაგან დამოუკიდებლივ, ჩვენ შევიმუშავეთ სომხური ანბანის ამოცნობის გრაფიკული მეთოდი.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ სომხურ ანბანში ძირითადად დასტურდება გრაფიკული სისტემის სამი სხვადასხვა, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ჯგუფი. სომხური ანბანის თითოეული გრაფიკული ჯგუფი ქმნის თავისებურ გრაფიკულ სისტემას. ქვემოთ თანამიმდევრულად განხილულია სომხური ანბანის სამივე გრაფიკული სისტემა.

**სომხური ასომთავრული ანბანის გრაფიკული სტრუქტურის**

**პირველი ჯგუფი — „ნალინაზური“ გრაფიკების ჯგუფი**

ეს ჯგუფი ქმნის შემდეგნაირ გრაფიკულ სისტემას (ტაბ. № 3).



ტაბ. № 3

სომხური „ერკათაგორის“ პირველი ანბანური ჯგუფის გრაფიკული ხასიათი ცხადი და თვალსაჩინოა. „ნალისებური“ გრაფემები ქმნიან ერთ მთლიან, დასრულებულ გრაფიკულ განტოლებას. გრაფიკული სისტემა შედგება აღმა და დაღმა ნალისებური გრაფემების 9 ქვეჯგუფისაგან. „ნალისებური“ გრაფემების მოდიფიკაციის ზუსტი კანონზომიერება, „გრაფიკული განტოლება“ შესაძლებლობას იძლევა აღვადგინოთ მე-5 ქვეჯგუფის გრაფიკული ნახაზიც კი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს გრაფიკული ჯგუფიც შესაძლოა მართლაც არსებულყო და იგი ანბანის საბოლოო დახვეწის დროს „ნალისებური“ გრაფემების სიჭარბისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო უარყოფილიყო (ამის შესახებ გზადაგზა გვექნება საუბარი).

გრაფიკული სისტემის 9 ქვეჯგუფიდან პირველ ორ ქვეჯგუფში გაერთიანებულია სრული აღმა და დაღმა ნალისებური გრაფემები, ხოლო დანარჩენ ქვეჯგუფებში ნაკლები აღმა და დაღმა ნალისებური გრაფემები. გრაფიკული სისტემის უკანასკნელი გრაფემა, რომელსაც სომხურ ანბანში „სემური“ ანბანური მწკრივის უკანასკნელი „ტვან“ ფონემის მნიშვნელობა აქვს, თავისი მოხაზულობით მთელი გრაფიკული სისტემის სტრუქტურული აგებულებისა და გრაფიკულ სისტემაში გრაფემების თანამიმდევრობის ჩანაფიქრის მაუწყებელია. ამ გრაფემაში გაერთიანებულია ჯერ აღმა და შემდეგ დაღმა სრული და ნაკლები ნალისებური გრაფიკის იდეა. ე. ი. „ტვან“ ფონემა დაიწერა ასე — **Տ** და არა პირველ — **Տ**, რაც შესრულების თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელიც კი იქნებოდა.

ამიტომაც გრაფიკული სისტემის პირველ ქვეჯგუფად აღმა სრული ნალისებური გრაფემები გამოიყო. ვარდა ამისა, პირაღმა ნალისებური გრაფემები პირველ ქვეჯგუფად გამოიყო შემდეგი მიზეზების გამო: სხვა ქვეჯგუფებთან შედარებით ამ ქვეჯგუფში ყველაზე მეტი (ოთხი) გრაფიკული ვარიაცია ერთიანდება, ამ ქვეჯგუფის ერთ-ერთ ვარიაციას (მესამეს) სომხური ანბანის პირველი ბგერის („ააბ“) მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართულ ანბანში პირველადია პირაღმა ნალისებური გრაფემა (ასო „პარი“); ხოლო ქართული ანბანის ასო „ღანი“ მის შებრუნებულ დაწერილობას წარმოადგენს და ამიტომაც მეორეულია (პირდაღმა ნალისებური გრაფემა) — **Ս** — ი.

ამგვარად, ამ გრაფიკული სისტემის ჩანაფიქრის საფუძველი და ამოსავალია გრაფიკული სისტემის პირველი ქვეჯგუფის პირველი გრაფემა — წმინდა აღმა ნალისებური გრაფემა. ხოლო ეს გრაფემა ეთიოპური ვოკალიზებული ანბანის პირველი გრაფემაა. აქ წინასწარ შეიძლება ითქვას: სომხური ანბანის პირველ „სემურ“ გრაფიკულ ჯგუფს საფუძვლად დაედო ქრისტიანული ეთიოპიის სამხრეთ სემური დამწერლობის პირველი გრაფემა (ამ ფრიად მნიშვნელოვანი ჭარბობების შესახებ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი).

პირველი გრაფიკული სისტემის სტრუქტურა ასეთია: პირველ ქვეჯგუფად აღმა ნალისებური გრაფემების ქვეჯგუფი გამოიყო, ხოლო მეორე ქვეჯგუფად შებრუნებული მოხაზულობის დაღმა ნალისებური გრაფემების ქვეჯგუფი (ამგვარად, მათი გრაფიკული ურთიერთმიმართება ცხადია).

მესამე ქვეჯგუფის გრაფემა გამოდის პირველი ქვეჯგუფის გრაფიკული მოხაზულობიდან იმგვარადვე, როგორც მე-4 ქვეჯგუფის გრაფემა გამოდის მეორე ქვეჯგუფის გრაფიკული მოხაზულობიდან. ორივე შემთხვევაში გვაქვს არასრული ნაკლები აღმა და დაღმა ნალისებური გრაფემების ქვეჯგუფები. რა

გრაფიკული მიმართებაცაა პირველსა და მესამე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის. იმგვარივე მიმართებაა მეორე და მეოთხე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის. ამავე დროს როგორი მიმართებაცაა პირველსა და მეორე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის, იმგვარივე მიმართებაა მესამე და მეოთხე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის. მე-5 ქვეჯგუფის საერთო მოხაზულობის გრაფემა მე-3 ქვეჯგუფის საერთო მოხაზულობის გრაფემის შებრუნებულ, მარცხნივ შეტრიალებულ ფორმას წარმოადგენს. იმგვარადვე, როგორც მე-6 ქვეჯგუფის საერთო მოხაზულობის გრაფემა მე-4 ქვეჯგუფის საერთო მოხაზულობის გრაფემის შებრუნებულ, მარცხნივ შეტრიალებულ ფორმას წარმოადგენს.

ამავე დროს როგორი მიმართებაცაა მე-3 და მე-4 ქვეჯგუფის გრაფემებს შორის, იმგვარივე მიმართებაა მე-5 და მე-6 ქვეჯგუფის გრაფემებს შორის.

მე-7 და მე-8 ქვეჯგუფებში გვაქვს თითო-თითო გრაფემა, ერთმანეთის საპირისპირო მოხაზულობისა, წყვილის ცალები. მე-7 ქვეჯგუფის გრაფემა პირველი, მესამე და მეხუთე ქვეჯგუფის გრაფემების მოხაზულობიდან გამოდის, ხოლო მე-8 ქვეჯგუფის გრაფემა — მეორე, მეოთხე და მეექვსე ქვეჯგუფის გრაფემების მოხაზულობიდან. ამავე დროს ორივე გრაფემა შესაბამისად მე-5 და მე-6 ქვეჯგუფის გრაფემებთან ამჟღავნებენ მეტ გრაფიკულ ნათესაობას.

უკანასკნელ, მე-9 ქვეჯგუფში ერთადერთი გრაფემაა, რომელსაც წყვილის ცალიც არ გააჩნია. ამ გრაფიკულ ნიშანში, როგორც ითქვა, გაერთიანებულია მთელი გრაფიკული სტრუქტურის იდეა. ამ ერთ ნიშანში შერწყმულია როგორც აღმა და დაღმა ნალისებური გრაფემების მოხაზულობა (პირველი და მეორე ქვეჯგუფისა), აგრეთვე მომდევნო ქვეჯგუფების არასრული ნალისებური გრაფემების მოხაზულობაც. ამგვარად ეს ერთადერთი, კენტად დარჩენილი გრაფემა სომხური ანბანის პირველი გრაფიკულა სისტემის დამასრულებელი და დამავსრულებელი გრაფემაა. მით უმეტეს, რომ ამ გრაფემას, როგორც ვთქვით, სომხურ ანბანში ასო „ტარ“-ის (სომხურად „ტუნ“) ე. ი. სემური ანბანური ჯგუფის უკანასკნელი ფონემის მნიშვნელობა აქვს. ამრიგად ვლბულობთ მათემატიკური სიზუსტისა და ლოგიკური ჰარმონიით აღბეჭდილ გრაფიკულ განტოლებას.

სომხური ანბანის პირველ გრაფიკულ სისტემაში გაერთიანებულია 22 გრაფემა, 22 ასო — ნიშანი, ხოლო, როგორც უკვე ითქვა, სემური ანბანური ჯგუფი 22 ასო-ნიშნისაგან შედგება „ანი“-დან „ტარ“-ამდის ანუ „ალეფი“-დან „ტავ“-ამდის. ე. ი. გრაფიკულმა მეთოდმა სომხური ანბანიდან გამოყო სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფი.

სომხური „ერკათაგირის“ პირველი გრაფიკული სისტემა მოიცავს გრაფემებს „ანი“-დან „ტარ“-ამდე (სომხურად „აბზ“-იდან „ტუნ“-ამდე) ე. ი. სომხური ანბანის პირველ გრაფიკულ სისტემაში გატარებულია „სემური“ ანბანის იდეა. ხოლო სომხური ანბანის პირველი გრაფიკული ჯგუფი სომხური ანბანის პირველ „სემურ“ ჯგუფს დაემთხვა.

იმის გამო, რომ სომხური ანბანის პირველ, „ნალისებურ“ გრაფიკულ სისტემაში მე-5 ქვეჯგუფის სამი ნალისებური ერთეული არა გვაქვს, „ნალისებური“ გრაფიკული სისტემა სამი ნალისებური ერთეულით ნაკლებია, ე. ი. 22 ნალისებური გრაფემის ნაცვლად გვაქვს 19 ნალისებური გრაფემა. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ეს სამი ნალისებური გრაფემა აგრეთვე უნდა არსებულებოდა; ამიტომაც ვამჯობინეთ გრაფიკულ



ნახაზზე მოგვეცა სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის სავარაუდო სახელი სახე (გრაფიკულ ნახაზზე მე-5 ქვეჯგუფი წყვეტილი ხაზებით (პუნქტირით) გვაქვს აღდგენილი).

სომხური ასომთავრული ანბანის გრაფიკული სტრუქტურის  
მეორე ჯგუფი — „რკალისხაზური“ გრაფიკული ჯგუფი

როგორც უკვე ითქვა, სომხური ენის სპეციფიკური ასო-ბგერები სომხურ ანბანს ბოლოში კი არ ერთვის, არამედ, ქართული ანბანისაგან განსხვავებით, ეს ასო ნიშნები სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფის ასო-ნიშნებს შორის არიან გაფანტულნი შემდეგი თანამიმდევრობით: ხ, წ, პ, ძ, ჳ, შ, ჩ, ჯ, ც. რით არის გაპირობებული ამ ასო-ნიშნების ასეთი თანამიმდევრობა?

მივმართოთ გრაფიკულ მეთოდს. სომხური ანბანის სამივე გრაფიკული სისტემის საერთო გრაფიკული კანონების შესაბამისად ეს ჯგუფი გრაფემების შემდეგი თანამიმდევრობით ლაგდება: (იხ. ტაბ. № 4).

სომხური „ერკათაგირის“ მეორე ჯგუფის გრაფიკული ხასიათი ცხადი და თვალსაჩინოა. ამ გრაფიკული ჯგუფის ამოსავალი გრაფემა პირველი რკალისებური გრაფემა ზემო დამატებითი ნიშნით. ეს არის გრაფემა, რომელიც საფუძვლად დაედო სომხური ანბანის მეორე ჯგუფის მთელ გრაფიკულ სისტემას. ამ გრაფემის თანდათანობითი მოდიფიკაციის საშუალებით შექმნილია კიდევ შვიდი სახესხვაობის გრაფემა.

ამგვარად. სომხური ანბანის მეორე გრაფიკული სისტემის ასო-ნიშნების გრაფიკული თანამიმდევრობა ასეთია (გრაფიკული თანამიმდევრობის მწკრივი შიგნით ორეულ გრაფემებადაც ლაგდება):

1. ძირითადი „რკალური“ გრაფემა ზემო დამატებითი ნიშნით.
2. ქვემოთ გადმობრუნებული და მარცხნივ შეტრიალებული იგივე ძირითადი „რკალური“ გრაფემა.
3. იგივე რკალური გრაფემა, ახალი ზემო განმასხვავებელი ნიშნით.
4. იგივე რკალური გრაფემა, ახალი ქვემო განმასხვავებელი ნიშნით.
5. წინა გრაფემის მოდიფიკაცია წრიულ გრაფემად.

	Դ	-	Վ
	-		Ռ
	-		Կ
1.	Դ	-	Մ
2.	Ղ	-	Ի
3.	Պ	-	Շ
4.	Ջ	-	Ժ
5.	Ծ	-	Ք
6.	Ճ	-	Չ
	Խ	{	Է Կ Ն Յ
7.	Ը	-	Չ
8.	Լ	-	Յ

ტაბ. № 4

6. წინა გრაფემის მოდიფიკაცია კუთხოვან გრაფემად.
7. წინა გრაფემის მოდიფიკაცია ზემო განმასხვავებელი ნიშნით.

8. იგივე გრაფემა ქვემო განმასხვავებელი ნიშნით.

ფიქრობ, გრაფიკული მეთოდის საფუძველზე გამორკვეულია როგორც ამ გრაფემების წარმოშობის საიდუმლოება, აგრეთვე ამ ასო-ნიშნების ანბანური თანამიმდევრობა. თუ ჩვენ მეორე ჯგუფის ასო-ნიშნების ბერძულ მნიშვნელობას გრაფიკული თანამიმდევრობით წავივითხავთ, ამ ასო-ნიშნების ქართულ ანბანურ თანამიმდევრობას მივიღებთ („ხანი“ გრაფემის გამოკლებით). უფრო ზუსტად სომხური ანბანის მეორე ჯგუფის გრაფემები გაწყობილია შესაბამისი ქართული ასო-ნიშნების ანბანურ რიგზე (სომხური ასო „ხე“, რომელიც წყვილის ცალის გარეშე რჩება, უშუალოდ ქართული „ხანისა“ და „ჯარის“ გრაფიკიდან არის გამოყვანილი).

გარდა ამისა, თუ სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფის (ნალისებური გრაფემების) პირველი და ამოსავალი ასო-ნიშანია ერთ-ერთი „სემური“ ენის, ქრისტიანული ეთიოპიის ანბანის პირველი გრაფემა, — აღმა ნალისებური გრაფემა, ასევე სომხური ანბანის მეორე — „სომხური“ ჯგუფის პირველი და ამოსავალი ნიშანია ქართული ანბანის პირველი გრაფემა — ასო „ანი“ მოხაზულობა. ამას გარდა, სომხური ანბანის მეორე ჯგუფის ასო-ნიშნების გრაფიკული თანამიმდევრობა, შეესაბამება ქართული ასო-ნიშნების ანბანურ თანამიმდევრობას.

ყოველივე ამის გამო, თუ სომხური ანბანის პირველ ჯგუფს „სემური“ ანბანური ჯგუფი ვუწოდებთ, მით უმეტეს სომხური ანბანის მეორე ჯგუფს „ქართული“ ანბანური ჯგუფი უნდა ვუწოდოთ.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშნის მსგავსი გრაფიკული მოხაზულობის სხვა ასო-ნიშანი არცერთ დამწერლობაში არ დასტურდება. ამდენად სომხური ანბანის მეორე ჯგუფის ამოსავალი, ძირითადი გრაფემის სადაურობის ერთადერთი წყაროა ქართული ანბანი. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ანბანში აგრეთვე დასტურდება „რკალური“ გრაფემების მთელი ჯგუფი: ა, დ, თ, ზ, თ, ც, ჭ, რომელთა წარმოშობა სულ სხვაგვარია (ამის შესახებ ქართული ასომთავრული დამწერლობის განხილვისას იქნება საუბარი).

#### სომხური ასომთავრული ანბანის გრაფიკული სტრუქტურის

##### მესამე ჯგუფი — „ასომთავრული“ გრაფემების ჯგუფი

სომხური ანბანის სამი უკანასკნელი გრაფემის ბერძნულიდან წარმომავლობის ფაქტი დღეს უკვე სადავო აღარ არის. ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ჯერ კიდევ ფრ. მიულერი<sup>9</sup>, ი. ტელიორი<sup>10</sup>. ამავე აზრისაა ჰ. იენსენი<sup>11</sup> და სხვ.

იგივე „ბერძნული“ ჯგუფი ძველ ქართულ დამწერლობაშიც დასტურდება.

უკვე ითქვა იმ საინტერესო გარემოების შესახებ, რომ სომხური ანბანი ამ „ბერძნული“ ჯგუფის სამი სომხური გრაფემით მთავრდება. (იხ. ტაბ. № 1). ეს ვითარება სომხური ანბანის სტრუქტურით აიხსნება, რომლის შესახებ ახლა ვიტყვით.

მაგრამ ჯერ თვით ამ მესამე გრაფიკული ჯგუფის შესახებ:

სომხური ანბანის სამი უკანასკნელი ასო-ნიშნიდან სომხური „ფ“ (ფვრ) გრაფიკულად ისევე იწერება, როგორც სომხურის შესაბამისი ბერძნული ფონე-

<sup>9</sup> Fr. Müller. Über den Ursprung der armenischen Schrift. Sitzungsber. d. Wiener Akad. 48, 1864, pag. 431.

<sup>10</sup> I. Taylor. The Alphabet, II, London, 1883, pag. 253.

<sup>11</sup> H. Jensen. Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart. Berlin., 1958, pag. 411-419.

მა  $\Phi$  ( $\Phi$ ), მაგრამ ორი დანარჩენი სომხური გრაფემა, საგრძნობლად განსხვავდება იმავე ფონემების ბერძნული დაწერილობისაგან.

კვლავ გრაფიკულ მეთოდს მივმართოთ. საქმე ის არის, რომ სომხური ანბანის „ბერძნული“ ჯგუფის პირველ გრაფემას „ჰნ“-ს აღმოაჩნდა კიდევ რამდენიმე მსგავსი მოხაზულობის ასო-ნიშანი. ამიტომაც სომხური ანბანის მესამე გრაფიკული სისტემა შემდეგ სახეს ღებულობს (იხ. ტაბ. № 5):

სომხური ანბანის მესამე გრაფიკული სისტემის ასო-ნიშნები დიდად სხვაობენ პირველი და მეორე გრაფიკული სისტემის ასო-ნიშნებისაგან: „ნალისებური“ და „რკალისებური“ გრაფემების საპირისპიროდ, სომხური ანბანის მესამე ჯგუფში ძირითად გრაფიკულ ფერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებია გამოყენებული.

მაგრამ ჯერ სომხური ანბანის უკანასკნელი გრაფემის შესახებ:

ეს გრაფემა ასო „ქან“-ს, სომხურად „ქე“-ს აღნიშნავს. ცნობილია, რომ ბერძნული ანბანის X ( $\chi$ ) ფონემა, როგორც ქართულ, აგრეთვე სომხურ ანბანში „ქ“ ასობგერად განზოგანდა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია და არავის მოსვლია აზრად ეს ქეშმარიტება უარყო, გარდა პატივეცემულ ა. ფერხიხანიანისა.

თავის გამოკვლევაში ა. ფერხიხანიანი ამის გამო ერთ ადგილას წერს:

...Армянский знак для К' (ე. ი. „ქ“) оказался на последнем месте, выступая как отражение греческого X)<sup>12</sup>.

იქვე რამდენიმე გვერდით წინ ა. ფერხიხანიანი წერს:

«Армянский знак для К' (ე. ი. „ქ“). восходит к арамейскому «Коф»—У (но никак не к греческому X)<sup>13</sup>.

ამგვარად ა. ფერხიხანიანის აზრით ეს სომხური გრაფემა არამეულ „კოფ“-ს უკავშირდება. ხოლო ქართული „ქანი“ კი ამის შემდგომ რატომღაც სომხურს.

მაგრამ ა. ფერხიხანიანის კონცეფცია არ მართლდება.

სომხური „ქე“ ასო-ნიშანი როგორც ფონემურად, აგრეთვე გრაფიკულად ბერძნულ X ( $\chi$ ,  $\chi$ ი“-ს) უკავშირდება და აი, როგორ (იხ. ტაბ. № 6).

1	┌ - 3
2	└ - Ե
3	┌ - ლ (ზღილა)
4	└ - ს
5	ϕ - ფ
6	ρ - ქ

ტაბ. № 5

<sup>12</sup> А. Г. Периханиян. К вопросу о происхождении армянской письменности. Переднеазиатский сборник, II, Москва, 1966, стр. 119.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 113.



ბერძნული X გრაფემა ჯვარის ერთ-ერთი ფორმაა და იგი უძველესი წარმოშობისაა. ეს ნიშანი ისევე ძველია, როგორც ბერძნული ანბანი. უფრო გვიან ქრისტიანულ ეპოქაში ჯვარის ეს ფორმა ე. წ. *crux decussata* გააზრებული იქნა. როგორც ქრისტეს მონოგრამა, როგორც *Χριστος* (ქრისტეს) სიტყვის პირველი ასო-ნიშანი. ბერძნული X ასო-ნიშანი ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოდ იქცა. ამ მონოგრამა-სიმბოლოს შემდგომ თავისი განვითარება აქვს: მე-2 საუკუნის მეორე ნახევარში ბერძნული I და X ასოების შეერთებით სიმბოლომ შემდეგნაირი სახე მიიღო: იხ. 2. ე. ი. იესო ქრისტე; მე-3-4 საუკუნეებში მონოგრამა კიდევ უფრო გართულდა: იხ. 3. ე. ი. ი ესო ქრისტე; ქრისტეს ამ მონოგრამას დაახლოებით 350 წელს გაუჩნდა დამატებითი, ჯვარცმის აღმნიშვნელი ჰორიზონტალური ხაზი შუაში: იხ. 4. ხოლო 355 წლიდან ეს ნიშანი გამარტივდა იმით, რომ ჩამოსცილდა ჯვარის ძველი ფორმა — *crux decussata* და ქრისტეს სიმბოლომ მე-4 საუკუნის მეორე ნახევრის დროინდელი ფორმა მიიღო:<sup>14</sup> იხ. 5.



ტაბ. № 6

სომხური ანბანის უკანასკნელ 36-ე გრაფემად და „ქ“ („ქე“) ფონემის აღმნიშვნელად აკროფონიის პრინციპის შესაბამისად ზუსტად ეს ქრისტეს მონოგრამა ზის.

ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომ არ დაერთო სომხური ენის სპეციფიკური ფონემური ასო-ნიშნები სომხურ ანბანს ბოლოში, როგორც ეს საერთოდ ყველა უძველეს ანბანურ დამწერლობაში ხდებოდა.

სომხური დამწერლობა ქრისტიანული ეპოქის ძეგლია. ამ დამწერლობის საშენ მასალად გამოყენებულია ქრისტიანული ერების (ეთიოპელთა, ქართველთა და ბერძენთა) ანბანური ასო-ნიშნები, ხოლო ქრისტიანული სიმბოლო (ქრისტეს მონოგრამა) სომხური ანბანის დასასრულის ნიშნად ზის.

ამას გარდა, სომხური ანბანის უკანასკნელი გრაფემა სომხური ანბანის შექმნის სათარიღო მაჩვენებლადც გამოდგება: რადგან სომხურ ანბანში დღესტურებულმა ქრისტეს მონოგრამამ მხოლოდ მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში მოიპოვა საყოველთაო საქრისტიანო აღიარება, ამიტომ სომხური ანბანიც, რა თქმა უნდა, უადრეს მე-4 საუკუნის მეორე ნახევრისა ვერ შეიქმნებოდა. ეს სათარიღო მაჩვენებელი ამარტებს სომხური წყაროების ჩვენებას სომხური ანბანის შექმნის დროის შესახებ.

დავუბრუნდეთ მესამე გრაფიკული სისტემის ნიშნებს (იხ. ტაბ. № 5).


რაკი სომხური „ფვრ“ ზუსტად ბერძნული შესაბამისი ასო-ნიშნის მოხაზულობისაა, ხოლო სომხური „ქე“, როგორც უკვე ითქვა, ბერძნული X („ხი“) ასო-

<sup>14</sup> ქრისტეს სიმბოლური გამოსახვის შესახებ იხ. სპეც. ლიტერატურა: ლ. ქ ა ჯ ა ი ა, ორი ტექნიკური ნიშანი ძველ ქართულ ხელნაწერებში. პალეოგრაფიული ძიებანი, 11, თბილისი, 1959; V. Gardthausen. Griechische palaeographie, Leipzig, 1879, გვ. 117; Н. В. Покровский. Очерки памятников христианской иконографии и искусства. С-Пб., 1900, გვ. 30, 31; И. В. Помяловский. Археологическая находка в Пуатье. Записки Императ. русского археолог. общества, т. II, вып. II, С-Пб., 1886, გვ. 65.

Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрон. С-Пб. 1895. Крест Иисуса Христа и его изображения.

ნიშნისაგან გამოდის, ამიტომ გასარკვევია პირველი ოთხი ასო-ნიშნის გრაფიკული ჩანაფიქრი. რადგან ამ ოთხი ასო-ნიშნის გრაფიკა მეტად მარტივია, უფრო საფიქრებელია, რომ ეს გრაფიკა ხელოვნურად არის შექმნილი. მით უმეტეს, რომ სომხური ასო-ნიშნების გრაფიკა და გრაფიკული მოდიფიკაცია ემყარება ასო-ნიშნის ვერტიკალსა და ამ ვერტიკალიდან მარჯვნივ წარზიდულ დამატებით ხაზს (ასეა ნალისებურ გრაფემებში, ასეა აქაც). ამიტომ ამ გრაფიკული ერთეულებიდან უმარტივესი და ამოსავალი სომხური „უნ“-ის გრაფიკული მოხაზულობა უნდა იყოს, ხოლო მომდევნო სამი გრაფემა ამოსავალი გრაფემის თანამიმდევრული სახე-ცვლილებაა, გრაფემების მოდიფიკაციის საერთო წესისამებრ — ზემოდან ქვემოთ. სომხური გრაფემების მოდიფიკაციის ეს წესი დაცულია სომხური ანბანის როგორც პირველ, აგრეთვე მეორე და მესამე გრაფიკულ სისტემებში.

არც მეორე შესაძლებლობა გამოიციხული: თუ სომხური „უნ“-ის მონახულობა შესაბამისი ბერძნული გრაფემის საფუძველზეა შექმნილი



ირიბი ხაზების გასწორახოვნების მეშვეობით, ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვან კანონზომიერებას ვლტულობთ:

სომხური ანბანის სამივე ანბანურ ჯგუფს საფუძველად დასდებია:

1. „სემურ“ (ნალისებური გრაფემების) ჯგუფს — ქრისტიანული ეთიოპური ანბანის პირველი გრაფემა;
2. „ქართულ“ (რკალისებური გრაფემების) ჯგუფს — ქრისტიანული ქართული ანბანის პირველი გრაფემა;
3. „ბერძნულ“ (ყუთხოვანი გრაფემების) ჯგუფს — ქრისტიანული ბერძნული ანბანის ბერძნული ანბანური ჯგუფის პირველი გრაფემა.

თუ ეს ასეა, სომხური ანბანი მკაცრი პალეოგრაფიული ჩანაფიქრის განხორციელების შედეგი ყოფილა, ხოლო სომხურ ანბანში თავიდან ბოლომდე გატარებული ყოფილა ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი, ზოგადი ხასიათის თვალსაზრისი.

ამგვარად ამ ოთხი ნიშნის გრაფიკული ჩანაფიქრი ასეთია: პირველი გრაფემა — ვერტიკალური ხაზი, მარჯვნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზით შუაში; მეორე გრაფემა — ვერტიკალური ხაზი, მარჯვნივ წარზიდული გრძელი და მოკლე ჰორიზონტალური ხაზებით შუაში და ბოლოში; მესამე გრაფემა — ვერტიკალური ხაზი, მარჯვნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზით ბოლოში; მეოთხე გრაფემა — ვერტიკალური ხაზი, მარჯვნივ წარზიდული ჰორიზონტალური ხაზითა და დამატებითი ნიშნით — რკალით შუაში.

სომხური ანბანის მესამე ჯგუფმა არა მარტო სომხური ანბანის „ბერძნული“ ჯგუფით შეავსო სომხური ანბანი, არამედ „სემურსა“ და „ქართულ“ ჯგუფებს ორივეს ერთად სამი გრაფემა დაუმატა. თუ „სემურ“ უძველეს ანბანურ დამწერლობებში „ალეფი“-დან „ტავ“-ამდე 22 გრაფემაა, სომხურ ანბანში „აბზ“-იდან „ტვზ“-ამდე 24 გრაფემაა. სომხური ანბანის „სემურ“ ჯგუფს მესამე გრაფიკული ჯგუფიდან დაემატა ორი ასო —  $\text{Մ}$  (ე. მეშვიდე) და „ლუნ“ — რბილი „ლასი“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელის გრაფიკული მოხაზულობა ძალიან წააგავს ლათინური L (el) გრაფემის მოხაზულობას. შესაძლოა, ეს არც იყოს შემთხვევითი.

ასო „ხე“-ს გრაფიკა შესაძლოა მესამე გრაფიკულ ჯგუფს არც ეკუთვნოდეს. ამ შემთხვევაში ეს პირობითობაა. თუ ეს ასო-ნიშანი გრაფიკულად სომხური ანბანის „ქართულ“ ჯგუფში ვერ მოთავსდა, ამით არაფერი დაშავებულა. ვფიქრობ. ქართული „ხან“-ის შესატყვისი სომხური გრაფემა უშუალოდ ქართული „ხან“-ისა და „ქარ“-ის გრაფიკული მოხაზულობიდანაა გამოყვანილი.

### III

ახლა გასარკვევია სომხური ანბანის სტრუქტურა: რა გრაფიკული პრინციპებით ხელმძღვანელობდა სომხური ანბანის შემქმნელი, როცა მას ცალკეული სომხური გრაფემები გამოყავდა? როგორ დაუთავებია ერთმანეთს სამი განსხვავებული გრაფიკული სისტემა?

დავუბრუნდეთ სომხური ანბანის პირველ გრაფიკულ სისტემას.

გრაფიკული სისტემის ქვეჯგუფებში რამდენიმე, ძირითადად ერთი მოხაზულობის გრაფემები გვაქვს. ერთ შემთხვევაში — პირველ ქვეჯგუფში ოთხი ერთეული (პირალმა ნალისებური გრაფემა), სხვა შემთხვევებში სამ-სამი ერთეული (მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ქვეჯგუფებში). ხოლო უკანასკნელ მეშვიდე, მერვე და მეცხრე ქვეჯგუფებში თითო-თითო გრაფემა.

ქვეჯგუფებში დამატებითი ნიშნების შემწეობით ერთი და იგივე გრაფემის რამდენიმე სახესხვაობას ვღებულობთ. დამატებითი ნიშნები გრაფემებს გარკვეული თანამიმდევრობით მოუღიბთ, ე. ი. გრაფემების თანამიმდევრობა ქვეჯგუფებში გარკვეულ გრაფიკულ წესს ემორჩილება; უპირველესი გრაფემა — წმინდა გრაფემა განმასხვავებელი, დამატებითი ნიშნის გარეშე, შემდეგ — იგივე გრაფემა ზემო დამატებითი ნიშნით, შემდეგ — იგივე გრაფემა შუა დამატებითი ნიშნით და იგივე გრაფემა ქვემო დამატებითი ნიშნით. ე. ი. გრაფიკული სისტემა იცავს დამატებითი, განმასხვავებელი ნიშნების თანამიმდევრობის გარკვეულ წესს — ზემოდან ქვემოთ.

ცხადია, ამ დამატებითი, განმასხვავებელი ნიშნების საშუალებით ანბანის შემოქმედი ქმნის ერთმანეთისაგან განსხვავებულ ანბანურ ასო-ნიშნებს. წმინდა გრაფიკული თვალსაზრისით, ანბანის შემქმნელი ცდილობს ყოველ ცალკეულ ქვეჯგუფში დამატებითი ნიშნების დახმარებით გრაფემებს შორის მსგავსების ნიშან-კვალი წაშალოს და სრულიად სამართლიანადაც.

ამას გარდა, დამატებით ნიშნებს, როგორც დაკვირვებამ ცხადყო, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. დამატებითი ნიშანი ერთმანეთისაგან განმასხვავებს არა მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეჯგუფში შემავალ გრაფემებს, არამედ სხვადასხვა ქვეჯგუფის გრაფემებსაც. როგორც აღინიშნა, პირველი ქვეჯგუფის აღმა-ნალისებურ გრაფემას მეორე ქვეჯგუფის დაღმა-ნალისებური გრაფემა შეეფარდება და ამდენად მათი გრაფიკული ნათესაობა საკმაოდ თვალსაჩინოა. ამგვარივე მიმართებაა მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ქვეჯგუფის გრაფემებს შორის. დამატებითი ნიშნების საშუალებით ანბანის შემქმნელი ცდილობს ერთი ქვეჯგუფის გრაფემა მეორე ქვეჯგუფის შესაბამ გრაფემისაგან შექცევისამებრ მეტად განასხვავოს.

მაგალითად: პირველი ქვეჯგუფის მესამე გრაფემას მოსალოდნელი იყო დამატებითი ნიშანი ვერტიკალის შუაში ჰქონოდა, მსგავსად მეორე ქვეჯგუფის მეორე გრაფემისა. მაგრამ ამ ორ გრაფემას შორის მსგავსების თავიდან აცილების მიზნით, მარტივი დამატებითი ნიშნის მაგიერ, პირველი ქვეჯგუფის მესამე



გრაფემას მეტად რთული დამატებითი ნიშანი მოეძებნა. ამით სომხური ანბანის შემქმნელმა სომხური ანბანის პირველი ასო-ნიშანი („აბა“), არა მარტო მეორე ქვეჯგუფის მეორე გრაფემას („რ“ — კოშტი), არამედ საერთოდ ყველა ნალისებური გრაფემისაგან განასხვავა. ამით „ნალისებური“ გრაფიკული ერთფეროვნება სომხური ანბანის პირველი ასო-ნიშნიდანვე აღიკვეთა. საგულსხმოა-რომ ამ გრაფემამ დროთა მანძილზე თავისი მარტივი და მოსალოდნელი ფორ-მა მიიღო (იხ. ტაბ. № 7).

✓ ს.    ✓ ო ს.    × ს.    × ო ს.  
 Ⴑ    Ⴑ    Ⴑ    Ⴑ

ტაბ. № 7

შემდეგ, მე-3, მე-4 და მე-6 ქვეჯგუფების პირველ გრაფემებს ურთიერთ-მსგავსება უმცირდებათ სწორედ დამატებითი ნიშნების წყალობით: ერთ მათგანს დამატებითი ნიშანი სულ არა აქვს (მე-4 ქვეჯგუფის პირველი გრაფემა), მეორეს დამატებითი ნიშანი ზემოთ მოუდის (მე-3 ქვეჯგუფის პირველი გრაფემა), ხოლო მესამეს დამატებითი ნიშანი ვერტიკალის შუაში მოუდის (მე-6 ქვეჯგუფის პირველი გრაფემა). მე-5 ქვეჯგუფში მოსალოდნელი იყო პირველი გრაფემა წმინდა სახით გვექონოდა. ამ შემთხვევაში იგი მე-4 ქვეჯგუფის პირველი გრაფემის მსგავსი იქნებოდა. ამგვარადვე, მე-5 ქვეჯგუფის მეორე გრაფემა ძალზე დაემგვანებოდა მე-3 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას, ხოლო ისევ მე-5 ქვეჯგუფის მესამე გრაფემა — მე-6 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას. ამის შედეგად პარალელური, მსგავსი ასო-ნიშნების რაოდენობა ნალისებურ ჯგუფში ექვსი ერთეულით გაიზარდებოდა. ასო-ნიშნების ურთიერთმსგავსების თვალსაჩინოებას შეუძლებელია არ გამოედო გრაფიკული ერთფეროვნების არასასურველი შედეგი. მე-5 ქვეჯგუფის უარყოფის ერთ-ერთი მიზეზი ისეც უნდა იყოს (იხ. ტაბ. № 3).

შემდეგ, რადგან მე-3 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას დამატებითი ნიშანი ზემოთ მოუდის, ხოლო მე-6 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას შუაში (თუ რა მიზეზით, ამის შესახებ ზემოთ ითქვა), ამის გამო ორივე ქვეჯგუფის მესამე გრაფემებს დამატებითი ნიშნებად, ერთ შემთხვევაში ქვემო და, მეორე შემთხვევაში, ზემო ვერტიკალები აქვთ, რადგან გრაფემის მომრგვალებული ნაწილი მარჯვნივ წარზიდულ ჰორიზონტალს ვეღარ მიიმატებდა.

კიდევ ერთ შემთხვევაში, მე-2 ქვეჯგუფის მესამე გრაფემას, ჰორიზონტალური ხაზის ნაცვლად, დამატებითს ნიშნად კვანძის მსგავსი ნიშანი აქვს. ყოველივე ეს გრაფიკული მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას აძლიერებს.

დამატებითი ნიშნების გამო კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: ეს ნიშნები გრაფემებს მოუდით მარჯვენა მხარეს და ისინი მარჯვნივ არიან წარზიდულნი, ერთი გამონაკლისის გარდა: მესამე ქვეჯგუფის პირველ გრაფემას დამატებითი ხაზი მარცხნივ მოუდის და გრაფემის მარცხნივ არის წარზიდული (ამ ფრიად მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ საუბარი გვექნება სხვა დროს, ქართული ასომთავრული დამწერლობის განხილვისას).

უპრეცედენტოა თუ არა ასო-ნიშნების გამოყვანის ის გრაფიკული მეთოდი, რომელსაც სომხური ანბანის შემქმნელი იყენებს?

ცნობილია თუ არა დამწერლობის ისტორიასა და მეცნიერულ პალეოგრაფიაში გრაფემის იმდაგვარი ბრუნვა-ტრიალი, რაც სომხურ გრაფიკაში ესოდენ თვალსაჩინოა?

აქ მოკლედ ვიტყვი:

სომხურ ანბანში გამოყენებულია ასო-ნიშნების გამოყვანის ე. წ. ბუსტროფედონული წერის არა ადრინდელი, არამედ გვიანდელი მექანიკური წესი.

ბუსტროფედონით წერის დროს რომელიმე ფონემური მნიშვნელობის გრაფემას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთადერთი ფორმა, უმრავლეს შემთხვევაში კი ორი და ოთხი სხვადასხვა ფორმა. გრაფემის მოხაზულობის სპეციფიკა ბუსტროფედონით წერის დროს გვაძლევს შემდეგ შესაძლებელ ფორმებს:

1. გრაფემას აქვს ერთადერთი, ძირითადი ფორმა. მაგ.: I; O; H.

2. გრაფემას აქვს ძირითადი და ანტიფორმა. მაგ.: C — Sigma და  $\bar{C}$ -antisigma (გვიანდელ ლათინურში, კეისარ კლავდიუსის დროს ანტისიგმას მიენიჭა „ფს“ მნიშვნელობა, ე. ი. გამოყენებულ იქნა გვიანდელი მექანიკური წესი).

3. გრაფემას აქვს ძირითადი და ინვერსიული (inversum) ფორმა. მაგ.: T და L inversum.

4. გრაფემას აქვს როგორც ძირითადი და ანტი, აგრეთვე ინვერსიული ფორმები მაგ.:  $\bar{C}$ -digamma, F-antidigamma,  $\bar{C}$ . L—digamma inversum.

თუ ახლა სომხური ანბანის „სემურ“ და „ქართულ“ გრაფიკულ სისტემებს გადავხედეთ, დავინახავთ, რომ ამ ჯგუფებში დასტურდება გრაფემის როგორც ძირითადი, აგრეთვე „ანტი“ და „ინვერსიული“ ფორმები, ხოლო ამ ფორმებს ნებისმიერი ფონემური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, ე. ი. სომხურ ანბანში დასტურდება ასო-ნიშნების გამოყვანის გვიანდელი მექანიკური წესი.

ახლა რაც შეეხება დამატებითს ნიშნებს. ძირითად დამატებითს ნიშნებად სომხურ ანბანში გამოყენებულია მოკლე პორიზონტალური ან ვერტიკალური ხაზები. ამ დამატებითი ნიშნების დანიშნულება სომხურ ანბანში თითქმის ცხადია: დამატებითი ნიშანი ერთ რომელიმე გრაფემას მეორისაგან განასხვავებს.

ცნობილია თუ არა მეცნიერულ პალეოგრაფიაში დამატებითი ნიშნების გამოყენების ეს წესი? როგორც ჩანს, ცნობილია.

დამატებითი ნიშნები აუცილებელია მონუმენტური სახის დამწერლობაში. კერძოდ, დამატებითი ნიშნები გამოყენებულია ბერძნულ და ქართულ მონუმენტურ დამწერლობებში. სომხური ერკათაგირი კი მონუმენტური დამწერლობის ერთ-ერთი სახეობაა (დამატებითი ნიშნების დანიშნულების შესახებ უფრო ვრცლად საუბარი გვექნება ქართული ასომთავრული დამწერლობის განხილვისას). დამატებითი ნიშნები იმავე მიზნით, უფრო თვალსაჩინოდ და უფრო ხშირად გამოყენებულია სილაბურ ანუ მარცვლოვან დამწერლობებში (ქპაროშთი, ბრაჰმი, ეთიოპური და სხვ.).

როგორც უკვე აღინიშნა, აკად. დ. ოლდეროგეს თვალსაზრისით, სომხურ ანბანში გამოყენებულია ასოთა გარდაქმნა-მოდიფიკაციის ეთიოპური პრინციპი. იმ განსხვავებით, რომ თუ ეთიოპურ დამწერლობაში ეს პრინციპი ეთიოპური დამწერლობის ვოკალიზაციის ემსახურება, სომხური ანბანის შემქმნელი ამ პრინციპს სომხური ანბანური გრაფემების შესაქმნელად იყენებს.

ამის შესახებ კარგად წერს დ. ოლდეროვე:

„In building the Armenian alphabet Mashtotz knew the principles underlying the Ethiopian written language. The serifs or rings above, in the middle or beneath the letter in the Ethiopian alphabet has a definite semantic meaning—they serve as vocal modifiers. The Mashtotz alphabet follows the same principle of modifications—the addition of serifs and rings to the body of the letter. However, the addition of these serifs and circles was not dictated by the need for vocalization—that was needless. The Armenian written language of Mashtotz was a purely alphabetical system.

In compiling his alphabet Mashtotz used some additional serifs. Apparently, the material from which he moulded the letters was provided by the symbols which then were current in Armenia and the neighbouring countries, i. e. different alphabetical symbols of the Aramaic or Pahlevi origin. However Mashtotz gave them a definite form and patterned them as the Ethiopian syllabic letters. In shaping individual letters Mashtotz made provisions for their graphic modifications, as in the Ethiopian written language, in which these modifications had a functional significance<sup>15</sup>.

რა კავშირია ეთიოპურ და სომხურ დამწერლობებს შორის? ეთიოპური ანბანი თავისი წარმოშობით სამხრეთ სემიტურ დამწერლობებს უკავშირდება (იხ. ტაბ. № 8), მაგრამ ვოკალიზაციის პრინციპი ეთიოპურ ანბანში ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში უნდა შემოეღოთ. რაში მდგომარეობს ეს პრინციპი?

რაკი ეთიოპურ ანბანს ხმოვნები არ გააჩნდა, ამიტომ ეთიოპური გახმოვანებული ანბანის ყოველი თანხმოვანი შეიღნაირად დიწერა, იმის მიხედვით, თუ რომელ ხმოვანთან უნდა წაკითხულიყო. ამიტომ ყოველ თანხმოვანს შეიღი გრაფიკული სახესხვაობა გაუჩნდა, ეთიოპური დამწერლობა კი ფაქტურად მარცვლოვან დამწერლობად იქცა.

თუ ეთიოპურ ანბანში სულ 26 ასო-ნიშანია, ხოლო თითოეულ გრაფემას შეიღი სხვადასხვა მოხაზულობა აქვს, — ეთიოპურ გახმოვანებულ ანუ ვოკალიზებულ ანბანში სულ  $26 \times 7 = 182$  გრაფემაა (იხ. ტაბ. № 8).

განსაკუთრებით საყურადღებოა ვოკალიზებული ეთიოპური დამწერლობის პირველი ასო-ნიშანი „ჰ“. იგი აღმა ნალისებურ გრაფემას წარმოადგენს და თავისი მოხაზულობით სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის პირველ გრაფემას უდრის (იხ. ტაბ. № 8).

აგრეთვე საყურადღებოა ეთიოპური დამწერლობის ასო „ბ“. იგი დაღმა ნალისებურ გრაფემას წარმოადგენს და თავისი მოხაზულობით სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის მე-2 ქვეჯგუფის პირველ გრაფემას უდრის (იხ. ტაბ. № 8).

თუ ეთიოპურ ანბანში გრაფემის შეიღნაირი სახესხვაობა, გრაფემის მოდიფიკაცია გამოყენებულია ანბანის გახმოვანების, ვოკალიზაციის პრინციპად, სომხურ ანბანში პირველი ეთიოპური აღმა ნალისებური გრაფემის მოდიფიკაცია გამოყენებულია სომხური ასო-ნიშნების გამოყვანის მიზნით („სემური“ ჯგუფის ფარგლებში).


<sup>15</sup> დ. ოლდეროვე, დასაქ. ნაშრომი, გვ. 9—10.



პეტრა	თანხმოვანი						
	13 +	15 +	1- +	13 +	12 +	პეტრა + სკანონი	10 +
h	ሀ	ሁ	ሂ	ሃ	ሄ	ህ	ሆ
l	ለ	ሉ	ሊ	ላ	ሌ	ል	ሎ
h	ሐ	ሑ	ሒ	ሓ	ሔ	ሐ	ሐ
m	መ	ሙ	ሚ	ማ	ሚ	ም	ሞ
s	ሠ	ሡ	ሢ	ሣ	ሤ	ሥ	ሦ
r	ረ	ሩ	ሪ	ራ	ሬ	ር	ሮ
s	ሰ	ሱ	ሲ	ሳ	ሴ	ስ	ሶ
q	ቀ	ቁ	ቂ	ቃ	ቄ	ቅ	ቆ
b	በ	ቡ	ቢ	ባ	ቤ	ብ	ቦ
t	ተ	ቱ	ቲ	ታ	ቲ	ት	ቶ
h	ኀ	ኁ	ኂ	ኃ	ኄ	ኅ	ኆ
n	ነ	ኑ	ኒ	ና	ኔ	ን	ኖ
.	አ	ኡ	ኢ	ኣ	ኤ	አ	አ
k	ከ	ከ	ከ	ካ	ኬ	ክ	ከ
w	ወ	ወ	ወ	ወ	ወ	ው	ወ
o	ዐ	ዐ	ዐ	ዐ	ዐ	ዐ	ዐ
z	ዘ	ዘ	ዘ	ዘ	ዘ	ዘ	ዘ
j	የ	የ	የ	የ	የ	የ	የ
d	ደ	ደ	ደ	ደ	ደ	ደ	ደ
g	ገ	ገ	ገ	ገ	ገ	ገ	ገ
r	ጠ	ጠ	ጠ	ጠ	ጠ	ጠ	ጠ
p	ጸ	ጸ	ጸ	ጸ	ጸ	ጸ	ጸ
~	ጸ	ጸ	ጸ	ጸ	ጸ	ጸ	ጸ
d	ፀ	ፀ	ፀ	ፀ	ፀ	ፀ	ፀ
f	ፈ	ፈ	ፈ	ፈ	ፈ	ፈ	ፈ
p	ፕ	ፕ	ፕ	ፕ	ፕ	ፕ	ፕ

ამრიგად, ეთიოპური ანბანის გრაფიკული პრინციპი სომხურ ანბანში განსხვავებული შინაარსისაა და განსხვავებულ მიზანს ემსახურება. აქ გამომყვანდა სომხური ანბანის შემქმნელის უდავო მიგნება და შემოქმედებითი ნიჭი. მან შეიძლება ითქვას, ანბანის შექმნის ორიგინალური — გრაფიკული გზა გაკვალა.

მეორეს მხრივ, რაკი ვოკალიზებული ეთიოპურიცა და სომხური ანბანიც მეტ-ნაკლებად გრაფემების მოდიფიკაციის პრინციპზეა აგებული, — ერთი ანბანის გრაფემა ადვილად შესაძლებელია მეორე ანბანის რომელიმე გრაფემას დაემთხვეს, მით უმეტეს, როცა ეთიოპურ ანბანში 182 გრაფემაა. ამიტომ შეცდომა იქნება ცალკეული სომხური ასო-ნიშნები ეთიოპური ანბანის ცალკეულ გრაფემებს მივამგვანოთ, როგორც ამას აკად. დ. ოლდეროგე აკეთებს. მეცნიერის თვალსაზრისი კარგად ჩანს მის მიერ შედგენილ გრაფიკულ ნახაზზე (იხ. ტაბ. № 9).



ტაბ. № 9

ტაბულაზე აღბეჭდილი ყოველი პირველი პწკარი ეთიოპური გახმოვანებულ და მწერლობის გრაფემებია, ხოლო ყოველი მეორე პწკარი სომხური ანბანის გრაფემებია.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ვოკალიზაციის პრინციპი ცნობილი გახდა ეთიოპიაში დაახლოებით 300 წელს ახ. წელთაღრიცხვით. ვარაუდით ვოკალიზაციის პრინციპი ეთიოპიაში ინდოელ მისიონერებს უნდა შემოეტანათ<sup>16</sup>, ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, ვოკალიზებული

<sup>16</sup> Hans Jensen. Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart. Berlin, 1958, გვ. 325.

ეთიოპური ანბანის შემოღებას დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის პირველი ნახევრით ვარაუდობენ<sup>17</sup>.

ქრონოლოგიის თვალსაზრისით ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია. თუ ეთიოპურ-სომხურ დამწერლობათა შორის მართლაც არსებობს გარკვეული კავშირი, მაშინ სომხური ანბანის წარმოშობა დაახლოებით ახ. წ. მე-4 საუკუნის მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს და არა უადრეს ამ დროისა, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება სომხური საისტორიო წყაროების ჩვენებებს.

მაგრამ, თუ ვოკალიზაციის პრინციპი, უფრო ადრეა შემოღებული, კერძოდ, ახ. წ. I საუკუნეში, როგორც სულ ამ უკანასკნელ ხანებში ვარაუდობენ, ამ შემთხვევაში ეს პრინციპი სომხური ანბანის შექმნის ზუსტ მაჩვენებლად აღარ გამოგვადგება.

სომხური ანბანის ნალისებური გრაფემების ერთი მთლიანი და დასრულებული გრაფიკული სტრუქტურა ცხადყოფს, რომ თავდაპირველად შესაძლოა არსებულიყო ამ გრაფიკული სტრუქტურის მე-5 ქვეჯგუფის სამი გრაფიკული ერთეულიც, მით უმეტეს, რომ გრაფიკული სტრუქტურა 22 გრაფიკული ერთეულის შემცველი უნდა ყოფილიყო, ე. ი. გრაფიკული სტრუქტურა გამიზნული იყო „სემური“ 22 ნიშნიანი ანბანური ჯგუფისათვის — „აბჰ“-იდან „ტჷნ“-ამდე. გარდა ამისა „ნალისებური“ გრაფემების სტრუქტურულ S — ასო-ნიშნში ჩაქსოვილია მე-5 ქვეჯგუფის ნალისებური გრაფემის ნახაზიც.

მას შემდეგ, რაც სომხურ ანბანში გამოიყო სამი სხვადასხვა გრაფიკული ჯგუფი, სამად-სამი გრაფიკული ერთეული ყოველგვარი გრაფიკული სისტემების გარეშე დარჩა. მათი ფონემური მნიშვნელობა ნალისებური გრაფემების ზუსტად მე-5 ქვეჯგუფში მოთავსდა. „გრაფიკული ნაშთი“ თავის ახსნა-განმარტებას პოულობს: ეს „ნაშთი“ შემოღებულია სამი უარყოფილი ნალისებური გრაფემის სანაცვლოდ. ეს ვითარება არათუ ასუსტებს, არამედ კიდევ უფრო მეტად ამაგრებს სომხური ანბანის გრაფიკული სტრუქტურის ჭეშმარიტებას.

რატომ იქნა უარყოფილი მე-5 ქვეჯგუფის სამი ნალისებური გრაფემა? ამას მთელი რიგი მიზეზები აქვს:

„ენკათაგირის“ დამწერლობაში სულ 36 ასო-ნიშანია, ე. ი. თავდაპირველად უნდა გექონოდა 22 ნალისებური გრაფემა და მხოლოდ 14 ასო-ნიშანი განსხვავებული გრაფიკული მოხაზულობისა. ნალისებური გრაფემების სიმრავლეს უთუოდ უნდა გამოეწვია არასასურველი გრაფიკული თვალსაჩინოების შედეგი. ანბანში ნალისებური გრაფემების ზენაჯერობას შეუძლებელია ანგარიში არ გასწეოდა, მით უმეტეს, რომ სამი უარყოფილი ნალისებური გრაფემიდან ერთ-ერთს „ინ“ — ხმოვნის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, კერძოდ, მე-5 ქვეჯგუფის მეორე გრაფემას.

გარდა ამისა, გრაფიკული სტრუქტურის მეშვეობით აღდგენილი მე-5 ქვეჯგუფის სამი ნალისებური ერთეული გრაფიკული სისტემის სუსტი რგოლია. რადგან სომხური ანბანის ასო-ნიშნები მარცხნიდან მარჯვნივ უნდა იწერებოდეს, წერის მიმართულების შესაბამისად და ამ წესს პირველი გრაფიკული სისტემის ყველა ცხრამეტივე გრაფემა ემორჩილება, სავარაუდებელია მე-5 ქვეჯგუფის გრაფემები უარყოფილ იქნა იმის გამოც, რომ ეს გრაფემები, პირიქით, მარჯვნიდან მარცხნივ უნდა დაწერილიყო.

<sup>17</sup> Д. Дирингер, Алфавит. Москва, 1963, стр. 278.



გარდა ამისა, ასო-ნიშნის გრაფიკა მოწმდება სხვა ასო-ნიშნებთან ურთიერთდაკავშირების გრაფიკული კომბინაციების მეშვეობით. ამ თვალსაზრისით მე-5 ქვეჯგუფის გრაფემები მოგვემდინენ შემდეგნაირ გრაფიკულ კომბინაციებს:

ჩს , სჩ , ქრ და სხვ.

სავარაუდებელია, მე-5 ქვეჯგუფის ნალისებური გრაფემები უარყოფილ იქნა ამ არასასურველი გრაფიკული კომბინაციების თავიდან აცილების მიზნითაც.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას; ნალისებური გრაფემების გრაფიკული სტრუქტურის მეშვეობით შესაძლებელი ვახდა აღდგენილიყო სამი ნალისებური გრაფემის მოხაზულობა და ამდენად ნალისებური გრაფემების იქნებ თავდაპირველი მთლიანი გრაფიკული სტრუქტურაც. ამიტომ, შესაძლოა, თავდაპირველად „ნალისებურ“ გრაფიკულ სისტემაში გაერთიანებული იყო 22 ასო-ნიშანი, ანუ სომხური ანბანის „სემური“ ჯგუფი „აბზ“-იდან „ტვნ“-ამდის.

აღსანიშნავია ისიც, რომ კორიუნის თხზულებასა და სხვა სომხურ ისტორიულ წყაროებში ხაზგასმული დაბეჯითებით არის ლაპარაკი სირიელი დანიელის 22 ასო-ნიშნის თაობაზე. ეს 22 ნიშნისანი დამწერლობა თითქოს დაინერგა კიდევ სომხეთში. მაგრამ საკმარისი არ აღმოჩნდა სომხური ენის ფონემების სიმრავლისა თუ თავისებურების გამო.

ხომ არ არის რაიმე კავშირი სირიელი დანიელის 22 ნიშნიან დამწერლობასა და სომხური ანბანის ნალისებური გრაფემების 22 ნიშანს შორის?

დაბეჯითებით ამაზე, რა თქმა უნდა, ძნელია რაიმე ითქვას. ამგვარად, თუ მე-5 ქვეჯგუფის სამი ნალისებური გრაფემა თავდაპირველად მართლაც არსებობდა, რომელი გრაფიკული ერთეულებით შეიცვალა ეს სამი უარყოფილი ნალისებური გრაფემა? აი, ეს გრაფემები:

ღ . ზ . ზ . ი . ზ . ე

რომელი დამწერლობით სარგებლობდა სომხური ანბანის შემქმნელი, როცა ანბანში ეს სამი ახალი გრაფემა შემოჰქონდა? საქმე ის არის, რომ არცერთ ანბანურ დამწერლობაში ამ სომხურ ასო-ნიშნებს იმავე მნიშვნელობის მსგავსი მოხაზულობის გრაფემები არ ეძებნებათ და პირუკუ, სომხური ანბანის „ზა“ განსაკუთრებულ მსგავსებას პოულობს ქართული „ღონ“-თან (წ), იმ განსხვავებით, რომ სომხური „ზა“ თავდაღმაა გადმოტრიალებული. ქართული „ღონი“ თავის მხრივ ფინიკურ, ბერძნულ და სამხრეთ სემიტურ „ღონ“-ებს ჰგავს, მაგრამ სომხური „ზა“ ყველაზე დიდ მსგავსებას ქართულ „ღონ“-თან ამქლავნებს.

შემთხვევითია თუ არა ეს მოვლენა? როგორც ჩანს, — არა. უკვე აღინიშნა, რომ სომხური „ხე“ (ჩ), ქართული „ხან“-ისა (ჩ) და „გარ“-ის (ყ) საფუძველზეა შექმნილი.

ივ. ჯავახიშვილი ამის გამო აღნიშნავს:

„სომხური „ხე“ ქართულ „ხ“-ს ცოტად თუ ბევრად მიაგავს...“<sup>18</sup> გარდა ამისა, როგორც გამოირკვა, სომხურ ანბანში დასტურდება „ქართული“ ანბანური ჯგუფი, რომელიც ქართული ასომთავრული „ანი“-ს გრაფიკული მოდიფიკაციის საფუძველზეა შექმნილი, სომხური ანბანის „ქართული“ ანბანური ჯგუფი გრაფიკულად ქართული ასონიშნების ანბანურ თანამიმდევრობას მი-სდევს.

ამიტომაც სავსებით შესაძლებელია სომხური „ხა“, ქართული „ღონ“-ის საფუძველზე იყოს შექმნილი.

რაც შეეხება სომხურ „ინ“-სა და „აი“-ს, უნდა ითქვას შემდეგი: სომხური „ინ“-ი თავისი გრაფიკული აღნაგობით ქართულ ასო-ნიშნებს მოგვაგონებს, კერძოდ **ი** (ე — მერვესა) და **ა** — „ჩინ“-ს. რაც შეეხება სომხურ „აი“-ს, ეს გრაფემა შესაძლოა ქართულ **ა** „აე“-საც მიეამგვანოთ; ქართულ „აე“-სა და სომხური „აი“-ს ურთიერთმიმართების შესახებ ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართულ პალეოგრაფიაში“ წერს:

„აღსანიშნავია, რომ სემურ „სამეხს“ და ბერძნულ „ქსი“-ს ქართულ ანბანში შესატყვისობა არ მოეპოვება, არამედ ამის მაგიერ „აე“-ზის, რომელიც შემდეგში მაინც მოკლე „ინა“-დ გამოითქმოდა... ისიცაა აღსანიშნავი, რომ მოკლე „ინი“-სათვის განსაკუთრებული ნიშანი ბერძნულსაც კი არ მოეპოვება... საყურადღებოა, რომ სომხურ ანბანშიაც მოიპოვება ამნაირი მოკლე „ინი“, რომლის მოხაზულობა ქართულისა მიაგავს, ანბანში მდებარეობთაც მიემსგავსება და თუ ქართულ ანბანში „აგს“ „მანისა“ და „ნარის“ შემდგომ აქვს დათმობილი ადგილი, სომხურ „აი“-ს „მენ“-სა და „ნუ“-ს შუა უკავია რიგი“<sup>19</sup>.

ამგვარად, პირველი გრაფიკული სისტემის გამო შეიძლება ზოგადი ხასიათის დასკვნა გამოვიტანოთ: სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის მეოხებით, ანბანის გამომგონებელმა შექმნა 22 ფონემის გამომსახველი „ნალისებური“ ნიშანი (სამი განსხვავებული ნიშნის ჩათვლით).

სომხური ანბანის პირველი გრაფიკული სისტემის გრაფიკული კანონზომიერებით აგებული ნიშნებისათვის ანბანის შემქმნელს შეეძლო ნებისმიერი ფონემური მნიშვნელობა მიენიჭებინა, ოღონდ „სემური“ ანბანური ჯგუფის ფარგლებში. ანბანის შემქმნელი ასეც მოიქცა: ნალისებური ნიშნების გრაფიკულ თანამიმდევრობას ქვეჯგუფების მიხედვით მან შემდგომი ფონემური მნიშვნელობა მიანიჭა: ს, მ, ა, ვ, ო, რ (კოშტი), თ, ნ, ე, კ, რ (ფაფუცი), ბ, გ, ზ, ი, ა, დ; ლ, პ; ყ, გ, ტ, სულ 22 გრაფემა — „აბზ“-დან „ტუნ“-ამდე.

ამით ანბანზე გაწყობისას ნალისებური გრაფემების თანამიმდევრული მოდიფიკაციის მთელი სტრუქტურა დაირღვა და გრაფემებს შორის მსგავსების კვალი გაჰქრა. ანბანის შემქმნელი, პირიქით, რომ მოქცეულიყო და გრაფიკული კანონზომიერებით აგებული ნიშნებისათვის შესაბამისად ანბანური თანამიმდევრული ფონემური მნიშვნელობა მიენიჭებინა, ასეთ შემთხვევაში სომხური ანბანი შემდეგ სახეს მიიღებდა:

ს, ს, სლ, ა, ი, ი, ი, ზ, ხ, ს, ი, ჩ, ც

<sup>18</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1949, გვ. 231.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 223.





სომხურმა ანბანის შემქმნელმა „რკალისებური“ გრაფემების გადაადგილებისა და ადგილშენაცვლების საშუალებით თავიდან აიცილინ ამ გრაფემების როგორც გრაფიკული, ისე ანბანურ-ფონემური თანამიმდევრობა. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს გრაფემები „ნალისებურ“ გრაფემებს შორის გაიფანტა, მათი ანბანურ-გრაფიკული თანამიმდევრობის კვალიც წაიშალა, ანბანის დასასრულის აღმნიშვნელად ქრისტეს მონოგრამა დაისვა, ხოლო სომხურმა ანბანმა თანაზომიერად მრავალფეროვანი და ერთიანი გრაფიკული სახე მიიღო. მხოლოდ ამ გრაფიკულ ნიღაბზე უნდა აიხსნას ასო-ნიშნების ის უჩვეულო რიგი, რომელიც სომხურ ანბანში გვაქვს: ა, ბ, გ; დ; ე, ზ, მ, ჯ, თ; ყ, ი, ლ (რბილი), ხ, წ, ქ, ჰ, ძ, ლ, ჳ, მ, ნ, შ, ო, ჩ, პ, ჯ, რ (კოშტი), ს, ე, ტ, რ (ფაფუკი) ც, ჳ, ფ, ქ.

## IV

სომხური ანბანიდან „ქართული“ და „ბერძნული“ ანბანური გუფემების გამოყოფის შემდგომ, შესაძლებელი ხდება გარკვეულ იქნეს სომხური ანბანის ჳემმარტივი „სემური“ მწკრივი და მისი წარმომავლობა.

საერთოდ ცნობილია დასავლურ ეოკალიზებულ ანბანთა „სემური“ მწკრივი (ბერძნული, ქართული, ეტრუსკული, ლათინური, იტალიკური, კოპტური, გუთური, სლავური და სხვ.) გახმოვანებულ ანბანთა „სემური“ მწკრივის განხილვის საფუძველზე, არკვევენ ამა თუ იმ გახმოვანებული ანბანის წარმომავლობა-სადაურობის საკითხს: იმის მიხედვით, თუ რომელი ანბანის „სემური“ მწკრივი უდევს საფუძვლად საკვლევ ანბანს, მტკიცდება საკვლევი ანბანის სადაურობაც.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის გამოთქმულა შეხედულება, თითქოს სომხური ანბანური მწკრივი ბერძნულ ანბანურ მწკრივს მისდევდეს. სულ ახლო ხანს იგივე თვალსაზრისი კიდევ ერთხელ ა. ფერხანხანმაც გაიმეორა:

«В расположении букв Маштоц следовал порядку греческого алфавита, но так как армянских знаков было 36 против 24 греческих, то дополнительные знаки он расположил в разбивку между теми, которые соответствовали буквам греческого алфавита»<sup>20</sup>.

ეს თვალსაზრისი არ მართლდება.

თუ სომხური ანბანიდან უკვე ამოცნობილი გრაფიკული თანამიმდევრობის „ბერძნული“ და „ქართული“ მწკრივის გრაფემები ამოვკრიფეთ: ჳ, ფ, ქ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჯ, პ, ამ შემთხვევაში სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი შემდეგ სახეს მიიღებს: ა, ბ; გ; დ, ე, ზ, მ, ჯ, თ, ყ, ი, ლ (რბილი), კ, ლ, მ, ნ, ო, პ, რ (კოშტი), ს, ვ, ტ, რ (ფაფუკი) ე, ი. სულ 24 გრაფემა.

ცნობილია, რომ არცერთ დასავლურ ეოკალიზებულ „სემურ“ ანბანურ მწკრივში არათუ 24, სრული სემური მწკრივის 22 გრაფემაც კი არა გვაქვს, არამედ ყოველთვის 2, 3 გრაფემით ნაკლები, ევროპული ენების ცხადი ფონეტიკური ფაქტორების გამო. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო სრულყოფილია ქართული ანბანის „სემური“ მწკრივი, რომელიც 21 გრაფემას ითვლის, ე. ი. მხოლოდ და მხოლოდ ერთი გრაფემით ნაკლებს, ვიდრე იდეალური სემური ანბანური მწკრივი. კლასიკური ხანის ბერძნული ანბანის „სემურ“ მწკრივში მხო-

<sup>20</sup> А. Г. Периханян. К вопросу о происхождении армянской письменности. Преднеазиатский сб. II, М., 1966, გვ. 119.

ლოდ 19 გრაფემა; კლასიკურ ეტრუსკულში კიდევ უფრო ნაკლები — 16; კლასიკურ ლათინურში — 19; კოპტურში — 20 და ა. შ.

რატომ გვაქვს სომხურ „სემურ“ ანბანურ მწკრივში 24 გრაფემა?

უკვე აღინიშნა, რომ სომხური ანბანის ნალისებური გრაფემების 22 ასონიშანს (სამი განსხვავებული გრაფიკული ასო-ნიშნის ჩათვლით), სომხური ანბანის ბერძნულ გრაფიკულ ჯგუფიდან ორი ასო-ნიშანი დემატა. რადგან სომხური ანბანის ბერძნულ გრაფიკულ ჯგუფში 5 გრაფემაა, ხოლო ამათგან სამი (ჰ, ფ, ქ) სომხური ანბანური მწკრივის ბოლოშია გამოტანილი, როგორც წმინდა ბერძნული ანბანური ჯგუფი, ამიტომ ორი გრაფემა — **ფ** (ე — მეწვიდე) და „**ლზნ**“ — რბილი „ლასი“ სომხური ანბანის სემურ მწკრივშია ჩართული.

განვიხილოთ სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი.

სომხური **ფ** (ე — მეწვიდე) მიჩნეულია სემური „ჰეთ“-ის, ბერძნული „ეტას“ და ქართული **ფ** (ე — მერვეს) შესაბამ ფონემად. „ზენის“ შემდეგ ზის და ამდენად სემურ მწკრივში თავისი კუთვნილი ადგილი უკავია. რაც შეეხება სომხური ანბანის „ბერძნული“ გრაფიკული ჯგუფის მეორე „ლზნ“ გრაფემას, იგი სპეციფიკურ სომხურ ფონემად უნდა ჩათვალოს. „ლზნ“ გრაფემის გარდა სომხური ანბანის სემურ მწკრივში კიდევ ორი ისეთი გრაფემაა ჩართული, რომელთაც „სემურ“ მწკრივში „ლზნ“ გრაფემასთან ერთად თავისუფალი ადგილი არ ეძებნებათ. ეს გრაფემებია **ჟ** და **რ** (ფაფუკი), ე. ი. სომხური ანბანის „სემურ“ რიგში სულ ჩართულია სამი წმინდა წყლის სომხური ფონემა.

თითქოს ისე უნდა მომხდარიყო, რომ სომხური ენისათვის დამახასიათებელი ეს ბგერები სხვა სომხური ენის დამახასიათებელ ბგერებთან ერთად გატანილიყო ანბანის ბოლოში ან გრაფიკულად ეს სამი ფონემა ქართული ანბანური ჯგუფის გრაფემებს დაკავშირებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ქართული ანბანური ჯგუფი სომხურ ანბანში წმინდად და შეურყვნელად არის დაცული, ხოლო სამი სპეციფიკური სომხური ფონემიდან ერთი „ლზნ“ ფონემა გრაფიკულად ბერძნულ გრაფიკულ ჯგუფთანაა დაკავშირებული, ხოლო ორი **ჟ** და **რ** (ფაფუკი) სემურ გრაფიკულ ჯგუფთან. ეს, ერთხელ კიდევ ცხადყოფს სომხურ ანბანში ქართული ანბანური ჯგუფის მიგნების ჰეშმარტივებას.

თითქოს კიდევ ერთი შესაძლებლობაც უნდა ყოფილიყო: **ჟ** — გრაფემა ფონეტიკური პრინციპის საფუძველზე „ინ“ გრაფემის შემდეგ მოთავსებულიყო (ძველ სომხურში ცნობილია **ჟ** — ნახევარხმოვნისა და „ინ“ ხმოვნის მონაცვლეობა), „ლზნ“ გრაფემა „ლატ“ ფონემის შემდეგ, ხოლო **რ** (ფაფუკი) **რ** (კოშტის) შემდეგ. მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

**ჟ** — გრაფემა სომხურ „სემურ“ მწკრივში მოთავსებულია ე — მეწვიდეცა და „**ჰ**“ გრაფემებს შორის. მაგრამ სემურ 22 ნიშნიან მწკრივში ამ ორ გრაფემას შორის საერთოდ რაიმე ასო-ნიშანი არ ზის; შემდეგ ასო „ლზნ“ მოთავსებულია „ინ“ და „ქენ“ ასოებს შორის. მაგრამ სემურ 22 ნიშნიან მწკრივში ამ ორ გრაფემას შორის საერთოდ რაიმე ასო-ნიშანი არ ზის. რაც შეეხება **რ** (ფაფუკს) ეს ასო-ნიშანი გატანილია „სემური“ მწკრივის უკანასკნელი „ტჰნ“ ფონემის შემდეგ და ამიტომ „სემური“ მწკრივის ასოთა რიგს არ არღვევს. ამდენად „სემურ“ მწკრივის არღვევს მხოლოდ ორი სპეციფიკური სომხური გრაფემა — „**ჟ**“ და „**ლზნ**“.

ომისათვის, რომ სომხური ანბანის ჰეშმარტივი „სემური“ მწკრივი დეადგიონოთ, საჭიროა ამ ორი გრაფემის უადგილო აღვილიდან ამოღება. ამ შემთხვევაში სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი შემდეგ სახეს მიიღებს:

ა, ბ, გ, დ; ე, ზ, ზ, თ, ყ, ი, კ, ლ, მ, მ, ნ, ო, პ; რ (კომტი), ს, ვ, ტ.

ამგვარად ირკვევა, რომ სომხური ანბანის „სემურ“ მწკრივში 21 გრაფემა ყოფილა, ე. ი. იმდენივე, რამდენიც ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივში. გარდა ამისა, ყველა ეს 21 ფონემა დასტურდება ქართულ ანბანში, და მხოლოდ და მხოლოდ ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივში!

ეს უკვე ნიშანდობლივია!

მაგრამ სომხურ „სემურ“ მწკრივში ყველაფერი რიგზე არ არის. სომხური ანბანის „სემურ“ მწკრივს ამგვარად არღვევს სამი სომხური გრაფემა. ასოები — „ვევ“, „ჟე“ და „ჰი“.

ბირდაბირ საკვირველია სომხური „ვევ“ (ე. ი. სემური „გავ“-ისა, ბერძნული „დიგამისა“, ლათინური „ეჟ“-ისა და ქართული „ვინ“-ის შესაბამისი ფონემის ადგილმდებარეობა სომხური ანბანის „სემურ“ მწკრივში). მართალია „დიგამა“ უკვე კლასიკურ ბერძნულში ადარა გვაქვს, მაგრამ ბერძნულ სათვალავში მას მაინც აქვს შენარჩუნებული თავისი მეექვსე ადგილი და ამდენად ექვსას რიცხვითი მნიშვნელობა. რაც შეეხება სემურ „გავ“-სა და ქართულ „ვინ“-ს, გამორიცხულია შესაძლებლობა, სომხური ანბანის შემოქმედს არ სცოდნოდა ამ გრაფემის ადგილი სემურ ანბანურ მწკრივში და მისი რიცხვითი მნიშვნელობა.

სომხური „ვევ“ სომხური ანბანის შემოქმედმა სომხური ანბანის „სემური“ მწკრივის ორ უქანასკნელ „სე“ და „ტუნ“ გრაფემებს შორის მოათავსა, ე. ი. ისეთ ადგილას, სადაც არცერთ „სემურ“ მწკრივში საერთოდ რაიმე გრაფემა არ ზის.

„ჟე“ და „ჰი“ ფონემების შესახებ კი უნდა ითქვას შემდეგი: არც სემურ ანბანებში, არც დასავლურ ეოკალიზებულ ანბანთა „სემურ“ მწკრივებში ეს ორი ფონემა არა გვაქვს. ორივე ფონემა დასტურდება მხოლოდ და მხოლოდ ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივში (რადგან სიტყვამ მოიტანა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ ფონემამთაგან ერთ-ერთი, კერძოდ მ ნახევარხმოვანი დასტურდება აგრეთვე ვულგარულ გუთურ ანბანში და მსგავსად ქართულისა „ნარ“-ის მომდევნო ადგილზე ზის).

ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივში „ჟან“ და „ჰე“ გრაფემებს თავიანთი კუთვნილი ადგილი უკავიათ. ქართული „ჟან“ გრაფემა სემური „სსადეს“ ადგილზე ზის და გრაფიკულად „სსადეს“ უკავშირდება, ხოლო „სსადე“ შეიძლება „ჟან“ ფონემად წაკითხულიყო (მაგალითად, ფალაურ დამწერლობაში).

რაც შეეხება ქართულ „ჰე“ ნახევარხმოვანს, ეს გრაფემა სემური „სამეხის“ ადგილზე ზის და გრაფიკულად „სამეხს“ უკავშირდება. როგორც ირკვევა, არქაულ ქართულში ეს გრაფემა „ცან“ ფონემად იკითხებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ გრაფემამ „ჰე“ ნახევარხმოვნის მნიშვნელობა შეიძინა, საჭირო შეიქმნა „ცან“-ისათვის ახალი გრაფემის შექმნა, რისთვისაც გამოყენებულ იქნა იგივე გრაფემის ინვერსიული (inversum) ფორმა. (ამის შესახებ დაწვრილებით საუბარი გვექნება ქართული ასომთავრული დამწერლობის განხილვისას, ქვეთავში — „სამი „სანის“ პრობლემა“).

„ჟე“ და „ჰი“ გრაფემებს სომხური ანბანის „სემურ“ მწკრივში ისეთი ადგილები აქვთ მიკუთვნებული, სადაც საერთოდ არ უნდა იკდეს რაიმე ასო ნიშანი. „ჟე“ გრაფემა „გო“ და „ინ“ გრაფემებს შორის არის მოთავსებული, ხოლო „ჰი“ გრაფემა „მენ“ და „ნუ“ გრაფემებს შორის. არც სემურ ანბანებში, არც დასავლურ ეოკალიზებულ ანბანებში ამ ასოებს შორის საერთოდ რაიმე გრაფემა არ ზის. ამდენად „ვევ“, „ჟე“ და „ჰი“ გრაფემები არღვევენ კანონიზ-



რებულ სემურ მწკრივს. თუ ეს სამივე გრაფემა სომხური ანბანის შემოქმედმა სემურ გრაფიკულ ჯგუფს დაუკავშირა, ცხადია მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მათი რიგობითი ადგილი ქართულ „სემურ“ ანბანურ მწკრივში და ამ გრაფემების რიცხვითი მნიშვნელობა.

როგორც ჩანს ეს „ცოდვა“ ჩადენილია განზრახ.

თუ სამივე გრაფემას სემურ მწკრივში მათი კუთვნილი თავისუფალი ადგილები დავუბრუნეთ, სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი შემდეგ სახეს მიიღებს:

ა, ბ, გ, დ, ე, ვ; ზ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ყ, რ (კოშტი), ს, ტ.

როგორც ვხედავთ, სომხური ანბანის „სემური“ მწკრივი, ზუსტად ქართული ანბანის „სემურ“ მწკრივს დაემთხვა. სხვა არც ერთ ანბანში ასეთი „სემური“ მწკრივი არა გვაქვს.

ახლა შესაძლებლობა გვეძლევა აღვადგინოთ სომხური ანბანის სამივე ანბანური ჯგუფი და მაშასადამე სომხური ანბანის მთლიანი სახე: ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ა, ო, პ, ყ, რ (კოშტი), ს, ტ, ჳ, ფ, ქ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჳ, ხ, ჯ, ჰ, // + // ჯ, ლ (რბილი), რ (ფაფუკი).

ასეთია ჰემმარიტი სომხური ანბანური მწკრივი.

დასკვნა: სომხური ანბანის სამივე (სემური, ბერძნული, ქართული) ანბანური ჯგუფი ზუსტად ემთხვევა ქართული ანბანის სამივე ანბანურ ჯგუფს; სომხური ანბანის 33 ფონემის ანბანური თანამიმდევრობა ზუსტად ემთხვევა ქართული ანბანის 33 ფონემის ანბანურ თანამიმდევრობას; სამი ქართული ფონემა — დ, ყ, ჯ სომხურ ანბანში არა გვაქვს და პირიქით სამი სომხური ფონემა — ჯ, ლ (რბილი), რ (ფაფუკი) ქართულ ანბანში არა გვაქვს; ქართულ ანბანში 36 გრაფემაა; სომხურ ანბანში აგრეთვე 36 გრაფემაა.

## V

სომხური ანბანის წარმოშობის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი თვალსაზრისია გამოთქმული:

პირველი და უფრო მიღებული თვალსაზრისით სომხური ანბანი შექმნილია IV-V საუკუნეთა მიჯნაზე ერთი პიროვნების მიერ. ამის გამო ა. ფერბანკიანი წერს:

«Армянская письменность — не плод стихийного исторического развития, а тщательно продуманное изобретение одного лица, следовавшего известным принципам, характерным для деятеля «грекофильской» школы IV—V вв. н. э.»<sup>21</sup>.

მეორე, ნაკლებ სარწმუნო, თვალსაზრისით მცრობ მაშთოცი ადრე არსებული სომხური დამწერლობის რეფორმატორია და არა შემქმნელი სომხური ანბანისა.

რომელი თვალსაზრისია ჰემმარიტი და შესაძლებელია თუ არა ამ საკითხის გამორკვევა?

როგორც ჩანს, შესაძლებელია.

დამწერლობის წმინდა ანბანური სისტემა კაცობრიობამ მხოლოდ ერთხელ შექმნა. ცნობილი პალეოგრაფის მორის დიუნანის თქმისა არ იყოს, „C'est la une invention qu'on ne peut faire deux fois“. არცერთ ერს დამოუკიდებლად

<sup>21</sup> А. Г. Периханиян, К вопросу о происхождении армянской письменности, 33, 120.

ქველი ფინიკიური		
ნიშნები	სახელი	რიცხვითი
𐤀	a	1
𐤁	b	2
𐤂	c	3
𐤃	d	4
𐤄	h	5
𐤅	w	6
𐤆	z	7
𐤇	h	8
𐤈	t	9
𐤉	j	10
𐤊	k	20
𐤋	l	30
𐤌	m	40
𐤍	n	50
𐤎	s	60
𐤏		70
𐤐	p	80
𐤑	s	90
𐤒	q	100
𐤓	r	200
𐤔	s	300
𐤕	t	400

ტაბ. № 10.

ანბანური დამწერლობა არ შეუქმნია, არამედ ყველა ანბანურ დამწერლობას, საბოლოო ჯამში, სემური ანბანური მწკრივი დაედო საფუძვლად.

როგორც უკვე ითქვა, უძველესი სემური ანბანური მწკრივი 22 ასო-ნიშნისაგან შედგებოდა. დაახლოებით ორი ათასწლეულის მანძილზე სემურ ანბანურ მწკრივს, გრაფემების რაოდენობისა და თანამიმდევრობის თვალსაზრისით, რაიმე ცვლილება არ განუცდია. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ მწკრივში გრაფემებს, თანამიმდევრობის შესაბამისად, რიცხვითი მნიშვნელობაც ჰქონდათ. უკვე უძველეს ფინიკურ ანბანურ მწკრივში პირველ ცხრა გრაფემას (1-9) ჰქონდა შესაბამისად ცხრა ერთეულის რიცხვითი მნიშვნელობა, მომდევნო ცხრა გრაფემას (10-18) ცხრა ათეულის რიცხვითი მნიშვნელობა, ხოლო უკანასკნელ ოთხ გრაფემას ოთხი ასეულის რიცხვითი მნიშვნელობა (იხ. ტაბ. № 10).

ტრადიციული სემური ანბანური მწკრივი და ასო-ნიშნების ფინიკიური სათვალავი მიღებული იყო წინა აზიის ყველა კონსონანტურ ანბანში. უფრო მეტიც: გრაფემის, როგორც ფონემის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნის, რიცხვითი მნიშვნელობა უფრო მყარი გამოდგა, რადგან ერთა მანძილზე ენის ფონეტიკის ცვლილებების, ან ენათა ფონეტიკურ თავისებურებათა გამო, ერთი და იგივე გრაფემა სხვადასხვა ფონემურ მნიშვნელობას იძენდა, მაგრამ მისი რიცხვითი მნიშვნელობა და მისი ადგილი ანბანურ მწკრივში უცვლელი რჩებოდა.

ბერძნულ ვოკალიზებულ ანბანში, ასო-ნიშნებს, ძირითადად, იგივე რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ, რაც სემურ ასო-ნიშნებს სემურ ანბანურ მწკრივში. ოღონდ იმის გამო, რომ არცერთ დასავლურ და არცერთ აღმოსავლურ ბერძნულ ანბანს სემური ანბანის სამივე „სანი“ არ აუთვისებია, არამედ მხოლოდ რომელიმე ორი ამ სამიდან, ამიტომ ბერძნული ანბანის „სემური“ ანბანური მწკრივი ერთი გრაფემით ნაკლებია. რის გამოც მე-18 „სსადე“ („წადე“) გრაფემიდან დაწყებული ბერძნულ და სემურ სათვალავს შორის ერთი გრაფემის რიცხვითი მნიშვნელობის სხვაობა გრაფემიდან გრაფემაზე გადადის (იხ. ტაბ. № 11).

დამწერლობის ისტორიაში ცნობილია ორი—სემური და ბერძნული ანბანური სათვალავი. სხვა ერთა დამწერლობაში გამოყენებულია ანბანური სათვალავის ან სემური ან ბერძნული სისტემა: ქართული ანბანური სათვალავი ბერძნულ ანბანურ სათვალავს მისდევს, ოღონდ რამდენადმე უფრო

სრულყოფილია.

კლასიკური ბერძნული		
ასო-ნიშანი	ბგერა	რიცხვითი მნიშვნელობა
Α	a	1
Β	b	2
Γ	g	3
Δ	d	4
Ε	e	5
Ζ	z	6
Η	h	7
Θ	th	8
Ι	i	9
Κ	k	10
Λ	l	20
Μ	m	30
Ν	n	40
Ξ	ks	50
Ο	o	60
Π	p	70
Ρ	r	80
Σ	s	900
Τ	t	90
Υ	u	100
Φ	ph	200
Χ	kh	300
Ψ	ps	400
Ω	o	500
	o	600
	o	700
	o	800

ტაბ. №11

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სემურმა ანბანურმა მწკრივმა თითქმის 2.000 წელი იარსება. ტრადიციული სემური ანბანური მწკრივი პირველად არაბულ ანბანში დაირღვა, ახალი წელთაღრიცხვის VI-VII საუკუნეებში.

უფრო ადრეულ ხანაში არაბები დამწერლობის ენად არამეულს ხმარობდნენ. ახ. წ. I საუკუნიდან დაიწყო არამეულის არაბიზაციის პროცესი, რაც არაბული ენის დამწერლობის შექმნით დამთავრდა.

არაბებმა ძველი სემური 22 ასო-ნიშნის ახალი, განსხვავებული მწკრივი შექმნეს, ხოლო ამ მწკრივში ალაგ-ალაგ კიდევ 6 ახალი ასო-ნიშანი ჩართეს. ძველი სემური ანბანური მწკრივი გაქრა და თითქმის მისი კვალიც წაიშალა.

მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია.

საქმე ის არის, რომ არაბულ ანბანურ მწკრივში ერთდროულად შემონახულია უძველესი სემური 22 ნიშნიანი ანბანური მწკრივი — ძველი სემური 22 ასო-ნიშნის თანმიმდევრობაც და ექვსი დამატებითი ასო-ნიშნის რიგიც.

მიუხედავად ძირეული რეფორმისა, რამაც არაბული ანბანი სრულიად განსხვავებულ დამწერლობად აქცია, მიუხედავად ახალი ანბანური მწკრივის შემოღებისა, ასო-ნიშნების ტრადიციული სემური რიცხვითი მნიშვნელობა არაბულ ანბანში ხელშეუხებელი დარჩა.

ამის გამო, ასო-ნიშნების თანმიმდევრობას არაბულ ანბანურ მწკრივში შემდეგნაირი

რიცხვითი მნიშვნელობა აქვს (იხ. ტაბ. № 12).

ასო-ნიშანი	ბგერა	რიცხვითი მნიშვნელობა
—	—	1
⋮	b	2
⋮	t	400
⋮	t	500
⋮	g	3
⋮	h	8
⋮	h	600
⋮	d	4
⋮	d	500
⋮	r	200
⋮	—	7
⋮	s	60
⋮	s	300
⋮	s	90
⋮	d	800
⋮	t	9
⋮	z	900
⋮	—	70
⋮	g	1000
⋮	f	80
⋮	k (q)	100
⋮	k	20
⋮	l	30
⋮	m	50
⋮	u	50
⋮	h	5
⋮	u	6
⋮	—	10
⋮	—	—

ტაბ. №13



როგორც ტაბულა გეიჟენებს, არაბულ ანბანურ მწკრივში, რეფორმის შედეგად, ასო-ნიშნების თანამიმდევრობას თანამიმდევრული რიცხვითი მნიშვნელობა აღარ შეესაბამება. ვთქვათ, არაბული ანბანის რიგით მე-3 გრაფემის რიცხვითი მნიშვნელობა შესაბამისად სამის აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ ოთხასისა, რადგან ეს გრაფემა თავდაპირველ სემურ ანბანურ მწკრივში რიგით 22-ე იყო და ოთხასის მნიშვნელობა ჰქონდა.

ასო-ნიშნების აღრეული რიცხვითი მნიშვნელობა არაბულ ანბანში გარკვეულ უხერხულობას ქმნიდა, ამნელებდა ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის ზეპირ დამახსოვრებას. ამ უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, არაბებმა რვა ხელოვნური სიტყვა შექმნეს. ამ სიტყვებში არაბული ასო-ნიშნები თანამიმდევრული რიცხვითი მნიშვნელობითაა გაწყობილი და ამდენად აღდგენილია ძველი სემური ანბანური რიგი. ამ 8 ხელოვნური სიტყვის ზეპირად ცოდნა ასო-ნიშნის რიცხვითი მნიშვნელობის სწრაფ გამორკვევას აადვილებს. ასო-ნიშნების ასეთ სათვალავს „აბჯადი“ ეწოდება.

ე. წ. „აბჯადისა“ და არაბული ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის შემწობით ადვილად შესაძლებელია არაბულ ანბანში აღვადგინოთ როგორც ძველი სემური 22-ნიშნის ანბანური მწკრივი, აგრეთვე არაბული ანბანის ექვსი დამატებითი ასო-ნიშნის თავდაპირველი თანამიმდევრობაც.

ცნობილია, რომ არაბული ანბანი ძველი სემური დამწერლობის თანდათანობითი განვითარების შედეგია. ამ დამწერლობის წარმომავლობის გენეალოგიური სქემა ასეთია: არამეული-ნაბატეური-ახალსინური-არაბული. ამიტომ, მიუხედავად იმ ცვლილებებისა რაც რეფორმის შედეგად არაბულ ანბანში გვაქვს, ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის შეცვლა არაბულ ანბანურ მწკრივში შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, რადგან ტრადიციული სათვალავის შეცვლა გამოიწვევდა ქაოსს პრაქტიკულ საქმიანობაში.

რა ბედი ეწია სემურ ანბანურ სათვალავსა და ბერძნულ ანბანურ სათვალავს მომდევნო საუკუნეებში?

არცერთ დამწერლობაში ანბანური სათვალავი არ დარღვეულა. მაგალითისათვის: ცნობილია, რომ აღმოსავლურ ანბანურ სამყაროში სპარსულ და თურქულ დამწერლობებს არაბული ანბანი დაედო საფუძვლად. სპარსელებმა და თურქებმა არაბულ ანბანში ალაგალაგ რამდენიმე საკუთარი ასო-ნიშანი ჩართეს. ამის გამო ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობა თითქოს კვლავ უნდა დარღვეულიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან როგორც სპარსელებმა, ასევე თურქებმა საკუთარ ჩამატებულ ასო-ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობა საერთოდ არ მიანიჭეს. ამის გამო არაბული „აბჯადი“ და ძველი სემური ანბანური სათვალავი სპარსულ და თურქულ დამწერლობებში უცვლელი დარჩა.

ცნობილია, რომ დასავლურ ანბანურ სამყაროში სლავურ დამწერლობას „კირილიცას“ ბერძნული ანბანი დაედო საფუძვლად. სლავური ანბანის ბერძნულ ანბანურ რიგში ალაგ-ალაგ ჩართულია სპეციფიკური სლავური ასო-ნიშნები. თითქოს ამის გამო ტრადიციული ბერძნული სათვალავი კვლავ უნდა დარღვეულიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან ჩამატებულ სლავურ ასო-ნიშნებს რიცხვითი მნიშვნელობა არ მიანიჭებიათ. ამის გამო ბერძნული ანბანური სათვალავი სლავურ დამწერლობაშიც უცვლელი დარჩა.

რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით სომხურ ანბანში?

როგორც უკვე ითქვა, ასო-ნიშნებს სომხურ ანბანში სრულიად უჩვეულო თანამიმდევრობა აქვთ. ამ მხრივ, სომხური ანბანური მწკრივი, ზოგადად, შეიძლება არაბულ ანბანურ მწკრივს შევედაროთ. მაგრამ არაბულ ანბანურ მწკრივში ასო-ნიშნების თანამიმდევრობას თავისი თვალსაჩინო და საყოველთაოდ ცნობილი მიზეზები აქვს: მწკრივი გაწყობილია როგორც გრაფიკულ-მემორიკური, აგრეთვე ბეგრათმსგავსების ფონეტიკური პრინციპების გათვალისწინების საფუძველზე. გარდა ამისა, მწკრივში გრაფემების გადაადგილებისა და ადგილშენაცვლების მიუხედავად, ასო-ნიშნებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი თავდაპირველი რიცხვითი მნიშვნელობა.

რაც შეეხება სომხურ ანბანურ მწკრივს, მწკრივში ასო-ნიშნების უჩვეულო თანამიმდევრობას დღემდე ვერ ეძებნებოდა სათანადო ახსნა-განმარტება. როგორც უკვე ითქვა, ეს ვითარება ისევ გრაფიკული მიზეზებით უნდა აიხსნებოდეს (არაბულისა არ იყოს), მაგრამ არა მხოლოდ...!

რადგან ასო-ნიშნების ტრადიციული რიგი სომხურ ანბანში შეცვლილია, საკითხავია რა რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ ასო-ნიშნებს სომხურ ანბანში:

ა — 1	ჟ — 10	ჭ — 100	რ — 1.000
ბ — 2	ი — 20	მ — 200	ს — 2.000
გ — 3	ლ — 30	ჟ — 300	ვ — 3.000
დ — 4	ხ — 40	ნ — 400	ტ — 4.000
ე — 5	წ — 50	შ — 500	რ — 5.000
ზ — 6	კ — 60	ო — 600	ე — 6.000
ო — 7	პ — 70	ჩ — 700	კ — 7.000
ღ — 8	ძ — 80	ც — 800	ფ — 8.000
თ — 9	ლ — 90	ჯ — 900	ქ — 9.000

ცხადია, სომხურ ანბანში შეცვლილია არა მხოლოდ ასო-ნიშნების ჩვეულებრივი ანბანური მწკრივი, არამედ ასო-ნიშნების ჩვეულებრივი რიცხვითი მნიშვნელობაც. ასო-ნიშნების ასეთი ანბანური მწკრივი და ასო-ნიშნების ასეთი ანბანური სათვლავი არცერთმა დამწერლობამ არ იცის.

გრაფიკული კვლევა-ძიების მეოხებით სომხურ ანბანში მიკვლეულია როგორც „სემური“, „ბერძნული“ და „ქართული“ ანბანური ჯგუფები, აგრეთვე ასო-ნიშნების ჭეშმარიტი ანბანური თანამიმდევრობაც. ეს ანბანური რიგი, როგორც უკვე ითქვა, ქართული დამწერლობის ანბანური მწკრივის საფუძველზეა შემუშავებული.

ცნობილი სომეხი მეცნიერი ნ. აღონცი ვარაუდობდა, რომ პირვანდელი ანბანური რიგი სომხური დამწერლობისა თითქოს ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ქართულისა და რომ შემდგომში თითქოს ეს პირვანდელი რიგი სომხურისა გადაკეთებულა.

ეს ვარაუდი მეცნიერული პალეოგრაფიის თვალსაზრისით მიუღებელია შემდეგი გარემოების გამო:

სომხური ანბანი იმთავითვე რომ „სემურ“, „ბერძნული“ და „ქართული“ ანბანურ მწკრივებად ყოფილიყო გაწყობილი, გადაკეთების შემდგომ ყველა ასო-ნიშანს სომხურ ანბანში უნდა შეენარჩუნებინა თავისი თავდაპირველი რიცხვითი მნიშვნელობა.

უნდა დავასკვნათ:

1. სომხური დამწერლობა და სომხური ანბანური მწკრივი შექმნილია ერთხელ და ამ მწკრივს შემდგომ ცვლილება არ განუცდია.

2. სომხური დამწერლობა რეფორმის შედეგი არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში ასო-ნიშნები სომხურ ანბანში შეინარჩუნებდნენ თავიანთ თავდაპირველ რიცხვითს მნიშვნელობას.

3. „ერკათავირის“ შექმნამდე სომხეთში არ ყოფილა სომხური ანბანური დამწერლობის ტრადიცია, წინააღმდეგ შემთხვევაში „ერკათავირში“ უნდა ასახულიყო ასო-ნიშნების თავდაპირველი რიცხვითი მნიშვნელობა.

ერთი საკითხიც.

მიუხედავად იმისა, რომ სომხური ანბანური მწკრივი ძირეულად განსხვავდება ტრადიციული სემურ-ბერძნული ანბანური მწკრივისაგან, ხომ შეიძლება და სომხურ ასო-ნიშნებს მინიჭებოდათ ის რიცხვითი მნიშვნელობა, რომელიც მათ ჰქონდათ სემურ-ბერძნულ ანბანურ სამყაროში. როგორც წესი ეს ასეც ხდებოდა. ასე მოხდა ეს არაბული, სპარსული და თურქული დამწერლობის შემოღებისას, ასე მოხდა სლავური დამწერლობის შემოღებისას.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში, რამდენიმე მაგალითი რომ მოვიტანოთ, ვთქვათ, სომხურ „ვინ“-ს უნდა მინიჭებოდა არა 3.000-ისა, არამედ 6-ის რიცხვითი მნიშვნელობა (მსგავსად სემური „ვავისა“, ბერძნული „დიგამისა“ და ქართული „ვინ“-ისა); სომხურ ჯ-ს უნდა მინიჭებოდა არა 7.000-ისა, არამედ 400-ის რიცხვითი მნიშვნელობა (მსგავსად ბერძნული „იუფსილონისა“ და ქართული ჯ-ისა); სომხურ „წილ“-ს უნდა მინიჭებოდა არა 50-ისა, არამედ 4.000-ის რიცხვითი მნიშვნელობა (მსგავსად ქართული „წილისა“) და ა. შ.

ასეთ შემთხვევაში, იმთავითვე იქნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ სომხური ანბანი გაწყობილიყო ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობის მიხედვით. ეს კი გაამჟღავნებდა სომხური ანბანის წარმოშობის საიდუმლოს.

ასეთია ჩვენი აზრით, სომხური ანბანის სტრუქტურის ხასიათიცა და ამ სტრუქტურის გამომწვევი მიზეზებიც.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა  
ს. ყაუხჩიშვილმა)



## იზაბელა თევზორაძე

### სინტაგმის მახვილები ქართულ ენაში

გაბმული მეტყველების მელოდიკური სტრუქტურის შესწავლა თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური და აქტუალური საკითხია.

ქართული ენის მელოდიკური სისტემა ნაკლებადაა შესწავლილი. ამ საკითხზე მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი არსებობს:

1) А. Алхазிшвили „Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка“. Тбилиси, 1959 г., 2) ს. ქლენტა „ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა“, თბილისი, 1963 წ.

ჩვენი ნაშრომი წარმოადგენს ქართული თხრობითი წინადადების მელოდიკის დადგენის ცდას იმ თვალსაზრისის საფუძველზე, რომელიც დამკვიდრებულია თანამედროვე ენათმეცნიერებაში — რელევანტური და არარელევანტური მახასიათებლების გამოყოფით.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უყენებენ თანამედროვე ლინგვისტიკაში მელოდიკურ ანალიზს. ეს არის მელოდიკის უმცირესი ერთეულის დადგენა და მელოდიკური ტიპების კლასიფიკაცია. ყოველი ენისათვის უნდა იყოს დადგენილი ის მელოდიკური მახასიათებლები, რომლებიც მოცემულ ენაში რელევანტურია აზრის გადაცემის თვალსაზრისით.

როგორც ექსპერიმენტული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ქართული ენის მელოდიკური სტრუქტურის უმცირეს ერთეულს წარმოადგენს სინტაგმა.

სინტაგმას განსაზღვრავენ როგორც ორ პაუზას შორის მოთავსებულ უმცირეს მონაკვეთს, რომელიც წარმოითქმის ერთი მელოდიკური მონახაზით. სინტაგმა შედგება ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან, ხშირად წინადადებისაგან (მარტივი ან რთულიდან). ყველა სინტაგმას აქვს თავისი მელოდიკური მწვერვალი, რომელიც მოდის უმეტეს შემთხვევაში სრულმნიშვნელოვან სიტყვებზე.

წინადადებაში იმდენი მელოდიკური მონახაზია (სინტაგმა) რამდენი მწვერვალიცაა მასში. მწვერვალ-სიტყვის ფიზიკური მახასიათებელია ტონის მახვილის შემდგომი აწევა. თუ სიტყვა სინტაგმის ცენტრს წარმოადგენს, ტონი აიწევს დასაწყისიდან მეორე მარცვალზე (ე. ი. მახვილიანი მარცვლის მომდევნო მარცვალზე)<sup>1</sup>. ყოველი სინტაგმის აუცილებელი კუთვნილებაა სინტაგმის მახვილი.

<sup>1</sup> „მელოდიკის ეხმარობთ ფართო მნიშვნელობით, იგი შეიცავს: ტონის მოძრაობას, ინტენსივობას, გრძობობას, ტემპს, პაუზას, „ინტონაციას“ კი — როგორც მხოლოდ ტონის მოძრაობის აღმნიშვნელს.

<sup>2</sup> იხ. ჩვენი „სიტყვათმახვილი ქართულში“. აკად. გ. ახვლედიანის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში.

რომელიც აერთიანებს მას, როგორც ერთ ფონეტიკურ და აზრობრივ მთლიანობას.

ქართულში გვაქვს 4 სახის სინტაგმის მახვილი. ეს მახვილები სხვადასხვაგვარად ვანაწილდებიან გამონათქვამში იმის მიხედვით, დასრულებულია თუ არა მთქმელის მიერ გამოხატული აზრი. სინტაგმებს შორის მეტ-ნაკლებად მკიდრო კავშირზე დამოკიდებულია ამ მახვილების ხმარებაზე.

ქართული სინტაგმის მახვილების თავისებურებას ქმნის მათი პოზიცია, ეს მახვილები ყოველთვის სინტაგმის ბოლო სამი (ან ორი) მარცვლის ფარგლებში გაიშლება ხოლმე<sup>3</sup>. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულში აზრის გადმოცემის თვალსაზრისით არსებითია მელოდიკური მახასიათებლების (ტონის, ინტენსივობის, გრძლიობის და სხვა) სურათი სინტაგმის ბოლოს.


ამრიგად, ქართული ენის მელოდიკაში გამოყენებულია ოთხი ტიპის სინტაგმის (ანუ ფრაზის) მახვილი.

პირველი ტიპის მახვილი აღინიშნება თანდათან დამავალი ტონით და ინტენსივობით სინტაგმის ბოლო მარცვლებზე.

ეს მახვილი გამოხატავს აზრის დასრულებას და სინტაგმის დამოუკიდებლობას გამონათქვამის მომდევნო მონაკვეთისაგან.

პირველი ტიპის სინტაგმის მახვილი გვხვდება, როგორც წესი, თხრობითი წინადადების ბოლოს:

1. ხეებმა თელას თვალბირება დაუწყეს.




სურ. 1

<sup>3</sup> სიტყვათმახვილსა და ფრაზის მახვილს შორის განსხვავებაში ეს გასათვალისწინებელი მომენტი: სიტყვათმახვილი ერთ მარცვალზე მოდის, ფრაზის (სინტაგმის) მახვილის დახასიათებისას კი ერთი მარცვლით ვერ შემოვიფარგლებით. იხ. I და II ტიპის სინტაგმის მახვილება.

თხრობითი წინადადებაა, ერთსინტაგმიანი, წინადადების ბოლოს ტონი თანდათან დამავალია, რაც მაჩვენებელია I ტიპის სინტაგმის მახვილისა.

თანდათან დამავალი ტონი მთავარი მახასიათებელია თხრობითი მელოდიკისა და ყოველთვის დაკულია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წინადადების ბოლო სიტყვა გამოყოფილია ლოგიკურად.

2. ხეებმა თელას თვალიერება დაუწყეს<sup>4</sup>.



სურ. 2

მეორე ვარიანტია ამ წინადადებისა, წინადადების ბოლო I ტიპის სინტაგმის მახვილით აღინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ „დაუწყეს“ ლოგიკურად არის გამოყოფილი. ლოგიკურად გამოყოფის მაჩვენებელია ტემპის შენელება, ხმოვნების დაგრძელება.

I ტიპის სინტაგმის მახვილი შეიძლება გვექონდეს წინადადების შიდა სინტაგმებშიც. ასეთი წარმოთქმა დასაშვებია უკავშირო თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების კომპონენტებს შორის. ამ შემთხვევაში პირველი ტიპის მახვილის ხმარება მთქმელის თვალსაზრისზე არის დამოკიდებული: თუ მთქმელს სურს გამოხატოს უკავშირო რთულ წინადადებაში შემავალი კომპონენტების აზრობრივი დამოუკიდებლობა, მაშინ მიმართავს I ტიპის მახვილს.

3. კიდევ კარგი/ცოცხალს გზედავ.

ამრიგად, პირველი ტიპის სინტაგმის მახვილისათვის არსებითია ტონისა და ინტენსივობის თანდათან დამავალი მოძრაობა. გამოყენებულია ეს მახვილი აზრის დასრულების აღსანიშნავად.

4 სხვა მაგალითებისათვის არ მოხერხდა გრაფიკების მოყვანა ტექნიკური მიზეზების გამო.



თხრობითი წინადადების შიდა სინტაგმები გამოიყოფიან მეორე და მესამე ტიპის სინტაგმის მახვილებით.

მეორე და მესამე ტიპის სინტაგმის მახვილებს საერთო აქვთ ის, რომ ორივე დაუსრულებელ აზრს გამოხატავს: სინტაგმები რომლებიც გამოყოფილი არიან ამ ტიპის მახვილებით, მოითხოვენ აზრის განგრძობას, დაზუსტებას, განმარტებას მომდევნო სინტაგმაში.

მეორე და მესამე ტიპის სინტაგმის მახვილები აღნიშნავენ წინამავალი სინტაგმის მჭიდრო კავშირს მომდევნო სინტაგმასთან.

ამრიგად, ორივე ტიპის მახვილი (II და III) ფუნქციურად მსგავსია, ორივე დაუსრულებელ აზრს გამოხატავს; განსხვავებულია მათი ფიზიკური საფუძვლები: II ტიპის სინტაგმის მახვილში ტონის მოძრაობა აღმავალ-დამავალია, III კი — აღმავალი.

როგორც ექსპერიმენტული მასალის ანალიზიდან ჩანს, თითქმის ყოველთვის, თხრობითი წინადადების შიდა სინტაგმების დასასრული აღინიშნება II ტიპის სინტაგმის მახვილით.

მეორე ტიპის სინტაგმის მახვილში ტონი აიწევს სინტაგმის ბოლოდან მესამე მარცვალზე, ამ დონეზე რჩება ტონი მომდევნო მარცვალზეც და მკვეთრად დაეშვება სინტაგმის უკანასკნელ ხმოვანზე. თუ სინტაგმის ბოლოს ორმარცვლიანი სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა, მაშინ ტონი აიწევს ბოლოდან მეორე მარცვალზე, მომდევნოზე კი (ე. ი. ბოლოზე) მკვეთრად დაეშვება.

II ტიპის სინტაგმის მახვილი აღინიშნება აგრეთვე მაღალი ინტენსივობით.

მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა ყოველთვის სიტყვათა მახვილის (მთავრისა ან მეორეულის) მატარებელი მარცვალი, ტონის აწევა კი ყოველთვის მესამე და მეორე მარცვალზეა სინტაგმის ბოლოდან.

მაგალითად:

1. სიტყვა ორმარცვლიანია ტონიც და ინტენსივობაც აიწევს ბოლოდან მეორე მარცვალზე, შემდეგ კი ტონი მკვეთრად დაეარდება.

↑ ↓

4. თუ გინდა / ბაზუასთან / შენ წალი.

აქვე შემოდის ორი ერთმარცვლიანი კომბინაცია.

↑ ↓

5. დარწმუნებული ვარ რომ / არავინ დაიზარებს მოსვლას.

2. სამმარცვლიან სიტყვაში სინტაგმის ბოლოს (ხშირად ეს ერთსიტყვიანია სინტაგმებში) მაღალი ტონი და ინტენსივობა ერთ მარცვალზეა — დასაწყისიდან პირველ მარცვალზე (ეს ამავე დროს სინტაგმის ბოლოდან მესამე მარცვალია).

↑ ↑ ↓

6. როცა დავითი შინ მოვიდა / საღამო ხანი იყო.

სიტყვა ორმარცვლიანია და მას ენკლიტიკურად ერთმარცვლიანი სიტყვა მიერთვის (უმეტეს შემთხვევაში კავშირები „რომ“, „და“), მაშინაც მაღალი ტონი და ინტენსივობა თანხვდება. დაცულია სიტყვათა მახვილის ადგილიც და სინტაგმის ფუნქციის ტონის აწევაც.

↑ ↑ ↓

7. დაიჭექა თოფმა დაბლა და / მაღლა ქორმა შეიფრთხილა.



მეორეული მახვილის მატარებელ მარცვალზე. მთავარ მახვილიანი ხმოვნის ინტენსივობაც თითქმის ამ დონეზეა (20-22).

თუ ხუთმარცვლიან სიტყვას ერთმარცვლიანი ერთის, ამ შემთხვევაშიც მაღალი ინტენსივობა ან მეორეული, ან მთავარი მახვილის ადგილზე გვაქვს, ტონის ამალღება — ბოლოდან მესამე მარცვალზე.

↑ ↑ ↓

16. დარწმუნებული ვარ / არავინ დაიზარებს მოხვლას.

მეორე ტიპის სინტაგმის მახვილზე მსჯელობისას ჩვენ განვიხილეთ ყველა შესაძლებელი შემთხვევა სიტყვის ენკლიტიკურად დართვისა, მაგრამ არაფერი გვითქვამს პროკლიტიკური მიერთების შემთხვევებზე.

პროკლიტიკური მიერთების ფაქტები ჩვენ შეგნებულად გამოვტოვეთ, რადგანაც სიტყვის წინ მარცვლების დართვა არ ახდენს გავლენას მელოდიკური ფუნქციის მატარებელი ტონის ან ინტენსივობის გამოვლენაზე.

↑ ↑ ↓

17. როცა დავითი შინ მივიდა/სადამო ხანი იყო. (ნახ. № 6).

„შინ“ წინ დართვის სიტყვას „მივიდა“, ვიღებთ 4 მარცვლიან კომბინაციას, მაგრამ ამით ტონის და ინტენსივობის ამალღების ადგილი არ იცვლება.

ამრიგად, მეორე ტიპის სინტაგმის მახვილის ხმარებისას ყველა შემთხვევაში უკლებლივ ტონის აწევა ხდება სინტაგმის ბოლოდან მესამე მარცვალზე. მაგრამ ამის გამო ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ქართულში სინტაგმის მახვილი გვაქვს მესამე მარცვალზე ბოლოდან. სინტაგმის მახვილი ერთზე მეტ მარცვალს მოიცავს, ამაშია მისი თავისებურება. მაღალი ტონი გვაქვს არა მარტო მესამე მარცვალზე, მომდევნო მარცვალზეც ამავე სიმალღეზეა, ბოლო მარცვალზე კი ტონი მკვეთრად ეცემა. ამ ტიპის სინტაგმის მახვილის აღქმის დროს მნიშვნელობა აქვს როგორც მაღალი ტონის ქონას ბოლოდან III და II მარცვალზე, აგრეთვე ტონის მკვეთრად დაცემას ბოლო მარცვალზე.

სინტაგმის მახვილის დახასიათების დროს რომ ვერ შემოვიფარგლებით ერთი მარცვლით, ეს ნათლად გამოჩნდება, თუ შევადარებთ ერთმანეთს I და II ტიპის სინტაგმის მახვილებს.

ტონი ორსავე მახვილში დამაველია. მაშ, რა ქმნის სხვაობას I და II სინტაგმი მახვილებს შორის?

I ტიპის სინტაგმის მახვილში ტონი თანდათან დამაველია.

II ტიპის სინტაგმის მახვილში კი ტონი აღმავალ-დამაველია.

ამრიგად, სწორი დასკვნის მიღება შესაძლებელი ხდება იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ტონის მიმართულებას ბოლო რამდენიმე მარცვლის ფარგლებში (ორ ან სამ მარცვალზე).

მესამე ტიპის ფრაზის მახვილში ტონი მკვეთრად აიწეეს სინტაგმის ბოლო მარცვალზე (შესაძლოა ბოლო ორ მარცვალზე), ინტენსივობა კი ყველაზე ძლიერია სიტყვის დასაწყის მარცვალზე (მთავარი მახვილის ადგილზე).

↑ ლოგ

18. თუ გინდა / ბაბუასთან / შენ წადი.

↑                          ↑                          ლოგ

10. დაიჭეკა თოფმა დაბლა და / მაღლა / ქორმა შეიფრთხილა.



მესამე ტიპის სინტაგმის მახვილი მოითხოვს მომდევნო სინტაგმაში ერთ-ერთი სიტყვის ლოგიკურად გამოყოფას. სიტყვის ლოგიკური გამოყოფა ხდება მახვილიანი ხმოვნის ინტენსივობის ზრდით („შენ“ პირველი წინადადების ბოლო სინტაგმაში).

შესაძლოა სხვა ვარიანტიც: მესამე ტიპის სინტაგმის მახვილით გამოყოფილი სინტაგმის მომდევნო სინტაგმა მთლიანად გამოიყოფა ფრაზის ლოგიკური მახვილით (იხ. № 19).

მესამე ტიპის სინტაგმის მახვილი გვევლინება სინტაგმათ ვასაყარზე, II ტიპის მახვილის პარალელურად. როგორც აღვნიშნეთ, ორივე მახვილი გამოხატავს დაუსრულებელ აზრს.

განსაკუთრებით ხშირად III ტიპის მახვილი ერთსიტყვიან სინტაგმებზე გვხვდება. (იხ. 18, 19).

მეორე და მესამე ტიპის ფრაზის მახვილები შეიცვლება უმეტეს შემთხვევაში ფრაზის ლოგიკური მახვილით.

ფრაზის ლოგიკური მახვილიც აღმავალი ტონით ხასიათდება. მესამე ტიპის სინტაგმის მახვილისაგან განსხვავებით, სადაც ტონი უკანასკნელ მარცვალზე (ან ორ უკანასკნელზე) მკვეთრად აიწევს, ლოგიკურ მახვილში ტონი თანდათან აღმავალია სინტაგმის ბოლო რამდენიმე მარცვლის ფარგლებში. თანდათან მზარდია აგრეთვე ინტენსივობაც. გარდა ამისა, ფრაზის ლოგიკურ მახვილში ხდება სინტაგმის ბოლო მარცვლის დაგრძელება, III ტიპის მახვილში კი ბოლო მარცვალი წარმოითქმის მოწყვეტით.

თუ სინტაგმათვასაყარზე ფრაზის ლოგიკური მახვილი გვაქვს, მაშინ მომდევნო სინტაგმაში ერთი სიტყვა ლოგიკურად გამოიყოფა.

შესაძლოა მომდევნო სინტაგმა მთლიანად იყოს ლოგიკურად გამოყოფილი.

20. თუ გინდა / ბაბუასთან / შენ წადი.

21. თუ სანადიროდ იყო / ხელცარიელი რად მოვიდა/.

### სინტაგმური წარმოადგენი და მელოდია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია ქართული ენის თხრობითი წინადადების მელოდის შესწავლა.

ისმის საკითხი: გვაქვს თუ არა საფუძველი ვიმსჯელოთ თხრობითი წინადადების მელოდიაზე საერთოდ, თუ უნდა განვასხვავოთ მელოდიატური ტიპები სინტაგმური ტიპების შესაბამისად (რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადების მელოდია, ან უფრო მეტიც — სხვადასხვა ტიპის ქვეწყობილი წინადადების მელოდია).

ზოგადად რომ ვთქვათ, განსაზღვრავს თუ არა სინტაგმური ტიპი ან სიგრძე (მარცვალთრაოდენობა) წინადადებისა მის მელოდიატურ წყობას?

ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული აზრის თანახმად პასუხი ამ კითხვაზე დადებითია.

გ. ახვლედიანი აღნიშნავს: „რაც უფრო ვრცელია შესიტყვება, მით რთულია ტონის მოდულაცია თითოეული ნახევრის შიგნით“<sup>5</sup>.

კიდევ უფრო მეტადაა რთული ინტონაცია რთულ წინადადებაში ლ. კვაჭაძის აზრით: წინადადების მელოდიისათვის მნიშვნელობა აქვს სიტყვათა რაოდენობას და მათ განსხვავებას აღნაგობის მიხედვით (მარტივი, რთული შერწყმული)<sup>6</sup>.

ამ თვალსაზრისის იზიარებდა ს. ჟღენტცი თავის ნაშრომში, რომელიც მან ქართული ენის მელოდიკურ სტრუქტურას მიუძღვნა<sup>7</sup>.

ეს აზრი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ენათმეცნიერებაში და მელოდიკის კვლევის პრაქტიკაშიც საფუძვლიანად დამკვიდრდა.

მაგრამ როგორც თანამედროვე კვლევის პრაქტიკა გვიჩვენებს მარცვალთ-რაოდენობა და წინადადების სირთულე აღნაგობის მიხედვით არ არის განმსაზღვრელი მელოდიკური წყობისა.

მელოდიკური ანალიზი თხრობითი წინადადებისა (მარტივისა თუ რთულისა) პრინციპულად განსხვავდება მისი სინტაქსური ანალიზისაგან.

სინტაქსური ანალიზი ავლენს თხრობითი წინადადების მრავალ სახესხვაობას (მარტივი, რთული, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი სხვადასხვა სახის დამოკიდებული წინადადებით და ა. შ.).

ეს მრავალფეროვნება უკანა პლანზე გადაიწევს მელოდიკის შესწავლისას.

მელოდიკური ანალიზის დროს არსებითია არა სიტყვათა რაოდენობა (ანუ მარცვალთრაოდენობა), არამედ გამონათქვამის სინტაგმური წყობა:

1. ერთსინტაგმიანია გამონათქვამი, თუ მრავალსინტაგმიანი.
2. სინტაგმა დასრულებულია თუ არა სემანტიკურად.
3. რა ადგილი (პოზიცია) უჭირავს სინტაგმას — გამონათქვამის დასაწყისშია, შუაში თუ ბოლოში.

იმის მიხედვით, თუ რამდენსინტაგმიანია წინადადება, როგორია ის შინაარსობრივად (დამთავრებული თუ დაუმთავრებელი), რა პოზიცია უჭირავს მოცემულ სინტაგმას გამონათქვამში — ყოველივე ამის მიხედვით სხვადასხვა ტიპის ფრაზის მახვილი იქნება გამოყენებული.

სინტაქსურად მარტივი წინადადება მელოდიკურად შეიძლება იყოს ერთსინტაგმიანიც და მრავალსინტაგმიანიც. ხშირ შემთხვევაში იგი შეიძლება გავუტოლოთ რთულ წინადადებას (თანწყობილს თუ ქვეწყობილს), რომელიც ისეთივე რაოდენობის სინტაგმებიდან არის შედგენილი.

22. ეს წიგნი/უკვე გუშინ ვნახე/.

23. თუ სანადიროდ იყო ხელცარიელი რად მოვიდა.

24. როცა დავითი შინ მოვიდა / საღამო ხანი იყო/.

5 გ. ახვლედიანი, ფონეტიკის საფუძვლები, 1949, გვ. 139.

6 ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1966, გვ. 26.

7 ს. ჟღენტცი ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, 1963, გვ. 78.

მელოდიკური თვალსაზრისით ყველა წინადადება ერთ ტიპს განეკუთვნება, მიუხედავად მათი სხვადასხვაგვარი სინტაქსური აგებულებისა. მელოდიკისათვის არსებითია ის, რომ ყველა მოყვანილი წინადადება ორსინტაგმიანია, პირველი სინტაგმა აზრობრივად დაუმთავრებელია, ფრაზის მეორე ტიპის მახვილით გამოიყოფა, მეორე სინტაგმა კი (ე. ი. ბოლო სინტაგმა) — პირველი ტიპის მახვილით.

შესაძლოა იყოს პირიქით — მარტივიცა და რთულიც ერთსინტაგმიან გამონათქვამს შეადგენენ, ერთი ცენტრით (უმეტეს შემთხვევაში ცენტრი ზმნა — შემსამენელი იქნება, თუ სხვა სიტყვა ლოგიკურად არ არის გამოყოფილი); მელოდიკის მიმართულება აღმავალია ცენტრალურ სიტყვამდე, შემდეგ კი თანდათან დამავალი.

25. ქოხში საქმაოდ ჩამოზნელდა.

26. წვიმამ გადაილო მაგრამ მზე არ ჩანდა.

27. იმიტომ მენანება რომ ჭერ ბარტყია.

მელოდიკური სურათის დასადგენად არსებითია მთქმელის თვალსაზრისის გათვალისწინება: ერთი და იგივე გამონათქვამი შეიძლება სხვადასხვაგვარად დანაწევრდეს. სინტაგმებს განსხვავებული ღირებულება ენიჭება კომუნიკაციის პროცესში იმის მიხედვით, თუ როგორია მთქმელის მიმართება გამონათქვამისადმი.

28. ვაუკაცობა თუ სისულელესთან არის დაკავშირებული/ჩალად არ ღირს.

29. ვაუკაცობა / თუ სისულელესთან არის დაკავშირებული / ჩალად არ ღირს. ერთი წინადადებაა სხვადასხვაგვარად სეგმენტირებული. პირველ შემთხვევაში ორი სინტაგმა გვაქვს, მეორეში კი — სამი.

განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მეორე ვარიანტში მთქმელი ჩართულ წინადადებას აჩქარებულად, სხვათა შორის წარმოთქვამს. მისთვის მნიშვნელოვანია მთავარი წინადადების გამოყოფა, ჩართული კი მეორეხარისხოვანია, ნაკლებ მნიშვნელოვანი.

ხშირ შემთხვევაში სხვადასხვაგვარი სინტაგმური დაყოფა ერთი და იმავე წინადადებისა სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს, აზრს ცვლის.

30. გუშინ / ჩამოსულმა სტუმრებმა / ქალაქი დაათვალიერეს.

31. გუშინ ჩამოსულმა სტუმრებმა/ქალაქი დაათვალიერეს.

იმის მიხედვით, თუ რამდენ მელოდიკურ სინტაგმას გამოვყოფთ მოცემულ წინადადებაში, მისი აზრი სხვადასხვა იქნება.

სინტაგმა შეიძლება შედგებოდეს ერთი სიტყვისაგან, სიტყვათშეწყობისაგან, წინადადებისაგან (მარტივი ან რთულისაგან). გამონათქვამის სეგმენტაცია ყოველთვის დამოკიდებულია მთქმელის პოზიციასზე, იმ შინაარსზე, რომელიც მთქმელს სურს გადმოგვცეს, ამიტომ სინტაქსური სეგმენტაცია, რომელიც სტაბილურია და სინტაქსური კანონებითაა შეზღუდული, მელოდიკური სეგმენტაციის საფუძვლად არ გამოდგება. მელოდიკური სეგმენტაცია გაცილებით მეტ



საშუალებას იძლევა აზრთა მრავალფეროვნების გამოსახატავად, ვიდრე სინტაქსური.

ჩვენ ვხმარობთ გამოთქმას „მთქმელის პოზიცია“, „მთქმელის სურვილი“ და ამის გამო შეიძლება შეიქმნას წარმოდგენა, რომ მეტყველების მელოდიკური ასპექტი ინდივიდუალური მოვლენაა, ინდივიდის სურვილზე დამოკიდებული. მაგრამ ეს ასე არაა.

სინამდვილეში ყველა ინდივიდი შეზღუდულია ამა თუ იმ ენაში არსებული მელოდიკური კანონებით, სხვაგვარად წარმოუდგენელია მელოდიკის საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულება.

აზრთა მრავალფეროვნება გამოიხატება იმ სინტაქსური მახვილების კომბინაციით, რომლებიც არსებობს ყოველ ენაში. თუ ამას გავითვალისწინებთ, თხრობითი მელოდიკის სურათი გაცილებით მარტივად აღიწერება, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი დაქვემდებარებულია სინტაქსურ დაყოფას.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა)

ნოღარ კილანავა

**ვახტანგ ორბელიანის უცნობი ფსევდონიმი**

გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისათვის, ჭერ ისევ 1859 წელს ყ. ფსევდონიმით გამოქვეყნდა პოეტური ნაწარმოები „ახალ გამოჩენილ მშვენიერებას“<sup>1</sup>. იმავე ხანებში, 1863 წელს, ყ. ფსევდონიმით კვლავ „ციცკარში“ დაიბეჭდა პუბლიცისტური წერილი „პოლშელი პატრიოტი ქალი პენრიეტა პუსტოვიტოვა (რუსული გაზეთებიდან)“<sup>2</sup>.

შემდეგ კი, 90-იან წლებამდე, ვიდრე ვ. ორბელიანი არ გარდაიცვალა, ყ. ფსევდონიმი სხვა თხზულება არ გამოქვეყნებულა; ეს ფსევდონიმი დამოწმებული არ არის აღნიშნული პერიოდის აქამდე ცნობილ ხელნაწერებში.

თხზულებაში „ახალ გამოჩენილ მშვენიერებას“ პოეტს მოველინება ანგელოზისებრი არსება, მშვენიერი ქალწული. მას ეკვი იპყრობს, ვინ უნდა იყოს ეს თითქოს განგებისძიერი ქმნილება, მით უფრო, მოვლენილი ქვეყნის შეპირებების ჟამს: ანგელოზია იგი თუ სატანა; არ გამოირიცხავს იმასაც, რომ იგი იყოს ჩვეულებრივი ადამიანი, „ასული ამ ქვეყნისა“. რაც მთავარაა, ვინც არ უნდა იყოს ის, პოეტი იწამებს, რომ ჩრდილოეთიდანაა და ეუბნება: თუ ჩრდილოეთის „წყვედი დაღს სტუქსე, მოხვევ აქ მაღე“. მაშინ: „მოგესალმებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა, შენც გაუღიმე სიმშვეიდი თაძველსა იცერსაო...“ (ხაზი ჩემია. ნ. კ.).

შემდეგ პოეტი ასულს აღწერს შობელი ქვეყნის წარმატე სილამაზეს; ამასთან, საუბარში აგრძნობინებს, რომ ქართველი და საქართველო, მტერთაგან არა ერთხელ მოვლენილ უბედურებათა მიუხედავად, ბოლომდე მაინც გაუტეხელნი დარჩნენ. აი, ასეთია ის ქვეყანა, სადაც შენ მოხველ და „აქ ყოფნა თუ მოგვწონა“, — მიმართავს „ჩრდილოეთის წყვიდაის მტუქსავ“ ქალწულს აეტორი, — „გაგიშლით გულსა ფიანდაზად შენ ფეხთა წინა“. ხოლო შენ კი „იყავ შევნება, ნეტარება ივერისა“, — ეუბნება ბოლოს პოეტი მას. მომყავს „ციცკარში“ (1859, 2) ყ. ფსევდონიმით გამოქვეყნებული პოეტური თხზულების მთელი ეს ტექსტი უცვლელად:

**ახალ გამოჩენილ მშვენიერებას**

ვინა ხარ ეპა მშვენიერო, გამოჩნდა სითა,  
 ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური მოჰფრინდი ცითა,  
 შენის მზერითა აქამომდე ვინ დასტკებოდა,  
 ცა თუ ცის ქვეშე, შენით ტურფავ, განბრწყინდებოდა?  
 ვინა ჰგალობდნენ, შენს შევნებას ცასა ციერნი,  
 თუ ფეხთ-მოდრეკით, განკვირვებით, ამ ქვეყნიურნი?  
 ხარ ანგელოზი, სამოთხიდან გამოფრენილი  
 ჩუენ საბრილოთა, დასატკებოლად, აქ მოვლენილა?  
 ან თუ სატანა, ჭოჯოხეთმა, მოგზაუნა ხმელად.  
 მოგვცა შევნება, გარდმოგავდო, გულთ სავენებლად!  
 ან ხარ ასული, ამ ქვეყნისა, ვით სხვა ასული!  
 მაგ ლამაზს მკერდს ქვეშ, როგორც სხვათა შენც ვიძიერს გულა?

1 ყ. ახალ გამოჩენილ მშვენიერებას, „ციცკარი“, 1859, № 2, გვ. 100-102.

2 ყ. პოლშელი პატრიოტი ქალი პენრიეტა პუსტოვიტოვა (რუსული გაზეთებიდან), „ციცკარი“, 1863, № 4, გვ. 590. (ქვევით: „პოლშელი პატრიოტი ქალი“).

აბა მამ გვიტხარ, ვით შემკულხარ ევრე მდიდრული,  
 გარმონითა, სიტურფითა, შეენებით სრული!  
 ვინ ბედნიერმა, სად და როგორ ევრე გაგზარდა!  
 ან ვისი თვალი, შენით მთვარალი, მარად გიმზერდა!  
 აღმოსაველეთსა, ყვავილთ შუა, თუ გაიზალე,  
 ან თუ ჩრდილოთ ხარ წყვიდას სტექქე მოხველ აქ მალე. —  
 მოგვსალმებით ნათლის გულით შენ მშვენიერსა.  
 შენც გაუღიმე, სიმშვიდითა ძველსა ივერსა,  
 სადაც ბუნებამ დიდებულად ზღვათა და ბართა  
 შესამლობლად ფრიალონი წინ აღემართა!  
 სადაც მათი წვერნი, ცისა კიდეს, ეტყენიბიან,  
 ველნიცა მარად, ყვავილებით იმოსებიან  
 და მათზედ რბიან, წალკოტთ შუა, წყალნი მცინარნი.  
 აქ სიყვარულსა შტვენენ მარად, ბულბულნი წყნარნი;  
 რა ფუფუნებით, ზამთარ-ზაფხულს ვარდნი შლილობენ!  
 ღამით ზეფირი, დილით ნამი, მანედ ხარობენ.  
 აქა ცა არის, ლურჯი, წმინდა, მნათი მარად ეამს,  
 აქა დაეთი და თამარი სულსა კიდევ სწამს!  
 აქ რუსთაველისა ლექსნი ტკბილად ატბობენ ყურასა;  
 აქა ისმენენ, ბესიკისა, მღერას ციურსა.  
 აი სად მოხველ, მამ აქ მყოფნა, თუ მოგვწონა  
 გაგიშლით ვულთა ფიანდახად შენ ფერხთა წინა!  
 იყავ შეენება, ნეტარება ივერიისა,  
 იყავ ჩენთვისა, ცით ვარსკვლავი, შუქი მთვარისა!

რაც შეეხება „პოლშელ პატრიოტ ქალს“, იგი მიძღვნილია კოლონიური პოლონეთის 1863 წ. ცნობილი აჯანყებისადმი ცარიზმის წინააღმდეგ. წერილის მთავარი გმირი აქაც ქალია, თუმცა იგი რეალური პიროვნებაა და წერილში მისი ისტორიულად ცნობილი სამხედრო-საბრძოლო საქმიანობაა ახსნილი. პენრიეტა პუსტოვიტოვა პოლშის რევოლუციის წინამძღოლის ადინტანტიო, წერს ავტორი. წერილში დახასიათებულია ამ 17-18 წლის ქალიშვილის თავდადება შრომლიერი პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მაგრამ აქ მხოლოდ ნაციონალური გმირის, მეომარი ქალის დახასიათება არაა მთავარი. წერილს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი იდეური მიზანდასახულობა: გააცნოს მკითხველს ქართველების მსგავსად ცარიზმის კოლონიალურ უღელქვეშ მდგომარე პოლონელთა აჯანყების აზრი და შინაარსი; მხარი დაუჭიროს პოლონეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას და გამართლოს ამ ქვეყნის აჯანყება საქულველი მეფისა და მისი სისხლიანი ბატონობის წინააღმდეგ. ამასთან, წერილში წინა პლანზეა წამოწეული ქალთა თანასწორობის საკითხი. აქაც, ამ საკითხშიც, ავტორი რადიკალურ-პროგრესული მოთხოვნათა დონეზე დგას.

ცხადია, ეს ყველაფერი ცარიზმთან ბრძოლას უდრიდა. ჩანს, ავტორს იცნობდა ი. კერესელიც მიუხედავად ამისა, გასაგებია, წერილი უთუოდ ფსევდონიმით უნდა გამოქვეყნებულიყო. მაგრამ იგი მაინც ცენზურის მიერ სასტიკად დამახინჯებული დაბეჭდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში უ. ფსევდონიმს ამოფარებული ავტორის ვინაობის საკითხს არავენ შეხებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას“, რომელიც ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში გამოქვეყნდა.

„ბიბლიოგრაფიაში“ ანოტირებულია ჯერ „პოლშელი პატრიოტი ქალი“<sup>3</sup>, ხოლო შემდეგ „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“<sup>4</sup>. აღნიშნული „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ შემდგენლებსა და რედაქციას, სამწუხაროდ, ეს პოეტური თხზულება ცალკე, დამოუკიდებელ ლირიკულ ნაწარმოებად ჰქონიათ წარმოდგენილი და მიუჩნევიათ, რომ იგი, პუბლიცისტურ წერილთან ერთად, ეკუთვნის ვითომცა ჯერხნობით უცნობ ავტორს, რომელიც, მათი აზრით, თითქოს მხოლოდ უ. ფსევდონიმით წერდა.

აღნიშნული მცდარი აზრის დაცვა მოცემულია იქვე: „ბიბლიოგრაფიის“ შენიშვნაში, რომელიც შემდგენლებსა და რედაქციას სქოლიოში დაურთავთ „იმედის“ ანოტაციისათვის: ამ ნა-

3 ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. 1, (1852-1877), დოკ. გ. აზნაიანის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1940, გვ. 14.

4 იქვე, გვ. 112.



წარმოების ავტორი ვახტანგ ორბელიანი (ხაზი ჩემია, ნ. კ.), შენიშნავენ ისინი „იმედის“ შესახებ, ამით აიხსნება, რომ მათ ბიბლიოგრაფიაში — ფსევდონიმი ყ. არა ვ. ორბელიანის სახელთან, არამედ, „პირთა სახელების საძიებელში“ ცალკე აქვთ გატანილი და აუხსნელად დატოვებულნი. ეს ფსევდონიმი არც სხვა სათანადო ლიტერატურაშია ახსნილი<sup>7</sup>.

ნამდვილად კი, როგორც ქვეყნი იქნება გარკვეული, „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“, „იმედის“ შემადგენელი ნაწილია და ვ. ორბელიანს ეკუთვნის.

გავყვეთ დოკუმენტურ მასალებს.

პუბლიცისტური წერილის „პოლშელი პატრიოტი ქალის...“ გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ „ცისკარში“ დაიბეჭდა ანონიმური პოეტური ნაწარმოები „იმედი“, რომელშიაც შესავლის სახით შეტანილი იყო იმავე ფსევდონიმით აღრე გამოქვეყნებული „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“, სქოლიოში კი ამის გამო ი. კერესელიძე შენიშნავდა:

„სიყმაწვილეში“ დაწერილი „იმედის“ სხვა ნაწილები „ავტორმა შეკრიბა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩენნი თხოვნით მოგვცა და ნება დაგვრთა დაბეჭდვისა. ამისათვის საჭიროდ დავინახეთ, დავბეჭდეთ ის შესავალიცა. ხოლო გვინდა მასთანვე, — დასძინდა იქვე ი. კერესელიძე, — მოვახსენოთ მადლოთა ავტორს, რომელიცა სიმშვილითა და თავმდაბლობით მალავს თავის გვარს“<sup>8</sup> (ხაზი ყველგან ჩემია, ნ. კ.).

ხაზგასმული სიტყვებიდან ი. კერესელიძის ის აზრი, თითქოს „იმედის“ ავტორი უბრალოდ, „სიმშვილითა და თავმდაბლობით“ მალავდა თავის გვარს, სწორი არ არის. პირიქით, პოლიტიკური შეთქმულების მინაწილე, სასტიკად შერისხული პოეტი სავანგებოდ ფარავდა თავის ვინაობას. ხოლო ვ. ორბელიანთან, ჩანს, თავიდანვე შეთანხმებული ი. კერესელიძე ამ სიტყვებით ხელს აფარებდა პოეტის კანონიერი სიფთხოილის ნამდვილ მიზეზებს.

რაც შეეხება აზრს „იმედის“ შედგენილობის შესახებ, უკვე ითქვა, რომ ი. კერესელიძის ეს შეხედულება იქვე, „ცისკარს“ იმავე ნომერში იყო დადასტურებული: „იმედის“ აქ დაბეჭდილი ერთიანი რედაქცია, როგორც შესავალს, მოიცავდა „ახალ გამოჩენილს მშვენიერებასაც“<sup>9</sup>.

იმ დღეებში „იმედის“ იგივე, მთლიანი რედაქცია „ახალ გამოჩენილს მშვენიერებასთან“ ერთად, გამოქვეყნდა გაზ. „დროებაში“<sup>10</sup>. კორექტურა თვით პოეტს შეესრულებია<sup>11</sup>. მაგრამ თხზულება ისევ ხელმოუწერად იყო დაბეჭდილი.

„თი წლის შემდეგ, 1879 წ. ზ. ჰიქინაძემ ერთად გამოსცა ძმების ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების თხზულებანი. „იმედი“ აქ მთლიანი სახით ვახტანგის სახელით იყო შეტანილი. ასე რომ, რედაქტორს ბეჭდურად იყო დადგენილი, რომ მთელი ეს თხზულება ჩვენთვის ცნობილ „ახალ გამოჩენილს მშვენიერებასთან“ ერთად, ვ. ორბელიანს ეკუთვნოდა<sup>12</sup>.

თხზულების შევები, მისი პირიანდელი ავტოგრაფი ჩვენამდე არ შენახულა, მაგრამ დღემდე დაცულია „იმედის“ ზ. ჰიქინაძისეული, 1879 წ. შედარებით ვრცელი რედაქციის ორი ხელნაწერი<sup>13</sup>. ერთი მათგანი უცნობის მიერაა შესრულებული<sup>14</sup>, ხოლო მეორე ვ. ორბელიანის ხელით არის გადაწერილი<sup>15</sup>. „იმედის“ ამ შედარებით ვრცელი რედაქციის შემდგენლობის დედი (გადანაწერი) ავტოგრაფი, ჩანს, შექმნილია 80-იან წლებში, როცა პოეტმა გადაწყვიტა, გამოეცა

5 იქვე, გვ. 99.

6 იქვე, გვ. 253.

7 ვ. მიქაძე, ქართული ფსევდონიმების ლექსიკონი (ხელნაწერი), გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს საელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი; ა. აბრამიშვილი, თბილისის უწყებანი, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1948, გვ. 237; მისივე, მ. დავითაშვილის ფსევდონიმები, კომუნისტი, 1961, № 156; ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმების საუნჯე, ახალგაზრდა კომუნისტი, 1965, № 17 (7583) და სხვა. შდრ. მისივე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1968.

8 „იმედი“, „ცისკარი“, 1868, № 2, გვ. 1.

9 იქვე, გვ. 1-2.

10 „იმედი“, „დროება“, 1868, № 9.

11 „დროება“, 1868, № 12 (პატრიცემულ „ცისკარის“ რედაქციას).

12 ალექსანდრე ჯამბაყურიან ორბელიანის ნაწერი და ოთხი ლექსი თ. ვახტანგ ვახტანგის ქ ორბელიანისა, თბ., 1879.

13 რამდენიმე ნაწყვეტი „იმედისა“, ჩანს, ნაბეჭდი ტექსტიდან, სხვისი ხელით გადმოღებული ინახება გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, ხელნაწერები 16283, 16284.

14 საქ. მეც. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, № 2535.

15 იქვე, ფონდი, № 4906 გ.

თავის ნაწერების ერთგომეული<sup>16</sup>. ამ ავტორგრაფულ ნუსხაში ყ. ფსევდონიმით გამოქვეყნებული „ახალ გამოჩენილ მშენებლებს“ ვ. ორბელიანის ხელით, უცვლელად არის შეტანილი.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, მთელ თხზულებასთან ერთად, „იმედის“ ეს შესავალი ნაწილიც — „ახალ გამოჩენილ მშენებლებს“ პოეტის მიერ „სიყმაწვილეში არის“ დაწერილი და ფსევდონიმი ყ. ვ. ორბელიანს ეკუთვნის. ჩანს, პოეტს ეს ფსევდონიმი მისი შორეული და სისახელწინაპრის, ყაფლანის მიხედვით უნდა ჰქონდეს აღებული. „... ორბელიანებს ყაფლანის შვილებსაც გვექაბიან, რადგან ერთის მამის ყაფლანიდან მოვდივართ...“, წერდა პოეტის უფროსი მამა ალ. ორბელიანი<sup>17</sup>. სწორედ ამიტომ უწოდებდა ვ. ორბელიანიც თავის თავს ყაფლანის შვილს<sup>18</sup>.

მიღებული დასკვნის შემდეგ კი, ცხადია, „პოლშელი პატრიოტი ქალის“ ავტორის ვინაობის საკითხიც გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ 60-იან წლებში, ვარდა „იმედის“ ავტორისა, ყ. ფსევდონიმით არავინ წერდა. მაგრამ ამ დასკვნის ვარდა არსებობს სხვა დოკუმენტური წყაროები და ვარაუდობენ, რომლებიც ასევე ცხადყოფენ, რომ ეს წერილი ნამდვილად ვ. ორბელიანის მიერ არის დაწერილი. საჭირო იქნება აქ ვაკვიროთ მინც შეეხებოდეთ მათზე.

ვ. ორბელიანი თავისი აღრინდელი ნაწერების დედაზრისა და თავის, როგორც ავტორის ვინაობის დაფარვას თავიდანვე მხოლოდ ი. კერესელიძეს ანდობდა. ეს არც არის გასაკვირი. ი. კერესელიძე თითქმის თ. ბატონიშვილის ოჯახში იყო აღზრდილი<sup>19</sup>. ვ. ორბელიანისთვის, ჩანს, იგი შემდეგაც ერთგული და მისანდო დარჩენილა.

ამ ნდობასა და ერთგულებას ემყარებოდა ვ. ორბელიანი, როცა 1857 წ. თავისი აღრინდელი ნაწერებიდან ი. კერესელიძის ქურნალში მხოლოდ ინიციალებით და უთარიოდ გამოაქვეყნა 1832 წლის შეთქმულების იდეოლოგიით აღბეჭდილი ლექსი „ბულბული“<sup>20</sup>, რომელიც პოლიტიკურად არასამედო პოეტის არქივში ინახებოდა, თუ მეტი არა, მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში<sup>21</sup>.

1859 წ. ვ. ორბელიანმა ამ ნდობის გამო გამოაქვეყნა ყ. ფსევდონიმით „სიყმაწვილეში დაწერილი“ „იმედის“ ჯერ მხოლოდ შესავალი ნაწილი, უთარიოდ და უცნაური სათაურით — „ახალ გამოჩენილ მშენებლებს“. ამ ნდობას ემყარებოდა ვ. ორბელიანი მაშინაც, როცა მთელი „იმედი“ ხელმოუწერლად დაბეჭდა კვლავ ი. კერესელიძის „ცისკარში“ 1868 წელს.

არ არის საეჭვო, რომ ამ ნდობას ემყარებოდა ვ. ორბელიანი მაშინაც, როცა პოლონეთის აჯანყების გამარჯობისადმი მიძღვნილი წერილი „პოლშელი პატრიოტი ქალი“ გამოაქვეყნა, რომელიც ცენზორის მიერ სანახევროდ დამახინჯებული დაიბეჭდა.

დასანიშნავია ისიც, რომ 1863 წელი, როცა ეს წერილი დაიწერა, ვ. ორბელიანმა ძირითადად თბილისში ვატიარა: ცდილობდა მოეხერხებინა, საბოლოოდ გადმოსულიყო კავკასიის არმიის; ეურნ. „ცისკარიც“, სხვა წლებთან განსხვავებით, 1863 წლისათვის პოეტს თბილისის მისამართით აქვს გამოწერალი<sup>22</sup>. ამ წელს თბილისში მან შეძლო თავისი სამსახურებრივი საქმეების მოწესრიგება. ვ. ორბელიანი 1864 წლის დამდეგიდანვე კავკასიის არმიის დაინიშნა<sup>23</sup>.

ცხადია, ამ წლისათვის ხშირად თბილისში მყოფ პოეტს შედარებით მეტი დრო ექნებოდა. სათანადო მასალების გასაცნობად და არ არის საეჭვო, დაეწერა ჩვენთვის საინტერესო წერილი.

რაც მთავარია, 1863 წლის აჯანყება არსებითად გამოეყოფა იყო ცარიზმის წინააღმდეგ პოლონეთის 30-იანი წლების აჯანყების იდეებისა. ხოლო ეს უყანასენელი აჯანყება და მისი იდეები, როგორც ცნობილია, ყველაზე მისაბამ მკალითს წარმოადგენდა 1832 წლის ქართულ შეთქმულთათვის. 1832 წ. შეთქმულების აქტიური წევრი ვ. ორბელიანი სიკვდილამდე

16 „დროება“, 1884, № 273.

17 ალ. ორბელიანი, მეფის ირაკლის მეორის დროის ცოტა ანბები ანუ ზოგიერთი მაშინდელი პირნი, საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი, ხელნაწერი, № 1654, ფ. 7.

18 ა. გაწერელია, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 05.

19 ა. კილანავა, ივანე კერესელიძე, თბ., 1959, გვ. 9.

20 თ. ვ. ორბ., ბულბული, „ცისკარი“, 1857, № 1, გვ. 3.

21 ნ. კილანავა, ვ. ორბელიანის „ბულბულის“ დათარიღების საკითხისათვის, შ. რუსთაველის სახელობის ქართ. ლიტ. ინსტიტუტის XXVI სესია, გვერდი და თეზისები, თბ., 1956, გვ. 20.

22 სია 1862 წ. „ცისკარის“ ხელისმომწერთა ქ. ტფილისში, „ცისკარი“, 1862, № 2, გვ. 314.

23 Па указу Его Величества Государя Императора Александра Александровича... საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S ფონდი, საქ. № 4906-გ, ფ. 2.

ცარიზმის მოწინააღმდეგე დარჩა. უდავოა, პოლონეთის 1863 წლის აჯანყებას იგი სისხარულით უნდა შეგებებოდა. „პოლონელი პატრიოტი ქალი“ ვ. ორბელიანის ამ სისხარულსა და ცარიზმი-სადმი მისი სიძულვილის ხელშეწყობები მაგალითია.

„რასაკვირველია, — ეკითხულობ წერილის დასაწყისშივე, — ჩვენს მკითხველებს მოხსენებული ექნებათ, რა ამბავიც არის ახლა პოლშაში და რის გულისათვის მოხდება ხოლმე, თუ კი მოხდება ხადმე, ამგვარი ამბები“ (სახი ჩემიან. ე.).

ფრთხილი ავტორი „ამგვარ ამბებში“ გულისხმობდა იმ აურაცხელ ტანჯვასა და უბედურებას, რომელიც 1863 წ. ცარიზმმა თავს დაატყნა დამოუკიდებლობისათვის აჯანყებულ პოლონეთს. მიზეზიც „ამგვარი ამბებისა“ წერალში მოხერხებულადაა მინიშნებული; ვითომცდა სასხვეთაშორისოდ წერს ავტორი, „პოლიაკებმა თავისუფლება მიიწოდეს“; რომ შეარბილოს ამ აზრის სიმკვეთრე, იგი თითქოს სარწმუნო ტონით განავრძობს:

„აქ საჭიროდ არ ვრავებთ, შევდეთ იმის განსჯაში, ვინიერია თუ უგონო ეს მონღოშილება, სასარგებლოა და ამო იმისი აღსრულების მოწადინება, არა თუ...“ ხოლო „არა თუ“... აზრი წყდება. მომდევნო სტრიქონები უკირავს ცენზურის წერტილებს, რასაც მოსდევს ავტორის აქ შემორჩენილი სიტყვები — „ჩვენ მართო იმ რევოლუციამ<sup>24</sup> გამოჩენილი პირთავანის შესახებ-ბად მკითხველებთან მოლაპარაკება გვინდა“<sup>25</sup>. აქედან კი მსჯელობა თვით პუსტოგოიტოვას შეეხება.

როგორც ვხედავთ, ვ. ორბელიანს შესავალშივე უძღვია გადმოეცა წერილის იდეური მიზნდასახლება, აესხნა გონიერია თუ უგონო“ აჯანყებულთა ნაბიჯი. პოეტმა კი კარგად იცოდა, რომ აღებული პერიოდისათვის აჯანყების გამარჯვება, მისთვის მაინც სასიფათო იყო. ამიტომ განგებ, ოფიციალურად აცხადებდა, ამ საკითხის განსჯაში არ შევდივართ, მხოლოდ „რევოლუციამ გამოჩენილი“ პირი გვიანტერესებსო. ფაქტურად კი, ზედმიწევნითი სიფრთხილის მიუხედავად, ავტორს იქვე, შესავალშივე უმძლავნდება თავისი პოზიცია — უთხრას მკითხველს მართალი სიტყვა აჯანყებულთა კანონიერი მოთხოვნებისა და ბრძოლების შესახებ. ეს ცენზურის მიერ ამოღებული ადგილის გადარჩენილი ნაწილიდანაც მტკიცდება.

დარჩენილ სტრიქონებს — „სასარგებლოა და ამო იმისი აღსრულების მოწადინება, არა თუ...“. ამკარა, უნდა მოაყოლიდა სიტყვები — „პოლონეთისათვის“ და სხვა, რომელთა აზრი, ცხადია, აჯანყებას უჭერდა მხარს. მაგრამ შემდეგი სტრიქონები ცენზურის მიერ ასე ველურადაა ამოღებული. უდავოა, აქ ცენზურამ ამოიღო ის სიტყვები და სტრიქონები, რომლებშიც მოცემული იყო თავისუფლებისათვის მებრძოლი, აჯანყებული პოლონეთის გამოსვლას დადებითი შეფასება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რასაკვირველია, ცენზურას არც ექნებოდა საჭიერ წერილის ამოღებულ ადგილთან.

საერთოდ, წერილის მთელი პათოსი პოლონეთის 1863 წ. აჯანყებისადმი მხარდაჭერაა; დედააზრი, რომლის ირგვლივ იყრის თავს წერილში სხვა იდეური ზაზები, ესაა გამართლება აღნიშნული აჯანყებისა; წინა პლანზე წამოწევა პოლონეთ პატრიოტთა თავდადებისა სამშობლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რაც თავისთავად ცარიზმის სიძულვილს უძღრიდა.

ერთი სიტყვით, წერილის იდეურ მრწამსს, რომელიც მთლიანად ეთანხმება პოეტის პოლიტიკურ მსოფლმხედველობრივ მისწრაფებებს, ამ შემთხვევაში დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობაც აქვს და ურყევად ამტკიცებს ვ. ორბელიანის ავტორობას.

ენა წერილისა საერთოს პოელობს ვ. ორბელიანის ენასთან. როგორც ცნობილია, გრიგოლ ორბელიანი უკვე 80-იან წლებშიც შენიშნავდა ვ. ორბელიანის სამწერლო ენაში მსაზღვრელ-საზღრულის ირიცხვით შეთანხმების ნორმათა დარღვევის ტიპურ მოვლენებს<sup>26</sup>. ირიცხვა, რომ ვ. ორბელიანის ენისათვის ეს თავიდანვე ყოფილა დამახასიათებელი. ამბზე მიუთითებს „პოლონელ პატრიოტ ქალში“ „რაერთი, მსგავსი მაგალითი (თავის სამეხს, ბევრი აფიციტობს და მრავალი სხვა)<sup>27</sup>.

24 რევოლუცია ავტორის აჯანყების ეკვივალენტურ ტერმინად აქვს მინიშნული.

25 „ცისკარი“, 1863, № 4, გვ. 560.

26 ვ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, განკითხვა, „იერია“, 1881, № 1, ჩასწორებული გრიგოლ ორბელიანის ხელით, გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხელნაწერი, № 1627. შდრ. ნ. ა ლ ა ნ ი ა, გრიგოლ ორბელიანი და ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთი საკითხი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 23, 1959, № 6, გვ. 759.

27 ყ., პოლონელი პატრიოტი ქალი, „ცისკარი“, 1863, № 4, გვ. 590, 595.



აღნიშნული წერილის ასე რთული სინტაქსური კონსტრუქციები, ფრაზების წყობა, თვით ლექსიკური მასალა და ყველა დანარჩენი სტილური ნიშანი საეცებით ეთანხმება ვ. ორბელიანს სხვა პუბლიცისტურ წერილს<sup>28</sup>, პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობის სტილსა და წერის მანერას<sup>29</sup>. ყოველივე ეს ასახულებს, რომ „პოლშელი პატრიოტი ქალი“ უთუოდ ვ. ორბელიანს ეკუთვნის.

თავისი დროისათვის ფრიალ განათლებული ვ. ორბელიანის ავტორობაზე მიგვანიშნებს, საერთოდ, წერილის აკადემიური ღონეც

ამრიგად, როგორც ყ. ფსევდონიმი, ასევე პუბლიცისტური წერილი „პოლშელი პატრიოტი ქალი“ ვ. ორბელიანს ეკუთვნის. იგი პოეტს დაუწერია თბილისში 1863 წ.

ჩატარებული კვლევა-ძიება გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ შემდეგი საერთო დასკვნები ა) ყ. ფსევდონიმით მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის მხოლოდ ვ. ორბელიანი წერდა; ბ) მას ეკუთვნის პოეტური თხზულება „ახალ გამოჩენილს მშვენიერებას“, რომელიც წარმოადგენს მისივე ისტორიულ-ლირიკული პოემის — „იმედის“ შესავალ ნაწილს; გ) ვ. ორბელიანს ეკუთვნის პუბლიცისტური წერილი — „პოლშელი პატრიოტი ქალი ჰენრიეტა პუსტოვიტიოვა (რუსული გაზეთებიდან)“. ეს თხზულება დაწერილია თბილისში, რეალების მიხედვით 1863 წლის აპრილის დამდეგისათვის.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 595, შდრ. ვ. ორბელიანი, სიტყვა კ. მამაცაშვილის საიუბილეო ნაღიმზე, „დროება“, 1885, № 97.

<sup>29</sup> პოლშელი პატრიოტი ქალი. „ცისკარი“, 1863, № 4, გვ. 592, შდრ. ვ. ორბელიანი. წერილები რძალთან, საქ. სსრ მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 202, ფ. 53.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერგ-  
ბათა აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ლიტ.  
ინსტიტუტმა)

## რესუნზიები და გეომონეპურებიანი

### საინტერესო ნაშრომი\*

დადი ხანი არაა, რაც გამოვიდა გ. თოგოშვილის ახალი მონოგრაფია „საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.“, რომელიც შემდგომი გაგრძელებაა მის მიერვე აღრე გამოცემული ნაშრომისა — „საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე, ცხინვალი, 1958 წ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ნაშრომი ეპოქებისა და მიხედვით ქართველთა და ოსთა ურთიერთობის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა.

ახალ მონოგრაფიაშიც წერილობითი წყაროებისა და საარქივო მასალების საფუძველზე განხილულია ორი მომე და მეზობელი ხალხის — ქართველებისა და ოსების მრავალმხრივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მართო საქართველო-ოსეთის წმინდა ურთიერთობების საკითხებით არ შემოფარგლულა და ამასთან ერთად ნაყოფიერი კვლევა-ძიებაც ჩაუტარებია თვით ოსეთის ისტორიაშიც, რაც თავის მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაა, თუ გაითვალისწინებთ, რომ საკუთრივ ოსეთის ისტორიის რიგი კარდინალური საკითხები დღემდე ჯეროვნად არაა შესწავლილი. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ასეთი მდგომარეობისა სხვათა შორის ისიც იყო, რომ აღნიშნულ საუკუნეებში ოსთა ერთი ნაწილი უკვე უშუალოდ ქართლის სამეფოში ცხოვრობდა, ტერიტორიული და ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ხოლო მეორე ნაწილი კი საკუთრივ ჩრდილო ოსეთში, რომელიც, ასე ვთქვათ, უშუალოდ ესაზღვრებოდა ოსებით დასახლებულ ქართლის რაიონებს. ამიტომ არის, რომ მთელი რიგი მოვლენების ახსნა-განმარტებისას ავტორი ერთგვარ შესავალს წარუმიძღვარებს მათ, რათა უფრო ნათელი გახადოს, მისი მსჯელობა ეხება კავკასიის ქედს გადმოღმა მცხოვრებ ოსებს ანუ სამხრეთულ ოსებს თუ პირიქითა — ჩრდილოელ ოსებს (გვ. 8).

ურთიერთობათა სირთულის სრულყოფილად წარმოდგენისათვის, ჩვენის აზრით, ავტორი სავსებით სწორად იქცევა, როდესაც იგი თავისი ნაშრომის პირველ თავში დეტალურად აღწერს ყველა იმ საუღელტეხილო გზას, გზა-ბილიკსა, და შარას, რომლებიც აყავშირებდნენ საქართველოსა და ჩრდილო ოსეთის მაკოვრებლებს, რადგან არსებულ გეოგრაფიულ პირობებში მათ არცთუ ისე მცირე მნიშვნელობა ჰქონდათ. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ პერიოდში, პოლიტიკურ გარემოებათა გამო, ცალკეული რაიონების ეკონომიური თუ პოლიტიკური ურთიერთობისას ერთი შესხეღით უმნიშვნელო გზა-ბილიკი დროადრო ოსეთი მნიშვნელობისა ხდებოდა, რომ განსაზღვრულ მომენტში არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ისეთ ცნობილ მაგისტრალსაც კი, როგორც, მაგალითად, დარიალის ანუ ხეც-ყაბარდოს გზა იყო; ეს ფაქტორი მით უფრო აღსანიშნავია, რომ მტრულ გარემოცვაში მოქცეულ საქართველო ჩრდილო ოსეთს გარდა ძირითადად ამ გზებით უყავშირდებოდა ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებსაც და, რაც მთავარია, რუსეთსაც, რომლის დახმარებითაც აპირებდა იგი სწორედ ამ ხანებში აღნიშნულ გარემოცვიდან თავის დაღწევას.

საქართველო-ოსეთის ურთიერთობათა ბუნების სრული გარკვევისას რაკი ორივე მხარის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების დონეს გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა არსებული ურთიერთობების მერნაკლები სიმტკიცის, ხანგრძლივობისა და ხასიათის გაგებისათვის, ბუნებრივია, რომ ავტორი თავის ნაშრომში ამ საკითხს სათანადო ადგილს უთმობს და იძლევა მის მოკლე დახასიათებასაც. ავტორის აზრით, ოსური საზოგადოება ფეოდალური საზოგადოება იყო, რომელიც ხასიათდებოდა პოლიტიკური დაქუცმაცებულობითა და სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაბალი დონით.

\* გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბილისი, 1969, გამოცემულია „საბჭოთა საქართველო“.

მომდევნო თავში ავტორი თითქმის დაწვრილებით განიხილავს აღნიშნულ პერიოდში ქართველი და ოსი ხალხების საეპურო და სხვა ეკონომიურ ურთიერთობებს. ამასთან დავაუ-შირებთ ავტორი არცეცა იმ სპეციფიკასაც, რომელიც არსებობდა საქართველო-ჩრდილო ოსეთსა და საქართველო-სამხრეთელი ოსების ეკონომიურ ურთიერთობაში. ამ უკანასკნელთან დავაუშირებთ იგი წერს, რომ სამხრეთელ ოსების ქართველ ხალხთან (ქართლებთან, იმერლებთან, რაჭველ-ლეჩხუმელებთან, სვანებთან და სხვ.) ეკონომიური ურთიერთობა საესეებით დაიყვანება მთისა და ბარის ეკონომიკათა ურთიერთობამდე, ე. ი. ისეთ ფორმებში ხორციელდებოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს მთიანეთის ქართულ მოსახლეობას ბარის მოსახლეობასთან ურთიერთობაში. ავტორის აზრით, ეთნიკურ მომენტს ამ ურთიერთობის ხასიათზე თუ ფორმებზე ვაგულენა არ ჰქონდა და ამდენადაც არც ანგარიშგასაწევი იყო, ისე როგორც თითქმის ანგარიშგასაწევი არ იყო პოლიტიკური მომენტიც, რამდენადაც სამხრეთელი ოსები ფაქტურად ქართლის სამეფოში შემოდიოდნენ (გვ. 68).

საეპურო-ეკონომიურ ურთიერთობათა შედარებით ფართო განხილვის შემდეგ ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ განსახილველ პერიოდში გარე სამყაროსთან სამხრეთელი და ჩრდილოელი ოსების ეკონომიური ურთიერთობა ქართულ სამყაროსთან ურთიერთობამდე უნდა დაიყვანოთ, რომ ამ დროს მხოლოდ ქართული სამყაროს ეკონომიკა იძლეოდა ოსეთის ეკონომიკის შევსების საშუალებას (გვ. 9, 70-71), რამდენადაც ოსების საცხოვრებელი ტერიტორია თავისი მთავარიანიზობისა და კლიმატური პირობების გამო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს არ ჰქმნიდა.

ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებად მიგვაჩნია ოსეთ-საქართველოს ურთიერთობის მაგალითზე მთისა და ბარის ურთიერთობის განმარტავებელი ახსნა. ავტორი თვლის, რომ როცა მთასა და ბარს შორის ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა ირღვევა და მთას აღარ შეუძლია ბარის მეურნეობის პროდუქციასზე მოთხოვნილებანი ნორმალური გაცვლა-გამოცვლის გზით დაკმაყოფილოს, მაშინ იგი სხვა გზებით ცდილობს ამას — ბარში დასახლებით, უპირატესად კი თავდასხმებით (გვ. 81).

სავსებით სამართლიანია ავტორი, როცა იგი ამ მიზეზით ხსნის შუა საუკუნეების გვიანდელ ხანაში კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ამორჩავების ადლესტიდიან შვი ზღვის სანაპირომდე, როცა იგი აიშალა და ძლიერად მოაწვა ბარის რაიონებს. სავსებით სწორია აგრეთვე ავ-

ტორი, როდესაც თვლის, რომ მთის მოწოლა ბარზე, ჩამოსახლება იწებებოდა ესა თუ თავდასხმა, სხვა მიზეზებთან ერთად (დამპყრობების გამოდმებული შემოსევები, შშირი შინაგანი ბრძოლები, პოლიტიკური დაქუცმაცებულობის გაღრმავება და სხვა) აფერხებდა ბარის ეკონომიურ განვითარებას (გვ. 81).

მთის ბარზე მოწოლის ამ საერთო დახასიათებისას ავტორი იმ სპეციფიკასაც აღნიშნავს, რომელიც კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით ოსების საქართველოში ჩამოსახლებას ახასიათებდა. ასე, მაგალითად, იგი თვლის, რომ თავისებურმა ისტორიულმა პირობებმა ოსთა ამ მოწოლას ბარისაკენ, სხვებთან შედარებით, სავსებით განსხვავებული მიმართულება მისცა. საქმე ისაა, რომ ოსთა ბარისაკენ სწრაფვა ქართული ფეოდალური საზოგადოების მსგევრების მიერ იმთავითვე განსაზღვრულ კალატში იქნა მოქცეული და ეს მოვლენა მათ თავის სამსახურში ჩაყენეს. კონკრეტულად კი ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველმა ფეოდალებმა უმეტეს შემთხვევაში ოსებს ვაჭვეული ადგილები მიუჩინეს დასახლებლად და ამასთან ერთად ხელიც შეუწყვეს ამ ახალ ადგილებში მათს მუდმივად დაფუძნებას, რთაც შინის ნაცვლად დიდი სარგებლობა ნახეს — გაზარდეს რა თავისი ქვეშევრდომ ყმათა რიგები მოსული ოსების ხარჯზე (გვ. 82).

ამიტომ არის, რომ ავტორი საქართველო-ოსეთის ურთიერთობას, როგორც მოსალოდნელი იყო, ორი მიმართულებით განიხილავს: ერთი მხრივ, სამხრეთელ ოსებთან ურთიერთობის კუთხით; აქ ოსები გვევლინებიან ქართული ფეოდალური საზოგადოების შემადგენელ ნაწილად და ამდენად იმ შინაგანი და გარეგანი მოვლენების თანამოზიარედ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მთელ XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში; მეორე მხრივ კი, საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობის თვალსაზრისით, ავტორი დამატებით კიდევ რამდენიმე საკითხს გვთავაზობს, სადაც განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ურთიერთობა და ამ ურთიერთობის მნიშვნელობა საქართველო-ოსეთის ურთიერთობაში; აქვე ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი ფაქტები, რომელიც ჰქონდა ე. წ. „დაქორავების ინსტიტუტს“ საქართველოს სავარგო ბრძოლებსა თუ ომებში, სადაც ჩრდილო ოსების სახით ქართველებს მეტად საიმედო სამხედრო მოკავშირე ჰყავდათ (გვ. 160, 163, 244 და სხვ.).

ავტორი ნაშრომის ბოლო, VI თავში ჩვეული თანამიმდევრულობით გადმოგვცემს ქართველთა და ოსთა კულტურულ ურთიერთობას. ამასთან იგი განიხილავს არა მარტო საქართველო-



დან ოსეთში ქრისტიანული მატერიალური და სულიერი კულტურისა და მასთან ერთად ქართული დამწერლობის გავრცელების საკითხებს, არამედ იმ მომენტებსაც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აგრეთვე ოსეთის მხრიდანაც.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ თავში XVIII ს-ის 40-70-იან წლებში ოსეთში მოქმედ ე. წ. სასულიერო კომისიის მუშაობას, რომლის შემადგენლობაც ძირითადად ქართული იყო. ამ კომისიის მოღვაწეობას ავტორი განიხილავს ერთი მხრივ საერთო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კუთხით, მათი ერთობლივი თუ კერძო ინტერესების მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ კი საკუთრივ ოსეთისათვის ამ კომისიის მნიშვნელობის თვალსაზრისით (გვ. 234-245).

მართლაც, ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ავტორის დასკვნა, რომ სამისიონერო და საგანმანათლებლო მიზნებით შექმნილი ოსეთის კომისია მხოლოდ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის იარაღი არ ყოფილა, რომ რუსეთსა და საქართველოს ურთიერთკავშირისადმი სწრაფვის ტენდენცია ამ კომისიის ორივე წევრის საერთო პოლიტიკური იარაღის სახეს აძლევდა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ამის გარდა ცდილობდნენ აგრეთვე მის წმინდა ქართული მიზნებისათვისაც გამოყენებას, რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გვერდის ავლით (გვ. 242-243). მაგრამ ოსეთის კომისიის საქმიანობა, ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ოსი ხალხის კულტურის განვითარების თვალსაზრისით, თავისი ობიექტური შედეგებით პროგრესული მნიშვნელობის მოგვლას იყო, რამდენადაც ამ საქმიანობას შედეგად მოჰყვა ოსებში დამწერლობისა და სასკოლო განათლების გავრცელება, ქრისტიანული კულტურის ქვეყნებთან — საქართველოსა და რუსეთთან ოსების დაახლოება (გვ. 248).

ოსეთის კომისიის მუშაობის ჩვენების შემდეგ, ავტორი განიხილავს იმ ოს მოღვაწეთა საქმიანობასა და შემოქმედებას, რომლებიც ქართული ენისა და დამწერლობის, ქართული კულტურის წილში აღიზარდნენ და ამ კულტურის ასაბრუნებლად მოღვაწეობდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად, აღნიშნული საუკუნეებში პართენი, ბახტა, გამალიელი, გიორგი ჯათიშვილი, ვანის-შვილი ჯვანის ძე, ნეოფიტე, იოანე იალღუხისძე და სხვ. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ საქართველოს პოლიტიკურ მსვეურებს ოს ხალხთან დაკავშირებით ქართული მწიგნობრობის ტრადიციებზე აღზრდილი ე. წ. „ოს ყოფილი“ პირებისაგან ერთი ძირითადი ამოცანის შესრულება უნდოდათ — კულტურულ-ედიოლოგიურად დაეახლოვებინათ ოსები ქართველ ხალხთან და ამდენად გაეადვილებინათ მათი შეზრდა ქართული სახელმწიფოებრივ

ორგანიზმში (გვ. 254).

ასეთია გ. თოგოშვილის ნაშრომის ძირითადი მიღწევები, რითაც იგი უკვე სახეობით კანონზომიერ და ღირსეულ ადგილს იკავებს კავკასიის ხალხთა ისტორიოგრაფიაში; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი არაა დაზღვეული ცალკეული უზუსტობებისაგან. ასე, მაგალითად, ავტორის მიხედვით გამოდის, რომ XVI—XVIII საუკუნეებში კონტროლს ხევა-ყაბარდოს გზაზე, რომლის გასწვრივაც ცხოვრობდნენ ოსები, თითქმისა ძირითადად ოსები ახორციელებდნენ და არა ყაბარდოელი თუ ქართველი მეფე-მთავრები, რაც, ჩვენის აზრით, რამდენადმე არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. საქმე ისაა, რომ XVI—XVIII საუკუნეების 70-იან წლებამდე ჩრდილო ოსეთი ყაბარდოს მთავართა ქვეშევრდომ-ვასალი იყო და ამდენად ხევა-ყაბარდოს გზაზეც კონტროლს უმეტესწილად, ეკონომიური მომენტებისა თუ „ძალის უფლებით“, ყაბარდოელები ახორციელებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო მათ ერთი მხრივ, არავეის საერისთავო ეცილებოდა, ხოლო მეორე მხრივ კი, თვით მათს წინააღმდეგ აჯანყებულნი ოსები.

ამ მხრივ მდგომარეობა პრინციპულად მხოლოდ XVIII ს-ის 70-იან წლებში შეიცვალა, როდესაც ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებით ყაბარდო რუსეთთან იქნა შეერთებული.

ამ ფაქტით თავისთავად ოსი იგულისხმებოდა, რომ ოსეთიც რუსეთს, ასე ვთქვათ, „ავტომატურად“ შეუერთდა, რაკი ის ყაბარდოს ქვეშევრდომ-ვასალი იყო. ასეთმა ვითარებამ, ბუნებრივია, რომ თავის მხრივ განსაკუთრებულ მდგომარეობა შექმნა ოსეთისათვის, რამდენადაც იგი მოხვდა „ორხელისუფლებიანობის პერიოდში“. ეს კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩრდილო ოსეთი ერთი მხრივ ყაბარდოელ მთავართა ხელისუფლების ქვეშ იყო მოქცეული, რადგან ისინი, მიუხედავად მისი ნომინალურად დაკარგვისა, ჯერ კიდევ არ თმობდნენ თავიანთ უფლებებს და ძველ ტრადიციის ძალით კვლავაც განაგრძობდნენ ოსეთის მორჩილებაში ყოფილს, ხოლო მეორე მხრივ კი, ჩრდილო ოსეთი რუსეთთან იყო შეერთებული და, რაც მთავარია, იგი ნებაყოფლობითაც ცნობდა თავის თავს რუსეთის ქვეშევრდომად.

ყაბარდო-ჩრდილო ოსეთის ასეთი ურთიერთ-დამოკიდებულება რუსეთის კავკასიური პოლიტიკისათვის პრინციპში მომგებიანი იყო, რადგან კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციებში მას აღნიშნული მდგომარეობა მათზე ზემოქმედების მეტად დიდ საშუალებას აძლევდა. ასე, მაგალითად, ჩრდილო კავკასიაში თავისი ვაბატონებისათვის რუსეთი ერთი მხრივ თითქმის მხარსაც კი უჭერდა ყაბარდოელებს ოსების წინააღმდეგ, რათა ყაბარდოელთა გული მოეგო და

ამით ძლიერი დასაყრდენი შეექმნა ადგილზე, ხოლო მეორე მხრივ კი, ოსებსაც უჭერდა მხარს ახლა უკვე ყაბარდოელების წინააღმდეგ, რამდენადაც ამ შემთხვევაში ეს მას ოსებისადმი დახმარებადაც მიაჩნდა და იმავე დროს ყაბარდოელებზე ზემოქმედების ერთ-ერთ საშუალებადაც.

ბუნებრივია, ასეთ ერთგვარად გაურკვეველ ვითარებაში ანუ როდესაც ჯერ მთლად ნათელი არ იყო ყაბარდო-რუსეთის დამოკიდებულება ჩრდილო ოსეთის მიმართ, რასაკვირველია, ჩრდილოელებს ოსებს მეტი შესაძლებლობა მიეცა ე. წ. ავთონებობისათვის<sup>14</sup>, რასაც ისინი ახორციელებდნენ კიდევ განსაკუთრებით XVIII ს-ის ბოლო მეოთხედსა და XIX ს-ის დასაწყისში.

სე რომ, თუ შეიძლება ხეყაბარდოს გზაზე საერთოდ ოსთა მიერ შედარებით მტკიცე და ხანგრძლივი კონტროლის დაწესებაზე საუბარი, ეს მხოლოდ XVIII ს-ის 70-იან წლებიდან შეიძლება, ხოლო რაც შეეხება აღრეულ პერიოდს — XVI—XVIII ს-ის 70-იან წლებზე, აქ თითქოს უეჭველი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ გზაზე კონტროლს ახორციელებდნენ, ერთი მხრივ, ყაბარდოელი ბატონები, ან, მეორე მხრივ, არავეის ერის თავები, რის გამოც ისინი არაერთხელ შებრძოლებიან ერთმანეთს. მართალია, ავტორი ამ უკანასკნელ მომენტს აღნიშნავს, მაგრამ იგი მას ფაქტურად მხოლოდ XVI ს-ის მოგონებად თვლის, ხოლო რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, მისი მსჯელობა საერთოდ ისეა წარმართული, რომ თითქოს ხეყაბარდოს გზის ბედი მთლიანად ოსებზე იყო დამოკიდებული და არა სხვაზე, რაც, ჩვენის აზრით, არაა სწორი.

ვფიქრობთ, რომ დასაზუსტებელია ავტორის ორი სხვა დებულებაც. პირველი: ავტორი თვლის, რომ განსახილველ პერიოდში ოსების ეკონომიური ურთიერთობა გარე სამყაროსთან უნდა დაეყვანათ მის ქართულ სამყაროსთან ურთიერთობაზე და რომ ამ დროს მხოლოდ ქართული სამყაროს ეკონომიკა იძლეოდა ოსეთის ეკონომიკის შეესებვის საშუალებას (გვ. 68, 72).

ავტორის ამ დებულებას, რასაკვირველია, ჩვენ ვერ გავიზიარებთ, რამდენადაც აღნიშნულ პერიოდში ყოველთვის ამართნობდა არ იყო საქმე. ჯერ ერთი, ოსეთის ეკონომიკა თავის შეესებას იღებდა არა მარტო ქართლიდან, რაჰკიდან და იმერეთიდან, არამედ ყაბარდოიდანაც და არც თუ ისე მცირე როლიც ითვლიდა. მეორეც და რაც მთავარია XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან და განსაკუთრებით კი 60-იანი წლებიდან ჩრდილო ოსეთი თითქმის სულ ჩამოსცილდა ქართულ სამყაროს და მთელი თავისი ეკონომიური მოთხოვნილებანი რუსულ სამყაროს დაუკავშირა, რაც სხვათა შორის ავტორისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო.

ასევე, ჩვენი აზრით, სადავო უნდა იყოს ავტორის მეორე დებულება: იგი ადარებს რა ოსების საერთო განვითარების დონეს მეზობელი ჩრდილო კავკასიელი ხალხებისას, წერს: „რაც შეეხება ოსების სხვა, უშუალოდ მოსაზრებზე ხალხებს — ყაბარდოელებს, ბალყარებსა და ჩეჩენურ-ინგუშურ ტომებს, ისინი არც თავისი განვითარების დონით, არც სამეურნეო ხასიათით, დიდად არ განსხვავდებოდნენ ოსები-საგან, ხოლო ზოგ შემთხვევაში მასზე დაბლაკი იდგნენ (ბალყარლები, ჩეჩენ-ინგუშები) (გვ. 68). აქ, ჩვენი აზრით, არასწორი და ტენდენციური შეფასებათან გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, ჩრდილო ოსები ყაბარდოელებთან შედარებით თავისი განვითარების დონითაც და სამეურნეო ხასიათითაც გაიცილებით დაბლა იდგნენ, ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ოსები ყაბარდოელი მთავრების ქვეშევრდომი ვალაგები იყვნენ და ამასთან ერთად დიდადაც იყვნენ მათზე ეკონომიურად დამოკიდებულნი, ხოლო მეორეც, ჩრდილო ოსები იგივე ბალყარებსა და ჩეჩენ-ინგუშებს მინცდამინც დიდად ვერ უსწრებდნენ წინ.

ჩვენი აზრით, ნაშრომი რამდენადმე მოიგება, ავტორს რომ მეორე და მეტყუთე თავები ერთ თავში გააერთიანებინა და თანამედროვეულ ჩეჩენებსა და ბალხის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა — პირველ პარაგრაფში უშუალოდ ჩრდილოელი, ხოლო მეორეში კი სამხრეთელი ოსებისა. ამასთან ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უფრო ხაზგასმული იქნებოდა ის თავისებურება, რომლისც სამხრეთელებს ახასიათებდათ ჩრდილოელებთან შედარებით. საქმე ისაა, რომ მაშინ როდესაც ჩრდილოელებ ოსთა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება აღნიშნულ საუკუნეებში კვლავაც აგრძელებდა წინსვლას თავისი სიღრმისეული ძალებით, სამხრეთელი ოსები ნელ-ნელა მოხდნენ რა ქართულ ფეოდალურ სამყაროში, თავისი სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობით თითქმის პრინციპულადაც განსხვავდებოდნენ თავიანთი ჩრდილოელი თანამოგებებისაგან, რასაც, რასაკვირველია, ერთგვარი კორექტივი შეაქვს საქართველო-ოსეთის ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

ის, რომ სამხრეთელი ოსები ქართულ ფეოდალურ სამყაროს შერყევენ და მის ერთ-ერთ ორგანოდ ნაწილად გადაიქცევენ, რასაც სხვათა შორის თვით ავტორიც ამტკიცებს დაბეჭდვით, რასაკვირველია, ეს უკვე თავისთავად იმის მანიშნებელი იყო, რომ სამხრეთელი

ის, რომ სამხრეთელი ოსები ქართულ ფეოდალურ სამყაროს შერყევენ და მის ერთ-ერთ ორგანოდ ნაწილად გადაიქცევენ, რასაც სხვათა შორის თვით ავტორიც ამტკიცებს დაბეჭდვით, რასაკვირველია, ეს უკვე თავისთავად იმის მანიშნებელი იყო, რომ სამხრეთელი

ოსები მხოლოდ ეთნიკურად ინარჩუნებდნენ ოსობას, ხოლო ტერიტორიულად და სოციალ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობით კი წარმოადგენდნენ, ასე ვთქვათ, „მრავალეროვანი“, შიდა ქართლის მაცხოვრებლებს. აქედან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ობიექტურად საქართველოს ურთიერთობა სამხრეთელ ოსებთან უნდა დადგინდეს, რომ ობიექტურად საქართველოს საშინაო ურთიერთობად და ამდენად არ დავეუშვათ მისი გაიგივება საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობასთან.

ფიქრობთ, რომ ყოველივე ამის შემდეგ გ. თოგაშვილის ნაშრომის სათაური მთლად სწორად ვერ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს. ჩვენის აზრით, ობიექტურად უფრო მეციერიული იქნებოდა, რომ აღნიშნულ მონოგრაფიას ღარქმუოდა „საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს.“ ან უკიდურეს

შემთხვევაში „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა XV-XVIII სს.“ და არა ის, რაც ავტორმა შემოგვთავაზა.

ამასთან ერთად საქირთლ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, რომ საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში სრულებითაც არ გამოირცხვება თავისთავად თვით სამხრეთელ ოსთა ისტორიასაც, კერძოდ მათი ჩამოსახლების, მათი სოციალ-ეკონომიური განვითარების და სხვა საკითხების გადმოცემას, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ მიზნით, რომ საკუთრივ ოსთა ხალხის ისტორიულ განვითარებაზე გვექონოდა გარკვეული წარმოდგენა, ხოლო რაც შეეხება ორივე მხარის საგარეო ურთიერთობათა ისტორიას, აქ ჩვენ ძირითადად მაინც უშუალოდ საქართველო-ჩრდილო ოსეთის ურთიერთობებით უნდა შემოვფარგულყოყაიოთ.

თეიმურაზ ზოცხაიძე

## ს ნ თ ტ ა ტ ი მ ბ ი

### ახალი წიგნები

#### გამომცემლობა „მეცნიერება“

**გ. ჭიბაშვილი — ვ. ი. ლენინი და ირანის ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა**

წიგნში შესწავლილი და გაანალიზებულია ირანელი ხალხის ანტიფეოდალური და ანტიიმპერიალისტური განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარების საკითხები. მასში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამოზობილი ამიერკავკასიელი, კერძოდ ქართველი, რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების ირანის რევოლუციაში უშუალო მონაწილეობის ცალკეულ მომენტებს.

ნაშრომის გაცნობა სასარგებლო სამსახურს გაუწევს მოზარდი თაობის ინტერნაციონალური სტრასტეგიებით აღზრდის საქმეს (116 გვ. ტირაჟი 1500, ფასი 50 კაპ.).

**მ. გაფრინდაშვილი — კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ზოგიერთი საკითხი ვ. ი. ლენინის შრომებში**

ნაშრომში მოცემულია განმანათლებლობის ეპოქის საზოგადოებრივი აზროვნებისა და სოციალისტური კულტურის წარმოშობის და განვითარების მარქსისტურ-ლენინური დახასიათება, განხილულია კულტურული მემკვიდრეობის

მეცნიერული შესწავლის რამდენიმე ძირითადი — უპირატესად მეთოდოლოგიური საკითხი (81 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 35 კაპ.).

**ა. ჯიბუტი — კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირები საქართველოში**

ნაშრომში საბჭოთა კავშირის მასშტაბით კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების წარმოშობისა და განვითარების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და საწარმოთა ფორმების თავისებურებათა დახასიათება. მოცემულია (1959—1966 წწ. მიხედვით) კოლმეურნეობათაშორისი ორგანიზაციების მუშაობის ეკონომიკური ანალიზი; დასახულია კოლმეურნეობათაშორისი გაერთიანებებში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის მწარმოებელთა გაღივების გზები; ნაჩვენებია კოლმეურნეობათაშორისი წარმოებრივი კავშირების როლი რესპუბლიკის სოფლისმეურნეობრივი წარმოების გაღივებაში, აგრეთვე მისი მნიშვნელობა კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული საკუთრების სახელმწიფოებ-





რივ დონემდე ამაღლებაში (225 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 1 მან. 9 კაპ.).

**მ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი — საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის**

ნაშრომის პირველ ნაწილში გაშუქებულია საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის საფუძვლები. მეორეში შესწავლილია საკლევო პრობლემის ისეთი ბერკეტები, როგორცაა საშუალო მუშაობა, გლეხთა ურთიერთდამხმარე კომიტეტების მოღვაწეობა, სამომხმარებლო, საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების საქმიანობა, ნაჩვენებია საქართველოს პარტული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის (359 გვ., ტირაჟი 1000, ფასი 1 მან. 82 კაპ.).

**დ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე — ლენინი და ქეშმარიტების პრობლემა**

ნაშრომში მოცემულია ქეშმარიტების მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრების ანალიზი, დახასიათებულია ქეშმარიტებისა და პრაქტიკის სტრუქტურა, მათი ძირითადი ნიშნები, გაკრიტიკებულია იდეალისტური კონცეფციები. (67 გვ., ტირაჟი 1500, ფასი 29 კაპ.).

**ა. ლ ე უ ა ვ ა — ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში**

წიგნი ნაჩვენებია ჩრდილო კავკასიის მდგომარეობა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და ის რთულ სოციალ-პოლიტიკური ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიაში.

წიგნი ასახავს ჩრდილო კავკასიის ხალხების ბრძოლას შინაგანი კონტრარევოლუციის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს წარმოდგენილი იყო გ. ბიჩერაზოვის სახით, და ამ ბრძოლაში ქართველების, კერძოდ ალ. გეგეჭკორის რაზმის მონაწილეობას.

ნაშრომში საარქივო დოკუმენტებზე, სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებებზე დაყრდნობით და იმ ვრცელ ლიტერატურის საფუძველზე, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ არსებობს, ნაჩვენებია, ერთი მხრივ, ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა და ჩრდილო კავკასიის ხალხების ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, საქართველოს მენშევიკური მთავრობის მოღალატური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშ-

ლიდა დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას (166 გვ., ტირაჟი 120, ფასი 93 კაპ.).

**მ. ყ ო ლ ბ ა ი ა — გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვის ინტელექტუალური განვითარების თავისებურებანი**

ნაშრომში გაშუქებულია დამხმარე სკოლის მოსწავლეების (დებილების) განვითარების ასაკობრივი განვითარების საკითხები, ექსპერიმენტულად დადგინდა სხვადასხვა სიძნელის მასალის განვითარების უნარის მომწიფების საფეხურები. შესწავლილ და დახასიათებულ იქნა განვითარების პოტენციალური უნარების განვითარების დინამიკა. ნაჩვენებია განვითარების ის სპეციფიკური თავისებურებანი, რომელთა დაძლევის გარეშე განვითარებას ადგილი არა აქვს. მოცემულია იმ ლოგიკური ოპერაციების დახასიათება, რომელთა გამოყენებითაც დებილი სწყვეტს განვითარების ამოცანებს (218 გვ., ტირაჟი 800, ფასი 1 მან. 9 კაპ.).

**გ. შ ა ყ უ ლ ა შ ვ ი ლ ი — საიათნოვას ზნერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით**

თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერი დავთარი (აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი, H 21) ერთ-ერთი საუკეთესო წყაროს საიათნოვას ლექსთა ტექსტოლოგიური დამუშავებისა და მისი შემოქმედების ობიექტური ანალიზისათვის.

წიგნში მოცემულია აღნიშნული ხელნაწერის საიათნოვას ზნერბაიჯანული ლექსების კრიტიკული ტექსტი ერენის დავთრის გთავალისწინებით. ტრანსკრიბირებულია თანამედროვე ზნერბაიჯანული ანბანით და დართული აქვს კომენტარებულ ქართული თარგმანი ლენინურთ.

შრომის მე-2 ნახევარი ეთმობა აშუღური პოეზიის წარმოშობას, საქართველოში მისი დამკვიდრების საკითხებს და საიათნოვას ზნერბაიჯანული ლირიკის ლიტერატურული ხასიათის ფართო მიმოხილვას (178 გვ., ტირაჟი 1400, ფასი 69 კაპ.).

**ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი — ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I, ვეფხისტყაოსნის რედაქციები**

ნაშრომში, რომელიც ორი ტომისაგან შედგება, მონოგრაფიულადაა შესწავლილი პოემის ტექსტის ისტორიისთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. წინამდებარე ტომში განხილულია პოემის რედაქციები; ტექსტის რეკონსტრუქციის ცდასთან ერთად გამოვლენილია ჩანართი პლასტების წარმოშობა, ამის მიზეზე-

ბი და ტექსტის თანდათანობითი ევოლუცია, რაც წარმოდგენილია კლასიკური ხანის მწერლობის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში.

ამჟამად არსებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია პოემის რედაქციები და ქვერედაქციები, აღნიშნულია მათი მიმართება ურ-

თიერთთან. ამასთან ტექსტის ისტორიის მონაცემების გათვალისწინებით აღძრულია ტექსტის ალდგენასთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა. ნაშრომს უძღვის აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური საკითხების ისტორია ვახტანგ VI-დან მოკიდებული ჩვენ დრომდე (348 გვ., ტირაჟი 1800, ფასი 1 მან. 82 კაპ.).

### გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

#### ვ. ი. ლენინი — საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შესახებ

კრებულში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის გამონათქვამები საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შესახებ. მათ უძღვები მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისათვის, ჩვენი ხალხისათვის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში (301 გვ., ფასი 64 კაპ.).

#### შ. გაგოშიძე — საბჭოთა პრესის ლენინური პრინციპები

ავტორი განიხილავს ისეთ საკითხებს. როგორცაა პრესის კლასობრივი ხასიათი, პრესა და საზოგადოებრივი აზრი, პრესის თავისუფლება და მისი განხორციელების შეუძლებლობა კაპიტალიზმის პირობებში, პრესის თავისუფლების თავისებურებანი საბჭოთა კავშირში, პარტიული და საბჭოთა პრესის საზოგადოებრივი როლი, მისი ფუნქციები, საბჭოთა პრესის ძირითადი პრინციპები (134 გვ., ფასი 23 კაპ.).

#### ფ. მახარაძე — ლენინური სიტყვის ძალა

შრომში გაშუქებულია ვ. ი. ლენინის ორატორული ხელოვნება; ნაჩვენებია ლენინური სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი სიმდიდრე, კომპოზიციურ-სინტაქსური მრავალფეროვნება, გადმოცემის სიღრმე, მისაწვდომობა (170 გვ., ფასი 38 კაპ.).

#### დ. გოგოხია, ა. კუპრავეა — საქართველოს კ აფხაზეთის ორგანიზაციის ისტორიიდან (რუსულ ენაზე)

წიგნში გადმოცემულია საქართველოს კ აფხაზეთის ორგანიზაციის ისტორია სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის მშენებლობის პერიოდში. ნაჩვენებია, როგორ შეძლო აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ მასების მობილიზება სოციალისტის მშენებლობის ლენინური პროგრამის განსახორციელებლად (162 გვ., ფასი 70 კაპ.).

### თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

#### მოსე გოგიბერიძე — რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის მოსე გოგიბერიძის „რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი“ გამოდის სამ ტომად. პირველ ტომში დაბეჭდილია შემდეგი ნაშრომები: „სალომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიასა და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებაში“, „აონშტაინის რელატივიზმის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“, „შემეცნების აქსიომატური დასაბამი“, „შემეცნების საენის პრობლემა“. 28 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 3000, ფასი 2 მან.).

#### შ. ჟულაყიძე — კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) პირადი საკუთრება თანამედროვე ეტაპზე (საქართველოს სსრ კოლმეურნეთა მავალითზე)

შრომში განხილულია კოლმეურნის ოჯახის (საკოლმეურნეო კომლის) პირადი საკუთრება თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სსრ მავალითზე. ფაქტობრივი მასალების საფუძველზე მოცემულია კოლმეურნის ოჯახის შემოსავლის წყაროების დახასიათება და სტრუქტურა (6 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 100, ფასი 40 კაპ.).

**გ. გოშაძე — სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიური კანონზომიერებანი**

ნაშრომში განხილულია სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიურ კანონზომიერებათა ყველა ძირითადი საკითხი. იგი შედგენილია პოლიტიკური ეკონომიის კურსის მოქმედი პროგრამის მიხედვით. წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის (8,5 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 1000, ფასი 50 კაპ.).

**ე. ი. ბრეგელი — საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოება. ეკონომიური კრიზისები**

წიგნში განხილულია საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოებისა და ეკონომიური კრიზისების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი საკითხები (10 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 2000, ფასი 37 კაპ.).

**ფ. ერთელიშვილი — ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში.**

ნაშრომში დადგენილია ზმნური ფუძეების სტრუქტურული მოდელები, განხილულია ზმნური ფუძეების სტრუქტურასა და ისტორიასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები: ხმოვანთმონაცვლეობა, თანხმოვანთა კომპლექსების მოდელები, თანხმოვანთა და თანხმოვანთა კომპლექსების ცვლილებანი, ზმნური ძირების რედუბლიკაცია, პირველადი საწყისების სუფიქსთა გენეზისი, უმარცვლო და მარცვლიანი ფუძეების ისტორიული ურთიერთმიმართება. გარდა ამისა, ნაშრომში მოცემულია ცლა, თანხმოვანთა კომპლექსების გარკვეული მოდელების მიხედვით დადგინდეს ამ ჯგუფის კომპლექსთა შემცველი ზმნური ფუძეების ისტორია. (22,5 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 700, ფასი 1 შან. 70 კაპ.).

**ნ. ნაკუცია — თურქეთი.**

წიგნში დახასიათებულია თურქეთის ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა, ეკონომიურ-გეოგრაფიული რაიონები, ქალაქები. მისი მიზანია ქართველ მკითხველს გააცნოს საქართველოს უშუალო მეზობლის — თურქეთის ეკონომიური გეოგრაფია (9,5 ნაბეჭდი თაბახი, ტირაჟი 3000, ფასი 90).



## სიმპოზიუმი ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების საკითხებზე

1969 წლის 25-29 მარტს ბაქოში ჩატარდა სიმპოზიუმი, რომელიც ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხებს მიეძღვნა.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული კომპლექსური პრობლემის — „საზოგადოების ისტორიული განვითარების და ერთი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციიდან მეორეში გადასვლის კანონზომიერებები“ — სამეცნიერო საბჭოს სახელით გამოხსულმა ა. ჩისტოვზოროვმა აღნიშნა სიმპოზიუმის ჩატარების დიდი მეცნიერული მნიშვნელობა.

სიმპოზიუმის საქმიანი ნაწილი დაიწყო ა. აღონციის მოხსენებით — „ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის დამახასიათებელი ნიშნები და თავისებურებანი“. მოხსენებელმა ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა დაუკავშირა ამ მხარის რუსეთთან შეერთებას, რასაც მოჰყვა აქ საწარმოო ძალთა განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების ლიკვიდაცია, და ამ ნიადაგზე სავაჭრო-სააქონლო წარმოების ზრდა-განვითარება.

ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობათა გენეზისს ავტორი იწყებს XIX ს-ის 30-იანი წლებიდან, როდესაც აქ ხდება კაპიტალისტური ტიპის მანუფაქტურული საწარმოების აღმოცენება. ამავე დროს, მისი აზრით, აქ კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პროცესი იმდენად ინტენსიურად მიმდინარეობდა, ხოლო მანუფაქტურულა საფეხური იმდენად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომ შეიძლება ამ უკანასკნელის იგნორირება, მით უმეტეს, რომ, ავტორის დასკვნით, მსხვილი მანუფაქტურები მეტად მცირერიცხოვანი იყვნენ და მხარის ეკონომიურ ცხოვრებაში არსებითს როლს არ თამაშობდნენ. სამწუხაროდ, ავტორს ამ დებულების საილუსტრაციოდ არ მოუტანია მანუფაქტურული წარმოების მრეწველობის სხვა ფორმებთან შეფარდების მონაცემები და მხოლოდ ზოგადი დაკვირვებით დაკმაყოფილდა. მეორეს მხრივ, რადგან თვით ავტორი კაპიტალიზმის ჩასახვას მანუფაქტურას უკავშირებს, გაუგებარია, რაღაში ხედავს იგი აქ კაპიტალიზმის საწყისებს, თუკი გამოირჩევა მანუფაქტურის რაიმე ხელშესახებ როლს? მართალია, ა. აღონცი აღნიშნავს, რომ მანუფაქტურები აქ მათი აღმოცენებიდან 10-20 წლის გავლის შემდეგ ფაბრიკაში გადაიზარდნენ, მაგრამ, მეორეს მხრივ, 70-იანი წლების დასაწყისამდე ყველა მსხვილი საწარმოს, მათ შორის იმათაც, რომელნიც თავიდანვე ფაბრიკის სახეს ატარებდნენ (მაგ., ჩათახის თუჯასხმელ ქარხანას, თბილისის ბამბულის ფაბრიკას) მანუფაქტურებად მიიჩნევს. ამდენად, ბუნდოვანი რჩება საკითხი — როდის და რა გზით ხდება ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება.

ავტორი დაწვრილებით ჩერდება იმის განმარტებაზე, რომ მანუფაქტურის ფაბრიკულ წარმოებაში გადასვლა ნიშნავდა სამრეწველო გაღატარალებას და ამას საერთოდ მიიჩნევს კაპიტალიზმის ერთ-ერთ ნიშნად (?), მაგრამ არ ახუსტტებს როდის მოხდა ეს ამიერკავკასიაში, ან რით უნდა აიხსნას, რომ ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ერა მანქანური წარმოებით იწყება (თუკი ეს საერთოდ სწორია!), მაშინ როდესაც მარქსი კაპიტალისტური ერას დასაწყისს მანუფაქტურას უკავშირებს.

ესება რა რეფორმამდელი ხანის სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, ავტორი აღნიშნავს, რომ ფეოდალური ურთიერთობანი ბოჭვენდნენ საწარმოო ძალთა განვითარებას, მიუხედავად ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისი. ვადადის რა რეფორმის შემდგომ ხანაზე. ავტორი მიუთითებს, რომ ამიერკავკასიის სოფლის ჩართვას კაპიტალისტურ ურთიერთობებში თან არ სდევდა „საბატონო“ მეურნეობის ვადაქცევა კაპიტალისტურ მეურნეობად. მხოლოდ ქართულ თავადაზნაურთა და ახერბაიჯანულ ბეგების მცირე ნაწილი ახერხებს თავიანთი მეურნეობის მოწყობას კაპიტალისტურად. კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა ამიერკავკასიაში ვითარდ-

ბოლო ძირითადად კულაკურ მეურნეობათა სახით. მაგრამ აქვე დასძენს, რომ ფეოდალური გადმონაშთების გამძლეობა იყო მოწმობა რეფორმის შემდეგ დროინდელი ამიერკავკასიის სოფელში კაპიტალიზმის შედარებით სუსტი განვითარებისა. აქ პრუსული განვითარების ნიშნები უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ამერიკელისა. ეს გაუფხვარია, რადგან უფრო ადრე ნათქვამი იყო, რომ „კაპიტალისტური სოფლის მეურნეობა ამიერკავკასიის სოფელში დამკვიდრდა და განვითარდა ძირითადად კულაკური მეურნეობის სახით“, ხოლო კულაკური მეურნეობის განვითარება სწორედ ამერიკულ გზას გულისხმობს.

სხვათა შორის, აქ ავტორი მეორე წინააღმდეგობაშიც ვარდება, რადგან აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმის განვითარება ხდებოდა ამერიკული გზით მხოლოდ თბილისის გარეუბნებსა და მუდნანის ველის „თაღისუფალ მიწებზე“, გამოდის, რომ კულაკური მეურნეობაც არ ყოფილა ფართოდ გავრცელებული.

ავტორი ამიერკავკასიაში XIX ს-ის დასაწყისამდე, ე. ი. რუსეთთან შეერთებამდე, გამოიკვსავს ყოველგვარ ნიშნებს ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობისა, და ამავე დროს მიანიჩნია, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობანი რუსეთში XVII საუკუნეში აღმოცენდნენ. გაუფხვარია, რა იგულისხმება ამ შემთხვევაში კაპიტალიზმის საწყისებში, რადგან ის, რაც ხდება XVIII ს-ის რუსეთში (იგულისხმება კაპიტალიზმის ელემენტების გაჩენა) არ იყო უცხო ამიერკავკასიისათვისაც; მაგ., საქართველოსთვის, XVIII ს-ის მეორე ნახევარში მაინც.

ი. აღონცი აღნიშნავს, რომ რუსეთის სხვა აზიური კოლონიზაციან განსხვავებით, ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარებამ მიაღწია მაღალ დონეს. ავტორის აზრით, სამარწველო განვითარებით ამიერკავკასიის მაჩვენებლები გაუთანაბრდა საერთო რუსულ საშუალო მონაცემებს. ავტორის ეს დასკვნა მართებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთო რუსული მონაცემებიდან გამოვრიცხავთ რუსეთის დაწინაურებული სამარწველო ცენტრების (მეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმიროს და ზოგიერთი სხვა გუბერნიის) მონაცემებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაჭარბებასთან გვექნება საქმე.

მომხსენებში არსებითად გაუსუბიექლებელი დარჩა ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის თავისებულებანი, რადგან არ არის გათვალისწინებული ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევისა და ახალ ურთიერთობათა ჩასახვის წინამძღვრები და პირობები მთლიანად ამიერკავკასიაში და მის ცალკეულ მხარეებში, არ ჩანს, რა იყო საერთო მთლიანად ამიერკავკასიისათვის და სპეციფიკური მისი ცალკეული მხარეებისათვის.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოისმინეს ა. ნოვოსელცევის მოხსენება — „რუსეთთან შეერთების მნიშვნელობა ამიერკავკასიის ეკონომიურ განვითარებისათვის“. მომხსენებელმა მან დაინახა შედარებინა ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების რამდენიმე პირობები რუსეთთან შეერთებამდე და შეერთების შემდეგ (ე. ი. XIX საუკუნეში) და აგრეთვე ამიერკავკასიის და ირანის ეკონომიური განვითარების ტემპები დროის ამავე მონაკვეთებში.

სამწუხაროდ, ერთი შეცდომის გამო, რომელიც ავტორმა ამოსავალ დებულებაში დაუშვა, მან ვერ მოახერხა მეცნიერული სისრულით შეესრულებინა დასახული ამოცანა. საქმე ისაა, რომ ავტორი ან საქართველოს არ თვლის ამიერკავკასიის წამყვანი ნაწილს შემადგენლად (რასაც ვერ დავეთანხმებით), ანდა მისი განცხადება, რომ — „რუსეთთან შეერთებამდე ამიერკავკასიის დიდი და წამყვანი ნაწილი, როგორც წესი, ან ირანის ახლანდელ ტერიტორიასთან ერთადერთსა და იმევე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა შემადგენლობაში შედიოდა, ან არა და დამოკიდებული იყო მასზეო“, — მცდარია. მომხსენებლისთვის ხომ კარგადაა ცნობილი ის ისტორიული ფაქტი, რომ 1783 წელს აღმოსავლეთ საქართველო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის პროტექტორატში, ხოლო დასავლეთ საქართველო არ იყო დამოკიდებული ირანისაგან და იბრძოდა თურქეთის გავლენის წინააღმდეგ.

ავტორი XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში არსებულ მსხვილ სამარწველო საწარმოებს სრულიად გაუმართლებლად უდარებს XVII საუკუნის მსხვილ სახელმწიფო სახელისნოებს სეფევიდთა ირანში და თვით მონოლოთა ბატონობის ხანაშიც, თუმცა სინამდვილეში მათ, ბევრ შემთხვევაში გარდა ერთგვარი გარგენული მსგავსებისა, არაფერი აქვთ საერთო. აშენდალ შეცდომაა ყველა მათი მიჩნევა წარმოების ფეოდალური წესის შესაბამის ორგანიზაციად. საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არსებულ მანუფაქტურების შედარებისას ირანის ადრეული ხანის „ქარხანისთან“ ავტორი არ ითვალისწინებს, რომ ახალ ხანაში, კერძოდ კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის გაფართოებისა და განმტკიცების პირობებში, ახალ ურთიერთობებს ფეოდალური დროის შესაბამის სამარწველო საწარმოებშიც კი (ფეოდალური მანუფაქტურები) მეტი გასაქანი ეძლევა, ვიდრე ადრე. მით უმეტეს, რომ საწარმოთა ნაწილა

უკვე სრულიად ახალ ყაიდაზე წყობა — დაქირავებულ თავისუფალ მუშახელს ექსპლოატაციას უწევს კერძო კაპიტალი.

ნოვოსელევის მოხსენებაში სწორად იყო აღნიშნული ის ობიექტურად დადებითი ეკონომიური შედეგები, რაც ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთებას მოჰყვა. ნახევრით სწორად იქნა შეფასებული რუსეთის ეკონომიური პოლიტიკის მიზნები და მისი გატარების მნიშვნელობა ამიერკავკასიისათვის.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. სუმბატაზაძემ მოხსენებაში „სამრეწველო კაპიტალიზმი აზერბაიჯანში“ წარმოადგინა აზერბაიჯანის სამრეწველო განვითარების სურათი XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ ხანასა და XX საუკუნის დასაწყისში. მან მოიტანა ციფრები, რომლებიც ნათლად გვიჩვენებს არა მარტო ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი, არამედ სხვა დარგების მრეწველობის მაჟალ განვითარებას რეფორმის შემდგომდროინდელ აზერბაიჯანში.

აზერბაიჯანის სამრეწველო განვითარების მონაცემების შეჯერებით საერთო-სამშპროო და საქართველოს სამრეწველო განვითარების მონაცემებთან, ავტორმა გამოთქვა აზრი, რომ შეხედვლბა ამიერკავკასიის სხვა ნაწილებთან შედარებით აზერბაიჯანის სამრეწველო განვითარების ჩამორჩენილობის შესახებ სინამდვილეს არ შეეხებათბა.

არსებითად ეს დებულება არ არის უმართებულო, თუკი გაეითვალისწინებთ რუსეთის და ამიერკავკასიის ცალკეულ ვუბერნიებს. მაგრამ კერძოდ ავტორის მიერ მოტანილი მასალა ამის საფუძველს არ გვაძლევს. მაგალითად, თბილისის გუბერნიასთან შედარებისას ავტორმა მოიტანა ოფიციალური სტატისტიკიდან აღებული მონაცემები, რომელნიც არ ასახავენ ნამდვილ სურათს.

კაპიტალიზმის გენეზისს ამიერკავკასიაში (გამოღის რა აზერბაიჯანის სინამდვილიდან) სუმბატაზაძე იწყებს XIX ს-ის შუახანებიდან, როდესაც ადგილი ჰქონდა მრეწველობის პირველი სამი საფეხურის (საოჯახო მრეწველობა, ხელოსნობა, წებობისაქონლური წარმოება) მნიშვნელოვან განვითარებას. XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში აზერბაიჯანის საერთო რუსულ და მსოფლიო ბაზარში ჩართვის შედეგად აზერბაიჯანში ხდება მრეწველობის დაბალი ფორმის შეგუება ახალ პირობებთან და მრეწველობის ახალ ფორმაში გადაზრდა.

აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გულთევა და ი. სტრიკოვსკმა თავიანთ მოხსენებაში — „აზერბაიჯანში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხისათვის“ მოიტანეს მასალები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს აზერბაიჯანში აღმოცენდა პირველი მანუფაქტურული საწარმოები, მაგრამ მთლიანად მანუფაქტურამ ვერ მიიღო სათანადო განვითარება და მხოლოდ 50-60-იანი წლებიდან თითქმის ერთდროულად მკვიდრდება კაპიტალისტური ურთიერთობის სამივე სახე. ამ თავისებურების მიზეზად ავტორები იმ გარემოებას ასახელებენ, რომ აღნიშნული საწარმოები შედარებით მოკლე დროის განმავლობაში აღმოცენდნენ და მნიშვნელოვანწილად რუსეთის კაპიტალისტური განვითარების და რუსეთის ბაზრის მოთხოვნილებების შედეგად იყვნენ გაჩენილი. ავტორები პირველ სპორადულ ელემენტებს კაპიტალიზმისა აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში ვარაუდობენ XIX ს-ის შუახანებში, ხოლო კაპიტალისტურ გარდაქმნას, „კაპიტალისტური წყობის“ შექმნას ხედავენ უფრო გვიან, რეფორმის შემდგომ ხანაში. ავტორებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ თავისი კოლონიური მდგომარეობის გამო აზერბაიჯანის ეკონომიური განვითარება არათანაბრად მიმდინარეობდა. ამან განსაზღვრა მისი მრავალწყობიანობა, რაც კაპიტალიზმის განვითარების პროცესის დაბალი ტემპის მარჩვენებელია.

მ. სასოსნაძის მოხსენებაში — „კაპიტალიზმის გენეზისი და განვითარება საქართველოს მრეწველობაში“ ნაჩვენებია იყო საქართველოში ამ პროცესის ძირითადი გზები და ეტაპები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ იქმნება პირობები კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისათვის. მრეწველობის დაბალ ფორმებში ახალი წარმოებითი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესმა განაპირობა ის გარემოება, რომ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე ჩვენში ადგილი აქვს გაფანტული მანუფაქტურის ტიპის საწარმოთა შექმნას, ხოლო XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის აშკარად შეიმჩნევა კაპიტალისტური წყობის ფორმირების პროცესი, რაც 50-იანი წლების ბოლოსთვის შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს.

კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის ორი ძირითადი გზიდან საქართველოს სინამდვილეში XIX საუკუნის მეორე მესამედამდე უპირატესი ადგილი სავაჭრო კაპიტალის მიერ წარმოების თანდათანობითი დაპყრობის გზას ეკავა. ამ პერიოდიდან კი, როცა ჩამოყალიბდა მეფის ოსეთის კოლონიური ეკონომიური პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ, უპირატეს ადგილს იკავებს კაპიტალიზმის კლასიკური განვითარებისათვის არატიპური, მსხვილი საწარმოების უშუა-



ლოდ მოწყობის გზა. იმის გამო, რომ ამგვარად ჩამოყალიბებულ საწარმოები ექმნებოდნენ ევროპული და რუსული საწარმოების მაგალითზე, მათში შედარებით ადრე იჩენს თავს მანქანური ტექნიკის გამოყენების ცდები. მაგრამ რეფორმამდელ პირობებში მანქანური წარმოების განვითარება აწყდებოდა მთელ რიგ ხელსშემშლელ პირობებს, რის გამოც ეს პროცესი გაცილებით გვიან, XIX საუკუნის რეფორმის შემდგომ პერიოდში დასრულდა. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა განსაზღვრავდა მრეწველობის ცალმხრივ განვითარებას.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ XIX საუკუნის 70-80-იანი წლები ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვების წლებია, ხოლო სამრეწველო გადატრიალებას დამთავრება მოიხსნება XIX საუკუნის მიწურულზე.

ა. ამბარიანი სესიაზე გამოვიდა მოხსენებით „კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სომხეთის მრეწველობაში“. ავტორს მიაჩნია, რომ კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა სომხეთის მრეწველობაში XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან იწყება და რუსული კაპიტალიზმის სიკანაღმეო განვითარების პროცესს უკავშირდება. XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში აქ კაპიტალისტური მეურნეობის სამივე ფორმა ერთდროულად ვითარდება. მისი აზრით, კაპიტალისტური მეურნეობის ჩასახვა რუსეთის კაპიტალიზმის გავლენით მოხდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას ვახაზოს კოლონიური პოლიტიკის უარყოფითი მხარეები, რომლებმაც განაპირობეს სომხეთის სამრეწველო განვითარების არათანაბარი და შედარებით სუსტი ხასიათი. შექმნილი ვითარების გამო სომხური პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ფორმირება ხდებოდა სომხეთის გარეთაც.

ბ. ახუნდოვმა სესიას განსახილველად წარუდგინა მოხსენება „მონოპოლების წარმოქმნა აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობაში“. იგი აღნიშნავს, რომ ბაქოს, როგორც სამრეწველო ცენტრის, აღმოცენება იყო შედეგი ქვეყნის განვითარებისა და ამავე დროს მიუთითებს უცხოური კაპიტალის დიდ როლსა და სიმძლიერზე ბაქოს მრეწველობაში.

გ. ოსმანოვის მოხსენებაში „დაღესტანში კაპიტალიზმის გენეზისის დამახასიათებელი იშვინები და თავისებურებები“ აღნიშნული იყო, რომ, მკვლევართა აზრით, რევოლუციამდელ დაღესტნის ეკონომიკაში უპირატესი ადგილი პატრიარქალურ-ფეოდალურ ურთიერთობებს ეკუთრათ, მაგრამ სინამდვილეში ეს სიმბოლური იყო. სასაქონლო-ფეოდალურ ურთიერთობის შეტარება დაღესტანში ხდება რუსეთთან შეერთების შემდგომ პერიოდში. საერთოდ კი კაპიტალისტური ურთიერთობები დაღესტანში გარეთან შემოტანილი და ზევიდან დანერგული იყო, რაც, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთთან შეერთებამდე აქ სასვეებით არ იყო ნაადაგი კაპიტალიზმის განვითარებისათვის. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამრეწველო ცენტრების — ბაქოსა და გროზნოს სიახლოვე, მოსახლეობის გასვლა საზოგადოებაში.

დ. ხომთარიამ წაითხა მოხსენება თემაზე „მუშათა კლასის ჩამოყალიბება საქართველოში“. მოხსენებაში გატარებული იყო აზრი, რომ დაჭირავებულ შრომის სისტემატური გამოყენება საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ ფეოდალური წყობილებების წიაღში, უპირატესად XIX ს-ის 20-30-იანი წლებიდან შეინიშნება. მოხსენებელმა მოიტანა თავისუფალი მუშახელის გამოყენების ციფრობრივი მონაცემები და დაახასიათა თავისუფალი მუშახელის ბაზრის შექმნის გზები რეფორმამდელ საქართველოში.

რეფორმის შემდგომ ხანაში სამრეწველო მუშათა აბსოლუტური რაოდენობა განუზრუნავდებოდა, იზრდება აგრეთვე მსხვილ მრეწველობაში ჩამბულ მუშათა ხვედრითი წილი. იქმნება კადრის მუშათა კონტინგენტი, იზრდება მუშათა კლასობრივი თვითშეგნება.

მოხსენებელმა მოიტანა მონაცემები საქართველოს მუშათა კლასის ეროვნული შედგენილობის შესახებ და მუშათა დაყოფაზე სქესის, ასაკის და განათლების დონის მიხედვით.

XX საუკუნის დასაწყისიდან მოხდა მუშათა აბსოლუტური რაოდენობის მატარების შედეგად თვითმპრობულობისა და ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მუშათა კლასი გადაიქცა „კლასიდან თავისთავად“ „კლასად თავისთვის“.

მოხსენებაში „სასაქონლო მეურნეობა და კაპიტალიზმი აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში“ მ. ისმაილოვმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის რუსეთის ეკონომიკასა და საერთაშორისო ბაზარში ჩართვამ, ხელი შეუწყო სასაქონლო წარმოების განვითარებას აზერბაიჯანში. დიდი როლი ითამაშა მოსახლეობის ზრდამ, ქალაქების განვითარებამ.

ამავე დროს კაპიტალიზმის გზაზე აზერბაიჯანის გვიან შედგომამ და შედარებით ხანმოკლე დროში განვითარებამ, ფეოდალურმა გადმონაშთებმა, კოლონიურმა პოლიტიკამ განაპირობეს კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარება სხვადასხვა რაიონებსა და დარგებში.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოხსინეს ი. ანთელავას და ე. ორჯონიძის მოხსენება — „რეფორმადელი საქართველოს სოფელში ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების საკითხისათვის (XIX ს-ის 30-60-იანი წლები)“. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან განსაკუთრებით შესაჩნევი ხდება მნიშვნელოვანი ძვრები საქართველოს სოფლის მეურნეობაში. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა იჭრებოდა როგორც გლეხის, ისე მუშა-მულის მეურნეობაში. სოფლის მშრომლები სულ უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან ბაზარზე როგორც შრომის პროდუქტების, ისე სამუშაო ძალის გამყიდველები.

სასაქონლო წარმოებისა და სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებამ განაპირობა 1843-1845 წლებში სახელმწიფო გადასახადების კომეტაცია. ყოველივე ამან კი ნიადაგი მოუმზადა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის დაწყებას. ეს პროცესი მკვეთრად ჩანს XIX საუკუნის პირველი მესამედის შემდგომი პერიოდის მასალებში.

რეფორმის წინაპირობები ხანის საქართველოში არსებობდა მოსახლეობის გარკვეული ფენა, რომელიც თავისი სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩენდა თავს. ავტორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ პერიოდის საზოგადოებრივი აზრი ამყარად იყო განწყობილი იძულებითი შრომის წესაღმდეგ.

განსახილველ პერიოდში მიმდინარეობდა დრომოქმული ფეოდალური ფორმაციის სოციალ-ეკონომიური საფუძვლის დაშლის საქაოლ ინტენსიური პროცესი — იქმნებოდა მიწაზე არაწოდებრივი (ბურჟუაზიული) საკუთრება — კაპიტალისტური ფორმაციის საფუძველი.

წარმოების ძველი წესის დაშლის საქმეში არსებითს როლს ასრულებდა კლასობრივი ბრძოლა, რომლის სიმწვავე აიძულებდა მმართველ წრეებს შედგომოდნენ საგლეხო საკითხის გადაწყვეტის საქართველოში.

ყოველივე ამის შედეგ ავტორები აკეთებენ დასკვნას მოცემულ პერიოდში კაპიტალისტური წყობის აოსებობის შესახებ, რამაც მთავრობის საერთო პოლიტიკასთან ერთად, ნიადაგი მოამზადა საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის გასაუქმებლად.

ა. ბენდიანიშვილის მოხსენებაში: \* „კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება საქართველოს სოფელში 1865-1875 წლებში“ ხაზი გაესვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში განვითარების ორივე (პოლიტიკურ და ამერიკულ) გზის არსებობის ფაქტს, რომელთაგან, ავტორის შეხედულებით, უფრო ძლიერი იყო მეორე, ამერიკული გზა, რაც გლეხური მეურნეობის ფერმერულ-კაპიტალისტურ მეურნეობად გადაქცევის ტენდენციით გამოიხატა.

დაწერილებით რომ დასასიათა სასაქონლო მეურნეობის განვითარების თავისებურებები საქართველოში, ავტორმა დაასკვნა, რომ ფეოდალური მიწათმფლობელობის დამლა და თავისუფალ გლეხურ მფლობელობაზე გადასვლა კაპიტალიზმის განვითარების შედეგითაა და გამოვლინება.

სოფლის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შეცვლამ განაპირობა კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების გაჩენა. სხვადასხვა სახის სოციალური ომი ერთმანეთს გადაეცაბათა, წერილი გლეხობა უპირისპირდებოდა როგორც მიწისმფლობელს (რომლის მენადე-ლე თუ არენდატორი იყო თვითონ), ისე კაპიტალისტს, რომლის წარმოებაშიც იგი ახლებურად მუშაობდა. ამგვარად, XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოფელში არსებობდა სოციალურ-ეკონომიური და იდეოლოგიური წინამძღვრები როგორც ბურჟუაზიული, ისე სოციალისტური რევოლუციისათვის.

მ. ევანიანმა წაიკითხა მოხსენება „დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია სომხეთის სოფლის მეურნეობაში“. მან მსმენელთა ყურადღება გაამახვილა აღმოსავლეთის ქვეყნებში დაქირავებული შრომის ფართო მასშტაბით გამოყენების ფაქტზე კაპიტალიზმადელ ფორმაციებშიც. მომხსენებლის მტკიცებით, რეფორმადელი ხანის სომხეთის სოფელში (ე. ი. 1870 წლამდე) მხოლოდ ზოგიერთი პირობა იქმნებოდა ნატურალური მეურნეობის კაპიტალისტურად გარდაქმნისათვის. ეს პროცესი ფართოდ მხოლოდ რეფორმის შემდგომ ხანაში გაიშალა.

ავტორი რევოლუციამდელ სომხეთს მიაკუთვნებს იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც განსაკუთრებით იგრძნობოდა სოფლის ჭარბი მოსახლეობის არსებობა, რომელსაც ვერ ასაქმებდა სოფლის მეურნეობა. ეს აქ უპირატესად გაპარობებული იყო გარეშე ფაქტორის წყალობით, საწარმო ძალთა სუსტი განვითარებით.

\* ა. ბენდიანიშვილის ავადმყოფობის გამო მისი მოხსენება სიმპოზიუმზე წაიკითხა ისტ. მეტნ. კანდ. ლ. ჩიქოვანმა.

დასასრულ, მომხსენებელმა მოუწოდა სიმპოზიუმის მონაწილეებს თავი შეეკავონ კაპიტალისტური ელემენტების და ნიშნების ძებნისაგან იქ, სადაც უკანასკნელი არ იყო. იგულისხმება დაქირავებულ შრომაში ბურჟუაზიული ელემენტების დანახვა აღნიშნულ პერიოდში (ფეოდალურ ურთიერთობათა ბატონობის დროს). ამით ავტორი უგულვებელყოფს განსხვავებას ფეოდალურ ურთიერთობათა განუხრელი ბატონობის დროსა და ფეოდალიზმის შლისა და კაპიტალისტური სისტემის შექმნის ხანას შორის, გამოირიყვას ახალი ელემენტების როლს ძველი წყობილების დაშლის საქმეში.

რ. მაკომელოვისა და ხ. რამაზანოვის საერთო მოხსენებაში „რეფორმადელი დაღესტნის აულის სოციალ-ეკონომიური დახასიათება“ აღნიშნული იყო, რომ რუსეთთან შეერთების ობიექტურად დადებითმა შედეგებმა დაღესტანში თავი იჩინეს მხოლოდ რეფორმის შემდგომ პერიოდში, როდესაც ხდება ქვეყნის ჩართვა საერთორუსულ ბაზარში.

სიმპოზიუმზე მოსმენილი იქნა მოხსენებები აზერბაიჯანში და დაღესტანში კაპიტალიზმის განვითარების კერძო საკითხებზეც (ს. ახვერდოვა, მ. აბდულსალიმოზადე და ნ. ემიროვი).

\* \* \*

მომხსენებების შემდეგ გამართულ კამათში უფრო ნათლად გამოიკვეთა ორი თვალსაზრისი, რომელსაც სიმპოზიუმის სხვადასხვა მონაწილენი იზიარებდნენ. ერთი ნაწილის აზრით, ამიერკავკასიაში არსებობდა წინამძღვრები იმისა, რომ უკვე XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჩასახლდნენ და განვითარებულყოფი ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობა. მაგრამ არახელსაყრელი პირობები ბოკუდა მათ. რუსეთთან შეერთების პროგრესულმა ფაქტმა ხელი შეუწყო არსებული ტენდენციის გაშლასა და გამარჯვებას, დააჩქარა განვითარების პროცესი. ამ თვალსაზრისის იცავდა, კერძოდ, საქართველოს დელეგაცია, უბირატესად საქართველოს მაგალითზე მსჯელობით.

მეორე თვალსაზრისი, რომელსაც სიმპოზიუმის დანარჩენ მონაწილეთა უმრავლესობა ადგა, უარყოფდა რუსეთთან შეერთებამდე ამიერკავკასიაში ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობას დასაბუთებლად განვითარებას, არამედ მისი ელემენტების არსებობასაც კი. ეს პროცესი, მათი შეხედულებით, მხოლოდ რუსეთთან შეერთებისა და რუსული კაპიტალიზმის სივანეში განვითარება იყო.

მომხსენებელმა და კამათმა აჩვენა, რომ თუმცა დიდი მუშაობა ჩატარებული ამიერკავკასიის ცალკეულ რესპუბლიკებში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების შესწავლის მიმართულებით, მაგრამ მთლიანად ამიერკავკასიის მასშტაბით ამ პროცესის გააზრების მხრივ ჯერ ძალზე ცოტაა გაკეთებული. არ არის გათვალისწინებული ამიერკავკასიის მასშტაბით მოქმედი ერთიანი კანონზომიერებანი და ცალკეული რაიონების თავისებურებანი. სიმპოზიუმის მსვლელობაში გაირკვა შესაძლებლობა ამიერკავკასიის ცალკეულ რაიონებში კაპიტალიზმის გენეზისის თავისებურებათა შესწავლისა. მოკამათთა ნაწილმა სცნო საქართველოში გენეზისური მოვლენების უფრო ადრე არსებობის შესაძლებლობა, ვიდრე ამიერკავკასიის სხვა ნაწილებში.

სიმპოზიუმზე მოსმენილი მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეებმა, კერძოდ, აღნიშნეს შემდეგი: ა. აღონცმა თავის გამოსვლაში გააკრიტიკა ის ტენდენცია, რომელიც XVIII საუკუნის ზოგიერთ სახელმწიფო მანუფაქტურას კაპიტალისტურად მიიჩნევს (უნდა ვიფიქროთ, რომ ლაპარაკი არ იყო დროინდელ მანუფაქტურებზე, რომლებიც, ჯერ ერთი, ყველა სახელმწიფო საწარმო არ იყო და, მეორეც, მათი ნაწილი სასაქონლო პროდუქციის აწარმოებდა დაქირავებულ შრომის გამოყენებით). მაგრამ მთავარი ისაა, რომ სიმპოზიუმზე გამოტანილ მოხსენებებში XVIII ს-ში არსებული მანუფაქტურები კაპიტალიზმის (იგულისხმება წყობა) არსებობის არგუმენტად არაიყოს მოუტანია. ლაპარაკი იყო მხოლოდ კაპიტალიზმის ელემენტებზე. შემდეგ აღონცმა ილაპარაკა ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებაზე და აღნიშნა, რომ ეს კარგად ჩანს აზერბაიჯანის მაგალითზე. ბაქოში განვითარებული იყო კაპიტალიზმი, აზერბაიჯანში საერთოდ კი არაო.



კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების პერიოდად მან 30-იანი წლები დაასახელა, ამასთან დააზუსტა, რომ მხედველობაში აქვს საქართველო.

პ. რინძიუსკიმ თავის გამოსვლაში უაჩყო ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის პირველადი დაგროვების გამოხატულებად მიჩნევის შესაძლებლობა. მან სიმპოზიუმის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ რიგ მოხსენებებში აღდილი ჰქონდა ფორმალურ მიდგომას დაქირავებული მუშახელის გამოვლენასა და მისი აღრიცხვისადმი და მოუწოდა, რომ საჭიროა ასეთი მუშახელის განხილვა იმის მიხედვით, თუ რა სფეროში იყო გამოყენებული დაქირავებული შრომა, რამდენად იყო დაქვემდებარებული ბაზართან ის წარმოება, რომელშიც ის მონაწილეობდა.

ი. ანთელავამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით ამიერკავკასიის ქვეყნების გათანაბრება (ნიველირება) შეეცდომა, რადგან თითოეულ მათგანს თავისებურებები ჰქონდა. ბურჟუაზიული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძვრები 30-იანი წლებიდან შეიმჩნევა. ამ დროიდან საქართველოში კაპიტალისტური წყობა ყალიბდება, ჩანასახების სახით კი ახალი ურთიერთობა უფრო ადრეც არსებობდა. აღონცის მოხსენებაში, ორატორის აზრით, ვერ აისახა ის დიდი ძვრები, რომლებიც ხდებოდა რეფორმამდელი ხანის ამიერკავკასიის სოფელში. ი. ანთელავა შეეხო ნოვოსელცევის მოხსენებას და არ დაეთანხმა იმ აზრს, რომელიც საქართველოს და ირანის სოციალ-ეკონომიური დონის გათანაბრებას გულისხმობს. ამასთან არც ის აზრი მიიჩნია მან სწორად, რომლის თანახმად რუსეთთან შეერთებამდე ამიერკავკასიაში გამოირიცხული იყო ახალი ურთიერთობათა რაიმე ნიშნები.

ვ. პელოვი შეჩერდა ამიერკავკასიასა და ინდოეთში კაპიტალისტური ურთიერთობის გენეზისის პრობლემის შედარებაზე. მან, კერძოდ, ილაპარაკა ინდოეთის სახელმწიფოებრივ მანუფაქტურებზე, რომლებიც ბაზარზე კი არა, არამედ სახელმწიფოზე იყვნენ დამოკიდებულნი. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ არაა მართებული კაპიტალისტური წყობის აღმოჩენით გატაცება და მრავალწყობიანობის დაქიწყება.

ვ. მოჩალოვმა ბევრი მოხსენების საერთო ნაკლად მიიჩნია ის, რომ ზუსტად არ იყო განსაზღვრული კვლევის საგანი და მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები. მისი აზრით, მთელი XIX საუკუნე კაპიტალიზმის გენეზისის ხანაა ამიერკავკასიაში. ეს საუკუნე ხასიათდება მეურნეობის ფეოდალურ-მემამულური, წვრილგლეხური, წერილსასაქონლო და კაპიტალისტური ფორმების ერთობლობითა და მონაცვლეობით. იმის გამო, რომ მკვლევარი „გენეზისის“ ცნებაში სხვადასხვა შინაარსს დებენ. უმჯობესია ვიხმაროთ კაპიტალიზმის „წარმოშობა“ და „განვითარება“.

მან აღნიშნა XIX საუკუნის ამიერკავკასიაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების სწრაფი ტემპები, მაგრამ ამავე დროს მიუთითა ამ ტემპების გადაჭარბებით შეფასების ტენდენციაზე (იგულისხმება XX საუკუნის აზერბაიჯანის განვითარების დონის რუსეთთან გათანაბრებისა და უფრო მაღლა დაყენების ცდები). არ დაეთანხმა იგი აგრეთვე საქართველოს რუსეთის გუბერნიებთან შედარების ცდის მიზანშეწონილობას. ამას, მისი შეხედულებით, დიდი შეცდომები შეიძლება მოჰყოლოდა.

ა. ამბარიანმა აღნიშნა, რომ სიმპოზიუმზე არ იყო წარმოდგენილი მოხსენებანი პრობლემის რიგ სერიოზულ საკითხზე. არ იყო, მაგალითად, მოხსენება ბურჟუაზიის შესახებ. აზერბაიჯანსა და სომხეთში მან კაპიტალისტური ურთიერთობის დაწყების ხანად XIX ს-ის მეორე ნახევარი მიიჩნია, საქართველოში კი, ეს პროცესი შეიძლება ადრე, 30-იანი წლებიდან ვივარაუდოთ, რადგან საქართველო ნაკლებად დაზიანდა უცხოელთა შემოსევებისაგან და უფრო ადრე შეუერთდა რუსეთს. მან აღიარა, რომ XVIII საუკუნის საქართველოში არსებობდა კაპიტალიზმის ჩანასახები, მაგრამ მათ სათანადო განვითარება ვერ მიიღეს. მ. სამსონაძის მიერ მოტანილი მასალა, ამბარიანის აზრით, საინტერესოა, მაგრამ მიუთითებს მხოლოდ სასაქონლო წარმოების არსებობაზე.

ნ. კუხენცოვა გამოვიდა იმ ტენდენციის წინააღმდეგ, რომ ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარება შესაძლებელია მთლიანად გარეშე ფაქტორებით იქნეს ახსნილი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მოხსენებები ეკონომიურ (ბაზისურ) პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი, საჭირო კი იყო მოხსენებანი ზედნაშენურ მოვლენებზეცო.

ა. ჩისტოვონოვმა თავის გამოცხადებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლის დროს საჭიროა მკვეთრად გამოიყაროს და განსხვავებული იქნეს სასაქონლო მეურნეობა და კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება. მან დაგმო ზოგიერთი მკვლევრის ტენდენცია მარქსის მთელი რიგი დებულებების მექანიკური გადმოტანისა და მიყენებისა რუსეთისა და მისი განაპირა მხარეების ისტორიული მოვლენებისადმი. მისი აზრით, კაპიტალისტური საწარმოებისა და დაქირავებული შრომის შესწავლისას არ უნდა შემოვიფარგლოთ აბსოლუტური ციფრებით, საჭიროა გავარკვიოთ ხსენებული შრომის გამოყენების სფერო, განვსაზღვროთ კაპიტალისტური სექტორის ხვედრითი წონა საერთო ეროვნულ წარმოებაში, მოსახლეობის სტრუქტურაში. შეეხო რა „წყობის“ („УКЛА“) რაობის საკითხს, მან აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის ცალკეული ელემენტები მაშინ იქცევიან წყობად, როცა მათ გარეშე ნორმალური განვითარება შეუძლებელი ხდება. „წყობა“ — ეს არის საერთოსახელმწიფოებრივი სტრუქტურა და არა რეგიონალური კატეგორია. ამდენად კაპიტალიზმის გენეზიკი ამიერკავკასიაში საერთო-რუსული პროცესის ნაწილია.

ბ. ახუნდოვა უარყო კაპიტალიზმის საწყისების არსებობის შესაძლებლობა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, თუმცა საამისოდ რაიმე არგუმენტი არ მოუყვანია: წყობის ჩამოყალიბებას იგი მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თვლის შესაძლებლად.

გ. ხოშტარიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზოგჯერ მოკამათები ვრთისა და იმავე ტერმინში („ჩანახვა“, „წყობა“) სხვადასხვა შინაარსს დებენ და ეს კამათის დროს დიდ გაუგებრობას იწვევს. არ არის შემუშავებული საერთო კრიტერიუმებიც საკითხის შესწავლაში. ყვრილად, მას მიაჩნია, რომ მანუფაქტურული პერიოდი კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებას ემთხვევა, რაც არ გამორიცხავს ამ დროს წვრილი საქონლური წარმოების ფართო გავრცელებას და მანქანური წარმოების ჩანახაზებს.

საქართველოში XVIII საუკუნიდან ახალ ურთიერთობათა ჩანახაზები იყო, XIX ს-ის 30-იანი წლებიდან — წყობა, ხოლო შემდეგ, 60-იანი წლებიდან ფორმაცია. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარების შედარება ირანთან სრულიად გაუმართლებელია იმ დიდი განსხვავების გამო, რაც მათ სოციალ-ეკონომიურ წყობათა შორის არსებობდა, მით უმეტეს თუ ავიღებთ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს და უფრო ადრეული ხანის ირანს.

დ. ხოშტარია ხაზს უსვამს ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის წინამძღვრებისა და პირობების თავისებურებათა გათვალისწინების აუცილებლობას და ცალკეული რაიონების მდგომარეობის შესწავლას საერთო საკითხების უკეთ შესწავლას მიზნით. ამავე დროს, იგი იცავს აზრს საქართველოს რუსეთის ცალკეულ გუბერნიებთან შედარების მიზანშეწონილობის შესახებ, ამ გუბერნიების სპეციფიკის გათვალისწინებით.

ა. გულიევი არ დეთანხმა ნ. ყვანიანის მოხსენების იმ დებულებას, თითქოს დაქირავებული შრომის ფართო გამოყენება დამახასიათებელი იყო კაპიტალიზმამდელი ფორმაციისათვისაც. მან უარყო ნოვოსელცევის ის დებულება, თითქოს მომთაბარე ხალხთა თავდასხმებს შეიძლება გადამწყვეტი როლი შეესრულებინა ამა თუ იმ ფორმების გამარჯვებაში, აგრეთვე დებულება იმის შესახებ, რომ რუსეთთან შეერთებამდე აზერბაიჯანში ფართო გავრცელება ჰქონდა მონათმფლობელურ წყობას („УКЛА“). მან სუბმატზადეს არც ის დებულება გაიზიარა, რომლის თანახმად რევოლუციამდელი აზერბაიჯანის განვითარება რუსეთის დონეზე იდგა.

კამათში გამოსულმა ნ. პავლენკომ მსმენელთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზოგჯერ მომხსენებლებს მარქსიზმის კლასიკოსთა დებულებები, გამოთქმული განვითარებული

კაპიტალიზმის ეპოქის შესახებ, მექანიკურად გადმოაქვთ ფეოდალიზმის პერიოდზე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის ადრეული განვითარების თეორიის მომხრეებს რუსეთში და ამიერკავკასიაში ერთი და იგივე არგუმენტები მოაქვთ. შემდეგ მან ეჭვით შეხედა სამსონაძის იმ დებულებას, რომელიც საქართველოს სინამდვილეში გაფართოებული მანუფაქტურის არსებობას ამტკიცებდა. ამასთან თავისი ეჭვი იმით დაასაბუთა, რომ დანაწევრებული მანუფაქტურა გულისხმობს შილაგანვითარებულ საქონლურ წარმოებას და შრომის დანაწილებას მასში, რაც იმ დროს ძნელად შესაძრევია რუსეთის სინამდვილეშიც კი.

ე. ორჯონიკიძემ თავის გამოსვლაში გააერთიანა ნოვოსელცევის მოხსენების ის დებულებები, რომლებიც აიგივებდა საქართველოსა და ირანის კაპიტალიზმადელ სოციალ-ეკონომიურ წყობას და მოიტანა სარწმუნო მაგალითები, საიდანაც აშკარად ჩანს ფეოდალური ურთიერთობის სრულიად განსხვავებული ხასიათი ამ ორ ქვეყანაში. მან აჩვენა აგრეთვე სრული უსაფუძვლობა დასახელებული ავტორის მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მსხვილი საწარმოების გაიგივებისა შუა საუკუნეების ირანულ და მით უმეტეს, მონღოლურ საქარხანსთან“.

პ. ვოლობუევიმა მიუთითა, რომ ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლის საქმეზე მდგომარეობს არა მარტო ცალკეული საკითხების დაუმუშავებლობაში, არამედ ერთიანი კრიტერიუმების არარსებობაში. მისი აზრით, ამოსავალი დებულება ამიერკავკასიაშიც კაპიტალიზმის გენეზისის პრობლემის გადაწყვეტაში უნდა იყოს მისდამი, როგორც ერთიანი სოციალ-ეკონომიური კომპლექსისადმი მიდგომა. მან სათუოდ მიიჩინა ი. ანუელავასა და ე. ორჯონიკიძის მოხსენებაში გამოთქმული დებულება საქართველოში საგლეზო რეფორმის მომზადების ეკონომიურ წინამძღვართა არსებობის შესახებ. თეოი რუსეთიც კი, აღნიშნა მან, ეკონომიური განვითარების აუცილებლობამ, და არა კაპიტალისტურმა წყობამ დააყენა ბურჟუაზიული რეფორმების გზაზეო.

მ. სამსონაძემ სიმპოზიუმის სამდივნოს გამოსაქვეყნებლად წარუდგინა მისი გამოსვლის ტექსტი; სიღაც აღნიშნული იყო, რომ ოპონენტების ერთმა ნაწილმა სწორად ვერ გაიგო მისი მოხსენების ძირითადი დებულება. სამსონაძე არსად ლაპარაკობდა XVIII საუკუნეში კაპიტალისტური წყობის არსებობაზე. იგი ლაპარაკობდა ახალი ურთიერთობის ჩანასახებზე მხოლოდ. შემდეგ მან აღნიშნა, რომ მოკამათენი არ იცნობენ ფაქტიურ მასალას და მხოლოდ თეორიული გზით ცდილობენ ფაქტიური ვითარების უარყოფას. საჭიროა არა იმის მკითხაობა, შეიძლება თუ არა მომზადიყო ის, რაც უკვე მოხდა, არამედ უნდა აიხსნას მომზადი ფაქტი. მ. სამსონაძის აზრით, საქართველოში არსებობდა ყველა პირობა იმისათვის, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ ახალი ურთიერთობა ჩასახულიყო, ხოლო XIX საუკუნის პირველ მესამედში მისი წყობად ჩამოყალიბება დაწყებულიყო.

სიმპოზიუმის შედეგები შეაჯამა აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. სუბაბტაძემ. მან აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის არსებობა XVIII საუკუნის ამიერკავკასიაში არ მტკიცდება. მხოლოდ საქართველოს დღევანდელის ზოგიერთი წარმომადგენელი (ე. ხოშტარია, მ. სამსონაძე) ცდილობს დაინახოს კაპიტალიზმის ჩასახვა ამ დროს. მართალია, XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ხელოსნობის და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას, პირველი მანუფაქტურების აღმოცენებას, მაგრამ მათი რაოდენობრივი დაგროვება არ იწვევდა თვისობრივ ცვლილებებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში. კაპიტალიზმის განვითარება ამიერკავკასიაში ეს არის რუსეთის კაპიტალიზმის სივანეში განვითარების შედეგი. რაღაც ჩაკეტილი, რეგიონალური კაპიტალიზმის არსებობა შეუძლებელია.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სინამდვილეში არავის უმტკიცებია XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმის არსებობა.



ლაპარაკი იყო მხოლოდ კაპიტალიზმის ჩანასახებზე, რასაც თვით მოკამათიც არ უარყოფს. კაპიტალიზმის განვითარებას კი წყობის ჩამოყალიბების მნიშვნელობით საქართველოს დღევანდელი წარმომადგენლები მხოლოდ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყებენ (რაც სიმპოზიუმის ზოგმა მონაწილემაც გაიზიარა) და ამას განიხილავენ სწორედ როგორც რუსეთის იმპერიაში კაპიტალიზმის სიგანეში განვითარებას, თუმცა ჩანასახების არსებობას უფრო ადრეც არ გამო-რიცხავენ.

შემაჯამებელ სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიც მოცემულია სიმპოზიუმის მუშაობის შედეგების დახასიათება. გადაწყდა მომავალი სიმპოზიუმი მოეწყოს თბილისში 1972 წელს. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სიმპოზიუმის მასალების გამოქვეყნება.

- მ. გაზრინდაშვილი,
- მ. სამსონაძე,
- ა. ხოშბარია.

**კ ო ტ ე ბ ა ქ რ ა ძ ე**

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა ფილოსოფოსი აკადემიკოსი კოტე (კონსტანტინე) სპირიდონის ძე ბაქრაძე.

კოტე ბაქრაძის სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა ერთი საუკეთესო შვილი, საბჭოთა მეცნიერებამ — საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედი მკვლევარი, ქართულმა ფილოსოფიურმა სკოლამ — ერთერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი და მეთაურთაგანი.

კ. ბაქრაძე ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელმაც პირველმა მიიღო უმაღლესი განათლება თბილისის უნივერსიტეტში, თაობას, რომელიც პირველი ამოუღვამხარში მის დამაარსებლებს, განამტკიცა და გაამდიდრა მათ მიერ დანერგული ტრადიციები და შექმნა ქართული საბჭოთა მეცნიერული სკოლები.

კოტე ბაქრაძე დაიბადა 1898 წლის 24 ნოემბერს. 1918 წელს თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც იგი გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. იგი ერთდროულად სწავლობდა

სიბრძნისმეტყველებასა და მათემატიკას, ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, ანდრია რაჭმძის, გრიგოლ წე-



რეთლის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის და სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ლექციებს. კ. ბაქრაძემ იმთავითვე მიიპყრო მასწავლებლებთან ყურადღება თავისი ბრწყინვალე ნიჭით, ფართო ერუდიციით, ნათელი გონებით. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1922 წელს სამეცნიერო საბჭომ კ. ბაქრაძე დატოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად და იმავე წელს მიივლინა გერმანიაში. იქ იგი მუშაობდა XX საუკუნის გამოჩენილ ფილოსოფოსებთან ჰუსერლთან, რიკერტთან და შაიდეგერთან.

1925 წელს კ. ბაქრაძე დაბრუნდა სამშობლოში და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მრავალი წლის მანძილზე იგი იყო მისივე თაოსნობით გახსნილი ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, ფილოსოფიის ისტორიის და ლოგიკის კათედრების გამგე. ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პარალელურად მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს რესპუბლიკას

უმადლეს სასწავლებლებში (ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში). როგორც საბჭოთა კავშირში აღიარებული სპეციალისტი ფილოსოფიის ისტორიის, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკისა და ლოგიკის დარგებში, იგი არაერთხელ ყოფილა მიწვეული მოსკოვის უნივერსიტეტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-ი მომუშავეების სპეცკურსების წასაქოხად, მათთვის მეცნიერული ხელმძღვანელობის გასაწევად.

მრავალშრივი და ნაყოფიერი იყო აკადემიკოს კოტე ბაქრაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

1929 წელს კოტე ბაქრაძემ გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“. აქ გამოთქმულმა იდეებმა შემდგომი განვითარება პოვა 1938 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „ისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ (რუსულად გამოვიდა 1958 წ., პოლინურად — 1960 წ.). ამ შრომებში მან ჩამოაყალიბა კლასიკური გერმანული იდეალიზმის ისტორიისა და მარქსიზმთან მისი მიმართების ორიგინალური და ღრმად გაზრებული კონცეფცია.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის შესწავლა შემთხვევით არ შემოსულა პროფესორ კ. ბაქრაძის მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში. მას აინტერესებს გვიჩვენოს, თუ რა არის „კოცხალი და მკვდარი“ ჰეგელის ფილოსოფიაში, ამ გზით დაადგინოს იმ გავლენის ხასიათი და მნიშვნელობა, რომელიც საერთოდ გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა და კერძოდ ჰეგელის ფილოსოფიამ იქონია მარქსისა და ენგელსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

კ. ბაქრაძის ამ ნაშრომებს ჰქონდა არა მარტო ისტორიულ-კრიტიკული მნიშვნელობა: მათში მოცემულია მარქსისტული ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების გადაჭრის უაღრესად სერიოზული ცდა. ამ მიმართულებით კვლევა-ძიება კ. ბაქრაძეს გარდაცვალებამდე არ შეუწყვეტია. არსებითად ამ საქმეს ემსახურება მისი გამოკვლევები დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხებზე.

1946-1951 წლებში კ. ბაქრაძემ ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირში პირველი სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ლოგიკაში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ მისი წერილით გაიხსნა საკავშირო დისკუსია ფორმალური ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობის საკითხებზე (ყურანლი „კობროსი ფილოსოფიი“, № 2, 1950 წ.), დისკუსიამ გამოავლინა ორი ძირითა-

დი თვალსაზრისი. ერთი მათგანის მომხრეთა აღიარებული მეთაური იყო კ. ბაქრაძე. ჩვენს ქვეყანაში ლოგიკის სწავლების, მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების და მეცნიერული კვლევა-ძიების განვითარების საქმეში კოტე ბაქრაძის მოღვაწეობამ მთელი ეტაპი შეაღწინა.

უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკა კ. ბაქრაძის მეცნიერული კვლევის პრობლემატიკიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამ დარგში მის მიერ ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული შრომებიდან დიდ ყურადღებას იპყრობს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

„ნარკვევები უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიიდან“ (1960), „ეგზისტენციალიზმი“ (1962), „პრაგმატიზმი“ (1965) და სხვ. კ. ბაქრაძის ფუნდამენტური ნაშრომები ფილოსოფიის ისტორიასა და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის დარგში საკაცობრიო ფილოსოფიური მემკვიდრეობის მარქსისტულ ნაიდაგზე კრიტიკული ათვისების საუკეთესო ნიმუშებია. განსაკუთრებულია ამ შრომათა მნიშვნელობა ჩვენში ფილოსოფიური კულტურის ამაღლების საქმეში.

დიდა კ. ბაქრაძის დამსახურება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრობლემების დამუშავებაში. მისმა ლექციებმა, ცალკეულმა გამოკვლევებმა და მისი მონაწილეობით შექმნილმა სახელმძღვანელოებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენში ამ პრობლემათა მეცნიერული კვლევისა და სწავლების მაღალი დონე.

კ. ბაქრაძის კვლევა-ძიების ცენტრში ყოველთვის იდგა ფილოსოფიის ყველაზე აქტუალური პრობლემები. თავისი დიდი ნიჭისა და ფართო ერუდიციის წყალობით მას დიდი წვლილი შეჰქონდა ამ პრობლემათა გადაწყვეტაში. კ. ბაქრაძის შრომები გამოირჩევა სიღრმის, ნატივი ანალიზით, ნათელი და მკაცრი არგუმენტაციით. ყოველივე ამან მას დამსახურებულად მოუპოვა საერთაშორისო აღიარება. იგი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი და მკვლევარი, არამედ ბრწყინვალე პედაგოგიც. მას შეეძლო ურთულესი ფილოსოფიური პრობლემების მარტივად და ყველასთვის გასაგებად გადმოცემა. იგი მრავალი სახელმძღვანელო წიგნის ავტორი ან თანავტორია. სულ ახლახან გამოვიდა მისი „ახალი ფილოსოფიის ისტორიის“ პირველი ნაწილი, რომელშიც კიდევ ერთხელ გამოვლინდა კ. ბაქრაძის მეცნიერული და პედაგოგიური ღირსებანი.

განუსაზღვრელად დიდა კ. ბაქრაძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგი. ყველგან შეხვდებით მის მოწაფეებს — სკოლებში, უმაღლეს სასწავლებ-



ლებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე რუსეთში, უკრაინაში და სხვა მოძმე რესპუბლიკებში. ყოველი მათგანი დიდი სივარულითა და პატივისცემით იგონებს დიდ მეცნიერსა და პედაგოგს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესორ კ. ბაქრაძის დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში. ფილოსოფიაში მომუშავე ახალი თაობის უმრავლესობა კ. ბაქრაძის უშუალო მოწაფეები არიან, რომელთაც იგი არა მარტო ფილოსოფიის პრობლემებს ასწავლიდა, არამედ უნერგავდა დამოუკიდებელი კვლევის ჩვევებს, მეცნიერულ პრინციპულობას, უფიქრობდა პასუხისმგებლობის გრძნობას როგორც თავისი შრომებით, ისე პირადი ცხოვრების მაგალითითაც. ცხოვრების მანძილზე კ. ბაქრაძეს მოუხდა არაერთი სიძნელის გადალახვა. ამ სიძნელეებს ის ყოველთვის რაინდულად ზღვებოდა, არასოდეს არ წასულა კომპრომისზე საკუთარ მეცნიერულ სინდისთან. ამიტაც ქმნიდა იგი თავის გარემოში მაღალპრინციპულ მეცნიერულ ატმოსფეროს. კ. ბაქრაძე იდეისათვის მებრძოლ მეცნიერთა რიგს განეკუთვნებოდა და ბრწყინვალე პოლემისტური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მას უყვარდა კიდევაც პოლემიკა და, რა თქმა უნდა, გამარჯვებაც, მაგრამ გამარჯვება მისთვის მიუღებელ თვალსაზრისზე და არა მის მატარებელ პიროვნებაზე.

კ. ბაქრაძის მეცნიერულმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. ავტორიტეტი, რომლითაც დღეს ქართული ფილოსოფიური სკოლა სარგებლობს, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია კ. ბაქრაძის სახელთან.

საბჭოთა ხელისუფლებამ კ. ბაქრაძის ღვაწლი დირსულად დააფასა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, იყო საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

აკადემიკოს კ. ბაქრაძის სახით ქართველმა საზოგადოებრიობამ დაკარგა არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგი, არამედ შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება. კ. ბაქრაძე ფაქიზი შინაგანი კულტურის ნამდვილი ინტელიგენტი იყო. მისი მარად ახლის მამიებელი, მოუსვენარი, ხალისიანი და უშუალო ხასიათი არაჩვეულებრივად მიზიდველი იყო ყველასათვის, ვინც მას იცნობდა. საოცრად უბრალო იყო იგი ადამიანებთან ურთიერთობაში და ადვილად პოულობდა საერთო ენას დიდთანაც და პატარასთანაც. მას არ უყვარდა პატივისცემის გამოხატვის გარეგნული ფორმები სწორედ იმიტომ, რომ კარგად იცოდა ადამიანის ღირსების ნამდვილი ფასი. აკადემიკოს კ. ბაქრაძის ღვაწლი დაუვიწყარი იქნება ქართველი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 60, კუტუშოვის ქ. № 15  
ტელეფონი—37-24-07

პასუხისმგებელი მდივანი ნ. ებრაძიძე

გადაეცა წარმოებას 29.4.70: ხელმოწერილია დასაბუქდალ 55.6.70;  
ქალაქის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 15  
შეკვეთა 1142 უე 01720 ტირაჟი 1500

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუშოვის 15



ფ 21/147



ფასი 1 მან.

Индекс 76182